მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1973

ონორე დე ბალზაკი

ონორე დე ბალზაკი ისე მოულოდნელად გამოჩნდა ევროპელ რომანისტთა შორის და იმ სიმაღლეს მიაღწია, რომ მკითხველი კაცობრიობა დღესაც ისევე გაოცებით შესცქერის მას, როგორც ეგვიპტურ პირამიდებს. გორკი წერს: შექსპირი, ბალზაკი, ტოლსტოი _ აი, ჩემი აზრით, სამი მონუმენტი, რაც კაცობრიობამ აუგო თავის თავს...

ერთნი ამგვარ სიმაღლეს პოეტური აღმაფრენით აღწევენ, მეორენი _ ტიტანური შრომით. ბალზაკისათვის არც ერთი იყო უცხო და არც მეორე. იგი გულმოდგინედ მიჰყვებოდა თავისი შემოქმედების გიგანტური კიბის საფეხურებს და, მართლაც, ისეთი სიმაღლეზე ავიდა, რომ ვიქტორ ჰიუგომ გამოსათხოვარ გამოსვლაში თქვა: «ამიერიდან ის იქნება ღრუბლებზე მაღლა, ჩვენს თავს ზემოთ რომ მისცურავენო».

ყოველივე ამას ბალზაკმა უმთავრესად თავისი არაადამიანური შრომით მიაღწია.

ჭეშმარიტად გაოცებას იწვევს მისი შემოქმედებითი ენერგია. როგორც კი ეს საშუალო ტანის, მაგრამ ათლეტური აგებულების ახალგაზრდა რაბლეს ქალაქ ტურიდან საფრანგეთის დედაქალაქში შემოიჭრა და სალიტერატურო მოღვაწეობისათვის ხელის მოკიდება გადაწყვიტა, მაშინვე ისეთი გაშმაგებით ეძგერა საქმეს, რომ ცნობილმა კრიტიკოსმა გეორგ ბრანდესმა იგი კორიდაზე საბრძოლველად გამოვარდნილ ხარს შეადარა; ან კიდევ მშიერ მგელს, რომელიც პერ-ლაშეზის შემოგარენიდან დაჰყურებდა პარიზს და მის დაპყრობას ლამობდა ჯერ ფულით, შემდეგ კი სახელით. უფრო გვიან მან თავის ღარიბულ ოთახში ნაპოლეონის ბიუსტი დადგა ასეთი წარწერით: «რაც ნაპოლეონმა ხმლით დაიპყრო, მას მე კალმით დავიპყრობო».

რამდენი ბედისმაძიებელი ახალგაზრდა მოსულა ასე პროვინციიდან პარიზში, რათა სიმდიდრე და დიდება მოეპოვებინა. ბალზაკი ერთი მათგანი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული იყო. მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოჩენა, მართლაც, ვულკანის ამოფრქვევას ჰგავდა. ჯერ ხომ ფერფლი ამოჰყარა _ სულ რაღაც 7-8 წელიწადში

ორმოცამდე რომანი და უამრავი მოთხრობა, ნოველა თუ კორესპონდენცია გამოაქვეყნა, მაგრამ არც ერთი მათგანისთვის თავისი სახელი და გვარი არ მოუწერია, რადგან ეს ლიტერატურული ნავარჯიშევი ამის ღირსად არ მიაჩნდა. შემდეგ, «ქორწინების ფიზიოლოგიიდან», «შუანებიდან», «პოლკოვნიკ შაბერიდან», ხოლო განსაკუთრებით «შაგრენის ტყავიდან» მოკიდებული ამ ფერფლს ისეთი შემოქმედებითი ძალის ლავა ამოაყოლა, რომ მისმა მხურვალე ნაკადმა ერთბაშად დაფარა მთელი ლიტერატურული საფრანგეთი. თვითონ ბალზაკი წერდა: «აზრები თავისით იღვრებიან ჩემი თავის ქალიდან, როგორც შადრევნის ჭავლები. ეს სრულიად შეუცნობელი პროცესიაო». და მართლაც, ორი ათეული წლის მანძილზე ასამდე ტომი დაწერა და ამ ტიტანური შრომით მოქანცულმა ისე გაანადგურა საკუთარი ჯანმრთელობა, რომ იმ «შემოქმედებითი ვულკანის» ამოფრქვევა თანდათან შენელდა, მერე კი სრულიად ჩაქრა. ბალზაკი მაშინ 50 წელსაც არ იყო მიღწეული. მართალია, ერთხანს კიდევ ისმოდა ჩამქრალი ვულკანის ქშენა, მაგრამ ბოლოს ისიც მინელდა. 1799 წელს დაბადებული ბალზაკი 1850 წელს გარდაიცვალა ისე, რომ საწერ მაგიდაზე კიდევ დარჩა 50 დაუწერელი რომანის გეგმა. სიცოცხლეში მას ერთი წამაქეზებელი სტატია არ ღირსებია, სიკვდილის შემდეგ კი მისი ტიტანური შემოქმედების ყველაზე მაღალი დაფასება ვიქტორ ჰიუგოს მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა და ოგიუსტ როდენის მიერ გამოქანდაკებული ბიუსტი იყო.

_ ბალზაკის სახელი, ჩემო ბატონებო, გაივლის იმ ნათელ გზას, რაც ოდესმე მომავალში ჩვენი ეპოქის ამბავს აუწყებს შთამომავლობას, _ თქვა ჰიუგომ. ოგიუსტ როდენის საჭრეთელმა კი ქვაში აამეტყველა ამ დღენიადაგ შეჭირვებული გენიალური მწერლის ცხოვრება...

ვიდრე საყოველთაო აღიარებას მიაღწევდა, ბალზაკი ანონიმურად წერდა თავის რომანებს; წერდა იმისთვის, რომ შემოსავალი ჰქონოდა, დამოუკიდებელი ცხოვრება მოეპოვებინა და ნამდვილი ლიტერატურული მოღვაწეობის საშუალება მისცემოდა. მისთვის სულ ერთი იყო, რითი მიაღწევდა ამას _ რომანების წერით, პოლიტიკით, საქმოსნობით, კომერციით თუ ვინმე მდიდარ ქვრივს შეირთავდა. ცვაიგი წერს:

_ არსებითად ის ეკუთვნის იმ დიდი ადამიანების რიცხვს, რომელთა გენიალობაც ყოველ, ნებისმიერად ამორჩეულ სფეროში გამოიჩენდა თავს. ბალზაკი იქნებოდა, ვთქვათ, მირაბო,* ტალეირანი,* მეორე ნაპოლეონი, დიდი თაღლითი, სურათებით მოვაჭრეთა ნამდვილი მეფე, ყველა სპეკულანტის უსტაბაში...

შეიძლება ეს გადაჭარბებულია, მაგრამ ის კი სწორია, რომ ამ დროს ბალზაკმა არც იცოდა, რისთვის მოეკიდა ხელი. იგი არ იყო საკუთარ შემოქმედებით შესაძლებლობებში დარწმუნებული, ამიტომ ხან ერთ აჩრდილს მისდევდა, ხან მეორეს. ბუნებით მხიარულმა, მგრძნობიარე და არაჩვეულებრივად დაკვირვებულმა ახალგაზრდამ ბოლოს ყველაფერზე აიღო ხელი, ის სადღაც მანსარდში ჩაიკეტა და «გარეული ტახის გაშმაგებით» ეძგერა მწერლობას. თითქმის ყოველთვის მშიერი, სიცივით გათოშილი იჯდა დღედაღამ თავის საწერ მაგიდასთან და თხზავდა რაღაც უგემოვნო და უფერულ რომანებს. ერთ-ორ საათს თუ წასთვლემდა, თორემ ისე განუწყვეტლივ ებრძოდა ჯერაც გაუფორმებელ შთაგონებას. წერდა, ხევდა, ისევ წერდა, ასწორებდა, გადახაზავ-გადმოხაზავდა; ქაღალდის ფურცლებზე ისრები ხან მარჯვნივ მიემართებოდნენ, ხან მარცხნივ, ზევით ან ქვევით და უერთდებოდნენ ძნელად გასარჩევსა და ამოსაკითხ მინაწერებს. დილისთვის რომ დაწერილ თაბახებს დაახვავებდა, სტამბაში გარბოდა, სადაც თითქმის მთლიანად ანახლებდა უკვე დაწერილს, რითაც სასოწარკვეთაში აგდებდა ასოთამწყობთ. ხელნაწერების ხელახლა აწყობა-დაკაბადონების ჯარიმებსაც საკმაოდ იხდიდა, მაგრამ 8-9 კორექტურას მაინც აკეთებდა. ქაღალდის ფურცლები ისე იყო აჭრელებული მინაწერებით, რომ ვერავინ არჩევდა, ეს ისრები საიდან სად მიემართებოდა. სტამბის მუშები დიდხანს იმტვრევდნენ თავს, რათა ამ ხლართებში გარკვეულიყვნენ. ბალზაკი კი ისევ თავის მანსარდაში გამორბოდა, ორიოდ ფინჯან ყავას დალევდა და განაგრძობდა მუშაობას. მეორე დილით ისევ იგივე მეორდებოდა. ასე იყო ყოველდღე, ვიდრე ეს «ფანტასტიკური მანქანა» არ გაცვდა და «რომანების ფაბრიკა» არ დაიხურა. ასეთ დროს ბალზაკი წერდა: «მეჩვენება, თითქოს ჩემი ტვინი აორთქლდა და საკუთარი გონების ნანგრევებზე სიკვდილი მიწერია». მაგრამ ეს დროებით. მან იცოდა, რომ «ხსნა შრომაში იყო» და ისევ ისე ებრძოდა შთაგონებას, როგორც ბიბლიური იაკობი _ ანგელოზს. ძილი რომ მოეძალებოდა, ცივ აბაზანაში ჩაწვებოდა და ახალი რომანების გეგმას ადგენდა, თან წინასწარ ანგარიშობდა, რომელ ნაწარმოებში რამდენს მიიღებდა. «ქალი და სიმდიდრე» _ აი, ეს ორი მირაჟი იტაცებდა მას იმ დროს. პირველის განამდვილებას ასე თუ ისე ახერხებდა, მეორე კი სიკვდილამდე გაურბოდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტად ეფლობოდა ვალებში. ამიტომ შეადარა ცვაიგმა ბალზაკი მითიურ მიდასს, მხოლოდ შებრუნებით: რასაც იგი ხელს მოჰკიდებდა, ოქროდ კი არა, ვალად იქცეოდა. ამის გამო ასი ბრწყინვალე ტომის ავტორს ერთი დღეც არ ჰქონია ისეთი, მევალეები რომ არ ჰყოლოდა. თუმცა ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ის მევალეები მიერეკებოდნენ მას პარნასზე და

იძულებულს ხდიდნენ იმდენი ემუშავა, რომ ბოლოს ღმერთს შესჩივლა: «ისე მოვიქანცე, ჯახრაკა ცხენივით თავს ზევით ვერა ვწევო». მიუხედავად ამისა, ეს მართლაც ბუმბერაზი ადამიანი, რომელმაც ასე უანგაროდ მოიხადა ვალი თავისი ხალხისა და ისტორიის წინაშე, მაინც დავალებული დარჩა მისი დროის მევახშეებისაგან, რომელთაც ასე გამოფიტეს და ნაადრევად მიიყვანეს სამარის კარამდე.

ცნობილი პარნასელი პოეტი თეოფილ გოტიე მოგონებებში წერს: _ ზოგჯერ დილით უკვე არაქათგამოცლილი ბალზაკი ჩემთან შემოვარდებოდა, რამდენიმე სენდვიჩს გადაყლაპავდა, სადაც მოხვდებოდა, იქ მიეგდებოდა: «ერთი საათის შემდეგ აუცილებლად გამაღვიძეო», - მეტყოდა და მაშინვე დაიძინებდა. ერთხელ შემეცოდა, არ გავაღვიძე და საღამომდე იძინა. ამან ბალზაკი ისე გააცოფა, რომ უშვერი სიტყვებით მლანძღა, მაგინა, რა არ მიწოდა, ამდენ ხანს ამდენ და ამდენს დავწერდი, ამდენ ფულს ავიღებდიო, და ისევ გავარდა სამუშაოდ...

მაშინ ბალზაკი ჯერ კიდევ არ აქცევდა ყურადღებას თავისი ნაწარმოებების თემატიკურ სიახლეს, სტილს, უბრალოდ ვალტერ სკოტს ბაძავდა და ყოველ წელიწადს რამდენიმე ულაზათო ისტორიულ რომანს აცხობდა. კაცმა რომ თქვას, არც თვითონ იყო დიდი წარმოდგენის თავის ნაწერებზე. პირიქით, დას, ლაურას წერდა:

_ მე არ გამომიგზავნია შენთვის „Birague», რადგან ეს ნამდვილი ლიტერატურული ღორობაა. «Jean-Luis»-ში შენ იპოვი რაღაც ტიპების მსგავსს, მაგრამ მთლიანად ესეც უმწეობაა. ამ წიგნების ერთადერთი ღირებულება, ჩემო ძვირფასო, ის ათასი ფრანკის თამასუქია, რაც მათი დაწერით მერგო. თუმცა ისიც საკითხავია, როდისმე გადამიხდიან ამ თანხას თუ არა.

გამომცემლები არცთუ ისე ანებივრებდნენ მას და, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა თვითონ მოეკიდა ხელი ბეჭდვის საქმისათვის, სტამბაც შეიძინა, ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსების რამდენიმე ნაწარმოებიც გამოსცა, მაგრამ მალე სრულიად გაკოტრდა, ხოლო ვალებმა 45 ათას ფრანკს მიაღწია. ამას მოჰყვა კატასტროფის საშინელი წლები _ პროცესები, ქონების აღწერა, სახელმწიფო საპატიმროში გატარებული საათები. თვითონ ბალზაკი წერს:

_ ღრმად შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ ჩემი ვალების ხუნდზე ისე ვარ მიჯაჭვული, როგორც ყმა გლეხი _ მიწასთან და არ შემიძლია ადგილიდან დავიძრა, რადგან მოკლებული ვარ თავისუფლებას, რომ ჩემი თავი მევე მეკუთვნოდეს...

ამის შემდეგ ბალზაკი იძულებული გახდა ისევ საკუთარი «რომანების ფაბრიკა» აემუშავებინა. მერედა რაზე არ წერდა, რა თემას არ ედებოდა, რა ჟანრში არ ცდიდა ბედს. თვითონ ამბობდა: «ვმუშაობ, როგორც ჰენრიხ მეოთხის ცხენი, ვიდრე მას ბრინჯაოში ჩამოასხამდნენო». უნდოდა, ერთი ნახტომით მისწვდენოდა უკვდავებას. ამბობდა - «თუ ჩემში არ არის გენია, ეს იმას ნიშნავს, რომ დაღუპული ვარო». მაგრამ ამგვარი აღმაფრენის ძალა არ ჰყოფნიდა და «ციკლოპური შრომით» ცდილობდა ხარვეზის შევსებას. წელიწადში ათამდე რომანს წერდა, ისევ ისე ულაზათოსა და უგემოვნოს, რომ მისი ავტორი ათასგვარ ნიღაბს იფარებდა, რათა თავისი ვინაობა არ გაემჟღავნებინა. ხან ვითომ ლორდი რ'ჰოონი იყო, ხანაც არ ვიცით ვისთან «იზიარებდა ამ სირცხვილს», ან სულაც სხვისი დაკვეთით წერდა. მაშინ იგი, მართლაც, ყოველგვარ ლიტერატურულ შეკვეთას ასრულებდა, ოღონდ «ფული მიეღო და თავისუფლება მოეპოვებინა». ახალგაზრდა ბალზაკის ამგვარი განურჩევლობით აღშფოთებული ცვაიგი წერს:

_ იმ სირცხვილის წლებში ბალზაკი ყოველგვარ ლიტერატურულ ცოდვას სჩადიოდა: საკუთარი ნაკუწებისაგან ჰკრავდა სხვისთვის რომანებს, სხვის ფაბულასა და სიტუაციას იპარავდა საკუთარი მდარე ნაყალბევისათვის; კოხტად და მკვირცხლად ჰკიდებდა ხელს მკერავის ყოველ სამუშაოს, უცხო შრომებს აუთოვებდა, აფართოებდა, აბრუნებდა, აფერადებდა, ანახლებდა. ყველაფერი მოსდიოდა ჭკუაში: ფილოსოფია, პოლიტიკა, თავშესაქცევი ლაყბობა; ყოველი დამკვეთის ნებას ემორჩილებოდა; მუდამ და ყოველ საქმეში მარჯვე, მკვირცხლი, მოხერხებული, ლილაგაცვეთილი, ურცხვი ხელოსანი პირველსავე დასტვენაზე მირბოდა დაუზარებლად, სწრაფად და უდრტვინველად აწვდიდა ყველას წერილებს, რომლებსაც მეტი გასავალი ჰქონდა. თავზარდამცემია იმაზე ფიქრი, რა ამხანაგებს, რა ყონაღებს, რა ნაგვის გამომცემელთა და მდარე ლიტერატურით ბითუმად მოვაჭრეთა ქეციან მოდგმას ეზიარებოდა იმ ბნელ წლებში ბალზაკი _ თავისი დროის ეს უდიდესი მთხრობელი.

ცვაიგის აღშფოთება იქამდე მიდის, რომ იქვე უმატებს:

_ იმ დროსაც კი, როცა «შუანებითა» და «შაგრენის ტყავით» უკვე საფრანგეთის ლიტერატურის დიდება ხდება, იქცევა ქმრიანი ქალივით, რომელიც ბნელ მოსახვევებში პაემნებს ნიშნავს, რათა ნემსის ფული იშოვოს...

ცვაიგი, ცხადია, ამ შემთხვევაშიც აჭარბებს, რადგან, ობიექტურად თუ განვსჯით, არც იმ «სირცხვილის წლებს» ჩაუვლია ბალზაკისთვის უშედეგოდ. მან ხომ თავის რომანებში კალმით მოვაჭრეთა ბრწყინვალე გალერეა შექმნა. აქ კი საკუთარი

გამოცდილებაც დაეხმარა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ბალზაკი თვითონ ამოვიდა ამ ჭაობიდან, რასაც შტეფან ცვაიგიც აღიარებს:

_ იმ ჭაობიდან რომ თვით ასეთი გენია სავსებით საღად და უვნებლად ამოვიდა, ლიტერატურის ერთ განუმეორებელ სასწაულად უნდა დარჩეს, თითქმის ისეთსავე ზღაპრად, რომლის მიხედვითად მიუნჰაუზენმა ქოჩორში ხელი წაივლო და ჭანჭრობიდან საკუთარი თავი ამოათრია...

გაჭირვებას კი თავი მაინც ვერ დააღწია. როგორც თავისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოებებით გვამცნობს, მას არც ბავშვობა ჰქონია ხალისიანი და არც სიჭაბუკე. ჯერ იყო და ექვსი წელი «სულიერ ციხეში» _ ვანდომის ორატორიანელთა ინტერნატში გაატარა. ეს არის მართლაც შუასაუკუნეობრივი ციხის მსგავსი პირქუში შენობა, სადაც მაშინ გამეფებული იყო სასტიკი, სატრაპული რეჟიმი, როზგები, წკეპლები, სულის შემხუთავი ატმოსფერო, უხეში, უსულგულო მასწავლებლები, რომელთაც ბალზაკი გონებაჩლუნგ, მცონარე ბავშვად მიაჩნდათ, სრულიად აუტანელი მორალური და ფიზიკური ტანჯვა. მომავალი დიდი მწერლის ლიტერატურული ორეული ლუი ლამბერი ამბობს, რომ იგი იტანდა «ყველა ტანჯვას, რასაც კი შეიძლება იტანდეს ადამიანის სული და ხორცი. თავის მერხთან მონასავით მიჯაჭვული, როზგით ნაცემი, ავადმყოფობით გაწამებული, ყველა გრძნობაშელახული, ცხოვრების უკუღმართობის მუხრუჭებში მომწყვდეული და სულშეხუთული...» ბალზაკი არამცთუ იტანდა ყოველივე ამას, არამედ ოცნებობდა კიდეც, რის გამოც ბავშვობიდანვე შეარქვეს «ფუჭი მეოცნებე». უკვე მაშინ ეჭიდებოდა ბალზაკი მწერლობის სიზიფეს ლოდს, წერდა ვითომ ფილოსოფიურ ტრაქტატს ფსიქო-ფიზიკურ ურთიერთობებსა და ნებისყოფის შესახებ. მასწავლებლებმა წაართვეს მას ხელნაწერები და იმითაც დაამცირეს ამ «ნაადრევად მომწიფებული გენიის თავმოყვარეობა», რომ გასახვევი ქაღალდის მაკულატურად გადასცეს მეწვრილმანეებს. მაშინ ვერავინ შეამჩნია ამ ბავშვში ჩამარხული სულისკვეთება, მისწრაფება, შესაძლებლობა _ ვერც მასწავლებლებმა, ვერც მეგობრებმა და ვერც მშობლებმა. მშობლების ალერსმოკლებული ბავშვისათვის ეს ნამდვილი სატანჯველი იყო, რაც შემდეგ ოსტატურად აღწერა ავტობიოგრაფიულ «ლუი ლამბერში», სადაც იგი წარმოდგენილია ბავშვად, რომელსაც არც დედა ჰყავს და არც მამა. პანსიონატში ყოფნის ექვსი წლის განმავლობაში, მართლაც, სულ რამდენჯერმე თუ ინახულეს იგი მშობლებმა. ამიტომ სძულდა ისინი, განსაკუთრებით დედა, რომლის შესახებ წერს:

_ რომ იცოდეთ, რა ქალია დედაჩემი: რაღაც შემზარავი გველეშაპი. ამჟამად განზრახული აქვს ჩემი მეორე და გაგზავნოს შავ მიწაში, სადაც უკვე გაგზავნა ჩემი საბრალო ლორანსი და ბებია. მას ვძულვარ და საამისოდ ბევრი მიზეზი აქვს. ვძულდი ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე დავიბადებოდი. ამიტომაც გადავწყვიტე, აღარ გავეკარები, ჩვენს შორის ყველაფერი უნდა გაწყდეს-მეთქი, ეს აუცილებელიც იყო, მაგრამ სჯობს ისევ მე დავიტანჯო მომავალშიც. ეს ისეთი ჭრილობაა, რასაც განკურნება არ უწერია...

ამ «განუკურნებელი ჭრილობის» შემოქმედებითი შედეგი იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები «ლუი ლამბერი». სხვაც ბევრი ჭრილობა მიაყენა ცხოვრებამ მეოცნებე ჭაბუკს. როცა იგი 15 წლისა იყო, მშობლები პარიზში გადასახლდნენ და თავიანთი «ჯიუტი შვილი» ახალ სულიერ საპყრობილეში, ლეპიეტის პანსიონში მიაბარეს. ვერც აქ გამოიჩინა თავი ბეჯითი სწავლით, მაგრამ პანსიონი რის ვაი-ვაგლახით მაინც დაამთავრა და, მამის შეგონებით, უნივერსიტეტის იურიდიულ განყოფილებაზე შევიდა. მართალია, სამართლის საკითხები სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ იძულებული იყო ერთხანს ბედს შერიგებოდა. იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ერთგვარი დამოუკიდებლობა მაინც იგრძნო და თავისუფალი მეცადინეობის საშუალება მიეცა. ლუკმა-პურის შოვნა კი, რა თქმა უნდა, თვითონ უხდებოდა. გულგრილმა და ძუნწმა მამამ საკუთარ შვილთან ნოტარიალური წესით გაფორმებული რაღაც ხელშეკრულებაც კი დადო და მცირეოდენი პენსია დაუნიშნა, მაგრამ ეს ისე უმნიშვნელო იყო, რომ პარალელურად ვიღაც ვექილთან დაიწყო მუშაობა. თან სალიტერატურო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა და უკვე 20 წლისამ ვულკანივით იწყო ამოფრქვევა. ამის შემდეგ თავისი ცხოვრების მიმწუხრამდე ბალზაკს კალამი არ გაუგდია ხელიდან. იგი ყოველდღიურად მუშაობდა «როგორც ველური კაცი» და თავისი ნაადრევი სიკვდილის შემდეგ კაცობრიობას დაუტოვა ბრწყინვალე ნაწარმოებთა ასიოდე ტომი. ვინ იცის, რამდენი გაჭირვება გამოიარა მან ამ ხნის განმავლობაში, რამდენი დაბრკოლება შეხვდა ცხოვრებაში, მაგრამ ეს «უტეხი ოპტიმისტი» მაინც კრეისერული სისწრაფით მიიკვლევდა გზას ლიტერატურული ოლიმპისაკენ. ხელშიც სიმბოლური, მთელი პარიზის სალაპარაკო, მარტორქის ლამაზი რქის ბუნიკით დამშვენებული და ფირუზებით მოჭედილი ჯოხი ეჭირა, რომელზედაც ოქროს ასოებით ჰქონდა ამოტვიფრული: «ყოველგვარ დაბრკოლებას ვძლევ მე». სძლევდა კიდეც, ვიდრე კორიდაზე გამოვარდნილ ხარივით არ წაიქცა ბედისწერის მახვილით განგმირული. გეორგ ბრანდესი წერს:

_ ბუნებით კეთილი, მხარბეჭიანი, ბობოქარი ბალზაკი არ იყო ტიტანი. ზეცაზე მოიერიშე ტიტანებისა და ტიტანიდების თაობას შორის იგი უფრო მიწასთან იყო მიჯაჭვული და ამით ციკლოპთა რასას ეკუთვნოდა. ის იყო მძლავრი, გიგანტური ძალით მომუშავე მშენებელი, უხეში ქვისმტეხელი, რომელმაც თავისი შემოქმედების კედლები და მთელი შენობა ისეთ სიმაღლემდე აიყვანა, რასაც იმდროინდელი ორი ლირიკული გენია ვიქტორ ჰიუგო და ჟორჟ სანდი თავიანთი ფრთებით აღწევენ...

როგორც არ უნდა ითქვას _ ტიტანივით ცას უტევდა თუ ციკლოპივით მიწასთან იყო მიჯაჭვული, ერთი რამ ცხადია: მანამდე არც ერთ ფრანგ მწერალს არ აუსახავს ისე სრულყოფილად თავისი თანამედროვეობა, როგორც ეს ბალზაკმა შეძლო. იგი თავისი დროის პირველი მემატიანე იყო, ჭეშმარიტი სახალხო მწერალი, რომლის შემოქმედებაში სარკესავით მოჩანს საფრანგეთის რევოლუციის შემდგომი პერიოდის ცხოვრების ყველა მხარე _ რესტავრაციის ეპოქისა და ივლისის მონარქიის როგორც სოციალ-ეკონომიური, ისევე საზოგადოებრივ-მორალური სახე. ბალზაკის რომანების გმირებია: არისტოკრატია, ბურჟუაზია, მუშათა კლასი და გლეხობა. მას ასახული აქვს საფრანგეთის ნახევარი საუკუნის ისტორია, ძველის მსხვრევა და ახლის დადგინება, ფეოდალიზმის ლიკვიდაცია, კაპიტალიზმის განმტკიცება, დიდი სახალხო მოძრაობანი, მწვავე კლასთა ბრძოლა, ფინანსიური ოლიგარქია, დანაშაულობებზე, ძარცვა-გლეჯასა და ზნეობრივ გახრწნილებაზე დაყრდნობილი მომხვეჭელობა. ბალზაკის რომანებში ერთმანეთს უპირისპირდებიან ფუფუნებაში ჩაფლული ბურჟუები თუ გაბურჟუებული არისტოკრატები და ყოველგვარ უფლებას მოკლებული, გაღატაკებული მშრომელი ხალხი, რომელსაც, ფრ. ენგელსის თქმით, ბალზაკი «დაუფარავი სიმპათიით ეპყრობა». ენგელსს ბალზაკის დიდ დამსახურებად ისიც მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი ძალების ანალიზის დროს იგი არ ჰკარგავდა სწორ ისტორიულ ორიენტაციას და ფეოდალიზმის დამხობის აუცილებლობასა და კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებასთან ერთად ხედავდა ექსპლოატატორთა კლასების დამამხობელ სოციალურ ძალებსაც, რაც 1848 წლის რევოლუციის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო პერსპექტიულად გამოიყურებოდა. ბალზაკი საზოგადოებრივი განვითარების ამგვარი კურსის აუცილებლობას მაშინაც აღიარებდა, როცა ამით საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების წინააღმდეგ უხდებოდა წასვლა. საქმე ის არის, რომ ფინანსიური ოლიგარქიისადმი ღრმა სიძულვილმა ერთ დროს მასში გააღვიძა პატრიარქალური ბურჟუაზიისადმი, ხოლო შემდეგ არისტოკრატიისადმი სიმპათიები, რაც მის ლეგიტიმისტურ პოლიტიკურ შეხედულებებში გამოვლინდა (ცეზარ

ბიროტო, მარკიზ დ’ესპარი, ლორენს დე სენ-სენი, მარკიზ დ’ეგრინიონი და სხვ.). მართალია, ბალზაკი შემდეგში თანდათან გათავისუფლდა ლეგიტიმისტური შეხედულებებისაგან, მაგრამ ის ცდუნება მაინც დარჩა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. ამ მხრივ, მან განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო: 20-იან წლებში მისთვის მთავარი მტერი არისტოკრატიაა. ამ დროს იგი ჯერ კიდევ განიცდის რომანტიკოსების გავლენას და წერს ისტორიული რომანების მთელ სერიას, რაც შემდეგ არც შეაქვს თავისი «ადამიანური კომედიის» ერთიან ციკლში.

30-იან წლებში, უფრო ზუსტად, მის პირველ ნახევარში, იგი წერს ანტიბურჟუაზიულ რომანებს და რეალიზმიც თანდათან მტკიცდება მის შემოქმედებაში.

40-იანი წლები, ეს ლეგიტიმისტური შეხედულებებისაგან გათავისუფლების პერიოდია. იგი თანდათან იშორებს ბონაპარტისტულ იდეებს. ადრე თუ ნაპოლეონის არმიის ოფიცერი მიაჩნდა იდეალურ გმირად, რესტავრაციის პერიოდიდან იგი უფრო უახლოვდება ბურჟუაზიულ კლასს. ამის შედეგია ბონაპარტისტების დაქვეითება და სრული დეგრადაცია, რაც ასე ოსტატურადაა ასახული მის რომანებსა და მოთხრობებში («პოლკოვნიკი შაბერი», «უცოლო მამაკაცის ცხოვრება» და სხვ.). როდესღაც სახელგანთქმული შაბერი ისეა სახეშეცვლილი, რომ მას უკვე ვერავინ ცნობს, საკუთარი მეუღლეც კი. ოფიცერი ბრიდო ანგარებით სავსე ბრიყვი ცინიკოსია, რომელსაც ხმლის ქნევაზე უფრო სპეკულაცია ეხერხება. ასევე შეეზარდნენ ბურჟუაზიულ მორალს გენერალი მონკორნე («გლეხები»), ჰექტორი იულო («კუზინა ბეტა») და სხვ. ირონიულადვეა დახატული კაპიტალისტურ ურთიერთობებში ჩაბმული არისტოკრატია, რომლისადმი ბალზაკი ერთ დროს ღრმა სიმპათიებს გრძნობდა. ენგელსი წერს:

_ მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მახვილი, მისი ირონია უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როცა სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს ადამიანები, რომელთაც ყველაზე მეტი სიმპათიით უყურებს: არისტოკრატი კაცები და ქალები.

ეს ადამიანები ახალ პირობებში სამუზეუმო ექსპონატებს მოგვაგონებენ, ხოლო შეკრებები _ გარდასულ დროთა თეატრალურ სანახაობას. მათი ღირსება ადვილად ხურდავდება ფულზე. ისინი ისეთივე გაშმაგებით მონაწილეობენ ძარცვა-გლეჯაში, როგორც გაბურჟუებული მდაბიოები. ეს ტენდენცია სულ უფრო და უფრო ძლიერდება ბალზაკის შემოქმედებაში. ლეგიტიმისტური ტენდენციები საბოლოოდ ქრება მის

პოლიტიკურ შეხედულებებში, ხოლო რომანების მთავარ გმირად იქცევა «მისი უდიდებულესობა ხალხი».

40-იანი წლებიდან ბალზაკის რომანებში სულ უფრო ხშირად ვხვდებით მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს. მართალია, ჯერ კიდევ «შუანებში» ჰყავდა მას გლეხების წარმომადგენლები გამოყვანილი, მაგრამ როგორც მაშინ, ისე შემდეგაც იგი შორსაა საზოგადოების ამ ფენის იდეალიზაციისაგან. ბალზაკი ამჩნევს და კრიტიკულად ასახავს გლეხების ერთი ნაწილის მისწრაფებას «გაბურჟუებისაკენ», მის ხარბ ბუნებასა და ზნეობრივ სიტლანქეს. ბევრი მათგანი თავის კლასობრივ მტრად მხოლოდ მემამულეებს სახავს და არა სავახშო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. ამის შესახებ მარქსი წერს:

_ თავის უკანასკნელ რომანში «გლეხები» ბალზაკი, საერთოდ შესანიშნავი რეალურ ურთიერთობათა ღრმა გაგებით, ნათლად გამოსახავს, თუ როგორ მუქთად უსრულებს ღარიბი გლეხი თავის მევახშეს ყოველგვარ სამუშაოს, რათა შეინარჩუნოს მისი კეთილგანწყობა და ამასთანავე ფიქრობს, რომ თვითონ არაფერს აძლევს, რადგან მისთვის საკუთარი შრომა არავითარ ხარჯს არ მოითხოვს...

გლეხი არამცთუ ეგუება მევახშეს, არამედ პატივისცემითაც ეპყრობა მას. ამიტომაა, რომ მასში ბალზაკი პოტენციურ ბურჟუებს ხედავს.

უფრო გვიან იწყება შედარებით სწორი ანალიზი. ფურშონი («გლეხები») მართებულად ამბობს, რომ მხოლოდ ერთეულები მდიდრდებიან და ისიც ასეულებისა და ათასეულების ხარჯზე. ფურშონისა და მემამულე მონკორნეს დაპირისპირებაში სჩანს გლეხობის კლასობრივი შეგნების ზრდა. ამიტომაა, რომ ფურშონის სიტყვებში ისმის მუქარა, მას არ ეშინია დაპატიმრების. «ციხეში უკეთ ვიცხოვრებ, ვიდრე ახლა, _ ამბობს იგი, _ ჩვენი რისხვა მაღლდება მუხაზე მაღლა; მუხის ხისგან კი სახრჩობელები კეთდებაო».

ამ რომანზე ბალზაკი უფრო დიდხანს მუშაობდა, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწარმოებზე, ეშინოდა კიდეც, ვაი, თუ მისი დამთავრება ვერ მოვასწროო, მაგრამ ეს არ გამართლდა. მან დაასრულა თავისი ეს შესანიშნავი ნაწარმოებთაგანიც, რაც დიდი მწერლის გედის სიმღერად იქცა.

ასეთია ბალზაკის შემოქმედების საერთო ტენდენცია.

* * *

რა მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს ბალზაკის ადრინდელ ნაწარმოებთა მრავალ ტომს, განსაკუთრებით «ქორწინების ფიზიოლოგიასა» და «შუანებს», რომელსაც პირველად მოაწერა თავისი ნამდვილი სახელი და გვარი, პროზის ნამდვილი დიდოსტატი მაინც «შაგრენის ტყავში» ჩნდება. ეს რომანი მან 1831 წელს დაწერა და, თუ ორმოციოდე ტომის გამოქვეყნების შემდეგ შეიძლება მწერალზე ასეთი გამოთქმა იხმაროს კაცმა, ერთბაშად დაიპყრო ლიტერატურული საფრანგეთი. საყურადღებოა, რომ ბალზაკის ამ ჭეშმარიტ შედევრს, რაც თავისებურად ეხმაურება ფაუსტურ თემას, ერთი პირველთაგანი დიდი გოეთე გამოეხმაურა. 1831 წლის 11 ოქტომბერს რიმერთან საუბარში მან განაცხადა:

_ მე წავიკითხე «შაგრენის ტყავის» გაგრძელება. ეს არის უახლესი სახის ბრწყინვალე ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს დიდი ძალა და გემოვნება, რაც თითქოს შეუძლებელსა და მტანჯველურს შორის მოქმედებს. ავტორი იყენებს სასწაულის დიად ხელოვნებას და აქცევს მას სრულიად საოცარი განწყობილებებისა და თავგადასავლების გამოხატვის საშუალებად. ამ წიგნზე ბევრი რამ კარგის თქმა შეიძლება...

იმავე წლის 17 ნოემბერს გოეთე «შაგრენის ტყავის» შესახებ წერდა, ეს არის «ბრწყინვალე გონების შრომის ნაყოფიო».

არც ისეა საქმე, შტეფან ცვაიგი რომ წერს, ბალზაკს გოეთეს ამ გულთბილ სიტყვებს, ალბათ, რომელიმე ჰერცოგის ასულის წერილი ან მდიდარი გამომცემლის თამასუქი ერჩივნაო. ჩვენ არ ვიცით, გოეთეს ამ სიტყვებმა საერთოდ მიაღწია თუ არა ბალზაკის ყურამდე, და თუ ეს ასე იყო, იგი დიდად ნასიამოვნები დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ მოგეხსენებათ, «შაგრენის ტყავი» ფაუსტურ თემაზეა დაწერილი. ამ ნაწარმოების მთავარი იდეა ძველთაძველი, მაგრამ მაინც ყოველთვის ახალი დაპირისპირებაა სურვილსა და შესაძლებლობას შორის. ბალზაკი წერს:

_ ადამიანს ასუსტებს ორი ინსტინქტური მოქმედება, რითაც იშრიტება და შრება ჩვენი ცხოვრების წყარო. ორი ზმნა გამოხატავს სიკვდილის ამ ორი მიზეზის ყველა ფორმას: «მსურს» და «შემიძლია». სურვილი გვწვავს, შესაძლებლობა _ გვსპობს.

ეს ორი «შინაგანი ინსტინქტი» აწვალებს «შაგრენის ტყავის» გმირს რაფაელ დე ვალენტენს, რომლის ცხოვრებასა (ანტიკვართან შეხვედრამდე) და სულიერ წუხილში თვითონ ბალზაკის სიჭაბუკის პერიოდის განცდებს ვხედავთ. აქ ერთბაშად ამოხეთქა ახალგაზრდა მწერლის გულში წლების მანძილზე დაგროვილმა ბოღმამ. ამ ნაწარმოებიდანვე იქცევა ბალზაკი თავისი ეპოქის მემატიანედ. მისი ერთ-ერთი გმირი ამბობს:

_ მშვენიერია იმ ადამიანის ცხოვრება, რომელსაც შეუძლია მთელი სინამდვილე ასახოს თავის აზროვნებაში. ეს იწვევს ბედნიერებას და განაცდევინებს ადამიანებს მიწიერი ჭუჭყისაგან განწმენდილ იდეალურ სიამოვნებას...

ისიც შეიძლება ითქვას, რომ იმ «სირცხვილის წლების» ჭაობიდან ამოსულმა ბალზაკმა ამგვარი «იდეალური სიამოვნება» პირველად თავისი «შაგრენის ტყავით» განიცადა. ადრე რაფაელიც ბალზაკივით «დროის სიამოვნებათა გარეშე ცხოვრობდა». იგი გატაცებული იყო მხოლოდ ცოდნის ძიებით, ამაღლებული იდეებით, წერდა ტრაქტატს ნებისყოფის თეორიის შესახებ, სადაც ამტკიცებდა, რომ ყველა ადამიანი მოვალეა დაიმორჩილოს თავისი ნება, მოახდინოს საკუთარი შინაგანი ძალების მობილიზაცია და მთელი შესაძლებლობა მიმართოს კაცობრიობის საკეთილდღეოდ, ადამიანთა ცხოვრების გარდასაქმნელად.

სულ სხვაა რაფაელი დემონური ანტიკვარისა და გრაფის მეუღლის თეოდორას ზეგავლენის შემდეგ. იგი უფრო მწვავედ განიცდის ამქვეყიურ სიამოვნებათა მიმზიდველობას, ხედავს «ადამიანური სისულელეების ფართო ბაზარს», ხვდება ჟინისა და ოცნების უამრავ ცდუნებას, სიმდიდრეს, ფუფუნებას და «გრძნობს წარსული დროების უხერხულობას». თეოდორა უღვიძებს მას «ბურჟუაზიულ სამოთხეში» შესვლის სურვილს, ვალენტენიც ადვილად ებმევა «ეპოქის ფერხულში». მას იზიდავს მდიდრული ეტლები, სასახლეები, მეჯლისები, ფუქსავატური დროსტარება. ამგვარი ეპიკურეულ-ჰედონისტური სურვილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისადმი მიდრეკილება მოითხოვს სათანადო შესაძლებლობასაც, რაც განსაზღვრულია. სწორედ აქ იჩენს თავს ამ ორი იპოსტასის _ სურვილისა და შესაძლებლობის ტრაგიკული კონფლიქტი. ყოველგვარი სურვილის დაკმაყოფილება მხოლოდ ოცნების სფეროში შეიძლება და არა სინამდვილეში. რადგანაც ამ დაბრკოლების გადალახვა ბუნებრივი გზით არ ხერხდება, ხდება სასწაული და მოქმედებაში ებმევა ზებუნებრივი დემონური ძალა _ ანტიკვარი. სწორედ მას შეუძლია ცხოვრების სინამდვილე, მწუხარება, უნუგეშო სიყვარული, უსაზღვრო პატივმოყვარეობა და შეუსრულებლობის სევდა ოცნების სინამდვილედ აქციოს. იგი ყოველგვარ იდეას თარგმნის ოცნებად და «შინაგანი თვალით» კითხულობს წარმოსახული ცხოვრების რომანს. რაც უნდა სასოწარმკვეთი იყოს სინამდვილე, წარმოსახვას შეუძლია მისი «ოცნების წარმტაც ფერებზე თარგმნა». მხოლოდ ამ გზით ძალუძს ადამიანს იყოს ყველაფრის მფლობელი, რასაც წარმოიდგენს და ისურვებს. ანტიკვარი სწორედ ამით სძლევს «გაცრუებული იმედების სიდუხჭირეს». სინამდვილეში კი მას არასოდეს არაფერი

არ სურს, რადგან იცის, რომ ადამიანის ყოველგვარი უბედურების მიზეზი მისი გადაჭარბებული სურვილებია. რაფაელის ტრაგედიაც იმაშია, რომ მას თავისი ოცნებების განამდვილება უნდა. ამიტომაც იღებს ანტიკვარისაგან ჯადოსნური შაგრენის ტყავს, რასაც ადამიანის ყოველგვარი სურვილის დაკმაყოფილება შეუძლია, ოღონდ მისივე სიცოცხლის ხანგრძლივობის ხარჯზე. ყოველი სურვილის შესრულება შაგრენის ტყავის თანდათან შემცირებას, ბოლოს კი გაქრობას ანუ მისი მფლობელის სიკვდილს ნიშნავს. შაგრენის ტყავით რაფაელი, მსგავსად ფაუსტისა, თავის «მეორე არსებობას» იძენს, მაგრამ, როგორც ბურჟუაზიული ეპოქის შვილი, შაგრენის თილისმას თავისი ადრინდელი მიდრეკილების, უზენაესი ცოდნის მისაღებად კი არ იყენებს, არამედ «უძღები ცხოვრების ჟინის» დასაკმაყოფილებლად. მას უნდა «საუკუნის ღირსი ღრეობა, მხიარულება, შუშხუნა ღვინოები, გამოუფხიზლებელი სიმთვრალე, აღგზნებული ქალებით შემკული ღამე, ავხორცობის ბოდვა და ღრიანცელი». ამიტომაა, რომ მისი «მეორე არსებობა» სწორედ მდიდარი ბანკირის ტაიფერის სასახლეში გამართული ღრეობით იწყება. აქ თავს იყრის ბოჰემური პარიზის «უმაღლესი საზოგადოება», რომლისთვისაც გართობა ისეთივე ხელოვნებაა, როგორც პოეზია. ისინი ყველაფერს აბუჩად იგდებენ: თავისუფლებასაც და დესპოტიზმსაც, სარწმუნოებასაც და ურწმუნოებასაც. მათთვის არ არსებობს ზნეობა, სინდისი, სიკეთე, ადამიანური სიყვარული. ტაიფერის სასახლეში თავს იყრიან ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების ნაძირალები, სიმდიდრით გალაღებული უსაქმურები, «ცივილიზაციის ფერმკრთალი ცხოვრებით» მოღლილი ახალგაზრდები, რომელნიც ოცნებობენ დედამიწის აფეთქებაზე, ადამიანების «ჭიანჭველებისებური ბუდეების» დანგრევაზე, თვითმკვლელობაზე. ბურჟუაზიული სამყაროს ეს ეკლეზიასტები ჩააგონებენ ადამიანებს, რომ ყველაფერი წარმავალია და შეურჩენელი. ყოველ მათგანს უარყოფის თავისებური მოდუსი აქვს: ერთნი გონებას ქირდავენ, მეორენი _ უგონობას, ყველანი ერთად კი «პოლიტიკით გაჟღენთილ საუკუნეს». მათ საზოგადოებაში ბატონობს უკმარობის ჟინი, ვერშემლების სევდა, მაშფოთებელი სიცარიელე, რასაც ბალზაკი «აბსტრაქციების სიცარიელეს» უწოდებს.

რაფაელ დე ვალენტენი უერთდება ამ საზოგადოებას. შაგრენის თილისმამ მასში გააღვიძა სატანა, რომელსაც სურს მთელ კაცობრიობაზე იძიოს შური. იგი გაჭირვებამ და სიხარბემ მიიყვანა «ეშმაკის საკურთხეველთან». ეს კანონზომიერი იყო, რადგან რაფაელი ადრეც ოცნებობდა განუზომელ სიმდიდრეზე, უზრუნველ ცხოვრებაზე, ლამაზ ქალებზე, ყველაფერზე, რაც მას არ ჰქონდა, მაგრამ უნდოდა ჰქონოდა.

თეოდორა რაფაელის ამგვარი მიუწვდომელი სურვილების სიმბოლოს წარმოადგენს. იგი ანდამატივით იზიდავს ყველას თავისკენ, მაგრამ არავის არ აკმაყოფილებს. ვერც ვერავინ ფლობს მას, თუმცა მირაჟი კი არ არის, რეალური არსებაა, რომელსაც ესაუბრებიან, სიყვარულსა და ნდობას უმხელენ. მაგრამ ამაოდ. იგი თითქოს ყველასია და... არავისი. ისე კი თეოდორასაც უნდა სიყვარულის ყველა ძაფი მის გარშემო იხლართებოდეს. სადმე ერთიც რომ გაწყდეს _ შეწუხდება და შეეცდება დარღვეული კავშირი აღადგინოს.

ბალზაკი ულმობელია თეოდორას მიმართ. წერს, რომ დადგება დრო და ცხოვრება შურს იძიებს მასზე: სიმბოლო განუხორციელებელი ბედნიერებისა თვით მოინდომებს ბედნიერებას, მაგრამ თავის მე-ში ვერაფერს იპოვის, გარდა სიცარიელისა. მაშინ იგი საკუთარ ბედნიერებას სხვაში დაუწყებს ძებნას _ დეზებიან ოფიცრებში ან ცისფერთვალება პოეტებში; იქნებ ღამე ვინმე ბანკირთანაც გაათენოს, რომ მის გულ-მკერდს ცხოვრების მიერ წართმეული ელვარება ნაჩუქარმა თვალ-მარგალიტებმა შემატონ. შეიძლება ოდესმე იმედის ნაპერწკალმაც გაჰკრას, ისე «როგორც ცეცხლის უკანასკნელი ისარი გადაურბენს ხოლმე დამწვარი ქაღალდის ფურცელს», მაგრამ ის უცბად ჩაქრება და უკუნეთი ცხოვრებისა უფრო აუტანელი გახდება მისთვის.

სულ სხვაა პოლინა: ილუზიებისა და ოცნებათა თეთრი დედოფალი, იდეალურის წარმოუსახველი მირაჟი. იგი ვერც გამოისახება, რადგან შეუქმნელია და უხილავი. ვისაც როგორ შეუძლია წარმოიდგინოს თავისი ოცნების თეთრი დედოფალი, ისიც ისეთი იქნება...

სურვილისა და შესაძლებლობის, რეალურისა და მირაჟის ამ დაუძლეველი წინააღმდეგობის გადალახვა რაფაელს შაგრენის ტყავის თილისმით სურს. მართალია, თავდაპირველად იგი ამბობს, ციებ-ცხელებასა და სახრჩობელებს მოვსპობო, მაგრამ შემდეგში არავითარ პოზიტიურ მიდრეკილებას არ იჩენს. ყოვლისშემძლეობის ცდუნებამ მასში მხოლოდ ბურჟუაზიული ინსტინქტები გააღვიძა. იგი ზვიადი მილიონერია _ გარშემორტყმული მეძავი ქალებითა და მაძღარი მლიქვნელებით. ბალზაკი გულმოდგინედ ხატავს ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერ მხარეებს, ყოველგვარი ადამიანურის ფეხქვეშ გათელვას, ნამდვილად ფაუსტურის თავის წინააღმდეგობად ქცევას, დაკნინებასა და გადაგვარებას. აქ, ამ საზოგადოებაში ლაყბობენ «ჭეშმარიტების ლიკვიდაციის» შესახებ, ამტკიცებენ, რომ სამართალი უფრო სახიფათოა, ვიდრე ქურდობა; საზოგადოებრივი აზრი მეძავ ქალზე უფრო «გარყვნილი არსებაა» და სხვა ამგვარი. ისინი

აბუჩად იგდებენ საყოველთაო კეთილდღეობას და ხალხის ინტერესებისათვის ზრუნვის იდეას. მათ არ სწამთ მომავალი:

_ ფიქრობთ თუ არა მომავალზე? _ ეკითხება რომანის ერთი გმირი მეორეს.

_ მომავალზე? _ უპასუხებს იგი, _ რას უწოდებთ მომავალს? რად ვიფიქრებ ისეთ რამეზე, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს?! მე არასოდეს არ ვიცქირები არც ჩემს წინ და არც ჩემს უკან. განა საკმარისი არ არის, რომ დღევანდელ დღეზე ვფიქრობ?!

მათი დღევანდელი დღე კი ჭაობია, «ცხოვრების ტკბილი საზიზღროება», მოჩვენებითი ყოვლისშემძლეობის უსასოო ამაოება. რაფაელიც განიცდის ამ «საბედისწერო ყოვლისშემძლეობის» ტრაგედიას. თილისმას ყოველგვარი შესაძლებლობა მოაქვს მისთვის, მაგრამ არა სიხარული; პირიქით, უკიდურესი მელანქოლია იპყრობს რაფაელის სულს. მას უცნაური გამოხედვა აქვს _ გამოხედვა უძლური ადამიანისა, ან მიჯაჭვული პრომეთესი, ან კიდევ ტახტიდან ჩამოგდებული ნაპოლეონისა _ დამპყრობელისა და განწირულის გამოხედვა, ისეთივე, როგორიც ყოვლისშემძლე ფაუსტს ჰქონდა, როცა მისი ცხოვრება საბედისწერო 24 წელს მიუახლოვდა. შაგრენის ტყავიც ხომ ამ ეშმაკის მიერ ნაბოძები დროის სიმბოლოა. რაფაელს სტანჯავს შიში თილისმა ტყავის წინაშე. ცდილობს არაფერი ისურვოს, რადგან ყოველი სურვილის შესრულება კუმშავს შაგრენის ტყავს, ე. ი. ამოკლებს მის სიცოცხლეს, ერთადერთი შემთხვევა, როცა ეს არ ხდება, პოლინას სიყვარულის სურვილია. რაფაელმა ისურვა _ მინდა პოლინას ვუყვარდეო, მაგრამ შაგრენი არ შეიკუმშა, რადგან ეს სურვილი უკვე განხორციელებული იყო: პოლინას იგი ისედაც უყვარდა. ამით გახარებულ რაფაელს ჰგონია, რომ ეშმაკთან ხელშეკრულება დარღვეულია, იგი თავისუფალია, ამიტომაც იქორწინებს პოლინასთან, შაგრენის ტყავს კი ჭაში აგდებს; თუმცა ადამიანი თავის ბედისწერას სად გაექცევა! მეორე დღეს მებაღემ უკანვე მოუტანა მოახლოებული სიკვდილის ეს ტრაგიკული ნიშანი. რაფაელი მიმართავს მეცნიერებს, ცდილობს შეკუმშული ტყავი გააფართოვოს, მაგრამ ამაოდ. იგი რწმუნდება, რომ «არსებობს უფსკრული, რომელსაც თვით სიყვარულიც ვერ გადალახავს».

სულ სხვაგვარად ფიქრობს პოლინა. მისთვის დღეთა სიმრავლეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც უაზრო ხანგრძლივობას დროში. «თუ ერთ ღამეში, ერთ საათში, სიმშვიდით და სიყვარულით აღსავსე ცხოვრებას ამოვწურავთ, _ ღიმილით ამბობს იგი, _ მაშინ მოვკვდეთ ახალგაზრდები და წავიდეთ ცაში ყვავილებით სავსე ხელებით». უკვე აღარც რაფაელს შეუძლია «საკუთარი არსებობის ტვირთის ზიდვა»; იგი განძარცვულია ყოველგვარი სურვილისაგან, რადგან იცის, რომ მისი შესრულება სიცოცხლის ფასი ღირს,

რომ ისიც ადამიანის წარმავალი ბედის თანაზიარია და... ზედ აკვდება თავის უკანასკნელ სურვილს.

ეს ბუნებრივი დასასრულია დიდი რეალისტი მწერლის ნაწარმოებისათვის, რომელიც საზოგადოების პოზიტიური იდეებისაგან გამოთიშული ინდივიდუალისტის სულიერ ტრაგედიას ხატავს.

* * *

ბალზაკამდე რომანის ცენტრში, როგორც წესი, სიყვარულის თემა იყო დაყენებული. ბალზაკმა უფრო ფართო სოციალურ-საზოგადოებრივი პრობლემები წამოსწია წინა პლანზე, განსაკუთრებული ყურადღება კი ფინანსიური ოლიგარქიის პერიოდისათვის დამახასიათებელ საკითხებს დაუთმო. ფული და მომხვეჭელობა იქცა მისი საუკეთესო რომანების მთავარ თემად. ბალზაკის თითქმის ყველა ძირითადი რომანის გმირები იტანჯებიან ფულის უქონლობით ან უფრო მეტის მოხვეჭის სურვილით. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე რომანები _ «ეჟენი გრანდე» და «მამა გორიო». როგორც კრიტიკა მიუთითებს, პირველი ეხმაურება მოლიერის «ძუნწს», ხოლო მეორე _ შექსპირის «მეფე ლირს». ბევრი სხვა რომანისაგან განსხვავებით, ბალზაკს «ეჟენი გრანდეს» მოქმედება მეტროპოლიიდან პროვინციაში აქვს გადატანილი. იგი ფიქრობს, რომ რომანისტისათვის საინტერესო ტიპები მოიძებნებიან არა მარტო პარიზში, არამედ პერიფერიებშიც. ფიზიკურად ისინი უფრო ძლიერნი არიან, გარეგნულად მშვიდნი და უდარდელნი, თუმცა მათი შინაგანი ცხოვრება აფორიქებულია ძლიერი ვნებებით. პროვინციელ ქალიშვილს ეჟენი გრანდესაც აქვს თავისი რთული შინაგანი სამყარო. მარტოობის სევდა, გაუზიარებელი სიყვარული, ბუნდოვანი მოლოდინი, სულიერი სიფაქიზე _ ყოველივე ეს სრულიად გაუგებარია მისი მამის ფელიქს გრანდესათვის, რომლისთვისაც ამქვეყანად არ არსებობს არაფერი, რაც ფულადი ღირებულებით არ გამოიხატებოდეს. ფულია მისთვის ყველაფერი, შვილიც, ოჯახიც, საზოგადოებაც და, ვინ იცის, იქნებ უზენაესი ძალაც. ფელიქს გრანდე თავისი დროის შვილია, კაპიტალისტური წყობილების აღმავლობისა და განმტკიცების პერიოდის წარმომადგენელი.

ერთ დროს პატიოსანი მშრომელი, ყველასაგან პატივცემული ფელიქს გრანდე გაიტაცა გამდიდრების ჟინმა, ხელი მიჰყო მიწებით სპეკულაციას და რამდენიმე ხანში, მართლაც, დიდძალი კაპიტალი დააგროვა. თვითონ კი წარმოუდგენლად ძუნწი გახდა, ასკეტურ ცხოვრებას ეწევა, ქალიშვილსაც აშიმშილებს, ცოლი კი სიკვდილის პირამდე

მიჰყავს _ ოღონდ კიდევ რამე იგდოს ხელთ, დაგროვილ კაპიტალს ახალი მიუმატოს. ამასთანავე, კაპიტალის დაგროვებაა და არა მოხმარება მისი მიზანი. გობსეკივით ისიც დღენიადაგ თვლის სარდაფის სეიფებში ჩაკეტილ ოქროებს. თვალებშიც სიხარულის ნაპერწკალი მაშინ გაჰკრავს, როცა ოქროს ლუიდორს ხედავს. უნდა ყველაფერი მისი იყოს. ეს მასში მტაცებელი ცხოველის ინსტინქტებს აღვივებს. ბოლოს კი, უკვე სიკვდილის პირას მისული, წაეტანება ოქროს ჯვარს, რომელსაც სულის მოძღვარი მიუტანს ტუჩებთან საზიარებლად. თვით ჯვარცმის ნიშანიც, უწინარეს ყოვლისა, ოქროა მისთვის, სხვა არაფერი.

გამდიდრების მირაჟს მისდევს ეჟენის ტრფიალი შარლიც საფრანგეთიდან ინდოეთში. მომხვეჭელობის ხარბი წყურვილი აიძულებს მას დაივიწყოს ეჟენი გრანდე, რომელმაც თავის დროზე ხელი გაუმართა, რისთვისაც ძუნწი მამის რისხვა დაიმსახურა.

ასე არღვევს ადამიანთა შორის ნორმალურ ურთიერთობებს ფულის ვითომდა «ყოვლისშემძლეობისადმი» დამორჩილება.

რამდენიმე სხვა ასპექტში, მაგრამ იგივე თემაა განვითარებული ბალზაკის «მამა გორიოში». თუ «ეჟენი გრანდე» პროვინციული ქალაქის ბურჟუაზიის საოჯახო დრამაა, აქ თხრობის ფარგლები უფრო გაფართოებულია, მოქმედებაც დედაქალაქშია გადატანილი, რაც ავტორს საშუალებას აძლევს ბურჟუაზიული საზოგადოების უფრო ვრცელი პანორამა გაშალოს. მართალია, ძირითადად აქაც გორიოს ოჯახის რღვევაა გადმოცემული, მაგრამ პარალელურად თხრობა გადატანილია ქ-ნ ვოკეს პანსიონში, სადაც საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელია გამოყვანილი. გრანდე და გორიო სრულიად განსხვავებული სახეებია. მამა გორიო უფრო ადამიანურია, ოჯახის მოყვარული. მან «ხელსაყრელად» მიათხოვა თავისი ქალიშვილები _ ერთი გრაფ რესტოს, მეორე _ ბანკირ ნუსინჟენს; თითქმის მთელი ქონებაც მათ გაუყო, მაგრამ სიმდიდრის მოხვეჭით გატაცებულმა ქალიშვილებმა, ისევე როგორც შექსპირის რეგინამ და გონერელიმ, დაჰკარგეს მამისადმი სიყვარული, პატივისცემა და ამასთან ერთად საკუთარი ადამიანური სახეც. ისინი აბუჩად იგდებენ მამას, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას, მაშინაც კი, როცა გორიო სასიკვდილო სარეცელზეა მიჯაჭვული. შვილები მომაკვდავ მამასაც არ ნახულობენ, არც მის დასაფლავებას ესწრებიან, რადგან სწორედ იმ დღეს არიან მიწვეულნი რომელიღაც მეჯლისზე. მათი ზნეობრივი გადაგვარება იქამდე მიდის, რომ ორიოდე კურცხალი ცრემლის გადმოგდებასაც ერიდებიან, ვაითუ სახის კანი გაგვიფუჭდესო.

ასეთია ბურჟუაზიული ეპოქის გორიოსებური ტრაგედია. ბალზაკი აფართოებს ამ თემას და მამა გორიოს ოჯახის რღვევაში მთელი ბურჟუაზიული საზოგადოების კატასტროფული დაცემის ნიშნებს ხედავს. იგი მამა გორიოს პირით ამბობს, თუ ოჯახი დაირღვა, შვილებმა მამების სიყვარული და საერთოდ, მამობის კეთილისმყოფელი ძალა დაკარგეს, საზოგადოება დაინგრევა და ყველაფერი დაიღუპებაო. სხვები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ჩაბმული არიან განცხრომით ცხოვრების ფერხულში, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მაღლა აიწიოს ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული იერარქიის კიბეზე. ყოველივე ეს, ბალზაკის აზრით, საფრანგეთის რევოლუციის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ძვრების შედეგია. იქ, იმ არეულობაში, იწყება როგორც ფელიქს გრანდეს, ისე მამა გორიოს გამდიდრების ისტორია. გრანდეს მსგავსად გორიოც პატიოსანი მშრომელი იყო, მერე ისიც აჰყვა ქვეყნის ბრუნვას და სპეკულაციის გზით მილიონები დააგროვა. შვილებსაც უკვე ის მილიონები უყვართ და არა მათი მომხვეჭი. ამიტომაც ადარებს ბალზაკი თავის გორიოს ქრისტეს, რომელიც ჯვარს ეცვა მოყვასისადმი სიყვარულისათვის. თვითონ გორიო მხოლოდ სიკვდილის წინ მიხვდა, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში სიყვარულის საფუძველიც ანგარებაა. იგი ამბობს:

_ თუ ღარიბი უყვართ, ეს არის ნამდვილი სიყვარული თავისთავად, მდიდარში კი მხოლოდ მის ქონებას სცემენ პატივს.

რომანში მამა გორიოსა და მისი ოჯახის დრამის პარალელურად ვითარდება რასტინიაკ-ვოტრენის ხაზი. ბალზაკი აქ ქმნის პროვინციიდან დედაქალაქში ბედის საძიებლად მოსული ჯერაც გაურყვნელი ახალგაზრდის _ რასტინიაკის რაფაელ დე ვალენტენისებურ სახეს. რასტინიაკი, ბრანდესის აზრით, საუკეთესოა ამგვარ სახეთა მრავალრიცხოვან გალერეაში. იგი ისეა შერწყმული ბედისმაძიებელთა პანორამას, რომ უკვე არც ისე ადვილი გასარკვევია, «ადამიანური კომედიის» მიხედვით სად იწყება და თავდება მისი თავგადასავალი. მე მგონი, იგი ჯერ თვითონ ახალგაზრდა ბალზაკში იწყება, როცა ეს მეოცნებე მწერალი ცდილობდა საკუთარი შრომით მოეპოვებინა კუთვნილი ადგილი საზოგადოებაში. შემდეგ იგი გაგრძელდა რაფაელ დე ვალენტენში. ჯერ მასაც პატიოსანი შრომით უნდა გზის გაკაფვა, გატაცებულია ათასგვარი იმედებით, შემოქმედებითი გეგმებით, საზოგადოებაზე კეთილისმყოფელი ზეგავლენის სურვილით, მაგრამ ისიც იმავე კაპიტალისტური ურთიერთობისა და ფინანსიური ოლიგარქიის ატმოსფეროში მოქმედებს, როგორც თვითონ ბალზაკი და მისი რაფაელი. ამიტომ მასაც გაუჩნდება ანტიკვარის მსგავსი საკუთარი სულიერი დემონი. ეს არის კატორღელი

ვოტრენი, რომელიც დამღუპველ ზეგავლენას ახდენს რასტინიაკის მსოფლმხედველობასა და ცხოვრების მანერაზე. ვოტრენს უკვე გავლილი აქვს ის გზა, რაზედაც რასტინიაკი დგას. ოდესღაც ისიც იყო გატაცებული ამაღლებული იდეებით, მაგრამ ცხოვრებამ დაარწმუნა, რომ «ყოველივე ეს ამაოა». ბურჟუაზიულ საზოგადოებას თავისი კანონები აქვს. აქ მატერიალურ კეთილდღეობას რომ მიაღწიო, უნდა ჩაება ძარცვა-გლეჯაში და, თუ ძლიერი მკლავები და მაგარი ყბები გაქვს, შეიძლება კიდევაც გაიკაფო გზა; ოღონდ უნდა იცოდე, როგორ იცრუო, მოატყუო, დაუთმო, ელაქუცო და იფორთხო იმათ წინ, ვინც თავის დროზე ასევე ცრუობდა, ატყუებდა, უთმობდა, ელაქუცებოდა და დაფორთხავდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე.

ვოტრენიც ასე ამზადებს საბრძოლველად თავის ახალბედა მეგობარს რასტინიაკს და არა მარტო ვოტრენი, არამედ «ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული ელიტას» სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელიც ქ-ნი ბოსეანი ასე მოძღვრავს მას:

_ რაც მეტად მიეცემით ცივ ანგარიშიანობას, მით უფრო შორს წახვალთ. ქალებს და კაცებს ისე უყურებთ, როგორც ფოსტის ჯახრაკა ცხენებს, რომელთაც თქვენ უახლოეს სადგურამდე იყენებთ... იმასაც ნახავთ, რომ ჩვენი საზოგადოება ჩერჩეტებისა და არამზადებისაგან შედგება... ან ზარბაზნის ტყვიასავით უნდა გაიკვლიოთ გზა ამ ბრბოში, ან ჭირის ბაცილასავით შეძვრეთ მასში. პატიოსნებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს...

ვოტრენიც ამ გზაზე უბიძგებს რასტინიაკს. მას ეზიზღება ამგვარი საზოგადოება, მაგრამ არ უარყოფს. მისი აზრით, საზოგადოება ყოველთვის ასეთი იყო და მორალისტებს არაფერი შეუცვლიათ. ეს შეუძლებელიცაა. კაპიტალისტური წყობილების მანკიერება და სიმახინჯე კანონზომიერია. ადამიანი უნდა შეეგუოს მას. მართალია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, მაგრამ უნდა როგორმე კომფორტაბელურად მოეწყო მასში. ვოტრენი ამიტომაც ოცნებობს ამერიკაზე. მისი აზრით, იქ ძალაუფლების მოპოვებისა და გამდიდრების უსაზღვრო საშუალებებია, რადგან «ზანგებს შეგიძლია მოექცე ისე, როგორც მოგესურვება».

რასტინიაკი ლაკმუსის ქაღალდივით იჟღინთება ამგვარი შეგონებებით და თვითონაც იცვლის ფერს. მართალია, გორიოს საფლავთან იგი წარმოთქვამს პათეტიკურ სიტყვებს _ სიმართლისათვის ერთად ვიბრძოლებთო, მაგრამ მისი ბიოგრაფიის მომდევნო მონაკვეთი სრულიად არ ადასტურებს ამ სიტყვების გულწრფელობას. მისი თავგადასავალი ბალზაკის ბევრ სხვა რომანში გრძელდება («საბანკო სახლი ნუსინჟენი», «დაკარგული ილუზიები», «კურტიზანი ქალების ბრწყინვალება და სიღატაკე» და სხვ.),

სადაც ცინიკოსი ვოტრენის ერთგულ მოწაფედ გვევლინება. «დაკარგულ ილუზიებში» უკვე ახალი რასტინიაკიც ჩნდება _ ლუსიენი, რომელიც თავის წინამორბედების მსგავსად პროვინციიდან მოდის დედაქალაქში და, რაკი მის ჰედონისტურ მიდრეკილებებს პატიოსანი შრომა ვერ აკმაყოფილებს, ისიც ჩაებმევა ბურჟუაზიული ცხოვრების ორომტრიალში.

ვალებითა და ჯარიმებით სულშეხუთულმა ბალზაკმა ეს ბრწყინვალე ნაწარმოები სულ რაღაც ოც დღეში დაამთავრა; ცვაიგი წერს:

_ ფულადი ჯარიმის ჯიბრზე ელვის სისწრაფით დაწერილი ეს თხზულება იქცევა ბალზაკის ცენტრალურ ნაწარმოებად. გეგონებათ, თვითონ ბალზაკმა მათრახის უწყალო ცემით გამოდევნაო ყოვლივე, რაც კი მის შინაგან არსებაში იმალებოდა...

«დაკარგული ილუზიები», მართლაც, მთელი საუკუნის სურათია, ხოლო ლუსიენში თვითონ ბალზაკის შინაგანი საფრთხეა ხორცშესხმული. ლუსიენის მთავარი სამოქმედო ასპარეზია პრესა, ჟურნალისტების ის წრე, რომელსაც ძალიან კარგად იცნობდა თვითონ ბალზაკი. იგი არ იყო განებივრებული პრესის ყურადღებით, პირიქით, დასცინოდნენ, კარიკატურებს ათავსებდნენ, ავყია იგავებს უგონებდნენ და საერთოდ არ ცნობდნენ, როგორც ეპოქის დიდ მწერალს. ბალზაკმა მათ პროჟექტორივით მიანათა თავისი ყოვლისმომნუსხველი მზერა და ისინიც ხოჭოებივით აწრიალდნენ. ზოგმა ბალზაკის გმირების თავგადასავალში თავისი ბიოგრაფია შეიცნო და გაცოფდა. საერთო ატმოსფეროც ცნობილი იყო მათთვის: ფული, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების მამოძრავებელი ძალა, ნიჭის, სახელის, დიდების წყარო. აქ ყველაფერი იყიდება: სინდისი, პატიოსნება, სიყვარული, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებებისადმი პატივისცემა. სადაც ფული ტრიალებს, იქ ავი კარგად საღდება, უნიჭო ნაწარმოებს გენიალურს უწოდებენ, ლამაზი მსახიობის ულაზათო თამაშს _ მომხიბვლელსა და აღტაცებაში მომყვანს.

ლუსიენიც ასე იქცევა; იგი ჯერ ღარიბი სტუდენტების წრეში მოხვდება მომავალ პოეტებთან, ექიმებთან, ფილოსოფოსებთან. ყველა მათგანი გატაცებულია რაღაც «მარადიული იდეებით». ისინი უარყოფენ საყოველდღეო წარმატებებს და «ამაყი მოთმინებით» ემზადებიან დიდი საქმეებისთვის. ლუსიენი არ მიჰყვება მათ გზას. იგი უფრო იოლ წარმატებებს ირჩევს. ნამდვილ პოეზიას თავს ანებებს და კალმით მოვაჭრე ჟურნალისტი ხდება. მისი სახით ბალზაკი ამხელს საზოგადოებრივი აზრის მთელ სიყალბეს, თეატრების, პარიზის ლიტერატურის, საერთოდ არსებული სინამდვილის მთელ სისტემას, მერყევ ქვეყანას, სადაც ადამიანები გარეგნულად ერთიმეორეს

ეყრდნობიან, იმავე დროს კი ზურგს უკან ერთმანეთს სამარეს უთხრიან. ლუსიენიც ასეთია, მას არავითარი პრინციპი არ გააჩნია _ აქებს იმას, რაც იცის, რომ საზიზღარია, აგინებს _ რითაც აღტაცებულია. არც თვითონ თაკილობს პორნოგრაფიული ლექსების წერას, უნდა ფული მიიღოს, საყვარელი ქალი დაასაფლავოს და ყოველგვარი ილუზიებისაგან გაძარცვული დაუბრუნდეს თავის პროვინციას.

ამრიგად, «ეჟენი გრანდეს» საოჯახო დრამა დიდ საზოგადოებრივ კონფლიქტებში გადაიზარდა და თვით კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს შეეხო...

* * *

ეს ტენდენციაც თანდათან ძლიერდება ბალზაკის შემოქმედებაში. ფართოვდება მისი მსოფლმხედველობრივი დიაპაზონიც. 1836 წელს იგი შევარდა თავისი დის, ლაურას ბინაში და პათეტიკურად წამოიძახა:

_ მომილოცეთ, ბავშვებო, მე ვდგები გენიოსობის გზაზე!

საქმე ის არის, რომ ბალზაკს სრულიად შემთხვევით მოუვიდა აზრი, _ ყველაფერი, რაც კი რამე კარგი დაწერა ან მომავალში დაწერდა, ერთ მთლიან ციკლად გაეერთიანებინა საერთო სათაურით: «ადამიანური კომედია», რომელშიც შევიდოდა 1834-1837 წლებში გამოცემული «XIX საუკუნის ზნეობათა ეტიუდების» 14 ტომი, დაყოფილი სამ ციკლად: 1. კერძო ცხოვრების სცენები; 2. პროვინციული ცხოვრების სცენები; 3. პარიზის ცხოვრების სცენები. თვით ბალზაკის განმარტებით, «კერძო ცხოვრების სცენები» ასახავენ ბავშვობისა და ახალგაზრდობის ასაკს, ამ ასაკში დაშვებულ შეცდომებს, ხოლო «პროვინციული ცხოვრების სცენები» _ ვნებათა ღელვის ასაკს, ანგარიშის, ინტერესისა და პატივმოყვარეობის წლებს. ბოლოს, «პარიზის ცხოვრების სცენები» გვიხატავენ მიდრეკილებებისა და მანკიერების სურათს, მთელი აღვირახსნილობით, რაც დიდი ქალაქის ცხოვრებისათვის საერთოდ დამახასიათებელია _ რადგან აქ სიკეთე და ბოროტება პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს მთელი თავიანთი უკიდურესი ძლიერებით...

«ადამიანური კომედია» უკვე შეიცავდა ამ სამ ციკლს და გაგრძელდებოდა ახალ რომანებში, სადაც აისახებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების არა ცალკეული მომენტები, არამედ საფრანგეთის რევოლუციით გამოწვეული ძვრები _ ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალისტური წყობილების განმტკიცება, ცხადია, იმ ტენდენციების ჩვენებით, რაც მომავალში შექმნიდა ახალ სოციალურ ფორმაციას. ეს იქნებოდა 144 რომანის ერთი

მთლიანი სერია, რაც, თავის მხრივ, ისევე სამ ციკლად დაიყოფოდა: 1. ზნეობათა ეტიუდები; 2. ფილოსოფიური ეტიუდები; 3. ანალიტიკური ეტიუდები.

ეს მართლაც გრანდიოზული გეგმაა. ბალზაკი დარწმუნებულია, რომ «ადამიანური კომედიით» იგი მთელ მსოფლიოს დაიპყრობს. წერს კიდეც:

_ მე გავხდები ევროპის სულიერი მბრძანებელი... მე თავზე გადავაბიჯებ ყველას, ვისაც სურდა ჩემთვის ხელები შეეკრა და ჩემი წინსვლა შეეჩერებინა...

ცხადია, ეს ძლიერ მაგრადაა მოქნეული, მაგრამ ბალზაკს მხოლოდ ქადილი როდი სჩვეოდა. პირიქით, «ადამიანური კომედიის» წინასიტყვაობაში მან იპოვა ოქროს შუალედი ქმნილების სიდიადესა და მწერლის თავმდაბლობას შორის. ამასთანავე, იგი მტკიცედ იყო დარწმუნებული თავის გადაწყვეტილებაში _ «შექმნას სრულყოფილი ისტორია, რომლის ყოველი თავი რომანი იქნება, ხოლო ყოველი რომანი _ მთელი ეპოქა». ისევე, როგორც «ღვთაებრივ კომედიაში» დანტემ მოგვცა შუა საუკუნეების კომპლექსურ-განზოგადებული სურათი, ბალზაკი ფიქრობდა «ადამიანური კომედიითა» და მასში გამოყვანილი ორი-სამი ათასი გმირით დაეხატა მისი თანამედროვეობის ვრცელი და ყოვლისმომცველი პანორამა. ამიტომ არის, რომ იგი ირონიულად უყურებს «ფაქტების უსულგულო გროვას» _ ისტორიას მიაჩნია, რომ ისტორიკოსებს ავიწყდებათ «ზნეობათა ისტორია» და თვითონ ცდილობს ამ ხარვეზის შევსებას. იგი წერს:

_ რომ შექმნა, საჭიროა მხოლოდ შეისწავლო. მემატიანეა თვით საფრანგეთის საზოგადოება, მე კი მხოლოდ მისი მდივანი. როცა ვადგენდი მანკიერებისა და სიკეთის ნუსხას, საზოგადოების უმნიშვნელოვანეს თვისებებს ვირჩევდი, მრავალრიცხოვანი მსგავსი ხასიათების შეერთებით ვხატავდი ტიპებს; ამით მინდოდა დამეწერა ის ისტორია, რასაც მრავალი ისტორიკოსი ივიწყებს ხოლმე: ზნეობათა ისტორია.

ამიტომ არის, რომ იგი თავისუფლდება დიდ ისტორიულ პიროვნებათა ფეტიშისაგან. მიაჩნია, რომ არა მხოლოდ გმირული ამბები იძლევა გარემოს სურათს, არამედ ცხოვრების უბრალო, ყოფითი, ზოგჯერ სრულიად ბანალური ეპიზოდები, რაც ქმნის არსებობის მთლიან ეპოსს. ამიტომ ამბობს, რომ მის «ადამიანურ კომედიაში» სიუჟეტი ეყრდნობა არა ერთი ადამიანის ბედს, არამედ «ტანჯვათა მთელ ბრბოს». ასე დამკვიდრდნენ მის რომანებში არა კეისრები, მაკედონელები და ნაპოლეონები, არამედ პარფიუმერები, ბანკირები, ბურჟუაზიული საქმოსნები, ჟურნალისტები თუ ბედის მაძიებელი ახალგაზრდები. ბრანდესი წერს, რომ ამისთვის ბალზაკმა საკუთარი ლიტერატურული სახელმწიფო შექმნა თავისი ქალაქებითა და სოფლებით, მინისტრებით,

გენერლებით, ფინანსისტებით, მრეწველებით, ვაჭრებით, გლეხებით, სასულიერო პირებით, ექიმებით, მხატვრებითა და პოეტებით. მისი გმირები მოქმედებენ ამ სახელმწიფოში, გადადიან ერთი რომანიდან მეორეში, ხვდებიან ათასგვარ სიტუაციაში და როგორც შეუძლიათ, ისე აყალიბებენ თავიანთ პიროვნებას. ყველაფერი ეს ერთსა და იმავე დროს რეალისტურად დანახული სინამდვილეცაა და მისი შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფიც. აქ მთელი საფრანგეთია, მთელი ეპოქა, საზოგადოება, ხალხი, ადამიანები, მათი ტიპიური სახეები, მოქმედნი ტიპიურ გარემოში. სოციალური კონფლიქტებიც უფრო ფართო ფონზე იშლება. უკვე ერთმანეთს უპირისპირდებიან არა ამა თუ იმ ფენისა თუ კლასის წარმომადგენლები, არამედ მთელი საზოგადოებრივი ჯგუფები. თვით «საზოგადოებაც» ახლებურად ესმის ბალზაკს. ადრე ის ერთ მთლიან მასას წარმოადგენდა, ახლა კი სოციალ-კლასობრივადაა დიფერენცირებული: მდიდრები და ღარიბები, გალაღებული ბურჟუები და ჯერაც ძლიერი არისტოკრატები, დაპირისპირებულნი ე. წ. «ძირა ფენებთან» _ პროლეტარებთან. 40-იანი წლების რომანებში ამ «ძირა ფენების» აქტივობა თანდათან იზრდება, მათი ბრძოლაც უფრო პერსპექტიული ჩანს, ბოლოს კი ისეთ მრისხანე ძალად გვევლინება, რომ წალეკვით ემუქრება საზოგადოების «ზედა ფენებს». მომავლის ძალების სწორედ ამგვარ განჭვრეტას მიიჩნევდა ფრ. ენგელსი ბალზაკის რეალიზმის უდიდეს გამარჯვებად.

ამასობაში თვით რომანების სტილიც იცვლის სახეს. მოქმედება უფრო მრავალსახოვნად ვითარდება, სიუჟეტიც უფრო დინამიკურია. ამის ნიმუშია რომანები «ცეზარ ბოროტი», «სიძველეთა მუზეუმი», «გლეხები», «დაკარგული ილუზიები». ამ რომანებში სინამდვილის ასახვაც უფრო ზუსტია და რეალისტური. ბალზაკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მხოლოდ სინამდვილეა ნამდვილი შემოქმედების წყარო. წერდა კიდეც: «ჩემს ქმნილებებში ადგილს ვერ იპოვიან მოგონილი ფაქტები, მე აღვწერ მხოლოდ იმას, რაც ყველგან ხდება». ასე რომ, არა გამოგონება, არამედ დაკვირვება, ცხოვრების ყველა ასპექტის გამოსახვა. მწერლის ყურადღებას არ უნდა გამორჩეს საზოგადოების არც ერთი ფენა, არც ერთი პროფესია, ხასიათი. მისი იდეალია მრავალსახეობა მთლიანობაში, ცალკეული რომანები, როგორც აგურები შენობის ერთიან არქიტექტურაში. ამიტომ ადრინდელ რომანებში თუ კერძო ხასიათები იყო მოცემული, «ადამიანური კომედიის» ბოლო ნაწარმოებებში უკვე მთელი საფრანგეთის მრავალპლანიანი სურათი მოჩანს. თვითონ ბალზაკი წერს:

_ ჩანაფიქრის ასეთი განუზომელი მასშტაბი, რაც ერთდროულად მოიცავს საზოგადოების ისტორიას და კრიტიკას, მისი წყლულების ანალიზსა და მისი პრინციპების ახსნას, უფლებას მაძლევს, თუ არ ვცდები, მივცე სათაური, რითაც ეს გამოცემა ქვეყნდება: «ადამიანური კომედია»...

* * *

ასე იქცა ბალზაკის შემოქმედება საფრანგეთის ცხოვრების ნამდვილ მატიანედ. ფრ. ენგელსიც ამიტომ წერდა მ. ჰარკნესს, რომ ბალზაკის ნაწერებიდან თვით ეკონომიური დეტალების მხრივ მან უფრო მეტი გაიგო, ვიდრე იმავე პერიოდის ყველა პროფესიონალი ისტორიკოსის, ეკონომისტისა და სტატისტიკოსის წიგნებიდან.

ასეც იყო.

ყველაფერი, რასაც კი ბალზაკი თვალს შეავლებდა, ზუსტად აისახებოდა მის რომანებში, _ ქალაქების არქიტექტურული სახე, ავეჯი, ხელოვნების საგნები, გმირების ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება. განსაკუთრებული სიზუსტითაა დახატული პარიზი. ბალზაკი აქ ყველაფრის ბატონ-პატრონია, ყველაფერი იცის, თვით სალონების ბუდუარებში გახმაურებული ჭორებიც კი. მას დაკვირვების გენიალური უნარი აქვს. ამბობენ, წიგნს რომ გადაშლიდა, 7-8 სტრიქონს ერთბაშად კითხულობდაო. ასევე ერთბაშად ასახავდა იგი თავისი ცნობიერების ეკრანზე ყველაფერს, რასაც კი თვალს მოჰკრავდა. ეს კი მხოლოდ დაკვირვება კი არა, ნათელმხილველობაა. მას ყველაფერი აინტერესებს. ხან ვიღაცეებს აეკიდება ქუჩაში, რომ მათ საუბარს მოკრას ყური, ხან აბრებს კითხულობს, რომ საინტერესო სახელსა და გვარს მიაგნოს. მისი მახვილი თვალი ყველაფერს პროჟექტორივით ანათებს, შიგ სულში იხედება, ყველა ფიქრებსა და ოცნებებს წვდება, ადამიანური ხასიათის ყველაზე ბნელ კუნჭულებში მიძვრება. ყველაფერს გრძნობს, ყნოსავს, აფასებს... ამიტომ არის, რომ ბალზაკმა ერთნაირი ძალით იცის თავისი დროის პოლიტიკა, ეკონომიკა, ფილოსოფია, ლიტერატურა და ისიც, თუ რომელი წრის მანდილოსნები თუ კურტიზანი ქალები როგორ კორსეტებს იკეთებენ, რომელ პუდრს ხმარობენ და რაზე ჭორაობენ. თუ მისი გმირი კოსტიუმს იკერავს, ბალზაკი თითქოს თვითონ იქცევა მკერავად, ზუსტად ანგარიშობს ყველაფერს, ქვითარს წერს, აფასებს, თვითონ კი საოცრად უგემოვნოდ იცვამს, _ ფული რომ მოიგდო, ეტლი იყიდა, ლივრიანი ლაქია დაიქირავა და... თავისი გარდერობის შესავსებად 130 ჟილეტი შეიკერა. ეს კიდევ არაფერი, წვეულებებზე მიდიოდა საოცრად ჭრელაჭრულა კოსტიუმებით ან ოქროს

ღილებიანი ცისფერი ფრაკით. დასცინოდნენ, ჩუმად ხითხითებდნენ, მაგრამ მაინც ეტანებოდნენ ამ «ბუნაგიდან გამოვარდნილ ველურს», განსაკუთრებით ცხოვრებამოყირჭებული არისტოკრატი ქალები, მადამ დე ბერნი თუ მარკიზების, ბარონების, გრაფებისა და ჰერცოგის მეუღლეები, დე კასტრი, დებრიუკი, გვიდობინი, დ'აბრანტესი და სხვები, ბოლოს კი უკრაინელი მემამულის ჰანსკის მეუღლე ევა.

ბალზაკი ყველაფერში უცნაური იყო _ ცხოვრებაში, მუშაობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. საერთოდ, როგორც წერენ, ბალზაკის ცხოვრების მატიანე თავისი დაძაბულობით, მოქმედ პირთა და სიტუაციების ეგზოტიკით «ადამიანურ კომედიაზე» ნაკლებად მდიდარი როდია. ცხოვრების ტალღები ხან ზევით ამოატივტივებდნენ მას, ხანაც უფსკრულში შთანთქავდნენ მას. ვენაში რომ ჩავიდა, იმპერატორის შემდეგ მეორე კაცი მეტერნიხი თავის სასახლეში ეპატიჟებოდა, პარიზში დაბრუნებული კი სადღაც მანსარდში ემალებოდა თავის მევალეებს, ან კატორღულ შრომას ეწეოდა საწერ მაგიდასთან. იქით მიმავალმა 15 ათასი ფრანკი მარტო მდიდრული ეტლით მგზავრობაში დახარჯა, უკან დასაბრუნებლად კი ქ-ნ ჰანსკას სთხოვა ერთი დუკატი, რომ საფოსტო ეტლის ბილეთი შეეძინა. ასევე იყო იტალიაში მოგზაურობისას. აქაც დედოფალი ბელჯოიზო და გრაფებისა თუ მარკიზების ქალები თავიანთ სასახლეში ეპატიჟებიან, გუბერნატორი სადილად იწვევს, ყველა მის სურვილს უყოყმანოდ ასრულებენ, ფაქსიმილიებს სთხოვენ; მაგრამ პარიზში რომ ბრუნდება, ღამის გასათევი ჭერი არ გააჩნია და ისევ კატორღიდან გამოქცეულივით ემალება მევალეებს, უნდა მეტი იმუშაოს, მეტი დაწეროს, მეტი ფული აიღოს. ამიტომ ყოველთვის ეჩქარება, სტამბიდან შინ რომ გარბის, ხალხი აქეთ-იქით აწყდება და გზას უთმობს, როგორც გალიიდან გამოქცეულ დათვს. თეოფილ გოტიე ჰყვება: ის და მისი სამი მეგობარი ბალზაკმა შინ მიიწვია. დილით ხუთმოქმედებიანი დრამა უნდა ჩავაბარო თეატრსო. სტუმრებს ეგონათ, ალბათ, დაწერილი აქვს და უნდა მოგვასმენინოსო, და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყვეს, რომ დრამა არამც თუ დამთავრებული, საერთოდ დაწყებულიც არ იყო, ბალზაკი კი მაინც თავისას იჩემებს და ავალებს ყველა მათგანს დაწერონ თითო მოქმედება, თვითონ მეხუთეს დაწერს და დილისთვის დრამაც მზად იქნება...

ასე იყო ბალზაკი ამოვარდნილი დროის ნორმალური დინებიდან. იგი თვითონ ქმნიდა თავის დროს. მთელი პარიზი რომ იძინებდა, ბალზაკი მაშინ იწყებდა მუშაობას. ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ნამდვილ ნაცნობებსა და ლიტერატურულ გმირებს. დას

ეუბნებოდა, ახლა ამასთან მივდივარ, ახლა იმასთანო და თავისივე რომანის პერსონაჟებს უსახელებდა.

ერთხელ ჟიულ სანდო მას თავისი ავადმყოფი დის ამბავს უყვებოდა. ბალზაკი ერთხანს ამრეზით უსმენდა, მერე შეაწყვეტინა:

_ ეს ყველაფერი კარგი, ძვირფასო მეგობარო, მაგრამ ახლა დავუბრუნდეთ სინამდვილეს. ვილაპარაკოთ ეჟენი გრანდეს შესახებ...

მისი სინამდვილე მის მიერვე შექმნილი ლიტერატურული სამყარო იყო - უკიდეგანო, უსაზღვრო სამყარო, სადაც მოქმედებდნენ ადამიანები, საზოგადოებები, სახელმწიფოები. თითქოს მისი ზღაპრული კვერთხის ერთი აქნევით მოძრაობაში მოდის ადამიანთა ეს ლაშქარი და თავის ახალ-ახალ სახეს უჩვენებს მკითხველ კაცობრიობას. ბალზაკს ჰქონდა ილუზიის სინამდვილედ ქცევის მაგიური ძალა. თვითონაც სჯეროდა ამ «სინამდვილესი». უცებ მოიფიქრებდა, როგორ გაეშენებინა გრანდიოზული ორანჟერეა, რომელშიც ანანასებს დარგავდა და წელიწადში ოთხას ათას ფრანკს მიიღებდა. ამას ისე დაბეჯითებით ჰყვებოდა, რომ მისი მეგობრები ანანასის გასაყიდი დუქნების მოწყობას იწყებდნენ; მერე რაღაც განძზე ჰყვებოდა, თითქოს სადღაც ჩაემარხა, თანაც ზუსტად აღნიშნავდა ადგილს და ასწავლიდა, როგორ ამოეთხარათ. ყოველივე ამას ისე დარწმუნებით წარმოადგენდა, რომ მისი ფრიად პატივცემული მეგობრები გოტიე და სანდო ღამით მართლა წავიდნენ განძის ამოსათხრელად, მაგრამ რაც არ იყო, აბა, რას იპოვიდნენ! იმასაც ჰყვებიან, ძალიან რომ მოშივდებოდა, დაფაზე გემრიელ კერძებს დახატავდა, თვითონ კი შავი პურის ქერქს დაიჭერდა და ლოღნიდაო. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე რაღაც მირაჟებს მისდევდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. წერენ, ორმოცდაათი წლისა უფრო ღარიბი იყო, ვიდრე ლედიგიერის ქუჩაზე 20 წლის ასაკშიო. «ვერც ოჯახი შექმნა. ქალებს თხოულობდა, უარი უთხრეს; სახლი აიშენა _ ვალში აუწერეს და წაართვეს; გაზეთები დააარსა _ დაეღუპა ერთიც და მეორეც; წამოწყებებში ჩაება _ არ გამოუვიდა; თავისი ქვეყნის პარლამენტში ცდილობდა ადგილის მოპოვებას _ არ აირჩიეს; აკადემიაში შეიტანა თავისი კანდიდატურა _ უკუაგდეს». მაინც დღედაღამ მუშაობდა. ეშინოდა თავისი გრანდიოზული შემოქმედებითი გეგმები განუხორციელებელი არ დარჩენოდა. ასე ამბობდა:

_ მაცახცახებს, მეშინია, ვაითუ დაღლილობამ, ძალთა გამოფიტვამ, უძლურებამ დამძლიოს უმალ, ვიდრე ჩემი ქმნილების შენობის დასრულებას მოვასწრებ...

ბალზაკს ასევე უნდოდა ბოლომდე მიეყვანა თავისი ცხოვრების უკანასკნელი რომანი და შეუღლებოდა გრაფის ასულ ჰანსკას. სიკვდილის წინ ფორტუნამ თითქოს მოწყალება მოიღო. მაშინ, როდესაც ბალზაკის შემოქმედებითი ენერგია ამოიწურა, მან ნაწილობრივ მაინც დააღწია თავი მევალეებს. ჰანსკას მისაღებად პარიზში მშვენიერი სახლიც იყიდა, უამრავი ანტიკვარული საგნებითა და ნივთებით მორთო, იქორწინა კიდეც, მაგრამ იგი უკვე ამქვეყნისა აღარ იყო. როგორც იქნა, იპოვა თავშესაფარი, მოიყვანა საყვარელი ქალი, რომელსაც უკვე აღარც აინტერესებდა იგი, და კიდევაც დახუჭა სამუდამოდ თვალები.

უკანასკნელ მომენტში მომაკვდავის სარეცელთან ვიქტორ ჰიუგო იდგა.

_ ბატონებო, ამ წუთებში მსოფლიო ჰკარგავს თავის უდიდეს ადამიანს, _ თქვა მან. იმ საშინელ წვიმიან დღესაც ბალზაკის გაჭრილ საფლავთან მან წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა:

_ მისი სიცოცხლე იყო ხანმოკლე, მაგრამ სავსე უფრო მდიდარი ქმნილებებით, ვიდრე დღეებით. ახ, ეს ძალგულოვანი, დაუღალავი მაშვრალი, ეს ფილოსოფოსი, ეს მოაზროვნე, ეს პოეტი, ეს გენია, ჩვენს შორის რომ ცხოვრობდა ქარიშხლებსა და შეხლაში, რაც ყოველი დროის დიდი ადამიანის ხვედრია, ახლა ჩვენს თვალწინვე ჩაესვენა. მშვიდად ისვენებს. ახლა ის ამაღლებულია მეტოქეობასა დ მძულვარებაზე. მან ერთსა და იმავე დღეს შედგა ფეხი სამარესა და უკვდავებაში...

მიხეილ კვესელავა

<u>შაგრენის ტყავი</u>

(ფილოსოფიური ეტიუდი)

ბატონ სავარის,

მეცნიერებათა აკადემიის წევრს

I

თილისმა

1829 წლის ოქტომბრის მიწურულში ერთი ახალგაზრდა კაცი პალე როიალში* შევიდა სწორედ იმ დროს, როცა სამორინეები იღება, თანახმად კანონისა, რომელიც მფარველობს ამ არსებითად დასაბეგრავ ადამიანურ გატაცებას. მან თითქმის უყოყმანოდ აიარა იმ სამორინეს კიბე, რომელიც 36 ნომრით იყო აღნიშნული.

_ ბატონო, თქვენი ქუდი მიბოძეთ, _ დაუძახა მას მკვახე ხმით პატარა ტანის ფერმკრთალმა ბერიკაცმა, რომელიც ბნელ კუთხეში იჯდა მოაჯირის იქით და უცებ წამოდგა, რათა თავისი უჯიშო სახე გამოეჩინა.

როცა სამორინეში შედიხართ, კანონი, უწინარეს ყოვლისა, თქვენს ქუდს გართმევს. რა არის ეს? სახარების და განგების იგავი? თუ ეს საშუალებაა ჯოჯოხეთური ხელშეკრულების დადებისა, რომელიც თქვენგან ერთგვარ საწინდარს მოითხოვს? ან, შეიძლება, ქუდი იმისათვის უნდა მოიხადოთ, რომ მოკრძალებით მოეპყროთ იმათ, ვინც ფულს მოგიგებთ? ან, შეიძლება, პოლიციას, რომელიც საზოგადოების ყველა ხვრელში მიძვრება, სურს თქვენი მექუდის ან თქვენი საკუთარი სახელი გაიგოს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იგი წააწერეთ სარჩულზე? ბოლოს ისიც შეიძლება, რომ ეს თქვენი თავის ქალას გასაზომად ხდებოდეს, რათა საგულისხმიერო სტატისტიკა შეადგინონ მოთამაშეთა ნიჭზე და ტვინის მოცულობაზე. ამ საგანზე სამორინეთა გამგეობა სრულიად დუმს. მაგრამ იცოდეთ _ საკმაოა ერთი ნაბიჯი გადადგათ მწვანე მაუდისაკენ და არათუ თქვენი ქუდი, თქვენი თავიც აღარ გეკუთვნით: თქვენ მთლად თამაშში ხართ გადავარდნილი თქვენი ქონებით, თავსაბურავით, ჯოხით და წამოსასხამით. გარეთ გამოსვლის წინ **თამაშობა** ერთგვარი მოქმედი მკაცრი ეპიგრამის შემწეობით გიჩვენებს, თუ კიდევ რამეს გიტოვებს თქვენი ავლა-დიდებიდან. ესეცაა, რომ თუ თქვენ ახალი თავსაბურავი გაქვთ, იაფად დაგიჯდებათ იმის გაგება, რომ მოთამაშის შესაფერი ტანისამოსი უნდა შეიძინოთ.

როცა ახალგაზრდა კაცმა თავისი, ცოტა არ იყოს გაცრეცილი ქუდის მაგივრად ნომერი მიიღო, სახეზე გაკვირვება გამოეხატა, რაიცა მის მიამიტობას მოწმობდა; ხოლო პატარა ბერიკაცმა, რომელსაც, უეჭველია, ახალგაზრდობიდანვე გული გაქვავებოდა მოთამაშეთა მღელვარე ცხოვრების ცქერით, მას მქრქალი და უსიცოცხლო თვალით შეხედა. ამ შეხედვაში ფილოსოფოსი საავადმყოფოს სიდუხჭირესაც დაინახავდა, გაძარცული ადამიანის ხეტიალსაც, ოქმებსაც თავისმკვლელთა შესახებ, სამუდამო კატორღაში გაგზავნილთა მუშაობასაც, გვაზაკოალხოზე* გადასახლებასაც. ეს მოგრძო თეთრსახიანი ბერიკაცი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მხოლოდ დარსეს* ჟელატინის წვენით იკვებებოდა, უაღრესად გამარტივებული ვნებათაღელვის მკრთალ

გამოხატულებას წარმოადგენდა. მის ნაოჭებში წარსულ ტანჯვათა კვალი დარჩენილიყო, ეტყობოდა, თავის ჯამაგირს მიღების დღესვე მწვანე მაგიდაზე დებდა. თითქო მათრახს შეჩვეული ჯაგლაგი ცხენი ყოფილიყოს, მას აღარაფერი აღელვებდა: იგი ყოველთვის გულგრილად ხვდებოდა წაგებულთა ყრუ კვნესას, მათ უსიტყვო წყევლა-კრულვას, მათ უაზრო შემოხედვას. იგი თვით ხორცშესხმული **თამაშობა** იყო. ახალგაზრდა კაცს რომ კარგად აეთვალიერებინა ეს ბეჩავი ცერბერი,* შეიძლება თავისთვის ჩაელაპარაკა, მას გულში არაფერი აქვს, გარდა ერთი დასტა სათამაშო ქაღალდისაო. მაგრამ უცნობმა ყური არ დაუგდო ცოცხალ რჩევა-დარიგებას, რომელიც უეჭველია განგებას დაეყენებინა აქ, როგორც იგი გულის არევას და ზიზღს აყენებს ყოველი ცუდი ადგილის შესავალში. უცნობი უყოყმანოდ შევიდა დარბაზში, სადაც ოქროს წკრიალი ნდომით აცახცახებულ გონებაზე დამათრობელ და მომხიბლავ გავლენას ახდენდა. ალბათ, ამ ახალგაზრდა კაცს წინ უბიძგებდა ჟან-ჟაკ რუსოს ერთი უმჭევრმეტყველესი ფრაზის ლოგიკა, რომლის სევდიანი აზრი, მგონია, ასეთი უნდა იყოს: _ დიახ, მე მესმის, რომ კაცი სათამაშოდ მიდიოდეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ დროს უნდა მოხდეს, როცა თავის თავსა და სიკვდილს შორის იგი არაფერს ხედავს, გარდა თავისი უკანასკნელი ხუთფრანკიანისა.*

საღამოთი სამორინეების პოეზია, ცოტა არ იყოს, მდაბალი ხარისხისაა, მაგრამ მისი გავლენა უზრუნველყოფილია ისევე, როგორც უზრუნველყოფილია გავლენა სისხლიანი დრამისა. დარბაზები სავსეა მაყურებლებით და მოთამაშეებით, ბეჩავი ბერიკაცებით, რომელნიც აქ გასართობად მოსულან, აღელვებული სახეებით, ორგიებით, რომელნიც ღვინოში დაწყებულან და მზად არიან სენაში დამთავრდნენ. მართალია, აქ ვნებათაღელვა ბობოქრობს, მაგრამ მსახიობთა რიცხვის სიმრავლე ხელს გიშლით პირისპირ შეხედოთ თამაშობის დემონს. ეს საღამო ნამდვილი ანსამბლია, სადაც მთელი დასი ყვირის, სადაც ორკესტრის ყოველი საკრავი თავის ჰანგს უკრავს. თქვენ იქ შეხვდებით მრავალ პატივსაცემ ადამიანს, რომელნიც თავის გასართობად მოსულან და ამისათვის ფულს იხდიან, როგორც გადაიხდიდნენ თეატრის წარმოდგენისთვის ან პირის გემოს დასაკმაყოფილებლად, ან მანსარდში ავიდოდნენ, რათა იქ იაფად ეყიდათ სიყვარული და მწველი სინანული, სამიოდე თვის საგზალი. მაგრამ გესმით თუ არა, რა ცახცახითა და ვაჟკაცური სიმტკიცით უნდა იყოს გამსჭვალული ადამიანის სული, რომელიც მოუთმენლად ელის სამორინეს გაღებას? დილის მოთამაშესა და საღამოს მოთამაშეს შორის იგივე განსხვავებაა, როგორიც დაუდევარ ქმარსა და საყვარელს შორის, რომელიც იბნიდება თავისი მზეთუნახავის ფანჯრის ქვეშ. მხოლოდ დილით მჟღავნდება

მთრთოლვარე ვნებათაღელვა და შემაძრწუნებლად გაშიშვლებული გაჭირვება. ამ დროს შეგიძლიათ ნამდვილი მოთამაშის ცქერით დატკბეთ. მას არ უჭამია, არ უძინია, არ უცხოვრია, არ უფიქრია, იმდენად მწვავედ ამათრახებდა წაგებ-მოგების ორმაგი ღვედი, იმდენად მტანჯველი იყო თამაშობის ქავილი. როდის გამოვა ბოლოს «ტრანტ ე კარანტ»?* ამ დაწყევლილ საათში თქვენ შეხვდებით თვალებს, რომელთა სიმშვიდე შეგაძრწუნებთ, სახეებს, რომელნიც მოგაჯადოებენ, გამოხედვას, რომელიც სათამაშო ქაღალდს ჰკრეფს და ნთქავს.

ერთი სიტყვით, სამორინეები მხოლოდ სეანსის დასაწყისში არიან დიდებულნი. თუ ესპანეთში ხარების ბრძოლა ხდება, თუ რომს გლადიატორები ჰყავდა, პარიზი სამართლიანად თავისი პალე როიალით ამაყობს, მისი გამაღიზიანებელი ჩარხი შეძლებას გვაძლევს სისხლის ღვრის სურათით დავტკბეთ ისე, რომ ფეხი არ დაგვისხლტეს გასისხლიანებულ პარტერში. შედით და სცადეთ თვალი გადაავლოთ ამ ასპარეზს... რა სიტიტვლეა! კედლები ადამიანის სიმაღლეზე გაჭუჭყიანებული ქაღალდითაა დაფარული, ზედ არც ერთი სურათი არ ჩანს ისეთი, რომ თვალმა წყალი დალიოს. ლურსმანიც კი არსად არჭვია, რომ თვითმკვლელობას ხელი შეუწყოს. იატაკი გაფუჭებული და უსუფთაოა. დარბაზის შუაგული მოგრძო მაგიდას უჭირავს, მისი მწვანე მაუდი ოქრო-ვერცხლს გაუცრეცია. გარშემო იმდენად უბრალო სელის სკამია ჩამწკრივებული, რომ მნახველი გაკვირვებით იფიქრებს _ რა გულგრილნი უნდა იყვნენ კომფორტისადმი ეს ადამიანები, რომელნიც აქ თავს იღუპავენ სწორედ კომფორტის და სიმდიდრის გულისთვისო.

ეს ადამიანური წინააღმდეგობა თავს იჩენს ყველგან, სადაც სული ძალოვნად მოქმედებს თავის თავზე. შეყვარებულს სურს თავისი სატრფო აბრეშუმებში გაახვიოს, აღმოსავლეთის რბილი ქსოვილის ნაოჭებით დაფაროს და, უმეტეს შემთხვევაში, მის სხეულს ჭუჭყიან ლოგინზე ეუფლება. პატივმოყვარე კაცი ხელისუფლების მწვერვალზე ასვლას ოცნებობს და მლიქვნელობის ტალახში დახოხავს. ვაჭარი ნესტიანი და უსინათლო დუქნის კუთხეშია მიკრუნჩხული, რათა ფართო პალატი ააგოს, საიდანაც მის შვილს, მის ნაკლებ ჭკუადამჯდარ მემკვიდრეს ღვიძლი ძმა განდევნის აუქციონის შემწეობით. ბოლოს, არსებობს თუ არა ქვეყანაზე რაიმე უფრო არასასიამოვნო, ვიდრე სიამოვნებათა სახლებია? ეს უცნაური ამოცანაა! ადამიანი მუდამ თავის თავს ეწინააღმდეგება, იგი თავის იმედებს ატყუებს თავისი ახლანდელი უბედურებით, ხოლო თავის უბედურებას _

მომავლით, რომელიც მას არ ეკუთვნის, და ყველა თავის მოქმედებას მერყეობისა და სისუსტის ნიშანს აჭდობს. ამ ქვეყანაზე არაფერია სრულყოფილი, გარდა უბედურებისა.

როცა ახალგაზრდა კაცი დარბაზში შევიდა, იქ უკვე რამდენიმე მოთამაშე იმყოფეობდა. სამი მელოტი ბერიკაცი უდარდელად უჯდა მწვანე მაუდიან მაგიდას; მათი სახეები თითქოს თაბაშირიდან იყვნენ ჩამოსხმული, უგრძნობლობას გამოხატავდნენ დიპლომატების სახეების მსგავსად, მაგრამ ამასთანავე _ ნაყროვან სულს და თრთოლვას გადაჩვეულ გულს, რომელიც მაშინაც კი არ აძგერდება, როცა ბედის სასწორზე ცოლის ხელუხლებელი მზითევია დადებული. ახალგაზრდა შავთმიანი და მუქმწვანეკანიანი იტალიელი წყნარად დაყრდნობოდა მაგიდის ერთ კუთხეს და თითქოს ყურს უგდებდა ფარულ წინათგრძნობას, რომელიც ბედისწერასავით ჩასჩურჩულებს მოთამაშეს: _ ჰო, _ არა! ეს სამხრეთელი თავი ოქროსა და ცეცხლს აფრქვევდა. შვიდი თუ რვა მაყურებელი ფეხზე იდგა, როგორც თეატრის ბაქანზე, და იმ სცენებს ელოდა, რომელთაც მათ ბედის ჩარხის ტრიალი, მსახიობების სახეები, ფულის და პაწია ფოცხების მოძრაობა უმზადებდნენ. ეს უსაქმო ადამიანები აქ უსიტყვოდ და უმოძრაოდ იდგნენ, ისევე ყურადღებით შესცქეროდნენ მწვანე მაუდს, როგორც პარიზის ხალხი გრევის მოედანს* უცქერის, როცა იქ ჯალათი დამნაშავეს თავს ჰკვეთს. მაღალ, ხმელ მამაკაცს, გახუნებულ ტანისამოსში გამოწყობილს, ერთ ხელში რეესტრი ეჭირა, ხოლო მეორეში _ ქინძისთავი, რათა აღენიშნა რამდენჯერ წითელი გამოვიდა და რამდენჯერ შავი. ეს იყო ერთი თანამედროვე ტანტალოსთაგანი,* რომელიც თითქო თავისი საუკუნის სიამოვნებათა გარეშე ცხოვრობს, ერთი განძარცული ძუნწთაგანი, რომელიც ფულს თავის ფანტაზიაში იგებს და აგებს. ბანკის დამსმელის პირდაპირ ორი თუ სამი გამობრძმედილი მოთამაშე იჯდა, ძველი კატორღელების მსგავსი, რომელთაც ვერავითარი სასჯელი ვეღარ შეაშინებს; ისინი აქ მოსულიყვნენ, რათა რისკი ზომიერად გაეწიათ და პირველი მოგებისთანავე ამდგარიყვნენ, რადგან მხოლოდ ამით ცხოვრობდნენ. ორი ხნიერი მსახური უდარდელად დასეირნობდა გულხელდაკრეფილი; ისინი დროგამოშვებით ფანჯარაში იცქირებოდნენ, თითქოს იმისათვის, რომ გამვლელ-გამომვლელთათვის თავიანთი ბრტყელი სახეები ეჩვენებინათ პლაკატის მაგივრად.

ის იყო ქაღალდის დამრიგებელმა და ბანკირმა მოთამაშეებს მქრქალი და მომაკვდინებელი თვალები მიაპყრეს და მკვთრი ხმით დაუძახეს _ განაგრძეთ თამაშიო _ და ახალგაზრდა კაცმა კარი შეაღო. დუმილი თითქოს კიდევ უფრო გაღრმავდა და დარბაზში მყოფთა თავები ახალ მოსულისკენ მობრუნდა ცნობისმოყვარეობის გამო.

საოცარი რამ მოხდა! გარინდებულმა ბერიკაცებმა, გულგაქვავებულმა მსახურებმა, მაყურებლებმა, თვით ფანატიკოსმა იტალიელმა, რაღაც შეძრწუნება იგრძნეს უცნობის დანახვაზე. ადამიანი მეტისმეტად უბედური უნდა იყოს, რათა შებრალება გამოიწვიოს, ან მეტისმეტად სუსტი, რათა თანაგრძნობა გააღვიძოს, ან მეტისმეტად პირქუში, რათა სულნი შეაშფოთოს, განსაკუთრებით ასეთ დარბაზში, სადაც მწუხარება უსიტყვო უნდა იყოს, უბედურება _ მხიარული, სასოწარკვეთილება _ წესიერი. ჰოდა, ყოველივე ეს მოიპოვებოდა იმ ახალ შეგრძნებაში, რომელმაც გაყინული გულები გაალხო ახალგაზრდა უცნობის შესვლისთანავე. მაგრამ განა ხანდახან ჯალათებს არ უტირიათ ქალწულების დანახვაზე, რომელთა ქერა თავები ძირს უნდა დაცემულიყო გილიოტინის ქვეშ?

პირველი შეხედვისთანავე მოთამაშეებმა რაღაც საშინელი საიდუმლოება ამოიკითხეს ახალმოსულის სახეზე; მისი ახალგაზრდა სახის ნაკვთებს რაღაც მომხიბლავი ნისლი ეხვია, მისი გამოხედვა მრავალი იმედის გამტყუნებას, მრავალ ამაო ცდას მოწმობდა! თვითმკვლელის პირქუში გულგრილობა მის შუბლს ავადმყოფურ ელფერს აძლევდა, მწარე ღიმილი ნაოჭებს ქმნიდა მისი პირის კუთხეებში, ხოლო სახე ისეთ მორჩილებას გამოხატავდა, რომ მის შეხედვაზე ადამიანს გული ეტკინებოდა. რაღაც ფარული გენია ციაგობდა ამ დანისლული თვალების სიღრმეში, რომელნიც შეიძლება სიამოვნებათა სიჭარბით იყვნენ დაქანცული. შეიძლება ღრეობამ თავისი ჭუჭყიანი დაღი დააჭდო ამ კეთილშობილ სახეს, ერთ დროს უმწიკვლოსა და ანთებულს, ახლა კი ესოდენ მოთენთილს? უეჭველია, ექიმები გულის მანკს ან ფილტვების სისუსტეს მიაწერდნენ თვალის ქუთუთოებზე შემოვლებულ მოყვითალო წრეებს და ლოყების სიწითლეს, პოეტები კი ამ ნიშნებში მეცნიერების მიერ მოხდენილ განადგურებას, სანათურთან გატარებული ღამეების კვალს დაინახავდნენ. მაგრამ ვნებათაღელვას უფრო მომაკვდინებელს, ვიდრე ავადმყოფობაა, ავადმყოფობას უფრო ულმობელს, ვიდრე სწავლა და გენიაა, შეეცვალა ეს ახალგაზრდა თავი. შეეკუმშა ეს ცოცხალი კუნთები, დაექანცა ეს გული, რომელსაც მხოლოდ ოდნავ შეხებოდნენ ღრეობა, მეცნიერული შრომა და ავადმყოფობა. ისევე როგორც კატორღელები მოკრძალებით ხვდებიან სახელოვან დამნაშავეს, ეს ადამიანური სახის მქონე დემონებიც, გამობრძმედილები ტანჯვა-წვალებაში, მიესალმნენ აუწერელ მწუხარებას, ღრმა ჭრილობას, რომელიც მათმა თვალებმა გაზომა, და ამ უცნობში ერთ-ერთი თავიანთი მთავარი იცნეს მისი დიდებული უსიტყვო ირონიისა და მისი მოხდენილი, ღარიბული ტანისამოსის მიხედვით. ახალგაზრდა კაცს კარგად შეკერილი ფრაკი ეცვა, მაგრამ მისი ჟილეტი და ყელსახვევი ისე

მოხერხებულად იყო შეერთებული, რომ ძნელი საფიქრებელია, მას პერანგიც სცმოდა. მისი ხელები ისეთი მშვენიერი იყო, თითქოს ქალისა ყოფილიყოს, მაგრამ სისუფთავე აკლდა; უკვე მესამე დღეა ხელთათმანები არ ჰქონია! თუ თვით ქაღალდის დამრიგებელი და მსახურები შეკრთნენ, ეს იმიტომ, რომ მის სათუთ და ნაზ აგებულებაში, მის ქერა, თხელ, ბუნებით დახუჭუჭებულ თმაში მომხიბლავი უზაკველობა გამოკრთოდა. იგი ოცდახუთი წლისა უნდა ყოფილიყო და ბიწიერება მისთვის შემთხვევითი მოვლენა იყო. ახალაყვავებული ახალგაზრდა ცხოვრება აქ ჯერ კიდევ ებრძოდა გამანადუგრებელ, მაგრამ უძლურ გულისთქმას. აქ სინათლე და სიბნელეა, არყოფნა და არსებობა ერთმანეთს შეტაკებოდა, რათა მომხიბლაობა და საშინელება წარმოეშვა ერთსა და იმავე დროს. ახალგაზრდა კაცი აქ წარსდგა როგორც უშარავანდედო ანგელოზი, რომელსაც თითქო გზა დაბნევია. და აი, ყველა ეს ცოდვისა და ბიწიერების დამსახურებული ოსტატები, იმ უკბილო დედაბერის მსგავსად, რომელიც სიბრალულით იმსჭვალება გარყვნილების გზაზე შემდგარი მშვენიერი ქალიშვილისადმი, მზად იყვნენ დაეძახათ ახალი მოსულისათვის: «წადით აქედან!»

ახალგაზრდა პირდაპირ მაგიდასთან მივიდა, შეჩერდა და მაუდზე ოქროს ფული დააგდო, რომელიც შავისაკენ გაგორდა; შემდეგ, როგორც ძლიერი სულის ადამიანს შეეფერება, ყოველივე დავაქრული ყოყმანის გარეშე ქაღალდის დამრიგებელს გამგმირავი და წყნარი თვალები მიაპყრო. ამ სვლამ ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ბერიკაცებმა არაფერი არ დასვეს; მაგრამ იტალიელი ვნებიანი ფანატიზიით ჩაეჭიდა ახალ იდეას, რომელმაც მას გაუღიმა, და მთელი თავისი ოქროს ხვავი უცნობის საწინააღმდეგოდ დასვა. ბანკირს დაავიწყდა ეთქვა ეს ფრაზა, რომელიც დროის განმავლობაში ხრინწიან და გაუგებარ ძახილად გადაიქცა; «დასვით! _ უკვე დასმულია! _ გათავდა». დამრიგებელმა ქაღალდი გაშალა და, თუმცა იგი გულგრილად უცქეროდა წაგებ-მოგებას, თითქო გამარჯვება უსურვა ახალმოსულს. ყოველ დამსწრეს ამ ოქროს ფულის ბედში სურდა კეთილშობილური ცხოვრების დრამა და უკანასკნელი სცენა დაენახა; მათი გაბრწყინებული თვალები მისნურ ქაღალდებს დასცქეროდნენ; მაგრამ ვერც იქ, ვერც ყმაწვილის უგრძნობ და მორჩილ სახეზე ვერაფერი ამოიკითხეს.

_ წითელი, წყვილი, პასს, _ თქვა ოფიციალური ტონით დამრიგებელმა.

იტალიელს მკერდიდან ერთგვარი ყრუ ხრიალი აღმოხდა, როცა ბანკირმა ერთიმეორეს მიყოლებით რამდენიმე დაკეცილი ქაღალდის ფული გადმოუგდო. უცნობმა ახალგაზრდამ კი თავისი დაღუპვა მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა პაწია ფოცხი გამოიწია,

რათა მისი უკანასკნელი ოქრო დაეთრია. იგი სპილოს ძვალს მოხვდა, დაიწკრიალა და შურდულივით ჩქარა შეუერთდა ბანკში დახვავებულ ოქროს. უცნობმა თვალები დახუჭა წყნარად, მას ტუჩები გაუფითრდა; მაგრამ მაშინვე თვალები დააღო, მისი ტუჩები მარჯნისფერი გახდა, მან ინგლისელის სახე მიიღო, რომლისთვისაც არავითარი საიდუმლოება არ არსებობს, და წავიდა ისე, რომ ნუგეში არავისთვის არ უთხოვია იმ გულისმომკლავი თვალებით, რომლებსაც მოთამაშეები ხშირად მიაპყრობენ ხოლმე მაყურებლებს. რამდენი ამბავი ხდება ერთ წუთში, რა დიდი ძალა აქვს ერთი კამათლის გაგორებას!

_ ეს უეჭველად მისი უკანასკნელი გასასროლი ტყვია იყო, _ თქვა ღიმილით კრუპიემ* ერთი წუთის დუმილის შემდეგ, რომლის განმავლობაში მას ოქრო ცერსა და სალოკ თითს შუა ეჭირა, რათა დამსწრეებისათვის ეჩვენებინა.

_ იგი განწირულია, წყალში გადავარდება, _ უპასუხა ერთმა სტუმარმა და გადახედა მოთამაშეებს, რომელნიც ერთმანეთს იცნობდნენ თითქმის გამოუკლებლივ.

_ ვაჰ! _ წამოიძახა ერთმა მსახურმა და თამბაქო ამოიღო.

_ ნეტავ ამ ბატონისათვის წაგვებაძა, _ თქვა ერთმა ბერიკაცმა და თავის ამხანაგებს იტალიელი ანიშნა.

ყველამ ბედნიერ მოთამაშეს შეხედა, იგი მთრთოლვარე ხელებით სთვლიდა ქაღალდის ფულს.

_ მე მომესმა ხმა, რომელიც ყურში ჩამძახოდა: მოიგებ, თუ ამ ყმაწვილის სასოწარკვეთილების წინააღმდეგ დასვამო, _ თქვა მან.

_ იგი არ უნდა იყოს მოთამაშე, _ დასძინა ბანკირმა, _ წინააღმდეგ შემთხვევაში სამად გაანაწილებდა თავის ფულს, რათა მეტი შანსი ჰქონოდა მოგებისათვის.

ყმაწვილი უქუდოდ აპირებდა გარეთ გასვლას, მაგრამ ბებერმა მეკარემ შეამჩნია ამ თავსაბურავის ბეჩავი მდგომარეობა და უსიტყვოდ გადასცა პატრონს; ამ უკანასკნელმაც, თავის მხრივ, მექანიკურად დააბრუნა ნომერი და კიბეზე დაეშვა; Di tanti palpiti-ს* უსტვენდა, ისე რომ თვით მას ძლივს ესმოდა საუცხოო მელოდია.

იგი მალე პალე როიალის თაღებქვეშ აღმოჩნდა, სენტ-ონორეს ქუჩამდე მივიდა, ტიულიერისკენ შეუხვია და გაუბედავი ნაბიჯით ბაღი გადასჭრა. თითქო უდაბნოში მიდიოდა, ვერ ხედავდა ადამიანებს, რომელნიც მას ხვდებოდნენ ან ეჯახებოდნენ. ქუჩის ხმაურში მხოლოდ ერთი ხმა ესმოდა, სიკვდილის ხმა; ბოლოს იგი სავსებით გამაოგნებელ ფიქრში ჩაეფლო, როგორც ეფლობოდნენ დამნაშავეები, რომელნიც საბარგო ეტლს

მართლმსაჯულების პალატიდან გრევის მოედნისაკენ მიჰყავდა, ეშაფოტისაკენ, წითლად შეღებილში 1793 წლის შემდეგ დაღვრილი სისხლის წყალობით.*

არის რაღაც დიდი და შემაძრწუნებელი თვითმკვლელობაში. ბევრია ისეთი ადამიანი, რომლის ძირს ჩამოვარდნა არაა სახიფათო, როგორც ბავშვისა, რომელიც ისეთი სიმაღლიდან ვარდება, რომ არ შავდება; მაგრამ დიდი ადამიანის დაშავებისათვის საჭიროა, იგი დიდი სიმაღლიდან გადმოვარდეს, ზეცამდე იყოს ასული, რაღაც მიუწვდომელი სამოთხე ჰქონდეს დანახული. შეუბრალებელი უნდა იყოს ქარიშხალი, რომელიც ადამიანს აიძულებს სულიერი მშვიდობა სთხოვოს დამბაჩის ლულას. რამდენი ახალგაზრდა ნიჭი ჭკნება და იღუპება მანსარდებში მეგობრის, ნუგეშისმცემელი ქალის უყოლობის გამო, მილიონ არსებათა შორის, ოქროთი დაღლილი და მოწყენილი ბრბოს თვალწინ! თვითმკვლელობასა და აყვავებულ იმედებს შორის, რომელთა ხმა ახალგაზრდა კაცს პარიზისკენ მოუწოდებდა, ღმერთმა იცის, რამდენი განზრახვა, რამდენი დაუმთავრებელი პოეტური ნაწარმოები, რამდენი სასოწარკვეთილება და დახშობილი ძახილი, რამდენი უნაყოფო ცდა და უდღეური შედევრი იყო. ყოველი თვითმკვლელობა მელანქოლიის ამაღლებული პოემაა. სად ნახავთ, რომ ლიტერატურის ოკეანეში ისეთი წიგნი ამოტივტივდეს, რომელიც გენიოსობით ასეთ საგაზეთო შენიშვნას შეედრება:

«გუშინ, ოთხ საათზე, ახალგაზრდა ქალი სენაში გადავარდა ხელოვნებათა ხიდიდან».

ასეთი პარიზული ლაკონიზმის წინაშე ყოველივე იჩრდილება, დრამებიც, რომანებიც, თვით ეს ძველებური წიგნის სათაურიც: «მოთქმა სახელოვანი კაერნავანელი მეფისა, რომელიც მისმა შვილებმა სატუსაღოში ჩააგდეს», ესაა დაკარგული წიგნის უკანასკნელი კარი, მისმა წაკითხვამ ბევრი ატირა სტერნი,* რომელმაც თვით მიატოვა თავისი ცოლი და ბავშვები.

უცნობს ათასი ამგვარი აზრი მოსდიოდა თავში, ეს აზრები დაფლეთილ დროშებს ჰგვანდნენ, რომელნიც ბრძოლის ველზე ფრიალებენ. თუ იგი ერთი წუთით თავისი აზრების და მოგონებების ტვირთს იხსნიდა, რათა შეეხედა ყვავილებისათვის, რომელთაც მწვანე ხავერდზე ნელი ქარი არწევდა, მაშინ ცხოვრების წყურვილის ზეგავლენით, რომელიც თვითმკვლელობის მძიმე იდეას ებრძოდა, თვალებს აპყრობდა ზეცას; მაგრამ ლეგა ღრუბლები, მწუხარებით დატვირთული ქარის სისინი, შეხუთული ჰაერი ხელახლა თვითმკვლელობას ურჩევდნენ. მეფის ხიდისკენ გაემართა და თავისი წინამორბედის ფანტაზიები გაიხსენა. გაეცინა, როცა მოაგონდა, რომ ლორდმა კასტრიფმა* თავისი

უმდაბლესი მოთხოვნილება დაიკმაყოფილა, სანამ ყელს გამოიღადრავდა, ხოლო აკადემიკოსმა ოჟემ* ბურნუთი მონახა, რათა გზადაგზა ეწია, როცა თავის მოსაკლავად მიდიოდა. ამ ახირებულ ადამიანთა ქცევაზე ფიქრობდა, როცა ინსტინქტურად ხიდის მოაჯირს მიეყრდნო, რათა გზა მიეცა ბაზრიდან მომავალი მუშისთვის, რომელმაც თავისი ტვირთით ოდნავ სახელო დაუმტვერაიანა. მან გულმოდგინედ გაიბერტყა თავისი სახელო. შემდეგ თაღის შუაგულს მიაღწია და პირქუშად დააცქერდა მდინარეს.

_ ცუდი დარია თავის დასახრჩობად, _ უთხრა სიცილით ძონძებში გახვეულმა დედაბერმა, _ სენა მღვრიე და ცივია.

მან უპასუხა გულუბრყვილო ღიმილით, რაიცა მისი ვაჟკაცური გადაწყვეტილების სიგიჟეს მოწმობდა; მაგრამ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, როცა შორიდან ტიულიერის ნავსადგურის თავში ხის ფანჩატური დაინახა ერთი წყრთის სიგრძის ასოებით: «წყალში ჩავარდნილთა დახმარება». მან წარმოიდგინა ამ დაწესებულების მეთაური, ბ-ნი დაშე,* შეიარაღებული კაცთმოყვარეობით, იგი თავის კოხტა ნიჩებებს სწევდა ზევით და ანავარდებდა, რათა თავში ჩაეკრა მორევში ჩავარდნილთათვის, თუ ისინი საუბედუროდ ამოტივტივდებოდნენ; აი, ბ-ნ დაშე უკან ახევინებს ცნობისმოყვარეებს, ეძებს ექიმს, ამზადებს შეკმევას; აი, ჟურნალისტები სამძიმრის სიტყვებს თხზავენ ქეიფის შემდეგ, მომღიმარე და მოცეკვავე ქალების საზოგადოებაში; აი, სენის პრეფექტი მენავეებს ვერცხლის ფულს უთვლის მისი გვამის წყლიდან ამოღებისთვის. იგი ორმოცდაათი ფრანკი ღირებულა სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლეში კი მხოლოდ ნიჭიერ კაცს წარმოადგენდა, არც მფარველი ჰყოლია, არც მეგობრები, მოკლებული იყო ჩალის ლეიბსაც და სარეკლამო დაფდაფის ხმასაც, ნამდვილი სოციალური ნული იყო, გამოუსადეგი სახელმწიფოსათვის, რომელიც, თავის მხრივ, სრულიადაც თავს არ იტკივებდა მისთვის. დღისით სიკვდილი უღირსად ეჩვენა და გადაწყვიტა ღამით მომკვდარიყო, რათა თავისი უსახელო და გამოუცნობი გვამი გადაეცა იმ საზოგადოებისათვის, რომელიც არ ცნობდა მისი სიცოცხლის სიდიადეს. გზა განაგრძო და ვოლტერის სანაპიროსკენ გაემართა, ამასთანავე ისეთი სახე მიიღო, თითქო უდარდელი და უსაქმო ადამიანი ყოფილიყო და დროის მოკვლა სდომებოდა.

სანაპირო ქუჩის კუთხეში მისი ყურადღება გალავანზე გამოფენილმა ძველმა წიგნებმა მიიპყრო; ცოტა დააკლდა, კინაღამ გამყიდველს შეევაჭრა. სახეზე მწარე სიცილმა გაურბინა, ფილოსოფიურად ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და გზის განგრძნობას აპირებდა, რომ უცებ სახტად დარჩა: ჯიბიდან ფულის ფანტასტიკური წკრიალი მოესმა. მისი სახე

იმედის ღიმილმა გაანათა, თვალები გაუბრწყინდა, შუბლი გაეხსნა, ლოყები შეუფაკლდა. ეს იმედის ნაპერწკალი იმ ცეცხლს ჰგავდა, რომელიც ერთხელ გადაურბენს დამწვარი ქაღალდის ფურცელს; მისი სახე ხელახლა ნაცრისფერი გახდა, როცა ჯიბიდან ხელი ამოიღო და სამი სპილენძის ფული დაინახა.

_ აჰ! ჩემო გულკეთილო ბატონო, la carita! La carita! Catarina!* ერთი გროში გვიბოძეთ პურის საყიდლად!

ამ კაცს უკანასკნელ გროშს სთხოვდა ბუხრის მწმენდელი ბიჭი, რომლის სახე და ძონძებით დაფარული ტანი ჭვარტლით იყო შემურული.

ორიოდე ფეხის ნაბიჯზე ბუხრის მწმენდელი ბიჭიდან ბებერმა მათხოვარმა, რომელსაც მორცხვი, ავადმყოფი, ტანჯული ადამიანის სახე ჰქონდა და დაფლეთილი შალი ეხურა, დაბალი ყრუ ხმით უთხრა: _ ბატონო, მომეცით, რაც შეგიძლიათ, ღვთის გულისათვის... მაგრამ როცა ახალგაზრდა კაცმა მოხუცს შეხედა, ამ უკანასკნელმა ხმა ჩაიკმინდა, შეიძლება იმიტომ, რომ ამ უსიცოცხლო სახეზე უფრო მძაფრი გაჭირვების ნიშანი დაინახა, ვიდრე მისი, საკუთარი იყო.

_ La carita! La carita!

მან თავისი სპილენძის ფული გადაუგდო ბიჭსა და მოხუცს და სანაპიროს ქვაფენილიდან სახლებისკენ იბრუნა პირი, რადგან სენის ცქერას ვეღარ იტანდა.

_ ღმერთს შეევედრებით, რათა დღეგრძელობა მოგანიჭოს, _ უთხრეს მათხოვრებმა.

როცა გრავიურების ერთ სავაჭროს მიაღწია, ამ თითქმის მიცვალებულ ადამიანს ახალგაზრდა ქალი შეხვდა: ბრწყინვალე ეტლიდან გადმოდიოდა. აღტაცებით დააცქერდა ამ მომჯადოებელ პიროვნებას, რომლის თეთრი სახე ჰარმონიულად იყო გარემოცული მოხდენილი ქუდის ატლასით. ვაჟი მოხიბლა ქალის მოქნილმა ტანმა, ლამაზმა მოძრაობამ. ეტლიდან ჩამოსვლის დროს კაბა ოდნავ აიწია და ფეხი გამოაჩინა, მისი ნატიფი კონტურები ნათლად გამოიხატა თეთრ, სალუქ წინდებში.

ახალგაზრდა ქალი მაღაზიაში შევიდა და ალბომები და ლითოგრაფიების კოლექციები გადმოაღებინა, ზოგი რამ იყიდა და რამდენიმე ოქრო გადაიხადა, _ ფულმა გაანათა და დაიწკრიალა დახლზე. ახალგაზრდა კაცმა, რომელიც თითქო გარეთ გამოფენილი გრაფიურების დათვალიერებით იყო გატაცებული, მშვენიერ უცნობს გამგმირავი თვალით შეხედა და სამაგიეროდ, ერთი ის უზრუნველი შეხედვა მიიღო, რომლითაც ქალი შემთხვევით გამვლელს აჯილდოებს ხოლმე. ვაჟის მხრით, ეს ნიშნავდა გამოთხოვებას სიყვარულსა და ქალთან! მაგრამ ეს უკანასკნელი, ძალოვანი შეკითხვა

გაგებულ არ იქნა, მან ვერ ააღელვა უდარდელი ქალის გული, ვერ გააწითლა, თვალები ვერ დაახრევინა. რა იყო ეს ამ ქალისთვის? ერთი ზედმეტი აღტაცება, ერთი მის მიერ შთაგონებული სურვილი, რომელიც საღამოთი სიამოვნებით ათქმევინებდა: «ჰო, დღეს სანდომიანი ვიყავი!»

ახალგაზრდა კაცმა საჩქაროდ მეორე ფანჯრისკენ გადაინაცვლა და უკან არ მოუხედავს, როცა უცნობი ქალი ეტლში ჯდებოდა. ცხენები დაიძრნენ, ფუფუნების და სილაზათის ამ უკანასკნელ სურათს ბინდი დაეფარა, როგორც ბინდი ეფარებოდა მის სიცოცხლეს. იგი მელანქოლიური ნაბიჯით გზას გაუდგა მაღაზიების გასწვრივ; გამოფენილი საქონლის ნიმუშებს უინტერესოდ უცქეროდა. როცა სავაჭროების რიგი დასრულდა, ლუვრის, ინსტიტუტის, ღვთისმშობლის ტაძრის კოშკების, მართლმსაჯულების პალატის, ხელოვნებათა ხიდის დათვალიერებას შეუდგა. ეს ძეგლები სევდიანად გამოიყურებოდნენ, ისინი ცის ნაცრისფერ ტონებს შეხამებოდნენ; ეს მოღუშული ცა რაღაც მრისხანე გამომეტყველებას ანიჭებდა პარიზს, რომელიც ლამაზი ქალის მსგავსდ გაუგებარ კაპრიზებს ექვემდებარება, ხან მახინჯია და ხან მშვენიერი. ამრიგად, თვით ბუნება თითქოს შეთქმულებას ახდენდა, რათა ეს მომაკვდავი ადამიანი გულისტკივილის ექსტაზს მოეცვა. იგი იმ მავნე ძალას დაეპყრო, რომელიც ადამიანს თითქო არღვევს ნერვების ნაკადის შემწეობით, იგი გრძნობდა, რომ მისი სხეული შეუმჩნევლად სითხის მდგომარეობას უახლოვდებოდა. ამ სულთმობრძაობის ტანჯვა მას ისეთ მოძრაობას ანიჭებდა, თითქოს იგი ტალღა იყო, ხოლო შენობები, ადამიანები, საგნები ნისლში იყვნენ გახვეული და ირწეოდნენ.

მას უნდოდა თავი დაეღწია გაღიზიანებისათვის, რომელსაც მასზე ფიზიკური ბუნება ახდენდა, და ანტიკვარული მაღაზიისკენ შეუხვია იმ განზრახვით, რომ საკვები მიეცა თავისი გრძნობებისათივს და დაღამებამდე დრო გაეტარებინა მხატვრული ნივთების ვაჭრობაში. ეს, ასე ვთქვათ, ის გასამხნევებელი და გულის მომცემი სასმელი იქნეობდა, რომელსაც ეშაფოტზე მიმავალი დამნაშავეები თხოულობენ, როცა თავიანთი ძალის იმედი არა აქვთ; მაგრამ მოახლოებული სიკვდილის შეგნებამ ამ ყმაწვილს ერთი წუთით ისეთივე თვითრწმენა მიანიჭა, როგორიც ჰერცოგის მეუღლეს აქვს, როცა მას ორი საყვარელი ჰყავს. მაღაზიაში უდარდელი სახით შევიდა; სახეზე შეზარხოშებული ადამიანის ღიმილი უთამაშებდა; და მართლაც, განა იგი სიცოცხლით ან, შეიძლება, სიკვდილით მთვრალი არ იყო? უცებ ხელახლა თავბრუ დაეხვა; საგნები უცნაურად შეფერადებული წარმოუდგნენ. ისინი წყნარად ირხეოდნენ. ამის მიზეზი, უეჭველია, მისი

სისხლის უწესრიგო მოძრაობა იყო. ეს სისხლი ხან ჩუხჩუხებდა ჩანჩქერივით, ხან მდორე და ნელი ხდებოდა თბილი წყალივით.

მაღაზიაში შესვლისას განაცხადა, მხოლოდ საწყობის დათვალიერება მინდა, რათა გავიგო, ხომ არაფერს შეიცავს იგი ჩემი გემოვნების შესაფერსო. ახალგაზრდა სახეგაფურჩქნილმა და ლოყაწითელმა ნოქარმა, რომელსაც ქერა თმა ჰქონდა და წავის ქუდი ეხურა, მაღაზიის თვალყურის დევნება ბებერი გლეხის ქალს მიანდო, ერთგვარ მდედრობითი სქესის კალიბანს,* რომელიც ბუხარს სწმენდდა _ ბერნარ პალისის* გენიის ნაწარმოებს, შემდეგ უცნობს უზრუნველი ტონით მიმართა:

_ დაათვალიერეთ, ბატონო, დაათვალიერეთ!.. ქვევით ჩვენ მხოლოდ ჩვეულებრივი ნივთები გვაქვს, მაგრამ თუ ზედა სართულზე აბრძანებას ინებებთ, შემიძლია მშვენიერი მუმიები გაჩვენოთ, კაიროდან მოტანილი, მრავალი მოოჭვილი ჭურჭელი, რამდენიმე შავი ხის ჩუქურთმა, ნამდვილი რენესანსი, _ ყოველივე ეს ამ ცოტა ხნის წინათ მოგვივიდა, ყოველივე ნამდვილად მშვენიერია.

საშინელ მდგომარეობაში, რომელშიც უცნობი იმყოფებოდა, ამ ჩიჩერონეს ყბედობა, ეს სულელური ვაჭრული ფრაზები მას იმ წვრილმან აბეზრობად ეჩვენებოდა, რომლის შემწეობით გონებაშეზღუდული ადამიანები ჰკლავენ გენიოსს. გადაწყვიტა, თავისი ჯვარი ბოლომდე ეტარებინა. ისეთი სახე მიიღო, თითქო ყურადღებით უსმენდა თავის წინამძღოლს და ან ხელის მოძრაობით, ან ერთმარცვლოვანი სიტყვებით^ უპასუხებდა მის კითხვებს; მაგრამ შეუმჩნევლად დადუმების უფლება მოიპოვა და უშიშრად თავი მისცა თავის უკანასკნელ შემაძრწუნებელ ფიქრებს. იგი პოეტი იყო და მისმა სულმა ანაზდეულად უხვი საკვები იპოვა. მას ნაადრევად ათასი მსოფლიოს სასაფლაო უნდა დაენახა.

თვალის პირველ გადავლებაზე საწყობები ბუნდოვან სურათად ეჩვენა, სადაც ადამიანური და ღვთაებრივი ქმნილებანი ერთმანეთში იყვნენ არეული; ჩალით გატენილი ნიანგები, მაიმუნები, გველების ფიტულები უცინოდნენ ეკლესიის მოხატულ მინებს, თითქო გამოქანდაკებული სახეების კბენას, გალაქული ნივთების გამოდევნებას ან ჭაღებზე აცოცებას აპირებდნენ. სევრის ლარნაკი,* რაზეც ქალბატონმა ჟაკოტომ* ნაპოლეონი დახატა, მოთავსებული იყო ფარაონ სეზოსტრისისადმი* შეწირული სფინქსის გვერდით. სამყაროს დასაწყისი და გუშინდელი ამბები ახირებული გულუბრყვილობით იყო შეუღლებული. შამფური ტაძრის კიდობანზე იდო, რესპუბლიკური ხმალი _ საშუალო საუკუნეების შაშხანაზე. ქალბატონი დიუბარი,* რომელიც ლატურს* პასტელით დაეხატა,

ვარსკვლავით თავზე, გატიტვლებული და ღრუბლებში გახვეული, გულისთქმით უცქეროდა ინდურ ჩიბუხს და ცდილობდა გაეგო, რა სარგებლობა ჰქონდა მის გველივით დაკლაკნილ ხვეულებს. სიკვდილის იარაღები, მახვილები, ხანჯლები, უცნაური დამბაჩები ერთ ხროვად ეყარა სიცოცხლის იარაღებთან, ფაიფურის ჯამებთან, საქსონურ თეფშებთან, გამჭვირვალე ჩინურ ფიალებთან, ანტიკურ სამარილეებთან, ფეოდალურ თასებთან. სპილოს ძვლის ხომალდი აფრაგაშლილი მიცურავდა უძრავი კუს ზურგზე. პნევმატური მანქანა თვალის დავსებას უპირებდა მეფურად შეუშფოთებელ იმპერატორ ავგუსტს.* რამდენიმე ფრანგი ქალაქის მოურავის, რამდენიმე ჰოლანდიელი ბურგომისტრის სურათი, რომელნიც აქაც ისევე უგრძნობელნი ჩანდნენ, როგორიც სიცოცხლეში იყვნენ, ცივი და გამოღამებული თვალებით ზემოდან დასცქეროდნენ ამ სიძველეთა ქაოსს. თითქო დედამიწის ყოველ კუთხეს აქ თავისი სიბრძნის რაიმე ნატეხი, თავისი ხელოვნების რაიმე ნიმუში მოეტანა. ეს ერთგვარი ფილოსოფიური სასუქი იყო, რომელსაც არაფერი აკლდა, არც ველურის ავგაროზი, არც ჰარამხანის მოვარაყებული მწვანე ქოშები, არც მავრული იატაგანი,* არც თათრული კერპი. აქ ყოველივე მოიპოვებოდა: ჯარისკაცის ქისაც, მღვდლის ბარძიმ-ფეშხუმიც, ტახტის ბალიშიც. სხივის ათასნაირი თამაში, სინათლის და სიბნელის მძაფრი ჭიდილი კიდევ უფრო უცნაურს ხდიდნენ ამ ზღაპრულ სანახაობას. თითქოს ყურს შეწყვეტილი ძახილი ესმოდა, სული დაუმთავრებელ დრამებს გრძნობდა, თვალი ნახევრად ჩამქრალ სინათლეს ხედავდა. ბოლოს, შეუპოვარ მტვერს მსუბუქი ლეჩაქი გადაეფარა ამ საგნებზე და მათი მრავალფერადი კუთხეები, მათი ხვეულები უაღრესად მხატვრულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

უცნობმა თავდაპირველად ეს სამი დარბაზი, ყელთამდე სავსე ცივილიზაციით, კულტებით, ღმერთებით, შედევრებით, სამეფოებით, ღრეობით, გონებით და სიგიჟით შეადარა მრავალწახნაგოვან სარკეს, რომლის თითოეულ წახნაგში მთელი სამყარო ისახება. ამ ბუნდოვანი შთაბეჭდილების შემდეგ მას უნდოდა არჩეულ საგნებზე შეჩერებულიყო სიყვარულით; მაგრამ ძალდატანებულმა ცქერამ, ფიქრმა, ოცნებამ გააძლიერა ციებ-ცხელების ცახცახი, რომელიც შეიძლება შიგნეულობის მღრღნელი შიმშილობითაც იყო გამოწვეული. ამ უამრავმა ნაციონალურმა თუ ინდივიდუალურმა არსებამ, რომელთა მოწმობას ეს ადამიანური საბუთები წარმოადგენდნენ, საბოლოოდ გაარინდა ყმაწვილი კაცი; სურვილი, რომელმაც მაღაზიაში მოიყვანა, ასრულებულ იქნა: იგი გამოვიდა რეალური ცხოვრებიდან, საფეხურებით ავიდა იდეალურ ქვეყანაში, მიაღწია

აღფრთოვანების მოჯადოებულ პალატებს, საიდანაც სამყარო შემუსვრილი ეჩვენა ცეცხლის ხაზებში, როგორც ერთ დროს ალსა და კვამლში შებლარდნილმა მომავალმა ცხოვრებამ პატმოსზე* თვალწინ გაუარა იოანე მახარობელს.

მის თვალწინ მწუხარე, სანდომიანი ან შემაძრწუნებელი, ბნელი ან ნათელი, შორეული ან მოახლოებული სახეები აღიმართნენ. ისინი მთელ მასებს, მირიადებს, თაობებს წარმოადგენდნენ. უდაბნოების ქვიშიდან აღსდგა გაქვავებული, შვეტი, იდუმალი ეგვიპტე. იგი წარმოდგენილი იყო შავ არტახებში გახვეული მუმიის მიერ. შემდეგ მოდიოდნენ ფარაონები, რომელნიც მთელ ხალხს ასაფლავებდნენ, რათა თავიანთი სასაფლაო აეგოთ; შემდეგ კიდევ _ მოსე, ებრაელები, უდაბნო; და იგი სჭვრეტდა მთელ ანტიკურ და ზვიად ქვეყანას.

კვარცხლბეკზე მარმარილოს წყალჯავარიანი და მომხიბლავი ქანდაკება იდგა. მისი მწყაზარი სახე საბერძნეთის და იონიის* ვნებიან მითებს მოუთხრობდა. აჰ, ვინ არ გაიცინებდა ისევე, როგორც მან გაიცინა, როცა ეტრუსკული თიხის ლარნაკის წითელ ფონზე შავგვრემანი ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელიც ცეკვავდა ღმერთი პრიაპის* წინაშე და მას მხიარული სახით სალამს მიუძღვნიდა? იქვე მახლობლად ლათინთა დედოფალი სიყვარულით ელაციცებოდა თავის ქიმერას! აქ იმპერატორთა რომის სუნთქვა ისმოდა, ოცნებაში ისახებოდა ნებიერი, მიბნედილი იულიას* აბანო, სარეცელი, ტანსაცმელი. ეს ქალი თითქოს თავის ტიბულს* ელოდა. ციცერონის თავი, აღჭურვილი არაბული თილისმების ძალით, თავისუფალი რომის მოგონებებს იწვევდა და ტიტუს ლივიუსის* ფურცლებს შლიდა. ახალგაზრდა კაცი თითქოს რომის სენატსა* და ხალხს უცქეროდა. მის თვალწინ სიზმრის ნისლოვანი სახეების მსგავსად ნელი ნაბიჯით მწყობრად გაიარეს კონსულმა, ლიქტორებმა,* პორფირით ამოქარგულმა ტოგებმა,* ფორუმის ბრძოლებმა, მრისხანე ხალხმა.

ბოლოს, ამ სახეებს ზემოდან ქრისტიანული რომი დაჰყურებდა. ერთი სურათი ზეცას ხსნიდა და ანგელოზებს შორის ოქროს ღრუბლებგარემოცული ქალწული მარიამი ჩანდა. იგი მზის შარავანდედს ჩრდილავდა თავისი ბრწყინვალებით. ეს აღორძინებული ევა წყნარი ღიმილით ისმენდა უბედურ მომაკვდავთა მოთქმას. ახალგაზრდა კაცი შეეხო მოზაიკას, შეხამებულს ვეზუვის და ეტნის ღველფის ნატეხებიდან, და მისი სული ცხელ და ოქროცურვილ იტალიაში გადაიჭრა: იგი ესწრებოდა ბორჯიების* ღრეობას, დაეხეტებოდა აბრუცის მთებში,* ეძებდა იტალიელი ქალების სიყვარულს, ვნებით იმსჭვალებოდა ფერმკრთალი სახეების, ნუშივით გაჭრილი შავი თვალებისადმი. როცა

შუასაუკუნეების სატევარი დაინახა, რომლის ტარი და ვადა მოოჭვილი იყო, ხოლო პირი ისე დაჟანგებულიყო, თითქოს გამხმარი სისხლით ყოფილიყოს დაფარული, ტანში ჟრუანტელმა გაურბინა, რადგან ღამის პაემნები წარმოიდგინა, შეწყვეტილნი ქმრის ცივი მახვილით.

ინდოეთი და მისი რელიგიები გაცოცხლებულიყო კერპში, რომელსაც კუთხეებაწეული, პაწია ზარებით შემკული გიდელა ქუდი ეხურა და ოქროქსოვილი და აბრეშუმი ეცვა. მის გვერდით გაშლილი იყო და სანდალის სურნელებას აკმევდა ჭილოფი, მშვენიერი, როგორც ბაიადერი ქალი,* რომლის საწოლს ერთ დროს იგი წარმოადგენდა. ჩინელი გონჯა* ალმაცერი თვალებით, მრუდე პირით, მოკრუნჩხული კიდურებით მაყურებლის სულს აფხიზლებდა ამ უცნაური ერის გამოგონებით, რომელიც დაღლილა მუდმივი ერთფეროვანი მშვენიერებით და ენით გამოუთქმელ სიამოვნებას პოულობს სიმახინჯის ნაყოფიერებაში.

ბენვენუტო ჩელინის* სახელოსნოდან გამოსულმა სამარილემ ახალგაზრდა კაცი გადაიყვანა რენესანსის წიაღში - იმ ეპოქაში, როცა ხელოვნება და ავხორცობა ჰყვაოდა, როცა ხელმწიფეები თავს ირთობდნენ ადამიანების წამებით, როცა მღვდელმთავრები, რომელნიც მეძავი ქალების მკლავებზე განისვენებდნენ, უბიწოებას აკანონებდნენ უბრალო ხუცებისათვის. მან ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებანი დაინახა ერთ-ერთ კამეაზე,* პიზაროს* მიერ გამართული სასაკლაო _ შაშხანაზე, ხოლო ულმობელი, გააფთრებული, რელიგიური ომები _ მუზარადის ფსკერზე. შემდეგ, მილანოს საჭურველიდან, რომელიც საუცხოოდ მოვარაყებული იყო, ამოხეთქა რაინდთა მოცინარე სახეებმა; მათი თვალები ნათლად ჩანდა საცხვირე აწეული ზუჩებიდან.

ამ ავეჯთა, გამოგონებათა, მოდათა, ქმნილებათა, ნაშთთა ოკეანე მისთვის დაუსრულებელ პოემას წარმოადგენდა. აქ ყოველივე ცოცხლდებოდა _ ფორმები, ფერები, აზრები; მაგრამ სულს არაფერი არ ევლინებოდა დასრულებული სახით. პოეტს იმ დიდი ხელოვანის ნახაზები უნდა დაემთავრებინა, რომელსაც ეს უზარმაზარი მხატვრული დაზგა შეექმნა, სადაც ადამიანური ცხოვრების ურიცხვი შემთხვევანი უხვად და უდარდელად იყვნენ გაბნეული. რაკი ახალგაზრდა კაცმა მსოფლიო დაიპყრო, რაკი ქვეყნების, საუკუნეების, სამეფოების დათვალიერება დაასრულა, იგი ინდივიდუალურ არსებად დაუბრუნდა. იგი ხელახლა განპიროვნდა, დეტალებს დაეუფლა, პირი შეაქცია ეროვნებათა ცხოვრებას, როგორც მეტად მძიმე ასატანს ერთი განცალკევებული ადამიანისათვის.

აი, ერთ კუთხეში სანთლისგან გაკეთებულ ბავშვს ეძინა, რუიშის* მუზეუმიდან გადარჩენილს. ამ მომხიბლავმა არსებამ მისი ბავშვობის დროის ბედნიერი დღეები მოაგონა. რომელიღაც ტაიტელი ქალწულის ჯადოსნური წინსაფრის დანახვაზე მისმა ცხოველმა ფანტაზიამ ბუნების უბრალო ცხოვრება დახატა, ჭეშმარიტი უბიწოების გულუბრყვილო სიტიტვლე, სიზარმაცე, რომელიც ესოდენ თანდაყოლილი აქვს ადამიანს, შეუშფოთებელი არსებობა მეოცნებე და გრილი მდინარის ნაპირას, ბანანის ხის ქვეშ, რომელიც უშრომლად ტკბილ მანანას იძლევა. შემდეგ უცებ იგი მეკობრედ გადაიქცა, მრისხანე პოეზიაში გაეხვია, რომელიც ლარას* როლში იყო აღბეჭდილი, ათასი სადაფის ელფერით გაიმსჭვალა, მარჯნის და ძოწის ცქერით აღფრთოვანდა, მათში ზღვის ბალახის, შლამის და ატლანტიკური ქარიშხლების სუნი შეიყნოსა.

შემდეგ ნატიფ მინიატურებზე გადავიდა, ლაჟვარდოვან და ვარაყიან არაბესკებზე,* რომელიც ძვირფასი კურთხევანის ხელნაწერს ამკობდა, და დაივიწყა ზღვის მღელვარება. იგი წყნარად ირწეოდა მშვიდობიან აზრებში, ხელახლა ეუფლებოდა სწავლასა და მეცნიერებას, მიისწრაფოდა მაძღარი ბერების ცხოვრებისაკენ, რომელიც თავისუფალია როგორც მწუხარების, ისე სიამოვნებისაგან, და სენაკში წვებოდა, რათა კამარიანი ფანჯრიდან თავისი მონასტრის სათიბეების, ტყეების, ვენახებისათვის ეცქირა. ტენიერსის* სურათის წინაშე ჯარისკაცის წამოსასხამსა ან მუშის ფარატინში ეხვეოდა. მას უნდოდა ფლამანდიელების გაქონილი და გაჭვარტლული ქუდი დაეხურა, ითვრებოდა მათი ლუდით, ქაღალდს თამაშობდა მათთან ერთად და უღიმოდა სანდომიანად ჩასუქებული გლეხის დედაკაცს. იგი სიცივისაგან კანკალებდა, როცა მიერისის ტილოზე თოვლის ფანტელებს ხედავდა, საომრად ემზადებოდა, როცა სალვატორ როზას* ტილოზე ბრძოლის სურათს უცქეროდა. ეალერსებოდა ილინოისის ტომაჰავკს* და გრძნობდა იროკეზების* ბასრ შაშარს, რომელიც მას თითქოს თავის ქალაზე ტყავს აძრობდა. აღტაცებული უცქეროდა ფანდურს და ხელში აძლევდა ციხე-კოშკის სეფექალს, რათა დამტკბარიყო მელოდიური რომანსით, ხოლო, თავის მხრივ, სიყვარული გაემჟღავნებინა გოთური ბუხრის წინ, ბინდბუნდში, რომელიც ფარავდა ქალის თანამგრძნობ შეხედვას. იგი ებღაუჭებოდა ყველა სიხარულს, იჭერდა ყველა ტანჯვას, ეუფლებოდა არსებობის ყველა სახეს და ისე ხელგაშლილად აბნევდა თავის ცხოვრებას და თავის გრძნობებს ამ მხატვრული და ცარიელი ბუნების მოჩვენებებზე, რომ თვით მისი საკუთარი ნაბიჯების ხმა მის სულში შორეული ქვეყნის გამოხმაურებასავით გაისმოდა, როგორც პარიზის ხმაური გაისმის ღვთისმშობლის ტაძრის კოშკებზე.

შინაგანი კიბით ზედა სართულზე ავიდა და დაინახა, რომ ყოველი საფეხურის გასწვრივ კედელზე ჰკიდია ან ძირს აწყვია შეწირული ფარები, საჭურველი, მოჩუქურთმებული სკივრები, ხის ფიგურები. დევნილნი უცნაური სახეებით, ფანტასტიკური ქმნილებებით, რომელნიც სიკვდილის და სიცოცხლის მიჯნაზე იმყოფებოდნენ. იგი ჯადოსნურ და გულისწამღებ სიზმარში მიაბიჯებდა. ბოლოს, თავის არსებობაშიც კი ეჭვი შეუვიდა და ამ ახირებულ საგნებს დაემსგავსა არც სავსებით მკვდართ, არც სავსებით ცოცხალთ. როცა ახალ დარბაზებში შევიდა, უკვე ღამდებოდა, მაგრამ სინათლე თითქოს საჭირო არ იყო ამ ოქრო-ვერცხლით მოელვარე სიმდიდრისათვის, რომელიც იქ იყო დაგროვილი. ამ ადამიანურ სიგიჟეთა ფართო ბაზარზე დახვავებული იყო ჟინის თუ ოცნების უძვირფასესი საგნები; მათ ერთ დროს, ალბათ, მფლანგველები ფლობდნენ, რომელნიც მილიონებს ხარჯავენ და, ბოლოს, მანსარდებში ან სარდაფებში იხოცებიან. საწერელი, რომელიც ასი ათას ფრანკად იყო ნაყიდი, რათა შემდეგ ას სუდ გაყიდულიყო, განისვენებდა საიდუმლო ბოქლომის გვედით, რომლის ფასი თავის დროზე საკმაო იქნებოდა დატყვევებული მეფის გამოსასყიდად. აქ ადამიანური გენია ცხადდებობდა მთელი თავისი სიდუხჭირის მედიდურობით, მთელი თავისი უზარმაზარი წვრილმანების შარავანდედით. შავი ხის ტაბლა, ხელოვანის ნამდვილი სათაყვანებელი კერპი, რომელიც ჟან გუჟონის* ნახაზების მიხედვით იყო მოჩუქურთმებული და ერთ დროს, ალბათ, რამდენიმე წლის მუშაობად დაჯდა, შეიძლება შეშის ფასად იყო შეძენილი. აქ ერთ გროვად ეყარა ძვირფასი ზარდახშები, ფერიების ხელით გაკეთებული სავარძლები და სკამები.

_ თქვენ აქ მილიონები გქონიათ, _ წამოიძახა ახალგაზრდამ, როცა უკანასკნელ ოთახს მიაღწია, სადაც თავდებოდა ამ უთვალავი დარბაზების რიგი, რომლის კედლები მეთვრამეტე საუკუნის ხელოვანთა მიერ იყო მოვარაყებული ან მოჩუქურთმებული.

_ უკეთ ვთქვათ, მილიარდები, _ უპასუხა ჩასუქებულმა, გაჟინჟღილებულმა ნოქარმა, _ მაგრამ ეს კიდევ არაფერია, მესამე სართულზე ადით, იქ მეტს ნახავთ!

უცნობი თავისი გზის მაჩვენებელს გაჰყვა და მეოთხე გალერეას მიაღწია, სადაც მის მოქანცულ თვალთა წინ რიგრიგად გაიარეს ნიკოლა პუსენის* სურათებმა, კლოდ ლორენის* მომხიბლავმა პეიზაჟებმა, მიქელანჯელოს დიდებულმა ქანდაკებამ, გერარდ დოუს* ტილომ, რომელიც სტერნის წიგნის გვერდს ჰგავდა, რემბრანდტის, მურილიოს,* ველასკეზის* მჭმუნვარე და ფერადებით გამაძღარმა სურათებმა, რომელნიც ბაირონის პოემას მოგვაგონებდნენ. შემდეგ ანტიკურმა ბარელიეფებმა, აქატის თვალის ჯარებმა,

გასაოცარმა ფრცხილის ქვის ჭურჭელმა!.. ეს ისეთი ნაწარმოებნი იყვნენ, რომ შეიძლებოდა ადამიანისთვის შრომა შეეძულებინათ, ისეთი შედევრები, რომ შეეძლოთ ზიზღი გამოეწვიათ ხელოვნებისადმი, მოეკლათ ყოველივე აღფრთოვანება.

მან მიაღწია რაფაელის ქალწულს, მაგრამ მოწყენილი ჰქონდა რაფაელი; კორეჯოს* მიერ დახატულ ფიგურას მისი თვალის მიზიდვა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო. ძლივს გაღიმება აღირსა ანტიკური მოწეული ქვის ფასდაუდებელ ლარნაკს, რომლის რელიეფები რომაული ავხორცობის მეტად აღვირახსნილ გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიმე კორინეს* მსგავსი ქალის გასართობს. მას სული ეხუთებოდა გარდასული ორმოცდაათი საუკუნის ნანგრევების ქვეშ, იგი თავს ავად გრძნობდა ამ ადამიანური აზრების წყალობით, მოკლული იყო ფუფუნებისა და ხელოვნების მიერ, მოდრეკილი იყო ამ აღორძინებული ფორმების ქვეშ, რომელნიც თითქოს რაღაც ბოროტ სულს წარმოეშვა და მას დაუსრულებლად ხმალში იწვევდა საბრძოლველად.

თანამედროვე ქიმიის მსგავსად, რომელსაც სამყარო გაზიდან გამოჰყავს, განა სულიც საშინელ საწამლავს არ ქმნის თავის სიხარულთა, ძალთა და იდეათა კონცენტრაციით? განა მრავალ ადამიანს არ ღუპავს რომელიმე ზნეობრივი მჟავა, რომელიც მოულოდნელად იღვრება მთელ მათ შინაგან არსებაში?

_ რა არის ამ ყუთში? _ იკითხა მან, როცა დიდ კაბინეტში შევიდა, ადამიანური დიდების, ღვაწლის, ორიგინალობის, სიმდიდრის უკანასკნელ სამკვიდროში და მოზრდილი ოთხკუთხედი ურთხელის ზარდახშას მიუთითა, ლურსმანზე ჩამოკიდებულს ვერცხლის ჯაჭვით.

_ აჰ! ამის გასაღები პატრონს აქვს, _ თქვა ნოქარმა იდუმალი გამომეტყველებით. _ თუ ამ სურათის ნახვა გნებავთ, არ დაგზარდებით და ჩემი პატრონის შეწუხებას გავბედავ.

_ გაბედავთ? _ გაკვირვებით იკითხა ახალგაზრდა კაცმა. _ განა თქვენი ოსტატი დიდგვაროვანი თავადია?

_ როდი ვიცი, _ უპასუხა ნოქარმა.

ისინი ერთ წუთს გაკვირვებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს, შემდეგ ნოქარმა უცნობის დუმილი სურვილის ნიშნად მიიჩნია და კაბინეტიდან გავიდა.

* * *

გადაჭრილხართ თუ არა ოდესმე, კიუვიეს* გეოლოგიური ნაწერების კითხვის დროს სივრცის და დროების დაუსრულებლობაში? გაუტაცნიხართ თუ არა მის გენიას, რათა,

როგორც ჯადოქრის ხელზე დაყრდნობილს, წარსულის უსაზღვრო უფსკრულზე გენავარდათ? ჩვენი სული ფენიდან ფენაზე, ზოლიდან ზოლზე გადადის და მონმარტრის ქვების ნამტვრევების, ურალის ფიქალის ქვეშ წარღვნის წინადროინდელი ეპოქების ცხოველების ჩონჩხს აჩენს. სული შეძრწუნებულია მილიარდი წლებით, მილიონი ერებით, რომელნიც სუსტ ადამიანურ მახსოვრობას, დაურღვეველ ღვთაებრივ გადმოცემას დავიწყნია და რომლის ფერფლი ჩვენი დედამიწის ნიადაგის თხელ ზედაფენას შეადგენს, ჩვენი პურისა და ყვავილების მასაზრდოებელს. განა კიუვიე უდიდესი პოეტი არაა ჩვენს საუკუნეში? მართალია, ლორდ ბაირონმა სიტყვებში ზოგიერთი ზნეობრივი მღელვარება გადმოსცა, მაგრამ ჩვენმა უკვდავმა ბუნებისმეტყველმა მთელი მსოფლიო აღადგინა გადარეცხილი ძვლების შემწეობით, კადმოსის* მსგავსად ქალაქები ააგო კბილების შემწეობით, ქვანახშირის ნამტვრევების წყალობით ტყეები დაასახლა ზოოლოგიის საიდუმლოებით, ბუმბერაზების თაობანი აღმოაჩინა მამონტის ფეხის შემწეობით. ეს ფიგურები წელში იმართებიან, იზრდებიან და ავსებენ ქვეყნებს, რომელნიც შეთანხმებულნი არიან მათ ახოვნობასთან. იგი პოეტია თავის ციფრებში, დიდებულია, როცა ნულს სვამს შვიდის გვერდით, ჯადოქრული სიტყვების წარმოუთქმელად არყოფნას აღვიძებს; თხრის თაბაშირის ნატეხს, ზედ ანაბეჭდს ხედავს და გეძახით: _ შეხედეთ! უცებ მარმარილოებს სული ჩაედგმით, სიკვდილი გაცოცხლდება, მთელი მსოფლიო გადაიშლება!

დევისებურ არსებათა ურიცხვი დინასტიებისა, თევზების რასებისა და ლოკოკინების გვარების ბოლოს ადამიანის მოდგმა მოდის, რომელიღაც დიდებული, შეიძლება თვით შემოქმედის მიერ შემუსვრილი ტიპის გადაგვარებული ნაყოფი. ამ ბეჩავ ადამიანებს, რომელნიც გუშინ დაბადებულან, შეუძლიათ ქაოსი გადალახონ, დაუსრულებელი ჰიმნი თქვან და სამყაროს წარსული წარმოიდგინონ ერთგვარ უკანმიბრუნებულ აპოკალიპსში. როცა ამ შემაძრწუნებელ აღდგომას წარმოვიდგენთ, შესაბრალისად გვეჩვენება ის ნამცეცი, ის წუთისოფელი, რომელიც ჩვენ გვაქვს დათმობილი ამ ენით გამოუთქმელ დაუსრულებლობაში, ჩვენ მიერ **დროდ** წოდებულში, განადგურებული ვართ ამდენი სამყაროს ნანგრევებით და ვკითხულობთ _ რა საჭიროა ჩვენი დიდება, ჩვენი სიძულვილი, ჩვენი სიყვარული? ნუთუ მისაღებია ცხოვრების ტანჯვა, თუკი გვიწერია უხილავ წერტილად ვიქცეთ მომავალში? აწმყოდან ფესვებამოვარდნილი ჩვენ მკვდრები ვართ იმ დრომდე, როცა ლაქია შემოვა და გვეტყვის: მისი ბრწყინვალება გრაფის მეუღლე გითვლით, გელითო!

საოცრებებმა, რომელნიც ახალგაზრდა კაცს ჩვენ მიერ შეცნობილი სამყაროს ცქერამ გაუმხილა, მისი სული ისე დაამძიმა, როგორც ფილოსოფოსს უცნობ ქმნილებათა მეცნიერული განხილვა ამძიმებს; სიკვდილი წინანდელზე მეტად მოსწყურდა, კურულურ* სავარძელში ჩაჯდა და თვალებს ნება მისცა, წარსულის პანორამის მოჩვენებათა შორის ეხეტიალა. მხატვრული სურათები განათდნენ, ქალწულთა სახეებმა გაუცინეს, ხოლო ქანდაკებებმა მოჩვენებითი სიცოცხლის ფერები შეიძინეს. ბინდბუნდში გახვეულნი, აცეკვებულნი მისი დამტვრეული ტვინის ციებ-ცხელებით, ეს ნაწარმოებნი ამოძრავდნენ და კორიანტელივით დატრიალდნენ მის წინაშე; ყოველი ფაიფურის გონჯა მას ეღმანჭებოდა, ტილოებზე გამოხატული სახეები თვალს ახამხამებდნენ. თითოეული ეს ფორმა ათრთოლდა, შეხტა, თავის ადგილს მოშორდა მძიმედ თუ მსუბუქად, კოხტად თუ მოსხლეტილად, თავისი ხასიათის, ზნე-ჩვეულებისა და აგებულების მიხედვით. ეს იყო მისტიკური კუდიანობის ღამე, ღირსი დოქტორ ფაუსტის მიერ ბროკენზე* დანახული მოჩვენებებისა.

მაგრამ ამ ოპტიკურ მოვლენებს, წარმოშობილთ დაღლილობით, მხედველობის ძალდატანებითა თუ მწუხრის ლანდებით, არ შეეძლოთ უცნობი ჭაბუკი შეეშინებინათ. სიცოცხლის საშინელებანი უძლურნი იყვნენ სიკვდილითან შეთვისებული სულის მიმართ. მის გარშემო ისეთი ღრმა დუმილი მეფობდა, რომ ჩქარა იგი ტკბილ ოცნებას მიეცა; შთაბეჭდილებანი თანდათან ბნელი ხდებოდნენ; მათი ელფერი რაღაც ჯადოქრობის ზეგავლენით იცვლებოდა დაღამებასთან ერთად. თითქო სინათლე ზეცას მოსწყდა და უკანასკნელი წითელი ლამპარი აანთო ღამესთან ბრძოლაში; უცნობმა თავი ზემოთ ასწია და ოდნავ განათებული ჩონჩხი დაინახა, იგი თავს აქნევდა მარჯვნიდან მარცხნივ, თითქო უნდოდა ეთქვა _ მიცვალებულნი ჯერ კიდევ არ გელიანო. ყმაწვილმა შუბლზე ხელი გადაისვა, რათა გამოფხიზლებულიყო და გარკვევით იგრძნო გრილი სიო, წარმოშობილი რაღაც ბანჯგვლიანი არსების მიერ, რომელიც მის ლოყას შეეხო; ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მინებმა ყრუდ დაიწკარუნეს, მან იფიქრა, ეს საფლავის საიდუმლოებათა მაგვარი ცივი ალერსი ღამურას მიერ უნდა იყოს გამოწვეულიო. ორიოდე წუთის განმავლობაში დაისის ბინდბუნდი მას კიდევ ნებას აძლევდა მოჩვენებანი გაერჩია თავის გარშემო. შემდეგ მთელი ეს მკვდარი ბუნება წყვდიადმა მოიცვა. უცებ მოვიდა ღამე, ჟამი, როცა იგი უნდა მომკვდარიყო.

ამ წუთიდან კიდევ კარგა ხანმა განვლო; ამ დროის განმავლობაში მას არავითარი ნათელი წარმოგენა არ ჰქონია ქვეყნის საგნებზე, შეიძლება იმიტომ, რომ ღრმა ოცნებაში

იყო ჩაფლული, შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ თავი მისცა რულს, გამოწვეულს დაღლილობითა და გულის გამგმირავი აზრებით. უცებ საშინელი ხმა მოესმა და ცახცახმა აიტანა: თითქო ციებ-ცხელების ბოდვის დროს ის მოსხლეტილიყოს და უფსკრულში გადავარდნილიყოს. თვალები დახუჭა, რადგან ცხოველი სინათლის სხივები თვალს სჭრიდნენ; წყვდიადში მოწითალო წრე დაინახა, მის ცენტრში პატარა ბერიკაცი იმყოფებოდა, იგი იდგა და მისკენ მომართავდა სანათურს. მას არ გაუგონია არც ბერიკაცის მოსვლა, არც ლაპარაკი, არც მოძრაობა. ეს რაღაც მისნური ხილვა იყო. უეჭველია, უმამაცეს ვაჟკაცსაც შეაშფოთებდა ამ პიროვნების დანახვა. იგი თითქო მეზობელ სარკოფაგიდან იყო ამოსული. ამ მოჩვენების თვალებს საოცარი ახალგაზრდული იერი ჰქონდა, ამ გარემოებამ ყმაწვილი კაცი დაარწმუნა, ბუნებრივ მოვლენასთან უნდა მქონდეს საქმეო. ამისდა მიუხედავად, იმ მოკლე დროში, რომელიც მის სიზმრისებურ ცხოვრებას მისი რეალური ცხოვრეიბდან ჰყოფდა, იგი დარჩა დეკარტის მიერ ნარჩევ ფილოსოფიური ეჭვიანობის მდგომარეობაში და თავისდა უნებურად დაემორჩილა იმ აუხსნელი ჰალუცინაციების ძალას, რომელთა საიდუმლოებანი განკიცხულია ჩვენი ქედმაღლობის მიერ, თუმცა მათი ანალიზის გაკეთებას ამაოდ ცდილობს ჩვენი მეცნიერება.

წარმოიდგინეთ პატარა ტანის გამხდარი ბერიკაცი, რომელსაც შავი ხავერდის ხალათი აცვია და აბრეშუმის ზონარი არტყია. შავი ხავერიდსავე ჩაჩი მკაცრ ხაზს ავლებდა შუბლზე და სავსებით ვერ ფარავდა ჭაღარა თმის კულულებს. ხალათი სხეულს გარს ისე ეხვია, თითქო ფართო სუდარა ყოფილიყოს, არავითარი ადამიანური ნაკვთი არ ჩანდა, გარდა ვიწრო და ფერმკრთალი პირისახისა. თუ ბერიკაცს წინ გაძვალტყავებული, ქსოვილით დაფარული ჯოხის მსგავსი ხელი არ გაეწია და ჭაბუკისათვის თვალებში სანათური არ მიენათებინა, მისი სახე ჰაერში ჩამოკიდებულს ემგვანებოდა. ამ ახირებული არსების ნიკაპს ჭაღარა წვეტიანი წვერი ფარავდა, იგი მას იმ ებრაულ თავებს ამსგავსებდა, რომელთაც მხატვრები იყენებენ მოსე წინასწარმეტყველის დასახატავად. ისეთი ჩატეტკილი, ისეთი თხელი ტუჩები ჰქონდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება იყო საჭირო, რათა კაცს მის გადათეთრებულ სახეზე პირის მოხაზულობა აღმოეჩინა. მისი ფართო და დანაოჭებული შუბლი, მის უფერული, ჩავარდნილი ლოყები, მისი უწამწამო, უწარბო, მომწვანო თვალების მკაცრი გამომეტყველება ადამიანს აფიქრებინებდა, გერარდ დოუს სურათი «ოქროს ამწონელი» გადმოსულა ჩარჩოდანო. ინკვიზიტორის ცბიერება ჩანდა მისი სახის ნაკვთებსა, მისი საფეთქლის ნაოჭებში; ნათლად ეტყობოდა, ცხოვრებაში დიდად გამობრძმედილი უნდა ყოფილიყო. ამ ადამიანის მოტყუება შეუძლებელი უნდა

ყოფილიყო, იგი თითქოს გულთამხილაობის ნიჭით იყო აღჭურვილი. მის გაცივებულ სახეზე ყველა ეროვნების ზნე-ჩვეულება და სიბრძნე იყო თავმოყრილი, როგორც მის მტვრიან საწყობებში მთელი მსოფლიოს ნაწარმოები იყო დახვავებული. თქვენ ამ სახეზე ამოიკითხავდით ყოვლისმხედველი ღმერთის ნათელ სიწყნარეს ან ყოვლისმნახველი ადამიანის ქედმაღლობას. მხატვარს შეეძლო მისთვის ორი სხვადასხვაგვარი გამომეტყველება მიეცა და ორიოდე ხაზის მოსმით ეს სახე ან მამა ღმერთის მშვენიერ ხატად ექცია ან მეფისტოფელის დამცინავ ნიღბად, იმიტომ რომ ერთსა და იმავე დროს მის შუბლზე უზენაესი ძლიერება იყო აღბეჭდილი, ხოლო მის ტუჩებზე მჭმუნვარე მქირდაობა. ამ კაცს თავისი უზარმაზარი ძალ-ღონით თითქო ყოველი ადამიანური ტანჯვა დაელეწა, მაგრამ, ამასთანავე, ყოველი ქვეყნიური სიამოვნებაც მოეკლა. შეშფოთებულმა მომაკვდავმა ჭაბუკმა იგრძნო რომ ეს ბებერი გენია ბინადრობდა სფეროში, რომელიც დაშორებული იყო ქვეყნიერებას და მარტოდმარტო ცხოვრობდა, მოკლებული სიხარულს, იმიტომ რომ განძარცული ყო ილუზიებისაგან და მოკლებული მწუხარებას, იმიტომ რომ განძარცული იყო სიამოვნებისაგან. მოხუცი ფეხზე იდგა უძრავად, შერუყევლად, როგორც ვარსკვლავი სხივოსან ღრუბლებს შორის. მისი მწვანე თვალები, აღსავსე რაღაც წყნარი ცბიერებით, თითქო ანათებდნენ მორალურ სამყაროს, როგორც მისი სანათური ამ საიდუმლო ოთახს ანათებდა.

ასეთი იყო უცნაური სანახაობა, რომელმაც ყმაწვილი კაცი გააოცა, როცა მან თვალები გაახილა სიკვდილისა და მოჩვენებების მიერ ნარწევ აკვანში. თუ იგი გარეტიანებული დარჩა, თუ იგი ზღაპრებით დაშინებულ ბავშვების შესაფერ რწმენას დაექვემდებარა, ეს შეცდომა იმ ბურუსს უნდა მიეწეროს, რომელიც მის გონებას მისმა ფიქრებმა გადააფარა, აგრეთვე მისი ნერვების გაღიზიანებას და მძაფრ დრამას, რომლის სცენებმა მას ასეთი მკაცრი სიამოვნება მიანიჭა, თითქო ბანგი მოეწიოს. ამ ხილვას ადგილი ჰქონდა პარიზში, ვოლტერის* სანაპირო ქუჩაზე, მეცხრამეტე საუკუნეში, ისეთ დროსა და გარემოებაში, სადაც მისნობა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ყმაწვილი კაცი იმ სახლის მეზობლად იმყოფეობდა, სადაც ფრანგული ურწმუნოების ღმერთი _ ვოლტერი გარდაიცვალა, იგი გელიუსაკის* და არაგოს* მოწაფე იყო, ზიზღით უცქეროდა ხელისუფლების მპყრობელთა ჯამბაზობას; უეჭველია, იგი მხოლოდ იმ პოეტურ ჯადოქრობას დაემორჩილა, რომელსაც ჩვენ ხშირად ვნებდებით, რათა თავი დავაღწიოთ სასოწარკვეთილ ჭეშმარიტებათ, რათა ღვთის ყოვლისშემძლეობა ვაცთუნოთ. და აი, მას თრთოლვა დააწყებინა ამ სინათლისა და ამ მოხუცის წინაშე, აღელდა რაღაც უცხო ძალის

გაურკვეველი წინათგრძნობით. მაგრამ ეს გრძნობა იმას ჰგავდა, რომელიც ყველას განგვიცდია ნაპოლეონის ან სხვა რომელიმე გენიოსობით გაბრწყინებული და დიდებით შემოსილი ადამიანის წინაშე.

_ თქვენ გნებავთ, ბატონო, რაფაელის მიერ დახატული იესო ქრისტე იხილოთ? _ ზრდილობიანად ჰკითხა მოხუცმა ლითონისებური წკრიალა ხმით.

და სანათური გატეხილი სვეტის ძროზე დადგა ისე, რომ მთელი სინათლე მუქ ზარდახშას მოეფინა.

იესო ქრისტეს და რაფაელის წმინდა სახელის გაგონებაზე ახალგაზრდა კაცს სახეზე ცნობისმოყვარეობა გამოეხატა, რაიცა, უეჭველია, წინასწარ ნაანგარიშევი ჰქონდა ვაჭარს, რომელმაც ზარდახშის ღილს დააჭირა ხელი. უცებ ურთხელის ფიცარი უხმოდ აიხადა და უცნობს თვალწინ წარმტაცი ტილო გადაეშალა. ამ უკვდავი შემოქმედების დანახვაზე მას დაავიწყდა ამ მაღაზიის მოჩვენებანი, თავისი სიზმრები, ხელახლა ადამიანი გახდა, ბერიკაცი ხორცშესხმულ ქმნილებად სცნო, სავსებით ცოცხალ და არაფანტასტიკურ არსებად, და თვითაც რეალურ ქვეყნიერებას დაუბრუნდა. სურათზე გამოხატული საზოგადოების ნაზმა მზრუნველობამ, წყნარმა სხივოსნობამ გავლენა იქონია მასზე, თითქო ზეცამ სურნელება შეაკმია და დაუამა ჯოჯოხეთური ტანჯვა, რომელიც ძვლებს უღრღნიდა და უწვავდა. მაცხოვრის თავი თითქო გამოდიოდა წყვდიადიდან, რომელსაც შავი ფონი ქმნიდა; სხივოსანი შარავანდედი ბრწყინავდა მისი თმის გარშემო, საიდანაც თითქო ეს სინათლე იღვრებოდა. ყოველი ნაკვთიდან მომდინარეობდა მჭევრმეტყველი რწმენა, რომელიც ამ შუბლს, ამ სხეულს ახასიათებდა. ალისფერი ტუჩები მზად იყვნენ ცხოვრების სიტყვა წარმოეთქვათ და მაყურებელი მის ღვთაებრივ გამოხმაურებას ეძებდა ჰაერში, მომხიბლავ იგავებს ეკითხებოდა დუმილს, მისი სიტყვა ესმოდა მომავალში, მის სწავლა-დარიგებას პოულობდა წარსულში. სახარება გადმოცემული იყო ღვთაებრივი თვალების მშვიდი უბრალოებით. ამ თვალებში თავშესაფარს პოულობდნენ შეშფოთებული სულები. ერთი სიტყვით, მთელი კათოლიკური რელიგიის წაკითხვა შეიძლებოდა მომხიბლავ და დიდებულ ღიმილში, რომელიც თითქო ამ რელიგიის არსების შეჯამების გამოხატულებას წარმოადგენდა: გიყვარდეთ ერთმანეთი! ეს სურათი ლოცვის სურვილს იწვევდა, პატიებას გვასწავლიდა, ეგოიზმს ახშობდა, ყველა მიძინებულ სათნოებას აღვიძებდა. რაფაელის ნაწარმოებს მუსიკის მომხიბლავი ძალა ჰქონდა, იგი მოგონებათა ხელმწიფებას ამყარებდა და მისი გამარჯვება იმდენად სრული იყო, რომ

მაყურებელი მხატვარს ივიწყებდა. სინათლის მომხიბლაობა კიდევ უფრო აძლიერებდა ამ სასწაულის ზემოქმედებას: ხანდახან გეგონებოდათ, თავი მოძრაობს ღრუბლებშიო!..

_ მე ამ სურათში მისი წონა ოქრო მივეცი, _ თქვა ცივად ვაჭარმა.

_ მაშ ასე, სიკვდილი აუცილებელია! _ წამოიძახა ახალგაზრდა კაცმა, გამოფხიზლებულმა ოცნებიდან, რომლის უკანასკნელმა აზრმა იგი შეუმჩნეველი დასკვნებით უკანასკნელ იმედს დააშორა და საბედისწერო აუცილებლობამდე მიიყვანა.

_ აჰ, აჰ! საბუთი მქონია, რომ შენ გიფრთხოდი, _ უპასუხა ბერიკაცმა, რომელმაც ახალგაზრდა კაცს ხელი მაგრად ჩასჭიდა ორივე მაჯაში და მუხრუჭივით მოუჭირა.

უცნობმა სევდიანად გაიღიმა ამ გაუგებრობის გამო და წყნარი ხმით თქვა: _ ეჰ, ბატონო, ნურაფრის გეშინიათ, საკითხი ეხება ჩემს სიცოცხლეს და არა თქვენსას. რატომ არ უნდა ვაღიარო გულუბრყვილო თაღლითობა, _ განაგრძო მან და შეშფოთებულ ბერიკაცს შეხედა. _ დაღამების მოლოდინში, როცა წყალში თავის დახრჩობა შემეძლება უსკანდალოდ, აქ მოვედი თქვენი განძის დასათვალიერებლად. ვინ არ აპატიებს ამ უკანასკნელ სიამოვნებას მეცნიერების და პოეზიის ადამიანს?

ეჭვიანი სოვდაგარი გამჭრიახი თვალით ზომავდა თავისი ყალბი მუშტრის მოწყენილ სახეს და ამასთანავე ყურს უგდებდა მის ლაპარაკს. იგი მაშინვე დაამშვიდა ამ შეწუხებული ხმის ტონმა. შეიძლება ყმაწვილი კაცის ფერწასულ სახეზე სწორედ ის პირქუში ბედისწერა ამოიკითხა, რომელმაც დილით მოთამაშეები შეაშფოთა, ყოველ შემთხვევაში, ხელი შეუშვა; მაგრამ ეჭვიანობის ზეგავლენით, რომელიც საუკუნეობრივ გამოცდილებაზე იყო დაყრდნობილი, მან ძალაუნებურად ხელი გასწია კიდობანისკენ, თითქო მასზე დაყრდნობა სდომებოდეს, და იქიდან სტილეტი ამოიღო.

_ ალბათ, სამი წელიწადია ხაზინაში მსახურობთ შტატს გარეშე და დღემდე ჯამაგირი არ დაუნიშნავთ, _ თქვა მან.

უცნობმა თავი ვერ შეიკავა ღიმილისაგან და თავი გაიქნია უარყოფის ნიშნად.

_ შეიძლება მამათქვენმა ბევრი საყვედური გითხრათ ქვეყნად გაჩენისათვის ან რითიმე თავი შეირცხვინეთ?

_ თავის შერცხვენა რომ მდომებოდა, კიდევ ვიცოცხლებდი.

_ თქვენთვის ჯამბაზების თეატრში ხომ არ უსტვენიათ, ან იძულებული ხომ არ ხართ კუპლეტები შეთხზათ, რათა თქვენი საყვარლის დასაფლავების ხარჯები დაფაროთ? უფულობით ხომ არ ხართ დასნეულებული? მოწყენილობის დამარცხება და ტახტიდან ჩამოგდება ხომ არ გსურთ? თქვით, რა შეცდომა გიწვევს სიკვდილისკენ.

_ ნუ ეძებთ ჩემი სიკვდილის საფუძველს იმ ჩვეულებრივ მოსაზრებათა შორის, რომლებიც თვითმკვლელობას იწვევს უმეტეს შემთხვევაში, რათა ვალდებული არ ვიქნე გაგიმხილოთ ის გაუგონარი ტანჯვა, რომლის გამოთქმა ადამიანურ ენაზე მეტად ძნელია. გეტყვით, რომ ყველაზე ღრმა, უხამს, გულის გამგმირავ სიდუხჭირეს განვიცდი. და, _ დაუმატა მან ტონით, რომლის ველური სიამაყე ეწინააღმდეგებოდა მის ახლად წარმოთქმულ სიტყვებს, _ მე არ მინდა არც დახმარების, არც ნუგეშის თხოვნა.

_ ეჰ, ეჰ! _ ეს ორი მარცვალი, რომელიც ბერიკაცმა წარმოთქვა ყოვლივე პასუხის მაგივრად, სატკაცუნას ხმას ჰგავდა. შემდეგ მან განაგრძო:

_ მე არ მინდა რისმე თხოვნა გაიძულოთ, არ მინდა გაგაწითლოთ, არ მინდა საფრანგეთის სანტიმი, ლევანტის* ფარა, სიცილიის ტარენი, გერმანიის კროიცერი, რუსეთის კაპიკი, შოტლანდიის ფარტინგი, ძველი ქვეყნის სესტერცი თუ ობოლი ან ახალი ქვეყნის პიასტრი მოგცეთ, არ გთავაზობთ არც ოქროს, არც ვერცხლს, არც სპილენძს, არც ქაღალდს, მაგრამ უფრო გაგამდიდრებთ, უფრო ძლიერსა და გავლენიანს გაგხდით, ვიდრე რომელიმე კონსტიტუციური მეფეა.

ახალგაზრდა კაცს ეგონა, მოხუცი ბავშვობაში ჩავარდნილაო, გარინდებული იყო და პასუხის გაცემას ვერ ბედავდა.

_ უკან მობრუნდით, _ უთხრა ვაჭარმა და სანათური აიღო, რათა კედელი გაენათებინა, _ და შეხედეთ ამ შაგრენის ტყავს.

ყმაწვილი წამოიჭრა და ცოტა არ იყოს გაოცებული დარჩა, როცა დაინახა, რომ მისი სავარძლის უკან კედელზე მელიის ტყავისოდენა შაგრენი იყო ჩამოკიდებული, მაგრამ რაღაც პირველი შეხედვით აუხსნელი მიზეზის წყალობით ეს ტყავი ისეთ სხივებს ჰფენდა მაღაზიის წყვდიადს, რომ ადამიანს კუდიანი ვარსკვლავი ეგონებოდა. ურწმუნო ყმაწვილი მიუახლოვდა ამ საეჭვო თილისმას, რომელსაც იგი ყოველი უბედურებისაგან უნდა დაეხსნა და თავის გულში დასცინა მას. მაგრამ ადვილად გასაგები ცნობისმოყვარეობის ზეგავლენით იგი დაიხარა, რათა ეს ტყავი ყოველი მხრიდან დაეთვალიერებინა და მაშინვე მისი საოცარი სხივოსნობის ბუნებრივი მიზეზი აღმოაჩინა. შაგრენის შავი მარცვალი ისე კარგად იყო გადალესილი და გამოწრთობილი, მისი თავისებური ზოლები ისეთი სუფთა და გაკრიალებული იყო, რომ იაგუნდის წახნაგების მსგავსად, ამ აღმოსავლეთური ტყავის ყოველი ბურთულა სინათლის ანარეკლს იძლეოდა. ჭაბუკმა მოხუცს მათემატიკურად აუხსნა ამ მოვლენის მიზეზი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ ეშმაკური ღიმილით გასცა პასუხი. ამ უპირატესობის მაჩვენებელმა გაღიმებამ ახალგაზრდა მეცნიერს აფიქრებინა,

რომ წუთში რაღაც თვალთმაქცობის მსხვერპლი უნდა ვიყოო. მას არ უნდოდა კიდევ ერთი ზედმეტი საიდუმლოება ჩაეტანა საფლავში და ტყავი უცებ გადაატრიალა, როგორც ბავშვმა, რომელიც თავისი ახალი სათამაშოს საიდუმლოების გაგებას ჩქარობს.

_ აჰ, აჰ! _ წამოიძახა მან, _ აი ბეჭდის ნიშანი, რომელსაც აღმოსავლეთში სოლომონის ბეჭედს* უწოდებდნენ.

_ განა ამ ნიშანს იცნობთ? _ ჰკითხა სოვდაგარმა და ნესტოებიდან ორჯერ თუ სამჯერ ჰაერის ტალღა გამოუშვა, რითაც მეტი აზრები გადმოსცა, ვიდრე უმჭევრმეტყველესი სიტყვებით შეიძლებოდა გადმოცემულიყო.

_ არსებობს თუ არა დედამიწის ზურგზე ისეთი მიამიტი ადამიანი, რომელიც ამ ქიმერას დაიჯერებს? _ წამოიძახა ყმაწვილმა, შეურაცხყოფილმა ამ უსიტყვო და დამცინავი ხმით. _ განა თქვენ არ იცით, რომ ამ ვითომდა საზღაპრო ძლიერების მომნიჭებელი ნივთის იდუმალი ფორმა და მაცდური ხასიათი აღმოსავლეთის ცრუმორწმუნეობითაა ნაკურთხი? ამგვარივე გულუბრყვილობა იქნებოდა, რომ სფინქსებსა და გრიფონებზე* მელაპარაკა, მათი არსებობაც რამდენადმე მისაღებია მითოლოგიური გაგებით.

_ რადგან ორიენტალისტი ყოფილხართ, _ განაგრძო ბერიკაცმა, _ შეიძლება ეს გამოთქმა წაიკითხოთ.

მან სანათური მიიტანა ზედ თილისმასთან, რომელიც ყმაწვილს ხელში ეჭირა პირგადაბრუნებული, და ყურადღება მიაქცევინა წარწერას, რომელიც ამ გასაოცარ ტყავზე ისე იყო აღბეჭდილი, თითქო თვით მისი მატარებელი ცხოველის მიერ ყოფილიყო შექმნილი.

_ უნდა გამოვტყდე, _ წამოიძახა უცნობმა ყმაწვილმა, _ ვერ გამიგია, რა საშუალებით აღბეჭდეს ასოები ასე ღრმად კანჯარის ტყავზე.

იგი უკან მობრუნდა ძველებური ნივთებით დატვირთული მაგიდებისაკენ და თვალით რაღაცის ძებნა დაიწყო.

_ რა გნებავთ? _ ჰკითხა ბერიკაცმა.

_ იარაღს ვეძებ შაგრენის მოსაფხეკად, რათა დავინახო _ ეს წარწერა ამოჭრილია თუ აღბეჭდილი.

მოხუცმა თავისი სტილეტი გადასცა. ყმაწვილმა სცადა ტყავი იმ ადგილას მოეფხიკა, სადაც ასოები ეწერა; მაგრამ როცა ტყავი ოდნავ გადაფხიკა, ასოები ისე ნათლად გამოჩნდნენ, წარწერა ისე უცვლელი დარჩა, რომ მან იფიქრა _ არაფერი ამიფხეკიაო.

_ ლევანტის მრეწველობას თავისი საიდუმლოებანი აქვს, _ წარმოთქვა მან და ამ აღმოსავლეთურ გამოთქმას რაღაც შეშფოთებით შეხედა.

_ ჰო, _ უპასუხა მოხუცმა, _ უმჯობესია, ყოველივე ადამიანებს დავაბრალოთ, ვიდრე ღმერთს.

საიდუმლო სიტყვები შემდეგნაირად იყო დაწყობილი და თარგმანში შემდეგს ნიშნავდა:

(აქ ჯდება სანსკრიტული თუ არაბული წარწერები)

თუ მე მფლობ, ყოველივეს მფლობელი იქნები. მაგ-
რამ შენი ცხოვრება ჩემი იქნება. ღმერთმა ასე
ინება. ისურვე და შენი სურვილები შენს
ცხოვრებას შეუფარდე. ეს ცხოვრება
აქ არის. ყოველი შენი სურვილის
მიხედვით მე ისევე შევმცირდე-
ბი, როგორც შენი დღეები
შემცირდებიან. გინდი-
ვარ თუ არა? ღმერ-
თი გაიგონებს.
აღსრულდეს.

_ აჰ! თქვენ თავისუფლად კითხულობთ სანსკრიტულს,* _ თქვა ბერიკაცმა . _ შეიძლება ირანში გიმოგზაურიათ ან ბენგალიაში?

_ არა, ბატონო, _ უპასუხა ახალგაზრდა კაცმა და თითებით გასინჯა ეს სიმბოლური ტყავი, რომელიც ლითონივით ძნელი მოსადრეკი იყო.

ბებერმა სოვდაგარმა სანათური უკანვე დადგა სვეტზე და ყმაწვილს ცივი ორნიით შეხედა, თითქო უნდოდა ეთქვა, ახლა აღარ ფიქრობს თავის მოკვლასო.

_ ეს ხუმრობაა? ეს საიდუმლოებაა? _ იკითხა ახალგაზრდა უცნობმა.

მოხუცმა თავი გაიქნია და სერიოზულად თქვა: _ გამიძნელდებოდა პასუხის გაცემა. ამ თილისმის საშინელი ძალა ისეთ ადამიანებს შევთავაზე, რომელნიც მეტი ენერგიით იყვნენ დაჯილდოებული, ვიდრე თქვენ. მაგრამ სასაცილოდ არ ეყოთ ის იდუმალი გავლენა, რომელიც მას უნდა მოეხდინა მათ მომავალ ბედზე, და არავინ არ ისურვა ხელშეკრულების დადება, რომელსაც რაღაც უცნობი ძალა გვაწვდის. მეც მათსავით ვფიქრობ, მეც ვყოყმანობ, მეც თავი შევიკავე...

_ და თქვენ არც გისინჯავთ? _ გააწყვეტინა ახალგაზრდა კაცმა.

_ მისინჯავს? თქვენ რომ ვანდომის სვეტზე მდგარყავით, ნუთუ გადმოხტომას სცდიდით? განა შეიძლება ცხოვრების სრბოლის შეჩერება? განა ადამიანს ოდესმე სიკვდილი დაუნაწილებია? სანამ ამ ოთახში შემოხვიდოდით, თავის მოკვლა გქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ უცებ ეს საიდუმლოება გიპყრობთ და სიკვდილის აზრს გაშორებთ. ბავშვო! განა ყოველი თქვენი დღე ამაზე უფრო საინტერესო ამოცანას არ მოგაწვდის? ყური დამიგდეთ. მე მინახავს რეგენტის სასახლის აღვირახსნილი ცხოვრება.* მაშინ თქვენსავით ღატაკი ვიყავი, ლუკმა-პურს ვთხოულობდი. ამისდა მიუხედავად, ას ორი წლის ასაკს მივაღწიე და მილიონერი გავხდი. უბედურებამ სიმდიდრე მაჩუქა, უმეცრებამ ჭკუა მასწავლა; ახლა მინდა ორიოდე სიტყვაში ადამიანური ცხოვრების დიდი საიდუმლოება გაგიმხილოთ. ადამიანი იშრიტება ორ ინსტინქტურად შესრულებულ აქტში, რომელიც აშრობს მისი არსებობის წყაროებს. ორი სიტყვა გამოხატავს სიკვდილის ამ ორი მიზეზის ყოველ ფორმას: **სურვილი** და **ძალა**. ადამიანური მოქმედების ამ ორ საზღვარს შორის არსებობს კიდევ სხვა ფორმულა, რომელსაც ბრძენი ადამიანები ფლობენ; მეც მისი წყალობით მივაღწიე ბედნიერებასა და დღეგრძელობას. **სურვილი** გვწვავს, **ძალა** გვანადგურებს. მაგრამ **ცოდნა** ჩვენს სუსტ ორგანიზაციას მუდმივი მშვიდობიანობის მდგომარეობაში სტოვებს. ამგვარად, სურვილი ანუ ნდომა მოკვდა ჩემში, მოკლულ იქნა აზრის მიერ. მოძრაობა ანუ ძალა დაიშალა ჩემი ორგანოების ბუნებრივ თამაშში. ერთი სიტყვით, ჩემი სიცოცხლე მოვათავსე არა გულში, რომელიც ტყდება, არა გრძნობაში, რომელიც ჩლუნგდება, არამედ ტვინში, რომელიც არ ცვდება და ყველაფერზე უფრო დღეგრძელია. არავითარ ნაყროვნებას არ გაუთელავს ჩემი სული ან ჩემი სხეული. ამავე დროს მთელი მსოფლიო მაქვს ნახული. ჩემმა ქუსლებმა აზიის და ამერიკის უმაღლესი მთები გადათელეს, ყველა ადამიანური ენა შევისწავლე, ყველა რეჟიმის დროს ვიცხოვრე. ფული მისესხებია ჩინელისათვის და საწინდრად მისი მამის გვამი გამომირთმევია. არაბის სიტყვას დავნდობივარ და მის კარავში დამიძინია, ხელშეკრულება დამიდვია ევროპის ყველა სატახტო ქალაქში, უშიშრად ოქრო დამიტოვებია ჩრდილო ამერიკელი ველურების ქოხში; ბოლოს, ყოველივეს მივაღწიე, იმიტომ რომ ყოველივე უგულებელვყავი. ჩემი ერთადერთი პატივმოყვარეობის საგანი დანახვა იყო. განა დანახვა ცოდნას არ ნიშნავს? ოჰ, ყმაწვილო, განა ცოდნა უშუალო სიამოვნება არ არის? განა ეს ყოველივე არსებულის სუბსტანციის აღმოჩენას და მის დაპყრობას არ ნიშნავს? რა გვრჩება ხელში მატერიალური მფლობელობიდან? მხოლოდ აზრი. თვით განსაჯეთ, რამდენად მშვენიერი უნდა იყოს იმ

ადამიანის ცხოვრება, რომელსაც ძალა შესწევს მთელი სინამდვილე ასახოს თავის აზროვნებაში და თავის სულში გადააქვს ბედნიერების წყაროები, რათა ათასი იდეალური სიამოვნება იგემოს, განწმენდილი მიწიერი ჭუჭყისაგან. აზრია ყველა სალაროთა გასაღები, იგი მდიდარი ძუნწის სიხარულს გვანიჭებს, მაგრამ მისი დარდებისაგან გვათავისუფლებს. ამრიგად, მე ქვეყანაზე დავნავარდობდი და ჩემი სიამოვნებანი ყოველთვის გონებრივი ხასიათისა იყვნენ, ჩემი ღრეობა, ჩემი ავხორცობა ზღვების, ხალხების, ტყეების, მთების ცქერაში გამოიხატებოდა! ყოველივე ვიხილე, მაგრამ შეუშფოთებლად, დაუღალავად; არასოდეს არაფერი მომისურვებია, მხოლოდ ველოდი. სამყაროში ისე ვსეირნობდი, თითქოს ჩემი საკუთარი ბაღი ყოფილიყოს. რასაც ადამიანები მწუხარებას, სიხარულს, პატივმოყვარეობას, მარცხს, კაეშანს უწოდებენ, ჩემთვის მხოლოდ იდეებია, რომელთაც მე ოცნებად ვაქცევ; იმის მაგივრად, რომ ისინი ვიგრძნო, მე მათ გამოვხატავ, მე მათ ვთარგმნი; იმის მაგივრად, რომ მათ ჩემი სიცოცხლე ჩავანთქმევინო, მე მათ დრამად ვაქცევ, ვავითარებ; ისინი მართობენ, თითქო რომანები ყოფილიყვნენ და მათ შინაგანი თვალით ვკითხულობდე. არასოდეს ჩემი სხეულის ასოები არ დამიღლია და ჯერ კიდევ სრულიად ჯანსაღი ვარ. ჩემმა სულმა ყველა ძალა მიიღო მემკვიდრეობაში, ეს მემკვიდრეობა არ გამიფლანგავს, ამიტომ ჩემს თავს უკეთესი ავეჯის მარაგი აქვს, ვდირე ჩემს მაღაზიებს.

_ აქ, _ წამოიძახა მან და შუბლზე ხელი მიირტყა, _ აქ არის ნამდვილი მილიონები. საუცხოო დღეებს ვატარებ, როცა გონების თვალს წარსულისკენ ვაპყრობ; მე ვიწვევ მთელს ქვეყნებს, ლანდშაფტებს, ოკეანის სახეებს, ისტორიულად მშვენიერ ფიგურებს. მე ფანტასტიკური ჰარამხანა მაქვს, სადაც ვფლობ ქალებს, რომელნიც არასოდეს არ მყოლია. ხშირად ვხედავ თქვენს ომებს, თქვენს რევოლუციებს და ვმსჯელობ მათ შესახებ. ოჰ, როგორ შემიძლია უპირატესობა მივცე მთრთოლვარე, მსუბუქ აღტაცებას მეტნაკლებად შეფერადებული სხეულით, მეტ-ნაკლებად მომრგვალებული ფორმებით! როგორ შემიძლია თქვენი გაცრუებული სურვილების სიდუხჭირე ვამჯობინო ამ უზენაეს ნიჭს, რომელიც მიჩვენებს სამყაროს თავისთავად. რომელიც მანიჭებს სივრცის დაბრკოლებათა და დროის ბორკილებით შეუბოჭველი მოძრაობის სიამოვნებას, ყველაფრის ათვისების, ყველაფრის დანახვის შესაძლებლობას. როცა სამყაროს კიდურზე ვიცქირები და სხვა სფეროებს ვეკითხები, ღმერთს ვუსმენ.

_ აქ, _ თქვა მან მაღალი ხმით და შაგრენის ტყავს მიუთითა, _ აქ ძალა და სურვილია შეერთებული. აქაა თავმოყრილი თქვენი სოციალური იდეები, თქვენი გადაჭარბებული

სურვილები, თქვენი თავშეუკავებლობა, თქვენი სიხარული, რომელიც ადამიანს კლავს, თქვენი მწუხარება, რომელიც სიცოცხლეს ამძაფრებს, იმიტომ რომ ტკივილი შეიძლება მხოლოდ ცხარე სიამოვნება იყოს და სხვა არაფერი. ვინ განსაზღვრავს იმ წერტილს, სადაც სხეულის დატკბობა ტანჯვად იქცევა და სადაც ტანჯვა ჯერ კიდევ სიტკბოებაა? განა იდეალური სამყაროს ცხოველი სხივები თვალს არ ეალერსებიან, მაშინ როცა ფიზიკური სამყაროს უნაზესი წყვდიადი მას მუდამ ჭრილობას აჭდობს? განა სიბრძნის სიტყვა ცოდნიდან არ გამოდის? და რა არის სიგიჟე, თუ არ სურვილის და ძალის სიჭარბე?

_ ძალიან კარგი, მე მინდა უძღები ცხოვრება დავიწყო! _ თქვა ჭაბუკმა და ხელი სტაცა შაგრენის ტყავს.

_ ფრთხილად იყავით, ყმაწვილო! _ წამოიძახა ბერიკაცმა მოულოდნელი სიცხარით.

_ ჩემი ცხოვრება მეცნიერებისა და აზროვნების გულისთვის გავწირე, მაგრამ მათ საკვებიც არ მომცეს, _ უპასუხა უცნობმა, _ მე არ მინდა თავი მოვატყუებინო არც თქვენს ქადაგებას, რომელიც ღირსია სვედენბორგისა,* არც თქვენს აღმოსავლურ ავგაროზს, არც თქვენს ქველმოქმედებას, რომლითაც გსურთ ამ ქვეყანაზე შემაჩეროთ, სადაც ჩემი არსებობა ამიერიდან შეუძლებელია...

_ ვნახოთ! _ დაუმატა მან, თილისმას აცახცახებული ხელი მოუჭირა და მოხუცს შეხედა. _ მე მინდა მეფურად ბრწყინვალე სადილი, მე მინდა ღრეობა, ღირსი ჩვენი საუკუნისა, სადაც, როგორც ამბობენ, ყოველივე გაუმჯობესებულია! დაე, ჩემი მეინახენი ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი იყვნენ, მხიარულნი გაგიჟებამდე. დაე, მწდეებმა თანდათან უფრო მაგარი, უფრო შუშხუნა ღვინო დაგვისხან, ისე რომ სამი დღე გამოუფხიზლებლად მთვრალი ვიყოთ! დაე, ეს ღამე აღგზნებული ქალებით იყოს შემკული! მე მინდა, ავხორცობის ბოდვამ და ღრიანცელმა თავისი ოთხცხენიანი ეტლით გაგვიტაცოს, ამ ქვეყნის საზღვრები გადაგვატაროს და უცნობ ნაპირებზე გადაგვაგდოს! დაე, სულები ზეცაში ავიდნენ ან წუმპეში ჩაეფლან. არ ვიცი, ამაღლდებიან ისინი მაშინ, თუ დამდაბლდებიან, მაგრამ ეს სულ ერთია! მაშ, მე ამ ბნელ ძალას ვუბრძანებ, ყველა სიხარული ერთ სიხარულად გადამიდნოს. დიახ, მე მინდა ცის და დედამიწის სიამოვნებანი უკანასკნელ მოხვევნაში ვიგემო და კიდეც დავაკვდე მათ. მსურს, აგრეთვე, ანტიკური პრიაპეები* სმის შემდეგ, მიცვალებულთა გამაღვიძებელი სიმღერები, სამმაგი კოცნა, დაუბოლოებელი კოცნა, რომლის ხმა პარიზს შეაზანზარებს, როგორც ხანძრის ტკრციალი, ცოლ-ქმართ გამოაღვიძებს, მწველ გულისთქმას შთააგონებს და ყველას გაახალგაზრდავებს, თვით სამოცდაათი წლის მოხუცთაც.

ბერიკაცმა ჩაიხითხითა. ეს ხითხითი ისე მოხვდა უგუნური ყმაწვილის ყურებს, თითქოს ჯოჯოხეთის ხრიალი ყოფილიყოს, და დესპოტურად დაადუმა იგი.

_ თქვენ გგონიათ, _ თქვა სოვდაგარმა, _ რომ ჩემი იატაკი ახლავე გაიხსნება, რათა გზა მისცეს სხვა ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს და მხიარულად გაწყობილ სუფრებს? არა, არა, უგუნურო ჭაბუკო: თქვენ ხელი მოაწერეთ ხელშეკრულებას - ამით ყველაფერია ნათქვამი. ამიერიდან თქვენი სურვილები ზედმიწევნით დაკმაყოფილდება, მაგრამ თქვენივე სიცოცხლის ხარჯზე. თქვენი დღეების წრე, ამ ტყავის მიერ განსახიერებული, შევიწროვდება თქვენი სურვილების ძალისა და რიცხვის მიხედვით. ბრამინმა, რომელმაც ეს თილისმა მომცა, ამიხსნა, მისი მფლობელის ბედსა და სურვილებს შორის იდუმალი კავშირი დამყარდაო. თქვენი პირველი ნდომა მდაბალი ხარისხისაა, მე შემეძლო მისი დაკმაყოფილება, მაგრამ დაე, ამაზე თქვენი ახალი არსებობის მოვლენებმა იზრუნოს. ბოლოს და ბოლოს, თქვენ თავის მოკვლა გინდოდათ, ძალიან კარგი, თქვენი სიკვდილი მხოლოდ გადადებულია.

უცნობი ახალგაზრდა გაკვირვებული და თითქმის გაღიზიანებული იყო ამ ახირებული ბერიკაცის დაცინვით. მისი ნახევრად ფილანთროპიული განზრახვა ნათლად გამომჟღავნდა უკანასკნელ სიტყვებში.

_ ბატონო, _ წამოიძა მან, _ ამასაც ვნახავ, შეიცვლება თუ არა ჩემი ბედი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც დამჭირდება სენის სანაპირო ქუჩის გადასაჭრელად. მაგრამ თუ თქვენ უბედურ ადამიანს არ დამცინით, მსურს შური ვიძიო ასეთი საბედისწერო სამსახურისათვის და გისურვოთ, რომ მოცეკვავე ქალის სიყვარულის მსხვერპლი გახდეთ! მაშინ კარგად გაიგებთ ღრეობის ფასს და შეიძლება სრულიად გაფლანგოთ ქონება, რომელიც ასე ფილოსოფიურად დაგიზოგავთ.

* * *

ახალგაზრდა კაცი ოთახიდან გავიდა ისე, რომ არ გაუგონია მოხუცის ღრმა ამოოხვრა, დარბაზები განვლო და კიბეზე დაეშვა. უკან მსხვილი, გაჟინჟღილებული ნოქარი დაედევნა: იგი ამაოდ ცდილობდა გზის განათებას. უცნობი ისე მიიჩქაროდა, თითქოს ქურდი ყოფილიყოს, რომელსაც დანაშაულის ადგილას მოუსწრეს. იმდენად დაბრმავებული და შეზარხოშებული იყო, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ წარმოუდგენლად რბილი გახდა შაგრენის ტყავი, რომელიც მან ჯერ გააფთრებით დაჭმუჭნა და შემდეგ

ჯიბეში ჩაიდო შეუგნებლად. მაღაზიის კარიდან ქუჩაში გავარდა და სამ ყმაწვილს დაეჯახა, ისინი ხელიხელ გაყრილნი მიდიოდნენ.

_ მხეცო!

_ გიჟო!

ასეთი იყო მათი თავაზიანი მისალმების სიტყვები.

_ ეჰ, ეს რაფაელია!

_ ყოჩაღ, სწორედ შენ გეძებდით.

_ ვაჰ, ეს თქვენ ხართ?

ამ მეგობრულმა ფრაზებმა მაშინვე შესცვალა ლანძღვა-გინება, როგორც კი ქუჩის ფარანმა, რომელსაც ქარი არხევდა, გაანათა ამ ჯგუფის გაოცებული სახეები.

_ ძვირფასო მეგობარო, _ უთხრა რაფაელს ყმაწვილმა, რომელიც მან ის იყო კინაღამ წააქცია, _ შენ ჩვენთან წამოხვალ.

_ რა მოხდა?

_ წამოდი, გზაზე ყოველივეს გიამბობ.

ნებსით თუ უნებლიეთ მეგობრებმა რაფაელი თავიანთ მხიარულ ფერხულში ჩააბეს და ხელოვნებათა ხიდისკენ გაიტაცეს.

_ ჩემო მეგობარო, _ განაგრძო პირველმა ორატორმა, _ ერთი კვირაა, გეძებთ. შენს პატივცემულ სასტუმროსა, სენკანტენში,* რომლის უცვლელი აბრა დღესაც ისეთივე შავი და წითელი ასოებითაა შემკული, როგორც ჟან-ჟაკ რუსოს დროს იყო, შენმა ლეონარდამ* გვითხრა, სოფელში წავიდაო. უნდა ითქვას, რომ ჩვენ არც ფულიანი ადამიანის სახეები გვქონია, არც სასამართლოს აღმსრულებლებისა, არც მევახშეებისა, არც ქორვაჭრებისა და სხვ. მაგრამ არა უშავს! რასტინიაკმა იმ დღეს კომიკურ ოპერაში მოგკრა თვალი; ჩვენ გავმხნევდით, ჩვენ თავმოყვარეობის საკითხად გავხადეთ აღმოგვეჩინა, ელისეს მინდორში* ხომ არ იყავი ხეზე აცოცებული, ან იმ ორგროშიან ფილანთროპიულ სახლებში ხომ არ იწექი, სადაც მათხოვრებს სძინავთ, თუ უფრო ბედნიერი იყავი და შენი კარგი რომელიმე ბუდუარში გქონდა გაშლილი. ვერსად გნახეთ, ვერც წმინდა პელაჟის სატუსაღოს სიაში, ვერც ლაფორსის სადილეგოში. ჩვენ ყოვლივე მეცნიერულად გამოვიკვლიეთ, სამინისტროები, ოპერა, სამონასტრო სახლები, ყავახანები, წიგნთსაცავები, პრეფექტების სიები, ჟურნალისტების ბიუროები, სასადილოები, თეატრების ფოიეები, ერთი სიტყვით, მთელი პარიზის კარგი და ცუდი ადგილები; ჩვენ მივტიროდით დაკარგულ ადამიანს, რომელსაც საკმაოდ შესწევს გენიოსობა, რათა თავი გვაძებნინოს

როგორც მეფის სასახლეში, ისე სატუსაღოებში. ჩვენ ვლაპარაკობდით შენს ჩარიცხვაზე ივლისის რევოლუციის წმინდანთა შორის! და პატიოსნებას გეფიცები, გვენანებოდი.

რაფაელს მეგობრების ლაპარაკი არ ესმოდა, ისე შედგა ფეხი ხელოვნებათა ხიდზე და სენას გადახედა. მდინარის მქუხარე ტალღებში პარიზის სანათურები ციმციმებდნენ. ამ ხიდზე, საიდანაც იგი ცოტა ხნის წინათ წყალში გადავარდნას აპირებდა, აღსრულდა მოხუცის წინასწარმეტყველება: მისი სიკვდილი ბედისწერამ გადასდო.

_ და ჩვენ მართლაც გვენანებოდი! _ განაგრძო მისმა მეგობარმა იმავე თემის განვითარება. _ საქმე ეხება ერთ კომბინაციას, რომელშიც შენც შეგიყვანეთ, როგორც უმაღლესი ლიგის ადამიანი, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. თვალთმაქცობა, რომლის წყალობით კონსტიტუციური ჯავზი მეფის თასს ქვეშ ქრება დღეს, ჩემო კარგო, უფრო სერიოზულად კეთდება, ვიდრე ოდესმე. სამარცხვინო მონარქია, დამხობილი ხალხის გმირული თავგანწირვის წყალობით, ცუდი ყოფაქცევის დედაკაცი იყო, მასთან შეიძლებოდა სიცილიც და ქეიფიც; მაგრამ სამშობლო ჭირვეული და სათნო ცოლია; გინდა არ გინდა, მისი განზომილი ალერსი უნდა მიიღო. როგორც მოგეხსენება, ხელისუფლება ტიულრის სასახლიდან ჟურნალისტებისაკენ გადასახლდა. ისევე, როგორც ბიუჯეტებმაც იცვალა ბინა და სენ-ჟერმენის გარეუბნიდან ანტენის შოსეზე გადავიდა. მაგრამ აი, რაც შეიძლება შენ არ იცოდე! მთავრობამ, ე. ი. ბანკირების და ადვოკატების არისტოკრატიამ, რომელიც დღეს სამშობლოს წარმოადგენს, როგორც წინათ მღვდლები მონარქიას წარმოადგენდნენ, აუცილებლობა იგრძნო _ საფრანგეთის კეთილი ხალხი მოატყუოს ახალი სიტყვებითა და ძველი იდეებით, მსგავსად ყველა სკოლის ფილოსოფოსებისა და ყველა ეპოქის ძლიერი ადამიანებისა. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენ მეფურ-ნაციონალური აზრები ჩაგვინერგონ, დაგვიმტკიცონ, რომ უფრო ბედნიერი ვინქებით, თუ ათას ორას მილიონ ფრანკს და ოცდაცამეტ სანტიმს გადავუხდით სამშობლოს, წარმოდგენილს ამა და ამ ბატონების მიერ, ვიდრე ათას ას მილიონ ფრანკსა და ცხრა სანტიმს მეფეს, რომელიც მეობით ლაპარაკობდა ჩვენობის მაგივრად. ერთი სიტყვით, არსდება გაზეთი, შეიარაღებული ორი თუ სამი ათასი ნაღდი ფრანკით; მისი მიზანი იქნება ოპოზიცია აწარმოოს უკმაყოფილოთა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ისე, რომ მეფე-მოქალაქის ეროვნული მთავრობა არ დაზიანდეს. და აი, რადგან ჩვენ თავისუფლებას დავცინით ისევე, როგორც დესპოტიზმს, სარწმუნოებას ისევე, როგორც ურწმუნოებას; რადგან ჩვენთვის სამშობლო სატახტო ქალაქია, სადაც იდეების აღებ-მიცემობა და გაყიდვა წარმოებს სტრიქონების მიხედვით, სადაც თითოეულ დღეს

ნაყროვანი სადილები და მრავალრიცხოვანი სანახაობანი მოაქვს, სადაც თავაშვებული მეძავი ქალები ფუთფუთებენ, სადაც ვახშამი მხოლოდ მეორე დღეს თავდება, სადაც სიყვარული საათობით ქირავდება საბირჟო ეტლივით; რადგანაც პარიზი მუდამ ყველაზე სათაყვანებელ სამშობლოდ დარჩება, მხიარულების, თავისუფლების, მახვილი ჭკუის, ლამაზი ქალების, არამზადების, კარგი ღვინის სამშობლოდ, სადაც ხელისუფლების ჯოხი ვერასოდეს ისე მაგრად ვერ მოგხვდება, იმიტომ რომ მეტად ახლო ვართ ხელარგოსანთან, ჩვენ ღმერთი მეფისტოფელის ნამდვილმა მიმდევრებმა იჯარით ავიღეთ საზოგადოებრივი აზრის შეღებვა, მსახიობებისთვის ახალი ტანისამოსების მიწოდება, მთავრობის ალაჩუხებზე ახალი ფიცრების მიჭედება, დოქტრინებისათვის წამლის მიწოდება, ხნიერი რესპუბლიკელების შეფუცხუნება, ბონაპარტისტების შეკეთება და ცენტრის გამოკვება; მაგრამ ამასთანავე ჩვენ ნება უნდა მოგვეცეს ფარულად დავცინოთ მეფეებსა და ერებს, საღამოთი შევიცვალოთ დილის შეხედულებანი და მხიარული ცხოვრება ვატაროთ პანურგივით ან აღმოსავლეთურად რბილ ბალიშებზე ვიყოთ ფეხმორთხმულნი. ამ მაკარონული და ტაკიმასხარული სამეფოს მმართველად შენ დაგნიშნეთ; ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა წაგვყვე სადილზე, მას აღნიშნული გაზეთის დამაარსებელი მართავს, ყოფილი ბანკირი, რომელმაც არ იცის, როგორ მოიხმაროს თავისი ოქრო და სურს გონებამახვილობაზე გასცვალოს იგი. იქ ძმასავით იქნები მიღებული, ჩვენ მეამბოხე სულთა მეფედ გამოგაცხადებთ, რომელთაც არაფერი აშინებს, რომელთა შორსმჭვრეტელობა ამხელს ავსტრიის, ინგლისის თუ რუსეთის განზრახვებს, სანამ რუსეთს, ინგლისს ან ავსტრიას რაიმე განზრახვა დაებადებოდეს! დიახ, იმ გონებრივ ძალთა ხელმწიფედ დაგსვამთ, რომელნიც ქვეყნიერებას მირაბოებს, ტალეირანებს, პიტებს,* მეტერნიხებს,* ბოლოს ხელმარჯვე კრისპენებს* აწოდებენ; ეს ადამიანები ისევე ათამაშებენ სახელმწიფოების ბედს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი დომინოს _ ერთი ჭიქა კირშვასერისთვის. ჩვენ შენ ყველაზე უშიშარ თანამებრძოლად გამოგაცხადეთ ღვინის სმასა და დროსტარებაში, ისიც კი ვთქვათ, რომ არასოდეს არ დამარცხებულხარ. იმედი მაქვს, არ გაამტყუნებ ჩვენს შესხმას. ჩვენმა ამფიტრიონმა,* ტაიფერმა აღგვითქვა, დავჩრდილავ ჩვენი დროის პაწაწა ლუკულუსების* უბადრუკ სატურნალიებს*ო. იგი საკმაოდ მდიდარია, რათა სიდიადე მისცეს წვრილმან ამბებს, მოხდენილობა და სილაზათე _ ბიწიერებას... გესმის თუ არა, რაფაელ? _ ჰკითხა თავის სიტყვის დასასრულს ორატორმა.

_ ჰო, _ უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც უფრო ნაკლებ თავისი სურვილების ასრულებით იყო გაკვირვებული, ვიდრე მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობით. თუმცა მას არ სწამდა მაგიური გავლენა, მაგრამ გაოცებული იყო ადამიანური ბედისწერის შემთხვევებით.

_ მაგრამ შენ ისე გვითხარი ჰოო, თითქო პაპაშენის სიკვდილზე ფიქრობდე. _ უპასუხა ერთმა ამხანაგთაგანმა.

_ აჰ! _ განაგრძო რაფაელმა ისეთი გულუბრყვილო ტონით, რომ ამ ახალგაზრდა საფრანგეთის საიმედო მწერლებს სიცილი წასკდათ. _ მე მგონია, მეგობრებო, ჩვენ ჩქარა დიდი არამზადები უნდა გავხდეთ! დღემდე ჩვენ ურჯულოებას ჩავდიოდით ქეიფსა და ქეიფს შორის, ცხოვრებას მთვრალები ვწონიდით, ხოლო ადამიანებს და საგნებს საჭმლის მონელების დროს ვაფასებდით. უბიწონი ვიყავით საქმით, სითამამეს მხოლოდ სიტყვებში ვიჩენდით; დღეს კი პოლიტიკის გახურებული შანთით დადაღული შევდივართ ამ დიდ კატორღაში, რათა იქ ჩვენს ილუზიებს გამოვეთხოვოთ. როცა ადამიანს არაფერი გწამს გარდა ეშმაკისა, უფლება გაქვს ახალგაზრდობის სამოთხე გამოიტირო, უმანკოების დრო, როცა სასოებით პირს ვუწვდიდით მღვდელს, რათა ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს წმინდა ხორცი მიგვეღო. აჰ, ჩემო კარგო მეგობრებო, თუ პირველი ცოდვების ჩადენა ამდენ სიამოვნებას გვანიჭებდა, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სინდისის ქენჯნა გვქონდა მათ შესალამაზებლად და მათთვის გემოსა თუ პილპილის მისაცემად. ხოლო დღეს...

_ ოჰ, _ სიტყვა ჩამოართვა პირველმა მოლაპარაკემ, _ დღეს ერთი რამ დაგვრჩენია.

_ რა? _ იკითხა მეორემ.

_ დანაშაული...

_ აი, სიტყვა მაღალი როგორც სახრჩობელა და ღრმა, როგორც სენა, _ თქვა რაფაელმა.

_ ოჰ, შენ ჩემი არ გესმის... მე პოლიტიკურ დანაშაულზე ვლაპარაკობ. ამ დილიდანვე მხოლოდ შეთქმულთა ცხოვრება მშურს, ხვალ არ მეცოდინება, კიდევ გაგრძელდება თუ არა ჩემი ფანტაზია; მაგრამ ამ საღამოთი ჩვენი ცივილიზაციის ფერმკრთალი ცხოვრება, ერთსახოვანი, როგორც რკინიგზის ლიანდაგი, გულს მირევს! მე ვეწამები, როცა ნაპოლეონის მოსკოვიდან უკან დახევის უბედურებაზე ვფიქრობ. მე მაღელვებს «წითელი კორსარის»,* კონტრაბანდისტების მღელვარე ცხოვრება, რადგან საფრანგეთში კარტეზიანელები* აღარ არიან, ყოველ შემთხვევაში ახალი ბოტანი ბეის* აღმოჩენას ვისურვებდი შორეულ ქვეყანაში, ერთგვარ თავშესაფარს პატარა ლორდ

ბაირონებისათვის, რომელთაც ცხოვრება დაჭმუჭნეს, როგორც ხელსახოცი იჭმუჭნება სადილის შემდეგ, და არაფერი აქვთ გასაკეთებელი გარდა თავიანთი ქვეყნის აფეთქებისა, თავში დამბაჩის დარტყმისა, რესპუბლიკური შეთქმულების მოწყობისა ან ომის მოთხოვნისა...

_ ემილ, _ უთხრა მოლაპარაკეს გაცხარებით რაფაელის გვერდით მიმავალმა ამხანაგმა, _ პატიოსან სიტყვას გაძლევ, თუ ივლისის რევოლუცია* არ მომხდარიყო, მღვდლად ვეკურთხებოდი, რათა ცხოველივით მეცხოვრა, რომელიმე მივარდნილ სოფელში და...

_ და ყოველდღე კურთხევანს იკითხავდი?

_ დიახ.

_ ნუ ტრაბახობ.

_ გაზეთებს ხომ კითხულობთ ყოველდღე!

_ ჟურნალისტი თუ გნებავთ, ეს არის! გაჩუმდი, ჩვენ ხელისმომწერლების ბრბო გვახვევია, არ გაგვიგონონ. ჟურნალიზმი, ჩემო კარგო, თანამედროვე საზოგადოების რელიგიაა, და ამ მხრივ, ერთგვარ პროგრესს მივაღწიეთ.

_ როგორ?

_ მღვდელთმთავრები ვალდებული არ არიან ირწმუნონ, მით უმეტეს ვალდებული არაა ხალხი.

ჯერ კიდევ გრძელდებოდა ეს საუბარი, შესაფერი იმ ადამიანებისა, რომელთაც კარგა ხანია შესწავლილი აქვთ «სახელოვანი მამაკაცები»,* როცა მეგობრები ერთი სახლის შესავალს მიადგნენ ჟუბერის ქუჩაზე.

* * *

ემილი ჟურნალისტი იყო, მას უქმად ყოფნით მეტი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ვიდრე სხვები წარმატებით იხვეჭენ. იგი გაბედული, შთაგონებული და გესლიანი კრიტიკოსი იყო, მისი ღირსებანი ადვილად ასატანს ხდიდნენ მის ნაკლთ. გულახდილი და დამცინავი იყო. მეგობარს პირში ათას ეპიგრამას მიახლიდა, მაგრამ თამამად და პატიოსნად იცავდა პირს უკან. ყველაფერს დასცინოდა, თვით თავის მომავალს. ფული არასოდეს არ ჰქონდა, ზარმაცი იყო, როგორც ყოველი ნიჭიერი კაცი, ერთ მოსწრებულ სიტყვაში მთელი წიგნის შინაარსს სდებდა და ცხვირპირში ესროდა ადამიანებს, რომელთაც ერთი სიტყვის ჩადება არ ძალუძთ მთელ წიგნში. უამრავ აღთქმას იძლეოდა,

მაგრამ არც ერთს არ ახორციელებდა; თავისი ბედისა და თავისი სახელიდან ბალიში ჰქონდა გაკეთებული რბილად დასაძინებლად, მაგრამ საფრთხე ელოდა, რომ სიბერისას ღარიბთა თავშესაფარში გაიღვიძებდა. სახრჩობელაზე წავიდოდა მეგობრის გულისთვის, ცინიკოსი იყო, მაგრამ ამასთანავე ბავშვივით მიამიტი, მუშაობდა მხოლოდ ჟინის ან გაჭირვების კარნახით.

_ ოსტატი ალკოფრიბასის* გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჩვენც ნამუსრევი გვერგება მდიდარი და მხიარული სუფრიდან, _ უთხრა მან რაფაელს და ყვავილიან ყუთებს მიუთითა, რომელნიც სურნელებას აკმევდნენ კიბეებზე.

_ მიყვარს კარგად გამთბარი და მდიდრულად მოფარდაგებული დერეფანი, _ უპასუხა რაფაელმა. _ პერისტილის* კომფორტი იშვიათია საფრანგეთში. აქ ვგრძნობ, თითქო ხელახლა დავიბადე.

_ ხოლო იქ, ზევით, ერთხელ კიდევ დავლევთ და ვიცინებთ, ჩემო საბრალო რაფაელ. და მერე როგორ! იმედი მაქვს ჩვენ გავიმარჯვებთ და ყველა ამ თავს გადავთელავთ.

შემდეგ დამცინავი მოძრაობით მან სტუმრები უჩვენა. სასტუმრო დარბაზი, სადაც ისინი შევიდნენ, გაბრწყინვებული იყო ოქრო-ვერცხლით და სინათლით, მათ იქ შეხვდნენ მთელი პარიზის ყველაზე გამოჩენილი ყმაწვილი კაცები. ერთმა მათგანმა ეს იყო ახალი ნიჭი გამოააშკარავა და პირველი დიდი სურათი დახატა, რომლითაც იგი ექიშპებოდა იმპერიის დროის სახელოვან მხატვრებს. მეორემ წინა დღით გაბედული წიგნი გამოაქვეყნა, აღსავსე გაუცვეთელი იდეებითა და აღბეჭდილი ერთგვარი ლიტერატურული ქედმაღლობით, ამ წიგნმა ახალი გზები გაუხსნა თანამედროვე სკოლას. ერთ კუთხეში მოქანდაკე იდგა, მისი მოღუშული სახე მოწმობდა, რომ იგი ვაჟკაცური გენიის მფლობელი უნდა ყოფილიყო; იგი ესაუბრებოდა ერთ-ერთ იმ დამცინავ და გულცივ ადამიანთაგანს, რომელიც გარემოების მიხედვით ხან არსად არ ხედავს ნიჭიერი ადამიანის უპირატესობას, ხან კიდევ ყველგან სცნობს მას. აქ ერთი მეტად გონებამახვილი კარიკატურისტი, აღჭურვილი მზაკვრული თვალითა და გესლიანი ენით, მასალას უთვალთვალებდა თავისი ფანქრისთვის. იქ ახალგაზრდა და თამამი მწერალი, რომელმაც სხვებზე უკეთ იცოდა პოლიტიკური აზრების დედაარსის გადმოცემა, ელაპარაკებოდა პოეტს, რომლის ნაწარმოებნი შემუსრავდნენ ჩვენი დროის ყველა თხზულებას, მისი ნიჭი რომ ისევე ძლიერი ყოფილიყო, როგორც მისი სიძულვილი იყო. ორივე ცდილობდა არც სიმართლე ეთქვა და არც ტყუილი, ისინი ერთმანეთს ტკბილი პირფერობით უმასპინძლდებოდნენ. ცნობილი მემუსიკე დამცინავი სი-ბემოლი ხმით ანუგეშებდა

პოლიტიკოსს, რომელიც ცოტა ხნის წინათ ტრიბუნიდან გადმოვარდა, მაგრამ ისე, რომ არაფერი უტკენია. ახალგაზრდა ავტორები, რომელთაც სტილი არ ჰქონდათ, გვერდით იდგნენ ახალგაზრდა ავტორებთან, რომელთაც იდეები არ ჰქონდათ, პოეზიით აღსავსე პროზაიკოსები პროზით აღსავსე პოეტებს ესაუბრებოდნენ. საბრალო სენსიმონისტი,* რომელიც იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ თავისი დოქტრინა სწამდა, ან ნაკლულოვან არსებათ უცქეროდა და მათ ერთმანეთთან აუღლებდა, რათა ისინი თავისი ორდენის ბერებად გადაექცია. ბოლოს აქ მოიძებნებოდა ორი თუ სამი მეცნიერი, როემლთა დანიშნულებაა აზოტი შეურიონ საუბარში, და რამდენიმე ვოდევილისტი, რომელნიც ყოველთვის მზად არიან სხივი გვესროლონ, მაგრამ ეს სხივი ალმასის ნაპერწკლების მსგავსად არც არავის ათბობს, არც არავის ანათებს.

ამ სტუმრებს შორის ხუთს მომავალი ჰქონდა, ათიოდეს შეეძლო ცოტა თუ ბევრად კარგი სახელი მოეხვეჭა; რაც შეეხება დანარჩენთ, მათ შეეძლოთ ლუი XVIII ცნობილი ტყუილი გაემეორებინათ: ერთობა და დავიწყება.* მასპინძელს სახეზე მზრუნველი მხიარულობა ეხატებოდა როგორც ადამიანს, რომელიც ორი ათას ეკიუს ხარჯავს. დროგამოშვებით იგი მოუთმენლად იხედებოდა დარბაზის კარისაკენ, თითქო დაგვიანებულ სტუამრს უხმობდა. მალე გამოჩნდა ჩასუქებული პატარა ტანის კაცი, რომელსაც პირფერი ხმაურით შეხვდნენ; ეს იყო ნოტარიუსი, რომელმაც ამ დილით დაასრულა გაზეთის შექმნა.

შავად გამოწყობილმა ლაქიამ ვრცელი სასადილოს კარი გააღო; ყველანი უცერემონიოდ იქით გაემართნენ, რათა თავიანთი ადგილი ეპოვნათ ვეებერთელა სუფრის გარშემო. სანამ სასტუმრო ოთახებს დასტოვებდა, რაფაელმა ერთხელ კიდევ მიმოიხედა. უეჭველია, მისი სურვილი სავსებით განხორციელებული იყო. კედლებს აბრეშუმი და ოქროქსოვილები ფარავდა. მდიდრული ხომლები ურიცხვი სანთლით აციაგებდნენ მოვარაყებული სამერხულოს წვრილმან დეტალებს, ბრინჯაოს ნატიფ ხრახნილებს, ავეჯის მედიდურ ფერადებს. ბამბუკის მხატვრულ საყვავილეებში მოთავსებული იშვიათი მცენარეები დამათრობელ სურნელებას აკმევდნენ. ყოველივე, ნოხებისა, კრეტსაბმელებისა და ფარდების გამოუკლებლივ, უპრეტენზიო სილაზათით იყო გამსჭვალული; ყველგან რაღაც პოეტური გრაცია ჩანდა. ამ გარემოებას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა უფულო ადამიანის ფანტაზიაზე.

_ ასი ათასი ლივრის შემოსავალი წელიწადში კარგ კომენტარებს წარმოადგენს კატეხიზმოსათვის* და საუცხოოდ გვშველის მორალი ავამოქმედოთ! _ თქვა მან და

ამოიოხრა. _ ოჰ, სათნოება ქვეითად როდი დადის, ჩემთვის უდიდესი ბიწიერება მანსარდში ცხოვრება, გაცვეთილი ტანისამოსი, ნაცრისფერი საზამთრო ქუდი და შვეიცარის ვალია... მე მინდა ამ ფუფუნებაში ვიცხოვრო ერთი წელიწადი, ექვსი თვე, სულ ერთია! და შემდეგ მოვკვდე. ყოველ შემთხვევაში, ათას ცხოვრებას მაინც შევიცნობ, ამოვწურავ, ჩავნთქავ!

_ ოჰ, შენ ზარაფის ეტლი ბედნიერებად მიგაჩნია, _ უთხრა ემილმა, რომელიც ყურს უგდებდა. _ მერწმუნე, სიმდიდრე ჩქარა მოგწყინდება, რაკი დაინახავ, რომ იგი შემთხვევას გართმევს გამოჩენილი ადამინი გახდე. განა ხელოვანს ოდესმე უყოყმანია სიმდიდრის სიდუხჭირეთა და სიღარიბის სიმდიდრეთა შორის: განა ჩვენისთანებს მუდამ ბრძოლა არ გვარგებს; ამრიგად, მოამზადე შენი სტომაქი და ამას შეხედე, _ თქვა მან და გმირული ხელის მოძრაობით ნეტარი კაპიტალისტის დიდებული, სამგზის წმინდა და დამამშვიდებელი სასადილო დარბაზი უჩვენა. _ განა ამ ადამიანს ნამდვილად მხოლოდ ჩვენთვის არ შეუგროვებია თავისი დოვლათი, განა ეს ზღვის ღრუბლების ერთი სახე არ არის, რომელიც ბუნებისმეტყველთ დავიწყებიათ პოლიპების გვარში აღენიშნათ და რომელიც ჩვენ უნდა ნელა გამოვწუროთ, სანამ მემკვიდრეები გამოსწოვენ? განა ამ კედლების ბარელიეფებს სტილი არა აქვთ? შეხე, რამდენი გემოვნებაა ჭაღებსა და სურათებში? თუ შურიან ადამიანებსა და ცხოვრების მცოდნეებს დავუჯერებთ, ჩვენს მასპინძელს რევოლუციის დროს ჯერ ერთი გერმანელი მოუკლავს, შემდეგ კიდევ რამდენიმე ადამიანი, მათ შორის თავისი საუკეთესო მეგობარი და ამ მეგობრის დედა. შეგიძლია დანაშაულისათვის ადგილი იპოვო ამ პატივცემული ტაიფერის* ჭაღარა თმის ქვეშ? მას მეტად გულკეთილი ადამიანის სახე აქვს. შეხე, როგორ ბრჭყვიალებს ვერცხლის ჭურჭელი, ნუთუ თითოეული ციმციმი მისთვის მახვილის ჩაცემას უდრის... არა, ძმაო, უფრო ადვილია მაჰმადის რწმენის მიღება, ვიდრე ამის დაჯერება. თუ საზოგადოება მართალია, უნდა ვთქვათ, რომ ეს ოცდაათი სტუმარი, დიდი გულითა და ნიჭით დაჯილდოებული, ემზადება მთელი ოჯახის შიგნეულობა ჭამოს და სისხლი დალიოს... და ჩვენ, ორი ახალგაზრდა, აღსავსე გულწრფელობითა და აღფრთოვანებით, დანაშაულის მონაწილენი ვიქნებით! მზად ვარ ჩვენს კაპიტალისტს ვკითხო, პატიოსანი კაცი ხარ თუ არა-მეთქი...

_ არა, ახლავე არა! _ წამოიძახა რაფაელმა, _ არამედ შემდეგ, როცა იგი უგონოდ მთვრალი იქნება; ჯერ ვისადილოთ.

* * *

ორივე მეგობარი სიცილით დაჯდა. უწინარეს ყოვლისა, უფრო თვალით, ვიდრე სიტყვით, თითოეულმა სტუმარმა თავისი აღტაცების ხარკი მიუძღვნა მდიდრულ სუფრას, თეთრს, როგორც ახლად მოსული თოვლი, სადაც სიმეტრიულად დაწყობილ ჭურჭელს პატარა ოქროსფერი პურები აგვირგვინებდა. ბროლი თავის ვარსკვლავისებურ ციმციმში ირისის ყვავილების ანარეკლს იძლეოდა, სანთლები სარკეების შემწეობთ თავიანთ შუქს ერთმანეთს აჭდობდნენ დაუსრულებლივ, ვერცხლის გუმბათების ქვეშ მოთავსებული საჭმელი მადასა და ცნობისმოყვარეობას აღიზიანებდა. ლაპარაკი იშვიათად ისმოდა. მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მადერის ღვინო ჩამოტარდა. შემდეგ პირველი კერძი გამოჩნდა მთელი თავისი მედიდურობით. იგი ღირსი იყო ცხონებული კამბასერესისა,* მას ხოტბას უძღვნიდა ბრია სავარენი.* მწდეები მეფური გულუხვობით ასხამდნენ ბორდოსა და ბურგუნდიის წითელ და თეთრ ღვინოს. წვეულების ეს პირველი ნაწილი ყოველმხრივ კლასიკური ტრაგედიის ექსპოზიციას შეედრებოდა.

მეორე აქტში ენაწყლიანობამ იმატა. თითოეულმა სტუმარმა საკმარისად დალია, თითოეული მათგანი ერთი ღვინიდან მეორეზე გადადიოდა ისე რომ, როცა ამ დიდებული კერძის ნამუსრევი აალაგეს, ცხარე კამათი ატყდა; ზოგიერთი ფერმკრთალი შუბლი შეფაკლდა, მრავალი ცხვირი გაწითლდა, სახეები აენთნენ, თვალებმა ნაპერწკლები გადმოყარეს. ამ სიმთვრალის რიჟრაჟზე საუბარს კიდევ არ გადაულახავს წესიერების საზღვრები; მაგრამ ნელ-ნელა ხუმრობა და გონებამახვილი სიტყვების გაცვლა-გამოცვლა დაიწყო; შემდეგ წყნარად ცილისწამებამ წამოჰყო თავის პატარა გველის თავი და მელოდიური ხმით ამეტყველდა; აქა-იქ გულჩათხრობილი ადამიანები ლაპარაკს ყურადღებით უსმენდნენ, ამასთანავე ცდილობდნენ საღი გონება შეენარჩუნებინათ.

მეორე კერძის ჩამოტარებას ყველანი შეზარხოშებულნი შეხვდნენ. თითოეული სტუმარი ჭამდა ლაპარაკის დროს, ლაპარაკობდა ჭამის დროს; სმამ შეჯიბრების ხასიათი მიიღო, აღარავინ უფრთხოდა ამ გემრიელი, სურნელოვანი სასმელების გავლენას. ტაიფერმა გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაეღიზიანებინა თავისი სტუმრები და მოატანინა რონის ულმობელი ღვინოები, ცხარე ტოკაი, ძველი თავბრუდამხვევი რუსილიონი. ეს ადამიანები ფოსტის ეტლის ცხენებით მოსწყდნენ სადგურს, მათ თითქოს მათრახებივით მოხვდა მოუთმენლად ნალოდინევი და უხვად ჩამოსხმული შამპანურის ნაპერწკლები; მათი გონება გაჭენდა იმ მსჯელობის ცარიელ სივრცეში, რომელსაც არავინ ისმენს. მათ დაიწყეს იმ ამბების მოყოლა, რომელთაც აუდიტორია არა ჰყავთ, ასჯერ გაიმეორეს

კითხვები, რომელნიც უპასუხოდ დარჩნენ. მხოლოდ ორგიამ გაშალა თავისი ძალოვანი ხმა; იგი შედგებოდა მრავალი გაურკვეველი ძახილისაგან, რომელიც თანდათან მატულობდა როსინის კრეშჩენდოსავით.

შემდეგ დაიწყო მზაკვრული სადღეგრძელოები, ვერაგობა, გამოწვევა. ყველამ უარი თქვა თავის გონებრივ ნიჭზე, რათა ჩანახებს, კასრებს, ვარცლებს შეჯიბრებოდა. თითქოს ყველას ორ-ორი ხმა ჰქონდა. დადგა წუთი, როცა ბატონები ერთად ალაპარაკდნენ, ხოლო მსახურებმა გაიღიმეს.

ფილოსოფოსები, რელიგიები, ზნეობრივი მოძღვრებანი, მთავრობანი, რომელნიც სხვადასხვაგვარი არიან სხვადასხვა გეოგრაფიულ განედზე, ერთი სიტყვით, ადამიანური გონების ყველა მოქმედება დაემხო ცელის ქვეშ, რომელიც ისეთივე გრძელი იყო, როგორიც დროის ცელია. ძნელი იყო იმის გადაწყვეტა, მთვრალი სიბრძნის ხელში იყო ეს ცელი თუ ბრძენი, ნათელმხილველი სიმთვრალის ხელში. ეს გონებანი, რომელთაც თავისებური ქარიშხალი მიაქანებდა, კლდეებს ეჯახებოდნენ ტალღების მსგავსად: მათ თითქოს სურდათ შეერყიათ ყველა კანონი, რომელთა შორის ცივილიზაციები ცურაობენ; ამით ისინი შეუგნებლად ასრულებდნენ ღვთის ნებას, რომელმაც ბუნებაში ადგილი დატოვა სიკეთისა და ბოროტებისათვის და მხოლოდ თავისთვის შეინახა მათი განუწყვეტელი ბრძოლის საიდუმლოება. ეს გააფთრებული და ტაკიმასხრული კამათი რამდენიმედ გონებათა შაბაში იყო. მაგრამ იმ სევდიან ხუმრობასა, რომლითაც დიდი რევოლუციის ეს მემკვიდრეები გაზეთის დაბადებას ხვდებოდნენ, და იმ მხიარულებას შორის, რომლითაც ლოთები გარგანტუას* დაბადებას მიესალმებოდნენ, ისეთივე უფსკრულია, როგორც XVI და XIX საუკუნეებს შორის. ჩვენი წინაპრები ნგრევას ამზადებდნენ სიცილით, ჩვენ კი ვიღიმებით ნანგრევებს შორის.

_ რა გვარია ყმაწვილი, რომელიც აი, იქ ზის? _ იკითხა ნოტარიუსმა და რაფაელს მიუთითა. _ მე ვალენტენი მომესმა.

_ რის ვალენტენი? _ წამოიძახა ემილმა სიცილით. _ კეთილინებეთ და რაფაელ დე ვალენტენი უწოდეთ! ჩვენს ღერბზე გამოხატულია ოქროს არწივი შავ ფონზე ვერცხლის გვირგვინითა და წითელი ნისკარტ-ბრჭყალებით, იქვე მშვენიერი დევიზია ამოჭრილი: non cecidit animus!* ჩვენ მიგდებული ბავშვი როდი გახლავართ, არამედ იმპერატორ ვალენტიდან წარმოვდგებით, ყველა ვალენტენელთა მამამთავრიდან, ფრანგულ ქალაქ ვალანსისა და ესპანურ ქალაქ ვალენსიის დამაარსებლიდან, აღმოსავლეთის იმპერატორის კანონიერი მემკვიდრიდან. თუ ჩვენ მაჰმადს ნებას ვაძლევთ კონსტანტინეპოლის ტახტზე

იჯდეს, ეს ჩვენი ნებაყოფლობით და ფულის უქონლობითა თუ ჯარისკაცების უყოლობით აიხსნება.

ემილმა თავისი ჩანგლით ჰაერში გვირგვინი გამოხატა რაფაელის თავზე. ნოტარიუსი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ხელახლა სმა დაიწყეს. მხოლოდ ერთი მეტყველი მოძრაობით იგი თითქოს აღიარებდა _ მე არ ძალმიძს ჩემს კლიენტთა რიცხვში ქალაქები - ვალანსი, ვალენსია, კონსტანტინეპოლი, მაჰმადი, იმპერატორი ვალენტი* და ვალენტენელთა გვარი ჩავთვალოო.

_ განა ამ ჭიანჭველათა ბუდეების დანგრევა, ბაბილონისა, ტიროსისა, კართაგენისა ან ვენეციისა, რომელთაც ყოველთვის გზად გამვლელი ბუმბერაზის ქუსლები მუსრავდა, დამცინავი ძალის გაფრთხილებას არ წარმოადგენს ადამიანისათვის? _ თქვა კლოდ ვინიონმა, ამ ნაყიდმა მონამ, რომელსაც ათ სუდ სტრიქონში ბოსუეობა* უნდა გაეწია გაზეთისთვის.

_ მოსე,* სულლა,* ლუი XIV,* რიშელიე,* რობესპიერი,* ნაპოლეონი შეიძლება ერთი და იგივე ადამიანი იყოს, რომელიც ცივილიზაციათა მანძილზე ჩნდება, როგორც კომეტა ზეცაზე, _ უპასუხა ერთმა ბალანშისტმა.*

_ რად სცდით განგებას? _ თქვა კანალისმა, ბალადების შემთხზველმა.

_ ეს რაღაა, განგება? _ წამოიძახა საქმის მცოდნემ. _ მე არაფერი არ ვიცი ამ ცნებაზე უფრო გაურკვეველი.

_ ლუი XIV-მ მეტი ადამიანი შესწირა მენტენონისთვის* წყალსადენის გათხრას, ვიდრე კონვენტმა გადასახადების სამართლიანად განაწილებას, კანონმდებლობაში მთლიანობის შეტანას, საფრანგეთის ეროვნულად გაერთიანებას და მემკვიდრეობის თანასწორად გაყოფას, _ თქვა მასოლმა, ახალგაზრდა კაცმა, რომელიც რესპუბლიკელი გახდა, იმიტომ რომ გვარის წინ აზნაურობის მაჩვენებელი ნაწილაკი აკლდა.

_ ბატონო, _ უპასუხა მას მორომ, მსხვილმა მემამულემ უაზიდან, _ თქვენ სისხლი ღვინო გგონიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ჩვენს თავებს მხრებზე არ დაგვიტოვებთ?

_ ეს რისთვისაა საჭირო, ბატონო? განა სოციალური წეს-წყობილების პრინციპები იმდენი არ ღირს, რომ ცოტაოდენი მსხვერპლი გავიღოთ?

_ ბიქსიუ! შეხე, ამ რესპუბლიკელს წარმოუდგენია, რომ იმ მემამულის თავი მსხვერპლად გამოდგება! _ უთხრა ერთმა ახალგაზრდამ თავის მეზობელს.

_ ადამიანები და მოვლენები არაფერს არ წარმოადგენენ, _ თქვა სლოკინით რესპუბლიკელმა თავისი თეორიის გასავითარებლად _ პოლიტიკასა და ფილოსოფიაში მხოლოდ პრინციპებსა და იდეებს აქვს მნიშვნელობა.

_ რა საშინელებაა! თქვენ შეუშფოთებლად მეგობრებს დახოცავდით ერთი ჰოს გულისათვის?..

_ ეჰ! ადამიანი, რომელსაც შეუძლია სინდისის ქენჯნა განიცადოს, ნამდვილი ბოროტმოქმედია, იმიტომ რომ მას სათნოების იდეა აქვს. პეტრე დიდი, დუკა ალბა* სისტემები იყვნენ, მეკობრე მონბარი* ორგანიზაცია იყო.

_ განა საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას თქვენს სისტემებსა და თქვენს ორგანიზაციებზე? _ იკითხა კანალისმა.

_ ოჰ, ოღონდაც, _ წამოიძახა რესპუბლიკელმა.

_ ეჰ, თქვენი უგუნური რესპუბლიკა გულს მირევს! შეუძლებელია კაცმა მშვიდობიანად ყვერული გასჭრას ისე, რომ შიგ აგრარული კანონი არ იპოვოს.

_ შენი პრინციპები საუცხოოა, ჩემო ტრიუფელებით გატენილო პატარა ბრუტუს!* მაგრამ შენ ჩემს ლაქიას ჰგავხარ: ის სულელი ისე შეპყრობილია სისუფთავის მანიით, რომ თუ ჩემი ტანისამოსის წმენდა სავსებით მისთვის მიმენდო, სრულიად ტიტველი დავრჩებოდი.

_ თქვენ ნადირები ხართ! თქვენ გინდათ, ერი კბილის საწმენდით გახეხოთ, _ უპასუხა რესპუბლიკელმა. _ თქვენი აზრით, სამართალი უფრო სახიფათოა, ვიდრე ქურდები.

_ ეჰ, ეჰ! _ წამოიძახა ადვოკატმა დეროშმა.

_ რა მოსაწყენი არიან ეს ადამიანები თავიანთი პოლიტიკით! _ თქვა ნოტარიუსმა კარდომ. _ კარი დახურეთ. არ არსებობს არც მეცნიერება და არც სათნოება, რომელიც სისხლის წვეთად ღირდეს. ჭეშმარიტების ლიკვიდაცია რომ მოგვეხდინა, შეიძლება აღმოგვეჩინა, რომ იგი გაკოტრებულია.

_ აჰ, რასაკვირველია, ბევრად უფრო ადვილია ჩვენი გართობა ბოროტებით, ვიდრე გაკიცხვით სათნოების გზაზე დაყენება. ამიტომ ყველა სიტყვას, რომელიც ტრიბუნიდან წარმოითქვა ორმოცი წლის განმავლობაში, მე გავცვლიდი ერთ თავ კალმახში, პეროს* ზღაპარში ან შარლეს* სურათის ესკიზში.

_ თქვენ მართალი ხართ!.. მომაწოდეთ სატაცური... იმიტომ რომ ბოლოს თავისუფლება ანარქიას შობს, ანარქიას დესპოტიზმისკენ მივყავართ, ხოლო დესპოტიზმს

_ თავისუფლებისაკენ. მილიონი არსება დაიღუპა ისე, რომ ვერც ერთ ამ სისტემას ვერ გაამარჯვებინა. განა ეს მოჯადოებული წრე არ არის, რომელშიც მუდამ იტრიალებს მორალური სამყარო? როცა ადამიანს ჰგონია სრულყოფას მივაღწიეო, სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ მხოლოდ ნივთები გადაულაგებია.

_ ოჰ, ოჰ, _ წამოიძახა ვოდევილისტმა კიურსიმ, _ მაშ, ბატონებო, თავისუფლების, მამის, შარლ X-ის* სადღეგრძელოს ვსვამ!

_ რატომაც არა? _ თქვა ემილმა: _ როცა კანონებში დესპოტიზმია, ზნე-ჩვეულებებში თავისუფლება ბატონობს და პირიქით.

_ მაშ, გაუმარჯოს ხელისფულების უგუნურებას, რომელიც ამდენ ძალაუფლებას გვაძლევს უგუნურთა მიმართ! _ თქვა ბანკირმა.

_ ეჰ, ჩემო კარგო, ნაპოლეონმა ყოველ შემთხვევაში დიდება მაინც დაგვიტოვა, _ წამოიძახა ფლოტის ოფიცერმა, რომელიც არასოდეს არ გასცილებოდა ბრესტის* ნავსადგურს.

_ აჰ, დიდება ცუდი საქონელია: ძვირად იყიდება და ცუდად ინახება. განა დიდება დიდი ადაიმანების ეგოიზმი არაა, ისევე როგორც ბედნიერება სულელების ეგოიზმი?

_ ბატონო, თქვენ ბედნიერი ბრძანდებით...

_ პირველი ადამიანი, რომელმაც თხრილი მოიგონა თავისი საკუთრების შემოსაზღუდად, უეჭველად სუსტი ადამიანი იყო, იმიტომ რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ სუსტებისთვისაა ხელსაყრელი. ველურსა და მოაზროვნეს, რომლებიც ზნეობრივი სამყაროს ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო პოლუსზე იმყოფებიან, ერთნაირად ეშინიათ საკუთრებისა.

_ მშვენიერია! _ წამოიძახა კარდომ. _ თუ საკუთრება არ ყოფილიყო, აქტებს როგორ შევადგენდით.

_ აი საუცხოოდ ფანტასტიკური მუხუდო!

_ და მეორე დღეს მღვდელი მკვდარი ნახეს თავის საწოლში...

_ ვინ ლაპარაკობს სიკვდილზე?.. ნუ ხუმრობით! მე ბიძა მყავს.

_ და თქვენ უეჭველად შეურიგდებით მის სიკვდილს.

_ ეს უდავოა.

_ მისმინეთ, ბატონებო!.. აი თავისი ბიძის მოკვლის საშუალება. სსს! (ისმინეთ, ისმინეთ!) აიღეთ თავდაპირველად სქელი და მსუქანი ბიძა, სამოცდაათი წლისა მაინც, ეს საუკეთესო ბიძები არიან (სენსაცია). რაიმე საბაბით მსუქანი ღვიძლის პაშტეტი აჭამეთ.

_ ეჰ, ბიძაჩემი მაღალი, გამხდარი კაცია, ძუნწი და ფხიზელი.

_ აჰ, ასეთი ბიძები არაკაცები არიან, ისინი ბოროტად სარგებლობენ სიცოცხლით.

_ და, _ განაგრძო ბიძებიანმა მამაკაცმა, _ მას საჭმლის მონელების დროს აცნობეთ, შენი ბანკირი გაკოტრდა-თქო.

_ თუ გაუძლო?

_ ერთი ლამაზი გოგონა მიეცით.

_ თუ მან?.. _ თქვა მეორემ და უარყოფის ნიშანი გააკეთა.

_ მაშინ ეს ბიძა არაა. ბიძა არსებითაც ცელქი ვინმეა.

_ მალიბრანის* ხმამ ორი ნოტი დაკარგა.

_ არა, ბატონო.

_ ჰო, ბატონო.

_ ოჰ, ოჰ! ჰო და არა, განა ეს არ წარმოადგენს ყველა რელიგიური, პოლიტიკური და ლიტერატურული მსჯელობების ისტორიას? ადამიანი ჯამბაზია, რომელიც თოკზე ცეკვავს უფსკრულის პირას.

_ განათლება საუცხოო აბდაუბდაა. ბ-ნ ჰანეფეტერმახი ამტკიცებს, დაბეჭდილი ტომების რიცხვი მილიარდს სჭარბობსო, ადამიანის სიცოცხლე კი იმდენად მოკლეა, თხუთმეტი ათასის წაკითხვაც კი არ შეიძლება. მაშ ამიხსენით, რას ნიშნავს სიტყვა _ განათლება? ზოგიერთთათვის განათლება ნიშნავს ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელის ცოდნას ან იმას, რომ ბატონი დეზაკორდის* დოგს ბერესილოს ეძახდნენ: ამავე დროს მათ არ იციან იმ ადამიანის სახელი, რომელმაც, მაგალითად, ხე-ტყის წყლით გადაზიდვა ან ფაიფური მოიგონა. სხვებისთვის განათლება ნიშნავს მოპარული ანდერძის დაწვას და პატიოსანი, ყველასათვის საყვარელი, პატივსაცემი ადამიანის სახელის მოხვეჭას, ისე რომ რეციდივი არ ჩაიდინოს და ხუთ დამამძიმებელ პირობებში საათის მოპარვისთვის, პატივახდილი და აბუჩად აგდებული, გრევის მოედანზე არ გაიგზავნოს სიკვდილით დასასჯელად.

_ ნატანი დარჩება?

_ ეჰ, ბატონო, მას ჭკვიანი თანამშრომლები ჰყავს.

_ კანალისზე არას იტყვით?

_ დიდი ადამიანია, კრინტიც აღარ დასძრათ მასზე.

_ თქვენ მთვრალი ხართ!

_ კონსტიტუციის შემოღებას უშუალოდ გონებათა დამდაბლება მოსდევს. ხელოვნებას, მეცნიერებას, ძეგლებს, ყოველივეს ჩვენი დროის კეთრი, შემაძრწუნებელი ეგოიზმის გრძნობა ჭამს. თქვენი სამასი ბურჟუა პარლამენტის სკამებზე დაჯდება და არაფერზე იფიქრებს გარდა ალვის ხეების დარგვისა. დესპოტიზი არალეგალურად დიდ საქმეებს აკეთებს, თავისუფლება თავს არ იწუხებს პატარა საქმეები მაინც გააკეთოს ლეგალურად.

_ თქვენი საურთიერთო სწავლა ფაბრიკულად ხუთფრანკიანებს ამზადებს ადამიანის ხორცისაგან, _ სიტყვა გააწყვეტინა აბსოლუტისტმა. _ სწავლა-განათლებით გათანასწორებულ ხალხში პიროვნება ქრება.

_ მაგრამ განა საზოგადოების მიზანი იმაში არ მდგომარეობს, რომ საყოველთაო კეთილდღეობა დაამყაროს? _ იკითხა სენსიმონისტმა.

_ ორმოცდაათი ათასი ლივრის შემოსავალი რომ გქონდეთ, ხალხზე როდი იფიქრებდით. თქვენ მართლა გაჟღენთილი ხართ მშვენიერი სიყვარულით კაცობრიობისადმი? მადაგასკარში წადით; იქ იპოვით საუცხოო პატარა ხალხს, გამოსადეგს სენსიმონიზმის ცდების მოსაწყობად, კლასებად დასაყოფად, ქილაში ჩასადებად; აქ კი ყველა ბუნებრივად შედის თავის უჯრედში, როგორც ლურსმანი ნახვრეტში, აქ შვეიცრები შვეიცრებად რჩებიან, სულელები _ სულელებად და სრულიად არ საჭიროებენ, რომ ამ ხარისხში წმინდა მამათა კოლეგიამ აიყვანოს.

_ თქვენ კარლისტი* ხომ არ ხართ?

_ რატომაც არა? მიყვარს დესპოტიზმი, მას ათვალისწუნებული ჰყავს ადამიანური მოდგმა. მე არ მძულს მეფეები, ისინი კარგს გასართობს წარმოადგენენ! ტახტზე დაჯდომა ოთახში, ოცდაათი მილიონი ლიეს მანძილზე მზიდან, განა ეს არაფერს ნიშნავს?

_ მაგრამ შევაჯამოთ ცივილიზაციის საერთო ხაზები, _ ამბობდა მეცნიერი, რომელმაც უყურადღებო მოქანდაკის ჭკუის სასწავლად მსჯელობა დაიწყო საზოგადოებათა დასაბამსა და პირველყოფილ ერებზე. _ ეროვნებათა წარმოშობის დროს ძალა რამდენიმედ მატერიალური, მთლიანი, ტლანქი იყო; შემდეგ შეჯგუფებათა ზრდასთან ერთად, პირველყოფილი ხელისუფლების მეტ-ნაკლებად მარჯვე დაშლის შემწეობით, მთავრობანი წარმოიშვნენ. ამრიგად, უძველეს დროს ძალა თეოკრატიაში* იყო. მოგვს ხელში მახვილიც ეჭირა და საცეცხლურც. შემდეგ ორი სხვადასხვაგვარი ქურუმობა განვითარდა: მღვდელმთავრობა და მეფობა. დღეს ჩვენი საზოგადოება, ეს უკანასკნელი სიტყვა ცივილიზაციისა, ძალაუფლებას კომბინაციათა რიცხვის მიხედვით ანაწილებს. და

ჩვენ მივაღწიეთ ძალების არსებობას, რომელთაც ინდუსტრია, აზროვნება, ფული, სიტყვა ჰქვია. ხელისუფლებას მთლიანობა აღარა აქვს, იგი შეუჩერებლივ მიაბიჯებს საზოგადოების დაშლისკენ, რომელსაც სხვა ზღუდე არა აქვს გარდა სარგებლობისა. ამრიგად, ჩვენ არ ვეყრდნობით არც რელიგიას, არც მატერიალურ ძალას, არამედ მხოლოდ გონებას. მაგრამ უდრის თუ არა წიგნის ღირებულება მახვილისას? ან მსჯელობის ღირებულება _ მოქმედებისას? აი, როგორია ამოცანა.

_ გონებამ ყოველივე მოკლა! _ წამოიძახა კარლისტმა. _ შეხეთ, აბსოლუტურ თავისუფლებას ერები თვითმკვლელობისკენ მიჰყავს, ისინი ტრიუმფის დროსაც მოწყენილი არიან, როგორც ინგლისელი მილიონერები.

_ ახალს რას იტყვით? დღეს თქვენ სასაცილოდ აიგდეთ ყველა ხელისუფლება, ეს ისეთივე უხამსობაა, როგორც ღმერთის უარყოფა. თქვენ რწმენა აღარა გაქვთ. და აი, ჩვენი საუკუნე ბებერ სულთანს ჰგავს, იგი იღუპება გარყვნილებისაგან! ბოლოს, თქვენმა ლორდმა ბაირონმა უკიდურეს პოეტურ სასოწარკვეთილებას მიაღწია და დანაშაულის შექება დაიწყო.

_ იცით თუ არა, _ უპასუხა სრულიად მთვრალმა ბიანშონმა, _ რომ წუმწუმის მეტი თუ ნაკლები ოდენობა ადამიანს ან გენიოსად ქმნის, ან არამზადად, ან ჭკვიან ადამიანად, ან იდიოტად, ან სათნო ადამიანად, ან ბოროტმოქმედად?

_ განა შეიძლება ასე მსჯელობა სათნოების შესახებ! _ წამოიძახა კიურსიმ. _ სათნოება ყოველი სათეატრო პიესის სიუჟეტი, ყოველი დრამის კვანძი, ყოველი ტრიბუნალის საძირკველია...

_ ოჰ, ნუ ლაპარაკობ, ნადირო! შენი სათნოება უტერფო აქილევსია!* _ თქვა ბიქსიუმ.

_ დავლიოთ!

_ გინდა სანაძლეო დავდოთ, რომ ერთ ბოთლ შამპანურს გამოვცლი ერთი ყლუპით?

_ რა ჭკვიანი საქციელია, _ წამოიძახა ბიქსიუმ.

_ მეეტლებივით მთვრალი არიან! _ თქვა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც სერიოზული სახით ღვინოს ასმევდა თავის ჟილეტს.

_ დიახ, ბატონო, დღეს მმართველობის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების აზრი გაბატონდეს.

_ საზოგადოებრივი აზრი? ეს ხომ ყოველ მეძავ ქალზე უფრო გარყვნილი არსებაა! თქვენ რომ დაგიჯეროთ, მორალისტებო და პოლიტიკოსებო, თქვენი კანონები ყოველთვის ბუნებას უნდა ვამჯობინოთ, საზოგადოებრივი აზრი _ სინდისს. ნამდვილად ყოველივე

ჭეშმარიტია, ყოველივე ყალბია. თუ საზოგადოებამ ბუმბული მოგცა ბალიშებისთვის, სამაგიეროდ, ნიკრისის ქარებიც მოგიძღვნა ისევე, როგორც სასამართლოს პროცესი მოგიძღვნა, რათა მართლმსაჯულება გაენელებინა, ხოლო სურდო _ ქიშმირის შალების შედეგად.

_ გონჯავ! _ წამოიძახა ემილმა, რათა სიტყვა შეეწყვეტინებინა მიზანთროპისთვის. _ როგორ შეიძლება ცივილიზაციის სამდურავის თქმა, როცა წინ ღვინოებითა და საუცხოო საჭმელებით გაწყობლი სუფრა გაქვს გაშლილი? უკბინე ამ ფეხებმოვარაყებულ და რქებმოვარაყებულ ციკანს, მაგრამ ნუ კბენ დედაშენს...

_ განა ეს ჩემი ბრალია, თუ კათოლიციზმი მილიონ ღმერთს ფქვილიან ტომარაში ჰყრის, თუ რესპუბლიკა ყოველთვის ნაპოლეონით მთავრდება, თუ მეფის ხელისუფლება ქანაობს ანრი IV მკვლელობასა* და ლუი XVI გასამართლებას* შორის, თუ ლიბერალიზმი ლაფაიეტად იქცევა?

_ განა თქვენ ლაფაიეტისთვის* ივლისში არ გიკოცნიათ?

_ არა.

_ მაშ ხმა ჩაიკმინდეთ, სკეპტიკოსო.

_ სკეპტიკოსები ყველაზე სინდისიერი ადამიანები არიან.

_ მათ სინდისი არა აქვთ.

_ რას ამბობთ! ორი სინდისი მაინც აქვთ.

_ ზეცის დისკონტირება!* აი, ბატონო, ნამდვილი კომერციული იდეა. ანტიკური რელიგიები მხოლოდ ფიზიკური სიამოვნების ბედნიერ განვითარებას წარმოადგენენ, ხოლო ჩვენ სული და იმედი განვავითარეთ; ეს პროგრესია.

_ ეჰ! ჩემო კარგო მეგობრებო, რას უნდა ველოდოთ კარგს საუკუნიდან, რომელიც გაჟღენთილია პოლიტიკით? _ თქვა ნატანმა. _ რა ბედი ეწვია «ბოჰემის მეფის და მისი შვიდი ციხე-კოშკის ამბავს»?* ამ მომხიბლავ გააზრებას?

_ რაო? _ დაიყვირა მცოდნემ მთელი სუფრის გასაგონად, _ შიგ ცარიელი ფრაზების მეტი არაფერია, ეს საგიჟეთისთვის დაწერილი თხზულებაა.

_ თქვენ ხართ გიჟი!

_ თქვენ კიდევ უჭკუო ხართ!

_ ოჰო!

_ აჰა!

_ ისინი იბრძოლებენ.

_ არა.

_ ხვალამდე, ბატონო.

_ ახლავე, _ უპასუხა ნატანმა.

_ კარგი, კარგი! ორივე მამაცები ხართ.

_ თქვენ კი ნაკლებ მამაცი უნდა იყოთ, _ თქვა ჩხუბის ამტეხმა.

_ მხოლოდ ფეხზე დგომა აღარ შეუძლიათ.

_ აჰ! შეიძლება ვერც ავდგე! _ უპასუხა ჩხუბისთავმა ნატანმა და ხარაბუზასავით გაუბედავად წამოდგა.

მან სუფრას უაზროდ გადახედა; შემდეგ, თითქო არაქათი გამოსცლოდეს, ისევ სკამზე დაეშვა, თავი დახარა და დადუმდა.

_ სასაცილო არ იქნებოდა, _ ჩასჩურჩულა მცოდნემ თავის მეზობელს, _ ადამიანი ხმალში გამომეწვია თხზულების გულისთვის, რომელიც არც მინახავს არც წამიკითხავს?

_ ემილ, ტანსაცმელს გაუფრთხილდი, თქვენი მეზობელი გაფითრდა, _ თქვა ბიქსიუმ.

_ კანტი, ბატონო? ეს კიდევ ერთი საჰაერო ბურთია, უგუნურთა გასართობად აშვებული! მატერიალიზმი და სპირიტუალიზმი ორი ლამაზად გამოჭრილი ჩოგანია, რომლითაც მანტიაში გახვეული არამზადები ერთსა და იმავე ვოლანს ატრიალებენ. სპინოზას რომ ვკითხოთ, ღმერთი ყველაფერშია, პავლე მოციქულს რომ ვკითხოთ, ყველაფერი ღმერთისგან გამოდის... უგუნურები! განა კარის გასაღებად და დასახურავად ერთი და იგივე მოძრაობა არაა საჭირო? კვერცხი შობს ქათამს თუ ქათამი კვერცხს?.. მომაწოდეთ იხვი!.. აი, მთელი მეცნიერება.

_ დოყლაპიავ, _ დაუძახა მას მენციერმა, _ თქვენ მიერ დასმული საკითხი უკვე გადაჭრილია ფაქტის მიერ.

_ რომელი ფაქტის?

_ კათედრები კი არ შექმნილა ფილოსოფიისათვის, არამედ ფილოსოფია _ კათედრებისათვის. სათვალე გაიკეთე და ბიუჯეტი წაიკითხე.

_ ქურდები!

_ უგუნურები!

_ გარეწრები!

_ სულელები!

_ სად იპოვი გარდა პარიზისა ასეთ ცხოველ, ასე სწრაფ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, _ წამოიძახა ბიქსიუმ დაბალი ხმით.

_ ჰე, ბიქსიუ, წარმოგვიდგინე რაიმე კლასიკური ფარსი! ან რაიმე შარჟი, გეთაყვა!

_ გინდათ XIX საუკუნე წარმოგიდგინოთ?

_ სმენა!

_ სიჩუმე!

_ ლაგამი ამოიდეთ დრუნჩზე!

_ დადუმდები თუ არა, ჩინელო!

_ ღვინო დაუსხით, ეგებ ხმა გაიკმინდოს ამ ყმაწვილმა!

_ შენი რიგია, ბიქსიუ!

მსახიობმა თავისი შავი ტანსაცმელის ღილები შეიკრა საყელომდე, ყვითელი ხელთათმანები წამოიცვა, ალმაცერად გამოიხედა და დაიღმანჭა, რათა «რევიუ დე დემონდი»* წარმოედგინა; მაგრამ ხმაურობამ დაფარა მისი ხმა, და შეუძლებელი გახდა დაცინვის სიტყვების გაგონება. თუ თავის საუკუნის ასახვა ვერ შეძლო, «რევიუს» ასახვა მაინც მოახერხა, ვინაიდან არც ერთს და არც მეორეს არ ესმოდა თავისი თავისა.

ტკბილეულობა და ხილეულობა სუფრაზე სადილის შემდეგ თითქოს რაღაც ჯადოქრობით გაჩნდა. თითქმის მთელი მაგიდა დაფარა მოვარაყებული ბრინჯაოს ფართო ლანგარმა, რომელიც ტომირის* სახელოსნოდან იყო გამოსული. მაღალ ფიგურებს, რომელთათვისაც მხატვარს ევროპული თვალსაზრისით იდეალური მშვენიერების ფორმები მიეცა, ეჭირათ მთელი ზვინი მარწყვისა, ანანასისა, ახლადდაკრეფილი ფინიკებისა, ქარვისფერი ყურძნისა, ბუსუსიანი ატმისა, სეტუბალიდან* გემით მოტანილი ფორთოხლისა, ბროწეულისა, ჩინური ხილისა; ერთი სიტყვით, აქ იყო ფუფუნების ყოველგვარი სიურპრიზი, საკონდიტრო ხელოვნების სასწაულები, უგემრიელესი დელიკატესები, ყველაზე მომხიბლავი ტკბილეულობა. ამ გასტრონომიული სურათების ფერებს აძლიერებდა ფაიფურის ბრწყინვალება, ოქროს ბრჭყვიალა არშიები, ლარნაკების მოხაზულობა. სევრის ფაიფურის ჭურჭელზე პუსენის პეიზაჟების ასლები იყო გადაღებული, ხილსა და ტკბილეულობას ქვეშ ეგო მწვანე, მსუბუქი ხავსი, რბილი, როგორც ზღვის ბალახი. გერმანიის მთელი სამთავროს ქონება ვერ გამოისყიდდა ამ ზვიად სიმდიდრეს. ვერცხლი, სადაფი, ოქრო, ბროლი ხელახლა თვალს მოევლინენ ახალ ფორმებში, მაგრამ დამძიმებული თვალები და სიმთვრალის ციებ-ცხელებიანი

ენაწყლიანობა სტუმრებს ნებას არ აძლევდა ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ამ აღმოსავლეთის ზღაპრების შესაფერ ფერიაზე.

სადესერტო ღვინოებმა სურნელება და ცეცხლის ალი მოიტანეს, აგრეთვე სიყვარულის სამსალა, ჯადოქრული ორთქლი, რომელიც ერთგვარ გონებრივ მირაჟს შობს და ძლიერი ბორკილებით ხელ-ფეხს ბოჭავს და ამძიმებს. ხილის პირამიდები დარბეულ იქნა, ხმები გაბოხდა, ღრიანცელმა იმატა; გარკვეული სიტყვა აღარ გაისმოდა, ჭიქები იმტვრეოდა; ველურმა სიცილმა მაშხალასავით იფეთქა. კიურსიმ ხელი სტაცა რქას და ბუკივით დაჰკრა. ეს თითქოს ეშმაკის მიერ მოცემული ნიშანი იყო. ამ ბოდვით შეპყრობილმა საზოგადოებამ ღმუილი, სტვენა, სიმღერა, ყვირილი, ღრიალი, ღრენა დაიწყო. ბუნებით მხიარული ადამიანები პირქუშნი გახდნენ კრებიიონის* ტრაგედიების დასასრულივით, ჩაფიქრდნენ ეტლში მჯდომარე მეზღვაურებივით; მზაკვარი ადამიანები თავიანთ საიდუმლოებას უამბობდნენ ცნობისმოყვარეებს, მაგრამ ესენი მათ როდი უსმენდნენ; მელანქოლიკოსები იცინოდნენ, როგორც მოცეკვავე ქალები, რომელნიც პირუეტებს აკეთებენ. კლოდ მინიონი ქანაობდა, როგორც გალიაში დამწყვდეული დათვი. გულითადი მეგობრები ჩხუბობდნენ. ადამიანთა სახეებზე აღბეჭდილი ცხოველური გამომეტყველება, რომელსაც ფიზიოლოგისტები ასე უცნაურად ააშკარავებენ, ბუნდოვნად მჟღავნდებოდა მიხვრა-მოხვრასა, თავის დაჭერასა, სხეულის ძალდაუტანებელ მოძრაობაში; რომელიმე ფხიზელი და მშვიდი ბიშა* აქ მთელ მზამზარეულ წიგნს აღმოაჩენდა. მასპინძელი გრძნობდა _ მთვრალი ვარო, ადგომას ვერ ბედავდა, მაგრამ უცვლელი გრიმასით თავისი სტუმრების თავშეუკავებლობას იწონებდა; ამასთანავე ცდილობდა წესიერი და სტუმართმოყვარე გამომეტყველება ჰქონოდა. მისი ფართო სახე წითელი და ლურჯი, თითქმის იისფერი, შემზარავი გახდა. ეს სახე მონაწილეობას იღებდა საერთო მოძრაობაში, მაგრამ გვერდზე იხრებოდა, როგორც ხომალდი გვერდული და სიგრძივი რყევის დროს.

_ თქვენ მოკალით თუ არა ისინი? _ ჰკითხა ემილმა.

_ ამბობენ, სიკვდილის სასჯელი მოისპობა ივლისის რევოლუციის პატივსაცემადო, _ უპასუხა ტაიფერმა, რომელმაც წარბები შეიჭმუხნა თვალთმაქცური და სულელური გამომეტყველებით ერთსა და იმავე დროს.

_ ხანდახან სიზმარში მაინც არ ხედავთ? _ ჰკითხა თავის მხრივ რაფაელმა.

_ ხანდაზმულობის საქმეა! _ თქვა ოქროთი გავსებულმა მკვლელმა.

_ და აი, მის საფლავზე, _ წამოიძახა ემილმა გესლიანი ტონით, _ სასაფლაოს მოიჯარადრე წააწერს: «გამვლელო, ცრემლს ნუ დაიშურებთ მის მოსაგონად!..» ოჰ, ას სუს მივცემდი მათემატიკოსს, რომელიც ალგებრული განტოლების შემწეობით ჯოჯოხეთის არსებობას დამიმტკიცებდა.

მან ჰაერში შეაგდო ვერცხლის ფული და დაიძახა:

_ ზედაპირი, თუ ღმერთი არსებობს!

_ ნუ დახედავ! _ თქვა რაფაელმა და ფულს ხელი სტაცა. _ ვინ იცის? შემთხვევა ხუმარა რამ არის.

_ ეჰ, _ განაგრძო ემილმა სევდიანი მასხრული ტონით. _ არ ვიცი, ფეხი სად დავდგა ურწმუნოების გეომეტრიასა და პაპის მამაო ჩვენოს შორის. მაგრამ დავლიოთ: ტრინკ!* ხომ ასეთია ღვთაებრივი ბოთლის ქურუმის მცნება «პანტაგრუელის» დასასრულს.

_ მამაო ჩვენოს უნდა ვუმადლოდეთ, _ უპასუხა რაფაელმა, _ ჩვენს ხელოვნებას, ძეგლებს, შეიძლება მეცნიერებასაც და კიდევ უფრო მეტ სიკეთეს, სახელდობრ, ჩვენს თანამედროვე მმართველობას, რომელშიც ფართო და ნაყოფიერი საზოგადოება საუცხოოდაა წარმოდგენილი ხუთასიოდე გონიერი და განათლებული ადამიანის მიერ. ამ საზოგადოების ერთიმეორის მოწინააღმდეგე ძალები ერთმანეთს ანეიტრალებენ და მთელს ხელისუფლებას ცივილიზაციას უთმობენ, ამ ბუმბერაზ დედოფალს, რომელიც ენაცვლება ძველს, შემაძრწუნებელ ფიგურას _ მეფეს, ერთგვარ ყალბ ბედისწერას, ადამიანის მიერ ზეცასა და თავისთავს შორის დაყენებულს. ამდენი სრულქმნილი მოვლენის წინაშე ათეიზმი უნაყოფო ჩონჩხს ჰგავს. შენ რაღას იტყვი?

_ მე ვფიქრობ კათოლიციზმის მიერ დაღვრილი სისხლის მორევზე, _ თქვა ცივად ემილმა. _ მან გული და ძარღვი ამოგვაცალა, რათაA წარღვნისთვის წაებაძა. მაგრამ არა უშავს! ყოველი მოაზროვნე ადამიანი ქრისტეს ბაირაღს უნდა შეუდგეს. მხოლოდ მან აკურთხა სულის ბატონობა სხეულზე, მხოლოდ მან გამოააშკარავა პოეტურად იმ შუამავალი ქვეყნის არსებობა, რომელიც ღმერთისაგან გვყოფს.

_ შენ გწამს? _ ჰკითხა რაფაელმა და მთვრალი კაცის გაურკვეველი ღიმილით შეხედა. _ მაშ კარგი, რათა სახელი არ გავიტეხოთ, ცნობილი სადღეგრძელო წარმოვთქვათ: «უცნობ ღმერთებს!»*

და მათ გამოსცალეს თავიანთი ფიალები, სავსე მეცნიერებითა, ნახშირჟანგა აირითა, სურნელებითა, პოეზიითა და ურწმუნოებით.

_ თუ ბატონები კეთილინებებენ და სასტუმროში გაბრძანდებიან, იქ ყავა დახვდებათ, _ თქვა მესტუმრეთუხუცესმა.

* * *

ამ წუთში თითქმის ყველანი გადაშვებულნი იყვნენ იმ სამოთხისებურ სფეროებში, სადაც სულის სინათლე ქრება, სადაც თავისი მტარვალისაგან განთავისუფლებული სხეული ეძლევა თავისუფლების გამაბრუებელ სიამოვნებათ. ზოგიერთი სიმთვრალის მწვერვალზე იყო ასული, პირქუშად იჯდა და დიდი გაჭირვებით ცდილობდა რაიმე აზრი დაეჭირა, რაც მის საკუთარ არსებობას დაადასტურებდა. ზოგიერთი გარინდებული იყო საჭმლის მონელებით და უძრავად იჯდა; უშიშარი ორატორები კიდევ ბუნდოვან სიტყვებს ლაპარაკობდნენ, მაგრამ მათი აზრი თვით არ ესმოდათ. ალაგ-ალაგ ღიღინი გაისმოდა, როგორც უსულო და ხელოვნურად შეკოწიწებული მექანიზმის ხრიალი. დუმილი და ხმაურობა ახირებულად იყო შეუღლებული. ამისდა მიუხედავად, როცა სტუმრებმა მსახურის ეს დაძახება გაიგონეს, რომელიც მათ ახალ სიამოვნებათ აღუთქვამდა, ისინი წამოდგნენ, ერთიმეორეს ხელი ჩაჰკიდეს, ერთიმეორეს დაებჯინენ. მთელი ეს ბრბო ერთი წუთის განმავლობაში მოხიბლული იდგა უმოძრაოდ კარის ზღურბლზე. ლხინის უზომო სიამოვნებანი დაიჩრდილნენ იმ გამაღიზიანებელი სანახაობის წინაშე, რომელსაც მასპინძელი მათ ავხორცობას სთავაზობდა. ოქროს ხომლის მოციმციმე სანთლების ქვეშ, ოქროცურვებული ჭურჭლით დაფარული მაგიდის გარშემო, უცებ ქალთა ჯგუფი წარსდგა გაოგნებული სტუმრების წინაშე, რომელთა თვალები ალმასებივით აენთნენ. მდიდარი იყო სამკაული, მაგრამ კიდევ უფრო მდიდარი იყო ეს დამაბრმავებელი მშვენიერება, რომლის წინაშე ამ სასახლის ყველა სასწაული ქრებოდა.

ამ ფერიებივით მომჯადოებელი ქალების ვნებიან თვალებში მეტი ცეცხლი იყო, ვიდრე სინათლის ღვარში, რომელიც აციაგებდა კედლების ატლასს, ბროლბაკმს ქმნიდა მარმარილოს გარშემო და ლივლივებდა ბრინჯაოს ნატიფ ხრახნილებზე. გული ენთებოდა ამ კონტრასტების დანახვაზე, რომელსაც მათი თმის ტალღები და მათი პოზები ქმნიდა. ეს პოზები სხვადასხვანაირი იყო თავისი მიმზიდველობითა და ხასიათით. ეს იყო ყვავილების ღობე, შემკული ლალებით, საფირონებითა და მარჯნებით; თოვლივით თეთრ კისერთ შავი ყელთსაბამები ეხვია, მსუბუქი მანდილები კანდელის სანთელივით ფრიალებდა, მხრებზე ამაყი პირბადე ეშვებოდა, სხეულთ მორცხვად გამაღიზიანებელი ტუნიკები ეკვროდა. ეს ჰარამხანა ჯადოს ქმნიდა ყველა თვალისათვის, ვნებათაღელვის

სიტკბოებას _ ყოველგვარი ჟინისათვის. ერთი მოცეკვავე ქალი თითქო ტიტველი იყო ქიშმირის ხვეულებში. იქ გამჭვირვალე გაზი, ხოლო აქ მოლივლივე აბრეშუმი ფარავდა და ამავე დროს ამჟღავნებდა სხეულის იდუმალ სრულყოფას. პაწია ვიწრო ფეხები სიყვარულზე ლაპარაკობდნენ, მარჯნისფერი წყალჯავარიანი ტუჩები დუმდნენ. სათუთი და თავდაჭერილი ახალგაზრდა ქალები, ეს ყალბი ქალწულები, რომელთა მშვენიერი თმები გარშემო სარწმუნოებრივს უმანკოებას აკმევდნენ, მოჩვენებას ჰგავდნენ, ადვილად გასაფანტავს ერთი სულის შებერვით. არისტოკრატი მზეთუნახავები, აღჭურვილნი ამპარტავანი გამოხედვით, მაგრამ მოდუნებულნი, სათუთნი, ნატიფნი, მოქნილნი, თავებს ხრიდნენ თითქო მეფური გულუხვობის გამოსაჩენად. ინგლისელი ქალი, თეთრფეროვანი, უმწიკვლო და ჰაეროვანი არსება, თითქო ოსიანის* ღრუბლებიდან ჩამოშვებულ სევდის ანგელოზს ჰგავდა, ან სინდისის ქენჯნას, ლტოლვილს შეცდომებისა და დანაშაულისაგან. ამ სახიფათო კრებულს არ აკლდა არც პარიზელი ქალი, რომლის მთელი მშვენიერება მდგომარეობს კალმით აუწერელ გრაციაში, რომელიც ამაყობს თავისი ტანსაცმლით და თავისი გონებამახვილობით, აღჭურვილია ყოვლისშემძლე სისუსტით, მოქნილი და შვეტია ერთსა და იმავე დროს, უგულო და უვნებო სირინოზს წარმოადგენს, მაგრამ ხელოვნურად ქმნის ვნებათაღელვის საგანძურს და გულის თრთოლვას. აქვე ბრწყინავდნენ იტალიელი ქალები, მშვიდნი გარეგნულად, მაგრამ კეთილსინდისიერნი ნეტარების დროს, აყვავებული სხეულით დაჯილდოებული ნორმანდიელი ქალები, ბოლოს - სამხრეთის ასულნი, ყორნის ფრთასავით შავი თმითა და ნუშივით მოყვანილი თვალებით. ადამიანს შეეძლო ეფიქრა, აქ თავი მოუყრიათ ლებელის* მიერ მოწვეულ ვერსალის მზეთუნახავთ, რომელთაც დილიდანვე თავიანთი ხაფანგები გაუბამთო, ან კიდევ ისინი აღმოსავლეთის მხევლები არიან, გაღვიძებულნი სოვდაგრის მიერ, რათა გზას გაუდგნენ დილის რიჟრაჟზეო. ისინი წამოდგნენ, შეშფოთებული და დარცხვენილი გაჩერდნენ მაგიდის გარშემო. ეს შეკრთომა საყვედური და კეკლუცობა იყო ერთსა და იმავე დროს, იგი ან წინასწარ განზრახულ მაცდურობას წარმოადგენდა ან უნებლიე კდემამოსილებას: შეიძლება გრძნობა, რომლიდანაც ქალი არასოდეს არ იძარცვება საბოლოოდ, მათ უკარნახებდა სათნოების წამოსასხამში გახვეულიყვნენ, რათა გულუხვად გამჟღავნებული ცოდვისათვის მეტი მომხიბლაობა და სიმწვავე მიეცათ.

ბებერი ტაიფერის შეთქმულებას თითქო მარცხი უნდა განეცადა. ეს აღვირახსნილი მამაკაცები უცებ დაექვემდებარნენ მეფურ ძალას, რომლითაც ქალია აღჭურვილი. გაისმა აღტაცების ჩურჩული, როგორც უნაზესი მუსიკა. სიყვარულს არასოდეს არ უმგზავრია

სიმთვრალესთან ერთად. ვნებათა გრიგალის მაგივრად სტუმრებმა, რომელთაც სისუსტის წუთებში მოუსწრეს, თავი მისცეს ნებიერი ექსტაზის სიტკბოებას. პოეზიის მოწოდებაზე, რომელიც მუდამ ეძახის ხელოვანთ, ხელოვანნი ნეტარების გრძნობით შეუდგნენ ამ არჩეულ მშვენიერებათა სათუთი ნაკვთების შესწავლას. ფილოსოფოსი გამოფხიზლდა აზრის წყალობით, რომელიც შეიძლება შამპანურის ნახშირჟანგა აირით იყო გამოწვეული, და შეკრთა იმ უბედურების წარმოდგენაზე, რომელთაც აქ მოეყვანათ ეს ქალები - შეიძლება ერთ დროს ღირსნი უწმინდესი თაყვანისცემისა. უეჭველია, თითოეულ მათგანს შეეძლო სისხლისმღვრელი დრამა ეამბნა. ყველას, ალბათ, თან ჯოჯოხეთური ტანჯვა ჰქონდა მოტანილი, ყველანი უკან მოღალატე მამაკაცებს, გაცრუებულ აღთქმებს, შეჭირვებით ნაყიდ სიხარულს მოათრევდნენ.

სტუმრები ქალებს მიუახლოვდნენ ზრდილობიანად და გაიმართა საუბარი, ისევე მრავალფერადი, როგორიც მოსაუბრეთა ხასიათი იყო. ჯგუფები შეიქმნა. იტყოდით, წესიერი ოჯახის სასტუმრო ოთახია, სადაც ქალწულები და მანდილოსნები სადილის შემდეგ სტუმრებს ყავის, ტკბილი სასმელებისა და შაქრის სახით დახმარებას სთავაზობენ საჭმლის მონელების გასაადვილებლადო. მაგრამ მალე აქა-იქ სიცილი გაისმა, ხმაურობამ იმატა. ერთი წუთით მოთვინიერებული ღრეობა ხელახლა გაღვიძებას აპირებდა. დუმილის და ხმაურობის ეს ცვალებადობა შორიდან ბეთჰოვენის სიმფონიას ჰგავდა.

როგორც კი ემილი და რაფაელი რბილ დივანზე დასხდნენ, მათ მაღალი, ლამაზი აგებულების ახალგაზრდა ქალი მიუახლოვდა. მას თავი ღირსეულად ეჭირა; საკმაოდ უსწორმასწორო სახე, მაგრამ გამგმირავი, ფიცხელი გამომეტყველება ჰქონდა. ეს გამომეტყველება სულს იპყრობდა თავისი ძლიერი კონტრასტებით. ეტყობოდა, მის შავ თმას, გამაღიზიანებლად დახუჭუჭებულს, სიყვარულის ბრძოლები განეცადა. იგი ეცემოდა მის ფართო მხრებზე მსუბუქ კულულებად, რომლებიც თვალისთვის მიმზიდველ პერსპექტივებს ქმნიდა. მის მედიდურ მწყაზარ კისერზე სინათლისა და ჩრდილის შენაცვლება ულამაზესი კონტურების სინატიფეს ამჟღავნებდა. მისი თბილი და ელვარე ფერები აცხოველებდა მიმცხრალი თეთრი ფერის კანს. თვალები, მიჯრით დაისრული გრძელი წამწამებით, კადნიერ ცეცხლს ისროდა, სიყვარულის ნაპერწკლებს! მარჯნისფერი წყალჯავარიანი ტუჩები ოდნავ დაღებული იყო და თითქო კოცნას მოუხმობდა. მას ძლიერი, მაგრამ სასიყვარულოდ მოქნილი წელი ჰქონდა; მისი მკერდი და ხელები გაფურჩქვნილი იყო, როგორც კარაჩის* მზეთუნახავების მკერდი და ხელები, მაგრამ ეტყობოდა, მისი სხეული დიდად მკვირცხლი და მკვრივი უნდა ყოფილიყო. მისი

მოძრაობა ავაზისებურ ძალას მოწმობდა, მისი ვაჟკაცური ფორმების მოხდენილობა შთამთქმელ ვნებათაღელვას აღგვითქვამდა. თუმცა ამ ქალს კარგად უნდა სცნოდნოდა სიცილიც და ცელქობაც, მისი თვალები და გაღიმება გონებას აფრთხობდა. იგი დემონის მიერ შეპყრობილ წინასწარმეტყველ ქალს ჰგავდა და უფრო გაკვირვებას იწვევდა, ვიდრე ნდომას. შეიძლება მას ნაყროვანი ადამიანები მოეხიბლა, მაგრამ ახალგაზრდა კაცს შეაშინებდა. ეს იყო კოლოსალური ქანდაკება, ჩამოვარდნილი ბერძნული ტაძრის ფრონტონიდან, დიდებული _ შორიდან, მაგრამ ცოტა არ იყოს, ტლანქი, თუ ახლო დაუკვირდებოდით. ემილმა იგი შექსპირის ტრაგედიას შეადარა, საუცხოო არაბესკს, სადაც სიხარული ღმუის, სადაც სიყვარულში არის რაღაც ველური, სადაც გრაციის ჯადოქრობას და ბედნიერების ცეცხლს გულისწყრომის სისხლისმღვრელი ამბოხება მოსდევს. მას შეეძლო ერთ მოხვევაში ყველა ქალური ჯადოქრობა მოეცა, ხოლო ერთი წუთის შემდეგ დაეგრგვინა, თავისი თავი დაეფლითა, თავისი ვნებათაღელვა და თავისი საყვარელი შეემუსრა; ბოლოს თავისივე თავი გაენადგურებინა აჯანყებული ხალხის მსგავსად. მას წითელი ხავერდის ტანისამოსი ეცვა, უზრუნველად ფეხით სთელავდა თავისი ამხანაგების თმებიდან ჩამოცვივნულ ყვავილებს და გულზვიადად ვერცხლის ლანგარს უწვდიდა რაფაელს და ემილს. მისი თეთრი ხელი ცოცხლად იხატებოდა ხავერდის ფონზე. იგი თითქოს სიამოვნების დედოფალი იყო, იმ ადამიანური სიყვარულის განსახიერება, რომელიც ფლანგავს სამი თაობის მიერ დაგროვილ დოვლათს, დასცინის ცხედრებს, სამასხარაოდ იგდებს წინაპრებს, ლეწავს მარგალიტებსა და ტახტებს, ჭაბუკებს მოხუცებად აქცევს, ხოლო მოხუცებს _ ჭაბუკებად; ეს სიხარული ნებადართულია მხოლოდ ხელისუფლებით ან აზრით დაქანცული ბუმბერაზებისათვის, ან კიდევ ისეთი გმირებისათვის, რომელთათვის ომი თამაშობად იქცა.

_ რა გქვია? _ ჰკითხა რაფაელმა.

_ აკვილინა.

_ ოჰო, ოჰო! შენ «გადარჩენილი ვენეციიდან»* მოდიხარ! _ წამოიძახა ემილმა.

_ დიახ, _ უპასუხა ქალმა, _ ისევე, როგორც პაპები სახელს იცვლიან, როცა ადამიანებზე მაღლა დგებიან, მეც ახალი სახელი დავირქვი, რაკი ყველა ქალზე მაღლა დავდექი.

_ გყავს თუ არა შენ, როგორც შენს მფარველ წმინდანს, კეთილშობილი და საშიში შეთქმული, რომელსაც უყვარხარ და შეუძლია თავი დასდოს შენთვის? _ ჰკითხა ემილმა, გამოფხიზლებულმა ამ მოჩვენებითი პოეზიით.

_ მყავდა, _ უპასუხა ქალმა, _ მაგრამ ჩემი მოქიშპე გილიოტინა გახდა. და აი, ყოველთვის წითელ ნაჭრებს ვაწნავ ჩემს თმაში, რათა თავი შევიკავო მხიარულების დროს.

_ თუ ამას ლაროშელის ოთხი ჭაბუკის* ამბავი მოაყოლებინეთ, აღარ გაათავებს. სჯობს დადუმდე, აკვილინა! განა ყველა ქალს თითო საყვარელი მაინც არ ჰყავს გამოსატირებელი? მაგრამ ყველას შენსავით ბედნიერება არ ჰქონია, იგი ეშაფოტზე დაეკარგა. აჰ, მე მირჩევნია ჩემი სატრფო საფლავში იწვეს, ვიდრე მეტოქე ქალის ლოგინში!

ეს სიტყვები ნაზი და მელოდიური ხმით წარმოთქვა ყველაზე უმანკო, ლამაზმა და სანდომიანმა პაწია არსებამ, რომელიც ფერიის ჯოხის გავლენით ოდესმე ჯადოქრული კვერცხიდან გამოჩეკილა. იგი მოვიდა უხმო ნაბიჯით, მას ნაზი პირისახე, ნატიფი ტანი, მომხიბლავად მორცხვი ლურჯი თვალები, სუფთა და ქორფა კანი ჰქონდა. შეუძლებელია, რომ მიამიტი ლანდალი,* რომელიც წყაროდან ამოდის, უფრო გაუბედავი, თეთრი და გულუბრყვილო იყოს, ვიდრე ეს ქალი იყო, შესახედავად თექვსმეტი წლისა იქნებოდა; გეგონებოდათ, არც ბოროტებას იცნობს, არც სიყვარულს, არც ცხოვრების ქარიშხალს და თითქოს ეკლესიიდან არის მოსული, სადაც ანგელოზებს სთხოვა _ ჩემი თავი ნაადრევად გააწვევინეთ ზეცაშიო. მხოლოდ პარიზში გვხვდებიან ასეთი გულწრფელი გამომეტყველებით დაჯილდოებული არსებანი, რომელნიც გვირილის ყვავილივით უმწიკვლო და ნაზ შუბლს ქვეშ უღრმეს გარყვნილებას, უმძაფრეს ბიწიერებას ჰფარავენ. ემილი და რაფაელი პირველად მოტყუვდნენ ზეციური აღთქმებით, რომელიც ამ ახალგაზრდა ქალის სანდომიან ნაკვთებზე იყო აღბეჭდილი, აკვილინას მის მიერ დასხმული ყავის ფინჯნები ჩამოართვეს და გამოკითხვა დაიწყეს. ქალმა ამ ორი პოეტის თვალწინ, რაღაც პირქუში ალეგორიის შემწეობით, გამოხატა ადამიანური ცხოვრების ერთი სახე და თავისი მედიდური მეგობრის, აკვილინას უდრეკ და ვნებიან გამომეტყველებას ცივი, ვნებიანად სატიკი გარყვნილების განსახიერება დაუპირდაპირა; იგი მათ მოევლინა, როგორც ერთგვარი უგულო დემონი, რომელიც მდიდარ და ნაზ სულს სჯის და ვნებათაღელვას აგრძნობინებს, თუმცა თვით მოკლებულია მას, და ყოველთვის პოულობს გასაყიდი სიყვარულის გრიმასს, თავისი მსხვერპლის დასატირებელ ცრემლს და მისი ანდერძის წაკითხვით გამოწვეულ სიხარულს. პოეტი აღტაცებული დარჩებოდა მშვენიერი აკვილინათი, ყველანი უნდა განშორებოდნენ გულის ამაჩუყებელ ევფრასიას: ერთი მათგანი ბიწიერების სული იყო, მეორე კი _ უსულო ბიწიერება.

_ მინდოდა გამეგო, ფიქრობ თუა რა ოდესმე მომავალზე? _ ჰკითხა ამ ლამაზ არსებას ემილმა.

_ მომავალზე? _ უპასუხა ქალმა სიცილით: _ რას უწოდებთ მომავალს? რად ვიფიქრებდი ასეთ რამეზე, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს? მე არასოდეს არ ვიცქირები არც ჩემს წინ, არც ჩემს უკან. განა საკმაო არ არის, რომ დღევანდელ დღეზე ვფიქრობ? ესეცაა _ ჩვენი მომავალი ცნობილია: ის საავადმყოფოა.

_ როგორ შეგიძლია წინდაწინ საავადმყფო დაინახო და არ ეცადო მისი თავიდან აშორება? _ წამოიძახა რაფაელმა.

_ რა არის საავადმყოფოში ასეთი საშინელი? _ იკითხა მკაცრმა აკვილინამ. _ ჩვენ ხომ არც დედები ვართ და არც მეუღლეები; როცა სიბერე ფეხებზე შავს წინდებს ჩაგვაცმევს, ხოლო სახეზე ნაოჭებს გაგვიკეთებს, როცა ყოველივე დაჭკნება, რაც ქალურია ჩვენში, ხოლო ჩვენი მეგობრების თვალებში სიხარული ამოშრება, რაღა მოთხოვნილება უნდა დაგვრჩეს? ჩვენსა და ჩვენი სამკაულიდან თქვენ მაშინ არაფერს არ დაინახავთ გარდა პირველყოფილი გარყვნილებისა, რომელიც ორ თათზე დადის, ცივი, მშრალი და დაშლილია და სიარულის დროს მკვდარ ფოთლებს აშრიალებს. ჩვენი ულამაზესი ტანისამოსი ძონძებად იქცევა, ბუდუარის დამათრობელი ამბრი სიკვდილის სუნს მიიღებს და ჩონჩხივით აყროლდება; და თუნდაც ამ ტალახში გული აღმოჩნდეს, თქვენ ყველანი შეურაცხყოფთ მას, თქვენ ხომ დახსომების ნებასაც არ გვაძლევთ. სადაც უნდა ვიყოთ ცხოვრების ამ ხანაში, მდიდარ პალატებში, ძაღლების მოვლით შექცეულნი, თუ საავადმყოფოში, ძონძების გადარჩევით გართულნი, ჩვენი არსებობა ერთი და იგივეა. რა განსხვავებაა, დავმალავთ ჩვენს ჭაღარა თმას წითელ და ლურჯზოლებიან თავსაკრავსა თუ ძვირფასი მაქმანების ქვეშ, ქუჩებს დავხვეტთ ცოცხით თუ ტიულრის სასახლის კიბეებს _ ატლასით, ვარაყიან ბუხართან გავთბებით თუ მიწიერი ქოხის კერასთან, ადამიანის სიკვდილით დასჯას დავესწრებით გრევის მოედანზე თუ წარმოდგენას ოპერაში?

_ Aquilina mia,* არასოდეს ასე მართალი არ ყოფილხარ შენს სასოწარკვეთილებაში, _ სიტყვა ჩაურთო ევფრასიამ. _ ჰო, ქიშმირი, ველენი,* ნელსურნელება, ოქრო, აბრეშუმი, ფუფუნება, ყოველივე რაც ბრწყინავს, ყოველივე რაც მოსაწონია, მხოლოდ ახალგაზრდობას უხდება. მხოლოდ დროს შეუძლია ჩვენი სიგიჟის მოთვინიერება, მაგრამ ჩვენი გამმართლებელი ბედნიერებაა. თქვენ დასცინით ჩემს სიტყვებს, _ წამოიძახა მან და გესლიანი ღიმილით გადახედა ორივე მეგობარს, _ განა მე მართალი არ ვარ? მირჩევნია სიამოვნებამ მომკლას, ვიდრე ავადმყოფობამ. მე არც უკვდავების წყურვილი მაქვს, არც იმდენი პატივისცემა ადამიანის მოდგმისადმი, რომ ვუცქირო, რას აკეთებს მისგან ღმერთი! მომეცით მილიონები და მაშინვე შევჭამ; ერთ სანტიმსაც არ გადავდებ მომავალი

წლისათვის. იცოცხლე, რათა იმეფო და ხალხს თავი მოაწონო, _ ასეთია განაჩენი, რომელიც ჩემი გულის თითოეულ ძგერას გამოაქვს. საზოგადოება დასტურს მაძლევს; განა იგი განუწყვეტლივ სიმდიდრეს არ მაწვდის გასაფლანგავად? მაშ, ღმერთი ყოველ დილით შემოსავალს რად მაძლევს ღამით გაწეული ხარჯებისგან? საავადმყოფოებს რად გვიშენებთ? განა ჩვენ იმისათვის ვდგავართ ბოროტებასა და სიკეთეს შორის, რომ ისეთი რამ ავირჩიოთ, რაც გულს გვიკოდავს და მოწყენილობას იწვევს, განა სულელი არ ვიქნებოდი, რომ უარი მეთქვა თავის შექცევაზე?

_ სხვებზე რაღას იტყვით? _ ჰკითხა ემილმა.

_ სხვებზე? ეს მათი საქმეა! მირჩევნია, მათ ტანჯვას დავცინო, ვიდრე საკუთარი ტკივილების გამო ვიტირო. მე გავურბივარ ყოველ ადამიანს, რომელიც მცირეოდენ უსიამოვნებას მომაყენებდა.

_ ისეთი რა დიდი ტანჯვა განგიცდია, რომ ასე ფიქრობ? _ ჰკითხა რაფაელმა.

_ მე მიმატოვეს მემკვიდრეობის გულისათვის! _ თქვა ქალმა და ისეთი პოზა მიიღო, რომ მთელი თავისი სხეულის მომხიბლაობა გამოამჟღავნა. _ მე კი დღე და ღამეს ვასწორებდი, რათა ჩემი შრომით ჩემი საყვარელი მერჩინა! აღარ მინდა თავი რაიმე ღიმილს, რაიმე აღთქმას მოვატყუებინო, გადაწყვეტილი მაქვს ჩემი ცხოვრება ხანგრძლივ სიამოვნებად ვაქციო.

_ მაგრამ განა ბედნიერება სულის სიღრმიდან არ მოდის? _ წამოიძახა რაფაელმა.

_ და მერე რა, _ სიტყვა ჩაურთო აკვილინამ, _ განა ეს არაფერია, როცა ხედავ, რომ ყველანი აღტაცებული გიცქერიან, რომ ყველა ქალს სჯობნი, თვით სათნოებით აღსავსეთაც, რომ მათ სილამაზით და სიმდიდრით ანადგურებ? ესეც არ იყოს, ჩვენ ერთ დღეში მეტს განვიცდით, ვიდრე პატიოსანი ბურჟუა ქალი ათ წელიწადში განიცდის, და ესაა თავი და თავი.

_ განა სათნოებას მოკლებული ქალი საზიზღარი არაა? _ უთხრა ემილმა რაფაელს.

ევფრასიამ მათ ასპიტის თვალით შეხედა და შეუდარებელი ირონიით უპასუხა:

_ სათნოება! მახინჯებსა და კუზიანებს ჰქონდეთ. რაღა იქნებოდნენ ეს საბრალოები უსათნოებოდ?

_ კარგი, გაჩერდი! _ წამოიძახა ემილმა. _ ისეთ რამეზე ნუ ლაპარაკობ, რაც არ იცი.

_ რა, ეს არ ვიცი? _ უპასუხა ევფრასიამ, _ მთელი სიცოცხლის განმავლობაში საძულველ ადამიანს უნდა ნებდებოდე, უნდა აღზარდო ბავშვები, რომელნიც მიგატოვებენ, მათ მადლობა უნდა უთხრა, როცა გულს დაგიკოდავენ; აი, რა სათნოებას

უკარნახებთ დედაკაცს; გარდა ამისა, რათა მისი თავგანწირულება აუნაზღაუროთ, თქვენ მას ტანჯვას აყენებთ და მის შეცდენას ცდილობთ, ხოლო თუ წინააღმდეგობა გაგიწიათ, სახელს უტეხთ. კარგი სიცოცხლეა, თქვენ ნუ მომიკვდეთ! მგონია, სჯობდეს თავისუფალნი დავრჩეთ, გვიყვარდეს, ვინც მოგვწონს და ახალგაზრდანი დავიხოცოთ.

_ არ გეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ამისათვის დაისჯები?

_ მერე რა. იმის მაგივრად, რომ ჩემი სიამოვნებანი მწუხარებამ გაანელოს ან მოწამლოს, ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყოფა: ერთი იქნება უცილობლად მხიარული ახალგაზრდობა, ხოლო მეორე _ რაღაც გამოურკვეველი მოხუცებულობა, რომლის დროსაც კიდევ მოვასწრებ ტანჯვა-წვალების განცდას.

_ ამას არასოდეს არ ჰყვარებია, _ წარმოთქვა აკვილინამ გულის სიღმიდან. _ არასოდეს ასი ლიე არ გაუვლია, რათა ათასგვარი სიტკბოებით ჩაენთქა ერთი შეხედვა ან ერთი უარის თქმა; არასოდეს თავისი სიცოცხლე ერთი თმის ბეწვზე არ მიუბამს, არასოდეს არ უცდია რამდენიმე კაცი გაეგმირა ხანჯლით, რათა თავისი მბრძანებელი, თავისი ბატონი, თავისი ღმერთი ეხსნა... ამისათვის სიყვარული ერთი ლამაზი მხედარი იყო და მეტი არაფერი.

_ ეჰ, ეჰ! ლაროშელი! სიყვარული ქარია. ჩვენ არ ვიცით საიდან ქრის, _ უპასუხა ევფრასიამ. _ ესეცაა, თუ ერთხელ მხეცს ჰყვარებიხარ, შემდეგ გონიერ ადამიანებსაც გაექცევი.

_ სისხლის სამართლის კოდექსი გვიკრძალავს მხეცების სიყვარულს, _ უპასუხა დიდებულმა აკვილინამ ირონიულად.

_ მეგონა, შენ უფრო გულმოწყალე იყავი სამხედრო პირებისადმი! _ წამოიძახა ევფრასიამ სიცილით.

_ ნუთუ ეს ქალები ასე ბედნიერები არიან, რომ შეუძლიათ უარი თქვან თავიანთ გონებაზე? _ იკითხა რაფაელმა.

_ ბედნიერები? _ თქვა აკვალინამ და სიბრალულით თუ შიშით აღსავსე თვალები მიაპყრო ორივე მეგობარს. _ აჰ, თქვენ არ იცით, რას ნიშნავს სიამოვნებისთვის თავის განწირვა, როცა სიკვდილი გაქვს გულში...

* * *

ვინც იმ წუთში ამ სალონში შეიხედავდა, წარმოდგენას იქონიებდა მილტონის* პანდემონიუმზე.* პუნშის ლურჯი ალი ჯოჯოხეთის სიანთლესავით აციმციმებდა იმათ

სახეებს, ვისაც კიდევ შეეძლო ღვინის სმა. გიჟური ცეკვა, გაღვივებული ველური ენერგიით, იწვევდა სიცილს და ყვირილს, ეს სიცილი თუ ყვირილი შუშხუნების აფეთქებასავით გაისმოდა. ბუდუარი და ერთი პატარა სასტუმრო თითქო მიცვალებულებით და მომაკვდავებით იყო დაფარული და ბრძოლის ველს ჰგავდა. ჰაერი გავარვარებული იყო ღვინითა, სიამოვნებითა და სიტყვებით. სიმთვრალე, სიყვარული, ბოდვა, ქვეყნიერების დავიწყება აღბეჭდილი იყო გულთა სიღრმეში, სახეებში, დაწერილი იყო ნოხებზე, იხატებოდა არევ-დარევაში; თვალებს მსუბუქი ლეჩაქი ჰქონდა გადაფარებული, ჰაერი გამაბრუებელი ორთქლით იყო გაჟღენთილი. აქა-იქ გადაჭდობილი სხეულები უერთდებოდნენ თეთრ მარმარილოს, ქანდაკების შედევრებს, რომელნიც ამკობდნენ ამ დარბაზებს. თუმცა ემილსა და რაფაელს აზრებსა და სხეულის ასოებში კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ერთგვარი მოჩვენებითი სიფხიზლე, სიცოცხლის უკანასკნელი თრთოლა, სიცოცხლის უსრულო ხატება, მაგრამ მათთვის შეუძლებელი იყო გამოცნობა, თუ რა იყო რეალური ამ ახირებულ ფანტაზიებში, რომელნიც განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ მათ დაღლილ თვალთა წინ. ჩვენმა სიზმართა სულის შემხუთავმა ცამ, ჩვენმა მოჩვენებათა მწვავე სიტკბოებამ, ბოლოს უჩვეულო მოვლენებმა მათ წინააღმდეგ ისეთი ცხარე იერიში მიიტანეს, რომ მათ ამ ღრეობის თამაშობანი მძიმე ძილის ხილვად მიიჩნიეს, სადაც მოძრაობა უხმოდ ხდება, სადაც ძახილი იკარგება ყურისთვის. ამ დროს დარბაზის მსახურმა ძლივს შეძლო წინა ოთახში გაეხმო თავისი პატრონი და წასჩურჩულა:

_ ბატონო, ყველა მეზობელი ფანჯრებში იცქირება და ხმაურობას უჩივის.

_ ჩალა დააფინონ თავიანთი კარების წინ, თუ ხმაურობის ეშინიათ! _ წამოიძახ ტაიფერმა.

რაფაელს უცებ ისე მოულოდნელად და უდროოდ წასკდა სიცილი, რომ მისმა მეგობარმა ჰკითხა, რა არის ამ თავშეუკავებელი მხიარულების მიზეზიო.

_ გაგიჭირდება ჩემი გაგება, _ უპასუხა მან. _ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოგიტყდე, რომ თქვენ ვოლტერის სანაპიროზე შემაჩერეთ სწორედ იმ წუთში, როცა მე სენაში გადავარდნას ვაპირებდი; შენ, რასაკვირველია, მოისურვებ გაიგო, რა მოტივები მქონდა თვითმკვლელობისათვის, მაგრამ განა მეტს გაიგებ, თუ გეტყვი, რომ მაშინ თითქმის ზღაპრული შემთხვევის წყალობით ჩემ თვალთწინ მატერიალური სამყაროს ყველაზე უფრო პეოტური ნანგრევები ეყარა, ხოლო ამ წუთში გონებრივ საგანძურთა შემუსვრამ, რაცა ჩვენ სუფრაზე მოვახდინეთ, ამ ორ ქალთან მოგვიყვანა, ამ სიგიჟის ცოცხალ და თავისებურ სახესთან, რომ ადამიანების და საგნების უზრუნველად მოპყრობამ ხელი

შეგვიწყო არსებობის ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო სისტემის მრავალფერადი სურათი დაგვენახა. მთვრალი რომ არ ყოფილიყავი, შეიძლება აქ ფილოსოფიური ტრაქტატი დაგენახა.

_ თუ შენი ფეხები ამ მომხიბლავ აკვილინაზე არ ყოფილიყო დაწყობილი, თუ ამ ქალის ხვრინვა ცოტა არ იყოს ქუხილს არ ჰგვანებოდა, შეგრცხვებოდა შენი სიმთვრალისა და შენი ლაყბობისა, _ უპასუხა ემილმა, რომელიც თავს იქცევდა იმით, რომ თითქმის შეუგნებლად ახვევდა და შლიდა ევფრასიას თმას. _ შენი ორი სისტემა შეიძლება ერთ ფრაზაში მოთავსდეს და ერთ აზრში გამოითქვას. უბრალო და მექანიკური ცხოვრება შრომით აჩლუნგებს ჩვენს გონებას და რაღაც უაზრო სიბრძნისკენ მიგვაქანებს; მეორე მხრით, აბსტრაქციების სიცარიელესა ან ზნეობრივი სამყაროს უფსკრულებში გატარებული ცხოვრება რაღაც გიჟურ სიბრძნეს იწვევს. ერთი სიტყვით, ჩვენ ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: ან გრძნობები მოვკლათ და სიბერემდე ვიცოცხლოთ, ან ვნებათაღელვის მოწამეობის გვირგვინი მივიღოთ და ახალგაზრდანი დავიხოცოთ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს განჩინება ებრძვის ტემპერამენტებს, რომლითაც დაგვაჯილდოვა ულმობელმა მასხარამ, ყველა არსებათა თარგების გამომჭრელმა.

_ სულელო! _ სიტყვა შეაწყვეტინა რაფაელმა. _ თუ კვლავაც ასე შეიზღუდები, ტომებს შექმნი! მე რომ პრეტენზია მქონოდა ზედმიწევნით ფორმულაში გამომეხატა ეს ორი იდეა, გეტყოდი _ ადამიანი ირყვნება გონების ვარჯიშობით და იწმნდება უმეცრების წყალობით-მეთქი. ეს ნიშნავს სასამართლოს პროცესის დაწყებას საზოგადოებათა წინააღმდეგ! მაგრამ ვიცხოვრებთ ბრძენებთან ერთად თუ დავიღუპებით გიჟებთან ერთად, სულ ერთია, ადრე თუ გვიან შედეგი ერთი და იგივე იქნება. და აი, დედაარსის დიდმა გამომტანმა ერთ დროს ეს ორი სისტემა ორ სიტყვაში გამოთქვა: «კარიმარი, კარიმარა!»*

_ შენ ეჭვს შემატანინებ ღმერთის ყოვლის შემძლეობაში, იმიტომ რომ შენი სისულელე სჭარბობს მის ძლიერებას, _ უპასუხა ემილმა. ჩვენმა ძვირფასმა რაბლემ ეს ფილოფოსია კიდევ უფრო მოკლედ გამოთქვა, ვიდრე კარიმარი, კარიმარა! მან თქვა, _ შეიძლებაო. აქედან მონტენმა შემდეგი ნაბიჯი გადასდგა: _ რა ვიციო? ეს უკანასკნელი სიტყვები მორალის მეცნიერებისა პირრონს* არ გვაგონებს, რომელიც ბოროტებასა და სიკეთეს შუა ყოყმანობდა, როგორც ბურიდანის ვირი* ორ ხორომ შვრიას შუა ყოყმანობს? მაგრამ თავი დავანებოთ ამ საუკუნოებრივ კამათს, რომელიც დღეს ან ჰოთი თავდება ან არათი. რა გამოცდილების მიღება გინდოდა სენაში გადავარდნის შემწეობით? ღვთისმშობლის ხიდის ჰიდრავლური მანქანის შური ხომ არ გტანჯავდა?

_ აჰ! ჩემს ცხოვრებას რომ იცნობდე!

_ ეჰ! _ წამოიძახა ემილმა, _ არ მეგონა, თუ ასეთი ვულგარული იყავი: ეს ფრაზა გაცვეთილია. განა არ იცი, რომ ყველა ჩვენგანს წარმოდგენილი აქვს, სხვებზე მეტს ვიტანჯებიო?

_ აჰ! _ ამოიოხრა რაფაელმა...

_ შენი ოხვრა სასაცილოა. მითხარი, რაიმე სულიერი ან ხორციელი ავადმყოფობა ხომ არ გაიძულებს კუნთებდაჭიმული იმუშაო დღისით და ღამით და დამიენივით* ცხენები დააკავო, რომელიც საღამოთი შენვე გაგხლეჩენ ოთხად. დაუმარილებელი და უხარშავი ძაღლის ხორცი ხომ არ გიჭამია შენს მანსარდში? ან შენს ბავშვებს ოდესმე ხომ არ დაუძახიათ, გვშიაო? ან შენი სატრფოს ნაწნავები ხომ არ გაგიყიდია, რათა ბანქოს სათამაშოდ წასულიყავი? ან ყალბი ბიძის მიერ ხელმოწერილი ყალბი ვექსილი ხომ არ გაგიცია და მისი გამოსყიდვა ხომ არ დაგგვიანებია? თქვი, გისმენ! თუ წყალში ქალის გულისთვის ვარდებოდი, უარს ვამბობ შენზე. აღსარება თქვი, არ იტყუო; ისტორიულ მემუარებს როდი გთხოვ. უწინარეს ყოვლისა, ილაპარაკე მოკლედ, რამდენადაც სიმთვრალე ნებას გაძლევს; მე ისევე ბევრს მოვითხოვ, როგორც მკითხველი მოითხოვს და ამასთანავე მეძინება, როგორც ქალწულს მწუხრის ლოცვის დროს.

_ საბრალო გიჟო! _ თქვა რაფაელმა. _ როდის აქეთ არის, რომ მწუხარება აღარ მოწმობს მგრძნობიარობას? როდის მივაღწევთ მეცნიერების საფეხურს, რომელიც ნებას მოგვცემს გულთა ბუნებისმეტყველება დავწეროთ, მათი ნომენკლატურა შევადგინოთ, ისინი გვარებად, ქვეგვარებად, ოჯახებად, კიბოებად, ქვემძრომებად, ხვლიკებად, მიკროსკოპულ არსებებად და... არ ვიცი კიდევ რად დავანაწილოთ? მაშინ, ჩემო კარგო, დამტკიცებული იქნება, რომ არსებობენ ნაზი, ყვავილივით სათუთი გულები, რომელნიც ადვილად ტყდებიან ერთი ხელის შეხებით იმ დროს, როცა ზოგიერთი მინერალური გული ამ შეხებას არც კი იგრძნობს...

_ ოჰ, გეთაყვა, მიხსენი წინასიტყვაობისაგან, _ თქვა ემილმა ნახევრად დამცინავი, ნახევრად თანამგრძნობი სახით და ხელში ხელი მოჰკიდა რაფაელს.

II

უგულო ქალი

რაფაელი ერთი წუთით დადუმდა, რაღაც დაუდევარი მოძრაობა გააკეთა და ლაპარაკი დაიწყო:

_ მართალი გითხრა, არ ვიცი ღვინოს და პუნშის ორთქლს ხომ არ უნდა მივაწერო ის გონებრივი სიცხადე, რომელიც ნებას მაძლევს მთელ ჩემს ცხოვრებას გადავხედო როგორც სურათს, სადაც ფიგურები, ფერები, ჩრდილები, სინათლე, ნახევარჩრდილი სწორადაა გადმოცემული. ჩემი ფანტაზიის ეს პოეტური თამაში არ გამაკვირვებდა, თუ მას თან არ სდევდეს ერთგვარი ათვალისწუნება ჩემი წარსული ტანჯვისა და სიხარულისა. თუ ჩემს ცხოვრებას შორიდან შევხედავთ, იგი თითქოს ვიწროვდება რაღაც ზნეობრივი მოვლენის წყალობით. ეს ხანგრძლივი და ნელი ტანჯვა, რომელიც ათ წელიწადს გაგრძელდა, დღეს შეიძლება რამდენიმე წინადადებით გადმოიცეს. აქ ტანჯვა მხოლოდ აზრის სახეს მიიღებს, სიამოვნება _ ფილოსოფიური მსჯელობისას. ახლა მე ვმსჯელობ იმის მაგივრად, რომ ვიგრძნო...

_ შენ მოსაწყენად ლაპარაკობ, თითქო კანონის პროექტში ვრცელი შესწორება შეგქონდეს! _ წამოიძახა ემილმა.

_ შესაძლებელია, _ უპასუხა რაფაელმა უწყინარად, _ ამიტომ, რათა შენი ყურადღება ბოროტად არ გამოვიყენო, გაგათავისუფლებ ჩემი ცხოვრების პირველი ჩვიდმეტი წლის ამბებისაგან. მანამდე მე ვიცხოვრე შენსავით, ათას სხვასავით, გიმნაზიისა თუ ლიცეის ცხოვრებით, რომლის მოჩვენებითი უბედურებანი და ნამდვილი სიამოვნებანი ჩვენი მახსოვრობის შვებას წარმოადგენენ. პარასკევის სამარხულო საჭმელიც კი გვენატრება, იმდენად ნაყროვანი გავხდით მას შემდეგ. რა მშვენიერი იყო ის ცხოვრება, ის მეცადინეობა, რომელიც მაშინ ათვალწუნებული გვქონდა, მაგრამ გვწვრთნიდა და შრომას გვაჩვევდა...

_ დრამაზე გადადი, _ უთხრა ემილმა ნახევრად დამცინვი, ნახევრად შესაბრალისი სახით.

_ როცა საშუალო სასწავლებელი დავამთავრე, _ დაიწყო რაფაელმა და ხელის მოძრაობით განგრძნობის უფლება მოითხოვა, _ მამაჩემმა მაიძულა მკაცრ დისციპლინას დავმორჩილებოდი და ცალკე ოთახში დამასახლა თავისი კაბინეტის გვერდთ; საღამოს ცხრა საათზე ვწვებოდი და დილის ხუთ საათზე ვდგებოდი; მას უნდოდა, რომ სამართალი კეთილსინდისიერად შემესწავლა; ერთსა და იმავე დროს ლექციებზეც დავდიოდი და ადვოკატთანაც; მაგრამ დროის და სივრცის კანონები ისე მკაცრად საზღვრავდა ჩემს სეირნობას და ჩემს მუშაობას, მამაჩემი ისეთი სასტიკ ანგარიშს მთხოვდ სადილის დროს...

_ რად მესაჭიროება ყოველივე ეს? _ სიტყვა გააწყვეტინა ემილმა.

_ ეჰ, ეშმაკმა წაგიღოს! _ უპასუხა რაფაელმა. _ როგორ გაიგებ ჩემს გრძნობებს, თუ ის შეუმჩნეველი ფაქტები არ გიამბე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ჩემს სულზე, მოკრძალებას შემაჩვია და დიდი ხნით ჭაბუკის პირველყოფილი გულუბრყვილობა დამიტოვა? ამრიგად, ოცდაერთ წლამდე ქედმოხრილი ვიყავი დესპოტიზმის უღელქვშ, რომელიც ცივი იყო, როგორც სამონასტრო განრიგება. რამდენად სევდიანი იყო ჩემი მაშინდელი ცხოვრება, შენ იქიდან დაინახავ, თუ მამაჩემის სურათს დაგიხატავ: ამ მაღალს, ხმელს და გამდარ მამაკაცს დანასავით ბასრი, ფერმკრთალი პირისახე ჰქონდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკი უყვარდა, თავისი ჭირვეულობით გაუთხოვარ ქალს, თავისი წვრილმანობით ბიუროკრატს მოგაგონებდა. მისი მამობრივი ხელისუფლება ზემოდან დატრიალებდა ჩემს ცელქ და მხიარულ აზრებს, მე თითქო ტყვიის გუმბათის ქვეშ ვიყავი დამწყვდეული; როცა ნაზი და ალერსიანი გრძნობით მივუახლოვდებოდი, ისე შემხვდებოდა როგორც ბავშვს, რომელიც სისულელის თქმას აპირებს; წინათ მოწაფეებს ისე მასწავლებლის არ გვეშინოდა, როგორც მე მისი მეშინოდა. მის თვალში მე მუდამ რვა წლის ბავშვი დავრჩი. თითქო ახლაც თვალწინ მიდგას: თავის წაბლისფერ ტანისამოსში ისე იყო გაჭიმული, თითქო სააღდგომო კელაპტარი, ან, უკეთ ვთქვათ, პამფლეტის გარეკანში გახვეული ქაშაყი ყოფილიყო. ამისდა მიუხედავად, მამაჩემი მაინც მიყვარდა: ბუნებით იგი სამართლიანი იყო. ძნელია შევიძულოთ სიმკაცრე, როცა იგი გამართლებულია დიდი ხასიათით, შეურყვნელი ზნე-ჩვეულებით და მოხერხებულად შეკავშირებულია გულკეთილობასთან. თუ მამაჩემი თავიდან არ მიშორებდა, თუ ოც წლამდე მას ათი ფრანკი არ უჩუქებია, ათი ანცი, ათი არამზადა ფრანკი, ეს უზარმაზარი განძი, რომლის მიღება ენით გამოუთქმელ სიამოვნებას აღმითქვამდა, ყოველ შემთხვევაში, იგი ცდილობდა ზოგიერთი გასართობი არ მოეკლო ჩემთვის. მთელი თვეების ლოდინის შემდეგ კომედიაზე მივყავდი, კონცერტზე ან საცეკვაო საღამოზე, სადაც სატრფოს შეხვედრის იმედი მქონდა. სატრფო! ეს ჩემთვის დამოუკიდებლობას ნიშნავდა, მაგრამ რადგან მორცხვი და მოკრძალებული ვიყავი, სალონის ენა არ ვიცოდი და ნაცნობები არა მყავდა, შინ ვბრუნდებოდი იმავე ხელუხლებელი გულით და დაუკმაყოფილებელი სურვილებით. ხოლო მეორე დილით, თითქო ესკადრონის ცხენი ვყოფილიყავი, მამაჩემი აღვირს მადებდა და მერეკებოდა ჩემი ადვოკატისა, სამართლის ლექციებისა, მართლმსაჯულების პალატისაკენ. ამ ერთფეროვანი გზიდან გადახვევის ცდა მისი გულისწყრომის გამოწვევა იქნებოდა; მემუქრებოდა, პირველი შეცოდებისთანავე ანტილის

კუნძულებისკენ გაგისტუმრებ მეზღვაურის შეგირდადო. ამიტომ საშინლად ვთრთოდი, როცა შემთხვევით, ერთი ან ორი საათის განმავლობაში, რაიმე გართობაში მივიღებდი მონაწილეობას. წარმოიდგინე ცხოველი ფანტაზიით, მოსიყვარულე გულით, ნაზი სულით და პოეტური გონებით აღჭურვილი მოხეტიალე ჭაბუკის ბუნება, დაკავშირებული გაკაჟებულ, ბრაზიან და გულცივ ადამიანთან, ან უკეთ, ახალგაზრდა ქალი შეაუღლე ჩონჩხთან, და შენ გაიგებ ჩემს იმდროინდელ ცხოვრებას, გაქცევის განზრახვებს, რომელიც ქრებოდა მამაჩემის დანახვისთანავე, სასოწარკვეთილებას, რომელსაც ძილი ამშვიდებდა, ბნელ კაეშანს, რომელსაც მუსიკა აქარვებდა. ჩემს უბეუდრებას მელოდიებში ვანთხევდი. ხშირად ბეთჰოვენი და მოცარტი ჩემი უგულითადესი მესაიდუმლენი გამხდარან. დღეს მეცინება, როცა ის ცრუმორწმუნოებანი გამახსენდება, რომელნიც ჩემს სინდისს ქენჯნიდნენ ამ უმწიკვლოების და სათნოების ხანაში: რესტორანში რომ ფეხი შემედგა, მეგონა დავიქცეოდი; ჩემი ფანტაზია ყავახანას გარყვნილების ადგილად მიხატავდა, სადაც ყმაწვილები თავიანთ პატიოსნებას ჰკარგავენ და თავიანთ ქონებას აგირავებენ; რაც შეეხება რისკის გაწევას თამაშობაში, ამისათვის ფულის ქონა იყო საჭირო. ოჰ, თუნდაც ჩემმა მოთხრობამ დაგაძინოთ, მინდა ჩემი ცხოვრების ერთი უსაშინელესი სიხარული გიამბო, ერთი იმ სიხარულთაგანი, რომელიც ბრჭყალებითაა შეიარაღებული და ისევე ერჭობა ჩვენს გულს, როგორც გახურებული შანთი კატორღელის მხრებს.

მე მამაჩემის ბიძაშვილის, დუკა ნავარენის ოჯახში ვიყავი მიწვეული საცეკვაო საღამოზე. ჩემი მდგომარეობა რომ კარგად გაიგო, გეტყვი, რომ გახუნებული ტანისამოსი, ცუდად შეკერილი ფეხსაცმელი, მეეტლის შესაფერი ყელსახვევი და ნახმარი ხელთათმანი მქონდა. კუთხეში დავჯექი, რათა შეუშფოთებლად ნაყინი მეჭამა და ლამაზი ქალებისათვის მეცქირა. მამამ შემამჩნია. რაღაც მიზეზის გამო, რომელიც ვერასოდეს ვერ გამოვიცანი, იმდენად გამაოცა ამ ნდობის გამოცხადებამ, მან შესანახად გადმომცა თავისი ქისა და გასაღებები. ათი ნაბიჯის მანძილზე ჩემგან რამდენიმე მამაკაცი თამაშობდა. ოქროს წკრიალი ნათლად მესმოდა. მე უკვე ოცი წლისა ვიყავი, მინდოდა მთეილ დღე ჩემი ასაკის შესაფერ ცოდვებში გამეტარებინა. ეს იყო სულიერი თავაშვებულობა, რომლის მსგავსს ვერ იპოვით ვერც მეძავი ქალების ჟინშსა, ვერც ქალიშვილების სიზმრებში. უკვე მთელი წლის განმავლობაში ვოცნებობდი, თითქო ეტლში ვიჯექი, გვერდით მშვენიერი ქალი მეჯდა, დიდ ვინმეს წარმოვადგენდი, რესტორან «ვერიში»* ვსადილობდი. აი, საღამოთი წარმოდგენაზე მივდივარ, გადაწყვეტილი მაქვს მხოლოდ მეორე დილით დავბრუნდე მამასთან, აღჭურვილი მის წინააღმდეგ უფრო დახლართული არაკით, ვიდრე

«ფიგაროს ქორწინების» ინტრიგაა; ამ არაკს იგი თავს ვერ გაართმევდა. მთელი ეს სიამოვნება ორმოცდაათ ეკიუდ დავაფასე. ბუდუარში შევედი, იქ მარტოდმარტომ, ანთებული თვალებით და მთრთოლვარე თითებით მამაჩემის ფული დავთვალე: ასი ეკიუ აღმოჩნდა! ამ თანხამ ჩემი ანცი ოცნების სახეები გამოიწვია, ისინი აცეკვდნენ ჩემს წინაშე, როგორც მაკბეტის კუდიანები თავიანთი ქვაბის გარშემო, მხოლოდ სანდომიანები, მთრთოლვარენი, მომხიბლავები! ნამდვილ ცუღლუტად გადავიქეცი. ყურადღება არ მიმიქცევია არც ყურების წივილისა, არც გულის ძგერისთვის, ორი ოცფრანკიანი ამოვიღე; მათ ახლაც ნათლად ვხედავ! მათი თარიღი გადალესილი იყო, ნაპოლეონის სახე მემანჭებობდა. ქისა ჯიბეში ჩავიდე და სათამაშო მაგიდასთან მივედი; ორი ოქრო გაოფლიანებულ მუჭაში მეჭირა, მოთამაშეთა გარშემო ბორიალი დავიწყე, როგორც ძერამ საქათმის გარშემო. ენით გამოუთქმელი შიშით ვიყავი შეპყრობილი, ფრთხილად გარშემო მიმოვიხედე. რაკი დავრწმუნდი, ნაცნობებიდან ვერავინ მხედავს-მეთქი, ჩემი ოქროები ერთი დაბალი ტანის, ჩასუქებული და მხიარული მოთამაშის წინ დავსვი; ამ უცნობი მოთამაშის თავზე მეტი ლოცვა და აღთქმა წარმოვთქვი, ვიდრე ზღვაზე წარმოითქმება სამი ქარიშხლის დროს. შემდეგ იმ თვალთმაქცობისა თუ მაკიაველიზმის* ალღოს ზეგავლენით, რომელიც არ უნდა მქონოდა იმ ასაკში, კარებთან დავდექი და სასტუმრო დარბაზებისკენ გავიხედე; ვერაფერს ვერ ვხედავდი: ჩემი სული და ჩემი თვალები საბედისწერო მწვანე მაუდს დასტრიალებდა. ამ საღამოთია დათარიღებული ჩემი პირველი ფიზიოლოგიური დაკვირვება, რომელმაც გულათმხიალობა მომცა და შემაძლებინა ჩვენი გაორებული ბუნების ზოგიერთი საიდუმლოება გამომეაშკარავებინა. ზურგი მივაქციე მაგიდას, სადაც ჩემი მომავალი ბედნიერების საკითხი წყდებოდა, ბედნიერების, რომელიც მით უფრო ღრმა იყო, რომ მას დანაშაულის ხასიათი ჰქონდა. ორ მოთამაშესა და ჩემს შორის მოსაუბრეთა ოთხი თუ ხუთი რიგი იდგა; ჩოჩქოლი მიშლიდა ოქროს წკრიალი გამერჩია; ეს წკრიალი ორკესტრის ხმას ერთვოდა. ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, იმ უპირატესობის წყალობით, რომლითაც ვნებათაღელვა დროსა და სივრცეს მუსრავს ხოლმე, გარკვევით მესმოდა ორივე მოთამაშის სიტყვები, ვიცოდი, რამდენს სდებდნენ მაუდზე, რომელ მათგანს მოსდიდა მეფე, ერთი სიტყვით, თითქო მათ ქაღალდს ვუცქეროდი; ათი ფეხის ნაბიჯზე სათამაშო მაგიდიდან მე ვფითრდებოდი თამაშობის მთელი ავანჩავანის განცდის გამო. უცებ ჩემ წინ მამაჩემმა გაიარა, და მე მაშინ გავიგე საღმრთო წერილის სიტყვები: «და სულმან უფლისამან განვლო წინაშე პირისა მისისა».

მე მოვიგე. ბრბოში, რომელიც სათამაშო მაგიდას გარს ეხვია, ისე შევსრიალდი, როგორც გველთევზა მისრიალებს თვალჩავარდნილი ბადიდან. მწვავე გრძნობა მხიარულებამ შეცვალა. სიკვდილით დასასჯელს ვგავდი, რომელიც თხემის ადგილისაკენ მიდის და მეფეს ხვდება. ვიღაც ორდენიანმა მოთამაშემ მოითხოვა ორმოცი ფრანკი, რომელიც მაგიდას აკლდა. მოთამაშეებმა ჩემკენ ეჭვით აღსავსე თვალები მოაპყრეს, მე გავფითრდი და შუბლიდან ოფლი წამომივიდა წურწურით. ვიფიქრე _ ეს არის, სამაგიერო მომეზღო მამაჩემის გაქურდვისათვის-მეთქი. მაშინ გულკეთილმა ჩასუქებულმა კაცმა ჭეშმარიტად ანგელოზის ხმით წარმოთქვა: «ყველა ამ ბატონებმა ფული დასდეს», და გადაიხადა ორმოცი ფრანკი. თავი ავწიე და გამარჯვებული სახით გადავხედე მოთამაშეებს. შემდეგ მამაჩემის ქისაში დავაბრუნე წინათ ამოღებული ორი ოქრო, ხოლო მოგებული ფული იმავე პატიოსან და ღირსეულ კაცს დავუტოვე; მან განაგრძო მოგებით თამაშობა. როცა ას სამოცი ფრანკის მფლობელი გავხდი, ფული ცხვირსახოცში გავხვიე ისე, რომ მას ჩვენი უკან დაბრუნების დროს არც განძრევა შესძლებოდა, არც დაწკრიალება და თამაშობას თავი დავანებე.

_ რას შვრებოდით სათამაშო მაგიდასთან? _ მკითხა მამაჩემმა ეტლში ჩაჯდომის დროს.

_ ვუცქეროდი, _ ვუპასუხე თრთოლვით.

_ არაფერი იქნებოდა გასაკვირველი, რომ თავმოყვარეობის გავლენით ცოტაოდენი ფული დაგედოთ მაუდზე. საზოგადოების თვალში თქვენ იმდენად მომწიფებული ჩანხართ, რომ უკვე უფლება გაქვთ სისულელეები ჩაიდინოთ. მეც გაპატიებდით, რაფაელ, თქვენ რომ ჩემი ქისა გამოგეყენებინათ...

მე არაფერი არ ვუპასუხე. როცა შინ შევედი, მამაჩემს ქისა და გასაღებები გადავეცი. თავის ოთახში შესვლისთანავე მან ბუხრის თაროზე გადმოჰყარა ფული, დათვალა, საკმაოდ ალერსიანი სახით შემხედა და აუჩქარებელი და გარკვეული ტონით მითხრა:

_ შვილო, ჩქარა ოცი წლისა გახდებით. თქვენი კმაყოფილი ვარ. ახლა ჯიბის ფული გჭირდებათ, თუნდაც იმისათვის, რომ მომჭირნეობა ისწავლოთ და ცოვრებას გაეცნოთ. ამ დღიდან ას ფრანკს გინიშნავთ თვეში; მოიხმარეთ ეს ფული, როგორც გსურდეთ. აი, ამ წლის პირველი სამი თვისთვის, _ თქვა მან და ხელი გადაუსვა ოქროს გროვას, თითქო თანხის შემოწმება სდომებოდეს.

გამოგიტყდები, მზად ვიყავი ფეხქვეშ ჩავვარდნოდი და დამეძახა _ ავაზაკი, გარეწარი, კიდევ უარესი, მატყუარა ვარ-მეთქი! სირცხვილმა შემაჩერა. მინდოდა გადავხვეოდი, მაგრამ ნაზად ხელი მკრა.

_ ახლა მამაკაცი ხარ, შვილო, _ მითხრა მან. _ ჩემი ქცევა უბრალო და სამართლიანია, ამისათვის მადლობის გადახდა როდია საჭირო. ჩემი მადლიერი უნდა იყოთ მხოლოდ იმისათვის რომ სიჭაბუკის ასაკში დაგიცავი იმ უბედურებათაგან, რომელნიც ყმაწვილებს ანადგურებენ პარიზში. ამიერიდან ჩვენ მეგობრები ვიქნებით. ერთ წელიწადში სამართლის დოქტორი გახდებით. მართალია, სწავლის დროს უსიამოვნება და გაჭირვება შეგხვდათ, მაგრამ სამაგიეროდ სერიოზული ცოდნა და შრომის სიყვარული შეიძინეთ, ესოდენ აუცილებელი საქმის კაცისათვის. ეცადეთ, რაფაელ, ჩემი გაიგოთ. მე არ მინდა, თქვენ ადვოკატი ან ნოტარიუსი გამოხვიდეთ, არამედ მინდა სახელმწიფო კაცი გახდეთ და სასახელო იქნეთ ჩვენი საწყალი ოჯახისათვის... ხვალამდე! _ დაასრულა მან და გამისტუმრა ხელის იდუმალი მოძრაობით.

იმ დღიდან მამაჩემი გულწრფელად მაცნობდა თავის პროექტებს. მე ერთადერთი ვაჟი ვიყავი, დედა ათი წლის წინათ მომიკვდა. მამაჩემი მეთაური იყო ისტორიული გვარისა, რომელიც ახლა თითქმის დავიწყებულია ოვერნში; მას დიდად არაფრად ჩაეგდო აზნაურის უფლება, წელზე დაშნადაკიდებულს ემუშავა ყანაში და პარიზში გამომგზავრებლიყო ბედის საცდელად. იგი დაჯილდოებული იყო მახვილი გონებით, რითაც გამოირჩევიან ენერგიით აღსავსე სამხრეთელები, ამიტომ დაუხმარებლად საკმაოდ კარგი ადგილი დაიჭირა მთავრობაში. რევოლუციამ ძირი გამოუთხარა მის კეთილდღეობას; მაგრამ მან შეირთო დიდი ოჯახის მემკვდირე ქალი და იმპერიის დროს ჩვენმა გვარმა ძველი ბრწყინვალება დაიბრუნა. რესტავრაციამ დედაჩემს მნიშვნელოვანი ქონება დაუბრუნა, მაგრამ მამაჩემი გაკოტრდა. მას ნაყიდი ჰქონდა მრავალი მიწის ნაჭერი, რომელიც იმპერატორს თავისი გენერლებისათვის ეჩუქებინა უცხო ქვეყნეში. და ათი წლის განმავლობაში ლიკვიდატორებსა და დიპლომატებს, პრუსიის და ბავარიის სასამართლოებს ებრძოდა, რათა ამ უბედური მფლობელობის უფლება შეენარჩუნებინა. მამაჩემმა მეც შემაგდო ამ დაუსრულებელი პროცესის უგზო-უკვლო ლაბირინთში, რომლისგანაც ჩვენი მომავალი იყო დამოკიდებული. შეიძლებოდა ჩვენთვის ამ მამულების შემოსავლის უკან დაბრუნება მოესაჯათ, აგრეთვე 1814-1817 წლებში მოჭრილი ტყის ანაზღაურება მოეთხოვათ; ამ შემთხვევაში დედაჩემის ქონება საკმაო იქნებოდა ჩვენი პატიოსანი სახელის დასაცავად. ამრიგად, იმ დღეს, როცა მამამ თითქო თავისუფლება

მომანიჭა, მე უმძიმეს უღელქვეშ მოვექეცი. მე იძულებული ვიყავი მებრძოლა, როგორც ომის ასპარეზზე, დღე და ღამე გამესწორებინა, ხელისუფალთა კარები ამეტალახებინა, შემეცადა ისინი ჩემი საქმით დაინტერესებულიყვნენ, მომეხიბლა არა მარტო ისინი, არამედ მათი ცოლები, მსახურები, ძაღლები და ეს საშინელი ხელობა ლაზათიანი ფორმებით, სასიამოვნო ხუმრობით დამეფარა. ჩემთვის გასაგები გახდა ის ნაღველი, რომელმაც დააჭკნო მამაჩემის სახე. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში გარეგნულად თითქო საზოგადოების ცხოვრებაში ვიყავი გართული, მაგრამ ნამდვილად უზარმაზარ მუშაობას ვაწარმოებდი. მანამდე ჩემი თავდაჭერილობა იმით აიხსნებოდა, რომ ნებას არ მაძლევდნენ ჭაბუკის გულისთქმას ავყოლოდი; ახლა თვით გავხდი ჩემი თავის მტარვალი; ყოველივე ხარჯსა და გართობას გავურბოდი, რადგან მეშინოდა ჩემი თავქარიანობით მამაჩემის და ჩემი გაკოტრება არ გამოვიწიო-მეთქი. სანამ ჩვენ ახალგაზრდანი ვართ, სანამ ადამიანებსა და საგნებს არ გაუთელივართ, სანამ მათ ჩვენთვის გრძნობის ის ფაქიზი ყვავილი, აზროვნების ის სიახლე, სინდისის ის კეთილშობილი სიწმინდე არ წაურთმევიათ, რომელნიც ნებას არ გვაძლევენ ბოროტებას შევურიგდეთ, ჩვენ ცოცხლად ვგრძნობთ ჩვენს ვალდებულებებს; ჩვენი პატიოსნება ხმამაღლა ლაპარაკობს; ჩვენ გულწრფელნი ვართ და ოინბაზობა არ გვჭირდება. ასეთი ვიყავი იმ დროს.

მე მინდოდა მამაჩემის ნდობა გამემართლებინა; წინათ სიამოვნებით მოვპარე ორიოდე ოქრო, ახლა, როცა მასთან ერთად მისი საქმეებისა, სახელისა და ოჯახის ტვირთს ვზიდავდი, დიდი კმაყოფილებით ფარულად შევწირავდი ჩემს ქონებას, ჩემს იმედებს! მართლაც, როცა დე ვილელმა* ძველი დეკრეტი გამოჩხრიკა და ერთი დაკვრით გაგვაკოტრა, მე ხელი მოვაწერე ჩემი ქონების გაყიდვის აქტს და არაფერი შევინარჩუნე, გარდა ერთი გამოუსადეგარი კუნძულისა მდინარე ლუარაზე, სადაც დედაჩემი იყო დასაფლავებული. დღეს შეიძლება ყოველგვარი ფილოსოფიური, ფილანტროპიული და პოლიტიკური საბუთები გამომეყენებინა, რათა თავიდან ამეცილებინა ის, რასაც მაშინ ჩემმა ადვოკატმა სისულელე უწოდა; მაგრამ, გავიმეორებ, ოცდაერთი წლის ასაკში ჩვენ მხოლოდ სულგრძელობა, სითბო და სიყვარული ვართ. ცრემლები, რომელიც მაშინ მამაჩემის თვალებში დავინახე, მე ყოველ ქონებას მერჩია, და ამ ცრემლების მოგონებას ხშირად ვუნუგეშებივარ გაჭირვებაში...

მამაჩემმა მოვალეები გაისტუმრა, მაგრამ ათი თვის შემდეგ გარდაიცვალა მწუხარებისაგან; იგი მაღმერთებდა და გამაკოტრა! ამ აზრმა მოინელა. 1826 წელს, შემოდგომის მიწურულში, მე, ოცდაორი წლის ჭაბუკი, მარტოდმარტო გავყევი ჩემი

პირველი მეგობრის, მამაჩემის კუბოს. ცოტაა ისეთი ახალგაზრდა, რომელიც პარიზში თავისი აზრებით მარტომარტო აღმოჩენილიყოს ცხედრის უკან, უმომავლოდ, გაღარიბებული. საზოგადოებრივი ქველმოქმედების მფარველობაში მყოფ ობლებს მომავალში ომის ასპარეზი მაინც ელით, მამინაცვლობას მთავრობა ან მეფის პროკურორი მაინც უწევს, თავშესფრად საავადმყოფო მაინც აქვთ. მე არაფერი გამაჩნდა! სამი თვის შემდეგ დამფასებელმა კომისარმა ათას ას თორმეტი ფრანკი გადმომცა, ეს იყო მამაჩემის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის წმინდა ნაშთი. მოვალეებმა მაიძულეს ჩვენი ავეჯეულობა გამეყიდა. რადგან სიყრმიდან დიდად ვაფასებდი ფუფუნების საგნებს, რომლითაც გარშემორტყმული ვიყავი, სახტად დავრჩი, როცა განძარცულ ოთახში აღმოვჩინდი.

_ ოჰ, _ მითხრა დამფასებელმა კომისარმა, _ ყოველივე ეს კარგი როკოკო იყო.

ეს იყო საშინელი სიტყვა, რომელიც თითქო აჭკნობდა ჩემი ბავშვობის სარწმუნოებას და მართმევდა პირველ, უძვირფასეს ილუზიებს. ჩემი ქონება შედგებოდა გაყიდვის აქტისაგან, ჩემი მომავალი მოთავსებული იყო ტილოს პარკში, რომელშიც ათას ას თორმეტი ფრანკი იდო, საზოგადოება მევლინებოდა დამფასებლის სახით, რომელიც თავდახურული მელაპარაკებოდა... ერთმა მსახურმა, იონათანმა, რომელიც მაღმერთებდა და რომელსაც დედაჩემმა ოთხასი ფრანკი პენსია დაუნიშნა, სანამ იმ სახლს დასტოვებდა, საიდანაც მე ბავშვობაში ასე ხშირად გამოვსულვარ ეტლში მჯდომარე, მითხრა:

_ რაც შეიძლება მომჭირნეობა გამოიჩინეთ, ბატონო რაფაელ!

კეთილმა ადამიანმა ბევრი იტირა.

ასეთი იყო, ჩემო ძვირფასო ემილ, ის მოვლენები, რომელთაც ჩემი ბედი განაგეს, ჩემი სული შესცვალეს და, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, უყალბეს სოციალურ მდგომარეობაში ჩამაგდეს, _ თქვა რაფაელმა ხანმოკლე დუმილის შემდეგ. _ სუსტი ოჯახური კავშირებით მე გადაბმული ვიყავი ზოგიერთ მდიდარ სახლთან; იქ მისვლას ახლა თავმოყვარეობა მიკრძალავდა, შეიძლება კარიც ჩაკეტილი დამხვედროდა ბინადართა გულგრილობისა და ზიზღის წყალობით. თუმცა გავლენიანი ნათესავები მყავდა, თუმცა ისინი მფარველობას უწევდნენ უცხოებს, მაგრამ უნათესაოდ და უმფარველოდ დავრჩი. რადგან ჩემს სულს დაბრკოლება ეღობებოდა გულახდილობის გამომჟღავნებაში, გულჩათხრობილი გავხდი. გულწრფელი და ბუნებრივი ვიყავი, მაგრამ გულცივი და ცბიერი ვჩანდი; მამაჩემის დესპოტიზმმა ყოველი თვითრწმენა წამართვა; ერთი მორცხვი და ხელმარცხი რამ ვიყავი, ვერ წარმომედინა, თუ ჩემს ხმას რაიმე

გავლენის მოხდენა შეეძლო, ჩემი თავი მახინჯი მეგონა და მძაგდა, ჩემი გამოხედვის მრცხვენოდა. თუმცა შინაგანი ხმა, რომელმაც ნიჭიერ ადამიანებს დახმარება უნდა გაუწიოს მათ ბრძოლაში, ჩამძახოდა _ წინ გასწი გაბედულადო, თუმცა ხანდახან ფარულ ძალას ვგრძნობდი, თუმცა იმედი მეძლეოდა, როცა საზოგადოების მიერ მოწონებულ ავტორთა ნაწარმოებთ ჩემს აზროვნებაში ჩასახულ თხზულებათ ვადარებდი, მაგრამ მაინც ბავშვივით უნდობლად ვეპყრობდი ჩემს თავს; უკიდურესი პატივმოყვარეობა მქენჯნიდა; ისიც მწამდა, რომ დიდი საქმის შესასრულებლად ვიყავი მოწოდებული, მაგრამ მეგონა, არარას წარმოვადგენდი. ადამიანთა საზოგადოების მოთხოვნილებას ვგრძნობდი, მაგრამ მეგობრებს მოკლებული ვიყავი. გზა უნდა გამეკაფა და მარტოდმარტო ვიყავი. უფრო მორცხვი ვიყავი, ვიდრე დაშინებული. ერთი წლის განმავლობაში, როცა მამაჩემმა დიდი საზოგადოების ორომტრიალში ჩამაბა, მე იქ დავდიოდი ხელუხლებელი გულით, ნორჩი სულით. ყველა დიდი ბავშვის მსგავსად, ფარულად მშვენიერ სიყვარულზე ვოცნებობდი.

ჩემი ასაკის ყმაწვილებს შორის იყო მთელი ჯგუფი პამპულებისა, ისინი თავაღებული დადიოდნენ, აბდაუბდას ლაპარაკობდნენ, შეუკრთომლად სხდებოდნენ იმ ქალების გვერდით, რომელნიც მე ყველაზე მიუწვდომლად მიმაჩნდა, თავხედურად ესაუბრებოდნენ, თავიანთი ჯოხების ბუნიკებს ლოკავდნენ, იმანჭებოდნენ, სახელს უტეხდნენ ულამაზეს ქალებს, თავს სდებდნენ ან ირწმუნებოდნენ, თითქო თავს სდებდნენ ყოველ ბალიშზე, ისე იქცეოდნენ, თითქო უარს ამბობდნენ სიაოვნებაზე, ადვილ დასაპყრობად სთვლიდნენ ყოველ ქალს, თვით ყველაზე მორცხვს და სათნოებით აღსავსეს; ამტკიცებდნენ, ისინი მზად არიან პირველ სიტყვისთანავე, პირველ თამამ შეტევისთანავე, პირველ ურცხვ შეხედვისთანავე დანებდნენ მამაკაცსო. გატეხილი გითხრა, ხელისუფლების დაპყრობა ან დიდი მწერლის სახელის მოპოვება უფრო ადვილი მეგონა, ვდირე თავის მოწონება მაღალი მდგომარეობის, ახალგაზრდა, გონებამახვილი და მოხდენილი ქალისთვის. ამრიგად, ჩემი გულის შეშფოთება, ჩემი გრძნობები, ჩემი რწმენანი არ ეგუებოდნენ საზოგადოების წესებს. გამბედაობა მქონდა, მაგრამ მხოლოდ სულში და არა ყოფაქცევაში. შემდეგ გავიგე, დედაკაცებს არ უყვართ, რომ მათ მოწყალებას სთხოვენ. მრავალი ქალი შემხვდა ისეთი, რომლებსაც შორიდან ვაღმერთებდი, გულს ვუწვდიდი ყოველი განსაცდელისათვის, სულს ვთავაზობდი ყოველი ტანჯვისათვის; ისინი კი ისეთ სულელ მამაკაცებს ნებდებოდნენ, რომელთაც მე კარის მცველადაც არ მივიღებდი. რამდენჯერ ვმდგარვარ უსიტყვოდ, უმოძრაოდ და თაყვანი მიცია ჩემი ოცნების ქალისთვის, რომელიც საცეკვაო საღამოზე მევლინებოდა; მთელს ჩემს

სიცოცხლეს ალერსისთვის გავწირავდი, მთელი ჩემი იმედები ერთ შეხედვაში შემქონდა, მზად ვიყავი ქალისთვის ახალგაზრდა კაცის მთელი აღფრთოვანება მიმეძღვნა. იყო წუთები, როცა მთელ სიცოცხლეს მივცემდი ერთი ღამისათვის. მაგრამ რადგან ვერსად ვერ ვიპოვე ყურები, რომლებიც ჩემს ვნებიან სიტყვებს მოისმენდა, თვალები, რომლებშიც ჩემი თვალები დაისვენებდა, გული, რომელიც ჩემს გულთან ერთად აძგერდებოდბა, მე ჩემივე ენერგია მქენჯნიდა და მნთქავდა გაუბედაობისა, შემთხვევების უქონლობისა თუ გამოუცდელობის წყალობით. მე იმედს ვკარგავდი, რომ გამიგებდნენ, ან ვთრთოდი, როცა გავიფიქრებდი, რომ მეტად კარგად გამიგებენ-მეთქი. ამავე დროს, პირველი ალერსიანი შემოხედვა ჩემს სულში ქარიშხალს იწვევდა. გრძნობათა სიძლიერის გამო ჩემი სიტყვები უმნიშვნელო იყო, ხოლო ჩემი დუმილი _ უაზრო. რასაკვირველია, მე მეტად გულუბრყვილო ვიყავი ამ ხელოვნური საზოგადოებისათვის, რომელიც სხვების დასანახად ცხოვრობს, თავის აზრებს პირობითს ფრაზებში ან მოდად გადაქცეულ სიტყვებში ახვევს; შემდეგ, მე არ ვიცოდი დუმილით ლაპარაკი და მეტყველად დუმილი. ბოლოს, თუმცა ცეცხლის ალი მწვავდა, თუმცა ისეთი სული მქონდა, რომელსაც ქალები ეძებენ, თუმცა გამსჭვალული ვიყავი იმ აღფთოვანებით, რომელსაც ისინი დახარბებული არიან, მაინც ყველა ქალი ვერაგულად სასტიკი იყო ჩემს მიმართ. ამიტომ გულუბრყვილო აღტაცებით შევცქეროდი იმ მამლაყინწებს, რომელნიც ინტიმურ საუბარში იკვეხნიდნენ, ქალებზე ვიმარჯვებთო და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ისინი ტყუოდნენ. რასაკვირველია, მე ვცდებოდი, როცა დიდსა და ძლიერ სიყვარულს ვეძებდი ფუფუნების მოყვარული, ზვიადი, თავქარიანი და მსუბუქფრთიანი ქალის გულში. იქ ვერ დაეტეოდა ეს ვნების ნიაღვარი, ეს ოკეანე, რომელიც ჩემს არსებაში ბობოქრობდა. ოჰ, რა ძნელია, კაცი გრძნობდეს სიყვარულისთვის, ქალის გასაბედნიერებლად ვარ დაბადებულიო, და ვერავინ იპოვოს, ვერც გაბედული და კეთილშობილი მარსელინა,* ვერც ხანში შესული მარკიზის ცოლი! რა ძნელია, საუნჯეს ატარებდე ჩანთაში და გზად ერთი ბავშვი, ერთი ცნობისმოყვარე ქალიშვილიც კი არ შეგხვდეს, რომ მისი აღტაცება გამოიწვიო! ხშირად იმდენად სასოწარკვეთილი ვიყავი, თავის მოკვლასაც კი ვფიქრობდი.

_ აჰ, რა ტრაგიკული საღამოა! _ წამოიძახა ემილმა.

_ ეჰ, ნუ მიშლი ჩემს ცხოვრებას მსჯავრი გამოვუტანო, _ უპასუხა რაფაელმა, _ თუ შენს მეგობრობას იმდენი ძალა არა აქვს, რომ ჩემი ელეგიები მოისმინოს, თუ შენ არ შეგიძლია ჩემთვის ნახევარი საათი მოწყენილობაში გაატარო, დაიძინე! მაგრამ მაშინ ანგარიშს ნუღარ მომთხოვ თვითმკვლელობისათვის, რომელიც ბუზღუნებს, ყალყზე

დგება, მომიწოდებს და მეც მას გამარჯობას ვეუბნები. ადამიანის განსასჯელად, ყოველ შემთხვევაში, მისი აზრების საიდუმლოების, მისი უბეუდრების, მისი გრძნობების გაგებაა საჭირო; ვინც მხოლოდ მისი ცხოვრების მატერიალურ მოვლენებს ეხება, იგი ქრონოლოგიას წერს, ე. ი. უგუნურთა ისტორიას.

ამ სიტყვების მწარე ტონმა ისე გააოცა ემილი, რომ ამ წუთიდან მთელი თავისი გულისყური მიაპყრო რაფაელს, რომელსაც იგი გაოგნებული სახით უცქეროდა.

_ მაგრამ, _ განაგრძო მოამბემ, _ დღეს ამ მოვლენებს სხვანაირი გაშუქება მიეცა. იმ ვითარებამ, რომელსაც წინათ უბედურებად ვთვლიდი, შეიძლება ჩემში მრავალი მშვენიერი ნიჭი გამოიწვია, რომელიც შემდეგ საამაყოდ მიმაჩნდა; ეს იყო ფილოსოფიური ცნობისმოყვარეობა, დაჟინებული შრომა, წიგნის კითხვის სიყვარული, რომელსაც მთელი ჩემი დრო მიჰქონდა შვიდი წლის ასაკიდან დაწყებული საზოგადოებაში გასვლამდე; და განა მე მათ არ უნდა ვუმადლოდე იმ სიადვილეს, რომლითაც _ თუ თქვენ დაგიჯერეთ _ მე შემიძლია ჩემი აზრები გამოვთქვა და წინ წავიდე ადამიანური ცოდნის ფართო ველზე? განა იძულებითმა მარტოობამ, გძნობათა შეკავების და გულით ცხოვრების ჩვეულებამ დაფიქრების და შედარების ნიჭით არ აღმჭურვა? რადგან ჩემი თავი არ გავცვითე მაღალი საზოგადოების მღელვარებაში, რომელიც უმშვენიერეს სულს აწვრილმანებს და მჩვრად აქცევს, ამიტომ ჩემი მგრძნობიარობა გავამძაფრე და უფრო მაღალი ნებისყოფის დამთავრებულ ორგანოდ ვაქციე, ვიდრე ვნების წყურვილია. რადგან ქალების მიერ უარყოფილი ვიყავი, მათ, როგორც მახსოვს, მეტი გამჭრიახობით ვუცქეროდი. ახლა ვხედავ, ჩემი გულწრფელი ხასიათი მათ როდი უნდა მოსწონებოდა. შეიძლება ქალებს ცოტაოდენი პირფერობა უნდოდეთ. მე ერთსა და იმავე დროს მამაკაციც ვარ და ბალღიც, ქარაფშუტაც და მოაზროვნეც, ცრუმორწმუნეობით შებოჭვილიც ვარ და მისგან თავისუფალიც, მე ხანდახან თითქო ქალიც ვარ მათსავით; რა გასაკვირველია,, რომ ისინი ჩემს მიამიტობას ცინიზმად ღებულობდნენ, ჩემი აზროვნების სიწმინდეს _ გარყვნილებად? ჩემი ცოდნა მათ მოსაწყენად ეჩვენებოდათ, ჩემი ქალური მიბნედილობა _ სისუსტედ. ეს არაჩვეულებრივად მოძრავი ფანტაზია, რომელიც პოეტების უბედურებას წარმოადგენს, უეჭველია, საბაბს იძლეოდა, მე სიყვარულის ნიჭს მოკლებულ არსებად ჩავეთვალეთ, აზროვნებაში _ მერყევ, მოქმედებაში _ უენერგიო ადამიანად. ქალებს სულელად ვეჩვენებოდი, როცა ვდუმდი, მე მათ ვაფრთხობდი, როცა თავის მოწონებას ვცდილობდი, ერთი სიტყვით, საბოლოოდ დამგმეს.

ცრემლებით და გულისტკივილით მივიღე საზოგადოების მიერ გამოტანილი განაჩენი. მაგრამ ამ უბედურებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მე გადავწყვიტე, შური მეძია საზოგადოების მიმართ, ყველა ქალის სული დამეპყრო მათი გონების დამორჩილების შემწეობით, ისეთი სახელი მომეხვეჭა, რომ ყველა თვალი ჩემკენ მოპყრობილიყო, როცა მსახური ჩემს სახელს წარმოთქვამდა სალონის კართან. ბავშვობიდანვე დიდი ადამიანის როლი მივიკუთვნე; ხშირად შუბლზე ხელი მიმირტყამს და ანდრე შენიესავით* წამომიძახნია: «აქ არის მაინც რაღაც!» ვგრძნობდი, რომ ჩემში გამოსახატავი აზრი, დასასაბუთებელი სისტემა, ასახსნელი მეცნიერება იყო დამალული. ოჰ, ჩემო ძვირფასო ემილ, დღეს, როცა ოცდაექვს წელს ძლივს მივაღწიე და დარწმუნებული ვარ, უცნობი მოვკვდები ისე, რომ არასოდეს იმ ქალების საყვარელი არ ვყოფილვარ, რომელთა ფლობას ვოცნებობდი, ნება მომეცი, ჩემი სიგიჟეების ამბავი მოგიყვე! განა ჩვენ ყველას ასე თუ ისე ჩვენი სურვილები სინამდვილედ არ მიგვიჩნევია? აჰ, მე მეგობრად არ მინდა ისეთი ყმაწვილი, რომელსაც თავისთვის დაფნის გვირგვინი არ დაეწნას, კვარცხლბეკი არ დაედგას, ან მორჩილი სატრფოები არ ჰყოლოდეს. მე ხშირად სარდალი ვიყავი, იმპერატორი, ბაირონი, შემდეგ - არაფერი. ვითამაშე რა ადამიანური საქმეების მწვერვალზე, მე შევამჩნიე, რომ ჯერ კიდევ უამრავი მთა, უამრავი სიძნელე მრჩებოდა გადასალახავი. მე გადამარჩინა ამ უსაზღვრო თავმოყვარეობამ, რომელიც ჩემს არსებაში ბობოქრობდა, ამ ბედის რწმენამ, რომელმაც შეიძლება ადამიანი გენიოსად აქციოს, თუ იგი თავის სულს წვრილმან საქმეებს არ გააყვლეფინებს, როგორც ცხვარი იყვლიფება ძეძვნარში ძრომის დროს.

მე გადავწყვიტე დიდება მომეხვეჭა და ჩუმად მემუშავა სატრფოსათვის; იმედი მქონდა, იგი მეყოლებოდა ერთ დროს. ჩემთვის ყველა ქალი თავს იყრიდა ერთში, მე მწამდა, ამ ქალს აღმოვაჩენდი იმაში, რომელიც ჩემს შეხედვას დანებდებოდა. მაგრამ ქალები რაღაც სულიერი თვისების გამო ნიჭიერ ადამიანში მხოლოდ ნაკლს ხედავენ, ხოლო უგუნურში _ მხოლოდ ღირსებას. ისინი დიდი სიმპათიით ეპყრობიან უგუნურ ადამიანს, ვინაიდან ამ უკანასკნელის თვისებები ეპირფერება მათ საკუთარ ნაკლთ; მათზე მაღლა მდგომი ადამიანი კი მათ იმდენ ბედნიერებას არ ანიჭებს, რომ მათი ნაკლი აანაზღაუროს. ნიჭი დღეჩაგდებულ ციებ-ცხელებასა ჰგავს, არც ერთ ქალს არ სურს მისი ავადმყოფობა განიცადოს, ყველას თავის საყვარელში პატივმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი საგნის აღმოჩენა უნდა. მათ თავიანთი თავი უყვართ ჩვენში! განა ღარიბი, ამაყი, შემოქმედების ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი შეურაცხმყოფელი

ეგოიზმით არაა გამსჭვალული? მის გარშემო არსებობს რაღაც აზრთა გრიგალი, რომელშიც იგი ყველაფერს ახვევს, თვით თავის სატრფოს; ეს უკანასკნელი იძულებულია მის მოძრაობას გაჰყვეს. განა განებივრებული ქალი ასეთი მამაკაცის სიყვარულს ენდობა? განა ასეთ სიყვარულს მოსძებნის? ასეთ მამაკაცს მოცალება არა აქვს დივანზე თავი გაირთოს მგრძნობიარობის მაიმუნობით, რომელსაც ქალები დიდად აფასებენ და რომელშიც ყალბი და უგრძნობი ადამიანები იმარჯვებენ. მას დრო არ ჰყოფნის მუშაობისათვის: განა ის თავის დამცირებასა და შემკობაზე დახარჯავს? მე მზად ვიყავი ჩემი სიცოცხლე მთლიანად გამეწირა, მე არ მინდოდა ის დამეხურდავებინა. ღარიბი, დიდი ადამიანისათვის საკმაო არაა განყენებული სიყვარული, ის სრულ თავგანწირულობას მოითხოვს. პატარა არსებათ, რომელნიც მთელ თავიანთ ცხოვრებას იმაში ატარებენ, რომ ტანზე ქიშმირის შალებს იზომებენ ან მოდაში შემოსული საქონლის საკიდარის როლს ასრულებენ, თავგანწირულება არა აქვთ - ისინი მას სხვებისაგან მოითხოვენ; ისინი სიყვარულში მხოლოდ ძალაუფლების მიერ გამოწვეულ სიამოვნებას ხედავენ და არა მორჩილების მიერ გამოწვეულს.

თუ დედაკაცი მართლაც ცოლია გულით, ხორცით და ძვლებით, ის თავის მბრძანებელს გაჰყვება უკანმოუხედავად. დიდ ადამიანებს აღმოსავლეთური ქალები სჭირიათ: მათი ერთადერთი საზრუნავი ქმრების მოთხოვნილებათა შესწავლა უნდა იყოს. მე ჩემს თავს გენიოსად ვთვლიდი, მაგრამ სწორედ მოდის მიმდევარი კოხტა ქალები მიყვარდა. ჩემი იდეები ეწინააღმდეგებოდა საყოველთაოდ მიღებულ იდეებს. მეგონა, ზეცას შევმუსრავ უკიბოდ-მეთქი. ჩემს განძეულობას გასავალი არ ჰქონდა ბაზარში, ჩემი ფართო ცოდნა მახსოვრობას მიმძიმებდა და დაულაგებელი ან მოუნელებელი იყო; არც მშობლები გამაჩნდა, არც მეგობრები, მარტოდმარტო ვიყავი უსაშინელეს უდაბნოში, ქვებით მოფენილ, სულდგმულ, მოაზროვნე, ცოცხალ უდაბნოში, სადაც ყველანი შენთვის მტრებზე უარესნი, სრულიად გულგრილნი არიან! ასეთ მდგომარეობაში ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბუნებრივი, მაგრამ გიჟური იყო. მასში იყო რაღაც შეუძლებელი, რაც მამხნევებდა. ეს ჰგავდა სანაძლეოს დადებას თავის თავთან. აი, როგორი იყო ჩემი გეგმა. ჩემი ათას ასი ფრანკი სამ წელიწადს უნდა გამომეზოგა, ამ ხნის განმავლობაში უნდა გამომექვეყნებინა თხზულება, რომელიც საზოგადოების ყურადღებას დამაპყრობინებდა, სიმდიდრეს ან სახელს მომიხვეჭდა. მახარებდა ის აზრი, რომ პურითა და რძით ვისაზრდოებდი თებაიდელი მწირივით, წიგნებისა და იდეების სამყაროში ჩავინთქებოდი, შრომისა და დუმილის სფეროში, სადაც აბრეშუმის ჭიის მსგავსად პარკის

მაგვარ სასაფლაოს გავიკეთებდი, რათა ხელახლა დავბადებულიყავი ბრწყინვალე და სახელოვანი. სიკვდილის რისკს ვწევდი, რათა მეცხოვრა. რაკი ჩემი ცხოვრება ნამდვილი მოთხოვნილებებით შემოვფარგლე, აღმოჩნდა, რომ წელიწადში სამას სამოცდახუთი ფრანკი მეყოფოდა ხელმოკლე არსებობისათვის. მართლაც, ეს მცირე თანხა მაკმაყოფილებდა, სანამ ჩემს სამონასტრო წესდებას ვემოჩილებოდი.

_ ეს შეუძლებელია! _ წამოიძახა ემილმა.

_ თითქმის სამი წელიწადი გავძელი ასე, _ უპასუხა რაფაელმა ერთგვარი სიამაყის გრძნობით: _ ვიანგარიშოთ! სამი სუს პური, ორი სუს რძე, სამი სუს ძეხვი თუ ლორი საკმაო იყო შიმშილით არ მოვმკვდარიყავი და სულის განსაკუთრებული სიფხიზლე შემენარჩუნებინა. შენ იცი, რომ ვიკვლევდი იმ უცნაურ გავლენას, რომელსაც საკვები ახდენს ფანტაზიაზე. ბინა სამი სუ მიჯდებოდა დღეში, სამი სუს ზეთს ვწვავდი ღამეში, ჩემს ოთახს თვით ვალაგებდი, ფლანელის პერანგებს ვიცვამდი, რათა სარეცხისათვის დღეში ორ სუზე მეტი არ დამეხარჯა. ღუმელის გასათბობად ქვანახშირს ვხმარობდი - ორი სუ ამას უნდებოდა. ტანისამოსიც, საცვალიც, ფეხსაცმელიც სამ წელიწადს მეყოფოდა. ხეირიანად ვიცვამდი მხოლოდ, როცა საჯარო ლექციებზე ან წიგნთსაცავში მივდიოდი. ეს ყოველივე ერთად თვრამეტ სუს შეადგენდა დღეში, ორი სუ კიდევ მრჩებოდა მოულოდნელი ხარჯებისათვის. ამ ხანგრძლივი შრომის დროს არ მახსოვს, რომ ხელოვნებათა ხიდზე* გამევლოს ან წყალი მეყიდოს; ჩემი ხელით მომქონდა ყოველ დილით სენ-მიშელის მოედნის შადრევნიდან, რომელიც გრეს ქუჩის კუთხესთანაა. ჰო, ჩემს სიღარიბეს ქედმაღლად ვატარებდი. ვინც გრძნობს, მშვენიერი მომავალი მელისო, დუხჭირ ცხოვრებაში ისე მიაბიჯებს, როგორც დასასჯელად მიმავალი უდანაშაულო ადამიანი: მას არაფრის რცხვენია. ფიქრიც კი არ მინდოდა ავადმყოფობაზე. აკვილინასი არ იყოს, საავადმყოფოს უშიშრად ვუცქეროდი, ერთხელაც ეჭვი არ შემპარვია ჩემს ჯანმრთელობაში. ესეცაა, ღარიბი ადამიანი ლოგინად მხოლოდ მაშინ უნდა ჩაწვეს, როცა კვდება. თმას ვიკრეჭდი, სანამ სიყვარულის თუ გულკეთილობის ანგელოზმა... მაგრამ არ მინდა წინ გავუსწრო მოვლენათა განვითარებას. უნდა იცოდე მხოლოდ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ სატრფოს უყოლობის გამო მე ვსულდგმულობდი დიდი აზრით, ოცნებით, ტყუილით, რომლისაც ჩვენ თავდაპირველად ყველას გვჯერა. დღეს მე დავცინი ჩემს თავს, ჩემს მეს, რომელიც შეიძლება წმინდა და ამაღლებული იყო, მაგრამ აღარ არსებობს. როცა საზოგადოებას, ქვეყანას, ზნე-ჩვეულებათ ახლო გავეცანი, გამომჟღავნდა ჩემი

გულუბრყვილო რწმენის საშიშროება, ჩემი გულმოდგინე მუშაობის გადამეტება. ამდენი მარაგი ზედმეტია პატივმოყვარე ადამიანისთვის...

რა მსუბუქი უნდა იყოს იმ ადამიანის ბარგი, რომელიც ბედს მისდევს! რჩეული ადამიანების შეცდომა იმაშია, რომ ისინი თავიანთი ახალგაზრდობის წლებს უხვად ხარჯავენ, რათა საზოგადოების კეთილგანწყობილება დაიმსახურონ. იმ დროს, როცა ისინი ძალასა და ცოდნას აგროვებენ, ენაწყლიანი და უიდეო ინტრიგანები ყველგან დაძვრებიან, სულელებს ატყუებენ, გულუბრყვილოთ ნდობას იმსახურებენ; პირველნი სწავლობენ, მეორენი წინ მიაბიჯებენ; პირველნი მოკრძალებულნი არიან, მეორენი _ თამამნი; გენიოსი ადამიანი ჩქმალავს თავის პატივმოყვარეობას, ინტრიგანი გარეთ აფენს თავისას. მაგრამ მეცნიერება გულკეთილია დედასავით, შეიძლება დანაშაული იქნებოდა მისთვის, რომ სხვა სანაზღაურო მოგვეთხოვა, გარდა წმინდა და წყნარი, სიხარულისა, რომლითაც იგი თავიანთ ბავშვებს ჰკვებავს.

მახსოვს, რა სიამოვნებით ჩამიწია ხშირად პურის ნაჭერი რძეში. ფანჯარასთან დავმჯდარვარ და სუფთა ჰაერი შემისუნთქავს, თვალი გადამივლია ნაცრისფერი, წითელი, ასპიდის, კრამიტის, მოყვითლო ან მომწვანო ხავსით დაფარული სახურავებისათვის. პირველად ეს სურათი ერთფეროვნად მეჩვენებოდა, მაგრამ მალე აღმოვაჩინე მისი თავისებური სილამაზე. ხანდახან საღამოთი სინათლის ზოლი, რომელიც ნახევრად მიხურული დარაბებიდან გამოდიოდა, აცხოველებდა ამ ორიგინალური ქვეყნის ბნელ სიღრმეებს. ხანდახან ქუჩის ფანჯრების ფერმკრთალი შუქი მოყვითალო გამონაკრთომს ისროდა ბურუსში და ოდნავ ანათებდა ამ უმოძრაო ოკეანის ტალღებს. ბოლოს, ხანდახან ამ პირქუშ უდაბნოში განმარტოებული ფიგურა გამოჩნდებოდა. რომელიმე ჰაერში ჩამოკიდებული ბაღის ყვავილებს შორის გამოჩნდებოდა კუთხოვანი და მოკაუჭებული პროფილი დედაბრისა, რომელიც დედოფლის ყვავილს რწყავდა, ან დაცხავებულ ფანჯრის ჩარჩოში ახალგაზრდა ქალი გამოისახებოდა, რომელსაც ეგონა, არავინ მხედავსო, და ბანაობასა და ჩაცმა-დახურვაში იყო გართული, მე კი ვხედავდი მის ლამაზ შუბლსა და გრძელ თმას, რომელსაც ზევით მშვენიერი თეთრი ხელი სწევდა.

მე სიყვარულით ვუცქერდი წყლის ღარებში ამოსულ მჭლე მცენარეულობას, ბეჩავ ბალახს, რომელიც უცებ ამოვარდნილ ქარიშხალს მიჰქონდა; მე ვსწავლობდი ხავსის ფერებს, რომლებიც კაშკაშა ხდებოდა წვიმის შემდეგ, ხოლო მზეზე მშრალ ყავისფერ ხავერდს ემსგავსებოდა და უცნაურად ლივლივებდა.

მე მართობდა დღის სინათლის პოეტური და მალიადი ეფექტები, ნისლის მწუხარება, მზის ანაზდეული გაღიმება, ღამის დუმილი და ჯადოქრობა, ცისკრის საიდუმლოებანი, ბუხრის კვამლი, ერთი სიტყვით, ამ გასაოცარი ბუნების ყოველი მოვლენა. ჩემი სატუსაღო შემიყვარდა. იგი ნებაყოფლობით იყო არჩეული. ჩემს აზრებსა და სულს ჰარმონიულად ეთვისებოდა პარიზის ეს ტრამალები, რომლებსაც მინდორივით სწორი სახურავები ქმნიდა. ადამიანი მეტისმეტად დაიღლება, თუ განყენებული აზროვნების სფეროებიდან უშუალოდ ჩამოეშვა დედამიწაზე; ამით აიხსნება მონასტრების განძარცულობა. როცა მე გადავწყვიტე ახალი ცხოვრების გზას დავდგომოდი, ოთახი პარიზის ყველაზე მივარდნილ უბანში ვიქირავე.

ერთ საღამოს ესტრაპადის ქუჩიდან შინ ვბრუნდებოდი და მეთოკეების ქუჩისაკენ შევუხვიე. კლიუნის ქუჩის კუთხეში პატარა გოგო დავინახე, დაახლოებით თოთხმეტი წლისა იქნებოდა; იგი ვოლანს ეთამაშებოდა თავის ამხანაგს; მათი სიცილი და ანცობა მეზობლებს ართობდა. სექტემბერი მიწურული იყო. ამ საღამოს კარგი დარი იდგა, თბილოდა. კარებთან დედაკაცები ისხდნენ და საუბრობდნენ. ჯერ გოგოს დავაკვირდი; მას საუცხოოდ მეტყველი სახე ჰქონდა, მისი სხეული თითქოს მხატვრისთვის იყო გაკეთებული. მთელი ეს სცენა მომხიბლავი იყო. თავის თავს შევეკითხე, საიდანაა ასეთი კეთილი ზნე-ჩვეულებანი პარიზში-მეთქი, და შევამჩნიე, რომ ეს ქუჩის ჩიხი იყო, ნაკლებ გათელილი გამვლელების მიერ. გამახსენდა, ამ უბანში ერთ დროს ჟან-ჟაკ რუსო ცხოვრობდა, და «სენ კანტენის სასტუმრო» მოვნახე; იგი იმდენად დახავსებული იყო, რომ იმედი მომეცა, აქ იაფფასიან ბინას ვიშოვი-მეთქი. დაბალ მისაღებ ოთახში შევედი და კლასიკური სტილის სპილენძის ჭაღები დავინახე, მედიდურად ჩამწკრივებული სანთლებით... ამ ოთახის სისუფთავემ გამაოცა: მისი მსგავსი იშვიათად მინახავას სხვა სასტუმროებში; იგი საჟანრო მხატვრობის სურათს ჰგავდა. ცისფერი საწოლი, ჭურჭელი, ავეჯი კოხტა და კეკლუცი იყო. წინ შემეგება სასტუმროს დიასახლისი, დაახლოებით ორმოცი წლის ქალი, რომელსაც მწუხარე სახე და თითქოს ტირილისგან ჩაღამებული თვალები ჰქონდა. მე მორცხვად ვუთხარი რამდენის მიცემა შემეძლო ოთახში. არ გაჰკვირვებია, გასაღები მოძებნა, მანსარდში ამიყვანა და ოთახი მაჩვენა, რომელიც სახურავებსა და მეზობელი სახლების ეზოებს გადაჰყურებდა; ამ ეზოებში გრძელ ლატანებზე სარეცხი ეკიდა. ძნელია ამ სხვენზე უფრო საშინელი რამის წარმოდგენა; მისი კედლები გაყვითლებული და ჭუჭყიანი იყო, მისი სახურავი დაფერდებულიყო, კრამიტსა და კრამიტს შუა ცა ჩანდა. შიგ მხოლოდ საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი თუ

დაეტეოდა, ამას გარდა, კუთხეში ჩემი პიანინოს დადგმა შემეძლო. რადგან სასტუმროს დიასახლისი იმდენად შეძლებული არ იყო, რომ ეს ვენეციური პიომბოს* მსგავსი საკანი ავეჯით მოერთო, მას ვერ მოეხერხებინა მისი გაქირავება. ადვილად შევთანხმდით და მეორე დღესვე გადავსახლდი. დაახლოებით სამი წელიწადი ვიცხოვრე ამ ჰერში აზიდულ სასაფლაოში; დღისით და ღამით დაუსვენებლივ ვმუშაობდი, ისეთ სიამოვნებას განვიცდიდი, რომ მეგონა სწავლა ადამიანური ცხოვრების უმშვენიერესი საგანი, მისი მიზანდასახულობის უბედნიერესი გადაწყვეტაა-მეთქი. არის რაღაც ტკბილი და სიყვარულივით დამათრობელი იმ სიწყნარესა და დუმილში, რომელიც აუცილებლად საჭიროა მეცნიერისათვის. აზროვნების ვარჯიშობა, იდეათა ძიება, შეუშფოთებელი მეცნიერული განჭვრეტა ენით გამოუთქმელ სიხარულს გვანიჭებს, როგორც ყოველივე, რასაც კავშირი აქვს გონებასთან. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ სულის საიდუმლოებანი მატერიალურ მოვლენებს შევადაროთ. რა დიდ სიამოვნებას განიცდის ადამიანი, როცა კამკამა ტბაში ცურავს, გარშემო კლდეებს, ტყეებსა და ყვავილებს უცქერის და სახეზე თბილი სიოს ალერსს გრძნობს; ეს სურათი სუსტი გამოხატულებაა იმ ბედნიერებისა, რომელსაც განვიცდიდი, როცა ჩემი სული რაღაც სინათლის სხივებში ბანაობდა, როცა ყურს ვუგდებდი შთაგონების მრისხანე და გაურკვეველ ხმებს, როცა უცნობი წყაროდან ჩემს მთრთოლვარე ტვინში სახეები იღვრებოდა. იმ იდეის ცქერა, რომელიც დილის მზესავით ამოდის ადამიანურ აბსტრაქციათა ველზე. ან უკეთ ვთქვათ, ბავშვივით იზრდება, მწიფდება, ვაჟკაცდება _ ეს სიამოვნება ყველა მიწიერ სიხარულს სჭარბობს, ეს ღვთაებრივი სიამოვნებაა.

მეცადინეობა რაღაც ჯადოქრულ ელფერს აძლევს ყოველივეს, რაც გარს გვარტყია. ჩემი ბეჩავი საწერი მაგიდა, რომელსაც ყავისფერი საფიანი ჰქონდა გადაფარებული, ჩემი პიანინო, ჩემი ლოგინი, ჩემი სავარძელი, შპალიერის უცნაური სახეები, ავეჯი, ყოველივე ეს საგნები თითქო გაცოცხლდნენ და ჩემი თავმდაბალი მეგობრები გახდნენ, ჩემი მომავლის მდუმარე თანამზრახველები; რამდენჯერ მიცქერია მათთვის, რამდენჯერ გამინდვია ჩემი სული! ხშირად თვალებს ვაცეცებდი დაბრეცილ ჩუქურთმებზე და ახალ საბუთებს ვპოულობდი ჩემი სისტემის დასამტკიცებლად, ახალ ბედნიერ სიტყვებს _ ჩემი ძნელად გადმოსაცემი აზრების გამოსათქმელად. ხანგრძლივი ცქერის წყალობით ყოველ საგანში განსაკუთრებული ფიზიონომია, განსაკუთრებული ხასიათი აღმოვაჩინე; ხშირად ისინი მესაუბრებოდნენ, თუ ჩამავალი მზე ჩემს ვიწრო სარკმელში სხივებს ისროდა, ისინი ფერადდებოდნენ, სევდიანნი ან მხიარული ხდებოდნენ და ყოველთვის მაკვირვებდნენ

ახალი ეფექტებით. ეს პაწია მოვლენები შეუმჩნეველია საზოგადოებაში გართული ადამიანისათვის, ხოლო ტუსაღებისათვის დიდ ნუგეშს წარმოადგენს. მეც ხომ იდეის ტყვე, სისტემის ტუსაღი ვიყავი, მხოლოდ სახელოვანი ცხოვრების პერსპექტივა მამხნევებდა! თითოეული დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ნაზ ხელებს ვუკოცნიდი მშვენიერთვალებიან, მოხდენილ და მდიდარ ქალს, რომელიც ოდესმე თმაზე ხელს გადამისვამდა და გულაჩუყებული მეტყოდა:

_ შენ ბევრი იტანჯე, ჩემო საბრალო ანგელოზო!

ორი დიდი თხზულება დავიწყე. ერთი იყო კომედია. მას ჩემთვის რამდენიმე დღეში სიმდიდრე და სახელი უნდა მოეხვეჭა და საზოგადოებაში შევეყვანე, სადაც მინდოდა გენიოსის მეფური უფლებით მესარგებლა. თქვენ ყველამ ამ შედევრში საშუალო სასწავლებლიდან ახლად გამოსული ჭაბუკის პირველი შეცდომა, ბავშვური აბდაუბდა დაინახეთ. თქვენმა დაცინვამ ფრთები შეაკვეცა ნაყოფიერ ილუზიებს, მათ შემდეგ აღარ გაუღვიძიათ. მხოლოდ შენ, ჩემო ძვირფასო ემილ, დამიშუშე ღრმა ჭრილობა, რომელიც სხვებმა გულზე დამაჩნიეს. მხოლოდ შენ შეხვდი აღტაცებით ჩემს «ნებისყოფის თეორიას», ამ დიდ ნაწარმოებს, რომლის გულისთვისაც აღმოსავლური ენები, ანატომია, ფიზიოლოგია შევისწავლე და ძლიერ დიდი დრო დავხარჯე. თუ არ ვცდები, ეს თხზულება შეავსებს მესმერის,* გალლის,* ბიშას, ლაფატერის* შრომებს და ახალ გზებს გაუხსნის ჰუმანიტარულ მეცნიერებათ. აქ თავდება ჩემი მშვენიერი ცხოვრება, ჩემი ყოველდღიური მსხვერპლის შეწირვა, ეს აბრეშუმის ჭიისებური მუშაობა, რომელიც უხილავია გარეშესთვის და რომლის ერთადერთ სანაზღაუროს თვით მუშაობა წარმოადგენს. მე აღმოსავლეთური სიზარმაცის მიჯნური ვიყავი, მეოცნებე, მგრძნობიარე, მაგრამ მუდამ ვმუშაობდი და ჩემს თავს უარს ვეუბნებოდი პარიზის ცხვორების სიამოვნებანი მეგემა; ჭამა-სმა მიყვარდა, მაგრამ ვმარხულობდი; ხეტიალი და ზღვაზე მოგზაურობა მიყვარდა, მრავალი ქვეყნის ნახვა მინდოდა, მაგრამ მუდამ მაგიდას ვუჯექი კალმისტრით აღჭურვილი; ლაპარაკი მიყვარდა, მაგრამ ჩუმად ვიჯექი ბიბლიოთეკასა და მუზეუმში და პროფესორების საჯარო ლექციებს ვისმენდი; მწირის საწოლზე მეძინა, თითქო ბენედიქტელთა ორდენის* ბერი ვყოფილიყავი, ხოლო ჩემი ერთადერთი ქიმერა ქალი იყო, ამ ქიმერას ვეალერსებოდი, იგი კი მუდამ გამირბოდა! ერთი სიტყვით, ჩემი ცხოვრება სასტიკი წინააღმდეგობა, მუდმივი ტყეილი იყო. ამის შემდეგ იმსჯელე ადამიანებზე! ხანდახან ჩემი ბუნებრივი მიდრეკილებანი იღვიძებდნენ ჩაფერფლილი ცეცხლივით. მეჩვენებოდა, თითქო პარიზის ქუჩებში დავნავარდობდი, ბრწყინვალე

ეტლის რბილ ბალიშებზე მიწოლილი! ბიწიერებანი მღრღნიდნენ. გარყვნილებაში ვიყავი ჩაფლული, ყველაფერი მინდოდა, ყველაფერი მქონდა; უღვინოდ მთვრალი ვიყავი, როგორც წმინდა ანტონი* იყო ცთუნების დროს. საბედნიეროდ, ძილი აცხრობდა ამ ჩანმთქმელ მოჩვენებათ: მეორე დღეს მეცნიერება მომიწოდებდა ღიმილით და მეც მისი ერთგული ვიყავი. მგონია, რომ ეგრეთ წოდებული სათნო ქალები ხშირად უნდა ემორჩილებოდნენ ამგვარი სიგიჟის, სურვილების და ვნებათაღელვის გრიგალს, რომელიც ჩვენს ბუნებაში ატყდება ხოლმე ჩვენდა უნებურად.

პირველი ათი თვის განმავლობაში ზემოთ აღწერილ ღარიბულ და განმარტოებულ ცხოვრებას ვატარებდი; დილით სანოვაგის საყიდლად მივდიოდი, ვცდილობდი კი არავის დავენახე; ოთახს ვალაგებდი, ერთსა და იმავე დროს ბატონიც ვიყავი და მსახურიც, დიოგენივით* ვცხოვრობდი, ამასთანავე დაუჯერებელ სიამაყეს ვიჩენდი. მაგრამ დიასახლისმა და მისმა ქალმა დაზვერეს ჩემი ზნე-ჩვეულებანი, შეისწავლეს ჩემი პიროვნება, გაიგეს ჩემი სიღარიბე და, რადგან ისინიც ძლიერ უბედურნი იყვნენ, ჩვენს შორის ერთნაირი აუცილებელი კავშირი დამყარდა. პოლინამ, ამ მომხიბლავმა არსებამ, რომლის გულუბრყვილო, ფარულმა ღირსებებმა რამდენიმედ იქ დამაკავა, მრავალი სამსახური გამიწია და ჩემთვის შეუძლებელი იყო მათზე უარის თქმა. ყველა უბედური ადამიანი და-ძმაა, მათ ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე სულგრძელობა აქვთ, ისინი გრძნობის სიუხვეს იჩენენ და თავის დროსა და პიროვნებას ადვილად სწირავენ ხოლმე. შეუმჩნევლად პოლინა ჩემი დიასახლისი გახდა, და დედამაც არ გაუწია წინააღმდეგობა. რამდენჯერ დედასაც შევუსწარი, როცა ჩემს საცვალს აკერებდა და წითლდებოდა, როცა ამ საქველმოქმედო მუშაობაზე მივუსწრებდი. ჩემი სურვილის წინააღმდეგ მათი მფარველობის ქვეშ მოვხვდი და მე ვღებულობდი მათ სამსახურს. რათა ეს გულთბილობა გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ, რა სიხარულია შრომაში, რა მტარვალია იდეები და რა ინსტინქტურ ზიზღს გრძნობს ყოველდღიური წვრილმანებისადმი ადამიანი, რომელიც აზრით ცხოვრობს.

განა შემეძლო წინააღმდეგობა გამეწია თავაზიანობისათვის, რომლითაც პოლინას ჩემი ღარიბული შეჭამანდი შემოჰქონდა, როცა მატყობდა, რომ შვიდი თუ რვა საათის განმავლობაში არაფერი მეჭამა? ქალური გრაციით და ბავშვური მიამიტობით მიცინოდა და მანიშნებდა, ყურადღებას ნუ მომაქცევთო. ის იყო არიელი,* რომელიც სილფის* მსგავსად შემოსრიალდა ჩემს ჭერქვეშ და ჩემს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

ერთ საღამოს პოლინამ თავისი თავგადასავალი მიამბო გულის ამაჩუყებელი გულუბრყვილობით. იმისი მამა ცხენოსანი გრენადერების რაზმის უფროსი ყოფილიყო იმპერატორის გვარდიაში, ბერეზინაზე გადმოსვლის დროს* ყაზახ რუსებს დაეტყვევებინათ; შემდეგ, როცა ნაპოლეონს ტყვეების გაცვლა შეეთავაზნა, რუსეთის მთავრობას იგი ამაოდ ეძებნა ციმბირში; სხვა ტყვეების თქმით, მას განზრახვა ჰქონოდა ინდოეთში გაპარულიყო. იმ დღიდან ჩემს დიასახლისს, ქალბატონ გოდენს, ვერავითარი ცნობა ვეღარ მიეღო თავისი ქმრისაგან, დაიწყო 1814-1815 წლების უბედურებანი; მარტოდმარტო, უსახსროდ და უმწეოდ დარჩენილ ქალს ავეჯიანი ოთახების გაქირავება დაეწყო. იმედი ჰქონდა, ქმარს კიდევ ვნახავო. ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ პოლინა უსწავლელი დარჩა; ეს მით უმეტეს სამწუხარო იყო, რომ პოლინა თავად ბორგეზეს მეუღლის ნათლული იყო და, ეტყობოდა, თავისი ნიჭით და ხასიათით გაამართლებდა თავისი მფარველი სეფექალის იმედებს. როცა მადამ გოდენმა თავისი გულისტკივილი გამანდო, სხვათა შორის, მითხრა: «სიამოვნებით დავთმობდი ქაღალდის ნაფლეთს, რომელიც გოდენს იმპერიის ბარონის წოდებას* ანიჭებს და უფლებას გვაძლევს შემოსავალი მივიღოთ ვიჩნაუდან, ოღონდ პოლინას სენ-დენის სასწავლებელში* აღზრდას შევძლებდე». ჟრუანტელმა დამიარა და თავში აზრი მომივიდა, წინადადება მიმეცა, მე დავამთავრებ პოლინას აღზრდას-მეთქი. გულწრფელობა, რომლითაც ორივე ქალმა ჩემი წინადადება მიიღო, შეეფერებოდა გულუბრყვილობას, რომელმაც იგი მიკარნახა. ამრიგად, დასასვენებელი საათები გამიჩნდა. ამ პატარა ქალს ნიჭი აღმოაჩნდა, ისე ადვილად სწავლობდა, რომ მალე მაჯობა პიანინოს დაკვრაში. იგი შეეჩვია ხმამაღლა ფიქრს ჩემთან ყოფნის დროს, მისი გული ათას განძს ამჟღავნებდა, თითქო ყვავილი ყოფილიყოს, რომელიც ნელა იშლება მზის სხივებზე. ყურადღებით და სიამოვნებით მისმენდა, მისი მომღიმარი შავი ხავერდოვანი თვალები ჩემსკენ იყო მოპყრობილი; თავის გაკვეთილს წყნარი და ალერსიანი ხმით იმეორებდა, ბავშვურად უხაროდა, როცა მისი კმაყოფილი ვიყავი.

წინათ დედამისი ხშირად თავს იმტვრევდა, როგორ აეცდინა საფრთხე, რომელიც ახალგაზრდა ქალს ემუქრებოდა, ეს ქალი კი მხოლოდ მომხიბვლელი ბავშვი იყო და თანდათან უფრო ამართლებდა მასზე დაყრდნობილ იმედებს. ამიტომ დედა დამშვიდდა, რაკი დაინახა, რომ მისი ქალიშვილი მთელი დღეები მუშაობდა.

რადგან საკუთარი პიანინო მას არ ჰქონდა, იძულებული იყო ჩემსაზე ევარჯიშნა ჩემი შინ არყოფნის დროს. როცა უკან ვბრუნდებოდი, პოლინა ოთახში მხვდებოდა

სრულიად უბრალოდ ჩაცმული; მაგრამ საკმაო იყო ოდნავ განძრეულიყო, ტლანქი ქსოვილის ქვეშ მისი მოქნილი წელი და მისი მომხიბლავი ფიგურის ხაზები გამომჟღავნდებოდა. პეროს ზღაპრის ერთი გმირი ქალივით პაწია ეთეროვან ფეხებზე ოჩოფეხები ეცვა. მაგრამ ჩემთვის თითქო დაკარგული იყო ეს მშვენიერი განძი, ეს ქალური სიმდიდრე, ეს უხვი სილამაზე. ჩემს თავს ვაიძულებდი ძმასავით მეცქირა პოლინასათვის, შემაძრწუნებლად მიმაჩნდა თვით აზრი მისი დედის ნდობის გამტყუნებისა; მე აღტაცებული ვიყავი ამ მომხიბლავი ქალით, თითქო იგი მიცვალებული სატრფოს სურათი ყოფილიყოს; იგი ჩემი ბავშვი, ჩემი ქანდაკება იყო: თითქო ახლად მოვლენილი პიგმალიონი* ვყოფილიყავი, მინდოდა სულჩადგმული, სახეშეფარკლული, მგრძნობიარე, მოლაპარაკე ქალწული მარმარილოს ქანდაკებად მექცია. მეტად მკაცრად ვეპყრობოდი, მაგრამ რამდენადაც მეტ დესპოტიზმს ვიჩენდი, მით უფრო მორჩილი და უწყინარი ხდებოდა იგი.

თუ ჩემი თავდაჭერილობა და მოკრძალება კეთილშობილი გრძნობებით იყო გამოწვეული, მე ბრალმდებლის შესაფერი მოსაზრებებიც არ მაკლდა. მე ვერ წარმომიდგენია პატიოსნება ფულის საქმეებში აზროვნების პატიოსნების გარეშე. ქალის მოტყუება და ვისიმე გაღატაკება ჩემს თვალში ყოველთვის ერთნაირი დანაშაული იყო. ქალიშვილის შეყვარება და მისი სიყვარულის გამოწვევა იმას ნიშნავს, რომ მასთან ნამდვილი საქორწინო ხელშეკრულება დავდოთ, ამ ხელშეკრულების პირობები წინასწარ უნდა გაირკვეს. ჩვენ უფლება გვაქვს გაყიდული ქალი მივატოვოთ, მაგრამ შეუძლებელია თავი დავანებოთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც გვნებდება, მაგრამ არ იცის თავისი მსხვერპლის საზღვრები.

რასაკვირველია, მე შემეძლო პოლინა შემერთო, მაგრამ ეს სიგიჟე იქნებოდა. განა ეს ნაზი და ქალწულებრივი სულის საწამებლად განწირვას არ ნიშნავდა? ჩემმა სიღარიბემ ერთგვარ ეგოიზმს შემაჩვია, იგი თავის რკინის ხელს იწვდიდა ამ კეთილ არსებასა და ჩემს შორის. შემდეგ, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, მე არ მესმის სიყვარული სიღატაკეში. შეიძლება, ეს ჩემი გარყვნილება იყოს, გამოწვეული იმ ავადმყოფობით, რომელსაც ცივილიზაციას ვუწოდებთ; მაგრამ ქალს, თუნდაც იგი მიმზიდველი იყოს მშვენიერ ელენესა* და ჰომეროსის გალატეასავით, არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ჩემს გრძნობებზე, თუ იგი ოდნავ ჭუჭყიანია. აჰ, გაუმარჯოს აბრეშუმსა და ქიშმირში გახვეულ სიყვარულს, გარშემორტყმულს კომფორტის სასწაულმოქმედებით, იმიტომ რომ თვით სიყვარულიც შეიძლება კომფორტი იყოს. მე მიყვარს მოსართავი

ტანსაცმლის დაჭმუჭვნა, ყვავილების გასრესა ვნებიანი სურვილით, სურნელოვანი თმის დაშლა შემმუსრავი ხელებით. ფანტასტიკურად მიმზიდველად მიმაჩნია მწველი თვალები, რომელნიც ისევე სჭრიან მაქმანიან პირბადეს, როგორც ცეცხლის ალი გასროლილი ყუმბარის კვამლს ხევს. ჩემს სიყვარულს აბრეშუმის კიბეები უნდა, რომელზედაც ჩუმად ადიხარ ზამთრის ღამეში. რა დიდი სიამოვნებაა, როცა თოვლით დაფარული შედიხარ ოთახში, რომელიც სურნელოვანი ბაზმებითაა განათებული და მოხატული აბრეშუმითაა მოფარდაგული, და იქ ქალს პოულობ, რომელიც შენსავით თოვლის ფანტელებს იბერტყავს, იმიტომ რომ სხვა რა სახელი უნდა ვუწოდოთ ვნებიანი მუსლინის საბურავს, სადაც მისი სხეული იხატება ბუნდოვნად, როგორც ანგელოზი ღრუბლებში, და საიდანაც შემდეგ იგი უნდა გამოვიდეს? რასაკვირველია, ხშირად ჩემს თავს დავცინოდი ამ ლეჩაქების, ხავერდების, სათუთი ბატისტების, ხელოვნურად დახუჭუჭებული თმის, ეტლების, ტიტულების, ბროლისა და ოქრო-ვერცხლის ნივთებზე მოთავსებული საღერბო გვირგვინების სიყვარულისთვის. ყოველივე ეს ხელოვნურია, ყოველივე ეს ნაკლებ ქალურია ქალში; ჩემს თავს დავცინოდი, ჩემი თავის დაჯერებას ვცდილობდი, მაგრამ ამაოდ. მე მხიბლავს კეთილშობილი ქალი თავისი ნებიერი გაღიმებით, თავისი რჩეული მიმოხვრით, თავისი ღირსეული ყოფაქცევით; იგი ზღუდეს მართავს თავის თავსა და საზოგადოებას შორის და ამით ჩემს პატივმოყვარეობას აღიზიანებს, ეს კი სიყვარულში თავი და თავია. ჩემი ბედნიერება უფრო მძაფრი მგონია, თუ იგი ყველას შურს. ჩემი საყვარელი უფრო სახარბიელოდ მიმაჩნია, როცა იგი არაფერს აკეთებს, რასაც სხვა ქალები აკეთებენ, არც მათსავით დადის, არც მათსავით ცხოვრობს, როცა ისეთ წამოსასხამში ეხვევა, რომელიც მათ არ შეუძლიათ იქონიონ, როცა თავის საკუთარ სუნამოს ხმარობს; რაც უფრო შორდება ის დედამიწას თვით იმაში, რაც მიწიერია სიყვარულში, მით უფრო მშვენიერი მეჩვენება. საბედნიეროდ ოცი წელია, რაც საფრანგეთში დედოფალი აღარ გვყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში დედოფალი შემიყვარდებოდა! ქალი მდიდარი უნდა იყოს, რათა პრინცესას მიხრა-მოხრა იქონიოს.

როცა ასეთი რომანტიკული ფანტაზიები მქონდა, რა უნდა ყოფილიყო ჩემთვის პოლინა? შეეძლო თუ არა მას ჩემთვის მოეყიდა ღამე, რომელსაც მთელი სიცოცხლის ფასი აქვს, მოეცა სიყვარული, რომელიც ადამიანს ჰკლავს ან ყველა ადამიანურ ნიჭს განსაცდელში აგდებს?

ჩვენ თავს არ მოვიკლავთ საწყალი ქალებისთვის, რომელნიც ჩვენ გვნებდებიან. მე ვერასოდეს ვერ შევძელი პოეტის ეს გრძნობები და ოცნებები გამენადგურებინა, მე

დაბადებული ვიყავი შეუძლებელი სიყვარულისათვის, შემთხვევას კი ენებებია ჩემთვის ისეთი რამ მოეძღვნა, რაც მე სრულიად არ მინდოდა. რამდენჯერ ჩამიცმევია ჩემს ოცნებაში პოლინასათვის პაწია ფეხებზე ატლასის მაშიები, გაზის ტანისამოსით შემიბურავს მისი მოქნილი ახალგაზრდა საროს ტანი, მსუბუქი შარფი მომისხამს მის მკერდზე, ნოხები გამითელინებია საკუთარ პალატებში, კოხტა ეტლში მიტარებია! ასეთ პირობებში გავაღმერთებდი. მე მას სიამაყეს ვაძლევდი, რომელიც არ მქონდა, მე მას ვძარცვავდი ყოველი ღირსებისა, გულუბრყვილო მშვენიერებისა, ბუნებრივი მომხიბვლელობისა, უმწიკვლო ღიმილისაგან, რათა ჩვენი ბიწიერების სტიქსში* ჩამეგდო და დაუკოდავი გულით აღმეჭურვა, რათა მისთვის ჩვენი დანაშაულის ფერ-უმარილი შემეცხო, რათა იგი სალონების თავისნება ტიკინად მექცია, სათუთ ქალად, რომელიც დილით იძინებს და საღამოთი დგება სანთლების რიჟრაჟზე. ხშირად ჩემი პოლინა აღფრთოვანდებოდა ხოლმე მუსიკის დაკვრის დროს, და მაშინ მისი სახე გასაოცრად წააგავდა კეთილშობილ სურათს, რომლითაც კარლო დოლჩის* იტალიის განპიროვნება უნდოდა. მაგრამ თავი დავანებოთ ამ საბრალო ბავშვს! რარიგ უბედურიც უნდა იყოს იგი, მე, ყოველ შემთხვევაში, დავიცავი საშინელი ქარიშხლისაგან იმით, რომ არ ჩავითრიე ჩემს ჯოჯოხეთში.

უკანასკნელ ზამთრამდე ჩემი ცხოვრება წყნარი და შრომით აღსავსე იყო. მე შევეცადე შენთვის სუსტი წარმოდგენა მომეცა მის შესახებ. 1829 წლის დეკემბრის პირველ დღეებში რასტინიაკს შევხვდი. მან, ჩემი ბეჩავი ტანსაცმლის მიუხედავად, ხელი გამიყარა, ჩემი მდგომარეობა გამომკითხა და ჭეშმარიტად ძმური ინტერესი გამოიჩინა. მისმა მოპყრობამ მომხიბლა და მოკლედ ვუამბე, როგორ ვცხოვრობდი და რა იმედები მქონდა; მან სიცილი დაიწყო, მითხრა, ერთსა და იმავე დროს გენიოსიც ხარ და გიჟიცო. მისმა გასკონურმა ხმამ, საზოგადოების ცოდნამ, სიმდიდრემ, რომელიც მან თავისი მოხერხებით შეიძინა, დაუძლეველი გავლენა მოახდინეს ჩემზე. რასტინიაკი მარწმუნებდა, საავადმყოფოში მოკვდები უცნობი, როგორც ერთი ნაცარქექიაო. იგი თითქო უკან მოჰყვებოდა კიდეც ჩემს სამგლოვიარო პროცესიას და სადღაც თხრილში მაგდებდა მათხოვარივით. ოინბაზობაზე ჩამომიგდო საუბარი. იმ გონებამახვილობით, რომელიც ასე მომხიბლავია მასში, მან დამიმტკიცა, ყველა გენიოსი ადამიანი ოინბაზიაო. გამომიცხადა, რაღაც ერთი, რომელიღაც გრძნობის ორგანო გაკლია და ეს იქნება შენი სიკვდილის მიზეზი, თუ მარტოდმარტო დარჩი მეთოკეების ქუჩაზეო. მისი აზრით, საზოგადოებაში უნდა გავსულიყავი, ხალხი შემეჩვია პატივისცემით წარმოეთქვა ჩემი სახელი და

გავთავისუფლებულიყავი იმ დამამცირებელი თავმდაბლობისაგან, რომელიც სრულიად არ შეეფერება დიდ ადამიანს.

_ უგუნურები, _ წამოიძახა მან, _ ამ ხელობას ინტრიგანობას ეძახიან, მორალისტები მას ჰკიცხავენ და უგზო-უკვლო ხეტიალს უწოდებენ; ნუ შევჩერდებით ადამიანებზე, დავეკითხოთ შედეგებს. შენ მუშაობ, არა? ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებ. მე ყველაფრის ოსტატიც ვარ და არაფრის გამკეთებელიც, ამასთანავე, ზარმაცი ვარ ცხრაფეხასავით. მაინც ყველაფერს მივაღწევ. მე ვფართოვდები, წინ მივიწევ მუჯლუგუნებით, ადგილს მითმობენ! ვტრაბახობ და ჩემი სჯერათ; ვალს ვიღებ, სხვები იხდიან! გაფანტული ცხოვრება, ჩემო კარგო, მთელი პოლიტიკური სისტემაა. ვთქვათ, სოვდაგარმა ერთი მილიონის რისკი გასწია. ოცი წლის განმავლობაში იგი არ იძინებს, არ ჭამს, არ სვამს, არ ერთობა; იგი კრუხივით სჩეკს თავის მილიონს, შემდეგ მთელს ევროპაში აბანდებს; მოწყენილია, ნებდება ყველა დემონს, რომელიც ადამიანს ოდესმე მოუგონია; შემდეგ, ლიკვიდაციის დროს, როგორც მინახავს, იგი ხშირად უგროშოდ, უმეგობროდ რჩება, სახელგატეხილი. მფლანგველი კი მხიარულად ცხოვრობს, მისი რაშები თავისუფლად დანავარდობენ. თუ შემთხვევით თავის თანხებს დაჰკარგავს, შეუძლია მთავარი ხარკთამკრეფის ადგილი იშოვოს, მდიდარი ქალი შეირთოს, მინისტრის ან ელჩის ხელქვეითი გახდეს. მას კიდევ რჩება მეგობრები, კარგი სახელი, ფული. მან იცის, რა ჩარხი ატრიალებს ქვეყანას, იგი მას ხმარობს თავის სასარგებლოდ. ლოგიკურია თუ არა ეს სისტემა, თუ მე გიჟი ვარ? განა ეს იმ კომედიის მორალი არაა, რომელსაც ყოველდღე თამაშობენ ამქვეყნად?

_ შენი ნაწარმოები დამთავრებულია, _ განაგრძო მან ცოტაოდენი შესვენების შემდეგ. _ შენ უდიდესი ნიჭი გაქვს! მაშასადამე, შენ იმ წერტილს მიაღწიე, საიდანაც მე გამოვედი. ახლა თვით უნდა იზრუნო შენი წარმატებისათვის. ეს უფრო საიმედოა; შენ კავშირს გააბამ სხვადასხვა წრესთან, ლაქლაქა მატაოცებს დაიპყრობ. მე მინდა, წილი ვიქონიო შენს დიდებაში, ოქრომჭედელი ვიქნები და ალმასებს ჩავსვამ შენს გვირგვინში... დავიწყოთ იმით, რომ ხვალ საღამოს აქ მოხვალ, წარგადგენ ერთ ოჯახში, სადაც მთელი პარიზი დადის, ჩვენი პარიზი, სილამაზის, მილიონერების, ცნობილი ადამიანების, ბოლოს, იმ ადამიანების პარიზი, რომელთაც პირიდან ოქრო სცვივათ იოანე ქრისოსტომივით.* როცა ეს ხალხი წიგნს იწონებს, წიგნი მოდად იქცევა; თუ ის მართლაც კარგია, გამოდის, რომ მართლაც მათ შეუგნებლად გენიოსობის პატენტი გაუციათ. თუ ჭკუა გაქვს, ჩემო კარგო, შენს ხელთაა შენი წიგნის ბედი. ხვალ საღამოთი ნახავ გრაფის მშვენიერ მეუღლეს თეოდორას, ეს ქალი დღეს მოდაშია.

_ არასოდეს არაფერი არ გამიგია მის შესახებ...

_ შენ კაფრი* ხარ, _ სიცილით მიპასუხა რასტინიაკმა. _ როგორ შეიძლება თეოდორას არცნობა! ესაა გასათხოვარი ქალი, რომელსაც ოთხმოც ათას ლივრამდე შემოსავალი აქვს, რომელსაც არავინ არ სურს, ან რომელიც არავის არ სურს! ესაა ერთგვარი ქალი-ამოცანა, პარიზელი _ ნახევრად რუსი, რუსი _ ნახევრად პარიზელი! ესაა ქალი, ვისთანაც ქვეყნდება ყველა რომანტიკული ნაწარმოები, რომელიც არ იბეჭდება. ესაა ულამაზესი, უნარნარესი ქალი პარიზში! არა, შენ კაფრი კი არა, რაღაც საშუალო ცხოველი ხარ კაფრსა და ნადირს შორის... ნახვამდის, ხვალამდე.

იგი ქუსლზე შემოტრიალდა და გაქრა პასუხის დაუცდელად, რადგან ვერც კი წარმოედგინა, რომ ჭკუათამყოფელ ადამიანს შეეძლო უარი ეთქვა თეოდორას გაცნობაზე. როგორ უნდა ავხსნათ სახელის ჯადოქრული ძალა? თეოდორა მე მდევნიდა, როგორც უკუღმართი აზრი, რომელთანაც ცდილობ როგორმე მორიგდე. რაღაც ხმა ჩამძახოდა: «შენ წახვალ თეოდორასთან». ვცდილობდი შევბრძოლებოდი ამ ხმას, დამეყვირა, ტყუი-მეთქი, მაგრამ იგი ყოველ ჩემს მოსაზრებას მუსრავდა ერთი სახელით: თეოდორა! შეიძლება ეს ქალი, ეს სახელი სიმბოლო იყო ყველა ჩემი სურვილისა, ამოცანა იყო მთელი ჩემი ცხოვრებისა. ეს სახელი აღვიძებდა მაღალი საზოგადოების ხელოვნურ პოეზიას, ანათებდა პარიზის დღესასწაულებს და აძლიერებდა ამაო ზვიადობას. თვალწინ წარმომიდგა უაღრესად ვნებიანი ქალი, რომელიც მაგიჟებდა. ან შეიძლება, ეს ქალი და სახელი კი არა, ჩემი ცოდვები იყო, რომელიც ჩემს სულში ზეიმართებოდა, რათა ხელახლა ვეცთუნებინე. გრაფის მეუღლე თეოდორა, რომელსაც დიდი შეძლება ჰქონდა, მაგრამ საყვარელი არ ჰყავდა, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა პარიზის ცთუნებათ, _ განა ეს ჩემი იმედების და ხილვის განხორციელება არ იყო? ჩემს ოცნებაში უკვე იხატებოდა მისი სახე. მთელი ღამე არ დამიძინია, მისი სატრფო გავხდი, რამდენიმე საათში მთელი ცხოვრება ჩავდე, სიყვარულის ცხოვრება, კიდეც ვიგემე მისი უხვი, მწველი სიტკბოებანი. მეორე დღეს ვეღარ შევძელი ხანგრძლივი ლოდინის ატანა. წიგნთსაცავიდან რომანი გამოვიტანე და მთელი დღე მის კითხვაში გავატარე, რათა არც მეფიქრა, არც დრო მეზომა. წიგნის კითხვის დროს თეოდორას სახელი ისე მესმოდა, როგორც შორეული ხმა, რომელიც არ გვაწუხებს, მაგრამ გვაიძულებს მოვუსმინოთ. საბედნიეროდ, კიდევ შერჩენილი მქონდა საკმაოდ რიგიანი შავი ტანისამოსი და თეთრი ჟილეტი; გარდა ამისა, მთელი ჩემი ქონებიდან დაახლოებით ოცდაათი ფრანკი დამრჩა, რომელიც დათესილი მქონდა ჩემს საცვალსა და ყუთებში, რათა ძებნის სიძნელეს შეეფერხებინა ამ მცირედი თანხის

დახარჯვა. ჩაცმის დროს ამ განძს გამოვედევნე ქაღალდების ოკეანეში. შენ შეგიძლია წარმოიდგინო, რა სიმდიდრე წამართვა ხელთათმანმა და ეტლმა: მათ მთელი თვის პური შემიჭამეს. სამწუხაროდ, არასდოეს ფული არ გვაკლია ჩვენი ჟინის დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ სასარგებლო ან აუცილებელი საგნების ფასისათვის ვვაჭრობთ: უდარდელად ოქროს ვესვრით მოცეკვავე ქალს და ვევაჭრებით მუშას, რომლის დამშეული ოჯახი ბეჩავი გასამრჯელოს მიღებას ელის. რამდენია ისეთი მამაკაცი, რომელსაც ასფრანკიანი ტანისამოსი აცვია, ალმასი უბრწყინავს ჯოხის სახელურზე და ოცდახუთ სუზე მეტს კი არ აძლევს სადილში! პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არავითარი ფასი არ გვენანება.

რასტინიაკი დაუგვიანებლად მოვიდა პაემანზე; გაიცინა, როცა ასე შეცვლილი დამინახა და კიდეც დამცინა, მაგრამ გზად ქველმოქმედება გამოიჩინა და რჩევა მომცა, როგორ მოვპყრობოდი გრაფის მეუღლეს; დამიხატა როგორც ძუნწი, ქედმაღალი და ეჭვიანი ქალი, მაგრამ ისიც დაუმატა, მისი სიძუნწე _ კომფორტის სიყვარულთან, მისი ქედმაღლობა _ უბრალოებასთან, მისი ეჭვიანობა გულკეთილობასთანაა შეუღლებულიო.

_ შენ იცი ჩემი ვალდებულებანი, _ მითხრა მან, _ ისიც იცი, რამდენს დავკარგავდი თუ სატრფოს გამოვიცვლიდი. მე მიუდგომლად და გულგრილად ვუცქერი თეოდორას და ჩემი შენიშვნები სწორი უნდა იყოს. როცა შენი მასთან წარდგენა გადავწყვიტე, მხოლოდ შენს ბედნიერებაზე ვფიქრობდი; იცოდე, ლაპარაკის დროს ყოველი სიტყვა უნდა აწონო: მას სასტიკი მახსოვრობა აქვს, მისი თვალთმაქცობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს ყველაზე გაქნილ დიპლომატს, ის ყოველთვის გამოიცნობს, როდის ლაპარაკობს დიპლომატი სიმართლეს; ჩვენ შორის დარჩეს, მე მგონია, მისი დაქორწინება იმპერატორმა არ სცნო, იმიტომ რომ რუსეთის ელჩს სიცილი აუტყდა, როცა ამ ქალზე ლაპარაკი ჩამოვუგდე. ეს ელჩი მას არ ღებულობს და მხოლოდ ოდნავ თავს უკრავს, როცა ბულონის ტყეში ხვდება. ამისდა მიუხედავად, იგი მიღებულია მადამ დე სერიზის საზოგადოებაში და დადის მადამ დე ნუსინჟენსა და მადამ დე რესტოსას. საფრანგეთში მისი სახელი შეუბღალავია; მარშალი დუკა კარილიანოს მეუღლე, ყველაზე გაფუყული ქალი მთელ ბონაპარტისტულ წრეში, ხშირად ზაფხულს ატარებს მის მამულში. მრავალმა ფუქსავატმა ახალგაზრდამ, სხვათა შორის, ერთმა საფრანგეთის პერის შვილმაც, მას თავისი სახელი და გვარი შესთავაზა მისი სიმდიდრის სამაგიეროდ: ყველანი ზრდილობიანად გაისტუმრა. შეიძლება მისი მგრძნობიარობა ვერ იტანს გრაფზე ნაკლებ ტიტულს! შენ მარკიზი ხომ არა ხარ? თამამად იარე წინ, თუ ის მოგეწონოს; აი, რას ვუწოდებ რჩევა-დარიგების მიცემას.

ამ ხუმრობამ მაფიქრებინა, რომ რასტინიაკს ჩემი ცნობისმოყვარეობის გაღიზიანება სურდა; ჩემი იმპროვიზებული ვნებათაღელვა ციებ-ცხელების ცახცახში გადავიდა, როცა ჩვენ ყვავილებით შემკუული პერისტილის წინ გავჩერდით. გული მიძგერდა, როცა ფართო ნოხით დაფარულ კიბეზე ავდიოდი, სადაც ყოველივე ნაძიები ინგლისური კომფორტით იყო მოწყობილი; მე ვწითლდებოდი, მრცხვენოდა ჩემი წარმოშობისა, გრძნობებისა, ვამცირებდი ჩემს სიამაყეს, მე უმწეო ვიყავი მდაბიო მოქალაქესავით. სამწუხაროდ, მანსარდიდან ვიყავი ჩამოსული, სამი წლის სიღარიბე მქონდა განცდილი, ჯერ კიდევ ვერ შევჩვეულიყავი ცხოვრების წვრილმანზე მაღლა ეს მოპოვებული განძი დამეყენებინა, ეს უსაზღვრო გონებრივი კაპიტალები, რომლებიც გვამდიდრებს იმ მომენტში, როცა ხელში ძალაუფლება გვივარდება, მაგრამ ვერ გვდრეკს, იმიტომ რომ მეცნიერებამ წინდაწინვე გაგვწვრთნა პოლიტიკური ბრძოლებისათვის. მე დავინახე დაახლოებით ოცდაორი წლის ქალი, საშუალო ტანისა, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, ფრთების მარაოთი ხელში, მამაკაცების წრით გარშემორტყმული. როგორც კი რასტინიაკი დაინახა, იგი წამოდგა, შეგვეგება, მომხიბლავად გაიღიმა და მელოდიური ხმით კომპლიმენტი მითხრა, რომელიც, უეჭველია, წინასწარ მომზადებული იყო; ჩვენმა მეგობარმა ჩემი თავი გააცნო, როგორც ნიჭიერი ადამიანი და მისმა მოხერხებამ, მისმა გასკონურმა მაღალფარდოვანმა სიტყვებმა სანუკვარი მიღება გამიმზადა. მე განსაკუთრებული ყურადღების საგანი გავხდი; ცოტა არ იყოს მრცხვენოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, რასტინიაკს ჩემზე წინდაწინვე ეთქვა, მორცხვიაო. მე იქ შევხვდი მეცნიერებს, ლიტერატორებს, ყოფილ მინისტრებს, საფრანგეთის პერთა პალატის წევრებს. საუბარი ცოტა ხნის შემდეგ წინანდელ კალაპოტში ჩადგა და რადგან ვიგრძენი, რომ ჩემი რეპუტაცია მტკიცე იყო, დავმშვიდდი; შემდეგ, როცა ჩემი ჯერი მოვიდა, შევეცადე სიტყვის გაუგრძელებლად ჩემი აზრი მეტად თუ ნაკლებად გაბედულ, ღრმა და გონებამახვილ წინადადებებში გამომეთქვა. ერთგვარი გაოცება გამოვიწვიე. მეათასეჯერ თავის ცხოვრებაში რასტინიაკი წინასწარმეტყველი აღმოჩნდა. როცა იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თავი უფრო თავისუფლად იგრძო, ჩემმა მეგობარმა ხელი გამიყარა და ოთახებში გამასეირნა.

_ ისეთ სახეს ნუ მიიღებ, თითქო მოხიბლული იყო დიასახლისით, _ მითხრა მან, _ თორემ მიგიხვდება შენი დარბაზობის მიზეზს.

სალონები ფაქიზი გემოვნებით იყო მორთული, კედლებზე არჩეული სურათები ეკიდა. თითოეულ ოთახს, როგორც ეს შეძლებული ინგლისელების სახლებშია მიღებული, თავისი განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა, და აბრეშუმის შპალერი, ავეჯის ფორმა,

წვრილმანი სამკაული ეთანხმებოდა მთელი ბინის ძირითად აზრს. გოთურ ბუდუარში, რომლის კარებს კრეტსაბმელი ფარავდა, კედლის საათიც, ავეჯიც, ნოხების სახეებიც გოთური იყო; მოჩუქურთმებულ ჭერზე კესონები* ჩანდა, ლაზათიანი და ორიგინალური ერთსა და იმავე დროს; პანელები მხატვრულად იყო დამუშავებული; არაფერი არ არღვევდა ამ ლამაზი დეკორაციის მთლიანობას, ფანჯრებიც კი არა თავისი ძვირფასი მინებით. გამაოცა ერთმა პატარა თანამედროვე სტილის სალონმა, სადაც რომელიღაც მხატვარს მთელი დღევანდელი დეკორაციული ხელოვნება ამოეწურა, ესოდენ მსუბუქი, ქორფა, სასიამოვნო, ზომიერი ვარაყის ხმარებაში. იგი სიყვარულის ატმოსფეროში გახვეული და ბუნდოვანი იყო როგორც გერმანული ბალადა: ჩვენი დროის ვნებათაღელვის ნამდვილ თავშესაფარს წარმოადგენდა, გაჟღენთილს ყუთებში დარგული იშვიათი ყვავილების სურნელებით. ამ სალონის იქით მოვარაყებული დარბაზი ჩანდა, იგი ლუი XIV საუკუნის გემოვნებას აღვიძებდა და უცნაურ, მაგრამ სასიამოვნო კონტრასტს ქმნიდა ჩვენს თანამედროვე მხატვრობასთან.

_ საკმაოდ კარგად იქნები დაბინავებული, _ მითხრა რასტინიაკმა ღიმილით, რომელშიაც მსუბუქი ირონია გამოკრთოდა, _ განა ეს მომხიბლავი არაა? _ დაუმატა მან და სკამზე ჩამოჯდა.

უცებ წამოხტა, ხელი მომკიდა, დასაძინებელ ოთახში შემიყვანა და მუსლინის გავალაკს ქვეშ ოდნავ განათებული, ვნებიანი ლოგინი მიჩვენა, ნამდვილი სარეცელი ახალგაზრდა ფერიისა, რომელიც გენიასთან არის შეუღლებული.

_ განა ეს ურცხვობა, კადნიერება ან უზომო კეკლუცობა არაა, რომ ამ სიყვარულის ტახტს გვაცქერინებენ? _ წამოიძახა მან დაწეული ხმით. _ არც ერთ მამაკაცს არ ნებდებოდე და ამავე დროს თითოეულ მათგანს ნებას აძლევდე აქ თავისი სადარბაზო ბარათი დასტოვოს! თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, ვნახავდი, როგორი იქნებოდა ეს დედაკაცი მორჩილი და ატირებული ჩემს კართან...

_ განა მისი სათნოება მართლა გწამს?

_ ჩვენი ყველაზე თამამი და დახელოვნებული ოსტატები აღიარებენ თავიანთ დამარცხებას; მათ იგი დღესაც უყვართ, დღესაც მისი ერთგული მეგობრები არიან. განა ეს ქალი ამოცანა არაა?

ამ სიტყვებმა ჩემში ერთგვარი შეზარხოშება გამოიწვია, ჩემს მეშურნეობას უკვე ამ ქალის წარსულისა ეშინოდა. საჩქაროდ უკან დავბრუნდი. თეოდორა გოთურ ბუდუარში დამხვდა. ღიმილით შემაჩერა, გვერდით დამისვა, ჩემი მუშაობის ამბავი გამომკითხა;

ეტყობოდა, დიდად დაინტერესებული იყო, განსაკუთრებით, როცა ჩემი სისტემა ხუმრობის ენაზე გადავუთარგმნე, იმის მაგივრად, რომ პროფესორის ტონი მიმეღო და იგი მეცნიერულად განმევითარებინა. როგორც ჩანდა, მეტისმეტად მოეწონა, როცა გაიგო, რომ ადამიანის ნებისყოფა მატერიალური ძალა იყო ორთქლის მსგავსად; რომ ზნეობრივ სფეროში მას ვერაფერი გაუწევდა წინააღმდეგობას, თუ ადამიანი შეეჩვეოდა მის თავმოყრას, განუწყვეტლივ ამ დენადი მასის პროექციას სულთა მიმართ, მის მთლიანად გამოყენებას; რომ ასეთ ადამიანს შეეძლო სურვილისამებრ ყოველივე გარდაექმნა კაცობრიობის მიზნების თანახმად, თვით ბუნების აბსოლუტური კანონებიც. თეოდორას შეპასუხებამ გამოააშკარავა, რომ მას ერთგვარი ჭკუის სიმახვილე ჰქონდა; მე კეთილვინებე და დროებით ვცანი მისი მოსაზრების სისწორე, რათა მესიამოვნებინა მისთვის, მაგრამ შემდეგ ერთი სიტყვით გავანადგურე მისი ქალური მსჯელობა: მისი ყურადღება მივაქციე ყოველდღიური ცხოვრების ფაქტს, სიზმარს, რომელიც ერთი შეხედვით ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ნამდვილად მეცნიერებისათვის სავსეა გადაუჭრელი ამოცანებით; ამან გააღიზიანა მისი ცნობისმოყვარეობა; იგი ცოტა ხნით დადუმდა, როცა ვუთხარი, ჩვენი იდეები ორგანიზებული, სრულქმნილი არსებანია, რომელნიც უხილავ სამყაროში ცხოვრობენ და ჩვენს ბედისწერაზე მოქმედებენ-მეთქი. საბუთად მოვუყვანე დეკარტის,* დიდროს,* ნაპოლეონის აზრები, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ და ჯერ კიდევ ხელმძღვანელობენ მთელ საუკუნეს.

მე პატივი მქონდა გამერთო ეს ქალი; მანაც მთხოვა მევლო მის სანახავად. სასახლის სტილით რომ ვთქვათ, პალატის კარიბჭე გამეხსნა. არ ვიცი, საქები გულუბრყვილობის გამო ზრდილობის ფორმულები გულითად სიტყვებად მივიღე, თუ თეოდორამ ჩემში მომავალი სახელოვანი ადამიანი დაინახა და თავის სამხეცის გამდიდრება მოისურვა ერთი მეცნიერით, ყოველ შემთხვევაში, მეჩვენა, ალბათ, მოვეწონე-მეთქი. მე გავიხსენე მთელი ჩემი ცოდნა ფიზიოლოგიაში და ჩემი წინანდელი დაკვირვებანი ქალის მიმართ, რათა ამ საღამოს დაწვრილებით შემესწავლა ეს თავისებური პიროვნება და მისი მიხრა-მოხრა; ფანჯრის ამბრაზურაში დამალული, მე ვზვერავდი მის აზრებს, ვაკვირდებოდი, როგორ ეჭირა თავი დიასახლისის როლში, როგორ მიდი-მოდიოდა, ჯდებოდა და საუბრობდა, ამა თუ იმ მამაკაცს იხმობდა, რასმე ეკითხებოდა, ყურს უგდებდა კარს მიყრდნობილი; მის სიარულში მე შევამჩნიე გაზნექილი ხაზების ისეთი ნაზი მოძრაობა, კაბის ისეთი მოხდენილი რხევა, ეს ქალი ისე მძაფრად აღიზიანებდა ნდომას, რომ მაშინვე ურწმუნოდ შევხედე მის სათნოებას. თუ თეოდორა დღეს არ სცნობდა სიყვარულს, წინათ

ძლიერ ვნებიანი უნდა ყოფილიყო; მისი დახელოვნებული ვნებათაღელვა გამოკრთოდა თვით თავის დაჭერაში მოსაუბრის წინაშე. იგი კეკლუცად ეყრდნობოდა პანელს, როგორც ქალი, რომელიც ეს-ესაა უნდა წაიქცეს, მაგრამ შეიძლება კიდეც გაიქცეს, თუ რაიმე აღგზნებულმა შეხედვამ შეაშინა. ნაზად გულხელდაკრეფილი, იგი თითქოს თვალებითაც კი ისმენდა და ისუნთქავდა სიტყვებს, რათა სამაგიეროდ გრძნობა ეფრქვია. მისი ქორფა და წითელი ტუჩები მკვეთრად ჩანდა თეთრფეროვან სახეზე. მისი წაბლისფერი თმა აძლიერებდა მისი თვალების ნარინჯის ფერს. ამ თვალებს ფლორენციის ქვის მსგავსი ძარღვები ჰქონდა, მათი გამომეტყველება სიმძაფრეს მატებდა მის სიტყვებს. ბოლოს, მისი გულმკერდი მეტად მიმზიდავი გრაციით იყო აღსავსე. მოქიშპე ქალს შეიძლება ტლანქად მიეჩნია მისი ხშირი წარბები, რომელნიც თითქმის ერთდებოდნენ, გაეკიცხა შეუმჩნეველი ბურუსი, რომელიც ფარავდა მისი სახის კონტურებს. მე მასში ყველგან ვნებათაღელვის ბეჭედი აღმოვაჩინე. სიყვარული ისახებოდა ამ ქალის იტალიურ წამწამებზე, მშვენიერ მხრებზე, რომელიც ღირსი იყო მილოსელი ვენერასი, სახის ნაკვთებზე, ქვედა ტუჩზე, რომელიც ოდნავ სქელი და მუქი იყო. იგი მეტი იყო ვიდრე ქალი, იგი რომანი იყო. დიახ, ეს დედაკაცური განძეულობა, ნაკვთებზე ჰარმონიული მთლიანობა, ვნებიანი აღთქმანი, რომელთაც ეს მდიდარი ტანი იძლეოდა, განელებული იყო თავდაჭერილობით, არაჩვეულებრივი თავმდაბლობით, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მთელი ამ პიროვნების გამომეტყველებას. საჭირო იყო ისეთი გამჭრიახი დაკვირვება, როგორიც მე მქონდა, რათა ამ ღირსებაში საბედისწერო ვნებათაღელვის ნიშნები აღმოგვეჩინა.

რათა ჩემი აზრი ნათლად გამოვთქვა, ვიტყვი, რომ თეოდორაში ორი ქალი იყო, ერთი _ გულმკერდის ქვევით, მეორე _ ზევით: ერთი მათგანი ცივი იყო, მხოლოდ თავი უნდა ყოფილიყო მოსიყვარულე; სანამ თვალებს მამაკაცს მიაპყრობდა, იგი ამზადებდა შეხედვას, თითქო მასში რაღაც საიდუმლო ხდებოდა. ერთი სიტყვით, ან ჩემი ცოდნა უსრულო იყო და მე ბევრი საიდუმლოება მქონდა კიდევ აღმოსაჩენი მორალურ სფეროში, ან თეოდორას ისეთი მშვენიერი სული ჰქონდა, რომ მისი გრძნობანი და გამოხატულებანი მის სახეს იმ ჯადოქრულ ძალას ანიჭებდნენ, რომელნიც გვიპყრობენ და გვხიბლავენ. მე მოხიბლული, მოჯადოებული ვიყავი ამ ქალით, დამთვრალი მისი კომფორტით, ჩემს გულში ყოველივე აფორიაქებული იყო, კეთილშობილი გრძნობებიც და ბიწიერიც, ცოდვაც და მადლიც. მისი სახლიდან ისეთი აღელვებული გამოვედი, გამოცოცხლებული, აღფრთოვანებული, რომ გავიგე რა იზიდავდა იქ ამ მხატვრებს, დიპლომატებს, ხელისუფლების ადამიანებს, ბირჟის მოთამაშეებს, რომელთაც თითქო რკინის ფურცელი

ჰქონდათ გადაკრული მათი ზანდუკების მსგავსად: უეჭველია, ამ ქალთან ისინიც იმ გამაბრუებელ გრძნობას ეძებდნენ, რომელიც ჩემს არსებაში ყველა ძალას ათრთოლებდა, ჩემს ძარღვებში სისხლს ადუღებდა, ნერვებს აღიზიანებდა და ტვინს აცახცახებდა. ეს ქალი არავის ნებდებოდა, რათა ყველანი შეენარჩუნებინა. როცა ქალს არავინ უყვარს, იგი კეკლუცობს.

_ შეიძლება იგი რომელიმე ბერიკაცს მიათხოვეს ან მიჰყიდეს, და თავისი პირველი ქორწინების მოგონება მასში შიშის ძრწოლას იწვევს სიყვარულისადმი, _ ვუთხარი რასტინიაკს.

სენტ-ონორეს გარეუბნიდან, სადაც თეოდორა ცხოვრობს, შინ ქვეითად დავბრუნდი. მის სასახლესა და მეთოკეების ქუჩას შუა თითქმის მთელი პარიზია გაჭიმული; თუმცა ციოდა, გზა მოკლედ მეჩვენა. რა სიგიჟე იყო თეოდორას დაპყრობის დაწყება ზამთარში, მკაცრ ზამთარში, როცა ჯიბეში ოცდაათი ფრანკიც არ მქონდა, როცა ჩვენ ერთიმეორისაგან ასეთი დიდი მანძილი გვყოფდა! მხოლოდ ახალგაზრდა კაცმა იცის, რა ძვირად უჯდება ვნებათაღელვას ეტლი, ხელთათმანი, ტანისამოსი, საცვალი და სხვ. თუ სიყვარული დიდხანს პლატონური დარჩა, იგი გამაკოტრებელი ხდება. ჭეშმარიტად იურისტ სტუდენტებს შორის ბევრია ლოზენები,* რომლებისთვის უმჯობესია არ მიეკაროს პალატებში მობინადრე ვნებას. როგორ შემეძლო სუსტს, უბრალოდ ჩაცმულს, ფერმიხდილს, შრომით დაავადმყოფებული მხატვარივით გამხდარ ახალგაზრდას ბრძოლა დამეწყო კარგად გაპარსული და თმადახუჭუჭებული, ლამაზი, ფართო ყელსახვევიანი, ეტლებით მოსეირნე და თავხედურად ჩაცმული ყმაწვილების წინააღმდეგ.

_ აჰ, თეოდორა, ან სიკვდილი! _ წამოვიძახე ხიდზე გავლის დროს, _ თეოდორა ბედისწერაა!

მშვენიერმა გოთურმა ბუდუარმა და ლუი XIV სტილის სალონმა ხელახლა ჩემ თვალწინ განვლო, მე ხელახლა დავინახე გრაფის მეუღლე მისი თეთრი ტანსაცმლით, ფართო მოხდენილი სახელოებით, მომხიბლავი სიარულით და სანდომიანი გულმკერდით. როცა ჩემს ცარიელ ცივ მანსარდში შევედი, რომელიც ისე უშნოდ იყო დავარცხნილი, თითქო ბუნებისმეტყველის პარკი ყოფილიყოს, მე კიდევ გარშემორტყმული ვიყავი თეოდორას კომფორტის სახეებით. ეს კონტრასტი ცუდი მრჩეველი იყო: ალბათ, დანაშაულობა ასეთ პირობებში იბადება. მაშინ სიბრაზით ათრთოლებულმა დავწყევლე ჩემი პატიოსანი და მორცხვი სიღარიბე, ჩემი ნაყოფიერი მანსარდი, სადაც ამდენი აზრი აღმოცენდა. ჩემი ბედის, ჩემი უბედურების ანგარიში

ღმერთსაც მოვთხოვე, ეშმაკსაც, სოციალურ წესწყობილებასაც, მამაჩემსაც, მთელს სამყაროსაც; მშიერი დავწექი, სასაცილო წყევლა-კრულვის სიტყვებს ვბუტბუტებდი, მაგრამ გადაწყვტილი მქონდა შემეცდინა თეოდორა. ამ ქალის გული უკანასკნელი სალატარიო ბილეთი იყო, რომლისგანაც ჩემი ბედი იყო დამოკიდებული.

პირველ დარბაზობათა ამბავს აღარ მოგიყვები, პირდაპირ დრამაზე გადავალ. მე ვცდილობდი ამ ქალის სულისთვის მიმემართა, მისი გონება გადმომებირებინა, მისი თავმოყვარეობა დამეპყრო. არასოდეს არ ვტოვებდი გულგრილ მდგომარეობაში; ქალებს მღელვარება უყვართ, რაც უნდა დაუχდეთ იგი; ამ მხრივ, გულუხვი ვიყავი: მერჩია გამებრაზებინა, ვიდრე უდარდელი მენახა ჩემს გვერდით. თავდაპირველად მასულდგმულებდა მტკიცე ნებისყოფა და სურვილი, რომ ამ ქალისთვის თავი შემეყვარებინა, ამიტომ ცოტაოდენი ძალაუფლება მოვიპოვე მასზე. მაგრამ ჩქარა ჩემი ვნება გაღვივდა, თავშეუკავებლობა და გულწრფელობა გამოვიჩინე, თავგზა დავკარგე და შმაგი მიχნური გავხდი. კარგად არ ვიცი, რას ვუწოდებთ პოეზიაში თუ საუბარში სიყვარულს, მაგრამ ჩემს გაორებულ ბუნებაში განვითარებული გრძნობის მაგვარი სიყვარულის აღწერა არ მოიპოვება არც იმ ჟან-ჟაკ რუსოს რიტორიკულ ფრაზებში, რომლის ოთახი შეიძლება მე მეჭირა, არც ჩვენი ორი საუკუნის ლიტერატურის ცივ წარმოდგენებში, არც იტალიურ მხატვრობაში. მხოლოდ ბრიენის ტბის შეხედვას, როსინის მუსიკის ზოგიერთ მოტივს, მურილიოს მადონას, რომელიც მარშალ სულტს* ეკუთვნის, ლეკომბას* წერილებს, ზოგიერთ სიტყვას, რომელიც პატარა მოთხრობების კრებულებშია გაბნეული, ხოლო ყველაზე მეტად აღგზნებულ მორწმუნეთა ლოცვას, ჩვენი ძველი არაკების ზოგიერთ სტრიქონს შეუძლია ჩემი პირველი სიყვარულის ღვთაებრივ სფეროებში გადაგვიყვანოს.

არავითარ ადამიანურ ენას, არავითარ აზრის გამოხატულებას ფერადებსა, მარმარილოსა, სიტყვებსა და ხმებში არ ძალუძს გრძნობის ნერვის, ჭეშმარიტების, სრლყოფის, მოულოდნელობის გადმოცემა! დიახ, ვინც ამბობს _ ხელოვნებაო, ის ტყუილს ამბობს. სიყვარული დაუსრულებელი გარდაქმნების პროცესს გადის, სანამ ჩვენს ცხოვრებას შეერთვოდეს და საუკუნოდ შეღებავდეს მას თავისი ცეცხლისფერი საღებავით. შეერთების საიდუმლოება მიუწვდომელია ათვისებისათვის და გაურბის მხატვრის ანალიზს. ნამდვილი ვნება იხატება ყვირილსა და ოხვრაში, რომელიც მოსაწყენია ცივი ადამიანისთვის. ადამიანს ვინმე გულწრფელად უნდა უყვარდეს, რათა «კლარისა ჰარლოუს»* კითხვის დროს თანგრძნობა განიცადოს ლოველასის ბდღვინვისადმი. სიყვარული გულუბრყვილო ნაკადუალია, რომელიც მოლის, ყვავილების და კენჭების

მიერ გაკეთებულ სარეცელზე მიჩხრიალებს; მაგრამ აი ის ღელედ, მდინარედ იქცევა, თავის ბუნებას და სახეს იცვლის ყოველი ახალი შენაკადის შემდეგ, ბოლოს უსაზღვრო ოკეანეს ერთვის, სადაც უსრულო ჭკუის ადამიანები მხოლოდ ერთფეროვნებას ხედავენ, ხოლო დიდი სულის ადამიანები დაუსრულებელ ჭვრეტაში არიან ჩაფლული. ვინ გაბედავს აღწეროს გრძნობის ეს გარდამავალი ელფერი, ეს წვრილმანი, რომელსაც ასეთი ფასი აქვს, სიტყვები, რომელთათვისაც ბგერები არ არსებობს ენის სალაროებში, შეხედვანი, რომელნიც უფრო ნაყოფიერნი არიან, ვიდრე უმდიდრესი პოემები? თითოეულ ამ მისტიკურ სცენაში, როდესაც ჩვენ შეუმჩნევლად ქალი გვატყვევებს, იხსნება უფსკრული, რომელსაც შეუძლია მთელი ადამიანური პოეზია ჩანთქას. როგორ გაგიმარტო სულის ცოცხალი და იდუმალი მღელვარებანი, როცა მშვენიერების ხილულ საიდუმლოებათა გადმოსაცემად სიტყვები არ გვყოფნის? რა ჯადოქრობაა! რამდენი საათი გამიტარებია ენით გამოუთქმელ ექსტაზში, როცა მხოლოდ მისი ცქერით ვტკბებოდი. რით ვიყავი ბედნიერი? თვით არ ვიცი. თუ ამ წუთებში მისი სახე განათებული იყო, რაღაც ფენომენის წყალობით ის გაბრწყინებული მეჩვენებოდა. სილამაზის ყოველი ელფერი ახალი დღესასწაული იყო ჩემი თვალისთვის, უცნობ ნეტარებას ანიჭებდა ჩემს გულს. სახის ყოველ ცვლილებაში მინდოდა გრძნობა, იმედი წამეკითხა. ეს სულთა უხმო საუბარი გარდამავალი სიხარულით იყო მდიდარი, იგი ჩემზე უღრმეს შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი ხმა ჩემში იწვევდა რაღაც სიშმაგეს, რომელიც მე თვით ვერ მომესპო. ლოტარინგიელი პრინცის მსგავსად, რომლის სახელი აღარ მახსოვს, მე, ალბათ, ნაკვერჩხლის სიმხურვალეს ვერ ვიგრძნობდი ხელისგულზე, თუ ამ დროს ის თმაზე ხელს გადამისვამდა. ეს უკვე იყო არა აღტაცება და სურვილი, არამედ მოჯადოება და ბედისწერა. ხშირად, როცა ჩემს სხვენზე ვბრუნდებოდი, მე ბუნდოვნად ვხედავდი თეოდორას მის სახლში. გაურკვევლად მონაწილეობას ვღებულობდი მის ცხოვრებაში; როცა იგი იტანჯებოდა, მეც ვიტანჯებოდი, ხოლო მეორე დღეს ვეუბნებოდი:

_ თქვენ უბედური იყავით!

რამდენჯერ მწვევია ჩემი სატრფო ღამის დუმილში, ჩემი აღფრთოვანების ძალით გამოწვეული! ხან ანაზდეულად შემოიჭრებოდა სინათლის ჩანჩქერივით, ამტვრევდა ჩემს კალამს, აფრთხობდა მეცნიერებას და სწავლას, რომელნიც სასოწარკვეთილნი გარბოდნენ. ხანდახან თვით მე მივდიოდი მასთან მოჩვენებათა სამყაროში, ვთხოვდი, თავისი ვერცხლისებრ წკრიალა ხმა გაეგონებინა: ბოლოს ტირილით ვიღვიძებდი.

ერთხელ აღმითქვა, თეატრში ერთად წავალთო, მაგრამ შემდეგ უცებ გაჭირვეულდა, თეატრზე უარი თქვა და მთხოვა, მარტო დამტოვეო. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ამ წინააღმდეგობით, რომელიც მე ერთი დღის შრომად და _ გამოგიტყდე? _ უკანასკნელ ეკიუდ დამიჯდა, მაინც წავედი იმ პიესის სანახავად, რომლის ნახვა მან აღარ ისურვა. დაჯდომისთანავე ელექტრონის ნაკადის ბიძგი ვიგრძენი გულში, რაღაც ხმამ ჩამჩურჩულა: «იგი აქ არის!» მოვბრუნდი და ბენუარის ლოჟის სიღრმეში ის დავინახე, ჩრდილში დამალული. არ გამკვირვებია, მხოლოდ მეწყინა. ჩემი გამოკვლევები ადამიანის სულიერ ძალაზე, რომელიც ასე ნაკლებადაა ცნობილი, ხელს მიწყობდა ჩემს ვნებაში ჩემი სისტემის ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთები დამენახა. რაღაც უცნაური იყო ეს კავშირი მეცნიერსა და მიჯნურსა, ნამდვილ კერპთაყვანისცემასა და მეცნიერულ სიყვარულს შორის.

თეოდორამაც დამინახა და სერიოზული სახე მიიღო; ეტყობოდა, ვავიწროებდი. პირველ ანტრაქტში ვესტუმრე; იგი მარტო იყო, მე მასთან დავრჩი. თუმცა სიყვარულზე არასოდეს გვილაპარაკია, ვგრძნობდი, ახსნა-განმარტება მოახლოებული იყო. მანამდე ჩვენი საიდუმლოება არ გამიმხელია, მაგრამ ჩვენს შორის ერთგვარი შეთანხმება არსებობდა: იგი მიმხელდა თავის ზრახვებს, წინადღით ერთგვარი მეგობრული მზრუნველობით მკითხავდა, მოხვალთ თუ არა ხვალაო; როცა გონებამახვილ სიტყვას იტყოდა, თვალით შემეკითხებოდა, თითქო მარტო ჩემთვის უნდოდა თავის მოწონება; როცა ნაწყენი იყო, მე უფლება მქონდა მიზეზი მეკითხა; თუ რაიმე შეცდომას ჩავიდენდი, დიდხანს მახვეწნინებდა, სანამ მაპატიებდა. ეს ბუტიაობა, რომელიც ჩვენ სიამოვნებას გვგვრიდა, სიყვარულით იყო აღსავსე. იგი მასში თავის გრაციასა და კეკლუცობას ამჟღავნებდა, მე კი დიდ ბედნიერებას ვპოულობდი! მაგრამ ამ წუთში ჩვენს შორის უცებ რაღაც ჩრდილი დაწვა და ჩვენ ერთიმეორის პირისპირ ვიდექით როგორც უცხო ადამიანები. იგი ცივი იყო ყინულივით, მე უბედურებისა მეშინოდა.

_ შინ მიმაცილეთ, _ მითხრა მან, როცა წარმოდგენა გათავდა.

დარი უცებ გამოცვლილიყო. თოვლჭყაპი მოდიოდა. თეოდორას ეტლმა ვერ მოაღწია თეატრის კარიბჭემდე. კომისიონერმა დაინახა, რომ კარგად ჩაცმული ქალი იძულებული იყო ქუჩა გადაეარა, რათა ეტლთან მისულიყო, თავის ქოლგა გადაგვახურა და თავისი სამსახურის ჯილდო მოგვთხოვა, როცა ეტლში ჩავჯექით. ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მედო, იმ წუთში ათი წლის სიცოცხლეს გავწირავდი ორიოდე სუსთვის. ყოველივე, რისგანაც მამაკაცი და მისი ათასნაირი თავმოყვარეობა შესდგება, ჩემში

შემუსრული იყო ჯოჯოხეთური ტანჯვის მიერ. «წვრილი ფული არა მაქვს, მეგობარო», ცივად ვთქვი მე, რომელიც ამ ადამიანის ძმა ვიყავი, რადგან ვიცოდი, რას ნიშნავდა გაჭირვება. ლაქიამ ხელი ჰკრა კომისიონერს, და ცხენებმა გაგვაქანეს. გზაზე თეოდორა გონებაგაფანტული იყო, ან შეიძლება იგონებდა, რომ თითქო რაღაც აწუხებდა და გულაგდებულად მიპასუხებდა ჩემს კითხვებზე. მეც დავდუმდი. ეს საშინელი მომენტი იყო. როცა მის სახლში მივედით, ბუხარს მივუჯექით. როგორც კი მსახურმა ცეცხლი შეუკეთა და ოთახიდან გავიდა, ქალი მომიბრუნდა ძნელად გადმოსაცემი გამომეტყველებით და დღესასწაულებრივი ტონით მითხრა:

_ მას შემდეგ, რაც საფრანგეთში დავბრუნდი, ჩემი ქონება ცთუნების საგნად გადაიქცა ზოგიერთი ახალგაზრდა კაცისათვის; მე მივიღე სიყვარულის განცხადებანი, რომელთაც შეეძლო ჩემი გულზვაობა დაეკმაყოფილებინათ; მე შემხვდნენ ადამიანები, რომელთა გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ შემირთავდნენ, თუნდაც მე ისევ საწყალი ქალიშვილი გავმხდარიყავი, როგორც წინათ ვიყავი. ისიც იცოდეთ, ბატონო დე ვალენტენ, რომ ჩემთვის ახალი სიმდიდრე და ახალი ტიტულებიც შემოუთავაზებიათ, მაგრამ მე საბოლოოდ ვისტუმრებდი ყველას, ვინც იმდენად მოუსაზრებელი იყო, რომ სიყვარულზე ჩამომიგდებდა ლაპარაკს. თუ ჩემი გრძნობა თქვენდამი მსუბუქი ყოფილიყო, მე თქვენ ასეთ გაფრთხილებას არ მოგცემდით, რომელშიც მეტი მეგობრობაა, ვიდრე სიამაყე. ქალს საფრთხე მოელის, რომ შეარცხვენენ, როცა იგი წარმოიდგენს, ამა თუ იმ მამაკაცს ვუყვარვარო, და წინდაწინვე უარს ამბობს გრძნობაზე, რომელიც ყოველთვის სანუკვარია მისთვის. არსინოეს* სცენები ჩემთვის ცნობილია, ვიცი აგრეთვე ის პასუხები, რომლებიც შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მოვისმინო; მაგრამ იმედი მაქვს, დღეს გულახდილობისათვის არ გამკიცხავს ადამიანი, რომელიც სხვებზე მაღლა დგას.

იგი ლაპარაკობდა ვექილის თუ ნოტარიუსის გულგრილობით, როცა ისინი თავიანთ კლიენტებს პროცესის წაყვანის საშუალებას ან ხელშეკრულების მუხლებს უხსნიან. მისი სუფთა და მომხიბლავი ხმა არავითარ მღელვარებას არ ამჟღავნებდა, მხოლოდ მისი სახე და თავისდაჭერა, რომელიც წინანდებურად კეთილშობილი და წესიერი იყო, ცოტა არ იყოს, დიპლომატიურად ცივი და მშრალი მეჩვენა. უეჭველია, მას მოფიქრებული ჰქონდა თავისი სიტყვები, შედგენილი ჰქონდა სცენის პროგრამა. ოჰ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როცა ქალები სიამოვნებას პოულობენ ჩვენი გულის განგმირვაში, როცა მახვილს გვცემენ და ჭრილობაში ატრიალებენ, მაშინ ისინი გასაღმერთებლად გვეჩვენებიან; მათ ვუყვარვართ, თან უნდათ, რომ ჩვენც გვიყვარდეს! ერთ მშვენიერ დღეს

ისინი აგვინაზღაურებენ ჩვენს ტანჯვას, როგორც ღმერთმა ჩვენი კეთილი საქმეები უნდა აგვინაზღაუროს. ერთი ასად მეტს სიამოვნებას მოგვანიჭებენ იმ ბოროტებისთვის, რომლის სიმძაფრეს ისინი კარგად აფასებენ. განა მათი გულარძნილობა ვნებით არაა აღსავსე? მაგრამ წამების მიღება ქალისაგან, რომელიც გულგრილად გვკლავს, აუტანელი სასჯელია. იმ წუთში თეოდორა შეუგნებლად ყველა ჩემს იმედს სთელავდა, ჩემს ცხოვრებას ამსხვრევდა და ჩემს მომავალს ანგრევდა იმ უდარდელობითა და გულუბრყვილო სისასტიკით, როგორსაც ბავშვი იჩენს, როცა ცნობისმოყვარეობის გამო ფრთებს აგლეჯს პეპელას.

_ უფრო გვიან, _ დაუმატა თეოდორამ, _ თქვენ, იმედია, დააფასებთ იმ გრძნობის სიმტკიცეს, რომელსაც ჩემს მეგობრებს ვთავაზობ. მათთვის მე ყოველთვის გულკეთილი და თავგანწირული ვარ. მეგობრების გულისთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებდი, მაგრამ თვით თქვენც შეგეზიზღებოდით, თუ ისეთ სიყვარულს დავემორჩილე, რომელსაც თვით არ ვინაწილებ. კმარა. თქვენ ერთადერთი კაცი ხართ, რომელსაც ეს უკანასკნელი სიტყვები ვუთხარი.

თავდაპირველად სიტყვები მაკლდა და მიჭირდა იმ ქარიშხალის დამორჩილება, რომელიც ჩემში მძვინვარებდა; მაგრამ მალე ჩემი სულის სიღრმეში ჩავახშე ჩემი გრძნობები და სიცილი დავიწყე:

_ თუ გითხარით მიყვარხართ-მეთქი, _ ვუპასუხე მე, _ თქვენ გამაძევებთ; თუ გულგრილობა დავიჩემე, დამსჯით. მღვდლები, მსაჯულები და ქალები არასოდეს სავსებით არ იხდიან თავიანთ სამოსელს. დუმილი შეიძლება ასეც გავიგოთ და ისეც; მაშ, ნება მომეცით, ქალბატონო, დავდუმდე. რაკი ასეთი დაძმური გაფრთხილებით მომმართეთ, ალბათ, ჩემი დაკარგვისა გეშინიათ: ეს აზრი საკმარისია ჩემი გულზვიადობის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ უკუვაგდოთ ყოველივე პიროვნული. თქვენ შეიძლება ერთადერთი ქალი იყოთ, რომელთანაც მე შემიძლია ფილოსოფიურად განვიხილო გადაწყვეტილება, ესოდენ საწინააღმდეგო ბუნების კანონებისადმი. თქვენი მოდგმის სხვა ნიმუშებთან შედარებით თქვენ საოცარ მოვლენას წარმოდგენთ. მაშ, მოდით, კეთილსინდისიერად მოვძებნოთ ამ ფსიქოლოგიური ანომალიის მიზეზები. შეიძლება თქვენში, როგორც მრავალ ქალში, რომელიც ამაყობს თავისი თავით, შეყვარებულია თავის ღირსებებზე, არსებობს გაფაქიზებული ეგოიზმის გრძნობა, რომელიც ხელს გიშლით მამაკაცს დანებდეთ, უარი თქვათ თქვენს ნებისყოფაზე და დაემორჩილოთ პირობითულ შეურაცხმყოფელ უპირატესობას? ამ შემთხვევაში ათასჯერ უფრო მშვენიერი

მეჩვენებოდით! ან შეიძლება თქვენ დაგამცირეს პირველი სიყვარულის დროს? შეიძლება მეტისმეტად ძვირად აფასებთ თქვენი ტანის სინარნარეს, თქვენს საუცხოო გულმკერდს და გეშინიათ სხეულის დამამახინჯებელი შვილიანობის. ვინ იცის, შეიძლება ეს უძლიერესი ფარული საბუთი იყოს, რომელიც უარს გათქმევინებთ მეტისმეტად ძლიერ სიყვარულზე. ან შეიძლება რაიმე ფიზიკური მანკი გქონდეთ და თქვენი სათნოება უნებლიე იყოს?.. ნუ გაწყრებით, მე ვმსჯელობ, მე ვიკვლევ, მე ათასი ლიეთი დაშორებული ვარ გულისთქმას. ბუნება ბრმებს და ყრუ-მუნჯებს შობს, მას შეუძლია ისეთი ქალებიც წარმოშვას, რომელნიც ბრმები და ყრუ-მუნჯები არიან სიყვარულში. ჭეშმარიტად, თქვენ ძვირფასი საგანი ხართ მედიკური დაკვირვებისათვის! თქვენ არ გესმით თქვენი ნამდვილი ფასი. თქვენი სიძულვილი მამაკაცებისადმი შეიძლება მართლაც კანონიერი იყოს; გეთანხმებით, ისინი ყველანი მახინჯები და საზიზღრები მეჩვენებიან. თქვენ მართალი ხართ, _ დავამთავრე მე, რადგან ვგრძნობდი, გული ყელში მებჯინებოდა, _ თქვენ ჩემს მიმართ ზიზღს უნდა გრძნობდეთ: არ არსებობს მამაკაცი, რომელიც თქვენი ღირსი იყოს.

არ გავიმეორებ ყველა იმ სარკაზმს, რომლითაც მას გავუმასპინძლდი სიცილით. მაგრამ რა? უგესლიანეს სიტყვებს, უმძაფრეს ირონიას არავითარი მოძრაობა, არავითარი გაჯავრება არ გამოუწვევია მისი მხრით. იგი ყურს მიგდებდა ჩვეულებრივი ღიმილით, რომელსაც, თითქო პირბადე ყოფილიყოს, ისე ხმარობდა თავისი მეგობრების, უბრალო ნაცნობებისა თუ უცხოელების წინაშე.

_ განა ეს ჩემი გულკეთილობა არაა, რომ ნებას გაძლევთ ხელები აფათუროთ ჩემს სულში? _ თქვა მან, როცა წუთი იხელთა, რომლის დროს მე უსიტყვოდ ვუცქეროდი, _ ხომ ხედავთ, _ განაგრძო მან სიცილით, _ მეგობრობაში სულელურ წვრილმანობას არ ვიჩენ; ბევრი ქალი თქვენ დაგსჯიდათ ასეთი კადნიერებისათვის და კარს დაგიკეტავდათ.

_ თქვენ შეგიძლიათ გამაძეოთ და ვალდებული არა ხართ თქვენი სიმკაცრისათვის ვისმეს ანგარიში ჩააბაროთ.

როცა ამას ვამბობდი, ვფიქრობდი, შემიძლია მოვკლა, თუ სახლიდან დამითხოვა-მეთქი.

_ თქვენ გიჟი ხართ, _ წამოიძახა მან სიცილით.

_ გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, _ ვკითხე მე, _ მძაფრი სიყვარულის შედეგებზე? სასოწარკვეთილ მამაკაცს ხშირად მოუკლავს თავისი სატრფო.

_ უმჯობესია ადამიანი მკვდარი იყოს, ვიდრე უბედური, _ მიპასუხა მან ცივად. _ ასეთი ვნებიანი მამაკაცი ერთ მშვენიერ დღეს ჩალის ლოგინზე მიატოვებს თავის ცოლს, რომლის ქონება წინასწარ შეჭმული ექნება.

ამ არითმეტიკამ გამაოგნა. ამ ქალსა და ჩემს შუა უფსკრული დავინახე ნათლად. ჩვენ ვერასოდეს ვერ გავუგებდით ერთმანეთს.

_ მშვიდობით, _ ვუთხარი ცივად.

_ მშვიდობით, _ მიპასუხა მან მეგობრულად თავის დახრით, _ ხვალამდის.

ერთი წუთით ჩავაცქერდი და მთელი ის სიყვარული ვაფრქვიე, რომელზედაც უარს ვამბობდი. იგი ფეხზე იდგა და თითქოს სიყვარულს გამოხატავდა, მაგრამ ცივად, თავისი უმეტყველო, მარმარილოს ქანდაკისებური საძაგელი ღიმილით. შეგიძლიათ თუ არა, ჩემო მეგობარო, გაიგოთ რა გულდამძიმებული ვიყავი, როცა თოვლჭყაპში, გაყინული სენის სანაპიროთი შინ ვბრუნდებოდი, სრულიად გაძარცული? იგი კი ალბათ, არ ფიქრობდა, რომ ღარიბი ვიყავი, ეგონა მასავით ეტლით ვმოგზაურობდი. რამდენი დამცირება, რამდენი იმედის გაცრუება მხვდა წილად! საქმე ეხებოდა არა ფულს, არამედ ჩემი სულის ყველა საუნჯეს. ალალბედზე მივაბიჯებდი, ჩემს თავს ვეკამათებოდი ამ უცნაური საუბრის გამო; ისე დავიბენი ჩემს ახსნა-განმარტებაში, რომ ბოლოს ეჭვი შემივიდა სიტყვების და აზრების ნამდვილ ღირებულებაში! მაგრამ მე მაინც მიყვარდა ეს ცივი ქალი, რომლის გულს ყოველ წუთში ხელახლა დაპყრობა სჭირდებოდა, რომელიც ივიწყებდა გუშინდელ აღთქმას, რათა ხვალ კაცს ახალი სატრფოს სახით მოჩვენებოდა.

როცა ინსტიტუტის ჭიშკართან გავიარე, ციებ-ცხელების ცაცახი ვიგრძენი. გამახსენდა, რომ უჭმელი ვიყავი. ჯიბეში ერთი გროშიც კი არ მედო. უბედურება კიდევ ის იყო, რომ წვიმამ ქუდი სრულიად გამიფუჭა. როგორ უნდა წარვმდგარიყავი კოხტა ქალის წინაშე, როგორ უნდა შევსულიყავი სალონში, თუ ხეირიანი ქუდი არ მექნებოდა! მუდამ ვწყევლიდი უაზრო მოდას, რომელიც გვაიძულებს დარბაზობის დროს თუ თეატრში ხელში გვეჭიროს ჩვენი თავსაბურავი და ამრიგად, მუდამ გამოფენილი გვქონდეს იგი; მაგრამ არაჩვეულებრივი მოვლის წყალობით იმ დღემდე სათანადო მდგომარეობაში მოვიტანე ჩემი ქუდი. იგი არც ძალიან ახალი იყო, არც ძალიან ძველი, არც გახუნებული იყო, არც თვალსაჩინოდ ბზინავდა, ერთი სიტყვით, რიგიანი კაცის სარქველად გამოდგებოდა; მაგრამ ახლა მისმა ხელოვნურმა არსებობამ უკანასკნელ პერიოდს მიაღწია, იგი შელანძღული, სახეშეცვლილი, მომაკვდავი არსება გახდა, ნამდვილი ძონძი, ღირსეული წარმომადგენელი თავისი პატრონისა. ოცდაათი სუს უქონლობის გამო

ვკარგავდი ჩემს მიერ მიღწეულ სიკოხტავეს. აჰ, რამდენი უცნობი მსხვერპლი შევწირე თეოდორას სამი თვის განმავლობაში! ხშირად მთელი კვირის პურის ფული დამიხარჯავს, რათა იგი მენახა ერთი წუთით. სამუშაოს მიტოვება და შიმშილი არაფერი იყო ჩემთვის! მაგრამ მთელი პარიზის ქუჩების გადასერვა ისე, რომ ტალახი არ შემცხებოდა და წვიმაში არ გავწუწულიყავი, მასთან მისვლა ისევე კოხტად გამოწყობილი, როგორიც მისი დარდიმანდი თაყვანისმცემლები იყვნენ, ჩემისთანა შეყვარებული და გონებაგაფანტული პოეტისათვის ურიცხვ სიძნელეს შეიცავდა. ჩემი ბედნიერება, ჩემი სიყვარული დამოკიდებული იყო ჩემი ერთადერთი თეთრი ჟილეტის პაწია ლაქაზე! ჩემი ვნება გაღვივდა ამ წვრილმანი უცნობი ტანჯვისაგან, რომელსაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ადვილად გასაღიზიანებელი ადამიანისათვის.

მაგრამ განა ჩემი მსხვერპლი მართლაც ასეთი ძვირფასი იყო? განა სამაგიეროდ უსაზღვრო უსიამოვნებას არ განვიცდიდი ამ კერპთმსახურების დროს? გრაფის მეუღლემ დიდი ღირებულება მომცა, განსაკუთრებული სიხარულით გაანათა ჩემი ცხოვრების ყოველდღიური მოვლენები. წინათ უზრუნველი ვიყავი ჩაცმის საკითხში, ახლა ჩემს ტანისამოსს ისეთივე პატივისცემით ვეპყრობოდი, როგორც ჩემს თავს. არჩევანი რომ შემოეთავაზებინათ ჭრილობის მიღებასა და ფრაკის დახევას შორის, ერთი წუთითაც არ ვიყოყმანებდი! შენ ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში უნდა შეხვიდე და ადვილად გაიგებ ჩემს გააფთრებას, რომელმაც მომიცვა შინ დაბრუნების დროს. რაღაც ჯოჯოხეთურ სიხარულს ვგრძნობდი, თუმცა უბედურების მწვერვალზე ვიმყოფებოდი. მინდოდა ბედნიერების წინასწარმეტყველება დამენახა ამ უკანასკნელ კრიზისში, მაგრამ უბეუდრების სალაროები უძიროა.

ჩემი სასტუმროს კარი ნახევრად ღია იყო. ჭუჭრუტანიდან, რომელიც დარაბაში გულის სახედ იყო გამოჭრილი, სინათლის სხივი გამოდიოდა. პოლინა და მისი დედა საუბრობდნენ ჩემს მოლოდინში. ჩემი სახელი გავიგონე და სმენად გადავიქეცი.

_ რაფაელი, _ ამბობდა პოლინა, _ ბევრად სჯობს მეშვიდე ნომრის ბინადარ სტუდენტს! მის ქერა თმას მშვენიერი ელფერი აქვს! ნუთუ მის ხმაში არ გრძნობ რაღაც ისეთს, რაც ადამიანს გულში სწვდება? თუმცა მას, ცოტა არ იყოს, ამპარტავანი გამომეტყველება აქვს, მაგრამ გულკეთილია და კეთილშობილი მიხვრა-მოხვრა აქვს! ოჰ, ის ჭეშმარიტად კარგი ყმაწვილია! დარწმუნებული ვარ, გიჟდებიან მისთვის.

_ ისე ლაპარაკობ, თითქოს შეყვარებული იყო მასზე, _ თქვა მადამ გოდენმა.

_ ოჰ, ძმასავით მიყვარს, _ უპასუხა ქალმა სიცილით. _ უმადური ვიქნებოდი, მეგობრული გრძნობა რომ არ გამომეჩინა მისადმი. განა მან არ შემასწავლა მუსიკა, ხატვა, გრამატიკა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ვიცი? შენ ყურადღებას არ აქცევ ჩემს წინსვლას, ჩემო კარგო დედიკო; მაგრამ მე ისეთი განათლებული ვხდები, რომ ცოტა ხანში გაკვეთილებს მივცემ და მაშინ მსახურის აყვანა შეგვეძლება.

დარაბას მოვშორდი, შემდეგ განგებ ჩავახველე და ოთახში შევედი, რათა პოლინასათვის ლამპა გამომერთმია, რომელსაც ჩვეულებრივ, ის ანთებდა ხოლმე. საბრალო ბავშვმა მალამო წასცხო ჩემს იარებს, მისმა გულუბრყვილო შექებამ, ცოტა არ იყოს, მხნეობა შემმატა. მე მჭირდებოდა ჩემი თავის რწმენა და ჩემ ნამდვილ ღირსებათა მიუდგომელი დაფასება. შეიძლება ამრიგად გაცხოველებულმა იმედებმა თავისებური განათება მისცა საგნებს, რომელთაც გარშემო ვხედავდი. ისიც შეიძლება, რომ მანამდე სერიოზულად არ დავკვირვებივარ სურათს, რომელიც ხშირად წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ ამ დარბაზში. იმ წუთში კი მართლაც აღტაცებული ვიყავი ამ უბრალო, ბუნებრივი და საუცხოო სურათის რეალობით, რომელსაც ასე გულუბრყვილოდ გადმოსცემენ ფლამანდიელი მხატვრები. დედა ნახევრად ჩამქრალ ბუხარს უჯდა სახეგაღიმებული და წინდებს ქსოვდა. პოლინა მარაოებს აფერადებდა; მისი საღებავები, მისი ფუნჯები, რომლებიც პატარა მაგიდაზე იყო დაწყობილი, თვალს ახალისებდა მძაფრი ეფექტებით; როცა წამოდგა და ლამპა აანთო, მთელი სინათლე მის თეთრ ფიგურას მოხვდა; მხოლოდ ადამიანს, რომელიც სხვა საშინელი ვნებათაღელვის მონა გახდა, შეეძლო გულგრილად ეცქირა მისი ვარდისფერი, გამჭვირვალე ხელებისა, იდეალური თავისა და ქალწულებრივი მიხრა-მოხრისათვის! ღამე და დუმილი ჯადოქრობას მატებდნენ ამ ღამისთევას შრომაში, ამ მშვიდობიან ოჯახურ სცენას. ეს შეუჩერებელი ხალისიანი შრომა მოწმობდა სარწმუნოებრივ მოკრძალებას, აღსავსეს ამაღლებული გრძნობებით. აქ ნივთებსა და ადამიანებს შორის ძნელად გადმოსაცემი ჰარმონია არსებობდა. თეოდორას კომფორტი მშრალი იყო, იგი ჩემში ცუდ აზრებს აღვიძებდა; ეს უბრალო და ბუნებრივი ცხოვრება კი სრულაიდ მაახალგაზრდავებდა. შეიძლება კომფორტის წინაშე მე თავის დამცირებას ვგრძნობდი; ამ ორი ქალის საზოგადოებაში კი, ამ ოდნავ შეჭვარტლულ დარბაზში, სადაც გამარტივებული ცხოვრება თითქო გულის კუნჭულებში იყო მიმალული, მე იმიტომ ვურიგდებოდი ჩემს ბედს, რომ სხვათა მფარველობის გაწევა შემეძლო, ეს კი ყოველთვის სასიამოვნოა მამაკაცისათვის. როცა

პოლინას მივუახლოვდი, თითქმის დედობრივი მზრუნველობით შემომხედა, ხელები აუთრთოლდა და წამოიძახა:

_ ღმერთო ჩემო! როგორი ფერმკრთალი ხართ! აჰ, სრულიად გაწუწულა! დედაჩემი გაგაშრობთ... ბატონო რაფაელ, _ განაგრძო მან ორიოდე წუთის შემდეგ, _ თქვენ რძე გიყვართ: ამ საღამოთი ნაღები გვაქვს, ხომ არ გასინჯავთ?

პაწია კატასავით მივარდა ფაიფურის ჯამს, რომელიც რძით იყო სავსე და ისე მოხდენილად დამიდგა ცხვირწინ, რომ მე შევყოყმანდი.

_ უარს მეუბნებით? _ მკითხა მან შეცვლილი ხმით.

ჩვენ ორივენი ამაყნი ვიყავთ და კარგად გავიგეთ ერთმანეთი. პოლინა, ეტყობოდა, იტანჯებოდა თავისი სიღარიბის გამო და მე გულდიდობას მაყვედრიდა. გული ამიჩუყდა. შეიძლება ეს ნაღები მისი სახვალიო საუზმე იყო, მაგრამ მე უარი ვერ ვუთხარი. საბრალო გოგომ სცადა თავისი სიხარული დაეფარა, მაგრამ იგი ციმციმებდა მის თვალებში.

_ ჩემთვის საჭირო იყო ეს ნაღები, _ ვუთხარი მე და მაგიდას მივუჯექი (მას შუბლზე მზრუნველობის გამომეტყველებამ გადაურბინა). _ გახსოვთ თუ არა, პოლინა, ის ადგილი, სადაც ბოსუე ამბოს, ღმერთი ხანდახან ერთი ჭიქა წყლისთვის მეტს გვიზღავს, ვიდრე ომში გამარჯვებისთვისო?

_ დიახ, _ მიპასუხა მან და მისი მკერდი ათრთოლდა, როგორც თრთის ბავშვის მიერ დაჭერილი კიოტი ჩიტის გული.

_ აი, რა გითხრათ, _ დავუმატე მე ნაკლებ მტკიცე ხმით, _ რადგან ჩვენ ჩქარა ერთმანეთს დავშორდებით, ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ იმ მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენ და დედათქვენმა გამოიჩინეთ.

_ ოჰ, რა საჭიროა ანგარიშები, _ თქვა მან სიცილით.

ამ სიცილმა დაფარა მისი მღელვარება, რომელმაც მე გული მატკინა.

_ ჩემი პიანინო, _ განვაგრძე მე, თითქო მისი სიტყვები არ გამეგონოს, _ ერარის* ერთი საუკეთესო ინსტრუმენტია: ძღვნად მიიღეთ იგი. ნუ გამაწბილებთ. მართალი გითხრათ, მაინც ვერ ვატარებ გრძელი მოგზაურობის დროს, რომელიც ახლო ხანში მელის.

ორივე ქალმა, როგორც ეტყობოდა, გაიგო ჩემი სევდით განათებული სიტყვები, და მათ შიშითა და ცნობისმოყვარეობით შემხედეს. თანაგრძნობა, რომელსაც ამაოდ ვეძებდი მაღალი საზოგადოების ცივ სფეროებში, აქ იყო, იგი ჭეშმარიტ, ნელსაცხებელივით დამაამებელ მტკიცე განცდას წარმოადგენდა.

_ რა საჭიროა ამდენი თავის შეწუხება, _ მითხრა დედამ. _ აქ დარჩით, ჩემი ქმარი ახლა გზაშია; ამ საღამოს მე იოანეს სახარებას ვკითხულობდი, ხოლო პოლინას ხელში ძაფზე ჩამოკიდებული გასაღები ეჭირა, იგი ბიბლიაზე იყო მიბმული; გასაღები შეტრიალდა. ეს იმის ნიშანია, რომ გოდენი ჯანმრთელადაა და საქმეებიც კარგად მიუდის. შემდეგ პოლინამ თქვენთვისა და მეშვიდე ნომერში მცხოვრები ყმაწვილისათვის ჩაუთქვა, მაგრამ გასაღები მხოლოდ თქვენთვის შემოტრიალდა. ჩვენ ყველანი გავმდიდრდებით. გოდენი მილიონის პატრონი დაბრუნდება; სიზმარში ვნახე, გველებით სავსე ხომალდში იჯდა, საბედნიეროდ, წყალი მღვრიე იყო, _ ეს ნიშნავს ოქროსა და შორეული ქვეყნების თვალ-მარგალიტს.

ამ მეგობრულმა და უშინაარსო სიტყვებმა ტკბილ ნანასავით იმოქმედა ჩემზე და დამამშვიდა. ამ გულკეთილი დედაკაცის ხმა და შეხედვა იმ გულითადი მეგობრობით იყო გამსჭვალული, რომელიც მწუხარებას არ სპობს, მაგრამ ამშვიდებს, არწევს და ანელებს. როგორც უფრო გამჭრიახი, ვიდრე დედამისი, პოლინა შეშფოთებული მიცქეროდა. მისი თვალები თითქო ხედავდა ჩემს მომავალ ცხოვრებას. დედასაც და შვილსაც მადლობა გადვუხადე თავის დახრით და გამოვემშვიდობე, რადგან მეშინოდა გული არ ამიჩუყდეს-მეთქი. ჩემს ოთახში ასვლისთანავე მე ღრმად ჩავეფალი ჩემს უბედურებაში. ჩემმა საბედისწერო ფანტაზიამ ათასი უნიადაგო პროექტი დამიხატა და შეუძლებელი გადაწყვეტილებანი მიკარნახა. როცა ადამიანი თავისი ქონების ნანგრევებს შორის ფორთხავს, ცოტაოდენ სახსარს კიდევ პოულობს; მაგრამ მე სრულიად გაძარცვული ვიყავი. აჰ, ჩემო მეგობარო, ჩვენ ადვილად ვკიცხავთ ღარიბ-ღატაკებს. უფრო ლმობიერი უნდა ვიყოთ სოციალური ცხოვრების დაშლის მსხვერპლისადმი. იქ, სადაც სიღატაკე მეფობს, აღარ არსებობს არც სირცხვილი, არც დანაშაული, არც სათნოება, არც ჭკუა. მე იმ დროს არც აზრები მქონდა, არც ძალ-ღონე, როგორც ახალგაზრდა ქალს, რომელიც ვეფხვის წინაშეა დაჩოქილი. უვნებო და უფულო ადამიანი თავისი თავის ბატონია; მაგრამ უბედური მიჯნური არც თავის თავს ეკუთვნის, არც ცხოვრებას ემშვიდობება ადვილად. სიყვარული ერთგვარ რელიგიურ გრძნობას გვიღვიძებს თავის თავისადმი, ჩვენ ჩვენს არსებაში სხვა ცხოვრებას ვცემთ პატივს; ამ შემთხვევაში სიყვარული უსაშინელეს უბედურებად იქცევა, უბედურებად, რომელიც მოკლებული არაა იმედს, ეს იმედი კი, თავის მხრივ, წამებას გვათმენინებს. ჩამეძინა იმ აზრით, რომ ხვალვე რასტინიაკთან წავალ, რათა თეოდორას მიერ მიღებული უცნაური გადაწყვეტილება ვაცნობო-მეთქი.

_ აჰ, _ წამოიძახა რასტინიაკმა, როცა დამინახა, რომ დილის ცხრა საათზე შევდიოდი მასთან, _ ვიცი, რამაც მოგიყვანა, შენ დათხოვილი უნდა იყო თეოდორას მიერ. ზოგიერთმა შენმა გულკეთილმა მოქიშპემ, რომელიც შურით უცქეროდა შენს ზეგავლენას გრაფის მეუღლეზე, თქვენი დაქორწინების მოახლოება გვაუწყა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის, რა უგუნურებანი არ მოგაწერეს, რა ცილი არ დაგწამეს!

_ ამით ყოველივე აიხსნება! _ წამოვიძახე მე.

გამახსენდა ყველა ჩემ მიერ ჩადენილი თავხედობა და დავინახე, რომ გრაფის მეუღლეს ვერაფერს დავაყვედრიდი. ვიფიქრე, ჯერ კიდევ საკმაო სასჯელი არ მიმიღია ჩემი ურცხვი ქცევისთვის-მეთქი.

_ დაიცა, ნუ აჩქარდები, _ მითხრა კეთილგონიერმა რასტინიაკმა. _ თეოდორას გამჭრიახობის ნიჭი აქვს, დამახასიათებელი ღრმად ეგოისტური ქალებისათვის; შეიძლება მან შენზე თავისი აზრი შეადგინა ჯერ კიდევ მაშინ, როცა შენ მასში მხოლოდ სიმდიდრესა და კომფორტს ხედავდი. მე მგონია, შენ ცუდ გზაზე დაგაყენე. თავისი მახვილი ჭკუისა და თავისი კეთილშობილი ქცევის მიუხედავად, ეს ქალი ხელისუფლების მოყვარული უნდა იყოს, როგორც ყოველივე დედაკაცი, რომელიც მხოლოდ გონებრივ სიამოვნებას იცნობს. მისთვის მთელი ბედნიერება ცხოვრების კეთილდღეობაში, საზოგადოებრივ გართობაშია: მისთვის გრძნობა ნიღაბია; შენ გაგაუბედურებდა და თავის მთავარ ლაქიად გაგხდიდა...

რასტინიაკი თითქოს ყრუს ელაპარაკებოდა. სიტყვა შევაწყვეტინე და ძალდატანებული მხიარულებით ჩემი ფინანსური მდგომარეობა ავუხსენი.

_ წუხელ უკუღმართმა შემთხვევამ მთელი ჩემი თავისუფალი თანხა წამართვა, _ მიპასუხა მან, _ თორემ დიდი სიამოვნებით გაგიყოფდი ჩემს ქისას. მაგრამ წავიდეთ და რესტორანში ვისაუზმოთ, შეიძლება ხამანწკამ კარგი აზრები ჩაგვაგონოს.

ჩაიცვა, ეტლი მოაყვანინა; შემდეგ თითქო ორი მილიონერი ვყოფილიყავით, კაფე დე პარისში* მივედით იმ უშვერი სპეკულანტების თავხედობით, რომელნიც ოცნებაში არსებული კაპიტალებით ცხოვრობენ. ეს ეშმაკის კერძი გასკონელი მაკრთობდა თავისი გაბედულებითა და შეუშფოთებელი თვითრწმენით. როცა კარგად შერჩეული და ფაქიზი საუზმის შემდეგ ყავას ვსვამდით, რასტინიაკმა, რომელიც მარჯვნივ და მარცხივნი თავს უკრავდა ლაზათიან და კარგად გამოწყობილ ყმაწვილებს, დაინახა, რომ ერთი ასეთი დარდიმანდთაგანი შემოვიდა, და მითხრა:

_ აი, შენი საქმე მოგვარებულია.

და მან ამ საუცხოო ყელსახვევიან ჯენტლმენს, რომელიც მაგიდას ეძებდა, ანიშნა, მოლაპარაკება მინდა თქვენთანო.

_ ეს ლაზღანდარა, _ წამჩურჩულა რასტინიაკმა, _ ორდენითაა დაჯილდოებული ისეთი ნაწერების გამოქვეყნებისათვის, რომელიც თვითონაც არ გაგება; იგი ქიმიკოსია, ისტორიკოსი, რომანისტი, პუბლიცისტი. მრავალ პიესაში მას მეოთხედი, მესამედი ან ნახევარი ეკუთვნის; ამასთანავე უმეცარია, როგორც დონ მიგუელის ჯორი. ეს ადამიანი კი არა, სახელია, აბრაა, ადვილად მისაწვდომი საზოგადოებისათვის. იმიტომ გაურბის ისეთ კაბინეტში შესვლას, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: «აქ შეიძლება კაცმა თვითონ წეროს». მაგრამ ამასთანავე ისეთი ვირეშმაკაა, რომ მთელ კონგრესს გააცურებს. ზნეობის სფეროში ნამდვილი მეტისია, არც პატიოსანი, არც სავსებით არამზადა, მაგრამ სსუუ! მას უკვე დუელში უბრძოლია, საზოგადოებას კი მეტი არაფერი უნდა და მასზე ამბობენ, ის პატივსაცემი კაციაო.

_ ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო პატივცემულო მეგობარო, როგორა ბრძანდება თქვენი მაღალგონიერება? _ ჰკითხა რასტინიაკმა, როცა უცნობი ჩვენს მახლობელ მაგიდას მიუჯდა.

_ არც კარგად, არც ცუდად... შრომით ვარ დატვირთული, მეტად საინტერესო ისტორიული მემუარის მასალა ჩამივარდა ხელთ, მაგრამ როდი ვიცი ვის გადავცე დასამუშავებლად. ეს მაწუხებს: დაჩქარებაცაა საჭირო, მემუარები მოდიდან გამოდის.

_ რა ხასიათის მემუარებია, თანამედროვე თუ ძველი დროის, სასახლის ცხოვრებს ეხება თუ სხვა რასმეს?

_ ყელსაბამის ამბავს.*

_ ეს სასწაული არაა? _ მკითხა რასტინიაკმა სიცილით. შემდეგ სპეკულანტს მიუბრუნდა და ჩემი თავი ანიშნა:

_ ბატონი დე ვალენტენი ერთი ჩემი მეგობართაგანია, რომელსაც გაცნობთ, როგორც მომავალ სახელოვან მწერალს. მისი განსვენებული ძალუა, მარკიზის მეუღლე, კარგად იყო მიღებული მეფის სასახლეში. ორი წელიწადია რევოლუციის ისტორიას წერს როიალისტური თვალსაზრისით.

შემდეგ ამ ახირებული სოვდაგრისკენ გადაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

_ ნიჭიერი კაცია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო, მას შეუძლია თავისი ძალუას სახელით ეს მემუარები დაგიწეროს ას ეკიუდ ტომი.

_ თანახმა ვარ! _ უპასუხა უცნობმა და ყელსახვევი გაისწორა. _ გარსონ, ერთი კერძი ხამანწკა!

_ ჰო, მაგრამ თქვენ ოცდახუთ ლუიდორს მომცემთ საკომისიოდ, ხოლო მას წინდაწინ გადაუხდით ერთი ტომის ფასს, _ განაგრძო რასტინიაკმა.

_ არა, არა. ავანსად მხოლოდ ორმოცდაათ ეკიუს მივცემ, რათა დარწმუნებული ვიყო, რომ ხელნაწერს თავის დროზე მივიღებ.

რასტინიაკმა ხმადაბლა გადმომცა ეს ჩარჩული საუბარი, შემდეგ ჩემი პასუხის მოუსმენლად ისევ უცნობს მიუბრუნდა:

_ ჩვენ თანახმანი ვართ. როდის შეგვიძლია გინახულოთ ამ საქმის დასამთავრებლად?

_ აქვე მოდით სასადილოდ ხვალ საღმოს, შვიდი საათისათვის.

ჩვენ ავდექით. რასტინიაკმა ფული გადაუგდო მსახურს, ჯიბეში ჩაიდო ანგარიში და გასასვლელისკენ გაემართა. მე გაოცებული ვიყავი, როგორ ადვილად და უდარდელად გაყიდა მან ჩემი პატივცემული ძალუა, მარკიზ დე მონბორონის მეუღლე.

_ მირჩევნია, ბრაზილიაში გავიქცე და წითელკანინებს ალგებრის გაკვეთილები ვაძლიო, თუმცა ალგებრისა არაფერი გამეგება, ვდირე ჩემი ოჯახის სახელი შევბღალო!

რასტინიაკმა გადაიხარხარა.

_ გიჟი ხომ არა ხარ! აიღე ორმოცდაათი ეკიუ და მემუარები დასწერე. როცა დაამთავრებ, უარი თქვი ძალუას სახელით გამოქვეყნებაზე. ქალბატონი დე მონბორონი, რომელიც ეშაფოტზე მოკვდა, მისი ხაბარდა, მისი სახელი, მისი სილამაზე, მისი ფერ-უმარილი, ჯორცხენიანი ეტლები, რასაკვირველია, ექვსას ფრანკზე მეტი ღირს. თუ გამომცემელი არ მოისურვებს ძალუაშენის ნამდვილი ფასი მოგცეს, იგი იძულებული იქნება რომელიმე ბებერი კავალერის ან უსახელო გრაფის მეუღლის ხელის მოწერას დასჯერდეს.

_ ოჰ, _ წამოვიძახე, _ რატომ ჩამოვედი ძირს ჩემი სათნო მანსარდიდან. რა ჭუჭყიანი და უგვანო სარჩული ჰქონია ამ ქვეყანას!

_ ის პოეზიაა, _ მითხრა რასტინიაკმა, _ აქ კი საქმეზეა ლაპარაკი. შენ ბავშვი ხარ. ყური დამიგდე: რაც შეეხება მემუარებს, მას საზოგადოება დააფასებს. ამ მწერლობის მაჭანკალს რვა წლის სიცოცხლე და მკაცრი გამოცდილების მიღება დასჭირდა, რათა კავშირი გაება გამომცემლებთან. წიგნის დაწერის შრომა თქვენს შორის არათანაბრად იქნება განაწილებული. მაგრამ განა შენ არ მიიღებ სარგებლობის უდიდეს ნაწილს?

შენთვის ოცდახუთი ლუიდორი უფრო დიდი თანხაა, ვიდრე მისთვის ათასი ფრანკი. შენთვის ისე ძნელი არაა ისტორიული მემუარების დაწერა, რომელიც, რაც უნდა იყოს, ხელოვნების ნაწარმოებია. ხომ იცი, დიდრომ ექვსი ქადაგება დაწერა ას ეკიუდ.*

_ ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის ეს აუცილებელია, _ ვუპასუხე აღელვებული ხმით, _ შენი დიდი მადლობელი ვარ. ორმოცდაათი ეკიუ ჩემთვის მთელი სიმდიდრეა...

_ შენ უფრო გამდიდრდი, ვიდრე წარმოდგენილი გაქვს, _ მითხრა მან სიცილით. _ განა ვერ მიხვდი, თუ ფინომ საკომისიო მომცა ამ საქმეში, იმასაც შენ დაგითმობ? ახლა კი ბულონის ტყეში წავიდეთ; იქ შენ გრაფის მეუღლეს შეხვდები; მე კი პატარა ლამაზ ქვრივს გაჩვენებ, რომელიც უნდა შევირთო. საუცხოო პიროვნებაა, ელზასელი, ოდნავ მსუქანი. კითხულობს კანტს, შილერს, ჟან-პოლს* და უამრავ წიგნს ჰიდრავლიკიდან. მუდამ მკითხავს, რა აზრისა ხარო; მეც უნდა ვითვალთმაქცო, თითქო რაიმე გამეგებოდეს ამ გერმანული გრძნობიარობისა, ვიცოდე გერმანული ბალადები, ყველა ეს სასაქმებელი, რომელიც ჩემთვის არც ერთ ექიმს არ გამოუწერია. ჯერ კიდევ ვერ შევძელი მასში ლიტერატურული ენთუზიაზმის აღმოფხვრა, ცხარე ცრემლით ტირის გოეთეს კითხვის დროს; მეც იძულებული ვარ ორიოდე კურცხალი გადმოვაგდო თანაგრძნობის ნიშნად, იმიტომ რომ მას, ჩემო კარგო, ორმოცდაათი ათასი ლივრი შემოსავალი აქვს წელიწადში და ყველაზე პატარა ფეხები და ყველაზე პატარა ხელები დედამიწის ზურგზე. ერთი სიტყვით, უნაკლო ქალია, ოტა არ იყოს, გერმანულად რომ არ უქცევდეს ლაპარაკის დროს, ბანის მაგივრად პარს არ ხმარობდეს, ხოლო ჟანის მაგივრად შინს!

ჩვენ თვალი მოვკარით გრაფის მეუღლეს, იგი ბრწყინვალედ იჯდა ბრწყინვალე ეტლში. კეკლუცმა ალერსიანად დაგვიკრა თავი, მე კი ღიმილი მომიძღვნა, რომელიც მაშინ ღვთაებრივად და სიყვარულით აღსავსედ მეჩვენა. აჰ, მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყავი, მწამდა მას ვუყვარვარ-მეთქი, ფულიც მქონდა და ვნებათაღელვის სალაროც, სიღარიბე გადალახული იყო! თავს მსუბუქად ვგრძნობდი, მხიარულად, ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი; ჩემი მეგობრის სატრფოც მომხიბლავი მეჩვენა. მცენარეები, ჰაერი, ცა, მთელი ბუნება თითქო თეოდორას ღიმილს იმეორებდა. ელისეს მინდვრებიდან რასტინიაკის მექუდესა და მკერავისაკენ შევუხვიეთ; ახლად დაკვეთილმა სალიტერატურო შრომამ ნება მომცა ჩემი ტანსაცმელი განმეახლებინა. ამიერიდან შემეძლო უშიშრად შევჯიბრებოდი იმ დარდიმანდებს, რომელნიც თეოდორას გარშემო დაფარფატებდნენ. შინ დავბრუნდი, კარები ჩავიკეტე; გარეგნულად აუღელვებელი ვჩანდი, მაგრამ გულში სამუდამოდ ვეთხოვებდი ჩემს სხვენს, მომავლით ვცხოვრობდი, ჩემს ცხოვრებას მძაფრ დრამად

ვაქცევდი, სიყვარულის და სიხარულის აღრიცხვას ვახდენდი. აჰ, როგორი ქარიშხლიანი შეიძლება გახდეს არსებობა მანსარდის ოთხ კედელს შუა! ადამიანის სული ფერიაა, იგი ნამჯას ალმასად აქცევს, მისი ჯადოქრული ჯოხის ძალით გრძნეული პალატები იზრდება, როგორც მინდვრის ყვავილები მზის თბილ სხივებში...

მეორე დღეს, შუადღისას, პოლინამ დამიკაკუნა წყნარად და იცი, რა შემომიტანა? თეოდორას წერილი. მთხოვდა, ლუქსემბურგის ბაღში შევხვედროდი, რათა ერთად მუზეუმში და ბოტანიკურ ბაღში წავსულიყავით.

_ მსახური პასუხს ელის, _ მითხრა პოლინამ ერთი წუთის დუმილის შემდეგ.

საჩქაროდ დავჩხაპნე მადლობის სიტყვები, პოლინამ მსახურს გადასცა. ტანთ ჩავიცვი. და აი, როცა ჩემი თავით კმაყოფლი სარკეში ვიცქირებოდი, უცებ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ფეხით მოვა თეოდორა თუ ეტლით? იწვიმებს თუ კარგი დარი იქნება? მაგრამ ქვეითად იქნება იგი თუ ეტლში, ვის შეუძლია დედაკაცის ახირებულ სულს დაენდოს? იგი შეიძლება უფულოდ იყოს და ასი სუს ჩუქება მოისურვოს რომელიმე ძონძებში გახვეული მათხოვრისთვის.

ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მედო, ფული კი მხოლოდ საღამოს უნდა მიმეღო; ერთ წუთს ათასმა მწვავე და ცხარე აზრმა გული დამისერა მახვილივით. სარკმლიდან ცას შევხედე, ამინდი ძნელი დასანდობი იყო. უბეუდრ შემთხვევაში შემეძლო ეტლი მთელი დღით დამექირავებინა, მაგრამ მეშინოდა, ვაითუ საღამოს ფინოს ვერ შევხვდე-მეთქი. თავს იმდენად ძლიერად ვერ ვგრძნობდი, რომ ამდენი შიში ამეტანა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ვერაფერს ვიპოვიდი, ფულის ძებნა დავიწყე ჩემს ოთახში; ყველაფერი გავჩხრიკე, ლეიბი, ყუთები, თვით ძველი ფეხსაცმელები; ნერვიულმა ცახცახმა ამიტანა, თვალებგაცეცებული ვუცქეროდი ყირამალა დატრიალებულ ავეჯს. შეგიძლია წარმოიდგინო, რა განვიცადე, როცა საწერი მაგიდის ყუთში, რომელიც შვიდჯერ მაინც მქონდა გაჩხრეკილი, ეშმაკივით დამალული მშვენიერი და კეთილშობილი ხუთფრანკიანი ვერცხლი აღმოვაჩინე, ბრჭყვიალა, სხივოსანი, მოციმციმე, როგორც ამომავალი ვარსკვლავი. ანგარიში არ მომითხოვია არც მისი ვერაგობისა, არც მისი გულქვაობისთვის, ხმამაღლა მივესალმე და ვაკოცე. უკან მოვიხედე და პოლინა დავინახე, ფერწასული იდგა.

_ შემეშინდა, ავად ხომ არ გახდით, _ მითხრა აღელვებული ხმით. _ მსახური... (მას ხმა ჩაუწყდა) მაგრამ არა უშავს რა, დედამ მისცა ფული, _ ძლივს წაილუღლუღა მან.

შემდეგ გაიქცა ცელქი ბავშვივით. საბრალო გოგონა! ვუსურვე ჩემსავით ბედნიერი ყოფილიყო. იმ წუთში მეგონა, ჩემს სულში მთელი დედამიწის სიამოვნებაა მოქცეული-მეთქი, მინდოდა უბედურთათვის მიმეძღვნა ის წილი, რომელიც, ჩემის აზრით, მათ მოვპარე.

უბედურების წინათგრძნობაში თითქმის ყოველთვის მართალი ვართ: გრაფის მეუღლეს დაეთხოვა თავისი ეტლი. იმ ჟინის ზეგავლენით, რომელსაც ლამაზი ქალები თავიანთ თავსაც ვერ აუხსნიან ყოველთვის, მას უნდოდა ბულვარების გზით წასულიყო ბოტანიკურ ბაღში და ისიც ქვეითად.

_ მაგრამ წვიმას რომ აპირებს, _ ვუთხარი.

იგი წინააღმდეგობის გუნებაზე იყო. სანამ ლუექსემბურგის ბაღს გადავჭრიდით, კარგი დარი იდგა. შემდეგ უცებ წამოწინწკლა და ეტლში ჩავჯექით. როცა ბულვარებს მივაღწეთ, გადაიღო, ცაც მოიწმინდა. მუზეუმში მისვლისთანავე ეტლის გაშვება მინდოდა, მაგრამ თეოდორამ მთხოვა, ნუ დაითხოვო, რა სატანჯველში ჩავვარდი! მაგრამ მასთან საუბარი, მასთან ერთად ბოტანიკური ბაღის უკაცურ ხეივნებში ხეტიალი, ჩემს ხელზე მისი ხელის დაყრდნობა, ყოველივე ეს რაღაც ფანტასტიკურს შეიცავდა: ეს იყო სიზმარი ცხადად. ხოლო მის მოძრაობაში, სულ ერთია დავდიოდით ჩვენ თუ ვჩერდებოდით, არაფერი იყო ნაზი სასიყვარულო, მიუხედავად მისი მოჩვენებითი ვნებიანობისა.

როცა მე ვცდილობდი, თუნდ ცოტათი მაინც, მისი ცხოვრების მიმდინარეობას ვზიარებოდი, მე მასში ვხვდებოდი ინტიმურ ან ფარულ სიმკვირცხლეს, რაღაც მძაფრსა და წონაწორობას მოკლებულს.

უსულო ქალებს მიხრა-მოხრაში არა აქვთ სირბილე. ამიტომ თეოდორა და მე ვერ გავერთიანდით ვერც სურვილებში და ვერც ნაბიჯები შევუწყვეთ ერთმანეთს. არ არსებობს სიტყვები ორი არსების ამ მატერიალური უთანხმოების გადმოსაცემად, იმიტომ რომ ჩვენ კიდევ შეჩვეული არა ვართ აზრი ამოვიკითხოთ მოძრაობაში. ჩვენი ბუნების ეს მოვლენა ინსტინქტურად შეიგრძნობა, მაგრამ ვერ გამოითქმება.

ვნებათაღელვის ამ მძაფრი ციებ-ცხელების დროს, _ განაგრძო რაფაელმა ერთი წუთის დუმილის შემდეგ, _ მე არ გამიკვეთია ჩემი გრძნობანი, ანალიზი არ გამიკეთებია ჩემი სიამოვნებისათვის, არ დამითვლია ჩემი გულის ძგერანი, როგორც ძუნწი ითვლის ან წონის თავის ოქროს ფულს. ოჰ, არა. დღეს გამოცდილება მჭმუნვარედ ანათებს წარსულის ამბებს და მახსოვრობას მოაქვს ეს სახეები, როგორც კარგ დარში ზღვის ტალღები ნაპირზე ისვრის ქარიშხლის მიერ შემუსვრილი გემის ნამტვრევებს.

_ თქვენ შეგიძლიათ საკმაოდ მნიშვნელოვანი სამსაუხრი გამიწიოთ, _ მითხრა გრაფის მეუღლემ ოდნავ შეშფოთებული სახით. _ რაკი გაგიმჟღავნეთ, რომ სიყვარულისადმი ანტიპათიას ვგრძნობ, უფრო თავისუფლად შემიძლია სამსახური მოგთხოვოთ მეგობრის სახელით. თქვენი დამსახურება კი მეტი იქნება, _ განაგრძო მან სიცილით, _ თუ დღესვე დამავალებთ.

მე სევდიანად ვუცქეროდი ამ ქალს. იგი არაფერს განიცდიდა ჩემს საზოგადოებაში, თვალთმაქცი იყო და არა მგრძნობიარე: თავის როლს ისე ასრულებდა, თითქო დახელოვნებული მსახიობი ქალი ყოფილიყოს; შემდეგ უცებ მისი ხმა, შეხედვა, ერთი რაიმე სიტყვა იმედებს მიღვიძებდა, ხოლო თუ ჩემი გაღვივებული სიყვარული ჩემს თვალებში გაიკიაფებდა, მისი თვალების სინათლე ოდნავაც არ იცვლებოდა, თითქო ვეფხვის თვალებივით ლითონის ფურცლის სარჩული ჰქონოდეს. ასეთ წუთებში იგი მძულდა.

_ ჩემთვის დიდად საჭიროა ჰერცოგ ნავარენის შუამდგომლობა რუსეთის ერთი ყოვლისშემძლე პიროვნების წინაშე, რომლის საქმეში ჩარევა აუცილებელია, რათა ჩემი ქონებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის საკითხი ჩემდა სასარგებლოდ გადაწყდეს, და იმპერატორმა სცნოს ჩემი ქორწინება. ჰერცოგი ნავარენი ხომ თქვენი ბიძაშვილია; მისი ერთი წერილი საკმაოა.

_ თქვენი მორჩილი მონა გახლავართ, მიბრძანეთ.

_ თქვენ ძლიერ თავაზიანი ხართ, _ განაგრძო მან და ხელი მომიჭირა. _ ჩემსას წამოდით სადილად, ყოველივეს გიამბობთ, როგორც მოძღვარს.

ამრიგად, ეს ეჭვიანი, გულჩათხრობილი ქალი, რომელსაც არავსითან სიტყვაც არ წამოსცდენია თავისი ინტერესების შესახებ, მე მიწვევდა სათათბიროდ.

_ ოჰ, რა კმაყოფილი ვარ ახლა, რომ დადუმება მიბრძანეთ, _ წამოვიძახე, _ მაგრამ კიდევ უფრო დიდი განსაცდელი მწყურია.

იმ წუთში მან თანაგრძნობით მიიღო ჩემი აღტაცებული შეხედვა. მაშასადამე, თითქო ვუყვარდი! ჩვენ მის სახლში მივედით; საბედნიეროდ, ჩემი თანხა საკმაო აღმოჩნდა მეეტლის გასასტუმრებლად. მთელი დღე საუცხოოდ გავატარე, მარტოდმარტო ვიყავი მასთან; ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მას ასე ვუცქეროდი. მანამდე საზოგადოება თავისი შემაჭირვებელი ზრდილობითა და ცივი ყოფაქცევით ჩვენ გვთიშავდა თვით სადღესასწაულო სადილების დროს; ახლა კი თითქო მის ჭერქვეშ ვცხოვრობდი, მას, ასე ვთქვათ, ვფლობდი. ჩემი მოხეტიალე ფანტაზია ლეწდა ბორკილებს,

ჩემი სურვილის მიხედვით ალაგებდა ცხოვრების მოვლენებს, მე კი ბედნიერების სიყვარულის მორევში ვცურავდი, ჩემი თავი მის ქმრად მყავდა წარმოდგენილი, აღტაცებული ვუცქეროდი ყოველ მის უმნიშვნელო მოძრაობას: ისიც დიდ ბედნიერებად მიმაჩნდა, რომ ვხედავდი, როგორ იხდიდა შალს ან ქუდს. ერთი წუთით დამტოვა, რათა თმა გაესწორებინა; როცა უკან დაბრუნდა, კიდევ უფრო სანდომიანი მეჩვენა. მაშ, ეს მშვენიერი ტანისამოსიც მან ჩემთვის ჩაიცვა!

სადილობის დროს დიდი ყურადღებით მეპყრობოდა და მთელი თავისი მომხიბლაობა გამოამჟღავნა მრავალ წვრილმანში, რომელიც თითქო არაფერია ერთი შეხედვით, მაგრამ ნამდვილად ნახევარ სიცოცხლეს შეიცავს. როცა ჩვენ ორივე ბუხართან დავჯექით აბრეშუმგადაკრულ სავარძლებში, გარშემორტყმულნი აღმოსავლეთის კომფორტის ყველაზე სასურველი საგნებით, როცა ასე ახლო დავინახე ქალი, რომლის განთქმული სილამაზე ამდენ გულს ათრთოლებდა, რომლის დაპყრობა ასე ძნელი იყო, როცა ვიგრძენი, რომ მე მისი კეკლუცობის მიზანი გავხდი, ჩემი ვნებით ანთებული ბედნიერება თითქმის ტანჯვაში გადავიდა. ჩემდა საუბედუროდ, გამახსენდა, რომ მნიშვნელოვანი საქმე მქონდა დასამთავრებელი და მოვემზადე, რათა წინა დღით დანიშნულ პაემანზე წავსულიყავი.

_ რა მოხდა? უკვე მიდიხართ? _ მკითხა მან, როცა დაინახა, რომ ქუდს მოვკიდე ხელი.

მაშ, მას ვუყვარდი. ყოველ შემთხვევაში, ასე ვიფიქრე, როცა გავიგონე, როგორი ალერსიანი ხმით წარმოთქვა ეს ორი სიტყვა. ჩემი აღფრთოვანების გასაგრძელებლად ჩემი სიცოცხლის ორ-ორ წელიწადს სიამოვნებით გავცვლიდი თითოეულ საათში, რომლის ჩუქება მას სურდა ჩემთვის. ჩემს ბედნიერებას ზრდიდა ის ფული, რომელსაც მე ვკარგავდი! შუაღამე იყო, როცა გამისტუმრა. მეორე დღეს ჩემს გმირობას სინდისის ქენჯნა მოჰყვა, შემეშინდა მემუარების საქმე ხომ არ წავახდინე-მეთქი, ამ საქმეს ახლა უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის; რასტინიაკთან გავიქეცი და ორივენი ჩემი მომავალი ნაწერების ყალბ ავტორთან გავეშურეთ, რათა მისთვის ლოგინიდან ადგომისთანავე მიგვესწრო. ფინომ პატარა ხელშეკრულება წამიკითხა, სადაც სიტყვაც არ ყოფილა ჩემს ძალუაზე; ხელის მოწერის შემდეგ ორმოცდაათი ეკიუ დამითვალა. სამივემ ერთად ვისაუზმეთ. როცა ახალი ქუდის ფასი გავისტუმრე, სამოცი სადილის აბონემენტი ვიყიდე ოცდაათ სუდ თითო და ჩემი ვალები გადავიხადე, მხოლოდ ოცდაათი ფრანკი დამრჩა. მაგრამ ცხოვრების ყველა სიძნელე გადალახული იყო რამდენიმე დღით. რასტინიაკს

უნდოდა კრედიტი მოეწყო ჩემთვის და სესხი ამეღო: მარწმუნებდა, ვალი განამტკიცებს კრედიტსო. მისი აზრით, მომავალი ყველაზე მნიშვნელოვანი და ურყევი კაპიტალი იყო დედამიწის ზურგზე. მომავალი იმედების საწინდარის ქვეშ მან ჩემთვის ტანისამოსი შეუკვეთა თავის მკერავს, რომელმაც, როგორც ხელოვანმა, იცოდა, რას ნიშნავდა ყმაწვილი კაცი, და არ შემაწუხებდა ჯვრის დაწერამდე.

ამ დღიდან გამოვეთხოვე სამონასტრო და სამეცნიერო ცხოვრებას, რომელსაც სამი წლის განმავლობაში ვატარებდი. თეოდორას ხშირი სტუმარი გავხდი, ვცდილობდი გარეგნობით მეჯობნა იქ მოსიარულე დარდიმანდებისათვის. რადგან მწამდა, სამუდამოდ თავი დავაღწიე სიღარიბეს-მეთქი. სულიერი თავისუფლება დამიბრუნდა, მოქიშპეები შევმუსრე და მომხიბლავი, საინტერესო და უძლეველი მამაკაცის სახელი გავითქვი. მაგრამ გამოცდილი ადამიანები ჩემზე ამბობდნენ, ასეთ გონებამახვილ ყმაწვილს ვნება მხოლოდ თავში უნდა ჰქონდესო. ისინი შესხმას უძღვნიდნენ ჩემს ჭკუას ჩემი გრძნობიარობსი ხარჯზე. «ბედნიერია, რომ არავინ უყვარს! _ იძახდნენ ისინი, _ თუ ვინმე ჰყვარებოდა, განა ამდენ აღმაფრენას და მხიარულებას გამოიჩენდა?»

მე კი უიმედო მიჯნურივით სულელი ვიყავი თეოდორას საზოგადოებაში! როცა მასთან მარტოდმარტო ვრჩებოდი, ან არ ვიცოდი რა მეთქვა, ან სიყვარულს ვკიცხავდი; სევდიანად მხიარული ვიყავი, როგორც კარისკაცი, რომელსაც სურს გულისჯავრი დამალოს. ბოლოს შევეცადე აუცილებელი გავმხდარიყავი მისი სიცოცხლისა, მისი ბედნიერებისა, მისი გულზვიადობისათვის: მთელ დღეებს მის გვერდით ვატარებდი, მისი მონა, მისი სათამაშო გავხდი. ასეთი უქმი დღის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი, რათა მთელი ღამე მემუშავა; მხოლოდ დილით ვიძინებდი ორ-სამ საათს. მაგრამ, რადგან რასტინიაკის სისტემა ვადით ვალის გასტუმრებისა კარგად შეთვისებული არ მქონდა, მალე უგროშოდ დავრჩი. იმ დღიდან, ჩემო მეგობარო, მე, როგორც შეძლებას მოკლებული აშიკი, ჯიბეცარიელი დარდიმანდი, უსახელო მიჯნური დუხჭირ ცხოვრებაში გადავვარდი, იმ ცივ და ღრმა უბედურებაში, რომელიც ცდილობს თავი დამალოს მოჩვენებითი კომფორტის ქვეშ.

მაშინ მე ხელახლა განვიცადე ჩემი პირვანდელი ტანჯვა, მაგრამ ნაკლები სიმძაფრით: აუცილებელია, უკვე შეჩვეული ვიყავი სულიერ კრიზისებს. ხშირად ჩაი და ნამცხვარი, რომელსაც ასე ძუნწად გვთავაზობენ სალონებში, ჩემი ერთადერთი საკვები იყო. ხანდახან გრაფის მეუღლის მდიდრული სადილი ორ დღეს მაძლებინებდა. მთელ ჩემს დროს, ძალ-ღონეს და დაკვირვების ნიჭს ვხმარობდი, რათა თეოდორას ხასიათი

გამომეცნო. მანამდე ჩემს შეხედულებაზე ან იმედი ახდენდა გავლენას, ან სასოწარკვეთილება, მე მასში ან ყველაზე მოსიყვარულე ქალს ვხედავდი, ან ყველაზე უგრძნობს; მაგრამ სიხარულის და მწუხარების ეს ცვალებადობა აუტანელი გახდა. გადავწყვიტე ამ საშინელი ბრძოლის დასასრული მეპოვა და სიყვარული მომეკლა. თეოდორა ამართლებდა ყველა ჩემს შიშს. არასოდეს ცრემლები არ დამინახავს მის თვალებში. თეატრში გულის ამაჩუყებელ სცენას გულგრილად და დამცინავი ღიმილით ხვდებოდა. მთელს თავის მგრძნობიარობას თავისთვის ინახავდა, არც სხვისი ბედნიერების გამოცნობა შეეძლო, არც სხვისი უბედურებისა; ერთი სიტყვით, მათამაშებდა.

თითქმის თავი დავიმდაბლე და ჩემი ნათესავის დუკა დე ნავარენის სანახავად წავედი მის გულისათვის; ამ ეგოისტ ადამიანს რცხვენოდა ჩემი სიღარიბისა და იმდენი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი ჩემს წინაშე, რომ შეუძლებელი იყო, არ ვძულებოდი; ამიტომ მან ცივად და ზრდილობიანად მიმიღო. მისმა გაცეცებულმა თვალებმა ჩემში სიბრალულის გრძნობა გამოიწვია. მე შემრცხვა მისი სიპატარავისა ამ სიდიადეში, მისი სიღატაკისა ამ სიმდიდრეში. ლაპარაკი ჩამომიგდო დიდ ზარალზე, რომელიც უკანასკნელად ენახა საქმეებში. მაშინ ჩემი დარბაზობის მიზანი გავაცანი. გული ამირია იმ უცაბედმა ცვლილებამ, რომელიც მასში მოხდა: იგი უცებ გალხვა და მეტად თავაზიანი გახდა. და რა მოხდა? იგი თეოდორასთან გაემგზავრა და სრულიად მომსპო. თავის მხრივ, თეოდორამ იგი მოხიბლა და უჩემოდ მოაგვარა თავისი საიდუმლო საქმე, რომლის შესახებ მე ერთი სიტყვაც აღარ მსმენია: მხოლოდ შუამავლის როლი შევასრულე!..

თეოდორა თითქმის ვერც კი მამჩნევდა, როცა ჩემი ბიძაშვილი იყო მასთან. ერთ საღამოს ჰერცოგის წინაშე მან დამამცირა ერთი იმ მოძრაობითა და შეხედვით, რომლის გადმოცემა არავითარ სიტყვას არ შეუძლია. თვალცრემლიანი გამოვედი, ათასნაირი შურისძიების გეგმას ვადგენდი, უსაშინელეს ძალადობას ვიგონებდი...

ხშირად ბუფონების თეატრში მივყვებოდი: იქ მის გვერდით მხოლოდ ჩემი სიყვარულის გრძნობას ვნებდებოდი და, მისი ცქერითა და მუსიკის სმენით მოხიბლული, ორმაგ სიამოვნებას განვიცდიდი. ჩემი გულისთქმა თითქო ჰაერში იყო, სცენაზე: იგი ყველგან იმარჯვებდა, მხოლოდ ჩემი სატრფო წარმოადგენდა გამონაკლისს. მაშინ მე თეოდორას ხელში ხელს ვკიდებდი, მის სახესა და თვალებს ვუცქეროდი, გრძნობათა შედუღებას, სულთა ჰარმონიის მიღწევას ვცდილობდი, მაგრამ მისი ხელი მუნჯი იყო, ხოლო მისი თვალები არაფერს მეუბნებოდნენ. როცა ჩემი გულიდან ამოვარდნილი

ცეცხლი მას მეტისმეტად მწვავედ ხვდებოდა სახეზე, იგი იმ ნაძიებ ღიმილს, იმ ხელოვნურ ფრაზას მესროდა, რომელიც სალონებში ყველა სახეზეა აღბეჭდილი. მუსიკას ყურს როდი უგდებდა. როსინის, ჩიმაროზას,* ცინგარელის* ღვთაებრივი ხმები არავითარ გრძნობას არ ახსენებდნენ, არავითარ პოეტურ განცდას არ უღვიძებდნენ: მისი სული ბერწი იყო. ის თვითონ წარმოდგენას ჰგავდა ამ წარმოდგენაზე. მისი ლორნეტი ხან ერთი ლოჟისკენ იყო მიმართული, ხან მეორისაკენ; ეს გარეგნულად წყნარი, ხოლო შინაგანად შეშფოთებული ქალი მოდების მსხვერპლი იყო: ლოჟა, ქუდი, ეტლი, თავისი საკუთარი პიროვნება ყველაფერი იყო მისთვის. ხშირად ვხვდებით დევისებურად ახოვან ადამიანებს, რომელთაც ბრინჯაოს მკერდის ქვეშ ნაზი და მგრძნობიარე გული უცემთ; მას ბრინჯაოს გული ჰქონდა დამალული მოხდენილ, სათუთ სხეულში. თუ კარგი ტონი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში თავისი თავი დაივიწყო სხვისი გულისათვის, ხმასა და მიმოხვრაში სირბილე შეიტანო, სხვებს თავი მოაწონო ისე, რომ ისინი კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი თავისა, თეოდორას, თავისი სინატიფის მიუხედავად, სავსებით ვერ წაეშალა თავისი პლებეური წარმოშობის ნიშანი: მისი თავდავიწყება ყალბი იყო; მისი მიხვრა-მოხვრა თანდაყოლილი კი არა, ხელოვნურად შემუშავებული იყო; ბოლოს, მის ზრდილობას ძალდატანება ეტყობოდა. მაგრამ რა? მისი თაფლიანი სიტყვები მისი თაყვანისმცემლებისათვის გულკეთილობის გამოხატულებას წარმოადგენდა, მისი პრეტენზიული გადაჭარბებანი კეთილშობილ ენთუზიაზმად მიაჩნდათ, მხოლოდ მე შევისწავლე მისი გრიმასები, მე ავაცალე მის შინაგან არსებას ის თხელი ქერქი, რომელიც საკმაოდ მიაჩნდათ საზოგადოებაში; იგი ვეღარ მომატყუებდა თავისი მაიმუნობით; უკვე საფუძვლიანად ვიცნობდი ამ კატის სულს. როცა რომელიმე უგუნური მას ქათინაურს უძღვნიდა და აქებდა, მე მრცხვენოდა მის მაგივრად. მაგრამ მაინც მიყვარდა! იმედი მქონდა, ამ ყინულს გავალხობ ფრთოსანი პოეტის სიყვარულის შებერვით-მეთქი. მაგრამ მე იგი მიყვარდა, როგორც მამაკაცს, როგორც საყვარელს, როგორც მხატვარს, მაშინ როცა მის დასაპყრობად სიყვარული სრულიადაც არ იყო საჭირო: შეიძლება გაბღენძილ აშიკს, ცივ მოანგარიშეს უფრო ადრე გაემარჯვა. მწვავე გულის ტკივილს ვგრძნობდი, როცა იგი გულუბრყვილოდ მიმჟღავნებდა თავის ეგოიზმს. წარმოდგენილი მქონდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მარტოდმარტო დარჩებოდა ცხოვრებაში; არ ეცოდინებოდა, ვისთვის გაეწოდებინა ხელი, ვისთვის მიეპყრო თვალები. ერთ საღამოს იმდენი გამბედაობა გამოვიჩინე, რომ ცხოველი ფერადებით დავუხატე უნაყოფო, უშინაარსო და სევდიანი სიბერე. მან მკაცრად მიპასუხა:

_ მე ყოველთვის მექნება შეძლება, ხოლო ოქროთი ადვილია ჩვენს გარშემო იმ გრძნობების გამოწვევა, რომლებიც აუცილებელია ჩვენი კეთილდღეობისათვის.

მე წავედი განადგურებული ამ კომფორტის, ამ ქალის, ამ საზოგადოების ლოგიკით. ჩემს თავს ვკიცხავდი უაზრო კერპთაყვანისცემისათვის; მე არ მიყვარდა ღარიბი პოლინა, ხოლო მდიდარ თეოდორას უფლება ჰქონდა, ხელი ეკრა რაფაელისათვის. ჩვენი სინდისი უტყუარი მსაჯულია, სანამ იგი არ ჩაგვიკლავს. «თეოდორასო, ჩამძახოდა რაღაც სოფისტური ხმა, არც არავინ უყვარს, არც არავინ სძულს; იგი დღეს თავისუფალია, მაგრამ ერთ დროს ოქროს გულისთვის დანებდა მამაკაცს. რუსი გრაფი მას ფლობდა ან როგორც საყვარელი, ან როგორც ქმარი. ცხოვრებაში კიდევ ექნება ცთუნება! ლოდინია საჭირო». ეს ქალი, რომელიც არც სათნოიანი იყო და არც ცოდვილი, კაცობრიობიდან დაშორებით ცხოვრობდა, თავის განსაკუთრებულ სფეროში, ჯოჯოხეთსა თუ სამოთხეში. ეს დედაკაცური მისტერია, ქიშმირსა და ნაქარგში გახვეული, ჩემს გულში ყველა ადამიანურ გრძნობას ათამაშებდა, ქედმაღლობას, პატივმოყვარეობას, სიყვარულს, ცნობისმოყვარეობას.

მოდის ჟინისა თუ ორიგინალობის სიყვარულის ზეგავლენით საყოველთაო გატაცებად გადაიქცა ერთ პატარა თეატრში სიარული ბულვარზე. თეოდორამ იქ წასვლა მოისურვა, რათა რომელიღაც შეპუდრული მსახიობი ენახა, და მე პატივი დამდო, მისი თანმხლები ვყოფილიყავი რაღაც უშნო ფარსის პირველ წარმოდგენაზე. ლოჟა ასიოდე სუ ღირდა, მაგრამ მე არც ეს მცირედი თანხა მქონდა. რადგან მემუარების ნახევარი ტომი ჯერ კიდევ დასაწერი მქონდა, ვერ ვბედავდი ფინოსთან წასვლას დახმარების სათხოვნელად, ჩემი მფარველი რასტინიაკი კი პარიზში არ იყო. ეს მუდმივ შეჭირვებული მდგომარეობა სიცოცხლეს მიწამლავდა. ერთხელ იტალიელთა თეატრიდან გამოსვლის დროს თეოდორამ ჩემთვის ეტლს დააძახებინა, მე ვერ მოვახერხე გავთავისუფლებულიყავი ამ საპარადო თავაზიანობისაგან: წვიმის სიყვარულიც კი მოვიმიზეზე, ქაღალდის სათამაშოდ წასვლის სურვილიც, მაგრამ არაფერმა გასჭრა. ის ჩემს უფულობას ვერ გრძნობდა ვერც ჩემს შეშფოთებაში, ვერც ჩემს სევდიან ხუმრობაში. გზაზე ყოველი ბორბლის შემოტრიალებაზე გული მეწვოდა. ვსინჯე ეტლში ქვემო ფიცრის აგლეჯა; ხომ არ შეიძლება, რომ როგორმე ქვაფენილზე გავძვრე-მეთქი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, და ჯერ სიცილი ამიტყდა გიჟივით, ხოლო შემდეგ პირქუში და უაზროდ წყნარი გავხდი ჯაჭვზე დაბმული ადამიანივით. შინ მისვლისთანავე ვერც კი მოვასწარი ორიოდე სიტყვის წალუღლუღება, პოლინამ მკითხა:

_ შეიძლება ხურდა ფული არა გაქვთ?..

აჰ, როსინის მუსიკა არაფერი იყო ამ სიტყვებთან შედარებით. მაგრამ დავუბრუნდეთ ბულვარის თეატრს, რათა იქ გრაფის მეუღლეს გავყოლოდი. გადავწყვიტე, დედაჩემის სურათის ოქროს ჩარჩო დამეგირავებინა. თუმცა, ლომბარდი ყოველთვის საკატორღო ციხის კარებივით მქონდა წარმოდგენილი. მაგრამ ფულის სესხებას მაინც იქ წასვლა მერჩია. იმ ადამიანის შემოხედვა, რომელსაც ფულს სთხოვ, დიდ გულისტკივილს იწვევს.

პოლინა მუშაობდა, მისი დედა დაწოლილიყო. ფარდა ოდნავ აწეული იყო. საწოლს შევხედე და გავიფიქრე, ქალბატონი გოდენი ღრმა ძილშია-მეთქი: ჩრდილში ბალიშზე გარკვევით ჩანდა მისი მშვიდი, ყვითელი პროფილი.

_ ხომ არაფერი გაწუხებთ? _ მკითხა პოლინამ და თავისი ფუნჯი დასდო გასაფერადებელ მატერიაზე.

_ ჩემო პატარა მეგობარო, თქვენ შეგიძლიათ დიდი სამსახური გამიწიოთ, _ ვუპასუხე მე.

სახეზე ისეთი ბედნიერება აღებეჭდა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ხომ არ ვუყვარვარ? _ გავიფიქრე. _ პოლინა! _ მივმართე ხელახლა და გვერდით დავუჯექი, რათა უკეთ დავკვირვებოდი. მან გაიგო ჩემი გულისნადები და თვალები დახარა. მისი სახის გამომეტყველება იმდენად გულუბრყვილო და უმწიკვლო იყო, რომ მეგონა, მის გულშიც ისევე ადვილად შემიძლია წავიკითხო, როგორც საკუთარში-მეთქი.

_ გიყვარვართ? _ ვკითხე მე.

_ ცოტათი... ვნებიანად... სრულიადაც არა! _ წამოიძახა მან.

მას არ ვუყვარდი. მისი დამცინავი ტონი და კოხტა მიმოხრა მხოლოდ ახალგაზრდა ქალის ცელქობას მოწმობდა. მე ჩემი სასოწარკვეთილი მდგომარეობა დავუხატე და ვთხოვე, დამხმარებოდა.

_ როგორ, ბატონო რაფაელ, თქვენ არ გინდათ ლომბარდში წახვიდეთ და მე მგზავნით?

მე გამაწითლა ამ ბავშვის ლოგიკამ. მაშინ მან ხელში ხელი ჩამჭიდა, თითქოს უნდოდა ალერსით გამოესყიდა ამ წამოძახებით გამოწვეული წყენა.

_ ოჰ, მე სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ ეს საჭირო არაა. ამ დილით პიანინოს უკან ორი ხუთფრანკიანი აღმოვაჩინე, ისინი კედელსა და ინსტრუმენტს შორის ჩავარდნილიყვნენ; თქვენს მაგიდაზე დავდე.

_ თქვენ ჩქარა ფული უნდა მიიღოთ, ბატონო რაფაელ, _ მითხრა დედამ და თავი წამოჰყო ლოგინიდან, _ მანამდე მე შემიძლია რამდენიმე ეკიუ გასესხოთ.

_ ოჰ, პოლინა, _ წამოვიძახე და ხელი მოვუჭირე, _ ნეტავი მდიდარი ვყოფილიყავი.

_ აჰ, რისთვის? _ მკითხა მან ცელქური გამომეტყველებით.

მისი ხელი თრთოდა ჩემს ხელში და თითქოს ჩემი გულის ძგერას ეგუებოდა; უცებ ხელი წამართვა და ჩემს თითებს დააცქერდა.

_ თქვენ მდიდარ ქალს შეირთავთ, _ მითხრა მან, _ მაგრამ იგი მრავალ მწუხარებას მოგაყენებთ... აჰ, ღმერთო ჩემო, _ მის წამოძახილში იგრძნობოდა რწმენა დედამისის უაზრო ცრუმორწმუნეობისადმი _ იგი მოგკლავთ!.. ამაში დარწმუნებული ვარ.

_ თქვენ ცრუმორწმუნე ხართ, პოლინა!

_ ოჰ, ალბათ, _ მითხრა მან და შეძრწუნებულმა შემხედა. _ ქალი, რომელსაც თქვენ შეიყვარებთ, მოგკლავთ.

ფუნჯს ხელი მოკიდა, საღებავს წაუსვა და ამ მოძრაობაში მთელი თავისი სულიერი მღელვარება გამოამჟღავნა. იმ წუთში მინდოდა ქიმერები მწამებოდა. ადამიანი სავსებით უბედური არაა, როცა ცრუმორწმუნეა: ცრუმორწმუნეობა ხშირად იმედებს აღვიძებს.

ჩემს ოთახში შესვლისთანავე ორი კეთილშობილი ხუთფრანკიანი დავინახე. მათი აღმოჩენა ჩემთვის აუხსნელი იყო. მეორე დილით პოლინა სწორედ იმ დროს შემოვიდა, როცა ლოჟის დასაქირავებლად ვაპირებდი წასვლას.

_ შეიძლება ათი ფრანკი არ გეყოთ, _ მითხრა მან და სახე შეუფარკლდა: _ დედაჩემმა დამავალა, ეს ფული შემოგთავაზოთ...

მაგიდაზე სამი ხუთფრანკიანი დადო და წასვლა დააპირა, მაგრამ შევაჩერე.

_ პოლინა, თქვენ ანგელოზი ხართ! ეს სესხი ნაკლებ მაღელვებს, ვიდრე კდემამოსილება, რომლითაც თქვენ მას მთავაზობთ. წინათ ვნატრობდი მდიდარი, კეკლუცი, კეთილშობილი ქალი შემერთო; ახლა მე მინდა მილიონები მქონდეს და ახალგაზრდა ღარიბი ქალი შემხვდეს, რომელსაც თქვენსავით მდიდარი გული ექნება; მაშინ უარს ვიტყვი საბედისწერო და მომაკვდინებელ ვნებათაღელვაზე. შეიძლება თქვენი წინასწარმეტყველება მართალი იყოს.

_ კმარა! _ მითხრა მან და გარეთ გავარდა. მისი ბულბულისებური ხმა, მისი რაკრაკი კიბეზე გაისმა.

რა ბედნიერია, რომ ჯერ კიდევ არ უყვარს! _ გავიფიქრე მე, როცა ის წამება წარმოვიდგინე, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში განვიცდიდი.

პოლინას თხუთმეტი ფრანკი ჩემთვის ძვირფასი აღმოჩნდა. თეოდორამ გაიფიქრა, თეატრის დარბაზში, სადაც რამდენიმე საათი უნდა გაგვეტარებინა, ცუდი ჰაერი იქნებაო და თაიგული ინატრა: ერთსა და იმავე დროს სინდისის ქენჯნას და სიამოვნებას განვიცდიდი, როცა თაიგული მივართვი. მისმა ფასმა გამიმხილა, რა ძვირად გვიჯდება ეს ზერელე თავაზიანობა, რომელიც მიღებულია მაღალ საზოგადოებაში. მალე მას მოსწყინდა მექსიკური ჟასმინის ცოტა არ იყოს მძაფრი სუნი, აღარც დარბაზი მოსწონდა, აღარც ჩვენი სკამები. მისაყვედურა, აქ რად მომიყვანეთო. თუმცა ჩემს გვერდით იყო, წასვლა მოინდომა; წავიდა კიდეც. უქმად ჩამიარა უძილო ღამეებმა, ორი თვის არსებობის განიავებამ; თავი მაინც ვერ მოვაწონე! არასოდეს ეს დემონი არც უფრო სანდომიანი არ ყოფილა, არც უფრო უგრძნობი. გზაზე, როცა მის გვერდით ვიწრო ეტლში ვიჯექი, მის სუნთქვას ვისუნთქავდი, მის სურნელოვან ხელთათმანს ვეხებოდი, მისი მშვენიერების საგანძურს ვხედავდი, ირისივით ტკბილ ფშვინვას ვგრძნობდი; იგი მთლად ქალი იყო და იმავე დროს თითქოს ქალიც არ იყო.

ისეთი ქალი, როგორიცაა თეოდორა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ჩემი ასაკის მამაკაცის სიყვარულს, თავს ვერ დაიცავს ანთებული სულის სიცხოველისაგან, თუ მას რაიმე საიდუმლოება არ იცავს! _ ვფიქრობდი მე, როცა შინ ვბრუნდებოდი. _ შეიძლება, ლედი დელაკურივით მას კიბოს ავადმყოფობა ღრღნის? რასაკვირველია, მისი ცხოვრება ხელოვნურია.

ამ აზრის გავლებისთანავე ტანში ჟრუანტელმა დამიარა, შემდეგ ახირებული და ამასთანავე გონიერი პროექტი შევადგინე: რათა ამ ქალის სხეულიც ისე კარგად შემესწავლა, როგორც მისი სული მქონდა შესწავლილი, რათა იგი სავსებით გამეცნო, გადავწყვიტე ერთი ღამე გამეტარებინა მის ოთახში ისე, რომ მას ეს არ სცოდნოდა. და აი, როგორ შევასრულე ეს განზრახვა, რომელიც მე სულს მიღრღნიდა, როგორც სისხლისაღების წყურვილი ღრღნის კორსიკელი ბერის სულს. დარბაზობის დღეს თეოდორასთან იმდენი სტუმარი იყრიდა თავს, რომ კარის მცველისთვის შეუძლებელი იყო შემსვლელ-გამსვლელთა ზედმიწევნით აღრიცხვა. დარწმუნებული ვიყავი, შევძლებ შეუმჩნევლად დავრჩე თეოდორას სახლში-მეთქი და მოუთმენლად ველოდი უახლოესი დარბაზობის დღეს. როცა ამ დღემ მოაღწია, ტანთ ჩავიცვი და, ხანჯლის უქონლობის გამო, ჯიბეში ინგლისური კალმის დანა ჩავიდე. თუნდ ჩემთვის ეს სალიტერატურო იარაღი ეპოვათ, ეჭვს არ აიღებდნენ, მე კი არ მინდოდა სრულიად შეუიარაღებელი ვყოფილიყავი, რადგან არ ვიცოდი, სად მიმიყვანდა ჩემი რომანტიკული გადაწყვეტილება.

როცა სასტუმრო ოთახები ხალხით გაიჭედა, დასაძინებელ ოთახში შევედი, რათა იქ ყოველივე გამომეკვლია. ჟალუზები და დარაბები დახურული იყო: ეს ბედნიერ ნიშნად მივიჩნიე. რადგან შეიძლებოდა ფარდების ჩამოსაშვებად მსახური ქალი შემოსულიყო, თვით ჩამოვუშვი ისინი. შუაღამისას ფანჯრის ნიშში დავიმალე, რათა ჩემი ფეხები არ გამოჩენილიყო, ვცადე რაფაზე ჩამოვმჯდარიყავი და ფანჯრის ურდულს ჩავჭიდებოდი. რაკი ჩემი წონასწორობა და დასაყრდენი წერტილი შევისწავლე, რაკი მანძილი, რომელიც ფარდისაგან მყოფდა, გავზომე, ჩემი მდგომარეობის სიძნელეს შევეთვისე ისე, რომ შემეძლო შეუმჩნევლად დავრჩენილიყავი, თუ ცახცახი, ხველა ან ცხვირის დაცემინება არ გამცემდა. რათა თავი არ დამექანცა უსარგებლოდ, ფეხზე ვიდექი იმ კრიტიკული წუთის მოლოდინში, როცა ზევით უნდა ჩამოვკიდებულიყავი, როგორც ობობა ჰკიდია თავის ქსელში. თეთრი მუარის და მუსლინის ფარდებში დანით საჭვრეტები გავაკეთე, იქიდან, როგორც სათოფურებიდან, შემეძლო ყოველივე კარგად დამენახა. დარბაზებიდან გაურკვევლად ისმოდა სტუმრების ლაპარაკი და სიცილი. შემდეგ ხუმრობა თანდათან მინელდა. რამდენიმე მამაკაცი დასაძინებელ ოთახშიც შემოვიდა: მათი ქუდები ზარდახშაზე ეწყო. ცივი ოფლი მასხამდა, როცა ისინი ფარდებს ეხებოდნენ, მეშინოდა, ნაჩქარევი ძებნის დროს აქაც არ შემოიხედონ-მეთქი. უკანასკნელი ქუდი თეოდორას ბებერმა თაყვანისმცემელმა წაიღო. მას ეგონა, მარტო ვარო, და როცა ქალის საწოლს გადახედა, ღრმად ამოიოხრა და რაღაც წამოიძახა საკმაოდ ენერგიულად. გრაფის მეუღლესთან მეზობელ ოთახში არავინ დარჩენილა, გარდა უახლოესი ხუთი-ექვსი მეგობრისა, რომელთაც მან ჩაი შესთავაზა. აქ ცილისწამება, რომლისთვისაც თანამედროვე საზოგადოებას შენარჩუნებული აქვს თავისი რწმენის პატარა ნაშთი, აირია ეპიგრამებსა, გონებამახვილ მსჯელობასა და ფინჯნებისა და კოვზების წკარუნში. რასტინიაკი არ ზოგავდა ჩემს მოქიშპეებს და ხარხარს იწვევდა გესლიანი დაცინვით.

_ ბატონი რასტინიაკი ისეთი მამაკაცია, რომელთანაც არ ღირს წაჩხუბება, _ თქვა თეოდორამ.

_ ოღონდაც, _ უპასუხა რასტინიაკმა გულუბრყვილოდ. _ მე ყოველთვის მართალი ვარ ჩემს სიძულვილსა და ჩემს სიყვარულში. მტრები, შეიძლება, ისეთსავე სამსახურს მიწევენ, როგორსაც მეგობრები. მე საგანგებოდ შევისწავლე თანამედროვე ენა და ბუნებრივი ოინები, რომელსაც ადამიანები თავდასხმისა და თავდაცვისთვის ხმარობენ. თუ რომელიმე თქვენი მეგობარი უჭკუოა, თქვენ მის პატიოსნებასა და გულწრფელობაზე ლაპარაკობთ. თუ მან ძნელად მოსანელებელი წიგნი დაწერა, თქვენ მის იდეებს აქებთ. ამა

თუ იმ კაცს არც რწმენა აქვს, არც სიმტკიცე, იგი ხელიდან გისხლტებათ ყოველ წუთში: ვაჰ, მერე რა? სამაგიეროდ, ის საუცხოოა, მომხიბლავია; თუ, პირიქით, საკითხი თქვენს მტერს ეხება, თქვენ მის ჩაქოლვას მოისურვებთ: უკუღმა გადაატრიალებთ თქვენი ენის ყველა ტერმინს და ისეთსავე თვალის სიმახვილეს გამოიჩენთ მათი ნაკლის აღმოჩენაში, როგორც თქვენი მეგობრების სათნოების აღმოჩენაში იჩენდით. ლორნეტის გამოყენება მორალური ცქერის დროს დარბაისლური ყოფაქცევის საიდუმლოებას წარმოადგენს. თუ ის არა გაქვთ, სალონში ისევე უმწეო იქნებით, როგორც უიარაღო ადამიანები რკინაში ჩამჯდარი რაინდების წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, მე მას ვხმარობ, ხშირად ბოროტადაც ვიყენებ. ამიტომ, მეც და ჩემს მეგობრებსაც პატივს გვცემენ; ესეცაა, რომ ჩემი დაშნა არ ჩამორჩება ჩემს ენას.

თეოდორას ერთმა ყველაზე უფრო ანთებულმა თაყვანისმცემელმა, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი თავხედობით, რისი შემწეობითაც ის წინ წაწევას ლამობდა, აიღო რასტინიაკის მიერ ათვალისწუნებულად გადაგდებული ხელთათმანი. მან დაიწყო ჩემი ნიჭისა და ჩემი პიროვნების უზომოდ შექება. ავყიაობის ეს ჟანრი რასტინიაკს მხედველობიდან გაეპარა. ამ გესლიანმა ხოტბამ მოატყუა თეოდორა, რომელმაც მე შეუბრალებლად გამწირა; თავისი მეგობრების გასართობად მან ჩემი საიდუმლოებანი, პრეტენზიები და იმედებიც კი გამოამჟღავნა.

_ მას კარგი მომავალი აქვს, _ თქვა რასტინიაკმა. _ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სასტიკად იძიოს შური; მისი ნიჭი, ყოველ შემთხვევაში, ის ვაჟკაცობას უდრის; ამიტომ მე გამბედავად მიმაჩნია ის ადამიანები, რომელნიც მას თავს ესხმიან; მას კარგი მახსოვრობა აქვს.

_ მემუარებსაც წერს, _ დაუმატა გრაფის მეუღლემ: მასაც, ეტყობოდა, არ მოსწონდა დუმილი, რომელიც დამყარდა.

_ ყალბი გრაფის მეუღლის მემუარებს, ქალბატონო, _ უპასუხა რასტინიაკმა. _ მათ დასაწერად კიდევ სხვაგვარი ვაჟკაცობაა საჭირო.

_ მე მწამს მისი ვაჟკაცობა, _ უპასუხა ქალმა, _ იგი ჩემი ერთგულია.

მე მტანჯავდა მძაფრი სურვილი, უცებ მოვჩვენებოდი ამ დამცინავებს, როგორც ბანქოს აჩრდილი* «მაკბეტში». სატრფოს ვკარგავდი, სამაგიეროდ, მეგობარი მრჩებოდა! მაგრამ სიყვარულმა მოულოდნელად ერთი ის მდაბალი და თვალთმაქცური პარადოქსი ჩამაგონა, რომლითაც იგი აძინებს ყველა ჩვენს გულისტკივილს.

თუ თეოდორას ვუყვარვარ, _ გავიფიქრე მე, _ განა მან თავისი გრძნობა ბოროტი ხუმრობით არ უნდა დამალოს? განა ხშირად გული არ უარყოფს პირით წარმოთქმულ ტყუილს?

ბოლოს, ჩემმა თავხედმა მოქიშპემაც, რომელიც მარტოდმარტო დარჩა თეოდორასთან, წასვლა დააპირა.

_ როგორ, უკვე მიდიხართ? _ ჰკითხა ქალმა ალერსიანი ხმით, რომელმაც ჩემში ჟრუანტელი გამოიწვია. _ კიდევ ერთ წუთს არ მაჩუქებთ? ჩემთვის მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი? არ შეგიძლიათ, ცოტა ხნით მაინც გამართოთ?

ვაჟი წავიდა.

_ აჰ, _ წამოიძახა ქალმა მთქნარებით, _ ყველანი საკმაოდ მოსაწყენნი არიან!

მან ღონივრად ჩამოსწია ზარის ზონარი და მთელ სახლში წკრიალი გაისმა. შემდეგ თავის ოთახში შევიდა; დაბალი ხმით დაღიღინებდა: «Pria che spunti».* არასოდეს არავის არ მოუსმენია მისი სიმღერა და ამ გარემოებას ახირებულად ხსნიდნენ. ამბობდნენ, თავის პირველ მიჯნურს, რომელიც მოჯადოებული იყო მისი ნიჭით და საფლავშიც კი ეჭვიანობდაო, მან აღუთქვა, არავის ვაგემებინებ იმ ნეტარებას, რაც შენ განიცადეო. მთელი ჩემი სულიერი ძალა მოვიკრიბე, რათა ხმები შემესუნთქა. თანდათან ხმას უმატა, თითქოს უფრო და უფრო შთაგონებული გახდა, მისი ყელის სიმდიდრე გაიშალა და ამ მელოდიამ რაღაც ღვთაებრივი ხასიათი მიიღო. მის ხმაში იყო რაღაც ცხოველი სინათლე, სწორი ტონი და რაღაც ჰარმონიული და მთრთოლვარე, რაც ადამიანს გულში წვდებოდა, მას აღელვებდა და ეალერსებოდა. მუსიკალური ქალები თითქმის ყოველთვის შეყვარებულნი არიან. ეს ქალი ისე მშვენივრად მღეროდა, რომ მას სიყვარულიც კარგად უნდა სცოდნოდა. ამ ხმის სილამაზე კიდევ ერთ ზედმეტ საიდუმლოებას წარმოადგენდა ამ ქალში, რომელიც ისედაც საიდუმლოებით იყო აღსავსე. თითქოს თავის თავს ყურს უგდებდა, თითქოს რაღაც თავისებურ ვნებათაღელვას გრძნობდა. როდესაც რონდოს მთავარი მოტივი დაასრულა, ბუხართან მივიდა, მაგრამ დადუმებისთანავე სახე შეეცვალა და დაღლილობა დაეტყო. მან მოიხადა თავისი ნიღაბი, მსახიობის როლი დასრულებული იყო; მაგრამ იმ თავისებურ დაჭკნობაშიც, რომელიც მის სილამაზეზე ხელოვანის მეცადინეობას თუ დაღლილობას დაეჭდო, რაღაც მომხიბლაობა იყო.

_ აი, როგორია იგი ნამდვილად, _ გავიფიქრე.

მან, თითქოს გათბობა სდომებოდეს, ფეხი მიადო ბუხრის ბრინჯაოს ლატანს, ხელთათმანი წაიძრო, სამაჯურები გაიხსნა და ოქროს ჯაჭვი მოიხადა. ამ ჯაჭვზე თვალ-

მარგალიტით მოჭედილი კოლოფი ეკიდა სუნამოსთვის. ენით გამოუთქმელ სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა მის მოძრაობას ვუცქერდი, ისეთსავე მოხდენილს, როგორიც კატას აქვს, რომელიც პირს იბანს მზეზე. სარკეში ჩაიხედა და ხმამაღლა თქვა უკმაყოფილო ტონით:

_ ამ საღამოს ლამაზი არ ვიყავი... ჩემი კანი საშინელი სისწრაფით კარგავს ფერს... შეიძლება, საჭიროა უფრო ადრე დაწოლას შევეჩვიო და უარი ვთქვა ამ გაფანტულ ცხოვრებაზე... მაგრამ ჟიუსტინა სასაცილოდ ხომ არ მიგდებს?

ხელახლა დარეკა. მოსამსახურე ქალმა მოირბინა. სად ჰქონდა მას ბინა? არ ვიცი. ოთახში ფარული კიბით შემოვიდა. ცნობისმოყვარეობით ვუცქერდი. ჩემი პოეტური ფანტაზია ხშირად ბრალს სდებდა ამ უჩინარ, მაღალი ტანის, შავგვრემან, მოხდენილ მსახურ ქალს.

_ თქვენ დარეკეთ, ქალბატონო?

_ ორჯერ! ყურს ხომ არ დაგაკლდა?

_ თქვენთვის ნუშის რძეს ვამზადებდი, ქალბატონო. ჟიუსტინამ დაიჩოქა და მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი გახადა თავის ქალბატონს, რომელიც უდარდელად დაეშვა სავარძელში ბუხრის წინ და თმაზე ხელი გადაისვა მთქნარებით. ყოველი მისი მოძრაობა სრულიად ბუნებრივი იყო, არავითარი ნიშანი არ ამჟღავნებდა ჩემს მიერ ნაგულისხმევ ფარულ ტანჯვას და ვნებათაღელვას.

_ ჟორჟი შეყვარებულია, _ თქვა მან, _ უნდა დავითხოვო. ჯერ კიდევ ფარდები არ ჩამოუშვია ამ საღამოს? რას ფიქრობს?

ამ სიტყვების გაგონებაზე სისხლი გამეყინა ძარღვებში, მაგრამ შემდეგ ლაპარაკი აღარ ყოფილა ფარდებზე.

_ ცხოვრება უშინაარსოა, _ განაგრძო გრაფის მეუღლემ. _ ფრთხილად იყავი, გუშინდელივით არ გამფხაჭნო. უყურე, _ თქვა მან და ატლასისებური მუხლი უჩვენა, _ შენი ფრჩხილების კვალი კიდევ ატყვია.

ტიტველი ფეხები გედის ბუმბულიან ხავერდის მაშიებში ჩასდგა და ტანისამოსი გაიხსნა, ჟიუსტინამ კი სავარცხელი აიღო, რათა მისთვის თმა დაევარცხნა.

_ თქვენ უნდა გათხოვდეთ, ქალბატონო, ბავშვები იყოლიოთ.

_ ბავშვები! ესღა მაკლია. ქმარი! ვინ არის მამაკაცი, რომელსაც მე?... კარგად მქონდა თუ არა დავარცხნილი თმა ამ საღამოს?

_ არც ისე.

_ სულელი ხარ.

_ დახუჭუჭებული თმა როდი გიხდებათ. გირჩევნიათ მსხვილი, სადა კულულები გაიკეთოთ.

_ მართლა?

_ ჰო, ქალბატონო: დახუჭუჭებული თმა მხოლოდ ქერა ქალებს უხდება.

_ გავთხოვდე? არა, არა! ქორწინება ისეთი აღებ-მიცემობაა, რომლისთვისაც მე არ გამოვდგები.

რა საშინელი სცენა იყო შეყვარებულისათვის! ეს ქალი განმარტოებული იყო, ნათესავებს, მეგობრებს მოკლებული. იგი ათეისტი იყო სიყვარულში, არავითარი გრძნობა არ სწამდა; და თუმცა მას სუსტად ჰქონდა განვითარებული მეგობრული გულახდილობის მოთხოვნილება, რომელიც ბუნებრივია ყოველი ადამიანური არსებისათვის, მაგრამ იქამდე მივიდა, რომ ამ მოთხოვნილებას თავის მსახურთან იკმაყოფილებდა და მას მშრალ და უშინაარსო სიტყვებს ეუბნებოდა!.. შემებრალა. ჟიუსტინამ საკინძეები და ზონრები შეუხსნა. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი, როცა უკანასკნელი საბურველი გახადა. მისმა ქალწულებრივმა გულმკერდმა თვალი მომჭრა; გამჭვირვალე პერანგში სანთლების ციმციმზე მისი თეთრი და ვარდისფერი სხეული ვერცხლის ქანდაკებასავით აციაგდა. არა, მას ისეთი ნაკლი არ ჰქონდა, რომელიც დასამალი იყო მიჯნურის თვალებისათვის. ეჰ, მშვენიერი ტანი ყოველთვის გაიმარჯვებს თვით უძლიერეს გმირულ ზრახვებზე. ქალბატონი ცეცხლის პირას დაჯდა, მდუმარე და ჩაფიქრებული, მსახურმა კი სანთელი აანთო ალებასტრის სანათურში, რომელიც საწოლთან იყო ჩამოკიდებული. ჟიუსტინამ ლოგინი გაშალა, თავის ქალბატონს დაეხმარა დაწოლილიყო და ოთახიდან გავიდა. თეოდორა რამდენჯერმე გადატრიალდა ლოგინში; მის ტუჩებს ოდნავ გასაგონი ხმაური მოსწყდა, ეტყობოდა მოუსვენრად იყო; მაგიდისაკენ ხელი გაიშვირა, პატარა შუშა აიღო, რძეში ხუთიოდე წვეთი წამალი ჩაასხა და დალია, ბოლოს რამდენიმეჯერ მწარედ ამოიოხრა და წამოიძახა:

_ ღმერთო ჩემო!

ამ წამოძახილმა გული დამისერა. ვერც კი შევამჩნიე, როგორ ჩაიძინა თეოდორამ. მე შემეშინდა; მაგრამ ჩქარა მძინარე ადამიანის თანაბარი და ძლიერი სუნთქვა მომესმა. შრიალა აბრეშუმის ფარდები გადავწიე, მის საწოლთან დავდექი და გარუკვეველი გრძნობით დავაცქერდი. იგი მომხიბლავი იყო. ხელი თავქვეშ შემოედო ბავშვივით; მისმა წყნარმა, მშვენიერმა წყალჯავარიანმა სახემ, რომელიც მაქმანებში იყო ჩაფლული, ამანთო. იძულებული გავხდი ის წამება ამეტანა, რომელიც თვით განვუმზადე ჩემს თავს. «ღმერთო

ჩემო!» უცნობი აზრის ამ ნაფლეთმა ანაზდეულად სრულიად შესცვალა ჩემი აზრი თეოდორაზე. როცა ამ მშვენიერ სახეს ვუცქეროდი, წყნარსა და უმწიკვლოს, შეუძლებელი იყო უგულო არსებად მიმეჩნია მისი პატრონი. გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მეცადა ბედი. გავიფიქრე, შეიძლება თუ ჩემს თავგადასავალს, ჩემს სიყვარულს, ჩემს თავგანწირვას ვუამბობ, მისი გული მოვალბო-მეთქი.

უცებ ქუჩის ახმაურებამ გათენება მაუწყა. ერთი წუთით წარმოვიდგინე თითქო თეოდორა ჩემს მკლავებზე იღვიძებს. გავიფიქრე, წყნარად შემიძლია მის გვერდით დავწვე და მოვეხვიო-მეთქი. ამ აზრმა ისე დამიმორჩილა, რომ რათა წინააღმდეგობა გამეწია, სასტუმრო ოთახისკენ გავიქეცი, ბედნიერად მივაღწიე ფარულ კარს, რომელიც ვიწრო კიბეზე გადიოდა. გასაღები კლიტის ღრულში აღმოჩნდა. კარი გავაღე, ეზოში ჩავირბინე ისე, რომ ყურადღება არ მიმიქცევია, დაინახა თუ არა ვინმემ, და რამდენიმე ნახტომის შემდეგ ქუჩაში ამოვყავი თავი.

ორიოდე დღის შემდეგ ერთ მწერალს თავისი კომედია უნდა წაკითხა თეოდორას სახლში; მე იქ წავედი, რათა სტუმრების შემდეგ დავრჩენილიყავი და გრაფის მეუღლისათვის ახირებული რამ მეთხოვა: ხვალინდელი საღამო მაჩუქე ისე, რომ თქვენი სახლის კარები დაკეტილი იყოს სხვებისათვის-მეთქი. როცა მასთან მარტოდმარტო დავრჩი, გული კინაღამ შემიღონდა. უკვე შუაღამე ახლოვდებოდა.

თუ სათქმელი ვერ ვუთხარი, ბუხარს თავი უნდა მივახეთქო, _ ვფიქრობდი, _ მაგრამ კიდევ სამ წუთს დავიცდი. სამმა წუთმაც განვლო, მაგრამ თავი არ გამიხეთქია მარმარილოზე. ჩემი გული დამძიმებული იყო, როგორც წყლით გაჟღენთილი ღრუბელი.

_ თქვენ მეტად თავაზიანი ხართ, _ მითხრა მან.

_ აჰ, თქვენ რომ ჩემი გაგება შეგეძლოთ! _ წამოვიძახე.

_ რა მოგდით? _ მკითხა მან, _ თქვენ ფერწასული ხართ.

_ მეშინია მოწყალება გთხოვოთ.

ხელის მოძრაობით გამამხნევა და მე პაემანის დანიშვნა ვთხოვე.

_ სიამოვნებით, _ მიპასუხა მან, _ მაგრამ რატომ სათქმელს ახლავე არ მეტყვით?

_ რათა თქვენ არ მოგატყუოთ, ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი დაგანახოთ რა დიდია თქვენი თავაზიანობა; მე მსურს ეს საღამო თქვენს მახლობლად გავატარო, თითქო ჩვენ და-ძმა ვიყოთ. ნუ გეშინიათ, ჩემთვის ცნობილია თქვენი ანტიპათიები. თქვენ მე კარგად მიცნობთ და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენგან არაფერს ისეთს არ მოვითხოვ, რაც თქვენ არ გესიამოვნებათ; ესეც არ იყოს, თავხედი ადამიანები ასე არ

იქცევიან. თქვენ მე თქვენი მეგობრობა დამიმტკიცეთ. თქვენ გულკეთილი, შემწყნარებელი ხართ. მაშ იცოდეთ, რომ ხვალ გამოგემშვიდობებით... უკან ნუ წაიღებთ თქვენს სიტყვას, _ წამოვიძახე მე, როცა შევამჩნიე, რომ ის დალაპარაკებას აპირებდა, და გარეთ გამოვედი.

ეს იყო ამ წლის მაისში, საღამოს რვა საათზე, როცა გოთურ ბუდუარში აღმოვჩნდი მარტომარტო თეოდორასთან. აღარ ვთრთოდი, დარწმუნებული ვიყავი ან ბედნიერება მომელის და ჩემი სატრფო ჩემი გახდება, ან მე თავშესაფარს ვპოვებ სიკვდილის მკლავებზე-მეთქი. ლურჯი ქიშმირის კაბაში გამოწყობილი თეოდორა დივანზე იყო წამოწოლილი, ფეხები ბალიშზე ეწყო. აღმოსავლური ქუდი, როგორსაც მხატვრები უძველესი დროის ებრაელებს ახურავენ ხოლმე, კიდევ უფრო აძლიერებდა მის მომხიბლაობას. მისი ცვალებადი სახე თითქო ამტკიცებდა, რომ ჩვენ ყოველ წუთში ახალი არსებანი ვართ, განუმეორებელნი, განსხვავებულნი ჩვენი წარსული და ჩვენი მომავალი მესაგან.

_ იცით, რა, _ მითხრა მან სიცილით, _ თქვენ ჩემი ცნობისმოყვარეობა გააღიზიანეთ.

_ და მე მას არ მოვატყუებ! _ ცივად ვუპასუხე და ხელში ხელი მოვკიდე; მას წინააღმდეგობა არ გაუწევია. _ თქვენ მშვენიერი ხმა გაქვთ!

_ თქვენ ის არასოდეს არ მოგისმენიათ, _ წამოიძახა მან აშკარა გაოცებით.

_ თუ საჭირო გახდა, საწინააღმდეგოს დაგიმტკიცებთ. თქვენი საუცხოო სიმღერა საიდუმლოებად უნდა დარჩეს? ნუ გეშინიათ, მე არ ვაპირებ მის გამხელას.

თითქმის ერთი საათი გავატარეთ მეგობრულ საუბარში. თუმცა მე იმ ადამიანის ტონი და მიხრა-მოხრა მივიღე, რომელსაც თეოდორა არაფერზე უარს არ ეტყოდა, მაგრამ ამასთანავე მიჯნურის მოკრძალებაც შევინარჩუნე. ამ ხუმრობაში ნება დამრთო ხელზე მეკოცნა; მან ხელთათმანი წაიძრო, ჩემი სული თითქოს დადნა ამ კოცნაში. თეოდორა სავსებით დანებდა ჩემს ალერსსა და ფერებას. მაგრამ გაუბედაობას ნუ დამაბრალებ: ერთი ნაბიჯით რომ გადამელახა ეს დაძმური ფერება, მაშინვე კატის კლანჭებს მაგრძნობინებდა. ათი წუთი უღრმეს დუმილში ვიყავი ჩაფლული. ამ დროს იგი ჩემი იყო, მარტო ჩემი... მე ვფლობდი ამ მომაჯადოებელ არსებას, მხოლოდ ისე, როგორც მისი ფლობა იყო ნებადართული, ე. ი. ინტუიციით. ჩემი სურვილების ქსელში ვხედავდი, რომ ჩემმა ოცნებამ მასთან შემაუღლა. წინათ ყოველთვის ვნანობდი, რომ ეს ქალი სავსებით ვერ დავიმორჩილე, მაგრამ ამ წუთში მისი სხეული როდი მსურდა; მე მინდოდა მისი სული, სიცოცხლე, ეს იდეალური და სრული ბედნიერება, მშვენიერი სიზმარი, რომელიც თვით არა გვწამს დიდი ხანია.

_ ქალბატონო, _ ვუთხარი ბოლოს, როცა ვიგრძენი, რომ სრულიად მთვრალი ვიყავი, _ მისმინეთ. მე თქვენ მიყვარხართ, თქვენ ეს იცით, ათასჯერ მითქვამს, თქვენ ჩემი უნდა გაგეგოთ. რამდენი უბედურება განმიცდია თქვენი გულისათვის, თუმცა ეს თქვენი ბრალი არ არის. არის ორნაირი სიდუხჭირე. ერთი ქუჩებში დადის ძონძებში, დიოგენის ამბავს იმეორებს შეუგნებლად, ცუდად იკვებება, მარტივ ცხოვრებას ატარებს; იგი შეიძლება უფრო ბედნიერი იყოს, ვიდრე სიმდიდრე, იგი ცოტას ჯერდება, ქვეყნიერებას პოულობს იქ, სადაც ყოვლისშემძლე ადამიანებს არაფრის დანახვა არ სურთ. მეორეა მდიდრული სიდუხჭირე, ესპანური სიღარიბე, რომელიც მათხოვრულ გარეგნობას მალავს თეთრ ჟილეტსა, ყვითელ ხელთათმანებში და ფრთიანი ქუდის ქვეშ. პირველნაირი სიღარიბე უბრალო ხალხში გვხვდება, მეორენაირი _ ოინბაზებსა, მეფეებსა და ნიჭიერ ადამიანებში. მე არც ხალხის შვილი ვარ, არც მეფე, არც ოინბაზი; შეიძლება არც ნიჭი მქონდეს: რაღაც გამონაკლისს წარმოვადგენ. ჩემი სახელი მიკარნახებს მოვკვდე, ვიდრე მათხოვრობას დავიწყებდე... გახსოვთ თუ არა ჟიმნაზის თეატრში რომ წახვედით უჩემოდ, გეგონათ არ მოვიდოდი?

თავი დამიქნია დასტურის ნიშნად.

_ უკანასკნელი ხუთი ფრანკი დავხარჯე, რათა იქ მოვსულიყავი თქვენ სანახავად... გახსოვთ თუ არა ჩვენი გასეირნება ბოტანიკურ ბაღში? თქვენმა ეტლმა მაშინ მთელი ჩემი ქონება წაიღო.

მე მას მოვუყევი ჩემი თავგანწირულების, ჩემი ცხოვრების ამბავი ისე კი არა, როგორც დღეს გიამბობ ღვინის ზეგავლენით, არამედ კეთილშობილი და შეზარხოშებული გულის კარნახით. ვნებათაღელვამ გადმოხეთქა ანთებულ სიტყვებში, გრძნობის ხვეულებში, რომელიც ახლა დავიწყებული მაქვს და ვერავითარი ხელოვნებით ვერ აღვადგენ. ჩემი სიტყვები უკანასკნელ ლოცვას ჰგავდა, რომელსაც მომაკვდავი მხედარი ამბობს ბრძოლის ველზე. ქალი ატირდა, მე დავდუმდი. ღმერთო ჩემო! მისი ცრემლები იმ ყალბი გრძნობის ნაყოფი იყო, რომელსაც ას სუდ ვყიდულობთ თეატრში; მე კარგი მსახიობის გამარჯვება მოვიპოვე.

_ რომ მცოდნოდა... _ მითხრა მან.

_ ნუ ლაპარაკობთ, _ წამოვიძახე მე, _ კიდევ იმდენად მიყვარხართ, რომ შემიძლია მოგკლათ...

მას უნდოდა ზონარი ჩამოეწია ზარის დასარეკად. მე გადავიხარხარე.

_ ნურავის დაუძახებთ. მე თქვენ მშვიდობიანად დაგამთავრებინებთ თქვენს სიცოცხლეს. ძალმომრეობისა ნუ გეშინიათ: მე მთელი ღამე გამიტარებია თქვენს საწოლთან.

_ რას ამბობთ!.. _ თქვა მან და სახე შეუფაკლდა.

მაგრამ ამ პირველი მოძრაობის შემდეგ, რომელიც გამოწვეული იყო მორცხვობის გრძნობით, დამახასიათებელით თვით უგრძნობი ქალისთვის, მან ზიზღით აღსავსე თვალები მომაპყრო და მითხრა:

_ ძალიან კი შეგცივდებოდათ!

_ ხომ არ გგონიათ, ქალბატონო, რომ თქვენი სილამაზე განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ჩემთვის? თქვენს სახეს მე ვუცქერი როგორც უფრო მშვენიერი სულის აღთქმას. ვიდრე თვით თქვენ ხართ. ეჰ, ქალბატონო, მამაკაცებს, რომელნიც ქალში მხოლოდ ქალს ხედავენ, ყოველ საღამოს შეუძლიათ ჰარამხანის ღირსი ოდალისკები* იყიდონ და იაფფასიანი ბედნიერება იგემონ... მე კი პატივმოყვარე ვარ, მე მინდოდა ჩემი გული თქვენს გულზე მიმეყრდნო; მაგრამ თქვენ გული არა გაქვთ, ეს ახლა კარგად ვიცი. მე მოვკლავდი მამაკაცს, რომელსაც თქვენ დანებდებოდით. მაგრამ არა, თქვენ იგი გეყვარებოდათ და მისი სიკვდილი დაგაღონებდათ... ოჰ, როგორ ვიტანჯები!

_ თუ ამ აღთქმას შეუძლია ნუგეში გცეთ, _ თქვა მან მხიარულად, _ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არავის დავნებდები...

_ ამით თქვენ ღმერთს შეურაცხყოფთ და სამაგიეროდ სასჯელს მიიღებთ. დაგიდგებათ დღე, როცა დივანზე იქნებით გართხმული, ვერც ხმაურს აიტანთ და ვერც სინათლეს, განწირული იქნებით, ერთგვარ საფლავში იცხოვრებთ და ენით გამოუთქმელ ტკივილებს იგრძნობთ. როცა ამ ნელი და აუტანელი ტანჯვის მიზეზს მოძებნით, გაიხსენეთ თქვენ მიერ უხვად გაბნეული უბედურებანი! რადგან ყველგან წყევლა-კრულვა დათესეთ, სიძულვილს მოიმკით. ჩვენ საკუთარი თავის მსაჯულები ვართ, იმ მართლმსაჯულების ჯალათები, რომელიც მეფობს ამქვეყნად და ადამიანების მართლმსაჯულებაზე მაღლა დგას, მაგრამ ღვთის მართლმსაჯულებაზე დაბლა.

_ აჰ, სიცილით თქვა მან, _ მე უეჭველად ბოროტმოქმედი ვარ, რომ თქვენ არ შემიყვარდით? განა ეს ჩემი შეცოდებაა? არა, მე თქვენ არ მიყვარხართ. თქვენ მამაკაცი ხართ და ეს საკმაოა. მე ბედნიერი ვარ მარტოობაში; ეგოისტური უწოდეთ ჩემს ცხოვრებას, მე მას მაინც არ დავუმორჩილებ ბატონის ჟინიანობას. ქორწინება საიდუმლოებაა, რომლის ძალითაც ჩვენ მხოლოდ ტანჯვას ვეუღლებით. ბავშვებიც მოსაწყენად მიმაჩნია. განა ჩემი

ხასიათი პატიოსნად წინდაწინვე არ გაგაცანით? რატომ ჩემს მეგობრობას არ დასჯერდით? დიდად ვწუხვარ, რომ დროზე ვერ მოვისაზრე თქვენი ხუთფრანკიანების დათვლა და ამით ზოგიერთი უსიამოვნება მოგაყენეთ. მე ვაფასებ თქვენი მსხვერპლის ზომას, მაგრამ თქვენი თავგანწირულების, თქვენი თავაზიანობის ანაზღაურება მხოლოდ სიყვარულით შეიძლება, მე კი ისე ნაკლებ მიყვარხართ, რომ ეს სცენა მხოლოდ არასასიამოვნო მღელვარებას იწვევს ჩემში.

_ მე ვგრძნობ, რა სასაცილო ვარ, მაპატიეთ, _ ვუთხარი მე ნაზად და თვალებიდან ცრემლები წამომცვივდა. _ ისე ძლიერ მიყვარხართ, რომ სიამოვნებით ვისმენ თქვენ მიერ წარმოთქმულ მკაცრ სიტყვებს. ოჰ, მე მინდა ჩემი სიყვარული მთელი ჩემი სისხლით დავადასტურო.

_ ყველა მამაკაცი ამ კლასიკურ სიტყვებს გვეუბნება, _ მითხრა მან სიცილით, _ მაგრამ, როგორც ჩანს, არც ისე ადვილია ჩვენს ფეხთ ქვეშ სიკვდილი; მე ყველგან ვხედავ, რომ ეს მიცვალებულნი ჯანსაღად არიან... უკვე შუაღამეა, ნება მომეცით დავწვე.

_ და ორი საათის შემდეგ თქვენ წამოიძახებთ: «ღმერთო ჩემო!»

_ როგორც სამი დღის წინათ! ჰო, ჩემს მაკლერზე ვფიქრობდი: დამავიწყდა გამეფრთხილებინა, ხუთპროცენტიანი რენტა სამპროცენტიანზე გადასცვალე-მეთქი, დღისით კი სამპროცენტიანი დაეცა.

მე მას გააფთრებით ვუცქეროდი. აჰ, ხანდახან დანაშაული შეიძლება პოემად იქცეს, მე ეს გავიგე. ის, უეჭველია, შეჩვეული იყო ვნებით აღგზნებულ აღსარებებს და უკვე დავიწყებული ჰქონდა ჩემი ცრემლები და ჩემი სიტყვები.

_ შეირთავდით თუა რა საფრანგეთის პერს? _ ცივად ვკითხე მე.

_ შეიძლება, თუ ის დუკა იქნებოდა.

ქუდს ხელი მოვკიდე და გამოვეთხოვე.

_ ნება მომეცით კარებამდე გაგაცილოთ, _ მითხრა მან მომაკვდინებელი ირონიით მიმოხრასა, თავის დაჭერასა და ხმაში.

_ ვერასოდეს ვეღარ გნახავთ.

_ იმედი მაქვს, _ მიპასუხა მან კადნიერად და თავი დახარა.

_ თქვენ გინდათ რომელიმე დუკას მეუღლე გახდეთ, თქვენ გონებას ჰკარგავთ ტიტულებისა და პატივისათვის. რა ვუყოთ, ნება დამრთეთ მხოლოდ მიყვარდეთ. უბრძანეთ ჩემს კალამს მხოლოდ თქვენთვის წეროს, ჩემს ხმას _ მხოლოდ თქვენთვის

ილაპარაკოს, იყავით ჩემი ცხოვრების ფარული საფუძველი, ჩემი ვარსკვლავი. მე ვიქნები ის, რაც თქვენ გინდათ ვიყო!

_ როგორ გეტყობათ, თქვენ დრო უნაყოფოდ არ დაგიკარგავთ ადვოკატთან სიარულის დროს; თქვენს სიტყვებში ერთგვარი აღგზნებაა, _ მითხრა მან ღიმილით.

_ შენ აწმყო გაქვს, მე კი მომავალი, _ წამოვიძახე მე. _ მე მხოლოდ ქალს ვკარგავ, შენ კი _ სახელსა და ოჯახს. თვით დრო იძიებს შურს ჩემი გულისათვის: იგი შენ სიმახინჯესა და განმარტოებულ სიკდვილს მოგიტანს, მე კი _ დიდებას!

_ გმადლობთ, საბოლოო სიტყვისთვის! _ მითხრა მან. მთქნარება ძლივს შეიკავა და მთელი თავისი ქცევით მაგრძნობინა, აღარ მსურს შენთან შეხვედრაო.

ამ სიტყვებმა მაიძულა დავდუმებულიყავი. ერთი შეხედვით მთელი ჩემი სიძულვილი ვაფრქვიე და გავიქეცი. ან თეოდორა უნდა დამევიწყებინა, ჩემი სიგიჟისაგან განვკურნებულიყავი, განმარტოებულ ცხოვრებას და შრომას დავბრუნებოდი, ან უნდა მოვმკვდარიყავი.

უზომო შრომა ვიკისრე, გადავწყვიტე ჩქარა დამემთავრებინა ჩემი თხზულებანი. ორი კვირის განმავლობაში ჩემი მანსარდიდან არ ჩამოვსულვარ, დღე და ღამე გავასწორე მუშაობაში. მაგრამ მხნეობისა და სასოწაკვეთილების მიერ გამოწვეული შთაგონების მიუხედავად, მძიმედ და უსწორმასწოროდ ვმუშაობდი. ვერ შევძელი თეოდორას ბრწყინვალე და დამცინავი აჩრდილი გამედევნა. თებაიდის* განდეგილებს ვბაძავდი. თუმცა არ ვლოცულობდი, მაგრამ მათსავით უდაბნოში ვცხოვრობდი; იმის მაგივრად, რომ კლდეები გამეთხარა, ჩემს სულს ვთხრიდი. თუ საჭირო იქნებოდა, მზად ვიყავი წელზე რკინისკბილებიანი სარტყელი შემომერტყა, რათა ფიზიკური ტკივილით ზნეობრივი ტკივილი დამეამებინა.

ერთხელ საღამოს პოლინა შემოვიდა ჩემს ოთახში.

_ თქვენ თავს იკლავთ, _ მითხრა მან მუდარის გამომხატველი ხმით, _ ჰაერზე გადით, თქვენი მეგორები ინახულეთ...

_ აჰ, პოლინა, თქვენი წინასწარმეტყველება გამრათლდა: თეოდორა მკლავს, აღარც მე მინდა სიცოცხლე.

_ განა ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ქალი მოიპოვება? _ მითხრა მან სიცილით. _ რად შეგაქვთ ამ მოკლე ცხოვრებაში ასეთი განუსაზღვრელი ტანჯვა?

მე გაოგნებული შევცქეროდი პოლინას. არც კი შემიმჩნევია როგორ გავიდა ოთახიდან; მისი ხმა გავიგონე, ხოლო მისი სიტყვების აზრი არ გამიგია...

ჩქარა ამის შემდეგ იძულებული გავხდი ჩემი მემუარების ხელნაწერი ჩემი ლიტერატურული მეწარმისთვის მიმეტანა. ვიცოდი, რომ ოთხასორმოცდაათი ფრანკი, რომელიც მას უნდა მოეცა, საკმარისი იქნებოდა ვალების გადასახდელად; მე წავედი ამ ხელფასის მისაღებად და რასტინიაკს შევხვდი. გამხდარი და შეცვლილი ხარო, _ მითხრა.

_ რომელი საავადმყოფოდან გამოსულხარ? _ მკითხა მან.

_ ეს ქალი მკლავს, _ ვუპასუხე მე. _ არ შემიძლია არც მისი შეძულება, არც მისი დავიწყება.

_ უმჯობესია მოჰკლა, მაშინ შეიძლება თავი დაანებო მასზე ოცნებას, _ წამოიძახა მან სიცილით.

_ ამაზე ბევრი ვიფიქრე, _ ვუპასუხე. _ მართალია, ხანდახან ჩემს სულს ვაცხოველებ დანაშაულის, ძალადობის ან კაცის მოკვლის აზრის შემწეობით, მაგრამ სინამდვილეში ვერაფერს ჩავიდენ. გრაფის მეუღლე, ალბათ, პატიებას მოითხოვს სიკვდილის წინ, ხოლო ყველას არ შეუძლია ოტელოს როლის შესრულება.

_ იგი ისეთივეა, როგორიც ყოველი დედაკაცი, რომლის ნებაზე დაყოლიება ჩვენ არ შეგვიძლია, _ თქვა რასტინიაკმა.

_ მე ჭკუაზე შევცდი! ჩემი აზრები მოჩვენებებს ჰგავს, ისინი ჩემს თვალწინ ცეკვავენ, მაგრამ არ შემიძლია მათი დაჭერა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. ამიტომ მხოლოდ საშუალებას ვეძებ ამ ბრძოლის დასასრულებლად. საქმე ეხება არა ცოცხალ თეოდორას, რომელიც სენტ-ონორეს გარეუბანში ცხოვრობს, არამედ ჩემს თეოდორას, რომელიც აი, აქ არის! _ ვთქვი მე და შუბლზე ხელი მივარტყი. _ რას იტყვი ბანგზე?

_ ვაჰ! _ სასტიკ ტანჯვას იწვევს, _ მიპასუხა რასტინიაკმა.

_ კვამლით გაგუდვა?

_ საზიზღრობაა!

_ სენაში თავის დახრჩობა?

_ ბადეები და მორგი მეტად ჭუჭყიანია.

_ დამბაჩის თავში დარტყმა?

_ თუ ხელი აგიცდა, დამახინჯებული დარჩები. ყური დამიგდე: როგორც ყოველ ახალგაზრდას, მეც მიფიქრია თვითმკვლელობაზე. ვინაა ჩვენს შორის ისეთი, რომ ოცდაათ წლამდე ორჯერ თუ სამჯერ არ მოეკლას თავი? მაგრამ ბოლოს ვამჯობინე ცხოვრება სიამოვნებაში გამეცვითა. ჩაყურყუმალავდი გარყვნილების მორევში. შენცა და შენი ვნებაც ორივენი იქ ჩაიხრჩობით. უკეთილშობილესი სიკვდილი, ჩემო კარგო, თავშეუკავებლობით

გამოწვეული სიკვდილია. განა მას შეუძლია დამბლა არ დაგვცეს? ორგიები ფიზიკურ სიამოვნებას გვანიჭებენ, იმავე დროს ისინი ნელ-ნელა კიდეც გვწამლავენ ბანგივით. განა დუკა დე კლარენსის მალვაზიის კასრი* არა სჯობია სენის შლამის გემოს? გაკოტრებულმა მედუქნეებმა პატივი ახადეს მდინარეს, ისინი შიგ ცვივიან, რათა თავიანთი მევალეების გული მოალბონ. შენ ადგილას ლამაზად სიკვდილს ვამჯობინებდი. თუ ახალი სახის სიკვდილის გამოგონება გინდა, შენი თანაშემწე გავხდები. მოწყენილი და იმედგაცრუებული ვარ. ელზასელ ქალს, რომელიც ცოლად მეძლეოდა, მარცხენა ფეხზე ექვსი თითი ჰქონია; მე არ შემიძლია ვიცხოვრო ქალთან, რომელსაც ექვსი თითი აქვს. თუ ეს ამბავი გაიგეს, სასაცილო გავხდები. მას მხოლოდ თვრამეტი ათასი ფრანკი შემოსავალი აქვს, მისი შეძლება კლებულობს, ხოლო თითების რიცხვი მატულობს. ეშმაკმა დალახვროს!.. დავიწყოთ გიჟური ცხოვრება და შეიძლება შემთხვევით ბედნიერებასაც მივაღწიოთ.

რასტინიაკმა გამიტაცა. მისი პროექტი იმდენად მომხიბლავი იყო, იმდენ იმედს აღვიძებდა, ისეთ პოეტურ ფერადებს შეიცავდა, რომ შეუძლებელი იყო იგი პოეტს არ მოსწონებოდა.

_ ფული სადღაა? _ შევეკითხე მე.

_ განა შენ ოთხას ორმოცდაათი ფრანკი არა გაქვს?

_ ჰო, მაგრამ მკერავის, დიასახლისის ფული მმართებს.

_ მკერავის ვალს იხდი? შენ ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ, მინისტრის პორტფელსაც კი ვერა.

_ მაინც რა უნდა გავაკეთოთ ოცი ლუიდორით?

_ სათამაშო სახლში წავიდეთ.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

_ აჰ, _ განაგრძო მან, როცა შემატყო, რომ ეს მეთაკილა, _ შენ გინდა იმ ცხოვრებაში გადავარდე, რომელსაც მე სისტემატურად გაფანტულ ცხოვრებას ვუწოდებ და მწვანე მაუდისა კი გეშინია?

_ ყური დამიგდე, _ ვუპასუხე, _ მამაჩემს აღვუთქვი, არასოდეს ფეხს არ შევდგამ სამორინეში-მეთქი. ეს აღთქმაც არ იყოს, შიშის ძრწოლას ვგრძნობ, როცა ასეთ სახლს გვერდით ჩავუვლი; წაიღე ეს ჩემი ასი ეკიუ და მარტო წადი. სანამ შენ ჩვენი ქონების ბედს ქაღალდს გადააწყვეტინებდე, ჩემს საქმეებს მოვაწესრიგებ და შენს ბინაში დაგიცდი.

აი, ჩემო მეგობარო, როგორ დავიღუპე. საკმაოა ახალგაზრდა ვაჟს ისეთი ქალი შეხვდეს, რომელსაც იგი არ უყვარს, ან ისეთი, რომელსაც იგი მეტისმეტად უყვარს, და მთელი მისი ცხოვრება კალაპოტიდან ამოვარდება. ბედნიერება ჩვენს ძალებს ნთქავს, უბედურება ჩვენს სათნოებას ანადგურებს. როცა სასტუმროში დავბრუნდი, დიდხანს ვათვალიერე ჩემი სხვენი, სადაც მეცნიერის უბიწო ცხოვრება გავატარე; ეს ცხოვრება შეიძლებოდა ხანგრძლივი და პატივსაცემი ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში მისთვის არ უნდა მეღალატა ვნებათაღელვის გულისთვის, რომელიც უფსკრულისკენ მითრევდა. პოლინამ ამ მელანქოლიურ მდგომარეობაში შემომისწორ.

_ რა მოგივიდათ? _ მკითხა მან.

ცივად წამოვდექი და დავუთვალე ფული, რომელიც მისი დედისა მემართა; დავუმატე აგრეთვე ექვსი თვის ბინის ქირა. ქალმა ამხედ-დამხედა, სახეზე შეშინება ეტყობოდა.

_ მე თქვენ გტოვებთ, ძვირფასო პოლინა.

_ მე ეს ვიგრძენი! _ მიპასუხა მან.

_ იცით რა, ჩემო კარგო, შეიძლება კიდევ დავბრუნდე. შემინახეთ ეს სენაკი ნახევარი წლის განმავლობაში. თუ ნოემბრის თხუთმეტამდე არ დავბრუნდი, თქვენ ჩემი მემკვიდრე გახდებით. ეს დაბეჭდილი ხელნაწერი ასლია დიდი შრომისა «ბუნებისათვის ნებისყოფისა». სამეფო წიგნთსაცავში გადაეცით. სხვა ყველაფერი, რასაც აქ ხედავთ, თქვენ მოიხმარეთ სურვილისამებრ.

ისეთი თვალით შემომხედა, რომ გული დამიმძიმდა. იგი თითქო განხორციელებულ სინდისს წარმოადგენდა.

_ გაკვთილები აღარ მექნება? _ მკითხა მან და პიანინოსკენ მანიშნა.

არაფერი მიპასუხია.

_ არაფერს მომწერთ?

_ მშვიდობით, პოლინა.

ნაზად მოვიზიდე ჩემსკენ და მის საყვარელ შუბლზე, უმწიკვლოზე, როგორც შემოდგომის პირველი თოვლი, ძმური კოცნა, ბერიკაცის კოცნა აღვბეჭდე. გამექცა. ქალბატონ გოდენის ნახვა არ მინდოდა. გასაღები ჩვეულებრივ ადგილს დავდე და წავედი. როცა კლიუნის ქუჩიდან გადავუხვიე, ქალის მსუბუქი ნაბიჯის ხმა მომესმა.

_ ეს ქისა მოგიქსოვეთ, ნუთუ ამაზეც უარს მეტყვით? _ მკითხა პოლინამ.

ფანრის სინათლეზე მომეჩვენა, რომ პოლინას თვალში ცრემლი დავუნახე, და ამოვიოხრე. თითქოს ორივეს ერთმა და იმავე აზრმა წაგვიბიძგა. საჩქაროდ გავშორდით ერთმანეთს, როგორც ადამიანები, რომელნიც შავ ჭირს გაურბიან.

უგზო-უკვლო ცხოვრება, რომელიც მე უნდა დამეწყო, თავისებურად იხატებოდა იმ ოთახის მოწყობილობაში, სადაც კეთილშობილი უდარდელობით ველოდებოდი რასტინიაკის უკან დაბრუნებას. ბუხარზე საათი იდგა, იგი კუზე ჩაცუცქულ ვენერას გამოხატავდა, რომელსაც ხელში ნახევრად დამწვარი სიგარა ეჭირა. მოხდენილი ავეჯეულობა სიყვარულის ძღვენი უნდა ყოფილიყო. ვნებიან დივანზე ძველი წინდები ეყარა. კომფორტული სავარძელი, რომელზედაც მე მოვთავსდი, ჭრილობებით იყო დაფარული ბებერი ჯარისკაცივით; სახელურები დაფლეთილი ჰქონდა, ზურგს ეტყობოდა, რომ იქ ხშირად განისვენებდნენ ნელსაცხებლიანი და სუნამოშეკმეული მეგობრები. სიმდიდრე და სიღატაკე გულუბრყვილოდ იყო შეუღლებული საწოლსა, კედლებსა, მთელს მოწყობილობაში. იტყოდით, ნეაპოლის პალატებია, რომლის გვერდით ლაცარონები* დასახლებულანო. ეს იყო ისეთი მოთამაშის ან ვიგინდარას ოთახი, რომლის კომფორტი სავსებით პიროვნულია და რომელიც თავს არ იწუხებს წესიერების დასამყარებლად. მაგრამ ეს სურათი როდი იყო მოკლებული პოეზიას. აქ ცხოვრება იყო ამართული თავისი კოლიტებითა და ძონძებით, ცხოვრება მოულოდნელი, უსრულო, როგორიც არის სინამდვილეში, მაგრამ ამასთანავე მჩქეფარე, ფანტასტიკური, როგორც ბუნაგში, სდაც მეკობრეს ნაძარცვი დაუგროვებია. ბაირონის გვერდებმოხეული წიგნით ბუხარში ცეცხლი გაეღვივებინა ყმაწვილს, რომელიც ათასი ფრანკის რისკს ეწეოდა თამაშობაში და ხშირად ერთი ნაჭერი შეშაც კი არ ჰქონდა, ორსაჯდომიანი ეტლით სეირნობდა და დაუკერებელი პერანგიც კი არ ჰქონდა გამოსაცვლელად. იქ წუმწუმის ასანთის მწვანე ყუთში სანთელი იყო ჩარჭობილი, აქ ოქროჭედილი ჩარჩოდან ამოღებული ქალის სურათი ეგდო. როგორ შეუძლია სიამოვნებადახარბებულ ჭაბუკს უარი თქვას ცხოვრებაზე, რომელიც ესოდენ მდიდარია წინააღმდეგობებით და ომის სიამოვნებას გვაგემებინებს მშვიდობიანობის დროს?

თითქმის ნახევრად ჩაძინებული ვიყავი, როცა რასტინიაკმა ფეხით კარები შემოამტვრია და დაიძახა.

_ გავიმარჯვეთ! შეგვიძლია ისე მოვკვდეთ, როგორც ჩვენს სულსა და გულს უნდა...

მან თავისი ქუდი დადო მაგიდზე, იგი ოქროთი იყო სავსე. ჩვენ ცეკვა დავიწყეთ გარშემო, თითქო კაციჭამია ველურები ვყოფილიყავით და ნანადირევი გვქონოდეს

შესაჭმელი: ვღრიალებდით, ფეხებს ვაბაკუნებდით, ვხტოდით, ერთმანეთს ისეთ მუჯლუგუნებს ვცემდით, რომ მარტორქაც ვერ გაუძლებდა, ვმღეროდით; მთელი ქვეყნიერების სიამოვნება, ჩვენი ფიქრით, ამ ქუდში იყო მოთავსებული.

_ ოცდაშვილი ათასი ფრანკია, _ თქვა რასტინიაკმა და რამდენიმე საბანკო ბილეთი დაუმატა ოქროს ხვავს.

_ სხვებს ეს ფული მთელ სიცოცხლეში ეყოფოდა, ნუთუ ჩვენ სიკვდილისთვის არ გვეყოფა? დიახაც, ჩვენ ოქროს აბანოში დავლევთ სულს... ჰურრა!

და ხელახლა როკვა დავიწყეთ. მთელი თანხა ძმურად გავიყავით, დიდხანს ვიმეორებდი: «ეს შენ... ეს მე!..»

_ ნუ დავიძინებთ, _ წამოიძახა რასტინიაკმა. _ ჟოზეფ, პუნში მოიტა!

შემდეგ ოქრო გადაუყარა თავის ერთგულ მსახურს: _ ეს შენი წილი იყოს; შენი თავის დასამარხავად გამოიყენე, თუ შეგიძლია.

მეორე დღეს ავეჯეულობა ვიყიდე ლესაჟთან,* ის ბინა ვიქირავე, სადაც შენ გამიცანი, და კედლებზე საუკეთესო ქაღალდი გავაკვრევინე. ცხენებიც შევიძინე. გადავვარდი სიამოვნებათა ორომტრიალში, რომელიც უშინაარსო და რეალურია ერთსა და იმავე დროს. ვთამაშობდი, უზარმაზარ თანხებს ვაგებდი, მაგრამ ეს ხდებოდა საცეკვაო საღამოებზე, მეგობრების ბინებში; არასოდეს სათამაშოთა სახლში არ წავსულვარ, ამ მხრივ დიდხანს შემრჩა წმინდა და პირველყოფილი შიში. შეუმჩნევლად მეგობრებიც გამიჩნდნენ. შეიძლება ჩვენ ისე არაფერი არ გვაახლოებს, როგორც ჩვენი ბიწიერება. მე გავბედე რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოების შეთხზვა, მათი შემწეობით ქება დავიმსახურე. ვაჭრული მწერლობის დიდმა ადამიანებმა, რომელნიც საშიშ მეტოქედ არ მთვლიდნენ, ხოტბა შემასხეს, იმდენად არა პირადი დამსახურებისათვის, რამდენადაც თავიანთი ამხანაგების გასაჯავრებლად. მხატვრული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ჩვენი ღრეობების ენით ნაკურთხი, მე ერთი თავზე ხელაღებული მოქეიფე გავხდი. ჩემი თავმოყვარეობა იქით იყო მიმართული, რომ ჩქარა მომეკლა ჩემი თავი, ჩემი აღფრთოვანებით და ძლიერებით შემემუსრა ჩემი უმხიარულესი ამფსონები.

მე ყოველთვის კოხტა და მოხდენილი ვიყავი. გონებამახვილ ყმაწვილად ვითვლებოდი. არაფრიდან არ ჩანდა, რომ იმ საშინელ ცხოვრებას ვატარებდი, რომელიც ადამიანს ძაბრად ან ჯიშიან ცხენად აქცევს. რასაკვირველია, კეთილგონიერ და ჭკუადამჯდარ ადამიანებს, როლებიც ბოთლებს ალაგებენ და ეტიკეტებს აკრავენ, რათა თავიანთ მემკვიდრეებს გადასცენ, არ შეუძლიათ წარმოიდგინონ არც ამ ცხოვრების

თეორია, არც მისი მიმზიდველობა; როგორ ჩააგონებთ თქვენ პოეზიას პროვინციის მცხოვრებლებს, რომელთათვისაც ჩაი და ბანგი, ესოდენ სიამოვნების მიმნიჭებელი ჩვენთვის, მხოლოდ წამალია და მეტი არაფერი? განა თვით პარიზში, ამ აზროვნების სატახტო ქალაქში დაუმთავრებელი სიბარიტები არ გვხვდებიან? მათ არ ძალუძთ მოჭარბებული სიამოვნება აიტანონ და დაღლილი არიან პირველი ღრეობის შემდეგ, როგორც კეთილი ბურჟუები, რომელნიც როსინის ახალი ოპერის მოსმენის შემდეგ მუსიკას წყევლიან. დროსტარება ისეთივე ხელოვნებაა, როგორც პოეზია, მას ძლიერი სულის ადამიანები სჭირია. მეორე მხრივ, მის საიდუმლოებათა შესაცნობად, მის მშვენიერებათა საგემებლად მისი კეთილსინდისიერად შესწავლაა საჭირო. როგორც ყოველი მეცნიერება, იგი თავდაპირველად ეკლიანი და ნაკლებ მიმზიდველია. უზარმაზარი დაბრკოლებანი არტყიან გარს ადამიანის დიდ სიამოვნებათ, რომელნიც ადამიანის ცხოვრებას მძაფრ დრამატულ ელფერს აძლევენ და მისი ძალების სწრაფ გაცვეთას იწვევენ. ომიც, ძალაუფლებაც, ხელოვნებაც გარყვნილებაა, ისევე ღრმა და ამაღლებული ერთსა და იმავე დროს, როგორც ქეიფი და დროსტარება: დიდი შრომაა საჭირო მათ მისაღწევად. მაგრამ თუკი ადამიანმა ეს დიდი საიდუმლოებანი ერთხელ დასძლია, იგი უკვე ახალ ქვეყანაში შედის. ბოლოს და ბოლოს ომი სისხლიანი ღრეობაა, პოლიტიკა ინტერესთა შეჯახებაა. ყველა ეს სიამოვნებანი ძმები არიან. ეს სოციალური სიმახინჯენი უფსკრულივით ძლიერნი არიან, ისინი გვიზიდავენ როგორც წმინდა ელენეს კუნძული ნაპოლეონს იზიდავდა; ისინი თავბრუს გვახვევენ, გვაჯადოებენ, თვით არ გვესმის რად გვინდა, რომ უსათუოდ მათი ფსკერი დავინახოთ.

შეიძლება ამ უფსკრულებში დაუსრულებლობის აზრი არსებობდეს. შეიძლება ისინი ისეთ რაღაცას შეიცავენ, რაც ადამიანს ეპირფერება; განა მაშინ ადამიანი საინტერესო არაა თავისთავად? მუშაობის ნეტარი საათებით, შემოქმედების სიხარულით დაღლილი ხელოვანი თხოულობს ან იმას, რომ მას, ღმერთივით კვირა დღის დასვენება მიეცეს, ან იმას, რომ სატანასავით ჯოჯოხეთის ავხორცობა იგემოს, რათა მის გონებრივ ნიჭთა მუშაობა მის გრძნობათა მუშაობამ შეცვალოს. ლორდ ბაირონისთვის დასვენება არ იქნებოდა ლაყბობა ბოსტონის* თამაშის დროს, რაც მოხიბლავდა ამა თუ იმ რანტიეს; პოეტს საბერძნეთი სჭირდებოდა, როგორც სანაძლეო მაჰმადთან შეჯიბრებაში. განა ომში ადამიანი შემმუსვრელ ანგელოზად არ იქცევა, ერთგვარი გიგანტური ზომის ჯალათად? განა საჭირო არაა სრულიად განსაკუთრებული მომხიბლაობა, რათა დავთანხმდეთ ჩვენი ნატიფი გარეკანისთვის აუტანელ, ულმობელ წამებათ, რომელნიც ეკლიანი ღობესავით

გარს არტყია ჩვენს გულისთქმათ? ადამიანი, რომელიც თამბაქოს ჭარბად ეწევა, ხშირად კრუნჩხვასა და სულთმობრძაობას განიცდის, მაგრამ სამაგიეროდ რა სფეროებში უმოგზაურია მას, რა საუცხოო ნადიმებს დასწრებია! განა ევროპა განუწყვეტლივ ახალ ომებს არ იწყებს, თუმცა ფეხები კოჭებამდე სისხლით აქვს შესვრილი? თუ, შეიძლება, ადამიანთა მასებიც ისევე განიცდიან სიმთვრალეს, როგორც ბუნება სიყვარულის შეტევას განიცდის? კერძო ადამიანისათვის, მაგალითად, მირაბოსთვის, რომელიც ჭკნება მშვიდობიან ეპოქაში და ქარიშხლებზე ოცნებობს, ყველაფერი ღრეობაშია მოთავსებული. მისთვის ცხოვრება შერკინებაა ანუ ორთაბრძოლა რაღაც უცნობ ძალასთან, რაღაც ურჩხულთან. თავდაპირველად ურჩხული მას აშინებს, ის მას რქებში უნდა ჩაეჭიდოს; ეს უზომო დაღლილობას იწვევს. ბუნებამ თქვენ რაღაც ვიწრო თუ ზარმაცი სტომაქი მოგცათ; თქვენ მას იურვებთ, აფართოებთ, აჩვევთ ღვინო აითვისოს, სიმთვრალე აიტანოს; თქვენ უძილო ღამეებს ატარებთ და ბოლოს ბეგთაროსანი ჯარისკაცის ტემპერამენტს იძენთ, თითქო ხელახლა იბადებით, რათა ღმერთს დასცინოთ!

მფლანგველი იმ ზღაპრული გმირების განხორციელებას წარმოადგენს, რომელთაც, ლეგენდისა არ იყოს, სატანას მიჰყიდეს სული, რათა ბოროტმოქმედების ჩადენის ძალა მოეპოვებინათ; მფლანგველი თავისი სიკვდილით იხდის სიცოცხლის ყველა სიხარულის, უხვი, ნაყოფიერი სიხარულის საფასურს! იმის მაგივრად, რომ მდორედ იდინოს ერთფეროვან ნაპირებს შუა, რომელიმე კანტორასა ან კანცელარიაში, ცხოვრება ნაკადულივით მიჩხრიალებს. ბოლოს, სხეულისათვის ღრეობა, რასაკვირველია, იგივეა, რაც მისტიკური სიხარულია სულისთვის: სიმთვრალის დროს ოცნებებში ვართ ჩაფლულნი; ეს ოცნებები ისეთივე საინტერესო ფანტასმაგორიებს შობენ, როგორც ექსტაზის ხილვანი არიან.

ამ ცოცხალი პოემის შუაზე, ამ გამაგონებელი ავადმყოფობის დროს ორი მწვავე კრიზისი მქონდა. რამდენიმე დღესაც არ გაევლო იმ მომენტიდან, რაც მე სარდანაპალივით* გადავვარდი კოცონში, როცა თეოდორას შევხვდი ბუფონების თეატრის კარებში. ორივენი ეტლებს ვუცდიდით.

_ აჰ, კიდევ ცოცხალი ხართ?

ეს სიტყვები მას ჩემთვის არ უთქვამს, მხოლოდ ისე შეიძლებოდა გამეგო მისი ღიმლი, მისი ცბიერი და გულარძნილი ჩურჩული ჩიჩისბეისთან, რომელსაც იგი, ალბათ, ჩემს ამბავს უყვებოდა, როგორც მდაბალი სიყვარულის ისტორიას. წარმოიდგინე, როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანის მდგომარეობა, რომელიც კვდებოდა ამ დედაკაცის

გულისთვის, კიდევ აღმერთებდა მას, ხედავდა სიმთვრალის დროს თუ მეძავი ქალების საწოლზე, და ამავე დროს გრძნობდა, რომ მისი დაცინვის მსხვერპლი იყო! მაგრამ მე არ შემეძლო მკერდი გამეპო და ჩემი სიყვარული ამომეგლიჯა, რათა მის ფეხთ ქვეშ დამეგდო! მართალია, მე ადვილად გავაბნიე ჩემი ქონება, მაგრამ სამი წლის მკაცრმა რეჟიმმა ჩემი ჯანრთელობა გააკაჟა და, როცა მე ხელახლა უფულოდ აღმოვჩნდი, საუცხოოდ ვგრძნობდი თავს. რათა ფული მეშოვა, მოკლევადიან თამასუქებს მოვაწერე ხელი, მაგრამ გადახდის დრო მოვიდა. ჩემმა პირველმა ვალმა გააღვიძა ჩემი სათნოებანი, მათ ჩემ თვალწინ გაიარეს ნელი ნაბიჯით და სასოწარკვთილი სახით. მე შევძელი მათთან მორიგება როგორც ბებერ ძალუასთან, რომელიც პირველად ბუზღუნს დაიწყებს და შემდეგ ცრემლებსა და ფულს მოგცემს. წინათ გულგრილად ვუცქერდი ბანკის მოხელეებს, კომერციული სინდისის მამხილებელთ, ნაცრისფერ ტანისამოსში გამოწყობილთ, პატრონის ლივრეით და ვერცხლის ბალთით შემკულთ: ახლა ისინი მძულდნენ წინდაწინვე. ვფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს რომლიმე მათგანი მოვიდოდა, რათა იმ თერთმეტი თამასუქის საფუძველი მოეთხოვა, რომელთაც ხელი მოვაწერე. ჩემი ხელწერილები სამი ათასი ფრანკი ღირდა, მე თვით არ ვღირდი ამდენი! სასამართლოს აღმასრულებლები, უგრძნობელნი ყოველი უბედურებისა, თვით სიკვდილისადმი, ჩემ წინ იმართებოდნენ როგორც ჯალათები, როემლნიც მსჯავრდებულთ ეუბნებიან: «აი, უკვე დაჰკრა ოთხის ნახევარმა!» მათ მდივნებს უფლება ჰქონდათ მომვარდნოდნენ, ჩემი სახელი დაეჩხაპნათ, გაეჭუჭყიანებინათ, სასაცილოდ ავეგდე. მე ვალი მქონდა. განა ვისაც ვალი მართებს, იგი თავის თავს ეკუთვნის, განა სხვა ადამიანებს არ შეეძლოთ ჩემი ცხოვრების ანგარიში მოეთხოვათ? პუდინგი ალაშიპოლატა რად ვჭამე? ყინულზე გაციებული სასმელი რად დავლიე? რად მეძინა, დავდიოდი, ვაზროვნებდი, ვერთობოდი და მათ ფულს კი არ ვიხდიდი? შუაგულ პოეზიაში, იდეის წიაღში ყოფნის ან საუზმობის დროს, როცა მეგობრებით, სიხარულით და სასიამოვნო ოხუნჯობით ვიყავი გარემოცული, შეიძლებოდა ყავისფერ ტანისამოსიანი კაცი შემოსულიყო, გახუნებული ქუდით ხელში. ეს ვაჟბატონი ჩემი ვალია, ჩემი თამასუქი, აჩრდილი, რომელიც დააჭკნობს ჩემს მხიარულებას, მაიძულებს მაგიდიდან წამოვდგე, რათა მას ველაპარაკო; ყოველივეს წამართმევს, ხალისსაც, სატრფოსაც, თვით საწოლსაც. სინდისის ქენჯნა უფრო შემწყნარებელია, იგი არც ქუჩაში გვაგდებს, არც სატუსაღოში, არც გარყვნილების ბუნაგში; ის ჩვენ მხოლოდ ეშაფოტზე გვაგზავნის, სადაც ჯალათი გვაკეთილშობილებს: როცა ჩვენ

გვსჯიან, ყველას ჩვენი უდანაშაულობა სწამს, საზოგადოება კი გაკოტრებულ მოქეიფეს არც ერთ სათნოებას არ უტოვებს.

შემდეგ ეს ორთათიანი ვალები, რომელნიც მწვანე დრაფის ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, ლურჯ სათვალესა და ჭრელ ქოლგას ატარებენ, ეს ხორცშესხმული ვალები, რომელთაც ჩვენ პირისპირ ვხვდებით ქუჩის მოსახვევში, სწორედ იმ წუთში, როცა გაღიმებას ვაპირებდით, აღჭურვილი არიან საშინელი პრივილეგიით, მათ შეუძლიათ გვითხრან: «ბატონ დე ვალენტენს ჩემი ფული მართებს და არ იხდის, იგი ჩემს ხელთაა». ჩვენ თავი უნდა დავუკრათ ჩვენს მევალეებს, თავი დავუკრათ მოკრძალებით. _ როდის გადამიხდით? _ კითხულობენ ისინი და ჩვენ იძულებული ვართ ვიტყუოთ, მეორე ადამიანს ვთხოვოთ ფული, ქედი მოვიდრიკოთ ზანდუკზე წამომჯდარი ბრიყვის წინაშე, გავუძლოთ მის ცივ შეხედვას, წურბელის შეხედვას, რომელიც უფრო შეურაცხმყოფელია, ვიდრე სილის შემოკვრა, ავიტანოთ ბუღალტერიის მორალი და მისი ტლანქი უმეცრება. ვალი ფანტაზიის ქმნილებაა, ეს მათ არ ესმით. ვალის ამღებს ხშირად სულიერი აღმაფრენა იტაცებს და იმორჩილებს, მაშინ როცა არაფერი დიდი არ იმორჩილებს და არ ხელმძღვანელობს იმათ, ვინც ფულშია ჩაფლული, ვინც არაფერი იცის, გარდა ფულისა. მე შიშის ძრწოლას განვიცდიდი ფულის წინაშე. ბოლოს თამასუქი შეიძლება ოჯახით დატვირთულ და სათნოებით გამსჭვალულ ბერიკაცად იქცეს; შეიძლება მე მოვალე ვიყავი გრეზის* გაცოცხლებული სურათისა, _ ბავშვებით გარშემორტყმული დამბლადაცემული ადამიანისა, ჯარისკაცის ქვრივისა; ყველა ისინი მე ხელს გამომიწოდებდნენ მუდარით; საშინელნი არიან ის კრედიტორები, რომელთანაც ერთად ჩვენ უნდა ვიტიროთ, რომელთაც დახმარება უნდა გავუწიოთ ვალის გადახდის შემდეგ.

გადახდის ვადა მოახლოვდა, მაგრამ წინა ღამეს მე დამეძინა იმ ადამიანების სულიერი სიმშვიდით, რომელთაც ძინავთ სიკვდილით დასჯისა ან დუელის წინ: ისინი ყოველთვის თავს ირწევენ ყალბი იმედით. მაგრამ როცა გამომეღვიძა, როცა ვიგრძენი რომ ჩემი სული დატყვევებული იყო ბანკირის პორტფელში, შეტანილი იყო ანგარიშებში, დაწერილი იყო წითელი მელნით, ყოველი მხრიდან ჩემი ვალები გამოხტნენ კალიებივით. იმათ ვხედავდი კედლის საათში, სავარძლებზე, ავეჯზე, რომელსაც მე განსაკუთრებული სიამოვნებით ვხმარობდი.

ჩემი თამასუქები გაპროტესტდა. სამი დღის შემდეგ ვალი გადავიხადე. აი, როგორ მოხდა ეს. ერთმა სპეკულიანტმა წინადადება მომცა მიმეყიდა კუნძული, რომელიც მდინარე ლუარაზე მქონდა და სადაც დედაჩემი იყო დასაფლავებული. დავთანხმდი. როცა

ნოტარიუსის ბნელ ოთახში ვიჯექი და შეთანხმებას ხელს ვაწერდი, ისეთი სიცივე ვიგრძენი, როგორსაც სარდაფში ვგრძნობთ ხოლმე. ჟრუანტელმა დამიარა, როგორც იმ დროს, როცა მამაჩემის ახლად გათხრილ საფლავს დავცქეროდი. ეს შემთხვევა ცუდ ნიშნად მივიჩნიე, მომეჩვენა, დედაჩემის ხმა მესმის და მის აჩრდილს ვხედავ-მეთქი; თითქო ჩემი საკუთარი სახელი მესმოდა ზარების რეკვაში!

კუნძულში აღებული ფულით ვალები გავისტუმრე და კიდევ ორი ათასი ფრანკი დამრჩა. რასაკვირველია, შემეძლო ხელახლა მეცნიერის მშვიდობიანი ცხოვრება დამეწყო, ჩემს სხვენზე დავბრუნებულიყავი ცხოვრების გამოცდილებით, დიდძალი დაკვირვებით და ერთნაირი რეპუტაციით აღჭურვლი. მაგრამ თეოდორამ ხელიდან როდი გაუშვა თავისი მსხვერპლი. ჩვენ ხშირად გვესმოდა ერთმანეთის სახელი. მე მისი თაყვანისმცემლები ვაიძულე საყვირით ედიდებინათ ჩემი ჭკუა, ჩემი ცხენები, ჩემი წარმატება, ჩემი ეტლები. ეს ქალი ადრინდებულად ცივი და უგრძნობი დარჩა, თვით მაშინაც კი, როცა რასტინიაკმა ეს საშინელი სიტყვები უთხრა: «იგი თავს იკლავს თქვენთვის!»

მთელ ქვეყანას დავაკისრე შური ეძია ჩემი გულისათვის, მაგრამ ვერაფერს გავხდი! როცა ჩემი სულის სიღრმეები გამოვიკვლიე, ვიგრძენი, რომ მას სრსვილი ღრღნიდა, რომ იგი დამპალიყო კიდეც. დემონს ჩემს შუბლზე თავისი მამლისებური დეზის ნიშანი დაეტოვებინა. ამიერიდან ჩემთვის შეუძლებელი იყო უარი მეთქვა რისკიანი ცხოვრების თრთოლასა, წყეული სიმდიდრის ფაქიზ სიამოვნებაზე. მილიონერი რომ გავმხდარიყავი, არაფერს გავაკეთებდი გარდა თამაშობისა, ჭამისა, ხეტიალისა. აღარ შემეძლო მარტოდმარტო დავრჩენილიყავი ჩემს თავთან. მე მჭირდებოდა მეძავი ქალები, ყალბი მეგობრები, ღვინო, უხვი ჭამა-სმა, რათა მუდამ გაბრუებული ვყოფილიყავი. სამუდამოდ გავწყვიტე ის კავშირები, რომელიც ადამიანს ოჯახთან აკავშირებს. სიამოვნების ტყვე გავხდი და ბოლომდე უნდა გამევლო თვითმკვლელობის საბედისწერო გზა. ჩემი მდიდრული ცხოვრების უკანასკნელ დღეებში ყოველ საღამოს წრამოუდგენელ თავშეუკავებლობას ვიჩენდი, მაგრამ დილით სიკვდილი ხელახლა ცხოვრებისკენ მისროდა. სალამანდრის მსგავსად შემეძლო შეუშფოთებლად ხანძარში შევსულიყავი. ბოლოს, როცა ჯიბეში აღარაფერი დამრჩა, გარდა უკანასკნელი ოცფრანკიანისა, რასტინიაკის ბედნიერი თამაში გამახსენდა.

* * *

_ ეჰ, ეჰ!.. _ წამოიძახა რაფაელმა, რადგან უცებ მოაგონდა თილისმა, რომელიც მაშინვე ჯიბიდან ამოიღო.

იმით აიხსნებოდა ეს, რომ ის დაღლილი იყო ამ გრძელი დღის ბრძოლით და არ შეეძლო თავისი გონების საჭე მოემარჯვებინა ღვინის და პუნშის ტალღებში, თუ იმით, რომ ის მოგნებებმა ააღელვა, ხოლო საკუთარი სიტყვების ნიაღვარმა დაათრო, _ რაფაელი აღფრთოვანებაში გადავარდა, როგორც ადამიანი, რომელიც სრულიად გონებადაკარგულია.

_ ეშმაკმა წაიღოს სიკვდილი! _ დაიყვირა მან და ტყავი შეანავარდა. _ მე ახლა უკვე სიცოცხლე მწყურია! მდიდარი ვარ, ყველა სათნოება მაქვს. ვერაფერი ვერ გამიწევს წინააღმდეგობას. ორასი ათასი ლივრის შემოსვალი მსურდა და მექნება კიდეც. მომესალმენით, ღორებო, რომელნიც ნოხებზე გაგორებულხართ, თითქო ნაკელზე იწვეთ! მე მდიდარი ვარ, ყველას გიყიდით, თვით იმ დეპუტატსაც კი, რომელიც აი, იქ ხვრინავს! მოდით, მაღალი საზოგადოების არამზადებო, და დამლოცეთ! მე პაპი ვარ.

რაფაელის ყვირილმა, რომელსაც მანამდე ხვრინვა ფარავდა, უცებ გააღვიძა მძინარეები, მათ დაინახეს, რომ ძილის დამფრთხობი თვით ძლივს იდგა ფეხზე და გინებით გაუმასპინძლდნენ მას.

_ ხმა ჩაიკმინდეთ! _ უყვირა რაფაელმა. _ თქვენს ბუნაგებში შეძვერით! _ ემილ, დიდძალი საუნჯე მაქვს, შენ ჰავანის სიგარებს მოგცემ.

_ მესმის, _ უპასუხა პოეტმა, _ ან თეოდორა ან სიკვდილი! განაგრძე! შენმა შაქარმოყრილმა თეოდორამ მოგატყუა. ყოველი დედაკაცი ევას ნაყოფია. შენს ამბავში სრულაიდ არაფერია დრამატული.

_ აჰ, შენ ხომ გეძინა, ეშმაკო!

_ არა, ან თეოდორა ან სიკვდილი! მესმის.

_ გამოფხიზლდი, _ დაუყვირა რაფაელმა და შაგრენის ტყავი დაარტყა, თითქო ელექტრონაკადის გამოწვევა სდომებოდეს.

_ რა მოგდის! _ თქვა ემილმა, რომელიც წამოდგა და ხელი მოხვია რაფაელს, _ ნუ დაგავიწყდება, ჩემო კარგო, რომ ცუდი ყოფაქცევის ქალებთან იმყოფები.

_ მე მილიონერი ვარ!

_ თუ მილიონერი არა, მთვრალი კი უეჭველად ხარ.

_ მთვრალი ვარ ხელისუფლებით. შემიძლია მოგკლა! სიჩუმე!.. მე ნერონი* ვარ, მე ნაბუქოდონოსორი* ვარ!

_ რაფაელ, ჩვენ ურიგო საზოგადოებაში ვართ, პირადი ღირსების დასაცავად მაინც დადუმდი.

_ ჩემი ცხოვრება მეტად ხანგრძლივი დუმილი იყო. ახლა მთელი ქვყენის წინააღმდეგ მინდა შური ვიძიო. მე ამიერიდან აღარ მესიამოვნება ოქრო-ვერცხლის ფლანგვა, მე ჩემს ეპოქას წავბაძავ და გამოვხატავ, მე ადამიანთა ცხოვრებას, გონებას და სულს ჩავნთქავ. აი, წვრილმანობას მოკლებული კომფორტი! რას იტყვი? ნადიმი შავი ჭირის დროს! მე შევებრძოლები ყოველგვარ ციებას, ყვითელს, ცისფერს, მწვანეს შევებრძოლები ჯარებს, სახრჩობელებს. შემიძლია თეოდორას დავეუფლო... მაგრამ არა, მე არ მსურს თეოდორა, იგი ჩემი ავადმყოფობაა, მე ვკვდები თეოდორათი! მე მინდა თეოდორა დავივიწყო.

_ თუ ღრიალი არ შესწყვიტე, სასადილოში შეგათრევ.

_ ხომ ხედავ ამ ტყავს? ეს სოლომონის ანდერძია. იგი მე მეკუთვნის, ეს სოლომონი, ეს უმეცარი მეფე! არაბეთიც ჩემია, ჰეტრეაც, სამყაროც ჩემია. შენც ჩემი იქნები, თუ მოვინდომე, ფრთხილად იყავი. მე მინდა მთელი შენი ჟურნალისტების დუქანი ვიყიდო, შენ ჩემი მსახური იქნები. კუპლეტებს დამიწერ. ქაღალდებს მომიწესრიგებ. ლაქიავ! ლაქია ნიშნავს: «ის თავს მშვენივრად გრძნობს იმიტომ, რომ არაფერს არ ფიქრობს».

რაფაელმა ძლივს მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ ემილმა იგი სასადილოში გაიტაცა.

_ ძლიერ კარგი, მეგობარო, შენი ლაქია ვარ. მაგრამ ჩქარა შენ გაზეთის მთავარი რედაქტორი უნდა გახდე. გაჩუმდი! ზრდილობა დაიცავი ჩემი გულისათვის. ხომ გიყვარვარ?

_ თუ მიყვარხარ? შენ ჰავანის სიგარები გექნება ამ ტყავის წყალობით. ეს ტყავი ყოვლისშემძლეა. საუცხოო სამკურნალო საშუალებაა, შემიძლია კორძები მოგირჩინო. კორძები ხომ გაქვს? ახლავე მოვსპობ.

_ არასოდეს ასეთი სულელი არ მინახიხარ...

_ სულელი, ჩემო მეგობარო? არა, ეს ტყავი შეიკუმშება, როცა მე სურვილი დამებადება... ეს თითქო სიტყვა-პასუხია. ბრამინი,* _ აქ ბრამინია საქმეში ჩარეული! _ ბრამინი დიდი ხუმარა ყოფილა, ვინაიდან, ხომ ხედავ ტყავი სურვილებმა უნდა გააფართოოს.

_ ოღონდაც.

_ არ გჯერა?

_ როგორ გინდა შენი აბდაუბდა დავიჯერო?

_ სანაძლეოს ვდებ, შემიძლია ახლავე დაგიმტკიცო. ზომა ავიღოთ...

_ ახლა აღარ დაიძინებს, _ წამოიძახა ემილმა, როცა დაინახა, რომ რაფაელმა სასადილო ოთახში რაღაცის ძებნა დაიწყო.

მაიმუნისებური სიმარჯვით, იმ უცნაური ნათელმხედველობის წყალობით, რომელსაც ხშირად იჩენენ მთვრალი ადამიანები, რაფაელმა შეძლო ხელსახოცის და საწერელის პოვნა, თან გაიძახოდა:

_ ავიღოთ ზომა! ავიღოთ ზომა!

_ ძლიერ კარგი, _ უთხრა ემილმა, _ ავიღოთ!

მეგობრებმა ხელსახოცი გაშალეს და ზედ შაგრენის ტყავი დაადეს. ემილის ხელი ნაკლებ კანკალებდა, ვიდრე რაფაელისა, მან კალმით შემოხაზა ტყავის კონტურები, ხოლო ამავე დროს მისი მეგობარი იმეორებდა:

_ მე ვისურვე ორასი ათასი ლივრის შემოსავალი, ხომ მართალია? როცა ეს სურვილი შემისრულდება, დავინახავ, როგორ შეიკუმშება ჩემი შაგრენი.

_ ჰო... ახლა დაიძინე. ხომ არ გინდა ამ დივანზე დაგაწვინო? რბილად წევხარ?

_ ჰო, ჩემო ბეჭდვითი სიტყვის ძუძუთა ბალღო. შენ გამართობ, ბუზებს გამირეკ; მაშასადამე, ჰავანის სიგარებს მოგცემ...

_ კარგი, აცალე შენი ოქრო დადუღდეს, მილიონერო.

_ შენ კი აცალე შენი სტატიები დადუღდეს. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა უსურვე ნაბუქოდონოსორს!.. სიყვარული! სასმელი! საფრანგეთი!.. სახელი... სიმდიდრე... სიმდიდრე...

ჩქარა ორივე მეგობარმა თავისი ხვრინვა შეუერთა მუსიკას, რომელიც სალონებში გაისმოდა. სანთლები თანდათან ქრებოდა და ბროლის როზეტებს ტკაცანი გაჰქონდა. ღამემ შავი ლეჩაქი გადააფარა ამ ხანგრძლივ ორგიას, რომელშიც რაფაელის მოთხრობა თითქო მეტყველების ორგია იყო, უაზრო სიტყვების ორგია ან კიდევ, აზრებისა, რომელთაც ხშირად მეტყველება აკლდა.

მეორე დღეს, შუადღისას, მშვენიერი აკვილინა მთქნარებით წამოდგა. დაქანცული იყო, ლოყებზე მარმარილოს ძარღვებივით იმ ხავერდგადაკრული ტაბურეტის ნიშანი ეტყობოდა, რომელზედაც მას თავი ჰქონდა მისვენებული. ევფრასია მისი ამხანაგის მოძრაობამ გამოაღვიძა, უცებ წამოხტა და ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა. მისი ლამაზი სახე, ესოდენ თეთრი, ესოდენ ქორფა წინა ღამით, ფერმკრთალი და გაყვითლებული იყო

საავადმყოფოში მიმავალი ქალის სახესავით. ნელ-ნელა სტუმრები გამოფხიზლდნენ, ისინი ღრმად ოხრავდნენ, ხელ-ფეხი დაბუჟებული ჰქონდათ, თავი _ დამძიმებული. შემოვიდა მსახური, რათა ჟალუზები და ფანჯრები გაეღო. მზის სხივები აციმციმდა მძინარეთა თავებზე და მთელი კრებული ფეხზე წამოდგა. ქალებს ძილში თმა დაშლოდათ, ტანისამოსი დაჭმუჭნოდათ, დღის სინათლემ ულამაზო სანახაობა გამოააშკარავა: კულულები უშნოდ ჩამოკიდებოდათ, სახის გამომეტყველება შეცვლოდათ, თვალები ამოღამებოდათ დაქანცულობის გამო. მამაკაცები უარს ამბობდნენ თავიანთ ღამის საყვარლებზე, როცა ხედავდნენ, რომ ისინი ფერწასული, გათელილი იყვნენ, როგორც ყვავილები, რომლებიც ქუჩაში რჩება პროცესიის გავლის შემდეგ.

ეს გულზვიადი მამაკაცები კიდევ უფრო საშინელი იყვნენ. ადამიანს ჟრუანტელი დაუვლიდა ამ ჩაცვინუული თვალების დანახვაზე, რომელნიც თითქო ვერაფერს ხედავდნენ, იმდენად გამოშტერებულნი იყვნენ მოუსვენარი ძილით, უფრო დამღლელით, ვიდრე ძალების აღმდგენელით. იყო რაღაც ონავრული და მხეცური ამ დაღლილ სახეებში, სადაც გაშიშვლებული ჩანდა ფიზიკური ნდომა, გაძარცვული იმ პოეზიისაგან, რომელიც ჩვენს სულს ამკობს. მხატვრები და მეძავი ქალები თვალებგაცეცებული უსიტყვოდ უცქეროდნენ უწესრიგო დარბაზს, რომელიც დარბეული და შემუსვრილი იყო ვნებათა ცეცხლით. უცებ სატანისებური ხარხარი გაისმა, როცა ტაიფერი შეეცადა გრიმასით მისალმებოდა თავის სტუმრებს. მისმა ოფლიანმა და გაჟინჟღილებულმა, სინდისის ქენჯნისაგან თავისუფალმა სახემ ღირსეული დამთავრება მისცა ამ ჯოჯოხეთურ სურათს.

თუმცა ეს ახალგაზრდა ქალები უკვე შეჩვეული იყვნენ ბიწიერ ცხოვრებას, მაგრამ მრავალ მათგანს გაახსენდა თავისი უმწიკვლო ბავშვობა, როცა ისინი სოფელში იღვიძებდნენ და ვარდებითა თუ ცხრატყავათი შემკულ ფანჯარაში ქორფა ველს დაინახავდნენ, მოჯადოებულს ტოროლას მხიარული ჭიკჭიკით, განათებულს დილის რიჟრაჟით და პირდაბანილს ცვარ-ნამით. სხვებს თვალწინ ოჯახური საუზმე ეხატებოდა, დიდი სუფრა, რომელსაც მხიარული ბავშვები და დედ-მამა უსხდნენ და უბრალო კერძს შეექცეოდნენ. ერთი მხატვარი თავის წყნარ ატელიეზე ოცნებობდა, თავის უმწიკვლო ქანდაკებაზე, თავის კოხტა მოდელზე, რომელიც მას უცდიდა. ერთ ახალგაზრდა კაცს აგონდებოდა სასამართლოს პროცესი, რომლისგანაც მთელი ოჯახის ბედი იყო დამოკიდებული, აგონდებოდა ხელშეკრულების დადება, რომელიც მის დასწრებას მოითხოვდა. მეცნიერი თავის კაბინეტზე ფიქრობდა, სადაც მას კეთილშობილი სამუშაო

ელოდა. თითქმის ყველანი თავიანთ თავს უჩიოდნენ. ამ დროს სიცილით გამოჩნდა ემილი, ვარდისფერი და ქორფა, როგორც მოდათა მაღაზიის ულამაზესი ნოქარი.

_ თქვენ უფრო მახინჯები ხართ, ვიდრე მოწმეები, რომელნიც ქონების აწერას ესწრებიან! _ წამოიძახა მან. _ არაფრის გაკეთება აღარ შეგიძლიათ. ეს დღე დაკარგულია; ჩემი რჩევაა, ვისაუზმოთ.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ტაიფერი გავიდა განკარგულების გასაცემად. ქალები მოდუნებული ნაბიჯით წავიდნენ, რათა ტანისამოსი გაესწორებინათ სარკეების წინ. ყველამ ძალა მოიკრიბა. თავაშვებულებმა ქადაგება წაუკითხეს კეთილგონიერთ. მეძავი ქალები დასცინოდნენ იმათ, ვისაც ძალ-ღონე აღარ შესწევდა ამ მძაფრი ლხინის გასაგრძობად. ერთ წუთში ეს აჩრდილები გამოცოცხლდნენ, შეჯგუფდნენ, საუბარი და სიცილი დაიწყეს. რამდენიმე ხელმარჯვე და მარდმა მსახურმა სწრაფად დაალაგა დარბაზები. დიდებული სუფრა გაიშალა. მაშინვე სტუმრები სასადილოში შეიჭრნენ, აქ გუშინდელი ორგიის ანაბეჭდთან ერთად, როგორც სულთმობრძავის უკანასკნელ ცახცახში, კიდევ შერჩენილი იყო სიცოცხლისა და აზრის გამონაკრთომი. ყველიერის კარნავალის მსგავსად სატურნალია დამარხული იყო შენიღბულ ადამიანთა მიერ, რომელნიც დაიქანცნენ ცეკვით, შეზარხოშდნენ სიმთვრალით, მაგრამ მაინც უნდოდათ უძლური სიამოვნება განეგრძოთ, რათა საკუთარი უძლურება არ გაემხილათ.

მაგრამ ამ დროს, როცა ეს უშიშარი საზოგადოება კაპიტალისტის სუფრას შემოერტყა, გამოჩნდა ნოტარიუსი კარდო, რომელიც წინა ღამით სადილის გათავებისთანავე გაიპარა, რათა თავისი ორგია თავისი ცოლის საწოლში დაემთავრებინა; მის პირმოთნე სახეზე ტკბილი ღიმილი კრთოდა.

მას თითქო ეყნოსა რაღაც მემკვიდრეობის არსებობა, რომლისთვისაც შეეძლო გემო გაესინჯა, ის გაეყო, აეწერა, საბუთების წიგნში შეეტანა, მემკვიდრეობის, რომელიც აღსავსე იქნებოდა ოქმებით, მსხვილი ჰონორარებით, ისეთივე ცვრიანით, როგორიც ის ფილე იყო, რომელშიც მასპინძელი დანას არჭობდა.

_ ოჰ, ოჰ! ჩვენ ნოტარიული წესით უნდა ვისაუზმოთ, _ წამოიძახა დე კიურსიმ.

_ თქვენ დროზე მოდიხართ, რათა ყველა ეს ნივთი დანომროთ და აღნუსხოთ, _ უთხრა ბანკირმა და ხელით მთელი წვეულება მოხაზა.

_ ანდერძისა არ ვიცი, მაგრამ ქორწინების ხელშეკრულების დადება კი შეიძლება მოხდეს! _ თქვა მეცნიერმა, რომელიც ერთი წლის წინ ბედნიერად დაქორწინებულიყო.

_ ერთი წუთი მიბოძეთ, _ უპასუხა კარდომ, რომელიც გააოგნა ბოროტი დაცინვების ხორომ, _ მე აქ სერიოზული საქმისათვის მოვედი. ექვსი მილიონი მოვიტანე ერთი თქვენთაგანისთვის. (ღრმა დუმილი) – მოწყალეო ხელმწიფევ, _ თქვა მან და რაფაელს მიმართა, რომელიც ამ წუთში უცერემონიოდ თვალებს იწმენდდა ხელსახოცის ყურით, _ ქალბატონი დედათქვენი ქალიშვილობაში გვარად ოფლაჰარტი ხომ არ ბრძანდებოდა?

_ დიახ, _ უპასუხა რაფაელმა. _ ბარბ-მარი ოფლაჰარტი.

_ თქვენი და ქალბატონი დე ვალენტენის დაბადების აქტები ხომ არა გაქვთ?

_ მგონი, უნდა მქონდეს.

_ ძალიან კარგი, ბატონო, თქვენ ბრძანდებით ერთადერთი მემკვიდრე მაიორ ოფლაჰარტისა, რომელიც შარშან აგვისტოში გარდაიცვალა კალკუტაში.

_ ძნელია ასეთი კალკუტური სიმდიდრის კალკულაცია! _ წამოიძახა ერთმა სტუმარმა.

_ მაიორმა თავის ანდერძში დიდი თანხები დაუტოვა სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს, და საფრანგეთის მთავრობამ მისი მემკვიდრეობის საბუთები გამოსთხოვა ინდოეთის კომპანიას, _ განაგრძო ნოტარიუსმა. _ ამ წუთში იგი სავსებით გაწმენდილი და გამორკვეულია. ორი კვირაა მე უნაყოფოდ ვეძებდი ქალბატონ ბარბ-მარი ოფლაჰარტის ინტერესთა წარმომადგენლებს, როცა გუშინ სადილად...

ამ წუთში რაფაელი უცებ წამოხტა და ისეთი მძაფრი მოძრაობა გააკეთა, თითქო ჭრილობა მიეღოს; გარშემო თითქო უსიტყვო შეძახილი გაისმა. სტუმრების პირველი გრძნობა ნაკარნახევი იყო ყრუ შურით, ყველამ თვალები რაფაელს მიანათა, როგორც ლამპრები. შემდეგ ბუტბუტი გაისმა, როგორც გაბრაზებულ პარტერში ხდება ხოლმე, აჯანყების დრტვინვა დაიწყო, განძვინვარდა, ყველამ თითო სიტყვა თქვა, რათა სალამი მიეძღვნა ამ უზარმაზარი სიმდიდრისათვის, რომელიც ნოტარიუსმა მოიტანა. რაფაელი უცებ გამოაფხიზლა ბედისწერის მოულოდნელმა წყალობამ; მან საჩქაროდ მაგიდაზე გაშალა ის ხელსახოცი, რომლითაც ცოტა ხნის წინათ შაგრენის ტყავი გაზომა. არავის ყურადღება არ მიუქცევია. თილისმა ზედ დაადო და უნებურად შეკრთა, როცა ხელსახოცზე მოხაზულ კონტრუსა და ტყავს შორის ცოტაოდენი განსხვავება დაინახა.

_ რა მოსდის? _ წამოიძახა ტაიფერმა. _ იაფად კი დაუჯდა თავისი სიმდიდრე.

_ ხელი მოჰკიდე, შატიონ, _ უთხრა ბიქსიუმ ემილს. _ სიხარულმა არ მოჰკლას.

მემკვიდრის დამჭკნარი სახე საშინლად გაფითრდა, თვალები ჩაუღამდა, მიცვალებულის ნიღაბი გადაეფარა. იგი სიკვდილს ხედავდა. ეს ზვიადი ბანკირი,

გარშემორტყმული დამჭკნარი მეძავი ქალებით, ეს მაძღარი სახეები, ეს სიხარულის აგონია მისი ცხოვრების ცოცხალი სურათი იყო. რაფაელმა სამჯერ დახედა თილისმას, იგი თავისუფლად ეტეოდა ხელსახოცზე მოხაზულ შეუბრალებელ ხაზებში; იგი შეეცადა თავი დაერწმუნებინა, მხედველობა მატყუებსო, მაგრამ ნათელი გრძნობა ანადგურებდა მის ურწმუნოებას. სამყარო მას ეკუთვნოდა, მას ყოველივე შეეძლო და მეტი არაფერი სურდა. როგორც უდაბნოში მოხვედრილ მოგზაურს, მას წყალი ცოტა ჰქონდა წყურვილის დასაკმაყოფილებლად და თავისი სიცოხცლე მისი წვეთებით უნდა გაეზომა. იგი ხედავდა, რომ ყოველი სურვილი რამდენიმე დღედ დაუჯდებოდა. მას უკვე სწამდა შაგრენის ტყავი, იგი უკვე თავის სუნთქვას უგდებდა ყურს, თავს უკვე ავად გრძნობდა, თავის თავს ეკითხებოდა:

_ ჭლექიანი ხომ არა ვარ? დედაჩემი ფილტვების ავადმყოფობით ხომ არ გარდაიცვალა?

_ აჰ, რაფაელ, კარგად კი გაერთობით! მე რას მომცემთ? _ ჰკითხა აკვილინამ.

_ დავლიოთ მისი ბიძის, მაიორ ოფლაჰარტის გარდაცვალებისთვის! აი, კაცი ის ყოფილა!

_ რაფაელი საფრანგეთს პერი გახდება!

_ ვაჰ, რას წარმოადგენს საფრანგეთის პერობა ივლისის რევოლუციის შემდეგ! _ თქვა საქმის მცოდნემ.

_ გექნება თუ არა ლოჟა ბუფონების თეატრში?

_ იმედია, ყველას გაგვიმასპინძლდებით! _ თქვა ბიქსიუმ.

_ ასეთი ადამიანი ყოველივეს დიდებულად გააკეთებს, _ თქვა ბიემილმა.

ამ დამცინავი საზოგადოების ღრიანცელი კარგად ესმოდა ვალენტენს, მაგრამ ვერც ერთი სტუმრის აზრი ვერ გაეგო. იგი ბუნდოვნად ფიქრობდა ბრეტანელ გლეხზე, რომელიც მოკლებული იყო აზრებსა და სურვილებს და დატვირთული იყო ბავშვებით, დილიდან საღამომდე ყანაში მუშაობდა, უგრეხელის ფაფას ჭამდა, ვაშლის ნახადს სვამდა თავისი დოქიდან, ღვთისმშობელი და მეფე სწამდა, სააღდგომოდ ეზიარებოდა, კვირაობით მწვანე ველზე ცეკვავდა, არაფერი ესმოდა თავისი მოძღვრის ქადაგებისა. ხოლო ეს სურათი, რომელიც მის თვალწინ იყო გაშლილი, ეს მოვარაყებული პანელი, ეს მეძავი ქალები, ეს საუზმე, ეს კომფორტი ყელში ებჯინებოდა და ხველას იწვევდა.

_ სატაცური ხომ არ გსურთ? _ დაუძახა ბანკირმა.

_ მე არაფერი მსურს! _ უპასუხა რაფაელმა მქუხარე ხმით.

_ ბრავო! _ თქვა ტაიფერმა. _ თქვენ გესმით, რას ნიშნავს გამდიდრება: იგი კადნიერების პატენტია. თქვენ ახლა ჩვენი სისხლი და ხორცი ხართ! ბატონებო, დავლიოთ ოქროს ხელმწიფების სადღეგრძელო! ბ-ნი ვალენტენი, რომელიც ექვსი მილიონის პატრონი გახდა, ხელისუფალიც გახდება. იგი მეფეა, მას ყოველივე შეუძლია, იგი ყველაფერზე მაღლა დგას, როგორც მდიდარი ადამიანი. ამიერიდან მისთვის გამოთქმა _ «ფრანგები თანასწორნი არიან კანონის წინაშეო» _ სიცრუეა, რომელიც ქარტიის დასაწყისშია დაწერილი. იგი არ ემორჩილება კანონებს, პირიქით, კანონები დაემორჩილებიან მას. მილიონერებისთვის არ არსებობს არც ეშაფოტი, არც ჯალათი.

_ ჰო, _ უპასუხა რაფაელმა, _ თვით ისინი თავიანთი თავის ჯალათები არიან!

_ აი, კიდევ ერთი ცრუმორწმუნეობა! _ დაიყვირა ბანკირმა.

_ დავლიოთ! _ თქვა რაფაელმა და თილისმა ჯიბეში ჩაიდო.

_ რას შვრები? _ ჰკითხა ემილმა და ხელში ხელი სტაცა. _ ბატონებო, _ მიმართა მან საზოგადოებას, რომელიც დიდად გაკვირვებული იყო რაფაელის ქცევით, _ უნდა გაგიმხილოთ, რომ ჩვენი მეგობარი დე ვალენტენი, არა, რას ვამბობ? ბატონი მარკიზ დე ვალენტენი გამდიდრების საიდუმლოებას ფლობს. მისი სურვილები სრულდება გამომჟღავნებისთანავე. რათა ლაქიის ან უგულო ადამიანის სახელი არ შეიძინოს, იგი ყველას გაგვამდიდრებს.

_ აჰ, ჩემო პატარა რაფაელ, მე მინდა მარგალიტების სამკაული, _ წამოიძახა ევფრასიამ.

_ თუ იგი უმადური ადამიანი არაა, ორ ეტლს მომცემს, რომელშიც მშვენიერი, ჩქარი ცხენები იქნებიან შებმული! _ თქვა აკვალინამ.

_ ისურვეთ ასი ათასი ლივრის შემოსავალი ჩემთვის!

_ ქიშმირის შალები!

_ გადაიხადეთ ჩემი ვალები!

_ დამბლა დაეცით ბიძაჩემს, იგი დიდი ძუნწია.

_ რაფაელ, ათი ათასი ლივრის შემოსავალი მომეცი, და ჩვენს შორის ყოველი ანგარიში გასწორებულია.

_ კარგი იქნებოდა, რომ იგი ნიკრისის ქარებისგან გამათავისუფლებდეს!

_ ძირს დააწევინეთ რენტას! _ დაიძახა ბანკირმა.

ამ სურვილებმა შადრევანივით გადმოსჩქეფა. შეიძლება ამ გააფთრებულ სურვილებში მეტი სერიოზულობა იყო, ვიდრე ხუმრობა.

_ ჩემო ძვირფასო მეგობარო, _ თქვა ემილმა მძიმედ, _ მე ორასი ათასი ლივრის შემოსავლით დავკმაყოფილდები; ეს შემისრულე, გეთაყვა.

_ ემილ, განა შენ არ იცი, რა ფასად უნდა დამიჯდეს ეს?

_ მშვენიერი გამართლებაა! _ უპასუხა პოეტმა. _ განა ჩვენ თავი არ უნდა გავწიროთ ჩვენი მეგობრობისთვის?

_ მე თითქმის მსურს სიკვდილი გისურვოთ ყველას, _ უპასუხა ვალენტენმა და მჭმუნვარედ და ღრმად გადახედა თანამეინახეებს.

_ მომაკვდავნი სასტიკნი არიან, _ თქვა ემილმა სიცილით. _ აი, შენ მდიდარი ხარ, _ დაუმატა მან სერიოზულად, _ და ორიოდე თვის შემდეგ ბილწი ეგოისტი გახდები. უკვე გამოსულელებული ხარ და ხუმრობა არ გესმის. მხოლოდ ისღა გაკლია, რომ მართლაც შენი შაგრენის ტყავი იწამო...

რაფაელს ეშინოდა ამ საზოგადოების დაცინვისა და დადუმებული იყო. უზომოდ ბევრი დალია და დათვრა, რათა ერთი წუთით დაევიწყა თავისი საბედისწერო ყოვლისშემძლეობა.

III

სულთმობრძაობა

დეკემბრის პირველ დღეებში სამოცდაათი წლის მოხუცი, წვიმის მიუხედავად, ვარენის ქუჩაზე მიდიოდა, ყოველი სახლის კარებს აცქერდებოდა და ბავშვური გულუბრყვილობითა და ფილოსოფოსის დაფიქრებული სახით ბ-ნ მარკიზ რაფაელ დე ვალენტენის მისამართს ეძებდა. მის სახეზე ნათლად იყო აღბეჭდილი მძაფრი მწუხარების ბრძოლა მბრძანებლურ ხასიათთან. ეს სახე გამომშრალი იყო ძველი პერგამენტივით, რომელიც იკრუნჩხება ცეცხლზე. მისი გრძელი ჭაღარა თმა გაწეწილიყო. თუ რომელიმე მხატვარს ეს უცნაური ფიგურა შეხვდებოდა, შავ ტანისამოსიანი, გამხდარი, გაძვალტყავებული, ის მას ატელიეში დაბრუნებისთანავე თავის ალბომში შეიტანდა და მისი სურათის ქვეშ მიაწერდა: «კლასიკოსი პოეტი რითმის ძებნის დროს».

ბოლოს, როგორც იყო ამ როლენის* პალინგენეზისმა* აღმოაჩინა ნაჩვენები ნომერი და წყნარად დააკაკუნა დიდებული სასახლის კარიბჭეზე.

_ ბატონი რაფაელი სახლში ბრძანდება? _ ჰკითხა მან მეკარეს.

_ ბ-ნ მარკიზი არავის ღებულობს, _ უპასუხა მსახურმა და ვეებერთელა პურის ნაჭერი ჩანთქა, ყავის ფინჯანში ჩაწობილი.

_ მისი ეტლი აქ დგას, _ უპასუხა უცნობმა მოხუცმა და ბრწყინვალე ეტლზე ანიშნა, რომელიც ხის ფანჩატურის ქვეშ იდგა კარიბჭის მახლობლად. _ ალბათ, ახლავე გამოვა, მე დავუცდი.

_ აჰ, ჩემო ბერიკაცო, თქვენ შეიძლება აქ ხვალამდე მოგიხდეთ ლოდინი. აქ ეტლი ყოველთვის მზადაა ბატონისათვის. წადი, გეთაყვა; მე ექვსას ფრანკიან ჯამაგირს დავკარგავ, თუ ნებადაურთველად უცხო კაცი შევუშვი ამ სახლში.

ამ წუთში ელამონიდან გამოვიდა და კიბეზე ჩაირბინა მაღალმა მოხუცმა, რომელიც მინისტრის შიკრიკივით იყო ჩაცმული. მან აათვალიერა გაოცებული მთხოვნელი.

_ აი, ბატონი იონათანიც, _ თქვა ბჭეთამცველმა, _ მოელაპარაკეთ მას.

ორი მოხუცი, რომელთაც ერთიმეორისკენ თანაგრძნობა თუ ცნობისმოყვარეობა იზიდავდა, ერთმანეთს შეხვდნენ ფართო ეზოში, სადაც ფიქალ ქვებს შორის ბალახბულახს გამოეყო თავი. სასახლეში შემაშფოთებელი დუმილი მეფობდა. ვინც იონათანს შეხედავდა, შეეცდებოდა გაეგო ეს საიდუმლოება, რომელიც თავის დაღს ასვამდა როგორც მის სახეს, ისე ყოველ საგანს ამ პირქუშ სასახლეში. როცა რაფაელმა თავისი ბიძის უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო, მაშინვე მონახა თავისი ერთგული ბებერი მსახური, რომელსაც იგი ყველაფერში ენდობოდა. თავის მხრივ, იონათანმა სიხარულის ცრემლები დაღვარა, როცა ხელახლა თავისი ბატონი დაინახა. მას ეგონა, რაფაელს ვერასოდეს ვეღარ შეხვდებოდა; მაგრამ მისი ბედნიერება უსაზღვრო იყო, როცა მარკიზმა იგი თავის მოურავად დანიშნა. მოხუცი ყოვლისშემძლე შუამავლად გადაიქცა რაფაელსა და მთელ დანარჩენ ქვეყანას შორის. იგი თავისი ბატონის ქონების უზენაესი გამგებელი იყო, ბრმად ასრულებდა ყოველ მის ფარულ ზრახვას. იონათანი თითქოს მეექვსე გარეგრძნობა იყო, რომლის შემწეობით ცხოვრების მღელვარებანი შენელებული აღწევდნენ რაფაელამდე.

_ ბატონო, მე მინდა ბ-ნ რაფაელს ვესაუბრო, _ უთხრა მოხუცმა იონათანს და კიბეზე რამდენიმე საფეხური აიარა, რათა თავი დაეცვა წვიმისაგან.

_ ბ-ნ მარკიზს ესაუბროთ? _ წამოიძახა მოურავმა. _ იგი ორიოდე სიტყვას ვერ იმეტებს ჩემთვის _ მისი მამამძუძისთვის.

_ მეც მისი მამამძუძე ვარ, _ უპასუხა მოხუცმა. _ თუ თქვენს ცოლს მისთვის ოდესღაც ძუძუ უწოვებია, მე მას თვით მოვაწოვე მუზების ძუძუ. იგი ჩემი შვილობილი, ჩემი ბავშვია, ჩემი carus alumnus-ია.* მე ჩამოვაყალიბე მისი ტვინი, აღვზარდე მისი გონება,

განვავითარე მისი გენია - ეს მე შემიძლია ჩემდა სასახელოდ და საბედნიეროდ ვთქვა. განა იგი ჩვენი ეპოქის ერთი უშესანიშნავესი ადამიანი არაა? მე მისი მასწავლებელი ვიყავი მეექვსე, მესამე და რიტორიკის კლასში.

_ აჰ, თქვენ ბატონი პორიკე ბრძანდებით?

_ დიახ. მაგრამ, ბატონო...

_ სსუ! სსუ! _ დაუძახა იონათანმა ორ მზარეულს, რომელთა ხმაური არღვევდა ამ სახლის მონასტრისებურ დუმილს.

_ ბატონი მარკიზი ავად ხომ არ ბრძანდება?

_ ჩემო ძვირფასო, _ უპასუხა იონათანმა, _ მარტო ღმერთმა იცის, რა მოსდის ჩემს ბატონს. პარიზში ორი სახლიც არაა ისეთი, რომელიც ჩვენსას ჰგავდეს. ხომ გესმით? ორი სახლიც. გეფიცებით, რომ არა. ბ-ნმა მარკიზმა აყიდვინა ეს სასახლე, რომელიც წინათ ერთ დუკას ეკუთვნოდა. სამასი ათასი ფრანკი დახარჯა, სამასი ათასი ფრანკი! მაგრამ ჩვენი სახლის ყოველი ნივთი ნამდვილ სასწაულს წარმოადგენს. ძალიან კარგი-მეთქვი, ვთქვი გულში, როცა ეს ბრწყინვალება დავინახე. აქ ისეთივე ამბავია, როგორიც განსვენებული მისი პაპის ოჯახში: ახალგაზრდა მარკიზთან მეფის კარისკაცები და მთელი ქალაქი ივლის-მეთქი. მაგრამ ბატონმა არავის ნახვა არ ისურვა. იგი ახირებულ ცხოვრებას მისდევს, ბატონო პორიკე, ყოვლად შეუსაბამო ცხოვრებას. ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დგება. მარტო მე შემიძლია მის ოთახში შესვლა. ყოველდღე, ზამთარ-ზაფხულ შვიდ საათზე ვაღებ კარებს. ეს ასეა დაწესებული. შესვლისთანავე ვეუბნები:

_ ბატონო მარკიზო, კეთილინებეთ გამოღვიძება და ტანთ ჩაცმა.

იგი იღვიძებს და დგება. მაშინვე საშინაო ხალათი უნდა მივაწოდო. იგი ყოველთვის ერთი და იმავე ფასონით და ერთი და იმავე მატერიისაგანაა შეკერილი. ვალდებული ვარ შევცვალო, როგორც კი გაცვდება. დღეში შეუძლია ათასი ფრანკი შეჭამოს; რაც უნდა, იმას იზამს. ეს ჩემი საყვარელი ბიჭუნაა. უნდა მოგახსენოთ, ისე მიყვარს, რომ თუ მარჯვენა ყვრიმალზე შემოეკრა, მარცხენას გავუწოდებდი. ვერ წარმომიდგენია, რა ძნელი საქმე უნდა დამაკისროს, რომ არ შევუსრულო. იმდენი წვრილმანი რამ მაქვს გასაკეთებელი, რომ თავისუფალი დრო აღარ მრჩება. ნაბრძანები მაქვს ჟურნალ-გაზეთები ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას დავუწყო მაგიდაზე. წვერსაც მე ვპარსავ. მზარეული ხუთასი ოქროს პენსიას დაკარგავდა, რომელიც მისი ბატონის სიკვდილის შემდეგ ელის, თუ საუზმე დილით ათ საათზე არ იქნა მზად, ხოლო სადილი _ ნაშუადღევის ხუთზე. მენიუ წინდაწინ მთელი წლისთვისაა შედგენილი. მარკიზის ყოველი სურვილი სრულდება. იგი ჭამს

პირველად შემოსულ ხილს, საუკეთესო სანოვაგეს. სადილის პროგრამა დაბეჭდილია; მან დილითვე ზეპირად იცის, რა ექნება სადილად. იმ დროისათვის იგი დანიშნულ საათზე ერთსა და იმავე ტანისამოსს, ერთსა და იმავე საცვალს იცვამს: ამ საცვალსა და ტანისამოსს მე ყოველთვის ერთსა და იმავე სავარძელზე ვუწყობ. მე აგრეთვე უნდა ვიზრუნო, რომ მაუდიც ერთი და იგივე იყოს. თუ ტანისამოსი გაუცვდა, ისე უნდა განვუახლო, რომ სიტყვის თქმაც არ იქნეს საჭირო. თუ კარგი დარია, შევდივარ და ვეუბნები:

_ გარეთ გაბრძანებას ხომ არ ინებებთ, ბატონო?

იგი ან ჰოს მიპასუხებს, ან არას. თუ გასეირნების სურვილი აქვს, ცხენების ცდა როდი სჭირდება - ისინი ყოველთვის მზად არიან: მეეტლეს ყოველთვის მათრახი უნდა ჰქონდეს მომარჯვებული, როგორც კარიბჭესთან დაინახეთ. საღამოთი, სადილის შემდეგ, ბატონი ხან ოპერაში მიდის, ხან იტალიელებთან... მაგრამ არა, იტალიელებთან ჯერ არ ყოფილა, გუშინდლამდე ვერ მოვახერხე ლოჟის შეძენა. სწორედ თერთმეტ საათზე შინ ბრუნდება დასაძინებლად. დღისით, როცა სხვა არაფერი აქვს გასაკეთებელი, იგი წიგნს კითხულობს, განუწყვეტლივ კითხულობს. მე ნაბრძანები მაქვს «წიგნის ვაჭრობის ჟურნალი» წავიკითხო, რათა ახალი წიგნები შევიძინო და ბუხრის თავზე დავაწყო. ნაბრძანები მაქვს აგრეთვე დროგამოშვებით მის ოთახში შევიდე, რათა ცეცხლს შევუკეთო და დავრწმუნდე, რომ არაფერი აკლია. ერთი პატარა წიგნაკი მომცა ზეპირად შესასწავლად. ბატონო, იქ ყველა ჩემი ვალდებულებაა ჩაწერილი, ეს ნამდვილი კატეხიზმოა! ზაფხულში ყინულის მთელი ზვინების შემწეობით გრილი ტემპერატურა უნდა დავიცვა, ყველგან ყოველთვის ქორფა ყვავილები უნდა იდგას. არავის არ შეურაცხყოფს, კრავივით უწყინარია, არასოდეს ზედმეტ სიტყვას არ იტყვის; მხოლოდ სასახლეში და ბაღში სრული სიჩუმე უნდა მეფობდეს. ერთი სიტყვით, ყოველი მისი სურვილი სრულდება, სანამ გამომჟღავნდებოდეს. მე ვეუბნები, ასე და ასე იმოქმედე-მეთქი, და იგი ყურს მიგდებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორაა მოწყობილი ყოველივე. ოთახები ერთ გრძელ რიგშია ჩამწკრივებული. წარმოვიდგინოთ, იგი თავისი ოთახის ან კაბინეტის კარს აღებს, უცებ ყველა კარი იღება მექანიზმის შემწეობით. მაშინ მას შეუძლია მთელი სახლი შემოიაროს და ყველგან გაღებულ კარებს ნახავს... და აი, ბატონო პორიკე, ბოლოს მითხრა:

_ იონათან, შენ ისე უნდა მომიარო, როგორც არტახებში გახვეულ ბავშვს უვლიანო. დიახ, ბატონო, სწორედ ეს სიტყვები მითხრა: არტახში გახვეულსო... ჩემს მაგიერ შენ იფიქრე ჩემი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზეო...

_ მე ბატონი ვარ, ხომ გესმით? იგი კი თითქმის მსახურია. და რატომ? ეს არავინ იცის, მხოლოდ მან და ღმერთმა თუ იცის. ახირებული ამბავია.

_ იგი პოემას წერს, _ წამოიძახა ბებერმა მასწავლებელმა.

_ თქვენ გგონიათ, ბატონო, რომ პოემას წერს? ეს საკატორღო შრომა ყოფილა! მაგრამ იცით რა, მე ეს როდი მწამს. ხშირად მეტყვის, მინდა მცენარეული ცხოვრებით ვიცხოვროო. გუშინ ტანზე ჩაცმის დროს ტიტას შეხედა და მითხრა:

_ აი, ასეთია ჩემი ცხოვრება... მე მცენარესავით ვცხოვრობ, ჩემო საბრალო იონათან!

ამავე დროს სხვები ფიქრობენ, იგი მონომანიაო. ახირებული ამბავია, თქვენ ნუ მომიკვდეთ!

_ ყოველივე ეს მიმტკიცებს, იონათან, _ წარმოთქვა მასწავლებელმა მძიმე მეცნიერული ტონით, რომელმაც უღრმესი მოკრძალება შთააგონა ბებერ მსახურს, _ რომ თქვენს ბატონს რაღაც დიდი შრომისთვის მოუკიდია ხელი. იგი აზრებშია წასული და არ სურს, რომ ყოველდღიური ცხოვრების საზრუნავს დაექვემდებაროს. გონებრივი მუშაობის დროს გენიოსი ყოველივეს ივიწყებს. ერთ დღეს სახელოვანმა ნიუტონმა...

_ აჰ, ნიუტონი, ჰო... _ თქვა იონათანმა. _ მე მას არ ვიცნობ.

_ დიდმა გეომეტრმა ნიუტონმა ოცდაოთხი საათი გაატარა მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილმა. როცა გამოფხიზლდა, მეორე დღე წინანდელი დღე ეგონა, თითქოს ძინებოდეს... მინდა, ჩემი ძვირფასი ბიჭი ვინახულო; შეიძლება, რამეში გამოვადგე.

_ დაიცათ! _ წამოიძახა იონათანმა. _ საფრანგეთის მეფეც რომ იყოთ, წინანდელი, რასაკვირველია, იქ მაინც ვერ შეხვალთ, თუ კარები არ შეამტვრიეთ და ჩემს გვამს არ გადააბიჯეთ. მაგრამ, ბატონო პორიკე, ახლავე შევატყობინებ, რომ თქვენ აქ ბრძანდებით და ასე ვკითხავ: «შეიძლება მისი შემოშვება?» იგი ან ჰოს მეტყვის, ან არას. არასოდეს არ ვკითხავ: გნებავთ? გსურთ? გწადიათ? ეს სიტყვები ამოშლილია ლექსიკონიდან. ერთხელ წამომცდა ასეთი გამოთქმა. «ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდა?» _ მითხრა მან გულისწყრომით.

იონათანმა ელამონში დატოვა ბებერი მასწავლებელი და ანიშნა, უკან არ გამომყვეო, მაგრამ იგი ჩქარა დაბრუნდა და დამსახურებული ბერიკაცი ბრწყინვალე დარბაზებში გაატარა. ყველა კარი მართლაც ღია იყო. პორიკემ თავისი მოსწავლე შორიდან დაინახა: ფართო ზოლებიან საშინაო ხალათში იყო გახვეული, ბუხრის წინ იჯდა ღრმა სავარძელში და გაზეთს კითხულობდა. მთელი მისი ავადმყოფურად მოდუნებული სხეული

ამჟღავნებდა, რომ იგი უკიდურესი მელანქოლიის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. იგივე მელანქოლია იყო აღბეჭდილი მის შუბლზე, მის დამჭკნარ ყვავილივით ფერწასულ სახეზე. მის პიროვნებას ახასიათებდა რაღაც ქალური გრაცია და ახირებული ქცევა, ესოდენ დამახასიათებელი მდიდარი ავადმყოფებისთვის. მისი ხელები ფაფუკი და თეთრი იყო ლამაზი ქალის ხელებივით. მისი ქერა თმა, ოდნავ შეთხელებული, რჩეული კეკლუცობით იყო დახუჭუჭებული. რბილი ქიშმირისგან გაკეთებული ბერძნული ჩაჩი გვერდზე გადაწეულიყო მძიმე ფოჩის წყალობით. მის ფეხებთან მოოჭვილი მალაქიტის დანა ეგდო, რომლითაც მას წიგნის გვერდები გაეჭრა. მუხლებზე ინდური ყალიონის საუცხოო ქარვის მუნდშტუკი ეგდო. ამ ყალიონის მინანქრიანი გრაგნილი გველივით გაწოლილიყო მის ოთახში. მაგრამ მისი ახალგაზრდა სხეულის საერთო სისუსტეს ეწინააღმდეგებოდა ცისფერი თვალები, სადაც თითქოს მთელი სიცოცხლე იყო თავმოყრილი და სადაც არაჩვეულებრივი მგრძნობიარობა ბრწყინავდა. ამ თვალების დანახვა გულისტკივილს იწვევდა. ზოგიერთ მაყურებელს მასში სასოწარკვეთილების წაკითხვა შეეძლო, სხვები კი შინაგან ბრძოლას იგრძნობდნენ, ისევე როგორც სინდისის ქენჯნაა: ეს იყო უძირო თვალების გამოხედვა უძლური ადამიანისა, რომელიც გულის სიღრმეში მარხავს თავის სურვილს, ან _ ძუნწისა, რომელიც ოცნებაში განიცდის ყველა შესაძლებელ სიამოვნებას, მაგრამ უარს ამბობს მათზე, იმიტომ რომ თავისი განძის შემცირება არ სურს; ან კიდევ - ეს იყო მიჯაჭვული პრომეთეს გამოხედვა ან ტახტიდან ჩამოგდებული ნაპოლეონისა, რომელიც 1815 წელს ელისეს სასახლეში გებულობს, რომ მისმა მტრებმა სტრატეგიული შეცდომა ჩაიდინეს, მთავარსარდლობას თხოულობს ოცდაოთხი საათის ვადით, მაგრამ უარს ღებულობს. ეს იყო დამპყრობელის და განწირულის გამოხედვა! ან, უკეთ ვთქვათ, ეს იყო გამოხედვა, რომელიც რამდენიმე თვის წინათ თვით რაფაელმა სენის ტალღებს ან კიდევ თამაშობაში დასმულ თავის უკანასკნელ ოქროს მიაპყრო.

თავისი ნებისყოფა, თავისი გონება მას დაემორჩილებინა ამ მოხუცი გლეხის ტლანქი და საღი ჭკუისათვის, რომელსაც ცივილიზაცია ნაკლებ გაჰკარებოდა ბატონებთან ორმოცდაათი წლის სამსახურის დროს. იგი თითქმის ბედნიერი იყო იმით, რომ ერთგვარი ავტომატი გახდა. იგი უარს ამბობდა სიცოცხლეზე სიცოცხლის გულისათვის, ხოლო თავის სულს სურვილთა პოეზიისაგან ძარცვავდა. მას თავისი ფანტაზია დაესაჭურისებინა და უბიწო გამხდარიყო ორიგენის მსგავსად, რათაAუკეთ შებრძოლებოდა მკაცრ ძალას, რომლის გამოწვევა მან მიიღო.

თავისი მოულოდნელი გამდიდრებისა და შაგრენის ტყავის შემცირების მეორე დღეს იგი თავის ნოტარიუსთან იყო სტუმრად. იქ ერთმა ექიმმა სერიოზულად უამბო, როგორ განიკურნა თავი ვიღაც შვეიცარიელმა, რომელიც ჭლექით იყო დაავადებული. მას თურმე ერთი სიტყვაც არ წარმოეთქვა ათი წლის განმავლობაში, ბოსლის მძიმე ჰაერს ისუნთქავდა გამოზომილად, სახელდობრ, ექვსჯერ წუთში, არაჩვეულებრივად ნაზ საჭმელს ღებულობდა. «მეც ასეთი ადამიანი გავხდები!» _ გაიფიქრა რაფაელმა, რომელსაც სიცოცხლე სწყუროდა, რაც უნდა დაჯდომოდა. ფუფუნების წიაღში მან ორთქლის მანქანისებური ცხოვრება დაიწყო. როცა ბებერმა მასწავლებელმა ეს ახალგაზრდა ცხედარი დაინახა, მას ჟრუანტელმა დაუარა: ყოველივე მას ხელოვნურად ეჩვენა ამ ნატიფ და ფხვიად სხეულში. თვალებანთებულ, აზრებით შუბლდატვირთულ მარკიზში მან ვერ იცნო თავისი მოწაფე, რომელიც მას ლოყაწითელი და მოსხლეტილი ახსოვდა. ამ გულკეთილ კლასიკოსს, ბრძენ კრიტიკოსს და კარგი გემოვნების დამცველს ლორდ ბაირონი რომ ჰქონოდა წაკითხული, იფიქრებდა, მანფრედი ვნახე იქ, სადაც ჩაილდ-ჰაროლდის ნახვას ველოდიო.

_ გამარჯობა, ძია პორიკე, _ უთხრა რაფაელმა თავის მასწავლებელს და თავისი ცხელი და ნესტიანი ხელი მოუჭირა მის გაყინულ თითებს. _ როგორ გიკითხოთ?

_ მე კარგად გახლავართ, _ უპასუხა მოხუცმა, შეძრწუნებულმა ამ ციებ-ცხელებიანი ხელის შეხებით. _ თქვენ?

_ ოჰ, იმედი მაქვს ჯანმრთელობა შევინარჩუნო.

_ თქვენ, უეჭველია, რაღაც კარგ თხზულებას წერთ.

_ არა, _ უპასუხა რაფაელმა. _ exegi monumentum... ძია პორიკე, უკვე დავამთავრე ერთი დიდი ფურცელი და სამუდამოდ უარი ვუთხარი მეცნიერებას. კარგად არც კი ვიცი, სადაა ჩემი ხელთნაწერი.

_ რასაკვირველია, წმინდა სტილით იქნება დაწერილი, _ უთხრა მასწავლებელმა. _ იმედი მაქვს, თქვენ არ შეგითვისებიათ ამ ახალი სკოლის ბარბაროსული სტილი, რომელსაც ჰგონია სასწაული მოვახდინე, რაკი რონსარი მოვიგონეო.

_ ჩემი ნაწარმოები წმინდა ფიზიოლოგიური ხასიათისაა.

_ ოჰ, ამით ყველაფერია ნათქვამი, _ განაგრძო მასწავლებელმა. _ მეცნიერულ შრომებში გრამატიკა აღმოჩენათა მოთხოვნილებას უნდა დაემორჩილოს. ამისდა მიუხედავად, ჩემო კარგო, მასილიონის, ბიუფონის, დიდი რასინის ენის, ერთი სიტყვით,

ნათელი, ჰარმონიული კლასიკური სტილის დაცვა არ გავნებს... მაგრამ ჩემი სტუმრობის მიზანი დამავიწყდა. მე საქმისთვის ვარ მოსული.

რაფაელს გვიან გაახსენდა დახვეწილი ენამჭევრობა და მაღალფარდოვანი პერიფრაზები, რომელსაც მისი ოსტატი იყო შეჩვეული ხანგრძლივი მასწავლებლობის გამო, და თითქმის ინანა, რად მივიღე იგიო. მაგრამ ვერც კი მოასწრო მისი გარეთ გასვლა ესურვა, რომ მაშინვე ჩაახშო ეს სურვილი და შაგრენის ტყავს შეხედა, რომელიც მის წინ ეკიდა თეთრი მატერიის ფონზე: ტყავის მისნური კონტურები წითელი ხაზით იყო შემოვლებული; ეს ხაზი თითქოს ჩარჩოს ქმნიდა მის გარშემო. საბედისწერო ღრეობის შემდეგ რაფაელი ახშობდა ყოველ თავის უუმსუბუქეს ჟინსა თუ სურვილს და ისე ცხოვრობდა, რომ ეს საშინელი თილისმა ოდნავადაც არ შერხეულა. შაგრენის ტყავი თითქოს ვეფხი ყოფილიყოს. რაფაელი იძულებული იყო მის გვერდით ეცხოვრა, რომ მისი მძვინვარება არ გამოეწვია, ამიტომ მოთმინებით მოისმინა ბებერი მასწავლებლის ენაწყლიანი საუბარი. პორიკემ მთელი საათი მოანდომა მოთხრობას, თუ როგორ სდევნიდნენ მას ივლისის რევოლუციის შემდეგ, რადგან კეთილი კაცი ძლიერი ხელისუფლების მომხრე იყო და საკმაოდ პატრიოტული სურვილი გამოეთქვა: მედუქნეები თავიანთ დახლებთან უნდა ისხდნენ, სახელმწიფო მოღვაწეებმა საზოგადო საქმეები მართონ, ადვოკატები სასამართლოში დარჩნენ, ხოლო საფრანგეთის პერები _ ლუქსემბურგის სასახლეშიო. მეფე- მოქალაქის ერთ პოპულარულ მინისტრს მისთვის კარლისტობა დაებრალებინა და კათედრა წაერთმია. ახლა მოხუცი უადგილოდ, უპენსიოდ და უპუროდ იყო დარჩენილი. რადგან თავის ღარიბ ძმისწულს ზრდიდა და მის ხარჯებს იხდიდა წმინდა სულპიცის სემინარიაში, იგი უფრო თავისი შვილობილისა, ვიდრე თავისთვის, რაფაელს სთხოვდა ახალ მინისტრთან შუამდგომლობა გაეწია, რომ მისთვის გამგის ადგილი მიეცათ პროვინციის რომელიმე კოლეჯში. რაფაელი თვლემდა, როცა მოხუცის მონოტონური ლაპარაკი შეწყდა.

_ კარგი, ჩემო კეთილო პორიკე, _ წარმოთქვა მან ისე, რომ არც კი იცოდა, რომელ კითხვას უპასუხებდა, _ მაგრამ მე არაფერი შემიძლია, სრულიად არაფერი. ჩემი უგულითადესი სურვილია, რომ თქვენ შესძლოთ...

რაფაელს არც კი შეუმჩნევია, რა შთაბეჭდილება მოახდინა მოხუცის ყვითელ და დანაოჭებულ შუბლზე ამ ბანალურმა სიტყვებმა, აღსავსემ ეგოიზმითა და უდარდელობით, რომ უცებ ყურები ცქვიტა შეშინებული შველივით. მან შეამჩნია, რომ

შაგრენი შეიკუმშა და წვრილი თეთრი ხაზი აღინიშნა შავ ტყავსა და წითელ ჩარჩოს შორის. მან ისეთი საშინელი ხმით დაიღრიალა, რომ ბებერი მასწავლებელი შეძრწუნდა.

_ ბებერო ნადირო! _ წამოიძახა მან. _ შენ უნდა დაგნიშნონ სასწავლებლის ზედამხედველად? არ მერჩია შენთვის ხუთასი ოქრო პენსია დამენიშნა, ვიდრე ასეთი მომაკვდინებელი სურვილი დამბადებოდა? შენი სტუმრობა არაფერი დამიჯდებოდა. საფრანგეთში ასი ათასი სამსახურია, მე კი მხოლოდ ერთი სიცოცხლე მაქვს! ადამიანის სიცოცხლე მეტი ღირს, ვიდრე მთელი ქვეყნიერების ადგილები... იონათან!

იონათანი გამოჩნდა.

_ აი, რა საქმე მიყავი, ბრიყვო! რატომ მირჩიე ეს ვაჟბატონი მიმეღო? _ წამოიძახა მან და გაქვავებულ ბერიკაცს მიუთითა. _ იმისთვის მოგანდე ჩემი სული, რომ იგი დაფლითო? ამ წუთში შენ ათი წლის სიცოცხლე გამომგლიჯე. კიდევ ერთი ასეთი შეცდომა და იქით გამაცილებ, საითაც მე მამაჩემი გავაცილე. განა არ მიჯობდა მშვენიერი თეოდორას მფლობელი გავმხდარიყავი, ვიდრე დახმარება გამეწია ამ ბებერი ჩონჩხისა, ამ ბღენძისთვის? მაგის სამყოფი ოქრო კი მაქვს... ესეც არ იყოს, თუნდ მთელი დედამიწის პორიკოები შიმშილით დაიხოცნენ, მე რა მესაქმება?

რაფაელს სიბრაზისაგან სახე გაუფითრდა. მთრთოლვარე ტუჩებიდან დორბლი წამოუვიდა, თვალებიდან ცოფს ჰყრიდა. ამ სურათის დანახვაზე ორივე მოხუცი ცახცახმა აიტანა, თითქოს ბავშვები ყოფილიყვნენ და გველი დაენახოთ. ყმაწვილი კაცი მოსწყდა და სავარძელში ჩავარდა. მის სულში ერთგვარი რეაქცია დაიწყო, ანთებული თვალებიდან ცრემლის ნაკადულმა გადმოხეთქა.

_ ოჰ, ჩემო ცხოვრებავ! ჩემო მშვენიერო ცხოვრებავ!.. აღარც კეთილისმყოფელი აზრებია, აღარც სიყვარულია! არაფერი აღარაა!

მან პირი იბრუნა მასწავლებლისკენ.

_ ბოროტება უკვე ჩადენილია, ჩემო ძველო მეგობარო, _ თქვა მან ნაზი ხმით. _ მე თქვენ უხვად დაგაჯილდოებთ თქვენი მზრუნველობისათვის. ჩემი უბედურება, უკიდურეს შემთხვევაში, კეთილი და ღირსეული ადამიანის კეთილდღეობას მაინც შეუწყობს ხელს.

ეს თითქმის გაუგებარი სიტყვები ისეთი მგრძნობიარე ტონით იქნა წარმოთქმული, რომ ორივე მოხუცი ატირდა, როგორც ადამიანი ტირის, როცა გულისამაჩუყებელი სიმღერა ესმის უცხო ენაზე.

_ იგი ეპილეპტიკოსია! _ თქვა პორიკემ დაბალი ხმით.

_ მე ვცნობ თქვენს გულკეთილობას, ჩემო მეგობარო, _ განაგრძო ნაზად რაფაელმა. _ თქვენ გინდათ გამამართლოთ. ავადმყოფობა შემთხვევის საქმეა, ხოლო უადამიანობა მანკი და დანაშაულია. ახლა მარტო დამტოვეთ. ხვალ ან ზეგ, შეიძლება ამ საღამოსაც, ადგილზე დაგნიშნავენ, ვინაიდან წინააღმდეგობის ძალამ დასძლია მოძრაობის ძალა. მშვიდობით.

მოხუცი წავიდა. იგი დიდად შეშფოთებული იყო ვალენტენის სულიერი ჯანმრთელობის მდგომარეობით. ეს სცენა მას რაღაც ზებუნებრივად ეჩვენა. მას აღარ სწამდა თავისივე თავი და ეგონა, ეს არის მძიმე სიზმრიდან გამოვფხიზლდიო.

_ მისმინე, იონათან, _ უთხრა ყმაწვილმა თავის ბებერ მსახურს. _ შეეცადე შეიგნო ის მისია, რომელიც შენ გაქვს დაკისრებული!

_ ვეცდები, ბატონო მარკიზ!

_ მე თითქოს საერთო კანონების გარეშე დაყენებული ადამიანი ვარ.

_ დიახ, ბატონო მარკიზ.

_ ცხოვრების ყველა სიამოვნებანი ჩემი სიკვდილის სარეცელის გარშემო როკავენ, თითქოს მშვენიერი ქალები იყვნენ; თუ მათ მოვუხმე, მოვკვდები. ყველგან სიკვდილია! შენ ზღუდესავით უნდა აღიმართო ჩემსა და ქვეყნიერებას შორის.

_ დიახ, ბატონო მარკიზო, _ წარმოთქვა ბებერმა მსახურმა და ოფლი მოიწმინდა დანაოჭებულ შუბლზე. _ მაგრამ თუ თქვენ ლამაზი დედაკაცების დანახვა არ გსურთ, დღეს როგორ წახვალთ იტალიურ ოპერაში? ინგლისელების ოჯახმა, რომელიც ლონდონში მიემგზავრება, თავისი აბონემენტი დამითმო: თქვენ საუცხოო ლოჟა გექნებათ პირველ იარუსზე.

რაფაელი ღრმა ოცნებაში იყო წასული და ყურს როდი უგდებდა.

* * *

ხედავთ იმ ზვიად ეტლს, სადაც, მუქად შეღებილს, მაგრამ შემკულს ძველი კეთილშობლი გვარის საგერბო ფარით? როცა ეტლი მიჰქრის, გრიზეტები მას აღტაცებით შესცქერიან, გულის წადილით ფიქრობენ ყვითელ სატინსა, ძვირფას ნოხებსა, ბრინჯის ჩალასავით ნათელ ფოჩებსა, რბილ ბალიშებსა და მდუმარე სარკეებზე. ორი ლივრეიანი ლაქია უკან ზის ამ არისტოკრატული ეტლის სატერფულოზე, ხოლო შიგნით, აბრეშუმის ბალიშზე მისვენებულია ანთებული თავი ჩაღამებული თვალებით, რაფაელის თავი, სევდიანი და დაფიქრებული. ესა სიმდიდრის საბედისწერო სურათი. იგი ცეცხლის

მაშხალასავით სერავს პარიზს, ჩერდება თეატრის კარიბჭესთან; ეტლის საფეხური იშლება, მას ორივე მსახური იჭერს, ბრბო შურიანი თვალებით იცქირება.

_ როგორ შეძლო მან ასე გამდიდრება? _ ამბობს ღარიბი სტუდენტი იურისტი, რომელსაც ხუთიოდე ფრანკის უქონლობის გამო არ შეუძლია როსინის ჯადოქრული ხმები მოისმინოს.

რაფაელი ნელი ნაბიჯით დადიოდა თეატრის კორიდორებში. იგი არავითარ სიამოვნებას აღარ ელოდა წარმოდგენიდან, რომელიც წინათ ისე ძლიერ უყვარდა. «სემირამიდის» მეორე აქტის ლოდინში იგი ფოიეში სეირნობდა, გალერეებზე ხეტიალობდა, უდარდელად გვერდს უვლიდა თავის ლოჟას, სადაც ჯერ კიდევ ერთხელაც არ შეუხედავს. საკუთრების გრძნობა აღარ არსებობდა მისი გულის სიღრმეში. როგორც ავადმყოფებს ჩვევიათ, იგი მხოლოდ თავის სნეულებაზე ფიქრობდა. რაფაელი ბუხარს მიეყრდნო და ფოიეს გადახედა: იქ ერთმანეთში ირეოდნენ ხნიერი და ახალგაზრდა დარდიმანდები, ყოფილი და ახალი მინისტრები, უმამულოდ დარჩენილი კეთილშობილნი და კეთილშობილებას მოკლებული მემამულეები, რომელნიც ივლისის რევოლუციის შემდეგ გაჩდნენ; ბოლოს _ მთელი ხროვა სპეკულანტებისა და ჟურნალისტებისა. უცებ ამ თავებს შორის უცხო და ზებუნებრივ სახეს მოჰკრა თვალი. რაფაელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კადნიერად დააცქერდა ამ ახირებულ არსებას. «რა საუცხოო მხატვრობაა!» _ ჩაილაპარაკა მან. წარბები, თმა, მაზარინივით შეკრეჭილი წვერი, რომელსაც უცნობი ამაყად ატარებდა, შავად იყო შეღებილი; მაგრამ რადგან, როგორც ეტყობოდა, საღებავი მეტისმეტად გაჭაღარავებულ თმაზე იყო წაცხებული, მას რაღაც ყალბი იისფერი მიეღო, მისი ელფერი იცვლებოდა სინათლის თამაშის მიხედვით. მისი ვიწრო და უშნო სახე, რომლის ნაოჭები ნათელი და თეთრი საღებავით იყო ამოვსებული, ერთსა და იმავე დროს თვალთმაქცობასა და მოუსვენრობას გამოხატავდა. ალაგ-ალაგ საღებავი აკლდა და ტყვიისფერი სახის მიხრწნილება განსაკუთრებით კარგად ჩანდა. ვინც ამ ბებერ ადონისსა და რაფაელს ერთმანეთს შეადარებდა, ამ უკანასკნელის სახეზე ახალგაზრდა თვალებს აღმოაჩენდა მოხუცის ნიღაბქვეშ, ხოლო უცნობის სახეზე მიმქრალ თვალებს _ ახალგაზრდის ნიღაბქვეშ.

ვალენტენი ცდილობდა გაეხსენებინა, რა გარემოებაში გაიცნო ეს პატარა, მშრალი, საუცხოო ყელსახვევიანი და მაღალჩექმებიანი მოხუცი, რომელიც დეზებს აწკარუნებდა და გულზე ხელებს იკრეფდა, თითქოს აღგზნებული ახალგაზრდობის ძალები ჰქონოდეს დასახარჯი. მის სიარულში არაფერი იყო არც ძალდატანებული, არც ხელოვნური. მისი

მოხდენილი ტანისამოსი, გულმოდგინედ ღილებშეკრული, ამტკიცებდა, რომ ეს ბებერი აშიკი ჯერ კიდევ ანგარიშს უწევდა მოდების მოთხოვნილებას. ეს სიცოცხლით სავსე ტიკინა ისევე მომხიბლავად ეჩვენა რაფაელს, როგორც რემბრანდტის გაჭვარტლული სურათი, რომელიც ეს არის აღადგინეს, გალაქეს და ახალ ჩარჩოში ჩასვეს. ამ შედარებამ უცებ სინათლე შეიტანა მის ბუნდოვან მოგონებებში: მან იცნო სიძველეთა ვაჭარი, რომლის მიზეზით იგი ესოდენ უბედური გახდა.

ამ წუთში ამ ფანტასტიკურმა არსებამ უხმოდ გაიცინა; ღიმილი აღინიშნა მის ცივ ტუჩებზე, რომლებიც ხელოვნურ კბილებს ჰფარავდა. ამ ღიმილის დანახვაზე რაფაელმა გასაოცარი მსგავსება დაინახა მასა და იმ ტიპიურ თავს შორის, რომელიც მხატვრებმა გოეთეს მეფისტოფელს მისცეს. ათასი ცრუმორწმუნეობა დაეუფლა რაფაელის ძლიერ სულს. მან იწამა ეშმაკის ძალა, იწამა ყველა ჯადოქრობა, რომელიც საშუალო საუკუნეების ლეგენდებშია გადმოცემული, და შემდეგ პოეტებმა გამოიყენეს. მან შიშის ძრწოლით უკუაგდო ფაუსტის ბედი და უცებ ზეცას მოუწოდა, რადგან, როგორც ეს მომაკვდავთ მოსდით, ღმერთიც იწამა და ქალწული მარიამიც. სხივოსანმა და მკვეთრმა სინათლემ მას შეაძლებინა მიქელანჯელოსა და სანციო ურბინელის ზეცა დაენახა: ღრუბლები, თეთრწვერიანი მოხუცი, ფრთოსანი ანგელოზების თავები, შარავანდედით მოცული ლამაზი ქალი. მაგრამ, როცა მან თვალები ხელახლა იტალიური ოპერის ფოიესკენ დახარა, ქალწული მარიამის მაგივრად მომხიბლავი ქალი დაინახა, საძაგელი ევფრასია, ეს მოქნილი და მსუბუქტანიანი მოცეკვავე, რომელსაც ბრჭყვიალა კაბა ეცვა, აღმოსავლური მარგალიტებით დაფარული. ქალი მოუთმენლად მიუახლოვდა თავის მოუთმენელ ბერიკაცს, რათა ურცხვად, ზევით აწეული შუბლით, გაბრწყინებული თვალებით ამ შურიანი სპეკულანტების საზოგადოებისათვის დაენახვებინა, მე ვფლანგავ ამ ვაჭრის უსაზღვრო სიმდიდრესო. რაფაელს გაახსენდა, რა პირობებში მიიღო ამ მოხუცის საბედისწერო საჩუქარი და ახლა შურისძიების სიამოვნებანი იგემა, რადგან მას არ ეგონა, რომ ეს უზენაესი სიბრძნის განხორციელება ასე დაიმდაბლებდა თავს. მოხუცის სასაფლაოსებური ღიმილი ევფრასიასადმი იყო მიძღვნილი; ქალიც, თავის მხრივ, სიყვარულის სიტყვებს ეუბნებოდა. მოხუცმა ქალს თავისი გამხმარი ხელი შესთავაზა, ორჯერ თუ სამჯერ შემოუარა ფოიეს, სიამოვნებით მიიღო ვნებიანი შეხედვა და შექება, რომელიც ბრბომ მის საყვარელს მიუძღვნა, მაგრამ არც დაცინვა დაუნახავს, არც გესლიანი შენიშვნები გაუგონია, რომელიც მისკენ იყო გადმოსროლილი.

_ რომელ სასაფლაოზე ამოუთხრია ამ ახალგაზრდა მღამიობს ეს ცხედარი? _ წამოიძახა ერთმა მეტად მოხდენილმა რომანტიკოსმა.

ევფრასიას სიცილი წასკდა. ეს დამცინავი რომანტიკოსი ახალგაზრდა კაცი იყო, ქერათმიანი, ბრწყინვალე ცისფერთვალებიანი. მას მოქნილი სხეული, კოპწია ულვაშები ჰქონდა, მოკლე ფრაკი ეცვა, ქუდი გვერდზე ეხურა, მკვეთრად ლაპარაკობდა.

_ რამდენია ასეთი მოხუცი, _ გაიფიქრა რაფაელმა, _ რომელიც შრომასა და სათნოებაზე აგებულ პატიოსან ცხოვრებას სიგიჟით აგვირგვინებს! ამას უკვე ფეხები გასციებია და სიყვარულს კი მისდევს...

_ ბატონო ჩემო, _ მიმართა ვალენტენმა ბერიკაცს, ხოლო იმავე დროს თვალი ჩაუკრა ევფრასიას, _ თქვენ უკვე დაგვიწყებიათ თქვენი ფილოსოფიის მკაცრი მცნებანი?

_ აჰ, _ უპასუხა ვაჭარმა დანჯღრეული ხმით, _ მე ახლა ბედნიერი ვარ ჭაბუკივით. აქამდე უკუღმართად მესმოდა ცხოვრება. მთელი სიცოცხლე სიყვარულის ერთ წუთშია მოთავსებული.

ამ დროს ზარის წკრიალი გაისმა და მაყურებლები დარბაზისკენ გაეშურნენ, რათა თავ-თავიანთი ადგილები დაეჭირათ. ბერიკაცი და რაფაელი ერთმანეთს გაშორდნენ. თავის ლოჟაში შესვლისთანავე რაფაელმა თეოდორა დაინახა. იგი სწორედ მის პირდაპირ იჯდა. ეტყობოდა, თეოდორა ეს-ეს იყო მოსულიყო. იგი შარფს იხსნიდა, ყელს იღეღდა და იმ ძნელად აღსაწერ პაწია მოძრაობებს აკეთებდა, რომლებიც კეკლუც ქალს სჭირდება სათანადო პოზის მისაღებად. მას თან ახლდა ახალგაზრდა თავადიშვილი, რომელსაც მისი ლორნეტი ეჭირა ხელში. თეოდორას მიმოხვრასა და ცქერის მანერაზე რაფაელმა იგრძნო, რომ მისი მემკვიდრე იმავე მტარვალურ ძალას ჰყავდა მოჯადოებული და გასულელებული. უეჭველი იყო, იგიც ნამდვილი სიყვარულის ძალით ებრძოდა ამ დედაკაცის ცივ ანგარიშებს; უეჭველი იყო, იგიც იმ ტანჯვას განიცდიდა, რომელსაც რაფაელმა საბედნიეროდ თავი დააღწია. თეოდორას სახე ენით გამოუთქმელმა სიხარულმა გააცხოველა, როცა თავისი ლორნეტი ყველა ლოჟას გადაავლო, უცებ აწონ-დაწონა ტანსაცმელები და სამკაულები და დარწმუნდა, ჩემი სილამაზითა და მორთულობით ვანადგურებ პარიზის უმშვენიერეს და უკოხტავეს ქალებსო. მან სიცილი დაიწყო, რათა თავისი თეთრი კბილები გამოეჩინა. ყვავილებით შემკულ თავს ატრიალებდა, რათა ყოველმხრივ აღტაცება გამოეწვია, ლოჟებს ათვალიერებდა, რათა სასაცილოდ აეგდო ბერეტი, რომელიც უშნოდ დაეხურა რომელიღაც რუსის თავადის ცოლს, და შეუფერებელი ქუდი, რომელიც საშინლად ამახინჯებდა ერთი ბანკირის ქალს. ანაზდეულად მისი

თვალები რაფაელის უმოძრაო თვალებს შეხვდნენ და ქალი გაფითრდა: მის მიერ ათვალწუნებულმა მიჯნურმა იგი გაანადგურა აუტანელი შეხედვით, რომელშიც ზიზღი იხატებოდა. მაშინ, როდესაც არც ერთი მისი გაძევებული სატრფო არ უარყოფდა მის ხელმწიფებას, ერთადერთი ვალენტენი არ ემორჩილებოდა მის ჯადოქრობას. ხელისუფლებას, რომელსაც დაუსჯელად ეურჩებიან, მალე დამხობა ელის. ეს ჭეშმარიტება ქალის გულში უფრო ღრმადაა აღბეჭდილი, ვიდრე მეფეების ტვინში. ამიტომ თეოდორამ რაფაელის თვალებში თავისი ბატონობის და კეკლუცობის დასასრული ამოიკითხა. ერთმა მოსწრებულმა სიტყვამ, რომელიც რაფაელმა წინადღით ოპერაში თქვა, უკვე პარიზის სალონები შემოიარა. ამ ნაკვესის მახვილმა განუკურნებელი ჭრილობა მიაყენა თეოდორას.

იმ დროს, როცა ქალები ხან რაფაელს უცქეროდნენ, ხან თეოდორას, ამ უკანასკნელს უნდოდა რაფაელი სადმე ბასტილიის ბნელ საკანში ჩაეგდო, იმიტომ რომ თეოდორას თვალთმაქცობის მიუხედავად, მისმა მოქიშპეებმა იგრძნეს მისი ტანჯვა. ბოლოს მას ხელიდან გაუსხლტა უკანასკნელი ნუგეშიც. ეს სიხარულის მომგვრელი სიტყვები: «მე ყველაზე მშვენიერი ვარ!», ეს სამარადისო ფრაზა, რომელიც მისი ზვიადობის ყველა ტკივილს აშოშმინებდა, გამტყუნდა.

მეორე მოქმედების დასაწყისში ვიღაც ქალი შემოვიდა რაფაელის მეზობელ ლოჟაში, რომელიც მანამდე ცარიელი იყო. მთელ პარტერში აღტაცების ჩურჩული გაისმა. ყველამ უცნობისკენ მიაპყრო თვალები. ახალგაზრდებმა და მოხუცებმა ისეთი ხმაურობა ატეხეს, რომ ფარდის აშვების დროს ორკესტრის მუსიკოსები მოუბრუნდნენ, რათა დამშვიდება მოეთხოვათ. მაგრამ ისინიც შეუერთდნენ საერთო აღფრთოვანებას და კიდევ უფრო გააძლიერეს გაურკვეველი ჩოჩქოლი. ქალები ჭოგრებით აღიჭურვნენ, გაახალგაზრდავებული ბერიკაცები ხელთათმანებით წმენდნენ თავიანთი სათვალეების მინას. აღტაცება თანდათან დაცხრა, სცენაზე სიმღერა გაისმა და წესრიგი დამყარდა. ამ წესიერ საზოგადოებას შერცხვა, რომ ბუნებრივ მიდრეკილებას დანებდა, და იგი ხელახლა თავის ცივ არისტოკრატულ მანერებს დაუბრუნდა. მდიდრები ცდილობენ არაფერი გაიკვირონ. ისინი ვალდებული არიან უმშვენიერეს ნაწარმოებში ისეთი ნაკლი დაინახონ, რომელიც გაანელებს აღტაცებას, ამ მდაბიო გრძნობას. ესეცაა, რომ ზოგიერთი მამაკაცი უმოძრაოდ იყო, მუსიკას არ უსმენდა და გულუბრყვილო აღტაცებით შესცქეროდა რაფაელის მეზობელ ქალს.

ვალენტენმა ბენუარში აკვილინას გვერდით ტაიფერის უჯიშო, გაწითლებული სახე დაინახა. იგი მას ემანჭებოდა მოწონების ნიშნად. შემდეგ თვალი მოჰკრა ემილს, რომელიც

ორკესტრის მახლობლად იდგა და თითქოს ეუბნებოდა: «ერთი შეხედე მშვენიერ არსებას, რომელიც შენს მეზობლად ზის!» ბოლოს მადამ დე ნიუსინჟენისა და მისი ქალის გვერდით რასტინიაკი იჯდა, ხელთათმანს აცოდვილებდა და, ეტყობოდა, თავისთავს დიდად უბედურად თვლიდა, რომ აქ იყო მიჯაჭვული და არ შეეძლო ღვთაებრივ უცნობთან მისულიყო.

რაფაელის სიცოცხლე დამოკიდებული იყო მანამდე დაურღვეველ ხელშეკრულებაზე, რომელიც მან თავისივე თავთან დადო: მას გადაწყვეტილი ჰქონდა, არასოდეს ყურადღებით არ შეეხედა არც ერთი ქალისათვის და, რათა ცთუნებისთვის თავი დაეღწია, იგი ლორნეტს ატრიალებდა. ამ ლორნეტის მიკროსკოპული მინები ისე ხელოვნურად იყო დაწყობილი, რომ ანადგურებდა უმშვენიერესი ნაკვთების ჰარმონიას და მათ შემზარავ შეხედულებას აძლევდა. რაფაელი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო იმ შიშის ზარისაგან, რომელმაც იგი დილით შეიპყრო, როცა თილისმა შეიკუმშა უბრალო ზრდილობიანი სურვილის გამოთქმისთანავე; ამიტომ მან მტკიცედ გადაწყვიტა, არ შეეხედა თავისი მეზობლისთვის. იგი ლაღად იჯდა, თითქოს დუკას მეუღლე ყოფილიყოს, ზურგი ლოჟის კუთხეზე ჰქონდა მიყრდნობილი და უცნობ ქალს სცენას უფარავდა სანახევროდ, თითქოს არც კი იცოდა, რომ მის უკან ლამაზი ქალი იმყოფებოდა, მეზობელ ქალსაც, თავის მხრივ, სწორედ რაფაელის პოზა მიეღო. იგი მკლავით ლოჟის კიდეს დაყრდნობოდა, სამ-მეოთხედზე მობრუნებულიყო და მომღერლებს ისე უცქერდა, თითქოს მხატვრის წინაშე მდგარიყოს პოზაში. ეს ორი პიროვნება წაჩხუბებულ მიჯნურებს ჰგავდნენ, რომელნიც ერთმანეთს ებუტებიან, ერთმანეთს ზურგს აქცევენ, მაგრამ მზად არიან ერთმანეთს გადაეხვიონ პირველი სიყვარულის სიტყვების გაგონებისთანავე. ხანდახან უცნობი ქალის მსუბუქი ჯიღა ან თმა ეხებოდა რაფაელის თავს და მასში მძაფრ გულისთქმას იწვევდა, რის წინააღმდეგაც იგი ვაჟკაცურად იბრძოდა. უცებ მან ქალის საყელოს მაქმანების ტკბილი შეხება იგრძნო, კაბის ნაოჭების ქალური შრიალი გაიგონა. ეს თრთოლა უნაზესი ჯადოქრობით იყო აღსავსე. ბოლოს, ის შეუმჩნეველი მოძრაობა, რომელსაც სუნთქვა ამ მშვენიერი ქალის მკერდზე, ზურგზე, ტანისამოსში იწვევდა და მთელი მისი საამური სიცოცხლე რაფაელს გადაეცა, როგორც ელექტრონის ნაპერწკალი. ბლონდმა და მაქმანებმა მას უშუალოდ გადასცეს ამ თეთრი და ტიტველი ზურგის წარმტაცი სითბო. ბუნების ჟინის წყალობით, ეს ორი არსება, გათიშული კარგი ტონით და სიკვდილის უფსკრულით, ერთად სუნთქავდნენ და შეიძლება ერთი მეორეზე ფიქრობდნენ. ალოეს გამსჭვალავმა სურნელებამ საბოლოოდ

დაათრო რაფაელი. მისმა ფანტაზიამ, გაღიზიანებულმა წინააღმდეგობით და დაბრკოლებით, უცებ ცეცხლის ხაზებში დაუხატა ეს ქალი. იგი სწრაფად მობრუნდა. უცნობმა ქალმაც მსგავსი მოძრაობა გააკეთა: მათი სახეები, ერთი და იმავე აზრით გამსჭვალულნი, ერთმანეთს შეხვდნენ.

_ პოლინა!

_ ბატონო რაფაელ!

ისინი ერთი წუთის განმავლობაში თითქოს გაქვავებული უცქეროდნენ ერთი მეორეს. რაფაელმა შეამჩნია, რომ პოლინას უბრალო და გემოვნებით შეკერილი ტანისამოსი ეცვა. გაზში, რომელიც უმწიკვლოდ ფარავდა მის მკერდს, გამოცდილ თვალებს შეეძლო შროშანის სითეთრე დაენახა და ფორმები ეგრძნო, რომელთაც ქალებიც კი სცემდნენ თაყვანს. მას იგივე ქალწულებრივი მოკრძალება, იგივე გულწრფელობა, იგივე მოხდენილი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. მისი სახელოს თრთოლა ამჟღავნებდა, რომ მთელი მისი სხეული ისევე აფეთქდა, როგორც მისი გული.

_ ოჰ, მოდით ხვალ, მოდით სენკანტენის სასტუმროში თქვენი ქაღალდების წასაღებად. შუადღისას იქ ვიქნები. არ დაიგვიანოთ.

უცებ წამოდგა და გაქრა. რაფაელს უნდოდა უკან დასდევნებოდა, მაგრამ შეეშინდა, სახელი არ გავუტეხოო, თავის ადგილზე დარჩა და თეოდორას შეხედა: იგი მახინჯი ეჩვენა. მაგრამ მას უკვე აღარაფერი ესმოდა მუსიკისა, სული ეხუთებოდა ამ დარბაზში, გული ყელში ებჯინებოდა; ადგა და შინისაკენ გაემართა.

_ იონათან, _ უთხრა მან თავის ბებერ მსახურს, როცა თავის ლოგინში ჩაწვა. _ მომეცი ლაუდანუმის ნახევარი წვეთი შაქრის ნატეხზე, ხვალ კი თორმეტის ნახევარზე გამაღვიძე...

_ მე მინდა პოლინას ვუყვარდე! _ წამოიძახა მან მეორე დღეს და უსაზღვრო შეშფოთებით შეხედა თილისმას.

ტყავი უმოძრაოდ იყო; მას თითქოს დაკარგული ჰქონდა შეკუმშვის უნარი: უეჭველია, არ შეეძლო უკვე განხორციელებული სურვილის ასრულება.

_ აჰ, _ წამოიძახა რაფაელმა, რაკი იგრძნო, რომ განთავისუფლდა ტყვიის წამოსასხამისაგან, რომელსაც იმ დღიდან ატარებდა, როცა თილისმა აჩუქეს, _ შენ სტყუი, შენ აღარ მემორჩილები, ხელშეკრულება დარღვეულია! მე თავისუფალი ვარ, მე ვიცოცხლებ. მაშ, ეს ბოროტი ხუმრობა ყოფილა და მეტი არაფერი.

თუმცა ამ სიტყვებს ამბობდა, მაგრამ კიდევ ვერ ბედავდა თავისი საკუთარი აზრი დაეჯერებინა. ტანთ ჩაიცვა ისევე უბრალოდ, როგორც წინათ იცვამდა. მას უნდოდა თავის წინანდელ ბინაში ფეხით მისულიყო, რათა ოცნებით გადასულიყო იმ ბედნიერ დღეებში, როცა უშიშრად ნებდებოდა თავის გააფთრებულ სურვილებს, როცა ჯერ კიდევ არ დაეფასებინა ყველა ადამიანური სიამოვნებანი. იგი მიაბიჯებდა და ხედავდა არა სენკანტენის სასტუმროს პოლინას, არამედ წუხანდელ პოლინას, დასრულებულ სატრფო ქალს, საოცნებოს, გონებამახვილს, მხატვარს, რომელსაც პოეტებიც ესმის და პოეზიაც, და კომფორტის წიაღში ცხოვრობს. ერთი სიტყვით, ეს იგივე თეოდორა იყო, მხოლოდ მშვენიერი სულით აღჭურვილი, ან უკეთ, გაკეთილშობილებული პოლინა, მილიონების მფლობელი. როცა ფეხი გადალესილ ზღურბლზე შედგა და კართან გაბზარული ქვის ფიქალს შეხედა, სადაც მას წინათ სასოწარკვეთილი აზრები მოსვლია, დარბაზიდან ხნიერი დედაკაცი გამოვიდა და ჰკითხა:

_ თქვენ ბრძანდებით ბ-ნ რაფაელ დე ვალენტენი?

_ დიახ, დედაჩემო!

_ თქვენ იცით თქვენი წინანდელი ოთახი, იქ გელიან.

_ ამ სასტუმროს წინანდებურად ქალბატონი გოდენი ფლობს? _ იკითხა რაფაელმა.

_ ოჰ, არა, ბატონო. ახლა ქალბატონი გოდენი ბარონის მეუღლეა. იგი საკუთარ მშვენიერ სახლში ცხოვრობს მდინარის მეორე ნაპირას. მისი ქმარი უკან დაბრუნდა. ჰოდა, ასიანები და ათასიანები მოიტანა... ამბობენ, თუ მოისურვა, მთელი სენ-ჟაკის უბნის შესყიდვა შეუძლიაო. თავისი სასტუმრო უფასოდ დამითმო ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. აჰ, ისეთივე გულკეთილი დედაკაცი დარჩა! სრულიად გულზვიადი არ გამხდარა.

რაფაელმა მკვირცხლად აირბინა ზევით და, როცა კიბის უკანასკნელ საფეხურს მიაღწია, პიანინოს ხმები გაიგონა. პოლინა აქ იჯდა უბრალო შალის კაბაში გამოწყობილი, მაგრამ მისი ტანისამოსის მოყვანილობა, ხელთათმანები, ქუდი, მოსასხამი, რომელიც საწოლზე მიეგდო უდარდელად, მის სიმდიდრეს ამჟღავნებდა.

_ აჰ, თქვენ უკვე მოხვედით? _ წამოიძახა პოლინამ, ზეზე წამოხტა და რაფაელს გულუბრყვილო სიხარულით შეხედა.

რაფაელი მის გვერდით დაჯდა, გაწითლებული, დარცხვენილი, ბედნიერი. იგი ქალს უსიტყვოდ უცქეროდა.

_ რატომ გაგვექეცით? _ ჰკითხა ქალმა და თვალები დახარა, რადგან შეატყო, ვწითლდებიო. _ რა მოგივიდათ?

_ აჰ, პოლინა? მე უბედური ვიყავი; დღესაც დიდად უბედური ვარ!

_ ეჰ, _ წამოიძახა გულაჩუყებულმა ქალმა, _ მე გუშინ გამოვიცანი თქვენი ბედი, როცა დაგინახეთ, რომ კარგად ჩაცმული და მდიდრულად მორთული იყავით გარეგნულად, მაგრამ ნამდვილად, ბატონო რაფაელ, განა ყოველივე წინანდებურად არ არის?

რაფაელმა ცრემლები ვეღარ შეიკავა. მან წამოიძახა:

_ პოლინა!.. მე...

მან ვეღარ დაამთავრა, თვალები სიყვარულით გაუბრწყინდა, მისი გული გადმოიღვარა მის შეხედვაში.

_ ოჰ, მე მას ვუყვარვარ! ვუყვარვარ! _ წამოიძახა პოლინამ.

რაფაელმა თავი დაუქნია, რადგან სიტყვის წარმოთქმა აღარ შეეძლო. ქალმა ხელში ხელი მოსჭიდა და სიცილით და ტირილით უთხრა:

_ მდიდრები ვართ, ბედნიერები! შენი პოლინა მდიდარია... მაგრამ დღეს ღარიბი უნდა ვყოფილიყავი. ათასჯერ გამიფიქრია, მთელი დედამიწის განძს მივცემ ამ სიტყვებისთვის: მას ვუყვარვარ-მეთქი. ოჰ, ჩემო რაფაელ, მე მილიონები მაქვს. შენ ფუფუნება გიყვარს და კმაყოფილი იქნები; მაგრამ შენ ჩემი გულიც უნდა გიყვარდეს, ამ გულში იმდენი სიყვარულია შენთვის. იცი, მამაჩემი დაბრუნდა. მე მდიდარი მემკვიდრე ვარ. ჩემმა დედ-მამამ ნება მომცა თვით მე განვაგო ჩემი ბედი; მე თავისუფალი ვარ, ხომ გესმის?

რაფაელი თითქოს ბოდავდა, მას პოლინას ხელები ეჭირა და ისე აღგზნებულად, ისე ხარბად ჰკოცნიდა, რომ ეს კოცნა უფრო ფართხალს ჰგავდა. პოლინამ ხელები გაინთავისუფლა, ვაჟს მხრებზე დაუწყო და თავისკენ მიიზიდა; ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაეჭდნენ, ჩაეკონენ წმინდა და ნეტარი აღგზნებით, თავისუფალით ყოველი ფარული აზრისაგან, აღბეჭდილით ერთ კოცნაში, პირველ კოცნაში, რომლითაც ორი სული ერთმანეთს ეუფლება.

_ აჰ, _ წამოიძახა პოლინამ და სკამზე დაეცა, _ მე აღარ მინდა შენი გაშორება... არ ვიცი, სად შევიძინე ეს სითამამე, _ დაუმატა მან და გაწითლდა.

_ სითამამე, ჩემო პოლინა? ოჰ, ნუ გეშინია, ეს სიყვარულიდანაა, ისეთივე ჭეშმარიტი, ღრმა, სამარადისო სიყვარულიდან, როგორსაც მე განვიცდი, ხომ მართალია?

_ ოჰ, ილაპარაკე, ილაპარაკე! _ თქვა ქალმა. _ შენი ტუჩები ამდენ ხანს მუნჯი იყო ჩემთვის...

_ მაშ, შენ გიყვარდი?

_ ოჰ, ღმერთო, ეს სიყვარული იყო? რამდენჯერ მიტირია აქ. შენი ოთახის დალაგების დროს, რამდენჯერ გამომიტირია შენი და ჩემი სიღარიბე. ეშმაკს მივყიდდი თავს, რათა შენ დამეცავი მწუხარებისაგან! დღეს, ჩემო რაფაელ, ჩვენ, მგონია, სამი, ოთხი, ხუთი მილიონი გვაქვს. მე რომ ღარიბი ვყოფილიყავი, შეიძლება დიდი ფასი მიმეცა შენი გვარის ტარებისათვის. მე მინდა წინანდებურად შენი მოსამსახურე დავრჩე. აი, რაფაელ, თუმცა დღეს ჩემს გულსა, პიროვნებას, სიმდიდრეს გთავაზობ, იმაზე მეტს არ გაძლევ, ვიდრე იმ დღეს მოგეცი, როცა ამ მაგიდის ყუთში ხუთფრანკიანი ჩავდე. ოჰ, რა გულისტკივილი მაგრძნობინა მაშინ შენმა სიხარულმა!

_ რატომ ხარ მდიდარი, _ წამოიძახა რაფაელმა, _ რატომ პატივმოყვარეობის გრძნობა არა გაქვს? რატომ არაფრის გაკეთება არ შემიძლია შენთვის?

ვაჟი ხელებს იმტვრევდა ბედნიერებისა, სასოწარკვეთილებისა და სიყვარულისაგან.

_ ჩვენი ლაპარაკი ხომ არავის ესმის? _ იკითხა რაფაელმა.

_ ეჰ, აქ არავინ არის, _ უპასუხა ქალმა გიჟმაჟური იერით.

ქალი ვაჟს მუხლებზე დაუჯდა და კისერზე ხელები მოხვია:

_ მაკოცეთ ყველა იმ წუთის სანაზღაუროდ, რომლებიც თქვენ მოგიძღვენით, ყველა იმ ღამის დასავიწყებლად, რომლებიც მუშაობაში გავატარე, რათა მარაოები მეხატა.

_ მარაოები?

_ რადგან ახლა მდიდრები ვართ, ჩემო ძვირფასო, ყველაფრის თქმა შეიძლება. რა ადვილია ჭკვიანი მამაკაცების მოტყუება! როგორ შეიძლებოდა კვირაში ორჯერ გამოგვეცვალა პერანგები და თეთრი ჟილეტები, თუ მრეცხავს თვეში სამ ფრანკზე მეტს არ მისცემდი? შენ ორჯერ მეტ რძეს სვამდი, ვიდრე შენი მოცემული ფულით შეიძლებოდა გვეყიდა. მე ყველაფერზე გატყუებდი: სათბობსა, ზეთსა, თვით ფულზე. ჩემო რაფაელ, ნუ შემირთავ, მეტად თვალთმაქცი ქალი ვარ, _ დაამთავრა მან სიცილით.

_ კარგი, მაგრამ როგორ აკეთებდი ყოველივე ამას.

_ დილის ორ საათამდე ვმუშაობდი, ჩემი ხელფასის ერთ ნახევარს დედაჩემს ვაძლევდი, მეორეს _ შენ.

ისინი ერთმანეთს ჩააცქერდნენ ერთი წუთის განმავლობაში: ორივენი გაოგნებული იყვნენ სიყვარულითა და სიხარულით.

_ ოჰ, _ წამოიძახა რაფაელმა, _ ჩვენ უეჭველად ოდესმე საშინელი მწუხარების ფასით გამოვისყიდით ამ ბედნიერებას.

_ ცოლიანი ხომ არა ხარ? _ ჰკითხა პოლინამ. _ აჰ, მე არ მინდა შენი თავი რომელიმე ქალს დავუთმო.

_ არა, მე თავისუფალი ვარ, ჩემო ძვირფასო.

_ თავისუფალი! თავიუსფალი ხარ და მე მეკუთვნი!

ის მუხლებზე დაეცა, ხელი ხელს გადააჭდო და მლოცველის აღგზნებით შეხედა რაფაელს.

_ მეშინია, არ გავგიჟდე. რა კარგი ხარ! _ თქვა მან და ხელები ჩაჰყო თავისი მიჯნურის ქერა თმაში. _ ის შენი თეოდორა სულელია! რა სიამოვნება ვიგრძენი გუშინ, როცა დავინახე, რომ მამაკაცები აღტაცებით შემხვდნენ. მას არასოდეს არ გამოუწვევია ასეთი აღფრთოვანება. როცა ჩემი ზურგი შენს ხელს შეეხო, რაღაც ხმამ ჩამჩურჩულა: «იგი აქ არის!» მოვბრუნდი და შენ დაგინახე. ოჰ, მე გავიქეცი, თუმცა დაუძლეველ სურვილს ვგრძნობდი კისერზე მოგხვეოდი მთელი ქვეყნის დასანახავად.

_ შენ ბედნიერი ხარ, რომ ლაპარაკი შეგიძლია! _ უპასუხა რაფაელმა. _ მე გული მეკუმშება. ტირილი მინდა, მაგრამ როდი შემიძლია. ნუ წამართმევ შენს ხელს. მგონია, შემიძლია მთელი სიცოცხლე ასე გავატარო შენს ცქერაში და ბედნიერი ვიყო.

_ ოჰ, გაიმეორე ეს, ჩემო საყვარელო!

_ ეჰ, რის მაქნისია სიტყვები? შემდეგ ვეცდები ჩემი სიყვარულის ამბავი მოგითხრო. ამ წუთში მხოლოდ გრძნობის განცდა შემიძლია... შენ ჩემი ცოლი, ჩემი კეთილი გენია იქნები. შენმა მოახლოებამ სამუდამოდ გაჰფანტა ჩემი სევდა და განმიახლა წარსული. ჩემი სავალალო სიგიჟენი ბოროტ სიზმრად მიმაჩნია.

_ სიკვდილი მოვიდეს, როცა უნდა, მე უკვე საკმაოდ ვიცოცხლე, _ წამოიძახა პოლინამ ექსტაზში...

_ ოჰ, ჩემო რაფაელ, _ თქვა პოლინამ ორი საათის დუმილის შემდეგ, _ მე არ მინდა, რომ მომავალში ვინმე შემოვიდეს ამ ძვირფას მანსარდში.

_ კარი უნდა ამოვქოლოთ, სარკმელს ბადე გავუკეთოთ და სახლი შევისყიდოთ, _ წამოიძახა რაფაელმა.

_ კარგი, _ უპასუხა ქალმა. ერთი წუთის შემდეგ პოლინამ თქვა: _ ჩვენ დაგვავიწყდა შენი ხელნაწერის მოძებნა.

ორივემ სიცილი დაიწყო გულუბრყვილო სახით.

_ ვაჰ, ეშმაკსაც წაუღია ყველა მეცნიერება.

_ ეჰ, ბატონო, დიდება?

_ შენ ხარ ჩემი ერთადერთი დიდება...

_ შენ, ალბათ, ძალიან უბედური იყავი, როცა ამ ბატისფეხურ ნაწერს ჯღაბნიდი, _ თქვა პოლინამ და ქაღალდები გადაფურცლა.

_ ჩემო პოლინა...

_ ჰო, მე შენი პოლინა ვარ... მერე რა?

_ შენ სად ცხოვრობ?

_ სენ-ლაზარის ქუჩაზე. შენ?

_ ვარენის ქუჩაზე.

_ რა დაშორებული ვიქნებით, სანამ...

ქალი შეჩერდა და თავის მეგობარს შეხედა კეკლუცი და ეშმაკური სახით.

_ ჰო, მაგრამ ჩვენ ორიოდე კვირაღა დაგვრჩენია ცალ-ცალკე ცხოვრებისათვის, _ უპასუხა რაფაელმა.

_ მართლა? ორ კვირაში დავქორწინდებით?

ქალი შეხტა ბავშვივით.

_ ოჰ, მე უღირსი შვილი ვარ, _ განაგრძო მან, _ არც დედ-მამაზე ვფიქრობ, არც სხვა რამეზე ამქვეყნად! იცი, ჩემო მეგობარო! მამაჩემი ავადაა, ინდოეთიდან სრულიად დასნეულებული დაბრუნდა. კინაღამ ჰავრში მოკვდა, სადაც მის შესახვედრად წავედით. აჰ, ღმერთო ჩემო, _ წამოიძახა მან და თავის საათს დახედა, _ უკვე სამი საათია. მისი გაღვიძებისას, ოთხ საათზე, შინ უნდა ვიყო... შენ ხვალ მოხვალ მის სანახავად, არა? მე დიასახლისი ვარ: დედაჩემი ყველა ჩემს სურვილს ასრულებს, მამაჩემი მაღმერთებს, მაგრამ მე არ მინდა ბოროტად გამოვიყენო მათი გულკეთილობა! ჩემმა საბრალო მამამ გუშინ იტალიელების თეატრში გამგზავნა... შენ ხვალ ხომ მოხვალ მის სანახავად?

_ დამდებს თუ არა პატივს მარკიზ ვალენტენის მეუღლე და ჩემს ხელს დაეყრდნობა?

_ აჰ, მე მინდა ამ ოთახის გასაღები წავიღო თან, _ თქვა ქალმა. _ განა ეს ჩვენი სასახლე, ჩვენი სალარო არაა?

_ პოლინა, კიდევ ერთი კოცნა!..

_ ათასი! ნუთუ ყოველთვის ასე იქნება, რაფაელ? მგონია, სიზმარში ვარ-მეთქი.

კიბე მკვირცხლად ჩაირბინეს. სორბონის მოედანზე პოლინას ეტლი უცდიდა.

_ მინდა, შენს ბინაში მოვიდე, _ უთხრა ქალმა. _ მინდა, შენი ოთახი ვნახო, შენი კაბინეტი, იმ მაგიდასთან დავჯდე, სადაც შენ მუშაობ. ჟოზეფ! _ დაუძახა მან მსახურს, _ სანამ შინ დავბრუნდებოდე, ვარენის ქუჩაზე მივდივარ. ახლა ოთხის მეოთხედია, ოთხზე შინ უნდა ვიყო. ჟორჟმა ცხენები ააჩქაროს.

რამდენიმე წუთის შემდეგ შეყვარებულნი უკვე ვალენტენის სასახლეში იყვნენ.

_ ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ ეს ყოველივე ჩემი თვალით ვნახე, _ თქვა პოლინამ და ხელით დაჭმუჭნა აბრეშუმის ფარდები, რომლებიც რაფაელის საწოლის წინ იყო ჩამოფარებული. _ წარმოვიდგენ, როგორ ასვენია შენი ძვირფასი თავი ამ ბალიშზე. მითხარი, რაფაელ, რჩევა არავისთვის გიკითხავს ავეჯის შეძენის დროს?

_ არავისთვის.

_ მართალს ამბობს? განა ქალს...

_ პოლინა!

_ ოჰ, მე საშინლად ეჭვიანი ვარ! შენ კარგი გემოვნება გქონია. მინდა, ხვალ ისეთივე საწოლი შევიძინო, როგორიც შენ გაქვს... ოჰ, მამაჩემი, მამაჩემი!..

_ დაიცა, გაგაცილებ. მინდა, რაც შეიძლება გვიან გაგშორდე, _ უთხრა ვალენტენმა.

_ რა კეთილი ხარ! მე ვერ ვბედავდი ეს შენთვის მეთხოვა.

_ განა შენ ჩემი სიცოცხლე არა ხარ?

მოსაწყენი იქნებოდა ზედმიწევნით გადმოგვეცა სიყვარულის ეს ჟღურტული, რომელსაც მხოლოდ ტონი, შეხედვა, ძნელად ასაწერი მიმოხვრა აძლევს ფასს.

ვალენტენმა შინ მიაცილა პოლინა და უკან დაბრუნდა. გული იმდენი სიამოვნებით ჰქონდა დამძიმებული, რამდენის შეგრძნობა და ატანა ადამიანს შეუძლია ამქვეყნად. როცა სავარძელში ჩაჯდა ცეცხლის პირას და თავისი იმედების ანაზდეული და სრული განხორციელება წარმოიდგინა, მისი სული ცივმა იდეამ გამსჭვალა, როგორც მახვილი მკერდს მსჭვალავს ხოლმე; შაგრენის ტყავს შეხედა, იგი ოდნავ შეკუმშულიყო. ფრანგულად შეიგინა, ისე რომ ანდულიეტელი მონაზნის იეზუიტური ორაზროვნება არ გამოეყენებინა, თავი სავარძლეზე დახარა და ფარდის როზეტს დააცქერდა მაგრამ თითქოს ვერ ხედავდა.

_ ღმერთო ჩემო, _ წამოიძახა მან, _ ყველა ჩემი სურვილი განხორციელდა, ყველა! საბრალო პოლინა!

საზომი აიღო და გაზომა ის, რადაც ეს დილა დაჯდომოდა:

_ ორი თვეღა დამრჩენია! _ თქვა მან.

ცივი ოფლი დაასხა. უცებ მთელი მისი არსება ენის გამოუთქმელმა გულისწყრომამ მოიცვა, შაგრენის ტყავი ჩამოგლიჯა და დაიყვირა:

_ მე უგუნური ვარ!

გარეთ გავარდა, ბაღი გადაირბინა და თილისმა ჭაში ჩააგდო, _ მოხდეს, რაც მოსახდენია!.. ეშმაკსაც წაუღია ყველა სისულელე!

რაფაელმა თავი მისცა ბედნიერ სიყვარულს და გულიგულ შეწყობილი ცხოვრება დაიწყო პოლინასთან ერთად. მათი დაქორწინება გადადებულ იქნა ზოგიერთი დაბრკოლების გამო და მარტის პირველ რიცხვებში უნდა მომხდარიყო. მათ ერთმანეთი გამოსცადეს, თავიათი თავის ეჭვი აღარ ჰქონდათ და, რადგან ბედნიერებამ მათ მათი გრძნობის მთელი სიძლიერე გაუმჟღავნა, მათი სული, მათი ხასიათი სავსებით გაერთიანდა ვნებათაღელვაში. რამდენადაც უკეთ ეცნობოდნენ ერთმანეთს, მით უფრო უცხოველდებოდათ სიყვარული; მათი ცა უღრუბლო იყო, ერთი მათგანის სურვილები კანონი იყო მეორისთვის. რადგან ორივე მდიდარი იყო, არ არსებობდა ისეთი ჟინი, რომლის დაკმაყოფილებაც მათ გასჭირებოდათ. ცოლის სულს ნატიფი გემოვნება, მშვენიერების გრძნობა, ნამდვილი პოეზია აცხოველებდა; იგი არაფრად აგდებდა დედაკაცურ სამკაულს, მისთვის მეგობრის გაღიმება უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე ორმუსის მარგალიტები. მის საუკეთესო სამკაულს მუსლინი და ყვავილები წარმოადგენდა. ამას გარდა, პოლინა და რაფაელი გაურბოდნენ საზოგადოებას, მარტოობა მათთვის ესოდენ მშვენიერი და ნაყოფიერი იყო. მხოლოდ თითქმის ყოველ საღამოს ან იტალიურ თეატრში დადიოდნენ ან ოპერაში. თუ თავდაპირველად ისინი გაჭორეს ზოგიერთ სალონში, ჩქარა პარიზს სხვა ამბების ნიაღვარმა გადაუარა თავს, და უწყინარი მიჯნურები დავიწყებულ იქნენ; ბოლოს, გამოცხადდა მათი დაქორწინების დღე, ეს ერთგვარი გამართლება ზნეობრივი ადამიანების თვალში.

თებერვლის ბოლოს, როცა საკმაოდ თბილი დღეები გაზაფხულის სიამოვნებათა მოახლოებას გვაუწყებს, დილით პოლინა და რაფაელი ერთად საუზმობდნენ პატარა შუშაბანდში, რომელიც ყვავილებით იყო სავსე და პირდაპირ ბაღში გადიოდა. ზამთრის ალერსიანი და ფერმკრთალი მზე, რომლის სხივები ბუჩქნარს ეთამაშეობდა, უკვე ათბობდა ჰაერს. თვალებს ახალისებდა ფოთლების კონტრასტი, აყვავებული ჩირგვების ფერები და სინათლისა და ჩრდილის ცვალებადობა. იმ დროს, როცა პარიზელები მოსაწყენ კერასთან თბებოდნენ, ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს უღიმოდა კამელიებისა, შროშანებისა და მანანას ფანჩატურის ქვეშ. მათი მხიარული თავები ზემოდან

დასცქეროდნენ ნარგიზებს, ზამბახებს და ბენგალიის ვარდებს. ამ ვნებიან და მდიდარ სათბურში ფეხები აფრიკულ ჭილობს თელავდნენ, აჭრელებულს, როგორც ფარდაგი. ხის ავეჯი გარეგნულად ტლანქი იყო, მაგრამ სისუფთავისაგან კრიალებდა. რაფაელი თვალთმაქცობდა, ვითომდა გაზეთს ვკითხულობო, მაგრამ ფარულად პოლინას უცქეროდა, რომელიც კატას ეთამაშებოდა. გრძელი პენუარი მხოლოდ სანახევროდ ფარავდა ახალგაზრდა ქალის სხეულს. პატარა თეთრი ფეხი სანდომიანად მოჩანდა შავი ხავერდის მაშიებში. პოლინა ჯერ კიდევ თითქო უფრო ქალწული იყო, ვიდრე ქალი. იგი შეურყვნელი ბედნიერებით ტკბებოდა და სიყვარულიდან არაფერი იცოდა გარდა პირველი სიხარულისა. იმ წუთშივე, როგორც კი ტკბილ ოცნებაში წასულ რაფაელს თავისი გაზეთი დაავიწყდა, ოლინამ იგი ხელიდან გამოსტაცა, დაჭმუჭნა და ბაღში გადაისროლა; კატა გამოუდგა ამ პოლიტიკის გორგალს, რომელიც ჩვეულებისამებრ თავის გარშემო ტრიალებდა. როცა რაფაელმა, რომლის ყურადღება ამ ბავშვურმა სცენამ მიიზიდა, განიზრახა, ხელახლა გაზეთის კითხვას დაბრუნებოდა და მის ასაღებად დაიხარა, გაისმა გულწრფელი, მხიარული, ფრინველის გალობასავით ბუნებრივი სიცილი. გაზეთი იქ აღარ იყო.

_ მე მეშურნეობას განვიცდი გაზეთისადი, _ თქვა ქალმა და ცრემლები მოიწმინდა, რომელიც მისი ბავშვური სიცილით იყო გამოწვეული: _ განა ეს ვერაგობა არაა რუსული მოწოდების კითხვა ჩემს გვერდით და სიყვარულის სიტყვებისა და შეხედვის უგულვებელყოფა იმპერატორ ნიკოლოზის პროზის გულისთვის?

_ მე როდი ვკითხულობდი, ჩემო საყვარელო ანგელოზო, მე შენ გიცქეროდი.

ამ წუთში სათბურის მახლობლად მებაღის მძიმე ნაბიჯები გაისმა, მისი დალურსმული ჩექმები სილას აჭრიალებდა ხეივანში.

_ მაპატიეთ, ბატონო მარკიზო, რომ გაწუხებთ, აგრეთვე თქვენც, ქალბატონო, მაგრამ ისეთი საოცარი ნივთი მოგიტანეთ, რომლის მსგავსი არასოდეს არ მინახავს. ეს არის ჭიდან, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, სათლით წყალი ამოვიღე და ეს უცნაური ზღვის მცენარე ამოჰყვა! აი, დახეთ! მაგრამ როგორი შეჩვეული უნდა იყოს წყალს, რომ არც დასველებულა, არც დანოტიებულა. რადგან ბატონი მარკიზი ჩემზე უფრო მეცნიერია, ვიფიქრე მას უნდა მივუტანო, შეიძლება დააინტერესოს-მეთქი.

და მებაღემ რაფაელს ულმობელი შაგრენის ტყავი აჩვენა, რომლის ზედაპირი ექვსი კვადრატული გოჯი ძლივს იქნებოდა.

_ გმადლობთ, ვანიერ, _ უთხრა რაფაელმა, _ ეს ნივთი დიდად საინტერესოა.

_ რა მოგდის, ჩემო ანგელოზო? როგორ გაფითრდი? _ წამოიძახა პოლინამ.

_ წადით, ვანიერ.

_ შენი ხმა მაშინებს, _ უთხრა ახალგაზრდა ქალმა. _ იგი უცნაურად გამოიცვალა... რა მოგდის? რას გრძნობ? ხომ არაფერი გტკივა? ექიმი! იონათან, დამეხმარე.

_ ჩემო პოლინა, გაჩუმდი, _ უპასუხა რაფაელმა, რომელმაც ძალა მოიკრიბა, _ წავიდეთ აქედან: აქ ჩემს ახლო რაღაც ისეთი ყვავილია, რომლის სურნელება მწყენს. შეიძლება ეს ვერბენა იყოს?

პოლინა უდანაშაულო ბუჩქს ეცა, ღეროში ხელი სტაცა და ბაღში გადაისროლა.

_ ოჰ, ჩემო ანგელოზო! _ წამოიძახა ქალმა, რაფაელს ჩაეკონა და კეკლუცად მარჯნის ტუჩები მიუშვირა: _ როცა გაფითრებული დაგინახე, მივხვდი, რომ შენს განშორებას ვერ ავიტან; შენი სიცოცხლე ჩემი სიცოცხლეა. რაფაელ, ზურგში ხელი ჩამიდე! მე კიდევ ვგრძნობ სიკვდილის ცახცახს. მე მცივა. შენი ტუჩები მწველია, ხელი კი?.. ცივია ყინულივით.

_ არაფერია! _ წამოიძახა რაფაელმა.

_ ცრემლებს რად ღვრი? დაიცა, შევსვა.

_ ოჰ, პოლინა, შენ მეტისმეტად გიყვარვარ!

_ შენს არსებაში რაღაც არაჩვეულებრივი ხდება, რაფაელ. მართალი მითხარი, შენს საიდუმლოებას ისედაც გავიგებ. აქ მოიტა ეს, _ თქვა მან და ხელი მოჰკიდა შაგრენის ტყავს.

_ შენ ჩემი ჯალათი ხარ! _ დაიყვირა ყმაწვილმა და შეძრუნებული თვალებით შეხედა თილისმას.

_ ხმა როგორ გამოგეცვალა! _ წამოიძახა პოლინამ, რომელმაც ხელიდან გააგდო ბედისწერის სიმბოლო.

_ გიყვარვარ თუ არა? _ ჰკითხა ვაჟმა.

_ მიყვარხარ? ეს რა კითხვაა?

_ მაშ, მარტო დამტოვე.

საბრალო ქალი გარეთ გავიდა.

_ ეს რას ჰგავს, _ ჩაილაპარკა რაფაელმა, როცა მარტო დარჩა. _ განათლების საუკუნეში, როცა ჩვენ გავიგეთ, რომ ალმასი ნახშირის კრისტალია, როცა ყოველივე ახსნილია, როცა პოლიცია ახალ მესიას სასამართლოში წარადგენდა, ხოლო მის სასწაულებს მეცნიერებათა აკადემიას გადასცემდა განსახილველად, როცა ჩვენ აღარაფერი

გვწამს გარდა ნოტარიუსის ხელის მოწერისა, მე რაღაც მანე, თაკელ, ფარესი უნდა ვიწამო?.. არა, აზრადაც არ მომივა, რომ უზენაესმა არსებამ შეიძლება სიამოვნება ნახოს უდანაშაულო ქმნილების წვალებაში... წავიდე, მეცნიერები ვინახულო.

იგი მალე აღმოჩნდა ღვინის ბაზარსა, ე. ი. კასრების უზარმაზარ საწყობსა და სალპეტრიერსა, ე. ი. ლოთობის უზარმაზარ სემინარიას შორის, პატარა ტბის ნაპირას, სადაც ჭყუმპალაობდნენ შესანიშნავი ჯიშის იხვები, რომელთა მოლივლივე ფერები კათედრალის მოხატული ფანჯრების მსგავსად ციალობდნენ მზის სხივებზე. აქ მთელი ქვეყნის იხვებს მოეყარათ თავი, ისინი ყიყინებდნენ, ცურაობდნენ, ყურყუმალაობდნენ და თითქო ერთგვარ იხვთა პარლამენტს წარმოადგენდნენ, უნებლიეთ შეკრებილს, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალს პოლიტიკური პრინციპებისა და ქარტიებისაგან; აქ მათ საფრთხე არ მოელოდათ მონადირეებისაგან და უშიშრად ცხოვრობდნენ ბუნებისმეტყველის ზედამხედველობის ქვეშ.

_ აი, ბ-ნ ლავრილი, _ უთხრა დარაჯმა რაფაელს, რომელმაც იკითხა ზოოლოგის ეს დიდი ქურუმი.

რაფაელმა დაინახა პატარა ტანის კაცი, რომელიც რაღაც ბრძნულ ფიქრებში უნდა ყოფილიყო წასული ორი იხვის დანახვაზე. ეს მეცნიერი შუა ხნისა იყო, მის სასიამოვნო სახეზე თავაზიანობა იყო აღბეჭდილი, მაგრამ მთელი მისი პიროვნება მეცნიერებისადმი მორჩილებას გამოხატავდა; პარიკის ქვეშ ჭაღარა თმა უჩანდა, რაც აღმოჩენათა ვნებას ამჟღავნებდა, რომელიც ყოველი ვნების მსგავსდ ჩვენ ისე ძლიერ გვაშორებს ამ ქვეყნის საგნებს, რომ საკუთარი მეს შეგნებას ვკარგავთ. რაფაელმა, როგორც მეცნიერების და კვლევა-ძიების ადამიანმა, აღტაცება იგრძნო ამ ბუნებისმეტყველის წინაშე, რომლის უძილო ღამეები მიძღვნილი იყო ადამიანური ცოდნის გაფართოებისადმი და რომლის შეცდომანიც კი სასახელონი იყვნენ საფრანგეთისათვის. მაგრამ კეკლუცი ქალი, უეჭველია, გაიცინებდა, როცა დაინახავდა, რომ მას თითქო შარვალი ვარდებოდა, ხოლო მისი ზოლებიანი ჟილეტი ხან ზევით აიწევდა, ხან ქვევით დაიწევდა, მისი ზოოგენეტიკური დაკვირვების მიხედვით.

პირველი მისალმების შემდეგ რაფაელმა საჭიროდ დაინახა ბ-ნ ლავრილისათვის ბანალური ქათინაური მიეძღვნა იხვების შესახებ.

_ ოჰ, ჩვენ მდიდარი ვართ იხვებით, _ უპასუხა ბუნებისმეტყველმა, _ ეს სახეობა, როგორც უეჭველად თქვენც მოგეხსენებათ, ყველაზე ნაყოფიერია აპკოვანფეხიანთა გვარში. ეს გვარი იწყება გედით და თავდება ზინზინის ჯიშის იხვით. იგი შეიცავს

ასოცდაჩვიმეტ ნაირსახეობას, რომელთაც თავიანთი განსაკუთრებული სახელი, თავიანთი ზნე-ჩვეულებანი, სამშობლო და გარეგნობა აქვთ, და ერთმანეთს ისევე ნაკლებ ჰგვანან, როგორც თეთრკანიანი ადამინი _ ზანგს. ჭეშმარიტად, როცა ჩვენ იხვს ვჭამთ, ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ გავრცელებულია...

იგი შეჩერდა პატარა ლამაზი იხვის დანახვაზე, რომელიც ტბის ფერდობზე მიგოგავდა.

_ შეხედეთ, ეს არის საყელოიანი გედი, კანადის საბრალო შვილი, რომელიც შორიდან მოსულა, რათა თავისი წაბლისფერი და ნაცრისფერი ბუმბული და თავისი შავი საყელო გვაჩვენოს! უყურეთ, ტანს იფხანს... ეს კიდევ სახელოვანი ეიდერის იხვია, რომლის ბუმბულის ქვეშ ჩვენს ნებიერ ქალებს სძინავთ. რა ლამაზია! ვინ არ იგრძნობს აღტაცებას მისი თეთრ-მოწითალო მუცლისა, მისი მწვანე ნისკარტის წინაშე! მე მოწმე გავხდი, ბატონო, დაპეპლვისა, რომლის იმედი დაკარგული მქონდა. შეუღლება საკმაოდ ბედნიერად დამთავრდა, და შედეგს მოუთმენლად ველი. იმედი მაქვს ასოცდამეთვრამეტე სახე მივიღო, რომელსაც შეიძლება ჩემი სახელი დაარქვან! აი, ახლად დაქორწინებული ცოლ-ქმარი, _ თქვა მან და ორ ფრინველს მიუთითა. _ აი, ესაა მოხიხინე ბატი (anas albifrons), ის კი დიდი მსტვენავი იხვი (ბიუფონის anas ruffina). დიდხანს ვყოყმანობდი მსტვენავ იხვსა, თეთრწარბიან იხვსა და ფართონისკარტიან იხვს შორის (anas clypeata). უყურეთ, ესაა ფართონისკარტიანი იხვი, ეს მსხვილი, მუქბუმბულიანი ავაზაკი, რომლის მომწვანო საყელო კეკლუცად ლივლივებს. მაგრამ, ბატონო, მსტვენავი იხვი ქოჩრიანია, და თქვენ გაიგებთ, რომ აღარ შემეძლო დიდხანს ყოყმანი. ჩვენ აქ მხოლოდ შავქუდიანი იხვი გვაკლია. მეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ, ეს ჯიში გარეული პატარა იხვის გამეორებას წარმოადგენსო, ხოლო მე...

მან საუცხოო მოძრაობა გააკეთა, რომლითაც ერთსა და იმავე დროს მეცნიერის თავმდაბლობაც გამოხატა და ზვიადობაც.

_ მე ასე არ ვფიქრობ, _ დაუმატა მან. _ თქვენ ხედავთ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენ არ ვხუმრობთ. ამჟამად მე მონოგრაფიას ვამზადებ იხვთა მოდგმაზე... მაგრამ მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

ბ. ლავრილი და რაფაელი გაემართნენ საკმაოდ ლამაზი სახლისკენ ბიუფონის ქუჩაზე. გზად რაფაელმა ზოოლოგს შაგრენის ტყავი გადასცა გამოსაცნობად.

_ მე ვიცნობ ამ პროდუქტს, _ თქვა ბოლოს მეცნიერმა, როცა თილისმა დაათვალიერა გამადიდებელ შუშაში. _ იგი წინათ რაღაც ყუთის სახურავი ყოფილა. ეს შაგრენი დიდი

ხნისაა! დღეს მექარქაშეები და ტყავის გადამკვრელები უფრო გალუშას ხმარობენ. ამ უკანასკნელს, როგორც უეჭველად მოგეხსენებათ, მეწამული ზღვის თევზი raJa sephen იძლევა.

_ ეს რაღაა, ბატონო, რაკი თქვენ ესოდენ თავაზიანი ბრძანდებით...

_ ეს, _ სიტყვა ჩამოართვა მეცნიერმა, _ სულ სხვა რამაა: გალუშასა და ამ შაგრენს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ოკეანესა და ხმელეთს, თევზსა და ოთხფეხს შორის. თუმცა, უნდა ითქვას, თევზის კანი უფრო მკვიდრია, ვიდრე ხმელეთის ცხოველის ტყავი. ხოლო ეს ტყავი, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ზოოლოგიის ერთი ყველაზე საინტერესო პროდუქტია.

_ როგორ! _ წამოიძახა რაფაელმა.

_ ბატონო, _ უპასუხა მეცნიერმა და სავარძელში ჩაეფლა, _ ეს ვირის ტყავია.

_ ვიცი, _ თქვა ახალგაზრდა კაცმა.

_ ირანში არსებობს, _ განაგრძო ბუნებისმეტყველმა, _ ერთი მეტისმეტად იშვიათი ვირის ჯიში, კანჯარი ანუ ონაგრი, equus asinus, თათრების ყულანი; პალასი იქ გაემგზავრა, რათა დაკვირვებანი მოეხდინა და იგი მეცნიერების კუთვნილებად ექცია. ეს ცხოველი დიდხანს ფანტასტიკურად იყო მიჩნეული. როგორც მოგეხსენებათ, იგი ცნობილია საღმრთო წერილში; მოსემ აკრძალა მისი შეყრა მის მახლობელ ჯიშებთან. მაგრამ კანჯარი კიდევ უფრო სახელგანთქმულია იმ გარყვნილებით, რომლის ობიექტსაც წარმოადგენდა და რომელზედაც ხშირად ლაპარაკობენ ბიბლიური წინასწარმეტყველები. პალასი, როგორც თქვენ უეჭველად მოგეხსენებათ, თავის Acta Petropolitana-ს მეორე ტომში აცხადებს, რომ ამ ახირებულ აღვირახსნილობას დღესაც რელიგიური ჩვეულების ელფერი აქვს ირანელებსა და ნოღაელებში, რომელნიც მას საუკეთესო წამლად თვლიან თირკმლის ავადმყოფობის და იშიასის წინააღმდეგო. ჩვენ, საბრალო პარიზელებს, ამაზე წარმოდგენაც არა გვაქვს! მუზეუმში არ მოიპოვება კანჯარი. რა საუცხოო ცხოველია! იგი საიდუმლოებითაა აღსავსე! მისი თვალი აღჭურვილია ერთგვარი სინათლის უკუმქცევი გარსით, რომელსაც აღმოსავლეთელები ჯადოქრობის ძალას მიაწერენ. მისი ბეწვი რბილი და ხავერდოვანია; თუმცა ჩვენს შინაურ ვირზე ბევრად დიდი არ არის, მაგრამ არაჩვეულებრივად გამბედავია. თუ მას თავს დაესხნენ, წარმატებით იბრძვის ყველაზე ონავარი მხეცების წინააღმდეგ. რაც შეეხება მის სირბილს, ის შეიძლება მხოლოდ ჩიტის გაფრენას შევადაროთ. საუკეთესო სპარსული და არაბული ცხენები ვერ დაეწევიან ონაგრს. იმ კეთილსინდისიერი მეცნიერის ნიბურის მამის ანგარიშით, რომლის გარდაცვალებამ,

როგორც მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინათ ყველანი დიდად დაგვამწუხრა, გამოდის, რომ კანჯარი საათში საშუალოდ შვიდ მილს გარბის. ჩვენს გადაგვარებულ ვირებს არ შეუძლიათ წარმოდგენა მოგვცენ ამ დამოუკიდებელ და ამაყ ვირზე. იგი მკვირცხლი და ცოცხალია, ჭკვიანი გამოხედვა აქვს, ყოველი მისი მოძრაობა კეკლუცია! იგი აღმოსავლეთის ზოოლოგიური მეფეა. თურქული და ირანული ცრუმორწმუნეობის მიხედვით იგი რაღაც საიდუმლო წარმოშობისაა. ტიბეტურ და თათრულ ზღაპრებში ამ ცხოველის საგმირო თავგადასავალი სოლომონის სახელთანაა დაკავშირებული. მოშინაურებული კანჯარი დიდად ფასობს. თითქმის შეუძლებელია მისი დაჭერა მთებში, სადაც იგი ქურციკივით დახტის და ჩიტივით დაფრინავს. ფრთოსანი რაშების და ჩვენი პეგასის წარმოდგენა უეჭველად იმ ქვეყნებში წარმოიშვა, სადაც მწყემსებს ხშირად შეუძლიათ დაინახონ, როგორ მიფრინავს ხოლმე კანჯარი ერთი კლდიდან მეორესკენ... თქვენ მიერ მოტანილი ტყავი კანჯარის ტყავია. ამ სახელს სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგი ფიქრობს, შაგრი თურქული სიტყვაა, ზოგი კიდევ შაგრის ქალაქად თვლის, სადაც ეს ზოოლოგიური პროდუქტი ქიმიურად მუშავდება. ეს პროცესი საკმაოდ კარგად აქვს აღწერილი პალასს. მარტელენსი მწერდა, შაგრი მდინარეაო...

_ ბატონო, დიდად გმადლობთ ცნობებისთვის, რომელიც მეცნიერული ტრაქტატისთვის მასალად გამოადგებოდა რომელიმე ბენედიქტელ ბერს, თუ მათი ორდენი დღესაც არსებულიყო; მაგრამ მე პატივი მაქვს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ეს ნაჭერი თავდაპიველად აი... ამ გეოგრაფიული რუკის ოდენა იყო, _ თქვა რაფაელმა და გაშლილ ატლასს მიუთითა: _ ხოლო უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში საგრძნობლად დაპატავდა...

_ ძალიან კარგი, _ უპასუხა მეცნიერმა, _ მესმის. ბატონო, ყოველი ორგანული პროდუქტი ბუნებრივი განადგურების პროცესს ემორჩილება; ეს პროცესი ადვილი შესამჩნევია, მისი წინსვლა ატმოსფერულ მოვლენებზეა დამოკიდებული. თვით ლითონებიც საგრძნობლად ვიწროვდება და ფართოვდება. მეცნიერება უსაზღვროა, ხოლო ადამიანის ცხოვრება მოკლეა, ამიტომ ჩვენ არ ვოცნებობთ ბუნების ყველა მოვლენა შევიგნოთ.

_ ბატონო, _ უპასუხა თითქმის შემკრთალმა რაფაელმა, _ მაპატიეთ, რომ ასეთ კითხვას გაძლევთ. დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ეს ტყავი ბუნებისმეტყველების ჩვეულებრივ კანონებს ემორჩილება და მას გაფართოებაც შეუძლია?

_ ოღონდაც!.. აჰ, ეშმაკმა დალახვროს! _ თქვა ლავრილმა, როცა თილისმის გაფართოება სცადა. _ მაგრამ, ბატონო, თუ მექანიკის ცნობილ პროფესორ პლანშეტთან წაბრძანდებით, იგი უეჭველად მოახერხებს ამ ტყავის გაფართოებას.

_ აჰ, ბატონო, თქვენ სიკვდილისგან მიხსენით!

რაფაელი გამოემშვიდობა ლავრილს, რომელიც შუშებითა და გამხმარი მცენარეებით სავსე კაბინეტში დარჩა, და პლანშეტთან გაიქცა. მას ამ დარბაზობიდან, შეუგნებლად, მთელი ადამიანური მეცნიერება მიჰქონდა თან: ეს იყო ნომენკლატურა! კეთილი ლავრილი სანჩო პანსას ჰგავდა, რომელიც დონ კიხოტს თხების ამბავს უყვება და თავს ირთობს ცხოველების დათვლითა და დანომვრით. თუმცა ეს მეცნიერი ერთი ფეხით საფლავში იდგა, ის მხოლოდ ერთ ნამცეცს იცნობდა იმ უთვალავი ჯოგიდან, რომელიც ღმერთს გამოუცნობი მიზნით გაუფანტავს სამყაროების ოკეანეში.

რაფაელი კმაყოფილი იყო. _ ჩემს ვირს ლაგამს ამოვდებ, _ თქვა მან. ჯერ კიდევ მასზე ადრე სტერნმა თქვა; «გავუფრთხილდეთ ვირს, თუ გვინდა სიბერემდე ვიცხოვროთ».

პლანშეტი მაღალი, გამხდარი, აზრებში წასული კაცი იყო, ნამდვილი პოეტი, რომელიც გამუდმებით იმ უსაზღვრო უფსკრულს უცქეროდა, რომელსაც მოძრაობა ეწოდება. ბრბო გიჟად თვლის ამ მაღალი გონების ადამიანებს, რომელნიც არ ზრუნავენ არც კომფორტსა და არც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ხშირად მთელი დღე ჩამქრალი სიგარი უჭირავთ პირში და ღილებშეუკრავი შედიან სალონში. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იბადება ხელსაწყო, რომლის მარტივი აღნაგობა გვაოცებს და გვხიბლავს, თავმდაბალი მეცნიერი კი იღიმება და თავის თაყვანისმცემლებს ეუბნება: _ მე არაფერი შემიქმნია. ადამიანი ძალას როდი იგონებს, იგი მას მხოლოდ მიმართავს, ხოლო მეცნიერება ბუნების წაბაძვაა და მეტი არაფერიო.

როცა რაფაელი შევიდა, მექანიკოსი თავის ორ ფეხზე იყო დარჭობილი, როგორც სახრჩობელიდან ჩამოვარდნილი კაცის გვამი. პლანშეტი აქატის თვალს უცქეროდა, რომელიც მზის საათის ზედაპირზე დაგორავდა. ამ საბრალო მეცნიერს არც ორდენები ჰქონდა და არც პენსია, იმიტომ, რომ მას არ ეხერხებოდა თავისი ანგარიშების გაფერადება. იგი ბედნიერი იყო იმით, რომ აღმოჩენას უთვალთვალებდა, არ ფიქრობდა, არც სახელსა, არც საზოგადოებადსა, არც თავის თავზე და მეცნიერებისთვის ცხოვრობდა უანგაროდ.

_ ამის გამორკვევა შეუძლებელია, _ წამოიძახა მან. _ აჰ, ბატონო ჩემო, _ თქვა მან, როცა რაფაელი დაინახა, _ თქვენი მონა-მოსამსახურე გახლავართ. როგორ ბრძანდება დედათქვენი?.. შებრძანდით ჩემს ცოლთან.

_ მეც შემეძლო ასე მეცხოვრა! _ გაიფიქრა რაფაელმა, რომელმაც მეცნიერი ოცნებიდან გამოიყვანა და ჰკითხა, როგორ შეიძლება თილისმაზე ვიმოქმედოო. _ თუნდა დამცინოთ, მაინც ვერაფერს დაგიმალავთ, _ თქვა მან: _ მე მგონია, ამ ტყავს ისეთი წინააღმდეგობის ძალა აქვს, რომ ვერაფერი დასძლევს.

_ ბატონო, _ უპასუხა პლანშეტმა, _ მაღალი საზოგადოების ადამიანები მეცნიერებას საკმაოდ თავქარიანად ექცევიან: ყველანი თითქმის იმასვე გვეუბნებიან, რაც ერთმა დარდიმანდმა ასტრონომ ლალანდს უთხრა, როცა ქალები მიუყვანა მზის დაბნელების შემდეგ: «კეთილინებეთ და ხელახლა დაიწყეთ». რა ზემოქმედების მოხდენა გსურთ? მექანიკას მიზნად აქვს მოძრაობის კანონთა გამოყენება ან მათი ნეიტრალიზაცია. რაც შეეხება თვით მოძრაობას თავისთავად, თავმდაბლად უნდა მოგახსენოთ, ჩვენ როდი ძალგვიძს მისი განსაზღვრა. რაკი ეს აღიარებულია, ჩვენ აღვნიშნავთ ზოგიერთ ურყევ მოვლენას, რომელიც მაგარი და თხელი სხეულების მოქმედებას განაგებს. ეს მეცნიერება, ბატონო, ერთადერთ ფაქტზეა დაყრდნობილი. ხომ ხედავთ ამ აქატის თვალს? იგი ახლა აქ არის, ახლა კიდევ იქ. რა სახელს ვუწოდებთ ამ მოძრაობას, ესოდენ ბუნებრივს ფიზიკურად, ესოდენ არაჩვეულებრივს მორალურად? მოძრაობას, გადანაცვლებას. მაგრამ რა უზარმაზარი ამაოება იმალება ამ სიტყვების ქვეშ! განა დასახელება უკვე საკითხის გადაჭრაა? მაგრამ ამაშია მთელი მეცნიერება. ჩვენი მანქანები იყენებენ ან შლიან ამ აქტს. თუ ამ უბრალო მოვლენას მასას შევუფარდებთ, შეიძლება პარიზი ავაფეთქოთ. ჩვენ შეგვიძლია სისწრაფეს მივუმატოთ ძალის ხარჯზე და ძალას სისწრაფის ხარჯზე. რა არის ძალა და სისწრაფე? ჩვენს მეცნიერებას არ შეუძლია ამის თქმა, როგორც მას არ შეუძლია მოძრაობის შექმნა. ყოველივე მოძრაობაზეა დაფუძნებული. სიკვდილიც მოძრაობაა, რომლის მიზნებს ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ. თუ ღმერთი უკვდავია, მერწმუნეთ, რომ იგი მოძრაობს. შეიძლება ღმერთი მოძრაობა იყოს. აი, რატომაა მოძრაობა მისებრ გაუგებარი; იგი მისებრ უძირო, უსაზღვრო, შეუცნობელია. სად არის იგი? და სად არ არის? საიდან მოდის? რა არის მისი პრინციპი? სადაა მისი დასასრული? როგორც ჩვენ, ისე მასაც სივრცე სჭირდება, მაგრამ რაა სივრცე? ამას მხოლოდ მოძრაობა გვიმჟღავნებს. მოძრაობის გარეშე სივრცე მხოლოდ უაზრო სიტყვაა და მეტი არაფერი. მოძრაობა გადაუჭრელი ამოცანაა, ისევე როგორც სიცარიელის, შემოქმედების, დაუსრულებლობის ამოცანა. იგი აშფოთებს ადამიანის აზროვნებას. ერთადერთი, რაც ნებადართულია ადამიანისათვის, ესაა შეიგნოს ის, რასაც ვერასოდეს ვერ შეიგნებს. ყველა წერტილს შორის, რომელსაც ეს თვალი გადის სივრცეში, ადამიანის აზროვნებისათვის უფსკრული იმყოფება, ის უფსკრული, რომელშიც

პასკალი გადავარდა. რათა ზემოქმედება მოვახდინოთ უცნობ სუბსტანციაზე, რომელიც თქვენ გსურთ უცნობ ძალას დავუმორჩილოთ, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ეს სუბსტანცია უნდა შევისწავლოთ. თავისი ბუნების მიხედვით, ის ან შეიმუსრება ბიძგისაგან, ან მას წინააღმდეგობას გაუწევს; თუ ის ნაწილებად დაიყო, _ თქვენს განზრახზვას კი მისი დანაწილება არ შეადგენს, _ ჩვენ ვერ მივაღწევთ დასახულ მიზანს. თუ თქვენ მისი შეკუმშვა გინდათ, თანაბარ მოძრაობას უნდა დაუქვემდებაროთ სუბსტანციის ყველა ნაწილი ისე, რომ მათი გამყოფი ინტერვალები ერთგვარად შემცირდეს. თუ თქვენ მისი გაფართოება გსურთ, თითოეული მოლეკული თანაბრად ცენტრიდანულ ძალას უნდა დაუქვემდებაროთ. თუ ეს კანონი ზუსტად არ დაიცავით, უწყვეტელობის დარღვევას გამოვიწვევთ. ბატონო ჩემო, არსებობს დაუსრულებელი რიცხვი მოძრაობის კომბინაციებისა. რომელ მოქმედებაზე ჩერდებით თქვენ?

_ ბატონო, _ უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა რაფაელმა, _ მე მინდა რაიმე ისეთი ძლიერი წნევა მივიღო, რომ დაუსრულებლივ გავაფართოვო ეს ტყავი...

_ რადგან სუბსტანციას საზღვარი აქვს, _ უპასუხა მეცნიერმა, _ შეუძლებელია მისი დაუსრულებლივ გაფართოება, მხოლოდ წნევა აუცილებლად ზედაპირს გაზრდის სისქის ხარჯზე. იგი ისე გათხელდება, რომ მატერია აღარ გვეყოფა.

_ მიიღეთ ეს შედეგი, _ წამოიძახა რაფაელმა, _ და თქვენ მილიონებს შეიძენთ.

_ ეს თქვენი ფულის მოპარვა იქნებოდა, _ უპასუხა პროფესორმა ჰოლანდიელივით ფლეგმატურად. _ არსებობს მანქანა, რომელიც თვით ღმერთს გასრესდა ბუზვით. მას შეუძლია ადამიანი სამშრალებელ ქაღალდად აქციოს. ჩექმებიანი, დეზებიანი, ჰალსტუკიანი, ქუდიანი ადამიანი _ მისი ოქროთი, სამკაულებით, ყოველივეთი.

_ რა საშინელი მანქანაა!

_ ჩინელებს თავიანთი ბავშვები წყალში კი არ უნდა ჩაეგდოთ, არამედ ასე გამოეყენებინათ, _ თქვა მეცნიერმა, ისე რომ არც კი უფიქრია, რომ ამით ადამიანში მამობრივ გრძნობას შეურაცხყოფას მიაყენებდა. _ ეს მანქანა დიდი პასკალის აღმოჩენას წარმოადგენს და წყლის შეკუმშვის პრინციპზეა აგებული.

_ როგორ! ის «პროვინციული წერილების» ავტორმა მოიგონა? _ იკითხა რაფაელმა.

_ მხოლოდ მან, ბატონო ჩემო. მექანიკაში არაფერია არც ამაზე უფრო მარტივი, არც ამაზე უფრო მშვენიერი. საწინააღმდეგო პრინციპმა _ წყლის გაფართოებამ, ორთქლის მანქანა შექმნა. მაგრამ წყალი განსაზღვრულ დონემდე ფართოვდება, მისი უკუმშვადობა კი, რომელიც ერთგვარად უარყოფითს ძალას წარმოადგენს, აუცილებლად უსასრულოა.

_ თუ ეს ტყავი გაფართოვდება, _ თქვა რაფაელმა, _ აღთქმას გაძლევთ, რომ უზარმაზარ ძეგლს დავუდგამ ბლეზ პასკალს, ასი ათასი ფრანკის ფონდს დავაარსებ, რათა ყოველ ათ წელიწადში ჯილდო მიეცეს მექანიკის საუკეთესო პრობლემის გადამჭრელს, მზითევს მივცემ თქვენს ბიძაშვილებს და ბიძათაშვილიშვილებს, ბოლოს თავშესაფარს დავაარსებ ჭკუაზე შემცდარი ან სიღარიბეში ჩავარდნილი მათემატიკოსებისათვის.

_ ეს დიდად სასარგებლო იქნებოდა, _ უპასუხა პლანშეტმა. _ ბატონო, _ განგარძო მან დამშვიდებული ტონით, როგორც ადამიანმა, რომელიც მხოლოდ გონების სფეროში ცხოვრობს, _ წავიდეთ ხვალ შპიგჰალტერთან. ამ გამოჩენილმა მექანიკოსმა, ჩვენი გეგმების მიხედვით, გაუმჯობესებული მანქანა გააკეთა, რომლის შემწეობით ბალღს შეუძლია ათასი ზვინი თივა მოათავსოს თავის ქუდში.

_ მაშ, ხვალამდე, ბატონო.

_ ხვალამდე.

_ მოდით, და ამის შემდეგ მექანიკაზე მელაპარაკეთ! _ წამოიძახა რაფაელმა. _ განა ეს უმშვენიერესი მეცნიერება არაა. ის ზოოლოგი კი თავისი ონაგრებით, კლასიფიკაციებით, იხვებით და შუშებში მოთავსებული მახინჯი არსებებით მხოლოდ მარკერად თუ გამოდგება საზოგადო ბილიარდზე.

მეორე დღეს სრულიად გამხიარულებული რაფაელი პლანშეტთან შევიდა, და ისინი ერთად გაემგზავრნენ ჯანმრთელობის ქუჩისკენ, რომლის სახელწოდება კეთილის მომასწავებელი იყო. შპიგჰალტერის უზარმაზარ სახელოსნოში რაფაელმა ყურადღება მიაქცია მრავალ გავარვარებულ და აღრიალებულ ღუმელს. ეს იყო ცეცხლის წვიმა, ლურსმნების წარღვნა, ჩანჩარუხების, ხრახნების, ოწინარების, ქლიბების, ლანგების, ქანჩების ოკეანე, თუჯის, ხის, სარქველების და ფოლადის ზოდების ზღვა. ნახერხი ადამიანს ყელში უღიტინებდა. თითქო თვით ჰაერი რკინით იყო გაჟღენთილი. ადამიანებს რკინა ეფარათ, ყველგან რკინის სუნი იდგა; რკინა ცოცხლობდა, აზროვნებდა, ყოველგვარ სახეს ღებულობდა, ყოველგვარ ჟინს ამჟღავნებდა. საბერველთა ღმუილსა, ჩაქუჩების დაგადუგსა, მილების სტვენასა და ლითონის ბღავილში რაფაელმა დიდ, სუფთა და ჰაერით სავსე ოთახს მიაღწია, სადაც მას შეეძლო თავისუფლად დაეთვალიერებინა ეს უზარმაზარი პრესი, რომლის შესახებ წინა დღით პლანშეტი ელაპარაკებოდა. ის გააოცა თუჯის ძელაკებმა და რკინის დაზგებმა, რომლებიც ურყევი ბირთვებით იყო შეერთებული.

_ თუ თქვენ ეს სახელური სწრაფად შვიდჯერ მოატრიალეთ, _ უთხრა შპიგჰალტერმა და გაპრიალებული რკინის ბალანსირს მიუთითა, _ ფოლადის ლატანი წინწკლებად იქცევა და ტანში შეგესობათ ნემსებივით.

_ ეშმაკმა დალახვროს, _ წამოიძახა რაფაელმა.

პლანშეტმა თვით შესდო შაგრენის ტყავი ამ საუცხოო პრესში და იმ დაჯერებით, რომელსაც მეცნიერული რწმენა იძლევა, ბალანსირის ხელი დაატრიალა.

_ დაწექით, თორემ დავიხოცებით! _ დაიღრიალა შპიგჰალტერმა და მიწაზე განირთხო.

სახელოსნოებში ჯოჯოხეთური სტვენა გაისმა. მანქანაში მოთავსებულმა წყალმა გახეთქა თუჯი, საშინელი სიძლიერით ამოვარდა, საბედნიეროდ, ძველი ღუმელისკენ გაემართა, გადაატრიალა და დალეწა იგი, როგორც ბორბალა ქარი სახლს ლეწავს და აღგვის ხოლმე.

_ ოჰ, _ თქვა წყნარად პლანშეტმა, _ შაგრენი ისეთივე საღია, როგორც ჩემი თვალი! ოსტატო შპიგჰალტერ, ან თქვენი თუჯი გაბზარული იყო, ან დიდ მილში სადმე ნახვრეტია...

_ არა, არა, მე კარგად ვიცი ჩემი თუჯის ამბავი. ბატონო, შეგიძლიათ თქვენი ნივთი წაიღოთ, შიგ ეშმაკია დაბინავებული.

გერმანელმა ოსტატმა ხელი სტაცა კვერს, გრდემლზე დასდო შაგრენის ტყავი და იმ გაათკეცებული ძალით, რომელსაც სიბრაზე იძლევა, საშინლად დაარტყა მას.

_ სრულიად არაფერი ეტყობა, _ თქვა პლანშეტმა და ალერსიანად ხელი გადაუსვა ჯიუტ შაგრენს.

მუშებმა მოირბინეს. ქარგალმა ხელი სტაცა ტყავს და ქვანახშირის ღუმელში შეაგდო. ცეცხლის ნაპირას ნახევარი წრე გაკეთდა, ყველანი მოუთმენლად ელოდნენ ვეებერთელა საბერველის გავლენას. რაფაელს, შპიგჰალტერს, პროფესორ პლანეტს შუაგული ეჭირათ ამ შავ და ყურადღებად ქცეულ ბრბოში. როცა რაფაელმა ამ ფართოდ დაღებულ თვალებს, რკინის მტვრით დაფარულ თავებს, შავ და გაბრწყინებულ ტანისამოსებს, ბანჯგვლიან მკერდებს შეხედა, გაიფიქრა, გერმანული ბალადების ფანტასტიკური ღამის ქვეყანაში ვიმყოფებიო. ათი წუთის შემდეგ ქარგალმა შიშით გამოიღო შაგრენის ტყავი.

_ აქ მოიტათ, _ თქვა რაფაელმა.

ქარგალმა ხუმრობით რაფაელს მიაწოდა იგი. ამ უკანასკნელმა ხელში დაიჭირა ტყავი. იგი ცივი და მოქნილი იყო. თავზარდაცემულმა მუშებმა თავს უშველეს. ვალენტენი და პლანშეტი მარტოდმარტო დარჩნენ ცარიელ სახელოსნოში.

_ უცილობლად რაღაც ეშმაკისეულია ამ ტყავში! _ წამოიძახა სასოწარკვეთილმა რაფაელმა, _ ნუთუ არავითარ ადამიანურ ძალას არ შეუძლია ერთი დღის სიცოცხლე მომიმატოს?

_ ბატონო, ეს ჩემი ბრალია, _ უპასუხა მათემატიკოსმა შეწუხებული სახით. _ ჩვენ ამ არაჩვეულებრივ ტყავზე საბრტყელებელი მანქანით უნდა გვემოქმედა. სად იყვნენ ჩემი თვალები, როცა მე პრესი შემოგთავაზეთ?

_ მე თვით მოგთხოვეთ ეს, _ უთხრა რაფაელმა.

მეცნიერმა თავისუფლად ამოისუნთქა, როგორც დამნაშავემ, რომელიც თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გაამართლა. მაგრამ რადგან ის დაინტერესებული იყო ამ უცნაური ტყავის ამოცანით, ერთი წუთით დაფიქრდა და თქვა:

_ ამ უცნობ სუბსტანციაზე რეაქტივებით უნდა ვიმოქმედოთ. წავიდეთ და ბარონ ჟაფე ვინახულოთ: შეიძლება ქიმია უფრო ბედნიერი აღმოჩნდეს, ვიდრე მექანიკა.

რაფაელმა ჭენებით წაიყვანა თავისი ცხენები, რათა ლაბორატორიაში მიესწრო ცნობილ ქიმიკოს ბარონ ჟაფესთვის.

_ ჩემო ძველო მეგობარო, _ თქვა პლანშეტმა, როცა ჟაფე დაინახა, რომელიც სავარძელში იჯდა და ნალექს ათვალიერებდა, _ როგორ ვიკითხოთ ქიმია?

_ სძინავს. ახალი არაფერია. მართალია, აკადემიამ სცნო სალიცინის არსებობა, მაგრამ სალიცინი, ასპარაგინი, ვოკელინი, დიგიტალინი აღმოჩენას როდი წარმოადგენენ...

_ რადგან ნივთიერების აღმოჩენის ძალა აღარ შეგწევთ, _ თქვა რაფაელმა, _ თქვენ, მგონია, იქამდე მიხვედით, რომ სახელებს იგონებთ.

_ ეს კი, ღმერთმანი, მართალია, ყმაწვილო!

_ მოდით, ამ ნივთიერების დაშლა სცადეთ, _ უთხრა პროფესორმა პლანშეტმა ქიმიკოსს. _ თუ რაიმე ელემენტს მიიღებთ, მე მას ამთავითვე დიაბოლინს დავარქმევ, იმიტომ რომ მისი გაფართოება გვინდოდა და ეს არის ჰიდრავლიკური პრესი დავლეწეთ.

_ ვნახოთ, ვნახოთ! _ მხიარულად წამოიძახა ქიმიკოსმა. _ შეიძლება ეს ახალი მარტივი სხეული იყოს.

_ ბატონო, _ თქვა რაფაელმა, _ ეს ვირის ტყავის ნაჭერია და მეტი არაფერი.

_ ბატონო... _ სერიოზულად შენიშნა სახელოვანმა ქიმიკოსმა.

_ მე არ ვხუმრობ, _ უპასუხა ვალენტენმა და შაგრენის ტყავი გადასცა.

ჟაფემ ენა დააწო ტყავს და თქვა:

_ არავითარი გემო არა აქვს! დაიცათ, ცოტა ქლორისმჟავა დავალევინოთ.

თუმცა ეს მჟავა შლის ქსოვილებს, მან არავითარი გავლენა არ მოახდინა შაგრენის ტყავზე.

_ ეს შაგრენი არაა! _ წამოიძახა ქიმიკოსმა. _ მივიჩნიოთ ეს საიდუმლო უცნობ მინერალად და ტიგელში ჩავდოთ, სადაც მე სწორედ წითელი პატაში მაქვს.

ჟაფე გავიდა და მალე დაბრუნდა.

_ ბატონო, _ უთხრა მან რაფაელს, _ ნება მომეცით ამ არაჩვეულებრივი ნივთიერების ნაჭერი ავიღო...

_ ნაჭერი? _ დაიყვირა რაფაელმა, _ ერთი ბეწვის ოდენასაც ვერ მოგცემთ. მაგრამ თუ გნებავთ, სცადეთ! _ დაუმატა მან სევდიანი და დამცინავი ტონით ერთსა და იმავე დროს.

მეცნიერმა გასტეხა სამართებელი, რომლითაც ტყავის მოჭრა უნდოდა, შემდეგ შაგრენის დალეწა მოინდომა ძლიერი ელექტრონაკადით, ბოლოს ვოლტის რკალის გავლენას დაუქვემდებარა იგი. მეცნიერების ყველა ძალა უმწეო აღმოჩნდა საშინელი თილისმის წინააღმდეგ. უკვე საღამოს შვიდი საათი იყო. პლანშეტი, ჟაფე და რაფაელი ვეღარ ამჩნევდნენ დროის მიმდინარეობას და უკანასკნელი ცდის შედეგებს ელოდნენ. შაგრენი გამარჯვებული გამოვიდა საშინელი შეჯახებიდან ქლორის, აზოტის კარგა მოზრდილ ოდენობასთან.

_ დავიღუპე! _ დაიყვირა რაფაელმა. _ აქ ღმერთის ხელი ჩანს. მე მოვკვდები...

მან ორივე მეცნიერი გაკვირვებული დასტოვა.

_ ნურავის ეტყვით ამ ამბავს აკადემიაში, თორემ კოლეგები სასაცილოდ აგიგდებენ, _ უთხრა პლანშეტმა ქიმიკოსს დიდი პაუზის შემდეგ, რომლის განმავლობაში ისინი ერთმანეთს უცქეროდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ თავიანთი აზრი გაემხილათ.

ეს მეცნიერები ქრისტიანებს ჰგავდნენ, რომელნიც თავიანთი საფლავებიდან ამოსულან, მაგრამ ღმერთი ვეღარ უპოვიათ ზეცაში. მეცნიერება? უძლურია! მჟავები? მტკნარი წყალია! წითელი პოტაში? პატივაყრილია! ვოლტის რკალი და ელექტრონაკადი? ორი სატკაცუნაა!

_ ჰიდრავლიკური პრესი გატყდა პურის ნატეხივით, _ წარმოთქვა პლანშეტმა.

_ მე მწამს ეშმაკი, _ თქვა ბარონმა ჟაფემ ერთი წუთის დუმილის შემდეგ.

_ მე კი, ღმერთი, _ უპასუხა პლანშეტმა.

ორივენი თავიანთ როლს ასრულებდნენ: მექანიკოსისთვის სამყარო მანქანაა, რომელსაც მუშა სჭირია; ქიმიისა, ამ ყოვლის დამშლელი დემონური ძალისთვის კი, სამყარო მოძრაობის უნარით აღჭურვილი გაზია.

_ ჩვენ არ შეგვიძლია ფაქტი უარვყოთ, _ თქვა ქიმიკოსმა.

_ ვაჰ! ჩვენ დასამშვიდებლად ბატონმა დოქტრინერებმა ეს ბუნდოვანი აქსიომა მოიგონეს: უაზროა, როგორც ფაქტიო.

_ შენი აქსიომა, _ უპასუხა ქიმიკოსმა, _ ფაქტად მიმაჩნია, როგორც უაზრობა.

მათ ბევრი იცინეს, ხოლო შემდეგ ისადილეს, როგორც ადამიანებმა, რომლებიც მხოლოდ უბრალო მოვლენას ხედავენ სასწაულში.

როცა ვალენტენი შინ დაბრუნდა, იგი ცივი გულისწყრომით იყო გამსჭვალული; მას აღარაფერი სწამდა. თავში აზრები აერივნენ, დატრიალდნენ და ატორტმანდნენ, როგორც ეს შეეფერებოდა ადამიანს, რომელიც შეუძლებელი ფაქტის წინაშე დგას. იგი სიამოვნებით იწამებდა რაიმე ფარული მანკის არსებობას შპიგჰალტერის მანქანაში. მას არც მენციერების და არც ცეცხლის უძლურება არ აკვირვებდა; მაგრამ მას აძრწუნებდა ტყავის მოქნილობა, როცა იგი ხელში ეჭირა, მისი სიმკვირვე, როცა ადამიანის განკარგულებაში არსებული გამანადგურებელი საშუალებანი მის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული. ეს უცილობელი ფაქტი მას თავბრუს ახვევდა.

_ მე გიჟი ვარ, _ ჩაილაპარაკა მან. _ თუმცა დილიდან არაფერი მიჭამია, არც მშია და არც მწყურია, მკერდქვეშ კი მწველ ალს ვგრძნობ.

მან ძველ ჩარჩოში ჩადო შაგრენის ტყავი, წითელი მელნით შემოხაზა მისი კონტური და სავარძელში ჩაჯდა.

_ უკვე რვა საათია! _ წამოიძახა მან. _ ამ დღემ სიზმარივით განვლო.

იგი მიეყრდნო სავარძლის სახელურს, თავი მარცხენა ხელზე დადო და იმ სამგლოვიარო, ადამიანის ჩამნთქმელ ფიქრებში წავიდა, რომლის საიდუმლოება თან მიაქვთ სასიკვდილოდ განწირულთ.

_ აჰ, პოლინა, საბრალო ბავშვო! _ წამოიძახა მან. _ არსებობს უფსკრულები, რომელთაც სიყვარულიც ვერ გადალახავს, რარიგ ღონიერიც უნდა იყოს მისი ფრთები.

ამ წუთში მას სრულიად გარკვეულად ნელა ამოოხვრა მოესმა, და იმ მგრძნობიარობის წყალობით, რომელსაც მხოლოდ ვნება იძლევა, თავისი პოლინას სუნთქვა იცნო.

_ ოჰ! _ ჩაილაპარაკა მან, _ აი, ჩემი სიკვდილის განაჩენი. იგი რომ აქ ყოფილიყო, მის მკლავებზე სიკვდილს ვისურვებდი.

გულწრფელი და მხიარული სიცილის ხმამ მას თავი მიაბრუნებინა თავისი საწოლისკენ. გამჭვირვალე ფარდებში მან პოლინას სახე დაინახა. ქალი იცინოდა, როგორც ბედნიერი ბალღი, რომელმაც სიცელქე ჩაიდინა; მისი მშვენიერი თმა ათას რგოლად გაბნეულიყო მის მკერდზე. იგი ბენგალიის ვარდს ჰგავდა, რომელიც ობლად ძევს თეთრი ვარდების გროვაზე.

_ იონათანი შევაცდინე, _ თქვა პოლინამ. _ განა ეს ლოგინი მე არ მეკუთვნის, შენს ცოლს? ნუ გამიწყრები, ძვირფასო, მე მხოლოდ შენს გვერდით დაძინება, შენი გაკვირვება მინდოდა. მაპატიე, ეს სისულელე.

იგი ლოგინიდან გადმოხტა კატისებური მოძრაობით, სხივოსანი თეთრი მუსლინის ნაოჭებში და მუხლებზე დაუჯდა რაფაელს.

_ რომელ უფსკრულზე ლაპარაკობდი, ჩემო საყვარელო? _ ჰკითხა მან მზრუნველად შეჭმუხნული შუბლით.

_ სიკვდილის.

_ გული მატკინე, _ უპასუხა ქალმა. _ არსებობს აზრები, რომელთანაც ჩვენ, საბრალო ქალებს, შეჩერება არ შეგვიძლია, ისინი ჩვენ გვკლავენ. რისგან წარმოსდგება ეს, სიყვარულის ძალისა თუ ვაჟკაცობის უქონლობისაგან? არ ვიცი. სიკვდილი არ მაშინებს, _ განაგრძო მან ღიმილით. _ შენთან ერთად სიკვდილი, ხვალ დილით, უკანასკნელ კოცნაში, ეს უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. მგონია, მაინც მეგონებოდა, ას წელიწადზე მეტი ვიცხოვრე-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვს დღეთა სიმრავლეს, თუ ერთ ღამეში, ერთ საათში, სიმშვიდით და სიყვარულით აღსავსე სიცოცხლეს ამოვწურავთ?

_ შენ მართალი ხარ, შენი მშვენიერი ტუჩებით ზეცა ლაპარაკობს. მოდი, მაკოცნინე და მოვკვდეთ, _ უთხრა რაფაელმა.

_ მაშ, მოვკვდეთ, _ უპასუხა ქალმა ღიმილით.

დილის ცხრა საათზე სინათლე შეიჭრა ჟალუზიების ჭუჭრუტანებში; თუმცა იგი დარბილებული იყო ფარდების მუსლინით, მაგრამ ააშკარავებდა ნოხებისა და აბრეშუმიანი ავეჯის ფერებს. აქა-იქ ვარაყი აციმციმდა. მზის სხივი ჩაკვდა რბილ საბანში, რომელიც სიყვარულის ცელქობას იატაკზე გადმოეგდო. დიდ სარკეზე ჩამოკიდებული ქალის კაბა ბუნდოვან მოჩვენებას ჰგავდა. პაწია მაშიები მოშორებით ეწყო ლოგინიდან. რაფაელი ჩიტების ჟივილ-ხივილმა გააღვიძა.

_ რათა მოვკვდე, _ ჩაილაპარაკა მან ისე, რომ თითქო სიზმარში დაწყებულ აზრს ამთავრებდა, _ საჭიროა, რომ ჩემი ორგანიზმი, ეს ხორცისა და ძვლების მექანიზმი, რომელიც ჩემი ნებისყოფითაა სულჩადგმული და ჩემგან ადამიანის პიროვნებას ქმნის, საგრძნობლად დაზიანდეს. მკურნალებმა უნდა იცოდნენ საფრთხეში ჩავარდნილი სიცოცხლის ნიშნები და მითხრან, ჯანმრთელი ვარ თუ ავადმყოფი.

მან შეხედა თავის მძინარე ცოლს, რომელიც მას ჩაჰკვროდა და ამრიგად, ძილშიც სიყვარულის ნაზ მზრუნველობას გამოხატავდა. თვით ყველაზე ბუნებრივი ქალები დღისით ზოგიერთ საზოგადოებრივ პირობებს ემორჩილებიან, რომელნიც აფერხებენ მათი სულის გულუბრყვილოდ გაშლას; მაგრამ ძილი მათ თითქო იმ უშუალობას უბრუნებს, რომელიც მათი ახალგაზრდობის სამკაულს წარმოდგენდა: პოლინას აღარაფრისა რცხვენოდა, როგორც ციდან ჩამოვარდნილ ბავშვს, რომელმაც არც აზრის დამალვა იცის მიმოხვრის შემწეობით, არც რაიმე საიდუმლოება აქვს გამოხედვაში. მას ჩასძინებოდა სიამოვნები დროს, მისი წამწამები მჭიდროდ ეკვროდნენ ლოყებს, თითქო იმისთვის, რომ თვალები დაეცვათ ძლიერი სინათლისაგან, ან შეიძლება იმისთვის, რომ სულს დახმარებოდნენ ძალები მოეკრიბა სრულქმნილი, მაგრამ სწრაფმავალი ნეტარების შესაჩერებლად.

თქვენ უცქერით დაძინებულ საყვარელ ქალს, რომელიც მშვიდობიან ძილში იღიმება თქვენი მფარველობის ქვეშ; მას თქვენ უყვარხართ სიზმარშიც, იმ წუთშიც, როცა ეს არსება თითქო აღარ არსებობს, იგი მდუმარე ტუჩებს გიწვდით, ეს ტუჩები უკანასკნელ კოცნაზე გელაპარაკებიან! თქვენ უცქერით დანდობილ ქალს, ნახევრად შიშველს, მაგრამ სიყვარულის წამოსასხამში გახვეულს, უმანკოს არევ-დარევის წიაღში. თქვენ სტკბებით მისი მიყრილ-მოყრილი ტანსაცმლით, აბრეშუმის წინდებით, რომელიც წუხელის ნაჩქარევად გაიხადა, რათა თქვენთვის თავი მოეწონებინა, შეხსნილი სარტყელით, რომლითაც უსაზღვრო ნდობა გამოგიხატათ. განა ეს ისეთი სიხარული არაა, რომელსაც სახელი არა აქვს? ეს სარტყელი მთელი პოემაა. ქალი, რომელსაც იგი იცავდა, აღარ არსებობს, იგი თქვენ გეკუთვნის, იგი თქვენად იქცა; ამიერიდან თუ მას უღალატეთ, საკუთარ თავს შეურაცხყოფას მიაყენებთ.

გულაჩუყებულმა რაფაელმა თვალი გადაავლო ოთახს, სიყვარულით გაჟღენთილს, მოგონებებით სავსეს, სადაც სინათლე ვნებიან ელფერს ღებულობდა, და ხელახლა ამ ქალს დააცქერდა, რომლის გრძნობები განუყოფლად მას ეკუთვნოდა. მან დაუსრულებელი

სიცოცხლე ინატრა. მაგრამ, როგორც კი პოლინას შეხედა, ქალმა მაშინვე თვალები გაახილა, თითქო მზის სხივები მოხვედროდეს.

_ დილა მშვიდობისა, _ თქვა ქალმა ღიმილით, - რა ლამაზი ხარ, საძაგელო.

ეს ორი თავი აღბეჭდილი სილამაზით, რომელსაც მათ ახალგაზრდობა, ბინდბუნდი და დუმილი ანიჭებდა, ღვთაებრივ სურათს წარმოადგენდა; ასეთი სურათის მომხიბლაობა წარმავალია და მხოლოდ ვნებათაღელვის პირველ დღეებში ვლინდება, ისევე როგორც გულუბრყვილობა და უმანკოება ბავშვობის ასაკში ვლინდებიან. ეჰ, სიყვარულის გაზაფხულის სიხარული ისევე ქრება, როგორც ჩვენი სიჭაბუკის სიცილი, ის მხოლოდ ჩვენს მახსოვრობაში ცხოვრობს და, ჩვენი ფარული აზრების ჟინის მიხედვით, ან სასოწარკვეთილებაში გვაგდებს, ან რაღაც მანუგეშებელ სურნელებას გვაკმევს.

_ რად გაიღვიძე? _ ჰკითხა რაფაელმა. _ მე ისე მესიამოვნბოდა, მძინარეს რომ გხედავდი, რომ ტირილი მომინდა.

_ მეც, _ უპასუხა ქალმა, _ წუხელ მეც ვიტირე, როცა მძინარეს გიცქეროდი, მაგრამ ეს სიხარულის ცრემლები როდი იყო. ყური დამიგდე, ჩემო რაფაელ. როცა გძინავს, შენი სუნთქვა თავისუფალი არაა, შენს მკერდში რაღაც გაისმის და ეს მაშინებს. ძილში ოდნავ მშრალად ახველებ, სწორედ ისე როგორც მამაჩემი, რომელიც ჭლექით კვდება. გარდა ამისა, გაციებს, ამაშინ დარწმუნებული ვარ, შენი ხელი სველი და ცხელი იყო. ძვირფასო, შენ ახალგაზრდა ხარ, _ დაუმატა ქალმა ცახცახით, _ შეიძლება კიდევ მორჩე, თუ საუბედუროდ... მაგრამ არა, _ წამოიძახა მან მხიარულად, _ ეს უბეუდრება არ არის, მკურნალები ამბობენ, ეს ავადმყოფობა გადამდებიაო.

მან ორივე ხელი მოჰხვია რაფაელს და მისი სუნთქვა დაიჭირა ერთი იმ კოცნით, რომელშიც სული სულს ეხება.

_ არ მინდა სიბერემდე ვიცოცხლო, _ განაგრძო მან. _ ორივენი ახალგაზრდები მოვკვდეთ და ცაში წავიდეთ ყვავილებით სავსე ხელებით.

_ ასეთ გეგმებს მხოლოდ მაშინ ვადგენთ, როცა ჯანსაღები ვართ, _ უპასუხა რაფაელმა და პოლინას ხელით თმა აუშალა.

მაგრამ ამ სიტყვების წრამოთქმისთანავე მას საშინელი ხველა აუტყდა, მძიმე, ღრმა ხველა, რომელიც თითქო კუბოდან მოდის, ავადმყოფის შუბლს აფითრებს, ხოლო აცახცახებულ სხეულს ოფლით ფარავს. არაქათგამოცლილი, ფერმკრთალი რაფაელი ნელა დაწვა, როგორც ფეხმოკვეთილი ადამიანი, რომელმაც მთელი ღონე დახარჯა უკანასკნელ

ძალდატანებაში. პოლინა მას შეშინებული თვალებით ჩააშტერდა და გაშეშდა ფერწასული, მდუმარე.

_ სიგიჟეს ნუღარ ჩავიდენთ, ჩემო ანგელოზო, _ თქვა მან და შეეცადა რაფაელისათვის დაეფარა საშინელი წინათგრძნობა, რომელიც მას აღელვებდა.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა, რადგან სიკვდილის საზიზღარი ჩონჩხი დაინახა. რაფაელს სახე გაულურჯდა, თვალები ჩაუცვივდა. მისი თავი მკვდრის თავის ქალას დაემსგავსა, საფლავიდან ამოღებულს რომელიმე მეცნიერის საჭიროებისათვის. ქალმა ვაჟის გუშინდელი წამოძახილი გაიხსენა და გაიფიქრა:

_ ჰო, არსებობს უფსკრულები, რომლის გადალახვა სიყვარულს არ შეუძლია, იგი იქ უნდა დაიმარხოს.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე სასოწარკვეთილების სცენის შემდეგ. მარტის დილა დადგა. რაფაელი სავარძელში იჯდა, ოთხი ექიმი ერტყა გარს. მათ იგი სინათლეზე დაესვათ მისი ოთახის ფანჯარასთან და რიგრიგად ხან მაჯას უსინჯავდნენ, ხან მკერდზე ყურს ადებდნენ, ხან სხვადასხვა კითხვას აძლევდნენ ერთნაირი მოჩვენებითი ინტერესით. ავადმყოფი ზვერავდა მათს აზრებს, ცდილობდა მათი მიმოხვრა, მათი შუბლის ნაოჭების მოძრაობა გაეგო. ეს თათბირი მისი უკანასკნელი იმედი იყო. ამ უზენაეს მსაჯულებს მისი სიცოცხლისა და სიკვდილის განაჩენი უნდა გამოეტანათ. ვალენტენმა თანამედროვე მედიცინის ქურუმები მოიწვია, რათა ადამიანური მეცნიერებისთვის მისი უკანასკნელი სიტყვა გამოეგლიჯა. მისი სიმდიდრისა და მისი სახელის წყალობით მის წინაშე წარმოდგენილი იყო სამი სისტემა, რომელთა შორის ადამიანის ცოდნა ქანაობს. სამმა მკურნალმა თან მოიტანა მთელი მედიცინის ფილოსოფია, ისინი წარმოადგენდნენ იმ ბრძოლას, რომელიც სპირიტუალიზმსა, ანალიზსა და ერთგვარ სკეპტიკურ ეკლეკტიზმს შორის წარმოებს. მეოთხე ექიმი ორას ბიანშონი იყო, დიდად განათლებული, დიდი მომავლის მქონე ადამიანი, შეიძლება ყველაზე წარჩინებული ახალ მედიკოსებს შორის, იმ მეცადინე ახალგაზრდობის ჭკვიანი და თავმდაბალი წარმომადგენელი, რომელიც ემზადება მემკვიდრეობით მიიღოს პარიზის უნივერსიტეტის მიერ დაგროვილი განძი და ძეგლი ააგოს წარსული საუკუნეების მასალისაგან. იგი რასტინიაკის და ვალენტენის მეგობარი იყო. უკვე რამდენიმე დღე იყო ავადმყოფს უვლიდა და ახლაც შველოდა, რომ

ავადმყოფს პასუხი მიეცა სამი პროფესორისათვის, რომელთაც ბიანშონი დაჟინებით უმტკიცებდა ფილტვების ჭლექთან გვაქვს საქმეო.

_ თქვენ, უეჭველია, ბევრ რამეში გადაგიჭარბებიათ, გზააბნეული ცხოვრება გიტარებიათ! თქვენ დიდი გონებრივი შრომა შეგისრულებიათ! _ უთხრა რაფაელს ერთ-ერთმა სახელოვანმა ექიმმა, რომლის ოთხკუთხედი თავი, ფართო სახე და ენერგიული გამომეტყველება მოწობდა, რომ იგი უფრო ნიჭიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი მოწინააღმდეგეები.

_ მე მინდოდა თავი მომეკლა აღვირახსნილი დროსტარებით, მას შემდეგ, რაც სამი წელიწადი ვიმუშავე დიდი შრომის დასაწერად, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თქვენც დაგაინტერესოთ, _ უპასუხა რაფაელმა.

დიდმა მეცნიერმა თავი გაიქნია კმაყოფილების ნიშნად და თითქო თავის გულში თვა: «ეს დარწმუნებით ვიცოდი!» ეს ექიმი იყო სახელოვანი ბრისე, ორგანული სკოლის მეთაური, კაბანისის და ბიშას მემკვიდრე, პოზიტივისტური და მატერიალისტური აზროვნების მიმდევარი; იგი ადამიანს თვლიდა შეზღუდულ არსებად, რომელიც მხოლოდ თავისი საკუთარი ორგანიზაციის კანონებს ექვემდებარება და რომლის ნორმალური მდგომარეობა თუ მომაკვდინებელი ანომალიები ხელშესახები მიზეზებით აიხსნება.

ამ პასუხის მიღებისთანავე ბრისემ უსიტყვოდ გადახედა საშუალო ტანის კაცს, რომლის შეფაკლებული სახე და ნაკვერჩხლისებური თვალი თითქოს ანტიკურ სატირს ეკუთვნოდა. იგი ზურგით მიყრდნობილი იყო ნიშის კუთხეს და დიდი ყურადღებით უცქეროდა რაფაელს. ეს აღფრთოვანების და რწმენის ადამიანი, ექიმი კამერისტუსი, ვიტალისტების ბელადი, ვან ჰელმონტის აბსტრაქტული თეორიების პოეტური დამცველი ადამიანის სიცოცხლეში ამაღლებულ, იდუმალ პრინციპს ხედავდა, აუხსნელ მოვლენას, რომელიც დასცინის ნეშტარს, ატყუებს დასატაქრობას, ემალება ფარმაციის წამლებს, ალგებრულ იქსებს, ანატომიურ დემონსტრაციებს და დასცინის ჩვენს ღონისძიებებს; ესაა ერთგვარი ხელუხლებელი, თვალშეუდგამი ცეცხლის ალი, რომელიც ღვთაებრივ კანონებს ექვემდებარება და ხშირად მომაკვდავ სხეულში რჩება, ხოლო გარეგნულად ამტან სხეულებს გაურბის.

გესლიანი ღიმილი უკრთოდა ტუჩებზე მესამე მეცნიერს, დოქტორ მოგრედის, რჩეული სულის ადამიანს, მაგრამ სკეპტიკოსსა და დამცინავს. მას არაფერი არ სწამდა გარდა ნეშტარისა, ბრისესთან ერთად შესაძლებლად მიაჩნდა სრულიად ჯანსაღი კაცის უცაბედი სიკვდილი, კამერისტუსთან ერთად აღიარებდა, რომ ადამიანს შეუძლია

სიკვდილის შემდეგაც იცხოვროს. იგი კარს მხარეს ხედავდა ყოველ თეორიაში, არც ერთ მათგანს არ მისდევდა, ამასთანავე ამტკიცებდა, რომ საუკეთესო სამკურნალო სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთი სისტემა არ იქონიო და ფაქტებს მიჰყვეო. ეს მედიცინის პანურგი,* ეს დაკვირვების მეფე, ეს დიდი დამცინავი და დიდი მკვლევარი, ადამიანი, რომელიც მზად იყო ყოველგვარი სასოწარკვეთილი ცდა მოეხდინა, ამ წუთში შაგრენის ტყავს ათვალიერებდა.

_ ძალიან მინდა საკუთარი თვალით შევამოწმო ის ურთიერთობა, რომელიც თქვენს სურვილებს და ტყავის შეკუმშვას შორის არსებობს, _ უთხრა მან მარკიზ დე ვალენტენს.

_ ეს რა საჭიროა? _ იკითხა ბრისემ.

_ ეს რა საჭიაროა? _ გაიმეორა კამერისტუსმა.

_ აჰ, თქვენ ერთნაირად ფიქრობთ, _ უპასუხა მოგრედიმ.

_ ეს შეკუმშვა სრულიად მარტივი მოვლენაა, _ თქვა ბრისემ.

_ არა, იგი ზებუნებრივია, _ დაუმატა კამერისტუსმა.

_ მართლაც, _ უპასუხა მოგრედიმ, რომელმაც სერიოზული სახე მიიღო და რაფაელს შაგრენის ტყავი დაუბრუნა, _ ტყავის გამაგრება აუხსნელი და ამასთანავე ბუნებრივი ფაქტია, რომელიც ქვეყნის დასაბამიდან მედიცინის და ლამაზი ქალების სასოწარკვეთილებას იწვევს.

ვალენტენმა კარგად დაათვალიერა სამივე ექიმი, მაგრამ მათში ვერავითარი თანაგრძნობა ვერ აღმოაჩინა თავისი ავადმყოფობისადმი. სამივე დუმილით ისმენდა ყოველ პასუხს, გულგრილად ათვალიერებდა მას და შეუბრალებლად ეკითხებოდნენ. რაღაც უზრუნველობა ჩანდა მათ ზრდილობიან მოპყრობაში. მათი სიტყვები ისეთი იშვიათი იყო, რომ რაფაელს ეგონა, ისინი გონებაგაფანტული არიანო. მხოლოდ დროგამოშვებით ბრისე წამოიძახებდა ხოლმე: «ჰო, ძალიან კარგი!» კამერისტუსი ღრმად იყო ჩაფიქრებული, მოგრედი კომედიების ავტორს ჰგავდა, რომელიც ორიგინალებს სწავლობს, რათა იგი სცენაზე გადაიტანოს. ბიანშონის სახე ღრმა გულისტკივილს, სევდით აღსავსე სინაზეს გამოხატავდა. იგი ცოტა ხნის წინათ გახდა ექიმი, მას ვერ მოესწრო უგრძნობელი გამხდარიყო სხვების ტანჯვის მიმართ და გულგრილად დგომა შესძლებოდა მომაკვდავის სარეცელთან; მას ჯერ კიდევ არ ეხერხებოდა თანაგრძნობის ცრემლების შეჩერება, ეს ცრემლები კი ადამიანს ხელს უშლის საგნები ნათლად დაინახოს და, მხედართმთავრის მსგავსად, შესაფერისი მომენტი აირჩიოს გამარჯვების მისაღწევად, ისე რომ ყური არ დაუგდოს მომაკვდავთა ყვირილს. ნახევარი საათის განმავლობაში ეს

ექიმები, ასე ვთქვათ, ზომას უღებდნენ ავადმყოფობას და ავადმყოფს, როგორც მკერავი ზომას უღებს ახალგაზრდა კაცს, რომელიც მას საქორწინო ტანისამოსს უკვეთს. ისინი ზოგად ფრაზებსაც ხმარობდნენ, მათ საზოგადოებრივ საკითხებზეც ისაუბრეს. შემდეგ მოისურვეს რაფაელის კაბინეტში გასულიყვნენ, რათა ერთმანეთისთვის თავიანთი აზრები გაენაწილებინათ და განაჩენი გამოეტანათ.

_ ბატონებო, _ ჰკითხა ვალენტენმა, _ შეიძლება თუ არა თქვენს კამათს დავესწრო?

ბრისემ და მოგრედიმ პროტესტი განაცხადეს, და, ავადმყოფის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, უარი თქვეს თათბირი გაემართათ მისი თანდასწრებით. რაფაელი დაემორჩილა, მით უმეტეს, რომ ფიქრობდა, მეზობელ ოთახში შევიპარები, საიდანაც ყოველივეს ადვილად მოვისმენო.

_ ბატონებო, _ წარმოთქვა ბრისემ კაბინეტში შესვლისთანავე, _ ნება მომეცით დაუყოვნებლივ გამოვთქვა ჩემი აზრი: მე საავადმყოფოში მიმელიან. სუბიექტი, რომელიც ჩვენ გავსინჯეთ, ერთნაირად დაღლილია როგორც გონებრივი მუშაობით, ისე... რაზე მუშაობდა, ორას? _ ჰკითხა ახალგაზრდა ექიმმა.

_ ნებისყოფის თეორიას ამუშავებდა.

_ ეშმაკმა დალახვროს! ეს ფართო თემაა. იგი დაღლილია-მეთქი აზროვნებით, უწესო ცხოვრებით, გამაღიზიანებელ საშუალებათა ხშირი ხმარებით. ნერვების და ტვინის მძაფრმა მოქმედებამ მთელი სხეულის ჯანმრთელობა დააზიანა. ბ. ბიანშონს თვალყური უდევნებია ავადმყოფის საჭმლის მონელებისთვის, იგი მძიმედ მიმდინარეობდაო. სწორედ რომ ვთქვათ, მისი კუჭი აღარ არსებობს, და ადამიანიც გამქრალა. გონების ატროფია მომხდარა, იმიტომ რომ ადამიანი საჭმელს ვეღარ ინელებს. ნერვული ქსელის შემწეობით ავადმყოფობას ტვინისთვის მიუღწევია, ამით აიხსნება ამ ორგანოს გადაჭარბებული გაღიზიანება. ავადმყოფი აკვიატებული იდეის გავლენის ქვეშ იმყოფება. მისი აზრით, ეს შაგრენის ტყავი მართლაც ვიწროვდება, თუმცა შეიძლება ნამდვილად ოდნავადაც არ შეცვლილა. ახლავე წურბელები დააყარეთ სტომაქზე, დაამშვიდეთ ეს ორგანო, სადაც მთელი ადამიანია თავმოყრილი, მკაცრ რეჟიმში ჩააყენეთ ავადმყოფი, და აკვიატებული იდეა გაქრება. მეტს არაფერს ვეტყვი დოქტორ ბიანშონს: მან თვით უნდა შეადგინოს როგორც მოვლის საერთო წესები, ისე დეტალები. შეიძლება სხვა გართულებაც არსებობს, შეიძლება სასუნთქი ორგანოებიც დაზიანებულია, მაგრამ, მე მგონია, რომ საჭმლის მომნელებელი აპარატის წამლობას ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფილტვებისას. აბსტრაქტულ საგნებზე მუშაობამ და ზოგიერთმა მძაფრმა ვნებამ სიცოცხლის მექანიზმის

დაზიანება გამოიწვია, მაგრამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არაა, ჯერ კიდევ შეიძლება ბორბლების აღდგენა. თქვენ კიდევ ადვილად შეგიძლიათ თქვენი მეგობარი გადარჩინოთ, ბ-ნ ბიანშონ.

_ ჩვენი მეცნიერი კოლეგა შედეგს მიზეზად ღებულობს, _ უპასუხა კამერისტუსმა. _ ჰო, მის მიერ ასე კარგად აღნიშნული ცვლილებები მართლაც ეტყობა ავადმყოფს, მაგრამ სტომაქიდან არ წარმოსდგება ის ირადიაცია მთელი ორგანიზმისა ტვინისკენ, რომელიც გაბზარული სარკის სხივებივით გაშლილა. ამ მინის გასატეხად დარტყმა იყო საჭირო; ვინ დაარტყა ასე მაგრად? განა ჩვენ ეს ვიცით? განა ჩვენ საკმაო დაკვირვება მოვახდინეთ ავადმყოფზე? განა ჩვენ მისი ცხოვრების ყოველ გარემოებას ვიცნობთ? ბატონებო, მასში დაზიანებულია ცხოვრების პრინციპი, ვან ჰელმონტის არქეა, შერყეულია თვით მაცოცხლებელი ძალა თავის არსებაში. ღვთაებრივმა ნაპერწკალმა, შუამავალმა გონებამ, რომელიც მანქანს აკავშირებს და ნებისყოფას შობს, შეწყვიტა მექანიზმის ყოველდღიური მოძრაობის მოწესრიგება; აქედან წარმოდგება ის არევ-დარევა, რომელიც ასე კარგად დააფასა ჩემმა სწავლულმა თანამოძმემ. მოძრაობა სტომაქიდან ტვინისკენ კი არ წასულა, არამედ ტვინიდან სტომაქისკენ _ არა, _ თქვა მან და მკერდზე მუშტი დაირტყა, _ არა, მე განკაცებული კუჭი როდი ვარ! არა. ეს არ არის თავი და თავი. არა, მე იმდენი გამბედაობა არ შემწევს, ვთქვა, რომ თუ სტომაქი კარგად მაქვს, დანარჩენი ფორმის საქმეა-მეთქი... ჩვენ არ შეგვიძლია ერთი და იმავე ფიზიკური მიზეზით ავხსნათ და ერთნაირად ვუწამლოთ სხვადასხვა პიროვნების ავადმყოფობას. არც ერთი ადამიანი არ ჰგავს მეორეს. ყოველ ჩვენგანს თავისი განსაკუთრებული ორგანო აქვს, რომელიც სხვადასხვანაირად ღიზიანდება, სხვადასხვანაირად იკვებება, სხვადასხვანაირ დანიშნულებას ასრულებს და უცნობი საგნების წესრიგის განსახორციელებლად თავისებურ თემას ავითარებს. იმ დიდი ერთეულის ნაწილი, რომელიც უზენაესი ნებისყოფის კარნახით ჩვენ გვასულდგმულებს, სხვადასხვანაირად მჟღავნდება თითოეულ ადამიანში და ამ უკანასკნელისაგან გარეგნულად მოკვდავ არსებას ქმნის, მაგრამ ეს არსება ერთ წერტილში ეხება დაუსრულებელ მიზეზს. ამიტომ ყოველი სუბიექტი განცალკევებულად უნდა შევისწავლოთ. ლიმფატიკოსების ღრუბლისებურ ორგანიზმებსა და ზოგიერთი ადამიანის რკინისებურ კუნთებს შორის მთელი უფსკრულია; დიდ შეცდომებს ჩავიდენთ, თუ ყველა მათ ერთნაირი მკურნალობის სისტემით მივუდექით. ამ შემთხვევაშიც მე ზნეობრივ წამლობას გირჩევდით: შინაგანი არსების ღრმა შესწავლას. ვეძიოთ სნეულების მიზეზი სულის წიაღში და არა სხეულის შიგნეულობაში! მკურნალი შთაგონებული არსებაა,

განსაკუთრებული გენიით აღჭურვილი. მისთვის ღმერთს მაცოცხლებელი ძალის ამოკითხვის ნიჭი მიუმადლებია, როგორც წინასწარმეტყველს მომავლის დანახვის ძალას, პოეტს ბუნების გადმოცემის ნიჭს, მუსიკოსს იმ ჰარმონიათა სფეროს გრძნობას აძლევს, რომელიც შეიძლება სხვა ქვეყანაშია, ზემოთ!..

_ მუდამ თავის აბსოლუტისტურ, მონარქისტულ და სარწმუნოებრივ მედიცინას გვთავაზობს! _ ჩაილაპარაკა ბრისემ ბუზღუნით...

_ ბატონებო, _ თქვა მოგრედიმ, _ ნუ დავივიწყებთ ავადმყოფს...

_ აი, რა ყოფილა მეცნიერება! _ წამოიძახა სევდიანად რაფაელმა: ჩემი განკურნება ქანაობს სამონაზნო კრიალოსანსა და წურბელას, დიუპუიტრენის შაშარსა და თავად ჰოჰენლოეს ლოცვას შორის! ფაქტისა და სიტყვის, მატერიისა და სულის საზღვარზე მოგრედი დგას თავისი ეჭვებით. მე ყველგან ადამიანთა ჰო და არა მდევნიდა! მუდამ რაბლეს კარიმარი, კარიმარა. მე სულიერად დავაადებული ვარ: კარიმარი! ან ფიზიკურად დაავადებული: კარიმარა. მაგრამ რა მიწერია _ სიცოცხლე თუ სიკვდილი? ეს არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, პლანშეტი უფრო გულწრფელი იყო: არ ვიცი, მეუბნებოდა.

ამ დროს რაფაელს მოგრედის სიტყვები მოესმა:

_ ავადმყოფი აბეზარი იდეითაა შეპყრობილი. ძლიერ კარგი, თანახმა ვარ! მაგრამ მას ორასი ათასი ლივრის შეომსავალი აქვს: ასეთი ავადმყოფები იშვიათია, და ჩვენ ყოველ შემთხვევაში მას რჩევა უნდა მივცეთ. რაც შეეხება მისი ტვინისა და სტომქის ურთიერთობას, ჩვენ ამას მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გამოვარკვევთ. მაშ, დასკვნა გავაკეთოთ. იგი ავადაა, ეს ფაქტი უცილობელია. მას რაიმე წამლობა სჭირია. თავი დავანებოთ დოქტრინებს. წურბელები დავაყაროთ გაღიზიანებულ შიგნეულობის და ნერვიულობის დასამშვიდებლად, შემდეგ წყლებზე გავამგზავროთ. ამრიგად, ჩვენ ორივე სისტემის მიხედვით ვიმოქმედებთ. ხოლო თუ მისი ფილტვებია დასნეულებული, მისი გადრჩენა არ შეგვიძლია, ამრიგად...

რაფაელი საჩქაროდ ტალანიდან გავიდა და თავის სავარძელში ჩაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთხივე ექიმი გამოვიდა კაბინეტიდან. ბინაშონმა სიტყვა აიღო და თქვა:

_ ამ ბატონებმა ერთხმად აღიარეს წურბელების დაყრის და ფიზიკური და სულიერი წამლობის აუცილობლობა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დიეტა, რათა თქვენი ორგანიზის გაღიზიანება დამშვიდდეს...

ბროსემ თავი დაიქნია დასტურის ნიშნად.

_ შემდეგ საჭიროა ჰიგიენური რეჟიმი, რათა თქვენი სულიერი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამიტომ ჩვენ ერთხმად გირჩევთ ექსის წყლებზე წახვიდეთ სავოიაში ან მონდორის წყლებზე _ ოვერნში.

აქ უკვე დოქტორმა კამერიტუსმა დაიქნია თავი.

_ ამ ბატონებმა, _ განაგრძნო ბიანშონმა, _ ცოტაოდენი ცვლილებანი აღმოაჩინეს სასუნთქ ორგანოებში და ჩემი წინანდელი წამლობის სარგებლობა სცნეს. ისინი ფიქრობენ, რომ თქვენი განკურნება ადვილია და ამ სხვადასხვა საშუალების გონიერ გამოყენებაზეა დამოკიდებული...

_ «და აი, რატომ დამუნჯდა თქვენი ქალიშვილი», _ სიტყვა გააწყვეტინა ღიმილით რაფაელმა, ბიანშონი თავის კაბინეტში შეიყვანა და ამ უსარგებლო კონსილიუმის ჰონორარი გადასცა.

_ ისინი თანმიმდევარნი არიან, _ უპასუხა ახალგაზრდა ექიმმა. _ კამერისტუსი გრძნობს, ბრისე იკვლევს, მოგრედი ყოყმანობს. ადამიანს ხომ სულიც აქვს, სხეულიც და გონებაც. ერთ-ერთი ეს პირველადი მიზეზი ჩვენზე მეტ-ნაკლები სიძლიერით მოქმედებს და ადამიანური მეცნიერება ყოველთვის ადამიანზე იქნება დამოკიდებული. მერწმუნეთ, რაფაელ, ჩვენ ავადმყოფს კი არ ვკურნავთ, არმედ ხელს ვუწყობთ განიკურნოს. კამერისტუსის და ბრისეს მეთოდებს შორის მოლოდინის მედიცინა არსებობს, მაგრამ რათა ის წარმატებით გამოვიყენოთ, ათი წლის განმავლობაში უნდა შევისწავლოთ ავადმყოფი. როგორც ყოველი მეცნიერების, ისე მედიცინის საფუძველსაც უარყოფა წარმოადგენს. ეცადე, გონივრულად იცხოვრო, სავოიაში გაემგზავრე; ყველას სჯობია, ბუნებას ვენდოთ.

* * *

გავიდა ერთი თვე. ექსის წყლების მოაგარაკეებს ზაფხულის მშვენიერ საღამოს კლუბის დარბაზებში მოეყარათ თავი სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ. რაფაელი ფანჯარასთან იდგა, ზურგი შექცეული ჰქონდა საზოგადოებისადმი. იგი წასული იყო იმ მექანიკურ ოცნებაში, რომლის დროს ჩვენი აზრები იბადებიან, ერთმანეთში იხლართებიან და ქრებიან, ისე რომ გარკვეულ ფორმებს არ ღებულობენ, თითქო მსუბუქი, ოდნავ შეფერადებული ღრუბლები იყვნენ. მაშინ სევდა ტკბილია, სიხარული ნისლოვანია, ხოლო სული თვლემს. ვალენტენი სულით და გულით დანებებოდა ამ გრძნობად ცხოვრებას, იგი თითქო ბანაობდა საღამოს ნელ-თბილ ატმოსფეროში, ტკბებოდა მთების სუფთა და

სურნელოვანი ჰაერით და ბედნიერი იყო, რომ არც რაიმე ტკივილს გრძნობდა და თავისი მრისხანე შაგრენის ტყავიც მოთვნიერებული ჰყავდა. როცა მთის მწვერვალზე ჩამავალი მზის წითელი სხივები ჩაკვდა და საგრძნობლად აგრილდა, რაფაელი წამოდგა და ფანჯარა მიხურა.

_ ბატონო, _ მიმართა მას ერთმა ხნიერმა დედაკაცმა, _ კეთილინებეთ და ფანჯარას ნუ დახურავთ. ჩვენ სული გვეხუთება...

ეს მკვეთრი სიტყვები ისარივით მოხვდა რაფაელის გულს. ისინი ჰგავდნენ გაუფრთხილებელ ფრაზას, წამოსროლილს ადამიანის მიერ, რომლის მეგობრობა ჩვენ გვწამს და რომელიც ტკბილ ილუზიას გვისპობს ეგოიზმის უფსკრულის გამომჟღავნებით. მარკიზმა ვალენტენმა უგრძნობი დიპლომატივით ცივად შეხედა მოხუც ქალს, მსახურს დაუძახა და უთხრა:

_ გააღეთ ეს ფანჯარა.

ამ სიტყვებმა გაოცება გამოიწვია ყველა დამსწრის სახეზე. საზოგადოებაში ჩურჩული გაისმა, ყველამ ავადმყოფს შეხედა, თითქო მას რაღაც დიდი უზრდელობა ჩაედინოს. რაფაელიც, რომელიც სავსებით განთავისუფლებული არ იყო ჭაბუკობის დროის მორცხვობისაგან, პირველად შეკრთა, მაგრამ ჩქარა ძალ-ღონე მოიკრიბა და თავის თავს ანგარიში მოსთხოვა ამ ახირებული სცენისთვის. მას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, როცა გაახსენდა, რომ მუდამ პირქუში და გონებაგაფანტული იყო ამ მხიარულ საზოგადოებაში. იგი მუდამ თავის ბედზე, თავის ავადმყოფობაზე ფიქრობდა, ყურს არ უგდებდა ჩვეულებრივ საუბარს, გაურბოდა იმ წარმავალ მეგობრობას, რომელიც მოაგარაკეებს შორის მყარდება, სხვებისთვის თავს ნაკლებ იწუხებდა. ერთი სიტყვით, იმ კლდის ნაპრალებს ჰგავდა, რომელიც ერთნაირად უგრძნობი არიან ზღვის ტალღების ალერსისა და გულისწყრომისთვის. შემდეგ რაღაც ინტუიციის ძალით მან ბევრი რამ წაიკითხა თითოეულ სულში: ერთი მოხუცის ყვითელი თავის და გესლიანი ღიმილის დანახვაზე მას გაახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინათ მას ქაღალდის ფული მოუგო და წინადადება არ მისცა ბედი ხელახლა სცადეთო; მის გვერდით თვალი მოჰკრა ლამაზ ქალს, რომლის კეკლუცობას იგი ცივად შეხვდა. მან უნებურად ბევრ წვრილმან თავმოყვარეობას მიაყენა შეურაცხყოფა. თვით ისინიც კი, რომელნიც მას ოდესმე სახლში დაეპატიჟა ან რომელთათვის თავისი ცხენები შეეთავაზებინა, გაღიზიანებულნი იყვნენ მისი სიმდიდრით. ბევრი მათგანი მას არისტოკრატიულ გულზვიადობას აყვედრიდა. ამრიგად, მან თითქო ყველა დაფარული აზრი ამოიკითხა. მას შეეშინდა საზოგადოებისა. უცებ

თითქო რაღაც შავი ფარდა ჩამოეშვა და ეს ჭეშმარიტების ბნელი ფანტასმაგორია დაფარა, მაგრამ მან საშინელი მარტოობა იგრძნო. იმწუთშივე ძლიერი ხველება აუტყდა. იმავე დროს მტრული შეძახილი და ბუზღუნი მოესმა. ეს საზოგადოება აღარ ცდილობდა ნიღაბი აეფარებინა მის წინაშე, შეიძლება იმიტომ, რომ მას იგი გამოცნობილი ჰყავდა.

_ მისი ავადმყოფობა გადამდებია...

_ კლუბის თავმჯდომარეს მისთვის დარბაზში შემოსვლა უნდა აეკრძალა.

_ ხეირიან საზოგადოებაში აკრძალულია ასე ხველება!

_ როცა ადამიანი ასე დაავადებულია, წყლებზე როდი უნდა მოვიდეს.

_ მე კი აქედან გამაქცევს და სხვისი არ ვიცი!

იგი ადგა, რათა თავი დაეღწია ლანძღვა-გინებისთვის და დარბაზში გაიარ-გამოიარა. მას უნდოდა მფარველი ეპოვა და ერთ ახალგაზრდა ქალს მიუახლოვდა იმ განზრახვით, რომ მისთვის კომპლიმენტი ეთქვა, მაგრამ ვაჟის მიახლოებისთანავე ქალმა პირი იბრუნა და მოცეკვავეებისკენ დაიწყო ცქერა. მას აღარც სურვილი ჰქონდა და არც გამბედაობა შესწევდა საუბარი დაეწყო. დარბაზიდან გავიდა, ბილიარდის სათამაშო ოთახში შევიდა. იქ არავინ არ დალაპარაკებია, არავის სალამი არ მიუცია, არავის მეგობრული თვალით არ შეუხედავს. მან იგრძნო, რომ ეს პატარა სამყარო, მაღალ საზოგადოებად წოდებული, შეიძლება შეუგნებლად იმ დიდ ულმობელ ზნეობრივ კანონს ექვემდებარებოდა, რომელმაც სრულქმნილი განხორციელება იპოვა თეოდორაში. ცხადი იყო, აქ მეტ თანაგრძნობას ვერ აღმოაჩენდა თავისი ავადმოყოფობისადმი, ვიდრე იქ თავის გულსიტკივილებისადმი აღმოაჩინა. მაღალი საზოგადოება თავისი წიაღიდან სდევნის უბედურ ადამიანებს, როგორც ჯანსაღი ადამიანი ცდილობს თავისი სხეულიდან მომაკვდინებელი შხამი განდევნოს. ახალგაზრდა რომაელების მსგავსად, ეს საზოგადოება არ იბრალებს დამარცხებულ გლადიატორებს. სიკვდილი სუსტებს! აი, რას გაიძახის ეს თავისუფალი რაინდული ორდენი, რომელიც ყველა ეროვნებაში ჩამოყალიბდა დედამიწის ზურგზე, რათა სიმდიდრისა და წარმოების მიერ გულგაქვავებული ადამიანები აემაღლებინა. თავი მოუყარეთ პაწია ბავშვებს სასწავლებელში, ესაა ჩვენი საზოგადოების შემცირებული სურათი, რომელიც მით უფრო ჭეშმარიტია, რომ გულუბრყვილო და გულწრფელ არსებებს გამოხატავს. აქ ყოველთვის შეხვდებით ბეჩავ მონებს, ტანჯვისა და მწუხარების შვილებს, რომელნიც ზიზღსა და სიბრალულს შორის არიან მოთავსებულნი, მაგრამ სახარება მათ ზეციურ ბედნიერებას უქადის. ვინც სულით ან ხორცით იტანჯება, ვისაც ფული ან ძალაუფლება აკლია, იგი გარეწარია. დაე, თავის

უდაბნოში დარჩეს! თუ საზღვრები გადალახა, ყველგან ზამთარს იპოვის: ცივ შეხედვას, ცივ სიტყვებს, ცივ გულს. კიდევ კარგი, თუ მან შეურაცხყოფა არ მოიმკო იქ, სადაც ნუგეშისცემა უნდა აღორძინებულიყო. _ მომაკვდავნო, დარჩით თქვენს ცარიელ საწოლებზე! მოხუცებო, მარტოდმარტონი მიუჯექით თქვენს გაციებულ კერას! ღარიბო, უმზითვო ქალიშვილებო, გაიყინეთ და დაიწვით თქვენს განმარტოებულ სხვენზე! თუ საზოგადოება უბედურებას ითმენს, განა ეს იმისთვის არ ხდება, რომ ის თავის მიზნებისთვის გამოიყენოს, მასში სარგებლობა ნახოს, მას კურტანი აჰკიდოს, აღვირი ამოსდოს, უნაგირი დაადგას, ზედ შეჯდეს საკუთარი სიამოვნებისათვის? მგრძნობიარე მოახლე ქალებო, მხიარული სახის გამომეტყველება მიიღეთ! აიტანეთ თქვენი ეგრეთ წოდებული კეთილისმყოფელი მანდილოსნის ახირება. თქვენ, მისი ინგლისური ძაღლების მეტოქეებო, გაართეთ თქვენი ქალბატონი, გამოიცანით მისი სურვილები, შემდეგ დადუმდით! ხოლო შენ, ულივრეო ლაქიების მეფევ, ურცხვო პარაზიტო, შენ დასტოვე შენი ადამიანობა: საჭმელი მოინელე ისე, როგორც შენი მასპინძელი ინელებს; იტირე მისი ცრემლებით და იცინე მისი სიცილით, ხოლო მისი ეპიგრამები სასიამოვნოდ მიიჩნიე; ბოლოს, თუ მისი გაკიცხვა გინდა, მის დამხობას დაუცადე. ასე აფასებს საზოგადოება უბედურებას: ის მას ჰკლავს ან აძევებს, ამდაბლებს ან ასაჭურისებს.

ამ აზრებმა პოეტური შთაგონების სისწრაფით ამოხეთქეს რაფაელის გულიდან. მან გარშემო მიმოიხედა და ის შემზარავი სიცივე იგრძნო, რომელსაც საზოგადოება ავრცელებს, რათა განსაცდელი აიცილოს. და რომელიც უფრო ჩქარა ყინავს სულს, ვიდრე დეკემბრის ქარი _ სხეულს.

გულხედაკრეფილი რაფაელი კედელს მიეყრდნო და სევდიან ფიქრებში ჩაეფლო. მას აკვირვებდა, რა ცოტა ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს ეს საშინელი წესრიგი. მართლაც, რა ხდება? გართობა მოკლებულია სიამოვნებას, მხიარულება _ სიხარულს, დღესასწაული _ შექცევას, ავხორცობა _ ვნებათაღელვას; ყველგან კერაზე შეშა ან ნაცარი ყრია, მაგრამ ცეცხლის ალი ჩამქრალია. როცა თავი ასწია, დაინახა, რომ მოთამაშეები გაქცეულიყვნენ.

_ საკმაოა ჩემი ძლიერების ამბავი გავუმჟღავნო და ყველანი ჩემს ხველას გააღმერთებენ, _ ჩაილაპარაკა მან.

ამ აზრის თავში გავლებისთანავე მან ტანთ ზიზღი მოისხა წამოსასხამივით, რათა ქვეყნიერებას დამალვოდა.

მეორე დღეს აგარაკის ექიმმა ინახულა და მზრუნველი სახით ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა. რაფაელი ააღელვა და ასიამოვნა მეგობრული სიტყვების გაგონებამ. მას

მოეჩვენა, რომ ექიმის სახეზე გულკეთილობა იყო აღბეჭდილი. მისი ქერა პარიკის კულულები კაცთმოყვარეობას გამოხატავდნენ, მთელი მისი გარეგნობა მოციქულებრივ ხასიათს მოწმობდა, ქრისტიანულ თავგანწირულებას ავადმყოფის გულისთვის.

_ ბატონო მარკიზო, _ თქვა მან კარგა ხნის საუბრის შემდეგ, _ მე მინდა თქვენი კაეშანი გავფანტო. თქვენს აგებულებას უკვე ისე ვიცნობ, რომ შემიძლია დაჯერებით ვთქვა, პარიზის ექიმები, რომელთა დიდი ნიჭი ჩემთვის ყოველ ეჭვს გარეშეა, შეცდნენ თქვენი ავადმყოფობის ბუნების შესახებ. თუ რაიმე შემთხვევამ ხელი არ შეგიშალათ, მათუსალასავით დიდხანს იცოცხლებთ. თქვენი ფილტვები ისეთივე ძლიერია, როგორც მჭედლის საბერველი, ხოლო თქვენი კუჭი სირაქლემას კუჭს არ ჩამოუვარდება. მაგრამ თუ მთის ჰავაში დარჩით, საფრთხე მოგელით, რომ სწრაფი და პირდაპირი გზით გაემგზავრებით საიქიოს. ბატონ მარკიზს ამას ორიოდე სიტყვით ავუხსნი. ქიმიამ დაამტკიცა, რომ ადამიანის სუნთქვა ნამდვილ წვას წარმოაგენს, ამ წვის მეტ-ნაკლები სიმძაფრე დამოკიდებულია მგზნებარე მასალაზე, რომელიც ორგანიზმში გროვდება ინდივიდუმის თვისებათა მიხედვით. თქვენ საწვავი მასალა უხვად გაქვთ. თქვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმეტად გამჟავბადებული ხართ, როგორც ფიცხელი აღნაგობის ადამიანი, მოწოდებული დიდ ვნებათაღელვისათვის. როცა ამ ცხოველ და სუფთა ჰავას ისუნთქავთ, რომელიც რბილძარღვიანი ადამიანების სიცოცხლეს აღვივებს, თქვენ ხელს უწყობთ ისედაც აჩქარებულ წვას. მაშასადამე, თქვენი არსებობის ძირითადი პირობა ბოსლის და დაბლობის მძიმე ჰავაა. დიახ, გენიოსობით ანთებული ადამიანის მაცოცხლებელი ჰავა გერმანიის ნოყიერ საძოვრებზე, ბადენ-ბადენში, ტეპლიცში მოიპოვება. თუ ინგლისი არ გაშინებთ, მისი ბურუსიანი ჰაერი დააცხრობს თქვენს გავარვარებულ სულს. ხოლო ჩვენი აგარაკები, რომელნიც ათასი ფუტით მაღლა არიან ხმელთაშუა ზღვის ზედაპირიდან, თქვენ დაღუპვას გიქადიან. ასეთია ჩემი შეხედულება. მე მას ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ გიმხელთ, იმიტომ, რომ თუ თქვენ იგი მიიღეთ, სამწუხაროდ, იძულებული გავხდებით თქვენ გაგშორდეთ.

თუ ეს უკანასკნელი სიტყვა არა, რაფაელი მოტყუვდებოდა ენათაფლიანი ექიმის ყალბი გულკეთილობით. მაგრამ მას ისეთი ღრმა დაკვირვების ნიჭი ჰქონდა, რომ აქცენტსა, მიმოხვრასა და გამოხედვაში, რომელიც თან სდევდა ამ ოდნავ დამცინავ წინადადებას, ადვილად აღმოაჩინა დავალება, რომელიც ამ პატარა კაცისთვის, ალბათ, მხიარულ ავადმყოფებს მიეცათ. ეს სახეგაღაჟღაჟებული ცუღლუტები, ეს მოწყენილი დედაბრები, ეს მომთაბარე ინგლისელები, ეს ატეხილი დედაკაცები, რომელნიც თავიანთ

ქმრებს გამოსხლტომოდნენ, რათა აგარაკებზე ენავარდათ თავიანთ საყვარლებთან ერთად, გაძევებას უპირებდნენ საბრალო მომაკვდავს, დაუძლურებულს, დაკნინებულ ადამიანს, რომელსაც ძალა აღარ შესწევდა წინააღმდეგობის გასაწევად! მაგრამ რაფაელმა გამოწვევა მიიღო, რადგან დარწმუნებული იყო, ეს ინტრიგა გამართობსო.

_ რადგან ჩემი გამგზავრება ასე დაგაღონებთ, _ უთხრა მან ექიმს, _ აქ დავრჩები, მაგრამ თქვენს კეთილ რჩევასაც გამოვიყენებ: ხვალიდან სახლის აშენებას შევუდგები და იქ ჰავის პირობებს შევაცვილებინებ თქვენი განკარგულების მიხედვით.

ექიმმა სწორად გაიგო ცბიერი ღიმილი, რომელიც ტუჩებზე უკრთოდა რაფაელს, და ისე გამოემშვიდობა, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა საპასუხოდ.

* * *

ბურჟეს ტბა თითქო ღორღებიანი მთების ფართო თასია, იგი შვიდასი თუ რვაასი ფუტის სიმაღლეზე ლაპლაპებს. მისი წყალი ისეთი კამკამა ლურჯია, როგორიც სხვაგან არსად არ არის დედამიწის ზურგზე. «კატის კბილის» მთის მწვერვალებიდან ეს ტბა დაკარგული ფირუზივით მოჩანს. ამ მშვენიერი წყლის წვეთის კონტური ცხრა ლიეს უდრის. ალაგ-ალაგ მისი სიღრმე ხუთას წყრთას აღწევს. რა ბედნიერებაა იქ ყოფნა, ნავით ცურაობა, როცა ცა მოწმენდილია და არაფერი გესმის გარდა ნიჩბების ხმაურობისა, არაფერს ხედავ, გარდა ღრუბლით შეპენტილი მთების და თოვლით შევერცხლილი საფრანგეთის მორიენის მწვერვალებისა. რა ბედნიერებაა იქ ხეტიალი, გვიმრის ან ხავსის მწვანე ხავერდით დაფარული ნაპრალებიდან მომღიმარე გორაკებზე გადასვლა. ერთი მხრივ უდაბნო იშლება, მეორე მხრით _ წალკოტი, თითქო ღარიბი კაცი სტუმრად იყოს მდიდრის სუფრაზე; ეს ჰარმონიები და ეს წინააღმდეგობები ისეთ სანახაობას ქმნიან, სადაც ყველაფერი დიდია, სადაც ყველაფერი პატარაა. მთებში იცვლება ოპტიკის და პერსპექტივის პირობები: ასი ფუტის სიმაღლის ფიჭვი ლერწმად მოგეჩვენებათ, ფართო ხეობებს ვიწრო ბილიკებად მიიჩნევთ. ეს ტბა ერთადერთი ადგილია, სადაც გული გულისათვის იხსნება. აქ ადამიანი ოცნებობს და შეყვარებულია. სხვაგან ვერსად ვერ შეხვდებით ასეთ სრულ თანხმობას წყალს, ზეცას, მთებსა და მწვანე მიწას შორის. აქ მალამოს იპოვით ყოველი ჭრილობის წინააღმდეგ. აქ ყოველი ტკივილი ცხრება, აქ ყოველი სიყვარული სერიოზული და საზრიანი ხდება, აქ ყოველი ვნება სიღრმესა და სიფაქიზეს იძენს. კოცნა აქ როგორღაც მაღლდება. მაგრამ ეს, უწინარეს ყოვლისა,

მოგონებათა ტბაა. წარსულის გახსენებას ხელს უწყობენ მისი ტალღები, ეს დიდი სარკე, საიდანაც ყოველივე გამორკთის.

რაფაელს მხოლოდ ამ მშვენიერ ბუნებაში შეეძლო თავისი ტვირთის ატანა. მას შეეძლო აქ უზრუნველი მეოცნებე ყოფილიყო, განძარცული ყოველი სურვილისაგან. ექიმის გასტუმრებისთანავე იგი ნავით სასეირნოდ წავიდა და იმ ლამაზი გორაკის ძირში გადმოჯდა, სადაც წმინდა ინოკენტის სოფელია გაშენებული. ამ წინწაწვდილი კონცხიდან ადამიანის თვალი აწყდება ბიუჟეს მთებს, რომლის ძირში რონა მიედინება. მაგრამ რაფაელს უყვარდა მეორე ნაპირას ცქერა, სადაც აღმართული იყო ჰოტკომბის მელანქოლიური მონასტერი, ეს საძვალე სარდინიის მეფეებისა, რომელნიც მთების წინაშე განრთხმულიყვნენ, როგორც მოგზაურობის მიზანს მიღწეული პილიგრიმები.

ბუნების დუმილი დაარღვია ნიჩბების თანაბრმა და შეწყობილმა რხევამ, რომელიც მონოტონურად გაისმოდა, თითქო ბერების მიერ ფსალმუნის გალობა ყოფილიყოს. რაფაელი გააკვირვა მოსეირნეების შეხვედრამ ტბის ამ ნაწილში, რომელიც, ჩვეულებრივ, უკაცური იყო. მან დაინახა, რომ უკან ნავში ის ხნიერი დედაკაცი იჯდა, რომელმაც მას ასე ტლანქად მიმართა წინა დღით. როცა ნავმა წინ გაუარა, მას მხოლოდ ამ დედაკაცის თანამგზავრი ქალი მიესალმა, რომელსაც იგი თითქო პირველად ხედავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მას უკვე დავიწყებული ჰყავდა ეს მოსეირნეები, რომელნიც ჩქარა ამოეფარნენ კონცხს, როცა უცებ კაბის შრიალი და მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოესმა. უკან მოიხედა და დედაბრის თანამგზავრი ქალი დაინახა; შემკრთალ სახეზე შეამჩნია, რომ უცნობს მასთან ლაპარაკი სურდა და მის შესაგებებლად წამოდგა. ეს იყო დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ქალი, მაღალი და გამხდარი, მშრალი და ცივი, გაუბედავი და მოუქნელი.

_ ბატონო, თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია, საერთო დარბაზში ნუღარ შეხვალთ! _ უთხრა მან რაფაელს და რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, თითქო შეეშინდა, სახელი არ გამიტყდესო.

_ ქალბატონო, _ უპასუხა რაფაელმა ღიმილით, _ ბარემ ამიხსენით საქმის ვითარება, რაკი აქ მობრძანება ინებეთ...

_ აჰ, თუ ისეთი მნიშვნელოვანი მოტივი არ მქონოდა, არასოდეს არ გავბედავდი აქ მოსვლას, იმიტომ რომ თუ გრაფის მეუღლემ გამიგო, რომ გაგაფრთხილეთ...

_ ვინ ეტყვის, ქალბატონო? _ წამოიძახა რაფაელმა.

_ ესეც მართალია, _ უპასუხა ქალმა და ისეთი თვალებით შეხედა, თითქო მზეზე გამოშვებული ჭოტი ყოფილიყოს, _ მაგრამ თავს გაუფრთხილდით. რამდენიმე ახალგაზრდამ, რომელთაც თქვენი აქედან გაძევება სურთ, გადაწყვიტეს გაგაღიზიანოთ და დულეში გაგიწვიოთ.

შორიდან მოხუცი დედაკაცის ხმა მოისმა.

_ ქალბატონო, დიდად გმადლობთ, _ თქვა რაფაელმა.

მისმა მფარველმა უკვე თავს უშველა, რადგან ხელახლა თავისი ქალბატონის ხმა გაიგონა კლდეებში.

_ მე რომ კომპანიონ-ქალს შევუყვარდე, ამაში არაფერია გასაკვირველი. მე ოცდაშვიდი წლის ვარ, ტიტული და ორასი ათასი ლივრი შემოსავალი მაქვს! მაგრამ გასაოცარია, რომ მას ჩემს გვერდით ნავით ასეირნებს მისი ქალბატონი, რომელიც, ალბათ, კატებს ეჯიბრება წყლის შიშში. ეს ორი ქალი სავოიაში მოსულან, რათა თხუნელებივით იძინონ და თორმეტ საათზე იკითხონ, გათენდა თუ არაო. დღეს კი რვა საათამდე ამდგარან და ალალბედზე ჩემს საძებნელად წამოსულან!

რაფაელს არ სურდა არც ვისმესთვის თავი გაესულელებინა და არც მშიშარა კაცის სახელი შეეძინა და ამიტომ იმავე საღამოს შევიდა სასტუმრო დარბაზში. იგი მარმარილოს ბუხარს მიეყრდნო და შემომსვლელ-გამსვლელთა სახეებს დააკვირდა. როგორც უშიშარი დოგი იგი ბრძოლას უცდიდა, მაგრამ უსარგებლოდ დაღრენა არ უნდოდა. საზოგადოების დაშლის დრო ახლოვდებოდა, როცა იგი სათამაშო დარბაზებში შევიდა და რამდენჯერმე მივიდა საბილიარდოს კარებთან, სადაც ყმაწვილი კაცები თამაშობდნენ. ორიოდე წუთის შემდეგ თავისი სახელი მოესმა. თუმცა მოთამაშეები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ რაფაელმა შეატყო, რომ საუბარი მას ეხებოდა. ბოლოს მან ზოგიერთი ფრაზის ნაწყვეტი დაიჭირა:

_ შენ?

_ ჰო, მე.

_ არ მჯერა!

_ სანაძლეო დავდოთ.

_ ოჰ, იგი წავა.

იმ წუთში, როცა სანაძლეოთი დაინტერესებულმა რაფაელმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რათა საუბარი უკეთ გაეგონა, მას მიუახლოვდა მაღალი ტანის, ღონიერი

ყმაწვილი, რომელსაც ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ თავხედურად გამოიყურებოდა, როგორც ეს რაიმე მატერიალურ ძალაზე დაყრდნობილ ადამიანებს სჩვევიათ.

_ ბატონო, _ მიმართა მან რაფაელს წყნარი ტონით, _ მე ვიკისრე შეგატყობინოთ ერთი ამბავი, რომელიც, როგორც ჩანს, თქვენთვის უცნობია: თქვენი სახე და თქვენი პიროვნება აქ არავის არ მოწონს, ხოლო განსაკუთრებით მე არ მომწონს... თქვენ იმდენად ზრდილობიანი ბრძანდებით, რომ ანგარიშს გაუწევთ საერთო სურვილს; გთხოვთ, ნუღარ მობრძანდებით აგარაკის საერთო დარბაზში.

_ ბატონო, იმპერიის დროს ასეთი ხუმრობა გარნიზონებში იყო მიღებული, იგი დღეს ცუდ ტონად ითვლება, _ უპასუხა ცივად რაფაელმა.

_ მე როდი გეხუმრებით, _ უპასუხა უცნობმა ახალგაზრდამ. _ მე თქვენ გიმეორებთ: თქვენი ჯანმრთელობა დიდად დაზიანდება თქვენი აქ ყოფნით. სიცხე, სინათლე, ამ დარბაზების ჰაერი, საზოგადოება მავნებელია თქვენთვის.

_ სად შეგისწავლიათ მკურნალობა? _ ჰკითხა რაფაელმა.

_ ბაკალავრის მოწმობა ლეპაჟის ტირში მივიღე, ქალაქ პარიზში, ხოლო დოქტორის ხარისხი სერიზიემ მომცა, დაშნების მეფემ.

_ ისღა დაგრჩენიათ, რომ ზრდილობის კოდექსი შეისწავლოთ და დამთავრებული ჯენტლმენი იქნებით, _ უპასუხა ვალენტენმა.

ბილიარდის და ქაღალდის მოთამაშეები გარს შემოეხვივნენ მოჩხუბრებს. რაფაელი მარტო იყო ამ მტრულ გარემოცვაში და ცდილობდა თავი გულგრილად დაეჭირა, მაგრამ როცა მისმა მოწინააღმდეგემ გესლიანი შენიშვნა გააკეთა, სადაც არაჩვეულებრივად მკვეთრ და გონებამახვილ ფორმაში შეურაცხყოფა იყო გამოთქმული, მან სერიოზულად უპაუსხა:

_ დღეს, ბატონო ჩემო, მიღებული არაა სილის გარტყმა, მაგრამ მე არ ვიცი რა სიტყვით მოვნათლო ესოდენ უგვანო და მდაბალი საქციელი, როგორიც თქვენ ჩაიდინეთ.

_ კმარა, კმარა! ხვალ გასწორდებით, _ თქვეს ახალგაზრდებმა, რომელნიც მოჩხუბართ შორის ჩადგნენ გასაშველებლად.

რაფაელი დარბაზიდან გავიდა, იგი აღიარებულ იქნა შეურაცხმყოფელად და დათანხმდა ბრძოლის პაემანზე მისულიყო ბორდოს კოშკთან, პატარა ფერდობზე, საიდანაც ახლად გამოყვანილი გზით გამარჯვებული ადვილად მიაღწევდა ლიონს.

მეორე დღეს დილის რვა საათზე რაფაელის მოწინააღმდეგე ორ სეკუნდანტსა და დასტაქართან ერთად პირველი მოვიდა დანიშნულ ადგილას.

_ აქ ძალიან კარგია; მშვენიერი დარია დუელისთვის! _ მხიარულად წამოიძახა მან და უდარდელად გადახედა ცის ლაჟვარდოვან გუმბათს, ტბასა და კლდეებს. _ თუ მხარში მოვარტყი, ერთი თვით მაინც ჩავაწვენ ლოგინში, არა ექიმო?

_ უკიდურეს შემთხვევაში, _ უპასუხა დასტაქარმა, _ მაგრამ თავი დაანებეთ ამ ტირიფის ტოტის ცოდვილობას, თორემ ხელი დაგეღლებათ და ტყვიას სურვილისამებრ ვეღარ მიმართავთ. შეიძლება ეს კაცი კი არ დასჭრათ, არამედ შემოგაკვდეთ კიდეც.

მოისმა ეტლის ხმა. ჩქარა გამოჩნდა ოთხცხენიანი საჯდომი, რომელსაც ორი მეეტლე მართავდა.

_ რა ახირებაა, _ წამოიძახა ვალენტენის მოწინააღმდეგემ. _ იგ ფოსტით მოდის სასიკვდილოდ.

ბებერი იონათანი ეტლიდან პირველი გადმოვიდა და რაფაელს ხელი მისცა; იგი მას აკავებდა თავისი სუსტი ხელებით, ისეთი მზრუნველობა ეტყობოდა, როგორსაც შეყვარებული ვაჟი იჩენს სატრფოსადმი. ორივენი მიიმალნენ ბილიკზე, რომელიც შარაგზს ჰყოვდა ბრძოლისათვის დანიშნულ ადგილიდან, და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ: ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ. ამ თავისებური სცენის ოთხივე მაყურებელი ააღელვა ვალენტენის დანახვამ. იგი ფერწასული და გამხდარი იყო, ფილენჯიანივით მოდიოდა, მდუმარე და თავდახრილი.

_ ბატონო, მე სრულაიდ არ მიძინია! _ უთხრა რაფაელმა თავის მოწინააღმდეგეს.

ამ ყინულივით ცივმა სიტყვებმა და შემაძრწუნებელმა გამოხედვამ აათრთოლა ჩხუბის წამომწყები, მან თავისი დანაშაული იგრძნო და შერცხვა. რაფაელის ხმა, მიმოხრა, მოძრაობა უცნაური იყო. მაგრამ იგი დადუმდა და მასთან ერთად ყველანი დადუმებულნი იყვნენ. შეშფოთებამ და ლოდინის გრძნობამ უკიდურეს სიმძაფრეს მიაღწია.

_ კიდევ დრო გაქვთ, რომ ოდნავ დამაკმაყოფილოთ, _ განაგრძო რაფაელმა, _ წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი გელით. თქვენ ამ წუთში თქვენი სიმარჯვის იმედი გაქვთ, უკან არ იხევთ, რადგან გგონიათ, რომ უპირატესობა თქვენს მხარეზეა. მოწყალეო ხელმწიფევ, მე სულგრძელობას ვიჩენ და გაფრთხილებთ, რომ უპირატესობა ჩემს მხარეზეა, მე საშინელი ძალა მაქვს. თქვენი სიმარჯვის გასაბათილებლად, თქვენი ხელის ასათრთოლებლად, თქვენი გულის ასაძგერებლად, თვით თქვენ მოსაკლავად მე არაფერი მჭირია, გარდა სურვილის გამოთქმისა. მაგრამ მე არ მინდა იძულებული გავხდე ჩემი ძალაუფლება გამოვიყენო, ეს მეტისმეტად ძვირად დამიჯდება, და მარტო თქვენ როდი მოკვდებით. თუ ბოდიშის მოხდაზე უარი თქვით, თქვენი ტყვია ამ ჩანჩქერის წყალში

ჩავარდება თქვენი სიმარჯვის მიუხედავად, ხოლო ჩემი _ გულს გაგიგმირავთ, თუნდაც სრულიად არ დაგიმიზნოთ.

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს რაფაელს თვალები მოწინააღმდეგის სახეზე ჰქონდა მინათებული, იგი წელში გამართული იყო, მისი გამომეტყველება უგრძნობი იყო, როგორც გაბოროტებული გიჟისა.

_ გააჩუმეთ, _ უთხრა ახალგაზრდამ თავის მოწმეებს, _ მისი ხმა შიგნეულობას მიღრღნის!

_ ბატონო, გაათავეთ... თქვენი მსეჯლობა უსარგებლოა, _ შესძახეს რაფაელს დასტაქარმა და სეკუნდანტებმა.

_ ბატონებო, მე ჩემს ვალდებულებას ვასრულებ. ხომ არაფერი განკარგულება აქვს გასაცემი ამ ყმაწვილს?

_ კმარა, კმარა!

რაფაელი უმოძრაოდ იდგა და თავის მტერს ჩაშტერებოდა, ეს უკანასკნელი თითქმის მოჯადოებული იყო, როგორც ჩიტი გველის წინაშე. იგი იძულებული იყო ამ მომაკვდინებელ შეხედვას დამორჩილებოდა, იგი ხან გაურბოდა და ხან ექვემდებარებოდა მის ძალას.

_ წყალი მომეცი, მწყურია... _ უთხრა მან თავის სეკუნდანტს.

_ ხომ არ გეშინია?

_ ჰო, _ უპასუხა მან. _ ამ კაცის შეხედვა მწვავს და მაჯადოებს.

_ ხომ არ გინდა ბოდიში მოიხადო?

_ უკვე დაგვიანებულია.

მოწინააღმდეგეები თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე დააყენეს ერთიმეორისაგან. ამ ცერემონიის პროგრამის მიხედვით თითოეულ მათგანს ორი-ორი დამბაჩა მისცეს, მათ ორჯერ უნდა გაესროლათ მოწმეების მიერ მიცემული ნიშნის შემდეგ.

_ რას შვრები? _ დაუყვირა მოწმემ რაფაელის მოწინაამდეგეს. _ შენ ტყვიას სდებ თოფისწამლის ჩაყრამდე!

_ მე მკვდარი ვარ! _ წაიბუტბუტა ყმაწვილმა. _ თქვენ მზის პირდაპირ დამაყენეთ...

_ მზე თქვენს უკანაა, _ უთხრა ვალენტენმა სერიოზული დღესასწაულებრივი ხმით და აუჩქარებლად დაიწყო თავისი დამბაჩის გატენა ისე, რომ არც მოცემულ ნიშნებს აქცევდა ყურადღებას, არც მოწინააღმდეგის მომზადებას. ამ უკანასკნელის ტყვია ტირიფის ტოტს მოხვდა და წყალში ჩავარდა. რაფაელის ალალბედზე გასროლილი ტყვია

კი გულში მოხვდა მის მოწინააღმდეგეს. მას ყურადღებაც არ მიუქცევია ყმაწვილის წაქცევისათვის, მაშინვე შაგრენის ტყავი ამოიღო, რათა დაენახა, რა დაუჯდა ადამიანის სიცოცხლე. თილისმა მუხის ფოთლის ოდენა გამხდარიყო.

საღამოს რაფაელმა ეტლი შეაბმევინა და ოვერნის გზას დაადგა, მონტდორის წყლებისაკენ. ამ მოგზაურობის დროს მისი სული ერთმა აზრმა გაანათა, როგორც ხანდახან მზის სხივი სქელი ღრუბლებიდან ბნელ ხეობას გაანათებს ხოლმე. მან გაიფიქრა, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რარიგ უსაზღვროც უნდა იყოს იგი, არ გვაძლევს მისი გამოყენების ცოდნას. სკიპტრა სათამაშოა ბალღისათვის, ნაჯახია რიშელიეს ხელში, ხოლო ნაპოლეონისათვის დედამიწის ასაწევ ოწინარს წარმოადგენს. ძალაუფლების მიღება უცვლელად გვტოვებს და მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანებს ადიდებს. რაფაელს ყველაფრის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ვერაფერი გააკეთა.

მონტდორის წყლებზე იგი ისეთივე საზოგადოებას შეხვდა, რომელიც გაფაციცებით გაურბოდა მას. უკანასკნელად განცდილმა ამბავმა მას უღრმესი ზიზღი შთააგონა საზოგადოებისადმი. ამიტომ მისი პირველი საზრუნავი იყო განმარტოებული ბუნაგი ეპოვა წყლების მიდამოებში. მან უძლეველი მოთხოვნილება იგრძნო დაახლოებოდა ბუნებას, ჭეშმარიტ გრძნობებს და იმ მცენარისებულ არსებობას, რომელსაც ასე ადვილად ვნებდებით გაშლილი მინდვრების წიაღში. მეორე დღესვე გაჭირვებით აცოცდა სანსის მწვერვალზე და ინახულა მონტდორის ზეგნები, ჰაეროვანი პეიზაჟები, უცნობი ტბები, სოფლური ქოხები. თითქმის ნახევარი ლიეს მანძილზე სოფლიდან, ამ მკაცრი და პირქუში მთების ჩარჩოში, რაფაელმა კოხტა და ბავშვივით მხიარული კუთხე აღმოაჩინა, სადაც ბუნება თითქო ცდილობდა თავისი განძი დაემალა. მან გადაწყვიტა აქ დასახლებულიყო. აქ ცხოვრება შეუშფოთებელი, ძალდაუტანებელი, ხეხილის ნაყოფის მსგავსი იქნებოდა.

პატარა ტბის მახლობლად რაფაელმა გრანიტის ქვით ნაშენი სახლი დაინახა. მის სახურავი სუროთი, ხავსით და ყვავილებით იყო დაფარული, რაიცა მის სიძველეს მოწმობდა. კარებთან ორ დიდ აყვავებულ პანტას შუა გრძელი სკამი იდგა. კედლები თითქმის არ ჩანდა ვაზის ფოთლებსა და ვარდის თუ იასამნის ყვავილების ქვეშ. ეტყობოდა, ბინადრები ყურადღებას არ აქცევდნენ ამ სოფლურ სამკაულს და ბუნებას ხელს არ უშლიდნენ, თავისი ქალწულებრივი და ცელქი სილაზათე გაემხილა. ჩირგვებზე გაფენილი საცვალი მზეზე შრებოდა. კატა საჩეჩელთან დამჯდარიყო, მის შორიახლოს ახლად გაკრიალებული ყვითელი კარდალი იდო კარტოფილის ნაფცქვენებში. სახლის მეორე მხარეზე რაფაელმა ძეძვის ღობე შეამჩნია, იგი, ალბათ, ქათმებისაგან იცავდა ბაღსა

და ბოსტანს. თითქო ქვეყანა აქ თავდებოდა. ეს სახლი ჩიტის ბუდეს ჰგავდა, კლდის ნაპრალზე მიმაგრებულს, იგი ხელოვნების ცოდნას და დაუდევრობას მოწმობდა ერთსა და იმავე დროს. ეს იყო გულუბრყვილო და გულკეთილი სოფლური ბუნება, ჭეშმარიტი და პოეტური, იმიტომ, რომ ათასი ლიეთი იყო დაშორებული ჩვენს გაკრეჭილ და დავარცხნილ პოეზიას. არავითარ იდეასთან არ ჰქონდა მსგავსება, თავისი თავიდან იყო წარმოშობილი და ნამდვილ შემთხვევის გამარჯვებას წარმოადგენდა.

დიდებული დუმილი, რომელიც გარშემო მეფობდა, უცებ ორი ძაღლის ყეფამ დაარღვია. ძროხებმა თავები ასწიეს, კარგა ხანს უაზროდ უცქირეს რაფაელს და ხელახლა ბალახის ძოვას შეუდგნენ. ხმაურობის გაგონებაზე ეზოში ჯერ ჩასუქებული ბავშვი გამოვიდა, შემდეგ საშუალო ტანის თეთრთმიანი ბერიკაცი. ეს ორი არსება შეგუებული იყო ბუნებასა, ჰაერსა, ყვავილებსა და სახლს. ბერიკაცს მზემოკიდებული სახე, პირდაპირი ცხვირი, დაკოჟრებული ხელები ჰქონდა. ბავშვი ნამდვილი მთიელი იყო, შავთვალა, თმაგაწეწილი. მალე ზღურბლზე ოცდაათი წლის დედაკაცი გამოჩნდა, მას ხელში თითისტარი ეჭირა და ძაფს ართავდა. ეს იყო ოვერნელი ქალი, შავგრემანი, მხიარული, გულწრფელი, თეთრკბილებიანი, ამ მთიანი ქვეყნის სრული განხორციელება მისი შრომისმოყვარეობითა, უმეცრებითა, მომჭირნეობითა, გულთბილობით.

დედაკაცი რაფაელს მიესალმა. მათ საუბარი გააბეს. ძაღლები დამშვიდდნენ, ბერიკაცი მზეზე დაჯდა, ხოლო ბავშვმა კაბაში ხელი ჩასჭიდა დედას და უცხო კაცის თვალიერება დაიწყო.

_ არ გეშინიათ აქ ცხოვრებისა, ნათლიდედავ?

_ რისა უნდა გვეშინოდეს, ბატონო? რაკი კარებში ურდულს გავუყრით, ვინღა შემოგვეჭრება? ესეც არ იყოს, _ თქვა მან და რაფაელს დიდ ოთახში შეუძღვა, _ რის მოპარვა შეუძლიათ აქ ქურდებს?

კედლები გაჭვარტლული იყო, მათ ერთადერთ სამკაულს მდარეხარისხოვანი სურათები წარმოადგენდა, სადაც ლურჯი, წითელი და მწვანე ფერებით «ნდობის დაღუპვა», «იესო ქრისტეს ვნებანი», «იმპერატორის გვარდიის გრენადერები» იყო წარმოდგენილი. ერთ კუთხეში ძველი კაკლის ხის საწოლი იდგა, მეორეში _ პურის ვარცლი, შუა ადგილას _ ფეხმოღრეცილი მაგიდა და სკამები. ჭერზე შაშხი ეკიდა, ღუმელზე ქოთნები ეწყო, ხოლო ბუხრის თაროდან გაყვითლებული ფერადი თაბაშირის ფიგურები იცქირებოდნენ. სახლიდან გამოსვლისას რაფაელმა კლდეზე მამაკაცი დაინახა. ის თოხს დაყრდნობოდა და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა ბინისკენ.

_ ჩემი კაცია, ბატონო, _ თქვა ქალმა და გაიღიმა, _ იქ მუშაობს.

_ ეს მოხუცი თქვენი მამაა?

_ არა, ბატონო, ჩემი ქმრის პაპაა; ასე ყოჩაღად გამოიყურება, მაგრამ ას ორი წლისაა. თავის დროზე ღონიერი კაცი ყოფილა, ახლა მხოლოდ ჭამს, სვამს და ძინავს. მუდამ პატარა ბიჭს ეთამაშება. ხანდახან ერთად მიდიან მთებში.

ვალენტენმა გადაწყვიტა ეცხოვრა ამ ბერიკაცსა და ბავშვთან ერთად, მათი ჰაერი ესუნთქა, მათი პური ეჭამა და წყალი ესვა, მათი სისხლი ჩაესხა თავის ძარღვებში. ეს იყო მომაკვდავის ახირება. ამ ნაპრალების ლოკოკინად გადაქცევა, თავისი ნიჟარის გადარჩენა რამდენიმე დღით, გაოგნება სიკვდილის წინაშე მისი პირადი მორალის საფუძვლად გადაიქცა, ადამიანის არსებობის ჭეშმარიტ ფორმულად, ნამდვილი ცხოვრების იდეალად. გულში უღრმესი ეგოიზის აზრი შეეჭრა, მასში ჩაინთქა მთელი სამყარო. მისთვის სამყარო აღარ არსებობდა, იგი მთლიანად მის არსებაში შევიდა.

ასე გაატარა რამდენიმე დღე რაფაელმა, თავისუფალმა ზრუნვისა და სურვილისაგან, გამსჭვალულმა რაღაც ნეტარების გრძნობით, რომელმაც დაამშვიდა მისი მოუსვენრობა და დააცხრო მისი ტკივილები. ხშირად კლდეებზე აცოცდებოდა ხოლმე და მწვერვალზე ჯდებოდა, საიდანაც მის თვალწინ უსაზღვრო პეიზაჟი იშლებოდა. მთელი დღე იქ რჩებოდა, როგორც მცენარე მზეზე ან ნადირი თავის ბუნაგში. მას აღარ უნდოდა თავისივე სხეულის ტვირთი ეგრძნო. ძველი დროის დამნაშავეების მსგავსად, რომელთაც მართლმსაჯულება აღარ დევნიდა, თუკი ისინი საკურთხევლის ჩრდილს მიაღწევდნენ, იგი შეეცადა ცხოვრების ტაძარს შეფარებოდა. მან მიაღწია იმას, რომ ამ ფართო და ძალოვანი ნაყოფიერების შემადგენელი ნაწილი გახდა: იგი შეუუღლდა ტაროსის ცვალებადობას, იცხოვრა ყოველი კლდის ნაპრალში, შეისწავლა ყოველი მცენარის ზნე-ჩვეულება და ყოველი მდინარის თუ ნაკადის მიმართულება; ცხოველთა სამეფოსაც გაეცნო. ბოლოს, ისე სრულიად შეუერთდა ამ სულჩადგმულ დედამიწას, რომ მისი საიდუმლოებანი განჭვრიტა. მისთვის ბუნების დაუსრულებელი ფორმები ერთი და იმავე სუბსტანციის განვითარებას წარმოადგენდნენ, ერთი და იმავე მოძრაობის კომბინაციებს, იმ დიდი არსების ფართო სუნთქვას, რომელიც მოქმედებდა, აზროვნებდა, მოძრაობდა, იზრდებოდა და რომელთანაც მას უნდოდა გაზრდილიყო, ემოძრავა, ეაზროვნა, ემოქმედა. ფანტაზიაში მან თავისი ცხოვრება ამ კლდის ცხოვრებას შეუერთა, იგი მას შეეზარდა. ამ მისტიკური განათების, ამ მოჩვენებითი გაჯანსაღების წყალობით, რომელსაც ბუნება კეთილმოწყობილი სიზმრის მსგასვად გვანიჭებს, რათა ცხადი ტკივილები დავივიწყოთ,

ვალენტენმა მეორედ განიცადა ბავშვობის ასაკი ამ მოცინარე ბუნების წიაღში. უმიზნოდ დახეტიალობდა, ათას საქმეს იწყებდა და არც ერთს არ ათავებდა, ხვალ დილით წუხანდელ გეგმებს ივიწყებდა; უდარდელი და ბედნიერი იყო, ეგონა, გადავრჩიო.

ერთხელ დილით შემთხვევით ლოგინში დარჩა შუადღემდე. წასული იყო ოცნებაში, რომელიც სიფხიზლისა და სიზმრისგანაა მოქსოვილი და რომელიც სინამდვილეს ფანტაზიის მოჩვენებად აქცევს, ხოლო ქიმერებს სინამდვილის ნაკვთებს აძლევს. უცებ მოესმა, როგორ აძლევდა დიასახლი ცნობას მისი ჯანმრთელობის შესახებ იონათანს, რომელიც, ჩვეულებისამებრ, დილით მოსულიყო ამბის გასაგებად. დედაკაცს, უეჭველია, ეგონა, ვალენტენს სძინავსო და მაღალი ხმით ლაპარაკობდა.

_ არც გაუმჯობესება ეტყობა, არც გაუარესება. მთელი ღამე ახველა, მეგონა, ვეღარ გაათენებს-მეთქი. პირდაპირ გულს მისერავს მისი ხველება. რა წყეული ავადმყოფობაა! როცა დილით შევდივარ, მეშინია, გადაცვლილი არ დამხვდეს-მეთქი. ისეთი ფერმკრთალია, თითქო სანთლისგან ჩამოსხმული იესო ქრისტე იყოს. ჩხირივით გამხდარია. თვით კი არაფერს გრძნობს. იმდენს დარბის, კაცს ეგონება, ჯანმრთელობა უხვად გასაბნევი აქვსო. გულს არ იტეხს, არ უნდა სიბრალული გამოიწვიოს. უნდა ითქვას, რომ მიწაში უკეთ იგრძნობდა თავს, იმიტომ, რომ ჭეშმარიტად მაცხოვრის ვნებას განიცდის. ამდენ ფულსაც რომ არ იძლეოდეს, მაინც გვეყვარეობდა, ინტერესი როდი გვამოძრავებს. აჰ, ღმერთო ჩემო, მარტო პარიზელებს ემართებათ ასეთი ძაღლური ავადმყოფობა. არ უნდა იტიროთ, ბატონო იონათან. მისთვის ეს ტანჯვის დასასრული იქნება. მხოლოდ უნდა აწირვინოთ. მე მინახავს, რომ წირვისაგან მორჩენილან. მეც სანთელს დავანთებდი ასეთი კეთილი, საყვარელი კაცისთვის, ასეთი სააღდგომო ბატკნისთვის.

რაფაელმა ვეღარ აიტანა ასეთი შემაძრწუნებელი ლაყბობა, წამოხტა და კარები გააღო:

_ ბებერო არამზადავ, _ დაუყვირა მან იონათანს, _ მაშ, შენ გინდა ჩემი ჯალათი გახდე? მე შენ გიკრძალავ ჩემი ჯანმრთელობის საკითხავად მოსვლას.

_ ჰო, ბატონო მარკიზო, _ უპასუხა მოხუცმა მსახურმა და ცრემლები მოიწმინდა.

_ და საზოგადოდ კარგს იზამდი, თუ აქ სულ არ მოხვიდოდი ჩემი ბრძანების მიუღებლად.

იონათანს უნდოდა დამორჩილებოდა, მაგრამ სანამ ოთახიდან გავიდოდა, რაფაელს ერთგულებითა და თანაგრძნობით აღსავსე თვალით შეხედა. ამ შეხედვაში რაფაელმა

თავისი სიკვდილის განაჩენი ამოიკითხა, უცებ თავისი სასოწარკვეთილი მდგომარეობა იგრძნო, კარის დირეზე ჩამოჯდა, გულზე ხელები დაიკრიფა და თავი დახარა. შეძრწუნებული იონათანი მორიდებით მიუახლოვდა.

_ გამშორდი აქედან! _ დაუყვირა ავადმყოფმა.

მეორე დილით კლდეებზე აცოცდა და ხავსით დაფარულ ნაპრალში ჩაჯდა. იქიდან ჩანდა ბილიკი, რომლის გასწვრივ ნაკადულები მოჩუხჩუხებდნენ მისი ბინისკენ. იქ დარჩა საღამომდე, იმ შავნაღვლიანი ფიქრებით მოცული, რომელიც მასში მოყვასის სასტიკმა თანაგრნობამ გააღვიძა. ანაზდეულად მის წინაშე დიასახლისი აღიმართა, როგორც ჩრდილი საღამოს ჩრდილში. რაფაელს მოეჩვენა, თითქო ამ დედაკაცის შავი და თეთრზოლებიანი კაბა ჩონჩხის ფერდები ყოფილიყოს.

_ უკვე ნამავს, ბატონო, თქვენი აქ დარჩენა სახიფათოა. ამას გარდა, დილიდან არაფერი მიგირთმევიათ.

_ ღმერთმა შეგაჩვენოს! _ წამოიძახა რაფაელმა. _ თავი დამანებე, ბებერო როკაპო, არ გეყოფა, რომ საფლავს მითხრი ყოველ დილით?

_ საფლავს გითხრით? თქვენ? სადაა თქვენი საფლავი? მე მინდა ჩვენი ბერიკაცის ოდენა იცხოვროთ. საფლავში ჩაწოლას ყოველთვის მოესწრებით...

_ კმარა! _ შეაწყვეტინა რაფაელმა.

_ ხელზე დამეყრდენით, ბატონო.

_ არა...

ადამიანს ყველაზე უფრო სიბრალულის გრძნობის ატანა უჭირს, განსაკუთრებით, როცა ის მას დამსახურებული აქვს. სიძულვილი გამამაგრებელი წამალია, ის ადამიანს აცოცხლებს, ის შურისძიებისაკენ მოგვიწოდებს. სიბრალული კი გვკლავს, ის კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს სისუსტეს. ეს შემპარავი ბოროტებაა, ეს განაზებული ზიზღია ან შეურაცხმყოფელი სინაზეა. რაფაელმა ასი წლის ბერიკაცში გამარჯვებული სიბრალული აღმოაჩინა, ბავშვში _ ცნობისმოყვარე სიბრალული, ქალში _ აბეზარი, ქმარში _ ანგარებიანი; მაგრამ რა სახეც უნდა მიეღო ამ გრძნობას, ის მას ყოველთვის სიკვდილს აუწყებდა. პოეტი ყველაფრიდან პოემას ქმნის, პირქუშს ან მხიარულს, იმ სურათების მიხედვით, რომელთაც მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს. მისი აღგზნებული სული უკუაგდებს ნაზ ნიუანსებს და ყოველთვის მკვეთრ და ცხოველ ფერებს ირჩევს. ამ სიბრალულმა რაფაელის გულში გლოვისა და მელანქოლიის შემზარავი პოემა შექმნა. როცა მან მოინდომა ბუნებას დაახლოებოდა, მას, უეჭველია, არ უფიქრია, რა

გულახდილი არიან ბუნებრივი გრძნობანი. როდესაც მას ეგონა, რომ განმარტოებული იჯდა ხის ძირში და ებრძოდა ჯიუტ ხველას, რომელთანაც შეჯიბრება მას საშინლად ღლიდა, ის უცებ ამჩნევდა ცოცხალთვალებიან პატარა ბიჭს, რომელიც ველური გუშაგივით იჯდა ხშირ ბალახებში და მას იმ ბავშვური ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა, რომელშიაც დაცინვაც ჩანდა, სიამოვნებაც და რაღაც ინტერესიც, შეერთებული უგრძნობლობასთან.

ტრაპისტების მრისხანე სიტყვები, _ ძმაო, დროა მოკვდეო, _ თითქო მუდამ გამოკრთოდა იმ გლეხების თვალებიდან, რომელთანაც რაფაელი ცხოვრობდა. არც იცოდა, რისი უფრო შინებოდა, მათი მიამიტი სიტყვებისა, თუ მათი დუმილისა. ერთხელ დილით მან ორი შავტანისამოსიანი კაცი დაინახა, რომელნიც მისი ბინის გარშემო დადიოდნენ, თითქო ფარულად ყნოსავდნენ და ეცნობოდნენ მას. შემდეგ თითქო შემთხვევით შევიდნენ მასთან, რამდენიმე უმნიშვნელო კითხვა მისცეს. მან მოკლედ უპაუსხა. რაფაელმა იცნო აგარაკის ექიმი და მღვდელი, ისინი უეჭველად იონათანის გამოგზავნილი იყვნენ, ან მასპინძლების მიერ მოწვეულნი, ან კიდევ მოახლებული სიკვდილის სუნს მოეზიდათ. მაშინ მან დაინახა თავისი საკუთარი სამგლოვიარო პროცესია, გაიგონა მღვდლების გალობა, დათვალა კელაპტრები და მოეჩვენა, რომ ამ მდიდარ ბუნებას, რომლის წიაღში იგი სიცოცხლის წყაროს ეძებდა, ბნელი ლეჩაქი გადაეფარა. ყოველივე, რაც მას წინათ ხაგრძლივ ცხოვრებას აუწყებდა, ახლა ჩქარ დასასრულს უწინასწარმეტყველებდა. მეორე დილით იგი პარიზში გაემგზავრა. მასპინძლები სევდიანი და გულთბილი სურვილებით გამოემშვიდობდნენ.

* * *

მთელი ღამის მოგზაურობის შემდეგ მას ბურბონეს მოცინარე ველებზე გამოეღვიძა. დაბლობები და გორაკები მის თვალწინ მიქროდნენ სიზმრის ნისლოვან მოჩვენებასავით. ხან მის თვალწინ მდინარის ზედაპირი ლაპლაპებდა, ხან ხეობაში ჩამალული სოფლის წვეტიანი სამრეკლო ჩნდებოდა. ერთფეროვან ზვრებს წისქვილები ენაცვლებოდნენ, კლდეებს ციხე-კოშკები ან ბუდესავით ჩამოკიდებული სოფლები ახალისებნდნენ, გზების ნაპირებზე წერწეტი ვერხვები ჩამწკრივებულიყვნენ. ბოლოს, გამოჩნდა მდინარე ლუარა, მისი გრძელი ზეწარი ალმასივით ციმციმებდა ოქროსფერი სილის ნაპირებს შუა. ბავშვივით მღელვარე, გიჟმაჟი ბუნება ძლივს იმორჩილებდა ვნებათაღელვას და ივნისის

თვის წვენს, იგი თავისკენ იზიდავდა ავადმყოფის მიმქრალ თვალებს. რაფაელმა ეტლის ფარდები ჩამოუშვა და ჩათვლიმა.

უკვე საღამოს ჟამი ახლოვდებოდა, როცა იგი მხიარულმა მუსიკამ გააღვიძა; საფოსტო სადგურის წინ, სოფლის მოედანზე დღეობა იყო გამართული. სანამ მეეტლეები ცხენებს გამოცვლიდნენ, იგი უცქეროდა ამ მხირული ხალხის ცეკვა-თამაშს. სანდომიანი, კოხტა გოგოები ყვავილებით იყვნენ შემკული, ყმაწვილებს თვალიდან ნაპერწკლები სცვიოდათ, გლეხებს ღვინისაგან სახე გაწითლებოდათ. ყოველივე სიხარულით იყო გაჟღენთილი, ტანისამოსი, გაშლილი სუფრები, თვით სახლების ფანჯრები, კარები და სახურავები, თვით ეკლესია და მოედანი. რაფაელი მცირეოდენ ხმაურობასაც ვერ იტანდა, კინაღამ მოთამაშეებს დაუყვირა _ შესდექითო! დიდად შეწუხებული ჩაჯდა თავის ეტლში. როცა უკან მოიხედა, დაინახა, რომ დამფრთხალი გლეხები გარბოდნენ და სკამები დაცარიელებულიყო. მხოლოდ ორკესტრის ფიცრულზე ერთი ბრმა ვიოლინისტი დარჩენილიყო და საცეკვაო ხმას განაგრძობდა: ეს თითქო რაფაელის სურვილის ფანტასტიკური განხორციელება იყო. წამოვიდა კოკისპირული წვიმა. რაფაელმა ბალიშზე თავი მიდო, ხოლო ეტლი საჩქაროდ დაიძრა.

მეორე დღეს უკვე შინ იყო, თავის ოთახში იჯდა, ბუხრის პირას. დიდი ცეცხლი დაანთებინა, მას სციოდა. იონათანმა წერილები მოუტანა: ყველა პოლინას გამოგზავნილი იყო. აუჩქარებლად გახსნა პირველად ხელში მოხედრილი, თითქო ხარჯთამკრეფის უწყება ყოფილიყოს. პირველი წინადადება წაიკითხა:

«წახვედი! ეს ხომ გაქცევას ჰგავს, ჩემო რაფაელ... როგორ? არავის შეუძლია მითხრას, სად იმყოფები. ხოლო თუ მე არ ვიცი, ვისღა ეცოდინება».

მეტის გაგება აღარ უნდოდა, ცივად ხელი მოჰკიდა წერილებს და ბუხარში შეუძახა; შემდეგ მიმქრალი და უსიცოცხლო თვალებით კარგა ხანს უცქირა ალის ცელქობას სურნელოვან ქაღალდთან, რომელიც იკრუნჩხებოდა, იფერფლებოდა, ნაცრად იქცეოდა.

ხანდახან ფერფლში ნაწყვეტები, შეუკავშირებელი სიტყვები, ნახევრად დამწვარი აზრები ჩანდა. «...შენს კარებთან ვზივარ... გელი... ჟინიანობა... მოქიშპეები... მე არა!.. შენი პოლინა... მიყვარხარ... მაშ, პოლინა აღარ არის?.. თუ ჩემი მოშორება გინდოდა ასე, არ დამტოვებდი... მუდმივი სიყვარული... სიკვდილი...»

ამ სიტყვებმა სინდისის ქენჯნა განაცდევინა: მაშას ხელი სტაცა და ცეცხლიდან გამოიღო წერილების უკანასკნელი ნაფლეთები.

«მე ვბუზღუნებდი, _ წერდა პოლინა, მაგრამ არ მიჩივლია, რაფაელ! ჩემი მოშორებით შენ, ალბათ, გსურდა რაიმე დიდი მწუხარების ტვირთისაგან გაგეთავისუფლებინე. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მომკლა, მაგრამ იმდენად გულკეთილი ხარ, რომ არ გამტანჯავ; გთხოვ, მეორეჯერ ასე ნუღარ მომექცევი. მე შემიძლია უდიდესი წამება ავიტანო, მაგრამ მხოლოდ შენს მახლობლად. ტანჯვა, რომელსაც შენ გამოიწვევ, ჩემთვის ტანჯვა როდი იქნება: მე გულში კიდევ მეტი სიყვარული მაქვს, ვიდრე შენ გაგიმჟღავნე. ყველაფრის ატანა შემიძლია, გარდა შენს მოშორებით ტირილისა...»

რაფაელმა ბუხრის თავზე დადო ამ ცეცხლით გაშავებული წერილის ნაფლეთები. შემდეგ ხელახლა ცეცხლში ჩააგდო. ეს ქაღალდი მეტად ცხოველი სურათი იყო მისი სიყვარულისა და მისი საბედისწერო ცხოვრებისა.

_ წადი, ბ-ნ ბიანშონი მომიყვანე, _ უთხრა მან იონათანს.

როცა ბიანშონი მოვიდა, რაფაელი ლოგინში იწვა.

_ მეგობარო, ხომ არ შეგიძლიათ ოდნავ ბანგნარევი სასმელი მომიმზადოთ, რომელიც შეუწყვეტლივ ძილის მდგომარეობაში მამყოფებს, მაგრამ ისე კი, რომ არაფერი ვნება არ მომაყენოს?

_ ამაზე ადვილი არაფერია, _ უპასუხა ახალგაზრდა ექიმმა. _ მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე საათი დღეში ზეზე უნდა იყოთ საჭმელ-სასმელის მისაღებად.

_ რამდენიმე საათი? _ სიტყვა გააწყვეტინა რაფაელმა. _ არა, არა მე მხოლოდ ერთი საათით ავდგები.

_ რა არის შენი განზრახვა? _ ჰკითხა ბიანშონმა.

_ რაც უნდა იყოს, ძილი მაინც სიცოცხლეა! _ უპასუხა ავადმყოფმა. _ არავინ შემოუშვა, თუნდაც ქალბატონი პოლინა დე ვიჩნაუ მოვიდეს, _ უთხრა ვალენტენმა იონათანს, სანამ ექიმი რეცეპტს წერდა.

_ რას იტყვით, ბ-ნ ორას, არის თუ არა რაიმე იმედი? _ ჰკითხა ბებერმა მსახურმა ახალგაზრდა ექიმს, რომელიც კარიბჭემდე მიაცილა.

_ შეიძლება დიდხანს იცოცხლოს, შეიძლება ამ საღამოსვე მოკვდეს, მისი სიცოცხლისა და სიკვდილის შანსები ერთნაირია. არაფერი აღარ მესმის. კარგია რითიმე გაართოთ.

_ გავართოთ! ბატონო, თქვენ მას ვერ იცნობთ. იმ დღეს კაცი მოჰკლა და ერთიც არ ამოუოხრია... აღარაფერი აღარ ართობს.

რამდენიმე დღის განმავლობაში რაფაელი ხელოვნური ძილის არყოფნაში იყო ჩაფლული. იმ მატერიალური ძალის ზეგავლენით, რომელსაც ბანგი ჩვენს არამატერიალურ სულზე ახდენს, ეს ესოდენ აქტიური ფანტაზიით აღჭურვილი ადამიანი დამდაბლდა იმ ზარმაცი ნადირების მდგომარეობამდე, რომელნიც ტყეებში მცენარისეულ არსებობას ატარებენ და ნაბიჯის გადადგმაც ეზარებათ უმწეო მსხვერპლის დასაჭერად. მან ცის შუქიც კი დააქრო, სინათლე აღარ შედიოდა მის ოთახში. საღამოს რვა საათისთვის ლოგინიდან დგებოდა, შიმშილს იკლავდა, ისე რომ თავისი არსებობის ნათელი შეგნებაც კი არ ჰქონდა, შემეგ ხელახლა წვებოდა. ამ ცივ და პირქუშ საათებს მისთვის არაფერი მოჰქონდა გარდა მქრქალი სახეებისა, მოჩვენებებისა შუქ-ჩრდილის შავ ფონზე. იგი დაიმარხა ღრმა დუმილში, მოძრაობისა და გონების უარყოფაში. ერთ საღამოს ჩვეულებრივზე გვიან გამოეღვიძა და დაინახა, რომ სადილი არ იყო შემოტანილი. იონათანს დაურეკა.

_ შეგიძლია, სადაც გნებავს წახივდე, _ დაუყვირა მოხუცს. _ გაგამდიდრე, ბედნიერი იქნები სიკვდილამდე. მაგრამ არ მინდა ჩემი სიცოცხლე სათამაშოდ გაიხადო... შე უბედურო, მე მშია. მიპასუხე, სადაა სადილი?

იონათანს ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. სანთელი აიღო, მისი შუქი თრთოდა სასახლის უზარმაზარი დარბაზების წყვდიადში. წინ გაუძღვა თავის ბატონს, რომელიც მანქანად იქცა, ფართო გალერეა გაატარა და უცებ კარები გაუღო. გაოცებული, გარეტიანებული რაფაელი სინათლის ტალღებმა გადალეკა, მის თვალწინ უცხო სურათი გადაიშალა. ეს იყო სანთლებით დატვირთული ჭაღები, იშვიათი ყვავილები, რომლებიც მხატვრულად იყო დალაგებული, სუფრა, რომელიც ოქრო-ვერცხლით, სადაფით და ფაიფურით იყო გაბრჭყვიალებული. გაშლილი იყო მეფური სადილი, სურნელოვანი საჭმელები მადას აღიზიანებდა. მან დაინახა თავისი მეგობრები, მათ გვერდით უსხდნენ მორთული, მომხიბლავი ქალები, რომელთაც გაღეღილი მკერდები, გაშიშვლებული მხრები, ყვავილებით შემკული თმები, გაბრწყინებული თვალები ჰქონდათ. აქ თავი მოეყარათ სხვადასხვა მზეთუნახავებს, გამოწყობილთ გამაღიზიანებლ ვნებიან ტანისამოსში: ერთს ირლანდიური ჟაკეტი ეცვა, მეორეს _ ანდალუზიური ბასკინა, მესამე ნახევრად შიშველი იყო მონადირე დიანას მსგავსად, მეოთხეს მორცხვი და შეყვარებული სახე ჰქონდა. ყოველი სტუმრის თვალებში სიხარული, სიყვარული, სიამოვნება გამოჰკრთოდა.

იმ წუთში, როცა კარებში მომაკვდავი რაფაელის სახე გამოჩნდა, სტუმრებს საერთო შეძახილი აღმოხდათ. ხმებმა, სურნელებამ, სინათლემ ამ გამსჭვალავი სილამაზის ქალებმა გამოაცოცხლეს მისი გარეგრძნობანი, გააღვიძეს მისი მადა. სასიამოვნო მუსიკამ, რომელიც მახლობელი დარბაზიდან გაისმა, ჰარმონიის ნიაღვარით დაჰფარა ეს დამათრობელი ღრიანცელი და დაამთავრა ეს უცნაური ხილვა. რაფაელმა, იგრძნო, რომ მის ხელს ქალის ალერსიანი ხელი ეფერებოდა და, როცა მოიხედა, აკვილინა დაინახა. იგი მიხვდა, რომ მთელი ეს სურათი ისე ბუნდოვანი და ფანტასტიკური არ იყო, როგორც მისი ფერწასული სიზმრების სახეები იყო ხოლმე, და საშინლად დაიყვირა. მაშინვე კარები მიხურა და სახეში სილა გააწნა თავის ბებერ მოსამსახურეს:

_ ნადირო, მაშ, შენ ფიცი დაგიდვია, რომ მომკლავ!

შემდეგ, საშინლად ათრთოლებულმა იმ საფრთხით, რომელიც ძლივს აიცილა, მან ძალ-ღონე მოიკრიბა, რათა თავის ოთახამდე მიეღწია, უხვად მიიღო დასაძინებელი წამალი და ლოგინში ჩაწვა.

_ ვერაფერი გამიგია! _ წაილუღლუღა იონათანმა. _ ბ-ნ ბიანშონმა მიბრძანა გაართეო...

დაახლოებით შუაღამე იყო. მძინარე რაფაელის სახე სილამაზით იყო გაბრწყინებული. ფერმკრთალ ლოყებზე ვარდისფერი გადაჰკრავდა. გაშლილ შუბლზე ნიჭი იყო აღბეჭდილი. თითქო სიცოცხლე ჰყვაოდა მის წყნარ, დასვენებულ სახეზე. ტუჩები უღიმოდა, შეიძლება სიზმარმა იგი უკეთეს ცხოვრებაში გადაიყვანა. შეიძლება ასი წლის ასაკს მიაღწია, შეიძლება გარს შვილიშვილები ეხვივნენ და დღეგრძელობას უსურვებდნენ; შეიძლება სკამზე იჯდა ხის ქვეშ, მზეზე თბებოდა და წინასწარმეტყველივით აღთქმულ ქვეყანას ხედავდა მთის მწვერვალებიდან...

_ ძლივს არ გიპოვე?

ამ სიტყვებმა, რომელიც ვერცხლისებრ წკრიალა ხმამ წარმოთქვა, გაფანტა მისი სიზმრის ბუნდოვანი სახეები. ლამპის შუქზე მან თავის პოლინა დაინახა ლოგინზე ჩამომჯდარი; პოლინა კიდევ უფრო გამშვენიერებულიყო განშორებითა და მწუხარებით. რაფაელი გაოცებული დარჩა ამ წყლის ყვავილივით თეთრი სახის დანახვაზე, მის სითეთრეს ჩრდილში კიდევ უფრო აძლიერებდა გრძელი შავი კულულები. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი და თავდახრილი. საწოლზე მსუბუქად ჩამომჯდარი ქალი მოჩვენებას ჰგავდა, რომელიც შეიძლება ერთი სულის შებერვამ გააქროს.

_ აჰ, მე ყოველივე დავიწყებას მივეცი! _ წამოიძახა ქალმა, როცა რაფაელმა თვალები გაახილა. ხმა მხოლოდ იმისთვისღა მაქვს, რომ გითხრა: შენი ვარ! ჰო, ჩემი გული სიყვარულითაა აღსავსე. ჩემო ღმერთო, არასოდეს არ ყოფილხარ ასეთი მშვენიერი. შენი თვალები თითქო ელავენ ქუხილის მოლოდინში... მაგრამ ყოველივე მესმის! შენ ჯანმრთელობას ეძებდი უჩემოდ, ჩემი გეშინოდა... რა ვუყოთ...

_ წადი, წადი! თავი დამანებე! _ უპასუხა ბოლოს რაფაელმა ყრუ ხმით. _ მომშორდი-მეთქი! თუ კიდევ დარჩი, მოვკვდები. ჩემი სიკვდილი ხომ არ გინდა?

_ სიკვდილი? გაიმეორა ქალმა. _ ნუთუ შეიძლება უჩემოდ მოკვდე? როგორ თუ სიკვდილი, შენ ხომ ახალგაზრდა ხარ! როგორ თუ სიკვდილი, მე ხომ შენ მიყვარხარ! როგორ თუ სიკვდილი! _ გაიმეორა მან გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ხმით და გაგიჟებულივით ხელებში ჩაეჭიდა... _ ცივია! თუ მხოლოდ მეჩვენება?

რაფაელმ სასთუმალიდან ამოიღო შაგრენის ტყავის ნაჭერი, ფხვიადი და დაპატარავებული, როგორც სამყურა, და ქალს აჩვენა.

_ პოლინა, ჩემი მშვენიერი ცხოვრების მშვენიერო ხატებავ, მშვიდობით ვუთხრათ ერთმანეთს!

_ მშვიდობით? _ გაიმეორა ქალმა გაოცებული სახით.

_ ჰო. ეს თილისმაა, რომელიც ჩემს სურვილებს ასრულებს და ჩემს სიცოცხლეს წარმოადგენს. შეხედე, რაღა დამრჩენია. თუ კიდევ შემომხედე, მოვკვდები.

ახალგაზრდა ქალს ეგონა ვალენტენი გაგიჟებულაო, თილისმა გამოართვა და სინათლესთან მიიტანა. იგი ყურადღებით დააცქერდა ჯერ მისნური ტყავის უკანასკნელ ნაშთს, შემდეგ თავის საყვრლის სახეს. მაგრამ როცა რაფაელმა, თავის მხრით დაინახა, როგორ გამშვენიერებული პოლინა შიშითა და სიყვარულით, თავი ვეღარ შეიკავა: ალერსიანი სცენებისა და ვნებიანი ბოდვის მოგონებამ გაიმარჯვა მის დიდი ხნით მიძინებულ სულში და გაღვივდა მინელებული, მაგრამ ჩამქრალი ცეცხლივით.

_ პოლინა, მოდი!.. პოლინა!..

გულის შემზარავი ყვირილი აღმოხდა ახალგაზრდა ქალს, შიშისაგან თვალები გაუფართოვდა. რაფაელის თვალებში მან ამოიკითხა ერთი ის მძვინვარე სურვილთაგანი, რომელიც მას წინათ სასახელოდ მიაჩნდა თავისთვის; მაგრამ რამდენადაც ძლიერდებოდა ეს სურვილი, მით უფრო იკუმშებოდა მის ხელში შაგრენის ტყავი. ანგარიშმიუცემლად ქალი მეზობელ ოთახში შევარდა და კარები ჩაკეტა.

_ პოლინა, პოლინა! _ შებღავლა მომაკვდავმა და უკან გამოუდგა. _ მიყვარხარ, გაღმერთებ, მსურხარ!.. შეგაჩვენებ, თუ კარი არ გაგიღია! მინდა დაგაკვდე!

გასაოცარი ძალით, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ აფეთქებას წარმოადგენდა, მან კარები ჩალეწა და დაინახა, რომ მისი სატრფო ნახევრად ტიტველი ფართხალებდა დივანზე. იგი ამაოდ ცდილობდა მკერდი გაეპო და თავის დახრჩობას აპირებდა თავისი შალის შემწეობით.

_ თუ მე მოვკდები, შენ იცოცხლებ! _ წამოიძახა ქალმა და ყელზე მარყუჟი წაიჭირა.

თმაგაშლილმა, მკერდგაღეღილმა, ტანისამოსშემოძარცულმა ქალმა, რომელიც ანთებული სახით და აცრემლებული თვალებით სიკვდილს ეჭიდებოდა, სიყვარულით მთვრალ რაფაელს ათასი მშვენიერება აჩვენა, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ვაჟის ავხორცობა. იგი მან მკვირცხლად ჩაბღუჯა, თითქო ონავარი ფრინველი ყოფილიყოს, ტანისამოსი შემოაფხრიწა და ზედ გადაეჭდო.

მომაკვდავი ვაჟი ცდილობდა სიტყვები ეპოვა არაქათის გამომლეველი სურვილების გამოსახატავად, მაგრამ მკერდიდან მხოლოდ ხრიალი აღმოხდა, ეს ხრიალი თანდათან ჩაღრმავდა და თითქო შიგნეულობის წიაღიდან მოისმოდა. ბოლოს ეს ხმაც მინელდა, და მან ძუძუზე უკბინა პოლინას...

იონათანი ოთახში შემოვარდა, ყვირილით შეძრწუნებული, იგი შეეცადა ცხედრის მოხვევისაგან გაეთავისუფლებინა ახალგაზრდა ქალი.

_ რა გინდა? _ ჰკითხა პოლინამ. _ იგი ჩემია, მე მოვკალი. განა მე ეს არ ვიწინასწარმეტყველე?

ეპილოგი

_ რაღა მოუვიდა პოლინას?

_ აჰ, პოლინას? აი, რა. მჯდარხართ თუ არა ხანდახან ზამთრის წყნარ საღამოს თქვენი ოჯახის კერასთან, სიყვარულის და ახალგაზრდობის ტკბილ მოგონებაში წასული, და გიცქერიათ თუ არა ხაზებისთვის, რომელიც ცეცხლს გაჰყავს მუხის ნამორზე? აქ ალი ჭადრაკის დაფის წითელ უჯრებს ხაზავს. იქ ხავერდს ალივლივებს. პაწია ლურჯი ცეცხლის ენები ჭინკებივით დარბიან, დახტიან და ცელქობენ სახმილის აღგზნებულ ფონზე. მოდის უცნობი მხატვარი, რომელიც ამ ალით მუშაობს. შეუდარებელი ხელოვნებით იგი ამ იისფერი და ძოწისფერი საღებავებით ზებუნებრივი, გაუგონარი

სინაზის სახეს ხატავს, წარმავალ მოვლენას, რომელსაც შემთხვევა აღარასოდეს აღარ განიმეორებს. ესაა ქალი, რომლისთვისაც ქარს თმა გაუწეწია და რომელიც დამათრობელ ვნებას აფრქვევს: ცეცხლი ცეცხლში! იგი იღიმება, იგი სულს ლევს, მას ვეღარასოდეს ვეღარ იხილავთ. მშვიდობით, ცეცხლის ყვავილო! მშვიდობით, დაუსრულებელო, მოულოდნელო არსებავ, მეტად ნაადრევად თუ მეტად ნაგვიანევად მოსულო, რათა მშვენიერი ალმასი გამხდარიყავი!!

_ მაგრამ პოლინა?

_ ვერ გამიგეთ? ხელახლა ვიწყებ. გზა მიცით, აი, იგი მოდის, უკვე აქაა ეს ილუზიების დედოფალი. ეს ქალი, რომელიც დნება, როგორც ამბორი, ენთება როგორც ელვა, ელვასავით წვავს ზეციდან, ეს შეუქმნელი არსება, სავსებით სული, სავსებით სიყვარული! მე არ ვიცი, რა ცეცხლის სხეულში განხორციელებულა იგი, თუ შეიძლება მისი გულისთვის ცეცხლმა ერთი წუთით სული ჩაიდგა! ნუთუ მისი ჰაეროვანი ფრთების თრთოლვა არ გესმით? იგი თქვენს გვერდით ეშვება ფრინველზე უფრო მსუბუქად, და მისი საოცარი თვალები გხიბლავენ; მისი ნაზი, მაგრამ ძალოვანი სუნთქვა ჯადოქრული ძალით იზიდავს თქვენს ტუჩებს; იგი გარბის, თქვენც გიზიდავთ, მიწის სიმძიმეს აღარ გრძნობთ ფეხთ ქვეშ. თქვენ გინდათ ერთხელ მაინც ამ თოვლის ფანტელასავით თეთრ სხეულზე გაატაროთ თქვენი აცახცახებული ხელი, აშალოთ ეს თმები, აკოცოთ ამ ნაპერწკლის მფრქვეველ თვალებს, თქვენ რაღაც ბურუსი გათრობთ, რაღაც მუსიკა გნუსხავთ. ყოველი თქვენი ნერვი თრთის, თქვენ მთლად სურვილად, მთლად ტანჯავად იქეცით. აი, ენით გამოუთქმელი ბედნიერება: თქვენ უკვე შეეხეთ ამ ქალის ტუჩებს, მაგრამ უცებ სასტიკი ტკივილი გაღვიძებთ. აჰ! თქვენი თავი საწოლის კუთხეს მოხვედრია, ურთხელის კოჭს გადახვევიხართ, ცივ ბრინჯაოს თუ სპილენძის ამურს.

_ ბატონო, სადაა პოლინა?

_ კიდევ? ყური დამიგდეთ. ერთ მშვენიერ დილას, ქალაქ ტურიდან გემი «ქალაქი ანჟერი» გავიდა, სადაც ახალგაზრდა კაცი იჯდა. მის ხელში ლამაზი ქალის ხელი ესვენა. ქალ-ვაჟი დიდხანს ტკბებოდა თეთრი არსებით, რომელიც მდინარე ლუარის ფართო ზედაპირზე ჩანდა ნისლში, თითქო წყლისა და მზის ნაყოფი ყოფილიყოს. ეს ალი თუ ლანდალი ჰაერში დალივლივებდა, კუნძულებს შუა დანავარდობდა, მაღალ ვერხვებს შუა თავს აქნევდა; შემდეგ უზარმაზარი გახდა, თავისი ბრწყინვალე ტანისამოსის ათასი ნაოჭი და თავისი სხივოსანი შარავანდედი გაშალა. იგი დაბორიალობდა ქოხებსა და გორაკებზე და თითქოს ხომალდს ხელს უშლიდა ძველი კოშკის ძირას გაევლო. იტყოდით, მშვენიერი

დიუფალის მოჩვენებაა, რომელსაც უნდა თავისი სამშობლო დაიცვას თანამედროვე ადამიანების შემოსევისაგანო.

_ კარგი, მესმის, ეს პოლინაა. თეოდორა სადღაა?

_ ოჰ, თეოდორას ადვილად შეხვდებით. გუშინ ბუფონების თეატრში იყო, დღეს იტალიელების ოპერაში იქნება, იგი ყველგანაა. ეს, თუ გნებავთ, საზოგადოებაა.

პარიზი,

1830-31 წ.

«

მ ა მ ა გ ო რ ი ო

თარგმანი არჩილ ცაგარელისა *და* კოტე ჯავრიშვილისა

დიდსა სახელოვან ჟოფრუა სენტ-ილერს ნიშნად
აღტაცებისა მისი შრომებით და მისი გენიით.

ქალბატონი ვოკე, მამის გვარით დე კონფლანი, ერთი მოხუცი დედაკაცია. უკვე ორმოცი წელიწადია, რაც ოჯახური პანსიონი აქვს პარიზში, ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე, ლათინურ კვარტალსა და სენ-მარსელის გარეუბანს შუა. ამ პანსიონში, რომელსაც ვოკეს სახლის სახელით იცნობენ, მამაკაცებსაც იღებენ და მანდილოსნებსაც, ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც, მაგრამ არასოდეს ბოროტი ენა არ შეხებია ამ ღირსეული დაწესებულების ზნეობას. ისიც კია, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში არც ერთი ახალგაზრდა ქალი არ გამოჩენილა იქ, ხოლო თუკი ვინმე ახალგაზრდა ვაჟი დაბინავებულა, მხოლოდ ისეთი, ვისაც ოჯახი მცირე სარჩოს აწვდიდა. მიუხედავად ამისა, 1819 წელს, როდესაც ეს დრამა იწყება, იქ ერთი ღარიბი ახალგაზრდა ქალიშვილი ბინადრობდა. მართალია, სიტყვა «დრამას» მეტისმეტად დაეკარგა ნდობა, რადგან ჩვენი დროის სევდიან ლიტერატურაში უხვად იხმარება უმართებულო და დამახინჯებული აზრით, აქ მაინც აუცილებელია მისი ხმარება; იმიტომ კი არა, თითქოს ეს ამბავი დრამატული იყოს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; მაგრამ, როდესაც ის დასრულდება, შეიძლება ვინმეს ერთი-ორი ცრემლი წამოსცვივდეს intra და extra muros. გაიგებს მას ვინმე პარიზის გარეთ? შეიძლება დავეჭვდეთ. ამ დაკვირვებებითა და ადგილობრივი ელფერით სავსე სცენის თავისებურებები მხოლოდ მონმარტრის გორაკებსა და მონრუჟის მაღლობებს შორის შეიძლება შეაფასონ, მარად ნგრევის პირას მდგარი ქოხმახებითა და სიბინძურისაგან შავი წყალსადინარი რუებით განთქმულ ხეობაში; ხეობაში, რომელიც სავსეა ჭეშმარიტი ტანჯვით, ხშირად ყალბი სიხარულით და სადაც ცხოვრება ისე საშინლად ღელავს, არ ვიცი, რა უნდა მოხდეს იმდენად არაჩვეულებრივი, რომ ცოტაოდენად ხანგრძლივი შთაბეჭდილება დატოვოს. მაინც, ხანდახან გვხვდება აქ მწუხარება, რომელსაც ერთმანეთში გადახლართული მანკიერება და სათნოება სიდიადის და ზეიმურობის იერს ანიჭებს: მის წინაშე თავმოთნეობა და ანგარება უკან იხევენ, მათ სიბრალული იპყრობთ; მაგრამ ეს შთაბეჭდილება ნუგბარი ხილვითაა, რომელიც მალე შეიჭამა. ცივილიზაციის ეტლი, ჯაგერნაუტის კერპის ეტლის მსგავსად, ოდნავ შეანელებს სვლას, როდესაც ვინმეს

გულს წააწყდება, რომელიც სხვის გულებზე უფრო ძნელი გასასრესია, მისი ბორბალი ერთხანს დაბრკოლდება, მაგრამ მალე დაამსხვრევს მას და განაგრძობს დიდებით მოსილ გზას. თქვენც ასე მოიქცევით, ვისაც ეს წიგნი გიჭირავთ ხელთ, რბილ სავარძელში მისვენებული ზიხართ და თქვენთვის ამბობთ, იქნება ამან გამართოსო. როდესაც მოხუც გორიოს იდუმალ ავბედობას ბოლომდე გადაიკითხავთ, თქვენ მადიანად ისადილებთ და თქვენს უგრძნობლობას ავტორს მიაწერთ, უსაყვედურებთ მას გაზვიადებას და დააბრალებთ პოეტურ შეთხზვას. აჰ! იცოდეთ: ეს დრამა არც ფიქციაა და არც რომანი. all is true. ის იმდენად ჭეშმარიტია, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია თავის ცხოვრებაში ან თავის გულშიც კი ამოიცნოს მისი საწყისები.

სახლი, სადაც ოჯახური პანსიონია მოთავსებული, ქალბატონ ვოკეს ეკუთვნის. ის დგას ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩის ქვემო ნაწილში, იმ ადგილას, სადაც ნიადაგი ისეთი სწრაფი და უეცარი დაღმართით ეშვება არბალეტის ქუჩისაკენ, რომ ეტლები აქ იშვიათად თუ აივლიან და ჩამოივლიან. ეს გარემოება ხელს უწყობს სიჩუმეს, რაც ვალ-დე-გრასისა და პანთეონის გუმბათებს შორის მოქცეულ ქუჩებში სუფევს; ეს ორივე მონუმენტი ატმოსფერულ პირობებს ცვლის, ყვითელ ელფერს ჰფენს ყველაფერს და მათი გუმბათებიდან ანარეკლი პირქუში ფერებით აბნელებს. იქ ქვაფენილები მშრალია, რუებში არც ტალახია და არც წყალი, კედლების ძირში ბალახი იზრდება. იქ ყველაზე უფრო უდარდელ ადამიანსაც კი ყველა იქაური გამვლელ-გამომვლელივით სევდა იპყრობს. ეტლის ხმაური იქ დიდ ამბავს წარმოადგენს, სახლებს სევდიანი იერი ადევს, კედლებს ციხის სუნი ასდით. შემთხვევით შემოსული პარიზელი იქ დაინახავს მხოლოდ ოჯახურ პანსიონებს და სასწავლებლებს, სიღატაკეს და მოწყენილობს, მომაკვდავ სიბერეს და ხალისიან სიჭაბუკეს, რომელიც იძულებულია იშრომოს. პარიზში არც ერთი უბანი არ არის ამაზე უფრო საზარელი და, უნდა ითქვას, უფრო უცნობიც. ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩა თითქოს ბრინჯაოს ჩარჩოს წარმოადგენს, ერთადერთს შესაფერისს ჩვენი მოთხრობისათვის, რომლისთვისაც მკითხველის გონების განწყობა მხოლოდ ბნელი ფერებისა და მდორე აზრების საშუალებით შეიძლება; ასევეა, როდესაც მოგზაური კატაკომბებში ჩადის და ყოველ საფეხურზე დღის სინათლე სუსტდება, ხოლო მისი მეგზურის ხმა უფრო და უფრო ყრუდ ისმის. რა სწორი შედარებაა! ვინ გადაწყვეტს, რა უფრო საზარელი სანახავია, გაქვავებული გულები თუ ცარიელი თავის ქალები?

პანსიონის ფასადი პატარა ბაღს გადაჰყურებს, ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩასთან კი სახლი სწორ კუთხეს ქმნის და ქუჩაზე გვერდითი კედლით გამოდის. ფასადის გასწვრივ,

სახლისა და ბაღის შუა, ღორღით ამოფენილი ერთი ტუაზის სიგანე არხი გაწოლილა, მის წინ კი ქვიშიანი ბილიკია, რომლის კიდეებზე თეთრ-ლურჯი ქაშანურის დიდრონ ქოთნებში ჩასმული ნემსიწვერა, ოლეანდრები და ბროწეულის ხეები ჩამწკრივებულან. ამ გზაზე ქუჩის მხრიდან პატარა ჭიშკარით შევდივართ; ჭიშკრის თავზე მიკრული აბრა იუწყება: ვოკეს სახლი, ხოლო ქვეშ წერია: ოჯახური პანსიონი ორივე სქესისათვის და სხვა. დღისით, ჟღარუნა ზარით აღჭურვილი კარის მესერში, პატარა არხის ბოლოს ქუჩის მოპირდაპირე კედელზე მოჩანს უბნის მხატვრის მიერ მოხატული მწვანე მარმარილოს თაღი. ამ მხატვრობის მოჩვენებით სიღრმეში კი ამურის ქანდაკება აღმართულა. ქანდაკებას ლაქი უკვე აქერცლილი აქვს და ამის შემხედვარე სიმბოლოთა მოყვარულებს შეუძლიათ მასში სცნონ «მითოსი პარიზული სიყვარულისა», რასაც იქვე ახლოს მკურნალობენ. კვარცხლბეკის ნახევრად წაშლილი წარწერა მიუთითებს ამ ორნამენტის წარმოშობის თარიღზე იმ აღტაცების მეშვეობით, რომელსაც ის უცხადებს 1777 წელს პარიზში დაბრუნებულ ვოლტერს:

ვინც უნდა იყო ადამიანი,
ის მუდამ შენი მოძღვარი არი.

შეღამებისას მესერიანი კარის ნაცვლად მთლიან კარს ჰკიდებენ. ბაღი, რომელიც სიგანით ფასადის სიგრძეს უდრის, შემწყვდეულია ქუჩის კედელსა და მეზობელი სახლის კედელს შუა, მაგრამ ამ უკანასკნელს ფათალოს მთლიანი სამოსი ფარავს, რომელიც პარიზისთვის უჩვეულო სილამაზით გამვლელ-გამომვლელის თვალს იზიდავს. ყველა კედელი მოფენილია ხეხილის რაყებითა და ვაზით, და მათი მტვრიანი უსუსური ნაყოფი, რომელსაც ქალბატონი ვოკე ყოველ წელს შიშით დაკანკალებს, მდგუმრებთან მისი საუბრის საგანს შეადგენს. კედლების გასწვრივ ბილიკებია გაყვანილი, რომლებსაც ცაცხვების ტალავარში შევყავართ, მაგრამ ქალბატონმა ვოკემ, თუმცა წარმოშობით იგი დე კონფლანია, თავისი მდგუმრების გრამატიკული შენიშვნების მიუხედავად, ცაცხვის სახელი ვერ იქნა და სწორად ვერ გამოთქვა. გვერდით ბილიკების შუა ოთხკუთხად არტიშოკების ნათესია, გარშემორტყმული პირამიდულად შეკრეჭილი ხეხილით და მჟაუნას, სალათას და ოხრახუშის კვლებით. ცაცხვების ტალავრის ქვეშ მიწაში ჩასმულია მრგვალი, მწვანედ შეღებილი მაგიდა და მის ირგვლივ სკამები დგას. არდადეგების დროს, პაპანაქება სიცხეში, როდესაც გეგონება კვერცხიდან წიწილა გამოიჩეკებაო, აქ ყავას

მიირთმევენ მდგმურები, ვისაც კი შეძლება ამის საშუალებას აძლევს. სახლი ოთხსართულიანია მანსარდის ჩათვლით, წვრილი ქვითაა ნაშენი და ის ყვითელი ფერი ადევს, რომელიც საზიზღარ შესახედაობას აძლევს პარიზის თითქმის ყველა სახლს. ყოველ სართულში ხუთ-ხუთი ფანჯარაა პატარ-პატარა ოთხკუთხი მინებით და მესრებით, მაგრამ ეს უკანასკნელები არც ერთ ფანჯარაზე ერთნაირად არ იწევიან ზევით და ოღროჩოღროდ არიან დაკიდებული. გვერდით კედელზე ორ-ორი ფანჯარაა, რომლებიც დაბალ სართულზე რკინის მესრით არიან შემკული. შენობის უკან დაახლოებით ოცი ფუტი სიგანის ეზოა, სადაც შეხმატკბილებულად ცხოვრობენ ღორები, ქათმები და ბაჭიები. ეზოს სიღრმეში დგას შეშის დასაწყობი ფარდული. ამ ფარდულსა და სამზარეულოს შუა ჰკიდია სურსათის შესანახი ყუთი, მის ქვეშ კი სამზარეულოდან ნარეცხი წყლის სადინარი ღარი გამოდის. ეზოს ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე ვიწრო კარი აქვს, რომლითაც მზარეულ ქალს ნაგავი გამოაქვს. ამ გროვის გასასაუფთავებლად იგი წყალს არ იშურებს ხოლმე, რომ ავადმყოფობის გავრცელებისათვის არ დააჯარიმონ.

ქვედა სართული ზედგამოჭრილია ოჯახური პანსიონისათვის; პირველი ოთახი ქუჩის მხრიდან განათებულია ორი ფანჯრითა და მინებჩასმული კარით. ამ სასტუმრო ოთახიდან კარი გადის სასადილო ოთახში, უკანასკნელი კი სამზარეულოდან გამოყოფილია კიბით, რომლის ხის საფეხურები ოთხკუთხედი ფიცრისა, შეღებილი და გაპრიალებულია. რა შეიძლება იყოს ამ სასტუმრო ოთახზე უფრო უსიხარულო! მისი ავეჯი შედგება სავარძლებისა და სკამებისაგან, რომლებსაც გადაკრული აქვთ მბზინავი და მკრთალი ზოლებიანი ძუის ტილო. შუაში დგას შავი წინწკლებიანი მარმარილოს მრგვალი მაგიდა, რომელზედაც განწყობილია თეთრი ფაიფურის ყავის სერვიზი ნახევრად წაშლილი ოქროს ზოლებით, როგორსაც დღეს ყველგან შეხვდებით. იატაკი ამ ოთახში საკმაოდ ცუდადაა დაგებული, კედლები მხრით სიმაღლეზე მოფიცრულია, მათ ზედა ნაწილზე კი გადაკრულია პრიალა შპალერი ზედ გამოხატული «ტელემაქის» უმთავრესი სცენებით, რომლის კლასიკური პერსონაჟები გაფერადებულია. მესერიანი ფანჯრების შუაში მოთავსებული პანო მდგმურებს წარმოუდგენს კალიპსოს მიერ ულისეს ვაჟისთვის გამართულ ლხინს. ორმოცი წელიწადია, რაც ეს მხატვრობა ახალგაზრდა მდგმურების ოხუნჯობას იწვევს, ისინი ფიქრობენ, რომ დიდად ამაღლდებიან, თუ მასხრად აიგდებენ სადილს, რომელსაც ხელმოკლეობის გამო მიირთმევენ. ქვის ბუხარში, როგორც მისი მუდმივი სისუფთავე მოწმობს, მხოლოდ საზეიმო შემთხვევებში ანთებენ ცეცხლს. ბუხარს ამშვენებს მინის თალფაქების ქვეშ შედგმული და სიძველისაგან დაცრეცილი ხელოვნური

ყვავილებით სავსე ორი ლარნაკი, რომლებიც გვერდში ამოსდგომიან უსაზიზღრესი გემოვნების მოლურჯო მარმარილოს საათს. ამ პირველ ოთახს რაღაცნაირი სუნი უდის, რომელსაც არც ერთ ენაში სახელი არა აქვს, და რომელსაც «პანსიონის სუნი» უნდა დარქმეოდა. მას უჰაერობის, ობისა და შმორის სუნი უდის, ამ სუნს თან მოსდევს სიცივე, ცხვირით გრძნობთ მის სინესტეს, ის ტანსაცმელს ჟღენთავს. მას თითქოს იმ ოთახის სუნიც გაჰკრავს, სადაც ეს-ესაა სადილი დაამთვრეს. მაგრამ ის შეიცავს აგრეთვე მეეტლის ოთახის, სამოახლოსი და დავრდომილთა თავშესაფრის სიმყრალეს. მისი აღწერა, ალბათ მაშინ მოხერხდება, რომ გამოეგონებინათ რაიმე საშუალება და თითოეული მდგმურის, ახალგაზრდისა თუ მოხუცის მიერ ამონასუნთქი და sui generis ავადმყოფური გულისამრევი ელემენტების რაოდენობა განესაზღვრათ. ახლა, მიუხედავად მთელი ამ უმგვანო საშინელებისა, მეზობელ სასადილო ოთახს თუ შეადარებთ, ეს სასტუმრო ოთახი ბუდუარივით კეკლუცი და სურნელოვანი მოგეჩვენებათ. სასადილოს კედლები მთლიანად მოფიცრულია და ერთ დროს შეღებილიც ყოფილა, მაგრამ ამჟამად ფერის გარჩევა აღარ შეიძლება; იგი ქმნის მხოლოდ ნიადაგს, რაზედაც ფენებად დალექილი ჭუჭყი ახირებულ სახეებს ხატავს. კედლებთან დგას გქონილი ბუფეტები, ზედ აწყვია ტუჩმოტეხილი მღვრიე ფერის დოქები, ზოლებიანი ლითონის სინები, გროვებად უხეში ფაიფურის ლურჯკიდეებიანი თეფშები, ქალაქ ტურნეში გაკეთებული. ერთ კუთხეში მიდგმულია დანომრილ განყოფილებებიან ყუთი. ამ ყუთში თითოეული მდგმურისთვის ცალკე ინახება ღვინით ან სხვა რამით დალაქავებული ხელსახოცი. ამ ოთახში ნახავთ ნახმარ ნივთებს, რომლებსაც აღარავინ ხმარობს, მაგრამ აქ მოუთავსებიათ, როგორც ცივილიზაციის მსხვერპლთ ათავსებენ უკურნებელთა საავადმყოფოში. აქ ნახავთ კაპუცინიან ბარომეტრს, რომლის კაპუცინი წვიმის დროს ამოძვრება ხოლმე; შავი გალაქული ხის მოოქროვილ კიდეებიან ჩარჩოებში ჩასმულ საძაგელ, მადის დამკარგველ გრავიურებს; სპილენძის ინკრუსტაციებიანი რქით გაწყობილ კედლის საათს; მწვანე ღუმელს, არგანის ზეთის ნათურებს, სადაც ზეთი და მტვერი ერთმანეთში არეულა; გრძელ მაგიდას, ისეთი გაქონილი მუშამბით დაფარულს, რომ ზედ რომელიღაცა ხუმარა მოსადილეს სტილოსის მაგივრად პირდაპირ თითით დაუწერია თავისი გვარი; ხეიბარ სკამებს, საცოდავ პატარა ჭილობებს, რომლებიც დაუსრულებლად იძენძებიან და შესაბრალის სათბურებს დამტვრეული მილებით, მოშლილი ანჯამებით და დანახშირებული სახელურებით. იმის ასახსნელად, თუ რამდენად ძველია მთელი ეს ავეჯი, რამდენად დაბზარული, დამპალი, დანჯღრეული, ჭიისგან დახრული,

დააფრაკებული, დამტვრეული, გახეიბრებული და მიხრწნილი, საჭირო იქნებოდა მისი ვრცელი აღწერა, რაც ძალიან შეაფერხებდა ჩვენი ამბის თხრობას და ამას კი მოუცლელი მკითხველი არ გვაპატიებდა. წითელი იატაკი დაღარულია ხშირი ხეხვისა და შეღებვისაგან. ერთი სიტყვით, აქ მეფობს პოეზიას დაშორებული სიღარიბე, მომჭირნე, შენივთებული გაცვეთილი სიღარიბე. თუ ის ჯერ გაბინძურებული არ არის, სამაგიეროდ უკვე დალაქავებულია: ჯერ დაძონძილი არ არის, მაგრამ საცაა ტანისამოსი შემოეძარცვება.

ეს ოთახი მთელი თავისი ბრწყინვალებით დილის შვიდ საათზე გვევლინება, როდესაც ქალბატონ ვოკეს კატა კრუტუნით შემოუძღვება აქ პატრონს, შეხტება ბუფეტებზე და დაყნოსავს რძეს ლამბაქებდაფარებულ ფინჯნებში. მას თვით ქვირივიც შემოჰყვება, მორთული თხელი თავსაბურავით, რომლის ქვეშიდან უშნოდ დამაგრებული სხვისი თმები ჩამოშლია; ის ჯღან ფოსტლებს მოაფრანტუნებს. მისი დაბერებული მსუქანი სახე, რომელზედაც ცხვირი თუთიყუშის ნისკარტივითაა ამოშვერილი, მისი პატარა, კოტიტა ხელები, ეკლესიის ვირთხასავით ჩასუქებული სხეული, მეტისმეტად სავსე, ფამფალა მკერდი მშვენივრად ეხამება ამ ოთახს, სადაც კედლებიდან მწუხარება მოჟონავს, სადაც ანგარიშიანობას შეუფარებია თავი და სადაც მყრალი სითბო ქალბატონ ვოკეს გულისრევას არ გვრის. დიასახლისის შემოდგომის პირველ ყინვასავით ცივი სახე, გარშემო ნაოჭებიანი თვალები, რომელთა გამომეტყველება მოცეკვავე ქალის ხელოვნურ ღიმილსა და მევახშის მოჭმუხნილობას შორის მერყეობს, და საერთოდ მთელი მისი პიროვნება ისეა შესისხლხორცებული პანსიონთან, როგორც სული და გულია სხეულთან. კატორღა უზედამხედველო არ შეიძლება _ ერთს ვერ წარმოიდგენთ მეორის გარეშე. ამ ტანმორჩილი დედაკაცის ფერმკრთალი სიმსუქნე ისეთივე შედეგია მთელი მისი ცხოვრებისა, როგორც ტიფია შედეგი ჰოსპიტლის სნებიანი ჰაერისა. მას შიგნით შალისგან მოქსოვილი ქვედატანი აცვია. ის უფრო გრძელია, ვიდრე გარედან ჩაცმული, ძველი კაბიდან გადაკეთებული ქვედატანი და მოუჩანს კიდეც. ქვედატანის ნახევებში ბამბა გამოჩრილა. ამ ქვედატანს ატყვია კვალი სასტუმრო ოთახისაც, სასადილოსიც და ბაღისაც, იგი ამჟღავნებს სამზარეულოს ხასიათს და გაგრძნობინებთ მდგმურების ვინაობას. დიასახლისის შემოსვლით სურათი სრული ხდება. ორმოცდაათიოდე წლის ქალბატონი ვოკე ჰგავს ყველა ჭირ-ვარამ გამოვლილ დედაკაცს, მას მინისებური თვალები აქვს და უმანკო იერი მაჭანკლისა, რომელიც საცაა გაცხარდება რომ მეტი გადაგახდევინოთ, და საერთოდაც იგი უკან არ დაიხევს, თუკი როგორმე ბედს შეიმსუბუქებს; ის ჟორჟსა და პიშეგრიუსაც კი გასცემდა, რომ მათი გაცემა კიდევ ერთხელ შეიძლებოდეს. მაგრამ

გულით ურიგო დედაკაცი არ არისო, ამბობენ მისი მდგუმრები, როლებსაც ჰგონიათ, ჩვენსავით უგულოა, რაკი სულ ოხრავს და წუწუნებსო. ვინ იყო ბ-ნი ვოკე? განსვენებულის შესახებ ქალი არასოდეს ლაპარაკობდა. როგორ დაჰკარგა მან თავისი სარჩო? «ჩემს ქმარს იღბალი არ ჰქონდაო», იტყოდა ხოლმე ქ-ნი ვოკე. ქმარი ძალიან ცუდად მოექცა, ცრემლებისა და ამ სახლის ანაბარა დასტოვა. თანაც უანდერძა _ არავის უბედურებას არ თანაუგრძნო, რადგანაცო, ამბობდა ქ-ნი ვოკე, ყველაფერი გადამიტანია, რაც ადამიანმა შეიძლება გადაიტანოსო.

როგორც კი ქალბატონის შემოცუნცულებას გაიგონებდა, მზარეული, სქელი სილვია, საჩქაროდ დაიწყებდა ხოლმე მდგმურებისათვის საუზმის გაწყობას.

ჩვეულებრივ, მომსვლელი პანსიონერები მხოლოდ სადილის ფულს იხდიდნენ, თვეში ოცდაათ ფარნკს. იმ დროს, როდესაც ეს ამბავი იწყება, აქ შვიდი მდგმური იდგა. პირველ სართულზე მოთავსებული იყო ორი საუკეთესო ბინა. მათგან უფრო პატარაში ქალბატონი ვოკე ცხოვრობდა, ხოლო მეორე ეკავა ქალბატონ კუტიურს, საფრანგეთის რესპუბლიკის საინტენდანტოს კომისრის ქვრივს. მასთან ერთი სულ ახალგაზრდა ქალიშვილი ცხოვრობდა, სახელად ვიქტორინე ტაიფერი, რომელსაც ის დედობას უწევდა. ეს ორი ქალი წლიურად ათას რვაას ფრანკს იხდიდა. მეორე სართულზედაც ორი ბინა იყო, ერთში მოხუცი პუარე იდგა, მეორეში კი ორმოციოდე წლის შავპარიკიანი და შეღებილ ქილვაშებიანი კაცი, ვისაც ბ-ნი ვოტრენს ეძახოდნენ და ვინაც თავს ყოფილ ვაჭრად ასაღებდა. მესამე სართული ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. ამათგან ორი სამუდამჟამოდ იყო გაქირავებული; პირველ ოთახში ცხოვრობდა ერთი შინაბერა, მადმუაზელ მიშონო, მეორეში სახამებლის, ვერმიშელისა და მაკარონის ფაბრიკის ყოფილი მეპატრონე, რომელიც ყველას ნებას აძლევდა _ მისთვის მამა გორიო ეწოდებინა. ორი დანარჩენი ოთახი განკუთვნილი იყო დასაფრენი ჩიტებისათვის, ღარიბი სტუდენტებისათვის, რომლებსაც ბინასა და კვებაში მამა გორიოსავით და მადმუაზელ მიშონოსავით თვიურად მხოლოდ ორმოცდახუთი ფრანკის გაღება შეეძლოთ; ქალბატონ ვოკეს არაფრად ეპიტნავებოდა ასეთი მდგმურები და მხოლოდ მაშინ აიყვანდა ხოლმე მათ, როდესაც უკეთესს ვერავის შოულობდა: ძალიან ბევრ პურს უჭამდნენ ისინი. ამ ხანებში ერთი ამ ოთახთაგანი ეკუთვნოდა ყმაწვილ კაცს, რომელიც ანგულემიდან ჩამოსულიყო პარიზში სამართლის შესასწავლად და რომელსაც მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი დიდი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით უგზავნიდა წლიურად ათას ორას ფრანკს. ეჟენ დე რასტინიაკი – ეს გახლდათ სტუდენტის სახელი და გვარი _ იმ ახალგაზრდათა რიცხვს

ეკუთვნოდა, ვისაც გაჭირვება აჩვევს შრომას, ბავშვობიდანვე შეგნებული აქვს, რა იმედებს ამყარებენ მათზე მშობლები და ვინაც ბრწყინვალე მომავალს იმზადებს, რადგან წინდაწინვე ანგარიშობს, თუ რა სარგებლობას მოუტანს მას სწავლა. თავის მომავალს ასეთი ახალგაზრდები საზოგადოებრივი წეს-წყობილების მომავალი განვითარების მიხედვით, რომ უკანასკნელის ნაყოფი პირველად მათ უგემონ. რასტინიაკის ცნობისმოყვარე დაკვირვებების გარეშე, მისი უნარის გარეშე, რომლითაც ის პარიზის სალონებში შესვლას ახერხებდა, უეჭველია, ამ მოთხრობას არ ექნებოდა სინამდვილის ელფერი; და თუ აქვს, უნდა ვუმადლოთ რასტინიაკის გამჭრიახობას და მის მისწრაფებას ერთი ცხოვრების შემაძრწუნებელი საიდუმლოს გამოცნობისადმი, რომელსაც დამნაშავენიც და მსხვერპლნიც თანაბარი მზრუნველობით მალავდნენ.

ამ მესამე სართულს ადგას სხვენი, სადაც სარეცხს ფენენ გასაშრობად, და ორი მანსარდი, სადაც იძინებენ მოჯამაგირე ბიჭი, სახელად კრისტოფი, და სქელი სილვია, მზარეული.

გარდა შვიდი მდგმურისა, ქალბატონ ვოკეს თითქმის ყოველწლიურად ჰყავდა კიდევ სამართლის ან მედიცინის რვა სტუდენტი, რომლებიც მხოლოდ სადილად მოდიოდნენ ხოლმე, და ორი-სამი მუდმივი მოსადილე, იმავე უბნის მკვიდრი. სადილად თვრამეტი სული სხდებოდა, მაგრამ სასადილო ოთახში ოციც დაეტეოდა; დილაობით კი საუზემეზე მხოლოდ შვიდი მდგმური იკრიბებოდა და მათ შეკრებას ოჯახური პურისჭამის იერი ჰქონდა. თითოეული მათგანი საშინაო ფოსტლებით ჩამოდიოდა და შინაურულ მუსაიფში გულახდილად უზიარებდა დანარჩენებს თავის შენიშვნებს მომსვლელი პანსიონერების ჩაცმულობისა და გარეგნობის შესახებ და წინა საღამოს მომხდარ ამბებს. ეს შვიდი მდგმური ქალბატონ ვოკეს ნებივრები იყვნენ, რომელიც მათ ასტრონომის სიზუსტით მიუზღავდა მზრუნველობასა და პატივისცემას გაღებული საფასურის კვალობაზე. შვიდივე ადამიანისთვის, რომლებიც აქ ბედმა შეყარა ერთად, მას ერთი საზომი და მიდგომა ჰქონდა. მეორე სართულის მდგმურები თვეში სამოცდათორმეტ ფრანკს იხდიდნენ; ასეთი სიიაფე, რომელიც მხოლოდ სენ-მარსელის გარეუბანში გვხვდება ბურბისა და სალპეტრიერის შუა და რომლისათვისაც ქალბატონი კუტიური ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა, მოწმობს, რომ მეტ-ნაკლებად ყველა პანსიონერს ედო უბედურების ტვირთი. ამ სახლის უბადრუკ შინაგან იერს თავისი დაღი დაემჩნია მისი მცხოვრებლების ძველისძველ ტანსაცმელზეც. მამაკაცები იცვამდნენ ერთობ გამოხუნებულ რედინგოტებს, ფეხსაცმელებს, როგორსაც ელეგანტურ უბნებში გარეთ

ყრიან, დამდნარ თეთრეულს; საერთოდ, მათ ტანსაცმელს სულის მეტი აღარაფერი შერჩენოდა. ქალები ატარებდნენ მოდიდან გადავარდნილ შეღებილ და ისევ გახუნებულ კაბებს, დაკემსილ ძველ მაქმანებს, ხმარებისგან გახეხილ, გაპრიალებულ ხელთათმანებს, გაყვითლებულ საყელოებს და დაძენძილ თავსაფრებს. მაგრამ, თუ ასეთი იყო მათი ტანსაცმელი, სამაგიეროდ თითქმის ყველა მათგანს მაგარი აგებულების, ცხოვრებისაგან გამოწრთობილი სხეული ჰქონდა, ხოლო სახე ცივი, ტლანქი და ხმარებიდან გამოსული ლითონის ფულივით გაცვეთილი. მათ დამჭკნარ პირებს იარაღად ესხა ხარბი კბილები. ამ მდგმურების ბედში ერთი შეხედვითვე იგრძნობოდა უკვე დასრულებული ან ჯერ კიდევ მოქმედი დრამა; ისეთი დრამა კი არა, რომელსაც რამპის შუქზე და დახატულ ტილოებს შორის თამაშობენ, არამედ ცოცხალი და უსიტყვო დრამა, ცივი დრამა, რაც გულს მხურვალედ ამოძრავებს, ხანგრძლივი დრამა.

შინაბერა მადმუაზელ მიშონო დასუსტებულ თვალებს იჩრდილავდა სპილენძის მავთულზე დაჭიმულ მწვანე თავთის საჩრდილობლით, რომელიც ისე იყო გაქონილი, რომ თვით სათნოების ანგელოზსაც დააფრთხობდა. მისი შალი, რომელსაც თხელი ფოჩები საცოდავად ჩამოსტიროდა, გეგონებოდათ ჩონჩხისთვის მოუსხამთო, იმდენად მოუქნელი იყო მის ქვეშ დამალული სხეული. რამ შემოაძარცვა ამ ადამიანს ქალური ფორმები, ის ლამაზი და კარგად მოყვანილი უნდა ყოფილიყო, მანკიერებამ, დარდმა თუ სიძუნწემ? იქნებ სიყვარულის გადაჭარბებულმა ვნებამ? რა იყო ის, ნახმარი ტანისამოსით მოვაჭრე, თუ მხოლოდ კურტიზანი ქალი? ასეთი სიბერე, რომელიც გამვლელ-გამომვლელსაც შეაძრწუნებდა, საზღაურს ხომ არ წარმოადგენდა უტიფრად მოზეიმე, სიტკბოებასა და განცხრომას დახარბებული ახალგაზრდობისა. მისი უფერული გამოხედვა შეგაჟრჟოლებდათ, მისი უძლური გარეგნობა თითქოს მუქარას მალავდა. წვრილი ხმა ბუჩქში ჩამჯდარ ჭრიჭინას მიუგავდა, რომელიც ზამთრის მოახლოებას გამცნობთ. ამბობდა, ერთ მოხუცს ვუვლიდიო, რომელიც შარდის ბუშტის ანთებით იყო ავად და საკუთარ შვილებს მიეტოვებინათ, რადგან უფულო ეგონათო. ამ მოხუცმა მას უანდერძა ათასი ფრანკის მუდმივი რენტა, რის გამოც მოხუცის მემკვიდრეები მას დროგამოშვებით ედავებოდნენ და ათასგვარ ცილს სწამებდნენ, თუმცა ვნებათა ღელვას მისი სახე შეელახა, კიდევ შეამჩნევდით სითეთრისა და სინაზის ნიშნებს, რაც გვაფიქრებინებდა, რომ სხეულსაც შერჩენია სილამაზის ნიშნები.

ბატონი პუარე მოსამართ კაცუნას ჰგავდა. ხშირად უნახავთ, როგორ მოიზლაზნებოდა ის რუხი ლანდივით ბოტანიკური ბაღის ხეივანში თავზე ძველი

დასრესილი ქუდით. გაყვითლებული სპილოს ძვლის ბურთულიანი ჯოხი ძლივს ეჭირა ხელში, ქარი უფრიალებდა რედინგოტის კალთებს, რომლებიც ოდნავ უფარავდნენ თითქმის ცარიელ შარვალს და ლურჯ წინდებიან, მთვრალივით მოცახცახე ფეხებს, ჭუჭყიან თეთრ ჟილეტს და უხეში მუსლინის დაღმეჭილ ჟაბოს, რაც ვერ ეგუებოდა მის ინდაურის კისერზე თოკივით შებმულ ყელსაბამს. მისი შემხედვარე არა ერთი ეკითხებოდა თავის თავს, ეს ჩინური ლანდი თუ ეკუთვნის იაფეტის გულადი შვილების მოდგმას, რომლებიც იტალიურ ბულვარზე ირევიან. როგორ შრომას შეეძლო მისი ასე გამოფიტვა? რომელმა ვნებამ დაღარა ასე მისი კოპებიანი სახე, რომელიც კარიკატურად რომ დაგიხატონ, იტყვით, ასეთი სახე არ არსებობსო? ვინ იყო ის? იქნებ მას იუსტიციის სამინისტროს იმ განყოფილებაში უმსახურია, სადაც ჯალათები აგზავნიან თავიანთი დანახარჯის ანგარიშებს, თუ რამდენი შავი ტილო დაეხარჯათ მამის მკვლელებზე, რამდენი ნახერხი იხმარეს გილიოტინის კალათებში და რამდენი თოკი მისი დანის დასამაგრებლად. ან იქნებ გადასახადის ამკრეფად იყო ნამყოფი საქონლის სასაკლაოს ჭიშკართან, ან ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორის თანაშემწედ უმუშავია. ასეა თუ ისე, ჩანს, რომ ის ჩვენი დიდი სოციალური წისქვილის ერთ-ერთი ვირი ყოფილა, ერთ-ერთი პარიზელ რატონთაგანი, რომლებიც თავიანთ ბერტრანებს არც კი იცნობენ, ერთ-ერთი ღერძი, რაზედაც უბრუნია საზოგადოებრივ ბოროტებასა და სიბინძურეს, მოკლედ რომ ვთქვათ, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, ვის დანახვაზე ვამბობთ: რას იზამ, ასეთებიც საჭირო არიანო. მშვენიერი პარიზი არ იცნობს ამ სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვისაგან ფერწასულ სახეებს. მაგრამ პარიზი ჭეშმარიტი ოკეანეა. ჩაუშვით აბა ზონდი, ვერასოდეს ვერ გაზომავთ მის სიღრმეს. აბა შემოიარეთ ის, აღწერეთ: რაც უნდა გულმოდგინედ სცადოთ მისი შემოვლა და აღწერა, რაც უნდა ბევრი და დაინტერესებული მკვლევარი ჰყვდეს ამ ზღვას, მასში ყოველთვის აღმოჩნდება რომელიმე ხელუხლებელი ადგილი, რომელიმე უცნობი მღვიმე. ყვავილები, მარგალიტები, ურჩხულები, რაიმე გაუგონარი და მწიგნობარ მყვინთავების მიერ არნახული. ვოკეს სახლიც ერთი ასეთი უცნაური სიმახინჯეთაგანია.

ორი ადამიანი გასაოცარ კონტრასტს წარმოადგენდა იქაურ პანსიონერებთან და მუდმივ სტუმრებთან. მიუხედავად იმისა, რომ მადმუაზელ ვიქტორინე ტაიფერს ავადმყოფური სითეთრე ახასიათებდა, მსგავსი სისხლნაკლებ ქალიშვილთა სითეთრისა, და თავისი დაღონებული, მორიდებული გამომეტყველებით, შესაბრალისი და სუსტი იერით იგი ამ სურათის საერთო ნაღვლიან ფონს ეკუთვნოდა, მაინც მისი სახე არ იყო

უდროოდ დაბერებული, ხოლო მიხვრა-მოხვრა და თვალები მას ცოცხალი ჰქონდა. ამ ნორჩი ადამიანის კაეშანი მოგაგონებდათ გაყვითლებულ ბუჩქს, რომელიც ახლახან დაურგავთ მისთვის მავნე ნიადაგზე. ოდნავ მოვარდისფრო სახე, მუქი ქერა თმა და მეტისმეტად თხელი ტანი აღსავსე ჰქონდა იმ სინარნარით, რასაც თანამედროვე პოეტები უქებენ შუა საუკუნეების ქანდაკებებს. მუქ ნაცრისფერ თვალებში სინაზე და ქრისტიანული მორჩილება ეხატებოდა. სადა, იაფი ტანსაცმელი ვერ მალავდა მისი ახალგაზრდა სხეულის ნაკვთებს. სხვებთან შედარებით ვიქტორინე ლამაზი ჩანდა. ბედნიერი რომ ყოფილიყო, ის მომხიბლავი იქნებოდა: ბედნიერება ქალის პოეზიაა, რრც ტანსაცმელია მისი სამკაული. წვეულებაში განცდილ მხიარულებას რომ გაენათებინა მისი ფერმკრთალი სახე. ელეგანტური ცხოვრების სიტკბოებას რომ ამოევსო და ფერი მიეცა მისი უკვე ოდნავ ჩაცვივნული ლოყებისათვის, სიყვარულს რომ გაეცოცხლებინა მისი ნაღვლიანი თვალები, ვიქტორინე ულამაზესი ქალიშვილების მეტოქეობას შესძლებდა. მას აკლდა ის, რისგანაც ქალები მეორედ იბადებიან, _ კაბები და სამიჯნურო ბარათები. მისი ისტორია წიგნის სიუჟეტად გამოდგებოდა. მამამისი რაღაც მიზეზებს იგონებდა, რომ ის არ ეცნო, უარს ამბობდა, რომ თავისთან ჰყოლოდა, წლიურად მხოლოდ ექვსას ფრანკს აძლევდა და თავისი ქონება ისეთ ფასეულობად აქცია, რომ შესძლებოდა ის მთლიანად თავისი ვაჟისთვის ეანდერძა. ქალბატონი კუტიური, რომელთანაც ერთ დროს სასოწაკვეთილებისაგან სიკვდილის პირამდე მისულ ვიქტორინეს თავი შეუფარებია, დედამისის შორეული ნათესავი იყო და საცოდავ ობოლს საკუთარი შვილივით თუვლიდა. საუბედუროდ რესპუბლიკის არმიათა საინტენდანტოს კომისრის ქვრივს ქვეყნიერებაზე არაფერი გააჩნდა გარდა თავისი საქვრივო პენსიისა; ერთ დღეს მას შეეძლო მარტოდმარტო უსახსროდ, ბედის ანაბარა დაეტოვებინა საბრალო გამოუცდელი ქალიშვილი. კეთილ ქალს ვიქტორინე ყოველ კვირადღეს დაჰყავდა წირვაზე და ორ კვირაში ერთხელ აღსარებაზე, რათა ყოველი შემთხვევისათვის ღვთის სიყვარული შთაენერგა მისთვის. ის არ ცდებოდა. სარწმუნობა მომავალს უჩვენებდა ამ მიტოვებულ ბავშვს, რომელსაც უყვარდა თავისი მამა და რომელიც ყოველ წელიწადს მიდიოდა მასთან, რომ დედისაგან იტევება გადაეცა; მაგრამ ყოველ წელიწადს მამის სახლის კარი მას ულმობელად დაკეტილი ხვდებოდა. მისი ძმა, მისი ერთადერთი შუამავალი, ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოსულა დის სანახავად და არავითარ დახმარებას არ უწევდა. ვიქტორინე შესთხოვდა უფალს, რომ თვალები აეხილა მამისთვის, გული მოელბო ძმისთვის, არასოდეს მათი საყვედური არ დასცდენია და გამუდმებით ლოცულობდა

მათთვის. ქალბატონ კუტიურს და ქალბატონ ვოკეს სალანძღავი სიტყვები არ ჰყოფნიდათ ასეთი ბარბაროსული ქცევის დახასიათებისათვის. როდესაც ისინი იმ უსინდისო მილიონერს წყევლიდნენ, ვიქტორინე ტკბილი სიტყვებით ჩაერეოდა ხოლმე, რომლებიც დაკოდილი გვრიტის ღუღუნს მოგვაგონებდნენ, ერთდროულად ტკივილისა და სიყვარულის გამომხატველს.

ეჟენ დე რასტინიაკს ნამდვილი სამხრეთელის სახე ჰქონდა, თეთრი, შავთმიანი იყო და ლურჯთვალება. მისი მიხრა-მოხრა, ქცევა და თავის დაჭერა ამჟღავნებდნენ, რომ ის კეთილშობილი ოჯაიხს შვილია, სადაც პირველდაწყებითი განათლება კარგი გემოვნების ტრადიციული წესების ჩაგონებაში მდგომარეობს. მართალია, ის უფრთხილდებოდა თავის ტანსაცმელს, სადაგ დღეებში მხოლოდ შარშანდელი ტანისამოსით დადიოდა, მაგრამ ხანდახან შეეძლო შნოიანად ჩაცმულიც გამოსულიყო, როგორც ელეგანტურ ახალგაზრდას შეეფერება. ჩვეულებრივ, ის ატარებდა ძველ რედინგოტს, ცუდ ჟილეტს, უშნო შავ გახუნებულ ყელსაბამს, რომელიც სტუდენტურად დაუდევრად ჰქონდა შენასკვული, შესაფერისსავე შარვალს და ძირგამოცვლილ ფეხსაცმელს.

ამ ორ ადამიანსა და დანარჩენებს შორის საშუალო მდგომარეობა ეკავა ვოტრენს, ქილვაშებშეღბილ ორმოცი წლის კაცს. ის იმ ყაიდის კაცი იყო, ვისზედაც ხალხში ამბობენ ხოლმე: ბარაქალა, რა ბიჭიაო. მას ფართო მხარ-ბეჭი, კარგად განვითარებული მკერდი, მსხვილი კუნთები, ოთხკუთხი ხორციანი ხელები და ხშირი ცეცხლისფერი მწითური ბალნით შემოსილი თითები ჰქონდა. ნაადრევად დაღარულ სახეზე სიმკაცრის ნიშნები ეხატებოდა, მაგრამ ამ შთაბეჭდილებას ეწინააღმდეგებოდა მისი გულითადი და ზრდილობიანი ქცევა. მისი ბოხი ხმა, რომელიც კარგად ეგუებოდა მის ტლანქ სიმხიარულეს, უსიამოვნო არ გეჩვენებოდათ. ის ხათრიანი იყო და სიცილი უყვარდა. თუ რომელიმე კლიტე მოიშლებოდა, ვოტრენი ხელად დაშლიდა მას, გაასწორებდა, დაზეთავდა, გაქლიბავდა და ისევ ააწყობდა ხოლმე, თანაც «ესეთი რამეები ხელიდან გამომდისო», დაატანდა ხოლმე. ამის გარდაც, მან ყველაფერი იცოდა და ყველაფერს იცნობდა _ გემებს, ზღვას, საფრანგეთს, უცხოეთს, ვაჭრობას, ხალხს, ახალ ამბებს, კანონებს, სასტუმროებს და საპყრობილეებს. თუ ვინმე ძალიან უჩიოდა თავის ბედს, ვოტრენი მაშინვე დახმარებას შესთავაზებდა ხოლმე. მან რამდენჯერმე ასესხა ფული ქალბატონ ვოკეს და რამდენიმე მდგმურს; მაგრამ მის მოვალეებს უმალ სიკვდილი ერჩიათ, ვიდრე მისი ვალის შენარჩუნება, იმდენად შიშს უნერგავდა ის ყველას, მიუხედავად გულკეთილი გარეგნობისა, რაღაც განსაკუთრებული ღრმა, სიმტკიცით

აღსავსე გამოხედვით. მარტო მისი ერთი გადაპურჭყებაც ცხადჰყოფდა ისეთ აღუშფოთველ გულგრილობას, რომ უთუოდ გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ის დანაშაულსაც არ დაერიდებოდა. მისი თვალი მკაცრი მსაჯულივით თითქოს ყოველი საკითხის, ყოველი სინდისის და ყოველი გრძნობის სიღრმეში იხედებოდა. მას ჩვეულებად ჰქონდა დილის საუზმის შემდეგ სახლიდან გასვლა; სადილად ის უკან ბრუნდებოდა, შემდეგ მთელი საღამოთი წავიდოდა ხოლმე და შინ შუაღამემდე არ მოდიოდა; ჭიშკარს სათადარიგო გასაღებით აღებდა, რომელიც ქალბატონმა ვოკემ ანდო. ასეთი ნდობით მხოლოდ ის სარგებლობდა. სამაგიეროდ ვოტრენიც კარგად ექცეოდა ქვრივს, «დედიო», ეტყოდა ხოლმე და წელზე მოეხვეოდა. ქვრივი ვერ ხვდებოდა ამ პირფერობას, მას ეგონა, ჩემი მოხვევა ისევ ადვილი საქმეაო, ნამდვილად კი ვოტრენის მეტს არავის ჰქონდა იმ სიგრძე ხელები, რომ ასეთ მსხვილ წელს შემოსწვდომოდა. ვოტრენისთვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ის იყო, რომ დარდიმანდულად თვეში თხუთმეტ ფრანკს არ იშურებდა გლორიასთვის, რომელსაც დესერტთან გიახლებოდათ. ნაკლებად ზერელე ადამიანს, ვიდრე აქაური, პარიზის ცხოვრების ორომტრიალში ჩათრეული ახალგაზრდები იყვნენ, ან აქაური მოხუცები, ყველაფრის მიმართ უგრძნობელნი, რაც უშუალოდ მათ არ ეხებოდათ, უთუოდ დააფიქრებდა ვოტრენის მიერ მოხდენილი საეჭვო შთაბეჭდილება. მან იცოდა ან ხვდებოდა მის იგვლივ მყოფთა საქმეებს, მაშინ როდესაც მის აზრებსა თუ საქმიანობას ვერავინ ჩასწვდებოდა. თუმცა მან თავის თავსა და სხვებს შორის ბარიერად აღმართა თავისი გარეგნული გულკეთილობა, მუდმივი ალერსიანობა და სიმხიარულე, ხანდახან მაინც ამჟღავნებდა ხოლმე თავისი ხასიათის საშინელ სიღრმეს. ხშირად იცოდა მან იუვენალის საფერი გონებამახვილი სატირით აფეთქება, რომელშიც დიდი სიამოვნებით ამასხარავებდა კანონებს, ამათრახებდა მაღალ საზოგადოებას, ამტყუნებდა მის შინაგან წინააღმდეგობებს, რაც მიგახვედრებდათ, რომ ვოტრენს ჯავრი სჭირდა საზოგადოებრივი წყობისა და რომ მის ცხოვრებაში რაღაც გულომდგინედ და ღრმად დამარხული ხვაშიადი იყო.

მადმუაზელ ტაიფერს, იქნებ ანგარიშმიუცემლადაც, იზიდავდა ერთის ძალა და მეორის სილამაზე, და ის თავის მალულ მზერას და ფარულ აზრებს შუაზე უყოფდა ამ ორმოცი წლის კაცსა და ახალგაზრდა სტუდენტს; მაგრამ, როგორც ჩანს, არცერთი მათგანი არ ფიქრობდა მასზე, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევას ყოველდღე შეეძლო შეეცვალა მისი მდგომარეობა და მდიდარ საპატარძლოდ ექცია ვიქტორინე. თუმცა, ისიც კია, რომ ამ

ხალხში არც ერთი არ იწუხებდა თავს შეემოწმებინა, რამდენი სიმართლე იყო და რამდენი სიყალბე იმ უბედურებაში, რომლებსაც უჩიოდა რომელიმე მათგანი. ყველანი ერთმანეთის მიმართ გულცივობას იჩენდნენ. რასაც თითოეული მათგანის მდგომარეობიდან გამომდინარე უნდობლობაც ჰქონდა შერეული. მათ იცოდნენ, რომ უძლურნი იყვნენ _ შეემსუბუქებინათ ერთმანეთის დარდი და უკვე იმდენჯერ ჰქონდათ ერთმანეთისათვის ნაამბობი თავისი გაჭირვება, რომ თანაგრძნობის ფიალა დაეცალათ. მოხუცი ცოლ-ქმარივით მათ სალაპარაკო გამოელოდათ. საერთო ცხოვრებაში მხოლოდ მექანიკური ურთიერთობები დარჩენოდათ, მსგავსი დაუზეთავი მანქანის თვალების მოძრაობისა. თითოეულ მათგანს შეეძლო ქუჩაში უყურადღებოდ ჩაევლო უსინათლოსთვის, აუღელვებლად მოესმინა ვისიმე უბეუდრების ამბავი და მოყვასის სიკვდილი მიეჩნია გადაჭრად სიღატაკის იმ პრობლემისა, რომელიც მათ უგრძნობლებს ხდიდა უსაშინელესი აგონიის მიმართ. ამ განადგურებულ ადამიანათ შორის ყველაზე ბედნეირი იყო ამ თავშესაფრის პატრონი _ ქალბატონი ვოკე. ეს პატარა ბაღი, სიჩუმისაგან, ყინვისაგან, გვალვისა და სინესტისაგან უდაბნოსავით გახრიოკებული, მხოლოდ მისთვის იყო კეკლუცი ჭალა; ეს ყვითელი დაღვრემილი სახლი, რომელშიც დუქანივით იაფფასიანი საღებავის სუნი იდგა, მხოლოდ მისთვის იყო სასიხარულო. ეს საკნები მას ეკუთვნოდა. ის ჰკვებავდა ამ კატორღელებს, რომლებსაც სამარადისო კატორღა ჰქონდათ მისჯილი და მის ძალაუფლებას რიდით და კრძალვით ეპყრობოდნენ. ის საცოდავები სხვაგან სად მონახავდნენ პარიზში ასე იაფად ისეთ საღ და ნოყიერ საკვებს, როგორსაც მათ ქალბატონი ვოკე აძლევდა, ან არადა ბინას, რომელიც მათ შეეძლოთ სურვილისამებრ მოეწყოთ, თუ კოხტად და მყუდროდ არა, ყოველ შემთხვევაში, სუფთად მაინც? ქალბატონ ვოკეს რომ თავისთავისთვის უფლება მიეცა და რაიმე აღმაშფოთებელი უსამართლობა ჩაედინა, მისი მსხვერპლი უდრტვინველად აიტანდა ამას.

ამგვარ კრებულში უნდა იყოს და კიდევაც იყო, შემცირებული სახით გამოხატული, საზოგადოების ყველა ელემენტი. ისე, როგორც სკოლებში ან საზოგადოებაში, ამ თვრამეტ თანამესუფრეთა შორისაც ერია ერთი უბადრუკი განკიცხული ადამიანი, ვაცი განტევებისა, რომელიც ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული. მეორე წლის დამდეგს ეჟენ დე რასტინიაკის თვალში ამ პიროვნებამ ყველაზე წინ წამოიწია დანარჩენებთან შედარებით, რომელთა შორის მას წილად ხვდა კიდევ ორი წელიწადი ეცხოვრა. ეს ათვალწუნებული ადამიანი იყო ყოფილი მევერმიშელე, მამა გორიო, რომლისკენაც უთუოდ მხატვარიც და მთხრობელიც თავისი სურათის მთელ შუქს მიმართავდა. როგორ მოხდა, რომ უძველესი

მდგმური მსხვერპლი შეიქნა ღვარძლიანი დევნისა და სიბრალულნარევი ზიზღისა, რამ გამოიწვია მისი უბედურების უპატივცემულობა? ნუთუ მან თვითონვე მისცა საბაბი რაიმე სასაცილო ან ახირებული ჩვეულებით, რასაც ადამიანს ბიწიერებაზე უფრო ნაკლებ აპატიებენ ხოლმე? ეს კითხვები მჭიდროდ ეხება მრავალ საზოგადოებრივ უსამართლობას. იქნებ ადამიანის ბუნებაშია იმათი დაჩაგვრა, ვინც ჭეშმარიტი თავმდაბლობის, სისუსტის ან გულგრილობის გამო ყველაფერს ითმენს. განა ჩვენ არ გვიყვარს ჩვენი ძალის გამოჩენა ყველასა და ყველაფრის მიმართ? ისეთი უძლური არსებაც კი, როგორიც ქუჩის ბიჭია, ყინვაში ყველა სახლის კარებზე ზარს რეკავს, ან ჯერ კიდევ შეუბღალავ ძეგლზე აცოცდება ხოლმე თავისი სახელის დასაბღაჯნად.

სამოცდაცხრა წლის მოხუცი მამა გორიო 1813 წელს დასახლდა ქალბატონ ვოკესთან, როდესაც საქმიანობას თავი დაანება. დასაწყისში მან ის ბინა აიღო, რომელიც ქალბატონ კუტიურს უკავია, და პანსიონში ათას ორას ფრანკს იხდიდა ისეთი ადამიანივით, რომლისათვისაც მნიშვნელობა არა აქვს ხუთი ლუიდორით მეტი დაეხარჯება თუ ნაკლები. ქალბატონმა ვოკემ ეს სამოთახიანი ბინა კიდევაც ცოტა შეალამაზა გორიოსგან მიღებული ბეთი, ამბობდნენ, ეს ფული ქვრივმა ხარახურა მოწყობილობის შესაძენად დახარჯაო: იყიდა ყვითელი ყალამქრის ფარდები, უტრეხტის ხავერდგადაკრული გალაქული ხის სავარძლები, წებოს საღებავებით დახატული რამდენიმე სურათი და კედლის ქაღალდი, რომელსაც გარეუბნის სამიკიტნოებშიაც არ კადრულობდნენ. შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ მამა გორიო, იმ ხანებში პატივისცემით ბატონ გორიოდ წოდებული, უდარდელი გულუხვობით წამოეგო ამ ანკესზე, იფიქრეს, საქმეების არაფერი გაეგებაო და სულელად ჩათვალეს. გორიო მოვიდა კარგი ჩასაცმელ-დასახურავით მომარაგებული, მას საუცხოო ნივთები ჰქონდა, როგორც შეეფერება საქმეებიდან გადამდგარ სოვდაგარს, რომელიც არაფერს არ იკლებს. ქალბატონ ვოკეს თვალი დარჩა ნახევრადჰოლანდიური ტილოს თვრამეტ პერანგზე, როელთა ხარისხის სიწმინდე მით უფრო შესამჩნევი იყო, რომ მევრმიშელე რბილ ჟაბოში ძეწკვით შეერთებულ ორ ქინძისთავს ირჭობდა, ამ ქინძისთავებში თითო მსხვილი ბრიალინტი იყო ჩასმული. ჩვეულებრივ, ის ღიღილოსფერ ფრაკს ატარებდა და ყოველდღიურად იცვლიდა თეთრი პიკეს ჟილეტს. ჟილეტის ქვეშ მსხლისებურად მოყვანილი ღიპი ირხეოდა და ახტუნებდა ბრელოკებიან ოქროს მძიმე ძეწკვს. ოქროსავე საბურნუთეში ჩასმული ჰქონდა ქალის თმით სავსე მედალიონი, რაც მას სამიჯნურო თავგადასავლის მქონე კაცის იერსაც აძლევდა. როდესაც სახლის პატრონმა უთხრა, არშიყი კაცი ბრძანებულხართო, მას ტუჩებზე იმ ტლუ ბიჭის მხიარული ღიმილი

აუთამაშდა, რომელსაც ეშმაკობას მიუხვდნენ. მისი ზანდუკები (ამ სიტყვას ის მდაბიურად გამოთქვამდა) გამოტენილი იყო სუფრის ვერცხლეულით. ქვრივს თვალები აენთო, როდესაც მან ზრდილობის გულისთვის უშველა გორიოს ბარგის გახსნა და ოქროცურვილი ვერცხლის ჩამჩების, რაგუს დასასმელი კოვზების, დანა-ჩანგლის, სხვადასხვაგვარი საწებლის ჭურჭლეულის, ლანგრების, საუზმის სერვიზის, და სხვა ასეთი თუ ნაკლებად ლამაზი და მძიმე ნივთების დალაგება, რომელთა მოშორება მათ პატრონს არაფრის გულისთვის არ სურდა. ამ საჩუქრებს ის ინახავდა თავისი ოჯახური ცხოვრების საზეიმო შემთხვევების სახსოვრად.

_ აი ეს, _ უთხრა მან ქალბატონ ვოკეს და უჩვენა ერთი თეფში და ერთიც მომცრო ფინჯანი, რომლის ხუფზე ორი მტრედი იყო გამოყვანილი, ერთმანეთს რომ ჰკოცნიდნენ, _ ჩემი ცოლის პირველი საჩუქარია, ჩვენი ქორწინების წლისთავზე მორთმეული. საწყალი! ამაზე დაეხარჯა, რაც გათხოვებამდე ფული ჰქონდა დაზოგილი. მეც უმალ ფრჩხილებით მიწის თხრაზე დავთანხმდები და ამას კი არ მოვიშორებ. ღვთის მადლით, რაც დღე და სიცოცხლე დამრჩენია, ყოველ დილით შემიძლია ამით ყავა დავლიო. შესაცოდი არაფერი მაქვს, ლუკმა-პური დიდხანს მეყოფა.

ყოველივე ამასთან ერთად ქალბატონმა ვოკემ თვისი კაჭკაჭის თვალებით კარგად შეამჩნია ზოგიერთი ჩანაწერები გორიოს დავთარში, საიდანაც დაახლოებითი ვარაუდითაც გამოდიოდა, რომ ამ ყოვლად შესანიშნავ გორიოს წლიურად რვა ან ათი ათასი ფრანკი შემოსავალი უნდა ჰქონოდა. ამ დღიდან ქალბატონ ვოკეს, მამის გვარით დე კონფლანს, რომელსაც ორმოცდარვა წელიწადი შეუსრულდა, თუმცა ამბობდა, ოცდაცხრამეტისა ვარო, ერთი აზრი აეკვიატა. მიუხედავად იმისა, რომ გორიოს თვალის კილოები გადმობრუნებული, დასიებული და დაწეული ჰქონდა, რის გამოც იძულებული იყო ხშირად მოეწმინდა თვალები, ქვრივმა დაასკვნა, ის სასიამოვნო და კარგი შესახედავი მამაკაციაო. ამასთან, მისი ხორციანი მრგვალი წვივის კუნთები, ისევე როგორც მისი გრძელი და ფართო ცხვირი, მოწმობდნენ ისეთ ზნეობრივ თვისებებს, რომლებსაც ქვრივი, როგორც ჩანს, დიდად აფასებდა, და რომლებსაც აგრეთვე გორიოს გაბადრული და მიამიტი გულუბრყვილო სახეც ამტკიცებდა. ქალის წარმოდგენით, გორიო ჭარმაგი მოხუცი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კიდევ შეეძლო გრძნობას აჰყოლოდა. ფრთებით შუაზე გაყოფილი თმა, რომელსაც ყოველ დილით უპუდრავდა მასთან მოსიარულე პოლიტექნიკური სკოლის დალაქი, გორიოს დაბალ შუბლზე ხუთ კულულად ეცემოდა და სახეს უმშვენებდა. თუმცა გორიო ცოტა გაუთლელი იყო, მაგრამ ისე გამოწკეპილი

გამოდიოდა, ისე გულუხვად ამოიღებდა ხოლმე ბურნუთს და შეიყრიდა ცხვირში, თითქოს დარწმუნებულია, რომ საბურნუთე მუდამ სავსე ექნება მაკუბათი. როდესაც მისი გადმოსახლების დღე დაღამდა, ქალბატონი ვოკე, როგორც კაკაბი იხრაკება საკუთარ ქონში, ისე იწვოდა ლოგინში სურვილის ცეცხლით, რომ განშორებოდა ვოკეს სუდარას და გორიოს თანამეცხედრედ გამოღვიძებოდა. მას ელანდებოდა გათხოვება, თავისი პანსიონის გაყიდვა, ბურჟუაზიის რჩეულ წარმომადგენელთან ხელიხელ ჩაკიდებული ცხოვრება, სახლი და პატივისცემა თავის უბანში, ღარიბ-ღატაკთათვის შემოწირულების შეგროვება, კვირაობით გასეირნება შუაზიში, სუაზიში, ჟანტილიში; თეატრებში თავის ნებაზე სიარული, ლოჟაში ჯდომა. მაშინ როდესაც თეატრი ხანდახან ივლისის თვეში თუ ეღირსებოდა ხოლმე, თუ როელიმე მდგმური უფასო ბილეთს მოუტანდა; ერთი სიტყვით, ის ოცნებობდა პარიზული მდაბიო ოჯახების ელდორადოზე. მას არავისთვის არ გაუმჟღავნებია, რომ ორმოცი ათასი ფრანკი ჰქონდა თითო კაპიკობით მოგროვილი. რა თქმა უნდა, მზითვის მხრივ მას თავისი თავი სასურველ საპატარძლოდ მიაჩნდა.

«სხვა მხრივაც არაფრით იმ ბებრუხანაზე ნაკლები არა ვარ!» _ თქვა მან გუნებაში და გვერდი იცვალა, თითქოს იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ ეგრძნო თავისი მშვენება, რაიცა ყოველ დილით ლეიბზე ღრმად აღბეჭდილი ხვდებოდა ხოლმე სქელ სილვიას.

ამ დღიდან დაწყებული სამი თვის განმავლობაში ვოკეს ქვრივი ბატონი გორიოს დალაქით სარგებლობდა და ცოტაოდენი თანხაც გაიღო თავისი ტუალეტისთვის, რასაც იმით ამართლებდა, რომ საჭიროა სახლს მიეცეს იმ ღირსეულ გვამთა საკადრისი სახე, რომლებიც მას ეტანებიან. მან ათასგვარ ოინებს მიმართა, რომ როგორმე შეეცვალა თავისი პანსიონერების შემადგენლობა და ხმა დაარხია, ამას იქით მხოლოდ ყოველმხრივ გამოჩენილ ხალხს დავიყენებ მდგმურებადო. როდესაც ვინმე უცხო ადამიანი მოვიდოდა მასთან, ის ტრაბახს მოჰყვებოდა ხოლმე, ბატონმა გორიომ, პარიზის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო სახელოვანმა და გამოჩენილმა სოვდაგარმა, ჩემს სახლს სცაო პატივი. მან გაავრცელა პროსპექტები, რომლებსაც სათაურად ჰქონდათ: ვოკეს სახლი. იქ ეწერა, რომ ეს სახლი ლათინური კვარტალის ერთ-ერთი უძველესი და უპატივცემულესი ოჯახური პანსიონი არისო, იქიდან საამური ხედი იშლება გობელენების ხეობაზე (უკანასკნელი მხოლოდ მესამე სართულიდან მოჩანდა) და მშვენიერი ბაღი აქვს, რომლის ბოლოში ცაცხვების ხეივანია გადაჭიმულიო. ლაპარაკი იყო აგრეთვე კარგ ჰაერზე და მყუდრო განმარტოებულ მდებარეობაზე. ამ პროსპექტმა მასთან მოიყვანა გრაფ დე ლ'ამბერმენილის მეუღლე, ოცდათექვსმეტი წლის ქალი, რომელიც უცდიდა პენსიის საქმის დამთავრებასა და

მოგვარებას, რაც მას ეკუთვნოდა როგორც ბრძოლის ველზე დაღუპული გენერლის ქვრივს. ქალბატონმა ვოკემ გააუმჯობესა კვება, ექვსი თვის განმავლობაში ცეცხლს ანთებდა დარბაზებში და საერთოდ ისე ცდილობდა პროსპექტის დანაპირების შესრულებას, რომ კინაღამ გაკოტრდა. ამის გამო გრაფის მეუღლე ეუბნებოდა ქალბატონ ვოკეს, რომელსაც ძვირფას მეგობარს უწოდებდა, აუცილებლად უნდა გადმოვიყვანო თქვენთან ორი ჩემი მეგობარი, ბარონ ვომერლანის მეუღლე და პოლკოვნიკის, გრაფ პიკუაზოს ქვრივი, რომლებსაც ცოტა ხანში უნდა გაუთავდეთ პანსიონის ვადა მარეში, სადაც ვოკეს სახლზე უფრო ძვირ პანსიონში ცხოვრობენო. თუმცაო, იმ მანდილოსნებს აღარაფერი გაუჭირდებათ, როცა სამხედრო კანცელარიები მათ საქმეს დაამთავრებენო.

_ მაგრამ, _ ამბობდა ის, _ კანცელარიები ყველაფერს აჭიანურებენ.

ორივე ქვრივი სადილის შემდეგ ერთად ადიოდნენ ხოლმე ქალბატონ ვოკეს ოთახში, სადაც მუსაიფში ატარებდნენ დროს და თან შავი მოცხარის ნაყენსა და დიასახლისისთვის განკუთვნილ ტკბილეულს გიახლებოდნენ. ქალბატონმა დე ლ'ამბერმენილმა ფრიად მოიწონა თავისი დიასახლისის ზრახვები გორიოს მიმართ, საუკეთესო ზრახვები, რასაც, უნდა ითქვას, პირველი დღიდანვ მიუხვდა; მისი აზრითაც, გორიო ჩინებული მამაკაცი იყო.

_ აჰ! ჩემო ძვირფასო ქალბატონო, _ ეუბნეობდა მას ქვრივი, _ ის მშვენივრად მოვლილია, თავშენახულია კაცია და კიდევ შეუძლია მრავალმხრივ ასიამოვნოს დედაკს.

გრაფის ქვრივმა დიდსულოვნად რამდენიმე მითითება მისცა ქალბატონ ვოკეს მისი ჩაცმა-დახურვის გამო, ეს თქვენს პრეტენზიებს არ შეეფერებაო.

_ თქვენ საომარ ფეხზე უნდა დაგაყენოთ, _ უთხრა მას.

ბევრი ანგარიშის შემდეგ ორივე ქვრივი ერთად წავიდა პალე-როიალში, სადაც «ხის გალერეაში» იყიდეს ბუმბულებით შემკული ქუდი და ერთიც თავსაბურავი. შემდეგ გრაფის მეუღლემ თავისი მეგობარი წაიყვანა «პატარა ჟანეტას» მაღაზიაში, სადაც აირჩიეს კაბა და შარფი. როდესაც ეს საბრძოლო საჭურველი გამოყენებულ იქნა და ქვრივი შეიარაღდა, ის სავსებით დაემსგავსა «ბეფ ა ლამოდ»-ის აბრაზე დახატულ ხარს. მიუხედავად იმისა, მან ისე გამოცვლილად და დამშვიდებულად მიიჩნია თავისი თავი, რომ იფიქრა, გრაფის მეუღლემ დიდი სამსახური გამიწიაო, და თუმც მაინცდამაინც ხელგაშლილობა არ ახასიათებდა, საჩუქრად ერთი ოცფრანკიანი ქუდი მიართვა. მართალი რომ ითქვას, ქვრივს განზრახული ჰქონდა გრაფის მეუღლისათვის ეთხოვა, რომ მას გამოერკვია გორიოს აზრები და შეექო მევერმიშელესთან ქ-ნი ვოკე. ქალბატონმა დე

ლ’ანბერმენილმა დიდი სიამოვნებით იკისრა ეს საქმე, დაიწყო მოხუცი მევერმიშელეს გარშემო ტრიალი და მოახერხა მასთან სალაპარაკოდ განმარტოება; მაგრამ, როდესაც ყოველივე მისი ცდა _ საკუთრივ თავისთვის შეეცდინა გორიო, რისიც მას დიდი სურვილი ჰქონდა _ მოხუცის მორცხვობას, ანუ სწორად რომ ითქვას, ურჩობას შეეჯახა, იგი მისი უზრდელობით აღშფოთებული გამოვარდა გარეთ.

_ ჩემო ანგელოზო, _ უთხრა მან თავის მეგობარს, _ ამ კაცს ვერაფერს გამორჩებით! პირდაპირ სასაცილოა მისი უნდობლობა, კრიჟანგია, პირუტყვი, სულელი და მისგან უსიამოვნების მეტს ვერაფერს მიიღებთ.

ბატონ გორიოსა და ქალბატონ დე ლ’ამბერმენილს შორის ისეთი რამ მომხდარიყო, რომ გრაფის მეუღლეს აღარც სურდა მასთან ერთად დარჩენა. მეორე დღესვე ის იქიდან აიბარგა ისე, რომ ექვსი თვის ქირის გადახდა დაივიწყა და სამაგიეროდ, რაღაც ძონძი-კონკები დასტოვა, რომლებიც ხუთ ფრანკად შეაფასეს. ძალიან გაგულისებული დაეძებდა მას ქალბატონი ვოკე. მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო გრაფ დე ლ’ამბერმენილის მეუღლის შესახებ პარიზში. ის ხშირად გაიხსენებდა ხოლმე ამ სამწუხარო შემთხვევასა და უჩიოდა თავის მეტისმეტად გულდანდობილ ხასიათს, თუმცა ნამდვილად კატაზე უფრო დაუნდობელი იყო. მაგრამ ის მიაგავდა ბევრ სხვას, რომლებიც თავის ახლობლებს არ ენდობიან და პირველსავე ვიგინდარას კი ხელში უვარდებიან. ახირებული ფსიქოლოგიური მოვლენაა, მაგრამ ჭეშმარიტად არსებული, და მისი ფესვები ადვილი საპოვნელია ადამიანის გულში. ალბათ, ზოგიერთი ადამიანი, რაკი არ შეუძლია იმათი სიყვარული მოიპოვოს, ვისთანაც ცხოვრობს, რადგან მას თავისი სულის სიცარიელეს აჩვენებს, გრძნობს, ჩემს გარშემო მყოფნი დამსახურებული სიმკაცრით გამომიტანენო განაჩენს. მაგრამ დაუძლეველი სურვილი აწუხებთ, მოისმინონ ქება, რაც მათ არავისგან არ ესმით, ან უნდათ ხალხს მოაჩვენონ ისეთი ღირსებები, რომლებიც ნამდვილად არ გააჩნიათ, და ამიტომ იმედი აქვთ, უცხოთა გულს მაინც მოვიგებო, ან მათ პატივისცემას მოვიპოვებთო, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ესეც შეიძლება დაჰკარგონ. დაბოლოს, ბუნებით ანგარიშიანი ადამიანები, რომლებიც არავითარ სიკეთეს არ უზამენ არც მეგობრებს და არც მახლობლებს, რადგან ეს მათი ვალია, მაშინ როდესაც უცნობ ვინმეს სამსახურს გაუწევენ თავმოყვარეობისა და სახელის გულისათვის; რაც უფრო ახლოს არის მათთან მათი მახლობლების წრე, მით უფრო ნაკლებად უყვართ მათ ისინი, ხოლო რაც უფრო დაშორებულია, მით უფრო ცდილობენ სიკეთე გამოიჩინონ. ქალბატონ ვოკეში

უდავოდ შეერთებული იყო ორივენაირი ბუნება, ორივე არსებითად წვრილმანი, ყალბი და საზიზღარი.

_ მე რომ აქ ვყოფილიყავი, _ ეტყოდა ხოლმე ვოტრენი, _ ეს უბედურება არ დაგემართებოდათ! ეს იმ ოინბაზს ხელად შევატყობდი ყველაფერს. მე მაგათ სიფათზე ვიცნობ.

როგორც ყოველი გონებაშეზღუდული ადამიანი, ქალბატონი ვოკეც ჩვეულებრივად მოვლენათა წრეს არ გასცდებოდა ხოლმე და მათი მიზეზების კვლევა-ძიებას არ გამოეკიდებოდა. მას თავისი შეცდომების სხვებისთვის გადაბრალება უყვარდა. როდესაც მან ასეთი ზარალი განიცადა, თავისი უბედურების უმთავრეს მიზეზად პატიოსანი მევერმიშელე ჩათვალა და იმ დღიდან, როგორც თვით ამბობდა, თვალი აეხილა. რაკი შეატყო, რომ ყოვლად ამაოა კეკლუცობა და ტანსაცმელზე ფულის ხარჯვა გორიოს მისაზიდავად, დიდი ფიქრიც არ დასჭირვებია, რომ მიზეზს მიხვედრილიყო. მან შეამჩნია, რომ მის პანსიონერს თურმე, მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თავისი ზნენი ჰქონია. ერთი სიტყვით, ის საბოლოოდ დარწმუნდა, ჩემი ასეთი სიყვარულით ნალოლიავები იმედი ქიმერულ საძირკველზე ყოფილა აშენებულიო და, გრაფის მეუღლის ენერგიულ სიტყვებს თუ დავუჯერებთ, რომელიც ამ საქმეების მცოდნე ჩანდა, იმ კაცს ვერასოდეს ვერაფერს გამორჩებოდა. რა თქმა უნდა, სიძულვილს უფრო ღრმად ჩაჰყვა ქვრივი, ვიდრე მეგობრობას. ახლანდელი სიძულვილი მის ადრინდელ სიყვარულს კი არ შეესაბამებოდა, არამედ მის გაცრუებულ იმედებს. თუ ადამიანის გული სვენებ-სვენებით ადის სიყვარულის მწვერვალისკენ, სამაგიეროდ სიძულვილის ციცაბო დაღმართში იშვიათად თუ შეფერხდება. მაგრამ ბატონი გორიო მისი მდგმური იყო და ქვრივი იძულებული იყო, შეეკავებინა თავისი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის ღელვა, ჩაეხშო მოტყუებული გულის ოხვრა და ჩაეკლა შურისძიების სურვილი, როგორც ბერია ხოლმე იძულებული, ყველაფერი მოუთმინოს მონასტრის წინამძღვარს. სულმოკლე ადამიანები თავის გრძნობებს, კარგსაც და ცუდსაც, წვრილმანი საქციელით იკმაყოფილებენ. ქვრივმაც ქალური ცბიერება მოიშველია და თავისი მსხვერპლის იდუმალი დევნისთვსი ათასგვარ ხრიკებს მიმართა. დაიწყო იმითი, რომ ჯერ ყველაფერი შეკვეცა, რაც საერთო სუფრაზე ჰქონდა ბოლო ხანებში შემოღებული.

_ არავითარი კორნიშონები, არავითარი ანჩოუსები: ეს სულ თავის მოტყუებაა! _ განუცხადა მან სილვიას იმ დილას, როდესაც გადაწყვიტა ძველ პროგრამას დაბრუნებოდა.

ბატონი გორიო ერთი საჭმელ-სასმელში თავშეკავებული კაცი იყო, რომელსაც ყველა მათ მსგავსად, ვინც სარჩოს საკუთარი შრომით იძენს, ყაირათიანობა ჩვეულებად გადაჰქცეოდა. წვნიანი, ხაშლამა ხორცი და ცოტა ბოსტნეული მუდამ მისი საყვარელი სადილი ყოფილა და ახლაც იყო. ამიტომ ძალიან გაუძნელდა ქალბატონ ვოკეს თავისი მდგმურის დაჩაგვრა, რადგან ვერაფრით მოახერხა მისი გემოვნების შელახვა. სასოწარკვეთილმა, რომ ასეთი შეუვალი კაცი შეხვდა, მან აგდებულად დაუწყო მოპყრობა გორიოს და ამ გზით თავისი სიძულვილი თავის მდგმურებსაც გადასდო, რომლებიც სეირის გულისთვის მისი შურისძიების იარაღად იქცნენ. პირველი წლის ბოლოს ქვრივს იმდენად გაუღვივდა ეჭვები, რომ თავის თავს ეკითხებოდა, რისთვის დადგაო ჩემთან ეს მდიდარი სოვდაგარი, რომელსაც შვიდი-რვა ათასი ფრანკი შემოსავალი აქვს, საუცხოო ვერცხლეული და მშვენიერი ძვირფასი ნივთები, როგორც ხასას, და მაინც თავის სარჩოსთან შეფარდებით ასე ძუნწად ხარჯავს თავისთვისო. თითქმის მთელ პირველ წელიწადს გორიო კვირაში ერთხელ თუ ორჯერ პანსიონის გარეთ სადილობდა ხოლმე; შემდეგ შეუმჩნევლად, მან მოუკლო ქალაქში სადილობას და ბოლოს თვეში ორჯერ ან სამჯერ თუ წავიდოდა. ბატონი გორიოს დროსტარება ქალბატონ ვოკესთვის მეტად სარფიანი საქმე იყო და ამიტომ არ შეიძლებოდა მას უკმაყოფილება არ ეგრძნო იმ მზარდი წესიერების გამო, რომლითაც მან პანსიონში სადილობა დაიწყო. ასეთი ცვლილება ქვრივმა ახსნა როგორც გორიოს სარჩოს ნელი შემცირებით, ისე დიასახლისისთვის ჯიბრში ჩადგომის სურვილით. ამ სულნამცეცების უსაზიზღრესი ჩვეულება ისაა, რომ თავიანთი სულიერი სიმდაბლე სხვებსაც უნდა მიწერონ ხოლმე. საუბედუროდ, მეორე წლის ბოლოს ბატონმა გორიომ გაამართლა მითქმა-მოთქმა, რომლის საგნადაც ის იქცა, და ქალბატონ ვოკეს მეორე სართულზე გადაყვანა და პანსიონის ცხრაას ფრანკამდე შემცირება სთხოვა. მას ისეთი მკაცრი მომჭირნეობა დასჭირდა, რომ მთელი ზამთარი თავის ოთახში ცეცხლი აღარ დაუნთია. ვოკეს ქვრივმა ფულის წინასწარ გადახდევინება მოისურვა, რაზედაც გორიო დათანხმდა, მაგრამ იმ დღიდან ქვრივმა მას უკვე მამა გორიო დაარქვა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა თავს იტეხდა ასეთი დაცემის მიზეზის გამოსაცნობად. მაგრამ ეს ძნელი ამოცანა აღმოჩნდა. როგორც ცრუ გრაფის მეუღლემ თქვა, გორიო ჩუმი მუზმუზელა იყო. თანახმად თავცარიელი ადამიანების ლოგიკისა, რომლებიც ენაჭარტალა არიან, რადგან სისულელეების მეტი არაფერი აქვთ სათქმელი, ყველა, ვინც თავის საქმეებზე არ ლაპარაკობს, უთუოდ საძრახის საქმიანობას ეწევა. ამრიგად, განთქმული სოვდაგარი გადაიქცა თაღლითად, არშიყი კაცი _ მოხუც ტაკიმასხარად. ხან, ვოტრენის გავლენით,

რომელიც სწორედ იმ ხანებში დასახლდა ვოკეს სახლში, ეგონათ, მამა გორიო ისეთი კაცია, ვინც ბირჟაზე დადის და თუმცა თვითონ გაკოტრდა, მაგრამ, ფინანსისტთა ენის საკმაოდ ენერგიული გამოთქმის თანახმად, სხვის შემოსავალს სწიწკნისო, ხან ბანქოს წვრილფეხა მოთამაშედ თვლიდნენ, რომელიც ყოველ საღამოს ათ ფრანკს იმეტებს სათამაშოდ და ამდენსავეს იგებს. ხან საიდუმლო პოლიციის ჯაშუშად აქციეს, თუმცა, ვოტრენი ამტკიცებდა, სამაგიეროდ ეშმაკობა აკლიაო. მამა გორიო იყო აგრეთვე ძუნწი მევახშე, რომელიც მოკლევადიან სესხს იძლევა დიდი ვახშით, და ადამიანი, რომელიც ლატარეის ბილეთებით თაღლითობს. ერთი სიტყვით, რაც კი ბიწიერებამ, უძლურებამ და უპატიურობამ შეიძლება უიდუმალესად წარმოშოს, ყველაფერს გორიოს მიაწერდნენ. მაგრამ, რაც უნდა საძრახისად ჩაეთვალათ გორიოს საქციელი ან მისი მანკიერება, სიძულვილი მისდამი იქამდე არ მიდიოდა, რომ ის განედევნათ: ის პანსიონის საფასურს იხდიდა. გარდა ამისა, მას სარგებლობაც მოჰქონდა: ყოველი მდგმური თავის ცუდსა თუ კარგ გუნებას მასზე იქარვებდა და საბრალოს ხან დასცინოდნენ, ხან დაუტევდნენ ხოლმე.

სინამდვილესთან ყველაზე ახლოს ჩანდა ქალბატონი ვოკეს შეხედულება, რომელსაც ყველა მიემხრო. მას თუ დავუჯერებდით, «ეს მოვლილი და თავშენახული მამაკაცი, რომელსაც კიდევ მრავალმხრივ შეუძლია დედაკაცს ასიამოვნოს», ერთი გარყვნილი ვინმე იყო და უცნაური მიდრეკილებები ჰქონდა. აი, რა ფაქტებით ასაბუთებდა თავის ცილისწამებას ვოკეს ქვრივი. იმ დასაღუპავი გრაფის მეუღლის წასვლის შემდეგ, რომელმაც მთელი ექვსი თვის განმავლობაში მოახერხა თავის შენახვა ქვრივის ხარჯზე, ერთ მშვენიერ დილას, ადგომამდე, მას კიბიდან შემოესმა აბრეშუმის კაბის შრიალი და ახალგაზრდა ცქრიალა ქალის მსუბუქი ნაბიჯები, რომელიც გორიოს ბინისკენ მიიპარებოდა, სადაც წინდახედულად გაღებული კარები დაუხვდა. სქელი სილვია მაშინვე მოვარდა თავის ქალბატონთან და ამბავი მოუტანა, რომ ვიღაც ახალგაზრდა ქალი, ისე ლამაზი, რომ, ალბათ, პატიოსანი არ იქნებოდაო, ღვთაებასავით ჩაცმულ-დახურული, სრულიად გაუტალახიანებელი პრუნელის ფეხსაცმელებით, ქუჩიდან კალმახივით შემოსრიალდა ჩემთან სამზარეულოში და ბატონი გორიოს ბინა მკითხაო. ქალბატონმა ვოკემ და მისმა მზარეულმა ქალმა იმწამსვე ჩუმად ყური მიუგდეს. და ამ საკმაოდ ხანგრძლივი სტუმრობის დროს რამდენიმე ნაზად ნათქვამ სიტყვას მოჰკრეს ყური. როდესაც ბატონმა გორიომ თავისი სტუმარი ქალი გააცილა, მაშინვე სქელმა სილვიამ კალათს სტაცა ხელი, ვითომ ბაზარში მივდივარო, და შეყვარებულ წყვილს აედევნა.

_ ქალბატონო, _ უთხრა მან თავის ქალბატონს, როცა დაბრუნდა, _ ეშმაკმა იცის, რა მდიდარი უნდა იყოს ბატონი გორიო, თუკი ის თავის საყვარლებს ასე ინახავს. წარმოიდგინეთ, რომ ესტრაპადის კუთხეში მდიდრული ეტლი იცდიდა და გორიოს საყვარელი იმ ეტლში ჩაჯდა.

სადილზე ქვრივი ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გამოსწია, რომ მზეს არ შეეწუხებინა გორიო, რომელსაც სხივი თვალებში ხვდებოდა.

_ ბატონო გორიო, თქვენ ლამაზ ქალებს ჰყვარებიხართ, ხედავთ, როგორ გეთამაშებათ მზე, _ უთხრა მან და დილანდელ სტუმარზე გადაუკრა სიტყვა. _ დალახვროს ეშმაკმა! კარგი გემოვნება კი გქონიათ, ძალიან ლამაზი იყო ის ქალი.

_ ის ჩემი ქალიშვილია, _ ერთგვარი სიამაყით თქვა გორიომ, რომელშიც მდგუმრებმა მხოლოდ მოხუცის თვითკმაყოფილება დაინახეს, რომელიც ზრდილობისთვის ცდილობს გარეგნული წესიერება დაიცვას.

ერთი თვის შემდეგ ბატონ გორიოსთან სტუმრობა განმეორდა. მისი ქალიშვილი, პირველად დილის სადა ტანისამოსით რომ მოვიდა, ამჯერად სადილის შემდეგ ეწვია სადარბაზოდ გამოწყობილი. პანსიონერებს, რომლებიც სასტუმრო ოთახში მუსაიფობდნენ, შემთხვევა მიეცათ, დამტკბარიყვნენ ლამაზი, კოხტა და ტანწერწეტი ქერა ქალის მზერით. ქალი მეტისმეტად მოხდენილი იყო საიმისოდ, რომ ვიღაცა გორიოს ქალიშვილი ყოფილიყო.

_ ორნი ყოფილან! _ თქვა სქელმა სილვიამ, რომელმაც სტუმარი ვეღარ იცნო. რამდენიმე დღის შემდეგ სხვა ქალიშვილმა მოაკითხა ბატონ გორიოს, მაღალმა, ტანადმა, შავგრემანმა, შავთმიანმა და ცოცხალთვალებამ.

_ სამნი ყოფლან! _ თქვა სილვიამ.

ეს მეორე ქალიშვილიც, რომელიც პირველად აგრეთვე დილით მოვიდა მამის სანახავად, რამდენიმე დღის შემდეგ საღამოთიც ეწვია მას. სამეჯლისო კაბა ეცვა და ეტლით მოვიდა.

_ ოთხნი ყოფილან! _ თქვეს ქალბატონმა ვოკემ და სქელმა სილვიამ, რომლებმაც ვერავითარი მსგავსება ვერ შენიშნეს ამ წარჩინებულ ქალბატონსა და სადად ჩაცმულ ახალგაზრდა ქალს შორის, ამას წინათ დილით პირველად რომ ესტუმრა გორიოს.

გორიო მაშინ ჯერ კიდევ ათას ორას ფრანკს იხდიდა პანსიონში. ქალბატონმა ვოკემ სავსებით ბუნებრივად მიიჩნია, რომ მდიდარ კაცს ოთხი-ხუთი საყვარელი ჰყავდეს, და ეშმაკობაც კი მოუწონა, რა მოხერხებულად ასაღებს თავის ქალიშვილებადო. ის

სრულიადაც არ აღშფოთებულა იმის გამო, რომ გორიო მათ «ვოკეს სახლში» იღებდა. მაგრამ ვინაიდან ამ სტუმრობით ხსნიდა ის თავისი მდგმურის გულგრილობას მის მიმართ. მეორე წლის დამდეგს მან თავის თავს ნება მისცა მისთვის ბებერი ხვადი კატა ეწოდებინა. ბოლოს კი, როდესაც უკვე მისი მდგმური ცხრაას ფრანკზე ჩამოვარდა, მან ერთხელ, როცა გორიოსგან გამოსული ერთ-ერთი ამ ახალგაზრდა მანდილოსთაგანი დაინახა, უტიფრად ჰკითხა მოხუცს, რად გინდა გადააქციო ჩემი სახლიო. მამა გორიომ უპასუხა, ეს მანდილოსანი ჩემი უფროსი ქალიშვილიაო.

_ რაო, ოცდათექვსმეტი ქალიშვილი ხომ არა გყავთ? _ მკვახედ უთხრა ქალბატონმა ვოკემ.

_ არა, მხოლოდ ორი ქალიშვილი მყავს, _ წყნარად უპასუხა მდგმურმა, როგორც სჩვევია გაკოტრებულ კაცს, რომელსაც უბედურებამ ყველას მორჩილება ასწავლა.

მესამე წლის ბოლოს მამა გორიომ კიდევ უფრო შეამცირა თავისი ხარჯები, მესამე სართულზე გადასახლდა და თავის პანსიონის გადასახადი თვეში ორმოცდახუთ ფრანკამდე შეკვეცა. მან მიატოვა ბურნუთი. გაისტუმრა თავისი დალაქი და თმაზე პუდრის დაყრაც აიკვეთა. როდესაც მამა გორიო პირველად გამოვიდა გაუპუდრავი, მისმა დიასახლისმა გაოცებისაგან შეჰყვირა მისი თმის ფერის დანახვაზე; თმა ჭუჭყიანი მომწვანო-რუხი ფერის ჰქონდა. მისი სახე, რომელიც იდუმალი კაეშნისაგან შეუმჩნევლად დღითიდღე უფრო ნაღვლიანი ხდებოდა, სასადილო მაგიდის დამამშვენებელ სახეთა შორის ყველაზე სასოწარკვეთილი ჩანდა. მაშინ უკვე ეჭვი აღარავის დარჩა: მამა გორიო გარყვნილი ბებრუცუნა იყო, რომლის თვალები მხოლოდ დახელოვნებულ ექიმს გადაურჩენია იმ წამალთა მავნე გავლენისაგან, რომლებიც მის სნეულებათათვის უნდა ყოფილიყვნენ აუცილებელი. თმის საზიზღარი ფერი გამოწვეული იყო სიყვარულის გადაჭარბებული განცხრომისა და იმ წამლების მიერ, რომლებსაც ის უთუოდ იღებდა ამ განცხრომათა გასახანგრძლივებლად. საცოდავი კაცის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა თითქოს ამართლებდა ამ აბდაუბდას. როდესაც მას თავისი საუცხოო თეთრეული გაუცვდა, მის შესაცვლელად მან ყალამქარი იყიდა წყრთა თოთხმეტ სუდ. მისი ბრილიანტები, მისი ოქროს საბურნუთე, მისი ძეწკვი, მისი ძვირფასი ნივთები სულ სათითაოდ გაქრნენ. მან გაიხადა თავისი ღიღილოსფერი ფრაკი და საერთოდ მთელი თავისი მდიდრული ტანსაცმელი, და ზამთარ-ზაფხულ ეცვა უხეში წაბლისფერი მაუდის რედინგოტი, თხის მატყლის ჟილეტი და ნაცრისფერი ჯვალოს შარვალი. ის დღითიდღე შესამჩნევად ხდებოდა; წვივებზე ხორცი დაუვარდა; სახე, რომელიც მდაბიური

კეთილდღეობით ჰქონდა გაღაჟღაჟებული, უზომოდ დაუნაოჭდა; შუბლი დაეღარა, ყბის ძვლები ამოუჯდა. ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე მისი ცხოვრების მეოთხე წლის განმავლობაში ის უკვე თავის თავს აღარ ჰგავდა. სადღა იყო სანდომიანი სამოცდაცხრა წლის მევერმიშელე, რომელიც ორმოცი წლისაზე უფროსი არ გეგონებოდათ, მაღალი და ჩასუქებული ბურჟუა, დაუჯერებლად ახალგაზრდული შესახედაობისა, რომლის ლაღი თავის დაჭერა გამვლელ-გამომვლელსაც ახარებდა, თავისი ჭაბუკური ღიმილით სახეზე; ის ახლა სამოცდაათი წლის გამოთაყვანებულ მოცახცახე, ფერმკრთალ მოხუცს დაემსგავსა. ერთ დროს ასე ცოცხალი ცისფერი თვალები ჩაუქრა. ჩაეფერფლა და მკრთალი ფოლადისფერი გაუხდა, აღარ ეცრემლებოდა, მაგრამ მათი წითელი კილოები თითქოს სისხლის ცრემლებით ტიროდნენ. ზოგს ის ზიზღს გვრიდა, ზოგს სიბრალულს. როცა მედიცინის ახალგაზრდა სტუდენტებმა შეამჩნიეს, რომ გორიოს ქვედა ტუჩი ჩამოშვებული ჰქონდა და სახის კუთხე აუზომეს, ჯერ დიდხანს უჩიჩხირეს, და რაკი ვერას გახდნენ, კრეტინიზმით დაავადებულად გამოაცხადეს იგი. ერთ საღამოს, სადილის შემდეგ, ქალბატონმა ვოკემ როგორღაც გამქირდავად ჰკითხა გორიოს: «რაო, თქვენი ქალიშვილები აღარ მოდიან თქვენ სანახავად?» ამით აგრძნობინა, შენი მამობა მეეჭვებაო. გორიო ამ კითხვაზე ისე შეკრთა, თითქოს დიასახლისს მისთვის წვეტიანი რკინა ეჩხვლიტოს.

_ ხანდახან მოდიან, _ უპასუხა მან აღელვებული ხმით.

_ ოჰო! თქვენ მათ კიდევ ნახულობთ ხოლმე? _ წამოიძახეს სტუდენტებმა, _ ყოჩაღ, მამილო გორიო!

მაგრამ მოხუცმა ვერ გაიგო დაცინვა, რომელიც მისმა პასუხმა გამოიწვია. ის ისევ თავის ფიქრებში გაერთო, რაც ზერელე დამკვირვებლებს ბებრული ჭკუასუსტობით გამოწვეულ გამოყეყეჩებად მიაჩნდათ. მათ რომ გორიო კარგად სცნობოდათ, იქნებ ძლიერაც დაინტერესებულიყვნენ მისი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობით. მაგრამ ამაზე ძნელი გადასაჭრელი მათთვის არაფერი ჩანდა, თუმცა ადვილი გამოსარკვევი გახლდათ, ნამდვილად იყო თუ არა გორიო მევერმიშელე და ჰქონდა თუ არა სიმდიდრე, მაგრამ ხნიერი ხალხი, ვისაც მის მიმართ ცნობისმოყვარეობა აღეძრა, არასოდეს უბნის გარეთ არ გადიოდნენ და კლდეზე მიზრდილი ხამანწკებივით ცხოვრობდნენ პანსიონში. რაც შეეხება დანარჩენებს, როგორც კი ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩიდან გამოვიდოდნენ, მაშინვე პარიზის ცხოვრების ძლიერი ნაკადი ჩაითრევდა ხოლმე და დაავიწყებდა მათ მიერ აბუჩად აგდებულ საბრალო მოხუცს. ამ გონებაშეზღუდული ადამიანების თვალში, ისევე როგორც ამ უზრუნველი ახალგაზრდების თვალშიც, მამა გორიოს ასეთი მწარე

სიღატაკე და გამოშტერება შეუთავსებელი იყო სიმდიდრესთან და საერთოდ რაიმე უნართან. ხოლო იმ ქალების შესახებ კი, რომლებსაც ის თავის შვილებს უწოდებდა, ყველა იზიარებდა ქალბატონ ვოკეს აზრს. დიასახლისი საღამოობით ლაყბობასა და ჭორიკანობას დაჩვეული დედაკაცის მკაცრი ლოგიკით ამტკიცებდა:

_ მამა გორიოს რომ ისეთი მდიდარი ქალიშვილები ჰყავდეს, როგორიც ის ქალები არიან, მასთან რომ მოდიოდნენ ხოლმე სანახავად, ის ჩემს სახლში არ დადგებოდა, ისიც მესამე სართულზე, თვეში ორმოცდახუთ ფრანკად და არც მათხოვარივით ჩაცმული ივლიდა.

ამ საბუთების უარყოფა არაფრით შეიძლებოდა. ამიტომ 1819 წლის ნოემბრის მიწურულს, როდესაც ამ დრამამ იფეთქა, პანსიონის თითოეულ მდგმურს უკვე სავსებით გარკვეული შეხედულება ჰქონდა საბრალო მოხუცის შესახებ. არავითარი ცოლი ან ქალიშვილი მას არასოდეს ჰყოლია; გადაჭარბებულმა ვნებათა ღელვამ ის გადააქცია ლოკოკინად, ადამიანისმაგვარ მოლუსკად, რომელიც უნდა მოთავსებული იქნეს ქუდოსანთა კლასში, როგორც ერთმა გარეშე მოსადილემ, საბუნებისმეტყველო მუზეუმის თანამშრომელმა თქვა. გორიოს გვერდით პუარეც კი არწივი და ჯენტლმენი იყო. პუარე ლაპარაკობდა, მსჯელობდა, პასუხს იძლეოდა. მართალია, საუბარში სულ ერთია ის ბევრს არაფერს ამბობდა, რადგან ჩვეულებად ჰქონდა, მხოლოდ თავისი სიტყვებით გაემეორებინა ის, რასაც სხვები იტყოდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც ის ხელს უწყობდა საუბარს, ცოცხლობდა, გრძნობებს ამჟღავნებდა; მაშინ როდესაც მამა გორიო, იმავე მუზეუმის თანამშრომლის სიტყვით, მუდმივად გაყინვის წერტილზე იმყოფებოდა. ეჟენ დე რასტინიაკი იმ ხანებში შინიდან ისეთი განწყობილებით დაბრუნდა, რომელიც კარგად უნდა იყოს ცნობილი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებისათვის, ან მათთვის, ვისაც სიძნელეების გავლენით ებადება რჩეულ ადამიანთა თვისებები. პარიზში ცხოვრების პირველ წელიწადს, როდესაც ფაკულტეტზე სწავლის პირველი საფეხურების დაძლევას ბევრი მეცადინეობა არ სჭირდებოდა, მას თავისუფალი დრო რჩებოდა, რომ მატერიალური პარიზის სანახაობანი და სიამოვნებანი ეგემნა. სტუდენტს დრო არ ეყოფა, თუ ის მოიწადინებს ყველა თეატრის რეპერტუარის გაცნობას, პარიზის ლაბირინთის დახლართული გზების გამოკვლევას, ზნე-ჩვეულებების შესწავლას, ენის ათვისებას, დედაქალაქის განსაკუთრებული გასართობების შეჩვევას, კარგი და ცუდი ადგილების შემოვლას, ლექციების მოსმენას და მუზეუმების სიმდიდრის აღნუსხვას. ამ დროს სისულელეები იტაცებენ, რომლებიც მის თვალში დიდ მნიშვნელობას იძენენ. მას თავისი

დიდი ადამიანი ჰყავს, კოლეჟ დე ფრანსის რომელიმე პროფესორი, ვისაც სწორედ იმიტომ უხდიან ფულს, რომ თავისი აუდიტორიის დონეზე იდგეს. ის ყელსაბამს ისწორებს და ლამაზ პოზებს იღებს, რათა კომიკური ოპერის პირველ სართულში მჯდომარე რომელიმე ქალს თავი მოაწონოს. ასე თანდათანობით ეცნობა ის ცხოვრებას, ხალხში გამოდის, იფართოებს ცხოვრების ჰორიზონტს და ბოლოს ჩასწვდება ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა ფენების ურთიერთობას. თუ დასაწყისში ის აღტაცებაში მოჰყავს მზიან დღეში ელისეს მინდვრებზე მწკრივად მოსეირნე ეტლებს, მალე შეშურდება, რატომ საკუთარი ეტლი არა მყავსო.

ეჟენმა შეუცნობლად გაიარა ეს შეგირდობის სკოლა, ვიდრე არდადეგებზე გაემგზავრებოდა შინ, მას შემდეგ, რაც სიტყვიერების და სამართლის მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხები მიიღო, გაუქრა ბავშვობის ილუზიები და პროვინციული შეხედულებები. შეცვლილმა შეგნებამ და აღგზნებულმა პატივმოყვარეობამ მამის სახლში ყოფნის დროს ფხიზელი თვალით დაანახვა ყველაფერი თავის ოჯახში. მამა, დედა, ორი ძმა, ორი და და ერთიც კიდევ მამიდა, რომელსაც პენსიის მეტი სხვა სარჩო-საბადებელი არ გააჩნდა, რასტინიაკების პატარა მამულში ცხოვრობდნენ. ეს მამული, რომლის შემოსავალი დაახლოებით სამი ათას ფრანკს აღწევდა, მევენახეობის მერყევ ეკონომიკაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად საჭირო იყო ეჟენისთვის ათას ორასი ფრანკი გამოენახათ. მართალია, უმალავდნენ ოჯახის გაჭირვებას, მაგრამ ეჟენი მაინც ხედავდა ამას. ბავშვობაში დები მზეთუნახავები ეგონა და ახლა პარიზელ ქალებს ადარებდა, რომლებიც საოცნებო სილამაზის განსახიერებად მიაჩნდა. გრძნობდა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის მომავალი არაა მტკიცე, და იმედი სულ ჩემზეა დამყარებულიო, ხედავდა წვრილმან ყაირათიანობას სანოვაგეზე, მთელ ოჯახთან ერთად სვამდა ჭაჭაზე დაყენებულ სასმელს, ერთი სიტყვით, ამჩნევდა უამრავ ისეთ გარემოებას, რისი აქ დასახელებაც ზედმეტი იქნებოდა და რამაც მას გაუათკეცეს ცხოვრებაში წარჩინების სურვილი და შთაუნერგეს დაწინაურების ტრფიალი. როგორც სულით ახოვან ადამიანებს სჩვევიათ, მას სურდა, მხოლოდ საკუთარი ღირსებების მოვალე ყოფილიყო. მაგრამ ის სულით ხორცამდე სამხრეთელი იყო; ამიტომ თავისი გადაწყვეტილებების შესრულების დროს უნდა განეცადა ის მერყეობა, რასაც ახალგაზრდა ადამიანი განიცდის გაშლილ ზღვაში, როდესაც არც ის იცის, თუ რა მიმართულებით წარმართოს თავისი ძალები და არც ის, თუ როგორი კუთხით დააყენოს თავისი იალქანი. ჯერ უნდოდა მეცადინეობას დასწაფებოდა, მაგრამ მალე მიხვდა, აუცილებელია ნაცნობობა გავაბაო.

ისიც შეამჩნია, რა დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ქალებს, ამიტომ გადაწყვიტა, საზოგადოებაში უნდა შევდგა ფეხი და იქ მფარველი მანდილოსნები უნდა გავიჩინოო. ვინ ეტყოდა მფარველობაზე უარს მგზნებარე და გონებამახვილ ახალგაზრდა კაცს, თუ ამასთან ერთად მის გზნებას და გონებას ზურგს უმაგრებს მოხდენილი ქცევა და ერთგვარი ნერვიული სილამაზე, რასაც ასე სულწასულად ეტანებიან ქალები? ასეთი აზრები ირეოდნენ მის გონებაში მინდვრად სეირნობის დროს, სადაც წინათ არა ერთხელ მხიარულად გაეტარებინა დრო თავის დებთან ერთად, რომლებსაც ახლა ის ძლიერ შეცვლილი ეჩვენებოდათ. მისი მამიდა, ქალბატონი დე მარსიაკი, სამეფო კარზე ნამყოფი იყო, სადაც უმაღლეს არისტოკრატიას დაახლოებოდა. მამიდა ერთ დროს ხშირად იგონებდა ხოლმე ეჟენთან წარსულს და სწორედ ამ მოგონებებში აღმოაჩინა პატივმოყვარე ახალგაზრდამ ელემენტები მომავალი საზოგადოებრივი წარმატებისა. საზოგადოებრივი წარმატება კი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ვიდრე მისი წარმატება სამართლისმცოდნეობის სკოლაში; მან გამოჰკითხა თავის მამიდას, რომელი ნათესაობრივი კავშირების გაბმა შეიძლებოდა ხელახლა. მოხუცმა მანდილოსანმა ჩამობერტყა გენეალოგიური ხის ტოტები და დაასკვნა, რომ მდიდარ ნათესავთა ეგოისტურ მოდგმაში, ყველა იმ ადამიანთაგან, ვისაც შეეძლო მისი ძმისწულისთვის სამსახური გაეწია, ალბათ, ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლე ყველაზე ნაკლებ დაგვამადლისო დახმარებას. მან მისწერა ახალგაზრდა ქალს ძველებური ყაიდის წერილი, გადასცა ის ეჟენს და უთხრა, თუ ვიკონტის მეუღლეს თავს მოაწონებ, ის მოგაძებნინებს სხვა ნათესავებსაცო. პარიზში რომ დაბრუნდა, რამდენიმე დღის შემდეგ, რასტინიაკმა თავისი მამიდის წერილი გაუგზავნა ქალბატონ დე ბოსეანს. ვიკონტის მეუღლემ პასუხად სახვალიო ბალზე მიიწვია ეჟენი.

ასეთი იყო საერთო მდგომარეობა ოჯახურ პანსიონში 1819 წლის ნოემბრის ბოლოს. რამდენიმე დღის შემდეგ ეჟენი ღამის ორ საათზე დაბრუნდა ქალბატონ დე ბოსეანის ბალიდან. თავდადებულმა სტუდენტმა ჯერ კიდევ ცეკვის დროს დადო აღთქმა, დაკარგული დროის ასანაზღაურებლად დილამდე ვიმეცადინებო. ბრწყინვალე საზოგადოებაში მიღებული სიამოვნებისაგან ცრუ ენერგიით აღტყინებული ეჟენი პირველად აპირებდა ღამის გათევას ამ მდუმარე კვარტალში, იმ დღეს მან ქალბატონ ვოკესთან არ ისადილა. ამიტომ მდგმურებს შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ბალიდან ის გარიჟრაჟამდე არ დაბრუნდებოდა, როგორც სხვა დროსაც ხშირად დაბრუნებულა პრადოს მხიარული საღამოებიდან ან ოდეონის ბალებიდან აბრეშუმის გატალახიანებული

წინდებით და მოღრეცილი სამეჯლისო ფეხსაცმელით. ვიდრე საბოლოოდ ურდულს გაუყრიდა, კრისტოფმა ჭიშკარი გააღო და ქუჩაში გაიხედა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა რასტინიაკი და მოახერხა თავის ოთახში უხმაუროდ ასვლა კრისტოფის თანხლებით, რომელიც სამაგიეროდ საკმაოდ ბევრს ხმაურობდა. ეჟენმა გაიხადა, ფეხები ფოსტლებში ჩაყო, ჩაიცვა გაცვეთილი რედინგოტი, დაანთო ტორფი ღუმელში და ისე სწრაფად მოემზადა სამუშაოდ, რომ მთელი ეს საკმაოდ წყნარი სამზადისი ისევ კრისტოფის ტლანქი ფეხსაცმელის ბრახაბრუხმა დაფარა. ეჟენი ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, ვიდრე თავის სამართლის წიგნებში ჩაეფლობოდა. ქალბატონი დე ბოსეანის სახით მან გაიცნო პარიზის მოდების ერთ-ერთი დედოფალი, რომლის სახლი სენ-ჟერმენის გარეუბანში ყველაზე სასიამოვნოდ ითვლებოდა. ამასთანავე ერთად, ვიკონტის მეუღლე სახელითაც და სიმდიდრითაც არისტოკრატიული სამყაროს ერთ-ერთი მწვერვალი იყო. მამიდის, დე მარსიაკის წყალობით, ღარიბი სტუნდეტი კარგად მიიღეს იმ სახლში, მაგრამ მას ჯერ კიდევ მთლიანად შეგნებული არ ჰქონდა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მისთვის ასეთ კეთილგაწყობას. ამ მოვარაყებულ დარბაზებში შესვლა უდრიდა უმაღლესი კეთილშობილების სიგელს. ამ უაღრესად კარჩაკეტილ საზოგადოებაში ერთხელ გამოჩენა ნიშნავდა, რომ მან საერთოდ ყველგან შესვლის უფლება მოიპოვა. ბრწყინვალე კრებულის მიერ თვალმოჭრილმა ეჟენმა ძლივს მოახერხა ორიოდე სიტყვით მიემართა ვიკონტის მეუღლისათვის და იმითღა დაკმაყოფილდა, რომ პარიზელ ღვთაებათა შორის, რომლებიც გუნდ-გუნდად ირეოდნენ ამ რაუტზე, გამოარჩია ერთი ისეთი ქალთაგანი, ვისაც ყმაწვილი კაცები აუცილებლად აღმერთებენ ხოლმე. გრაფ დე რესტოს მეუღლე ანასტაზი, მაღალი და აშოლტილი ქალი, მთელ პარიზში განთქმული იყო ტანკენარობით. წარმოიდგინეთ დიდრონი შავი თვალები, საუცხოო ხელები, კოხტა ფეხები, მოძრაობებში ცეცხლი _ ასეთი იყო ქალი, რომელსაც მარკიზ დე რონკეროლი ჯიშიან ცხენს ადარებდა. ნერვული სინატიფე ვერაფერს აკლებდა მის ხორციელ მშვენიერებას; ყოველი მისი ნაკვთი სავსე და მომრგვალებული იყო, მაგრამ ზედმეტ სიმსუქნეს მას ვერ დასწამებდით. წმინდა სისხლის ცხენი, ჯიშიანი ქალი და სხვა ამგვარი გამოთქმები იმ ხანებში ახლად იწყებდნენ ზეციური ანგელოზების, ოსიანისეული სახეების და საერთოდ დენდიზმის მიერ უკუგდებული ძველებური სასიყვარულო მითოლოგიის განდევნას. რასტინიაკისთვის კი ქალბატონი ანასტაზი დე რესტო მხოლოდ სანატრელი ქალი იყო. კავალერთა სიაში, რომელიც ამ მანდილოსანს თავის მარაოზე ჰქონდა ჩამოწერილი, ეჟენმა ორი ცეკვა დაიბევა და პირველივე კონტრდანსის დროს მოახერხა მასთან გამოლაპარაკება.

_ სად შეიძლება თქვენი ნახვა, ქალბატონო? _ პირდაპირ შეეკითხა ეჟენი მღელვარე გატაცებით, რაც ასე ძალიან მოსწონთ ქალებს.

_ სადა? _ უპასუხა ქალმა, _ ბულონის ტყეში, ბუფონებთან, ჩემთან და საერთოდ ყველგან.

და თამამი სამხრეთელი შეეცადა დაახლოებოდა გრაფის მომხიბლავ მეუღლეს, რამდენადაც ახალგაზრდა კაცს შეუძლია დაუახლოვდეს ქალს ერთი კონტრდანსისა და ერთი ვალსის განმავლობაში. ეჟენმა ქალბატონ დე ბოსეანის ბიძაშვილად გააცნო თავი ქალს, რომელიც მან წარჩინებულ მანდილოსნად მიიღო, ხოლო ამ უკანასკნელმა ის თავის სახლში დაპატიჟა და ნება დართო შინაურულად ევლო მასთან. გამოთხოვებისას გრაფის მეუღლემ ისე გაუღიმა რასტინიაკს, რომ მან გადაწყვიტა, აუცილებლად უნდა მივიდე მასთან სადარბაზოდო. თავისდა საბედნიეროდ, ის შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელმაც სასაცილოდ არ აიგდო მისი უცოდინარობა, რაიცა მომაკვიდნებელ ცოვად ითვლებოდაკოლენკურებს, მაქსიმ დე ტრაიებს, დე მარსეებს, აჟუდა-პინტოებს, ვანდენესებს და სხვა იმდროინდელ გამოჩენილ დარდიმანდებს შორის, რომლებიც მაშინ თავმომწონედ დაფარფაშობდნენ ულამაზეს ქალთა საზოგადოებაში _ ლედი ბრენდონის, დიუკ დე ლანჟეს მეუღლის, გრაფ დე კერგარუეტის მეუღლის, ქალბატონი დე სერიზის, დიუკ დე კარილიანოს მეუღლის, გრაფ ფეროს მეუღლის, ქალბატონი დე ლანტის, მარკიზ დ'ეგლემონის მეუღლის, ქალბატონი ფირმიანოს, მარკიზ დე ლისტომერის მეუღლის, მარკიზ დ'ესპარის მეუღლის, დიუკ დე მოფრინიეზის მეუღლის და გრანლიეს გვარის მანდილოსნებს შორის. მაშასადამე, თავისდა საბედნიეროდ მიამიტი სტუდენტი წააწყდა მარკიზ დე მონრივოს, დიუკ დე ლანჟეს მეუღლის საყვარელს, ბავშვივით გულუბრყვილო გენერალს. გენერალმა აუხსნა, გრაფ დე რესტოს მეუღლე ცხოვრობს ჰელდერის ქუჩაზეო. კარგია ახალგაზრდობა, როცა მაღალ საზოგადოებაშიც ცხოვრება გწყურია, ქალზე ოცნებობ და ხედავ, რომ შენ წინაშე ორი სახლის კარი იღება! როცა შეგიძლია სენ-ჟერმენის გარეუბანში ვიკონტ დე ბოსეანის სახლში შედგა ფეხი და შოსე დ'ანტენზე გრაფ დე რესტოს მეუღლის წინაშე მოიდრიკო მუხლი! კარგია, როცა პარიზის სალონების ანფილადას გაჰყურებ. შენი თავი საკმაოდ ლამაზ ყმაწვილად მიგაჩნია და ფიქრობ, იქ მოვიპოვებ დახმარებასა და მფარველობას ქალის გულშიო! როდესაც საკმაო პატივმოყვარეობას გრძნობ და ძალაც შეგწევს ამაყად შეხტე დაჭიმულ თოკზე, რომელზედაც ჯამბაზივით უშიშრად უნდა გაიარო ისე, რომ ფეხი არ დაგიცდეს და იმავე დროს წონასწორობის დასაცავდ მომაჯადოებელი ქალის სახით ყველაზე უფრო სანდო

დამხმარე გყავს! ასეთი აზრებითა, და ამ ქალის წინაშე, რომელიც აქ, ტორფის ღუმელის გვერდით, სიღატაკისა და კანონთა კრებულის შუა მშვენიერ ლანდად ედგა თვალწინ ეჟენს, ვინ არ შეეცდებოდა მასავით გონების თვალით განეჭვრიტა მომავალი, ვინ არ დაინახავდა მომავალში წარმატებებს? ფიქრებში გართულმა ეჟენმა ისე გულუხვად დაიწყო თავისი მომავალი ბედნიერების აღრიცხვა, რომ თავისი თავი უკვე ქალბატონ დე რესტოს გვერდით წარმოიდგინა, მაგრამ ამ დროს ღამის დუმილი დაარღვია ამოოხვრამ, რომელიც წმინდა იოსების კვნესას ჰგავდა. ოხვრა ისე მოხვდა ახალგაზრდა კაცის გულს, როგორც სულთმობრძავის ხრიალი. მან წყნარად გამოაღო თავისი ოთახის კარი და როდესაც დერეფანში გამოვიდა, მოხუცი გორიოს კარების ძირში განათებული ხაზი შენიშნა. ეჟენი შეშფოთდა, ავად არ იყოს ჩემი მეზობელიო, მისი კარის ჭუჭრუტანით ოთახში შეიხედა და დაინახა, რომ გორიო რაღაცას საქმიანობდა; მაგრამ ეს საქმიანობა იმდენად საეჭვო ეჩვენა, რომ გადაწყვიტა, საზოგადოებისათვის სამსახური გაეწია და კარგად გამოერკვია ამ ეგრეთ წოდებული მევერმიშელეს ღამის ოინები. მამა გორიოს გადაებრუნებინა მაგიდა, მისი ხარისხისთვის მიება მოოქროვილი ვერცხლის თეფში და მათლაფა და ახლა რაღაცას თოკის მსგავსს ახვევდა გარშემო და ისე ღონივრად უჭერდა, რომ ეს ძვირფასად ნაჭედი ნივთები მთლად დაეგრიხა, უთუოდ იმისთვის, რომ ზოდებად გადაექცია.

«დახე, ერთი! კაციც ესა ყოფილა! _ გაიფიქრა რასტინიაკმა მოხუცის ძარღვიანი მკლავების დანახვაზე, რომელიც თოკით მოვარაყებულ ვერცხლს ცომივით უხმაუროდ ზელავდა. _ ნეტავი ქურდი ხომ არ არის, ან ნაქურდალის შემნახავი, არამქონედ გვაჩვენებს თავს და მათხოვარივით ცხოვრობს, რათა უფრო დაუბრკოლებლივ მისდიოს თავის ხელობას?» _ გაიფიქრა ეჟენმა და ერთი წამით ჭუჭრუტანას მოსცილდა.

სტუდენტმა ისევ ჭუჭრუტანაში გაიხედა. მოხუც გორიოს უკვე თოკი შემოეხსნა; მან აიღო ვერცხლი, დადო მაგიდაზე, რომელზედაც წინასწარ თავისი საბანი გადაეფარებინა და დაუწყო მას გორება, რომ მისთვის მრგვალი ძელაკის ფორმა მიეცა; ეს ოპერაცია მან გასაოცარი სიმარდით შეასრულა.

«პოლონეთის მეფე ავგუსტივით ღონიერი კი ყოფილა და!» _ თავის გულში თქვა ეჟენმა.

როდესაც ვერცხლი თითქმის დამრგვალდა, მოხუცმა გორიომ ნაღვლიანად დახედა თავის ნამოქმედარს და თვალში ცრემლი მოადგა; შემდეგ შეუბერა დახვეულ სანთელს,

რომლის შუქზედაც მან დაგრიხა ვერცხლი, და ეჟენმა გაიგონა როგორი ოხვრით დაწვა მოხუცი.

«გიჟია», _ გაიფიქრა სტუდენტმა.

_ საბრალო ბავშვი! _ ხმამაღლა თქვა მამა გორიომ.

ამ სიტყვების შემდეგ რასტინიაკმა გადაწყვიტა, დუმილი მიჯობს, რათა უსამართლოდ არაფერი დავწამო ჩემს მეზობელსო. ის-ის იყო თავის ოთახში შებრუნებს აპირებდა, რომ ანაზადად რაღაც ხმაური შემოესმა, თითქოს კიბეზე რბილი ნაბდის ფეხსაცმლიანი კაცები ამოდიანო. ეჟენმა ყური მიუგდო და მართლაც, ორი კაცის სუნთქვა გაარჩია. მაგრამ ვერც ფეხის ხმა გაიგონა, ვერც კარის ჭრიალი, ისე უცებ გამოჩნდა ბჟუტავი სინათლე მეორე სართულზე, ვოტრენის ოთახში.

«აი, რამდენი საიდუმლოება იმალება ოჯახურ პანსიონში!» _ გაიფიქრა სტუდენტმა.

ის რამდენიმე საფეხურით ჩამოვიდა, სმენად იქცა და ოქროს ჩხრიალს მოჰკრა ყური. მალე სინათლე ჩაქრა და ისევ მოესმა ორი ადამიანის სუნთქვა, თუმცა კარს არც ახლა გაუჭრიალებია. შემდეგ ორივენი კიბეზე ჩავიდნენ და ხმაური თანდათან მისუსტდა.

_ ვინ მოდის? _ დაიძახა ქალბატონმა ვოკემ თავის ოთახის ფანჯრიდან, რომელიც ხმაურზე გამოეღო.

_ ეს მე ვბრუნდები შინ, დედილო ვოკე, _ უპასუხა ვოტრენმა ბოხი ხმით.

«საოცარია! კრისტოფმა ხომ ურდულები ჩაუგდო», _ გულში გაივლო ეჟენმა, როცა ოთახში დაბრუნდა. პარიზში თურმე ღამით ფხიზლად უნდა იყო, თუ გინდა იცოდე, შენს გარშემო რა ხდება.

ამ ორმა პატარა შემთხვევამ ეჟენი გამორკვია თავისი პატივმოყვარე და სატრფიალო ფიქრებისაგან და მან მეცადინეობა დაიწყო. მაგრამ მაინც ხან გორიოს შესახებ აღძრული ეჭვები უფანტავდნენ ყურადღებას, ხან ქალბატონ დე რესტოს სახე, რომელიც წამდაუწუმ თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე, როგორც ბრწყინვალე ბედის მახარობელი, და ამიტომ ბოლოს და ბოლოს ის დაწვა და მკვდარივით ჩაეძინა. ათ ღამეს რომ გადაწყვიტოს ახალგაზრდა კაცმა მუშაობა, აქედან შვიდ ღამეს უსათუოდ ძილი მოერევა. ღამის ტეხა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინაც ოცი წლის ასაკს გადააბიჯა.

მეორე დილას პარიზში სქელი ბურუსი იდგა, რომელშიც ხანდახან ისე გაეხვევა ხოლმე ქალაქი, რომ უაღრესად სიზუსტის მოყვარული ადამიანებიც კი ვერ იტყოდნენ ახლა, რა დროა. არა ერთი საქმიანი პაემანი ჩაიშლება ასეთ დღეს. გგონია, რომ დილის რვა საათია, სინამდვილეში კი უკვე შუადღე დამდგარა. უკვე ათის ნახევარი გახლდათ, მაგრამ

ქალბატონი ვოკე ჯერ არ ამდგარიყო ლოგინიდან. კრისტოფი და სქელი სილვია, რომლებიც აგრეთვე გვიან ამდგარიყვნენ, დამშვიდებული გიახლებოდნენ ყავას პანსიონერებისათვის განკუთვნილი რძიდან მოხდილი ნაღებით; სილვია დიდხანს ადუღებდა ხოლმე რძეს, რომ ქალბატონ ვოკეს ეს უკანონო ხარკი არ შეემჩნია.

_ სილვია, _ თქვა კრისტოფმა და გახუხული პურის პირველი ნაჭერი ჩააწო რძეში, _ ბატონი ვოტრენი, რაც არ უნდა იყოს, მაინც კარგი კაცია. წუხელისაც ვიღაც ორნი მოვიდნენ. ქალბატონმა თუ რამე იკითხა, არაფრის თქმა არ არის საჭირო.

_ მერე რამე მოგცა?

_ ასი სუ მომცა ამ თვეში, ვითომდა «გაჩუმდიო».

_ ერთი ეგა და მეორე ქალბატონი კუტიური არ წუწურაქობენ, თორემ დანარჩენი ყველანი იმას ცდილობენ, როგორმე მარცხენა ხელით წაგგლიჯონ, რასაც საახალწლოდ მარჯვენა ხელით გაჩუქებენ ხოლმე, _ თქვა სილვიამ.

_ მერედა რას იძლევიან? _ შენიშნა კრისტოფმა. _ საცოდავ ას სუს. უკვე ორი წელიწადი შესრულდა, რაც ბებერი გორიო თავისი ხელით იწმენდს ფეხსაცმელს. ის კრიჟანგი პუარე ხომ ვაქსს სულ არ ხმარობს და უმალ ამოლოკავს, ვიდრე თავის ჯღანებს წაუსვამდეს, ის კნაჭა სტუდენტი, მართალია, ორმოც სუს მაძლევს, მაგრამ ჯაგრისები უფრო მეტისა მიცვდება. თანაც თავის ძველ ტანისამოსს ყიდის. ეს რა ჯურღმულში ვართ!

_ ეჰ! _ თქვა სილვიამ და პატარ-პატარა ყლუპებით მოსვა ყავა, _ ჩვენი ადგილები კიდევ სხვებისას სჯობია ამ ჩვენს უბანში. მაინც არა გვიშავს რა. მაგრამ, კრისტოფ, რაკი ჩვენს ძია ვოტრენზე ჩამოვარდა ლაპარაკი, შენთვის ხომ არავის არაფერი უთქვამს?

_ კი, მითხრეს. ამ რამდენიმე დღის წინ ქუჩაში ერთი კაცი შემხდა და შემეკითხა: «თქვენთან ხომ არ ცხოვრობს ერთი მსხვილი კაცი, რომელიც ქილვაშებს იღებავსო?» მე ვუთხარი, არა ბატონო, ის არ იღებავს. იმისთანა მხიარულ კაცს მაგისთვის სადა სცალია-მეთქი. მერე მე ეს ბატონ ვოტრენს მოვახსენე და იმან მიპასუხა: «კარგად გითქვამს, ჩემო ბიჭო! მუდამ ეგრე უნდა უპასუხო. იმაზე ცუდი არაფერია, როცა შენს ნაკლს სხვას გააგებინებ. ამით შეიძლება ქორწილი ჩაგეშალოსო».

_ ხომ იცი, ერთხელ მეც ჩამაცივდნენ ბაზარში, ხომ არ გინახავს პერანგს როგორ იცვამსო. მოდი, ნუ გაგეცინება!.. გესმის, _ უცებ შეწყვიტა მან სიტყვა, _ ვალ-დე-გრასზე საათმა ჩამოჰკრა, ათს თხუთმეტი წუთი აკლია და ჯერ არავინ ამდგარა.

_ ერთი შენც! ყველანი წასული არიან. ქალბატონი კუტიური და მისი გოგო დილის რვა საათზე წავიდნენ სენტ-ეტიენის ეკლესიაში საზიარებლად. მამა გორიოც გავიდა და

თან რაღაცა შეხვეული გაიტანა. სტუდენტი მხოლოდ ათი საათისათვის დაბრუნდება ლექციის შემდეგ. მე სწორედ კიბეს ვასუფთავებდი და დავინახე, როგორ წავიდნენ, მამა გორიომ კიდევაც წამკრა თავისი ამანათი, რომელშიაც რაღაცა რკინასავით მაგარი ჰქონდა. ნეტავი მაინც რას აკეთებს ის ბებრუცუნა? სხვები იმ საწყალს ბზრიალასავით აქეთ-იქით ატრიალებენ, მაგრამ მაინც კარგი კაცია და ყველას სჯობია. მართალია, ბევრს არაფერს მაძლევს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხანდახან იმ ქალბატონებთან რომ გამგზავნის, გაგიხარია, ისინი მაჩუქებენ ხოლმე არყის ფულს. თვითონაც კი კოხტად არიან გამოწყობილი.

_ იმათზე ხომ არ ამბობ, რომლებსაც თავის ქალიშვილებად ასაღებს? მაგათთანა თორმეტი ჰყავს.

_ მე იმ ორის გარდა არავისთან ვყოფილვარ. ისინი აქაც მოდიოდნენ.

_ უიმე, ქალბატონი ამდგარა, უნდა მივხედო, თორემ ერთ ვაიუბედურებას დამაწევს. კრისტოფ, შენ რძეს უყურე, კატა არ მივიდეს.

სილვია ქალბატონთან ავიდა.

_ ასეთი ამბავი სად გაგონილა, სილვია! თურმე ათს ჩარექი ჰკლებია და თქვენ არც კი მაღვიძებთ! ესეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

_ ეს სულ ნისლის ბრალია; ისე ჩამოწოლილა, რომ დანით საჭრელია სწორედ.

_ მერე საუზმის საქმე როგორაა?

_ რა დროს საუქმეა! თქვენს მდგმურებს, ალბათ, ეშმაკი შესჯდომიათ, ყველანი სისხამ დილით გაქცეულან.

_ სწორად ილაპარაკე, სილვია, _ შენიშნა ქალბატონმა ვოკემ. _ უნდა თქვა, დილაადრიანად.

_ ეჰ, ქალბატონო, ისე ვიტყვი, როგორც თქვენ გესიამოვნებათ. ასე რომ, საუზმე ათ საათზედაც შეგიძლიათ მიირთვათ. მიშონეტას და პუარეს ჯერ არ გაუღვიძიათ. სახლში მათ მეტი არავინაა და მათაც კუნძებივით სძინავთ, მაინც კუნძები არიან.

_ კი, მაგრამ, სილვია, შენ ორივეს ისე ახსენებ ერთად, თითქოს...

_ თითქოს რა? _ მიუგო სილვიამ და სულელურად გადაიხარხარა, _ ალხანას ჩალხანა არ გამოელევა.

_ საკვირველია, სილვია, როგორ შემოვიდა წუხელის ბატონი ვოტრენი მას შემდეგ, რაც კრისტოფმა ურდულები ჩაუგდო კარს?

_ პირიქით, ქალბატონო, რასა ბრძანებთ, კრისტოფმა გაიგო ბატონი ვოტრენის მოსვლა და კარის გასაღებად ჩავიდა. თქვენ კი, ვინ იცის, რა იფიქრეთ...

_ მომაწოდე ჩემი ტანისამოსი და ჩქარა წადი, საუზმეს მიხედე. დარჩენილ ცხვრის ხორცს კარტოფილი მიუწყვე და მოხარშული მსხალიც შემოიტანე, აი, ის, ცალი ორი ლიარი რომ ღირს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქალბატონი ვოკეც ჩამოვიდა, სწორედ იმ დროს, როცა მის კატას თათით გადაეგდო რძიან ჯამზე დახურული თეფში და გამალებული სვლეპდა რძეს.

_ მისტიგრი, _ დაიყვირა მან.

კატა დაფრთხა, მაგრამ ისევ მობრუნდა და ფეხებზე გაეხახუნა.

_ ჰო, ჰო, მომელაქუცე, შე ქურდბაცაცავ! _ უთხრა მან კატას, _ სილვია! სილვია!

_ რა გნებავთ, ქალბატონო?

_ ნახე, რამდენი რძე შეუსვლეპია კატას!

_ ეს სულ იმ პირუტყვი კრისტოფის ბრალია, მე ვუთხარი, რომ სუფრა გაეშალა. სად გადაიკარგა? ნუ წუხხართ, ქალბატონო, ამ რძეს მამა გორიოს ჩავუსხამ ყავაში. ცოტა წყალს გავურევ და ვერაფერს შეამჩნევს. ის მაინც არაფერს უყურებს, იმასაც კი ვერ ამჩნევს, თუ რას ჭამს.

_ სად წასულა ის ტაკიმასხარა? _ იკითხა ქალბატონმა ვოკემ და თეფშების დალაგება დაიწყო.

_ ვინ იცის? ეშმაკმა ნუ იცის მისი ამბავი.

_ დღეს ძილი მეტი მომივიდა, _ შენიშნა ქალბატონმა ვოკემ.

_ ვარდივით კი ღვივით, ქალბატონო...

ამ დროს ზარმა გაიწკრიალა და სასადილოში შემოვიდა ვოტრენი, რომელიც ბოხი ხმით მღეროდა:

დიდხანს ვიარე ქვეყნადა
და ყველგან, სადაც ვიყავი...

_ ოჰ! ოჰ! დილა მშვიდობისა, დედილო ვოკე, _ მიესალმა ის, როდესაც შეამჩნია დიასახლისი და მკლავები მოხვია.

_ კარგი ერთი, გეყოფათ...

_ მითხარით, თავხედო-თქო! თქვით, რაღა. ხომ გინდათ, რომ თქვათ? რაც იყოს, იყოს, გიშველით სუფრის გაშლას. ხომ კარგი ვარ, არა?

ქალებს ვეტრფოდი...

მე ახლა საოცარი რამ ვნახე...

გიჟსავით...

_ რა? _ ჰკითხა ქვრივმა.

_ ცხრის ნახევარზე მამა გორიო დოფინის ქუჩაზე იყო ოქრომჭედელთან, რომელიც ძველ სუფრის ვერცხლეულსა და ყაითნებს ყიდულობს. გორიომ კარგ ფასად მიჰყიდა იმას რაღაც მოოქრული ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც ხელმიუჩვეველი კაცისათვის საკმაოდ მაგრა დაეგრიხა.

_ კარგი ერთი! მართლა?

_ დიახ. მე, ის იყო, ერთი მეგობარი გავაცილე, რომელიც საფოსტო-სამგზავრო კომპანიის დახმარებით სამუდამოდ ტოვებს საფრანგეთს, და შინ ვბრუნდებოდი. დავუცადე მამა გოიოს, რომ თვალყური მედევნებინა მისთვის: იქნებ სასაცილო რამე ვნახო-მეთქი. ის ჩვენს უბანში მობრუნდა, დე გრეს ქუჩაზე, და ერთ ცნობილ მევახშესთან შევიდა, გვარად გობსეკთან; ეს გობსეკი იმისთანა გაქნილი ვინმეა, რომ მამამისის ძვლებისგან დომინოს ქვებს გააკეთებს; ებრაელია, არაბი, ბერძენი თუ ბოშა, ვერ გაიგებ, მაგრამ მისი გაქურდვა კი ძნელია, რადგან ფულებს ბანკში ინახავს.

_ ნეტა რას აკეთებს მაინც მამა გორიო?

_ აკეთებს კი არა, აფუჭებს. ის შტერი იმდენად სულელია, რომ თავის ქონებას ქალებს ახარჯებს, რომლებიც...

_ აგერ ისიც! _ თქვა სილვიამ.

_ კრისტოფ, _ დაიძახა მამა გორიომ, _ ამოდი ჩემთან.

კრისტოფი გაჰყვა გორიოს და მალე ისევ ჩამოვიდა.

_ სად მიხვალ? _ ჰკითხა ქალბატონმა ვოკემ თავის მსახურს.

_ ბატონმა გორიომ დამსაქმა.

_ ეგ რაღაა? _ თქვა ვოტრენმა და კრისტოფს ხელიდან გამოსტაცა წერილი, რომელზედაც ეწერა: გრაფ დე რესტოს მეუღლეს ანასტაზის. _ საით მიდიხარ? ჰკითხა მან კრისტოფს და წერილი დაუბრუნა.

_ ჰელდერის ქუჩაზე. ნაბრძანები მაქვს ეს საკუთარ ხელში მივართვა ქალბატონს.

_ შიგ რა დევს? _ თქვა ვოტრენმა და წერილს სინათლეზე გახედა, _ ბანკის ბილეთი? არა. _ მან გახსნა კონვერტი. _ განაღდებული თამასუქი! _ წამოიძახა მან. _ აი, ჯანდაბა! რა თავაზიანი ყოფილა ეს ბებრუცუნა. წადი, შე გამოქექილო, შენა, _ უთხრა მან კრისტოფს,

თავისი ვეება თათი დააფარა თავზე და ბზრიალასავით შემოატრიალა, _ კარგ ქირას მიიღებ.

სუფრა გაშალეს. სილვია რძეს ადუღებდა. ქალბატონი ვოკე ღუმელს ანთებდა ვოტრენის დახმარებით, რომელიც ისევ ღიღინებდა:

დიდხანს ვიარე ქვეყნადა
და ყველგან, სადაც ვიყავი...

როდესაც ყველაფერი მზად იყო, ქალბატონი კუტიური და მადმუაზელ ტაიფერიც დაბრუნდნენ.

_ ასე დილაადრიან საიდან მობრძანდებით, ჩემო კარგო? _ ჰკითხა ქალბატონმა ვოკემ ქალბატონ კუტიურს.

_ ჩვენ სენტ-ეტიენ დიუ მონის ეკლესიაში ვიყავით სალოცავად; დღეს ხომ ბატონ ტაიფერთან უნდა წავიდეთ! საბრალო პატარა, ფოთოლივით ცახცახებს, _ განაგრძო ქალბატონმა კუტიურმა, ღუმელს მიუჯდა და მის კარს ფეხსაცმელები მიაბჯინა, რომლებსაც ორთქლი აუვიდათ.

_ გათბით, ვიქტორინე, _ უთხრა ქალბატონმა ვოკემ.

_ კარგია, ღმერთს რომ შესთხოვთ, მამათქვენის გული მოალბოს. _ თქვა ვოტრენმა და ობოლს სკამი მიუდგა, _ მაგრამ მარტო ეგ არ კმარა. თქვენ გჭირიათ მეგობარი, რომელიც იკისრებს პირში უთხრას სიმართლე იმ ვაჟბატონს, იმ ველურს, რომელსაც, ამბობენ, სამი მილიონი აქვსო და თქვენ კი მზითევს არ გაძლევთ. ჩვენს დროში მზითევი ლამაზ ქალიშვილსაც სჭირდება.

_ საბრალო ბავშვი! _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ ნახავთ, თუ ის აჯამი მამათქვენი რაიმე უბედურებას არ მოიწევს.

ამ სიტყვებზე ვიქტორინეს თვალში ცრემლი მოადგა და ქალბატონმა კუტიურმა ქვრივს ანიშნა, გაჩუმდითო.

_ ერთხელ მაინც შეგვძლებოდა მისი ნახვა, ერთხელ მაინც მომეხერხებინა მასთან ლაპარაკი, რომ გადამეცა მისი მეუღლის უკანასკნელი წერილი, _ განაგრძო საინტენდანტოს კომისრის ქვრივმა, _ ფოსტით ვერ გავბედე წერილის გაგზავნა; ის ჩემს ნაწერს იცნობს...

_ ჰოი, უმანკო, უბედურნო, დევნილნო ქალნო! _ სიტყვა გააწყვეტინა ვოტრენმა, _ მაშ აგრე ყოფილა თქვენი საქმე? ამ რამდენიმე დღეში მე თვით ჩავერევი თქვენს საქმეებში და ყველაფერი რიგზე წავა.

_ ოჰ, ბატონო ჩემო! _ უთხრა ვიქტორინემ და ნამიანი, მაგრამ იმავე დროს მხრუვალე მზრა მიაპყრო ვოტრენს, რომელიც ამის გამო მაინც არ აღელვებულა. _ თუ თქვენ იცით რაიმე საშუალება, რომ მამაჩემამდე მიაღწიოთ, უთხარით მას, რომ მისი სიყვარული და დედაჩემის პატიოსნება ჩემთვის მთელი ქვეყნის საუნჯეზე უფრო უძვირფასესია. თუ თქვენ მოახერხებთ და მის მკაცრ გულს მოალბობთ, მე თქვენთვის ვილოცებ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემი მადლობა...

«დიდხანს ვიარე ქვეყნადა», _ ირონიული ხმით წაიმღერა ვოტრენმა.

ამ დროს ჩამოვიდნენ გორიო, მადმუაზელ მიშონო და პუარე. ისინი, ეტყობა, საწებლის სუნს მოეზიდა, რომელსაც სილვია ამზადებდა გუშინდელი ცხვრის ხორცისთვის. სწორედ ათი საათი ჩამოჰკრა, როდესაც შვიდმა თანამესუფრემ ერთმანეთს დილა მშვიდობისა უსურვა და ყველანი სუფრას შემოუსხდნენ: იმ წუთშივე ქუჩიდან სტუდენტის ფეხის ხმაც შემოესმათ.

_ კარგია, ბატონო ეჟენ, _ მიეგება მას სილვია, დღეს თქვენც სხვებთან ერთად ისაუზმებთ.

სტუდენტი მიესალმა მდგმურებს და მამა გორიოს გვერდით დაჯდა.

_ საოცარი ამბავი შემემთხვა, _ თქვა მან, ბლომად ცხვრის ხორცი გადაიღო და პურის ნაჭერი მოიჭრა, რომელიც ქალბატონმა ვოკემ ჩვეულებისამებრ თვალით ასწონა.

_ ამბავი შეგემთხვათ? _ შეეკითხა პუარე.

_ მერედა რად გიკვირთ, ბებერო დოყლაპიავ? _ უთხრა ვოტრენმა პუარეს. _ ბატონი ეჟენი თითქოს იმისთვისაა განგებ დაბადებული, რომ სხვადასხვა ამბები შეემთხვას.

მადმუაზელ ტაიფერმა მორცხვად გადახედა ახალგაზრდა სტუდენტს.

_ გვიამბეთ რა შეგემთხვათ, _ სთხოვა ქალბატონმა ვოკემ.

_ გუშინ ვიყავი ბალზე ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლესთან, ჩემს ნათესავთან. მას საუცხოო სახლი აქვს, აბრეშუმგაკრული კედლებიანი დარბაზებით დამშვენებული; მან მდიდრული წვეულება გადაგვიხადა, რომელზედაც მე დრო გავატარე მეფ...

_ უკასავით, _ ჩაურთო ვოტრენმა.

_ რა გსურთ მაგითი თქვათ, ბატონო, _ ჰკითხა ეჟენმა ფიცხლავ.

_ მე ვთქვი მეფუკასავით-მეთქი, რადგან მეფუკები უფრო კარგ დროს ატარებენ, ვიდრე მეფეები.

_ ეს მართალია; მე მირჩევნია ეგ პატარა უდარდელი ფრინველი ვიყო, ვიდრე მეფე, რადგან... _ თქვა «კვერის დამკვრელმა» პუარემ.

_ იქ მე ვიცეკვე, _ განგრძნო სტუდენტმა, _ ულამაზეს ქალთან, ერთი გრაფის მომხიბლავ მეუღლესთან, რომელზე უფრო წარმტაცი არსება მე არ მინახავს. თმა შემკული ჰქონდა ატმის ყვავილით, გვერდზე დაბნეული ჰქონდა სურნელოვანი ცოცხალი ყვავილების მშვენიერი თაიგული; მაგრამ, ეჰ! თქვენ თვითონ უნდა გენახათ, განა შესაძლებელია ცეკვით აღფრთოვანებული ქალის სიტყვით აღწერა! ჰოდა, ამ დილას ცხრა საათზე შემხვდა ეს ღვთაებრივი ქალი, ფეხით მოდიოდა დე გრეს ქუჩაზე. ოჰ! გული ამიკანკალდა, მე წარმოვიდგენე, რომ...

_ ის აქ მოდიოდა, _ სიტყვა ჩამოართვა ვოტრენმა და სტუდენტს ღრმა მზერა მიაპყრო, _ რა თქმა უნდა, ის მოხუც გობსეკთან მიდიოდა, მევახშესთან. თუ თქვენ როდისმე პარიზელი ქალის გულს გაქექავთ, საყვარელზე უმალ იქ მევახშეს იპოვით. თქვენს გრაფის მეუღლეს ანასტაზი დე რესტო ჰქვია და ჰელდერის ქუჩაზე ცხოვრობს.

ამ სახელის გაგონებაზე სტუდენტი ვოტრენს მიაშტერდა. მამა გორიომ უცებ ასწია თავი და ორივე მოსაუბრეს შეხედა ნათელი და წუხილით სავსე თვალებით. ეს შემოხედვა ძალიან გაუკვირდათ პანსიონერებს.

_ კრისტოფს დააგვიანდება, მაშ, ის უკვე წასულა იქ! _ მწუხარედ წამოიძახა გორიომ.

_ გამოვიცანი, _ ყურში წასჩურჩულა ვოტრენმა ქალბატონ ვოკეს.

გორიო ანგარიშმიუცემლად ჭამდა და ვერ არჩევდა, რას ჭამდა. არასოდეს ასე გამოლენჩებული და ფიქრებში გართული არ სჩვენებია ის პანსიონერებს.

_ ვინ ეშმაკმა გითხრათ მისი სახელი? _ იკითხა ეჟენმა.

_ ოჰო! მერე რა, _ უთხრა ვოტრენმა. _ თუკი მამა გორიოს კარგად სცოდნია ეს სახელი, მე რატომ არ უნდა ვიცოდე?

_ ბატონ გორიოს? _ წამოიძახა სტუდენტმა.

_ რაო! _ თქვა საბრალო მოხუცმა. _ მაშ, გუშინ ის ძალიან ლამაზი იყო?

_ ვინ?

_ ქალბატონი დე რესტო.

_ შეხედეთ ერთი, ამ ბებერ კრიჟანგს, _ უთხრა ქალბატონმა ვოკემ ვოტრენს, _ როგორ აენთო თვალები!

_ იმას ხომ არ ახარჯავს ფულს? _ ხმადაბლა უთხრა მადმუაზელ მიშონომ სტუდენტს.

_ ოჰ! დიახ, ის არაჩვეულებრივად ლამაზი იყო, _ განაგრძო ეჟენმა, რომელსაც ხარბად შესცქეროდა მამა გორიო. _ ქალბატონი დე ბოსეანი რომ არ ყოფილიყო იქ, ჩემი ღვთაებრივი გრაფის მეუღლე, მეჯლისის დედოფალი იქნებოდა; ყმაწვილი კაცები მის მეტს ვერავის ხედავდნენ, მე მის სიაში მეთორმეტე ვიყავი ჩაწერილი, ის ყველა კონტრდანსებს ცეკვავდა. სხვა ქალები შურისაგან ცოფებს ყრიდნენ. თუ გუშინ ვინმე თავს ბედნიერად გრძნობდა, ეს გრაფის მეუღლე იყო, უთუოდ. მართალს ამბობენ, რომ არაფერია უფრო ლამაზი, ვიდრე იალქნებგაშლილი ფრეგატი, გაჭენებული ცხენი და მოცეკვავე ქალი.

_ გუშინ ბედნიერების მწვერვალზე, დიუკის მეუღლის სახლში, დღეს დილით კი ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე, მევახშესთან; აი, ასეთები არიან პარიზელი ქალები. თუ მათ ქმრებს არ ძალუძთ მათი აღვირახსნილი ფუფუნების უზრუნველყოფა, ისინი თავისი თავით ვაჭრობენ. თუ თავისი თავის გაყიდვა არ ეხერხებათ, მშობელ დედას გაფატრავენ, ოღონდ კი რამე იპოვნონ, რითაც შეიძლება თავის მოწონება. ერთი სიტყვით, ყველაფერს იკადრებენ. ვიცით, რა შვილებიც არიან!

მამა გორიოს სახე მზესავით განათებული ჰქონდა, როდესაც სტუდენტს უსმენდა, მაგრამ ვოტრენის სასტიკ შენიშვნაზე მოეღუშა.

_ კი მაგრამ, _ იკითხა ქალბატონმა ვოკემ, _ თქვენ რაღა ამბავი შეგემთხვათ? მას ხომ არ გამოესაუბრეთ? ან იქნებ ჰკითხეთ, სამართლის შესწავლას ხომ არ აპირებს?

_ მან ვერ დამინახა, _ თქვა ეჟენმა. _ მაგრამ განა საოცარი არ რაის, რომ დე გრეს ქუჩაზე დილის ცხრა საათზე შეგხვდეთ პარიზის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალი რომელიც ღამის ორ საათზე დაბრუნდა წვეულებიდან? ასეთი ამბები მხოლოდ პარიზში შეიძლება მოხდეს.

_ ეჰ! მაგაზე უფრო სასეირო ამბებიც ხდება, _ წამოიძახა ვოტრენმა.

მადმუაზელ ტაიფერი ისე იყო გართული მამასთან შეხვედრის ფიქრით, რომ ძლივსძლივობით უგდებდა ყურს საუბარს. ქალბატონმა კუტირუმა ანიშნა, ადექი და ჩასაცმელად წადიო. როდესაც ორივე ქალი გავიდა, მამა გორიომაც მათ მიბაძა.

_ ხომ ნახეთ ახლა? _ მიმართა ქალბატონმა ვოკემ ვოტრენსა და თავის დანარჩენ პანსიონერებს. _ ცხადია რომ ის მაგისთანა ქალების გულისთვის გაკოტრდა.

_ ვერასოდეს ვერ დამარწმუნებთ, _ წამოიძახა სტუდენტმა, _ რომ გრაფ დე რესტოს მზეთუნახავი მეუღლე მამა გორიოს ეკუთვნის.

_ ჩვენ არც ვცდილობთ დაგარწმუნოთ, _ მიუგო ვოტრენმა, _ თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით და პარიზს არ იცნობთ; როდისმე გაიგებთ, აქ გვხვდება ხალხი, რომლებსაც ჩვენ ვნებას აყოლილებს ვუწოდებთ...

ამ სიტყვებზე მადმუაზელ მიშონომ მცოდნე თვალებით შეხედა ვოტრენს. გეგონებოდათ, ლეგიონის ცხენმა ყურები ცქვიტა საყვირის გაგონებაზეო.

_ ოჰო! _ სიტყვა გაწყვიტა ვოტრენმა და თვალები მიაშტერა მადმუაზელ მიშონოს, თქვენც ხომ არაფერი გიეშმაკიათ თავის დროზე?

შინაბერამ თვალები დახარა, როგორც მონაზონმა შიშველი ქანდაკების წინაშე.

_ ჰოდა, _ განაგრძო ვოტრენმა, _ ასეთ ადამიანს, თუ რაიმე აზრი აეკვიატა, ვეღარ გადააგდებინებ, მათ მხოლოდ ერთი გარკვეული წყაროს წყალი სწყურიათ, თუნდაც რომ აშმორებული იყოს, და მის დასალევად ცოლ-შვილს გაჰყიდიან, სულს ეშმაკს მიჰყიდიან. ზოგისთვის ასეთი წყაროა აზარტული თამაში, ბირჟა, სურათების ან მწერების კოლექცია, მუსიკა; ზოგისთვის კი ქალია, რომელმაც იცის, როგორ დაატკბობს ის. მათ რომ მთელი ქვეყნის ქალები შესთავაზოთ, ზედაც არ შეხედავენ. მათ მხოლოდ ის ქალი უნდათ, რომელიც მათ ვნებას აკმაყოფილებს. ხშირად ამ ქალს სრულებითაც არ უყვარს ისინი, ცუდად ეპყრობა მათ და ძალიან ძვირად დაუჯენენ სიამოვნების ნამცეცებს, რომლებსაც ისინი მისგან ღებულობენ; ეს ქარაფშუტები მაინც თავისას არ იშლიან, უკანასკნელ საბანს წაიღებენ დასაგირავებლად, რომ უკანასკნელი ოქროც მათ მიუტანონ. მამა გორიოც ერთ-ერთი მათგანია. გრაფის მეუღლე მას ხმარობს იმიტომ, რომ ის ყბედი არ არის; აი, ესეც თქვენი მაღალი საზოგადოება! საცოდავ კაცს კი მზე და მთვარე მასზე ამოდის. ხომ ხედავთ, თავისი ვნების გარეშე ის უნიათო პირუტყვია. მაგრამ, თუ ამ საკითხზე აალაპარაკებთ, სახე ალმასივით გაუბრწყინდება. ძნელი გამოსაცნობი არ არის ეს საიდუმლო. ამ დილას მან რაღაც ვერცხლის ნივთი წაიღო გადასადნობად, მერე მე ვნახე, როგორ შევიდა ძია გობსეკთან დე გრეს ქუჩაზე. მიგდეთ ახლა ყური, უკან რომ დაბრუნდა, მან გრაფ დე რესტოს მეუღლესთან გააგზავნა ის სულელი კრისტოფი, რომელმაც იმ წერილის მისამართი გვაჩვენა, რომელშიც განაღდებული თამასუქი იდო. ცხადია, რომ თუკი გრაფის მეუღლეც წამოსულა მოხუც მევახშესთან, საქმე უკიდურესად სასწრაფო ყოფილა. მამა გორიომ თავაზინად მის მაგივრად გადაიხადა ვალი. დიდი სიბრძნე არ ყოფილა საჭირო, რომ ამ საქმეში გავრკვეულიყავით. ეს თქვენ გიმტკიცებთ, ჩემო

ახალგაზრდა სტუდენტო, რომ მანამ თქვენი გრაფის მეუღლე იცინოდა, ცეკვავდა, მანჭიაობდა, ატმის ყვავილებს არხევდა და თითის წვერებით კაბას იწევდა, თურმე გული საგულეს არ ჰქონია თავისი თუ თავისი საყვრლის ვადაგასული თამასუქების გამო.

_ თქვენ მე ჭეშმარიტების გაგების უძლეველი სურივლი აღმიძარით. ხვალვე წავალ ქალბატონ დე რესტოსთან, _ წამოიძახა ეჟენმა.

_ დიახ, _ თქვა პუარემ, _ ხვალ უნდა წახვიდეთ ქალბატონ დე რესტოსთან.

_ იქნებ იმ მიამიტ გორიოსაც მიუსწროთ იქ, რომელიც, ალბათ, თავისი თავაზიანობის ჯილდოს მისაღებად მოვა.

_ მაშ ეს თქვენი პარიზი ბინძური ჭაობი ყოფილა? _ თქვა ეჟენმა ზიზღით.

_ დიახ, და ძალიან უცნაური ჭაობიცაა, _ განაგრძო ვოტრენმა. _ ვინც შიგ საჭყუმპალაოდ ეტლით შედის, წესიერი ხალხია, ვინც საჭყუმპალაოდ ფეხით მიდის, თაღლითები არიან. თუ თქვენდა საუბედუროდ უბრალო რამეზე ხელი წაგიცდათ, მაშინვე მართლმსაჯულების სასახლის მოედანზე საქვეყნოდ გამოგაჭენებენ. მაგრამ, აბა მილიონი მოიპარეთ, სალონებში სათნო ადამიანის სახელს მოიხვეჭთ. ამ მორალის გასამტკიცებლად თქვენ ყოველწიურად ოცდაათ მილიონს უხდით ჟანდარმერიას და სასამართლოს... მშვენიერია!

_ როგორ, _ წამოიძახა ქალბატონმა ვოკემ, _ ნუთუ მამა გორიომ გადასადნობად გაიმეტა თავისი მოოქროვილი ვერცხლის საუზმის სერვიზი?

_ ფინჯანს ხუფზე ორი მტრედი ხომ არ ჰქონდა? _ იკითხა ეჟენმა.

_ სწორედ ისა.

_ ეტყობა, მას ძალიან უყვარდა ეს სერვიზი. ის ტიროდა, როდესაც ფინჯანსა და ლამბაქს ჟეჟავდა. მე ეს შემთხვევით დავინახე, _ თქვა ეჟენმა.

_ სიცოცხლეს ერჩია,_ უპასუხა ქვრივმა.

_ ხედავთ, რა ვნებას დაუბუდებია ჩვენს ბებრუცუნაში! _ წამოიძახა ვოტრენმა. _ იმ ქალს სცოდნია მისი სულის ნაზი კუნჭულები.

სტუდენტი თავის ოთახში ავიდა. ვოტრენი სახლიდან წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალბატონი კუტიური და ვიქტორინეც ჩასხდნენ ფიაკრში, რომელიც სილვიამ მიუყვანა. პუარემ მკლავი შესთავაზა მადმუაზელ მიშონოს და ორივენი სასეირნოდ წავიდნენ ბოტანიკურ ბაღში, რათა იქ გაეტარებინა დღის საუკეთესო ორი საათი.

_ აჰა, ესენიც თითქოს დაქორწინებულან, _ თქვა სქელმა სილვიამ. _ დღეს პირველად გავიდნენ ერთად. ორივენი ისეთი გამხმარნი არიან, რომ ერთმანეთს რომ დაეჯახონ, ტალკვესივით ნაპერწკლებს გამოჰყრიან.

_ მაშინ ხომ მადმუაზელ მიშონოს შალი დაიღუპება, _ სიცილით თქვა ქალბატონმა ვოკემ, _ აბედივით მოედება ცეცხლი.

ნაშუადღევის ოთხ საათზე, როდესაც გორიო დაბრუნდა, ორი მბჟუტავი ლამპის შუქზე მან თვალებდაწითლებული ვიქტორინე დაინახა. ქალბატონი ვოკე ისმენდა ბატონ ტაიფერთან დარბაზობის ამბავს, რომელიც უნაყოფოდ დამთავრებულიყო. ტაიფერს მობეზრებოდა თავისი ქალიშვილის და ამ ხნიერი მანდილოსნის მისვლა-მოსვლა და იმ დილას მიეღო ისინი, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოლაპარაკებოდა მათ.

_ ჩემო ძვირფასო, _ უამბობდა ქალბატონი კუტიური ქალბატონ ვოკეს, _ წარმოიდგინეთ, რომ ვიქტორინეს მან სკამიც კი არ შესთავაზა და საბრალო სულ ფეხზე იდგა: მე აუღელვებლად და გულგრილად მითხრა, თავს ნუ იწუხებთ ჩემთან სიარულითო. მადმუაზელმაც, _ ჩემმა ქალიშვილმაო კი არა თქვა, _ მადმუაზელმაც ძალიან მომაბეზრა თავის ხშირ-ხშირი მოსვლითო (წელიწადში ერთხელ, ის ურჯულო, ისა!): ვიქტორინეს დედა უმზითვოდ შევირთე და ამიტომ მაგას არაფერი ეკუთვნისო. ერთი სიტყვით, ისეთი სასტიკი სიტყვები უთხრა, რომ საბრალო ბავშვი სულ ცხარე ცრემლით ატირა. მაშინ ის ფეხებში ჩაუვარდა მამას და გაბედულად უთხრა, თქვენს ნება-სურვილს უდრტვინველად დავემორჩილები და თუ ასე დაჟინებით გაწუხებთ, მხოლოდ დედაჩემის გულისთვისო. მხოლოდ იმას გემუდარებით, რომ საცოდავი ცხონებულის ანდერძი წაიკითხოთ: მან ამოიღო წერილი და გაუწოდა მამას გულის ამაჩუყებელი სიტყვებით, რომლებიც, არ ვიცი, საიდან მოადგა ენაზე, ალბათ, ღმერთი თუ უკარნახებდა. ისე შთაგონებულად ლაპარაკობდა საბრალო ბავშვი, რომ მე სულელივით ქვითინი ამივარდა. მერე იცით, როგორ ეჭირა თავი იმ საზიზღარ ადამიანს? ფრჩხილებს იჭრიდა! მან გამოართვა წერილი, რომელიც საცოდავ ქალბატონ ტაიფერს თავისი ცრემლებით უსველებია. ბუხრის თავზე დააგდო და თქვა «კარგიო». მას უნდოდა წამოეყენებინა თავისი ქალიშვილი, მაგრამ ვიქტორინემ ხელებზე კოცნა დაუწყო, მამას კი ხელები უკან მიჰქონდა. განა ეს ავკაცობა არ არის? ამ დროს შემოვიდა მისი ტუტუცი ვაჟი და არც კი მიესალმა თავის დას.

_ ეს რა ურჩხულები ყოფილან! _ წამოიძახა მამა გორიომ.

_ შემდეგ, _ განაგრძო ქალბატონმა კუტიურმა, უყურადღებოდ დატოვა მოხუცის სიტყვები, _ მამა-შვილმა სასწრაფო საქმეები მოიმიზეზეს, ბოდიში მოიხადეს და გამოეთხოვნენ. ეს იყო და ეს მთელი ჩვენი იქ მისვლა. რაც არ უნდა იყოს, მან ნახა თავისი ქალიშვილი. არ მესმის, როგორ შეუძლია მას შვილის უარყოფა, როდესაც ისინი გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

მდგმურები და გარეშე მოსადილეები თითო-თითოდ მოდიოდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ და ნელ-ნელა მათ შორის გაიმართა უაზრო ლაზღანდარობა, რომელიც პარიზის მოსახლეობის გარკვეულ ფენებში გონებამახვილ ოხუნჯობად ითვლება. მის უმთავრეს ელემენტს რამე უაზრობა წარმოადგენს, ხოლო მთელი მისი გემო გამოთქმაში და ჟესტშია. ეს თავისებური ჟარგონი მუდმივად იცვლება. ხუმრობა, რომელიც მას წარმოქმნის, ერთ თვესაც არ ცოცხლობს. რომელიმე პოლიტიკური ამბავი ან სისხლის სამართლის პროცესი, ქუჩური სიმღერა ან რომელიმე მსახიობის ნაკვესები, ყველაფერი ხელს უწყობს ამ გონებრივ თამაშს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილენი რაიმე აზრს ან სიტყვას იტაცებენ და ერთმანეთს უგდებენ, როგორც ბურთს ჩოგნებით. იმ ხანებში ახლად გამოგონებულ დიორამას, რომელმაც ოპტიკური ილუზია უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა, ვიდრე ეს პანორამებში იყო ზოგიერთ სამხატვრო ატელიეებში, ის შედეგი მოჰყვა, რომ ოხუნჯობის ნიშნად ყველა სიტყვას **რამა**-თი აბოლოებდნენ. ასეთი ლაპარაკი ვოკეს სახლშიც შემოიღო ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა, პანსიონის მუდმივმა სტუმარმა.

_ ააა, ბატონო პუარე, _ მიეგება, მუზეუმის თანამშრომელი, _ **ჯანრამაზე** როგორ ბრძანდებით?

შემდეგ, პასუხის მოუცდელად, ქალბატონ კუტიურს და ვიქტორინეს მიუბრუნდა.

_ ქალბატონებო, თქვენ რაღაც დარდი გაწუხებთ.

_ არ უნდა ვისადილოთ? _ წამოიძახა ჰორას ბიანშონმა, მედიცინის სტუდენტმა და რასტინიაკის მეგობარმა. _ ჩემი საბრალო კუჭი usque ad falones ჩავარდა.

_ კარგი მაგარი **სიცივერამაა**! _ თქვა ვოტრენმა. _ ცოტა იქით გაიწიეთ, მამილო გორიო! ეს რა ჯანდაბაა! თქვენი ფეხით ღუმელის კარი მთლად დაგიფარავთ.

_ სახელოვანო ბატონო ვოტრენ, _ თქვა ბიანშონმა, _ რატომ ბრძანებთ **სიცივერამას**? ეს შეცდომაა, ნამდვილად არის **ყინვარამა**.

_ არა, _ ჩაერია მუზეუმის თანამშრომელი, _ **სიცივერამაა**, რადგან ჩვენ ვამბობთ «ფეხებზე მცივაო».

_ ჰა, ჰა!

_ აი, მისი აღმატებულება, მარკიზი დე რასტინიაკიც, უსამართლობისმცოდნეობის დოქტორი! _ წამოიძახა ბიანშონმა და ისე მაგრა მოეხვია მას კისერზე, თითქოს დახრჩობა უნდაო. _ ჰეი! აბა, თქვენც მიშველეთ, ჰეი!

მადმუაზელ მიშონო წყნარად შემოვიდა, მიესალმა საზოგადოებას და სამი ქალის გვერდით ჩამოჯდა.

_ ამ ბებერი ღამურის დანახვაზე გამაჟრიალებს ხოლმე, _ ხმადაბლა უთხრა ბიანშონმა ვოტრენს და მადმუაზელ მიშონოზე მიუთითა. _ მე გალის სისტემას ვსწავლობ და, ჩემი აზრით, მაგას იუდას კოპები აქვს.

_ თქვენ მას იცნობდით, ბატონო? _ ჰკითხა ვოტრენმა.

_ ვის არ შეხვედრია ის! _ მიუგო ბიანშონმა. _ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ეს უფერული შინაბერა იმ გრძელ მატლებს მაგონებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, მთელ თავხეს გამოხრავენ ხოლმე.

_ აი, ეგ რა არის ყმაწვილო, _ უპასუხა ვოტრენმა ქილვაშების ვარცხნით!

და ქორფა ვარდმა, მან იცოცხლა ვარდებივით

სულ ერთი დილა

_ ააა! აი, საუცხოო **წვენორამაც,** _ თქვა პუარემ, როდესაც ოთახში შემომავალი კრისტოფი დაინახა, რომელსაც მოწიწებით მოჰქონდა წვნიანით სავსე ქვაბი.

_ ბოდიში, ბატონო, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ, _ ეს კომბოსტოს წვენია.

ახალგაზრდებმა გულიანად გადაიხარხარეს.

_ ჩაფლავდა პუარე!

_ პუარრრეტა ჩაფლავდა!

_ დედიკო ვოკეს ორი ქულა ჩაუწერეთ, _ თქვა ვოტრენმა.

_ მიაქცია ვინმემ ყურადღება ამ დილის ბურუსს? _ იკითხა მუზეუმის თანამშრომელმა.

_ ეს იყო, _ თქვა ბიანშონმა, _ მძვინვარე და უმაგალითო ბურუსი, მჭმუნვარე, მელანქოლიური, გულის შემღონებელი, გამგუდავი, გორიოსებური ბურუსი.

_ **ტორიორამა**, _ თქვა მხატვარმა, _ რადგან თითი რომ თვალში გეტაკებინათ, მაინც ვერ დაინახავდით.

_ ჰეი, მილორდ გოურიოტ, თქვენზეა ლაპარაკი.

მამა გორიომ, რომელიც სუფრის ბოლოში იჯდა იმ კართან, საიდანაც მოსამსახურეებს საჭმელი შემოჰქონდათ, თავი ასწია და პურის ნატეხს უყნოსა, რომელიც თავისი ხელსახოცის ქვეშიდან გამოიღო _ ძველი ვაჭრული ჩვეულების მიხედვით, რომელიც ხანდახან ისევ თავს იჩენდა ხოლმე.

_ რაო, ჩემო, _ მკვახედ გადასძახა ქალბატონმა ვოკემ, რომლის ხმამ დაფარა კოვზებისა და თეფშების რახარუხიც და სხვების ხმებიც, _ ვითომ ეგ პური არ მოგწონთ?

_ პირიქით, ქალბატონო, _ უპასუხა მან. _ ეტამპის პირველხარისხოვანი ფქვილისგანაა გამომცხვარი.

_ რაზე ატყობთ? _ ჰკითხა მას ეჟენმა.

_ სითეთრეზე, გემოზე.

_ ცხვირის გემოზე, ალბათ, რადგან თქვენ მას სუნავთ, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ თქვენ ისე ყაირათიანი გახდით, რომ ბოლოს და ბოლოს, ალბათ საშუალებასაც გამოძებნით როგორ გამოიკვებოთ თავი მხოლოდ სამზარეულოს ჰაერის ყნოსვით, _ დაჰგესლა დიასახლისმა მოხუცი.

_ მაშინ მაგ გამოგონებაზე პატენტი აიღეთ, _ დაუძახა მუზეუმის თანამშრომელმა, _ და დიდ სიმდიდრეს შეიძენთ.

_ მოეშვით ერთი, ეგ მხოლოდ იმიტომ სჩადის აგრე, რომ დაგვაჯეროს, ვითომ მართლა ვიყავი მევერმიშელეო, _ შენიშნა მხატვარმა.

_ მაშ, ცხივრი თქვენი ხელსაწყო ყოფილა? _ ისევ შეეკითხა მუზეუმის თანამშრომელი.

_ ხელ რა? _ იკითხა ბიანშონმა.

_ ხელ-ეჩო.

_ ხელ-ადა.

_ ხელ-კეტი.

_ ხელ-სახოცი.

_ ხელ-თოფი.

_ ხელ-ხვავი.

_ ხელ-თათმანი.

_ ხელ-ორამა.

ეს რვა პასუხი ყველა მხრიდან უცბად ფინთიხივით დააყარეს, რამაც მით უფრო მეტი სიცილი გამოიწვია, რომ საბრალო მამა გორიო გამოყეყეჩებული სახით შესცქეროდა თანამესუფრეებს, თითქოს უცხო ენის გაგებას ცდილობსო.

_ ხელ?.. _ შეეკითხა ის ვოტრენს, რომელიც მის გვერდით იჯდა.

_ ხელჩანთაო, ჩემო ბებრუცუნავ! _მიუგო ვოტრენმა და ხელის ერთი ჩაფარებით ქუდი თვალებამდე ჩამოაფხატა.

საცოდავი მოხუცი ისე სახტად დარჩა ამ მოულოდნელი თავდასხმის გამო, რომ ერთ წამს გაშეშდა. კრისტოფს ეოგნა, რომ ის წვენის ჭამას მორჩა და მისი მათლაფა წაიღო; ამიტომ, როდესაც გორიომ ქუდი თვალებიდან აიწია და თავისი კოვზი აიღო, ის მაგიდას დაატაკა. ყველა თანამეინახეს სიცილი წასკდა.

_ ბატონო, _ თქვა მოხუცმა, _ თქვენ ბრიყვული ხუმრობა გცოდნიათ, და თუ კიდევ ნებას მისცემთ თქვენს თავს, რომ ქუდი ასე ჩამომაფხატოთ...

_ რა მოხდება, მამილო? _ სიტყვა გააწყვეტინა ვოტრენმა.

_ რა და, ერთ მშვენიერ დღეს ძვირად დაგიჯდებათ თქვენ ეს...

_ ჯოჯოხეთში არა? _ ჩაურთო მხატვარმა, _ იმ ბნელ კუთხეში, სადაც ცელქ ბავშვებს აყენებენ ხოლმე!

_ მადმუაზელ, _ მიმართ ავოტრენმა ვიქტორინეს, _ თქვენ არაფერს არ მიირთმევთ, ალბათ, მამათქვენი ისევ ჯიუტობს?

_ საშინელებაა! _ მიუგო ქალბატონმა კუტიურმა.

_ ჭკუის სწავლება უნდა, _ თქვა ვოტრენმა.

_ ვინაიდან მადმუაზელი არაფერს არ მიირთმევს, _ თქვა რასტინიაკმა, რომელიც საკმაოდ ახლო იჯდა ბიანშონთან, _ მას შეუძლია პროცესი აღძრას კვების ფულის უკან დაბრუნების შესახებ. ეჰე! ეჰე! შეხედეთ ერთი, როგორ მისჩერებია მამა გორიო მადმუაზელ ვიქტორინეს.

მოხუცს ჭამა დავიწყებოდა და თვალს ვერ აშორებდა საბრალო ახალგაზრდა ქალიშვილს, რომლის სახეზედაც იხატებოდა ჭეშმარიტი მწუხარება უარყოფილი, მაგრამ მამის მოყვარული შვილისა.

_ ჩემო კარგო, _ ხმადაბლა წაულაპარაკა ეჟენმა ბიანშონს, _ ჩვენ მამა გორიოსთან ვტყუით. ეგ არც სულელია და არც უგრძნობელი ადამიანი. აბა, სცადე მაგაზე ის შენი გალის სისტემა და მერე მითხარი შენი აზრი. წუხელ მე ვნახე, როგორ გრეხდა მოოქრულ ვერცხლის თეფშს, თითქოს ცვილისა ყოფილიყოს; ამ წუთშიაც მაგისი სახე

არაჩვეულებრივ სათუთ გრძნობებს გამოხატავს. მაგის ცხოვრება, ჩემი აზრით, დიდი საიდუმლოებითაა მოცული და ღირსია შესწავლისა. დიახ, ბიანშონ, ტყუილად იცინი, მე არ ვხუმრობ.

_ გეთანხმები, რომ ეს ადამიანი სამედიცინო მაგალითია, _ თქვა ბიანშონმა. _ თუ თვითონ მოიწადინებს, მე მას გავკვეთავ.

_ არა, თავი გაუსინჯე.

_ წადი იქით, მაგისი სისულელე გადამდები რომ აღმოჩნდეს?

მეორე დღეს რასტინიაკი ლაზათიანად გამოეწყო და ნაშუადღევის სამი საათისათვის ქალბატონ დე რესტოსთან წავიდა. გზაში ბევრი უსაფუძვლო და გიჟური იმედი აღეძრა, რომლებიც ასე ალამაზებენ ყმაწვილთა ცხოვრებას მღელვარე განცდებით. ასეთ დორს მათთვის აღარც დაბრკოლებები არსებობს, აღარც საფრთხე, მხოლოდ გამარჯვებას ხედავენ, თავის სიცოცხლეში საკუთარი ფანტაზიის ძალით პოეზია შეაქვთ და თავს უბედურად გრძნობენ ან გული უტყდებათ, როდესაც გაუცრუვდებათ ხოლმე იმედები, რომლებიც ჯერ მხოლოდ მათი საკუთარი დაუდგრომელი სურვილებით ცოცხლობდნენ; ისინი რომ გამოუცდელნი და მორცხვნი არ იყვნენ, მწყობრი საზოგადოებრივი ცხოვრების შენარჩუნება შეუძლებელი გახდებოდა. ეჟენი დიდი სიფრთხილით მიდიოდა, რომ არ გატალახიანებულიყო; მაგრამ სიარულის დროს ფიქრობდა იმას, თუ რას ეტყოდა ქალბატონ დე რესტოს, იმარაგებდა გონებამახვილობას, თხზავდა პასუხებს წარმოსახვითი მომავალი საუბრისათვის, ამზადებდა ლამაზ სიტყვებს და ტალეინარისებურ ფრაზებს იმ ვარაუდით, რომ ბედნიერი შემთხვევები მიეცემოდა აღსარების სათქმელად, და ამ აღსარებაზე ამყარებდა მთელ თავის მომავალს. რა თქმა უნდა, სტუდენტი გატალახიანდა და იძულებული გახდა პალე-როიალში ფეხსაცმელები და შარვალი გაეწმენდინებინა.

«მდიდარი რომ ვყოფილიყავი», _ გულში თქვა მან, როდესაც სავინიცობოდ წამოღებული ასსუიანი ვერცხლი დაახურდავა, _ ეტლით წამოვიდოდი და მშვიდი ფიქრის საშუალება მომეცემოდა».

დასასრულ მან მიაღწია ჰელდერის ქუჩას და გრაფ დე რესტოს მეუღლე იკითხა. როგორც ეს მომავალ გამარჯვებაში დარწმუნებულ ადამიანს შეეფერება, მან გულში ჩაიკლა სიბრაზე, როდესაც ლაქიებმა აგდებულად ახედ-დახედეს, რაკი დაინახეს, რომ ეზოში ფეხით შემოვიდა და ალაყაფთანაც ეტლის ხმაური არ ისმის. ეს ახედ-დახედვა მით

უფრო ძნელი ასატანი იყო ეჟენისათვის, რომ მან ეზოში შემოსვლისთანავე დამცირება იგრძნო, რადგან იქ მიწას ტორს სცემდა ლამაზი ცხენი, მდიდრული მოკაზმულობით შებმული ერთ იმდაგვარ მოხდენილ კაბრიოლეტში, რომელიც მისი პატრონის ფუფუნების და მფლანგველი ცხოვრების ამბავს ღაღადებს და გაფიქრებინებს, ის ყოველგვარ პარიზულ სიამოვნებას მიჩვეულიაო. მარტო დარჩენილ ეჟენს გუნება გაუფუჭდა. მის ტვინში გამოღებული უჯრები, რომლებიც მისი ვარაუდით, გონებამახვილობით უნდა ყოფილიყვნენ სავსე, დაიხურნენ, და ეჟენი გამოსულელდა. ვიდრე გრაფის მეუღლის პასუხს ელოდა, რომელთანაც ერთი ლაქია წავიდა სტუმრის სახელის მოსახსენებლად, ეჟენი წინა ოთახში ფანჯრის წინ გაჩერდა, მთელი ტანით ცალ ფეხს დაეყრდნო, იდაყვით _ ფანჯრის ურდულს და უნებლიეთ ეზოში გაიხედა. დრო გრძელი ეჩვენა და აუცილებლად წავიდოდა, რომ სამხრეთული სიჯიუტით არ ყოფილიყო დაჯილდოებული, რომელიც სასწაულებს ახდენს, როდესაც პირდაპირ მიდის მიზნისაკენ.

_ ბატონო, _ მოახსენა ლაქიამ, _ ქალბატონი თავის ბუდუარშია და ისე დაკავებულია, რომ ჩემთვის პასუხი არ მოუცია. მაგრამ იქნებ სასტუმრო ოთახში შებრძანება ინებოთ, იქ უკვე სტუმარია.

გაოცებულმა მსახურთა საშინელი ძალაუფლებით, რომლებიც ერთადერთი სიტყვით დასძრახავენ ან გაასამართლებენ ხოლმე თავიანთ ბატონებს, რასტინიაკმა, _ უთუოდ იმისთვის, რომ ამ უდიერი ლაქიებისათვის ეჩვენებინა, ვითომ ამ სახლის ასავალ-დასავალი უთქვენოდაც კარგად ვიციო, _ გაბედულად შეაღო კარი, რომლიდანაც ლაქია გამოვიდა, მაგრამ გაშტერებულმა თავი ამოჰყო ერთ ოთახში, სადაც ბუფეტები, ლამპები, სააბაზანო პირსახოცების გასათბობი მოწყობილობა და სხვა ასეთები შეენახათ, და საიდანაც გზა ბნელ დერეფანსა და ფარულ კიბეზე გადიოდა. წინა ოთახიდან შეკავებული სიცილი მოესმა, რომელმაც საბოლოოდ დააბნია ეჟენი.

_ ბატონო, სასტუმრო ოთახი აქეთ გახლავთ, _ მიეშველა ლაქია ყალბი მოწიწებით, რომელშიც ახალი დაცინვა გამოსჭვიოდა.

ეჟენი ისე სწრაფად გამოვარდა უკან, რომ წყლით სავსე აბაზანას დაეჯახა და ძლივს გადაარჩინა თავისი ქუდი შიგ ჩავარდნას. სწორედ ამ დროს პატარა ლამპით განათებული გრძელი დერეფნის ბოლოში ერთი კარი გაიღო და ეჟენს გრაფ დე რესტოს მეუღლის და მამა გორიოს ხმები და კოცნა მოესმა. ეჟენი სასადილო ოთახში შეჰყვა ლაქიას, გადაჭრა იგი და პირველ სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც ფანჯარასთან გაჩერდა, რადგან შეამჩნია, რომ ფანჯრები ეზოს გადასცქეროდნენ. მას ძალიან უნდოდა დაენახა, მართლა მამა გორიო

იყო აქ თუ არა. გული საოცრად უცემდა. მას გაახსენდა ვოტრენის შემზარავი მოსაზრებები, ლაქია მეორე სასტუმრო დარბაზის კართან უცდიდა ეჟენს, მაგრამ ანაზადად იქიდან ერთი კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, რომელმაც მოთმინებიდან გამოსული ხმით თქვა:

_ მე მივდივარ, მორის, თქვენ მოახსენეთ ქალბატონს, რომ მე მას ნახევარი საათი ვუცადე.

ეს კადნიერი, რომელსაც უთუოდ კადნიერების უფლებაც ჰქონდა მოპოვებული, იტალიური ჰანგის ღიღინით გაემართა ფანჯრისაკენ, სადაც ეჟენი იდგა, რათა ეზოშიაც გადაეხედა და სტუდენტის სახეც დაენახა.

_ ბატონო გრაფო, თუ ინებებთ კიდევ ერთ წუთს მოცდას, ქალბატონი მორჩა საქმებს, _ უპასუხა მორისმა და წინა ოთახში დაბრუნდა.

ამ წუთას მამა გორიო პატარა უკანა კიბით ჩავიდა ალაყაფთან. მოხუცმა ქოლგა მოიმარჯვა და გაშლას აპირებდა და ამიტომ ყურადღება ვერ მიაქცია, რომ ალაყაფი გაიღო და შემოვიდა ტილბიური, რომელსაც ორდენით შემკული ახალგაზრდა კაცი მართავდა. მამა გორიომ ძლივს მოახერხა უკან გადახტომა, რომ ეტლს არ გაესრისა. ცხენი დააფრთხო ქოლგამ, ის ოდნავ განზე გახტა და პარმაღისკენ გაქანდა. ახალგაზრდა კაცმა გაბრაზებული სახე მოიბრუნა, დაინახა მამა გორიო და, ვიდრე ეტლიდან ჩამოვიდოდა, მიესალმა მას ნაძალადევი პატივისცემით, როგორც ესალმებიან ხოლმე საჭირო მევახშეს, ან ზოგჯერ იძულებული ვართ, მივესალმოთ სახელგატეხილ ადამიანს, რაც შემდეგ სანანებლად გაგვიხდება. მამა გორიომ შინაურული გულკეთილი სალმით უპასუხა. ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით მოხდა. ეჟენს მთელი ყურადღება ეზოსკენ ჰქონდა მიქცეული და ვერ ამჩნევდა, რომ მარტო არ იყო; ამ დროს მოულოდნელად გრაფის მეუღლის ხმა მოესმა:

_ აჰ! მაქსიმ, თქვენ მიდიოდით? _ თქვა მან წყენანარევი საყვედურით. გრაფის მეუღლეს ვერ გაეგონა ტილბიურის შემოსვლა. რასტინიაკი უცებ მობრუნდა და დაინახა ქ-ნი დე რესტო კეკლუცად გამოწყობილი ვარდისფერ ბაბთებიანი თეთრი ქიშმირის ღამეულ სამოსში და დაუდევრად დავარცხნილი, როგორც დილაობით პარიზელ ქალებს სჩვევიათ; იგი ნელსურნელებას აფრქვევდა, ეტყობოდა, აბაზანა მიეღო და მისი მშვენება, ასე ვთქვათ, განაზებული, უფრო ხორციელი ჩანდა; თვალები წყლიანი ჰქონდა. ახალგაზრდა კაცის თვალი ყველაფერს ამჩნევს; მისი სული ითქვიფება ქალის სხივებში, როგორც მცენარე ითვისებს ჰაერიდან სასიცოცხლო ნივთიერებებს. ეჟენისთვისაც საჭირო არ იყო ამ ქალის

სათუთ ხელებს შეხებოდა, რომ ეგრძნო მათი ახალგაზრდული სინაზე. თხელ ქსოვილში ვარდისფრად გამოსჭვიოდა მისი მკერდი, და ხანდახან, როდესაც ღამეული სამოსი გაეღეღებოდა, ოდნავ კიდევაც უშიშვლდებოდა და ეჟენის მზერას იზიდავდა. გრაფის მეუღლეს არ სჭირდებოდა კორსეტის მოშველიება, მის მოქნილ წელს ქამრის მეტი არაფერი ამშვენებდა, მისი ყელი სასიყვარულოდ გიწვევდათ. კოხტა ფოსტლებში ჩადგმული ფეხები გხიბლავდათ. ეჟენმა მხოლოდ მაშინ შემაჩნია მაქსიმი, როდესაც იგი გრაფის მეუღლეს ხელზე ეამბორა და ქალმაც მაშინვე შეამჩნია ეჟენი.

_ ახალგაზრდა! ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო დე რასტინიაკ! ძლიერ მოხარული ვარ, რომ გხედავთ, _ თქვა მან ისეთი კილოთი, რომ გონიერი ადამიანი მაშინვე მიხვდებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

მაქსიმი ხან გრაფის მეუღლეს უცქეროდა და ხან ეჟენს საკმაოდ მეტყველი თვალებით, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი როგორმე თავიდან მოეშორებინა.

«ეს რაღა ამბავია! იმედი მაქვს, ჩემო კარგო, რომ ამ ვაჟბატონს აქედან გააგდებ», _ ასეთი იქნებოდა ცხადი და ზუსტი თარგმანი ამ ამპარტავანი ყმაწვილის მზერისა, რომელსაც ქალბატონმა ანასტაზიმ მაქსიმი უწოდა და რომელსაც ის ისეთი მორჩილი გამომეტყველებით უყურებდა თვალებში, რაც ქალის ყოველივე ხვაშიადს ამჟღავნებს მისდა უნებურად. რასტინიაკმა მძაფრი სიძულვილი იგრძნო ამ ახალგაზრდისადმი. ჯერ ერთი, მაქსიმის ლამაზად დახუჭუჭებული ქერა თმის დანახვაზე ის დარწმუნდა, თუ რაოდენ საძაგელი იყო მისი საკუთარი ქოჩორი; შემდეგ, მაქსიმს ეცვა კოხტა და სუფთა ფეხსაცმელები მაშინ, როდესაც მისი ფეხსაცმელები, მიუხედავად ფრთხილი სიარულისა, მაინც ოდნავ გასვრილი იყო; დაბოლოს, მაქსიმი კოხტად იყო გამოწყობილი რედინგოტში, რომელიც მას ლამაზ ქალს ამსგავსებდა, მაშინ, როდესაც ეჟენს ნაშუადღევის სამის ნახევარზე ეცვა შავი ფრაკი. გონიერმა შარანტისპირელმა ყმაწვილმა იგრძნო, რა უპირატესობას აძლევდა ჩაცმა ამ დენდის, ტანად მაღალსა და თხელს, შუბლღიას და ფერმკრთალს _ ერთ-ერთ იმათგანს, ვისაც შეუძლია ობლები გაძარცვოს. ქალბატონმა დე რესტომ ეჟენის პასუხს აღარ დაუცადა და ფრთაგაშლილივით სწრაფად გაცქრიალდა მეორე დარბაზში _ ღამეული სამოსის კალთები ჰაერში გაუფრიალდა და პეპელას დაამსგავსეს იგი; მაქსიმი მას გაჰყვა. გაცოფებული ეჟენიც გაჰყვა მაქსიმსა და გრაფის მეუღლეს. სამივენი შუაგულ დარბაზში შეჩერდნენ, ბუხრის პირდაპირ. სტუდენტს კარგად ესმოდა, რომ ის ზედმეტი იყო ამ საზიზღარი მაქსიმისათვის; მაინც გადაწყვიტა, ხელს შევუშლი ამ დენდის, თუნდაც რომ ამითი ქალბატონი დე რესტოს უკმაყოფილება

გამოვიწვიოო. მას უცებ მოაგონდა, რომ ეს ახალგაზრდა მას ნახული ჰყავდა ქალბატონი დე ბოსეანის წვეულებაზე, მიხვდა ვინ იყო მაქსიმი ქალბატონი დე რესტოსთვის და ახალგაზრდული შეუპოვრობით, რომელიც უდიდეს სისულელეს ჩაადენინებს ადამიანს, ან უდიდეს წარმატებას მოაპოვებინებს ხოლმე, მან გაიფიქრა: «ეს კაცი ჩემი მეტოქეა, მე მსურს მაგას ვაჯობო».

უგუნური! მან არ იცოდა, რომ გრაფი მაქსიმ დე ტრაი განზრახ აცლიდა ხოლმე, რომ მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, შემდეგ პირველი ესროდა და კლვდა მოწინააღმდეგეს. ეჟენი კარგი მონადირე იყო, მაგრამ ტირში ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა ოცდაორი თოჯინიდან ოცის ჩამოგდებას. ახალგაზრდა გრაფი ბუხრის წინ მდგარ ღრმა სავარძელში ჩაეშვა, ხელი სტაცა მაშას და ისეთი გააფთრებითა და წყენით დაიწყო ნაკვერცხლების რევა, რომ ანასტაზის ლამაზი სახეც უცებ მოიღრუბლა. ახალგაზრდა ქალი ეჟენს მიუბრუნდა და ცივად შემკითხავი თვალებით შეხედა, რომლებიც ცხადად ეუბნებოდნენ: «რატომ არ მიდიხართ?», რაზედაც კარგად აღზრდილი ადამიანი მაშინვე უპასუხებდა ერთ-ერთი ისეთი ფრაზით, რომლებსაც გამოსათხოვარი ფრაზები უნდა ეწოდოთ.

ეჟენმა სასიამოვნო სახე მიიღო და თქვა:

_ ქალბატონო, მე ვისწრაფოდი თქვენ სანახავად, რათა...

მას უცებ სიტყვა გაუწყდა. სადღაც კარი გაიღო. უცებ უქუდოდ შემოვიდა კაცი, რომელიც ტილბიურის მართავდა, გრაფის მეუღლეს არ მისალმებია, შეშფოთებულად შეხედა ეჟენს, ხელი ჩამოართვა მაქსიმს და «გამარჯობაო» უთხრა ისეთი ძმური კილოთი, რომ ეჟენი არაჩვეულებრივად გაოცდა. პროვინციელმა ახალგაზრდებმა არ იციან, რაოდენ ტკბილია ოჯახური სამკუთხედი.

_ ბატონი დე რესტო, _ გააცნო გრაფის მეუღლემ სტუდენტს თავისი ქმარი.

ეჟენმა მდაბლად დაუკრა თავი.

_ ეს გახლავთ, _ განაგრძო გრაფის მეუღლემ და გრაფ დე რესტოს წარუდგინა ეჟენი, _ ბატონი დე რასტინიაკი, ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლის ნათესავი მარსიაკების მხრიდან, რომელიც მე დიდი სიამოვნებით გავიცანი მის უკანასკნელ ბალზე.

«ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლის ნათესავი მარსიაკების მხრიდან», ეს სიტყვები გრაფის მეუღლემ თითქმის მაღალფარდოვნად წარმოთქვა იმ განსაკუთრებული სიამაყის გამო, რომელსაც განიცდიან დიასახლისები, როდესაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მათ

ოჯახში რჩეულთ შეხვდებით; მათ ჯადოსნურად იმოქმედეს: გრაფს შეეცვალა თავისი ცივი ცერემონიული გამომეტყველება და იგი მიესალმა სტუდენტს.

_ აღტაცებული გახლავართ თქვენი გაცნობით, ბატონო, _ თქვა მან.

თვით მაქსიმ დე ტრაიმაც კი შეშფოთებული თვალით შეხედა ეჟენს და მანაც დაკარგა თავხედური იერი. ჯადოსნური წკეპლის შეხებამ, რომელიც ყოვლისშემძლე სახელის ჩარევამ გამოიწვია, ოცდაათივე უჯრა გამოაღო სამხრეთელის ტვინში და დაუბრუნა მას წინასარ მოფიქრებული გონებამახვილობა. უეცარმა შუქმა გაუნათა მას პარიზის მაღალი საზოგადოების ატმოსფერო, რომელიც მისთვის კიდევ ბნელით იყო მოცული. იმ წუთას ვოკეს სახლიცა და მამა გორიოც ძლიერ შორს იყვნენ მისი გონებიდან.

_ მე მეგონა, რომ მარსიაკების საგვარეულო შეწყდა. _ უთხრა გრაფ დე რესტომ ეჟენს.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა სტუდენტმა. _ ჩემი პაპის ძმამ, შევალიე დე რასტინიაკმა, შეირთო მარსიაკების საგვარეულოს უკანასკნელი მემკვიდრე. მას მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც მარშალ დე კლარემბოზე გათხოვდა, ქალბატონ დე ბოსეანის პაპაზე დედის მხრიდან. ჩვენ უმცროსი შტო გახლავართ, მით უფრო ღარიბი, რომ პაპაჩემის ძმამ, ვიცე-ადმირალმა, ყველაფერი დაკარგა მეფის სამსახურში. რევოლუციურმა მთავრობამ ინდოეთის კამპანიის ლიკვიდაციის დროს ანგარიში არ გაუწია ჩვენს თამასუქებს.

_ პაპათქვენის ძმა 1789-მდე «შურისმაძიებლის» კაპიტანი ხომ არ იყო?

_ დიახ.

_ მაშ ის უთუოდ იცნობდა პაპაჩემს, რომელიც «უორვიკის» კაპიტანი იყო.

მაქსიმმა ოდნავ მხრები აიჩეჩა და ქალბატონ დე რესტოს შეხედა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ეუბნება «დავიღუპეთ, რაღა გვეშველება, ახლა რომ ამასთან ფლოტზე გააბას საუბარიო». ანასტაზი მიუხვდა ბატონ დე ტრაის. მან მოიშველია გასაოცარი ქალური ძალა და ღიმილით თქვა:

_ წამოდით, მაქსიმ, რაღაცა უნდა გთხოვოთ. ბატონებო, ჩვენ გტოვებთ, რათა ხელი არ შეგიშალოთ, რომ ერთად იმოგზაუროთ «უორვიკით» და «შურისმაძიებლით».

ანასტაზი წამოდგა, ცბიერებით აღსავსე ღიმილით ანიშნა მაქსიმს, გამომყევიო და ორივენი ბუდუარისკენ გაემართნენ. მაგრამ, ვიდრე ეს მორგანატული წყვილი, ეს მშვენიერი გერმანული გამოთქმაა, რომელსაც ფრანგული შესატყვისი არ მოეპოვება, ვიდრე ეს წყვილი კარებამდე მივიდოდა, გრაფმა შეწყვიტა საუბარი ეჟენთან.

_ ანასტაზი! დარჩით აქ, ჩემო კარგო, _ წამოიძახა მან უკმაყოფილოდ, _ თქვენ ხომ კარგად იცით, რომ...

_ მოვალ, მოვალ, _ აღარ დააცადა მეუღლემ თქმა, _ მე მხოლოდ ერთი წუთი მჭირდება იმის სათქმელად, რაც მაქსიმს მინდა დავავალო.

ის მალე დაბრუნდა. ყველა ქალმა, ვინც კი იძულებული არის ქმრის ხასიათს ანგარიში გაუწიოს, რათა საშუალება ჰქონდეს ნება-სურვილისამებრ მოიქცეს, კარგად იცის ის ზღვარი, სადამდეც შეიძლება მისვლა ძვირფასი ნდობის დაუკარგავად, და ამიტომ არასოდეს არ აუხირდება ხოლმე ქმარს წვრილმანების გამო; გრაფის მეუღლემაც ხმაზე შეატყო გრაფს, რომ ბუდუარში დარჩენა საშიში იქნებოდა, ეს შავი დღე ეჟენის მიზეზით დაადგათ. მან გაჯავრებული გამომეტყველებით მიუთითა სტუდენტზე მაქსიმს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამცინავად მიმართა გრაფს, მის მეუღლესა და ეჟენს:

_ თქვენ საქმეები გქონიათ და მე აღარ შეგაწუხებთ. მშვიდობით! _ და ამ სიტყვებზე მაქსიმი ოთახიდან გავიდა.

_ დარჩით, მაქსიმ! _ მიაძახა გრაფმა.

_ სადილად მოდით, _ დასძინა გრაფის მეუღლემ, რომელმაც კიდევ ერთხელ მიატოვა გრაფი და ეჟენი და მაქსიმს გაჰყვა პირველ დარბაზში, სადაც ისინი საკმაოდ დიდხანს დარჩნენ იმის იმედით, რომ ბატონი დე რესტო გაისტუმრებდა ეჟენს.

რასტინიაკს ესმოდა, როგორ საუბრობდნენ ისინი, ხან სიცილი წასკდებოდთ, ხან დუმდებოდნენ. მაგრამ, ცბიერი სტუდენტი ამასობაში ცდილობდა გონებამახვილობით თავი გამოეჩინა ბატონ დე რესტოსთან, პრიფერობდა ან კამათს გაუბამდა ხოლმე, რათა ისევ ენახა გრაფის მეუღლე და გამოერკვია, როგორი იყო მისი დამოკიდებულება მამა გორიოსთან. ეს ქალი, რომელიც ასე აშკარად ეტრფოდა მაქსიმს, რომელიც ქმარს მბრძანებლობდა და რომელიც ფარულად მოხუც მევერმიშელესთან იყო დაკავშირებული, საიდუმლოებით მოცული ეჩვენებოდა ეჟენს. მას სწადდა ამ საიდუმლოებაში ჩახედვა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით მოიპოვებდა სრულ ძალაუფლებას ამ სულით ხორცამდე პარიზელ ქალზე.

_ ანასტაზი! _ გრაფმა ხელახლა დაუძახა თავის მეუღლეს.

_ ეჰ, ჩემო საბრალო მაქსიმ, _ უთხრა გრაფის მეუღლემ ვაჟს, _ უნდა დავმორჩილდეთ. საღამომდე...

_ იმედი მაქვს, ნაზი, _ ყურში უთხრა მაქსიმმა, რომ თქვენ აღარ მიიღებთ ამ ყმაწვილს, რომელსაც თვალები ნაკვერჩხლებივით ენთებოდა, როდესაც თქვენი ღამეულის

სამოსი იღეღებოდა. ის სიყვარულის აღსარებებს დაგიწყებთ, სახელს გაგიტეხთ და მე იძულებული გავხდები მოვკლა.

_ ხომ არ გადარეულხართ, მაქსიმ? _ მიუგო გრაფის მეუღლემ, _ პირიქით, განა ეს პატარა სტუდენტები საუკეთესო მეხთამრიდები არ არიან? მე, რა თქმა უნდა, ვეცდები, რომ რესტომ ეგ შეიძულოს.

მაქსიმმა გადაიხარხარა და გავიდა; გრაფის მეუღლემ გააცილა და ფანჯარასთან გაჩერდა, საიდანაც უცქეროდა, როგორ ჩაჯდა მაქსიმი თავის ეტლში და როგორ აათამაშა ცხენი შოლტის ქნევით. ის მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როდესაც ალაყაფი დაკეტეს.

_ იცით, ჩემო კარგო, _ შეეგება გრაფი, როდესაც ანასტაზი შემოვიდა, _ თურმე მამული, რომელშიც ბატონი რასტინიაკის ოჯახი ცხოვრობს, შორს არ ყოფილა შარანტეზე მდებარე ვერტეიდან. ბატონი რასტინიაკის პაპის ძმას და პაპაჩემს ერთმანეთი სცნობიათ.

_ მოხარული ვარ, რომ საერთო ნაცნობობა აღმოგვჩენია, _ უგულისყუროდ მიუგო მეუღლემ.

_ უფრო მეტიც კი, ვიდრე თქვენ გგონიათ, _ ხმადაბლა შენიშნა სტუდენტმა.

_ როგორ? – გამოცოცხლდა გრაფის მეუღლე.

_ ეს-ესაა ვნახე, როგორ გამოვიდა თქვენგან ერთი კაცი, _ განაგრძო სტუდენტმა, _ რომელიც ჩემი კარის მეზობელია პანსიონში, მამა გორიო.

ამ სახელის, ისიც «მამათი» შემკულის გაგონებაზე, გრაფმა, რომელიც ნაკვერჩხლებს ურევდა, მაშა ბუხარში შეაგდო, თითქოს ხელები დაეწვაო, და წამოდგა.

_ ბატონო, თქვენ გინდოდათ გეთქვა ბატონი გორიო! _ წამოიძახა მან.

გრაფის მეუღლე ჯერ გაფითრდა, რა დაინახა თავის ქმრის აღელვება, შემდეგ გაწითლდა და აშკარად დაიბნა; მან ნაძალადევად ბუნებრივი ხმით და ხელოვნური უზრუნველობით მიუგო:

_ ჩვენ უფრო საყვარელი ადამიანი არავინ გვეგულება...

მან სიტყვა აღარ დაამთავრა, ფორტეპიანოს გადახედა და, თითქოს უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავშიო, ეჟენს ჰკითხა:

_ მუსიკა თუ გიყვართ?

_ ძალიან, _ მიუგო გაწითლებულმა და დაბნეულმა ეჟენმა, რომელმაც ბუნდოვნად იგრძნო, რომ რაღაც დიდი სისულელე ჩაიდინა.

_ მღერით? _ წამოიძახა გრაფის მეუღლემ, რომელიც ფორტეპიანოს მიუახლოვდა და სწრაფად აახმაურა ყველა კლავიში ქვედა დოდან ზედა ფამდე. რრრრაჰ!

_ არა, ქალბატონო.

_ სამწუხაროა, თქვენ მოკლებული ყოფილხართ წარმატების უდიდეს საშუალებას. Ca-a-ro, ca-a-a-ro, ca-a-a-aro, non dubitare, დაამღერა გრაფის მეუღლემ.

მამა გორიოს სახელის ხსენებით ეჟენმა ჯადოსნური წკეპლა აამოქმედა, მაგრამ ამჯერად მისი შედეგი სრულაიდ საწინააღმდეგო აღმოჩნდა ადრე წარმოთქმული სიტყვების შედეგისა: «ქალბატონი დე ბოსეანის ნათესავი». ეჟენი იმ ადამიანის მდგომარეობაში ჩავარდა, რომელიც ძლივს ეღირსა იშვიათი ნივთების მოყვარულის მიერ მიღებას და გაუფრთხილებლად დაეჯახა ქანდაკებებით სავსე კარადას, რის გამოც რამდენიმე ქანდაკებას თავი მოემტვრა. ის ფიქრობდა, რატომ მიწა არ გამისკდებაო. ქალბატონ დე რესტოს სახემ ცივი გამომეტყველება მიიღო, ხოლო მისი გულგრილი თვალები გაურბოდნენ უიღბლო სტუდენტის თვალებს.

_ ქალბატონო, _ წარმოთქვა მან, _ თქვენ ბატონ დე რესტოსთან სალაპარაკო გაქვთ, ინებეთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემა და ნება დამრთოთ...

_ ყოველთვის, როდესაც კი მობრძანდებით, _ აჩქარებით უპასუხა გრაფის მეუღლემ და ხელის ერთი ნიშნით გააჩუმა ეჟენი, _ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეცა და ბატონ დე რესტოსაც უდიდეს სიამოვნებას მოგვანიჭებთ.

ეჟენმა მდაბლად თავი დაუკრა ცოლ-ქმარს და გავიდა. ბატონმა დე რესტომ, მიუხედავად ეჟენის დაჟინებითი თხოვნისა, ნუ სწუხდებითო, ის წინაოთახამდე მიაცილა.

_ ყოველთვის, როდესაც კი ბატონი დე რასტინიაკი მოვა, _ უთხრა გრაფმა მორისს, _ არც მე და არც ქალბატონი შინ არ ვიქნებით.

როდესაც ეჟენი პარმაღზე გამოვიდა, დაინახა, რომ წვიმდა.

«ეჰ! _ თქვა მან გულში, _ მივედი თუ არა, მაშინვე რაღაც სისულელე წამოვროშე, რომლის არც მიზეზი მესმის და არც მნიშვნელობა, და ყოველივე ამასთან ერთად ახლა ფრაკსაც და ქუდსაც გავიფუჭებ. მე უნდა ვეგდო სადმე კუთხეში, ვზუთხავდე სამართალს და ვფიქრობდე, რომ როგორმე სასამართლოს ბეჯითი მოხელე გავხდე. სად შემიძლია მაღალ საზოგადოებაში გამოსვლა, როდესაც იმისთვის, რომ იქ თავი კარგად გეჭიროს, ათასგვარი აუცილებელი მოწყობილობაა საჭირო _ კაბრიოლეტები, გაპრიალებული ფეხსაცმელები, ოქროს ძეწკვები, დილაობით თეთრი ნატის ხელთათმანები, როლებიც წყვილი ექვსი ფრანკი ღირს, საღამოობით კი უეჭველად ყვითლები. ეჰ, მამა გორიო, ის ბებერი თაღლითი, ისა!»

როდესაც ეჟენი ალაყაფის კარში გამოვიდა, საქირაო კარეტის მეეტლემ, რომელსაც, ეტყობოდა, ის-ის იყო ახლად დაქორწინებული წყვილი მიეყვანა სახლში და რომელსაც ახლა მხოლოდ ის უნდოდა, რომ ეტლის პატრონისგან ფარულად კიდევ რამდენიმე მგზავრობის ქირა აეღო, რა დაინახა ის უქოლგოდ, შავი ფრაკით, თეთრი ჟილეტით, ყვითელი ხელთათმანებით და გაპრიალებული ფეხსაცმელებით გამოწყობილი, მაშინვე ნიშანი მისცა მას. ეჟენი ყრუ გულისწრომის ბრჭყალებში იმყოფეობდა, რომელიც აიძულებს ხოლმე ახალგაზრდა ვაჟს უფრო და უფრო ღრმად დაეშვას უფსკრულში, რომელშიც მან ეს-ეს არის იწყო დაშვება, თითქოს იმის იმედით, რომ იქ რაიმე საბედნიერო გამოსავალი მოიძებნება. მან თავის დაქნევით განუცხადა თანხმობა მეეტლესა და ჩანჯდა ეტლში, როემლშიაც ფლერ დ'ორანჟის რამდენიმე მარცვალი და ოქრომკედის ნაწყვეტები ეყარა, ნეფე-პატარძლის მოგზაურობის მოწმეები.

_ სად მიბრძანდებით, ბატონო? _ იკითხა მეეტლემ, რომელსაც უკვე წაეძრო თავისი თეთრი ხელთათმანები.

«ჯანდაბას!@ _ გაიფიქრა ეჟენმა, _ თუ ვიღუპები, ბარემ ისე დავიღუპო, რომ რამე სარგებლობაც ვნახო!»

_ დე ბოსეანების სახლისკენ, _ ხმამაღლა გასძახა მან მეეტლეს.

_ რომლისკენ? _ იკითხა მეეტლემ.

ამ დიდმნიშვნელოვანმა კითხვამ დააბნია ეჟენი. ახლად გამოჩეკილმა დარდიმანდმა არ იცოდა, რომ დე ბოსეანებს ორი სახლი ჰქონდათ; არ იცოდა, თუ რაოდენ მდიდარი იყო ნათესავებით, როლებსაც ის აინუნშიაც არ მოსდიოდათ.

_ ვიკონტ დე ბოსეანისა...

_ გრენელის ქუჩაზე, _ სიტყვა ჩამოართვა მეეტლემ თავის ქნევით. _ თორემ, ხომ იცით, კიდევ არის მეორე სახლი, გრაფი დე მარკიზ დე ბოსეანებისა, სენ-დომინიკის ქუჩაზე, _ დასძინა მან და ეტლის საფეხური აკეცა.

_ ვიცი, _ მიუგო ეჟენმა ცივად.

«დღეს ყველა მე დამცინის! _ გაიფიქრა მან და ქუდი წინა სკამის ბალიშებზე დააგდო. _ ეს ნებივრობა ძვირად დამიჯდება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ეგრეთ წოდებულ ბიძაშვილს სადარბაზოდ სავსებით არისტოკრატულად მაინც ვეწვევი. ის ბებერი არამზადა მამა გორიო უკვე ათ ფრანკამდე მიღირს! ღმერთმანი, ჩემი თავგადასავალი ქალბატონ დე ბოსეანს უნდა ვუამბო. იქნება გავაცინო. მას აუცილებლად ეცოდინება ამ ბებერი უკუდო ვირთხისა და იმ მზეთუნახავის ბნელი ურთიერთობის

საიდუმლო. ჯობს, ჩემს ბიძაშვილს მოვაწონო თავი, ვიდრე იმ ზნედაცემულ ქალს შევასკდე, რომელსაც ჩემი შთაბეჭდილებით, ბლომად ფული უნდა დაახარჯო, ვიკონტის მშვენიერი მეუღლის სახელს თუ ამდენი ძალა შესწევს, რა წონა ექნება თვით მის პიროვნებას? მივმართოთ უმაღლეს სფეროებს. ზეცას რომ უტევ, მიზანში ღმერთი უნდა ამოიღო!»

ეს სიტყვები გადმოსცმენ იმ ათას ერთი აზრის მოკლე შინაარსს, რომლებშიც ეჟენი ტივტივებდა. წვიმამ ოდნავ დაამშვიდა და თავის იმედი დაუბრუნდა. გაიფიქრა, რომ მართალია ორი უკანასკნელი ძვირფასი ასსუიანი ვერცხლი უნდა დაეხარჯა, მაგრამ ისინი სარგებლობას მოუტანდნენ, რადგან გადაურჩენდნენ ფრაკს, ფეხსაცმელებს და ქუდს. მხიარული გრძნობა გაუღვიძა გულში მეეტლის ძახილმა: «ალაყაფი გააღეთ, თუ შეიძლება!» წითლად და ოქროსფრად შემოსილმა შვეიცარმა ააჭრიალა ალაყაფის კარი და რასტინიაკმა ტკბილი კმაყოფილება იგრძნო, როდესაც მისმა ეტლმა თაღის ქვეშ გაიარა, ეზოს შემოუარა და პარმაღის საჩიხის ქვეშ შედგა. წითელი არშიაშემოვლებული უხეში მოსასხამიანი მეეტლე ჩამოხტა და საფეხური ჩამოუშვა. ეტლიდან გადმოსვლისთანავე ეჟენს პერისტილიდან შეკავებული სიცილი მოესმა. სამი თუ ოთხი ლაქია სასაცილოდ იგდებდა ამ მდაბიურ საქორწინო ეტლს. სიცილის მიზეზს ეჟენი მაშინვე მიხვდა, როდესაც თავისი ეტლი შეადარა პარიზის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ელეგანტურ ორადგილიან კარეტას; კარეტაში ორი იორღა ცხენი იყო შებმული, რომლებსაც ყურებზე ვარდები ჰქონდათ დამაგრებული; იორღები ლაგამს ღრღნიდნენ და გაპუდრულ და საუცხოო ყელსაბამიან მეეტლეს მაგრად ეჭირა მათი სადავე, თითქოს ცხენები აწყვეტას ლამობდნენ. შოსე დ'ანტენზე, ქალბატონ დე რესტოს ეზოში, ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაცის კოხტა კაბრიოლეტი იდგა. სენ-ჟერმენის გარეუბანში ვიღაც დიდებულის მდიდრული ეკიპაჟი იცდიდა, რომელსაც ოცდაათი ათას ფრანკადაც ვერ იყიდდი.

«ვინ არის ნეტავი აქ? _ გაიფიქრა ეჟენმა, რომელიც ცოტა დაგვიანებით მიხვდა, რომ პარიზში ძალიან ცოტა უნდა ყოფილიყო ვინმეს მიერ დაუკავებელი ქალები, და რომ რომელიმე ამ დედოფლის დაპყრობისთვის მარტო სისხლის ფასი არ კმაროდა. _ დალახვროს ეშმაკმა! უთუოდ ჩემს ბიძაშვილსაც ეყოლება თავისი მაქსიმი».

ეჟენის გულის ფანცქალით ავიდა პარმაღზე. მისი მიახლოებისას მინებიანი კარი გაიღო და მის იქით დახვდნენ ლაქიები, რომლებიც ისე დინჯად იდგნენ, როგორც ვირები გაწმენდის დროს. მეჯლისი, რომელსაც ეჟენი დაესწრო, დიდ მისაღებ დარბაზებში იქნა გადახდილი, რომლებსაც დე ბოსეანების სახლის პირველი სართული ეკავათ. ვინაიდან

მიწვევისა და მეჯლისის შორის განვლილ დროში ეჟენმა ვერ მოასწრო თავის ნათესვთან სადარბაზოდ მისვლა, ამიტომ ის ჯერ არ იყო ნამყოფი ქალბატონი დე ბოსეანის ოთახებში; მას ახლა პირველად უნდა ეხილა ვიკონტის მეუღლის პირადი ელეგანტურობის სასწაულები, რომლებიც დიდგვაროვანი მანდილოსნი ზნე-ჩვეულებებსა და სულიერ ცხოვრებაზე მეტყველებენ. მათზე დაკვირვება მით უფრო საინტერესო იყო, რომ ქალბატონ დე რესტოს სალონი შედარებისთვის საზომს აძლევდა ეჟენს. ხუთის ნახევრიდან ვიკონტის მეუღლე სტუმრებს იღებდა. ხუთი წუთით უფრო ადრე რომ მოსულიყო მისი ბიძაშვილი, ის არ მიიღებდა. ეჟენი, რომელსაც არაფერი ესმოდა პარიზული ეტიკეტის სხვადასხვაობისა, ყვავილეიბთ სავსე, ოქროსფერ მოაჯირიანი და წითელ საფენიანი ფართო თეთრი კიბით მიაცილეს ქალბატონ დე ბოსეანთან, რომლის სიტყვიერ ბიოგრაფიას, ერთ-ერთ იმ ცვალებად ამბავთაგანს, რომლებსაც საღამოობით პარიზის სალონებში ჩუმად ყურში უამბობენ ხოლმე ერთმანეთს, არ იცნობდა.

ვიკონტის მეუღლე უკვე სამი წელიწადი იყო დაკავშირებული მარკიზ დ'აჟუდა-პინტოსთან, პორტუგალიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო განთქმულ და უმდიდრეს დიდგვაროვანთან. მათი კავშირი, მეტისმეტად უმწიკვლო, იმდენად მომხიბლავი იყო ორივესთვის, რომ ისინი ვერ იტანდნენ მესამე პირთა სიახლოვეს. ამიტომ ვიკონტ დე ბოსეანმა თვით მისცა მაგალითი საზოგადოებას მათი მორგანტული კავშირის ძალაუნებური პატივისცემით. ამ მეგობრობის პირველ დღეებში ყველას, ვინც ორ საათზე მოვიდოდა სტუმრად ვიკონტის მეუღლესთან, იქ დახვდებოდა ხოლმე მარკიზ დ'აჟუდა-პინტო. ქალბატონ დე ბოსეანს არ შეეძლო სტუმრებისათვის თავისი კარის ჩაკეტვა, ეს მეტისმეტად უხერხული იქნებოდა, მაგრამ ისე ცივად იღებდა მათ და ისეთი ყურადღებით ათვალიერებდა ჭერს, რომ ყველა ხვდებოდა, მასპინძელს ვაწუხებო. როდესაც პარიზში გაიგეს, რომ ორი საათიდან ოთხ საათამდე სადარბაზოდ მისული ხალხი აწუხებდა ქალბატონ დე ბოსეანს, ის სრულ განმარტოებაში დატოვეს. ბატონი დე ბოსეანის და ბატონი დ'აჟუდა-პინტოს თანხლებით ის დადიოდა ბუფონებთან და ოპერაში; მაგრამ ბატონი დე ბოსეანი, რომელმაც თავის დაჭერა იცოდა, ტოვებდა ხოლმე თავის მეუღლეს და პორტუგალიელს, როგორც კი ადგილზე დასვამდა. ბატონი დ'აჟუდა-პინტო დაქორწინებას აპირებდა. ის ირთავდა დე როშფიდის ქალიშვილს. ამ ქორწინების ამბავი მთელ უმაღლეს საზოგადოებაში მხოლოდ ერთადერთმა ადამიანმა არ იცოდა, და ეს ადამიანი ქალბატონი დე ბოსეანი იყო. ზოგიერთმა მეგობარმა ქალმა გადაკრული სიტყვებით სცადა მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი; მას ეცინებოდა ამაზე, რადგან ეგონა,

რომ მის მეგობრებს შურით სურდათ მისი ბედნიერების დარღვევა. ამასობაში ნიშნობა უნდა მალე გამოეცხადებინათ. ლამაზი პორტუგალიელი მოსულიყო რომ ვიკონტის მეუღლისათვის ეცნობებინა ამ ქორწინების შესახებ, მაგრამ ჯერ თავისი ღალატის თაობაზე კრინტის დაძვრაც ვერ გაებედა. რატომ? უთუოდ არაფერი არ არის უფრო ძნელი, ვიდრე ქალისთვის ასეთი ულტიმატუმის წაყენება. ზოგიერთ მამაკაცს ურჩევნია საბრძოლოდ გამზადებული იდგეს მეორე მამაკაცის წინაშე, რომელსაც მახვილი აქვს მოღერებული მისი გულის გასაგმირავად, ვიდრე მანდილოსნის წინაშე, რომელიც ორიოდე საათს იწუწუნებს და მერე მომაკვდავივით სასუნებელ მარილს მოითხოვს.

ამ წუთშიაც ბატონი დ'აჟუდა-პინტო ეკლებზე იჯდა და წასვლა უნდოდა; ის ფიქრობდა, ქალბატონი დე ბოსეანი მაინც შეიტყობს ამ ამბავსო, ან არადა მივწერო; წერილით უფრო ადვილია სიყვარულისთვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენება, ვიდრე ცოცხალი სიტყვით. როდესაც ლაქიამ ბატონი ეჟენ დე რასტინიაკის მოსვლა მოახსენა ვიკონტის მეუღლეს, მარკიზი დ'აჟუდა-პინტო სიხარულისაგან კინაღამ შეხტა. უნდა იცოდეთ, რომ ქალი, რომელსაც უყვარს, ეჭვების მიზეზების გამოძებნას კიდევ უფრო ადვილად ახერხებს, ვიდრე სიამოვნების სხვადასხვა სახეებისა. როდესაც მას სატრფოსგან მიტოვება ელის, ის ამა თუ იმ ჟესტის მნიშვნელობას უფრო სწრაფად ხვდება, ვიდრე ვირგილიუსის მიერ ნახსენები ულაყი გრძნობდა სიყვარულის მაუწყებელ შორეულ სურნელს. ამიტომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქალბატონ დე ბოსეანს არ გამორჩენია ეს უნებური მოძრაობა, ძლივს შესამჩნევი, მაგრამ შემაძრწუნებელი თავისი მიამიტობით. ეჟენმა არ იცოდა, რომ პარიზში არავისთან არ შეიძლება მისვლა, თუ წინასწარ ოჯახის მეგობრებისგან არ შეიტყვეთ ქმრის, ცოლის და თვით შვილების ამბებიც, რათა იქ არ ჩაიდინოთ რაიმე ისეთი სიბრიყვე, რომლის შესახებაც პოლონეთში მოხდენილად იტყვიან ხოლმე _ **თქვენ ურემში ხუთი ხარი უნდა შეაბათო**, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამოგათრიონ ტალახიანი ორმოდან, რომელშიც ჩაეფალით. თუ ასეთ წინდაუხედავ როშვას საფრანგეთში ჯერ თავისი საკუთარი სახელი არა აქვს, ეს უთუოდ იმითი აიხსნება, რომ ჭორების დიდი გავრცელების გამო ის აქ შეუძლებლად მიაჩნიათ. მას შემდეგ, რაც ქალბატონ დე რესტოსთან ჩაეფლო ორმოში, რომელმაც ურემში ხუთი ხარის შებმა არც კი აცალა, მხოლოდ ეჟენს შესწევდა გამბედაობა განეგრძო მეხრეობა და ქალბატონ დე ბოსეანთან მისულიყო. მაგრამ თუ იქ მან საშინლად შეაწუხა ქალბატონი დე რესტო და ბატონი დე ტრაი, სამაგიეროდ, აქ უხერხულობიდან გამოიყვანა ბატონი დ'აჟუდა.

_ მშვიდობით, _ თქვა პორტუგალიელმა და გაეშურა კარისაკენ, რომლითაც ეჟენი შემოვიდა კოპწია, რუხ და ვარდისფერ პატარა სალონში, სადაც ფუფუნება ჩვეულებრივი ლაზათი გეგონებოდათ.

_ საღამომდე მემშვიდობებით, არა? _ თქვა ქალბატონმა დე ბოსეანმა, რომელმაც თავი მოიბრუნა და მარკიზს შეხედა. _ დღეს ხომ ბუფონებთან მივდივართ?

_ მე არ შემიძლია, _ მიუგო სტუმარმა და კარის სახელურს ხელი წაატანა.

ქალბატონი დე ბოსეანი წამოდგა და თავისთან მოიხმო მარკიზი, ხოლო ეჟენისთვის უმცირესი ყურადღებაც არ მიუქცევია; ეს უკანასკნელი კი გასაოცარი სიმდიდრის ბრწყინვალებისგან რეტდასხმული იდგა, მზად იყო დაეჯერებინა არაბული ზღაპრების სინამდვილე და არ იცოდა, სად დაკარგულიყო ამ ქალის წინაშე, რომელიც მას ვერ ამჩნევდა. ვიკონტის მეუღლემ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ასწია და ლამაზი მოძრაობით უჩვენა მარკიზს ადგილი თავის წინ. ამ მოძრაობაში ვნების ისეთი დესპოტური ძალა იყო ჩაქსოვილი, რომ მარკიზმა ხელი გაუშვა სახელურს და წამოვიდა. ეჟენი შურით უცქეროდა მას.

«ეს კაცი არის იმ პატარა კარეტის პატრონი! ნუთუ იმისთვის, რომ პარიზელი ქალის მზერა მიიპყრო, საჭიროა იორღა ცხენები, ლივრეები და ოქროს გროვები?»

ფუფუნების დემონმა მას გული დაუკოდა. გამდიდრების ციებ-ცხელებამ შეიპყრო, ოქროს წყურვილმა ყელი გაუშრო. სამი თვის სამყოფად მას ას ოცდაათი ფრანკი ჰქონდა. მისი მამა, დედა, ძმები, დები და მამიდა, ყველანი ერთად თვეში ორას ფრანკზე მეტს არ ხარჯავდნენ. ამ სწრაფმა შედარებამ მისი ახლანდელი მდგომარეობისა და მიზნისა, რომლის მიღწევაც საჭირო იყო, გააძლიერა მისი გაოგნება.

_ რატომ არ შეგიძლიათ იტალიელებთან მოსვლა? _ სიცილით ჰკითხა ვიკონტის მეუღლემ პორტუგალიელს.

_ საქმეები მაქვს! ინგლისის ელჩთან ვსადილობ.

_ დაანებეთ თავი საქმეებს!

როდესაც ადამიანი ცრუობს, ის იძულებული ხდება, სიცრუე სიცრუეს დაუმატოს. ბატონმა დ'აჟუდამ სიცილით ჰკითხა:

_ თქვენ ამას მოითხოვთ?

_ დიახ, რასაკვირველია.

_ მეც მინდოდა, რომ ეგ გეთქვათ, _ უპასუხა მან და ისეთი ოსტატური თვალებით შეხედა, რომ ყველა სხვა ქალი დამშვიდდებოდა.

მან ხელზე აკოცა ვიკონტის მეუღლეს და გავიდა.

ეჟენმა იფიქრა, ახლა კი გავახსენდები ქალბატონ დე ბოსეანსო, თმაზე ხელი გადაისვა და სალამის მისაცემად წელში მოიხარა, მაგრამ ვიკონტის მეუღლე უცებ წამოხტა, გალერეაში გავარდა, ფანჯარასთან მიირბინა და ბატონ დ'აჟუდას შეხედა სწორედ იმ დროს, როდესაც ის ეტლში ჯდებოდა; მან ყური დაუგდო ბრძანებას და გაიგონა, როგორ გაუმეორა ლაქიამ მეეტლეს:

_ ბატონ დე როშფიდთან.

ამ სიტყვებმა და აჩქარებამ, რომლითაც ბატონი დ'აჟუდა შეხტა თავის ეტლში, ელვასავით და მეხივით იმოქმედეს ქალზე, რომელიც მომაკვდინებელი შიშით შეპყრობილი დაბრუნდა. უმაღლეს საზოგადოებაში ამაზე უსაშინელესი კატასტროფა სხვა არაფერია. ვიკონტის მეუღლე შევიდა თავის საწოლ ოთახში, მიუჯდა მაგიდას, ქაღალდის კოხტა ფურცელი აიღო და დაწერა:

«რახან თქვენ სადილობთ როშფიდებთან და არა ინგლისის საელჩოში, ვალდებული ხართ ახსნა-განმარტება მომცეთ. გიცდით».

შემდეგ მან რამდენიმე ასო გაასწორა, რომლებიც ხელის კონვულსიურ კანკალს დაემახინჯებინა, ბარათს ქვეშ მოუწერა «კ.», რაც ნიშნავდა «კლარა ბურგუნდელს», და ზარი დარეკა.

_ ჟაკ, _ უთხრა მან თავის ლაქიას, რომელიც მაშინვე შემოვიდა, _ რვის ნახევარე თქვენ წახვალთ ბატონ დე როშფიდთან და იკითხავთ მარკიზ დ'აჟუდას. თუ მარკიზი იქ იქნება, შეუგზავნით ამ ბარათს და პასუხს არ სთხოვთ; თუ იქ არ იქნება, მაშინ დაბრუნდებით და ამ ბარათს უკანვე მომიტანთ.

_ ქალბატონს ვიღაცა უცდის სასტუმროში.

_ აჰ, მართლა, _ თქვა მან და კარი გააღო.

ეჟენი უკვე მეტისმეტად უხერხულად გრძნობდა თავს; ბოლოს ის ძლივს ეღირსა ვიკონტის მეუღლის ნახვას, რომელმაც ისეთი აღელვებული ხმით მიმართა ეჟენს, რომ ამ უაკანსკნელს გული შეეკუმშა.

_ ბოდიშს ვითხოვ, ბატონო, ორიოდე სიტყვა მქონდა დასაწერი; ახლა თქვენს განკარგულებაში ვარ.

მას არ ესმოდა, რას ამბობდა, რადგან გუნებაში სულ სხვა რამეს ფიქრობდა: «აჰ, მას არ სურს მადმუაზელ დე როშფიდი შეირთოს! მაგრამ განა ის თავისუფალია? ამ საღამოსვე ჩაიშლება ეს ქორწინება, ან არადა მე... მაგრამ ხვალ ამზე ლაპარაკიც კი აღარ იქნება».

_ ჩემო ბიძაშვილო... _ მიმართა ეჟენმა.

_ რაო? _ თქვა ვიკონტის მეუღლემ და ისეთი ამპარტავანი თვალებით გადახედა ეჟენს, რომ სტუდენტს გააცია.

ეჟენმა კარგად გაიგო ეს **რაო?** ამ სამი საათის განამვლობაში მან იმდენი რამ ისწავლა, რომ უკვე ფხიზლად იყო.

_ ქალბატონო... _ გამოასწორა მან და გაწითლდა.

ის შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ განაგრძო:

_ მაპატიეთ, მე ისე მჭირდება მფარველობა, რომ ერთი ბეწო ნათესაური გრძნობა თქვენი მხრიდან არ მაწყენდა.

ქალბატონ დე ბოსეანს ნამდვილად გაეღიმა. ის უკვე გრძნობდა უბედურების მომასწავებელ ჭექა-ქუხილს თავის ატმოსფეროში.

_ რომ იცოდეთ, რა მდგომარეობაში იმყოფება ჩემი ოჯახი, _ განაგრძობდა ეჟენი, _ თქვენ აუცილებლად მოისურვებდით ერთ-ერთი იმ კეთილისმყოფელი ფერიის როლის შესრულებას, რომლებიც სიამოვნებას ნახულობენ, როცა თავიანთი ნათლულების ირგვლივ ყოველგვარ დაბრკოლებებს აქარწყლებენ.

_ კარგი, ჩემო ბიძაშვილო, _ სიცილით თქვა ვიკონტის მეუღლემ, _ მაგრამ მე რაში უნდა გამოგადგეთ?

_ ვინ იცის? თუნდაც ის, რომ მე შორეულ წყვდიადში დაკარგული ნათესაობა მაკავშირებს თქვენთან, ეს დიდი საუნჯეა. თქვენ მე დამაბნიეთ, მე აღარ ვიცი, რის სათქმელად მოვდიოდი. თქვენ ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც მე პარიზში ვიცნობ... აჰ! მე მინდოდა თქვენგან რჩევა მიემღო და მეთხოვა თქვენთვის, ამიყვანოთ, როგორც საცოდავი ბავშვი, რომელსაც სურს თქვენ კაბას ჩაებღაუჭოს და რომელიც მზადაა თქვენთვის მოკვდეს.

_ შეგიძლიათ ჩემი გულისთვის ვინმე მოჰკლათ?

_ ბარე ორი.

_ ბავშვო! დიახ, თქვენ ბავშვი ხართ, _ თქვა ვიკონტის მეუღლემ, რომელმაც თვალზე მომდგარი ცრემლი შეიკავა, _ თქვენ გულწრფელად შეიყვარებდით!

_ ოჰ! _ წარმოთქვა ეჟენმა თავის დაქნევით.

ამ პასუხის გამო ვიკონტის მეუღლე პატივმოყვარე სტუდენტის მიმართ თანაგრძნობით განისმჭვალა. სამხრეთელმა პირველ მიზანს მიაღწია. ქალბატონ დე რესტოს ცისფერი ბუდუარიდან ვიდრე ქალბატონი დე ბოსეანის ვარდისფერ სალონამდე

მოვიდოდა, ეჟენმა პარიზული სამართლის სამწლიანი კურსის გავლა მოასწრო, იმ სამართლისა, რომელზედაც არ ლაპარაკობენ, მაგრამ რომელიც უმაღლეს საზოგადოებრივ იურისპრუდენციას წარმოადგენს, და თუ კარგად შეისწავლი და კარგად გამოიყენებ, ყველაფერს მიგაღწევინებს.

_ აჰ! რა მომაგონდა, _ თქვა ეჟენმა, _ თქვენს წვეულებაზე მე მომეწონა ქალბატონი დე რესტო, და ამ დილას მას ვესტუმრე.

_ თქვენ, ალბათ, ძალიან შეუშლიდით ხელს, _ ღიმილით თქვა ქალბატონმა დე ბოსეანმა.

_ ეჰ! დიახაც! მე ერთი რეგვენი ვინმე ვარ და ალბათ ქვეყანას ავიმხედრებ, თუ თქვენ უარს მეტყვით მფარველობაზე. მე ვფიქრობ, ძალიან ძნელი უნდა იყოს პარიზში ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი და ელეგანტური ქალის ნახვა, რომელიც დაკავებული არ იქნება: მე კი აუცილებლად მჭირდება ქალი, და თანაც ისეთი, რომელიც მასწავლის იმას, რისი ახსნაც თქვენ ასე კარგად იცით: ცხოვრებას. მე ყველგან ვინმე დე ტრაი დამხვდება. ამიტომ მე თქვენთან მოვდიოდი, რომ მეკითხა თქვენთვის ამ ამოცანის პასუხი, და მეთხოვა, რომ აგეხსნათ ჩემთვის, რა სახის სისულელე ჩავიდინე მე იქ. მე ლაპარაკი ჩამოვაგდე ვინმე მამა...

_ დიუკ დე ლანჟეს მეუღლე, _ სიტყვა გააწყვეტიან ჟაკმა სტუდენტს, რომელმაც უნებური მოძრაობით გამოამჟღავნა უძლიერესი წყენა.

_ უპირველეს ყოვლისა, _ ხმადაბლა შენიშნა მას ვიკონტის მეუღლემ, _ თუ წარმატების მოპოვება გსურთ, ნუ იქნებით აგრე პირდაპირი.

_ ახალგაზრდა! გამარჯობათ, ჩემო კარგო, _ მიესალმა მასპინძელი დიუკ დე ლანჟის მეუღლეს, ფეხზე წამოდგა, მის შესაგებებლად გაემართა, და ისეთი ალერსიანი გულითადობით ჩამოართვა ორივე ხელი, როგორიც საკუთარი დის მიმართ შეეძლო გამოეჩინა; დიუკის მეუღლეც ლამაზი კოპწიაობით მიეფერა.

«აი, ორი კარგი მეგობარი, _ გაიფიქრა რასტინიაკმა. _ ამას იქით ორი ქომაგი მეყოლება; ამ ორივე ქალს უთუოდ ერთნაირი გრძნობები ექნებათ და ეჭვს გარეშეა, რომ ესეც დაინტერესდება ჩემი ბედით».

_ ჩემო ძვირფასო ანტუანეტ, რომელ ბედნიერ აზრს უნდა ვუმადლოდე თქვენ ხილვას? _ მიმართა ქალბატონმა დე ბოსეანმა.

_ მე დავინახე, როგორ შევიდა ბატონი დ'აჟუდა-პინტო ბატონ დე როშფიდთან და ვიფიქრე, რომ თქვენ მარტო იქნებოდით.

ქალბატონმა დე ბოსეანმა ტუჩზე არ იკბინა, არ გაწითლებულა, თვალების გამომეტყველება არ შესცვლია, პირიქით, თითქოს სახე კიდევაც გაუნათდა, როდესაც დიუკის მეუღლე საბედისწერო სიტყვებს ამბობდა.

_ რომ მცოდნოდა, რომ თქვენ არ გეცალათ... _ დასძინა დიუკის მეუღლემ და ეჟენისკენ მიბრუნდა.

_ ეს გახლავთ ბატონი ეჟენ დე რასტინიაკი, ჩემი ნათესავი, _ თქვა ვიკონტესამ. – ხომ არაფერი გაგიგიათ გენერალ დე მონრივოს შესახებ? _ ჰკითხა მან. _ სერიზიმ მითხრა გუშინ, ის აღარსად ჩანსო; დღეს ხომ არ ყოფილა თქვენთან?

დიუკის მეუღლეს ამ შეკითხვის ნესტარი შიგ გულში მოხვდა. მას გაგიჟებით უყვარდა ბატონი დე მონრივო, მაგრამ ხმები დადიოდა, გენერალმა მიატოვაო. სტუმარი გაწითლდა და უპასუხა:

_ გუშინ ელისეს სასახლეში იყო.

_ მორიგეობდა? _ ჰკითხა ქალბატონმა დე ბოსეანმა.

_ კლარა, _ კითხვა დაუბრუნა დიუკის მეუღლემ და ბოროტად გაუბრწყინდა თვალები, _ თქვენ უთუოდ იცით, რომ ხვალ ბატონ დ'აჟუდა-პინტოს და მადმუაზელ დე როშფიდის ნიშნობა უნდა გამოცხადდეს?

დარტყმა მეტისმეტად ძლიერი იყო, ვიკონტის მეუღლე გაფითრდა, მაგრამ სიცილით უპასუხა:

_ მაგისთანა ჭორებით მხოლოდ სულელები ერთობიან. რისთვის უნდა მისცეს როშფიდებს ბატონმა დ'აჟუდა-პინტომ პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო გვარი? როშფიდები გუშინდელი გააზნაურებული არიან.

_ მაგრამ ამბობენ, რომ ბერტას ორასი ათასი ლივრი შემოსავალი ექნებაო.

_ ბატონი დ'აჟუდა მეტისმეტად მდიდარია, რატომ უნდა აჰყვეს ეგეთ ანგარიშებს.

_ ჩემო კარგო, მადმუაზელ დე როშფიდი მომხიბლავია.

_ აჰ!

_ ერთი სიტყვით, დღეს ის მათთანაა სადილად, საქორწინო კონტრაქტი უკვე შედგენილია. მე ძალიან მიკვირს, რომ თქვენ ასე ცოტა გცოდნიათ.

_ აბა, მაშ რა სისულელე ჩაიდინეთ თქვენ, ბატონო? _ შეეკითხა ეჟენს ვიკონტის მეუღლე. _ ეს საბრალო ბავშვი ეს-ესაა შემოაგდეს საზოგადოებაში და მას ჩვენი ლაპარაკისა არაფერი ესმის, ჩემო ძვირფასო ანტუანეტ, შეიბრალეთ იგი, და ჩვენი ბაასი

სახვალიოდ გადავდოთ. ხვალ უთუოდ ყველაფერს გამოაცხადებენ და თქვენც დარწმუნებით შესძლებთ ლაპარაკს.

დიუკის მეუღლემ ეჟენისკენ ისეთი ქედმაღლური მზერა მიმართა, რომელიც ადამიანს თავით ფეხებამდე ზომავს, ქედში ჰხრის და არარაობად აქცევს.

_ ქალბატონო, მე სრულიად ჩემდა უნებურად ქალბატონ დე რესტოს ხანჯალი ჩავეცი გულში. ჩემი დანაშაული უცოდინარობა იყო, _ თქვა სტუდენტმა, რომელსაც გამჭრიახობამ კარგი სამსახური გაუწია და დაანახვა, რამდენი გესლი იმალებოდა ამ ორი მანდილოსნის მოსიყვარულე სიტყვებში, _ თქვენ შეიძლება გეშინოდეთ, მაგრამ მაინც ხვდებით იმ ადამიანებს, როლებიც შეგნებულად გავნებენ რამეს, მაშინ, როდესაც ის ადამიანი, რომელიც შეუგნებლად დაგკოდავთ და იარის სიღრმე არც იცის, ყველას სულელად და უმაქნის ბრიყვად მიაჩნია და ყველას ეზიზღება.

ქალბატონმა დე ბოსეანმა გულთბილი მზერა მიაპყრო სტუდენტს, რომლითაც სულით მაღალი ადამიანები ერთდროულად მადლიერებასაც გამოხატავენ ხოლმე და საკუთარი ღირსების გრძნობასაც. ეს მზერა მალამოსავით მოხვდა ეჟენის გულის ჭრილობას, რომელიც სტუდენტს მიაყენა დიუკის მეუღლემ, როდესაც მუშტრის თვალით შეაფასა იგი.

_ წარმოიდგინეთ, რომ მე უკვე მოპოვებული მქონდა გრაფ დე რესტოს კეთილგანწყობა, _ განაგრძო ეჟენმა. _ ამასთან, უნდა მოგახსენოთ, ქალბატონო, _ მიუბრუნდა ის დიუკის მეუღლეს თავმდაბალი, მაგრამ იმავე დროს ცბიერი გამომეტყველებით, _ რომ მე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საწყალი სტუდენტი გახლავართ, მარტოხელა და ღარიბი.

_ ნუ იტყვით მაგას, ბატონო დე რასტინიაკ. ჩვენ, ქალები, არასოდეს არ გამოვეკიდებით იმას, რაც არავის უნდა.

_ რა ვქნა! _ მიუგო ეჟენმა, _ მე მხოლოდ ოცდაორი წლისა ვარ, უნდა შევძლო ჩემი ასაკის უბედურებების ატანა. გარდა ამისა, მე ახლა აღსარებას ვამბობ და შეუძლებელია მუხლის მოდრეკა უფრო ლამაზ სააღმსარებლოში, ასეთ სააღმსარებლოში სცოდავენ, სხვებში კი ინანიებენ.

დიუკის მეუღლემ ცივად მოისმინა მკრეხელური სიტყვები, დაგმო მათი ცუდი ტონი და მიმართა ვიკონტის მეუღლეს:

_ თქვენი ნათესავი...

ქალბატონ დე ბოსეანს გულიანად გაეცინა თავის ნათესავზეც და დიუკის მეუღლეზედაც.

_ ჩემი ნათესავი, ჩემო კარგო, ეძებს მასწავლებელს, რომელიც მას შეასწავლის კარგ გემოვნებას.

_ ქალბატონო! _ კვლავ მიმართა ეჟენმა დიუკის მეუღლეს, _ განა ბუნებრივი არ არის სურვილი, რომ გავიგოთ იმისი საიდუმლოება, რაც გვხიბლავს? «ეს რა მემართება, _ თავის გულში თქვა მან, _ ნამდვილად დალაქის სიტყვებით ველაპარაკები ამათ».

_ კი მაგრამ, მე მგონი, ქალბატონი დე რესტო თვითონ ბატონ დე ტრაის მოწაფეა, _ თქვა დიუკის მეუღლემ.

_ მე მაგისი არაფერი ვიცოდი, _ განაგრძნო სტუდენტმა, _ ამიტომაც უგუნურად შევიჭერი მათ შორის. ბოლოს, როგორც იყო, საკმაოდ მოვრიგდი ქმართან და ვხედავდი, რომ ცოლიც ჯერჯერობით მიტანს, მაგრამ აკი ამ დროს არ ვუთხარი იმათ, რომ ვიცნობ-მეთქი ერთ კაცს, რომელმაც სწორედ იმის წინ დერეფანში აკოცა გრაფის მეუღლეს და მერე უკანა კიბით წავიდა.

_ ვინ იყო ის? _ იკითხა ორივე ქალმა.

_ ერთი მოხუცი, თვეში ორ ლუიდორად ცხოვრობს სენ-მარსეს გარეუბანში, ჩემისთანა ღატაკი სტუდენტივით. ერთი უბედური, ყველას მიერ აბუჩად აგდებული ადამიანი, რომელსაც ჩვენ მამა გორიოს ვეძახით!

_ თქვე მართლაც ბავშვო, _ წამოიძახა ვიკონტის მეუღლემ, _ ქალბატონი დე რესტო ხომ ქალიშვილობაში გორიოს გვარს ატარებდა.

_ მევერმიშელეს ქალიშვილი, _ დასძინა დიუკის მეუღლემ, _ მდაბიო, რომელიც ერთი მეშაქარლამის შვილთან ერთ დღეს იქნა წარდგენილი მეფის კარზე. განა აღარ გახსოვთ, კლარა? მეფეს კიდევაც გაეცინა და ლათინურად რაღაცა იოხუნჯა ფქვილზე, ხალხიო... როგორა თქვა? ხალხი...

_ Ejusdem farinae, _ მიეშველა ეჟენი.

_ სწორედ ეგრე იყო, _ კვერი დაუკრა დიუკის მეუღლემ.

_ აბა, მაშ ის მისი მამა ყოფილა! _ თქვა სტუდენტმა შეძრწუნებული სახით.

_ რა თქმა უნდა; იმ ახირებულ მოხუცს ორი ქალიშვილი ჰყავს, რომლებისთვსიაც ის ლამის გაგიჟდეს, თუმცა ერთმაც და მეორემაც თითქმის უარჰყვეს იგი.

_ მეორე განა ის არ არის, _ მიუბრუნდა ვიკონტის მეუღლე ქალბატონ დე ლანჟეს, _ ვიღაც ბანკირზე რომაა გათხოვილი, რომელსაც გერმანული გვარი აქვს, ბარონი დე

ნუსინჟენი? იმას დელფინე არა ჰქვია? ქერა ქალია, ოპერაში გვერდის ლოჟა აქვს, ბუფონებთანაც დადის ხოლმე და ძალიან ხმამაღლა იცინის, რომ ყურადღება მიიქციოს.

_ თქვენ მაოცებთ, ჩემო კარგო, რა ნახეთ მაგ ხალხში, რომ ამდენს ფიქრობთ მათზე? რესტოსავით სიყვარულისგან გაგიჟებული უნდა ყოფილიყო კაცი, რომ მადმუაზელ ანასტაზის ფქვილში ამოგანგლულიყო. ო! იცოცხლეთ, ის იზარალებს! ანასტაზი ბატონ დე ტრაის ჩაუვარდა ხელში, რომელიც მას დაღუპავს.

_ მაშ, მათ უარჰყვეს მამა! _ გაიმეორა ეჟენმა.

_ დიახ, დიახ, თავისი მამა, გესმით მამა, _ მიუგო ვიკონტის მეუღლემ, _ კარგი მამა, რომელმაც, როგორც ამბობენ, თითოეულ მათგანს ხუთასი თუ ექვსასი ათასი ფრანკი მისცა, რომ გაებედნიერებინა ისინი და კარგად გაეთხოვებინა, და რომელმაც თავისთვის მხოლოდ რვა თუ ათი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი დაიტოვა, რადგან ფიქრობდა, რომ მისი ქალიშვილები ისევ ჩემი ქალიშვილები იქნებიან და ორივესთან მექნება საცხოვრებელი და ბინა, სადაც ალერსით და სიყვარულით მიმიღებენო. მაგრამ, ორი წლის შემდეგ სიძეებმა ის უკანასკნელ ვიგინდარასავით დაითხოვეს შინიდან.

ეჟენს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განიახლა სული თავის ოჯახში წმინდა და ნაზი გრძნობებით, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდული რწმენით მოხიბლული ცხოვრობდა და პირველად იმყოფებოდა პარიზული ცივილიზაციის ბრძოლის ველზე, თვალზე ცრემლი მოადგა. წრფელი გრძნობები იმდენად გადამდებია, რომ სამივე ერთ ხანს მდუმარედ შესცქეროდა ერთმანეთს.

_ ეჰ! ღმერთო ჩემო, _ ბოლოს თქვა ქალბატონმა დე ლანჟემ. _ ეს ყველაფერი დიახაც საზარელი გვეჩვენება, მაგრამ ასეთ ამბებს ყოველ ცისმარე დღე ვხედავთ. მერედა განა ამას მიზეზი არა აქვს? აბა მითხარით, ჩემო კარგო, გიფიქრიათ როდისმე რა არის სიძე? სიძე არის ადამიანი, ვისაც ჩვენ, თქვენ და მე, ვუზრდით საყვარელ პაწაწინა არსებას. ამ არსებასთან ათასგვარი ნაზი ძაფებით ვართ დაკავშირებული, მას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მთელი ოჯახი შეხარის, იგი ოჯახის უმწიკვლო სულია, ლამარტინის სიტყვებით რომ ვთქვათ, და მერე ოჯახის ჭირად იქცევა. როდესაც ის ადამიანი მას წაგვართმევს, უპირველეს ყოვლისა მის სიყვარულს ნაჯახივით გამოიყენებს, რათა ამ ანგელოზის ცოცხალ გულში ყველა გრძნობა გადაჭრას, რაც მას ოჯახთან აკავშირებდა. გუშინ ჩვენი ქალიშვილი ჩვენთვის ყველაფერი იყო და ჩვენ მისთვის ყველაფერი ვიყავით; ხვალ კი ის ჩვენს მტრად იქცევა. განა ასეთი ტრაგედიები ყოველდღე არ ხდება ჩვენ თვალწინ? აქ რძალი უაღრესად უდიერად ექცევა მამამთილს, რომელმაც ყველაფერი

შესწირა თავის შვილს, იქ სიძე აგდებს სახლიდან სიდედრს. კიდევ კითხულობენ, რა არის დღეს დრამატული ჩვენს საზოგადოებაშიო, განა სიძის დრამა საშინელი არ არის, ჩვენს ქორწინებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომლებიც თავიდან ბოლომდე უაზრობას წარმოდგენს. მე სავსებით ცხადად მაქვს წარმოდგენილი, რა დაემართა იმ მოხუც მევერმიშელეს. მაგონდება, რომ ეს ფორიო...

_ გორიო, ქალბატონო.

_ დიახ, ეს მორიო რევოლუციის დროს ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე იყო; მან იცოდა იმ ცნობილი შიმშილობის საიდუმლო და იმითი ჩაუყარა საფუძველი თავის სიმდიდრეს, რომ იმ ხანებში ფქვილს ათჯერ უფრო ძვირად ჰყიდდა, ვიდრე თვით მას უღირდა. ფქვილი კი თავსაყრელი ჰქონდა. ბებიაჩემის მოურავი აწვდიდა მას უზარმაზარი თანხების ფქვილს. ეს ნორიო უთუოდ უყოფდა მოგებას სახალხო კეთილდღეობის კომიტეტს, როგორც ყველა მისი ყაიდის ხალხი სჩადიოდა. მე მახსოვს, მოურავი ეტყოდა ხოლმე ბებიაჩემს, რომ სრულიად არხეინად შეგიძლიათ იცხოვროთ გრანვილიეში, რადგან თქვენი ხორბალი თქვენი ერთგულების საუკეთესო მოწმობაა. ჰოდა, ამ ლორიოს, რომელიც თავისმკვეთელებს ამარაგებდა ფქვილით, ერთადერთი ძლიერი გრძნობა ასულდგმულებდა. ამბობენ, ის აღმერთებსო თავის ქალიშვილებს. უფროსი დე რესტოს სახლში დააბინავა, უმცროსი ბარონ დე ნუსინჟენს შეაჩეჩა, მდიდარ ბანკირს, რომელიც როიალისტობს. თქვენც კარგად გესმით, რომ იმპერიის დროს სიძეებს მაინცდამაინც არ ეთაკილებოდათ ოთხმოცდაცამეტისეული სიმამრის ყოლა. **ბუნაპარტესთან** ამას კიდევ არა უშავდა. მაგრამ, როდესაც ბურბონები დაბრუნდნენ, მოხუცი თავში საცემი გაუხდათ ბატონ დე რესტოსაც და, კიდევ უფრო მეტად, ბანკირსაც. ქალიშვილებს, ალბათ, ისევ უყვარდათ მამა და უნდოდათ, რომ არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური, მამაც დაემშვიდებინათ და ქმრებიც; დაიწყეს ვითომდა ნაზი გრძნობების მომიზეზება: «მამიკო, მოდი, უფრო კარგ დროს გავატარებთ, როცა მარტო ვიქნებით» და სხვა ასეთი ლათაიებით ელაპარაკებოდნენ მაშინ, როდესაც სტუმრები არ ჰყავდათ. მე, ჩემო კარგო, ვფიქრობ, რომ ჭეშმარიტ გრძნობებს თვალიც აქვს და გონებაც: იმ საბრალო ოთხმოცდაცამეტისეულს, ალბათ, გული სისხლისაგან ეცლებოდა, რადგან ხედავდა, რომ ქალიშვილები თაკილობდნენ, და თუ მათ ქმრები უყვარდათ, სამაგიეროდ სიძეებს იგი აწუხებდა. მას აუცილებლად უნდა გაეღო მსხვერპლი. ასეც მოიქცა, რადგან მამა იყო: მან თვით გამოაძევა თავისი თავი მათი სახლებიდან. ქალიშვილები კმაყოფილი რომ დაინახა, მიხვდა, რომ კარგად მოიქცა. მამაც და შვილებიც მონაწილენი იყვნენ ამ პატარა დანაშაულისა. ასეთ

რამეს ჩვენ ყველგან ვხედავთ. განა ეს მამა დორიო ზეთის ლაქასავით არ გამოჩნდებოდა თავისი ქალიშვილების სალონში? თვითონაც ხომ შეწუხდებოდა და მოიწყენდა. ის, რაც ამ მამას დაემართა, შეიძლება ულამაზეს ქალსაც დაემართოს გულით საყვარელ ადამიანთან: თუ ქალი მას თავისი სიყვარულით თავს მოაბეზრებს, ის მიატოვებს ქალს, ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს, ოღონდ კი თავი გაარიდოს. ასეთია ყოველგვარი გრძნობის ბედი. ჩვენი გული საუნჯეა, თუ მას უცებ გაფლანგავთ, გაღატაკდებით. ჩვენ არ ვაპატიებთ ხოლმე გრძნობას, როდესაც ის მთლიანად ამჟღავნებს თავს, ისევე, როგორც არ ვაპატიებთ ადამიანს, რომელსაც ფული არა აქვს. ამ მამამ ყველაფერი გაიღო _ გული და სიყვარული ოცი წლის განმავლობაში არ დაუშურებია, თავისი სარჩო-საბადებელი კი ერთ დღეში გასცა. ქალიშვილებმა კარგად გამოსწურეს ლიმონი და ქუჩაში გადააგდეს.

_ ქვეყანა საზიზღარია, _ თვალდახრილმა თქვა ვიკონტის მეუღლემ, რომელიც თავისი შალის ფოჩებს წეწდა; მას გულში მოხვდა ის სიტყვებ, რომლებიც ქალბატონმა დე ლანჟემ მის გასაგონად ჩაურთო.

_ საზიზღარი? არა, _ განაგრძო დიუკის მეუღლემ, _ ყველაფერი თავისი გზით მიდის. მე თუ ასე გელაპარაკებით, მხოლოდ იმიტომ, რათა გიჩვენოთ, რომ ყველაფერს ფხიზლად ვუყურებ. ისე კი მეც თქვენსავით ვფიქრობ, _ თქვა მან და ვიკონტის მეუღლეს ხელი ჩამოართვა. _ ქვეყანა ჭაობია, გვიჯობს მაღლობებზე დავრჩეთ.

ის ადგა, ქალბატონ დე ბოსეანს შუბლზე აკოცა და უთხრა:

_ ამ წუთას ძალიან ლამაზი ხართ, ჩემო კარგო. ასეთი სახის ფერი მე ჯერ არასოდეს არ მინახავს.

შემდეგ მან ოდნავ დაუკრა თავი მის ნათესავსაც და გავიდა.

_ მამა გორიო უბადლო ადამიანია! _ თქვა ეჟენმა. მოაგონდა ვერცხლს როგორ გრეხდა იმ ღამეს მოხუცი.

ქალბატონმა დე ბოსეანმა ვერ გაიგონა მისი სიტყვები, ის ჩაფიქრებული იყო. რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და საბრალო სტუდენტი მორცხვად იჯდა გაშეშებული, ვერც წასვლას ბედავდა, ვერც დარჩენას და ვერც კრინტის დაძვრას.

_ ქვეყანა საზიზღარია და ბოროტი, _ ხმა ამოიღო ბოლოს ვიკონტის მეუღლემ. _ როგორც კი რამე უბედურება დაგვატყდება თავს, მაშინვე მახარობლად ვინმე მეგობარი მოგვევლინება და გულში ჩხრეკას იწყებს ხანჯლით, რომლის ტარითაც ჩვენ წინაშე თავს იწონებს. დაიწყება სარკაზმი, დაცინვა! ოჰ! მე არავის დავეჩაგვრინები.

მან თავი ასწია მედიდურად და ამ მოძრაობაში იგრძნობოდა დიდგვაროვანი მანდილოსანი, მისი ამაყი თვალებიდან თითქოს ელვა გამოკრთა.

_ აჰ! _ მან უცებ შენიშნა ეჟენი, _ თქვენ აქა ხართ!

_ ჯერ კიდევ, _ შესაბრალისად მიუგო სტუდენტმა.

_ მაშ ასე, ბატონო დე რასტინიაკ, ამ ქვეყანას ის უნდა მიუზღოთ, რისიც ღირსია. თქვენ გსურთ მდგომარეობა შეიქმნათ, მე დაგეხმარებით. თქვენ გაზომავთ ქალთა გარყვნილების სიღრმეს და მამაკაცთა უბადურკი ამაოების სიგრძე-სიგანეს. მართალია, მე გულდასმით გადავიკითხე საზოგადოების წიგნი, მაგრამ თურმე ზოგიერთი გვერდი ჩემთვისაც უცნობი დარჩენილა. ახლა კი ყველაფერი ვიცი. რაც უფრო გულგრილად იანგარიშებთ, მით უფრო შორს წახვალთ. შეუბრალებლად დაჰკარით ხოლმე და თქვენი შიში ექნებათ. მამაკაცებსა და ქალებსაც მოექეცით როგორც ფოსტის ცხენებს, რომლებსაც უწყალოდ გარეკავთ; დეე ყოველ სადგურზე ფეხი მოეკვეთოთ, ამნაირად მიაღწევთ თქვენი სურვილების მწვერვალს. გესმით, თქვენ არაფერი არ იქნებით აქ, თუ არ გეყოლებათ ქალი, რომელიც თქვენით დაინტერესებული იქნება. თქვენ გჭირდებათ ახალგაზრდა, მდიდარი და ლამაზი ქალი. მაგრამ, თუ თქვენ ჭეშმარიტი გრძნობა ჩაგესახებათ, განძივით დამალეთ ის; ეჭვი არავინ აიღოს, თორემ დაიღუპებით. თუ ჯალათი აღარ იქნებით, მსხვერპლად გადაიქცევით. თუ როდისმე შეგიყვარდათ, კარგად გაუფრთხილდით თქვენს ხვაშიადს! არ გაამჟღავნოთ ის, ვიდრე კარგად არ გეცოდინებათ, ვის უხსნით თქვენს გულს. იმისთვის, რომ წინდაწინვე დაიცვათ ის, ჯერ არარსებული სიყვარული, უნდა ისწავლოთ საზოგადოებისადმი უნდობლობა. ყური მიგდეთ, მიგელ... (მას მიამიტად შესცდა სახელი, მაგრამ ვერ შენიშნა). არსებობს კიდევ უფრო სშინელი რამ, ვიდრე მამის მიტოვება ორი ქალიშვილის მიერ, რომლებსაც შეიძლება მისი სიკვდლიც სურთ: ეს არის ორი დის მეტოქეობა. რესტოს გვარიშვილობა მოსდგამს. მისი ცოლი მიღებულია საზოგადოებაში და მეფის კარზედაც იყო წარდგენილი; სამაგიეროდ, მისი დაი, მისი მდიდარი დაი, მშვენიერი ქალბატონი დელფინე დე ნუსინჟენი, ფინანსისტის ცოლი, ჯავრით აღარ არის; მას შური ღრღნის, რადგან ის ასი ლიეთია დაშორებული თავის დას; ამით მათ დობას ბოლო მოეღო. ეს ორი ქალი ერთმანეთს უარყოფენ, ისე როგორც უარყვეს მამა. ამიტომ, ქალბატონი დე ნუსინჟენი მთელ ტალახს ალოკავს სენ-ლაზარის ქუჩიდან გრენელის ქუჩამდე, ოღონდ კი ჩემს სალონში ფეხი შემოდგას. მას ეგონა, რომ დე მარსე მიაღწევინებდა ამ მიზანს და ამიტომ დაემონა დე მარსეს და მოსვენებას არ აძლევს. მაგრამ დე მარსეს ის აინუნშიაც არ მოსდის. თუ თქვენ მას მე წარმომიდგენთ, მისი

სათაყვანებელი ხატი გახდებით და ის თქვენ გაგაღმერთებთ. შემდეგ, თუ შეძლებთ, შეიყვარეთ, თუ არადა, გამოიყენეთ თქვენი მიზნებისთვის. მე მას ერთი-ორჯერ მივიღებ დიდი საღამოების დროს სტუმრების ბრბოში, მაგრამ არასოდეს არ მივიღებ დღისით. მე მას მივესალმები ხოლმე, ეს საკმარისი იქნება. თქვენ თვითონ დაიხშეთ გრაფის მეუღლის სახლის კარი მამა გორიოს ხსენებით. დიახ, ჩემო კარგო, ოცჯერ რომ მიხვიდეთ ქალბატონ დე რესტოსთან, ოცჯერვე სახლში არ დაგხვდებათ. მას ნაბრძანები აქვს, რომ თქვენ არ მიგიღონ. მაშ, დაე მამა გორიომ წარგადგინოთ თქვენ ქალბტონ დელფინე დე ნუსინჟენთან. მშვენიერი ქალბატონი დე ნუსინჟენი თქვენთვის აბრა იქნება. გახდით მისი რჩეული და ქალები გაგიჟდებიან თქვენთვის. მისი მეტოქეებიც, მისი მეგობრებიც, მისი საუკეთესო მეგობრებიც მოინდომებენ თქვენი თავის წართმევას. არიან ქალები, რომლებსაც სწორედ სხვისი რჩეულები უყვართ მდაბიო ქალების მსგავსად, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ ჩვენნაირ ქუდებს დაიხურავენ, ჩვენს მანერებსაც შეიძენენ. პარიზში წარმატება ყველაფერია, წარმატება ძალაუფლების გასაღებია. თუ ქალები აღიარებენ, რომ თქვენ ნიჭი და გონება გაქვთ, კაცებიც დაიჯერებენ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ თვითონ არ შეაცვლევინებთ აზრს. მაშინ შეძლებთ ყველა სურვილის შესრულებას, მაშინ ყველგან გზა ხსნილი გექნებათ. მაშინ გაიგებთ, რომ ეს საზოგადოება დოყლაპიების და თაღლითების კრებულს წარმოადგენს. ნუ მოხვდებით ნურც ერთთა და ნურც მეორეთა შორის. ამ ლაბირინთში შესასვლელად არიადნას გორგლის ნაცვლად მე ჩემს სახელს მოგცემთ. იცოდეთ, არ შემიბღალოთ, _ თქვა მან და კისერმოღერებულმა დედოფალივით გადახედა სტუდენტს, _ უმწიკვლოდ დაიცავით ის. ახლა კი მიბრძანდით, დამტოვეთ მარტო. ჩვენც, ქალებსაც, გვჭირდება ხოლმე ომის გადახდა.

_ ისეთი ვინმე ხომ არ გჭირდებათ, ვინაც მზად არის წავიდეს და თქვენი გულისთვის ნაღმი ააფეთქოს! _ სიტყვა ჩამოართვა ეჟენმა.

_ მერე რა? _ ჰკითხა ვიკონტის მეუღლემ.

ეჟენმა მკერდზე ხელი დაიკრა, თავისი ბიძაშვილის ღიმილს ღიმილითვე უპასუხა და გავიდა. ხუთი საათი იყო. ეჟენს უკვე მოშივდა, შეეშინდა, სადილად არ დამაგვიანდესო. ამ შიშმა აგრძნობინა, რა დიდი სიამოვნებაა პარიზის ქუჩებში სწრაფი მგზავრობა. მაგრამ, ამ წმინდა ფიზიკურმა სიამოვნებამ ვერ გაუფანტა მოზღვავებული ფიქრები. როდესაც მისი ასაკის ახალგაზრდა კაცს აბუჩად აიგდებენ, ის გაფიცხდება ხოლმე, გააფთრდება და მთელ საზოგადოებას მოუღერს მუშტს, შურისძიება სწადია,

მაგრამ თავის თავი აეჭვებს. ამ წუთას რასტინიაკი ყველაზე უფრო ამ სიტყვებით იყო გულმოკლული: «თქვენ თვითონ დაიხშეთ გრაფის მეუღლის სახლის კარი».

«მე მივალ! _ გუნებაში ამბობდა ის, _ და თუ ქალბატონი დე ბოსეანი მართალია, თუ ნაბრძანები აქვს, რომ მე არ მიმიღონ... მე... მაშინ ქალბატონი დე რესტო მე ყველა სალონში შემხვდება, სადაც კი დადის. მე ვისწავლი ფარიაკობასაც, დამბაჩის სროლასაც და მოვუკლავ მაქსიმს!» «მერე ფული! _ წამოსძახა გონებამ, _ სად იშოვი ფულს?» _ ანაზდად მას თვალწინ გაუელვა გრაფ დე რესტოს სახლში საჩვენებლად გამოფენილმა სიმდიდრემ. მან ნახა ფუფუნება, რომელსაც უთუოდ შესტრფოდა ყოფილი მადმუაზელ გორიო, ყველგან ვარაყი, ყველგან გამოდგმული უგემოვნო ძვირფასი ნივთები, ერთი სიტყვით, უნახავი ადამიანის უგუნური ფუფუნება, ხასის მფლანგველობა. და ანაზადად ეს ბრწყინვალე სურათი გააქრო დე ბოსეანების დიდებულმა სახლმა. მისმა ოცნებებმა, რომლებიც პარიზის საზოგადოების უმაღლესი ფენებისკენ მიისწრაფოდნენ, მრავალი ცუდი აზრი ჩაუნერგეს ეჟენს გულში, გონებაც და სინდისიც უფრო დამთმობი გაუხადეს. მან დაინახა ქვეყანა, როგორიც ის არის ნამდვილად, დაინახა კანონის და ზნეობის უძლურება მდიდრების წინაშე; სიმდიდრეში მან სცნო ultima ratio mundi. «ვოტრენი მართალია, სიმდიდრე ყოფილა სათნოება!» _ გაიფიქრა მან.

ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩამდე რომ მიაღწია, ეჟენმა სწრაფად აირბინა თავის ოთახში, მაგრამ მალე უკან დაბრუნდა, მეეტლეს ათი ფრანკი ჩამოუტანა და შემდეგ შევიდა გულისამრევ სასადილო ოთახში, სადაც თვრამეტივე მოსადილე უკვე ილოღნებოდა, როგორც საქონელი ბაგაზე. ამ სიდუხჭირისა და უბადრუკი სასადილო ოთახის ხილვამ საშინლად შეაძრწუნა სტუდენტი. გადასვლა მეტისმეტად მკვეთრი იყო, დაპირისპირება მეტისმეტად სრული და არ შეიძლებოდა ყოველივე ამას ზომაზე მეტად არ გაეძლიერებინა მისი პატივმოყვარეობის გრძნობა. ერთ მხარეზე იყო ლამაზი და წარმტაცი სურათები, შექმნილი უაღრესად ელეგანტური საზოგადოების მიერ, ხელოვნების სასწაულებითა და ფუფუნების საგნებით გარშემორტყმული ახალგაზრდა ცოცხალი სახეები, მგრძნობიარე, პოეტური ბუნების პიროვნებები; მეორე მხარეზე კი სიბინძურის ჩარჩოში ჩასმული შავბნელი სურათები და სახეები, რომლებსაც ვნებათა ღელვამ მათი მავთულებისა და მექანიზმის მეტი აღარაფერი შეარჩინა. ეჟენს მოაგონდა ქალბატონი დე ბოსეანის დარიგება, რომელიც მიტოვებული ქალის გულისწყრომამ უკარნახა მას, მოაგონდა მისი მაცთუნებელი წინადადებები, და სიღატაკემ შთააგონა, თუ როგორ უნდა გაეგო ისინი. რასტინიაკმა გადაწყვიტა ორი პარალელური თხრილი გაეჭრა სიმდიდრის მისაღწევად,

დაყრდნობოდა მეცნიერებასაც და სიყვარულსაც, გამხდარიყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი და საზოგადოებაში მიღებული ადამიანიც. რა ბავშვი იყო ის ჯერ კიდევ! ეს ორი ხაზი ხომ ასიმპტოტებია, რომლებიც ვერასოდეს ვერ გადაკვეთენ ერთმანეთს.

_ თქვენ ძალიან მჭმუნვარე ბრძანდებით, ბატონო მარკიზო, _ მიმართა მას ვოტრენმა და ის განსაკუთრებული მზერა მიაპყრო, რომლითაც ეს კაცი თითქოს გულის სიღრმეში დამალულ საიდუმლოებებს სწვდებოდა.

_ მე არა ვარ იმის გუნებაზე, რომ ყველას ხუმრობა ავიტანო, ვინც მე «ბატონ მარკიზს» დამიძახებს, _ მიუგო სტუდენტმა. _ აქ ნამდვილი მარკიზობისათვის ასი ათასი ლივრი შემოსავალი უნდა გქონდეს, და როდესაც ვოკეს სახლში ცხოვრობ, ჭეშმარიტად, ბედის რჩეულთა რიცხვს არ ეკუთვნი.

ვოტრენმა მამაშვილურად და თანაც დამცინავი გამომეტყველებით შეხედა რასტინიაკს, თითქოს უნდოდა ეთქვა: «ლაწირაკო! ერთ ლუკმად არ მეყოფი!» შემდეგ უპასუხა:

_ თქვენ ცუდ გუნებაზე ხართ, ალბათ, იმიტომ, რომ გრაფ დე რესტოს მშვენიერ მეუღლესთან ვერაფერი გააწყვეთ.

_ მან მე კარი გამომიკეტა იმიტომ, რომ ვუთხარი, მამათქვენი ჩვენს სუფრაზე სადილობს-მეთქი, _ წამოიძახა რასტინიაკმა.

მოსადილეებმა ერთმანეთს გადახედეს. მამა გორიომ თვალები დახარა და განზე მიბრუნდა მათ მოსაწმენდად.

_ თქვენ მე თამბაქო მომახვედრეთ თვალში, _ უთხრა მან თავის მეზობელს.

_ ვინც დღეის იქით მამა გორიოს აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე, _ მიუგო ეჟენმა და ყოფილ მევერმიშელს მეზობელს გადახედა, _ ეგ ჩვენ ყველას გვჯობს. მანდილოსნების შესახებ არ მოგახსენებთ, _ დასძინა მან და მადმუაზელ ტაიფერს მიუბრუნდა.

ამ სიტყვებზე ლაპარაკი შეწყდა: ეჟენმა ისეთი სახით წარმოთქვა ისინი, რომ მოსადილეები გააჩუმა, მხოლოდ ვოტრენმა უთხრა ხუმრობით:

_ მამა გორიოს მოსარჩლე და პასუხისმგებელი რედაქტორი რომ გახდეთ, საჭიროა კარგად იცოდეთ ხმლის ქნევა და დამბაჩის სროლა.

_ ეგრეც იქნება, _ თქვა ეჟენმა.

_ მაშ, დღეიდან თქვენ ომს აცხადებთ?

_ შესაძლებელია, _ მიუგო ეჟენმა, _ მაგრამ მე მოვალე არა ვარ ვინმეს ჩემი საქმეების ანგარიში ჩავაბარო, რადგან მე თვითონ არ ვცდილობ გავიგო სხვები რას აკეთებენ ღამღამობით.

ვოტრენმა ალმაცერად შეუბღვირა რასტინიაკს.

_ ყმაწვილო, ვისაც არ სურს, რომ თოჯინების თამაშით მოტყუვდეს, ტილოს კედლის ჭუჭრუტანებიდან კი არ უნდა უცქიეროს, ფარდულში უნდა შევიდეს. გვეყოფა ეს ლაპარაკი, _ დასძინა მან, რა დაინახა, რომ ეჟენი მზადაა გაფიცხდეს. _ შემდეგ მოვილაპარაკოთ, როდესაც მოისურვებთ.

სადილმა მდუმარედ ჩაიარა. მამა გორიომ, რომელსაც ძალიან ატკინა გული სტუდენტის სიტყვებმა, ვერ გაიგო, რომ განწყობილება მის მიმართ შეიცვალა და მისი გამოქომაგება იკისრა ახალგაზრდა ვაჟკაცმა, რომელმაც მის მჩაგვრელებს ხმა გააკმენდინა.

_ მაშ, ბატონი გორიო გრაფის მეუღლის მამა ყოფილა? _ ხმადაბლა იკითხა ქალბატონმა ვოკემ.

_ და ბარონის მეუღლისაც, _ მიუგო მას რასტინიაკმა.

_ სხვა არაფრის მაქნისი არც არის, _ უთხრა ბიანშონმა რასტინიაკს, _ მე მაგას თავი გავუსინჯე: ერთი კოპის მეტი არა ჰქონია თავზე და ისიც მამობისა; ეგ მარადიული მამა იქნება.

ეჟენი ვერ იყო გუნებაზე და ბიანშონის ხუმრობაზე არ გაეცინა. მას სწადდა ქალბატონ დე ბოსეანის დარიგებით ესარგებლა, და ახლა იმას ფიქრობდა, თუ სად და როგორ ეშოვა ფული. მის თვალწინ გადაიშალა საზოგადოების ტრამალები, უდაბურიც და ნოყიერიც ერთდროულად, და ამან საზრუნავი გაუჩინა. ყველამ მარტო დატოვა ის სასადილო ოთახში, როდესაც სადილი დამთავრდა.

_ მაშ, თქვენ ჩემი ქალიშვილი ნახეთ? _ ჰკითხა მას გორიომ აღელვებული ხმით.

მოხუცის სიტყვებმა ფიქრებიდან გამოაფხიზლა ეჟენი, მან ხელი ხელში ჩაჰკიდა გორიოს და გულაჩვილებულად უთხრა:

_ თქვენ კარგი და ღირსეული ადამიანი ყოფილხართ. თქვენი ქალიშვილების შესახებ მერე ვიბაასოთ.

მას აღარ უნდოდა მამა გორიოს მოსმენა და ამიტომ ადგა, წავიდა თავის ოთახში და იქ თავის დედას შემდეგი წერილი მისწერა:

«ჩემო საყვარელო დედიკო, მესამე ძუძუ ხომ არ მოგეპოვება ჩემს გამოსაკვებად? მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ შეიძლება სულ მალე გავმდიდრდე. ამისათვის

რადაც უნდა დამიჯდეს, ათას ორასი ფრანკი უნდა ვიშოვო. ჩემი თხოვნის შესახებ ნურაფერს ეტყვი მამას, ის შეიძლება წინააღმდეგი წავიდეს, და მე თუ ეს ფული არ მექნება, ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდები, რომ შეიძლება თავიც მოვიკლა. ჩემს განზრახვებს აგიხსნი, როგორც კი გნახავ, რადგან აქედან მთელი ტომების მოწერა დამჭირდებოდა, რომ გაგაგებინო, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფები. ჩემო კარგო დედიკო, მე ფული არც ბანქოში წამიგია და არც არავისი მმართებს, მაგრამ თუ შენ რადმე გიღირს ჩემი შენგან მონიჭებული სიცოცხლე, ეს თანხა უნდა მიშოვნო. ერთი სიტყვით, დავიარები ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლესთან, რომელიც მფარველად გამომადგა. საზოგადოებაში გამოსვლა მიხდება და ერთი სუც კი არ გამაჩნია სუფთა ხელთათმანების შესაძენად. მე შემიძლია ცარიელ პურზე და წყალზე გადავიარო, თუ საჭირო იქნება, ვიშიმშილო, მაგრამ არ შემიძლია მოვიკლო იარაღები, რომლებითაც აქაურ ვენახს ამუშავებენ. ახლა უნდა გადაწყდეს, გავიკაფავ გზას, თუ ლაფში ჩაფლული დავრჩები. ვიცი, რა იმედებს ამყარებთ ჩემზე და მინდა, მალე გაგიმართლოთ ისინი. ჩემო კარგო დედიკო, გაყიდე რამე შენი საგვარეულო სამკაულებიდან, მე მალე ახლებს გიყიდი. კარგად მაქვს შეგნებული ჩვენი ოჯახის მდგომარეობა, რომ დავაფასო ასეთი მსხვერპლი, და მერწმუნე, ტყუილ-უბრალოდ არ გთხოვ ამას, მაშინ ხომ ურჩხული ვიქნებოდი. ჩემს თხოვნაში უმძაფრესი გაჭირვების ღაღადის მეტს ნურაფერს დაინახავ. მთელი ჩვენი მომავალი ჰკიდია ამ თანხაზე, რომლითაც მე უნდა დავიწყო ლაშქრობა, ვინაიდან პარიზის ცხოვრება მარადიული ბრძოლაა. თუ ამ თანხის შესასრულებლად სხვა საშუალება არ გექნება, გაყიდე მამიდაჩემის მაქმანები და უთხარი, რომ მე უფრო უკეთესებს გამოვუგზავნი» და ა. შ. წერილი მისწერა თავის ორივე დასაც და სთხოვა, გამოეგზავნათ მისთვის თავიანთი დანაზოგები, და რომ მათ ოჯახში არ გაემართათ სჯა-ბაასი ამ მსხვერპლის შესახებ, რომელსაც ისინი, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით გაიღებდნენ. ეჟენმა მათ გულისხმიერებაზე იმოქმედა და კეთილშობილების სიმებს შეეხო, რომლებიც ასე კარგად არიან დაჭიმული და წმინდად ჟღერენ ნორჩ გულში. მაგრამ როდესაც წერა დაამთავრა, უნებური ყოყმანი იგრძნო, აღელდა და თრთოლამ აიტანა. ახალგაზრდა პატივმოყვარე კარგად იცნობდა ამ მივარდნილ კუთხეში გადაკარგული ადამიანების უმწიკვლო კეთილშობილებას, იცოდა, რა გაჭირვებაში აგდებდა თავის ორივე დას და ისიც, თუ რა დიდი სიხარულით აიტანდნენ ისინი ამ გაჭირვებას; რა დიდი სიამოვნებით დასხდებოდნენ სადმე შემოღობილში, რომ იქ საიდუმლოდ ეტიკეტიკათ თავიანთი საყვარელი ძმის შესახებ. ნათლად წარმოუდგა, როგორ თვლიან მისი დები თავიანთ

პატარა სიმდიდრეს; ნახა, რა ქალიშვილურ ეშმაკობას მიმართავენ, რომ როგორმე ეს ფული მას ფარულად გამოუგზავნონ, და პირველად ბედავენ ტყუილის თქმას ამ სულგრძელობის გულისთვის.

«დის გული სიწმინდის ალმასია, სინაზის უძირო ზღვაა!» _ გაიფიქრა მან.

შერცხვა თავისი დაწერილის. რა ძალა ექნებოდა მათ ლოცვებს, რა წმინდა იქნებოდა მათი სულიერი მისწრაფება ზეცისკენ! რა სიტკბოებას განიცდიდნენ ისინი თავის მსხვერპლად შეწირვით! როგორ დაიტანჯებოდა დედამისი, თუ ვერ მოახერხებდა ამ თანხისათვის თავის მოყრას! და ეს მშვენიერი გრძნობები, ეს საშინელი მსხვერპლი მისთვის იქნებოდა მხოლოდ კიბე, რომელიც დელფინე დე ნუსინჟენამდე მიიყვანდა. ეჟენს თვალთაგან რამდენიმე ცრემლი წამოსცვივდა ოჯახის წმინდა საკურთხეველზე დაგდებული საკმევლის უკანასკნელი მარცვლებივით. ის სასოწარკვეთილებით აღსავსე ბოლთავდა ოთახში. ასე დაინახა ის ნახევრად ღია დარჩენილ კარებიდან მამა გორიომ, შემოვიდა და ჰკითხა:

_ რა დაგემართათ?

_ ეჰ! ჩემო კეთილო მეზობელო, მე ჯერ ისევ შვილი და ძმა ვარ, როგორც თქვენ ხართ მამა. თქვენ მართალი ხართ, რომ ქალბატონ ანასტაზის დაჰკანკალებთ: ის ვიღაც მაქსიმ დე ტრაის ჩავარდნია ხელში და დაღუპვა ელის.

მამა გორიო რაღაცის ბუტბუტით გავიდა, მაგრამ ეჟენმა მისი სიტყვების აზრი ვერ გაიგო. მეორე დღეს რასტინიაკი წავიდა ფოსტის ყუთში წერილების ჩასაგდებად. უკანასკნელ წუთამდე კიდევ ჭოჭმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩააგდო წერილები და გაიფიქრა: «ჩემსას მივაღწევ!» ეს ბანქოს მოთამაშის ან დიდი მხედართმთავრის სიტყვებია, ფატალისტური სიტყვები, რომლებიც უფრო მეტად ხალხს ღუპავენ, ვიდრე შველიან.

რამდენიმე დღის შემდეგ ეჟენი ქალბატონ დე რესტოს ეწვია, მაგრამ არ მიიღეს. სამჯერ კიდევ მივიდა და სამჯერვე კარი დაკეტილი დახვდა, თუმცა ისეთ დროს ესტუმრებოდა ხოლმე, როდესაც გრაფი მაქსიმ დე ტრაი იქ არ უნდა ყოფილიყო. ვიკონტის მეუღლემ მართალი უთხრა. სტუდენტმა თავი ანება სწავლას. მხოლოდ იმისთვის დადიოდა ლექციებზე, რომ გვარების ამოკითხვის დროს პასუხი გაეცა, ხოლო რაკი ასე დაამოწმებდა თავის იქ ყოფნას, მერე ლექციიდან იპარებოდა. ეჟენი ისევე მსჯელობდა, როგორც სტუდენტთა უმეტესობა. მეცადინეობა იმ დროისთვის გადასდო, როდესაც გამოცდების ჩაბარება იქნებოდა საჭირო; მას გადაწყვეტილი ჰქონდა ერთდროულად ჩაწერილიყო მეორე და მესამე კურსის ლექციებზე და შემდეგ სულ უკანასკნელ მომენტში

უცბად საფუძვლიანად შეესწავლა სამართალი. ამრიგად, მას რჩებობდა თხუთმეტი უქმე თვე, რომელთა განმავლობაში თავის ნებაზე შეეძლო ეცურა პარიზის ოკეანეში და ან ქალებისთვის მოედო ანკესი, ან სიმდიდრისთვის. ამ კვირაში ორჯერ იყო ქალბატონ დე ბოსეანთან, რომელთანაც იმ დროს მიდიოდა, როდესაც მარკიზ დ'აჟუდას ეტლი ეზოდან გამოდიოდა. ამ სახელგანთქმულმა ქალმა, სენ-ჟერმენის გარეუბნის ყველაზე უფრო პოეტურმა პიროვნებამ, კიდევ რამდენიმე დღით გაიმარჯვა და გადაადებინა მადმუაზელ დე როშფიდისა და მარკიზ დ'აჟუდა-პინტოს ჯვრისწერა. მაგრამ ამ რამდენიმე დღეს, რომლებიც ბედნიერების დაკარგვის შიშმა უაღრესად მწვავე განცდებით აავსო, უნდა დაეჩქარებინა კატასტროფა. მარკიზ დ'აჟუდასაც და როშფიდებსაც ეს განხეთქილება და ხელახალი შერიგება ხელსაყრელ გარემოებად მიაჩნდათ: მათ იმედი ჰქონდათ, რომ ქალბატონი დე ბოსეანი შეეჩვეოდა ამ ქორწინებას და ბოლოს შესწირავდა კიდეც თავის დილის პაემნებს ადამიანთა ცხოვრებაში წინასწარ განსაზღვრულ მომავალს. ამრიგად, მიუხედავად უწმინდესი აღთქმებისა, რომლებსაც ბატონი დ'აჟუდა ყოველდღიურად იმეორებდა, ის კომედიას თამაშობდა, ხოლო ვიკონტის მეუღლეც სიცრუით კმაყოფილი იყო. «კეთილშობილურად ფანჯრიდან გადმოვარდნის მაგივრად ის კიბეზე დაგორდა», _ ამბობდა დიუკ დე ლანჟეს მეუღლე, მისი საუკეთესო მეგობარი. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი შუქი კიდევ იმდენხანს კაშკაშებდა, რომ ვიკონტის მეუღლე პარიზში დარჩა და სამსახური გაუწია თავის ახალგაზრდა ნათესავს, რომლისადმიც ის ერთგვარ ცრუმორწმუნე სიყვარულს გრძნობდა. ეჟენმაც დიდი ერთგულება და თანაგრძნობა გამოიჩინა მის მიმართ იმ დროს, როდესაც ქალი არავის თვალში არ ხედავს გულწრფელ სიბრალულსა და ნუგეშს. თუ ასეთ დროს მამაკაცი მას ტკბილ სიტყვას ეტყვის, მხოლოდ ანგარიშით იქცევა ასე.

რასტინიაკს უნდოდა, ვიდრე ნუსინჟენის სახლზე მიიტანდა იერიშს, კარგად გაერკვია თავის საჭადრაკო დაფაზე არსებული მდგომარეობა, გასცნობოდა მამა გორიოს ადრინდელ ცხოვრებას და ამისთვის მან მოკრიბა ზუსტი ცნობები, რომლებიც შემდეგში მდგომარეობდნენ:

რევოლუციამდე ჟან-ჟოაშენ გორიო უბრალო მევერმიშელე მუშა იყო, გამრჯელი, ყაირათიანი და იმდენად მოხერხებული, რომ შეისყიდა დაწესებულება თავისი ბატონისა, რომელიც 1789 წლის პირველი აჯანყების შემთხვევითი მსხვერპლი შეიქნა. გორიო ჟუსიენის ქუჩაზე დამკვიდრდა, მარცვლეულის ბაზრის ახლოს, და იმდენი გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ თავისი სექციის თავმჯდომარეობა იკისრა, რათა თავისი ვაჭრობისთვის ის

საშიში ხანის ყველაზე უფრო გავლენიან პირთა მფარველობა უზრუნველეყო. ეს გონივრული საქციელი საფუძვლად დაედო მის გამდიდრებას, რაიც დაიწყო იმ ნამდვილი თუ ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობის დროს, როდესაც პარიზში ხორბალს დიდი ფასი დაედო. ხალხი პურის დუქნებს აკლავდა თავს, მაგრამ იმავე დროს ზოგიერთები არხეინად ყიდულობდნენ მაკარონს ბაყლებისაგან. ამ ერთი წლის განმავლობაში მოქალაქე გორიომ იმდენი ქონება შეიძინა, რომ შემდეგშიც შეძლო თავისი სავაჭრო საქმეების ხელსაყრელად წარმართვა, როგორც ეს მხოლოდ დიდი თანხების პატრონს შეუძლია, მასაც იგივე დაემართა, რაც ყველა ნაკლებ ნიჭიერ ადამიანს ემართება: მისმა უფერულობამ ის გადაარჩინა. მასთან მისი სიმდიდრე მხოლოდ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც მდიდრის სახელი უკვე საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, და შურიც აღარავისი გამოუწვევია. მთელი მისი ნიჭი თითქოს ხორბლეულით ვაჭრობას ჰქონდა შთანთქმული. გორიოს ბადალი არ ჰყავდა, როდესაც საქმე ეხებოდა ხორბალს, ფქვილს, ბურღულს, მათი ხარისხისა და სადაურობის გამორკვევას, მათ შენახვას, მომავალი მაზანდის გაგებას, როდესაც საჭირო იყო დიდი მოსავლისა თუ მოუსავლიანობის წინასწარმეტყველება, ხორბლის იაფად შეძენა, მისი მომარაგება სიცილიაში ან უკრაინაში. ვინც ნახავდა, როგორ მიჰყავდა გორიოს თავისი საქმეები, როგორ განმარტავდა ხორბლის ექსპორტისა და იმპორტის კანონმდებლობას, სწავლობდა მათ სულს, ამჩნევდა მათ ნაკლოვანებებს, იფიქრებდა, რომ ეს კაცი მინისტრადაც ივარგებდა. როცა რაიმეს მიზნად დაისახავდა, გორიო მომთმენი, მოქმედი, მხნე, მტკიცე და სწრაფი იყო, სწორედ არწივის თვალი ჰქონდა, ყველაფერს ასწრებდა, ყველაფერს წინასწარ სჭვრეტდა, ყველაფერი იცოდა და ყველაფერს მალავდა; განზრახვებში დიპლომატი იყო, ლაშქრობაში _ ჯარისკაცი. საქმეებს რომ მორჩებოდა და თავისი უბრალო ბნელი დუქნიდან გამოვიდოდა, რომლის კიბეზედაც თავისუფალ დროს ატარებდა ხოლმე საფეხურზე ჩამომჯდარი და მხარით კარის ჩარჩოზე მიყუდებული, ის ისევ უსწავლელი და გაუთლელი მუშა ხდებოდა, ვისაც უბრალო მსჯელობის გაგება არ შეუძლია, სულიერი სიამენი არად მიაჩნია, თეატრში ძილი ერევა, გახდებოდა ერთი პარიზელი დოლიბანი, რომლის სიძლიერე მისივე სიჩლუნგეა. თითქმის ყველა ამ ყაიდის ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან. მაგრამ თითქმის ყოველ მათგანს გულში რაიმე მაღალ გრძნობას უპოვით. მევერმიშელეს გული აღსავსე ჰქონდა ორი განსაკუთრებული გრძნობით, რომლებმაც მთლად შთანთქეს მისი გულის სითბო, როგორც ხორბლით ვაჭრობამ შთანთქა მთელი მისი გონებრივი ძალები. მისი ცოლი, შეძლებული ბრიელი ფერმერის ერთადერთი ქალიშვილი, მისი უსაზღვრო სიყვარულისა და თაყვანისცემის

საგანი გახდა. გორიო აღმერთებდა ამ სუსტ, მაგრამ სულით მძლავრ ადამიანს, გულისხმიერსა და ლამაზს, რომელიც ასე ძლიერ განსხვავდებოდა მისგან. თუკი მამაკაცის გულში რაიმე თანდაყოლილი გრძნობა არსებობს, ეს გახლავთ სიამაყე _ მამაკაცს ეამაყება ის მფარველობა, რასაც იგი ყოველ წუთს უწევს სუსტ არსებას. მიუმატეთ ამას სიყვარული, ეს მხურვალე მადლიერების გრძნობა, რასაც ყველა გულწრფელი ადამიანი განიცის თავისი სიტკბოების წყაროსადმი, და მაშინ გაიგებთ სულიერი ცხოვრების მრავალ უცნაურობას. შვიდი წლის უზადო ბედნიერების შემდეგ, მისდა საუბედუროდ, ცოლი მოუკვდა. ქალი უკვე გრძნობების სფეროს გარეშეც იწყებდა მასზე გაბატონებას, და იქნებ შესძლებოდა ქმრის გახევებული ბუნების განვითარება, იქნებ შთაენერგა მისთვის სინამდვილისა და ცხოვრების ასავალ-დასავალის შეგნება. ამგვარ მდგომარეობაში გორიოს მამობრივი გრძნობა სიგიჟემდე განუვითარდა. მან მთელი თავისი სიკვდილისაგან გაცრუებული სიყვარული ორ ქალიშვილზე გადაიტანა, და პირველ ხანებში ისინიც პასუხობდნენ მის გრძნობებს. არა ერთი ბრწყინვალე წინადადება მიიღო მან სოვდაგრებისა და ფერმერებისაგან, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა თავიანთი ქალიშვილები მიეთხოვებინათ მისთვის, მაგრამ გორიომ მაინც ქვრივად დარჩენა არჩია. მისი სიმამრი, ერთადერთი მამაკაცი, რომელიც მევერმიშელეს კეთილი განწყობილებით სარგებლობდა, ამტკიცებდა, დანამდვილებით ვიცი, გორიოს აღთქმა აქვს დადებული, თავისი გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას არ უღალატოსო. მარცვლეულის ბაზარზე ვაჭრებმა სამასხაროდ გაიხადეს ასეთი ამაღლებული ერთგულება, რომლის შეგნება მათ გონებას არ შეეძლო, და გორიოს რაღაც სასაცილო ზედმეტი სახელი შეარქვეს. მაგრამ პირველსავე მათგანს, ვინც სარფიანი გარიგების შემდეგ ცოტა გადაკრულში იყო და ხმამაღლა უწოდა მას ეს სახელი, გორიომ ერთი ისეთი მუშტი სთხლიშა მხარში, რომ საბრალო გადავარდა და კინაღამ თავი მიახეთქა ობლენის ქუჩის კუთხეში მდგარ კვარცხლბეკს. გორიოს თავდადებული ერთგულება, მისი ეჭვნეული და ფაქიზი სიყვარული ქალიშვილებისადმი იმდენად ცნობილი გახდა, რომ ერთ დღეს, როდესაც ერთ-ერთმა მეტოქემ მოუნდომა მას ბაზრიდან მოშორება, რათა თვითონ მარტო დარჩენილიყო და ხორბლის მაზანდა თავის ნებაზე დაეწესებინა, უთხრა, შენი დელფინე კაბრიოლეტს გაუტანიაო. მევერმიშელეს მკვდრისფერი დაედო და იმწამსვე მიატოვა ბაზარი. ამ ყალბმა განგაშმა მასში ისეთი შეჯახება გამოიწვია ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობებისა, რომ გორიო რამდენიმე დღე ავად იყო. მან თავისი დამთრგუნავი მუჯლუგუნი არ უთავაზა მხარში იმ კაცს, მაგრამ დაელოდა, ვიდრე მას კრიტიკული

მდგომარეობა არ შეექნა, გააკოტრა და სამუდამოდ გააძევა ბაზრიდან. რა თქმა უნდა, მისი ქალიშვილების აღზრდა ახირებულად მიმდინარეობდა. გორიოს წლიურად სამოცი ათას ფრანკზე მეტი შემოსავალი ჰქონდა; აქედან ის თავისთვის ათას ორას ფრანკსაც არ ხარჯავდა, მაგრამ უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა თავისი ქალიშვილების ყოველგვარი ჟინის დაკმაყოფილება: საუკეთესო მასწავლებლები ჰყავდა დაქირავებული, რომლებსაც ევალებოდათ მისი ქალიშვილებისათვის ყოველგვარი ცოდნა შთაენერგათ, რაც კი კარგი აღზრდის მაჩვენებლად ითვლება; მათ კომპანიონი ქალი ჰყავდათ, რომელიც მათდა საბედნიეროდ გემოვნებით დაჯილდოებული და ჭკვიანი გამოდგა; ისინი ცხენებით დასეირნობდნენ, საკუთარი ეტლიც ჰქონდათ და, ერთი სიტყვით, მდიდარი მოხუცი დიდებულის საყვარლებივით ცხოვრობდნენ; რაც უნდა ძვირფასი რამ მოესურვებინათ, მამა ისწრაფოდა მათი სურვილის შესრულებას და საჩუქრების სამაგიეროდ მათგან მხოლოდ ალერსს მოითხოვდა. გორიო თავის ქალიშვილებს ანგელოზებად რაცხდა და საბრალო ადამიანი ამითი თავის თავზე მაღლა აყენებდა მათ. მას მათგან მოყენებული ტანჯვაც კი უყვარდა. როდესაც გასათხოვარი ქალები გახდნენ, მათ შეძლეს თავ-თავისი გემოვნების მიხედვით აერჩიათ ქმრები. თითოეულ მათგანს მზითვად ეძლეოდა მამის ქონების ნახევარი. ანასტაზის, რომლის სილამაზეს გრაფი დე რესტო შესტრფოდა, არისტოკრატული მიდრეკილებები ჰქონდა, და ამან გააცვლევინა მას მამის სახლი საზოგადოების უმაღლეს სფეროებზე. დელფინეს ფულები უყვარდა და ამიტომ ბანკირ ნუსინჟენზე გათხოვდა, ტომით გერმანელზე, რომელიც რომის წმინდა იმპერიის ბარონი გახდა. გორიო ისევ მევერმიშელედ დარჩა. მალე მისმა ქალიშვილებმაც და სიძეებმაც სათაკილოდ მიიჩნიეს, რომ ის ისევ ვაჭრობდა, თუმცა მთელი მისი სიცოცხლე ვაჭრობაში იყო. ხუთ წელიწადს გაუძლო მან მათ დაჟინებულ მოთხოვნებს და ბოლოს დათანხმდა, რომ საქმეზე ხელი აეღო; მან უზრუნველყო თავისი თავი სავაჭროს გაყიდვით აღებული თანხით და უკანასკნელი რამდენიმე წლის მოგებით და სწორედ ამ თანხას უნდა მოეცა წლიურად რვა ან ათი ათასი ფრანკი შემოსავალი ქალბატონი ვოკეს გამოანგარიშებით, რომელთანაც გორიო დასახლდა. ამ პანსიონში სასოწარკვეთილებამ მოიყვანა, როდესაც ნახა, რომ ქმრები აიძულებენ ორივე მის ქალიშვილს, უარი უთხრან მას არ მარტო მათთან ცხოვრებაზე, არამედ ხალხში სტუმრად მიღებაზედაც კი.

ამ ცნობებით ამოიწურებოდა ყველაფერი, რაც მამა გორიოს თაობაზე იცოდა ვინმე მიურემ, რომელსაც მისი სავაჭრო ეყიდა. ამრიგად დადასტურდა ის სიტყვები, რომლებიც

რასტინიაკმა მოისმინა დიუკ დე ლანჟეს მეუღლისაგან. ამითი თავდებოდა ამ უხილავი, მაგრამ საშინელი პარიზული ტრაგედიის ამბავი.

დეკემბრის პირველი კვირის ბოლოს რასტინიაკმა ორი წერილი მიიღო, ერთი თავისი დედისაგან და მეორე - უფროსი დისგან. ამ ორივე, მისთვის კარგად ნაცნობმა ნაწერმა ერთდრულად შვებაც აგრძნობინეს და შიშის ძრწოლაც. ეს ორი სიფრიფანა ქაღალდი შეიცავდა სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს მისი იმედებისათვის. თუ მას ერთი მხრივ შიში იტანდა, როდესაც თავისი მშობლების სიღარიბე აგონდებოდა, მეორე მხრივ უკვე საკმაოდ კარგად ჰქონდა გამოცდილი მათი სიყვარულიც და იცოდა, რომ მათი უკანასკნელი სისხლის წვეთებიც შეეძლო გამოეწოვა. დედამისის წერილში შემდეგი ეწერა:

«ჩემო საყვარელო შვილო, გიგზავნი, რასაც მთხოვდი. კარგად გამოიყენე ფული, თორემ, შენი სიცოცხლის გადასარჩენადაც რომ დამჭირდეს, მეორედ ასეთ დიდ თანხას ვეღარ გიშოვი ისე, რომ მამაშენს არ გავაგებინო, და ეს კი ჩვენი ოჯახის მყუდროებას დაარღვევდა. მეორედ მაგის საშოვნელად ჩვენი მამულის დაგირავება დაგვჭირდებოდა. ჩემთვის შეუძლებელია ვიმსჯელო გეგმებზე, რომლებსაც არ ვიცნობ, მაინც ნეტა როგორია შენი გეგმები, რომ გეშინია, მე გამაგებინო? ამისი ახსნისთვის ტომების დაწერა არ იყო საჭირო, ჩვენ, დედებს, ერთი სიტყვის მეტი არ გვჭირდება, და ეს ერთი სიტყვა ამაშორებდა გაურკვევლობის წუხილს. ვერ დაგიმალავ, რომ შენმა წერილმა ძალიან დამადარდიანა. ჩემო კარგო შვილო, რამ გაიძულა, რომ ასე დამიმძიმე გული? შენ, ალბათ, ძალიან იტანჯებოდი, წერილს რომ მწერდი, რადგან მეც ძალიან დავიტანჯე, როცა ვკითხულობდი. რა ასპარეზს ირჩევ ნეტავი? ხომ არ იქნება შენი სიცოცხლე და შენი ბედნიერება დაკავშირებული იმასთან, რომ სხვებს თავი მოაჩვენო იმად, რაც სინამდვილეში არა ხარ, რომ იტრიალო იმ საზოგადოებაში, სადაც არ შეგიძლია შესვლა ისეთი ხარჯების გაუწევლად, რომლებსაც შენ ვერ აიტან, რომ გააცდინო შენი მეცადინეობისათვის ძვირფასი დრო? ჩემო კარგო ეჟენ, დაუჯერე დედის გულს, მიხვეულ-მოხვეული გზები კეთილ ბოლომდე არ მიგიყვანს, შენს მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდის ღირსება მოთმინება და ბედის მორჩილება უნდა იყოს. მე არ გიჯავრდები, არ მინდა ჩემს შემოწირულებას მცირეოდენი სიმწარეც კი შევურიო. ჩემი სიტყვები დანდობილი და წინდახედული დედის სიტყვებია. შენ თუ იცი, რა ვალი გაწევს, მეც ვიცი, რა წმინდაა შენი გული და რა კეთილია შენი მისწრაფებები. ამიტომ უშიშრად შემიძლია გითხრა: წადი, ჩემო საყვარელო, იბრძოლე! მე ვკანკალებ, რადგან დედა ვარ, მაგრამ ყოველ შენს ნაბიჯს ნაზად თან სდევს ჩვენი ლოცვა-კურთხევა. ფრთხილად იყავი, შვილო.

გონივრობა უნდა გამოიჩინო, როგორც მამაკაცს შეჰფერის, რადგან ხუთი შენთვის ძვირფასი ადამიანის ბედ-იღბალი შენზეა დამოკიდებული. დიახ, ჩვენი ბედ-იღბალი შენს ხელშია და შენი ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაა. ჩვენ ყველანი შევთხოვთ უფალს, რომ შენი შემწე იყოს ყოველგვარ საქმიანობაში. შენმა მამიდა მარსიაკმა არგაგონილი გულკეთილობა გამოიჩინა ამ გარემოებებში: იმასაც კი მიხდვა, რასაც შენ მე ხელთათმანების შესახებ მწერდი. მეო, _ მხიარულად თქვა მან, _ უფროსი ძმისწულის სიყვარული მაქვსო. ჩემო ეჟენ, ძალიან გიყვარდეს მამიდაშენი, მე მხოლოდ მაშინ გეტყვი რა მოიმოქმედა მან შენი გულისთვის, როდესაც შენ წარმატებას მიაღწევ; სხვანაირად მისი ფული ხელებს დაგწვავს. თქვენ რა იცით, შვილებო, რას ნიშნავს სახსოვარი ნივთების მსხვერპლად გაღება! მაგრამ, თქვენი გულისთვის რას არ გავწირავდით? მამიდამ დამავალა მოგწერო, რომ შუბლში გკოცნის და სურს, ამ კოცნით იღბალი მოგანიჭოს. ეს კეთილი და საუცხოო ადამიანი თვითონ მოგწერდა წერილს, თითებში რომ ნიკრისის ქარები არ ჰქონოდა. მამაშენი კარგად არის. 1819 წლის მოსავალმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. მშვიდობით, ჩემო შვილო; შენს დებზე არაფერს გეუბნები, რადგან ლორაც გწერს წერილს. მე მას ვუტოვებ სიამოვნებას, რომ პატარა შინაურ ამბებზე გეტიკტიკოს. ღმერთმა ინებოს შენი წარმატება! ოჰ! მიაღწიე წარმატებას, ჩემო ეჟენ, თორემ შენ ერთხელ უკვე ისეთი ძლიერი დარდი მაგემე, რომ მეორედ ვეღარ გადავიტან. მე გავიგე, რას ნიშნავს სიღარიბე, როდესაც სიმდიდრეს ვნატრობდი, რომ ჩემი შვილისთვის მიმეცა. ახლა მშვიდობით. ნუ დაგვტოვებ უწერილოდ და მიიღე დედაშენისგან გამოგზავნილი კოცნა».

როდესაც ეჟენმა დაამთავრა ამ წერილის კითხვა, ცრემლები ღაპაღუპით დაედინა, გაახსენდა მამა გორიო, რომელმაც ვერცხლი დაგრიხა და გაყიდა, რომ თავისი ქალიშვილების თამასუქი გაენაღდებინა.

«დედაშენმაც «დაგრიხა» თავისი სამკაულები! _ თავის თავს ეუბნებოდა ის, _ მამიდაშენიც, ალბათ, ტიროდა, როდესაც თავის ოჯახურ რელიკვიებს ჰყიდდა! რა უფლებით ლანძღავ ანასტაზის? შენც ხომ ეს-ესაა გაიმეორე შენი ეგოისტური მომავლისთვის ის, რაც მან თაივისი სიყვარულისთვი ჩაიდინა! რომელი ხართ უკეთესი, შენ თუ ის?»

სტუდენტს გულ-ღვიძლი დაეწვა. მას უნდოდა, ხელი აეღო მაღალ საზოგადოებაზე, არ მიეღო ის ფული. მან განიცადა სინდისის იდუმალი ქენჯნა, კეთილშობილი და მშვენიერი გრძნობა, რომელსაც იშვიათად აფასებს ადამიანი, როდესაც მოყვასს სდებს მსჯავრს, და რომელიც ზეციური ანგელოზების შენდობას მოუპოვებს ხოლმე ამქვეყნიური

მოსამართლეების მიერ დასჯილ დამნაშავეს. რასტინიაკმა გახსნა თავისი დის წერილიც, რომლის ნაზმა და უმანკო სიტყვებმა უცებ შეუმსუბუქეს გული:

«შენმა წერილმა სწორედ კარგ დროს მოგვისწრო, საყვარელო ძმაო. აგატა და მე უკვე ვაპირებდით ჩვენი ფულის გამოეყენებას და იმდენი რამ გამოგვიჩნდა საყიდელი, რომ ველარ გადავწყვიტეთ, რა აგვერჩია. შენც იგივე იმოქმედე, რაც ესპანეთის მეფის მსახურმა, როდესაც თავისი ბატონის საათები ძირს დაუცვივდა: ჩვენ შორის თანხმობა ჩამოაგდე. მართლაც, ჩვენ სულ ვკინკლაობდით, რომელი სურვილისთვის მიგვეცა უპირატესობა და ვერ მივხვდით, ჩემო კარგო ეჟენ, როგორ მოგვეხმარა ფული ისე, რომ ყველა ჩვენი სურვილი შეერთებულიყო. აგატამ სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყო. ერთი სიტყვით, მთელი დღე ორივე გიჟებივით ვიყავით; ისე აშკარად (მამიდაჩვენის სტილით რომ ვთქვათ), რომ დედამ კიდევაც მკაცრად გვკითხა: «რა არის, რა დაგემართათ გოგოებო». ერთი ბეწოდაც რომ დავეტუქსეთ, მგონი, უფრო ბედნიერები ვიქნებოდით. ალბათ, ქალს დიდ სიამოვნებას ანიჭებს საყვარელი ადამიანის გულისთვის ტანჯვა. მარტო მე ვიყავი ცოტა ჩაფიქრებული და დაღონებული, მიუხედავად ჩემი სიხარულისა. უთუოდ ცუდი ცოლი ვიქნები, რადგან მეტისმეტად ხელგაშლილი ვარ. მე ორი სარტყელი ვიყიდე და ერთიც კოხტა კორსეტების სახვრეტი ხელსაწყო, სულ უბრალო რამეები, მაგრამ ამის მიზეზით უფრო ნაკლები ფული აღმომაჩნდა, ვიდრე ჩვენს ფუნჩულა აგატას, რომელიც ჩემზე უფრო ყაირათიანია და კაჭკაჭივით ერთ კუნჭულში აგროვებს ფულებს. იმას ორასი ფრანკი ჰქონდა! მე კი, ჩემო საბრალო მეგობარო, მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ მაქვს. მე ძალიან დავისაჯე და კინაღამ ჩემს სარტყელს ჭაში გადავუძახე, აღარასოდეს არ მესიამოვნება მისი ტარება. მე ხომ შენ გაგძარცვე. აგატამ აღტაცებაში მომიყვანა. მითხრა: მოდი, ორივეს სახელით გავუგზავნოთ ეს სამას ორმოცდაათი ფრანკიო. არ შემიძლია თავი შევიკავო და რიგზე არ გიამბო ყველაფერი, რაც მოხდა. იცი, როგორ მოვიქეცით, რომ შენი თხოვნა შეგვესრულებინა? ავიღეთ ის ჩვენი ყბადაღებული ფული, ორივენი წავედით სასეირნოდ, შემდეგ, როგორც კი შარაგზაზე გავედით, რიუფეკისკენ მოვკურცხლეთ და იქ ჩვენი ფული პირდაპირ ბატონ გრემბერს გადავეცით, რომელსაც სახელმწიფო საფოსტო კანტორა აქვს! უკან მერცხლებივით მოვფრინავდით. «ნუთუ ბედნიერებამ შეგვამსუბუქა ასე?» _ მკითხა აგატამ. ჩვენი ერთმანეთს ათასი რამ ვუთხარით, რასაც აღარ გაგიმეორებთ, ბატონო პარიზელო, რადგან სულ თქვენ გეხებოდათ! ოჰ! ძვირფასო ძმაო, ძალიან გვიყვარხარ, აი, ყველაფერი ორი სიტყვით. რაც შეეხება საიდუმლოს, მამიდაჩემის აზრით, ჩვენისთანა პატარა მუზმუზელებს ყველაფერი შეუძლიათ, დუმილიც კი. დედაჩემი

მამიდაჩემთან ერთად იდუმალად გაემგზავრა ანგულემში და სიტყვა არ დასცდენია თავის მგზავრობის უმაღლესი პოლიტიკური მიზნების შესახებ; გამგზავრებას წინ უძღოდა ხანგრძლივი თათბირები, რომლებზედაც არც ჩვენ და არც ბატონ ბარონს არ გვიშვებდნენ. დიდი აზრები დაეუფლნენ რასტინიაკების სამეფოს მოქალაქეებს.

სათუთი ყვავილებით დაფარული მუსლინის კაბა, რომელსაც ინფანტები უქარგავენ მის უდიდებულესობა დედოფალს, უღრმეს საიდუმლოებაში მზადდება. მხოლოდ ორი კალთაღა დარჩა მოსაქარგი. გადაწყდა, რომ ვერტეის მხრიდან კედელი არ აშენდეს და მხოლოდ ღობე გაკეთდეს. უბრალო მოსახლეობას ამით შემოაკლდება ხილი რაყებიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, უცხოელებისთვის მშვენიერი ხედი დარჩება. თუ ტახტის მემკვიდრეს ცხვირსახოცები სჭირდება, მას აუწყებენ, რომ ქვრივმა დედოფალმა დე მარსიაკმა გაჩხრიკა თავისი სალაროები და ზანდუკები, რომლებიც პომპეასა და ჰერკულანუმის სახელით არიან ცნობილი, და აღმოაჩინა ერთი მივიწყებული თოფი საუკეთესო ჰოლანდიური ტილო; ლორა ბატონიშვილისა და აგატა ბატონიშვილის ძაფი, ნემსი და ძველებურად დაწითლებული ხელები მის განკარგულებაში არიან. ორივე უმცროს ბატონიშვილს დონ ანრის და დონ გაბრიელს, ისევე ძველებურად შერჩათ დამღუპველი ჩვეულება ყურძნის მურაბით გამოძღომისა, თავიანთი დების გაღიზიანებისა, სწავლაში სიზარმაცისა, ჩიტის ბუდეების მოშლისა, აურზაურისა და სამეფოს კანონების მიუხედავად, სახრეებად ტირიფის ყლორტების მოჭრისა. პაპის ნუნციუსი, რომელსაც უბრალო ხალხი მღვდელს უწოდებს, მათ ეკლესიიდან განკვეთას ემუქრება, თუ ისე განაგრძნობენ გრამატიკის წმინდა კანონების ნაცვლად ანწლთან ომის კანონების შესწავლას.

მშვიდობით, საყვარელო ძმაო. არასოდეს არც ერთი წერილისთვის არ გამოგვიტანებია ამდენი, შენი ბედნიერებისთვის აღვლენილი ლოცვა-კურთხევა, და ესოდენ დიდი სიხარულით აღსავსე სიყვარული. როცა ჩამოხვალ, ბევრი რამის მოყოლა დაგჭირდება ჩვენთვის! მე მაინც ყველაფერი უნდა მითხრა, მე ხომ უფროსი ვარ აგატაზე. მამიდაჩემმა გვაგრძნობინა, რომ შენ საზოგადოებაში წარმატება მოგიპოვებია.

პირზე აკერიათ მხოლოდ ის ქალი,

დანარჩენებზე კრინტსაც არ სძრავენ...

ჩვენთან, რა თქმა უნდა! იცი რა, ეჟენ, თუ გინდა, ჩვენ იოლად გავალთ უცხვირსახოცებოდ და შენ პერანგებს შეგიკერავთ. ამაზე მალე მიპასუხე. თუ სასწრაფოდ დაგჭირდება კარგად შეკერილი კოხტა პერანგები, მაშინ ჩვენ ახლავე უნდა შევუდგეთ

თადარიგს: და თუ პარიზში არსებობს რაიმე ჩვენთვის უცნობი თარგი, ნიმუშიც გამოგვიგზავნე, განსაკუთრებით მაჯებისთვის. მშვიდობით, მშვიდობით! გკოცნი შუბლში მარცხენა მხარეზე, იმ საფეთქელზე, რომელიც განსაკუთრებით მე მეკუთვნის... მეორე ფურცელს აგატას ვუტოვებ, რომელიც დამპირდა, რომ ჩემს დაწერილს არ წაიკითხავს. მაგრამ სიფრთხილის გულისთვის მეც მის გვერდით ვიდგები, ვიდრე გწერს. შენი მოყვარული და.

ლორა დე რასტინიაკი».

«ოჰ! _ გულში თქვა ეჟენმა, _ უნდა გავმდიდრდე, რადაც უნდა დამიჯდეს! რომელი განძით შეიძლება ამ უანგარო სიყვარულის საფასურის გადახდა. როგორ მინდა მთელი ბედნიერება უცბად მივუტანო მათ. ათას ხუთას ორმოცდაათი ფრანკი! _ თქვა მან სიჩუმის შემდეგ. _ თითოეულმა ფრანკმა უნდა აუცილებლად სარგებლობა მომიტანოს! ლორა მართალია. ღმერთმანი, მე პერანგები მხოლოდ ხამი ტილოსი მაქვს. სხვისი ბედნიერების გულისთვის ქალიშვილი ქურდივით ეშმაკი ხდება. თავისთვის მიამიტი, ჩემთვის წინდახედული, ზეციური ანგელოზია, რომელიც მიუტევებს ამქვეყნიურ ცოდვებს, მაგრამ არ ესმის ისინი».

ახლა საზოგადოება მის ფერხთ იყო! მკერავი უკვე მოწვეული, გამოკითხული და დაპყრობილი ჰყავდა. როდესაც რასტინიაკმა ბატონი დე ტრაი ნახა, ის მიხვდა, რა გავლეან ჰქონიათ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაზე მკერავებს. ვაი რომ, ორ უკიდურესობას შორის საშუალო საფეხური არ არსებობს: მკერავი ან მოსისხლე მტერია, ან მეგობარი, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხელი აქვს. ეჟენს ისეთი მკერავი შეხვდა, რომელიც მამაშვილურად ეპყრობოდა თავის ხელობას და თავის თავს ახალგაზრდა ყმაწვილების აწმყოსი და მომავლის დამაკავშირებელ რგოლად თვლიდა. მადლიერმა რასტინიაკმაც, შემდეგში რომ გონებამახვილობით სახელი გაითქვა, ერთი თავისი ნაკვესით გაამდიდრა ის კაცი:

_ მე ვიცი მაგისი შეკერილი ორი შარვალი, რომლებმაც ორი ისეთი ქორწინება მოახდინეს, რომ თითოეულს ოცი ათასი ლივრი შემოსავალი მოჰყვა.

ათას ხუთასი ფრანკი და გიყვარდეს ფრაკები! ამ წუთას საბრალო სამხრეთელს ყოველგვარი ეჭვები გაუქრა და სასაუზმოდ რომ ჩამოვიდა, სახეზე ისეთი ენით გამოუთქმელი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც აქვთ ხოლმე ყმაწვილებს, თუ ცოტა ფულს ჩაიგდებენ ხელში. როგორც კი სტუდენტის ჯიბეში ფული დაიწყებს ჩხრიალს,

მაშინვე მას გუნება გამოეცვლება და ისე ამაყად გრძნობს თავს, თითქოს ფანტასტიკური სიმაღლის სვეტზე შეუსკუპებიათო. უფრო ყოჩაღად იწყებს სიარულს, თავის თავში საყრდენ წერტილს გრძნობს თავისი მოქმედებისთვის, მზერა პირდაპირი და ლაღი აქვს, მოძრაობა _ მარჯვე; გუშინ ისე თავმდაბალი და თვინიერი იყო, რომ ცემა-ტყეპას ხელშეუბრუნებლად აიტანდა. დღეს კი თვითონ სცემს თუნდაც პრემიერ-მინისტრს. გაუგონარი ცვლილებები ხდება მასში: ყველაფერი უნდა და ყველაფერი შეუძლია, აღარ იცის რას მოეპოტინოს, მხიარული, ხელგაშლილი და გულღია ხდება. ერთი სიტყვით, უფრთო ფრინველს უცებ მძლავრი ფრთები გამოესხმის. უფულო სტუდენტი შემთხვევით თუ ისიამოვნებს რასმე, ისე როგორც ძაღლი გაიტაცებს ხოლმე ძვალს ათასგვარი საფრთხის გადალახვით, გასტეხს, ტვინს გამოსწოვს და გაიქცევა; მაგრამ, თუ ახალგაზრდა ყმაწვილს ქისაში რამდენიმე გზასაცდენილი ოქროს ფული უგდია, ის ეწაფება ყოველგვარ სიამოვნებას, ახანგრძლივებს მათ, კმაყოფილია თავისი ბედის, მეშვიდე ცაზე ფრინავს და აღარ ახსოვს რას ნიშნავს სიტყვა **სიღატაკე**. მთელი პარიზი მას ეკუთვნის. ეჰ, სიყმაწვილევ, როდესაც ყველაფერი ბრწყინვს, ელვარებს და ანათებს! ხალისიანი ჯან-ღონით სავსე ასაკო, რომლითაც ვერავინ სარგებლობს, ვერც კაცი და ვერც ქალი! ვალების და მუდმივი შიშიანობის ასაკო, რომლებიც ყოველგვარ სიამოვნებას აათკეცებენ! ვინც არ იცნობს სენის მარცხენა ნაპირს სენ-ჟაკის და სენ-პერის ქუჩებს შუა, მას არაფერი გაეგება ადამიანის ცხოვრებისა!

«აჰ! რომ იცოდნენ პარიზელმა ქალებმა, სიყვარულის საძებნელად აქ მოვიდოდნენ!» _ გუნებაში ამბობდა რასტინიაკი და ქალბატონ ვოკეს მიერ მორთმეულ მოხარშულ მსხლებს შეექცეოდა, რომელიც ცალი ორი ლიარი ღირდა.

ამ დროს ქუჩის პირა მესერიან კართან ზარის რეკვა გაისმა და სასადილო ოთახში შემოვიდა სახელმწიფოს ფოსტის შიკრიკი.

მან ბატონი ეჟენ დე რასტინიაკი იკითხა, რომელსაც ორი ტომსიკა გადასცა და ერთიც ქვითარი ხელმოსაწერად. ვოტრენის გამჭრიახი მზერა მათრახივით მოხვდა რასტინიაკს.

_ ახლა კი შეგიძლიათ ფული იხადოთ ფარიკაობისა და სროლის გაკვეთილებში, _ უთხრა ეჟენს იმ კაცმა.

_ ძლივს არ ჩამოვიდნენ გალიონები, _ უთხრა მას ქალბატონმა ვოკემ, რომელიც თვალს ვერ აშორებდა ტომსიკებს.

მადმუაზელ მიშონოს ეშინოდა ფულისთვის შეეხედა, რომ არ გაეცა თავისი სიხარბე.

_ თქვენ კეთილი დედა გყოლიათ, _ თქვა ქალბატონმა კუტიურმა.

_ ბატონ ეჟენს კეთილი დედა ჰყოლია, _ გაიმეორა პუარემ.

_ დიახ, დედიკოს თავისი ძარღვებიდან სისხლი გამოუშვია, _ თქვა ვოტრენმა. – ახლა შეძლებთ თქვენებურად გაინავრდოთ, იაროთ საზოგადოებაში, მზითვებს ანკესი ესროლოთ და იცეკვოთ გრაფის მეუღლეებთან, რომლებსაც თმებში ატმის ყვავილები აქვთ გარჭობილი. მაგრამ, დამიჯერეთ, ყმაწვილო, ხშირად შეიხედეთ სასროლშიც.

ვოტრენმა ხელი ასწია, ვითომ დამბაჩა დაუმიზნა მოწინააღმდეგეს. რასტინიაკს უნდოდა შიკრიკისათვის გადასაკრავი ფული მიეცა, მაგრამ ჯიბეში ვერაფერი იპოვა. ვოტრენმა თავისი ჯიბე გაიჩხრიკა და კაცს ოცი სუ გადაუგდო.

_ თქვენ კრედიტი გაქვთ, _ უთხრა მან სტუდენტს და სახეზე დააცქერდა.

რასტინიაკი იძულებული შეიქნა მადლობა ეთქვა მისთვის, თუმცა, მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს მკვახედ შეეჯახნენ იმ დღეს, როდესაც ეჟენი ქალბატონ დე ბოსეანისგან დაბრუნდა, ეს კაცი აუტანელი გახდა ეჟენისთვის. ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში ეჟენი და ვოტრენი დუმდნენ და ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. სტუდენტი ამაოდ ეკითხებოდა თავის თავს ამის მიზეზს. უეჭველია, რომ აზრები მათი წარმომშობი ძალის პირდაპირ პროპორციულად მოქმედებენ შორ მანძილზე და ზუსტად იქ ურტყამენ, სადაც ტვინი აგზავნის მათ, იმავე მათემატიკური კანონის ძალით, რომელიც ქვემეხიდან გასროლილ ყუმბარას წარმართავს. მათი მოქმედების შედეგი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. ერთი მხრით, არიან ნაზი ბუნების ადამიანები, რომლებსაც თუ რამე აზრი ჩაუჯდათ თავში, მას შეუძლია სულ გაანადგუროს ისინი, მაგრამ არიან კარგად შეჯავშნული ადამიანებიც, ბრინჯაოს თავის ქალიანი, რომელზედაც სხვისი ნებისყოფა ისრისება და კედლიდან არეკლილ ტყვიასავით ძირს ვარდება; მათ გარდა არიან აგრეთვე დუნე და ფაშარი ბუნების ადამიანები, რომლებშიც სხვისი აზრი ეფლობა და ძალას კარგავს, როგორც ტყვია სანგრის ზვინულში. რასტინიაკის თავი იმ თავთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც დენთით არიან გამოტენილი და უმცირესი ნაპერწკლისაგან მზად არიან იფეთქონ. ის მეტისმეტად ფიცხი ახალგაზრდა იყო იმისთვის, რომ უგრძნობელი დარჩენილიყო აზრთა გადაცემისა და გრძნობათა გადამდებლობის მიმართ, რომელიც იმდენ გასაოცარ მოვლენას გვიჩვენებს, რომ ჩვენდა უნებურად გვეუფლება. მისი გონების თვალის გამჭრიახობა არ ჩამოუვარდება მისი თვალების ფოცხვერისებურ გამჭრიახობას. თვითეულ ამ შეგრძნებას მისას ისეთი იდუმალი სიღრმე და მოქნილი შორსმწვდომელობა ახასიათებდა, რომელსაც აღტაცებაში მოვყავართ ხოლმე განსაკუთრებულად

დაჯილდოებულ ადამიანებში, როგორც, მაგალითად, დახელოვნებული მოფარიკავის უნარს ყოველი აბჯრის სუსტი ადგილების აღმოჩენისა. თუმცა, უკანაკსნელი ერთი თვის განმავლობაში რასტინიაკმა ღირსებებთან ერთად ზადიც ბევრი შეიძინა. ეს მასში საზოგადოებამ და საკუთარი მზარდი მოთხოვნილებების შესრულებამ გამოიწვია. მის ღირსებათა შორის იყო მისი სამხრეთული სიფიცხე, რომელიც ლუარისგაღმელს აიძულებს პირდაპირ შეუტიოს დაბრკოლების დასაძლევად და ნებას არ აძლევს გაურკვეველ მდგომარეობაში დარჩეს; ამ ღირსებას ჩრდილოეთლები ნაკლად თვლიან; მათი აზრით, მართალია ამ თვისებამ ჩაუყარა საფუძველი მიურატის ამაღლებას, მაგრამ მისი სიკვდილის მიზეზიც შეიქნა. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ თუ სამხრეთელი აერთებს ჩრდილოურ გაიძვერობასა და ლუარისგაღმურ შეუპოვრობას, ის სრულყოფილია და ერთ ნაბიჯსაც არავის დაუთმობს. მაშასადამე, რასტინიაკს არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო ვოტრენის ბატარეების ცეცხლში და არ სცოდნოდა მისი მეგობარი იყო ეს კაცი თუ მტერი. ხანდახან მას ეჩვენებოდა, რომ ეს საკვირველი პიროვნება თავისუფლად სჭვრეტს მის ვნებებს და კითხულობს მის გულში, ხოლო თავისი გული კი ისე მაგრად აქვს დახშული, თითქოს სფინქსის უძირო სიღრმე ჰქონდეს, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს, მაგრამ არაფერს ამბობს. ახლა, როდესაც ჯიბე გაისქელა, ეჟენი აჯანყდა.

_ კეთილ ინებეთ და დამიცადეთ, _ უთხრა მან ვოტრენს, რომელმაც ყავის უკანასკნელი ყლუპი მოსვა და წასასვლელად ადგა.

_ რატომ? _ ჰკითხა ორმოცი წლის კაცმა, თან ფართო კიდეებიანი ქუდი დაიხურა და რკინის ჯოხი აიღო, რომელსაც ხშირად ატრიალებდა ხოლემ ხელში ისე, რომ ცხადი იყო, ოთხი მძარცველის თავდასხმასაც არ შეუშინდებოდა.

_ ვალს დაგიბრუნებთ, _ მიუგო რასტინიაკმა; მან აჩქარებით გახსნა ერთი ტომსიკა და ქალბატონ ვოკეს ორმოცი ფრანკი გადაუთვალა. _ მოგეხსენებათ, კაცი ფულში გამოიცდებაო, _ უთხრა მან ქვრივს. _ ჩვენ დეკემბრის ბოლომდე გასწორებული ვართ. ახლა ეს ასი სუ დამიხურდავეთ.

_ ფული კაცში გამოიცდებაო, _ გაიმეორა პუარემ და ვოტრენს შეხედა.

_ აი, თქვენი ოცი სუ, _ თქვა რასტინიაკმა და ფული გაუწოდა პარიკიან სფინქსს.

_ კაცი იფიქრებს, რომ თქვენ გეშინიათ ჩემგან რამით დავალებული იყვეთ? _ წამოიძახა ვოტრენმა და გულთმისნური მზერით სულში ჩასწვდა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დამცინავი და დიოგენისებური ღიმილი უთავაზა, ასე ხშირად რომ ახელებდა ხოლმე ეჟენს.

_ დიახ... კი, _ უპასუხა სტუდენტმა, რომელსაც თავისი ორივე ტომსიკა ხელში ეჭირა და თავის ოთახში ასასვლელად ამდგარიყო.

ვოტრენი სასტუმრო ოთახის კარისკენ მიემართებოდა, სტუდენტი კი მეორე კარით კიბისკენ აპირებდა გასვლას.

_ იცით თუ არა, ბატონო მარკიზ დე რასტინიაკორამა, რომ თქვენი სიტყვები მაინცდამაინც ზრდილობიანი არ არის, _ თქვა ვოტრენმა, სასტუმრო კარს ჯოხი შემოჰკრა და სტუდენტისკენ წამოვიდა, რომელიც ცივად შეჰყურებდა მას.

რასტინიაკმა სასადილო ოთახის კარი მიხურა და ვოტრენი კიბესთან გაიყვანა პატარა მოედანზე, რომელიც სასადილო ოთახსა და სამზარეულოს ჰყოფდა ერთმანეთისაგან, და საიდანაც ერთი კარი ბაღში გადიოდა, ხოლო ამ კარის თავზე რკინის მესერიანი დაბალი და მოგრძო ფანჯარა იყო. იქ, სილვიას წინ, რომელიც სწორედ იმ დროს გამოვარდა სამზარეულოდან, სტუდენტმა უთხრა ვოტრენს:

_ ბატონო ვოტრენ, მე არც მარკიზი ვარ და არც რასტინიაკორამა გახლავართ გვარად.

_ ეგენი დუელში გამოიწვევენ ერთმანეთს, _ გულგრილად თქვა მადმუაზელ მიშონომ.

_ უსათუოდ! _ თქვა პუარემ.

_ არამც და არამც, _ მიუგო ქალბატონმა ვოკემ და თავის ოქროებს ხელი გადაუსვა.

_ კი მაგრამ, ისინი უკვე ცაცხვების ძირში გავიდნენ, _ წამოიძახა მადმუაზელ ვიქტორინემ და წამოდგა ბაღში გადასახედად. _ საბრალო ახალგაზრდა არც კი სტყუის.

_ წამოდი ზევით, ჩემო კარგო, _ უთხრა მას ქალბატონმა კუტიურმა, _ ასეთი ამბები ჩვენ არ გვეხება.

როდესაც ქალბატონი კუტიური და ვიქტორინე წამოდგნენ, კარებთან მათ გზა გადაუღობა სქელმა სილვიამ.

_ ესღა გვაკლდა! _ თქვა მან. _ ბატონმა ვოტრენმა ბატონ ეჟენს უთხრა «მოვილაპარაკოთო», შემდეგ მკლავში ხელი გამოსდო და აგერ ახლა ჩვენ არტიშოკებში დააბოტებენ.

ამ დროს ვოტრენი შემოვიდა.

_ დედიკო ვოკე, _ თქვა მან ღიმილით, _ ნურაფრისა შეგეშინდებათ, მე ახლა ჩემი დამბაჩები უნდა გამოვცადო ცაცხვების ქვეშ.

_ ოჰ! ბატონო! _ მიმართა მას გულხედაკრეფილმა ვიქტორინემ, _ რატომ გსურთ ბატონი ეჟენის მოკვლა?

_ ესეც ახალი ამბავი, _ წამოიძახა ვოტრენმა ხუმრობის კილოთი და საბრალო გოგონა გააწითლა, _ კარგი ყმაწვილია, არა? _ განაგრძნო მან. _ თქვენ მე ერთი აზრი დამიბადეთ. მე ორივეს გაგაბედნიერებთ, ჩემო მშვენიერო პატარავ.

ქალბატონმა კუტიურმა თავის შვილობილს მკლავი მკლავში გაუყარა, თან წაიყვანა და ყურში უთხრა:

_ რა არის, ვიქტორინე, ამ დილას სულ ვეღარ გცნობთ.

_ მე არა მსურს, რომ ჩემს სახლში დამბაჩებს ისროდნენ, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ ამისთანა დროს ხომ ყველა მეზობელს დამიფრთხობთ და პოლიციასაც თავზე დამატეხთ!

_ კარგი, დამშვიდდით, დედილო ვოკე, _ მიუგო ვოტრენმა. _ კმარა, კმარა, ჩვენს სასროლში წავალთ.

ის რასტინიაკს დაუბრუნდა და შინაურულად მკლავი მკლავში გამოსდო.

_ როდესაც მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ ოცდათხუთმეტ ნაბიჯზე ხუთჯერ ზედიზედ ვახვედრებ ტყვიას ყვავის კიკოს, _ თქვა მან, _ არც მაშინ დაგეკარგებათ ბრძოლის ხალისი? თქვენ მე, ცოტა არ იყოს, ბრაზიანი მეჩვენებით და ვინმეს სულელურად შეაკვდებით.

_ უკან იხევთ? _ თქვა ეჟენმა.

_ ნუ ცდილობთ ჩემს გახელებას, _ მიუგო ვოტრენმა. _ ამ დილას არ ცივა, წამოდით, იქ დავსხდეთ, _ თქვა და მწვანედ შეღებილ სკამებზე ანიშნა. _ იქ ჩვენ ყურს ვერავინ დაგვიგდებს. მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. თქვენ კარგი ყმაწვილი ხართ და თქვენთვის ცუდი არ მსურს. თუ არ მიყვარდეთ, მოგიკვდეთ სიკვდი... (აი, ჯანდაბა!) მოგიკვდეთ ვოტრენი. რისთვის მიყვარხართ, ამას მერე გეტყვით. ახლა კი, მე თქვენ ისე გიცნობთ, თითქოს ჩემი ქმნილება იყოთ, და კიდევაც დაგიმტკიცებთ. დააწყვეთ აქ თქვენი ტომსიკები, _ განაგრძო მან და მრგვალ მაგიდაზე მიუთითა.

რასტინიაკმა ფული მაგიდაზე დააწყო და ჩამოჯდა: ამ კაცის ქცევის მოულოდნელმა შეცვლამ, რომელიც ჯერ მოკვლას ემუქრებოდა და ახლა კი მის მფარველად ასაღებდა თავს, რასტინიაკს უმაღლეს წერტილამდე გაუღიზიანა ცნობისმოყვარეობა.

_ თქვენ ძალიან გინდათ იცოდეთ, ვინა ვარ მე, რას ვაკეთებდი, ან რას ვაკეთებ, _ განაგრძო ვოტრენმა. _ თქვენ ძალიან ცნობისმოყვარე ხართ, ჩემო ბიჭიკო. კმარა, დამშვიდდით. ბევრ სხვადასხვანაირ ამბავს მოისმენთ ახლა! მე ბევრი უბედურება

გადამხდენია თავს. აი, მოკლედ ჩემი წარსული. ვინა ვარ? ვოტრენი. რას ვაკეთებ? რაც მესიამოვნება. ესაა სულ. გსურთ ჩემი ხასიათი იცოდეთ? მე კარგი ვარ იმათთვის, ვინც სიკეთეს მიზამს, ან ვისზედაც გული შემეფარდება. მათ ყველაფრის ნება აქვთ, რომც დამწიხლონ, მაინც არ ვეტყვი «გაფრთხილდით»-მეთქი. მაგრამ, ჰაი დედასა! მე ეშმაკივით ავი ვარ იმათთვის, ვინც თავს მაბეზრებს, ან თვალში არ მომდის. უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის კაცის მოკვლა ისევე არაფერია, როგორც გადაფურთხება! _ თქვა მან და გააპურჭყა. _ მხოლოდ, მე ვკლავ, როდესაც სხვა გზა არა მაქვს და ვცდილობ საქმე კოხტად გავჩარხო. მე ვარ, რასაც თქვენ ხელოვანს უწოდებთ. ჰოდა მე, როგორსაც თქვენ მიყურებთ, წაკითხული მაქვს ბენვენუტო ჩელინის მოგონებები, და ისიც იტალიურად! აბა ის ყოფილა თავზე ხელაღებული ვინმე, მე მისგან ვისწავლე განგების მიბაძვა, რომელიც ხალხს წაღმა-უკუღმა ხოცავს, და აგრეთვე სიმშვენიერის სიყვარულიც ყველგან, სადაც კი მისი ნახვა შეიძლება. მერედა დიდებული როლი არ არის, როდესაც მარტოდმარტო ილაშქრებთ ყველას წინააღმდეგ და გამარჯვების შანსები გაქვთ? მე ბევრი მიფიქრია თქვენი თანამედროვე არეულ-დარეული საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, ჩემო ბიჭიკო. ორთაბრძოლა ბავშვური თამაშია, სისულელეა. როდესაც ორი ცოცხალი ადამიანისგან ერთ-ერთი უნდა მოისპოს, სულელი უნდა იყო, რომ შემთხვევას მიენდო. ორთაბრძოლა? ლუწი თუ კენტია! მეტი არაფერი. მე ზედიზედ ხუთ ტყვიას ვახვედრებ ყვავის კიკოს ისე, რომ ტყვიას ტყვიაში ვსვამ, და ისიც ოცდათხუთმეტ ნაბიჯზე! როდესაც ასეთი ნიჭი გაქვს, ხომ შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილად მოკლავ შენს მოწინააღმდეგეს. ჰოდა, მე ერთ კაცს ოც ნაბიჯზე ვესროლე და ავადცინე. იმ არიფს თავის სიცოცხლეში დამბაჩა ხელში არ აეღო. გასინჯეთ! _ თქვა ამ არაჩვეულებრივმა ადამიანმა, გაიხსნა ჟილეტი და გადაიღეღა თავისი დათვის ზურგივით ბანჯგვლიანი, რაღაც საზიზღარი წითური ბალნით დაფარული მკერდი, იმ ლაწირაკმა ბეწვი ამიტრუსა, _ დასძინა მან და რასტინიაკს თითით გაასინჯა ფოსო, რომელიც მკერდზე ჰქონდა.

_ მაშინ თქვენი ხნის ბავშვი ვიყავი. ოცდაერთი წლისას ჯერ კიდევ ზოგიერთი რამ მწამდა; მწამდა ქალის სიყვარული და მთელი გროვა სისულელეებისა, რომლებშიაც თქვენ ჯერ კიდევ მოგიწევთ გაბმა. შეიძლება მე და თქვენ ერთმანეთს დავტაკებოდით; განა არა? თქვენ ჩემი მოკვლა შეგეძლოთ. წარმოვიდგინოთ, რომ მე მიწაში ვარ, მაგრამ თქვენ რაღას შვრებით? მოგიხდებათ აბარგება, შვეიცარიაში გაქცევა და მამიკოს ფულების შეჭმა; ის თქვენ არა გაქვთ. მე გაგიშუქებთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც თქვენ იმყოფებით, მაგრამ ამას ჩემი უპირატესობის სიმაღლიდან გავაკეთებ, რადგან კარგად გავერკვიე მიწიერ

საქმეებში და ვიცი, რომ აქ ორი არჩევანი არ არსებობს: ან უგუნური მორჩილება, ან ჯანყი. მე არაფერს არ ვემორჩილები. გასაგებია? იცით, რა გჭირდებათ იმ ფართო გაქანებისათვის, რომლისკენაც თქვენ მიისწრაფით? მილიონი, და რაც შეიძლება სწრაფად. უმილიონოდ, თქვენი თავის გადამკიდე, შეგიძლიათ გაისეირნოთ სენ-კლუს ბადეებისაკენ, რათა დარწმუნდეთ _ არსებობს თუ არა უზენაესი არსება. მე მოგცემთ ამ მილიონს.

ვოტრენი ოდნავ დაყოვნდა და ეჟენს დააცქერდა.

_ ააა! თქვენ ახლა უკეთ უყურებთ ბიძია ვოტრენს. ჩემი სიტყვების გაგონებაზე თქვენ დაემსგავსეთ იმ ქალიშვილს, რომელსაც უთხრეს: «ამ საღამოს» და რომელიც ისე კეკლუცობს და ილოკება, როგორც რძის შემყურე კატა. კეთილი და პატიოსანი! შევუდგეთ საქმეს, ოღონდ ჩვენში დარჩეს, აი, ახალგაზრდავ, თქვენი ნაღდი ანგარიში: იქ, სოფელში ჩვენა გვყავს მამა, დედა, მამიდა, ორი და (ჩვიდმეტი და თვრამეტი წლისა), ორი პატარა ძმა (თხუთმეტი და ათი წლისა) _ მთელი მარაქაა! მამიდა თქვენს დებსა ზრდის, კიურე ორივე ძმას ლათინურს ასწავლის. ოჯახი წაბლის შეჭამანდით უფრო ხშირად იკვებება, ვიდრე თეთრი პურით, მამა თავის შარვალს უფრთხილდება, დედა გაჭირვებით ახერხებს ერთი საზამთრო და ერთი საზაფხულო კაბის შეკერვას, დები კი რაც შეხვდებათ, იმას ატარებენ. სამხრეთში ვყოფილვარ და ამიტომ ყველაფერი ვიცი. თქვენი საქმეებიც ამგვარად მიდის. თუ თქვენ წელიწადში ათას ორას ფრანკს გიგზავნიან, ეს ნიშნავს, რომ თქვენი მიწები სამი ათასზე მეტს არ იძლევიან. ჩვენ მზარეული ქალი და ერთი მოსამსახურე გვყავს, თავს ვერ შევირცხვენთ, მამა ხომ ბარონია. რაიცა შეგვეხება პირადად ჩვენ, პატივმოყვარენი ვართ, ბოსეანებს ვემოყვრებით, სიარული კი ფეხით გვიხდება; სიმდიდრე გვსურს და ერთი სუც კი არ გაგვაჩნია, ძალუა ვოკეს შეთითხნილ სალაფავს მივირთმევთ, ხოლო სენ-ჟერმენის გარეუბნის დიდებული სადილები გვიყვარს, უბადრუკ ქვეშაგებზე გვძინავს და ოტელში ცხოვრება გვსურს. მე არ ვკიცხავ თქვენს სურვილებს. პატივმოყვარეობა, ჩემო სულიკო, ამქვეყნად ყველას კი არა აქვს მინიჭებული. ქალებს შეეკითხეთ, როგორი კაცებისაკენ მიისწრაფიან? პატივმოყვარეებისაკენ. პატივმოყვარეებს უფრო მაგარი წელი მოსდგამთ, სისხლში მეტი რკინა აქვთ და გული უფრო მხურვალე, ვიდრე სხვებს. ხოლო აყვავების ხანაში მყოფი ქალი იმდენად ბედნიერი და იმდენად მშვენიერია, რომ მას ძლიერი მამაკაცი ყველას ურჩევნია და იმასაც არ უშინდება, რომ შეიძლება ხელში შემოაკვდეს კიდევაც. მე თქვენი სურვილები ჩამოვთვალე, რათა თქვენ წინაშე კითხვა დავაყენო. ეს კითხვა ასეთია. ჩვენ მგლის მადა და დალესილი კიჭები გვაქვს. რა ვქნათ? რა მოვიმოქმედოთ? კუჭი რით ამოვიყოროთ? უპირველესად ყოვლისა, კანონთა კრებული

უნდა მოვინელოთ. ეს ვერაფერი თავის შესაქცევია და არც არაფერს გვასწავლის, მაგრამ საჭიროა. ასე იყოს. ჩვენ შევიქნებით სასამართლოს წევრი, რათა შემდეგში სისხლის სამართლის სასამართლოს თავმჯდომარე გავხდეთ და კატორღაში გავაგზავნოთ უბედური ადამიანები, რომლებიც ჩვენზე უკეთესნი არიან და მხარზე დაღი ამოვუწვათ «გ. კ.», რათა მდიდრებს დავუმტკიცოთ, რომ მათ შეუძლიათ მშვიდად იძინონ. ყოველივე ეს არც სახალისოა და თანაც გრძელი ამბავიცაა. ჯერ, პარიზში ორიოდე წლის ლოდინით სული უნდა ამოგვხდეს, უნდა მხოლოდ უყურო და არ კი შეეხო სასუსნავს, რომელზედაც სული მიგდის. მეტად მომღლელი ამბავია _ მუდამ გინდოდეს და ვერასოდეს ვერ დააკმაყოფილო ეს სურვილები. სისხლნაკლული რომ იყოთ და ლოკოკინას ხასიათისა, მაშინ არაფერი გექნებოდათ შესაშინებელი, მაგრამ თქვენ ლომის მშფოთვარე სისხლი გიდუღთ, ხოლო სურვილები ისეთი გაქვთ, რომ დღეში ოც სისულელეს ჩაგადენინებენ.

თქვენ დაიღუპებით ყველაზე საშინელი წამებისაგან, რომელიც კი ჯოჯოხეთში გააჩნია კეთილ ღმერთს. დავუშვათ, რომ თქვენ კეთილგონიერი ბრძანდებით, რძესა სვამთ და ელეგიებსა სთხზავთ. თქვენი პატიოსნების მქონე ადამიანმა მრავალი უსიამოვნებისა და გაჭირვების შემდეგ, რომლებიც ძაღლსაც კი გააცოფებენ, სამსახური უნდა დაიწყოს რომელიმე მიგდებულ ქალაქში, ვიღაც სალახანა პროკურორის თანაშემწის თანამდებობაზე, რისთვისაც მთავრობა წელიწადში ერთი ათასი ფრანკის ჯამაგირს მოგიგდებთ. ეს ამბავი იმას ჰგავს, ყასბის ძაღლს რომ ცარიელი წვენი დაუსხან. მისდექ და უყეფე ქურდებს, დაიცავი მდიდრები და პატიოსან ადამიანებს თავები ჰკვეთე. დიდად გმადლობთ! თუ მფარველები არა გყავთ, მაგ თქვენ პროვინციულ ტრიბუნალში ჩალპებით. თუ მოსამართლის წამოსასხამს ადრევე სანაგვეზე არ გადაუძახებთ, მაშინ ოცდაათი წლისათვის წელიწადში ათას ორასი ფრანკის ჯამაგირის მქონე მოსამართლე გახდებით. ორმოციოდე წლისა რომ შესრულდებით, რომელიმე მეწისქვილის ქალიშვილს შეირთავთ და ექვსი ათასი ლივრის წლიურ შემოსავალს გაიჩენთ. გმადლობთ. ხოლო, თუ მფარველები გყავთ, ოცდაათი წლისა პროკურორი გახდებით. ერთი ათასი ლივრი ჯამაგირი გექნებათ და მერის ქალიშვილს შეირთავთ. თუ ჩაიდენთ რომელიმე იმ მცირე პოლიტიკურ სიმდაბლეთაგანს, როგორიცაა, მაგალითად, საარჩევნო ფურცელზე ვილელის მაგივრად მანუელის ამოკითხვა (გვარები გარითმულია, ასე რომ სინდისი დამშვიდებული გექნებათ), მაშინ ორმოცი წლისა გენერალ-პროკურორი გახდებით და იქნებ დეპუტატიც შეიქნეთ. აღნიშნეთ, ჩემო საყვარელო ბავშვო, რომ თქვენს სინდისს უკვე მატლი გაუჩნდა. რომ ოცი წლის განმავლობაში მრავალი უსიამოვნება და ფარული

გაჭირვება განიცადეთ, და რომ დები უკვე ხელში შემოგაბერდნენ. მაქვს პატივი აგრეთვე მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საფრანგეთში მხოლოდ ოცი გენერალ-პროკურორია, ამ ადგილების მაძიებელი ოცი ათასია, ხოლო ამათში ისეთი სალახანებიც ურევია, რომლებიც საკუთარ ოჯახსაც კი გაჰყიდიან, ოღონდ ერთი საფეხურით აიწიონ. თუ ეს ხელობა არ მოგწონთ, სხვა რამე მოვნახოთ. ბარონ დე რასტინიაკს იქნება ადვოკატობა სურდეს? შესანიშნავია! ათი წელიწადი უნდა ეწვალო, თვეში ათასი ფრანკი დახარჯო, იქონიო ბიბლიოთეკა, კაბინეტი, გახვიდე ხოლმე საზოგადოებაში; საქმე რომ მოგცენ, ამისთვის ვიღაც ვექილს წამოსასხამი უნდა ულოშნო და შენი ენით მოჰგავო სასამართლოს მთელი შენობა. თუ ეს ხელობა თქვენთვის ხელსაყრელია, მე წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ორმოცდაათი წლის ასაკის ხუთი ასეთი ადვოკატი დამანახეთ პარიზში, რომელთაც წელიწადში ორმოცდაათ ათასზე მეტი შემოსავალი ჰქონდეთ! არა! მე ის მირჩევნია, რომ მეკობრე გავხდე, ვიდრე ამგვარად წავბილწო ჩემი სული. ამასთან ერთად, საამისო ფული სად უნდა იშოვოთ? ყოველივე ეს ვერაფერი მხიარულებაა. ჩვენ კიდევ ერთი საშუალება გვაქვს _ ცოლის მზითევი. ცოლის შერთვა ხომ არა გნებავთ? ეს იგივე იქნება, რაც კისერზე ლოდის ჩამოკიდება; გარდა ამისა, თუ ფულის გულისთვის დაქორწინდით, მაშინ სადღაა ჩვენი გრძნობები და ჩვენი პატიოსნება? ჯობს დღესვე აჯანყდეთ ადამიანურ პირობითობათა წინააღმდეგ, რადგან ანგარიშით ცოლის შერთვა სხვა არაფერია, თუ არა ცოლის წინაშე გველივით ქვემძრომობა, სიდედრის ფეხების ლოშნა და, ღორსაც რომ შეეზიზღება, ისეთ სიმდაბლეთა ჩადენა. ფუჰ! კიდევ კარგი, თუ ამრიგად ბედნიერებას მაინც მოიპოვებთ. მაგრამ თქვენ უბედური იქნებით, რადგან ამგვარი ქორწინება სანაგვეზე გადასაგდებად გაქცევთ. სჯობს კაცებს ებრძოლოთ, ვიდრე საკუთარ ცოლს დაუწყოთ ჭიდილი. თქვენ ცხოვრების გზაჯვარედინზე იმყოფებით, ახალგაზრდავ. აირჩიეთ. წილი ნაყარია. თქვენ უკვე იყავით თქვენს ბიძაშვილთან, დე ბოსეანის მეუღლესთან და ფუფუნება დაყნოსეთ, თქვენ იყავით მამა გორიოს ქალიშვილთან, ქალბატონ დე რესტოსთან და პარიზელი ქალის სურნელება იგემეთ. იმ დღეს რომ შინ დაბრუნდით, შუბლზე გეწერათ ორი სიტყვა, რომლებიც მე ადვილად ამოვიკითხე: გზის გაკაფვა! გზის გაკაფვა, რადაც უნდა დაჯდეს. ეს რომ დავინახე, ვთქვი: «ვაშა! ასეთი ბიჭი სწორედ საჩემოა». თქვენ ფული გჭირდებათ. საიდან უნდა იშოვნოთ? დებს უკვე სისხლი გამოსწოვეთ. ყველა ძმა ასე თუ ისე თავის დებს აძრობს ფულს, ოღონდ ზოგი მეტს, ზოგი ნაკლებს. ღმერთმა იცის, როგორ მოახერხეთ ათას ხუთასი ფრანკის დაძრობა იმ სოფლიდან, სადაც წაბლი გაცილებით მეტი მოიძევება, ვიდრე ასი სუს ღირსების ოქროს

ფულები, თანაც ეს ფულები ისევე ადვილად იფანტება, როგორც სათარეშოდ გასული ჯარისკაცები. მერე რაღას იზამთ? იქნებ მუშაობას აპირებთ? მაგრამ მუშაობა იმ გაგებით, როგორც თქვენ ახლა გესმით, მხოლოდ ძალუა ვოკეს სახლში ოთახს თუ მოუპოვებს სიბერის ჟამს ისეთ ადამიანებს, როგორც პუარეა. თქვენს მდგომარეობაში მყოფი ორმოცდაათი ათასი ახალგაზრდა კაცი სწრაფი გამდიდრების პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს. მათ შორის თქვენ მხოლოდ ერთეულს წარმოადგენთ. განსაჯეთ, რამდენი ძალ-ღონე უნდა დახარჯოთ და რა გააფთრებული ბრძოლა მოგელით. ქოთანში მომწყვდეული ობობებივით უნდა დაჭამოთ ერთმანეთი, ვინაიდან ორმოცდაათი ათასი სახეირო ადგილი არ არსებობს. თუ იცით, აქ გზას როგორ იკაფავენ? ან გენიოსის ბრწყინვალებით, ან მოქრთამვის საშუალებით. ადამიანების ამ მასაში ზარბაზნის ყუმბარასავით უნდა შეიჭრათ ანდა სნეულებასავით უნდა შეეპაროთ. პატიოსნებით ვერაფერს მიაღწევთ. გენიოსის ძლიერების წინაშე ქედს იხრიან; იგი სძულთ, ჭორებით ჩირქსა სცხებენ, რადგან მას ყველაფერი განუყოფლად მიაქვს. მაგრამ სანამ იგი ურყევად დგას, წინ უჩოქებენ; ერთი სიტყვით, მას მუხლმოდრეკით ეთაყვანებიან, როდესაც არ შეუძლიათ, რომ ტალახში ჩააგდონ. მექრთამეობა _ ძალაშია, ნიჭი _ იშვიათია. ამიტომ მოსყიდვა უნიჭოების იარაღად გადაიქცა. ეს ქვეყანა სავსეა უნიჭოებით და თქვენ ყველგან იგრძნობთ მის ჩხვლეტას. თქვენ ნახავთ ქმრებს, რომელთა მთელი სარჩო-საბადებელი ექვსი ათასი ფრანკი ჯამაგირია, მათი ცოლები კი თავის მორთულობისათვის ათი ათას ფრანკზე მეტსა ხარჯავენ. ნახავთ ათას ორასი ფრანკის ჯამაგირის მქონე მოხელეებს, რომლებიც მიწებს იძენენ. ნახავთ ქალებს, საკუთარ სხეულს რომ ჰყიდიან იმისთვის, რათა გაისეირნონ საფრანგეთის პერის შვილის ეტლით, რომელსაც ლონშანის საშუალო შარაგზაზე გავლის უფლება აქვს. თქვენ უკვე ნახეთ, რომ საცოდავი, ტუტუცი მამა გორიო იძულებული იყო გაენაღდებინა თავისი ქალიშვილის ხელმოწერილი თამასუქი, თუმცა ბერიკაცის სიძეს წელიწადში ორმოცდაათი ათასი ლივრი შემოსავალი აქვს. აბა, მიდით, ორიოდე ნაბიჯი გადაადგით პარიზში და ნუ შეხვდებით რაიმე ჯოჯოხეთურ ყალთაბანდობას. ამ ჩემს თავს მოვდივარ სანაძლეოდ სალათას მურკის სანაცვლოდ, რომ პირველივე ქალთან, რომელიც თქვენ მოგეწონებათ და თუ ეს ქალი მდიდარი, ლამაზი და ახალგაზრდა იქნება, კრაზანების ბუდეში ჩავარდებით. ესენი ყველანი კანონთან პირშავად არიან და ყოველგვარი საბაბის გამო თავის ქმრებს ებრძვიან. ალბათ, ვერასოდეს ვერ გავათავებ ლაპარაკს, თუ მოვინდომე ყველა იმ ხრიკის განმარტება, რომლებსაც მიმართავენ საყვარლებისა და ბავშვების გულისათვის, ჩვრების შესაძენად, შინაურ საჭიროებათა

დასაკმაყოფილებლად ანდა პატივმოყვარეობის გულისათვის, და დარწმუნებული იყავით, რომ იშვიათად თუ აკეთებენ რაიმე სასიკეთოს. ამიტომაა, რომ პატიოსანი ადამიანი ყველას მტერია, მაგრამ როგორ გესმით თქვენ პატიოსანი ადამიანის რაობა? პარიზში პატიოსანი ადამიანი ის არის, ვინც ჩუმ-ჩუმად აკვარახჭინებს საქმეებს და წილში არავის იყენებს. არაფერს გეუბნებით იმ საცოდავი მონების გამო, რომლებიც ყველგან წელს იწყვეტენ და არასოდეს არ ღებულობენ თავისი შრომის გასამრჯელოს; მე მათ «უფლისა მიერ სალოსთა ძმობას» ვუწოდებ. რასაკვირველია, აქ სათნოების მთელი სისულელე იფურჩქნება, მაგრამ გაჭირვებაც აქვეა. აქედანვე ვხედავ, როგორ დაიმანჭებიან ეს სათნო ადამიანები, თუ ღმერთს ბოროტად გახუმრება მოეხასიათა და უკანასკნელი სამსჯავრო გააუქმა. მაშ, თუ თქვენ სწრაფად გამდიდრება გსურთ, ან უკვე უნდა გქონდეთ შეძლება, ანდა უნდა შეძლებულად მოაჩვენოთ თავი. გასამდიდრებლად საჭიროა, რომ თამაშის დროს ბლომად ჩამოხვიდეთ, ხელი თუ მოუჭირე, მერე, წადი და სდიე! თქვენთვის ხელმისაწვდომი ასი პროფესიიდან, თუ ათიოდე ადამიანს სწრაფად გაუმართლა, ხალხი მათ ქურდებს შეარქმევს. აქედან დაასკვენით. აი, ცხოვრების ჭეშმარიტი სინამდვილე. რითია იგი სამზარეულოზე უკეთესი: ისევე ყარს და თუ რაიმეს მომზადება გინდა, ხელიც უნდა გაისვარო, მაგრამ მერე ხელის დაბანაც კარგად უნდა იცოდე. ესაა ჩვენი ეპოქის მთელი მორალი. ადამიანთა საზოგადოების შესახებ ასე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ამის უფლება მაქვს, რადგან მე ის შევიცანი. თქვენ გგონიათ მე მას ვაძაგებ? სრულიადაც არა. იგი მუდამ ასეთი იყო. მორალისტები მას ვერასდროს ვერ გამოასწორებენ. ადამიანი სრულყოფილი არ არის. იგი ხან მეტად, ხან ნაკლებად პირმოთნეა, სულელები კი გაიძახიან, რომ ერთი ზნეობითაა აღსავსე, ხოლო მეორე უზნეოა. მე მდიდრებს არ ვკიცხავ და უბრალო ხალხსაც არ ვადიდებ: ადამიანი ყველგან ერთნაირია, მაღლაც, დაბლაც, შუაშიც. ამ ნახირის ყოველ ერთ მილიონ პირუტყვში ათიოდე მარჯვე ბიჭი მოიძებნება, რომლებიც თავს ყველაფერზე მაღლა, კანონებზე მაღლაც კი აყენებენ. მეც მათგანი ვარ; და თუ თქვენც ამ უზენაესი თანრიგის ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, პირდაპირ იარეთ და თავი არ დახაროთ. მაგრამ თქვენ შურის, ჭორის, უნიჭოებისა და მთელი ქვეყნის წინააღმდეგ მოგიხდებათ გალაშქრება. ნაპოლეონი შეეჯახა სამხედრო მინისტრს, სახელად ობრის, რომელმაც კინაღამ კოლონიებისაკენ უკრა თავი. მოსინჯეთ თქვენი თავი! ყოველ დილას, ადგომისას შეამოწმეთ, გაძლიერდა თუ არა თქვენი ნებისყოფა გუშინდელთან შედარებით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მინდა ისეთი წინადადება მოგცეთ, რომელზედაც არა მგონია ვინმემ უარი თქვას, კარგად დამიგდეთ ყური. უნდა

მოგახსენოთ, რომ ერთი აზრი დამებადა. ფიქრადა მაქვს პატრიარქალურად ვიცხოვრო დიდ ადგილ-მამულში, რომელშიაც თუნდაც ასი ათასიოდე არპანი მიწა იქნება, სადმე, შეერთებული შტატების სამხრეთ მხარეში. მინდა პლანტატორი გავხდე, მყავდეს მონები, საკუთარი ხარებით, საკუთარი ხეებითა და საკუთარი თამბაქოთი ვივაჭრო, მოვიგო რამდენიმე მილიონი, თავადიშვილურად ვიცხოვრო, ვაკეთო ის, რაც მომესურვება და ცხოვრება ისე ვატარო, როგორც სრულიად გაუგებარია აქ, სადაც ადამიანები თავიანთ შელესილ ბუნაგებში არიან შეკუჭულნი. მე დიდი პოეტი ვარ, მაგრამ ლექსებს როდი ვწერ. ჩემი პოეზია მოქმედებასა და გრძნობებშია. ახლა მხოლოდ ორმოცდაათი ათასი ფრანკი გამაჩნია, რომელიც ორმოცი ზანგის შეძენას თუ გასწვდება. მე კი, ორასი ათასი ფრანკი მჭირდება, რადგან მინდა ორასი ზანგი ვიყოლიო, რომელთა საშუალებით შევძლებ პატრიარქალური ცხოვრების სურვილების დაკმაყოფილებას. უნდა მოგახსენოთ, რომ ზანგები ბალღებივით არიან, შეგიძლიათ ისე გამოიყენოთ, როგორც თქვენა გსურთ და ვერც ერთი ცნობისმოყვარე პროკურორი პასუხს ვერ მოგთხოვთ. ამ შავი კაპიტალის საშუალებით ათ წელიწადში სამი ან ოთხი მილიონი მექნება და თუ ასე გამიმართლა, მაშინ ადამიანის შვილი არ შემეკითხება «ვინა ხარო?» მე ვიქნები ბატონი ოთხი მილიონი, შეერთებული შტატების მოქალქე, ვიქნები ორმოცდაათი წლისა, ჯერ ძალ-ღონით სავსე და ისე გავერთობი, როგორც მომეხასიათება. მოკლედ რომ მოვჭრათ, მომცემთ თუ არა ორას ათას ფრანკს, ერთი მილიონის მზითევი რომ გიშოვნოთ? საკომისიო ოცი პროცენტი ბევრი არ უნდა იყოს? თქვენ შეაყვარებთ თავს საცოლეს, შეირთავთ მას და მერე მოაჩვენებთ, რომ რაღაცა არ გასვენებთ, რომ სინდისი გქეჯნით, თხუთმეტიოდე დღე მოწყენილი იქნებით. ერთ მშვენიერ ღამეს ცოტას გაიპრანჭებით, შემდეგ, კოცნასა და კოცნას შუა გამოუცხადებთ მეუღლეს, რომ ორასი ათასი ფრანკი ვალი გაქვთ, ამასთანავე დაუმატებთ: «ჩემო საყვარელო!» ასეთ ვოდევილს საუკეთესო ახალგაზრდები ყოველდღიურად მართავენ. ახალგაზრდა ქალი ქისას როგორ დაუჭერს იმას, ვისაც თავისი გული ჩააბარა? იქნებ გგონიათ, რომ ზარალს ნახავთ? არა. რაიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელს და ამ ორას ათას ფრანკს აინაზღაურებთ. თქვენი ფულისა და ჭკუის პატრონს შეგიძლიათ იმდენ ქონებას მოუყაროთ თავი, რამდენიც თქვენ გულს მოესურვება. Ergo, შეგიძლიათ ექვს თვეში უზრუნველჰყოთ თქვენი ბედნიერება, თქვენი საყვარელი მეუღლის ბედნიერება, თქვენი ბიძია ვოტრენისა, თუ არ ვიანგარიშებთ ბედნიერებას თქვენი ოჯახის წევრებისა, რომლებიც ზამთრობით უშეშობის გამო ხელებს იორთქლებენ, ნურც ჩემი წინადადება გაკვირვებთ და ნურც ის, რასაც მე გთხოვთ. სამოცი ბრწყინვალე ქორწინებიდან, რომელიც

პარიზში ეწყობა, ორმოცდაშვიდი ამის მსგავს გარიგებაზეა დამყარებული. ნოტარიუსთა პალატამ აიძულა ბატონი...

_ რა უნდა გავაკეთო? _ დახარბებულად იკითხა რასტინიაკმა და ამით სიტყვა შეაწყვეტინა ვოტრენს.

_ თითქმის არაფერი, _ უპასუხა ამ ადამიანმა და სახეზე ისეთმა გამომეტყველებამ გაუელვა, რომელიც იმ მეთევზის იდუმალ ღიმილს ჰგავდა, ვინაც გრძნობს თევზი ანკესზეა წამოგებულიო. _ კარგად დამიგდეთ ყური! საწყალი, უბედური და საცოდავი ქალიშვილის გული _ სიყვარულს დახარბებული ღრუბელია, თანაც ისეთი მშრალია, გრძნობის ერთი წვეთიც რომ მოხვდეს, მაშინვე გაიჟღინთება. გაეარშიყო ახალგაზრდა ქალიშვილს, როდესაც იგი მარტოობას განიცდის, სიღარიბეშია ჩავარდნილი, უიმედოდაა და არც კი იცის, რომ მას სიმდიდრე მოელის! ბიჭოს! ეს ხომ იგივეა, რომ ხელზე საუკეთესო თულფი გქონდეს, ლატარეის მომგებიანი ნომრები გაიგო, ანდა წინასწარვე იცოდე საქმის ვითარება და ისე ითამაშო რენტის კურსზე. თქვენი ცოლქმრობა ურყევ ბურჯებზე იქნება აგებული. და თუ ეს ქალიშვილი მილიონებს მიიღებს, იგი ამ ფულებს ხრეშივით ფეხქვეშ დაგიყრით. «წაიღე, საყვარელო! წაიღე, ადოლფ! წაიღე, ალდფრედ! წაიღე, ეჟენ!» ეტყვის იგი ამ ადოლფს, ალფრედსა ან ეჟენს, თუ მან სათანადო გამჭრიახობა გამოიჩინა და რაიმე მსხვერპლი გაიღო. ასეთ მსხვერპლად გაცვეთილი ფრაკის გაყიდვა მიმაჩნია, რათა ერთად გაისეირნოთ Cardan bleu-ში და შემწვარი შამპინიონები მიირთვათ, იქიდან კი, საღამოს «ამბიგიუ-კომიკის» თეატრში წაბრძანდეთ, შეგიძლიათ საათი დააგირაოთ, შალი უყიდოთ და საჩუქრად მიართვათ. მე არაფერს გეუბნებით არც სასიყვარულო ბარათების ჯღაბნისა და არც სხვა სისულელეების შესახებ, რომლებიც ქალებს ესოდენ მოსწონთ, როგორიცაა, მაგალითად, განშორების ჟამს დაწერილ ბარათზე წყლის დაწვეთება დაპკურებული ცრემლის მსგავსად; თქვენ უკეთ უწყით ენა გულისა. პარიზი, ჩემო ბატონო, ახალი სამყაროს ტყეებსა ჰგავს. ამ ტყეებში ოციოდე ჯურის ველური ტომები დაეხეტებიან _ ჰურონები, ილინოელები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა კლასების მონაგარზე ნადირობით ირჩენენ თავს. თქვენ მილიონებზე მონადირე ბრძანდებით; მათ მოსაპოვებლად თქვენ აგებთ მახეებს, მართავთ ხაფანგებს და კაკანათებს უგებთ. მრავალნაირი ნადირობა არსებობს. ზოგი მზითევზე ნადირობს, ზოგი სხვისი ქონების ლიკვიდაციას უთვალთვალებს; ერთნი სულსა სდებენ ანკესს, მეორენი ჯერ ხელ-ფეხს უბორკავენ, ვინც მათ მიენდო და მერე ჰყიდიან. ვინც ნანადირევით გატენილი ჩანთით ბრუნდება, მას სალამი და გამარჯვება! მას პატივს სცემენ და კარგ

საზოგადოებაში იღებენ. სამართლიანობა მოითხოვს, ამ სტუმართმოყვარე მხარეს მისი კუთვნილი მიუზღოთ: თქვენ მსოფლიოში ყველაზე კეთილგანწყობილ ქალაქთან გაქვთ საქმე. იმ დროს, როდესაც ევროპის ყველა დედაქალაქის ამაყი არისტოკრატები უპატიოსნო მილიონერს თავის წრეს ახლოსაც კი არ გააკარებენ, პარიზი მას გულში იხუტებს, მის წვეულებებზე დარბის, მის სადილებს მიირთმევს და მის უპატიოსნებასთან ალავერდს გადადის.

_ კი მაგრამ, სად ვნახო ეს ქალიშვილი? _ იკითხა ეჟენმა.

_ იგი თქვენია, აქვეა, თქვენ გვერდზე!

_ ქალბატონი ვიქტორინე?

_ სწორია!

_ როგორ?

_ თქვენ უკვე უყვარხართ ბარონ დე რასტინიაკის მომავალ პატარა მეუღლეს.

_ მას ერთი სუც კი არ გააჩნია, _ გაკვირვებით უპასუხა ეჟენმა.

_ ააა! ჩვენც მაგაზე ვართ! კიდევ ორიოდე სიტყვა და ყველაფერი ცხადი გახდება, _ თქვა ვოტრენმა. _ ვიქტორინეს მამა ტაიფერი ბებერი გაიძვერაა, მასზე ეჭვია მიტანილი, რომ მან რევოლუციის დროს ერთი თავისი მეგობარი მოკლა. ტაიფერი ჩემი ჭკუის სალახანაა და სრულიად დამოუკიდებელი აზროვნების პატრონია. იგი ბანკირია და მთავარი მეპაიე საბანკირო სახლისა _ «ფრედერიკ ტაიფერი და ამხანაგობა». მას სურს ვიქტორინე ცარიელზე დატოვოს, მთელი ქონება თავის ერთადერთ ვაჟიშვილს დაუტოვოს. მე არ მომწონს ასეთი უსამართლობა. მე დონ კიხოტს ვგავარ, მიყვარს სუსტის დაცვა ძლიერისაგან. ღმერთი რომ მისი ვაჟიშვილის სულის მიბარებას ინებებდეს, მაშინ ტაიფერი ქალიშვილს დაიბრუნებდა. ტაიფერი მემკვიდრეს მოინდომებს, ეს სავსებით ბუნებრივი სისულელეა, მაგრამ მე ვიცი, რომ მას აღარ შეუძლია შვილების გაჩენა. ვიქტორინე ტკბილი და საყვარელია. იგი მალე ხელში ჩაიჭერს და ჩიკორივით დააბზრიალებს გრძნობებით შეხურებულ მამას. თქვენი სიყვარულით ფრიად მოხიბლული ქალი არ დაგივიწყებთ და ცოლად გამოგყვებათ. რაც შემეხება მე, მე განგების როლსა ვკისრულობ და აღვასრულებ ნებას ღვთისასა. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც ჩემგან დავალებულია, ლუარის არმიის პოლკოვნიკი, ის ახლახან მეფის გვარდიაში შევიდა. მან ყური დაუგდო ჩემს რჩევას და ულტრა როიალისტი გახდა: იგი იმ სულელთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომლებიც თავის რწმენას ვერ შეელევიან. კიდევ ერთი რჩევა მაქვს თქვენთვის, ჩემო ანგელოზო, თქვენს რწმენასა და სიტყვას მაინცადმაინც ნუ გადაჰყვებით.

თუ დასჭირდეს ვინმეს, ერთიც მიჰყიდეთ და მეორეც. ადამიანმა, რომელიც დაიკვეხნის, რომ არასოდეს არ შეიცვლის რწმენას, ყოველთვის პირდაპირი გზით უნდა იაროს. ასეთ სულელ ადამიანს სჯერა თავისი უცოდველობა. პრინციპები არ არსებობს, არამედ მხოლოდ მოვლენებია; კანონები არ არსებობს, მხოლოდ გარემოებებთან გვაქვს საქმე: რჩეული ადამიანი თვითონ ეგუება მოვლენებსა და გარემოებებს, რათა ჩაუდგეს მათ სათავეში და უხელმძღვანელოს, პრინციპები და კანონები რომ ურყევი იყოს, ხალხები არ გამოიცვლიდნენ მათ ისე, როგორც ჩვენ პერანგს ვიცვლით ხოლმე. ადამიანი, რომელსაც საფრანგეთის წინაშე მცირე რამ სამსახური მიუძღვის, დღეს დიდად პატივცემულია ვითარცა ღვთაება, ვინაიდან იგი ყველაფერს მხურვალედ ეკიდებოდა, ნამდვილად კი მხოლოდ იმისათვის გამოდგება, რომ მოთავსებულ იქნას მუზეუმში მანქანებს შორის და ზედ ეწეროს – ლაფაიეტი. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ყველა ქვას ესვრის თავადს, რომელსაც იმდენად სძულს კაცობრიობა, რომ იმდენ ფიცს მიახლის, რამდენიც მას გაუხარდება, მაგრამ ვენის კონგრესის დროს იგი წინ აღუდგა საფრანგეთის დაქუცმაცებას. იგი გვირგვინებით უნდა შეემკოთ, ის კი ტალახში ამოსვარეს. ოო! მე საქმეებისა ბევრი რამ გამეგება! მრავალი ადამიანის საიდუმლო ვიცი! კმარა! მე მხოლოდ იმ დღეს შემექმნება ურყევი რწმენა რისამე, როდესაც მოვნახავ სამ ადამიანს, რომლებიც შეთანხმებულად გამოიყენებენ ერთსა და იგივე პრინციპს, ხოლო ამ დღის ცდა დიდხანს მომიხდება. მთელ სასამართლოებში სამ მოსამართლეს ვერ გამოძებნი, რომელთაც კანონის რომელიმე დებულება ერთნაირად ესმოდეთ. ისევ ჩემს მეგობარს დავუბრუნდეთ. ოღონდ ჩემი სიტყვა გააგონა და იგი იესო ქრისტეს ხელახლა ჯვარს აცვამს. ბიძია ვოტრენის ერთი სიტყვაა საჭირო, რომ მან შარი მოსდოს იმ გაიძვერას, რომელმაც ერთხელაც კი ვერ გაიმეტა ასი სუ თავისი საწყალი დისთვის და...

აქ ვოტრენი წამოდგა, წელში გაიმართა და ხელი ისე გაიქნია, როგორც ფარიკაობის მასწავლებელმა იარაღის კეთების დროს.

_ ...და ჯოჯოხეთში გაისტუმროს! _ დაუმატა მან.

_ საშინელებაა! _ თქვა ეჟენმა. _ თქვენ ხუმრობთ, ბატონო ვოტრენ!

_ ლა, ლა, ლა, წყნარად! _ უპასუხა ვოტრენმა. _ ბავშვი ხომ არა ხართ? თუმცა, თუ მოგწონთ, აღშფოთდით, განრისხდით! მიწოდეთ მხეცი, სალახანა, ბოროტმოქმედი, ავაზაკი, ოღონდ თაღლითი და ჯაშუში არ დამიძახოთ! აბა! დამცხეთ, მესროლეთ! მე გაპატიებთ, თქვენს ასაკში ყოველივე ეს ბუნებრივია! მე თვითონაც ასეთი ვიყავი! მხოლოდ, იფიქრეთ. დადგება დღე და თქვენ ამაზე უარესს ჩაიდენთ. თქვენ გაეარშიყებით

ლამაზ ქალს და ფულს გამოართმევთ მას. ამის შესახებ თქვენ უკვე გიფიქრიათ! _ დასძინა ვოტრენმა. _ რადგან, სხვაფრივ, აბა, რითი უნდა გამოიჩინოთ თავი, თუ სიყვარულით არ ივაჭრეთ. პატიოსნება, ჩემო კარგო სტუდენტო, ნაწილ-ნაწილ არ იყოფა: იგი ან გვაქვს, ან არა გვაქვს. ჩვენი ცოდვების მონანიებას გვთავაზობენ. კარგი დაგემართოს! ესეც კარგი სისტემაა, რომლის საშუალებით შეგიძლია განიწმინდო დანაშაულისაგან, თუკი სინანული გამოთქვი მისი ჩადენის გამო. ქალის მოტყუება, სოციალურ კიბეზე ერთი საფეხურით ზევით აწევის მიზნით, ოჯახში _ შვილებს შორის შფოთის ჩაგდება, მოკლედ ყველა სისაძაგლე, რომელსაც ჩუმ-ჩუმად სჩადიან ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ პირადი გამორჩენისა და სიამოვნების მიღების მიზნით, ყოველივე ეს _ რწმენის, იმედისა და შეწყალების აქტებს ხომ არ წარმოდგენს თქვენი აზრით? რატომ არის, რომ დენდის, რომელმაც ერთ ღამეში ბავშვს ნახევარი სარჩო-საბადებელი წართვა _ ორი თვის ციხეს აკმარებენ, ხოლო იმ ბედშავს, რომელმაც ათასფრანკიანი ბილეთი მოიპარა «დანაშაულის დამამძიმებელ პირობებში» _ კატორღაში გზავნიან. ესაა თქვენი კანონები. შიგ არც ერთი მუხლი არ მოინახება ისეთი, რომ სისულელემდე არ მივყავდეთ. ხელთათმანიანმა და ტკბილად მოუბარმა კაცმა მკვლელობა ჩაიდინა, სისხლი არ დაუღვრია, იგი მოტყუებით მოქმედებდა; მკვლელმა საღების საშუალებით კარი გააღო _ ესეც და ისიც ღამის ბოროტმოქმედებაა. გარდა დაღვრილი სისხლისა არავითარი განსხვავება არ არსებობს იმას შორის, რასაც გთავაზობთ და რასაც თქვენ ჩაიდენთ ერთ მშვენიერ დღეს. თქვენ კი გჯერათ, რომ ამქვეყნად ურყევი რამ არსებობს! შეიძულეთ ადამიანები და ეძებეთ ხვრელები, რომელთა საშუალებით შესძლებთ კანონთა კრებულის ბადიდან გამოძრომას. კაცმა რომ არ იცის საიდან გაჩენილ დიდ ქონებათა საიდუმლო ბოროტმოქმედებაშია დამალული; მაგრამ ამას არავინ ახსენებს იმიტომ, რომ წმინდა ნამუშევარია.

_ გაჩუმდით! მე მეტის მოსმენა აღარ მსურს. თქვენ იქამდე მიმიყვანთ, რომ საკუთარ თავში დამაეჭვებთ. ამ წუთში მე მხოლოდ ის მწამს, რასაც გრძნობები მიკარნახებენ.

_ როგორც გენებოთ, მშვენიერო ბავშვო! უფრო ძლიერი მეგონეთ, _ თქვა ვოტრენმა, _ მე მეტს აღარაფერს არ გეტყვით. თუმცა კიდევ ერთი სიტყვა მაქვს თქვენთან... _ მან თვალი თვალში გაუყარა სტუდენტს და უთხრა: _ თქვენ ჩემი საიდუმლო იცით.

_ ახალგაზრდა კაცი, რომელიც უარს გეუბნებათ, შეძლებს მის დავიწყებას.

_ მომწონს, კარგი ნათქვამია. სხვა თქვენს ადგილას ნაკლებ სიფრთხილეს გამოიჩენდა. არ დაგავიწყდეთ, რისი გაკეთება მინდა თქვენთვის. თხუთმეტ დღეს გადროვებთ _ თქვენი ნებაა, გინდა მიიღეთ, გინდა უარი თქვით.

«რა ფოლადის აზროვნება აქვს ამ ადამიანს, _ გაიფიქრა რასტინიაკმა, როდესაც შეხედა, როგორ მშვიდად მიაბიჯებდა იღლიაში ჯოხამოჩრილი ვოტრენი. _ მან პირდაპირ მომახალა იგივე, რაც ქალბატონმა დე ბოსეანმა ასე შელამაზებულად მითხრა. ფოლადის კლანჭებით დაგლიჯა ჩემი გული. რისთვის მინდა ქალბატონ დე ნუსინჟენთან მისვლა? მე ჩაფიქრებაც ვერ მოვასწარი და იგი უკვე მიმიხვდა განზრახულს. ამ ავაზაკმა ორიოდე სიტყვით გაცილებით მეტი მითხრა პატიოსნების შესახებ, ვიდრე აქამდე წამიკითხავს ან გამიგონია. თუ პატიოსნება ვერავითარ დათმობას ვერ ითმენს, მაშინ ხომ ჩემი დები გამიქურდავს?» _ თქვა მან და ქისა მაგიდაზე დაახეთქა.

მერე ჩამოჯდა და დიდხანს იყო ასე ღრმად ჩაფიქრებული და თავზარდაცემული.

«პატიოსნებისადმი ერთგულება ამაღლებული მოწამებრივობაა! ყველას სჯერა პატიოსნების არსებობა, მაგრამ ვინ არის პატიოსანი? ხალხებმა თავისუფლება გააღმერთეს, მაგრამ სად არის ამქვეყნად თავისუფალი ხალხი? ჩემი ახალგაზრდობა ჯერ უღრუბლო ცასავით კრიალაა, მაგრამ მინდა დიდი ადამიანი ან მდიდარი გავხდე და განა ეს უკვე იმას არ ნიშნავს, რომ თავს ნებას ვაძლევ ვიტყუო, მოვიღუნო, ვიფორთხო, კვლავ გავსწორდე, ვიქლესაო და ვითვალთმაქცო? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი ნებით გავულაქიავდე მათ, ვინც თვითონ იდრიკებოდა, დაღოღავდა და სტყუოდა? ჯერ უნდა გაუმსახურდე, სანამ მათი თანამოაზრე გახდები. მაგრამ, არა! მე მსურს შრომა პატიოსანი და წმინდა, შრომა დღითა და ღამით, მხოლოდ შრომით მსურს სიმდიდრის მოპოვება. ამ გზით სიმდიდრეს ძალიან გვიან მივაღწევ, მაგრამ ყოველ საღამოს თავს მივდებ ბალიშზე ისე, რომ არ შემაწუხებს რაიმე ბოროტი ფიქრი. რა უნდა იყოს უფრო მშვენიერი, ვიდრე შესცქეროდე შენს ცხოვრებას და ხედავდე, რომ იგი შროშანივით სპეტაკია. მე და ჩემი ცხოვრება საქმრო-საცოლესა ვგავართ. ვოტრენმა დამანახვა ის, თუ რა ხდება ათი წლის ცოლქმრობის შემდეგ. დალახვროს ეშმაკმა! თავგზა მებნევა. არაფრის ფიქრი არ მინდა, გული ყველაზე კარგი წინამძღოლია!»

ეს ფიქრები ეჟენს ჩასუქებული სილვიას ხმამ შეაწყვეტინა. სილვიამ მკერავის მოსვლა შეატყობინა და ეჟენიც ორი ქისა ფულით წარდგა მის წინაშე და თანაც ეს გარემოება მას სულაც არა სწყენია. საღამოს წყვეულებისათვის დანიშნული ტანსაცმელი დაიზომა, ხოლო შემდეგ გამოეწყო დილის ახალ სამოსში, რომელმაც სრულიად შესცვალა მისი გარეგნობა.

«მე ვაჯობებ ბ-ნ დე ტრაის, _ თქვა ეჟენმა თავისთვის, _ როგორც იქნა, აზნაურიშვილს დავემსგავსე!»

_ ბატონო, _ დაიწყო ეჟენის ოთახში შემოსულმა მამა გორიომ, _ თქვენ მკითხეთ, ვიცი თუ არა, რომელ ოჯახებში დადის ქალბატონი დე ნუსინჟენი?

_ დიახ.

_ კეთილი. შემდეგ ორშაბათს იგი მიდის ბალზე მარშალ კარილიანოსთან. თუ იქ მისვლის საშუალება მოგეცემათ, უსათუოდ უნდა მიამბოთ, როგორ ერთობოდნენ ჩემი გოგონები, როგორ იყვნენ ჩაცმულნი, ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა მომიყვეთ.

_ საიდან გაიგეთ ეს ამბავი, ჩემო კეთილო მამა გორიო? _ ჰკითხა ეჟენმა და მოხუცი ცეცხლის პირას დასვა.

_ მისმა მოახლემ მითხრა. ტერეზისა და კონსტანსისაგან ყველაფერს ვიგებ, რასაც ჩემი გოგონები აკეთებენ, _ მხიარულად უპასუხა გორიომ.

მოხუცი იმ ახალგაზრდა შეყვარებულს ჰგავდა, ვისაც ბედნიერებად მიაჩნია, თუკი ისეთი ხერხი გამოიგონა მიჯნურთან დაახლოებისა, რომელსაც ქალი ვერ ამჩნევს.

_ თქვენ კი ნახავთ მათ! _ დაუმატა მოხუცმა და ამით გულუბრყვილოდ გამოხატა თავისი სევდიანი მოშურნეობა.

_ ჯერ არ ვიცი, _ უპასუხა ეჟენმა, _ მე ახლა ქალბატონ დე ბოსეანთან მივდივარ იმის გასაგებად, შეუძლია თუ არა წარმადგინოს მარშალის მეუღლესთან.

რაღაც შინაგანი სიხარულის გრძნობით ეჟენი ფიქრობდა იმას, რომ ვიკონტის მეუღლის წინაშე წარდგება იმგვარადვე გამოწყობილი, როგორადაც ყოველთვის ჩაიცვამს ამიერიდან.

ის, რასაც მორალისტები ადამიანის გულის უფსკრულს უწოდებენ, ნამდვილად მხოლოდ მაცთური აზრებია და უნებლიე მისწრაფება პირადი გამორჩენისაკენ. ამ მერყეობას, რომელიც ამდენი მაღალფარდოვანი ლაპარაკის თემად გადაიქცა, ამ წინასწარ მოფიქრებულ მოულოდნელ შემობრუნებებს ერთი მიზანი აქვთ _ სიამოვნების მიღება. რასტინიაკმა ნახა თავისი თავი კარგად ჩაცმული, კარგი ფეხსაცმელებით შემოსილი და საუკეთესო ხელთათმანებში გამოწყობილი და დაივიწყა პატიოსნებით აღსავსე თავისი გადაწყვეტილებანი. როდესაც ახალგაზრდა ჭეშმარიტებას ზურგს შეაქცევს ხოლმე, იგი ველარა ბედავს სინდისის სარკეში ჩახედვას, უფრო მომწიფებულ ადამიანს კი უკვე ჩაუხედავს შიგ; მხოლოდ ამით განსხვავდება ცხოვრების ეს ორი საფეხური.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში მეზობლები _ ეჟენი და მამა გორიო ფრიად დამეგობრდნენ. ამ გულითად მეგობრობას ისეთივე ფსიქოლოგიური საფუძველი ჰქონდა, როგორმაც სტუდენტში ვოტრენის მიმართ სრულიად საწინააღმდეგო გრძნობები

გამოიწვია. გაბედული ფილოსოფოსი, რომელიც ჩვენი გრძნობების ფიზიკურ სამყაროზე ზეგავლენის დადგენას მოინდომებს, ცხადია, ბევრ საბუთს ნახავს იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი გრძნობების ნივთიერი ძალა გამოვლინდება ხოლმე იმ დამოკიდებულებაში, რომელიც არსებობს ჩვენსა და ცხოველებს შორის. რომელ ფიზიონომისტს შეუძლია ისევე სწრაფად ამოიცნოს ადამიანის ხასიათი, როგორც ძალას, რომელიც უცებ აუღებს ხოლმე ალღოს უცნობს და გაუგებს, მტერია იგი თუ მოყვარე? ჩაბღაუჭებული ატომები _ ეს საყოველთაოდ ცნობილი ხატოვანი გამოთქმა წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელიც შერჩება სალაპარაკო ენას და ამით გააბათილებს იმათ ფილოსოფიურ ჩმახვას, ვინც ამაოდ დაშვრა იმისთვის, რათა გარსი შემოაცილოს სიტყვებს და დაუკარგოს პირველადი მნიშვნელობა. სიყვარული გადამდებია. გრძნობა ყველაფერს თავის დაღს ასვამს. იგი ჰკვეთს მანძილს. წერილი იგივე სულია, მისი დამწერის სიტყვების ერთგული და იმდენად ზუსტი გამოძახილი, რომ ამაღლებული სულის ადამიანები წერილებს სიყვარულის ყველაზე ძვირფას საუნჯეებს მიაკუთვნებენ. მამა გორიოს შეუგნებელმა და ძაღლურ სიფხიზლემდე გამახვილებულმა მგრძნობელობამ შეიგრძნო თანაგრძნობა და აღტაცებული ჭაბუკური სიმპათია, რომელიც აღიძრა მისდამი სტუდენტის გულში. მაგრამ მათი ახლად ჩასახული სიახლოვე ჯერ არ იყო მისული გულწრფელობამდე. თუმცა ეჟენმა გამოთქვა ქალბატონ დე ნუსინჟენის ნახვის სურვილი, ეს არ ნიშნავდა, რომ მას ეგონა მოხუცის საშუალებით შეიძლება ქალის სახლში მოვხვდეო; მაგრამ იგი იმედოვნებდა, რომ გორიოს წამოსცდებოდა რამე თავის ქალიშვილთან და ამით დახმარებას გაუწევდა. მამა გორიო არ ეუბნებოდა მას არაფერს, გარდა იმისა, რაც მან თვით თქვა ყველას გასაგონად ორგზის ვიზიტის შემდეგ.

_ ჩემო კარგო ბატონო, _ მიმართა მეორე დღეს მამა გორიომ ეჟენს, _ როგორ იფიქრეთ, რომ ქალბატონი დე რესტო განგირისხდათ ჩემი სახელის ხსენებისათვის? ორივე ქალიშვილს ძალიან ვუყვარვარ; ბედნიერი მამა ვარ, მაგრამ სიძეები კი ცუდად მექცევიან, არ მინდა, რომ ჩემი საყვარელი არსებები ეწამონ მათ ქმრებთან ჩემ გამო და ამიტომ ვამჯობინებ მალულად მოვინახულო ხოლმე ისინი. ეს საიდუმლო ათასგვარ სიხარულს მანიჭებს, რაც გაუგებარია იმ მამებისათვის, რომელთაც შეუძლიათ თავისი ქალიშვილების ნახვა, როდესაც კი მოესურვებათ; მე კი არ შემიძლია, გესმით? თუ კარგი დარია, მე წინასწარ ვიგებ მათი შინამოსამსახურეებისაგან, როდის აპირებენ ჩემი ქალიშვილები გასეირნებას და მივდივარ ელისეს მინდვრებზე მათ სანახავად. ველოდები იმ ადგილას, სადაც უნდა გაიარონ და გული მიძგერს, როდესაც ვხედავ მომავალ ეტლებს. მე ვტკბები

ჩემი ქალიშვილების ჩაცმულობით. გამივლიან გვერდზე, გამიღიმებენ და მაშინ ასე მგონია, თითქოს ნათელი მზის სხივი მოეფინაო მთელ ბუნებას. მე ვრჩები და ვუცდი. ისინი ხომ უკან უნდა დაბრუნდნენ. ისევ ვუცქერ მათ! ჰაერი მოხდომიათ და ლოყები ვარდისფრად უღვივით! მესმის ჩემს ირგვლივ: «რა ლამაზი ქალია!» სიხარულით გული მეხსნება. ეს ხომ ჩემი სისხლია! მიყვარს ის ცხენები, რომლებიც მათ ატარებენ და მინდა იმ პატარა ძაღლად მაქცია, რომელიც ჩემს გოგონებს კალთაში ჰყავთ აყვანილი. მე მათი სიამოვნება მაცოცხლებს. ყველას თავისებურად უყვარს. ეს ჩემებური სიყვარული ხომ არავის უშლის; არ ვიცი, რას მერჩიან, რა უნდათ ჩემგან? მე ჩემებურად ბედნიერი ვარ. განა უკანონოა, რომ მე დავდივარ მათ სანახავად, როდესაც ჩემი გოგონები საღამოობით გამოდიან სახლიდან სადმე ბალზე გასამგზავრებლად. როგორ ვღონდები, როდესაც მაგვიანდება და მეუბნებიან: «ქალბატონი წასულია». ერთხელ დილის სამ საათამდე ვუცადე, რომ თვალი შემევლო ნაზისათვის, რომელიც მთელი ორი დღის განმავლობაში არ მენახა. სიხარულით გული კინაღამ გამისკდა. გთხოვთ, ნურაფერს იტყვით ჩემ შესახებ გარდა იმისა, თუ რა კეთილები არიან ჩემ მიმართ ჩემი გოგონები. მათ უნდათ, რომ ამავსონ ნაირ-ნაირი საჩუქრებით! მაგრამ მე ვუშლი და ვეუბნები: «ეგ ფული თქვენთვის შეინახეთ, თუ გინდათ, რომ სიკეთით ამავსოთ. მე არაფერი მჭირდება». ბოლოს და ბოლოს, მე რა ვარ? საცოდავი ლეში, რომლის სული იქ არის, სადაც მისი ქალიშვილები არიან. როდესაც თქვენ მოესწრებით ქალბატონ დე ნუსინჟენის ნახვას, მეტყვით, ამ ორში რომელი უფრო მოგეწონათ, _ დაუმატა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კეთილმა მოხუცმა, როცა შეატყო, რომ ეჟენი ემზადება წასასვლელად, რათა გაისეირნოს ტიულრიში იმ საათის მოლოდინში, როცა უკვე შესაძლებელი იქნება მისვლა ქალბატონ დე ბოსეანისას.

ეს გასეირნება საბედისწერო გახდა სტუდენტისათვის. მას რამდენიმე ქალმა მიაქცია ყურადღება. რა ლამაზი იყო იგი, რა ახალგაზრდა და თანაც რა გემოვნებით ჩაცმული! როცა ეჟენი მიხვდა, ყურადღებას და თითქმის აღტაცებას ვიწვევო, აღარ ფიქრობდა თავის გაძარცვულ დებზე, აღარც მამიდაზე, აღარც უბიწო ზიზღზე უპატიოსნობის მიმართ. მან დაინახა, რომ თავზე გადაუარა იმ დემონმა, რომელიც ასე ადვილად მიემსგავსება ხოლმე ანგელოზს, იმ ჭრელფრთიანმა სატანამ, რომელიც აფრქვევს ლალებს და თავის ოქროს ისრებს სტყორცნის სასახლეების კედლებს, ძოწით მოსავს ქალებს და სულელური ბრწყინვალებით ამკობს მეფის ტახტებს, რომლებიც თავიდან ჯერ ძალიან სადად გამოიყურებიან. ეჟენმა უკვე შეისმინა ამ რახრახა ამაოების ღმერთისა, რომლის ეჟვნების ჟღარუნს ჩვენ ძლიერების სიმბოლოდ მივიჩნევთ ხოლმე. ვოტრენის ცინიზმით სავსე

სიტყვები მას ისევე ჩაეწვეთა გულში, როგორც ქალიშვილს ჩაესახება ხოლმე საზიზღარი სახე ბებერი მაჭანკლისა, რომელიც ჩასძახის «ოქრო და სიყვარული _ ღვარად!» ეჟენმა უფიქრელად იხეტიალა და ხუთი საათი იქნებოდა, რომ ქალბატონ დე ბოსეანის წინაშე წარსდგა და განიცადა ერთი იმ საშინელი დარტყმათაგანი, რომელთა მიმართ ჭაბუკის გული სრულიად შეუიარაღებული აღმოჩნდება ხოლმე. ვიკონტის მეუღლე აღსავსე იყო მის მიმართ იმ ალერსიანი თავაზიანობით და ტკბილი კეთილგანწყობით, რომელიც არისტოკრატიული აღზრდის შედეგია, მაგრამ მხოლოდ მაშინ არის სრულყოფილი, როდესაც გულწრფელია.

როცა ეჟენი შევიდა ქალბატონ დე ბოსეანთან, ქალმა ცივად დაუკრა თავი და მოკლედ მოუჭრა:

_ ბატონო რასტინიაკ, მე არ შემიძლია თქვენი მიღება, ყოველ შემთხვევაში, ახლა! საქმეები მაქვს...

დაკვირვებული ადამიანისათვის, როგორიც რასტინიაკი გახდა მალე, ამ ქალის სიტყვები, თავის დაკვრა, შემოხედვა, ხმის შეცვლა _ მისი კასტის ხასიათისა და ჩვევების მატიანე იყო. ხავერდის ხელთათმანში ეჟენმა ფოლადის ხელი შენიშნა, ყოფაქცევაში საკუთარი პიროვნების გაღმერთება, ეგოიზმი, გაპრიალებული ზედაპირის ქვეშ _ უბრალო ხე. ის ბოლოს ჩასწვდა, თუ რა აზრს შეიცავენ სიტყვები «ჩვენ, მეფე», რომელიც მეფის ტახტის საფეხურებზე იწყება და უკანასკნელი აზნაურის ჩაჩქანს ქვეშაც ბუდობს.

ეჟენი მიენდო ქალის სიტყვებს და ძალიან ადვილად დაიჯერა მისი პატიოსნება. მსგავსად ყველა უპოვარისა, მან პატიოსნად მოაწერა ხელი იმ შესანიშნავ ხელშეკრულებას, რომელმაც გამკითხავი და გაკითხული უნდა დააკავშიროს და ამ ხელშეკრულების პირველივე მუხლის ძალით დაამკვიდროს სრული თანასწორობა დიდბუნებოვან ადამიანთა შორის. კეთილისყოფა, რომელიც ორ არსებას ერთ არსად აქცევს, წარმოშობს ციურ გრძნობას, ისეთივე შეუცნობელსა და ისეთივე იშვიათს, როგორც ჭეშმარიტი სიყვარულია; ერთიცა და მეორეც ამაღლებულ სულთა გულუხვობის შედეგია. ჰერცოგ კარილიანოს მეუღლის წვეულებაზე მოხვედრის სურვილით ატაცებულმა რასტინიაკმა ჩაყლაპა ეს უხამსობა.

_ ქალბატონო, _ წარმოთქვა მან აღელვებული ხმით, _ ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი რომ არ მამოქმედებდეს, თავს არ მოგაბეზრებდით; მოიღეთ წყალობა და ნება დამრთეთ უფრო გვიან მოგინახულოთ. მოვითმენ.

_ კეთილი, მობრძანდით სადილად, _ უთხრა ქალბატონმა დე ბოსეანმა. იგი ოდნავ შეცბუნებული იყო სიმკვახით, რომელიც თვითონვე შენიშნა თავის სიტყვებში, ვინაიდან ჭეშმარიტად კეთილი და სულგრძელი ქალი იყო.

ეჟენი ოდნავ შეაკრთო ამ უეცარმა ცვლილებამ, მაგრამ წასვლისას მაინც გაიფიქრა:

«იქვემძრომე, გაუძელ ყველაფერს. სხვებისგან რაღას უნდა ველოდე, როდესაც ქალთაგან უკეთესმა ერთი წამის განმავლობაში დაჰგმო მეგობრული აღთქმა და ძველი ფეხსაცმელივით გადააგდო. ასე გამოდის, ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. იგი მართალია, რომ მისი სახლი დუქანი არ არის და ჩემი ბრალია, რომ მე მისი დახმარება მჭირდება. ვოტრენის თქმისა არ იყოს, ზარბაზნის ყუმბარად უნდა გადავიქცე».

ვიკონტის მეუღლესთან სადილის სიამოვნების მოლოდინმა მალე გაჰფანტა სტუდენტის მწარე ფიქრები. ამგვარად, რაღაც საბედისწეროდ, მისი ცხოვრების სულ უმნიშვნელო ამბები განგებ უბიძგებდნენ ისეთი სარბიელისაკენ, სადაც, ვოკეს პანსიონის საშინელი სფინქსის თქმისა არ იყოს, მას მოუხდება ვითარცა ბრძოლის ველზე ხალხის ხოცვა, რომ იგი არ მოჰკლან, მოტყუება, რომ არ მოატყუონ, და რომლის კარიბჭესთან უნდა დატოვოს თავისი პატიოსნება, თავისი გული, გაიკეთოს ნიღაბი, შეუცოდებლად ათამაშოს ადამიანები და როგორც ლაკედემონში უჩინრად შეამზადოს თავისი გამარჯვება, რათა გვირგვინი დაიმსახუროს.

როდესაც ეჟენი დაბრუნდა, ვიკონტის მეუღლე ისეთივე სიკეთითა და თავაზიანობით დახვდა, როგორსაც ყოველთვის იჩენდა ხოლმე მის მიმართ. ორივენი გაემართნენ სასადილო ოთახისაკენ, სადაც ვიკონტი ელოდებოდა თავის მეუღლეს და სადაც სუფრა გაწყობილი იყო ისეთი ფუფუნებით, რომელმაც, როგორც ცნობილია, რესტავრაციის დროს უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მრავალი მოყირჭებული ადამიანის მსგავსად, ბატონ დე ბოსეანისათვის უკვე აღარ არსებობდა სხვა რამ სიამოვნება, გარდა კარგი სუფრისა. პირის გემოს მხრივ იგი ლუი XVIII და დიუკ დ’ესკარის სკოლას ეკუთვნოდა. მის სუფრაზე ორგვარი ფუფუნება იყო წარმოდგენილი. იგი მდიდარი იყო შინაარსითა და გარეგნობით. მსგავსი სურათი ჯერ არასოდეს არ გადაშლილა ეჟენის გაკვირვებულ თვალთა წინაშე; იგი პირველად სადილობდა ისეთ სახლში, სადაც მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა მემკვიდრეობითი იყო. მოდამ ახლახან გადააგდო ბალების შემდეგ ვახშმობა, რაც ჩვეულებად იყო მიღებული იმპერიის დროს, როდესაც სამხედროებს ძალა უნდა შემოეკრიბათ მომავალი ბრძოლების მოლოდინში, რომლებიც მათ მოელოდათ როგორც სამშობლოში, ისე მის გარეთ.

აქამდე ეჟენი მხოლოდ ბალებს დასწრებია. იგი არ დაბნეულა სულელურად, მას ხელი შეუწყო ჯერ კიდევ ახლად ათვისებულმა სითამამემ, რომლითაც შემდეგში იგი ესოდენ ცნობილი გახდა. ვერცხლის ჭედილი ჭურჭლის და ფუფუნებით გაწყობილი სუფრის ათასგვარი ნატიფი ნივთების შემხედვარემ, განცვიფრებულმა ასეთი დინჯი და უხმო მომსახურეობით, რომელსაც პირველად ხედავდა, მგზნებარე წარმოდგენის ადამიანმა ძნელია, რომ ასეთ ლამაზ ცხოვრებას ამჯობინოს გაჭირვებული არსებობა, რაზედაც იგი ჯერ კიდევ ამ დილას ფიქრობდა.

ერთი წუთის განმავლობაში მისი აზრები დაუბრუნდა თავის ოჯახურ პანსიონს და ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ დაიფიცა, იანვრის თვეშივე თავი დაეღწია იქიდან, მოწყობილიყო სადმე კარგ სახლში და თანაც მოშორებოდა ვოტრენს და აღარ ეგრძნო თავის მხრებზე მისი მძიმე ხელების შეხება.

როდესაც წარმოიდგენს, თუ რა ათასგვარ სახეს იღებს პარიზში ღია და ფარული გარყვნილება, საღი გონების ყოველი ადამიანი შეეკითხება თავის თავს, რა გაუგებრობის შედეგად ხსნის სახელმწიფო სკოლებს, სადაც თავს უყრის ახალგაზრდობას, რატომ სარგებლობენ აქ ახალგაზრდა ქალები ხელშეუხებლობით და რატომ არის, რომ მევახშეთა დუქნებში გამოფენილი ოქრო არ იკარგება რაიმე ჯადოქრობით? მაგრამ როდესაც ვიფიქრებთ იმას, თუ რა მცირეა ბოროტმოქმედებათა მაგალითები და ახალგაზრდობის შეცოდებანი, როგორ არ უნდა გავიმსჭვალოთ პატივისცემით იმ მომთმენი ტანტალოსების მიმართ, რომლებიც ებრძვიან საკუთარ თავს და თითქმის ყოველთვის იმარჯვებენ. კარგად რომ აღვწეროთ, თუ როგორ ერკინება პარიზს ეს ღარიბი სტუდენტი, ჩვენი თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ამბავი გამოგვივა.

ამაოდ შეცქეროდა ქალბატონი დე ბოსეანი ეჟენს და აქეზებდა სალაპარაკოდ. ეჟენს ვიკონტის თანდასწრებით არაფრის თქმა არ უნდოდა.

_ წამომყვებით ამ საღამოს იტალიელებთან? _ შეეკითხა ვიკონტის მეუღლე ქმარს.

_ თქვენ, რასაკვირველია, არ გეეჭვებათ, რომ სიამოვნებით დაგემორჩილებოდით, _ უპასუხა ვიკონტმა დამცინავი თავაზიანობით, რომელმაც სტუდენტი შეცდომაში შეიყვანა, _ მაგრამ მე უნდა შევხვდე ვარიეტეში ერთ ადამიანს.

«თავის საყვარელს», _ გაიფიქრა ქალბატონმა დე ბოსეანმა.

_ განა დ'აჟუდა არ გეახლებათ ამ საღამოს? _ შეეკითხა ვიკონტი.

_ არა, _ უპასუხა ქალმა გაჯავრებულად.

_ კეთილი, თუ თქვენთვის აუცილებელია თანმხლები, ბატონი დე რასტინიაკი წაიყვანეთ.

ვიკონტის მეუღლემ ღიმილით შეხედა ეჟენს და უთხრა:

_ ამან შეიძლება საფრთხეში ჩაგაგდოთ.

_ ფრანგს უყვარს საფრთხე, რადგან მასში დიდებას პოულობს, ამბობდა შატობრიანი, _ უპასუხა თავის დაკვრით რასტინიაკმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მას და ქალბატონ დე ბოსეანს ეტლი სწრაფად მიაქანებდა მოდაში შემოსული თეატრისაკენ. ეჟენს თავი ზღაპარში ეგონა, როდესაც ლოჟაში შესვლისას ყველა ლორნეტი მიაცქერდა არა მარტო ვიკონტის მეუღლეს და მის მშვენიერ მორთულობას, არამედ მასაც. აღტაცება აღტაცებას მოსდევდა.

_ თქვენ ჩემთან საუბარი გსურდათ, _ მიმართა ეჟენს ქალბატონმა დე ბოსეანმა. _ აგერ, შეხედეთ, ჩემგან მესამე ლოჟაში ქალბატონი დე ნუსინჟენია, აქეთ მხარეს კი მისი დაი და ბატონი დე ტრაი. _ ამის თქმაზე ვიკონტის მეუღლემ შეხედა ლოჟას, რომელიც დე როშფიდის ქალს ჰქონდა დაკავებული, ვერ ნახა იქ ბატონი დ'აჟუდა და სახე გაუბრწყინდა.

_ მომხიბლავია, _ თქვა ეჟენმა ქალბატონ დე ნუსინჟენის შეხედვაზე.

_ თეთრი წამწამები აქვს.

_ კი, მაგრამ რა ლამაზი და წერწეტა ტანი აქვს...

_ მაგრამ დიდი ხელები.

_ მშვენიერი თვალები!

_ მეტად გრძელი სახე აქვს.

_ მაგრამ გრძელი სახე პატიოსნების მაჩვენებელია.

_ მისი ბედი, რომ ეს მაინც ახასიათებს. აბა, შეხედეთ, როგორ იღებს ხელში და დაუშვებს ხოლმე ლორნეტს! ყველა ამ მოძრაობაში გორიო გამოსჭვივის, _ უპასუხა ვიკონტის მეუღლემ, რითაც დიდად გააკვირვა ეჟენი.

ქალბატონი დე ბოსეანი ლორნეტით ათვალიერებდა თეატრის დარბაზს ისე, თითქოს არც კი აქცევდა ყურადღებას ქალბატონ დე ნუსინჟენს, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი მისი მოძრაობა არ გამორჩენია.

რჩეულ საზოგადოებას მოეყარა თავი. დელფინე დე ნუსინჟენს ესახელებოდა ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც იჩენდა მისდამი ქალბატონი დე ბოსეანის ლამაზი, მოხდენილი და კოხტა კუზენი, რომელიც მის გარდა ვერავის ხედავდა.

_ ასე თვალმოუშორებლად ყურება სკანდალს გამოიწვევს. თქვენ ვერაფერს მიაღწევთ, თუ მოინდომეთ, რომ ასე ნაძალადევად მოახვიოთ თავი.

_ ძვირფასო კუზინა, _ უთხრა ეჟენმა, _ გამიწიეთ დახმარება, თუ გნებავთ, რომ დააგვირგვინოთ საქმე; არაფერს გთხოვთ გარდა სამსახურისა, რომელიც თქვენთვის ძნელი არ იქნება, მე კი გამაბედნიერებთ. მე შეყვარებული ვარ.

_ უკვე?

_ დიახ.

_ ეს ქალი გიყვართ?

_ განა ჩემს მისწრაფებებს ვინმე მიაქცევდა ყურადღებას თქვენ გარდა? _ თქვა რასტინიაკმა და ყურადღებით დააცქერდა თავის ბიძაშვილს. _ ქალბატონი დე კარილიანო დიუკ დე ბერის მეუღლის მახლობელია, _ განაგრძო მან მცირე დახანების შემდეგ, _ და, ალბათ, თქვენ მას ხვდებით ხოლმე. მოიღეთ მოწყალება, გამაცანით და მიახლეთ ბალზე, რომელსაც ის მართავს. იქ შევხვდები ქალბატონ დე ნუსინჟენს და მივიტან ჩემს პირველ იერიშს.

_ სიამოვნებით, _ უპასუხა ქალბატონმა დე ბოსეანმა, _ თუ თქვენ იგი უკვე მოგეწონათ, თქვენი სასიყვარულო საქმეები კარგად ყოფილა. შეხედეთ დე მარსეს, თავად გალატიონის მეუღლის ლოჟაში. ქალბატონ დე ნუსინჟენისათვის ეს ნამდვილი წამებაა. იგი ეჭვიანობს. ძნელია ამაზე უკეთესი დროის შერჩევა, რომ ქალს დაუახლოვდეთ, მით უმეტეს, ბანკირის მეუღლეს. შოსე დ'ანტენელ ქალებს შურისძიება უყვართ.

_ თქვენ როგორღა მოიქცეოდით მსგავს შემთხვევაში?

_ მე უხმოდ დავიტანჯებოდი.

ამ დროს მარკიზი დ'აჟუდა შემოვიდა ქალბატონ დე ბოსეანის ლოჟაში.

_ საჩქაროდ მოვათავე საქმეები, რომ ისევ მენახეთ, _ წარმოთქვა მან, _ და ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ ჩემი საქციელი მსხვერპლად არ ჩამომართვათ.

ვიკონტის მეუღლის გაბრწყინებულმა სახემ გააგებინა ეჟენს, თუ რა განსხვავება არსებობს ჭეშმარიტი სიყვარულის გამოხატულებასა და პარიზული კეკლუცობის ფარისევლობას შორის. იგი აღტაცებული იყო თავისი ბიძაშვილით, დადუმდა და ამოოხვრით დაუთმო თავისი ადგილი მარკიზ დ'აჟუდას. «რარიგ პატიოსანი, რა ამაღლებული არსებაა ქალი, რომელსაც ესოდენ უყვარს! _ ფიქრობდა ეჟენი, _ და ეს კაცი ღალატობს მას ვიღაც ტიკინას გულისთვის. როგორ შეიძლება ამ ქალის ღალატი?» მის გულში ღვივდებოდა ბავშვური აღშფოთება. მას სურდა მუხლებზე შემოხვეოდა ქალბატონ

დე ბოსეანს; ნატრობდა ჯოჯოხეთურ ძლიერებას, რათა შეძლებოდა თავის გულში მოეთავსებინა იგი და გაეტაცნა, როგორც არწივი იტაცებს ხოლმე დაბლობიდან ძუძუმწოვარა თეთრ ციკანს. დამამცირებელი იყო სილამაზის ამ დიდ მუზეუმში ყოფნა, როდესაც არც ერთი სურათი მას არ ეკუთვნოდა _ არ ჰყავდა საკუთარი საყვარელი. «საყვარელი და თითქმის მეფური მდგომარეობა _ აი, რა არის ძლიერების მანიშნებელი!» გაიფიქრა ეჟენმა და მან შეხედა ქალბატონ დე ნუსინჟენს ისე, როგორც უცქერის შეურაცხყოფილი თავის შეურაცხმყოფელს. ვიკონტის მეუღლე შემობრუნდა მისკენ და ერთი შემოხედვით მადლობა გადაუხადა გამოჩენილი თავმდაბლობისათვის. პირველი აქტი დამთავრდა.

_ იცნობთ თუ არა ქალბატონ დე ნუსინჟენს იმდენად, რომ წარუდგინოთ მას ბატონი დე რასტინიაკი? _ შეეკითხა ქალბატონი დე ბოსეანი მარკიზ დ'აჟუდას.

_ იგი მოხიბლული იქნება ბატონ რასტინიაკის ნახვით, _ უპასუხა მარკიზმა.

ლამაზი პორტუგალიელი წამოდგა, გამოსდო მკლავი სტუდენტს და თვალის ერთ დახამხამებაში ისინი ქალბატონ დე ნუსინჟენის წინაშე აღმოჩნდნენ.

_ ქალბატონო, _ წარმოთქვა მარკიზმა, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ შევალიე ეჟენ დე რასტინიაკი, ქალბატონ დე ბოსეანის ბიძაშვილი. თქვენ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ მასზე, რომ მოვინდომე მისი გაბედნიერება და მის სათაყვანებელ კერპთან დაახლოება.

ეს სიტყვები მან სახუმარო იერით წარმოთქვა, რათა გაექარწყლებინა მათი უხეში შინაარსი, რადგან იგი ჩვეულებრივ არ იწვევს ხოლმე ქალების უსიამოვნებს, თუ საკმაოდ არის შენიღბული. ქალბატონმა დე ნუსინჟენმა გაუღიმა და შესთავაზა ადგილი თავისი მეუღლისა, რომელიც ეს-ეს არის გავიდა ლოჟიდან.

_ მე ვერ გავბედავ შემოგთავაზოთ აქ, ჩემთან, დარჩენა, ბატონო, _ თქვა მან. _ როდესაც ბედნიერება აქვთ ქალბატონ დე ბოსეანის ხლებისა, მას არ სტოვებენ.

_ მაგრამ, _ ხმადაბლა უპასუხა რასტინიაკმა, _ მე მგონია, რომ აქ დარჩენით უფრო ვასიამოვნებ ჩემს ბიძაშვილს, _ და ხმამაღლა დასძინა: _ ბატონ მარკიზის მოსვლამდე ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ თქვენ ყველაფრივ გამოირჩევით სხვებისაგან.

დ'აჟუდამ დასტოვა ისინი.

_ მართლა აპირებთ ჩემთან დარჩენას? _ შეეკითხა ბარონის მეუღლე. _ ამგვარად, ჩვენ გავიცნობთ ერთმანეთს. ქალბატონმა დე რესტომ უკვე აღძრა ჩემში ცხოველი სურვილი თქვენი ნახვისა.

_ მაშინ იგი არაგულწრფელი ყოფილა, რადგან მისი სახლის კარი ჩემთვის დახურული აღმოჩნდა.

_ როგორ?

_ ნამდვილი მიზეზის მოხსენება მეუხერხულება, მაგრამ იმედია, მომიტევებთ, რომ ასეთ საიდუმლოს განდობთ. მე მამათქვენის მეზობლად ვცხოვრობ. არ ვიცოდი, რომ ქალბატონი დე რესტო მისი ქალიშვილია, დაუფიქრებლობა გამოვიჩინე და ფრიად გულუბრყვილოდ დავუწყე ლაპარაკი მამათქვენის შესახებ, რითაც გავაჯავრე თქვენი დაი და მისი მეუღლე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ არ ეჭაშნიკათ და სიმდაბლედ ჩასთვალეს მამის ასეთი დაგმობა დიუკ დე ლანჟესის მეუღლემ და ჩემმა ბიძაშვილმა. მე ვუამბე, თუ რა გადამხდა და კინაღამ სიცილით დავხოცე ისინი. ქალბატონმა დე ბოსეანმა მაშინვე შეგადარათ დასთან და თქვენ შესახებ ბევრი კარგი სიტყვა თქვა; მიამბო, თუ რამდენ სიკეთეს იჩენთ ჩემი მეზობლის, ბატონ გორიოს მიმართ. და მართლაც, როგორ შეიძლება არ გიყვარდეთ იგი? მას იმდენად გატაცებით უყვარხართ, რომ მე კიდევაც ვეჭვიანობ. ამ დილას ორი საათის განმავლობაში თქვენ შესახებ ვილაპარაკეთ, ხოლო ამ საღამოს, ჩემს ბიძაშვილთან სადილობისას, მამათქვენის ნაამბობის შთაბეჭდილებით, მე ვეკითხებოდი: ნუთუ შეიძლება, რომ თქვენ ისეთივე ლამაზი იყოთ, როგორიც სათნო და მოსიყვარულე ხართ? როდესაც ქალბატონმა დე ბოსეანმა დაინახა, რომ მე ასე აღტაცებული ვარ, მან, უეჭველია, გადაწყვიტა ჩემი წაქეზება და აქ წამომიყვანა, ამასთანავე, მისთვის ჩვეული მორიდებით გამაფრთხილა, რომ აქ თქვენ გიხილავდით.

_ როგორ, ბატონო, _ თქვა ბანკირის მეუღლემ, _ მე უკვე თქვენი მადლობელი უნდა ვიყო? კიდევ ცოტა და ჩვენ ძველი მეგობრები შევიქნებით.

_ რასაკვირველია, თქვენთან მეგობრობა უჩვეულო რა უნდა იყოს, მაგრამ მე არასდროს არ მოვინდომებ გავხდე თქვენი მეგობარი, _ უპასუხა რასტინიაკმა ეს გაცვეთილი სისულელეები, რომლებიც მხოლოდ დამწყებს თუ ეპატიებოდა, ყოველთვის ხიბლავენ ქალებს და მათ არ მიაჩნიათ ისინი ისეთ უბადრუკობად, როგორც ჩვენ, როდესაც გულგრილად ვკითხულობთ ამას. ახალგაზრდა კაცის მიმოხრა, ხმის გამომეტყველება და შემოხედვა ათასნაირ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სისულელეებს. რასტინიაკმა მოხიბლა მადამ დე ნუსინჟენი. შემდეგ, როგორც ყველა ქალმა, რომელმაც არ იცის, რა უპასუხოს ასე მძაფრად დასმულ კითხვაზე, იგი სხვა საგანს შეეხო.

_ დიახ, ჩემი და ისე ექცევა საწყალ მამას, რომელიც ჩვენთვის ნამდვილად ღმერთი იყო, რომ ამით ძალიან ავნებს თავის თავს. მე იძულებული გავხდი მხოლოდ დილაობით

ვნახო ხოლმე მამა. ბატონმა დე ნუსინჟენმა გადაჭრით ამიკრძალა მამის ნახვა დილის გარდა სხვა დროს, და მეც იძულებული ვიყავი, დავმორჩილებოდი ამ მოთხოვნას. ამის გამო დიდი ხნის განმავლობაში უბედურად ვგრძნობდი თავს. ვტიროდი. ეს ძალადობა, რაიც მოჰყვა უხეშ ცოლქმრულ შეტაკებას, ერთ-ერთი მიზეზი იყო, კიდევ უფრო რომ არია ჩემი ოჯახური ცხოვრება. საზოგადოების თვალში მე პარიზის ყველაზე ბედნიერი ქალი ვარ, სინამდვილეში კი ყველაზე უბედური. შეიძლება სულელად ჩამთვალოთ ამ ლაპარაკისათვის, მაგრამ თქვენ იცნობთ მამაჩემს და ამიტომ არ შეიძლება უცხო იყოთ ჩემთვის.

_ თქვენ ვერასდროს ვერ შეხვდებით ადამიანს, რომელიც ჩემზე უფრო იქნება ანთებული სურვილით, თქვენ გეკუთვნოდეთ, _ უპასუხა ეჟენმა. _ რას ეძებს ყველა თქვენგანი? _ და თითქოს გულიდან მომავალი ხმით თვითონვე უპასუხა: _ ბედნიერებას. და თუკი ქალისთვის ბედნიერება ის არის, რომ იგი უყვარდეთ, მას ეტრფოდნენ, ჰყავდეს მეგობარი, რომელსაც გაანდობს ყველა თავის სურვილს, ყველა ფანტაზიას, თავის წყენასა და თავის სიხარულს, ჩაახედებს თავის გულის სიღრმეში, სადაც დაანახვებს თავის შეცდომებს და საუკეთესო თვისებებს და არ შეეშინდება ღალატისა, დამიჯერეთ, რომ ასეთ საიმედოსა და მუდამ აღგზნებულს თქვენ ჰპოვებთ მხოლოდ გულს ახალგაზრდა კაცისა, რომელიც სავსეა იმედებით, რომელიც ყოველ წუთს მზად არის მოკვდეს თქვენთვის, რომელიც ჯერ არ იცნობს საზოგადოებას და არც სურს მისი გაცნობა, რადგან თქვენ გახდით მისთვის მთელი ქვეყანა. თუმც თქვენ სასაცილოდ მოგეჩვენებათ ჩემი გულუბრყვილობა, მაინც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩამოვედი შორეული პროვინციიდან, სავსებით უცოდველი ვარ, წმინდა გულის ადამიანების გარდა არავის ვიცნობდი და, მეგონა, რომ ვერ ვნახავ აქ სიყვარულს. მოხდა ისე, რომ შევხვდი ჩემს ბიძაშვილს, რომელიც ძალიან გულთბილად მომექცა. მან დამანახვა, თუ რამდენი საუნჯეა დამალული გრძნობებში. მე, ქერუბინოსავით, ყველა ქალი მიყვარს მანამ, სანამ მთლიანად ვემონები რომელიმე მათგანს. როდესაც მოვედი და თქვენ დაგინახეთ, ვიგრძენ, რომ რაღაცა ნაკადმა ამიტაცა და თქვენკენ წამომიყვანა. რამდენი მიფიქრია თქვენ შესახებ, მაგრამ ოცნებაშიც კი ვერ წარმომედგინა, რომ სინამდვილეში ასეთი მშვენიერი იქნებოდით. ქალბატონმა დე ბოსეანმა ამიკრძალა დიდხანს მეყურებინა თქვენთვის. მას არ ესმის, თუ რა მომხიბლავია თქვენი ლამაზი წითელი ბაგეების, თქვენი თეთრი სახის ფერისა და თქვენი სათნო თვალების ცქერა... სისულელეებს გეუბნებით, მაგრამ ნუ ამიკრძალავთ ლაპარაკს.

არაფერი არ სიამოვნებთ ქალებს ისე, როგორც ასეთი ტკბილი სიტყვების ყურისგდება. ყველაზე მეტად ღვთისმოსავი დედაკაცებიც კი სმენად იქცევიან მაშინაც კი, როდესაც არ მართებთ პასუხის გაცემა. ასეთი დასაწყისის შემდეგ რასტინიაკმა ხმადაბლა და კეკლუცობით დაუწყო გულის გადაშლა. ქალბატონი დე ნუსინჟენი ღიმილით აქეზებდა და ხანდახან გადახედავდა ხოლმე დე მარსეს, რომელიც ფეხს არ ინაცვლებდა თავად გალატიონის ლოჟიდან.

რასტინიაკი დარჩა ქალბატონ დე ნუსინჟენთან იმ წუთამდე, სანამ არ შემოვიდა მისი მეუღლე, რათა სახლში წაეყვანა.

_ ქალბატონო, _ მიმართა ეჟენმა, _ იმედი მაქვს გავბედნიერდე თქვენი ნახვით დიუშეს დე კარილიანოს ბალამდე.

_ რახან კალპატონმა დაგპატიჟატ, დარცმუნებული იყავიტ, კარგატ მიგიღებენ, _ უთხრა ბარონმა, მსუქანმა ელზასელმა, რომლის მრგვალი სახე სახიფათო ეშმაკობას ამჟღავნებდა.

«ჩემი საქმეები კარგად მიდის, რადგან იგი არ შეშინდა, როდესაც შევეკითხე «შეგიძლიათ ჩემი შეყვარება?» ცხენს ლაგამი ამოდებული აქვს, ახლა უნდა მოვახტე ზურგზე და ჩემს ნებაზე ვატარო», _ გაიფიქრა ეჟენმა და გაემართა ქალბატონ დე ბოსეანთან გამოსამშვიდობებლად. მისი ბიძაშვილი უკვე წამომდგარიყო და დ'აჟუდასთან ერთად წასვლას აპირებდა.

საწყალმა სტუდენტმა არ იცოდა, რომ ბარონის მეუღლე სულ სხვა რამით იყო გართული. იგი ელოდა დე მარსესგან ერთ იმ გადამწყვეტ წერილთაგანს, რომლებიც ადამიანის გულსა ჰგმირავენ. მოჩვენებითი წარმატებით გაბედნიერებულმა ეჟენმა გააცილა ბარონის მეუღლე პერისტილამდე, სადაც ყველა თავის ეტლს ელოდებოდა.

_ თქვენი ბიძაშვილი სულ მთლად არეულია! _ სიცილით უთხრა პორტუგალიელმა ვიკონტის მეუღლეს, როდესაც ეჟენმა დასტოვა ისინი. _ ნამდვილად მოიგებს ამ ბანკს. გველხოკერასავით მოქნილია და, მჯერა, რომ შორს წავა. მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ მისთვის ისეთი ქალის არჩევა, რომელსაც სწორედ ახლა სჭირდება დამშვიდება.

_ მაგრამ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მას ჯერ კიდევ უყვარს ის ადამიანი, რომელიც მას სტოვებს, _ დასძინა ქალბატონმა დე ბოსეანმა.

სტუდენტი ფეხით გაემართა იტალიელების თეატრიდან თავის ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩისაკენ და თან ფრიად მომხიბლავ გეგმებს აწყობდა. მან ცხადად შეამჩნია, თუ როგორი ყურადღებით ათვალიერებდა მას გრაფ დე რესტოს მეუღლე როგორც ქალბატონ დე

ბოსეანის ლოჟაში, ისე ქალბატონ დე ნუსინჟენთან ყოფნის დროს და ამიტომ იგი ელოდა, გრაფის მეუღლის კარები აღარ იქნება ჩემთვის დახურულიო. იგი ვარაუდობდა, რომ თავს მოაწონებდა მარშალის მეუღლეს და, ამგვარად, უკვე ოთხ წარჩინებულ ნაცნობს შეიძენდა პარიზის მაღალი საზოგადოების მწვერვალზე. თუმცა არ იცოდა, რა გზით მიეღწია ამისათვის, მაგრამ მაინც ხვდებოდა, რომ ამქვყნის ინტერესების რთულ თამაშში უნდა ჩაებღაუჭო რომელიღაც ბორბალს, რათა თავში მოექცე მთელ ამ მანქანას. ამასთანავე იგი საკმაოდ ძლიერად გრძნობდა თავს იმისთვის, რომ შეძსლებოდა ამ ბორბლის დამუხრუჭება.

_ თუ ქალბატონი დე ნუსინჟენი დაინტერესდა ჩემით, მე ვასწავლი მას როგორ უნდა უხელმძღვანელოს თავის ქმარს. მისი ქმარი დიდ საქმეებს ატრიალებს. მას შეუძლია დამეხმაროს და სწრაფად გავმდიდრდე.

იგი პირდაპირ არ ამბობდა ყოველივე ამას, რადგან ჯერ არ იყო იმგვარად გაწაფული, რომ ყოველი მდგომარეობა შეეფასებინა, გამოეთვალა და რიცხვებით გამოეხატა. მისი იდეები ჯერ კიდევ ჰორიზონტზე მსუბუქი ღრუბლების მსგავსად დაცურავდნენ და ისეთი მძაფრი არ იყვნენ, როგორც ვოტრენის აზრები, მაგრამ სინდისის ქურაში რომ გამოგეწრთოთ, არც ისინი აღმოჩნდებოდნენ უზადო. ადამიანები, რომლებიც ამგვარად გაურიგდებიან ხოლმე თავის სინდისს, ვარდებიან მორალურ გახრწნილებაში, რაც სახალხოდ აღიარებულია ჩვენს დროში, როდესაც სხვა დროსთან შედარებით უფრო იშვიათად ვხვდებით გულწრფელ, დიდი ნებისყოფის ადამიანებს, რომლებიც არასდროს არ მოიხრიან ქედს სიბოროტის წინაშე და სწორი ხაზიდან სულ მცირე გადახრასაც კი ბოროტმოქმედებად თვლიან. უმწიკვლო პატიოსნების შესანიშნავი სახეები მოცემულია ორ შედევრში: ეს არის მოლიერის ალცესტი, ხოლო ახლახან, ჯენი დინსი და მისი მამა, ვალტერ სკოტის თხზულებაში. მაგრამ, შეიძლება აღმოჩნდეს საწინააღმდეგო ხასიათის თხზულება, არც ამდენად ლამაზი და არც იმდენად დრამატული, სურათი იმ დაკლაკნილი გზებისა, რომლებითაც მაღალი საზოგადოების პატივმოყვარე ადამიანი ატარებს თავის სინდისს, ცდილობს გვერდი აუაროს ბოროტებას, დაიცვას გარეგნული პატიოსნება და ისე მიაღწიოს მიზანს, ეჟენი ჯერ არ იყო მისული თავისი პანსიონის კარამდე, რომ უკვე გატაცებული იყო ქალბატონ დე ნუსინჟენით. იგი ეჩვენებოდა მას ტანკენარად და მერცხალივით მსუბუქად; ყველაფერი აგონდებოდა: მისი თვალების დამათრობელი ეშხი, აბრეშუმისებრი და იმდენად ნაზი კანი, რომ მის ქვეშ თითქოს სისხლის დენასაც კი ხედავდა, მისი მომაჯადოებელი ხმა, მისი ქერა თმები. შეიძლება ამას

ხელს უწყობდა ჩქარი სიარულიც, რომელმაც სისხლი აუჩქროლა და ხელი შეუწყო ამ ჯადოქრობას.

სტუდენტმა მოურიდებლად დააბრახუნა მამა გორიოს კარზე.

_ მეზობელო, _ უთხრა მან მოხუცს, _ მე ვნახე ქალბატონი დელფინე.

_ სად?

_ იტალიელებთან.

_ კარგად ერთობოდა? შემობრძანდით...

პერანგისამარა მოხუცი წამოდგა, გაუღო კარი და საჩქაროდ ისევ ჩაწვა ლოგინში.

_ მიამბეთ მისი ამბავი, _ სთხოვა მან სტუდენტს.

ეჟენი პირველად იყო მამა გორიოსთან; ქალიშვილის ჩინებული მორთულობით აღტაცებული იყო და უნებლიეთ განცვიფრდა, როდესაც დაინახა მამის საცხოვრებელი ბუნაგი.

ფანჯრებზე ფარდები არ იყო, კედლებზე აკრული შპალერი ნესტისაგან მრავალ ადგილას აცლილიყო, დაღრეცილიყო და თამბაქოს ბოლისაგან გაყვითლებული, შელესილი კედელი გამოეჩინა. მოხუცი გართხმულიყო უბადრუკ საწოლზე, მხოლოდ ერთი გაცრეცილი საბანი და ქალბატონ ვოკეს ბამბის ძველი კაბების ნაკუწებისაგან შეკერილი ფეხების სათბუნებელი ჰქონდა გადაფარებული. ქვის იატაკი მტვრიანი და ნესტიანი იყო. ფანჯრის პირდაპირ მოჩანდა ვარდისფერი ხის მუცელგამობერილი ძველი კარადა ვაზივით დაგრაგნილი სპილენძის სახელურებით, როლებიც ფოთლებითა და ყვავილებით იყო მოჩუქურთმებული, ძველი პირისაბანი ხის რაფით, რომელზედაც წყლის ქოთანი, ტაშტი და პირის საპარსი მოწყობილობა ეწყო; კუთხეში ფეხსაცმელი ეყარა; საწოლის თავთან პატარა კარადა იდგა, რომელსაც არც კარი და არც მარმარილოს ფილა არ ჰქონდა. ბუხართან, რომელშიაც ნამწვავიც კი არ ჩანდა, იდგა კაკლის ხის პატარა ოთხკუთხი მგიდა ხარიხით, რომელზედაც მამა გორიო ამას წინათ თავის ოქროცურვილ ვერცხლის თასს აბრტყელებდა; ერთი საცოდავი საწერი მაგიდა, სადაც მოხუცის ქუდი ეგდო, სელის საჯდომიანი სავარძელი და ორი სკამი შეადგენდა ოთახის ღარიბულ მოწყობილობას. ლოგინის ფარდის საკიდელი ჭერზე ჩვრით იყო დამაგრებული, ხოლო ფარდის ნაცვლად წითელ და თეთრხაზებიანი იაფფასიანი ნაჭერი ჩამოეფარებინათ. სულ უღარიბესი, სხვენზე მცხოვრები შიკრიკიც კი უფრო კარგად იყო მოწყობილი, ვიდრე მამა გორიო ვოკეს სახლში. ამ ოთახის შეხედვაც კი გააჟრჟოლებდა ადამიანს, გულს შეუკუმშავდა და ციხის ყველაზე საცოდავ საკანს მოაგონებდა. საბედნიეროდ, გორიოს არ

დაუნახავს ის გამომეტყველება, რომელიც ეჟენს სახეზე აღებეჭდა, როდეაც იგი სანთლის შანდალს კარადაზე დგამდა. ნიკაპამდე საბანწაფარებული მოხუცი გადმოტრიალდა ეჟენისაკენ.

_ კეთილი, მაგრამ რომელი მოგეწონათ უფრო _ ქალბატონი დე რესტო თუ ქალბატონი დე ნუსინჟენი?

_ მე ქალბატონი დელფინე მირჩევნია, რადგან მას უფრო უყვარხართ, _ უპასუხა სტუდენტმა.

ამ გულისხმიერი სიტყვების გაგონებაზე მოხუცმა საბანქვეშიდან გამოუწოდა ხელი და ჩამოართვა ეჟენს.

_ გმადლობთ, გმადლობთ, _ იმეორებდა გულაჩუყებული მოხუცი, _ რა გითხრათ მან ჩემს შესახებ?

სტუდენტმა შელამაზებულად გადმოსცა ბარონის მეუღლის სიტყვები. მოხუცი ისე უსმენდა, როგორც ღვთის წყალობას.

_ საყვარელი ბავშვი! დიახ, მას ძალიან ვუყვარვარ. მაგრამ არ დაუჯეროთ იმას, რასაც ანასტაზიზე გეუბნებათ. საქმე ის არის, რომ დები ერთმანეთზე ეჭვიანობენ ჩემ მიმართ. ეს ხომ კიდევ ერთი საბუთია ჩემდამი სიყვარულისა. მე ვიცი, რომ ქალბატონ დე რესტოსაც ძალიან ვუყვარვარ. მამა ისე იცნობს თავის შვილებს, როგორც ღმერთი ყველა ჩვენგანს _ იგი ხედავს რა გვაქვს გულის სიღრმეში და სჯის ჩვენი განზრახვების მიხედვით. ორივენი ძალიან მოყვარულები არიან. ეჰ! კარგი სიძეები რომ მყოლოდა, ჩემზე ბედნიერი ვინ იქნებოდა? მაგრამ ამქვეყანდ სრული ბედნიერება ხო არ არსებობს! ნეტა მათთან ერთად მაცხოვრა, მხოლოდ მათი ხმა გამაგონა, მაცოდინა, რომ ისინი აქ არიან, დამანახა როგორ მიდიან და ბრუნდებიან, ისევე როგორც მაშინ, როდესაც ჩემთან ცხოვრობდნენ _ აი, რა ამიჩქროლებს გულს... კარგად იყვნენ გამოწყობილნი?

_ კი, _ უპაუსხა ეჟენმა, _ მაგრამ, ბატონო გორიო, როგორ შეიძლება, რომ თქვენი ქალიშვლები ასე მდიდრულად ცხოვრობენ, თქვენ კი ასეთ სოროში ბინადრობთ?

_ სწორე გითხრათ, რაში მჭრიდება ამაზე უკეთესი ბინა? _ თქვა გორიომ გარეგნული უდარდელობით. _ ჩემთვის საძნელოა ამ ამბის განმარტება _ მე რიგიანად ორ სიტყვასაც ვერ ვაბამ ერთმანეთს. ყველაფერი აქ არის, _ დაუმატა მან და ხელი გულზე დაიკრა. _ ჩემი სიცოცხლე _ ჩემი ქალიშვილებია. თუკი ისინი თავს იქცევენ, ბედნიერნი არიან, საუცხოოდ მორთულ-მოკაზმულნი, თუ ისინი ხალიჩებზე დაიარებიან, რა მნიშვნელობა აქვს იმას, მე რა მაცვია და სად მძინავს? მე არ მცივა, თუკი ისინი თბილად არიან. რა დამაღონებს,

როდესაც ისინი იცინიან? სხვა რა მაქვს საწყენი, გარდა მათი დაღონებისა? როდესაც თქვენ მამა გახდებით და გაიგონებთ თქვენი ბალღების ტიკტიკს, მაშინ იტყვით თქვენთვის: «ეს ხომ ჩემი ნაწილია», როდესაც იგრძნობთ, რამ პატარა არსებების სისხლის ყოველი წვეთი თქვენი სისხლი და ხორცია, რომ მათ აქვთ ყველაფერი საუკეთესო, რაც თქვენ გქონდათ; დამიჯერეთ, ეს ასეა, თქვენ ისე იგრძნობთ თავს, თითქოს შერწყმული ხართ მათთან და უიმათოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ. მე ყველგან მათი ხმა მესმის. მათი ერთი ნაღვლიანი შემოხედვა სისხლს მიშრობს. ერთხელ თქვენც დაინახავთ, რომ მათმა ბედნიერებამ შეიძლება უფრო გაგაბედნიეროთ, ვიდრე საკუთარმა. ყველაფრის ახსნა არ შემიძლია: ეს ისეთი სულიერი მოძრაობაა, რომელიც საყოველთაოდ სიხარულს აფრქვევს. ერთი სიტყვით, მე სამგზის ვცხოვრობ. გინდათ ერთი უცნაური რა გიამბოთ? იცით, როდესაც მამა გავხდი, მაშინ ვირწმუნე ღმერთი. ყოველი არსი ხომ მისგანაა წარმოშობილი, ამიტომ იგი ყველგანმყოფია. ასევე ვარ მეც ჩემი ქალიშვილების მიმართ. მხოლოდ მე უფრო მიყვარს ჩემი ქალიშვილები, ვიდრე ღმერთს სამყარო, რადგან სამყარო არ არის ისეთივე მშვენიერი, როგორც ღმერთია, ხოლო ჩემი ქალიშვილები ჩემზე კარგები არიან. ისინი იმდენად ახლობლები არიან, რომ ამ საღამოს, რაც თქვენ წახვედით, მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ თქვენ მათ ნახავთ. ღმერთო ჩემო! იმ ადამიანს, რომელიც გააბედნიერებს ჩემს პატარა დელფინეს, გახდის ისე ბედნიერს, ისე, როგორც ბედნიერია ქალი, როდესაც იგი გატაცებით უყვართ, იმ ადამიანს მე ფეხსაცმელს გავუწმენდ, შიკრიკად დავუდგები. შინამოსამსახურეებისაგან ვიცი, რომ ეს ვაჟბატონი დე მარსე ავი ძაღლია. როგორ მინდა კისერი მოვუგრიხო! არ გიყვარდეს ასეთი მარგალიტივით ქალი, ბულბულის ხმის მქონე და სანთელივით ჩამოქნილი! თვალები სადა ჰქონდა, როდესაც ამ ელზასელ მორგვს წაჰყვა? ორივე ჩემი ქალიშვილი ლამაზსა და ზრდილ ახალგაზრდებს უნდა წაჰყოლოდნენ, მაგრამ ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მათ მოეპრიანათ.

მამა გორიო მშვენიერი იყო ამ წუთებში. ეჟენს არასოდეს არ უნახავს იგი ასერიგად გაბრწყინებული მამობრივი გრძნობით. შესანიშნავია ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც ჩვენს გრძნობებს შესწევს. სულ ტლანქი ქმნილებაც კი, თუ მას ძლიერი და ჭეშმარიტი გრძნობა ამოქმედებს, იცვლება და გამოსცემს განსაკუთრებულ დენს, რომელიც ცვლის მის სახეს, ამკვირცხლებს მოძრაობას და ალამაზებს ხმას. გრძნობის გავლენით რეგვენიც კი საოცარ ოქროპირობას იჩენს და თუ მჭევრმეტყველებაში ჩამორჩება, აზრები მაინც ამაღლებული აქვს და სადღაც მაღალ ფარდებში დაფრენს. ასევე იყო ახლაც. მოხუცის ხმასა და მიმოხრაში იყო რაღაცა მიმზიდველი ძალა, რომელიც დიდ მსახიობს ახასიათებს

და, მართლაც, განა არ შეიძლება ჩვენს საუკეთესო გრძნობებს ჩვენი ნებისყოფის პოეზია ვუწოდოთ?

_ მაშ, თქვენ არ გეწყინებათ იმის გაგება, რომ იგი, ალბათ, გაეყრება დე მარსეს, _ უთხრა ეჟენმა. _ ეს ვაჟბატონი თავს ანებებს დელფინეს იმისათვის, რომ თავად გალატიონის მეუღლეს აეკიდოს. მე კი ამ საღამოს ქალბატონ დელფინეს სიყვარულის ალმა დამწვა.

_ ბიჭოს! _ წამოიძახა მამა გორიომ.

_ ასეა. და, თითქოს, მეც მოვეწონე. ერთი საათის განმავლობაში სიყვარულზე ვილაპარაკეთ და ზეგ, შაბათს, მის სანახავად უნდა წავიდე.

_ ო, როგორ მეყვარებით, ჩემო კარგო, თუ მას მოეწონეთ. თქვენ ხომ კეთილი ხართ და არ გააწვალებთ მას. მაგრამ თუ უღალატეთ, ყელს გამოგჭრით. ესეც იცოდეთ, ქალს არ შეიძლება ორჯერ უყვარდეს. ღმერთო ჩემო! ბატონო ეჟენ, მე ხომ სისულელეებს გელაპარაკებით! ალბათ, გცივათ? ღმერთო! თქვენ მას უსმენდით! რა გითხრათ ჩემთვის გადმოსაცემად?

«არაფერი», _ გაიფიქრა ეჟენმა, მაგრამ ხმამაღლა უპასუხა:

_ მან მითხრა, რომ გადმოგცეთ მისი მხურვალე კოცნა.

_ ღამე მშვიდობისა, მეზობელო, ძილი სიამოვნისა, კეთილ სიზმრებს გისურვებთ. მე კი, თქვენი ნათქვამის შემდეგ მართლა კარგი რამ დამესიზმრება. ღმერთმა აგისრულოთ ყველა სურვილი! ამ საღამოს თქვენ ჩემი კეთილი ანგელოზი იყავით. თითქოს თვითონ ჩემი გოგონა იყოო ჩემთან.

_ საცოდავი! _ ამბობდა ეჟენი ლოგინში დაწოლისას.

ქვის გულსაც გაალღობს ეს ამბავი. ქალიშვილს ხომ თავისი მამა ისევე არ გახსენებია, როგორც ხონთქარი.

ამ საუბრის შემდეგ მამა გორიომ თავისი მეზობელი მოულოდნელ თანამოაზრედ და გულითად მეგობრად ჩათვალა. მათ შორის სწორედ ისეთი დამოკიდებულება დამყარდა, რომელსაც შეეძლო მოხუცის დაკავშირება სხვა ადამიანთან. გრძნობები ყოველთვის უანგარიშო როდია. მამა გორიოს ეგონა, რომ თუკი ეჟენი ბარონის მეუღლეს დაუახლოვდება, თვითონ ისიც უფრო ახლო იქნება თავის ქალიშვილთან, და უფრო სასურველი სტუმარი გახდება მისი. გარდა ამისა, მან გაუზიარა ეჟენს თავისი მწუხარების მიზეზი. იგი დღეში ათასჯერ უსურვებდა ხოლმე ქალბატონ დე ნუსინჟენს ყოველივე სიკეთეს, მაგრამ მას ჯერ არ გამოეცადა სიამენი სიყვარულისა. ეჟენი კი, როგორც მამა

გორიო ამბობდა, მიაჩნდა ყველაზე მომხიბლავ ახალგაზრდად, რომელიც მას ოდესმე ენახა და იგი სთვლიდა, რომ ეჟენს შეუძლია მიანიჭოს ყველა ის სიამოვნება, რასაც მოკლებული იყო მისი ქალიშვილი. ამგვარად, მამა გორიო გაიმსჭვალა თავის მეზობლისადმი მეგობრული გრძნობით, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და ურომლისოდაც, ცხადია, გაუგებარი იქნებოდა თვით ამ მოთხრობის კვანძის გახსნაც.

მეორე დილას, საუზმისას, თანამეინახენი ფრიად გააკვირა იმ დაძაბულმა ყურადღებამ, როგორითაც შესცქეროდა ეჟენს მის გვერდზე მჯდომი მამა გორიო. გააკვირა რამდენიმე სიტყვამ, რაც მან ეჟენს უთხრა და თვით მისმა სახემ, რომელიც, ჩვეულებრივ, თაბაშირის ნიღაბივით უძრავი იყო და ახლა გამოცოცხლებულიყო. ვოტრენს, ვინაც პირველად ხედავდა სტუდენტს მათი საუბრის შემდეგ, უნდოდა რაიმე ამოეკითხა მის გულში.

გასულ ღამეს, დაძინებამდე, ეჟენმა ასწონ-დასწონა მთელი ასპარეზი ცხოვრებისა, რაც მის თვალწინ იშლებოდა, და ვოტრენის გახსენებაზე, ცხადია, გაიფიქრა ქალბატონ ტაიფერის მზითევის შესახებ და ძალაუნებურად შეხედა ვიქტორინეს იმ თვალით, რომლითაც, თუნდაც ყოვლად პატიოსანი ახალგაზრდა შესცქერის მდიდარი მემკვიდრეობის მქონე საცოლეს. შემთხვევით მათი თვალები შეხვდნენ. როგორ შეეძლო საწყალ გოგოს მშვენივრად არ მოსჩვენებოდა ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ეჟენი! მათ საკმაოდ მრავალმეტყველად გადახედეს ერთმანეთს და ახლა უკვე რასტინიაკს არ ეეჭვებოდა, რომ იგი გახდა საგანი ქალიშვილის იმ ბუდოვანი სურვილების, რაც ყველა ახალგაზრდა გოგონას აღელვებს და აკავშირებს პირველივე ვაჟკაცთან, რომელიც მათ მოხიბლავს. რაღაც ხმა ჩასძახოდა: «რვაასი ათასი ფრანკი», მაგრამ ეჟენი უცბად წუხანდელი ამბების გახსენებას დაუბრუნდა და გადაწყვიტა, ჩემი მოგონილი გრძნობა ქალბატონ დე ნუსინჟენისადმი კარგი წამალი იქნებაო ამ უნებლიე მანკიერი აზრების წინააღმდეგ.

_ გუშინ იტალიელებთან სევილიელ დალაქს აჩვენებდნენ. ჩემს სიცოცხლეში ასეთი მშვენიერი მუსიკა არა მსმენია. ღმერთო, რა ბედნიერებაა _ გქონდეს ლოჟა იტალიელების თეატრში! _ წარმოთქვა ეჟენმა. მამა გორიო უცებ მიხვდა ამ სიტყვების აზრს, ისე როგორც ძაღლი ხვდება ხოლმე პატრონის ყოველ მნიშვნელობას.

_ მამაკაცები მუდამ დოვრანში ხართ ჩავარდნილი და რაც მოგინდებათ, იმას აკეთებთ, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ.

_ გუშინ სახლში რანაირად დაბრუნდით? _ შეეკითხა ვოტრენი.

_ ფეხით, _ უპასუხა ეჟენმა.

_ მე კი, _ წარმოთქვა მაცთურმა, _ არაფრად მეჭაშნიკება ასეთი სანახევრო სიამოვნება. მე ვისურვებდი საკუთარი ეტლით სიარულს, საკუთარ ლოჟაში ჯდომას დ ფუფუნებით შინ დაბრუნებას. ჩემი დევიზია: ყველაფერი ან არაფერი!

_ კარგი ნათქვამია, _ დასძინა ქალბატონმა ვოკემ.

_ იქნებ წახვიდეთ ქალბატონ დე ნუსინჟენის სანახავად, ხმადაბლა მიმართა ეჟენმა გორიოს. _ იგი გულგაშლილად მიგიღებთ. მას მოუნდება ათასი წვრილმანი გაიგოს თქვენგან ჩემს შესახებ. მე ვიცი, რომ იგი ყველაფერს მოიმოქმედებს იმისთვის, ოღონდ ჩემი ბიძაშვილის, ვიკონტ დე ბოსეანის მეუღლის სახლში მოხვდეს. არ დაგავიწყდეთ იმის თქმა, რომ მე იგი ძალიან მიყვარს და სულ იმის ფიქრში ვარ, როგორ ავუსრულო ეს წადილი.

რასტინიაკი საჩქაროდ გაემართა კანონმთცოდნეობის სკოლაში. მას უნდოდა, რაც შეიძლება, ცოტა ხანი დარჩენილიყო ამ საზიზღარ სახლში. თითქმის მთელი დღის განმავლობაში დაეხეტებოდა ქალაქში. მას ის ციებ-ცხელება ჰქონდა ატეხილი, რომელიც კარგად არის ცნობილი ზედმეტად გაბედული იდეებით შეპყრობილი ახალგაზრდებისათვის. ვოტრენის დასაბუთების გავლენით იგი ჩაუფიქრდა საზოგადოებრივ ცხოვრებას და სწორედ ამ დროს, ლუქსემბურგის პარკთან შეხვდა თავისი მეგობარი ბიანშონი.

_ რისგანაა, რომ ასეთი სერიოზული გამომეტყველება გაქვს? _ შეეკითხა მედიცინის სტუდენტი და ხელი ჩაავლო, რათა სასახლის წინ გაესეირნათ.

_ ავი აზრები მაწვალებენ.

_ როგორი აზრებია? აზრების წამალიც არსებობს.

_ რა წამალია?

_ მათი განხორციელება.

_ შენ იცინი, რადგან არ გაგეგება რაზეა ლაპარაკი.

_ რუსო თუ წაგიკითხავს?

_ წამიკითხავს.

_ თუ გახსოვთ ის ადგილი, სადაც იგი ეკითხება მკითხველს, რას იზამდით, რომ შეგეძლოთ პარიზიდან გაუსვლელად, მხოლოდ საკუთარი ნებისყოფის დაძაბვით მოჰკლათ ჩინეთში ვიღაც ბებერი მანდარინიო და ამ გზით მდიდარი გახდეთ?

_ მახოვს.

_ მერე?

_ ბიჭოს! უკვე ოცდაცამეტ მანდარინს მოვუღე ბოლო.

_ ნუ მასხარაობ. არა, მართლა, თუ დაგიმტკიცეს, ასეთი რამე შესაძლებელიაო და თავის მხოლოდ ერთი დაქნევაა საჭიროო, იზამდი ამას?

_ ეგ შენი მანდარინი ძალიან ბებერი თუა? თუმცა, არა, ბებერია თუ ახალგაზრდა, დამბლადაცემულია თუ ჯანზეა, სწორე გითხრა... დალახვროს ეშმაკმა! ვერ ვიზამდი.

_ შენ კარგი ბიჭი ხარ, ბიანშონ. მაგრამ თუ ისე გიყვარს ქალი, რომ მზად ხარ მისი გულისათვის სული გასწირო, თუ ფული, ბევრი ფული გჭირდება მისი მორთულობისათვის, მისი ეტლისათვის და ყველაფრისათვის, რასაც იგი მოისურვებს?

_ შენ ჯერ ჭკუა დამაკარგინე და ახლა მთხოვ, რომ ჭკვიანურად ვიმსჯელო!

_ კარგი, ბიანშონ, მე გავსულელდი, მიშველე რამე. მე ორი და მყავს, ორივე ანგელოზებივით ლამაზი და უბიწო და მე მინდა, რომ ისინი ბედნიერნი იყვნენ. სად ვიშოვო უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ორასი ათასი ფრანკი მათ სამზითვოდ? როგორც ხედავ, ცხოვრებაში ისეთი გარემოებას შეხვდები, როდესაც არ შეიძლება დახურდავდე და უყურო, რომ ცოტ-ცოტად გაგიმართლოს, არამედ საჭიროა დიდ თამაშში ჩაება.

_ შენ ისეთ კითხვას მისვამ, რომელიც წამოიჭრება ხოლმე ყველას წინაშე, ვინც ცხოვრებას იწყებს და გინდა ხმლის ერთი დაკვრით გაკვეთო გორდისეული კვანძი. ასე რომ მოიქცე, ამისათვის, ჩემო კარგო, ალექსანდრე უნდა იყო, თორემ შეიძლება კატორღაში ამოჰყო თავი. პირადად მე დამაკმაყოფილებს ის ხელმოკლე ცხოვრება, რომელსაც შევქმნი პროვინციაში, სადაც მემკვიდრეობით დამრჩება მამისეული თანამდებობა. ადამიანთა მიდრეკილებების დაკმაყოფილება ისევე სრულად შეიძლება, როგორც ვიწრო, ისე ფართო წრეში. ნაპოლეონი ორჯერ ვერ ისადილებდა და მას არ შეეძლო ჰყოლოდა მეტი საყვარელი, ვიდრე ჰყავს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტს, რომელიც კაპუცინების საავადმყოფოსთან ცხოვრობს. ჩვენი ბედნიერება, ჩემო კარგო, თავსდება ჩვენი ფეხისგულებისა და კეფის შუა და რადაც რა უნდა ღირდეს იგი _ ერთ მილიონად თუ ას ლუიდორად წელიწადში, ჩვენ მიერ მისი შინაგანი აღქმა ყოველთვის ერთნაირი იქნება. დასკვნა ასეთია _ ჩინელმა იცოცხლოს!

_ გმადლობთ, ბიანშონ! თითქოს გულს მომეშვა. ჩვენ სამუდაოდ მეგობრები ვიქნებით!

_ ყური დამიგდე, _ უთხრა საექიმოს სტუდენტმა, _ წეღან კუვიეს ლექციიდან ბოტანიკურ ბაღში რომ გამოვედი, შევამჩნიე, მიშონო და პუარე სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და ესაუბრებოდნენ ვიღაც ვაჟბატონს, რომელიც შარშანდელი არეულობის დროს დეპუტატთა პალატის მახლობლად მინახავს. ამ კაცმა ჩემზე პოლიციელის შთაბეჭდილება დასტოვა, რომელსაც რენტით მცხოვრები დარბაისელი ბურჟუას ტანსაცმელი გადაუცვამს. მოდი, შევისწავლოთ ეს წყვილი: მერე გეტყვი, რისთვის. მშვიდობით! ოთხი საათის შემოწმებას უნდა დავესწრო.

როდესაც ეჟენი პანსიონში დაბრუნდა, მამა გორიო უკვე უცდიდა მას.

_ ინებეთ წერილი. მისგანაა. ერთი შეხედეთ, როგორი ნაწერია!

ეჟენმამ გახსნა წერილი და წაიკითხა:

«ბატონო! მამაჩემმა მითხრა, რომ თქვენ იტალიური მუსიკა გყვარებიათ. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მასიამოვნებდით და ჩემს ლოჟაში ადგილს დაიკვებდით. შაბათს ფოდორი და პელეგრინი იმღერებენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ არ გამაწბილებთ. ბ-ნი დე ნუსინჟენი უერთდება ჩემს თხოვნას, რათა მობრძნდეთ და შინაურულად, პატიჟსგარეშე ჩვენთან ისადილოთ. თქვენი თანხმობა მას ფრიად ასიამოვნებს, რადგან ჩემი თანხლების მძიმე მოვალეობისაგან გაათავისუფლებს.

პასუხი არ გინდათ, მობრძანდით და მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

დ. დე ნ.»

_ ერთი შემახედეთ, _ სთხოვა მოხუცმა, როდესაც ეჟენმა წერილის კითხვა დაამთავრა. _ ხომ წახვალთ? _ იკითხა მან და ქაღალდი დაყნოსა. _ ამ წერილს ხომ მისი თითები ეხებოდა!

«ასე უბრალოდ ქალი კაცს არ გადაეკიდება, _ გაიფიქრა სტუდენტმა. _ მას უნდა გამომიყენოს დე მარსეს დასაბრუნებლად. ასეთ ამბავს მხოლოდ გამწარების დროს მიმართავენ».

_ კარგი, მაგრამ, რა არის აქ საფიქრებელი? _ ჰკითხა მამა გორიომ.

ეჟენს არაფერი გაეგებოდა იმისა, თუ რა ამაო ციებ-ცხელება ჰქონდა ატეხილი იმ დროს მრავალ ქალს და არც ის იცოდა, რომ ბანკირის ცოლი ყოველგვარ მსხვერპლს გაიღებდა ოღონდ სენ-ჟერმენის გარეუბნის კარი შეეღო. ამ ხანებში სენ-ჟერმენის გარეუბნის საზოგადოებაში მიღებული ქალები შემოდიოდნენ მოდაში, რომლებსაც «მცირე სასახლის» სეფექალებს უწოდებდნენ და მათ შორის ქალბატონი დე ბოსეანი, მისი მეგობარი დიუშეს დე ლანჟესი და დიუშეს დე მოფრინიოზი პირველ თანრიგში

ითვლებოდნენ. მხოლოდ რასტინიაკმა არ იცოდა, თუ რა გაგიჟებით სურდათ შოსე დ'ანტენის ქალბს მოხვედრა ამ უმაღლეს წრეში, სადაც მათი სქესის წარმომადგენელთა ეს თანავარსკვლავედი ბრწყინავდა. მაგრამ უნდობლობამ კარგი სამსახური გაუწია: მან შესძინა ეჟენს გულგრილობა და ფრიად სავალალო შესაძლებლობა _ სხვის პირობებს კი არ დათანხმდეს, არამედ საკუთარი მოთხოვნილებები წამოაყენოს.

_ კი, წავალ, _ უპასუხა მან მამა გორიოს.

ამგვარად, ცნობისმოყვარეობას მიჰყავდა იგი ქალბატონ დე ნუსინჟენისას, მაგრამ ამ ქალს რომ უკადრისობა გამოეჩინა, მაშინ შეიძლება გრძნობა გამხდარიყო მისი წინამძღვარი. მიუხედავად ამისა, მოუთმენლად ელოდა კვირას და ნახვის საათს. ახალგაზრდა კაცისათვის მისი პირველი ინტრიგა იმდენივე მშვენირებას შეიცავს, რამდენსაც პირველი სიყვარულიდან მოელის. წარმატების რწმენა ათასგვარ სასიამოვნო გრძნობას იწვევს, ოღონდ კაცი ამას თავის თავსაც კი არ ეტყვის, ზოგიერთი ქალის მიმზიდველობას კი სწორედ ესა ქმნის. სურვილს როგორც გამარჯვების სიძნელე, ისე მისი სიადვილეც წარმოშობს. ცხადია, რომ ადამიანის ყველა გრძნობა წარმოიშობა ან ემყარება ამ ორთაგან ერთ რომელიმე მიზეზს, რომელთა შორის გაყოფილია სიყვარულის მთელი სამეფო. ასეთი გაყოფა, შეიძლება, შედეგი იყოს ტემპერამენტისა, რომელიც, რაც უნდა ითქვას, მაინც ბატონობს ადამიანთა საზოგადოებაში. თუ მელანქოლიკოსების აღსაგზნებად კეკლუცობაა საჭირო, ნერვიულმა ადამიანებმა ან სანგვინიკოსებმა შეიძლება სულაც დასტოვონ ბრძოლის ველი, თუკი საკმაოდ მაგარი წინააღმდეგობა შეხვდათ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ელეგიას უმთავრესად ლიმფა წარმოშობს, ხოლო დითირამბებს _ ნაღველა.

ჩაცმის დროს ეჟენს ბევრი წვრილმანი სიამოვნებდა. დაცინვის შიშით ახალგაზრდებს არ უყვართ ამ წვრილმანების შესახებ ლაპარაკი, თუმცა ყოველივე ეს უღიტინებს მათ თავმოყვარეობს. ეჟენმა გაისწორა თმა და გაიფიქრა, რომ ლამაზი ქალი თვალს შეავლებს მის შავგვრემან გრუზა თმას. მან თავს უფლება მისცა ბავშვურად გაპრანჭულიყო ისევე, როგორც ბალზე მიმავალი ქალიშვილი კეკლუცობს ჩაცმის დროს, დატკბა თავისი წელის ყურებით, გაისწორა ფრაკი და გაიფიქრა: «ალბათ, ბევრი ჩემზე უფრო ცუდადაა წელში გამოყვანილი!» _ შემდეგ ჩამოვიდა დაბლა, სწორედ იმ დროს, როდესაც პანსიონის ყველა მკვიდრი სუფრას მოსხდომოდა და მხიარულად აიტანა სისულელეების მთელი ნაკადი, რომელიც მისმა მოხდენილმა გარეგნობამ გამოიწვია. ოჯახური პანსიონების ზნე-ჩვეულებებისათვის დამახასიათებელია ასეთი გაკვირვება

მოხდენილად ჩაცმის გამო. ახალ ტანსაცმელს ისე ვერავინ შეიკერავს, რომ ყველამ თითო სიტყვა მაინც არ შეაწიოს.

_ ნწ! ნწ! ნწ!_ ენა დაატკაცუნა ბიანშონმა, თითქოს ცხენს უტევსო.

_ ზედგამოჭრილი დუკი ან პერია, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ.

_ ბატონი დასაპყრობად მიემგზავრება? _ შენიშნა მადმუაზელ მიშონომ.

_ ყიყლიყო! _ დასძახა მხატვარმა.

_ ჩემი სალამი თქვენს მეუღლეს! _ უთხრა მუზეუმის თანამშრომელმა.

_ განა ბატონი ცოლიანია? _ იკითხა პუარემ.

_ აბა, ერთი კაი ჭრელ-ჭრელი ცოლი მოსულა! წყალში ცურავს, ფერი არ გასდის, სიფთაზე _ ოცდახუთიდან _ ორმოცამდე! კუბოკრულად შეღებილია უკანასკნელ მოდაზე! კარგად ირეცხება, არა ცვდება, ნახევრად ბამბისაა, ნახევრად მატყლისაა, ნახევრად სელისაა. კბილისა და სამეფო სამედიცინო აკადემიის მოწონებულ სხვა ავადმყოფობოსაც შველის! ბავშვების უებარი წამალია! თავის ტკივილს კარგა უხდება! კუჭ-ნაწლავის, თვალისა და ყურის მალამოა! _ ჩქარ-ჩქარა დააყარა ვოტრენმა ბაზრის მატრაბაზის ხმაზე. _ ბატონებო! იკითხავთ _ «რა ღირს ეს სასწაული? ორი სუ?» _ არა! მუქთაა, დიდ მოგოლთან ნავაჭრის ნარჩენებია! ევროპის ყველა ხელმწიფემ ნახა! ბადენის დიიიდ-დიიდ დუკასაც არ გამორჩენია! ესე მოდით, პირდაპირ! სალარო არ გამოგრჩეთ! შენ დაუკარ! ბრუმ, ლა, ლა, ტრინ! ლა, ლა, ბუმ, ბუმ! _ და შემდეგ ხრინწიანი ხმით: _ შენ, ეი, ბატონო კლარნეტო! ნუ ურევ, თორემ მოგცხებ თითებზე!»

_ ღმერთო ჩემო! რა სასიამოვნო ვაჟკაცია! _ უთხრა ქალბატონმა ვოკემ ქალბატონ კუტიურს. _ მასთან არასოდეს მომწყინდებოდა.

ამ სიცილსა და ლაზღანდარობაში, რომელიც ამ სახუმარო გამოსვლას მოჰყვა, ეჟენმა თვალი მოჰკრა, თუ როგორ ჩუმ-ჩუმად გადმოხედა მას მადმუაზელ ტაიფერმა, რომელიც გადაიხარა ქალბატონ კუტიურისკენ და ყურში რაღაცა ჩასჩურჩულა.

_ აი, კაბრიოლეტიც მოვიდა, _ თქვა სილვიამ.

_ ნეტა, სადა სადილობს? _ იკითხა ბინაშონმა.

_ ქალბატონ დე ნუსინჟენთან, ბატონ გორიოს ქალიშვილთან, _ უპასუხა სტუდენტმა.

ამ სახელის ხსენებაზე ყველამ თვალი მიაპყრო ყოფილ მევერმიშელეს, რომელიც რაღაც შურით შესცქეროდა ეჟენს.

რასტინიაკი მიადგა სენ-ლაზარის ქუჩაზე ყოველგვარი გემოვნების გარეშე აგებულ, წვრილ სვეტებიან და უბადრუკ პორტიკიან, მართლაც რომ ბანკირის შესაფერ სახლს, რომელიც პარიზის «მშვენებას» შეადგენს და აჭრელებულია ძვირადღირებული ზიზილ-პიპილებით, ხელოვნური მარმარილოთი და მარმარილოს მოზაიკური კიბის ბაქანებით. ქალბატონი დე ნუსინჟენი ნახა იტალიურ ყაიდაზე მოხატულ პატარა სასტუმრო ოთახში, რომლის მორთულობა კაფეს მოგაგონებდათ. ბარონის მეუღლე დაღონებული იყო. იგი ცდილობდა თავისი სევდის დაფარვას და ამ გარემოებამ უფრო დააინტერესა ეჟენი, რადგან იგი ხედავდა, რომ ეს თამაში როდი იყო. თავისი მოსვლით ქალის გახარებას აპირებდა, იგი კი სასოწარკვეთილი დახვდა. იმედის ასეთმა გაცრუებამ თითქოს უჩხვლიტა ეჟენის თავმოყვარეობას.

_ მე ძალიან მცირე უფლება გამაჩნია, რომ თქვენს ნდობას მოველოდე, ქალბატონო, _ მიმართა მას შემდეგ, რაც გაეხუმრა მისი დაჯავრიანების გამო, _ მაგრამ თქვენი გულწრფელობის იმედი მაქვს და გულახდილად მითხარით, თუ გაწუხებთ.

_ დარჩით, _ უპასუხა ქალმა, _ თქვენ რომ დამტოვოთ, სულ მარტო დავრჩები; ნუსინჟენი ქალაქში სადილობს. მარტო ყოფნა არ მინდა, ფიქრების გაქარვება მჭირდება.

_ კი მაგრამ, რა დაგემართათ?

_ სათქმელი რომ იყოს, თქვენ უკანასკნელს გეტყოდით! _ წამოიძახა ქალმა.

_ მინდა ვიცოდე, რადგან ისე ჩანს, თითქოს მეც რაღაცა მიმიძღვის ამ საიდუმლოებაში?

_ შესაძლებელია! მაგრამ არა, ეს ოჯახური უთანხმოებაა, რომელიც ჩემს გულში უნდა დარჩეს დამარხული. აკი გუშინწინის წინ გეუბნებოდით, სრულიად არა ვარ ბედნიერი-მეთქი. ოქროს ჯაჭვი ყველაზე მძიმე ჯაჭვია.

როდესაც ქალი ეუბნება ახალგაზრდა კაცს, რომ იგი უბედურია, ხოლო ახალგაზრდა კაცი ჭკვიანია, კარგად გამოწყობილია და მის ჯიბეში გამოუყენებელი ათას ხუთასი ფრანკი ძევს, იგი სწორედ იმას გაიფიქრებს, რაც ეჟენს მოუვიდა თავში და დაიწყებს ფუქსავატობას.

_ ნეტა, რა უნდა გინდოდეთ? _ იკითხა ეჟენმა, _ თქვენ ხომ ლამაზი, ახალგაზრდა და მდიდარი ხართ, უყვარხართ...

_ ნუ ვილაპარაკებთ ჩემს შესახებ, _ თქვა ქალმა და დარდიანად გაიქნია თავი, _ ჩვენ ერთად ვისადილებთ, მარტო მე და თქვენ, შემდეგ წავალთ შესანიშნავი მუსიკის

მოსასმენად. თქვენი გემოვნებისა თუ ვარ? _ შეეკითხა ქალი, ადგა და აჩვენა იშვიათად მოხდენილი სპარსულ ყაიდაზე მოხატული თეთრი ქიშმირის კაბა.

_ ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ თქვენ მთლიანად ჩემი იყოთ! თქვენ მომხიბლავი ხართ.

_ თქვენთვის ეს ფრიად სავალალო შენაძენი იქნებოდა, _ უპასუხა ქალმა მწარე ღიმილით. _ აქ არაფერი არ ღაღადებს უბედოების ამბავს, მაგრამ მიუხედავად ამ გარეგნული უდრტვინველობისა, მე სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი. მწუხარებისაგან ძილი არ მეკარგება, გავუშნოვდები.

_ არა! ეს შეუძლებელია! _ წამოიძახა სტუდენტმა. _ ნეტა ვიცოდე, რა გჭირთ ისეთი, რომ თვით უანგარო სიყვარულმაც ვერ შეძლოს თქვენი მორჩენა?

_ ეჰ! მე რომ ჩემი გასაჭირი გაგანდოთ, თქვენ გამექცევით. თქვენი სიყვარული არ სცილდება ყოველი კაცის თავაზიანობის ფარგლებს; მაგრამ, ნამდვილად რომ გიყვარდეთ, თქვენ თვითონ ჩავარდებოდით საშინელ სასოწარკვეთილებაში. ხომ ხედავთ, ჩემი დუმილი ჯობს. გთხოვთ, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. წამოდით, ჩემს ოთახებს გაჩვენებთ.

_ არა, აქ დავრჩეთ, _ უპასუხა რასტინიაკმა, ბუხრის წინ პატარა ტახტზე მოუჯდა გვერდით ქ-ნ დე ნუსინჟენს და გაბედულად აიღო მისი ხელი.

ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია და თვითონაც მაგრა მოუჭირა ხელი ისეთი მოძრაობით, რომელიც ძლიერ განცდას ამჟღავნებს ხოლმე.

_ ყური დამიგდეთ, _ უთხრა რასტინიაკმა, _ დარდი თუ გაწუხებთ, მე უნდა გამიზიაროთ. მინდა დაგიმტკიცოთ, რომ მიყვარხართ და ეს სიყვარული მხოლოდ თქვენით არის გამოწვეული. ან თქვენ მეტყვით, თუ რა გადარდებთ, რომ მე შემეძლოს თქვენი დარდის გაქარევება, თუნდაც ამისთვის ექვსი კაცის მოკვლა გახდეს საჭირო, ანდა მე წავალ და არასდროს არ დავბრუნდები.

_ კარგი! _ შეჰყვირა უცებ რაღაცა სასოწარკვეთილი აზრით შეპყრობილმა ქალმა და შუბლზე ხელი შემოიკრა. _ მე მინდა ეხლავე გამოგცადოთ, დიახ, _ წარმოთქვა მან, _ სხვა გზა არ არის.

ქალმა დარეკა.

_ ბატონის ეტლი თუ არის მზად?

_ დიახ, ქალბატონო!

_ ეტლი მე მიმყავს. ბატონს ჩემი ეტლი და ჩემი ცხენები მოართვით. სადილი შვიდი საათისათვის გააწყვეთ.

_ აბა, წავიდეთ, _ მიმართა მან ეჟენს, რომელსაც თითქოს სიზმრად ეჩვენბოდა, რომ იგი ზის ბარონ დე ნუსინჟენის ეტლში მისი მეუღლის გვერდზე.

_ პალე-როიალისაკენ, ფრანგულ თეატრში, _ უთხრა ქალმა მეეტლეს.

_ გზაში, ეტყობა, ღელავდა და არ უპასუხებდა რასტინიაკის ათას შეკითხვას. სტუდენტმა არ იცოდა, რა ეფიქრა ამ უსიტყვო, დაჟინებული, ჯიუტი წინააღმდეგობის გამო.

«კიდევ ცოტა და ხელიდან გამომეცლება», _ გაიფიქრა მან.

როდესაც ეტლი გაჩერდა, ბარონის მეუღლემ ერთი შემოხედვით ხმა გააკმენდინა სტუდენტს და შეაწყვეტინა სისულელეების ლაპარაკი, რადგან მას უკვე მეტი მოუვიდა.

_ ძალიან გიყვარვართ? _ შეეკითხა ქალი.

_ დიახ, _ უპასუხა სტუდენტმა და დაიოკა მოუსვენრობა, რომელიც მას ეუფლებოდა.

_ რაც უნდა გთხოვოთ, ხომ არაფერს ცუდს არ იფიქრებთ ჩემს შესახებ?

_ არა.

_ მზად ხართ დამემორჩილოთ?

_ ულაპარაკოდ.

_ ყოფილხართ თუ არა როდისმე თამაშზე? _ შეეკითხა ქალი შემკრთალი ხმით.

_ არასდროს.

_ აჰ! შემიძლია სული მოვითქვა. თქვენ უსათუოდ ბედი გეწევათ. აი, ჩემი საფულე, _ თქვა მან, _ აიღეთ! შიგ ასი ფრანკია. ეს არის, ამ ბედნიერი ქალის მთელი ავლა-დიდება. შედით რომელიმე სამორინეში, მე არ ვიცი სად არის ეს სახლები, მაგრამ ვიცი, რომ სადღაც პალე-როიალზეა. გაბედეთ ამ ასი ფრანკით თამაში, რომელსაც რულეტს უწოდებენ: ან სულ დაკარგეთ, ან ექვსი ათასი ფრანკი მომიტანეთ. როცა დაბრუნდებით, ჩემი დარდის მიზეზს გეტყვით.

_ ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიცოდე, რა უნდა გავაკეთო, მაგრამ, გემორჩილებით, _ უპასუხა მხიარულად ეჟენმა და თანაც გაიფიქრა: «სახელს იტეხს ჩემთან თანაზიარობით და ვერაფერზე მეტყვის უარს».

ეჟენი იღებს ლამაზ საფულეს, გამოკითხავს ვიღაც მზატანსაცმელით მოვაჭრეს უახლოესი სამორინეს მისამართს და მიირბენს მე-9 ნომერთან. იგი ადის ზევით, აბარებს ქუდს, შემდეგ შედის და ეკითხება, სად არის რულეტი. აქაურები გაკვირვებულნი არიან,

ხოლო ლაქია მიყვანს მას გრძელ მაგიდასთან. მაყურებლებით გარშემორტყმული ეჟენი დაურიდებლად ეკითხება, სად უნდა დადოს თავისი ჩასვლა.

_ ერთ-ერთ ამ ოცდათექვსმეტ რიცხვთაგანზე ერთი ლუიდორი რომ დადოთ და თუ ეს რიცხვი გამოვიდა, თქვენ მოიგებთ ოცდათექვსმეტ ლუიდორს, _ ეუბნება მას ვიღაც თმაჭაღარა დარბაისელი მოხუცი.

ეჟენი დააგდებს ას ფრანკს თავისი წლოვანების რიცხვზე _ ოცდაერთზე. გაკვირვებულთა ყვირილი გაისმის და იგი ვერც კი ერკვევა, მოუგია ისე, რომ არც გაუგია, როგორ.

_ აიღეთ თქვენი ფული, _ ეუბნება მას მოხუცი. _ ამ წესით ორჯერ ზედიზედ მოგება შეუძლებელია.

ეჟენი გამოართმევს მოხუცს მოწოდებულ პატარა ნიჩაბს, მოხვეტავს თავისკენ სამი ათას ექვსას ფრანკს და კვლავინდებურად დადებს ამ ფულს წითელზე, თუმცა თამაშისა არც ახლა გაეგება არაფერი. დამსწრეები ხედავენ, რომ იგი განაგრძნობს თამაშს და შურით შესცქერიან. ბორბალი ბრუნავს, ეჟენი ისევ მოგებასაა და ბანკის დამჭერი კიდევ სამი ათას ექვსას ფრანკს გადმოუყრის.

_ თქვენ ახლა შვიდი ათას ორასი ფრანკი გაქვთ, _ ყურში ჩასჩურჩულებს მოხუცი. _ მე თუ დამიჯერებთ, წახვალთ აქედან, რადგან წითელი უკვე რვაჯერ იყო. და თუ მოწყალე ბრძანდებით, ამ კეთილი რჩევისათვის შეეწევით ნაპოლეონის ყოფილ პრეფექტს, რომელიც უაღრეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი.

თავგზააბნეული ეჟენი დაანებებს ჭაღარა კაცს ათი ლუიდორის აღებას და შიდი ათასი ფრანკით ხელში ისე ჩამოდის დაბლა, რომ გაგებას არ არის, რაში იყო თამაშის აზრი, მაგრამ ბედნიერებისაგან გაოგნებულია.

_ აი, აიღეთ! ახლა სად წამიყვანთ? _ მიმართა მან ქალბატონ დე ნუსინჟენს, როდესაც კარისკაცმა ეტლის კარები მიხურა, და გაუწოდა შვიდიათასი ფრანკი. დელფინემ რაღაცა გიჟური ძალით მოხვია ხელები და აკოცა მაგრა, მაგრამ გრძნობის გარეშე.

_ თქვენ გადამარჩინეთ!

სიხარულის მოჭარბებული ცრემლი გადმოედინა ლოყებზე.

_ მინდა ყველაფერი გიამბოთ, ჩემო მეგობარო! თქვენ ხომ ჩემი მეგობარი გახდებით? თქვენ ხედავთ, რომ მე მდიდარი, მეტად მდიდარი ვარ. არაფერი არ მაკლია, ან ისე ჩანს, რომ არაფერი არ მაკლია. მაშ, იცოდეთ: ბატონი დე ნუსინჟენი ერთ ზედმეტ სუსაც არ მაძლევს ჩემს განკარგულებაში. იგი ეწევა ოჯახის მთელ ხარჯს, იხდის ჩემი ეტლების, ჩემი

ლოჟების საფასურს, მაძლევს რაღაც საცოდავ გროშებს ჩემი მორთულობისათვის და განზრახ ფარულ სიღარიბეს მახვევს თავს. სიამაყე მათხოვრობის უფლებას არ მაძლევს. განა სულ მთლად უკანასკნელი არსება არ ვიქნებოდი, რომ მისთვის გამომერთია ფული იმ ფასად, როგორათაც იგი მთხოვს? როგორ მოხდა, რომ შვიდასი ათასი ფრანკის პატრონმა თავი გავაძარცვინე? ყოველივე _ სიამაყის და აღშფოთების ბრალია. რა ახალგაზრდები, რა გულუბრყვილოები ვართ ცოლქმრული ცხოვრების დასაწყისში! ქმრისთვის რომ ფული გამომერთმია, მხოლოდ ერთი სიტყვა იყო საჭირო, მაგრამ ენა მებმებოდა, ვერა ვბედავდი. ვხარჯავდი ჩემს დანაზოგს და საწყალი მამაჩემის მოცემულ ფულს; მერე დავიწყე სესხება. გათხოვებამ გული გამიტეხა საშინლად, ამის შესახებ თქვენთან ლაპარაკიც კი მიმძიმს; საკმარისი იქნება, თუ გეტყვით, რომ ფანჯრიდან გადავვარდებოდი, ამ ბინაში ნუსინჟენისაგან გაყოფილად რომ არ ვცხოვრობდე. როდესაც საჭირო გახდა მიმემართა მისთვის ჩემი ვალების, ახალგაზრდა ქალის ვალების გამო, რომლებიც სამკაულების შეძენით და სხვა სურვილების დაკმაყოფილებით იყო გამოწვეული (საწყალმა მამაჩვენმა მიგვაჩვია, რომ არაფერი დაგვეკლო ჩვენთვის), საწვალებელში ჩავვარდი, მაგრამ მერე მოვიკრიბე ძალ-ღონე და ვუთხარი. განა საკუთარი ქონება არ გამაჩნდა? ნუსინჟენი მთლად გაგიჟდა; მითხრა, რომ მე მას ვაკოტრებ და კიდევ სხვა სისაძაგლეები. მინდოდა მიწა გამხეთქოდა და ჩავვარდილიყავი. რახან ჩემი მზითევი აღებული ჰქონდა, რას იზამდა? გადაიხადა, მაგრამ იმ პირობით, რომ ამიერიდან ჩემი პირადი ხარჯებისათვის გარკვეული თანხა დამინიშნა. მე დავემორჩილე, რათა მშვიდობა შემეძინა. შემდეგ მოვინდომე ერთი, თქვენთვის ცნობილი პიროვნების თამოყვარეობისათვის მეამებინა. და თუმცა მან მომატყუა, ჩემ მხრივ, უსამართლობა იქნებოდა, რომ მისი ხასიათის პატიოსნება არ მეღიარებინა. მაგრამ, ბოლოს, მაინც უღირსად მიმატოვა. უმართებულოა ქალის მიტოვება, რომელსაც გაჭირვების ჟამს კალთა ოქროთი გაუვსე; იგი ყოველთვის უნდა გიყვარდეს. თქვენ კეთილი გული გაქვთ, ოცდაერთი წლისა ხართ, ახალგაზრდა და წმინდა. მკითხავთ, როგორ შეიძლება ქალმა კაცს ოქრო გამოართვას. ღმერთო ჩემო, განა ბუნებრივი არ არის, გაუყო ყველაფერი ადამიანს, რომელმაც გაგაბედნიერა? როდესაც მიცემული გაქვს ყველაფერი, ამ მთელი ნაწილის მოცემამ რატომ უნდა შეგაშინოს? ფული არაფერია მანამ, სანამ გრძნობა არ გამქრალა. განა ცოლქმრული კავშირი სამუდამო არ არის? როცა გწამს სიყვარულისა, განა იფიქრებ იმას, რომ წინ დაშორება მოგელის? თქვენ ხომ მარადიულ სიყვარულს გვეფიცებით და მერე შეიძლება კიდევ რაღაც კერძო ინტერესები არსებობდეს? თქვენ ვერ წარმოიდგენთ როგორ გავეწამე დღეს, როდესაც

ნუსინჟენმა ცივი უარი მითხრა ექვსი ათასი ფრანკის მოცემაზე, ნუსინჟენმა, რომელიც თვეში სწორედ ამდენს აძლევს ოპერის ერთ გოგოს _ თავის საყვარელს. თავის მოკვლა მინდოდა. მრავალმა სულელურმა აზრმა გამიელვა თავში. იყო წუთები, როდესაც ჩემი შინამოსამსახურე ქალის ბედი მშურდა. წავსულიყავი მამაჩემის მოსაძებნად? უაზრობა იყო. მე და ანასტაზიმ გავძარცვეთ მამა: ექვსი ათასი ფრანკი რომ მიეცა ვინმეს, თავს გაჰყიდდა. მხოლოდ ტყუილად გავაწამებდი. გამწარებისაგან თავბრუდახვეული ვიყავი. თქვენ გადამარჩინეთ სირცხვილსა და სიკვდილს. დიახ, ბატონო! მე ვალდებული ვარ, ყველაფერი აგიხსნათ. ძალიან დაუფიქრებლად და სულელურად მოვიქეცი თქვენს მიმართ. როდესაც დამტოვეთ და თვალს მოეფარეთ, გაქცევა მოვინდომე... მაგრამ, სად? არ ვიცი. აი, ეს არი მეტი წილი პარიზელი ქალების სიცოცხლე! გარედან _ ბრწყინვალება, შიგნით, გულში კი ულმობელი ჯავრი. მე ვიცნობ საცოდავ არსებებს, რომლებიც ჩემზე კიდევ უფრო მეტად უბედურნი არიან. არიან ქალები, რომლებიც იძულებული ხდებიან ყალბი ანგარიშების დაწერა სთხოვონ ვაჭრებს; სხვები ძალაუნებურად თავის ქმრებსა ჰპარავენ: ზოგ ქმარსა ჰგონია, რომ ხუთასფრანკიანი ქაშმირი ორი ათას ფრანკად არის ნაყიდი, ზოგს კი, რომ ორი ათასად ღირებული ქაშმირი ხუთას ფრანკად არის შეძენილი. შეხვდებით ისეთ უბედურ ქალებს, რომლებიც საკუთარ ბავშვებს აშიმშილებენ, ოღონდ ერთი კაბის საფასური გამოიზოგონ. მე წმინდა ვარ ამ საზიზღარი ტყუილებისაგან. გათავდა ჩემი ტანჯვა-წამება. ახლა სხვა ქალებმა მიჰყიდონ თავი თავის ქმრებს, რათა იბატონონ მათზე, მე კი თავისუფალი ვარ! მე შემიძლია ისე მოვიქცე, რომ ნუსინჟენი ოქროთი ამავსებს, მაგრამ მირჩევნია მივესვენო და ვიტირო იმ ადამიანის გულ-მკერდზე, რომელიც პატივსა მცემს. ამ საღამოს ბ-ნ დე მარსეს აღარა აქვს უფლება, მიყუროს როგორც ქალს, რომელსაც მან ფული მისცა.

ქალმა აიფარა ხელები სახეზე, რათა მტირალი არ სჩვენებოდა ეჟენს. მაგრამ ეჟენმა მოაშორებინა ხელები. უნდოდა მისი ცქერით დამტკბარიყო: იგი მართლაც რომ მშვენიერი იყო.

_ ფულისა და გრძნობების ერთმანეთში არევა ხომ მართლა საშინელებაა? არა, თქვენ მე არასოდეს გეყვარებით! _ წამოიძახა ქალმა.

ამ აღრევამ კეთილი გრძნობებისა, რომლებიც ესოდენ ამაღლებენ ქალს, და ნაკლოვანებებისა, რომლებიც თანამედროვე საზოგადოების მოწყობილობამ დანერგა, შეაშფოთა ეჟენი. აღტაცებული ამ ლამაზი ქალით, რომელიც ესოდენი მიამიტი

დაუფიქრებლობით ლაპარაკობდა თავის დარდსა და გულისტკივილზე, ეჟენი საალერსო და დასამშვიდებელი სიტყვებით მიმართავდა მას:

_ პირობა მომეცით, რომ ჩემს ნათქვამს ჩემივე წინააღმდეგ არ გამოიყენებთ, _ სთხოვა ქალმა.

_ რას ბრძანებთ! ამას როგორ ვიზამ! _ უპასუხა ეჟენმა.

ქალმა აიღო მისი ხელი და გულზე მიიკრა. ეს მოძრაობა მადლობითა და გულითადობით იყო აღსავსე.

_ თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ კვლავ თავისუფალი და მხიარული გავხდი. თითქოს რაღაც რკინის ხელი ბორკავდა ჩემს ცხოვრებას. ახლა მინდა სულ უბრალოდ ვიცხოვრო და ჩემთვის არაფერი დავხარჯო. თქვენ ხომ მოგეწონებით ისეთი, როგორიც ახლა ვიქნები, ჩემო მეგობარო? ეს დაიტოვეთ. – და აიღო მხოლოდ ექვსი ათასი ფრანკი. _ საცა სამართალია, მე სამი ათასი ფრანკი მმართებს თქვენი, რადგან ვთვლი, რომ სანახევროდ ვთამაშობდით.

ეჟენი ქალწულივით უარზე იყო, მაგრამ ბარონის მეუღლემ უთხრა: «თუ ჩემი თანამოზიარე არ გახდით, მტრად მოგეკიდებით» და ეჟენმა გამოართვა ფული.

_ ეს იქნება სამარქაფო თანხა იმ შემთხვევისათვის, თუ წავაგე, _ თქვა მან.

ქალი გაფითრდა და შეჰყვირა:

_ აი, ეს მაშინებდა! თუ გინდათ, რომ რამეს წარმოვადგენდე თქვენთვის, დამპირდით, რომ აღარასოდეს აღარ ითამაშებთ! ღმერთო ჩემო! განა ჩემგან უნდა გაგეგოთ ეს გარყვნილება! ნამდვილად დარდი დამახრჩობს!

სახლში დაბრუნდნენ. განსხვავებამ გაჭირვებასა და ამ სიმდიდრეს შორის მთლად დააფეთა სტუდენტი, რომლის ყურში კვლავ ჟღერდა ვოტრენის საბედისწერო სიტყვები.

ბარონის მეუღლემ შეიყვანა იგი თავის ოთახში და ბუხრის პირას პატრა ტახტზე მიუთითა.

_ დაჯექით აი, აქ. ერთი წერილი მაქვს დასაწერი, ძალიან მეძნელება და თქვენი რჩევა მესაჭიროება.

_ ნურაფერს ნუ დაწერთ. გაახვიეთ ეგ ასიგნაციები, წააწერეთ მისამართი და თქვენს შინამოსამსახურეს გაატანეთ.

_ ოი, რა საყვარელი ადამიანი ყოფილხართ! _ შესძახა ქალმა. _ აი, რას ნიშნავს კარგად ზრდილი ადამიანი. ნამდვილად ბოსეანებისა მოგდგამთ, _ დაუმატა მან ღიმილით.

«მომხიბლავი ქალია», _ გაიფიქრა ეჟენმა, რომელსაც სულ მეტად და მეტად მოსწონდა ქალი. მან გადახედა ოთახს, სადაც, როგორც მდიდარი კურტიზანის ბინაში, ყოველივე მომხიბვლელი ვნებიანობით იყო აღსავსე.

_ მოგწონთ აქაურობა? _ შეეკითხა ქალი და დაურეკა თავის შინამოსამსახურეს, _ ტერეზ, ეს თქვენ თვითონ წაუღეთ ბატონ დე მარსეს და პირადად მას გადაეცით. თუ არ დაგხვდათ, წერილი უკან დამიბრუნეთ.

ტერეზი ისე არ გასულა, რომ ერთი ეშმაკურად არ გადაეხედა ეჟენისათვის. სადილის სუფრა გაეშალათ. რასტინიაკმა ხელი მისცა ქალბატონ დე ნუსინჟენს და მასთან ერთად გაემართა ჩინებულ სასადილო ოთახში, სადაც იგივე ფუფუნება დახვდა, რომელმაც აღტაცება მოჰგვარა თავისი ბიძაშვილის ბინაში.

_ იტალიელთა წარმოდგენების დღეებს, _ უთხრა ქალმა, _ მოხვალთ ხოლმე ჩემთან სადილად და თეატრში გამაცილებთ.

_ თუ ასე გაგრძელდა, მივეჩვევი ამ სასიამოვნო ცხოვრებას, მე კი ღარიბი სტუდენტი ვარ და ქონება ჯერ კიდევ საშოვარი მაქვს.

_ იშოვით! _ სიცილით უთხრა ქალმა. _ ხედავთ, ყველაფერი მოგვარდება. მე ხომ არც ველოდი, რომ ასე ბედნიერი გავხდებოდი.

ქალებს სჩვევიათ შესაძლებელზე დაყრდნობით შეუძლებლის მტკიცება და წინათგრძნობების საფუძველზე ფაქტების უარყოფა. როდესაც ქალბატონი დე ნუსინჟენი და რასტინიაკი შედიოდნენ ბუფონის თეატრის ლოჟაში, ქალს ისეთი კმაყოფილების იერი მოჰფენოდა და ეს იმდენად შვენოდა, რომ ძნელი იყო დამსწრეებს თავი შეეკავებინათ იმ ჭორებისაგან, რომლებიც ყოველთვის გამზადებულია იმისთვის, რათა მოცლილთა გამონაგონი დაასაბუთონ და ქალს გარყვნილება დასწამონ; ქალი კი სრულიად უიარაღოა ყოველივე ამის წინააღდმეგ. ვინც პარიზს იცნობს, მას არა სჯერა იმისა, რაც ითქმის და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რაც კეთდება. ეჟენმა ბარონის მეუღლის ხელს ხელი მოჰკიდა. მხოლოდ თითების ხან სუსტი, ხან ძლიერი მოჭერით ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გრძნობებს, რომლებსაც მუსიკის გავლენით განიცდიდნენ. ეს საღამო მათთვის დამათრობელი იყო. ისინი ერთად გამოვიდნენ და ქალბატონმა დე ნუსინჟენმა ეჟენის ახალ ხიდამდე გაცილება მოინდომა, მაგრამ მთელი გზის განმავლობაში უარზე იყო და ერთხელ მაინც ისე მხურვალედ არ უკოცნია, როგორც პალე-როიალთან. ეჟენმა უსაყვედურა, ასე რომ იქცეოდა.

_ ის ხომ მოულოდნელი ერთგულებისათვის მადლობის ნიშნად იყო, ახლა კი რაიმე დაპირების მანიშნებელი იქნებოდა.

_ და თქვენ, უმადურო, არ გინდათ რამეს შემპირდეთ!

ეჟენი გაჯავრდა. ქალმა იმ მოუთმენელი მოძრაობით, რომელიც აჯადოებს ხოლმე შეყვარებულს, ხელი გაუწოდა საკოცნელად, მაგრამ ეჟენი ფრიად გულგრილად შეეხო მის ხელს, რამაც ბარონის მეუღლე აღტაცებაში მოიყვანა.

_ ორშაბათამდე, ბალზე შევხვდებით, _ უთხრა ქალმა.

ეჟენი ფეხით ბრუნდებოდა, ნათელი მთვარის შუქით მოფენილ ქუჩებზე სტუდენტი სერიოზულ საგონებელში ჩავარდა. იგი ერთდროულად ბედნიერიც იყო და უკმაყოფილოც: ბედნიერი თავგადასავლით, რომლის შედეგად უეჭველად ხელში უვარდებოდა პარიზის ერთი ყველაზე შნოიანი და ულამაზესი ქალთაგანი, ვინაც მისი სურვილების ობიექტს წარმოადგენდა; უკმაყოფილო იყო, რადგან ხედავდა, რომ სიმდიდრის შეძენის პროექტები ეშლებოდა და იგი გრძნობდა იმ ბუნდოვანი ფიქრების ნამდვილ შინაარსს, რომლებიც გუშინწინ აწუხებდა მას. მარცხი ყოველთვის გვაგრძნობინებს ხოლმე ჩვენი მისწრაფებების სიძლიერეს. რაც უფრო ტკბებოდა ეჟენი პარიზული ცხოვრებით, მით უფრო ნაკლებად იზიდავდა ღარიბული და უსინათლო არსებობა. იგი ჭმუჭნიდა ჯიბეში ათასფრანკიან ქაღალდს და ათასგვარ ვერაგულ საბუთს იგონებდა იმისთვის, რომ თავისად ჩაეთვალა ეს ფული. როგორც იქნა, მიაღწია ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩამდე. როდესაც კიბის თავზე ავიდა, სინათლეს მოჰკრა თვალი. მამა გორიოს კარი ღრიჭოდ დაეტოვებინა და სინათლეც არ ჩაექრო, რათა სტუდენტს არ დავიწყებოდა მასთან შესვლა და ქალიშვილის ამბის მოყოლა. ეჟენს არაფერი დაუმალავს მისთვის.

_ კი, მაგრამ, _ შესძახა ეჭვნეული სასოწარკვეთილებით გამწარებულმა მოხუცმა, _ ისინი გაკოტრებულად მთვლიან: მე კიდევ მაქვს ათას სამასი ფრანკის რენტა! ღმერთო ჩემო! რატომ აქ, ჩემთან, არ მოვიდა საცოდავი ბავშვი? გავყიდდი ჩემს რენტას, მიღებული ფულიდან ყველაფერს გადავიხდიდი და რაც დამრჩებოდა, იმით სიკვდილამდე სამყოფ რენტას ვიყიდდი. მეზობელო, რატომ არ გამანდეთ მისი გაჭირვება. გულმა როგორ დაგრთოთ იმის ნება, რომ მისი საცოდავი ასი ფრანკით თამაში გაგებედნათ? ლამის გული გამისკდეს. ესეც შენი სიძეები! ეჰ! ხელში რომ ჩამივარდნენ, ყელს გამოვუღადრავ! ღმერთო ჩემო! ტიროდა! მართლა ტიროდა?

_ ჩემს ჟილეტში ჩარგო თავი და ისე ტიროდა, _ უპასუხა ეჟენმა.

_ ოჰ, მომეცით ეგ ჟილეტი, _ სთხოვა მამა გორიომ. _ იგი ჩემი ქალიშვილის, ჩემი საყვარელი დელფინეს ცრემლით არის დანამული, დელფინესი, რომელსაც ბავშვობაში არასოდეს არ უტირია! მე სხვას, ახალს გიყიდით, ოღონდ ეგ აღარ ატაროთ, მე დამითმეთ. ხელშეკრულების ძალით მას თვითონ შეუძლია თავისი ქონების მოხმარება. ხვალვე წავალ, მოვნახავ რწმუნებულ დერვილს. მე მოვითხოვ, რომ დელფინეს ქონება ბანკში იყოს მოთავსებული. მე ვიცი კანონები, მე ხომ ბებერი მგელი ვარ და კიდევ დავანახვებ ჩემს კბილებს.

_ აიღეთ, მამა, აქ ათასი ფრანკია ჩვენი მოგებიდან, რომელიც მას ჩემთვის უნდოდა მოეცა, გახვიეთ ჩემს ჟილეტში და შეუნახეთ.

გორიომ შეხედა ეჟენს და დაავლო ხელი მის მარჯვენას, რომელზედაც ობოლი ცრემლი დაეცა.

_ თქვენ ცხოვრებაში წარმატება გელით, _ უთხრა მოხუცმა. _ ღმერთი სამართლიანია. ცოტა რამ გამეგება პატიოსნებისა და გარწმუნებთ, რომ თქვენი მსგავსი ადამიანი ბევრი არ მოიძებნება. გინდათ, თქვენც ჩემი საყვარელი შვილი გახდეთ? წადით, დაიძინეთ. შეგიძლიათ იძინოთ, თქვენ ხომ ჯერ მამა არა ხართ. იგი ტიროდა, მე ახლა ვიგებ ამას, მე, რომელიც აქ მშვიდად, საქონელივით ვილოღნებოდი, ის კი ამ დროს წამებაში იყო. ეს მე მომივიდა, მე, რომელსაც შეუძლია გაჰყიდოს მამაც, ძეცა და წმინდა სულიც, ოღონდ ჩემს გოგონებს ერთი ცრემლიც კი არ დაედინოთ!

«ასე მგონია, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე პატიოსანი ადამიანი ვიქნები, _ ფიქრობდა ეჟენი დაწოლისას. _ სასიხარულოა, როდესაც შენი სინდისის ხმას მიჰყვები».

შესაძლებელია, რომ საიდუმლოდ სიკეთის ჩადენა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ღმერთი სწამს, და ეჟენი ხომ მორწმუნე იყო.

ხვალ ბალისთვის დანიშნულ საათზე ეჟენი მივიდა ქალბატონ დე ბოსეანთან, რომელმაც წაიყვანა იგი, რათა წარედგინა იგი ჰერცოგ დე კარილიანოს მეუღლისათვის. მარშალის მეუღლემ ძალიან თავაზიანად მიიღო სტუდენტი. აქ ეჟენი შეხვდა ქალბატონ დე ნუსინჟენს. დელფინე მორთულიყო იმ განზრახვით, რომ ყველას მოსწონებოდა და ამით კიდევ უფრო მოეხიბლა ეჟენი. ამიტომ იგი მოუთმენლად ელოდა ეჟენთან შეხვედრას და თავისი მოუთმენლობა ვერ დაეფარა. მისთვის, ვისაც ქალის განცდების ამოცნობა შეუძლია, ეს წუთები სიამოვნებითაა აღსავსე. ვის არ ახსოვს განცდილი სიამოვნება, როდესაც ალოდინებ სხვას, სანამ შეაქებ, ან როდესაც, მხოლოდ კეკლუცობის მიზნით შენიღბული, მალავ შენს სიხარულს, ანდა, როდესაც განგებ გამოიწვევ ეჭვებს,

რათა გამოამჟღავნო სიყვარული და, როდესაც დასტკბები სხვისი ეჭვებით, მხოლოდ ერთი ღიმილით გაჰფანტავ მათ.

ამ დღესასწაულის დროს სტუდენტისათვის უცებ ცხადი შეიქნა მისი ახლანდელი მდგომარეობის ფასი: რახან იგი აღიარებულ იქნა ქალბატონ დე ბოსეანის ბიძაშვილად, მან სათანადო ადგილი დაიჭირა ამ მაღალ საზოგადოებაში. ხალხს ეგონა, რომ მან გამარჯვება მოიპოვა ბარონ დე ნუსინჟენის მეუღლესთან და ეს გარემოება იმდენად გამოსარჩევად ხდიდა მას, რომ ყველა ახალგაზრდა შურის თვალით შესცქეროდა. ეჟენმა შეამჩნია ეს და პირველად იგემა ფუქსავატური თვითკმაყოფილების სიამოვნება. იგი გადადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში, გვერდს ჩაუვლიდა სტუმრების ჯგუფებს და ესმოდა ხოტბა მისი წარმატებების გამო. ქალები ყოველგვარ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ. დელფინეს შეეშინდა ეჟენი არ დავკარგოო და შეპირდა, ამ საღამოს გუშინდელივით აღარ გეტყვით უარს კოცნაზეო, ამ ბოლო დროს ბევრგან დაპატიჟეს. ბიძაშვილმა წარუდგინა ეჟენი რამდენიმე ქალს, რომლებიც ნატიფი გემოვნების პრეტენზიას აცხადებდნენ და რომელთა სახლები ფრიად სასიამოვნოდ ითვლებოდა. ამგვარად, ეჟენმა დაინახა, რომ იგი პარიზის ყველაზე მაღალ საზოგადოებაში და ყველაზე უფრო რჩეულ წრეში მიიღეს. ეს საღამო მისთვის ბრწყინვალე დებიუტის სიამოვნებით იყო სავსე და, ალბათ, იგი გაიხსენებს მას თავისი სიბერის ჟამსაც, როგორც ნორჩ ქალიშვილს ახსოვს ხოლმე ბალი, რომელზედაც მან პირველი გამარჯვება მოიპოვა. მეორე დღეს, როდესაც საუზმის დროს, თანამეინახეთა თანდასწრებით, ეჟენი მოუთხრობდა მამა გორიოს თავის წარმატებათა ამბავს, ვოტრენს მაცთური გამომეტყველებით ღიმილი არ მოშორებია.

_ და თქვენ გგონიათ, _ შესძახა ულმობელი ლოგიკის მქონე ადამიანმა, _ რომ მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა კაცს შეუძლია იბინადროს ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე ქალბატონ ვოკეს სახლში, რომელიც, რასაკვირველია, უსაზღვროდ პატივსაცემია ყოველმხრივ, მაგრამ სრულიად არ არის ფეშენებელური? ეს სახლი დოვლათიანია, იგი მიმზიდველია თავისი სიუხვით, იგი ამაყობს იმით, რომ ერთ-ერთი რასტინიაკის დროებით ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იგი მაინც ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზეა და მისთვის უცხოა ფუფუნება, რადგან იგი პირწმინდა **პატრიარქალორამაა**. ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, _ განაგრძო ვოტრენმა სახუმარო მშობლიური გამომეტყველებით, - თუ თქვენ გსურთ, პარიზში რაიმეს წარმოადგენდეთ, უნდა იყოლიოთ სამი ცხენი და ერთი ტილბური დილის გასეირნებისათვის, ერთი ეტლი საღამოსათვის. მხოლოდ ამათი შესანახი თანხა ცხრა ათას ფრანკს შეადგენს. თქვენი

დანიშნულების ღირსი არ იქნებით, თუ არ დახარჯეთ თუნდაც სამი ათასი ფრანკი მკერავთან, ექვსასი ფრანკი პარფიუმერთან, სამასი ფრანკი მეჩექმესთან და სამასი ფრანკი მექუდესთან. მრეცხავი ქალი ათას ფრანკად დაგიჯდებათ. საზოგადოებაში გამოსული ახალგაზრდა კაცი ვერც საცვლების ფაქიზად შენახვას აიცდენს თავიდან. ეს ხომ ასეა? ყველაზე ხშირად და გულდასმით სწორედ საცვლებს ათვალიერებენ ხოლმე. სიყვარული და ეკლესია ლამაზ წამოსასხამებს მოითხოვენ მათი საკურთხევლის გადასაფარებლად. უკვე თოთხმეტი ათასი ფრანკი გამოვიდა. მე აღარაფერს ვამბობ ხარჯზე, რომელიც უნდა გასწიოთ თამაშსა, სანაძლეოებსა და საჩუქრებზე; შეუძლებელია, ორი ათასი ფრანკი ჯიბის ფულად რომ არ ჩავაგდოთ. მე თვითონ ასეთ ცხოვრებას ვეწეოდი და ვიცი, როგორ უნდა ფულის ხარჯვა. ამ პირველი საჭიროების ხარჯებს დაუმატეთ კიდევ სამი ათასი ფრანკი სალაფავისათვის და ათასი ფრანკი ბუნაგისათვის. დახე, შვილო ჩემო, წელიწადში კაი ოცდახუთი ათასი ფრანკი დაგროვდა, უამისოდ კი ჩავეფლობით ჭუჭყსა და ტალახში, ტყუილად გავიპამპულებთ თავს და სამუდამოდ დავკარგავთ ჩვენს მომავალს, წარმატებას და საყვარლებს! სულ გამომრჩა ლაქია და გრუმი! კრისტოფი ხომ არ ატარებს თქვენს სასიყვარულო ბარათებს! ისევ ხომ არ აპირებთ ისეთ ქაღალდზე წერას, როგორსაც ახლა ხმარობთ, ეს თვითმკვლელობა იქნებოდა. დაუჯერეთ გამოცდილ მოხუცს! _ წარმოთქვა მან და თავისი მჭექარე ბანი ააგუგუნა. _ ან გადასახლდით უმანკო მანსარდაში და გამუდმებულ შრომაზე დაიწერეთ ჯვარი, ანდა სხვა გზა უნდა აირჩიოთ.

ვოტრენმა მოჭუტა თვალები და ქვეშქვეშად გადახედა მადმუაზელ ტაიფერს ისე, თითქოს ამ შეხედვით შეახსენა და თავი მოუყარა ყველა იმ ცთუნებას, რომელსაც იგი სთესდა სტუდენტის გულში, რათა გაერყვნა იგი.

მრავალმა დღემ განვლო, რომელთა განმავლობაში რასტინიაკი ფრიად დაბნეულ ცხოვრებას ეწეოდა. თითქმის ყოველდღე სადილობდა მადამ დე ნუსინჟენთან და თან ახლდა მას საზოგადოებაში. სახლში დილის სამ ან ოთხ საათზე ბრუნდებოდა, შუადღისას დგებოდა, მოითავებდა თავის ტუალეტს და, თუ კარგი დარი იყო, დელფინესთან ერთად მიდიოდა ბულონის ტყეში გასასეირნებლად. მთელ თავის დროს ამაში ფლანგავდა და არ იცოდა მისი ფასი. ყველა ამ გაკვეთილს და ფუფუნების ყველა ცთუნებას იგი ისეთივე აღგზნებით ითვისებდა, როგორითაც ინდის ხურმის ხის მდედრობითი სქესის ყვავილის ბუტკო ელის ქორწინებას მის გამანაყოფიერებელ მტვერთან. ეჟენი გადაჰყვა დიდ თამაშს, იგებდა და აგებდა დიდძალ ფულს და ბოლოს მიეჩვია პარიზელი ახალგაზრდების უთავბოლო ცხოვრებას. პირველი მოგებებიდან ათას ხუთასი ფრანკი დაუბრუნა დედასა

და დებს და ვალთან ერთად მშვენიერი საჩუქრებიც გაუგზავნა. თუმცა საყოველთაოდ გამოაცხადა ვოკეს სახლის დატოვებას ვაპირებო, მაგრამ იანვრის მიწურულში ჯერ იქ იყო და არ იცოდა, როგორ დაეღწია იქიდან თავი. თითქმის ყველა ახალგაზრდა ერთ კანონს ემორჩილება, რომელიც გარეგნულად ძნელი ასახსნელია, მაგრამ მას საფუძვლად უდევს მათი ახალგაზრდობა და რაღაც გააფთრება, რომლითაც ისინი სიამოვნებას ეტანებიან. გინდ მდიდრები იყვნენ, გინდ ღარიბები, მათ არასოდეს არ გააჩნიათ ფული ცხოვრების საჭიროებისათვის, მაგრამ ყოველთვის გამონახავენ თავისი კაპრიზების დასაკმაყოფილებლად. ხელგაშლილნი არიან იქ, სადაც შეიძლება ყველაფერი ნისიად აიღონ, იქ კი, სადაც ნაღდი უნდა გადაიხადონ, სიძუნწეს იჩენენ, თითქოს უნდათ აინაზღაურონ ის, რაც არ გააჩნიათ და გაფლანგონ ის, რაც ხელში ეძლევათ. საკითხის ცხადსაყოფად ასეთ მაგალითს მოვიყვანთ: სტუდენტი ქუდს უფრო უფრთხილდება, ვიდრე ტანსაცმელს. მკერავს დიდი მოგება აქვს და ნისიად მიცემა მისთვის არსებითად ხელსაყრელია, ხოლო ქუდის მცირე ფასი აიძულებს მექუდეს იყოს ყველაზე მოურიგებელი მათგან, ვისთანაც სტუდენტს მოლაპარაკება უხდება. თუ ახალგაზრდა კაცი თეატრის ბალკონზე ბრძანდება და თავისი თავზარდამცემი ჟილეტით ქალების ლორნეტების ყურადღებას იქცევს, საეჭვოა აცვია თუ არა მას წინდები, რადგან მეწინდეებიც მახრათა იმ ჯიშს ეკუთვნიან, რომლებიც საფულეს ხრავენ. რასტინიაკიც ასე ცხოვრობდა. ქალბატონ ვოკესათვის მისი საფულე ყოველთვის ცარიელი იყო და ყოველთვის სავსე იყო საბაქიოდა და თავის გამოსაჩენად. უცნაური იყო ამ საფულის შესავალ-გასავალი. ყველაზე საჭირო ხარჯები სრულიად უგულვებელყოფილი იყო. ისეთრიგად რომ სდომებოდა ამ მყრალი, საზიზღარი პანსიონის მიტოვება, სადაც ყველა მისი პრეტენზია პერიოდულად დამცირებას განიცდიდა, რა ბედენა იყო ერთი თვის ქირა გადაეხადა ქალბატონ ვოკესათვის და თავისი დიდკაცური ბინისათვის მოწყობილობა შეეძინა? ყოველივე ეს შეუძლებელი ამბავი იყო. თამაშისათვის საჭირო ფულის უზრუნველსაყოფად რასტინიაკს ჰყოფნიდა იმის მოსაზრება, რომ მოგებული ფულით თავის ოქრომჭედელთან ძვირად შეეძინა ოქროს საათები და ძეწკვები და შემოენახა ისინი, რათა შემდეგ ახალგაზრდობის ბნელ და ფარული მეგობრისათვის _ ლომბარდისათვის მიეგირავებინა ეს ნივთები; მაგრამ სრულიად ჰკარგავდა გამბედაობას, გამომგონებლობასა და ჭკუამახვილობას, როდესაც საქმე მიდგებოდა საჭმლის შეძენაზე, ბინის ქირის გადახდაზე ანდა იმ აუცილებელი ხელსაწყოების შოვნაზე, რომელიც საჭიროა ფუქსავატური ცხოვრების წიაღისეულთა საექსპლოატაციოდ. ყოველდღიური

საჭიროებანი, სესხება, ცხოვრებისათვის აუცილებელი ნივთების შესაძენად მას აღარ აღელვებდა. ისევე, როგორც უმრავლესობამ ადამიანთა, რომელთაც ასეთი საალალბედო ცხოვრება იგემეს, იგი უკანასკნელ წუთამდე აჭიანურებდა იმ ვალების გადახდას, რომლებიც ბურჟუაზიის თვალში წმიდათა წმიდას წარმოადგენენ. ასევე იქცეოდა მირაბოც, რომელიც პურის ფულს არ იხდიდა მანამ, სანამ იგი არ წარმოუდგებოდა თვალწინ მრისხანე თამასუქის სახით. დადგა ხანი და რასტინიაკმა წააგო მთელი თავისი ფული და ვალებში ჩავარდა. სტუდენტი მიხვდა, რომ მყარი შემოსავლის გარეშე ასეთი არსებობის გაგრძელება შეუძლებელია. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეკვნესა იმ ბიძგების გამო, რომლებიც მის მერყევ მდგომარეობაში აუცილებელი იყო, იგი მაინც გრძნობდა, რომ არ შეეძლო დახსნოდა ამ თავაშვებულ ცხოვრებას და, რადაც უნდა დასჯდომოდა, მისი გაგრძელება სურდა. ვარაუდი, რომ რაღაც ბედნიერი შემთხვევა ქონებას შესძენს, ქიმერად დარჩა, ხოლო რეალური დაბრკოლებანი თანდათან იზრდებოდა. როცა იგი ბატონ და ქალბატონ დე ნუსინჟენის შინაურ საიდუმლოებებში გაერკვა, მიხვდა, რომ, თუ სიყვარულს გამდიდრების საშუალებად გადააქცევს, მაშინ ბოლომდე უნდა გამოსცალოს სირცხვილის თასი და უარი თქვას იმ პატიოსან იდეებზე, რომელთა გულისთვისაც ახალგაზრდებს აპატიებენ ხოლმე მათ შეცოდებებს. იგი შეეთვისა ამ გარეგნულად ბრწყინვალე, მაგრამ უბიწო სინდისის ქენჯნით მოშხამულ ცხოვრებას, შეეჩვია წუთიერ სიამოვნებებს, რომლებიც მუდმივი მტანჯველი ეჭვების ფასად არის შეძენილი, იგი ისე ჩაეფლო ტალახში, როგორც ლაბრუიერის «დაბნეული», რომელმაც გუბეში გაიმართა ლოგინი, მაგრამ დაბნეულისა არ იყოს, მან ჯერ მხოლოდ ტანისამოსი გაისვარა.

_ როგორ არის მანდარინის საქმე? ჯერ ხომ არ მოგიკლავთ? _ შეეკითხა ერთხელ სუფრიდან ადგომის დროს ბიანშონი.

_ ჯერ არა, მაგრამ უკვე ხრიალებს, _ უპასუხა ეჟენმა. საექიმოს სტუდენტმა ეს სიტყვები ხუმრობად ჩათვალა, მაგრამ ხუმრობა როდი იყო. ხანგრძლივი დროის შემდეგ ეჟენი პირველად სადილობდა პანსიონში და დაფიქრებულად გამოიყურებოდა. დესერტის შემდეგ, იმის მაგივრად რომ წასულიყო, იგი სასადილო ოთახში დარჩა, გვერდით მოუჯდა მადმუაზელ ტაიფერს და ხანდახან ფრიად მეტყველად გადახედავდა ხოლმე მას. ზოგი თანამესუფრე ჯერ კიდევ მაგიდას უჯდა და კაკლებს შეექცეოდა, ზოგიც ოთახში ბოლთასა სცემდა, დაწყებულ კამათს განაგრძობდა. ისევე, როგორც ყოველ საღამოს, ყველანი იქ მიდიოდნენ, სადაც მოეხასიათებოდათ, იმის მიხედვით, თუ რამდენად საინტერესო იყო მათთვის საუბარი, ანდა როგორ მიმდინარეობდა საჭმლის მონელების პროცესი.

ზამთარში იშვიათი იყო, რომ სასადილო ოთახი რვა საათამდე დაცლილიყო, მაგრამ თუკი ქალები მარტო დარჩებოდნენ, ოთხივენი მოიოხებდნენ ხოლმე გულს ლაპარაკით და აინაზღაურებდნენ ხოლმე იმ დუმილს, რომელსაც ამდენ კაცებში ყოფნისას მათი სქესი ავალებდა.

ვოტრენი შეაფიქრიანა სტუდენტის დაჯავრიანებამ, ჯერ თითქოს წასვლა ეჩქარებოდა, მაგრამ მერე სასადილო ოთახში დარჩა, ოღონდ ისე, რომ ეჟენს არ დაენახა და წასული ჰგონებოდა. ვოტრენი არც მერე გაჰყოლია ბოლოს წასულ პანსიონერებს და იქვე, სასტუმრო ოთახში გაჩერდა. მან ყველაფერი ამოიკითხა სტუდენტის გულში და გადამწყვეტ ნიშნებს ელოდა. რასტინიაკის მდგომარეობა მართლაც სავალალო იყო; ეს მდგომარეობა, ალბათ, ბევრი ახალგაზრდისათვის არის ცნობილი. სიყვარულისა თუ კეკლუცობის გამო ქალბატონმა დე ნუსინჟენმა ჭეშმარიტი გრძნობის წვასა და დაგვაში გამოატარა რასტინიაკი და ამისათვის პარიზელი ქალის მთელი დიპლომატია გამოიყენა. მას შემდეგ, რაც საზოგადოების თვალში სახელი გაიტეხა, იმისთვის, რომ ქალბატონ დე ბოსეანის ბიძაშვილი არ მოეშორებინა, იგი ვერ ბედავდა სტუდენტისათვის იმ უფლებების მიცემას, რომლებიც სხვებს უკვე განაღდებული ეგონათ. ერთი თვის განმავლობაში იგი ისე აღიზიანებდა ეჟენის მგრძნობელობას, რომ ბოლოს გულშიაც ჩასწვდა. თუ მათი დაახლოების პირველ წუთებში ეჟენს ეგონა, რომ იგია მთავარი, ახლა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა იძალა, რადგან ეჟენის გულში ყველა იმ ავი თუ კარგი გრძნობების აღძვრა შეძლო, რომლებიც ყველა ახალგაზრდა პარიზელის გულში ბუდობენ. იყო თუ არა აქ რაიმე ანგარიში? არა! ქალები ყოველთვის მართალნი არიან, თუნდაც სრულიად უსირცხვილო ტყუილს იყვნენ აყოლილნი, რადგან მათ ბუნებრივი გრძნობები ამოქმედებთ. თავიდანვე დელფინემ ნება მისცა ეჟენს, რომ უცებ გაბატონებულიყო მასზე და დიდი გრძნობა გამოიჩინა მისდამი, ახლა კი ღირსების შენარჩუნების სურვილმა აიძულა, ან უარი ეთქვა ამ დათმობაზე, ანდა გაჭიანურებით დაკმაყოფილებულიყო. მერყეობა იმ მიზნით, რათა გამოსცადოს იმის გული, ვისაც თავისი მომავალი უნდა მიანდოს, მერყეობა აღგზნებული გატაცების და თვით დაცემის წუთამდეც კი ფრიად ბუნებრივია პარიზელი ქალისათვის. ქალბატონ დე ნუსინჟენს იმედმა ერთხელ უკვე უმტყუნა და მისი ერთგულება ახალგაზრდა ეგოისტის მიმართ გაუზიარებელი დარჩა. მას ჰქონდა მიზეზი უნდობლობისა, რადგან სწრაფმა წარმატებამ ეჟენი გააფუქსავატა და ვაჟის ყოფაქცევაში დელფინემ შეამჩნია რაღაც უპატივცემულობა მის მიმართ, რაც მათ შორის დამოკიდებულების უცნაურობით იყო გამოწვეული. უეჭველია, დელფინეს უნდოდა, რომ

ამაღლებულიყო ამ ახალგაზრდა კაცის თვალში და მისი პატივისცემა დაემსახურებინა მას შემდეგ, რაც ამდენი დამცირება აიტანა ადამიანისაგან, რომელმაც იგი მიატოვა. მას სწორედ იმიტომ არ უნდოდა, რომ ეჟენს მასზე გამარჯვება ადვილად ჩაეთვალა, რადგან ეჟენმა იცოდა დე მარსესთან მისი სიახლოვის ამბავი. და ბოლოს, მას შემდეგ, რაც იგი ამდენ ხანს ამ გარყვნილი ახალგაზრდის, ნამდვილი მხეცის სამარცხვინო ავხორცობას განიცდიდა, მან სიტკბოება ჰპოვა სიყვარულის აყვავილებულ სამფლობელოებში, სადაც ახლა დასეირნობდა, აღტაცებული ტკბებოდა წარმტაცი სანახებით, დიდხანს უსმენდა მთრთოლვარე ხმებს და თავს აძლევდა უბიწო ნიავის ალერსს. ჭეშმარიტი სიყვარული ცრუ სიყვარულის მაგივრად ზარალობდა. საუბედუროდ, ეს შეუსაბამობა ხშირი იქნება მანამ, სანამ კაცები არ გაიგებენ, თუ რამდენ ყვავილსა სთელავს ახალგაზრდა ქალის გულში პირველი მოტყუების სიმწარე. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ამის მიზეზები, დელფინე ათამაშებდა რასტინიაკს და სიამოვნებდა ეს თამაში, რადგან არ ეეჭვებოდა მისი სიყვარული და დარწმუნებული იყო, რომ შეუძლია შეყვარებულის დარდების გაქარვება, ოღონდ კი მოისურვოს მისმა ქალურმა მეუფებამ. ეჟენს თავისი ღირსების შელახვად მიაჩნდა პირველი ბრძოლის დამარცხებით დამთავრება და ამიტომ ისეთივე დაჟინებით დასდევდა ქალს, როგორითაც მონადირე ცდილობს ხოლმე აუცილებლად მოჰკლას პირველი კაკაბი წმინდა ჰუბერტის დღეობის დროს. იგი შფოთავდა, გულწრფელად თუ ყალბად სასოწარკვეთილებას ეძლეოდა, თავმოყვარეობა შელახული ჰქონდა და ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო აკავშირებდა ამ ქალთან. მთელი პარიზი ქალბატონ დე ნუსინჟენს მისად სთვლიდა, ეჟენმა კი გაცნობის პირველ დღეს რასაც მიაღწია, ის იყო, იმას იქით ფეხი არ გადაუდგამს. რასტინიაკს ჯერ არ ესმოდა, რომ ხანდახან ქალი კეკლუცობაში მეტ სიამოვნებას ჰპოვებს, ვიდრე სიყვარულში და ამიტომ სულელურად შმაგდებოდა. ამ ხანას, როდესაც ქალი ჯერ კიდევ ებრძვის თავის სიყვარულს, უკვე მოჰქონდა რასტინიაკისათვის პირველი ნაყოფი; ეს ნაყოფი საკმაოდ ძვირად უჯდებოდა, მკვახეც იყო და მჟავეც, მაგრამ საამო გემო ჰქონდა. ხანდახან, როდესაც ხედავდა, რომ მომავალში არაფერი მოელის, მიუხედავად სინდისის ქენჯნისა, ფიქრობდა ხოლმე გამდიდრების იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ვოტრენმა დაანახვა: მადმუაზელ ტაიფერის შერთვა. ამასობაში ეჟენი იმ დღეში ჩავარდა, როდესაც გაჭირვება იმდენად გამძაფრდა, რომ თითქმის თავისდაუნებურად იგი აჰყვა საშინელ სფინქსის მზაკვრობას, რომლის შემოხედვა მას ხშირად მონუსხავდა ხოლმე. როდესაც პუარე და მადმუაზელ მიშონო თავისთან ავიდნენ და დასტოვეს ქალბატონი ვოკე და ქალბატონი კუტიური, რომელიც მატყლისგან სახელოს

ქსოვდა და ხანდახან წასთვლემდა ხოლმე, რასტინიაკმა იფიქრა მარტო ვარო და ისეთი სინაზით შეხედა მადმუაზელ ტაიფერს, რომ თვალები დაახრევინა.

_ ხომ არაფერი გაწუხებთ, ბატონო ეჟენ, _ შეეკითხა ვიქტორინე წუთიერი სიჩუმის შემდეგ.

_ ვინ არის ისეთი, რომ არაფერი აწუხებდეს? _ უპასუხა რასტინიაკმა. _ ჩვენ, ახალგაზრდები, დარწმუნებული რომ ვიყოთ, ძლიერი და ერთგული სიყვარული გველის და ეს აგვინაზღაურებდა იმ მსხვერპლს, რომლის გასაღებად ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მაშინ, იქნებ მართლაც არაფერი შეგვაწუხებდა.

მადმუაზელ ტაიფერმა ისეთი შემოხედვით უპასუხა, რომელიც არავითარ ეჭვს არ სტოვებდა.

_ დღეს, მადმუაზელ, თქვენ გგონიათ, ნამდვილად მესმის ჩემი გულის წადილიო, მაგრამ ვინ არის იმის თავდები, რომ ყოველივე უცვლელად დარჩება?

ღიმილმა გადაუარა ბაგეზე საწყალ ქალიშვილს და ისე გაუნათდა სახე, თითქოს შუქი გამოკრთაო მისი სულიდან ისე, რომ ეჟენი შეაკრთო მის მიერ გამოწვეული გრძნობის ასეთმა ძლიერმა აფეთქებამ.

_ როგორ! ხვალ რომ მდიდარი და ბედნიერი გახდეთ, უცებ რომ უშველებელი სიმდიდრე მოგევლინოთ ციდან, ისევ გეყვარებათ თუ არა ახალგაზრდა კაცი, რომელიც სიღარიბის დროს მოგწონდათ?

ქალმა კოხტად თავი დაუკრა.

_ ძალიან ღარიბი ახალგაზრდა კაცი?

კიდევ დასტური.

_ მანდ რა სისულელეებს როშავთ? _ შესძახა ქალბატონმა ვოკემ.

_ თავი დაგვანებეთ, ჩვენ ჩვენსას ვლაპარაკობთ, _ უპასუხა ეჟენმა.

_ მაშ, თუ ასეა, ცოლქმრობას ხომ არ აღუთქვამენ ერთმანეთს ბატონი შევალიე ეჟენ დე რასტინიაკი და მადმუაზელ ვიქტორინე ტაიფერი? _ მქისე ხმით წარმოთქვა სასადილო ოთახის კარებში მოულოდნელად გამოჩენილმა ვოტრენმა.

_ ოჰ! როგორ შეგვაშინეთ! _ ერთხმად წამოიძახეს ქალბატონმა კუტიურმა და ქალბატონმა ვოკემ.

_ მეტი არჩევანი არა მაქვს, _ სიცილით უპასუხა ეჟენმა, თუმცა ვოტრენის ხმამ მასში ისეთი ძლიერი აღელვება გამოიწვია, როგორიც არასოდეს განეცადა.

_ უხეირო ხუმრობას თავი დაანებეთ, ბატონებო! _ წამოიძახა ქალბატონმა კუტიურმა. _ წამო, შვილო, ზევით წავიდეთ.

ქალბატონი ვოკე თავის მდგმურებს გაჰყვა, რათა შეშის და სანთლის ეკონომიის მიზნით საღამო მათთან გაეტარებინა.

ეჟენი ვოტრენთან მარტო დარჩა.

_ მე ვიცოდი, რომ თქვენ აქამდე მიხვიდოდით, _ თქვა ვოტრენმა და უშფოთველი გულცივობით შეხედა სტუდენტს. _ ერთი ყური დამიგდეთ. სხვაზე ნაკლებ ფაქიზი არც მე ვარ. ახლა ნურაფერს გადაწყვეტთ, რადგან გული საგულეს არა გაქვთ. თქვენ ვალი დაგედოთ. მე მინდა, რომ არა გრძნობებისა და სასოწარკვეთილების, არამედ გონიერი განსჯის შედეგად მოხვიდეთ ჩემთან. იქნებ, ცოტაოდენი ფული გჭირდებათ? აიღეთ, თუ გინდათ!

ამ დემონმა ჯიბიდან საფულე ამოიღო, სამი საბანკო ბილეთი ამოაძრო და სტუდენტს თვალწინ აუფრიალა. ეჟენი საზარელ მდგომარეობაში იყო ჩავადნილი. მარკიზ დ'აჟუდასა და გრაფ დე ტრაისთან პატიოსანი სიტყვით ორი ათასი ფრანკი ჰქონდა წაგებული. ეს ფული არ გააჩნდა და ამიტომ ვერ ბედავდა მისვლას ქალბატონ დე რესტოს სუარეზე, სადაც მას ელოდნენ. ეს იყო საღამო ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, საღამო, სადაც პატარა ნამცხვრებს მიირთმევენ, ჩაის გიახლებიან და სადაც ვისტში ექვსი ათასი ფრანკის წაგება შეიძლება.

_ ბატონო, _ მიმართა ეჟენმა ვოტრენს და ძლივს დაიოკა კონვულსიური კანკალი, _ ამას წინათ ისეთი რამ შემომთავაზეთ, თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ თქვენგან ვერაფერს დავივალებ.

_ კეთილი! სხვა რამე რომ გეთქვათ, ძალიან მაწყენინებდით. თქვენ ფაქიზი, ლომივით ამაყი და ქალიშვილივით ნაზი ახალგაზრდა ხართ, _ წარმოთქვა მაცდურმა. _ კარგი ლუკმაა ეშმაკისათვის! მიყვარს ახალგაზრდებში ასეთი თვისებები. უმაღლესი პოლიტიკის კიდევ ერთი-ორი ასეთი მოსაზრება და ქვეყანა წარმოგიდგებათ ისეთად, როგორიცაა იგი სინამდვილეში. ამქვეყნად უმანკოების მხოლოდ რამდენიმე სცენის გათამაშებაა საკმარისი, რომ მაღალი ზრახვების ადამიანმა დაიკმაყოფილოს თავისი ფანტაზია პარტერში მსხდომი უვიცების ტაშის გრიალში. სულ მცირე ხანი გავა და ჩვენი გახდებით. ჰე! ჩემს მოწაფეობას რომ დათანხმდებოდეთ, ყველაფერს მიგაღწევინებდით. ჯერ სურვილის გამოთქმასაც კი ვერ მოასწრებდით, რომ უცებ გადამეტებით აგისრულდებოდათ ყველაფერი, რასაც მოისურვებდით: პატივისცემა, ქონება, ქალები.

თქვენთვის მთელ ცივილიზაციას დავადუღებდით უკვდავების ნექტარად. თქვენ გახდებოდით ჩვენი ნებიერი, აზიზი ბავშვი, ჩვენი ბენიამინი; თქვენი გულისთვის ყველანი სიამოვნებით კედელს შევასკდებოდით, გავანადგურებდით ყოველივეს, რაც წინ დაგიდგებოდათ. ჩანს, იმიტომ გერიდებათ ჩემი, რომ ბოროტმოქმედი გგონივართ! ერთ ადამიანს, რომელიც თავს იმდენადვე პატიოსნად სთვლიდა, როგორც თქვენ ჯერ კიდევ გგონიათ თქვენი თავი _ ბატონ დე ტურენს ყაჩაღებთან საქმეების მოჭახრაკება სათაკილოდ არ მიაჩნდა. არ გინდათ ჩემგან დავალებული იყოთ? კარგი და პატიოსანი! _ განაგრძო ვოტრენმა და ღიმილმა გადაუარა ბაგეზე, _ აიღეთ ქაღალდის აი ეს ნაგლეჯი! _ მან ამოიღო ჯიბიდან ღერბიანი ქაღალდი და გაუწოდა სტუდენტს, _ და განდაგან დააწერეთ: «მიღებული იქნას სამი ათას ხუთას ფრანკად, რომელიც გასანაღდებელია ერთი წლის შემდეგ». თარიღი დაუსვით! ჩემი გამორჩენა იმდენად დიდია, რომ სავსებით განთავისუფლებთ სინდისის ქენჯნისაგან. შეგიძლიათ ჩარჩი მიწოდოთ და სულ არ იყოთ ჩემი მადლიერი. ნებას გაძლევთ, რომ თუნდაც დღეიდანვე შემიძულოთ, რადგან ვიცი, რომ უფრო გვიან შემიყვარებთ. თქვენ შეგიძლიათ ჩემში ჰპოვოთ ის ბნელი უფსკრულები, ის ერთად თავმოყრილი ძლიერი გრძნობები, რომლებსაც სულელები მანკიერებას უწოდებენ, მაგრამ ვერასდროს ვერ ნახავთ სულმდაბლობასა და უმადურობას. ერთი სიტყვით, ჩემო პატარავ, მე ეტლი ვარ და არა **პაიკი** ან **კუ.**

_ ვინ ხართ, რა კაცი ხართ? _ შესძახა ეჟენმა. _ ჩემს საწვალებლად ხართ გაჩენილი!

_ სრულიადაც არა. მე ერთი კეთილი კაცი ვარ, რომელიც მზად არის ლაფში ამოევლოს, ოღონდ თქვენ დაგიფაროთ, რათა ტალახი არ მოგეცხოთ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. თქვენ იკითხავთ, რამ გამოიწვია ეს ერთგულება? კეთილი, ერთ მშვენიერ დღეს ჩუმად ჩაგიფუჩუნებთ ყურში. ჯერ თავიდან შეგაკრთეთ, როდესაც დაგანახეთ, თუ როგორ ხრიალებს სოციალური წყობის მანქანა და რა ამოძრავებს მას, მაგრამ პირველი შიში ისევე გადაგივლით, როგორც გადაუვლის ხოლმე ბრძოლაში პირველად გასულს და თქვენ შეეჩვევით იმ აზრს, რომ ადამიანები ბრძოლაში გასული ჯარისკაცების მსგავსად, განწირულნი არიან დასახოცად იმის საკეთილდღეოდ, ვინც თვითონვე გამოაცხადა თავი მეფედ. დროება ძალიან გამოიცვალა. იყო დრო, ეტყოდნენ მარჯვე ბიჭს: «დაიჭი ასი ეკიუ და მოჰკალი ბატონი ესა და ეს». კაცმა არ იცის, ვის გულისათვის და რის გულისათვის საიქიოს გაისტუმრებდნენ ადამიანს და გულდამშვიდებით ვახშამს შეუდგებოდნენ. დღეს კი მე გთავაზობთ დიდ ქონებას და

სამაგიეროდ, თავის ერთ დაკანტურებასა გთხოვთ, რაც სრულიად არაფერს გავალებთ. თქვენ კი მერყეობთ. წახდა დროება!

ეჟენმა თამასუქს მოაწერა ხელი და ბანკის ბილეთები მიიღო სამაგიეროდ.

_ კარგი! ახლა ჭკვიანურად ვიმსჯელოთ, _ განაგრძობდა ვოტრენი, _ მე მინდა რამდენიმე თვის შემდეგ ამერიკაში გავემგზავრო და იქ თამბაქოს მოყვანას მოვკიდო ხელი. როგორც მეგობარს სიგარებს გამოგიგზავნით. თუ შვილები არ მეყოლა (ადვილი შესაძლებელია, რადგან არც ისეთი ცნობისმოყვარე ვარ, რომ ნერგების მყნობას მივყო ხელი), ჩემს ქონებას თქვენ გიანდერძებთ. განა მეგობარი იზამს ამას? თქვენ მიყვარხართ, მე მიტაცებს სხვისთვის თავგანწირვა. ყოველთვის ასე ვიქცეოდი. უნდა იცოდეთ, ჩემო პატარავ, რომ მე სხვა ადამიანებზე უფრო მაღალ ფარდებში ვცხოვრობ. მოქმედებას მხოლოდ საშუალებად ვიყენებ და მხოლოდ მიზანს ვემსახურები. რა არის ჩემთვის ადამიანი? აი, ეს! _ და ცერის ფრჩხილი კბილზე გაიკრა. _ ადამიანი ან ყველაფერია, ან არაფერი. თუ მას პუარე ჰქვია სახელად, მაშინ იგი არაფერზე ნაკლებია, იგი შეიძლება ბაღლინჯოსავით გასრისო, იგი მდაბალი და მყრალია. თუ ადამიანი თქვენ დაგემსგავსათ _ იგი ღმერთია, იგი ტყავგადაკრული მანქანა აღარ არის, არამედ თეატრია, რომელშიაც სუკეთესო გრძნობები მოქმედებენ, მე კი მხოლოდ გრძნობები მასულდგმულებენ. განა გრძნობა ერთ განაფიქრში მოქცეული მთელი სამყარო არ არის? შეხედეთ მამა გორიოს: მისთვის მისი ორი ქალიშვილი მთელ სამყაროს შეადგენს, იმ ძაფს წარმოადგენს, რომლითაც იგი ამ ქვეყანაზეა გამოკერებული და რომელსაც იგი მიჰყვება ამქვეყნიურ ცხოვრებაში. მე ღრმად ჩავწვდი ამ ცხოვრებას. ჩემთვის არაფერი არ არსებობს, ერთადერთი ნამდვილი გრძნობის _ ორი ადამიანის ერთმანეთისადმი მეგობრობის გარდა. მე მიტაცებენ პიერი და ჯაფიერი. ზეპირად ვიცი «გადარჩენილი ვენეცია». აბა, მითხარით, ბევრს იცნობთ ისეთ შეუდრეკელ ადამიანს, რომელიც ამხანაგის მიმართვაზე _ «წამოდი, გვამი დავმარხოთ», ხმის ამოუღებლად წაჰყვება და ჭკუის დარიგებით თავს არ მოაბეზრებს? მე მოვქცეულვარ ამგვარად. ამას ყველას კი არ ვეუბნები, მაგრამ თქვენ ამაღლებული ადამიანი ხართ, თქვენთვის ყველაფრის თქმა შეიძლება _ თქვენ ყველაფრის გაგება შეგიძლიათ. თქვენ დიდხანს არ იჭყუმპალავებთ ამ ჭაობში, სადაც ეს თავკომბალები ცხოვრობენ, ჩვენ გარშემო რომ ირევიან. კეთილი, რაც სათქმელი იყო _ ითქვა. თქვენ ცოლს შეირთავთ. აბა, ვაძგეროთ ჩვენი ხმლები. ჩემი ფოლადისაა და არასოდეს დრკება! ასეა!

ვოტრენი გავიდა, რადგან სტუდენტისაგან უარყოფითი პასუხის გაგება არ სურდა და თანაც უნდოდა ეცლია მისთვის გონს მოსვლა. ჩანს, რომ მას კარგად ესმოდა ამ მცირე წინააღმდეგობათა და გაბრძოლებათა საიდუმლოება, რომელთა საშუალებით ადამიანი თავს იწონებს და რომელთა ერთადერთი მიზანი საკუთარ საძრახის მოქმედებათა გამართლებაა.

«რაც უნდა, ის ქნას, ჩემთვის კი ცხადია, რომ მადმუაზელ ტაიფერს არ შევირთავ», _ გაიფიქრა ეჟენმა.

ამ კაცთან გარიგების ფიქრიც კი ეჟენს ციებ-ცხელებას ჰგვრიდა, კაცთან, რომელიც მასში ძრწოლას იწვევდა, მაგრამ, ამავე დროს იზრდებოდა მის თვალში, როდესაც ხედავდა რა გაბედულად სწვდება იგი საზოგადოების არსს, სწორედ ცინიკური მოსაზრებების საშუალებით. რასტინიაკმა გადაიტანა ეს შეტევა, ჩაიცვა, მოაყვანინა ეტლი და წავიდა ქალბატონ დე რესტოსას. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ეს ქალი გაორკეცებული ყურადღებით ექცეოდა ახალგაზრდა კაცს, რომლის ყოველ ნაბიჯს მაღალ საზოგადოებაში წარმატება ახლდა და რომლის გავლენაც როდისმე მისთვის შეიძლება სახიფათო გამხდარიყო. ეჟენმა გადაუხადა ვალი დე ტრაისა და დ'აჟუდას, ღამე ვისტის თამაშში გაატარა და ამოიღო, რაც წაგებული ჰქონდა. ეჟენი ცრუმორწმუნე იყო ისევე, როგორც უმრავლესი ადამიანები, რომლებსაც თვით უხდებათ გზის გაკვლევა და რომლებიც ცოტად თუ მეტად ფატალისტები არიან. ამიტომ როდესაც ბედი ეწია, ეს სწორი გზით სიარულის თავისი მტკიცე გადაწყვეტილების ზეციურ გასამრჯელოდ მიიჩნია. მეორე დღეს არ დაუყოვნებია და დილითვე შეეკითხა ვოტრენს, თან აქვს მას თუ არა ვექსილი და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, დაუბრუნა სამი ათასი ფრანკი და არ დაუფარავს თავისი სრულიად ბუნებრივი კმაყოფილება.

_ ყველაფერი რიგზეა, _ უთხრა ვოტრენმა.

_ მაგრამ მე თქვენი მოზიარე არა ვარ, _ უპასუხა ეჟენმა.

_ ვიცი, ვიცი, _ შეაწყვეტინა ვოტრენმა, _ თქვენ ჯერ კიდევ ბავშვურად ირჯებით და სულ მცირე რამ გაფერხებთ კარებთან.

ორი დღის შემდეგ, ბოტანიკური ბაღის განმარტოებულ მზიან ხეივანში მერხზე ჩამომსხდარიყვნენ პუარე და მადმუაზელ მიშონო და ესაუბრებოდნენ ვიღაც კაცს, რომელიც ბიანშონმა, სრულიად სამართლიანად, საეჭვოდ მიიჩნია.

_ მადმუაზელ, _ ამბობდა ბატონი გონდიურო, _ მე აქ არაფერს ვხედავ ისეთს, რაიც თქვენს სინდისს შელახავდა. მისი აღმატებულება ბატონი სახელმწიფო პოლიციის მინისტრი...

_ ოო! მისი აღმატებულება ბატონი სახელმწიფო პოლიციის მინისტრი! _ გაიმეორა პუარემ.

_ დიახ! მისმა აღმატებულებამ ყურადღება მიაქცია ამ საქმეს... _ უპასუხა გონდიურომ.

აბა, ვინ მიიჩნევს სარწმუნოდ, რომ პუარე, სამსახურიდან გასული მოხელე, რომელიც თუმცა დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებული იყო, მაგრამ უდავოდ აღსავსე იყო ბურჟუაზიული პატიოსნებით, ყურს დაუგდებდა ამ კაცს, რომელიც ბიუფონის ქუჩის რანტიედ ასაღებდა თავს, მას შემდეგ, რაც მან პოლიცია ახსენა და, ამგვარად, პატიოსანი ადამიანის ნიღაბქვეშ იერუსალიმის ქუჩის აგენტის სახე გამოაჩინა? მიუხედავად ამისა, აქ არაფერია არაბუნებრივი. პუარე ეკუთვნოდა იმ განსაკუთრებულ სახეს, რომელიც ხეპრეთა ვრცელ ოჯახს მიეკუთვნება. ყოველივე ეს უფრო გასაგები იქნება ზოგიერთ მკვლევართა დაკვირვების საფუძველზე, რომლებიც ცნობილ, მაგრამ ჯერ გამოუქვეყნებელ შრომაშია თავმოყრილი. არსებობს მოხეტიალე ტომი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში მოთავსებულია სარტყელში: განედის პირველი გრადუსიდან, რომელიც რაღაც ადმინისტრაციულ გრენლანდიას წარმოადგენს და, სადაც წელიწადში ათას ორასი ფრანკის ჯამაგირებია შემოღებული, განედის მესამე გრადუსამდე _ ზომიერ ჰავაში, სადაც ცოტა უფრო თბილი ადგილებია და ჯამაგირსაც სამიდან ექვს ათასამდე იძლევიან, აქ უკვე კარგად ხარობენ ჯილდოები და ყვავიან კიდევაც, მიუხედავად მათი მოშენების სიძნელისა. ამ დამორჩილებული ტომის უსაშველო შეზღუდულობის ფრიად დამახასიათებელ თვისებას შეადგენს რაღაც უნებლიე მექანიკური, ინსტინქტური თაყვანისცემა ყოველი სამინისტროს იმ დალაი-ლამის მიმართ, რომელსაც მოხელეები მხოლოდ გაურკვეველი ხელისმოწერით იცნობენ და რომელსაც მის აღმატებულებას **ბატონ მინისტრს** უწოდებენ. ეს ოთხი სიტყვა «ბაღდადის ხალიფას» il Bondo cani-ს შეესაბამება და ამ, მიწაზე გართხმულ ხალხისათვის წმიდათა წმიდა და გარდაუვალ ძალაუფლებას აღნიშნავს. როგორც ქრისტიანებისათვის პაპი, ისევე მოხელეთა თვალში მინისტრი ადმინისტრაციულად უცოდველია. მისი ბრწყინვალება გადაეცემა მის მოქმედებას, მის სიტყვებს და იმასაც, რაც მისი სახელით ითქმის. თავისი ოქრომკედით ნაქარგი სამოსით იგი ყველაფერს ჰფარავს და აკანონებს ყოველივე მოქმედებას, რომელიც

მისი ბრძანებით წარმოებს. მისი აღმატებული სახელი მის განზრახვათა უბიწოებას და მისი სურვილების უბიწოებას მოწმობს და სრულიად დაუშვებელი იდეების გატარებას უწყობს ხელს. ეს საცოდავი ადამიანები საკუთარი ინტერესების გულისთვისაც კი არ გააკეთებენ იმას, რასაც გულმოდინედ ასრულებენ «მისი აღმატებულების» ხსენების გავლენით. როგორც არმიაში დისციპლინა არსებობს, ისევე ბიუროებში პასიური მორჩილებაა დამყარებული. ეს სისტემა აჩლუნგებს სინდისს, აცარიელებს ადამიანს და საბოლოოდ, დროის განმავლობაში, სახელმწიფო მმართველობის მანქანის რომელიღაც ხრახნად ან ქანჩად აქცევს. ჩანდა, რომ გონდიურომ იცოდა ადამიანთა ხასიათი, იგი მიხვდა, რომ პუარე ბიუროკრატიულ ხეპრეთა რიცხვს ეკუთვნოდა, იგი სთვლიდა, რომ პუარე მიშონოს მამალია, ისევე როგორც მიშონო პუარეს დედლად მიიჩნია და იმ წუთს, როდესაც ქვემეხებიდან შენიღბვის ჩამოხსნა და პაურეს თვალის დაბნელება გახადა საჭიროდ, მან გამოუშვა თავისი Deus ex machina _ ჯადოსნური სიტყვა «მისი აღმატებულება».

_ რახან თვით მისი აღმატებულება, მისი აღმატებულება ბატონი მი... ეჰ! ეს უკვე სულ სხვა ამბავია, _ თქვა პუარემ.

_ ხომ გესმით, რას ამბობს ეს ბატონი, რომლის აზრს თქვენ, ეტყობა, ენდობით, _ მიმართა ყალბმა რანტიემ მადმუაზელ მიშონოს. _ მაშ ასე, მისი აღმატებულება ახლა უკვე სავსებით დარწმუნებულია, რომ ის ადამიანი, რომელიც ვოტრენად ასაღებს თავს და ვოკეს სახლში ცხოვრობს, ტულონის კატორღიდან გამოქცეული კატორღელია. ეს კატორღელი «სიკვდილის მატყუარას» სახელით არის ცნობილი.

_ ოო! სიკვდილის მატყუარა! _ წამოიძახა პუარემ. _ ძალიან ბედი ჰქონია, რახან ეს სახელი დაუმსახურებია.

_ ცხადია, _ განაგრძო აგენტმა, _ ეს ზედმეტი სახელი მან იმით დაიმსახურა, რომ ცოცხალი გადაურჩა ყველა იმ უკიდურესად თავხედურ საქმეს, რომლისთვისაც კი ხელი მოუკიდია. როგორც ხედავთ, საშიში ადამიანია. ზოგ რამეში მას ფრიად არაჩვეულებრივი თვისებები აქვს. გასამართლებამ და კატორღაში გაგზავნამ უსასრულო პატივისცემა შესძინა თავის მარაქაში.

_ მაშ, პატივსაცემი კაცი ყოფილა? _ შეეკითხა პუარე.

_ ერთგვარად კი, მან თავისი სურვილით იკისრა სხვის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება _ სიყალბე, ჩადენილი ერთი ფრიად ლამაზი ყმაწვილი კაცის მიერ,

რომელიც მას ძალიან უყვარს. ეს ჭაბუკი იტალიელი, ხელიდან წასული მოთამაშე იყო, შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა, სადაც, უნდა ითქვას, უნაკლოდ იქცეოდა.

_ კი, მაგრამ, თუ მისი აღმატებულება ბატონი პოლიციის მინისტრი დარწმუნებულია, რომ ვოტრენი იგივე «სიკვდილის მატყუარაა», მე რაღაში ვჭირდები? _ იკითხა მადმუაზელ მიშონომ.

_ დიახ, _ თქვა პუარემ, _ თუ მართლაც მინისტრი, როგორც თქვენ პატივი დაგვდეთ და გვითხარით, ნაწილობრივ მაინც დარწმუნებულია...

_ დარწმუნებულიაო... ეგ ვერ არის სწორი ნათქვამი. არსებობს მხოლოდ ეჭვი. ახლავე გაგარკვევთ ამ საკითხში. ჟაკ კოლენს, ზედმეტ სახელად «სიკვდილის მატყუარას» სრული ნდობა აქვს დამსახურებული სამ საკატორღო ციხეში, სადაც იგი თავის რწმუნებულად და ბანკირად აირჩიეს. იგი დიდ ფულს აკეთებს ასეთი საქმეების მოგვარებაში. ამ საქმეებში კი ისეთი ადამიანია საჭირო, რომელსაც განსაკუთრებული ნიჭის ნიშნები ეტყობა.

_ ჰო, ჰო, ჰო, მადმუაზელ მიშონო, მიხვდით თუ არა სიტყვების თამაშს, ბატონმა თქვა _ განსაკუთრებული ნიშნები ეტყობაო, იმიტომ რომ მას დაღი აზის.

_ ყალბი ვოტრენი, _ განაგრძობდა აგენტი, _ ბატონ კატორღელებისაგან ღებულობს მათ თანხებს, სათანადოდ ინახავს, რათა შემდეგ გადასცეს ან თვით პატრონებს, თუ მათ მოახერხეს კატორღიდან გამოქცევა, ან მათ ოჯახს, თუკი ასეთი ანდერძია დატოვებული, ან მათ საყვარლებს, ვოტრენის სახელზე დატოვებული, მათთვის გადასაცემი ვექსილის მეშვეობით.

_ მათი საყვარლებიო? თქვენ გინდოდათ გეთქვათ, მათი მეუღლეები? _ შენიშნა პუარემ.

_ არა, ბატონო. კატორღელებს, ჩვეულებრივ, უკანონო ცოლები ჰყავთ, რომლებსაც ჩვენ კონკუბინებს ვუწოდებთ.

_ მაშ, ისინი ყველანი უკანონოდ ცხოვრობენ?

_ სამართლიანი შენიშვნაა.

_ კი, მაგრამ, _ თქვა პუარემ, _ ბატონ მინისტრს არ შეშვენის ასეთი სისაძაგლის მოთმენა. ვინაიდან თქვენ პატივი გაქვთ ხოლმე მისი აღმატებულების ხილვისა და, როგორც მე ვხედავ, კაცთმოყვარეობის იდეებითა ხართ გამსჭვალული, თქვენ უნდა გაუშუქოთ მინისტრს უსაქციელობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ძალიან ცუდ მაგალითს აძლევენ მთელ საზოგადოებას.

_ არა, ბატონო, სახელმწიფო იმიტომ კი არ ამწყვდევს მათ ციხეში, რათა ყოველგვარი სიქველის ნიმუშად დაგისახოთ.

_ ეს სწორია, მაგრამ, ბატონო, ნება მომეცით...

_ აცალეთ ლაპარაკი ბატონ გონდიუროს, ჩემო კარგო! _ თქვა მადმუაზელ მიშონომ.

_ თქვენთვის გასაგებია, მადმუაზელ, _ განაგრძო გონდიურომ, _ რომ სახელმწიფომ შეიძლება დიდად მოიგოს, თუკი ამ უკანონო სალაროს ჩაიგდებს ხელში. ამბობენ, საკმაოდ დიდ თანხას შეიცავსო. «სიკვდილის მატყუარამ» ფრიად დიდ ფასეულობას მოუყარა თავი და ინახავს არა მარტო ზოგიერთი ამხანაგის მიერ მობარებულ ფულს, არამედ იმ ფულსაც, რომელიც ეკუთვნის საზოგადოებას ათი ათასი...

_ ათი ათასი ქურდისა! _ წამოიძახა შეშინებულმა პუარემ.

_ არა, ათი ათასის საზოგადოება წარმოადგენს გაერთიანებას მაღალი თანრიგის ქურდებისა, ადამიანებისა, რომლებიც დიდ საქმეებზე მუშაობენ და არ ერევიან ისეთ საქმეში, რომელიც ათი ათას ფრანკზე ნაკლებს აშოვნინებს. ეს საზოგადოება შედგება სულ ნარჩევი ადამიანებისგან იმ ხალხის რიცხვიდან, რომელთაც ჩვენ პირდაპირ სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლოში ვაგზავნით. მათ შესწავლილი აქვთ სასამართლო კოდექსი და თუნდაც დანაშაულზე მიუსწრონ, არ იძლევიან იმის საბაბს, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანონ. კოლენი მათი ნდობით აღჭურვილი პირია, მათი მრჩეველია. თავისი ურიცხვი ფულადი სახსრებით ამ ადამიანმა შექმნა თავისი საკუთარი პოლიცია და გააბა ფართო ქსელი, რომელიც სრული საიდუმლოებითაა მოცული. უკვე მთელი წელიწადი იგი ჩვენი ჯაშუშებითაა გარშემორტყმული, მაგრამ მისი თამაშის ხრიკების ამოცნობა ჯერ ვერ შევძელით. ამგვარად, მისი სალარო და მისი ნიჭი იმას ემსახურებიან, რომ გამოისყიდონ ბოროტმოქმედება, ხელი შეუწყონ დანაშაულს და მუდამ ფეხზე დაყენებული ჰყავდეთ გაიძვერების მთელი არმია, რომელიც საზოგადოებასთან გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებს. სიკვდილის მატყუარას დაჭერა და მისი ბანკის ხელში ჩაგდება ძირფესვიანად მოსპობს ბოროტებას. ამიტომ არის, რომ ეს ღონისძიება სახელმწიფო საქმედ გადაიქცა, მაღალი პოლიტიკის საგანი შეიქნა და სასახელო იქნება მისთვის, ვინც მის წარმატებას ხელს შეუწყობს. თქვენ, ბატონო, თვითონ ხელახლა შეგიძლიათ შეხვიდეთ ადმინისტრაციულ სამსახურში და გახდეთ პოლიციის კომისრის მდივანი, რაც სრულიად არ შეგიშლით ხელს პენსიის მიღებაში.

_ რატომ სიკვდილის მატყუარა არ გაიტაცებს სალაროს და არ გაიქცევა? _ იკითხა მადმუაზელ მიშონომ.

_ ეჰეი! _ შესძახა აგენტმა, _ ყველგან, სადაც იგი წავიდოდა, კაცს გააყოლებდნენ, რომელსაც დაავალებდნენ ვოტრენის მოკვლას, თუკი იგი კატორღას გაძარცვავდა. გარდა ამისა, სალაროს მოპარვა არც ისე ადვილია, როგორც კარგი ოჯახიდან ქალიშვილის გატაცება. თუმცა კოლენი ისეთი ყმაწვილია, რომელიც ასეთ რამეს არც იკისრებს, ამას იგი სამარცხვინოდ მიიჩნევდა.

_ თქვენ სამართლიანად ბრძანეთ, ბატონო, _ თქვა პუარემ, _ იგი სრულიად შეირცხვენდა თავს.

_ ის მაინც ვერ გაგვიგია, რატომ არ მიხვალთ და უბრალოდ არ დაიჭერთ, _ შენიშნა მადმუაზელ მიშონომ.

_ კარგით, მადმუაზელ, გიპასუხებთ, მაგრამ, _ ჩასჩურჩულა მან ყურში მიშონოს, _ შეაგნებინეთ მაგ თქვენს ყმაწვილს, რომ ხელს ნუ მიშლის, თორემ ვერასდროს ვერ მოვრჩებით. ვინმემ ყური რომ დაუგდოს მაგის ლაპარაკს, ეგ მოხუცი ძალიან მდიდარი უნდა გახდეს. როდესაც სიკვდილის მატყუარა აქ ჩამოვიდა, იგი გაეხვია პატიოსანი ადამიანის ტყავში, პარიზის პატიოსანი მოქალაქე გახდა და ამ შეუმჩნეველ პანსიონში დასახლდა, წმინდადა მუშაობს! მოულოდნელად ვერასოდეს ვერ ჩაიგდებ ხელში. ერთი სიტყვით, ვოტრენი წინდახედული ადამიანია და საქმეებსაც წინდახედულად უძღვება.

_ ბუნებრივი ამბავია, _ ჩაილაპარაკა თავისთვის პუარემ.

_ მინისტრს სრულიად არ სურს, რომ შეცდომით ნამდვილი ვოტრენი დაიჭიროს და ამ შემთხვევაში პარიზის ფინანსიურმა წრეებმა და საზოგადოებრივმა აზრმა მთელი დანაშაული მას მოახვიონ თავზე. ბ-ნ პოლიციის მინისტრს ფრიად მერყევი მდგომარეობა აქვს, გარშემო მტრები ახვევია და თუკი ჩავარდა, ყველა ისინი, ვინც მის ადგილს შესცქერის, ისარგებლებს ლიბერალების ყეფა-ღრენითა და წივილ-კივილით იმისთვის, რომ კისერი მოსტეხოს მას. აქ საჭიროა მოქმედება იმგვარადვე, როგორც ყალბი თავადის სენტ-ელენ-კონიარის საქმეში. თუ აღმოჩენილიყო, რომ იგი ნამდვილი თავადი სენტ-ელენია, კარგი დღე არ დაგვადგებოდა. აი, რატომ არის საჭირო შემოწმება!

_ კი, მაგრამ თქვენ ლამაზი ქალი გჭირდებათ, _ მკვირცხლად წამოიძახა მადმუაზელ მიშონომ.

_ სიკვდილის მატყუარა არც ერთ ქალს არ მიიკარებს ახლო, _ უპასუხა აგენტმა. _ ერთ საიდუმლოს გაგანდობთ _ მას ქალები არ უყვარს.

_ მაშ, სრულიად ვერ ვხედავ, რითი შემიძლია დახმარება თუ, ვთქვათ, დაგთანხმდით ამას ორი ათას ფრანკად.

_ ამაზე იოლი რაღა იქნება! _ თქვა უცნობმა: _ მე პატარა ბოთლით სითხეს მოგცემთ, რომლისგანაც ადამიანს სისხლი თავში აუვარდება; სრულიად უხიფათოა, მაგრამ დამბლის დაცემასა ჰგავს. ეს წამალი შეიძლება, თუ გნებავთ, ღვინოში ან ყავაში შეურიოთ. როდესაც ეს სითხე იმოქმედებს, მაშინვე წაიყვანთ მაგ ყმაწვილს, ლოგინში დააწვენთ და ტანსაცმელს გახდით, ვითომ იმისათვის, რომ ნახოთ ხომ არა კვდება. ხოლო რა წამსაც მარტო დარჩებით, მხარზე ხელი შემოჰკარით: ლაწ! და დაინახავთ გამოჩნდება თუ არა მის მხარზე დაღის ასოები.

_ მართლაც, სულ ადვილი ყოფილა, _ თქვა პუარემ.

_ კარგი, თქვენ ესა თქვით _ თანახმა ხართ თუ არა? _ შეეკითხა გონდიურო შინაბერას.

_ ჩემო კეთილო ბატონო, თქვენ ეს მითხარით, ასოები რომ არ გამოჩნდეს, მივიღებ თუ არა ჩემს ორი ათას ფრანკს? _ იკითხა მადმუაზელ მიშონომ.

_ არა.

_ მაშ, რა მერგება გასამრჯელოდ?

_ ხუთასი ფრანკი.

_ განა ღირს ასეთი საქმის ასე იაფად გაკეთება? სინდისის ქენჯნა ხომ ისეთივე იქნება და ჩემს სინდისს ხომ დამშვიდება სჭირდება.

_ უნდა დავადასტურო, _ კვერი დაუკრა პუარემ, _ რომ მადმუაზელ მიშონო ძალიან პატიოსანია, გარდა ამისა, მეტად მოსიყვარულე და ფრიად გამჭრიახი ქალია.

_ ასე იყოს, _ თქვა მადმუაზელ მიშონომ, _ თუ ეგ კაცი სიკვდილის მატყუარა გამოდგა, სამი ათასი ფრანკი მომეცით, თუ უბრალო მოქალაქე, მაშინ ნურაფერს ნუ მომცემთ.

_ ეგრე იყოს! ოღონდ იმ პირობით, რომ საქმე ხვალვე უნდა გაკეთდეს, _ უპასუხა გონდიურომ.

_ ჯერ არა, ჩემო კეთილო, მე ჯერ ჩემს მოძღვარს უნდა მოვეთათბირო.

_ ეშმაკია! _ წამოიძახა აგენტმა და ადგა. _ მაშ, ხვალამდე. თუ სასწრაფოდ დაგჭირდათ ჩემთან ლაპარაკი, მობრძანდით სენტ შაპელის ეკლესიის ეზოს ბოლოში რომ პატარა სენტ-ანის შესახვევია. იქ, თაღქვეშ, ერთადერთი კარებია. იკითხეთ ბ. გონდიურო.

კუვიეს ლექციიდან მომავალმა ბიანშონმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს და სიკვდილის მატყუარას საკმაოდ ორიგინალურმა სახელმა გააკვირვა იგი. მან ისიც გაიგონა, როგორა თქვა სამძებრო პოლიციის სახელოვანმა უფროსმა _ ეგრე იყოსო!

_ რატომ ბოლომდე არ მიიყვანეთ საქმე? ეს ხომ სიკვდილამდე სამასი ფრანკის რენტას მოგცემდათ, _ ჰკითხა პუარემ მადმუაზელ მიშონოს.

_ რატომ? მოფიქრებაა საჭირო. თუ ბ. ვოტრენი მართლაც სიკვდილის მატყუარაა, იქნებ მასთან გარიგება უფრო ხელსაყრელი იყოს; მაგრამ, ფული რომ მოვთხოვოთ, ამით გავაფრთხილებთ მას და ნაღდად აგვეთესება, არაფერს არ მოგვცემს და გამოგვივა საზიზღარი ფლუსტი.

_ გაფრთხილებულიც რომ იყოს, _ უპასუხა პუარემ, _ ამ ბატონმა ხომ გვითხრა: მეთვალყურეობას დაუწყებენო, ასე რომ, თქვენ ნამდვილად ყველაფერს დაკარგავთ.

«თანაც, _ გაიფიქრა მადმუაზელ მიშონომ, _ სულ არ მიყვარს ეს კაცი, ის ხომ სულ საზიზღარ რაღაცეებს მეუბნება».

_ მაგრამ, _ განაგრძობდა პუარე, _ თქვენ შეგიძლიათ უკეთ მოიქცეთ. მე ეს კაცი ფრიად პატიოსან ადამიანად მომეჩვენა, თანაც ძალიან კარგადაც აცვია და მან კი თქვა, რომ ამით კანონებისადმი მორჩილებას გამოიჩენთ და საზოგადოებას მოაშორებთ ბოროტმოქმედს, რომელსაც შეიძლება ფრიად დადებითი თვისებებიც ახასიათებდეს, მაგრამ ვინც ლოთობს, განა მოიშლის ლოთობას! ანდა, უცებ რომ წამოუაროს და ყველანი დაგვხოცოს? ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, მაშინ ხომ ამ მკვლელობაში ჩვენც დამნაშავენი ვიქნებით! ისიც საფიქრალია, რომ შეიძლება თვითონ ჩვენ გავხდეთ მისი პირველი მსხვერპლი.

მადმუაზელ მიშონოს თავისი ჯავრი აწუხებდა და იგი საშუალებას არ აძლევდა ყური დაეგდო პუარესათვის, რომლის პირიდან სიტყვები ისე მოედინებოდა, როგორც წყლის წვეთები ცუდად დაკეტილი ონკანიდან. თუ ეს მოხუცი ლაპარაკს დაიწყებდა და მადმუაზელ მიშონო მას დროზე არ გააჩერებდა, იგი მომართული მექანიზმივით შეუჩერებლად ილაპარაკებდა. დაიწყებდა საუბარს ერთ საკითხზე, არავითარ დასკვნას არ გამოიტანდა, შემდეგ, დამხმარე წინადადებების მეშვეობით სრულიად საწინააღმდეგო მსჯელობაზე გადადიოდა. როდესაც ისინი ვოკეს სახლს უახლოვდებოდნენ, პუარემ უკვე იმდენი დაბლანდა, რომ მთლად გაება სხვადასხვა წიაღსვლებში და ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებში, და ბოლოს გაათავა იმით, რომ მოჰყვა იმის ამბავს, თუ რა ჩვენებები მისცა მან ბატონ რაგულოსა და ქალბატონ მორენის საქმეზე, როდესაც სასამართლოს დაცვის მოწმედ წარუდგა. სახლში შესვლისას პუარეს მეგობრის ყურადღებას არ გამორჩენია ეჟენ დე რასტინიაკი, რომელიც ინტიმურ საუბარში იყო გართული მადმუაზელ ტაიფერთან და ორივენი იმდენად იყვნენ გატაცებულნი, რომ

არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ორი მოხუცი პანსიონერისათვის, როდესაც მათ სასადილო ოთახში გაიარეს.

_ ეს ამბავი ასეც უნდა დამთავრებულიყო, _ უთხრა მადმუაზელ მიშონომ პუარეს; _ უკვე რვა დღეა, რაც ესენი ასე გულსაკლავად შესცქერიან ერთმანეთს.

_ დიახ, _ უპასუხა პუარემ, _ სწორედ ამიტომაც მიუსაჯეს.

_ ვის მიუსაჯეს?

_ ქალბატონ მორენს.

_ მე მადმუაზელ ვიქტორინეს ვგულისხმობ, _ თქვა მადმუაზელ მიშონომ და ისე შევიდა პუარეს ოთახში, რომ არც შეუმჩნევია სად შედის, _ თქვენ კი ვიღაც ქალბატონ მორენზე მელაპარაკებით. ნეტა ვიცოდე, ვინ არის ეს ქალი?

_ კი, მაგრამ, მადმუაზელ ვიქტორინეს რა დანაშაული მიუძღვის? _ შეეკითხა პუარე.

_ მისი დანაშაული ის არის, რომ ბატონი ეჟენ დე რასტინიაკი უყვარს და მაგ საცოდავს არც კი ესმის სად ეჩრება და როგორ გათავდება ეს ამბავი!

ამ დილას ქალბატონმა დე ნუსინჟენმა ეჟენი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. გულის სიღრმეში ეჟენი უკვე სავსებით მიენდო ვოტრენს და არც სურდა იმის გარკვევა, თუ რითია გამოწვეული ამ არაჩვეულებრივი ადამიანის მეგობრული განწყობილება, ანდა მათ კავშირს მომავალში რა მოჰყვება. რაღაც სასწაული იყო საჭირო, რომ გადაერჩინა ეჟენი იმ უფსკრულში ჩავარდნისაგან, სადაც კინაღამ გადაიჩეხა ამ ერთი საათის წინ, როდესაც მან და მადმუაზელ ტაიფერმა ესოდენ ტკბილად აღუთქვეს ერთმანეთს ერთგულება. ვიქტორინეს ეგონა, ანგელოზის ხმა მესმის, ცის კიდური გადაიხსნა ჩემთვის, ხოლო ვოკეს სახლი აკიაფდა იმ ფანტასტური ფერებით, რომლებითაც თეატრის დეკორატორები ამშვენებენ ხოლმე სასახლეებსო. მას უყვარდა და ისიც უყვარდათ, ყოველ შემთხვევაში, მას სჯეროდა, რომ ასეა! მის ადგილზე სხვა რომელი ქალი არ დაიჯერებდა, როდესაც რასტინიაკს შეხედავდა და ერთი საათის განმავლობაში, პანსიონის ყველა არგუსისაგან დამალულად, მოუსმენდა მას? ეჟენი ებრძოდა თავის სინდისს, ესმოდა, რომ საზიზღრობას ჩადის და სურდა მისი ჩადენა. ის ეუბნებოდა თავის თავს, რომ გააბედნიერებს ამ ქალს და ამით მოინანიებს თავის ცოდვებს. ამ გამწარებამ გაამშვენიერა იგი და გააბრწყინა იმ ჯოჯოხეთური ცეცხლით, რომელიც მის გულში ღვიოდა. მისდა საბედნიეროდ, სასწაული მართლაც მოხდა: შემოვიდა გამხიარულებული ვოტრენი და ამოიკითხა ყოველივე, რაც ტრიალებდა ამ ორი ახალგაზრდის გულში, რომლებიც მან თვითონ შეაუღლა თავისი

ჯოჯოხეთური გონების მოხერხებით და უცებ მოუღო ბოლო მათ სიხარულს, როდესაც ხმამაღლა და დამცინავად წაიმღერა:

მიამიტია ჩემი ფანშეტა
და ეს მას მატებს მშვენიერებას...

ვიქტორინე გაქრა და თან წარიტანა იმდენივე ბედნიერება, რამდენი უბედურებაც აქამდე ჰქონდა გამოვლილი ცხოვრებაში. საწყალი გოგო! ხელის ჩამორთმევა, რასტინიაკის თმის შეხება მის ლოყაზე და სიტყვები, რასაც იგი ყურში ჩასჩურჩულებდა ისე ახლო, რომ იგი გრძნობდა სტუდენტის ტუჩების სითბოს, მისი მკლავები, რომლებიც მან თრთოლვით შემოხვია წელზე, და კისერზე კოცნა, ყოველივე ეს, თითქოს მათი გრძნობების ნიშნობა იყო. ხოლო საფრთხე იმისა, რომ იქვე, მეზობლად მყოფი მსუქანი სილვია შემოვა ამ გაბრწყინებულ სასადილოში, კიდევ უფრო აღაგზნებდა და უფრო მძაფრად და მიმზიდველად ხდიდა ამ ნიშნობას, ვიდრე ერთგულების ყველაზე ლამაზი ფიცი, რაიც მოთხრობილია სიყვარულის ყველაზე ცნობილ ამბებში. ჩვენი წინაპრების ხატოვანი გამოთქმით, ეს menus suffrages დანაშაულად მიაჩნდა ამ ნორჩ, ღვთისმოსავ გოგონას, რომელიც ორ კვირაში ერთხელ აღსარებაზე დადიოდა. ამ წუთებში თავისი სულის საგანძურიდან იგი გასცემდა იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე შემდეგში, როდესაც მდიდარი და ბედნიერი შეიქნება, მაშინ იგი ვერ შეძლებს ამას, თუნდაც მთლად მისცეს მთელი თავისი არსება.

_ საქმე გაიჩარხა! _ უთხრა ვოტრენმა ეჟენს. _ ჩვენი ვაჟბატონები წაეკიდნენ. ყოველივე ფრიად პატიოსნად გამოიყურებოდა. ჩვენმა მტრედმა შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს შევარდენს. ხვალ კლინიანკურის რედუტში შეხვდებიან. ცხრის ნახევარზე, იმ დროს, როდესაც მადმუაზელ ტაიფერი წყნარად იჯდება და კარაქწასმულ პურს ჩააწობს ყავაში, იგი მემკვიდრეობით მიიღებს მამამისის სიყვარულსა და ქონებას. ადვილი სათქმელია, არა? ახალგაზრდა ტაიფერი ხმალში მაგარია და მამლაყინწასავით თავმომწონეა, მაგრამ მას სისხლიდან დასცლიან ჩემი გამოგონილი ძგერებით. ხმალი ხერხიანად უნდა მოიმარჯვო და პირდაპირ შუბლში ატაკო. მე გაჩვენებთ ამ ილეთს. ძალიან მაგარი და გამოსადეგი ხერხია.

გაოგნებული რასტინიაკი ყურს უგდებდა და პასუხის გაცემაც კი არ შეეძლო. ამ დროს შემოვიდნენ მამა გორიო, ბიანშონი და კიდევ რამდენიმე პანსიონერი.

_ აი, სწორედ ასეთი მეგულებოდით, _ უთხრა ვოტრენმა. _ თქვენ გესმით, რასაც აკეთებთ. კარგია, ჩემო არწივის მართვევ! თქვენ იბრძანებლებთ ადამიანებზე, რადგან ძლიერი, პირდაპირი, მაგარი ბიჭი ხართ. თქვენ დაიმსახურეთ ჩემი პატივისცემა.

მას ხელის ჩამორთმევა უნდოდა. რასტინიაკმა სწრაფად გამოაცალა თავისი ხელი, თან გაფითრდა და სკამზე დაეცა; მოეჩვენა, რომ მის წინ სისხლის გუბეა.

_ აჰა! ჩვენ კიდევ შეგვრჩა პატიოსნებით გასვრილი არტახები! _ ხმამაღლა წამოიძახა ვოტრენმა. _ პაპა დოლიბანს სამი მილიონი აქვს. მე კარგად ვიცი მისი ქონება. მზითევი საცოლის კაბასავით სპეტაკად გაგხდით თქვენს საკუთარ თვალშიაც კი.

რასტინიაკი აღარ ყოყმანობდა. მან გადაწყვიტა ამ საღამოსვე გაეფრთხილებინა ორივე ტაიფერი _ მამაცა და შვილიც. იმ წუთს, როდესაც ვოტრენმა მას თავი მიანება, მამა გორიომ ჩასჩურჩულა ყურში:

_ დაღონებული ხართ, შვილო. მინდა გაგამხიარულოთ. წავიდეთ!

და მოხუცმა მევერმიშელემ ლამპაზე მოუკიდა თავის გორგლად დახვეულ სანთელს. ცნობის წადილით შეპყრობილი ეჟენი გაჰყვა მას.

_ თქვენთან შევიდეთ, _ უთხრა მოხუცმა, რომელსაც წინასწარ გამოერთვა სილვიასაგან სტუდენტის ოთახის გასაღები _ ამ დილას თქვენ, ალბათ, ფიქრობდით, რომ მას აღარ უყვარხართ, არა? იგი იძულებული იყო, რომ გამოებრძანებინეთ, თქვენ კი დაჯავრიანდით და სასოწარკვეთილებაში გადავარდით. სულელი! დელფინე მელოდებოდა. გასაგებია? ჩვენ უნდა წავსულიყავით ერთი კოხტა ბინის მოწყობილობის დასამთავრებლად, რომელშიაც თქვენ სამი დღის შემდეგ გადახვალთ. ნუ გამთქვამთ. მას უნდა, რომ სიურპრიზი მოგიწყოთ, მაგრამ მე აღარ მინდა ამ საიდუმლოების დამალვა, დ'არტუას ქუჩაზე თქვენ სულ ორიოდე ნაბიჯით იქნებით დაშორებული სენტ-ლაზარის ქუჩას და თავადურად იცხოვრებთ. ისეთი მოწყობილობა შევიძინეთ, როგორც ახლად ჯვარდაწერილებისათვის. ერთი თვის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთეთ ისე, რომ თქვენთვის არაფერი გვითქვამს. ჩემი რწმუნებული საბრძოლო მოქმედებებს შეუდგა და ჩემს ქალიშვილს წელიწადში საკუთარი ოცდათექვსმეტი ათასი ფრანკი ექნება _ ეს მისი მზითევის შემოსავალია. მისი რვაასი ათასი ფრანკის შემოსავალიან უძრავ ქონებაში დაბანდებას მოვითხოვ.

ეჟენი დუმდა. გულხელი დაეკრიფა და თავის უბადრუკ და არევ-დარეულ ოთახში ბოლთასა სცემდა. მამა გორიომ ისარგებლა იმ წუთით, როდესაც რასტინიაკმა მას ზურგი

შეაქცია და ბუხრის თავზე დადო წითელი ტარსიკონის ყუთი, რომელზედაც ოქროთი რასტინიაკების საგვარეულო გერბი იყო აღბეჭდილი.

_ ჩემო საყვარელო შვილო, _ მიმართა ეჟენს საცოდავმა მოხუცმა, _ თუმცა კისრამდე ჩავეფალი ამ საქმეებში, მაგრამ, ესეც იცოდე, რომ მე ჩემი ეგოიზმიც მამოქმედებდა, მეც ხომ დაინტერესებული ვარ, რომ თქვენ ბინა გამოიცვალოთ. ერთი რამე რომ გთხოვოთ, უარს ხომ არ მეტყვით?

_ რა გნებავთ?

_ თქვენი ოთახების თავზე, მეხუთე სართულში ერთი ოთახია, რომელიც თქვენ ბინასთან არის დაკავშირებული. ხომ კარგი იქნება, მე რომ იქ დავსახლდე? მე ვბერდები და ჩემს გოგონებს ძალიან დაშორებული ვარ. ჩემთვის ვიქნები, ხელს არ შეგიშლით. თქვენ ყოველ საღამოს ჩემი გოგონას ამბავს მომითხრობთ. აბა, მითხარით, ხომ არ დაგაბრკოლებთ? ყოველ საღამოს, როცა თქვენ შინ დაბრუნდებით, მე უკვე ლოგინში ვიწვები, ვუცდი თქვენს მოსვლას და ვიტყვი ჩემთვის: «იგი დაბრუნდა ჩემი პატარა დელფინეს ნახვის შემდეგ, იგი მას წვეულებაში ახლდა, მან გააბედნიერა ჩემი გოგონა». თუ ავად გავხდი, თქვენი შინ მოსვლის ხმაურისა და სიარულის გაგონება გულზე მალამოდ მომეცხება. თქვენ ხომ იმდენი რამე გადმოგეცემათ ჩემი გოგონასაგან! იქედან სულ ერთი ნაბიჯის გადადგმა დამჭირდება ელისეს მინდვრებამდე, სადაც ჩემი გოგონები ყოველდღე გაივლიან, თორემ ახლა ხანდახან მაგვიანდება ხოლმე. იქნებ თვითონაც შემოვიდეს ხოლმე ჩემთან. მე მას მოვუსმენ, ვნახავ, როგორ დანავარდობს სადილაო სამოსში გამოწყობილი, ანდა კატის კნუტივით მოხდენილად დასეირნობს. ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ისეთივე მხიარული და კოპწია გახდა, როგორიც ქალიშვილობაში იყო. მისი სული გამომრთელების გზაზეა და ამ ბედნიერებას თქვენ უნდა გიმადლოდეთ. ოჰ! მე თქვენი გულისთვის შეუძლებელსაც შევძლებ! აი, ახლა, როდესაც ვბრუნდებოდი, მან მითხრა: «მამი, ძალიან ბედნიერი ვარ!» როდესაც ჩემი ქალიშვილები საზეიმოდ მომმართავენ ხოლმე «მამაჩემო», გული მიკვდება, მაგრამ როდესაც დამიძახებენ «მამი», მეჩვენება თითქოს ჯერ პატარები არიან და ათასი მოგონება ამეშლება ხოლმე. მაშინ მე უფრო მეტად ვარ მათი მამა და მგონია, რომ ჩემ გარდა ისინი ჯერ არავის არ ეკუთვნიან.

მოხუცი ატირდა, მერე ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

_ დიდი ხანია, რაც მისგან ასეთი სიტყვა არ გამიგია, არც ხელი არ გაუყრია ჩემთვის. დიახ! უკვე ათი წელია, რაც ჩემს გოგონებთან მხარდამხარ არ გამისეირნია. რა სიამოვნებაა, როდესაც ეხები მის ტანსაცმელს, აუწყობ ნაბიჯს და გრძნობ მისი სხეულის

სითბოს. ამ დილას ჩემი დელფინე ყველგან დავატარე, დუქნებში გავყევი, სახლამდე გავაცილე. ო, ნება მომეცით, თქვენ სიახლოვეს ვიცხოვრო! ხანდახან რაიმე დახმარება დაგჭირდებათ, მე აქვე ვიქნები და მიმსახურეთ! რა ბედნიერი იქნებოდა ჩემი საწყალი გოგონა, იმ სქელ ელზასელ კუნძს მისი ნეკრისის ქარები სტომაქში რომ გაუჯდებოდეს და მოკლავდეს! თქვენ ჩემი სიძე გახდებოდით, უკვე ცხადად, დაუმალავად მისი ქმარი იქნებოდით. იგი იმდენად უბედურია და არაფერი გაეგება ამა ქვეყნის სიამისა, რომ მე ყველაფერს ვაპატიებ მას. კეთილი ღმერთი იმ მამების მხარეზე უნდა იყოს, რომელთაც ძალიან უყვართ. _ მოხუცი გაჩუმდა, შემდეგ თავი გაიქნია და წამოიძახა: _ დელფინეს ძალიან უყვარხართ! გზაში თქვენზე მეუბნეობდა: «მამა, ხომ მართალია, რომ ის ძალიან კარგია, კეთილი გულისაა! ჩემზე თუ გელაპარაკება?» დ'არტუს ქუჩიდან დაწყებული პანორამის პასაჟამდე სულ რაღაცეებს მეტიკტიკებოდა. გულწრფელად გამიზიარა თავისი გულისნადები. ამ შესანიშნავი დილის განმავლობაში გავახალგაზრდავდი, ახლა აღარაფერი მამძიმებს. მე ვუთხარი, რომ თქვენ ათასფრანკიანი ბილეთი მომეცით. ვაი, საყვარელო! ისე აუჩქროლდა გული, რომ ცრემლი მოადგა თვალზე! აბა, რა გაქვთ მანდ ბუხრის თავზე? _ შეეკითხა მამა გორიო, რომელსაც გული აღარ უთმენდა, როცა ხედავდა, რომ რასტინიაკი ადგილიდან არ იძვრის.

რასტინიაკი დარეტიანებული იყო და გაბრუებულივით შესცქეროდა თავის მეზობელს. ეს დუელი, რომელიც ვოტრენის თქმით, ხვალისთვის იყო დანიშნული, იმდენად მძაფრ წინააღმდეგობაში იყო მის ყველაზე ძვირფასი იმედების ახდენასთან, რომ ყოველივე ამას იგი კოშმარივით განიცდიდა. ეჟენი მობრუნდა ბუხრისკენ, შენიშნა პატარა ოთხკუთხი კოლოფი, გახსნა და დაინახა შიგ ქაღალდის ფურცელი, რომელიც გადაფარებული იყო ბრეგეტის საათზე. ამ ქაღალდზე ეს სიტყვები ეწერა:

«მინდა, რომ ყოველ წუთს ჩემზე ფიქრობდეთ, რადგან...

დელფინე».

ეს უკანასკნელი სიტყვა, ეტყობა, მათ შორის მომხდარი რაღაცა ამბის მანიშნებელი იყო. საათის ოქროს ჩარჩოს შიგნით ეჟენის გერბი იყო გამოსახული მინანქრით. ეს ძვირფასი სათამაშო, რომელიც მას ამდენ ხანს ენატრებოდა, ძეწკვი, გასაღები, მისი მოყვანილობა და მოხატულობა, ყოველივე ისეთი იყო, როგორიც ეჟენს უნდოდა. მამა გორიოს სახე უბრწყინავდა. უდავოა, რომ იგი თავის ქალიშვილს დაჰპირდა დაწვრილებით მოყოლას იმისა, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ეჟენზე მოულოდნელი საჩუქარი და თუმცა ამ ორი ახალგაზრდის გრძნობათა ღელვაში იგი არ

ერია, მაგრამ, როგორც ჩანს, მათსავით ბედნიერებას განიცდიდა. მას უკვე უყვარდა რასტინიაკი არა მარტო თავისი ქალიშვილის გულისთვის, არამედ თვით ეჟენიც მოსწონდა.

_ წადით ამ საღამოს მასთან, იგი გელოდებათ. ბებერი ელზასელი ჯირკვი თავის მოცეკვავესთან სადილობს. ერთი უნდა გენახათ, რა სულელური სახე ჰქონდა, როდესაც ჩემმა რწმუნებულმა ყველაფერი გადმოულაგა. ეგ არ იყო, რომ გაგიჟებით უყვარდა ჩემი გოგონა? ხელი რომ ახლოს, მოვკლავ! მარტო იმის ფიქრი, რომ ჩემი დელფინე მას... (მან ამოიოხრა) დანაშაულს ჩამადენინებს; მაგრამ ეს კაცის კვლა როდი იქნება, ის ხომ ნამდვილი ღორია, რომელსაც ხბოს თავი აქვს გამობმული. ხომ წამიყვანთ თქვენთან?

_ კი, ჩემო მამა გორიო, ხომ იცით, რომ მიყვარხართ...

_ ამას კარგად ვხედავ, თქვენ ხომ არ გეთაკილებით! ნება მომეცით, გაკოცოთ! _ და მამა გორიო გადაეხვია სტუდენტს. – დამპირდით, რომ გააბედნიერებთ მას! ამ საღამოს ხომ წახვალთ მასთან?

_ კი, ოღონდ, აუცილებლად ერთ საქმეზე ვარ წასასვლელი, რომლის გადადება შეუძლებელია!

_ იქნებ რამეში დაგხმარებოდით?

_ შეიძლება! სანამ მე ქალბატონ დე ნუსინჟენთან ვიქნები, მიდით ბ-ნ ტაიფერთან, მამასთან და სთხოვეთ, რომ ამ საღამოს მასთან შეხვედრის საათი დამინიშნოს, რადგან უაღრესად საჭირო საქმეზე მსურს ლაპარაკი.

_ მაშ, ეს მართალი ყოფილა, ახალგაზრდავ! _ შეჰყვირა მამა გორიომ და ფერი ეცვალა, _ მართლა ხომ არ ეარშიყებით მის ქალიშვილს, როგორც ლაყბობენ ხეპრეები იქ, ქვემოთ? ღვთის რისხვა! თქვენ ჯერ არ იცით, რომ გორიოს შეუძლია სილაც გითავაზოთ? და თუ თქვენ გვატყუებდით, მაშინ ჩემი მუშტის დარტყმით... არა! ეს შეუძლებელია!

_ გეფიცებით, რომ ერთი ქალის გარდა სხვა არავინ მიყვარს ამქვეყნად, _ უთხრა სტუდენტმა. _ თუმცა ეს თვითონაც არ ვიცოდი ამ უკანასკნელ წუთამდე.

_ რა ბედნიერებაა! _ წამოიძახა მამა გორიომ.

_ მაგრამ, _ განაგრძო სტუდენტმა, _ ტაიფერის შვილი ხვალ დუელშია გამოწვეული და მე გავიგე, რომ მას მოჰკლავენ.

_ კი, მაგრამ, თქვენ რა გესაქმებათ? _ შეეკითხა გორიო.

_ მამის გაფრთხილებაა საჭირო, რომ არ გაუშვას თავისი შვილი! _ შეჰყვირა ეჟენმა.

ამ წუთში მას შეაწყვეტინა ვოტრენის ხმამ, რომელიც თავის კარებთან მღეროდა:

ო, რიჩარდ, ო, მეფევ ჩემო!
ყველასგან მიტოვებულო...
ბრუმ! ბრუმ! ბრუმ! ბრუმ! ბრუმ!
მე მომივლია მთელი ქვეყანა,
ბევრი მინახავს ტრა ლა ლა ლა ლა...

_ ბატონებო! _ დაიძახა კრისტოფმა, _ წვენი გელოდებათ, ყველანი უკვე სუფრას უსხედან!

_ წადი ჩემთან და ერთი ბოთლი ბორდოს ღვინო მომიტანე, _ უთხრა მას ვოტრენმა.

_ საათი როგორ მოგეწონათ? _ შეეკითხა მამა გორიო სტუდენტს. _ დელფინეს ხომ კარგი გემოვნება აქვს?

ვოტრენი, მამა გორიო და რასტინიაკი ერთად ჩავიდნენ ქვევით და ვინაიდან დააგვიანდათ, ერთად მოუსცხდნენ მაგიდას.

სადილის განმავლობაში ეჟენი ფრიად გულცივად ეპყრობოდა ვოტრენს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ასეთი თავაზიანი ადამიანი (ქალბატონ ვოკეს აზრით) დღეს განსაკუთრებით იჩენდა თავის გონებამახვილობას და თავისი ბრწყინვალე ოხუნჯობით ყველანი გაახალისა. ასეთი შეუდრეკელობა და გულცივობა ეჟენს შიშსა ჰგვრიდა.

_ ნეტა, ამ დილას რამე ხომ არ გიპოვნიათ, რომ სკვინჩასავით მხიარულობთ? _ შეეკითხა ქალბატონი ვოკე ვოტრენს.

_ მე ყოველთვის მიხარია, როდესაც კარგად მოვაჭახრაკებ საქმეებს.

_ საქმეებს? _ გაიკვირვა ეჟენმა.

_ დიახ, საქმეებს. ერთი წყება საქონელი გავასაღე და უფლება მაქვს კარგი საკომისიო მივიღო. _ უპასუხა ვოტრენმა სტუდენტს, შემდეგ მიაქცია ყურადღება, რომ შინაბერა აკვირდება და მას მიუბრუნდა: _ მადმუაზელ მიშონო! რა ნახეთ ჩემს სახეში ისეთი რამ, რაც არ მოგწონთ და ამრეზილი თვალით მათვალიერებთ? თქვით, ნუ გეშინიათ! გამოვასწორებ, ოღონდ თქვენ გესიამოვნოთ... პუარე თუ არ წამეჩხუბა... ჰა, რას იტყვი, პუარე? _ და ვოტრენმა თვალი ჩაუკრა ძველ მოხელეს.

_ ბიჭოს! თქვენ ნამდვილად ბაზრის ჰერკულესის დასახატავად გამოდგებოდით, _ უთხრა ახალგაზრდა მხატვარმა ვოტრენს.

_ მე რომ მკითხოთ, გამოვდგები, ოღონდ თუ მადმუაზელ მიშონოს პერ-ლაშეზის სასაფლაოს ვენერად დახატავენ, _ უპასუხა ვოტრენმა.

_ პუარეს? _ იკითხა ბიანშონმა.

_პუარე პუარედ დახატონ და ბაღების ღმერთად გამოდგება. მისი სახელი ხომ მსხლიდან არის წარმომდგარი.

_ დამპალი მსხლიდან, _ დაუმატა ბიანშონმა. _ და გამოვა რაღაც საშუალო მსხალსა და ყველს შუა.

_ სისულელეებს როშავთ, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ ჯობს, ერთი ბოთლი იმ თქვენი ბორდოს ღვინისა დაგვალევინოთ, მე რომ თვალი მოვკარი. კარგ გუნებასაც შეგვინარჩუნებს და სტომაქსაც არგებს.

_ ბატონებო! _ წარმოთქვა ვოტრენმა, _ ჩვენი ქალბატონი თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოგვიწოდებს. იმედია ქალბატონ კუტიურს და მადმუაზელ ვიქტორინეს არ ეწყინებათ თქვენი სახუმარო გაბაასება, მაგრამ მოერიდეთ მამა გორიოს უმანკოებას. ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ბორდოს ღვინის ერთი პატარა ბოთლორამა, რომელსაც ლაფიტის სახელი ორმაგად დიდებულად ხდის, რაიც ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშეა ნათქვამი. მოიტა, ჩინელო! _ თქვა ვოტრენმა და გადახედა კრისტოფს, რომელიც ადგილიდან არ იძროდა. _ აქეთ, კრისტოფ! ეს რა ამბავია, შენი სახელი აღარ გესმის? აბა, ჩინელო, მოიტა სასმელი!

_ ინებეთ, ბატონო, _ უთხრა კრისტოფმა და ბოთლი მოაწოდა.

ვოტრენმა გაუვსო ჭიქები ეჟენსა და მამა გორიოს, შემდეგ ნელ-ნელა ჩამოასხა რამდენიმე წვეთი თავისთვის და სანამ მისი მეზობლები სვამდნენ, გემო გაუსინჯა და მაშინვე დაიმანჭა.

_ ეს რა ჭირია! საცობის გემო მოსდევს. კრისტოფ, ეს შენთვის წაიღე, ჩვენთვის კი სხვა გამონახე: ხომ იცი, მარჯვენა მხარეს. სულ ჩვიდმეტნი ვართ, რვა ბოთლი მოგვიტანე.

_ რახან თქვენ ასე ხელგაშლილობთ ერთ ას ცალ წაბლს მეც ჩამოვდივარ, _ თქვა მხატვარმა.

_ პაჰ, პაჰ, პაჰ!

_ ბუჰ!

_ ფრრრ!

დამსწრეთა ეს წამოძახილები მაშხალებივით ვარდებოდა.

_ ძალუა ვოკე! ორ ბოთლ შამპანურს ჩამოდით! _ მიაძახა ვოტრენმა.

_ რაო? რა მინდაო? ბარემ, რატომ მთელ სახლს არ მომთხოვთ! ორი ბოთლი შამპანური! ეს ხომ ოცი ფრანკი ღირს! არა, მე მაგის მყიდველი არა ვარ! მაგრამ თუ ამას ბატონი ეჟენი იკისრებს, მაშინ მეც მოგართმევთ შავი მოცხარის სასმელს.

_ შავი მოცხარის სასმელი კუჭში გაგვხსნის, როგორც ზეითუნის ზეთი, _ ხმადაბლა წაილაპარაკა ბიანშონმა.

_ გაჩუმდი, _ მიაძახა მას რასტინიაკმა, _ თორემ მაგ ზეთის გაგონებაზე გული მიღონდება, რომ არ... კარგით, მოიტათ შამპანური, მე ვიხდი, _ დაუმატა სტუდენტმა.

_ სილვია, _ ბრძანა ქალბატონმა ვოკემ, _ მოგვიტანე ბისკვიტები და პატარა ნამცხვრები.

_ თქვენი პატარა ნამცხვრები უკვე დიდები გახდნენ, დაბერდნენ და წვერიც წამოეზარდათ, ბისკვიტები კი, მოიტა! _ უთხრა ვოტრენმა.

ერთ წუთში ჩამოარიგეს ბორდოს ღვინო, თანამეინახენი გახალისდნენ, მხიარულება გაორკეცდა. შეიქნა საშინელი ხარხარი, ბაძავდნენ სხვადასხვა ცხოველთა ხმას, მუზეუმის მოხელეს პარიზის ქუჩისთვის დამახასიათებელი, ატროებული კატის კნავილის მსგავსი ხმის მიბაძვა მოეხასიათა და მაშინვე რვა ხმამ დაიყრანტალა:

_ აბა, დანები გავლესოთ!

_ ჩიტის საკვები თესლი!

_ აბა, ნამცხვარი, კაი ნამცხვარი! ქალის გულის გასახარი!

_ ქვაბები მოკალო!

_ აბა, ახალი ხამანწკა მოვიდა!

_ ხალიჩების და ქალების გასაბერტყი!

_ ძველ ტანსაცმელს, ძველ ქუდებს, ხარახურას ვყიდულობ!

_ აბა, კარგი მწიფე ალუბალი ვის უნდა!

პირველობა დარჩა ბიანშონს, რომელმაც ცხვირში ლაპარაკს მიბაძა და წამოიძახა:

_ ქოლგებსა ვყიდი, ქოლგებს!

რამდენიმე ხანს ისეთი გამაყრუებელი ხმაური იდგა, რომ ადამიანს თავი გაუსკდებოდა. როშავდნენ რაღაც სისულეეებს, ერთი სიტყვით, ნამდვილი ოპერა შეიქნა, რომელსაც ვოტრენი დირიჟორივით ხელმძღვანელობდა და თანაც თვალს არ აშორებდა ეჟენსა და მამა გორიოს, რომლებიც, როგორც ჩანს, უკვე დამთვრალივყენ. ისინი ზურგით მიყრდნობოდნენ სკამებს, კუშტად შესცქეროდნენ ამ უჩვეულო უწესრიგობას და ცოტას სვამდნენ; ორივეს ის აწუხებდა, რაც ამ საღამოს იყო გასაკეთებელი, მაგრამ ადგომის ძალაც

კი არ შესწევდათ. ვოტრენმა რომელიც დროდადრო გვერდულად გადახედავდა ხოლმე და მათი სახის გამომეტყველების ცვლილებებს თვალყურს ადევნებდა, უხელთა დრო და როდესაც მათ უკვე თვალები ეჭუტებოდათ, დაიხარა ეჟენისაკენ და ჩასჩურჩულა:

_ ჩემო ბიჭიკო! ჯერ იმდენად ვერაგი ვერა ხართ, რომ მამიკო ვოტრენთან შეგეძლოთ შებრძოლება, მას კი იმდენად უყვარხართ, რომ სისულელეების ჩადენას არ დაგაცლით. მხოლოდ მაღალ ღმერთს შეუძლია გზა გადამიღობოს, როდესაც მე რაიმეს გადავწყვეტ. აა! თქვენ გინდოდათ წასულიყავით, გაგეფრთხილებინათ მამა ტაიფერი და, შეგირდს რომ არ ეპატიება, ისეთი შეცდომა ჩაგედინათ! ღუმელი გახურებულია, ცომი მოზელილია და მხოლოდ გამოცხობაღა აკლია. ხვალ კი ლუკმა-ლუკმა დავტეხავთ, გავკრავთ კბილს და ყელთამდე ამოვიყორავთ მუცელს... თქვენ კი გინდათ გამოცხობას ხელი შეუშალოთ?! არა! არა! ის გამოცხვება! თუ თქვენ მცირე რამ სინდისის ქენჯნა გაწუხებთ, არაფერია _ თქვენი კუჭი ამასაც მოინელებს. სანამ ჩვენ ცოტას წავუძინებთ, მანამ პოლკოვნიკი გრაფ ფრანკესინი თავისი ხმლის წვერით გადაწყვეტს მიშელ ტაიფერის მემკვიდრეობის ბედ-იღბალს. ვიქტორინე ძმისგან მემკვიდრეობით მიიღებს თხუთმეტი ათასი ფრანკის პატარა რენტას. ცნობები უკვე შევაგროვე და ვიცი, რომ დედამ სამას ათასზე მეტი დაუტოვა...

ეჟენს ესმოდა ეს სიტყვები და პასუხის გაცემის ძალაც კი არ შესწევდა, ენა სასას მიჰკრობოდა, ძილის ტყვეობისაგან თავი ვერ დაეღწია; მაგიდა და თანამესუფრეები ბურუსში გახვეული ეჩვენებოდა. თანდათან ხმაური მიწყნარდა და პანსიონერები თითო-თითოდ გაიკრიფნენ. როდესაც აღარავინ დარჩა ქალბატონ ვოკეს, ქალბატონ კუტიურის, მადმუაზელ ვიქტორინესა და მამა გორიოს გარდა, რასტინიაკმა თითქოს ძილში დაინახა, რომ ქალბატონი ვოკე ბოთლებს აგროვებს და სცლის ერთ ბოთლში, რათა ნარჩენებით გაავსოს იგი.

_ ჰოი, რა სულელები, რა ახალგაზრდები არიან, _ ამბობდა ქვრივი. ეს უკანასკნელი სიტყვები იყო, რომლებიც ეჟენს ჩასწვდა.

_ განა ბატონ ვოტრენის გარდა ვინმეს შეუძლია ასეთი ოინების მოწყობა? _ თქვა სილვიამ, _ ერთი შეხედეთ, კრისტოფი ჩიკორივითა ბზრიალებს.

_ მშვიდობით, დედი, _ უთხრა ვოტრენმა. _ ბულვარში მივდივარ, რათა დავტკბე ბატონ მარტის თამაშით **ველურ მთაში**, ეს დიდებული პიესა გადაკეთებულია **განდეგილიდან**... თუ ინებებთ, დაგპატიჟებთ თქვენცა და ამ ქალბატონებსაც.

_ დიდად გმადლობთ! _ უპასუხა ქალბატონმა კუტიურმა.

_ როგორ, მეზობელო! თქვენ უარს ამბობთ **განდეგილის** ნახვაზე? ეს ნაწარმოები შატობრიანის ატალას ყაიდაზეა დაწერილი, მისი კითხვა ჩვენ ძალიან გვიყვარდა გასულ ზაფხულს და იგი იმდენად მშვენიერია, რომ ჩვენ ვტიროდით ელოდიელი მაგდალინასავით **ცაცხვების** ძირას, ამასთნავე, ეს თხზულება ზნეობით არის აღსავსე და შეუძლია ყოველი სიკეთე შეასწავლოს თქვენს ქალიშვილს.

_ ჩვენ კომედიებზე სიარულის თავი არა გვაქვს, _ უპასუხა ვიქტორინემ.

_ დახეთ, ესენი კარგა დამბალან, _ თქვა ვოტრენმა და მამა გორიო და ეჟენი შეანჯღრია.

ვოტრენმა სტუდენტი სკამის ზურგზე მიაწვინა, რომ მას უფრო მშვიდად დაეძინა, გრძნობით აკოცა შუბლზე და წაუმღერა:

დაიძინე, ჩემო კარგო!
შენ მშვიდობას მე ვდარაჯობ.

_ ვშიშობ, ავად არ გახდეს, _ თქვა ვიქტორინემ.

_ მაშ, დარჩით და უპატრონეთ, _ უპასუხა ვოტრენმა და ყურში ჩასჩურჩულა: _ როგორც ერთგული მეუღლე, თქვენ ვალდებული ხართ. ამ ახალგაზრდას გაგიჟებით უყვარხართ და თქვენ მისი პატრა ცოლუკა გახდებით. ამას მე გიწინასწარმეტყველებთ; **ამგვარად**, _ განაგრძო მან ხმამაღლა, _ მათ დაიმსახურეს მთელი ქვეყნის პატივისცემა, ცხოვრობდნენ ბედნიერად და მრავალი შვილი ჰყავდათ. ასე მთავრდება ყველა სასიყვარულო რომანი. აბა, დედი, _ მიუბრუნდა იგი ქალბატონ ვოკეს და ხელი მოხვია, _ დაიხურეთ ქუდი, გამოეწყვეთ ჩინებულ ყვავილებიან კაბაში და გრაფის მეუღლის შარფი მოიხვიეთ. მე ფიაკრის მოსაყვანად მივდივარ... მე, ჩემდათავად.

და იგი წავიდა სიმღერით:

მზე ანათებს, მზე კაშკაშებს
და ამწიფებს მინდვრად კვახებს...

_ ღმერთო ჩემო! აბა, მითხარით, ქალბატონო კუტიურ, ასეთი ადამიანი ხომ გაგაბედნიერებს, თუნდაც სხვენზედაც რომ მოგიხდეს მასთან ცხოვრება. _ ქალბატონი ვოკე მევერმიშელეს მიუბრუნდა, _ ახლა მამა გორიოსიცა ვთქვათ. ამ კრიჟანგ ბებერს აზრადაც არ მოსვლია, რომ სადმე დავეპატიჟე. ღმერთო ჩემო! ახლავე მიწაზე

გაიშხლართება! ხნიერ ადამიანს არ შეშვენის ასე გონების დაკარგვამდე გამოთრობა. თუმცა, თქვენ მეტყვით, რომ შეუძლებელია იმის დაკარგვა, რაც არა გვაქვს სილვია! აიყვანე თავის ოთახში.

სილვიამ იღლიებში ამოსდო ხელი მოხუცს, აიყვანა ზევით და გაუხდელად ტომარასავით მიაგდო ლოგინზე.

_ საბრალო ახალგაზრდა, _ ამბობდა ქალბატონი კუტიური და თვალებზე ჩამოშლილ თმებს უსწორებდა ეჟენს. _ მთლად ქალიშვილივითაა, ზედმეტს ვერ იტანს.

_ ამასაც ვიტყოდი, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ უკვე ოცდათერთმეტი წელიწადია, რაც ეს პანსიონი მაქვს და რომ იტყვიან, ბევრ ახალგაზრდას გაუვლია ჩემ ხელში, მაგრამ ბატონ ეჟენივით საამო, ზრდილი ახალგაზრდის მნახველი არა ვარ. მძინარე რა ლამაზია! ქალბატონო კუტიურ! მისი თავი თქვენ მხარზე მიასვენეთ. ეჰეი! მადმუაზელ ვიქტორინეს მხარს მიეყრდნო: თვით ღმერთია ბავშვების შემწე. კიდევ ცოტა, სკამის ზურგს მიეჯახებოდა და კოპი დააჯდებოდა. რა შესანიშნავი წყვილი იქნებოდა ეს ორი ახალგაზრდა...

_ გაჩუმდით, მეზობელო! _ წამოიძახა ქალბატონმა კუტიურმა, _ თქვენ ისეთ რამეს ამბობთ...

_ ეჰ! მას არც კი ესმის, _ უპასუხა ქალბატონმა ვოკემ. _ სილვია, წამო, ჩამაცვი. ჩემი მაღალი კორსეტი უნდა ჩავიცვა.

_ კარგი ამბავია! სადილს შემდეგ თქვენი მაღალი კორსეტი? არა, იქნებ სხვა ვინმე გამონახოთ ჩამცმელად, მე კი თქვენი მკვლელი ვერ გავხდები. ისეთ უცნაურობას სჩადიხართ, რომ შეიძლება თანაც გადაჰყვეთ!

_ სულ ერთია! ბატონ ვოტრენის პატივისცემის გულისთვის.

_ ეტყობა, ძალიან გყვარებიათ თქვენი მემკვიდრეები!

_ წამო, სილვია. ლაპარაკი ზედმეტია, _ მოუჭრა ქვრივმა და თავის ბინისკენ გაემართა.

_ მაგ ხნის ქალი, _ მიმართა მზარეულმა ვიქტორინეს და თავის პატრონზე მიუთითა.

ქალბატონი კუტიური და მისი აღზრდილი, რომლის მხარზე მიყრდნობილ ეჟენს ეძინა, სასადილო ოთახში მარტონი დარჩნენ. მიყუჩებულ სახლში გაისმოდა კრისტოფის ხვრინვა და ამით კიდევ უფრო საყურადღებო ხდებოდა უდრტვინველი მოსვენება ეჟენისა, რომელსაც ბავშვივით ნებივრად მისძინებოდა. ვიქტორინე ბედნიერი იყო იმით, რომ

შეუძლია თავს ნება მისცეს, მოიქცეს ლმობიერად და ამ ლმობიერი საქციელით, რომელშიაც ქალის გულში ნადები ყველა გრძნობა გამოიხატება, ყოველგვარი დანაშაულის გარეშე იგრძნოს თავისი გულის მეზობლად ახალგაზრდა კაცის გულისცემა. ვიქტორინეს სახეზე გამოეხატებოდა გამომეტყველება მსგავსი მშობლიური მზრუნველობისა, რომელიც მას სიამაყეს ჰგვრიდა. ათასი ფიქრი ირეოდა მის გულში და ამ ფიქრებში შეიჭრებოდა ხოლმე აფორიაქებული გრძნობა, რომელიც ჭაბუკის ნორჩმა და წმინდა სუნთქვამ აღძრა.

_ საბრალო გოგონა! _ წარმოთქვა ქალბატონმა კუტიურმა და ხელი შეახო ვიქტორინეს. მოხუცი ქალი აღტაცებული შესცქეროდა მის მოწამებრივ და უბიწო სახეს, რომელსაც ბედნიერების შუქი მოჰფენოდა. ვიქტორინე საშუალო საუკუნეების იმ გულუბრყვილო ხატს ჰგავდა, რომელშიაც მხატვარს უარი უთქვამს ყველა წვრილმანზე და თავისი ამაღლებული და უდრტვინველი ყალმის მთელი ჯადოქრობა შემოუნახავს მოყვითალო ფერებით დახატული ხასისათვის, რომლის სიყვითლეს თითქოს ოქროსფერი ცის შუქი მოჰფენიაო.

_ ორი ჭიქის მეტი არც დაულევია, _ უთხრა ვიქტორინემ და თითებით შეეხო ეჟენის თმებს.

_ მოქეიფე რომ ყოფილიყო სხვასავით, ადვილად აიტანდა ღვინოს. ეს სიმთვრალე სასახელოცაა.

ქუჩაში ეტლის ხმაური გაისმა.

_ დედი! _ წამოიძახა ქალიშვილმა, _ ბატონი ვოტრენი მოსულა. ხელი მოჰკიდეთ ეჟენს, მე არ მინდა, რომ მაგ ადამიანმა ასეთ მდგომარეობაში დამინახოს. ისეთს რამეს იტყვის, სულს წაგიბილწავს, ქალს ისე შეხედავს, თითქოს აშიშვლებსო.

_ არა, _ უპასუხა ქალბატონმა კუტიურმა, _ სცდები! ბატონი ვოტრენი პატიოსანი კაცია. ცხონებულ ჩემს ქმარს წააგავს, ისიც უხეში, მაგრამ კარგი ადამიანი იყო; ბუზღუნებდა, მაგრამ ყველას მიმართ კეთილი იყო.

ამ დროს ძალიან წყნარად შემოვიდა ვოტრენი და შეხედა ამ სურათს _ ორ ბავშვს, რომელთაც ლამპის შუქი თითქოს ალერსით მოჰფენოდა.

_ მშვენიერია, _ თქვა მან და ხელები გულზე შემოიწყო, _ აი, ასეთი სურათი საუკეთესო ფურცლების დაწერას შთააგონებდა პოლისა და ვირჟინის ავტორს, ჩვენს კეთილ ბერნარდენ დე სენ-პიერს. ახალგაზრდობა, დიახ რომ ლამაზია, ქალბატონო კუტიურ! _ იგი დააცქერდა ეჟენს და წარმოთქვა: _ იძინე, საბრალო ბავშვო, სიკეთე ხანდახან ძილშიაც მოგვევლინება ხოლმე. ქალბატონო! _ მიმართა მან ქვრივს, _ ამ

ახალგაზრდისა მე მომწონს და მიზიდავს ის, რომ მისი სულიერი სილამაზე სახის სილამაზეს ეხმიანება. აბა, შეხედეთ, როგორა ჰგავს ანგელოზის მხარზე მისვენებულ ქერუბიმს. იგი ღირსია სიყვარულისა. მე რომ ქალი ვიყო, მისთვის მოვკვდებოდი (არა, არც ისეთი სულელი ვარ). მისთვის ვიცხოვრებდი. ამათი ცქერითა ვტკბები, _ ყურში ჩასჩურჩულა ვოტრენმა ქვრივს, _ და თავიდან ვერ მომიშორებია აზრი, რომ ღმერთმა ესენი ერთმანეთისთვის გააჩინა. _ ხოლო ხმამაღლა წამოიძახა: _ იდუმალია გზები განგებისა, იგი მცდელია, როგორც გულისა ისე წელისა. როცა ერთად გიცქერით, ერთნაირად უბიწოებსა და ყველა ადამიანური გრძნობების მატარებელთ, ჩემს თავს ვეუბნები _ შეუძლებელია, ისინი არც მომავალში გაითიშებიან. ღმერთი სამართლიანია. დიახ! _ მიმართა მან ქალიშვილს, _ ვგონებ, ერთხელ თქვენს ხელზე ბედნიერების ხაზები შევნიშნე. მიბოძეთ ხელი, მადმუაზელ ვიქტორინე. მე ცოტა რამ გამეგება ქირომანტიისა და ხშირად მიმკითხავნია ხოლმე. ნუ გეშინიათ! ეჰეი, რას ვხედავ? პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევთ, რომ სულ ცოტა ხანში თქვენ პარიზის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მემკვიდრე გახდებით. თქვენ ყელთამდე აავსებთ სიკეთით მას, ვინც გიყვართ. მამათქვენი მიგიხმობთ. თქვენ გათხოვდებით წოდების მქონე ახალგაზრდა და ლამაზ კაცზე, რომელსაც თქვენ ძლიერ უყვარხართ.

ამ დროს, კიბეზე მომავალ მოკეკლუცე ქვრივის მძიმე ნაბიჯებმა შეაწყვეტინეს ვოტრენს მისი წინასწარმეტყველებანი.

_ ესეც ძალუა ვოკკერრ, მშვენიერრი ვითარცა ვარრსკვლავი და სანთელივით ჩამოქნილი. მგონი, ცოტათი გიჭერთ? _ უთხრა მან ქვრივს და კორსეტის ზედა ქობაზე შეავლო ხელი. _ გულქვემოთ კარგად წაგიჭერიათ! არ კი იტიროთ! თორემ გასკდებით, და მე, როგორც ანტიკვარი, გულდასმით შევაგროვებ ყველა ნამსხვრევს.

_ აი, ვის სცოდნია თავაზიანი ფრანგული საუბარი! _ ჩასჩურჩულა ქვრივმა მადამ კუტიურს.

ვოტრენი მოუბრუნდა ეჟენსა და ვიქტორინეს.

_ მშვიდობით, ბავშვებო! გილოცავთ! _ და მან ხელები დაადო მათ თავზე. _ დამიჯერეთ, მადმუაზელ, რომ პატიოსანი ადამიანის კეთილი სურვილები რაიმეს მანიშნებელია, ისინი ბედნიერებას მოგიტანენ. ღმერთი შეისმენს მათ.

_ მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო, _ უთხრა ქალბატონმა ვოკემ თავის მდგმურს. _ როგორ ატყობთ, _ შეეკითხა იგი ხმადაბლა, _ ბატონ ვოტრენს ჩემ მიმართ მგონი რაღაც გარკვეული განზრახვები უნდა ჰქონდეს?

_ ჰაი! ჰაი!

როცა ქალები მარტო დარჩნენ, ვიქტორინემ ამოიოხრა და თავის ხელებს დააცქერდა.

_ დედიკო! რა კარგი იქნებოდა, კეთილი ბატონი ვოტრენი რომ მართალი გამოდგებოდეს.

_ ამისათვის მხოლოდ ერთი რამე უნდა მოხდეს, _ უპასუხა ხანდაზმულმა ბანოვანმა, _ მხოლოდ ის, რომ შენი მხეცი ძმა ცხენიდან ჩამოვარდეს.

_ ოჰ, დედი!

_ ღმერთო ჩემო!@ იქნებ ცოდვაა, რომ შენს მტერს ცუდი რამ უსურვო, _ უპასუხა ქვრივმა. _ რა გაეწყობა, მოვინანიებ აღსარების დროს. მართალი რომ ვთქვა, გულწრფელად შევუმკობ ყვავილებით საფლავს. საზიზღარი ადამიანი! მას იმის გამბედაობაც კი არ ეყო, რომ თავის დედას გამოქომაგებოდა. მთელი მისი დატოვებული ქონება სხვადასხვა ხვანჯებით თვითონ მიისაკუთრა და შენ გაზარალა. ჩემს ბიძაშვილს კარგი შეძლება ჰქონდა. შენდა საუბედუროდ, არავის მოსვლია აზრად, რომ საქორწინო ხელშეკრულებაში ყველაფერი გაეთვალისწინებინა.

_ ჩემთვის ყოველთვის სამძიმო იქნებოდა იმ ბედნიერებით სარგებლობა, რომელიც ვიღაცას სიცოცხლის ფასად მერგებოდა. და თუ ჩემი ძმის სიკვდილია საჭირო იმისთვის, რომ მე ბედნიერი გავხდე, ის მირჩევნია, რომ სამუდამოდ აქ დავრჩე, _ თქვა ვიქტორინემ.

_ ღმერთო ჩემო! ბატონმა ვოტრენმა თქვა და შენ თვითონ ხედავ, როგორი მორწმუნე ადამიანია იგი, _ უპასუხა ქალბატონმა კუტიურმა, _ მე სიამოვნებით დავრწმუნდი, რომ იგი ურწმუნო არ არის სხვასავით, ვინც ეშმაკზე მეტი პატივისცემით ლაპარაკობს, ვიდრე ღმერთზე. ჰოდა, ბატონმა ვოტრენმა ხომ თქვა _ ვის შეუძლია იცოდეს, თუ რა გზით წარმართავს განგება ჩვენს ბედნიერებასო.

სილვიას დახმარებით ქალებმა, როგორც იქნა, ეჟენი თავის ოთახში გადაიყვანეს, ლოგინზე დააწვინეს და მზარეულმა ტანსაცმელი შეუხსნა, რომ უფრო ხალვათად წოლილიყო. წამოსვლისას, როდესაც ქალბატონი კუტიური ზურგით შებრუნდა, ვიქტორინე შუბლზე ემთხვია ეჟენს და ამ მოპარვით კოცნაში იყო მთელი სიტკბოება ბედნიერებისა. მან თვალი გადაავლო ეჟენის ოთახს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთ აზრად შეკრა ამ დღის მრავალრიცხოვანი სანეტარო წუთები, შექმნა სურათი, რომლის ცქერით დიდხანს ტკბებოდა და ისე ჩაეძინა, რომ პარიზში მასზე ბედნიერი არსება არც მოიძებნებოდა.

_ ეს ჩარფუზანა, რომელიც ვოტრენმა იმისთვის გამართა, რომ ძილის წამლით შეზავებული ღვინით ეჟენი და მამა გორიო დაეთრო, თვით ვოტრენისათვის საბედისწერო გამოდგა. შეზარხოშებულ ბიანშონს დაავიწყდა ეკითხა მადმუაზელ მიშონოსათვის სიკვდილის მატყუარას შესახებ. მას რომ ეს სახელი ეხსენებინა, ვოტრენს, ან თუ მის ნამდვილ სახელს ვახსენებთ, კატორღის სახელოვან ადამიანს _ ჟაკ კოლენს, სიფხიზლე გაუმახვილდებოდა. ამასთანავე, ვოტრენმა მადმუაზელ მიშონოს პერ-ლაშეზის სასაფლაოს ვენერა უწოდა მეტსახელად, სწორედ იმ დროს, როდესაც კოლენის ხელგაშლილობის იმედით იგი იმის ვარაუდში იყო, რომ იქნებ უფრო სახეირო ყოფილიყო კოლენის გაფრთხილება, რათა იგი ამ ღამეს გაქცეულიყო, ახლა კი გადაწყვიტა გაეცა იგი პოლიციისათვის. პუარეს თანხლებით იგი გაემართა სენტ-ანის შესახვევისაკენ, სამძებრო პოლიციის სახელოვანი უფროსის სანახავად და მას ეგონა, რომ საქმე ექნება ისევ დიდ მოხელესთან, რომელსაც გონდიურო ჰქვია სახელად. პოლიციის უფროსმა ფრიად თავაზიანად მიიღო ისინი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ, როდესაც ყოველივე უკვე ზუსტად იქნა გათვალისწინებული, მადმუაზელ მიშონომ სთხოვა მიეცათ მისთვის წამალი, რომლის საშუალებითაც იგი შეძლებდა დაღის არსებობის გამორკვევას. იმ კმაყოფილების მიხედვით, რომელიც გამოესახა სენტ-ანის პატარა ქუჩის დიდ ადამიანს, როდესაც თავისი კარადის უჯრებში იგი წამლიანი შუშის ძებნას შეუდგა, მადმუაზელ მიშონო მიხვდა, რომ ვოტრენის შეპყრობას გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალო კატორღელის დაპატიმრებაა. ამის ფიქრში მას ეჭვი აღეძრა, რომ იქნებ პოლიციას იმედი აქვს მოღალატე კატორღელთა ზოგიერთ მამხილებელ ჩვენებათა მიხედვით ხელში ჩაიგდოს მნიშვნელოვანი თანხები. როდესაც მადმუაზელ მიშონომ გაუზიარა ამ მელას თავისი მოსაზრებანი, იგი ღიმილით შეეცადა შინაბერას ეჭვების გაქარწყლებას.

_ სცდებით, _ უთხრა მან მადმუაზელ მიშონოს, _ კოლენი იქნებ ყველაზე სახიფათო **სორბონაა**, რომელიც ოდესმე ყოფილა ქურდების სამყაროში. ეს ყველა არამზადამ იცის. ვოტრენი ხომ მათი დროშაა, მათი ბურჯი, ერთი სიტყვით, მათი ბონაპარტეა. იგი ყველას უყვარს. ეს გაიძვერა არასოდეს არ დაგვიტოვებს თავის **გოგრას** გრევის მოედანზე.

მადმუაზელ მიშონომ ვერაფერი ვერ გაიგო, ამიტომ გონდიურომ აუხსნა მნიშვნელობა ამ ორი სიტყვისა, რომელიც მან ქურდული ენიდან ისესხა.

სორბონა და **გოგრა** ქურდული კილოკავის ძლიერი გამოთქმებია. ქურდები იმთავითვე მიხვდნენ, რომ ადამიანის თავის განხილვა ორი თვალსაზრისით არის აუცილებელი. **სორბონა** ცოცხალი ადამიანის თავია, რომელიც ურჩევს ადამიანს, ფიქრობს

მისთვის; **გოგრა** კი დაცინვით აღნიშნავს იმ არარაობას, რომლადაც წაკვეთილი თავი იქცევა.

_კოლენი გვათამაშებს, _ განაგრძო გონდიურომ, _ როდესაც ასეთი, ინგლისური ფოლადის ზოდივით მაგარი ადამიანი გვხვდება, საშუალება გვეძლევა მოვკლათ იგი, თუკი დაპატიმრების დროს ცოტაოდენ წინააღმდეგობას მაინც გაგვიწევს. ამის ვარაუდით ვფიქრობთ, რომ ხვალ დილას მოვკლავთ კოლენს. ამით ვიცილებთ თავიდან სასამართლო პროცესსაც, შესანახ ხარჯებსაც, მცველთა ჯამაგირსაც და ვათავისუფლებთ საზოგადოებას ამ დავიდარაბისაგან. პროცესის წარმოება, მოწმეების გამოძახება, მათი ხარჯების ანაზღაურება, სიკვდილით დასჯა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ეს სალახანა კანონიერად მოვიშოროთ თავიდან, გაცილებით მეტი დაგვიჯდება, ვიდრე ათასი ეკიუ, რომელსაც თქვენ მოგცემთ. გარდა ამისა, დროსაც დავზოგავთ. სიკვდილის მატყუარას ფაშვში ერთი ლაზათიანად ხიშტს გავუყრით და ამით თავიდან ავიცილებთ ათას ბოროტმოქმედებას, თანაც, დანაშაულის ჩადენის განზრახვას ავარიდებთ ორმოცდაათ არამზადას, რომლებიც გამასწორებელი პოლიციის გარემოცვაში უფრო ჭკვიანად მოიქცევიან. აი, ეს გახლავთ კარგად მოწყობილი პოლიცია. ჭეშმარიტი ფილანტროპების თვალსაზრისით ასეთი მოქმედება ბოროტმოქმედების გამაფრთხილებელია. და ამით ემსახურები შენს ქვეყანას, _ დაუმატა პუარემ.

_ კარგია. _ გაიკვირა უფროსმა. _ ამ საღამოს თქვენ ჭკვიანურად ლაპარაკობთ. დიახ, ოღონდაც, რომ ქვეყანას ვემსახურებით, თუმცა ხალხი უსამართლოა ჩვენ მიმართ. ჩვენ საზოგადოებას დიდ სამსახურს ვუწევთ, მაგრამ იგი არ ჩანს. ამიტომ, უმაღლესი თანრიგის ადამიანს ყოველგვარ ცრუ აზრზე მაღლა უნდა ეჭიროს თავი, ხოლო ქრისტიანი კი უნდა შეურიგდეს იმ სამწუხარო შედეგებს, რომლებიც თან ახლავს ყოველ კეთილ საქმეს, როდესაც იგი ხორციელდება ხოლმე უჩვეულო გზით. ასე განსაჯეთ: პარიზი ყოველთვის პარიზია. ეს სიტყვები მთელ ჩემს სიცოცხლეს განმარტავს. მაქვს პატივი გამოგემშვიდობოთ, მადმუაზელ! ხვალ მე და ჩემი ბიჭები მეფის ბაღთან ვიქნებით. გამოგზავნეთ კრისტოფი ბიუფონის ქუჩაზე ბატონ გონდიუროსთან, იმ სახლში, სადაც მნახეთ. თქვენი მონა-მორჩილი ვარ, ბატონო! თუ როდისმე რამე მოგპარონ, მომმართეთ და დაკარგულს დაგიბრუნებ. მზად ვარ გემსახუროთ.

_ და ამის შემდეგ კიდევ მოიძებნებიან სულელები, რომლებიც პოლიციის სახელის ხსენებაზე გულს ასკდებიან. ეს ბატონი ძალიან თავაზიანია, თანაც, რასაც იგი გთხოვთ, სულ უბრალო რამეა. _ უთხრა პუარემ მადმუაზელ მიშონოს.

შემდეგი დღე ვოკეს სახლის ისტორიაში ფრიად უჩვეულო დღეთა რიცხვს ეკუთვნის. აქამდე, პანსიონის წყნარ ცხოვრებაში ყველაზე შესანიშნავი ამბავი მეტეორივით გაელვებული ცრუ გრაფის მეუღლე ლ'ამბერმენილის გამოჩენა იყო. მაგრამ ყოველივე უნდა გაუფერულებულიყო იმ დიადი დღის ამბების წინაშე, რომლებიც ქალბატონ ვოკეს სალაპარაკო გახდა სამუდამოდ.

დაიწყო იმით, რომ გორიომ და ეჟენ დე რასტინიაკმა თერთმეტ საათამდე იძინეს. ქალბატონი ვოკე შუაღამეს დაბრუნდა გეტეს თეატრიდან და თერთმეტის ნახევრამდე ლოგინში იწვა. კრისტოფმა ბოლო მოუღო ვოტრენის დატოვებულ ღვინოს და დიდხანს ეძინა, რის მიზეზითაც პანსიონში შემოღებული ჩვეულებრივი განრიგის შესრულება დაგვიანდა. პუარესა და მადმუაზელ მიშონოს საუზმის დაგვიანება სრულიად არ ენაღვლებოდათ. რაც შეეხება ვიქტორინესა და ქალბატონ კუტიურს, მათაც გვიანობამდე ეძინათ. ვოტრენი რვა საათზე გავიდა სახლიდან და დაბრუნდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საუზმე უკვე გაწყობილი იყო. ყოველივე ამით არავინ არ აღშფოთებულა, თუმცა უკვე პირველის ჩარექი იყო, როცა სილვიამ და კრისტოფმა ყველას კარებზე ბრახუნი ასტეხეს და გაიძახოდნენ, საუზმე უკვე მზად არისო. იმ დროს, როდესაც სილვია და მსახური სასადილო ოთახში არ იყვნენ, მადმუაზელ მიშონო პირველი ჩამოვიდა დაბლა და საწამლავი გაურია ვოტრენის ვერცხლის ჭიქაში ყავისათვის გამზადებულ ნაღებს, რომელიც, რათა არ გაცივებულიყო, ცხელ წყალში იყო ჩადგმული სხვა მდგმურთა ჭიქებთან ერთად. შინაბერამ გაითვალისწინა პანსიონის ზნე-ჩვეულებათა ეს თავისებურება, რათა თავისი საქმე მოემოქმედნა. როდესაც, ყველაზე ბოლოს, ეჟენი ზმორებით კიბეზე ჩამოდიოდა, შიკრიკმა მას ქალბატონ დე ნუსინჟენის წერილი გადასცა, რომელიც შემდეგს შეიცავდა:

«ჩემო მეგობარო! თქვენ მიმართ მე ცრუ თავმოყვარეობა არ მამოქმედებს და არც გაბრაზებული ვარ თქვენზე. ღამის ორ საათამდე გელოდეთ. უცადო ადამიანს, რომელიც გიყვარს! ვისაც ეს ტანჯვა განუცდია, ის არასოდეს სხვას არ განაცდევინებს. ვხედავ, რომ პირველად გიყვართ. რა მოხდა? მოუსვენრობამ ამიტაცა. ჩემი გულის საიდუმლოს გაცემისა რომ არ მეშინოდეს, მაშინვე წავიდოდი იმის გასაგებად, თუ რა დაგემართათ _ ავი თუ კარგი? მაგრამ, განა ჩემი დაღუპვა არ იქნებოდა, ასე გვიან რომ წავსულიყავ, გინდა ფეხით, გინდა ეტლით? მე მივხვდი, თუ რა უბედურებაა ქალობა. დამამშვიდეთ, ამიხსენით, რატომ არ მოხვედით ყოველივე იმის შემდეგ, რაც მამაჩემმა გიამბოთ? გაგიჯავრდებით, მაგრამ გაპატიებთ. იქნებ ავად გახდით? რატომ ცხოვრობთ ასე შორს?

მხოლოდ ერთ სიტყვას გეხვეწებით. ნახვამდის. ხომ კი? თუ დაკავებული ხართ, ჩემთვის საკმაოა მხოლოდ ერთი სიტყვა. თქვით: «მოვდივარ» ან «ავად ვარ», მაგრამ, შეუძლოდ რომ იყოთ, მამაჩემი მოვიდოდა და მეტყოდა! მაშ, რა მოხდა?..»

_ მართლაც, რა მოხდა? _ შეჰყვირა ეჟენმა, დაჭმუჭნა წერილი ისე, რომ ბოლომდე არ წაუკითხავს და სასადილო ოთახისკენ გაეშურა. _ რომელი საათია?

_ თორმეტის ნახევარია, _ უპასუხა ვოტრენმა და დაშაქრა თავისი ყავა.

გამოქცეულმა კატორღელმა ცივი და მომაჯადოებელი მზერა მიაპყრო ეჟენს; მზერა, რომელსაც მხოლოდ ზოგიერთი, უაღრესი მაგნიტური ძალის მქონე ადამიანები გამოასხივებენ ხოლმე და რომელზედაც ამბობენ, რომ მას საგიჟეთში მყოფი შეშლილების მოთრგუნვაც კი შეუძლიათო. ეჟენის მთელი არსება ათრთოლდა. ქუჩაში მომავალი ეტლის ხმაურობა გაისმა და ოთახში სწრაფად შემოვიდა ბატონ ტაიფერის ლივრეაში გამოწყობილი შეშფოთებული ლაქია, რომელიც ქალბატონმა კოტიურმა მაშინვე იცნო.

_ მადმუაზელ! _ შეჰყვირა ლაქიამ, _ მამათქვენი თავისთან გიხმობთ... დიდი უბედურება გვეწვია, ბ-ნი ფრედერიკი დუელში გამოიძახეს, ხმალი აძგერეს შუბლში და ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარა აქვთ... თქვენ შეიძლება ვეღარც მოასწროთ გამომშვიდობება, რადგან უკვე გონს აღარ არის.

_ საბრალო ახალგაზრდა! _ შესძახა ვოტრენმა, _ როგორ შეიძლება ჩხუბის ატეხა, როდესაც ოცდაათი ათასი ფრანკის წლიური შემოსავალი გაქვს? არა, ნამდვილად ახალგაზრდებმა სულ არ იციან თავის დაჭერა!

_ ბატონო! _ მიაყვირა მას ეჟენმა.

_ გისმენთ! რა გნებავთ, დიდო ბავშვო? განა პარიზში ყოველდღე არ ხდება დუელები? _ და მშვიდად დაამთავრა ყავის სმა, რასაც მადმუაზელ მიშონო ისეთი ყურადღებით ადევნებდა თვალს, რომ სრულიად გამორჩა ის არაჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც ყველას თავზარი დასცა.

_ მე გამოგყვებით, ვიქტორინე, _ უთხრა ქალბატონმა კუტიურმა ქალიშვილს და ორივენი ისე გაეშურნენ, რომ არც შალი წამოუსხამთ და არც ქუდი დაუხურიათ. წასვლის წინ ვიქტორინემ ატირებული თვალები მიაპყრო ეჟენს და ამ შემოხედვით თითქოს ეუბნეობდა: «არ მეგონა, რომ ჩემი ბედნიერება ცრემლად დამიჯდებოდა!»

_ ეჰე, ბატონო ვოტრენ, მართლა წინასწარმეტყველი ხომ არა ხართ? _ იკითხა ქალბატონმა ვოკემ.

_ მე _ ყველაფერი ვარ, _ უპასუხა ჟაკ კოლენმა.

_ უცნაური ამბავია! _ დაიძახა ქალბატონმა ვოკემ და მომხდარის გამო მიაყოლა ერთმანეთს სრულიად უმნიშვნელო წინადადებების მთელი ასხმა. _ სიკვდილს ჩვენდა დაუკითხავად მივყავართ ხოლმე. ახალგაზრდები ხშირად მოხუცებზე ადრე კვდებიან. ჩვენ, ქალები, კიდევ ბედნიერები ვართ, რომ დუელში არ ვიბრძვით, მაგრამ ჩვენ სხვა გასაჭირი გვაქვს, რომელიც კაცებს არ აწუხებთ. ჩვენ ბავშვებსა ვბადებთ და მშობიარობის ტანჯვა ხანგრძლივია. რა ბედი ეწია ვიქტორინეს! ახლა მამა იძულებული იქნება იცნოს იგი.

_ დახე ერთი! _ თქვა ვოტრენმა და ეჟენს შეხედა. _ გუშინ ერთი სუც კი არ ჰქონდა, დღეს კი რამდენიმე მილიონის პატრონია.

_ თქვენ ეგა თქვით! ბატონო ეჟენ! _ შეჰყვირა ქალბატონმა ვოკემ, _ კარგი ბედი გეძლევათ ხელში.

ამ მიმართვის გაგონებაზე მამა გორიომ შეხედა სტუდენტს და ხელში დაჭმუჭნილი წერილი დაუნახა.

_ ბოლომდე არც წაგიკითხავთ! რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავი, ნუთუ თქვენ ისეთივე ხართ, როგორც სხვები? _ შეეკითხა იგი სტუდენტს.

_ ქალბატონო, მე არასდროს არ შევირთავ მადმუაზელ ვიქტორინეს, _ ისეთი ზიზღითა და ძრწოლით უთხრა ეჟენმა ქალბატონ ვოკეს, რომ ყველა დამსწრე გააკვირა.

მამა გორიო წაეტანა და ხელი ჩამოართვა სტუდენტს და ხელზე კოცნაც კი მოუნდომა.

_ ოჰ, ოჰ! _ წაილაპარაკა ვოტრენმა. _ იტალიელებს ერთი კარგი გამოთქმა აქვთ: col tempo.

_ პასუხს ველოდები, _ მიმართა რასტინიაკს ქალბატონ დე ნუსინჟენის გამოგზავნილმა.

_ უთხარით, რომ მოვალ.

კაცი წავიდა. ეჟენი იმდენად აღელვებული და გაშმაგებული იყო, რომ სიფრთხილე სრულიად დაივიწყა.

_ რა ვქნა? _ ხმამაღლა ეკითხებოდა იგი თავის თავს. _ არავითარი საბუთი არ არსებობს!

ვოტრენს ჩაეცინა. ამ წუთებში საწამლავი უკვე კუჭში გაჟღენთილიყო და დაიწყო მოქმედება, მაგრამ კატორღელი იმდენად მაგარი გამოდგა, რომ წამოდგა, შეხედა რასტინიაკს და თითქმის უხმოდ წაულაპარაკა:

_ ახალგაზრდავ, სიკეთე ძილში მოგვევლინება ხოლმე, _ და თითქოს სიკვდილმა მოცელაო, ისე დაეცა და გაიშოტა.

_ კიდევ ყოფილა ღვთის სამართალი! _ შესძახა ეჟენმა.

_ რა დაემართა ამ უბედურ ბატონ ვოტრენს?

_ დამბლა დაეცა! _ იყვირა მადმუაზელ მიშონომ.

_ სილვია, შვილო, გაიქე, ექიმი მონახე, _ უთხრა ქვრივმა, _ თქვენ კი, ბატონო რასტინიაკ, გაიქეცით მალე ბატონ ბიანშონთან, რადგან სილვიამ შეიძლება ვერ მოუსწროს ჩვენს ექიმს ბატონ გრენპრელს.

რასტინიაკს გაეხარდა, რომ ამ საშინელი ჯურღმულიდან წასვლის საბაბი ნახა და სირბილით გაემართა.

_ კრისტოფ! გაიქეცი მეაფთიაქესთან და დამბლის რამე წამალი სთხოვე.

კრისტოფი გაიქცა.

_ აბა, მამა გორიო, მიშველეთ, მაღლა ავიტანო ბ-ნი ვოტრენი.

ვოტრენი ასწიეს, აიყვანეს კიბეზე და თავის ლოგინზე დაასვენეს.

_ მე მეტი ვერაფერში გამოგადგებით. წავალ, ჩემს ქალიშვილებს ვნახავ, _ თქვა გორიომ.

_ ბებერი ეგოისტი! _ დაიყვირა ქალბატონმა ვოკემ. _ წადი! ნეტავ სადმე ჩაძაღლდებოდე!

_ წადით, ნახეთ, იქნებ სადმე ეთერი გაქვთ. _ უთხრა ქალბატონ ვოკეს მადმუაზელ მიშონომ, რომელიც პუარეს დახმარებით ტანსაცმელს ხდიდა ვოტრენს.

ქალბატონი ვოკე ჩავიდა თავის ბინაში და მარტო დასტოვა მადმუაზელ მიშონო ბრძოლის ველზე სათარეშოდ.

_ აბა, მალე გახადეთ პერანგი და ზურგით შემოაბრუნეთ. რამეში მაინც გამომადექით და შიშველ სხეულს ნუ დამანახვებთ, _ უთხრა მან პუარეს. – რამ გაგაშეშათ?

ვოტრენი შემოაბრუნეს. მადმუაზელ მიშონომ მაგრა შემოჰკრა ხელისგული ავადმყოფის შიშველ მხარზე და გაწითლებულ ადგილზე თეთრად დაემჩნა ორი საბედისწერო ასო.

_ რა იოლად დაიმსახურეთ სამი ათასი ფრანკის გასამრჯელო, _ წამოიძახა პუარემ და ხელი შეაშველა ვოტრენს, რომელსაც მადმუაზელ მიშონო პერანგს აცმევდა. _ უფ! რა მძიმეა, _ ამოიხვნეშა და ისევ დააწვინა ვოტრენი.

_ გაჩუმდით! ნეტავ, სალარო აქ ხომ არა აქვს? _ წაილაპარაკა ბებერმა ქალიშვილმა, რომელიც ისე აცეცებდა თვალებს, თითქოს კედლების გახვრეტა უნდოდა და ხარბად შესცქეროდა ოთახში მყოფ ყველა საგნებს. _ რა მოვიმიზეზოთ, რომ შეიძლებოდეს ამ საიდუმლოს გახსნა? _ განაგრძო მან.

_ შეიძლება, კარგი არ იყოს, _ უპასუხა პუარემ.

_ არა! მოპარული ფული მთელ ქვეყანას ეკუთვნოდა, ახლა კი არავისია, მაგრამ ამის დრო აღარ არის. ვოკეს ფეხის ხმა მესმის!

_ ეთერი ვიპოვნე, _ თქვა ქალბატონმა ვოკემ. _ რომ ვთქვათ, დღევანდელი დღე ნამდვილად განსაცდელის დღეა. ღმერთო, ეს კაცი არ შეიძლება რომ ავად იყოს! დახეთ, რა თეთრია, წიწილასავით.

_ წიწილასავით? _ გაიმეორა პუარემ.

ქვრივმა გულზე დაადო ხელი ავადმყოფს და განაგრძო:

_ გულიც თანაბრად უცემს.

_ თანაბრადაო? _ გაიკვირვა პუარემ.

_ სრულიად ჯანსაღია!

_ თქვენ ასე გგონიათ? _ შეეკითხა პუარე.

_ ცხადია! მძინარესა ჰგავს. სილვია ექიმის საძებნელად წავიდა. მადმუაზელ მიშონო, შეხედეთ, როგორ სუნთქავს ეთერს. აჰა! ეს ხომ უბრალო კრუნჩხვაა! ოსმალოსავით მაგარი ვაჟკაცია. დახეთ, როგორი თმა აქვს გულ-მკერდზე. ასეთი კაცი ას წელიწადს იცოცხლებს. პარიკიც ისე მაგრა აქვს, რომ არცა ძვრება. დახე, მიკრული ჰქონია. ეს თმა იმიტომ გაუკეთებია, რომ წითელი თმა ჰქონია. ამბობენ, რომ ასეთი წითლები ან ძალიან კარგნი, ან ძალიან ცუდნი არიან. ეს კი უფრო კარგსა ჰგავს, არა?

_ კარგია, თუ ჩამოეკიდა, _ თქვა პუარემ.

_ ლამაზი ქალის კისერზე! ხომ ასე უნდა გეთქვათ? _ სწრაფად გააწყვეტინა მას მადმუაზელ მიშონომ. _ წადით აქედან, ბატონო პუარე. კაცების მოვლა-პატრონობა, როდესაც თქვენ ავადა ხდებით, ქალების საქმეა. ის გირჩევნიათ, რომ გაისეირნოთ, ეს საქმე კარგად გეხერხებათ, _ დაუმატა მან. – ქალბატონი ვოკე და მე კი კარგად მივხედავთ ჩვენს ძვირფას ბატონ ვოტრენს.

პუარე წყნარად და ხმისამოუღებლად გაიძურწა ძაღლივით, რომელსაც პატრონმა პანღური ამოჰკრა.

რასტინიაკი სახლიდან წავიდა, რათა გაესეირნა და ჰაერი ჩაესუნთქა, რადგან სული ეხუთებოდა. მას ხომ წუხელ უნდოდა გაეფრთხილებინა და აეცილებინა ეს ბოროტმოქმედება! ეს კი ზუსტად დანიშნულ საათზე მოხდა. მაშ რა ქნას? რა უნდა მოიმოქმედოს? მას აკანკალებდა, როდესაც ფიქრობდა, რომ იგიც ამ ბოროტმოქმედების მონაწილეა. მას კვლავ აშინებდა ვოტრენის გულგრილობა.

_ კი მაგრამ, ვოტრენი რომ მოკვდეს და არაფერი თქვას? _ ეკითხებოდა თავის თავს რასტინიაკი და ისე დარბოდა ლუქსემბურგის ბაღის ხეივნებში, თითქოს მას მწევრების ხროვა მოსდევდა და მათი ყეფაც კი ეჩვენებოდა.

_ რა ქენი, _ მიაძახა მას ბიანშონმა, _ «მესაჭე» თუ წაიკითხე?

«მესაჭე» რადიკალური ფურცელი იყო, რომელიც ტისოს რედაქციით იბეჭდებოდა პროვინციული მკითხველებისათვის დილის გაზეთების გამოსვლის შემდეგ რამდენიმე საათის დაგვიანებით. ამ გამოცემაში თავმოყრილი იყო იმ დღის ახალი ამბები, რომლებსაც სხვა გაზეთებზე ოცდაოთხი საათით ადრე აწვდიდნენ პროვინციას.

_ გასაოცარ ამბებს ნახავ, _ თქვა კოშენის ჰოსპიტლის პრაქტიკანტმა. _ ტაიფერის შვილს დუელში უჩხუბნია ძველი გვარდიის ოფიცერთან გრაფ ფრანკესინისთან, რომელმაც ორი დიუმი რკინა უთავაზა შუბლში. ახლა პატარა ვიქტორინე პარიზის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი საცოლეა! ეჰ, კაცს რომ სცოდნოდა! სიკვდილი ხომ იგივე თამაშია. მითხარ, მართალია, რომ ვიქტორინე მოწყალე თვალით გიყურებდა?

_ გაჩუმდი, ბიანშონ, მე მას არასდროს შევირთავ. მე მშვენიერი ქალი მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მე...

_ ყოველივე ამას შენ ისე ამბობ, თითქოს თავს არწმუნებ, რომ ღალატი არ შეგეპაროს. აბა, ისეთი ქალი მაჩვენე, ვინც ღირდეს იმად, რომ პატივცემული ტაიფერის ქონება მსხვერპლად შეეწიროს.

_ ნუთუ ჩემ წინააღმდეგ ყველა დემონი ამხედრებულა? _ შეჰყვირა რასტინიაკმა.

_ ნეტა ამ დემონებს სადა ხედავ? ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? ხელი მომეცი, მაჯა გაგისინჯო. ნამდვილად გაციებს.

_ წადი ძალუა ვოკეს სახლში, _ უპასუხა რასტინიაკმა, _ ის ყაჩაღი ვოტრენი მკვდარივით უსულოდ დაეცა.

_ შენ ჩემს ეჭვებს ადასტურებ. წავალ, შევამოწმებ, _ თქვა ბიანშონმა და რასტინიაკი მარტო დატოვა.

სამართლისმეტყველების სტუდენტის გასეირნებას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. მან სხვადასხვა მხრიდან შემოუარა და შეხედა თავის სინდისს და თუმცა ბევრი ჩხრიკა, აწონ-დაწონა, იჭოჭმანა, მაგრამ მაინც გაუძლო და მისი პატიოსნება ამ მკაცრი და მრისხანე შემოწმებიდან ისეთი მაგარი გამოვიდა, როგორც რკინის ზოდი, რომელიც ყოველგვარ გამოცდას გაუძლებს. მან გაიხსენა საიდუმლოება, რომელიც გუშინწინ მას მამა გორიომ გაანდო. მას მოაგონდა ბინა დ'არტუას ქუჩაზე, რომელიც დელფინემ მისთვის შეარჩია, ამოიღო დელფინეს წერილი, გადაიკითხა, აკოცა.

«ასეთი სიყვარული ჩემი გადამრჩენი ღუზაა, _ გაიფიქრა სტუდენტმა. _ საბრალო მოხუცი ამდენს ეწამა. იგი არაფერს ამბობს თავისი დარდების შესახებ, მაგრამ ვინ არ მიხვდება? არაფერია; მშობელ მამასავით ზრუნვას არ მოვაკლებ და შევეცდები ყველაფერში ვასიამოვნო. და თუ დელფინეს ვუყვარვარ, ხშირად ივლის ჩემთან და მთელ დღეებს გაატარებს მოხუცთან. ეს გრაფ დე რესტოს წარჩინებული მეუღლე დიდი წუპაკი ვინმეა. მას შეუძლია თავისი მამა მეკარედაც აქციოს. ჩემი კარგი დელფინე! იგი ხომ გაცილებით უკეთესად ექცევა მოხუცს და სიყვარულის ღირსია. ამ საღამოს მე მართლაც ბედნიერი ვიქნები».

მან ამოიღო საათი და დატკბა მისი ცქერით.

«რა კარგად მიმართლებს ბედი! როდესაც ძლიერ, სამუდამოდ შეგიყვარდება, მაშინ ურთიერთდახმარებაც დასაშვებია. ამიტომ შემიძლია, მივიღო ეს საჩუქარი. თანაც წარმატებას მივაღწევ და, ცხადია, ყველაფრის ასკეცად დაბრუნება შემეძლება. ამ ჩვენს კავშირში არც ბოროტმოქმედებაა, არც სხვა რაიმე ისეთი, რაზედაც, თუნდაც ყველაზე მკაცრმა სათნოებამ შეიძლება წარბი შეიკრას. რამდენი პატიოსანი კაცია ჩაბმული მსგავს კავშირში! ჩვენ არავის არ ვატყუებთ; სწორედ სიცრუეა, რომ ადამიანს ამცირებს! ტყუილის ქნა ხომ საკუთარ თავზე უარის თქმაა! დიდი ხანია უკვე, რაც დელფინე ქმრისგან განცალკევებულია და მერე მე თვითონ ვეტყვი იმ ელზასელს, რომ უარი თქვას ამ ქალზე, რადგან ბედნიერების მინიჭება არ შეუძლია».

დიდხანს გაგრძელდა რასტინიაკის გულში ეს ბრძოლა.

თუმცა ჭაბუკურმა სათნოებამ გაიმარჯვა, მაინც ცნობისმოყვარეობას ვერ დასძლია და ხუთის ნახევარზე, დაღამებისას ვოკეს პანსიონში დაბრუნდა, მაგრამ ამასთანავე დაიფიცა, რომ სამუდამოდ მიატოვებს ამ სახლს. მას უნდოდა გაეგო, მოკვდა თუ არა ვოტრენი.

ბიანშონს აზრად მოუვიდა ვოტრენისათვის პირისსასაქმებელი წამლის მიცემა. შემდეგ, მისი ამონანთხევის ქიმიური ანალიზის გასაკეთებლად თავის ჰოსპიტალში გაგზავნა. ბიანშონის ეჭვები განმტკიცდა, როდესაც დაინახა, თუ რა დაჟინებით ცდილობდა მადმუაზელ მიშონო ამ ამონანთხევის სანაგვეში გადაღვრას. ამასთანავე, ვოტრენი ძალიან სწრაფად გამოჯანსაღდა და ამიტომ ბიანშონი აღარ ეჭვობდა, რომ არსებობს შეთქმულება ამ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც მათი პანსიონის სული და გული იყო. როდესაც რასტინიაკი დაბრუნდა, ვოტრენი უკვე დაბლა ჩამოსულიყო და სასადილო ოთახის ღუმელთან იდგა. როგორ და რა გარემოებაში მოხდა ტაიფერის შვილის დუელი, რა შედეგი ექნება ამას ვიქტორინეს ბედისათვის? ყოველივე ამის გაგების წადილმა ჩვეულებრივზე ადრე შეჰყარა ერთად ყველა პანსიონერი, მამა გორიოს გარდა, და ახლა ისინი ამ ამბის სჯა-ბაასში იყვნენ. როდესაც ეჟენი ოთახში შევიდა, მისი თვალები ვოტრენის უშფოთველ მზერას შეხვდა და ეს მზერა ისე ღრმად ჩასწვდა გულში და ისე ძლიერ ააჟღერა მისი სულის მდაბალი ზრახვების სიმები, რომ იგი შეკრთა.

_ ასეა, ჩემო შვილიკო! _ უთხრა მას გამოქცეულმა კატორღელმა. _ ცხვირპაჭუა კიდევ დიდხანს ვერ მომერევა. ჩვენი ქალები მარწმუნებენ, რომ მე ისეთ დარტყმას გავუძლე, რომელიც ხარსაც კი წააქცევდა.

_ ოჰ! სრულიად თამამად შეგიძლიათ თქვათ, ბუღასაც წააქცევდაო! _ წამოიძახა ვოკეს ქვრივმა.

_ იქნებ გწყინთ, რომ ცოცხალს მხედავთ, _ ჩასჩურჩულა ვოტრენმა ეჟენს ყურში ისე, თითქოს მის აზრებს ჩასწვდაო. _ ეს აზრი ჯოჯოხეთური სიძლიერის ადამიანის ღირსია.

_ ჰო, რა უნდა მეთქვა! _ გაახსენდა ბიანშონს. _ ამ სამი დღის წინ მადმუაზელ მიშონო ერთ კაცს ელაპარაკებოდა ვიღაც სიკვდილის მატყუარას შესახებ. ეს სახელი თქვენზეა ზედგამოჭრილი.

ამ ამბის გაგონებამ თითქოს მეხი დასცა ვოტრენს. იგი გაფითრდა და შეტორტმანდა, მისი მაგნიტური მზერა მზის სხივივით დაეცა მადმუაზელ მიშონოს და თითქოს ნებისყოფის გამოსხივებამ მოცელა იგი. შინაბერა მთლად მოეშვა და სკამზე დაეცა. პუარე უცებ შუაში ჩაუდგა ვოტრენსა და შინაბერას. იგი მიხვდა, რომ ქალს საფრთხე მოელის, ისეთი სიმკაცრე მძვინვარებდა კატორღელის სახეზე, როდესაც მოსცილდა სიკეთის ნიღაბი, რომლითაც იგი თავის ჭეშმარიტ ბუნებას ფარავდა. თუმცა არავის ესმოდა, თუ რაში მდგომარეობდა ეს დრამა. ყველანი გაშეშდნენ. ამ დროს ქუჩიდან მოისმა რამდენიმე ადამიანის ფეხის ხმა და თოფების ჩხარუნი, რომლებიც ჯარისკაცებმა მხრიდან ჩამოიღეს

და ფილაქანზე დაუშვეს. სანამ კოლენი თავისდაუნებურად გასავალს ეძებდა და ათვალიერებდა კედლებსა და ფანჯრებს, სასტუმრო ოთახის კარებში ოთხი კაცი გამოჩნდა. პირველი მათგანი სამძებრო პოლიციის უფროსი იყო, დანარჩენი სამი _ პოლიციის მოხელეები.

_ კანონისა და მეფის სახელით! _ თქვა ერთმა პოლიციელმა, მაგრამ მისი ხმა გაკვირვების წამოძახილებმა დაჰფარეს.

სასადილო ოთახში უცებ სიჩუმე დამყარდა. მდგმურები აქეთ-იქით მიდგნენ, რათა გზა მიეცათ ამ სამი კაცისათვის, რომელთაც ხელები ჯიბეებში ჩაეყოთ და ჩახმახზე შეყენებული დამბაჩები მოემარჯვებინათ. აგენტებს ორი ჟანდარმი შემოჰყვა და სასტუმროს კარებში ჩადგა, ორიც იმ კარებში გამოჩნდა, რომელიც კიბეზე გადიოდა. სახლის ფასადის გაყოლებით მიმავალ ფილაქანზე ჯარისკაცების ფეხის ხმა, თოფების ჩხარუნი ისმოდა. სიკვდილის მატყუარასათვის ყველა გასაქცევი გზა მოეჭრათ და ყველა იქ დამსწრემ თავისდაუნებურად მას მიაპყრო თვალი. პოლიციის უფროსი პირდაპირ მიადგა ვოტრენს და ისე მძლავრად გაარტყა, რომ პარიკი მოსძვრა თავიდან და კოლენის საზარელი გარეგნობა გააშიშვლა. აგურისფერი წითელი მოკლე თმა ძალისა და, ამავე დროს, შემაძრწუნებელ იერს აძლევდა გულ-მკერდთან კარგად შეხამებულ თავსა და სახეს, რომლებიც ჯოჯოხეთური ალის შუქით იყვნენ განათებულნი. ყველასათვის ცხადი შეიქნა, თუ ვინ არის ვოტრენი, როგორია მისი წარსული, აწმყო და მომავალი, რაშია მისი რწმენა, მისი საკუთარი სურვილების შეუზღუდველი კულტი, მისი ბატონობა, რომელსაც მან თავისი აზროვნებისა და მოქმედების ცინიზმითა და ყველაფრისათვის გამზადებული ორგანიზის სიძლიერით მიაღწია. ახლა სისხლი ავარდნოდა თავში და ველურ კატასავით აბრიალებდა თვალებს. მან ისეთი სიძლიერითა და მრისხანებით გაიწია და შეხტა ადგილზე, ისე დაიღრიალა, რომ შიშნაკრავმა მდგმურებმა კივილი ასტეხეს. პოლიციელებმა ისარგებლეს, დანახვისთანავე დამბაჩები იძრეს. ფეხზე შეყენებული ჩახმახების დანახვაზე კოლენი მიხვდა საფრთხეს და ერთ წუთში დაანახა ყველას, თუ რა ძლიერება შესწევს ადამიანის ნებისყოფას. საზარელი და დიადი სანახავი იყო! მის სახეზე ის საკვირველი მოვლენა აისახა, რომელიც შეიძლება შეკუმშული ორთქლით სავსე ორთქლის ქვაბს შევადაროთ. ორთქლს მთების დაძვრა ძალუძს, ცივი წყლის ერთი წვეთისგან კი თვალის დახამხამებაში დაწდება ხოლმე. ასეთი წვეთი, რომელსაც კოლენის ბრაზის დამშვიდება ეწერა, ერთი ელვასავით სწრაფი აზრი გახლდათ. კოლენმა ჩაიცინა და თავის პარიკს შეხედა.

_ ერთ დროს უფრო ზრდილობიანი იყავით, _ უთხრა მან სამძებრო პოლიციის უფროსს და ხელები გაუწოდა ჟანდარმებს, რომლებსაც თავით ანიშნა, რომ მიახლოვებოდნენ. _ ბატონო ჟანდარმებო, გამიკეთეთ ეგ, ხუნდებია თუ ხელბორკილები. ყველა აქ დამსწრეს ვიმოწმებ, რომ წინააღმდეგობა არ გამიწევია.

ყველა იქ მყოფთა აღტაცება გამოიწვია იმ სისწრაფემ, რომლითაც ამოიფრქვა ამ ადამიან-ვულკანის გულიდან ლავა და ცეცხლი და კვლავ მიიმალა მის გულ-მკერდში.

_ თქვენი ბანქო გაჭრილია, ბატონო დამცემო! _ მიმართა ვოტრენმა სამძებრო პოლიციის სახელმოხვეჭილ უფროსს.

_ აბა, გაიხადე! _ მიაძახა მას კაცმა სენტ-ანის შესახვევიდან.

_ რისთვის? _ უპასუხა კოლენმა. _ აქ ქალები არიან. მე ხომ არაფერს უარვყოფ და ფარ-ხმალს ვყრი. _ იგი წამს დუმდა და ისე ათვალიერებდა იქ შეკრებილთ, როგორც ორატორი, რომელიც საკვირველი ამბის თქმას აპირებს. _ დაწერეთ, ბიძია ლაშაპელ! _ მიმართა მან პატარა თმაჭაღარა მოხუცს, რომელიც მაგიდის ბოლოში დამჯდარიყო და პორტფელიდან დაპატიმრების ოქმი ამოეღო. _ მე ვაღიარებ, რომ ჟაკ კოლენი ვარ, სიკვდილის მატყუარად წოდებული, რომელსაც ოცი წლის ბორკილებით პატიმრობა აქვს მისჯილი და ახლა დაგიმტკიცებთ, რომ ტყუილად არ ვატარებ ამ მეტსახელს. მარტო ერთი ხელიც რომ გამენძრია, _ მიმართა მან პანსიონერებს, _ ეს სამი ჯაშუში ჩემი წვენით მორწყავდა ძალუა ვოკეს შინაურ ბუნაგს. უცნაური ხალხია! ესენიც რომ მახის დაგებას მიპირებდნენ!

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონი ვოკე ცუდად შეიქნა.

_ ღმერთო ჩემო, ამის შემყურე ავად გავხდები! თანაც გუშინ ხომ გეტეს თეატრში ვიყავი მასთან ერთად, _ უთხრა მან სილვიას.

_ ფილოსოფიურად უნდა შეხედოთ, ძალუა, _ უპასუხა კოლენმა. _ განა ცუდი იყო, რომ გუშინ ჩემთან ერთად გეტეს ლოჟაში იყავით? _ შესძახა მან. _ განა რამეში გვჯობნიხართ? ის დაღი, რომელსაც ჩვენ მხარზე ვატარებთ, თქვენ, განგრენით დაავადებული საზოგადოების მოდუნებულ წევრებს, გულზე გაქვთ დაჭდეული: თქვენგან ყველაზე უკეთესმა მე ვერ გამიძლო.

მან შეხედა რასტინიაკს. მისდამი მიმართული იყო ალერსიანი ღიმილი, რომელიც ასე ეწინააღმდეგებოდა მისი სახის მკაცრ გამომეტყველებას.

_ ჩვენი ხელშეკრულება ყოველთვის ძალაშია, ჩემო ანგელოზო; რასაკვირველია, თანხმობის შემთხვევაში, ხომ მიხვდით? _ და თან წაიმღერა:

მეამიტია ჩემი ფანშეტა,
ამიტომ არის ის მშვენიერი...

_ ნუ შეგეშინდებათ, _ განაგრძო მან, _ მე ჩემსას დავიბრუნებ. ჩემი იმდენად ეშინიათ, რომ არაფერს არ გამიქაფავენ.

კატორღის ზნე-ჩვეულებანი და კილოკავი მისი უეცარი გადასვლებით სახუმაროდან საზარელზე, მისი შემზარავი სიდიადე, მისი მოურიდებლობა, მისი სიმდაბლე, ყველაფერი უცებ გამოაშკარავდა ამ სიტყვებში და ამ კაცის მიერ, რომელიც ადამიანი კი აღარ იყო, არამედ რომელიღაც ველური და ჭკვიანი, მოუხეშავი და მარჯვე ტომის გადაგვარებული ჯიშის ტიპი.

ერთ წუთში კოლენი დაემსგავსა რაღაც ჯოჯოხეთურ პოემას, რომელშიაც ყველა ადამიანური გრძნობა იყო გამოსახული, გარდა მხოლოდ სინანულისა. მისი შემოხედვა წაწყმედილი ანგელოზის მზერას ჰგავდა, რომელიც ყოველთვის ბრძოლისთვისაა გამზადებული. რასტინიაკმა თვალები დაუშვა თავის ავ ზრახვათა მონანიების ნიშნად და ამით დაადასტურა ეს სამარცხვინო მეგობრობა.

_ ვინ გამცა? _ იკითხა მრისხანედ ვოტრენმა, გადახედა იქ შეკრებილებს და თვალი მადმუაზელ მიშონოზე შეაჩერა. _ ააა, ეს შენა ხარ, ბებერო ტარანო! შენ მომიწყვე ეს ხელოვნური დამბლა, ცუნდრუკავ! ჩემი ერთი სიტყვაა საკმარისი, რომ რვა დღეში ყელი გამოგღადრონ, მაგრამ მე ქრისტიანი ვარ და შეგინდობ. თუმცა შენ არ გამყიდე! მაგრამ, ვინ? ააა! რას ჩხრეკავთ მანდ, ზევით! _ დაიყვირა მან, როდესაც გაიგონა, რომ პოლიციის მოხელეები კარადებს ამტვრევენ და მისი ნივთები გამოაქვთ. _ ბარტყები ჯერ კიდევ გუშინ გაფრინდნენ ბუდიდან და თქვენ ვერაფერს გაიგებთ _ ჩემი სავაჭრო დავთრები აქ არის! _ თქვა და შუბლზე შემოიკრა ხელი. _ ახლა კი ვიცი, ვინ გამთქვა! სხვა ვერავინ გამყიდდა, იმ სალახანა ჭიჭნაურას გარდა. ხომ მართალია, ბიძია ავაზაკო? _ შეეკითხა იგი პოლიციის უფროსს. _ ყველაფერი ეს ძალიან კარგად ეწყობა იქ, ზემოთ, დამალული ფულის ამბავთან. ახლა, ჩემო პაწია ჯაშუშებო, იქ აღარაფერი არის. რაც შეეხება ჭიჭნაურას, მთელი თქვენი ჟანდარმები მცველად რომ დაუყენოთ, ორ კვირაში მაინც წირვას გამოუყვანენ! ნეტა რამდენი მიეცით ამ მიშონეტას? _ შეეკითხა იგი პოლიციელებს. _ რამდენიმე ათასი? იცოდე, შენ, ეი, დამპალო ნინონ, დაძონძილო პომპადურ, პერ-ლაშეზის სასაფლაოს ვენერავ, მე ამაზე მეტად ვღირვარ! რომ გაგეფრთხილებინე, ექვსი

ათასი ფრანკი გექნებოდა! ვერ მოიფიქრე, რომ ჩემგან მეტი ხეირი გექნებოდა, შე ადამიანის ხორცით მოვაჭრე ბებერო! მოგცემდი, რომ ამცილებოდა ეს მოგზაურობა, რომელიც დამაბრკოლებს და ფულს დამაკარგვინებს, _ ამბობდა ვოტრენი, სანამ პოლიციელები მას ბორკილებს ადებდნენ. _ ახლა ეს ყმაწვილები გულს გაიხარებენ და აქეთ-იქით მათრევენ გაუთავებლად, რომ მიმასიკვდილონ. ახლავე რომ კატორღაში გავეგზავნე, გაგიხარია, ისევ ჩემს საქმეს დავუბრუნდებოდი, ოქრომჭედელთა სანაპიროს იმ ჩვენი პატარა მაბეზღარების გულის გასახეთქად, იქ, კატორღაში, წელებზე ფეხს დაიდგამენ, ოღონდ გააპარონ თავისი გენერალი, თავისი საყვარელი სიკვდილის მატყუარა! რომელია თქვენში, რომ ჩემსავით ათი ათას ძმაზე მეტი ჰყავდეს, რომლებიც მზად არიან თქვენთვის თავი გასწირონ? _ იკითხა მან ამაყად. _ აქ სიკეთეც ბუდობს, _ თქვა ამაყად და გულზე ხელი შემოიკრა. _ მე არავისთვის არასოდეს მიღალატია! შენ, ეი, ჭაკო! _ მიმართა მან შინაბერას. _ შეხედე ამათ! ესენი მე შიშით მიცქერენ, შენი ყურებისაგან კი გული ერევათ, ისე ეზიზღები. მოიმკე, რაც დათესე!

იგი გაჩუმდა და პანსიონერები შეათვალიერა.

_ თქვენც კაი საქონელი ხართ! რაო, არასდროს კატორღელი არ გინახავთ? ისეთ კატორღელს, როგორიც კოლენია, რომელიც აქ თქვენ წინაშე დგას, სხვებზე ნაკლებად ეშინია რაიმესი. იგი პროტესტს აცხადებს იმ საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძირითად დებულებათა სრული უგულველყოფის წინააღმდეგ, რომლის შესახებ ჟან-ჟაკი ლაპარაკობდა. მე მესახელება, რომ მისი მოწაფე ვარ, და ბოლოს, მე მარტო ვარ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მთელი მისი სასამართლოებით, ჟანდარმებითა და ბიუჯეტით და ვაპამპულებ მას.

_ ეშმაკმა წაგიღოს! რა კარგი დასახატია! _ თქვა მხატვარმა.

_ მითხარი ერთი, შენ გაზრდას, პატივცემული ჯალათის ძიძავ და ქვრივის (საზარელი პოეზიით სავსე ეს სახელი კატორღელებმა გილიოტინას შეარქვეს!) მამამძუძე! _ მიმართა კოლენმა სამძებრო პოლიციის უფროსს. _ მითხარი ერთი, ხომ მართალია, რომ ჭიჭნაურამ გამყიდა? მე არ მინდა, რომ სხვას ვაზღვევინო მის მაგივრად _ ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა!

ამ დროს აგენტებმა უკვე დაამთავრეს მისი ოთახის ჩხრეკა, აღწერეს ყველაფერი, დაბრუნდნენ და ხმადაბლა მოახსენეს თავის უფროსს.

დაკითხვა დამთავრდა.

_ ბატონებო! _ მიმართა კოლენმა პანსიონერებს, _ ახლა მე წამიყვანენ. სანამ აქ ვცხოვრობდი, თქვენ ყველანი ფრიად თავაზიანად მეპყრობოდით. ამისთვის დიდად მადლიერი ვარ თქვენი. მაქვს პატივი გამოგემშვიდობოთ! ნება მიბოძეთ, პროვანსიდან ლეღვი გამოგიგზავნოთ.

მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შემდეგ შემობრუნდა, რომ რასტინიაკისთვის შეეხედა.

_ მშვიდობით, ეჟენ! _ წარმოთქვა მან ლმობიერი და სევდიანი ხმით, რომელიც ასე საოცრად არ ჰგავდა მის მოუხეშავ ლაპარაკს. _ გაჭირვების დღისთვის ერთგულ მეგობარს გიტოვებ.

და თუმცა ხუნდები ჰქონდა გაყრილი, დადგა პოზიციაში, ფარიკაობის მასწავლებელივით ფეხი წინ წადგა, შესძახა: «ერთი, ორი» და ხელი გაიშვირა, თითქოს ხმალი აძგერაო.

_ გაჭირვების ჟამს იქ მიმართე. კაციც და ფულიც შენ განკარგულებაში იქნება.

ამ იშვიათმა ადამიანმა ეს უკანასკნელი სიტყვები ისე მასხრულად თქვა, რომ მათი ნამდვილი მნიშვნელობა მხოლოდ თვით მან და რასტინიაკმა გაიგო. როდესაც ჟანდარმებმა, ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა სახლი დატოვეს, სილვიამ, რომელიც ძმრით უზელდა საფეთქლებს თავის პატრონს, გადახედა გაკვირვებულ მდგმურებს და უთხრა:

_ ასეა! მართლა რომ ადამიანი იყო!

ამ სიტყვებმა გამოაფხიზლეს იქ დამსწრეები, რომლებიც თითქოს მოჯადოებულნი იყვნენ ამ სცენის გავლენით მოზღვავებული შთაბეჭდილებებისაგან და როდესაც ერთმანეთს გადახედეს, უცებ შენიშნეს მიკნავებული, ჩამომხმარი და მუმიასავით გაშეშებული მადმუაზელ მიშონო, რომელიც ღუმელს იყო აკრული და თვალები დაბლა დაეშვა, თითქოს ეშინოდა, რომ მისი შუქფარის ჩრდილი სუსტია და მათი გამომეტყველების დაფარვას ვერ შეძლებს. ეს ადამიანი, რომელიც, ამდენი ხნის განმავლობაშიაც არავის ანტიპათიას არ იწვევდა, ახლა უცებ ყველასათვის ნათელი შეიქნა, ყველანი ერთხმად ადუდუნდნენ და აბუზღუნდნენ და ამან ერთსულოვანი ზიზღი გამო

თვალის დახამხამებაში ყველანი, პუარეს გარდა, მიემხრენ სტუდენტის გადაწყვეტილებას. საერთო თანაგრძნობით გულმოცემულმა ბიანშონმა მიმართა მოხუც მდგმურს:

_ თქვენ განსაკუთრებით ახლო ხართ მადმუაზელ მიშონოსთან, ამიტომ მოელაპარაკეთ მას და გააგებინეთ, რომ ახლავე უნდა დატოვოს აქაურობა.

_ ახლავეო? _ გაკვირვებით გაიმეორა პუარემ, შემდეგ მიიჭრა შინაბერასთან და რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა.

_ სამი თვის ქირა გადახდილი მაქვს. მე აქ, ისევე როგორც ყველანი, ჩემი ფულითა ვცხოვრობ, _ თქვა შინაბერამ და ასპიტის თვალით გადახედა პანსიონერებს.

_ ეგ არაფერია! ფულს შევაგროვებთ და გადაგიხდით, _ უპასუხა რასტინიაკმა,

_ არ არის ძნელი გამოსაცნობი, რატომ უჭერს ბატონი ეჟენი მხარს კოლენს, _ აწრიალდა მადმუაზელ მიშონო, თანაც გესლიანად და გამომცდელად შეხედა სტუდენტს. ამ სიტყვების გაგონებაზე ეჟენი შეხტა და ისე გაიწია, თითქოს უნდოდა სცემოდა შინაბერას და მოეშთო იგი. ეჟენი მიხვდა, თუ რა ცბიერებას შეიცავდა შინაბერას ეს შემოხედვა, რომლის საზარელი შუქი ჩასწვდა მის სულს.

_ თავი დაანებე, _ მიაძახეს მდგმურებმა. რასტინიაკმა მკლავები გადაიჭდო გულ-მკერდზე და ხმა აღარ ამოიღო.

_ მოვრჩეთ მადმუაზელ იუდას ამბავს, _ მიმართა მხატვარმა ქალბატონ ვოკეს. _ ქალბატონო! თუ მიშონოს არ გააგდებთ აქედან, ჩვენ ყველანი დავტოვებთ ამ თქვენს ფაცხას და ყველგან ვილაპარაკებთ, რომ აქ ჯაშუშებისა და კატორღელების მეტი არავინა ცხოვრობს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაგვთანხმდებით, ჩვენ არაფერს ვიტყვით ამ ამბის გამო, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ამბავი შეიძლება საუკეთესო საზოგადოებაშიაც მოხდეს, მანამ სანამ კატორღელებს შუბლზე დაღს არ დაასვამენ და სანამ მათ არ აუკრძალავენ პარიზის მოქალაქეებად გამოწყობას და ხალხის ასე გასულელებას, როგორც ესენი ახლა სჩადიან.

ამის გამგონე ქალბატონი ვოკე, თითქოს სასწაულებრივ გამოჯანსაღდა, წელში გაიმართა, ხელები გულზე გადაიჭდო, დააბრიალა თითქოს შუშის თვალები, რომლებშიაც ცრემლის ნატამალიც კი არ ჩანდა.

_ კი ბატონო, მაგრამ სახლის დაქცევას ხომ არ მიპირებთ? აი, ბატონი ვოტრენიც!.. ოჰ, ღმერთო ჩემო! _ შეწყვიტა მან დაწყებული წინადადება. _ თავი ვერ დამიჭერია, რომ პატიოსანი ადამიანის სახელი არ ვუწოდო. აი, _ განაგრძო მან, _ ერთი ოთახი უკვე

დაიცალა და თქვენ გინდათ, რომ კიდევ ორი დამრჩეს გაუქირავებელი ისეთ დროს, როდესაც ყველა უკვე დაბინავებულია...

_ ბატონებო!@ ავიღოთ ქუდები და წავიდეთ სორბონის მოედანზე, ფლიკოტოსთან ვისადილოთ! _ შესძახა ბიანშონმა. ქალბატონმა ვოკემ თვალის დახამხამებაში გამოიანგარიშა, რა უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის და მიგოგდა მადმუაზელ მიშონოსთან.

_ აბა, ჩემო გვრიტო, ჩემი სახლის გაპარტახება ხომ არ გინდათ? ხომ ხედავთ, რას მაიძულებენ ეს ბატონები! მიბრძანდით და ამ საღამოს თქვენს ოთახში დარჩით.

_ არა! არა! _ აყვირდნენ პანსიონერები. _ ჩვენ ეგ არ გვინდა! ჩვენ გვინდა, რომ ამ წუთშივე დასტოვოს აქაურობა!

_ კი მაგრამ, საწყალ მადმუაზელს ხომ ჯერ არ უსადილნია! _ შესაბრალისი ხმით თქვა პუარემ.

_ სადაც უნდა იქ წავიდეს და ისადილოს! _ გაისმა რამდენიმე ხმა.

_ გააგდეთ ჯაშუში!

_ გააგდეთ ჯაშუშები!

_ ბატონებო! მის სქესს მაინც ეცით პატივი! _ დაიძახა პუარემ, რომელსაც უცებ ისეთი სიმამაცე მიეცა, როგორიც ცხვარსაც კი გაამამაცებს ხოლმე.

_ ჯაშუშები უსქესოები არიან! _ წამოიძახა მხატვარმა.

_ საკვირველი სექსორამაა!

_ აბა, კარშირამა!

_ ბატონებო, ეს ხომ უხამსობაა! როდესაც ადამიანს სახლიდან ისტუმრებენ, სათანადო ზრდილობა მაინც უნდა იქნეს დაცული. ფული გადაგვიხდია და ფეხსაც არ მოვიცვლით! _ დაასკვნა პუარემ, ქუდი დაიხურა და მადმუაზელ მიშონოს გვერდით სკამზე ჩამოჯდა. ქალბატონი ვოკე განაგრძობდა მიშონოს დარიგებას.

_ ოი, შე საზიზღარო! _ ხუმრობით უთხრა მხატვარმა პუარეს, _ შე პატარა ცელქო!

_ მაშ, თუ თქვენ არ მიდიხართ, ჩვენ წავალთ! _ თქვა ბიანშონმა.

და მდგმურები ერთიანად დაიძრნენ სასტუმრო ოთახისაკენ.

_ მადმუაზელ! რას შვრებით! _ იყვირა ქალბატონმა ვოკემ, _ მე გავნადგურდი, გავკოტრდი! თქვენი აქ დარჩენა შეუძლებელია! _ მერე, შეიძლება ძალაც იხმარონ!

მადმუაზელ მიშონო წამოდგა.

_ წავა!

_ არ წავა!

_ წავა!

_ არ წავა!

_ ქალბატონ ბიუნოსთან გადავდივარ, _ მუქარით თქვა მან.

_ სადაც გინდათ, იქ გადადით, მადმუაზელ, _ უპასუხა ქალბატონმა ვოკემ. იგი სასტიკად შეურაცხყოფილი იყო იმ სახლის არჩევანით, რომელიც მასთან მეტოქეობდა და ამიტომ მისთვის საძულველი იყო. _ წადით ბიუნოსთან; იქ ისეთ ღვინოს დაგალევინებენ, რომ ყვავსაც დააჩხავლებს და სანაგვედან ამოკრეფილ სანოვაგესაც გაჭმევენ.

სიჩუმე დამყარდა. მდგმურები ორ წყებად გამწკრივდნენ. პუარემ ისეთი სინაზით შეხედა მადმუაზელ მიშონოს და იმდენად გულუბრყვილოდ გამოხატა თავისი გაუბედაობა _ დავრჩე თუ გავყვეო, რომ მიშონოს წასვლით გახარებულმა მდგმურებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ.

_ ფისო! ფისო! ფისო! პუარე! _ დაუძახა მას მხატვარმა, _ აბა, მიდი! მიდი!

მუზეუმის თანამშრომელმა მასხარაობით წაიმღერა ცნობილი რომანსის დასაწყისი:

სირიაში მიბრძანდება
მშვენიერი დიუნუა...

_ ხომ კვდები, ისე გინდა! მიდი, რას უყურებ, trahit sua quemque voluptas, _ თქვა ბიანშონმა.

_ ყველა თავის არჩეულს მიჰყვება, ასეთია ვირგილიუსის თავისუფალი თარგმანი, _ გამოაცხადა რეპეტიტორმა. მადმუაზელ მიშონომ გადახედა პუარეს და ანიშნა, რომ ხელის გაყრა სურდა; პუარემ ვეღარ გაუძლო ამ ძახილს, მივიდა და დასაყრდნობად თავისი მკლავი შესთავაზა შინაბერას.

გაისმა ტაშის გრიალი და სიცილმა გააყრუა იქაურობა.

_ ვაშა, პუარე!

_ ძველი ხარ, პუარე!

_ აპოლონი პუარე!

_ მარსი პუარე!

_ ვაჟკაცი პუარე.

ამ დროს ოთახში შიკრიკი შემოვიდა და წერილი გადასცა ქალბატონ ვოკეს. დიასახლისმა წაიკითხა ბარათი და არაქათგამოლეული სკამზე მიესვენა.

_ სხვა აღარაფერი დამრჩენია _ ამ სახლს ცეცხლი უნდა წავუკიდო. სამ საათზე ტაიფერის შვილი მომკვდარა. აი, როგორ დამსაჯა ღმერთმა, რომ იმ საწყალი ახალგაზრდის უბედურების ფასად სიკეთე მინდოდა ამ ქალებისთვის. ქალბატონი კუტიური და ვიქტორინე თავის ნივთებს მოითხოვენ და მამასთან რჩებიან საცხოვრებლად. ბატონ ტაიფერს ნება მიუცია ვიქტორინესათვის, რომ კუტიურის ქვრივი მასთან დარჩეს გამზრდელად. ოთხი ოთახი დაცარიელდა! ხუთი მდგმური დავკარგე!

ქალბატონი ვოკე ჩამოჯდა და სატირლად გაემზადა.

_ ეს რა უბედურება დამატყდა თავს! _ განაგრძო მან.

ამ დროს ქუჩაში გაისმა მომავალი ეტლის ხმაური და მაშინვე მიწყდა.

_ კიდევ ერთი ხათაბალა! _ თქვა სილვიამ.

უმალვე გამოჩნდა გორიოს გაბრწყინებული და ფერმოცემული სახე _ იგი თითქოს ხელახლა დაბადებულიყო.

_ გორიო და ფიაკრი! _ გაუკვირდათ პანსიონერებს. _ ნამდვილად მეორედ მოსვლა მოგვიახლოვდა!

მოხუცი პირდაპირ გაემართა იმ კუთხისაკენ, სადაც ჩაფიქრებული ეჟენი იდგა და მკლავში ხელი წაავლო.

_ წავიდეთ! _ უთხრა გორიომ მხიარულად.

_ განა არ იცით, რა ამბები დატრიალდა? _ მიუგო მას ეჟენმა. _ მიუგო მას ეჟენმა. _ ვოტრენი თურმე კატორღელი ყოფილა და დააპატიმრეს, ტაიფერს შვილი მოუკლეს...

_ კი მაგრამ, ჩვენ ეგეები რაში გვესაქმება? _ გაიკვირვა მამა გორიომ. _ მე ჩემს ქალიშვილთან ერთად ვსადილობ თქვენსას. გესმით? იგი გელოდებათ, წავიდეთ!

მოხუცი ისე ღონივრად ეჯაჯგურებოდა ეჟენის მკლავს და ძალისძალზე მიჰყავდა, თითქოს საყვარელს იტაცებდა.

_ მოდით, ვისადილოთ! _ დაიძახა მხატვარმა.

იმავე წუთს ყველამ თავთავიანთ სკამებს დაავლო ხელი და მაგიდას მოუსხდნენ.

_ ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო! _ თქვა მსუქანმა სილვიამ. _ ყველა უბედურება დღეს დაგვატყდა თავზე: ლობიოიანი ბატკნის ხორცი მიმწვარა, მეტი რა გზაა, დამწვარი უნდა ვჭამოთ!

მაგიდასთან თვრამეტი კაცის მაგივრად ათის დანახვაზე ვოკეს ქვრივს ენა ჩაუვარდა და ხმა ვეღარ ამოეღო, თუმცა ყველანი ცდილობდნენ გაემხიარულებინათ და ენუგეშებინათ იგი. თავდაპირველად ვოტრენისა და იმ დღეს მომხდარი ამბების შესახებ ლაპარაკობდნენ, შემდეგ საუბარი გაჰყვა კლაკნილ გზას და ახლა მსჯელობა დაიწყეს დუელების, კატორღის, სასამართლოების, კანონების გადახალისებისა და ციხეების გამო, ბოლოს უკვე ათასი ლიეს მანძილით დაშორდნენ ჟაკ კოლენს, ვიქტორინესა და მის ძმას. თუმცა ოთახში ათი კაცის მეტი არ იყო, ისე ყვიროდნენ, ოცი გეგონებოდათ; თითქოს ჩვეულებრივზე მეტ ხალხს მოეყარა თავი, დღევანდელი სადილი მარტო ამითი განსხვავდებოდა გუშინდელისაგან. გაიმარჯვა ამა ქვეყნის ეგოისტ მკვიდრთა უდარდელობამ, რომელიც პარიზის ყოველდღიურ ამბებში ხვალვე გამონახავს ახალ მსხვერპლს და მოინელებს მას. თვით ქალბატონი ვოკეც დამშვიდდა და გაიმსჭვალა იმ იმედით, რომელიც ჩასუქებულ სილვიას ხმაში ისმოდა.

მთელი ეს დღე, დილიდან საღამომდე, ეჟენს რაღაც ფანტასმაგორიად მოეჩვენა. მიუხედავად ხასიათის სიმტკიცისა და საღი აზროვნებისა, მან არ იცოდა, როგორ მოეწესრიგებინა თავისი აზრები მაშინაც კი, როდესაც მამა გორიოსთან ერთად ფიაკრში იჯდა და ამდენი განცდების შემდეგ მოხუცის უჩვეულო მხიარულებით გახალისებული ლაპარაკი ყურში ისე ჩაესმოდა, თითქოს სიზმარშიაო.

_ ყველაფერი ამ დილას დამთავრდა. ჩვენ სამნი ერთად ვისადილებთ. ხომ გესმით, ერთად? უკვე ოთხი წელიწადია, რაც ჩემს პატარა დელფინესთან ერთად სუფრასთან არა ვმჯდარვარ. დღეს კი იგი მთელ საღამოს ჩემთან გაატარებს. ამ დილიდან თქვენთანა ვართ. მე გავიძრე ზედა სამოსი და მუშასავით ვშრომობდი, დგამის შემოტანას ვეხმარებოდი. ო, თქვენ ხომ არ იცით, რა მშვენიერია დელფინე სუფრასთან! რანაირად შემომთავაზებს: «გადაიღე, მამა, აი, ეს ძალიან გემრიელია». მე კი, მისი შემყურე, ჭამას როგორ შევძლებ! ვაჰმე, რამდენი ხანია, რაც მასთან ერთად არ ვყოფილვარ, აი, ასე დამშვიდებულად, როგორც ახლა.

_ მაშ, დღეს მთელი ქვეყანა გადატრიალებულა, _ უთხრა ეჟენმა.

_ გადატრიალებულაო? _ გაიკვირვა მამა გორიომ. _ ჯერ არასოდეს ყოფილა ეს ქვეყანა ესოდენ კარგად დალაგებული. ქუჩაში მხოლოდ მხიარულ სახეებს ვხედავ, შევცქერი ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ხელს ართმევენ, ეხვევიან, ჰკოცნიან და ისეთ ბედნიერებას განიცდიან, თითქოს ყველანი თავის ქალიშვილებთან სტუმრად არიან დაპატიჟებულნი და პირი უნდა ჩაიგემრიელონ სადილით, რომელიც დელფინემ ჩემი

თანდასწრებით შეუკვეთა «ინგლისური კაფეს» მზარეულს. თუმცა, რას ვამბობ! მასთან ხომ მწარე ბოლოკიც თაფლზე ტკბილი მოგეჩვენება!!

_ მგონი, ისევ ამ ცხოვრებას ვუბრუნდები, _ თქვა ეჟენმა.

მამა გორიომ წინა შუშა ასწია და მეეტლეს შეუყვირა;

_ გარეკე, რას უყურებ! ას სუს გაჩუქებ ღვინის გადასაკრავად, თუ ათ წუთში მიმიყვან, სადაც გითხარი.

ამ დაპირების გაგონებაზე მეეტლემ ელვის სისწრაფით გააქროლა ეტლი პარიზის ქუჩებზე.

_ ეს ეტლი ადგილიდან არ იძვრის, _ ამბობდა მამა გორიო.

_ კი მაგრამ, სად მიგყავართ? _ შეეკითხა ეჟენი.

_ თქვენთან, _ უპასუხა მამა გორიომ.

ეტლი დ'არტუას ქუჩაზე გაჩერდა. მოხუცი პირველი გადმოვიდა და მეეტლეს ათი ფრანკი გადმოუგდო, ეშხზე მოსული ქვრივის ხელგაშლილობით, რომელიც არაფერს ანგარიშს არ უწევს.

_ აბა, ზევით ავიდეთ! _ მიმართა მან რასტინიაკს, ეზოზე გაატარა, ახალი, ლამაზი სახლის გარშემო შემოატარა და უკანა მხრიდან მესამე სართულის ბინის კარებთან მიიყვანა.

მამა გორიოს ზარის დარეკვა არ დასჭირვებია. ქალბატონ დე ნუსინჟენის მოახლემ ტერეზამ გაუღო კარი. ეჟენი აღმოჩნდა მარტოხელა კაცისათვის განკუთვნილ მშვენიერ ბინაში, რომელსაც შეადგენდა: დერეფანი, პატარა სასტუმრო, საძილე ოთახი და კაბინეტი, საიდანაც რაღაც ბაღი ჩანდა. პატარა სასტუმროში, რომლის მთელი მოწყობილობა და მორთულობა იმდენად კოხტად და მოხდენილად იყო შერჩეული, რომ ყოველგვარ შედარებას გაუძლებდა, ეჟენმა სინათლის შუქზე, ბუხრის პატარა სკამზე მჯდომარე დელფინე დაინახა. ეჟენის დანახვაზე იგი ადგა, ბუხრის თავზე დადო ცეცხლსაფარი და სინაზით აღსავსე ხმით უთხრა:

_ თურმე, თქვენი ძებნა ყოფილა საჭირო, ბატონო მიუხვედრელო!

ტერეზა გავიდა. სტუდენტი მოეხვია დელფინეს, მხურვალედ მიიკრა გულზე და სიხარულისაგან ატირდა. მთელი დღის გრძნობათა ღელვამ და ასეთმა მძაფრმა განსხვავებამ მათ შორის, რაც მას ამ დღის განმავლობაში გადახდა და რასაც ახლა ხედავდა, მოღალა მისი გული და გონება და ნერვიული გრძნობიერების მოზღვავება გამოიწვია.

_ მე კარგად ვიცოდი, რომ უყვარხარ, _ ხმადაბლა უთხრა მამა გორიომ თავის ქალიშვილს, სანამ ძალაგამოლეული ეჟენი მისვენებული იყო კოზეტზე და არც ლაპარაკისა და არც იმის ძალა ჰქონდა, რომ მიხვედრილიყო, თუ საიდან და როგორ მოეწყო ყოველივე.

_ ახლა წამოდით, ნახეთ, _ უთხრა მას ქალბატონმა დე ნუსინჟენმა, ხელი მოჰკიდა და შეიყვანა ოთახში, რომელიც ხალიჩებით, დგამით და მოწყობილობის სულ მცირე წვრილმანითაც კი დელფინეს ოთახს ჰგავდა, ოღონდ უფრო პატარა იყო.

_ საწოლიღა აკლია, _ თქვა რასტინიაკმა.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა ქალმა, თანაც გაწითლდა და ხელზე შეეხო.

ეჟენი ჯერ ჭაბუკი იყო, მან შეხედა ქალს და მიხვდა, თუ რამდენი ჭეშმარიტი უმანკოებაა შეყვარებული ქალის გულში.

_ თქვენ ერთი იმათგანი ხართ, _ წასჩურჩულა რასტინიაკმა ქალს, _ ვისაც მუდამ უნდა ეთაყვანებოდე. ჩვენ იმდენად კარგად გვესმის ერთმანეთისა, რომ გამბედაობა მყოფნის გითხრათ: რაც უფრო ძლიერი და გულწრფელია სიყვარული, მით უფრო საჭიროა მისი შენიღბვა და საიდუმლოებით შებურვა. ნურავის გავანდობთ ჩვენს საიდუმლოს.

_ კი, მაგრამ, მე ხომ ვიღაცა არა ვარ, _ წაიბურტყუნა მამა გორიომ...

_ კარგად იცით, რომ თქვენ იგივე ხართ, რაც ჩვენ...

_ მეც ეს მინდა! თქვენ ხომ ყურადღებასაც არ მომაქცევთ, ხომ ასეა? მე მოვალ და წავალ, როგორც უჩინარი კეთილი სული. იგი არ ჩანს, მაგრამ ყველგანა სუფევს... ჩემო დელფინეტ, ნინეტ, დედელ! ხომ მართალი ვიყავი, როდესაც გითხარი: «დ'არტუას ქუჩაზე მშვენიერ ბინას აქირავებენ. მოვაწყოთ იგი ეჟენისათვის?» შენ კი უარზე იყავი. მე შევქმენი შენი ბედნიერება და სიცოცხლეც ხომ მე მოგანიჭე. მამები ვალდებულები არიან გასცენ, რათა ბედნიერები გახდნენ. მუდამ გაეცი! მამას მხოლოდ ეს უნდა ამოქმედებდეს.

_ როგორ? _ იკითხა ეჟენმა.

_ ასეა. დელფინეს არ უნდოდა, ეშინოდა, ჭორიკანობა არ დაიწყონო, თითქოს ღირდეს ბედნიერების დაგმობა მაღალი საზოგადოების აზრის გულისთვის; მაგრამ ყველა ქალი ოცნებობს, რომ ასე მოიქცეს.

მამა გორიო ამას უკვე მარტოდ დარჩენილი ამბობდა, რადგან ქალბატონმა დე ნუსინჟენმა რასტინიაკი კაბინეტში გაიყვანა, საიდანაც, თუმცა ძალიან ჩუმად, მაგრამ მაინც მოისმა კოცნის ხმა. ეს ოთახიც ისეთივე კოხტა იყო, როგორც მთელი ეს უზადოდ მოწყობილი ბინა.

_ მიგიხვდით თუ არა თქვენს სურვილებს? _ ჰკითხა დელფინემ, როდესაც სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, რათა სუფრას მისხდომოდნენ.

_ მიმიხვდით და კიდევ მეტიც! ვაგლახ, რომ ყოველივე ამ სრულქმნილ ფუფუნებას, ამ სიზმრად ნახულსა და ცხადად ახდენილ ლამაზ ზმანებას, ამ ახალგაზრდული და ლამაზი სიცოცხლის მთელ პოეზიას იმდენად კარგად ვგრძნობ, რომ ღირსი ვიქნებოდი ყოველივე ამისა, _ მაგრამ არ შემიძლია მივიღო თქვენგან, მე კი ჯერ იმდენად ღარიბი ვარ, რომ...

_ აა, მაშ ასეა! თქვენ უკვე მეურჩებით? _ უთხრა დელფინემ ისეთი მბრძანებლური და დამცინავი კილოთი, თანაც ისე მომჯადოებლად შეიკრა წარბები, როგორც ჩვევიათ ხოლმე ქალებს, როდესაც დაცინვით უნდათ გააქარწყლონ და გაჰფანტონ ვინმეს მორიდება და სინდისიერება.

სასტიკმა დაკითხვამ, რაც ეჟენმა იმ დღეს თავის თავს მოუწყო და ვოტრენის დაპატიმრებამ, რომელმაც დაანახვა მას სიღრმე უფსკრულისა, რომლის წინაშეც იგი იდგა გადასავარდნად გამზადებული, იმდენად გააძლიერა სტუდენტის პატიოსანი გრძნობები და გაამძაფრა მისი სისათუთე, რომ იგი ვერ დასთმობდა თავის დიდსულოვან იდეებს, რასაც ქალი ასე ალერსიანად უარყოფდა.

ეჟენი ძალზე დაღონდა.

_ როგორ! _ მიმართა მას ქალბატონმა დე ნუსინჟენმა, _ თქვენ უარს ამბობთ? ანდა გესმით, რას ნიშნავს ასეთი უარის თქმა? საეჭვოდ მიგაჩნიათ თქვენი მომავალი, თქვენ ვერ ბედავთ ჩემთან შეკავშირებას. ჩანს, გეშინიათ, რომ ვერ გაამართლებთ ჩემს ტრფიალს? და თუ გიყვარვართ, თუ მე... მიყვარხართ, რა გაბრკოლებთ, რომ არ გინდათ ესოდენ უმნიშვნელო რამ მიიღოთ ჩემგან? რომ იცოდეთ, როგორ სიამოვნებას მანიჭებდა მარტოხელა ვაჟკაცის ამ ბინის მოწყობა, მერყეობას აღარ დაიწყებდით და პატიებას ითხოვდით ჩემგან. მე ხომ თქვენი ფული მქონდა და კარგადაც გამოვიყენე. ეს არის და ეს. თქვენ გგონიათ, რომ დიდსულოვნებას იჩენთ, ნამდვილად კი წვრილმანებზე ხურდავდებით. თქვენ გაცილებით მეტს მოითხოვთ... აჰ! _ ამოიოხრა ქალმა, რომელმაც ეჟენის ვნებიანი შემოხედვა შეამჩნია, _ და სისულელეების გულისთვის თავპატიჟს იწყებთ. თუ სრულიად არა გაქვთ ჩემი სიყვარული, მაშინ, კეთილი, ნუ დათანხმდებით! ჩემი ბედ-იღბალი ერთ სიტყვაზე ჰკიდია. მიპასუხეთ! _ მცირე სიჩუმის შემდეგ იგი მიუბრუნდა თავის მამას: _ მამა! რას უყურებ? უთხარ რამე, დაარწმუნე. ნუთუ მას ჰგონია, რომ მასზე ნაკლებ მეჩოთირება ჩვენი პატიოსნების ამბები?

მამა გორიო თრიაქის მწეველივით გაშტერებული ღიმილით შესცქეროდა და უსმენდა ამ უწყინარ უთანხმოებას.

ქალმა მოჰკიდა ხელი ეჟენის ხელს და განაგრძო:

_ ბავშვი ხართ და მხოლოდ ახლა შედიხართ ცხოვრებაში. უმრავლესობისათვის გადაულახავი ზღუდის წინ იმყოფებით. ქალს სურს, რომ თავისი ხელით მოშალოს ეს ზღუდე, თქვენ კი უარზე ხართ. მაგრამ თქვენ გაიმარჯვებთ, შეიძენთ დიდძალ ქონებას, თქვენს ლამაზ შუბლზე წარმატების ნიშნებია აღბეჭდილი. განა მაშინ ვერ შეძლებთ იმის დაბრუნებას, რასაც დღეს მე სესხად გაძლევთ? ძველად ხომ აჩუქებდნენ ხოლმე ქალები თავის რაინდებს შეჭურვილობას, ხმლებს, ჩაჩქანებს, აბჯრებს, ცხენებს, რათა მიჯნურთა სასახელებლად მათ ასპარეზობაზე შერკინება შესძლებოდათ? ჰოდა, ჩემო ეჟენ, ის, რასაც მე გთავაზობთ, ჩვენი დროის იგივე იარაღია, რომელიც აუცილებლად ესაჭიროება მას, ვისაც სურს რაიმეს მიაღწიოს. კარგი რამ უნდა იყოს თქვენი სხვენი, თუ მამაჩემის ოთახსა ჰგავს. რაო, დღეს სადილს არ ვაპირებთ? გინდათ, რომ მაწყენინოთ? რას მიყურებთ? მიპასუხეთ! _ შესძახა მან და ხელი მოჰკიდა. _ ღმერთო ჩემო! მამა! დაარწმუნე, თორემ წავალ და აღარასოდეს ვნახავ მას.

_ ახლავე დაგარწმუნებთ, _ წარმოთქვა მამა გორიომ, რომელიც აქამდე აღტაცებისგან გაოგნებულიყო და მხოლოდ ახლა გამოერკვა. _ ჩემო კარგო ბატონო ეჟენ, ხომ გიხდებათ ხოლმე ებრაელებისაგან ფულის სესხება?

_ ხდება ხოლმე, _ უპასუხა ეჟენმა.

_ კეთილი! ახლა კი ჩაგიჭერთ! _ დაუმატა მოხუცმა და ამოიღო ფრიად გაცვეთილი, ჭუჭყიანი ტყავის საფულე. _ მე თვითონ დავიწყე ჩარჩობა. ყველა ანგარიშების ფული მე გადავიხადე და აი, აქ მაქვს. თქვენ ერთი სანტიმიც კი არა გმართებთ, რადგან ყველაფერში, რაც აქ არის, ფული უკვე გადახდილია. ეს დიდ თანხას არ შეადგენს, სულ დიდი ხუთი ათასი ფრანკი თუ არის. ამ თანხას მე გასესხებთ. ამაზე უარს ვერ მეტყვით, მე ხომ ქალი არა ვარ. ქაღალდის ნახევზე ხელწერილს დამიწერთ და მერე, როდისმე გადამიხდით.

ეჟენს და დელფინეს თვალებზე ცრემლი მოერიათ და გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეჟენმა ხელი გაუწოდა მოხუცს და მაგრად ჩამოართვა.

_ რა მოხდა? განა ჩემი შვილები არა ხართ? _ ამბობდა მამა გორიო.

_ საბრალო ჩემი მამა! _ შესძახა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა. _ როგორ მოახერხეთ ამის გაკეთება?

_ საქმეც ეგ არის! _ უპასუხა მამა გორიომ. _ როდესაც დაგარწმუნე, რომ ეჟენი შენ ახლო უნდა დაგესახლებინა და როდესაც დავინახე, როგორ იძენდი ნივთებს და თითქოს საქორწინოდ ემზადებოდი, ჩემთვისა ვთქვი: სულ აებნევა საქმე-მეთქი. ვექილი ამტკიცებს, რომ შენი ქონების დაბრუნების შესახებ შენი ქმრის წინააღმდეგ აღძრული საქმე ექვს თვეზე მეტ ხანს გასტანს. კეთილი. გავყიდე ჩემი, წლიურად ათას სამასი ფრანკის მომცემი უვადო რენტა და თხუთმეტი ათას ფრანკად შევიძინე წლიურად ათას ორასი ფრანკის მომცემი რენტა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, დარჩენილი თანხით კი ვაჭრების ვალი გადავიხადე. მე კი, აქვე, ზემოთ, წელიწადში ორმოცდაათ ეკიუდ მექნება ოთახი, დღეში ორმოც სუდ ბატონიშვილივით ვიცხოვრებ და ცოტაც გადამრჩება. მე არაფერი არა მჭირდება. ალბათ, ამ ტანსაცმელს ვერ გავცვეთ. უკვე თხუთმეტი დღეა, რაც ჩემთვის ულვაშებში მეცინება და ვამბობ: რა ბედნიერები იქნებიან-მეთქი! ჰოდა, განა ბედნიერები არა ხართ?

_ მამა! მამა! _ წამოიძახა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა და მუხლებზე შეახტა მამა გორიოს.

დელფინემ დაჰკოცნა მოხუცი, მიეკრა მის ლოყას თავისი ქერა კულულებით და ცრემლით დანამა ბერიკაცის გამოცოცხლებული და გაბრწყინებული სახე.

_ საყვარელო მამა! შენ ნამდვილი მამა ხარ! არა, მეორე ასეთი მამა ქვეყნად არ მოიძებნება! ეჟენს აქამდეც ძალიან უყვარდი, ახლა რარიგ ეყვარები!@

_ გეყოფათ, შვილებო! _ ამბობდა მამა გორიო, რომელსაც უკვე ათი წელია, რაც ასე ახლო, თავის გულ-მკერდზე არ უგრძვნია ქალიშვილის გულის ცემა. _ გაჩუმდი, დელფინეტ! შენ იმდენს იზამ, რომ სიხარული მომკლავს. საწყალი გული გამისკდება. ბატონო ეჟენ! იცოდეთ, ჩვენ უკვე ქვითა ვართ!

და ბერიკაცი ისე გაგიჟებით, ისე ძლიერ მოეხვია თავის ქალიშვილს, რომ მან იკივლა.

_ ვაიმე! მამა! ნუ მატკინე!

_ მე გატკინე! _ თქვა მოხუცმა და გაფითრდა.

იგი ზეადამიანური ტანჯვით შესცქეროდა ქალიშვილს. მამობის განმასახიერებელ ამ ქრისტეს სახის გამოსახატავად უნდა მოგეძებნათ შედარებანი ოსტატთა ყალმით დახატულ სახეებთან, რომელიც მათ შექმნეს მაცხოვრის მიერ მთელი კაცობრიობის სახსნელად განცდილი ტანჯვის საჩვენებლად.

მამა გორიომ ნაზად აკოცა იმ ადგილს, სადაც წელზე შემოჭდეული ხელებით ატკინა მას.

_ არა, არა. მე ხომ არ მიტკენია შენთვის? _ ეკითხებოდა იგი ღიმილით. _ შენ კი ამ შეკივლებით გული მატკინე. ყველაფერი უფრო ძვირად დაჯდა, მაგრამ თვალი უნდა ავუხვიოთ, თორემ გაგვიჯავრდება, _ ჩასჩურჩულა ყურში ქალიშვილს და ფრთხილად აკოცა.

ეჟენი განცვიფრებული იყო ამ ადამიანის დაუშრეტელი ერთგულებით და შესცქეროდა მას გულუბრყვილო აღტაცებით, რომელიც ახალგაზრდული რწმენით იყო აღსავსე.

_ მე ღირსი გავხდები ყოველივე ამისა! _ შეჰყვირა მან.

_ ო, რა კარგია ის, რაც თქვენ ახლა თქვით, _ წარმოთქვა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა და შუბლზე აკოცა სტუდენტს.

_ შენი გულისათვის მან უარი თქვა მადმუაზელ ტაიფერზე და მის მილიონებზე, _ უთხრა მამა გორიომ დელფინეს. _ გოგონას ნამდვილად უყვარდით, ძმა მოუკვდა და ახლა კი კრეზუსივით მდიდარია.

_ რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? _ შესძახა რასტინიაკმა.

_ ეჟენ! _ ჩასჩურჩულა ყურში დელფინემ. _ ახლა მთელი საღამო სევდიანი ვიქნები! რომ იცოდეთ, რა ძლიერ მეყვარებით ყოველთვის.

_ აი, საუკეთესო დღე თქვენი გათხოვების შემდეგ! _ თქვა მამა გორიომ. _ დაე, ღმერთმა ისეთი წამება მომიზღოს, როგორიც სურდეს, ოღონდ თქვენი ბედ-იღბალი ნუ გამაწამებს, მე კი ყოველთვის ამას ვიტყვი: «ამა წლის თებერვალში წამიერად ისეთ ბედნიერებას ვეწიე, როგორსაც სხვა ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაშიაც არ შეხვდება ხოლმე. აბა, ფიფინ, შემომხედე! _ უთხრა მან თავის ქალიშვილს. _ ხომ ძალიან ლამაზია, არა? აბა, მითხარით, გეთაყვა, ბევრი ქალი შეგხვედრიათ, რომ სახის ასეთი ფერი ჰქონოდეს და ასეთი მშვენიერი ხელები? ხომ მართალია, რომ არ შეგხვედრიათ? ამ მშვენიერი ქალის შემქმნელი მე ვარ. ამიერიდან კი, თქვენგან გაბედნიერებული, იგი ათასჯერ უფრო ლამაზი გახდება. და თუ თქვენ მოგინდებათ, რომ ჩემ მაგივრად მოხვდეთ სამოთხეში, ადგილს დაგითმობთ და ჯოჯოხეთში გავემგზავრები. აბა, ახლა ვჭამოთ, ვჭამოთ, აქ ხომ ყველაფერი ჩვენია, _ დაუმატა მან, რადგან აღარ იცოდა, რა ეთქვა.

_ საბრალო მამა!

_ რომ იცოდე, შვილო! _ თქვა მოხუცმა გორიომ, მივიდა დელფინესთან, ორივე ხელი თავზე მოჰკიდა და აკოცა გადავარცხნილ თმებს შუა, _ რომ იცოდე, თუ რამდენი სიხარული შეგიძლია მომანიჭო სულ გაუჭირვებლად! მოდი, მნახე ხოლმე როდისმე. მე ხომ აქვე, ზემოთ ვიცხოვრებ და სულ ორი ნაბიჯის გადადგმა დაგჭირდება. მითხარი, ხომ მოხვალ.

_ კი, საყვარელო მამა!

_ კიდევ მითხარი.

_ კი, ჩემო კარგო მამა!

_ გაჩუმდი. მე რომ ამყვე, ასჯერ გაგამეორებინებ. მოდით, ვისადილოთ.

საღამომ ხუმრობა-გართობაში გაიარა და ამ სამში მამა გორიო სხვაზე ნაკლებ არ სულელობდა. იგი იატაკზე დაწვა, ქალიშვილის ფერხთით, დიდხანს უყურებდა თვალებში, თავით კაბაზე ეხახუნებოდა. მოკლედ, ჩადიოდა ისეთ სისულელეს, რაც მხოლოდ ძალიან ახალგაზრდა და ალერსიან მიჯნურს თუ შეუძლია ჩაიდინოს.

_ ხომ ხედავთ, _ უთხრა დელფინემ ეჟენს. _ როდესაც მამაჩემი ჩვენთან არის, მთლიანად მას უნდა ეკუთვნოდე. ამან შეიძლება ხანდახან ფრიად შეგვაწუხოს.

ეჟენს უკვე რამდენიმეჯერ აეშალა ეჭვიანობის გრძნობა და ამიტომ არ გაუმტყუნა ქალს ეს სიტყვები, რომლებიც უკვე უმადურობის მომასწავებელნი იყვნენ.

_ როდის დამთავრდება ბინის მოწყობა? _ იკითხა ეჟენმა და მიმოავლო თვალი ოთახს. _ ჩანს, რომ ამ საღამოს უნდა დავშორდეთ?

_ კი, მაგრამ, ხვალ თქვენ სადილად მოხვალთ ჩემთან, _ უპასუხა ქალმა ეშმაკურად, _ ხვალ ხომ იტალიელების დღეა.

_ მე პარტერში წავალ, _ თქვა მამა გორიომ.

შუაღამე იყო. ქალბატონ დე ნუსინჟენს ეტლი ელოდა. მამა გორიო და სტუდენტი მოდიოდნენ ვოკეს სახლისკენ და ისეთი აღფრთოვანებით საუბრობდნენ დელფინეს შესახებ, რომ ეს აღფრთოვანება ბოლოს ორ მძვინვარე გრძნობათა შორის უცნაურ შერკინებად გადაიქცა. ეჟენი ვერ ფარავდა იმას, რომ ყოველგვარ პირადულ ინტერესს მოკლებული მამობრივი სიყვარული, თავისი სიმტკიცითა და უსაზღვროებით, სავსებით სპობდა მის სიყვარულს. მამისთვის მისი სათაყვანებელი კერპი მუდამ წმინდა და მშვენიერია და ამ აღტაცებას აძლიერებს მთელი მისი წარსული, ისევე როგორც მომავალი.

ქალბატონი ვოკე სილვიასა და კრისტოფთან ერთად თავის ბუხართან ობლად მიყუჟულიყო. მოხუცი დიასახლისი მოგაგონებდათ მარიუსს კართაგენის ნანგრევებზე.

იგი უცდიდა ორად ორ მდგმურს, რომელიც მას შერჩა და სილვიას შესჩიოდა. რაგინდ მჭევრმეტყველი არ უნდა იყოს ჩივილი ცხოვრების გამო, რომელიც ლორდ ბაირონმა ტასოს ათქმევინა, იგი სრულიად ვერ შეედრება იმ ღრმა და გულწრფელ სიმართლეს, რომელიც ქალბატონ ვოკეს აღმოხდა.

_ მაშ, ხვალ მხოლოდ სამი ფინჯანი ყავა უნდა მოვამზადოთ, ხედავთ! სახლი დამიცარიელდა! განა გულის გასახეთქი არ არის! აბა, რა ცხოვრებაა უდგმუროდ? არაფრად არა ღირს. დაიცალა ჩემი სახლი, გაუკაცრიელდა. ცარიელი სახლი უსიცოცხლოა. რითი განვარისხე უფალი, რომ ყველა ეს უბედურება დამატყდა თავზე? ლობიო და კარტოფილი ოცი კაცისათვის არის მომარაგებული. ჩემს სახლში პოლიციას რა უნდა? ახლა მარტო კარტოფილით უნდა ვიკვებოთ. კრისტოფი უნდა დავითხოვოთ!

მძინარე სავოიელს მაშინვე გაეღვიძა და იკითხა:

_ ბატონო?

_ საწყალი ბიჭი ძაღლივით არის დაგეშილი, _ შეიბრალა სილვიამ.

_ მკვდარი სეზონია, ყველა უკვე დაბინავებულია. საიდან უნდა გამოჩნდნენ მდგმურები? ვგიჟდები და ესაა. ამ ალქაჯმა მიშონომ პუარეც რომ წამართვა? ნეტა იმისთანა რა უყო, რითი დააბა ეს ადამიანი, რომ გოშიასავით უკან დასდევს?

_ ეჰ, მაშ არადა! თავის ცანცარით წაიბურტყუნა სილვიამ. _ შინაბერებმა ისეთი ფანდები იციან...

_ ეს საწყალი ბატონი ვოტრენი კატორღელად აქციეს, _ განაგრძო ქვრივმა. _ კარგი, სილვია, რაც გინდა მიყავით, მე კი ამას ვერ გავიგებ. ასეთი მხიარული ადამიანი თვეში თხუთმეტი ფრანკის «გლორიასა» სვამდა და ყველაფერში ფულს იხდიდა!

_ რა პატიოსანი იყო! _ თქვა კრისტოფმა.

_ შეცდომა იქნება! _ დაუმატა სილვიამ.

_ არა, მან ხომ თვითონვე აღიარა, _ განაგრძო ქალბატონმა ვოკემ. _ თქვენ ისა თქვით, რომ მთელი ეს ამბავი ჩემს სახლში მოხდა, იმ უბანში, სადაც კატაც კი არ გაიხრიგინებს. პატიოსნებას გეფიცებით, თავი სიზმარში მგონია. ჩვენ ხომ ვნახეთ, თუ რა დაემართა ლუი XVI, ჩვენ ვნახეთ იმპერატორის დამხობა, ისიც ვნახეთ, როგორ დაბრუნდა იგი და კვლავ დაემხო. მთელი ეს ამბები ჭკუასთან ახლოს იყო; აბა, ვის შეუძლია რამე თქვას ოჯახური პანსიონების წინააღმდეგ: უმეფეებოდ შეიძლება გაძლება, მაგრამ უჭამასმოდ არსებობა ხომ შეუძლებელია. და როდესაც პატიოსანი ქალი, ქალიშვილობაში

კონფლანის ასული, საუკეთესო ნაირ-ნაირ სადილებს ამზადებს... ნამდვილად ქვეყნის აღსასრული დადგა... დიახ, ასეა _ ქვეყნის დაქცევაა და ეგ არის!

_ დახეთ ერთი! ყველაფერი, რაც დაგემართათ, ხომ მადმუაზელ მიშონოს ბრალია და ამბობენ, ამაში ათასი ეკიუს რენტა უნდა მისცენო! _ წამოიძახა სილვიამ.

_ მაგ გათახსირებულზე ნუ მელაპარაკები! _ ამოიოხრა ქალბატონმა ვოკემ. _ თანაც, ვერ უყურებ, რას შვრება, ბიუნოსთან გადადის! მაგას ყველაფერი შეუძლია! თავის დროზე, ალბათ, საშინელ რამეებს სჩადიოდა: ადამიანებსაც ხოცავდა და ქურდობდა კიდევაც. აი, ვინ არის კატორღაში გასაგზავნი იმ საწყალი კაცის მაგივრად...

ამ დროს ეჟენმა და მამა გორიომ ზარს ჩამოჰკრეს.

- ესეც ჩემი ორი ერთგული, - ამოიოხრა ქვრივმა.

ორ ერთგულს ნაკლებად ახსოვდათ, თუ რა უბედურება დაატყდა ქალბატონ ვოკეს პანსიონს და ამიტომ ბევრი ცერემონიის გარეშე გამოუცხადეს დიასახლისს, შოსე დ'ანტენის ქუჩაზე გადავდივართ საცხოვრებლადო.

_ ვაიმე, სილვია! _ აწუწუნდა ქვრივი. _ ესეც ჩემი უკანასკნელი იმედი! ბატონებო, თქვენ სასიკვდილოდ ჩამეცით დანა! პირდაპირ სტომაქში ჩამცხეთ! თითქოს სარი მაძგერეთ მუცელში. ერთ დღეში იმდენი რამ დამატყდა თავზე, რომ ათი წლით დავბერდი! ღმერთმანი, გავგიჟდები და ის იქნება! ლობიოს რაღა ვუყო? ეგრე იყოს, კრისტოფ! რახან მარტო ვრჩები, ხვალიდანვე უნდა დაგითხოვო. ნახვამდის, ბატონებო, ღამე მშვიდობისა!

_ ნეტა, რა მოუვიდა? _ შეეკითხა ეჟენი სილვიას.

_ მაშ, რა ქნას! ამ ამბების გამო ყველანი გაიხიზნენ აქედან, იმასაც შეურეკა თავში. დახე, ტირის კიდევაც! კარგია, ცოტა გულს მოეშვება. რაც აქ სამსახურში ვარ, პირველად მესმის მაგისი ტირილი.

მეორე დღეს ქალბატონი ვოკე უკვე «გონს მოვიდა», როგორც თვითონ ამბობდა. როგორც ყოველი დიასახლისი, რომელმაც მთელი თავისი მდგმურები დაკარგა და ცხოვრება აერია, იგი გულნატკენი იყო, მაგრამ გონება არ დაუკარგავს და აჩვენა, თუ როგორია ხოლმე ქონებრივი ინტერესების შელახვითა და დალაგებული ცხოვრების აშლით გამოწვეული ნამდვილი დარდი და ღრმა მწუხარება. უეჭველია, რომ, როდესაც შეყვარებული ტოვებს იმ ადგილებს, სადაც მისი მიჯნური ცხოვრობს და უკანასკნელად გასცქერის გარემოს, მის მზერაში ნაკლები სევდაა, ვიდრე ქალბატონი ვოკეს თვალებში იყო, როდესაც იგი თავის ცარიელ მაგიდას შესცქეროდა. ეჟენმა ანუგეშა ქვრივი და უთხრა,

ბიანშონს რამდენიმე დღეში ინტერნატში ყოფნის ვადა უმთავრდება და იგი უეჭველად ჩემს ადგილას დასახლდებაო; ისიც უამბო, მუზეუმის თანამშრომელს ბევრჯერ გამოუთქვამს ქალბატონ კუტიურის ბინის დაკავების სურვილი. ასე რომ, რამდენიმე დღეში ქვრივის პანსიონი ისევ შეივსებაო.

_ ღმერთმა გისმინოთ, ჩემო კეთილო ბატონო! მაგრამ უბედურება შემემთხვა; ნახავთ, ათი დღეც არ გავა და სიკვდილიც გვეწვევა, _ თქვა ქვრივმა და პირქუშად გადაავლო თვალი სასადილო ოთახს. _ ნეტა ვის წაიღებს?

_ დროა, აქედან ავბარგდეთ, _ ხმადაბლა უთხრა ეჟენმა მამა გორიოს. ამ დროს შემოირბინა შეშინებულმა სილვიამ და გამოაცხადა:

_ ქალბატონო, უკვე სამი დღეა, რაც მისტიგრის ვერსადა ვხედავ.

_ აა, რახან ჩემი კატა მოკვდა, თუ იმანაც მიგვატოვა, მე...

უბედურმა ქვრივმა სიტყვა ვეღარ დაამთავრა; ამ საშინელმა წინასწარმეტყველებამ სულ გასტეხა იგი; ხელები აიქნია და ძალაგამოლეული მიესვენა თავისი სავარძლის ზურგზე.

შუადღისათვის, როდესაც ფოსტალიონები დაატარებენ ხოლმე წერილებს პანთეონის უბანში, ეჟენმა კოხტა კონვერტში ჩადებული და დე ბოსეანების ღერბით დაბეჭდილი წერილი მიიღო. კონვერტში მოსაწვევი ბარათი იყო ქალბატონ და ბატონ დე ნუსინჟენის სახელზე. მათ პატიჟებდნენ დიდ ბალზე, რომელიც ვიკონტესასთან უნდა შემდგარიყო და ამის შესახებ ყველამ უკვე ერთი თვით ადრე იცოდა. ამ მოწვევას მცირე ბარათიც ახლდა ეჟენის სახელზე:

«მე გავიფიქრე, ბატონო, რომ თქვენ სიამოვნებით იკისრებთ ჩემი გრძნობების განმარტებას ქალბატონ დე ნუსინჟენისათვის. გიგზავნით მოწვევას, რომელიც თქვენ მთხოვეთ და ბედნიერი ვიქნები ქალბატონ დე რესტოს დის გაცნობით. ამგვარად: მომგვარეთ ეგ ლამაზი არსება და ეცადეთ, რომ მან მთლიანად არ დაატყვევოს თქვენი გრძნობები, რადგან უფრო მეტი მე უნდა მიწილადოთ საპასუხოდ იმისა, რასაც მე განვიცდი თქვენ მიმართ.

ვიკონტესა დე ბოსეანი».

ეჟენმა ხელახლა გადაიკითხა ბარათი და გაიფიქრა:

«ქალბატონი დე ბოსეანი საკმაოდ ცხადად მაგრძნობინებს, რომ ბარონ დე ნუსინჟენი მისთვის სასურველი სტუმარი არაა».

ეჟენი ბედნიერი იყო, რომ დელფინეს გახარება შეუძლია და საჩქაროდ გაეშურა მისკენ დამსახურებული ჯილდოს მისაღებად. ქალბატონი დე ნუსინჟენი სააბაზანოში იყო. რასტინიაკი ბუდუარში უცდიდა და მოუთმენლობისაგან იტანჯებოდა, რაც სრულიად ბუნებრივია აღგზნებული ახალგაზრდისათვის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში საყვარლის ყოლაზე ოცნებობდა. ეს განცდები განუმეორებელია ახალგაზრდების ცხოვრებაში. პირველ ქალს, რომელიც ნამდვილად გაიტაცებს ადამიანს, იმ ქალს, რომელსაც იგი ხედავს ხოლმე ისეთ ბრწყინვალე გარემოცვაში, რასაც პარიზის საზოგადოება მოითხოვს, მეტოქე არასოდეს არ ეყოლება. პარიზული სიყვარული სრულიად არა ჰგავს სხვარიგ სიყვარულს. ვერც კაცებსა და ვერც ქალებს ვერ მოატყუებ საქვეყნოდ გამოფენილი დროშებით, რომლებზედაც ზრდილობის გულისათვის ყველანი თავისი სიყვარულის უანგარობის სიტყვებს აწერენ. ამ ქალაქში ქალი არა მარტო ჩვენს გულსა და გრძნობებს უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ მას მშვენივრად ესმის, რომ გაცილებით უფრო დიდი მოვალეობა აკისრია _ უნდა მისდიოს იმ ათასნაირ ამაო და ფუჭ წვრილმანს, რომლებიდანაც მთელი ჩვენი ცხოვრება შედგება. აქაური სიყვარული ბაქიობითა და უსირცხვილობით, ბედოვლათობით, მუხანათობით და განცხრომით არის აღსავსე. თუკი ლუი მეთოთხმეტის კარის ბანოვანებს შურდათ მადმუაზელ დე ლავალიერისა, რომლის გულისთვისაც გრძნობამორეულმა დიდმა ხელმწიფემ დაივიწყა, რომ ყოველი მისი სამაჯე ათასი ეკიუ ღირდა და დახია ისინი, რათა დიუკ დე ვერმანდუას ამა ქვეყნის სარბიელზე გამოჩენა გაადვილებოდა, რაღა უნდა მოვკითხოთ დანარჩენ ადამიანებს? იყავით ახალგაზრდაც, მდიდარიც, სახელოვანიც და თუ შეძლებთ, მეტიც იყავით და რაც უფრო მეტ საკმეველს აკმევთ თქვენი კერპის საკურთხეველზე, იგი მით უფრო მწყალობელი იქნება თქვენი, რასაკვირველია, თუკი გყავთ ასეთი კერპი. სიყვარული რელიგიაა და მისი კულტი, ალბათ, გაცილებით უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე სხვა რომელიმე რელიგია. იგი სწრაფად გაივლის ხოლმე ქუჩის ბიჭივით, რომელიც ცდილობს, რომ სადაც კი ჩაივლის, არაფერი დარჩეს დაუნგრეველი. გრძნობათა სიმდიდრე _ სხვენზე მაცხოვრებელთა პოეზიაა; ეს სიმდიდრეც რომ არ გააჩნდეთ, რად ეღირებოდა მათი სიყვარული? და თუ პარიზის კანონმდებლობის ამ დრაკონისეულ წესებიდან გამონაკლისები არსებობს, ისინი ეულად არიან; ამ ადამიანთა სული არ დაემორჩილა საყოველთაოდ გავრცელებულ დოქტრინებს და ისინი სადღაც, კამკამა, წმინდა, ჩქარმსრბოლი, მაგრამ დაუშრეტელი ნაკადულის ნაპირებზე სუფევენ; ისინი არ ღალატობენ მწვანე ტევრებს და ბედნიერნი არიან, რომ უსმენენ სამყაროს ღაღადისს. ეს

ღაღადისი მათ თავის სულშიაც ესმით. ისინი უდრტვინველად ელიან აღზევებას და დედამიწაზე შთენილთა ბედ-იღბალს დასცინიან. მაგრამ რასტინიაკს, მეტ წილ ახალგაზრდათა მსგავსად, რომელთაც დასაწყისიდანვე დიდკაცობა იგემეს, უნდოდა სავსებით შეიარაღებული გამოსულიყო უმაღლესი საზოგადოების ასპარეზზე. მას უკვე შეეყარა ამ საზოგადოების ციებ-ცხელება, შეიძლება იმიტომ, რომ გრძნობდა _ შესწევდა ძალა აქ გაბატონებისა, მაგრამ ჯერ არ იცოდა, როგორ და რა მიზნით უნდა განეხორციელებინა ეს პატივმოყვარე ზრახვები. თუკი არ არსებობს წმინდა და ამაღლებული სიყვარული, რომელიც მთელ სიცოცხლეს ავსებს, მაშინ ძალაუფლების ამ წყურვილს შესანიშნავი საქმეების წარმართვა შეუძლია. ამისთვის საკმაოა უარი თქვა ყველა პირად ინტერესზე და შენი ქვეყნის სიდიადე დაისახო მიზნად. მაგრამ სტუდენტი ჯერ არ ამაღლებულიყო იმ მწვერვალამდე, საიდანაც ადამიანი ხედავს თავისი ცხოვრების გზას და მისი წარმართვა შეუძლია. აქამდე მას ჯერ სავსებით ვერ ჩამოეშორებინა მომხიბლავობა ახალი და ნეტარი იდეებისა, რომლებითაც თითქოს შეფოთლილია პროვინციაში გაზრდილი ადამიანის ბავშვობის წლები. იგი დიდხანს მერყეობდა და ვერ ბედავდა პარიზის რუბიკონის გადალახვას. მიუხედავად ამ აღგზნებული ცნობის წადილისა, მას გულში დაცული ჰქონდა ფარული აზრი იმ ბედნიერი ცხოვრების შესახებ, რომელსაც ეწევა ნამდვილი აზნაურიშვილი თავის ციხე-დარბაზში. მაგრამ წუხელ, როდესაც იგი საკუთარ ბინაში აღმოჩნდა, უკანასკნელი ეჭვებიც გაუქრა. ახლა იგი სიმდიდრის უპირატესობით სარგებლობდა ისევე, როგორც დიდი ხანია იყენებდა მაღალი წარმოშობის უპირატესობას. მან ჩამოიშორა პროვინციელი ადამიანის გარსი და უჩუმრად დაიმკვიდრა ისეთი მდგომარეობა, საიდანაც შესანიშნავი მომავლის გზები იშლებოდა. თანაც, ახლა, როდესაც დელფინეს მოლოდინში იგი ნებივრად იჯდა ამ ლამაზ ბუდუარში, რომელიც ქალის ბუდუარს ჰგავდა, მას მოეჩვენა რომ იმდენად არის დაშორებული იმ რასტინიაკს, ვინაც გასულ წელს პარიზში ჩამოვიდა, რომ ახლა, როცა იგი თავისი შინაგანი სულიერი მზერით ათვალიერებდა მას, ეკითხებობდა თავის თავს _ ჰგავს თუ არა იგი ამ წუთში იმ რასტინიაკს?..

_ ქალბატონი თავის ოთახშია, _ ისე მოულოდნელად უთხრა ტერეზამ, რომ რასტინიაკი შეკრთა.

დელფინე ელოდა ცეცხლის პირას თავის კოზეტზე წამოწოლილი; მას მშვიდი და ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა. მუსლინის ტალღებში გახვეული ქალის დანახვაზე

არ შეიძლება არ შეგედარებინათ იგი ინდოეთის იმ მშვენიერ მცენარეებს, რომლის ნაყოფი ყვავილებით არის გარშემორტყმული.

_ კარგია, რომ მოხვედით, _ გრძნობით წარმოთქვა მან.

_ ხომ მიხვდით, რა მოგიტანეთ, _ შეეკითხა ეჟენი, ჩამოჯდა მის გვერდზე და მოიზიდა მისი მკლავი, რათა ხელზე ეკოცნა. ქალბატონმა ნუსინჟენმა წაიკითხა წერილი და სიხარულისაგან შეტოკდა. მან მიაპყრო ეჟენს თავისი ნამიანი თვალები და ხელები კისერზე შემოაჭდო, რათა გულზე მიეკრა ნიშნად მადლობისა მისი ამაოების ზრახვების დაკმაყოფილებისათვის.

_ თქვენ (შენ, _ ჩასჩურჩულა ყურში, _ მაგრამ ჩემს საპირფარეშო ოთახში ტერეზა არის და ფრთხილად უნდა ვიყოთ) უნდა გიმადლოდეთ ამ ბედნიერებას. ვბედავ და ამას ბედნიერებას ვუწოდებ. რახან თქვენი მეშვეობით მივაღწიე, ეს ხომ მეტია, ვიდრე პატივმოყვარეობის გამარჯვება! უმაღლეს საზოგადოებაში ჩემი შეყვანა არავის არ უნდოდა. ამ წუთში თქვენ მე წვრილმან, ფუქსავატ, მსუბუქ პარიზელ ქალადა მთვლით, მაგრამ იცოდეთ, ჩემო მეგობარო, რომ თქვენი გულისათვის მზად ვარ ყველაფერი გავწირო და სენ-ჟერმენის გარეუბნის საზოგადოებაში ასეთი გზით იმიტომ მსურს მოხვედრა, რომ იქ თქვენა ხართ ხოლმე.

_ როგორ ატყობთ, _ შეეკითხა მას ეჟენი, _ ხომ არ გვაგრძნობინებს ქალბატონი დე ბოსეანი, რომ ბარონ დე ნუსინჟენის ბალზე დასწრება ვარაუდად არა აქვს?

_ ცხადია, _ უპასუხა მას ბარონის მეუღლემ, _ ამ ქალებს უზრდელობის ნიჭიერად გამოჩენის უნარი აქვთ, მაგრამ სულ ერთია, მე მაინც წავალ. იქ ჩემი დაც იქნება. ვიცი, რომ საამისოდ მშვენიერ კაბას იკერავს. იცით, ეჟენ, _ განაგრძო მან ხმადაბლა, _ ის იმისთვის მიდის ამ ბალზე, რათა საშინელი ეჭვები გაჰფანტოს. თქვენ არ იცით, რა ხმებია დაყრილი მის შესახებ. ნუსინჟენი შემოვიდა ამ დილას და მითხრა, რომ გუშინ კლუბში სრულიად მოურიდებლად ლაპარაკობდნენ ჩემი დის შესახებ. ღმერთო! ვისგან არის დამოკიდებული ქალისა და ოჯახის პატიოსნება! შეურაცხყოფილად და დამცირებულად ვგრძნობდი თავს საწყალი ჩემი დის გულისათვის. ზოგიერთის თქმით, ბ. ტრაის თითქმის ასი ათასი ფრანკის თამასუქები გაუცია, თითქმის სრულიად გაკოტრებულა, ფული ვერ გადაუხდია და ამისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოთ. ამ უაღრესი გაჭირვებიდან დასახსნელად ჩემმა დამ ერთ ურიას მიჰყიდა თავისი მშვენიერი ბრილიანტები, რომელიც თქვენ, ალბათ, გინახავთ. ეს ბრილიანტები მას თავისი დედამთილისაგან _ ქალბატონ დე რესტოსაგან დარჩა. მოკლედ, ორი დღეა სხვა სალაპარაკო აღარა აქვთ რა. ახლა კი მესმის, რატომ

შეუკვეთა ანასტაზიმ ბრჭყვიალებით მორთული კაბა. მას სურს, ქალბატონ დე ბოსეანის ბალზე თავისი ბრწყინვალებითა და თავისი ბრილიანტებით ყველას ყურადღება მიიზიდოს. მაგრამ მე არ მსურს მასზე ნაკლები ვიყო. მას ყოველთვის ჩემი დაჩაგვრა უნდოდა, ყოველთვის ცუდად მექცეოდა. მე კი არასოდეს მითქვამს უარი მის დახმარებაზე. როცა უჭირდა, ყოველთვის ფულს ვაძლევდი... თავი დავანებოთ საზოგადოებას, დღეს მინდა ბედნიერებას მივეცე.

ღამის პირველ საათზე რასტინიაკი ჯერ კიდევ ქალბატონ დე ნუსინჟენთან იყო, რომელსაც გამომშვიდობებისას კოცნა არ დაუშურებია მისთვის და ამ კოცნასთან ერთად, რომელიც სავსე იყო მომავალი ბედნიერების შეპირებით, ქალმა მელანქოლიური გამომეტყველებით უთხრა:

_ მე ისეთი მშიშარა და ისეთი ცრუმორწმუნე ვარ, რაც გინდათ, ის მიწოდეთ, რომ იმის შიში მაკანკალებს _ ვაითუ ამ ჩემს ბედნიერებას საშინელი კატასტროფა მოჰყვეს.

_ ბავშვი ხართ! _ უთხრა ეჟენმა.

_ დიახ, _ სიცილით უპასუხა ქალმა, _ ამ საღამოს ბავშვი მე ვარ!

ეჟენი დაბრუნდა ვოკეს სახლში და დარწმუნებული იყო, რომ ხვალვე დატოვებს მას. მთელი გზის განმავლობაში მას არ მიუტოვებია ის შესანიშნავი ოცნებები, რომლებიც დაეუფლებიან ხოლმე ახალგაზრდებს, როდესაც ტუჩებზე ჯერ კიდევ ბედნიერების გემოსა გრძნობენ.

_ როგორაა საქმე? _ შეეკითხა მამა გორიო, როდესაც რასტინიაკმა მის კარებთან გაიარა.

_ კარგად, _ უპასუხა ეჟენმა, _ ხვალ ყველაფერს გიამბობთ.

_ ხომ ყველაფერს, არა? _ შეჰყვირა მოხუცმა. _ დაწექით, დაიძინეთ. ხვალიდან ჩვენი ბედნიერი ცხოვრება იწყება.

მეორე დილას გორიო და რასტინიაკი პანსიონიდან გადასასვლელად გაემზადნენ და მხოლოდ იმას უცდიდნენ, თუ როდის მოეხასიათებოდა მოსვლა მტვირთავ მუშას მათი ბარგის წასაღებად. თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე გაისმა უცებ გრიალი ეტლისა, რომელიც ვოკეს სახლთან გაჩერდა. ქალბატონი დე ნუსინჟენი გადმოვიდა თავისი ეტლიდან და იკითხა _ არ არის თუ არა მამამისი. სილვიას დასტურის გაგონებაზე, მან სწრაფად აირბინა კიბე. ეჟენი თავის ოთახში იყო, მაგრამ მისმა მეზობელმა ეს არ იცოდა. საუზმის დროს ეჟენმა სთხოვა მამა გორიოს, რომ მოხუცს მისი ბარგიც წაეღო და დაუბარა, ოთხი საათისათვის დ'არტუას ქუჩაზე ვიქნებიო. მაგრამ სანამ

მოხუცი მზიდავს ეძებდა, ეჟენმა მოასწრო კანონმცოდნეობის სკოლაში გაქცევა, შემოწმებაზე დასწრება და სახლში ისე დაბრუნდა, რომ არავის შეუმჩნევია. მას უნდოდა პირადად გასწორებდა ქალბატონ ვოკეს და ეს საქმე მოხუცისათვის არ მიენდო, რადგან იცოდა, ფანატიკოსი მოხუცი უდავოდ ჩემი ხარჯის გადახდასაც მოინდომებსო. დიასახლისი წასული დაუხვდა. ეჟენი თავის ოთახში ავიდა, რათა ენახა, ხომ არაფერი დავიწყებოდა და თვითონვე მოეწონა ეს აზრი, როცა მაგიდის უჯრაში დაინახა ვოტრენისათვის მიცემული უვადო თამასუქი, რომელიც მან დაფარა და მას აქეთ აქ ეგდო. ცეცხლი არ ენთო და მას უკვე ქაღალდის ნაკუწ-ნაკუწ დახევა უნდოდა, როდესაც უცებ დელფინეს ხმა იცნო და ამიტომ თავი შეიკავა, რათა ხმაური არ გამოეწვია, შეჩერდა და ყური დაუგდო, რადგან ფიქრობდა, რომ დელფინეს არაფერი აქვს მასთან დასამალი. შემდეგ, პირველივე სიტყვების გაგონებაზე, ლაპარაკი მამასა და ქალიშვილს შორის იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ რასტინიაკს ყური არ მოუშორებია.

_ მამა! ღმერთს უნდა ვუმადლოდეთ, რომ თქვენ დროზე მოიფიქრეთ ჩემი ქონების ანგარიშის მოკითხვა, სანამ ჯერ არ გავუნადგურებივარ! შეიძლება თავისუფლად ვილაპარაკო?

_ კი, სახლი ცარიელია, _ უპასუხა ხმაშეცვლილად მამა გორიომ.

_ რა დაგემართათ, მამაჩემო? _ შეეკითხა მას ქალბატონი დე ნუსინჟენი.

_ გულში დანა ჩამეცი და ეგ არის, _ უპასუხა მოხუცმა, _ ღმერთი შეგინდობს, შვილო! შენ ხომ არ იცი, რარიგ მიყვარხარ; რომ იცოდე, ასე მოულოდნელად არ მომახლიდი ასეთ რამეებს; მით უმეტეს, რომ საქმე არც ისე უიმედოდაა. რატომ აჩქარდი ასე, აქ რამ მოგანახია ჩემი თავი? ხომ იცოდი, რომ რამდენიმე წუთში ჩვენ დ'არტუას ქუჩაზე ვიქნებით?

_ ეჰ, მამაჩემო! განა შეიძლება თავს დავეუფლო, როდესაც განადგურების წინაშე ვდგავართ? შეშლილივით ვარ. თქვენმა ვექილმა ადრევე გაგვაფრთხილა იმ უბედურების შესახებ, რომელიც უდავოდ მოგვიანებით თავს უნდა დაგვტყდომოდა. ახლა მთელი თქვენი დიდი ხნის კომერციული გამოცდილება საჭირო გახდება და მეც თქვენს საძებნელად გამოვეშურე, როგორც წყალწაღებული, რომელიც ხავსს ეჭიდება. როდესაც ბატონმა დერვილმა დაინახა, რომ ნუსინჟენი ათასნაირი ხრიკების საშუალებით ხელს უშლის, სასამართლო პროცესით დაემუქრა და უთხრა, რომ სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილების მისაღებად დიდი დრო არ არის საჭირო. ამ დილას ნუსინჟენი შემოვიდა ჩემთან და შემეკითხა _ ნუთუ მე მსურს, რომ მეც და ისიც გავნადგურდეთ? ვუპასუხე, რომ

არაფერი მესმის მთელი ამ საქმეებისა, რომ ქონება მე მეკუთვნის და მინდა თვითონ დავეუფლო ჩემს საკუთრებას, რომ მთელ ამ დახლართულ საქმეებში გარკვევა ჩემი ვექილის საქმეა და რომ მე სრულიად არაფერი გამეგება ამ საქმეებისა და ვერც გავერკვევი ამ ამბებში. თქვენ ხომ მირჩიეთ, რომ ასე მეთქვა?

_ კარგად გითქვამს, _ უპასუხა მამა გორიომ.

_ ნუსინჟენმა თავისი საქმეები გამაცნო. თურმე მთელი მისი და ჩემი კაპიტალი მას ახლად წამოწყებულ საქმეებში დაუბანდებია და ამ საქმეების საწარმოებლად დიდძალი თანხების საზღვარგარეთ გატანა გამხდარა საჭირო. მე რომ ვაიძულო და ჩემი მზითევი დავაბრუნებინო, იგი იძულებული შეიქნება გადახდის უნარის მოკლებულად გამოაცხადოს თავი, მაგრამ ერთი წელიწადი თუ ვადროვე, იგი ჩემს თანხებს მიწებით ვაჭრობისათვის გამოიყენებს და პატიოსნებას მეფიცება, რომ გაორკეცებულად და გასამკეცებულად დამიბრუნებს ჩემს ქონებას. ჩემო მამიკო! იგი გულწრფელი იყო და მე შევშინდი. მან პატიება მთხოვა თავისი საქციელისათვის, თავისუფლება დამიბრუნა და ნება მომცა მოვიქცე ისე, როგორც მომინდება, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემი სახელით საქმეების წარმოების განუსაზღვრელ უფლებას მივანიჭებ. თავისი გულწრფელობის დასამტკიცებლად იგი დამპირდა, რომ ყოველთვის, როდესაც მე მოვინდომებ იმის შემოწმებას, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი ქაღალდები, რომელთა საშუალებით გადმომცემს ჩემს ქონებას, იგი დერვილს გამოუძახებს. ერთი სიტყვით, მან ფარ-ხმალი დაჰყარა. მთხოვა კიდევ ორი წლის განმავლობაში ვუხელმძღვანელო ოჯახს და მეხვეწებოდა, იმაზე მეტი არ დახარჯოთ, რაც თქვენი ხარჯებისათვის დაგინიშნეთო. მან დამიმტკიცა, არაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ გარეგნულად შევინარჩუნო კეთილდღეობაო, დამიმტკიცა, მივატოვე მოცეკვავე ქალი და იძულებული ვიქნები ზედმიწევნით და იმავე დროს მეტად საიდუმლოდ, მომჭირნეობა გავწიო, რათა ყველა წამოწყებული საქმის დასრულებამდე თავისი კრედიტისადმი ნდობა არ დავკარგოო. მე უხამსად მოვექეცი, არაფერს ვუჯერებდი იმ მიზნით, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩამეყენებინა და რაც შეიძლება მეტი გამეგო. მან თავისი დავთრები მაჩვენა და ბოლოს ტირილიც დაიწყო. არასოდეს მინახავს ვაჟკაცი ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყო. მან სრულიად დაკარგა გონება, თვითმკვლელობაზე ლაპარაკობდა, რაღაცეებს ბოდავდა და თავი შემაბრალა.

_ და შენც დაუჯერე მთელ ამ მიქარვას? _ დაიყვირა მამა გორიომ. _ ეგ მაგის მასხარაობაა და მეტი არაფერი! მე საქმეში შევხვედრივარ გერმანელებს. თითქმის ყველანი

პატიოსანი და გულგახსნილი ადამიანები იყვნენ, მაგრამ თუ ამ გულწრფელობის და უბრალოების საფარით მოჰყვებიან ეშმაკობასა და ოინბაზობას, მაშინ ყველას გადააჭარბებენ. შენი ქმარი გატყუებს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს და თავს იკატუნებს. უნდა, რომ შენი სახელით უფრო თავისუფლად განაგებდეს ქონებას, ვიდრე თავისი სახელით შეუძლია. და თუ საქმეები ცუდად წაუვა, იგი ისარგებლებს ამ მდგომარეობით, რათა დაუძვრეს. ეგ გათახსირებული ცბიერიც არის და მუხანათიც. არა, მე ისე არ მოვკვდები და ისე არ წამაბრძანებენ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, რომ ჩემი გოგონები გავაძარცვინო. მე ჯერ კიდევ ცოტა რამ გამეგება საქმეებისა. რაო? ფულები საქმეებში მაქვს დაბანდებულიო? კეთილი! მაშინ ამ საქმეებში მაგისი მონაწილეობა ხომ იქნება გამოხატული რაღაც ფასეულობით, ხელწერილებით, ხელშეკრულებებით. გვაჩვენოს და ამ ქაღალდებით გაგვისწორდეს. ყველაზე სარგებლიან საქმეებს ამოვარჩევთ და ბედსა ვცდით: გავიჩენთ ჩვენს სახელზე კანონიერად აღიარებულ ფირმას _ თავის ქმართან ბარონ დე ნუსინჟენთან ქონებრივად გამოყოფილი დელფინე გორიო. სულელად გვთვლის, თუ როგორ არის მაგისი საქმე? ნუთუ მას ჰგონია, რომ ორ დღეს გამაძლებინებს იმის ფიქრი, რომ შენ უფულოდ, ულუკმაპუროდ დარჩები? ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ, ერთი ღამეც ვერ დავრჩები ცოცხალი, ორ საათსაც ვერ გავუძლებ! ეს ამბავი რომ გამართლდეს, სიცოცხლე რაღად მინდა? როგორია? ორმოცი წელი, ჩემი დღე და წუთისოფელი შრომაში გავატარე, საკუთარი ზურგით ტომრებს ვეზიდებოდი, ოფლში ვიწურებოდი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყველაფერს ვიკლებდი თქვენი გულისთვის, ჩემო ანგელოზებო! და მხოლოდ თქვენ მიადვილებდით შრომას და ტვირთს მიმსუბუქებდით, ახლა კი ჩემი სიცოცხლის მონაგარი წყალს უნდა გავატანო! სიბრაზისაგან ლამის მოვკვდე, ვფიცავ ყოველივეს, რაც რომ წმინდაა ცასა და დედამიწაზე, რომ ყველაფერს გამოვარკვევ, შევამოწმებ დავთრებს, სალაროს, საქმეებს! არ მოვისვენებ, არ დავიძინებ, არ ვჭამ და არ ვსვამ, სანამ არ დამიმტკიცებენ, რომ შენი ქონება ხელუხლებელია. ღვთის მადლით, თქვენი ქონება გაყოფილია. ისიც ბედია, რომ ვექილად ისეთი პატიოსანი ადამიანი გვეყოლება, როგორიც დერვილია. მადლობა უფალს! შეინარჩუნებ შენს კოხტა მილიონს და შენს უკანასკნელ დღემდე ორმოცდაათი ლივრის შემოსავალი გექნება, თორემ ისეთ ამბავს ავტეხავ პარიზში, რომ, ჰა! სასამართლოებში თუ გაგვათახსირებს, დეპუტატთა პალატას მივმართავ. ოღონდ ვიცოდე, რომ ფულის მხრივ ყოველივე თავის წესსა და რიგზე გაქვს, მეტი არაფერი მინდა. მხოლოდ ეს გამიადვილებდა დარდებს და ჩემს გულის ტკივილებს დააცხრობდა. ფული სიცოცხლეა.

ფულს ყველაფერი შეუძლია. რაო, რას გვიმღერის ეგ გაბღენძილი ელზასელი კუნძი? დელფინ! ლიარის ერთი მეოთხედიც არ დაუთმო მაგ გასიებულ ცხოველს, რომელმაც ჯაჭვით დაგაბა და გაგაუბედურა. თუკი შენ მისთვის საჭირო ხარ, მაშინ ხელ-ფეხს გავუკოჭავთ და ჭკუას ვასწავლით! ღმერთო! ეს რა ცეცხლი მეკიდება! რაღაცა მწვავს და მიხრუკავს თავის ქალას. ჩემს დელფინეს ჩალაზე უნდა ეძინოს! ო! ჩემო ფიფინ! ეშმაკმა წაიღოს! სად არის ჩემი ხელთათმანები? აბა, წავიდეთ! მე მინდა ახლავე ვნახო ყველაფერი, _ დავთრები, საქმეები, სალარო, მიწერ-მოწერა. მე ვერ მოვისვენებ, სანამ არ დამიმტკიცებენ, რომ შენს ქონებას საფრთხე აღარ ემუქრება, სანამ საკუთარი თვალით არ დავრწმუნდები.

_ ჩემო მამიკო! ფრთხილად მოიქეცით. დამღუპავთ, თუ ამ საქმეში სულ ოდნავ მაინც შურისძიებით იმოქმედებთ და ზედმეტად მტრულ განზრახვებს გამოიჩენთ. ის კარგად გიცნობთ და სავსებით ბუნებრივად თვლის, რომ თქვენი ჩაგონებით ვწუხვარ ჩემი ქონების გამო, მაგრამ ქონება მის ხელშია და, გეფიცებით, იგი არც აპირებს ხელიდან გაშვებას. ეგ ხომ ისეთი სალახანაა, რომ შეუძლია გაიტაცოს მთელი ჩემი ფულები და მშრალზე დაგვტოვოს. იგი დარწმუნებულია, რომ არ დავუწყებ დევნას და არ შეურაცხვყოფ სახელს, რომელსაც მე თვითონ ვატარებ. იგი ძლიერიც არის და ამავე დროს სუსტიც. მე ყველაფერი მოფიქრებული მაქვს. თუ უკიდურესობამდე მივიყვანეთ, იგი სრულიად გამანადგურებს.

_ მაშ, ავაზაკი ყოფილა!

_ დიახ, მამა, ასეა! მართალი ხართ, _ უპასუხა ქალიშვილმა და ტირილით სკამზე დაეცა. _ მე არ მინდოდა თქვენთვის ამის განდობა, რათა არ გედარდათ, ასეთ ადამიანს რატომ მიგათხოვეო. მისი იდუმალი ზრახვები, სინდისი, სული და ხორცი, ყველაფერი ერთ ყაიდაზეა აწყობილი! ეს ხომ საშინელებაა: მე მეზიზღება და მძულს იგი! როგორ შემიძლია პატივი ვცე ამ საზიზღარ ნუსინჟენს ყოველივე იმის შემდეგ, რაც მისგან გავიგონე. ადამიანი, რომელიც ისეთ კომერციულ კომბინაციებს ახერხებს რომლების შესახებაც მან მიამბო, სრულიად მოკლებულია სინდისის ნატამალსაც კი. ჩემი შიშიც სწორედ იმით არის გამოწვეული, რაც ზედმიწევნით კარგად ამოვიკითხე მის გულში: მან, ჩემმა ქმარმა, ცხადად შემომთავაზა თავისუფლება _ ხომ იცით, ეს რასაც ნიშნავს? ოღონდ იმ პირობით, რომ თუკი მისი საქმეები ჩაიფუშება, მე მის ხელში იარაღად გადავიქცევი. მოკლედ, თუ დავთანხმდები და მისი ყალბი მონაცვლე გავხდები.

_ კი მაგრამ, ხომ არის ჯერ კიდევ სამართალი! და ასეთი სიძეებისათვის გრევის მოედანიც არსებობს! _ აყვირდა მამა გორიო. _ თუ ჯალათი არ აღმოჩნდა, მე თვითონ მოვკვეთ მას თავს გილიოტინით!

_ არა, მამა! მას ვერავითარი სამართალი ვერ დაუდგება წინ. აი, ყური დამიგდე. ნუსინჟენი მრავალსიტყვაობას მოჰყვა, მაგრამ მე სულ ორი სიტყვით გეტყვი, რისი თქმა უნდოდა მას: «ან ყველაფერი დაიკარგება, თქვენ ერთი ლიარიც არ შეგრჩებათ და სრულიად განადგურდებით, რადგან თქვენ გარდა სხვა მონაწილის არჩევა არ შემიძლია, ანდა თქვენ საშუალებას მომცემთ, რომ წარმატებით დავასრულო ჩემი საქმეები». ხომ ყველაფერი ცხადია? მის თვალში ჯერ ფასი არ დამიკარგავს. ჩემი ქალური პატიოსნება არ აეჭვებს, რადგან იცის, რომ დავუტოვებ მის ქონებას და ჩემსას ვიკმარებ. ქონების გაჩანაგების შიშით იძულებული ვარ დავთანხმდე ამ უპატიოსნო და ავაზაკურ ამხანაგობას. იგი ჩემს სინდისს ყიდულობს და საფასურად ნებას მაძლევს, რომ მოურიდებლად ეჟენის ცოლი გავხდე. «მე ცოდვების ჩადენის ნებას გაძლევ, შენ კი დამანებე ბოროტმოქმედებას მივყო ხელი და ღარიბ-ღატაკნი გავანადგურო». განა ეს სიტყვები საკმაოდ ნათელი არ არის? იცით, რას უწოდებს იგი ოპერაციების წარმოებას? იგი თავისი სახელით ყიდულობს დაუსახლებელ მიწებს, შემდეგ სხვისი სახელით წამდგარ ადამიანებს სახლების აგებას ავალებს. ეს ყალბი პირები შენობების აგებას იჯარით გასცემენ ვიღაც მოიჯარადრეებზე, რომლებსაც გრძელვადიანი თამასუქებით უხდიან საფასურს, შემდეგ, მცირე ფასად, აძლევენ ჩემს ქმარს იმის ხელწერილს, რომ შენობების ასაგები თანხები მიღებული აქვთ მისგან და ამგვარად, იგი ამ სახლების პატრონი ხდება; ის ყალბი პირები თავს გაკოტრებულად აცხადებენ და მოიჯარადრეები პირში ჩალაგამოვლებულნი რჩებიან. ნუსინჟენის სავაჭრო სახლის სახელწოდება მხოლოდ საცოდავი მშენებლობის თვალის ასახვევად არსებობდა. მე მივხვდი ამას, ისიც გავიგე, დიდძალი თანხები გადარიცხა ამსტერდამში, ლონდონში, ნეაპოლში, რომ თუ საჭირო გახდა, დაამტკიცოს, დიდი ხარჯების გაწევა მომიხდაო. როგორ შევძლებთ ჩვენ მათ დაკავებას?

ეჟენს მოესმა, როგორ მძიმედ დაეცა მამა გორიო მუხლებით თავისი ოთახის ფილაქანზე.

_ ღმერთო ჩემო, რა დაგიშავე? ჩემი შვილი იმ გათახსირებულის ხელშია, რომელსაც შეუძლია ყველაფერი მოსთხოვოს, რაც კი მოეპრიანება! მაპატიე, შვილო! _ ყვიროდა ბერიკაცი.

_ დიახ, შეიძლება თქვენი ბრალიც იყოს, რომ ამ უფსკრულში ჩავვარდი. აბა, რა ჭკუა მოგვეკითხება, როცა ვთხოვდებით? განა რამე გაგვეგება ან საზოგადოებისა, ან საქმეებისა, ან მამაკაცებისა და ზნე-ჩვეულებებისა? მამები ვალდებულნი არიან ჩვენ მაგივრად იფიქრონ. მაპატიეთ, ჩემო მამა, ეს სიტყვები, მე თქვენ არაფერში არ გამტყუნებთ, ეს ხომ მაინც ჩემი შეცდომაა. არ გინდა, ნუ ტირი, მამიკო, _ უთხრა ქალმა და შუბლზე აკოცა მამას.

_ შენც ნუ ტირი, ჩემო პატარა დელფინ. მოდი, გაკოცო თვალებში, კოცნით შეგიშრო ცრემლი. მოიცა, ცოტა გონს მოვალ და გავხსნი მაგ შენი ქმრის მიერ არეული საქმეების ხლართს.

_ არა, მამა, ეგ საქმე მე დამანებეთ; მე შევძლებ საქმის შემოტრიალებას. მე მას ვუყვარვარ. ამას რა ჯობს? გამოვიყენებ ჩემს ძალაუფლებას მის მიმართ იმისთვის, რომ თანხების ნაწილი საჩქაროდ ჩემს სახელზე მიწებში დააბანდოს. შეიძლება ჩემს სახელზე გამოვასყიდინო ნუსინჟენების ყოფილი მამული ელზასში. ბატონ დერვილს კომერციისა ბევრი არაფერი გაეგება... არა, ხვალ ნუ მოხვალთ _ არ მინდა სისხლი ამემღვრეს. მინდა თავს გავუფრთხილდე და ზეგ ქალბატონ დე ბოსეანის ბალზე დამშვიდებული და ლამაზი ვიყო და ჩემი საყვარელი ეჟენი ვასახელო. წამოდით, მისი ოთახი ვნახოთ.

ამ დროს ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე ეტლი გაჩერდა და კიბეზე გაისმა ხმა გრაფ დე რესტოს მეუღლისა, რომელიც სილვიას ეკითხებოდა:

_ მამაჩემი აქ არის?

ამ გარემოებამ უშველა ეჟენს, თორემ იგი უკვე ლოგინზე დაწოლას და თავის მომძინარებას აპირებდა.

_ მამა, რამე თუ გაგიგიათ ანასტაზის შესახებ? _ შეეკითხა დელფინე, რომელმაც თავისი დის ხმა იცნო, _ მგონი, მის ოჯახურ ცხოვრებაშიაც რაღაც უცნაური ამბავი მოხდა.

_ რა მოხდა? _ იკითხა მამა გორიომ, _ ჩემი აღსასრული მოსულა, უბედური ჩემი თავი ამ ორმაგ უბედურებას ვერ გაუძლებს.

_ გამარჯობათ, მამაჩემო, _ თქვა გრაფის მეუღლემ შემოსვლისას. _ აჰ! დელფინ, აქა ხარ?

დასთან შეხვედრამ, ეტყობა, შეაკრთო ქალბატონი დე რესტო.

_ გამარჯობა, ნაზი, _ თქვა ბარონის მეუღლემ. _ ჩემი აქ ყოფნა შენ მგონი უჩვეულოდ მოგეჩვენა? მე ყოველდღე ვხედავ ხოლმე მამაჩემს.

_ რა ხანია ასე იქცევი?

_ აქ რომ გევლო, გეცოდინებოდა.

_ ნუ ჩამაცივდი, დელფინ, _ საცოდავი ხმით წაილუღლუღა გრაფის მეუღლემ. _ რა უბედური ვარ! ჩემო საწყალო მამა, მე დავიღუპე! ახლა კი ნამდვილად დავიღუპე!

_ რა დაგემართა, ნაზი! _ შეჰყვირა მამა გორიომ. _ ყველაფერი გვითხარი, შვილო, ვაიმე! გაფითრდა. დელფინ, რას უყურებ? დაუყვავე, მოეფერე. მაშინ უფრო მეყვარები, თუკი შეიძლება უფრო მეტად სიყვარული!

_ ჩემო საბრალო ნაზი! _ დაუყვავა დას ქალბატონმა დე ნუსინჟენმა და სკამზე დასვა. _ იცოდე, რომ ყოველთვის მხოლოდ ორს გვეყვარები იმდენად, რომ ყველაფერს გაპატიებთ. იცოდე, ნათესაური სიყვარული ყველაზე საიმედოა.

დელფინემ აყნოსვინა დას სასუნებელი მარილი და მოასულიერა.

_ ეს ამბავი მომკლავს! _ თქვა მამა გორიომ და შეუჩიჩხინა ბუხარში მოგიზგიზე ტორფს. _ აბა, მოდით ჩემთან ორივენი. როგორ მცივა. რა დაგემართა, ნაზი, მალე მითხარი, თორემ მომკლავ და ეგ არის...

_ კარგი... _ უპასუხა საცოდავმა ქალმა. _ ჩემმა ქმარმა ყველაფერი გაიგო. გაიხსენეთ, მამაჩემო, ამასწინანდელი მაქსიმის თამასუქი ხომ გახსოვთ? ეს ხომ პირველი არ იყო. მე უკვე ბევრი თამასუქი გავანაღდე. დაახლოებით იანვრის დამდეგს მომეჩვენა, რომ ბ. დე ტრაის რაღაცა დიდად ადარდებს. ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ საყვარელი ადამიანის გულში ყოველივეს ამოკითხვა ადვილია, ამისთვის სულ მცირეოდენია საკმარისი, თანაც წინათგრძნობაც მოგეშველება. მაქსიმი ისე დატკბა და ისეთი ალერსიანი გახდა, როგორიც არასდროს არ ყოფილა და მე სულ უფრო და უფრო ბედნიერად ვგრძნობდი თავს. საბრალო მაქსიმი! იგი მემშვიდობებოდა, რადგან თურმე თავის მოკვლა გადაეწყვიტა, როგორც თვითონ მითხრა მერე. მე ისე ვიტანჯებოდი, ისე ვეხვეწებოდი, ორი საათი მუხლებზე ვიდექი მის წინაშე... და იგი გამომიტყდა, რომ ასი ათასი ფრანკი დაედო ვალად... ოო, მამა. ასი ათასი ფრანკი! ჭკუიდან შევიშალე. თქვენ აღარაფერი გქონდათ, მე ხომ ყველაფერი შევსანსლე...

_ არა, _ თქვა მამა გორიომ, _ მე ქურდობის გარდა აღარაფერი დამრჩენია. ესეც შემიძლია! წავალ, მოვიპარავ! _ სულთმობრძავის ხრიალივით შესაბრალის ამ სიტყვებში უძლურებამდე მისული მამობრივი გრძნობის ისეთი აგონია გამოიხატებოდა, რომ დებმა ხმა ვერ ამოიღეს. როგორ ეგოისტს შეეძლო გაეგონა და გულგრილად მოესმინა ეს ძახილი, რომელმაც უფსკრულში გადაგდებულ ქვასავით გამოამჟღავნა მთელი სიღრმე უიმედობისა?

_ მე ვუშოვნე ფული იმით, რომ მოვიხმარე ის, რაც მე არ მეკუთვნოდა, _ თქვა გრაფის მეუღლემ და ცრემლად დაიღვარა.

დელფინეს გული აუჩუყდა, მოეხვია კისერზე და ატირდა.

_ მაშ, მართალი ყოფილა! _ უთხრა დას.

ანასტაზიმ თავი დახარა. ქალბატონი დე ნუსინჟენი მოეხვია მას, ნაზად აკოცა და გულში ჩაიკრა.

_ აქ შენ ყოველთვის საყვარელი ხარ და არავინ არასდროს არ გაგამტყუნებს, _ უთხრა მან დას.

_ ჩემო ანგელოზებო, _ სუსტი ხმით დაილაპარაკა მამა გორიომ, _ რად მოხდა ისე, რომ თქვენ შესაერთებლად უბედურება გახდა საჭირო?

მამისაგან ესოდენ გულმხურვალე და ნაზი თანაგრძნობით გამხნევებულმა გრაფის მეუღლემ განაგრძო:

_ სიკვდილისაგან მაქსიმის გადასარჩენად და იმისათვის, რომ მთელი ჩემი ბედ-იღბალი დამეხსნა უბედურებისაგან, თქვენ რომ იცნობთ, იმ მევახშეს, იმ ჯოჯოხეთის ნაშობს გულქვა გობსეკს წავუღე საგვარეულო ბრილიანტები, რომლებსაც ასე აფასებს ბატონი დე რესტო. წავუღე მისიც, ჩემიც, ყველაფერი წავუღე და მივყიდე. ხომ გესმით _ გავყიდე! მაქსიმი გადარჩა. მე კი დავიღუპე! რესტომ ყველაფერი იცის.

_ საიდან? ვინ გააგებინა? მე მოვკლავ მას! _ იყვირა მამა გორიომ.

_ გუშინ დამიძახა თავის ოთახში. მე მივედი. «ანასტაზი, _ მითხრა მან ისეთი ხმით... ოჰ! საკმარისი იყო ეს ხმა გამეგო, რომ ყველაფერს მივხვედრილიყავ! _ სად არის თქვენი ბრილიანტები?» _ მე მაქვს-მეთქი. «არა, _ მითხრა და დამაცქერდა, _ ისინი აქ არის, ჩემთან, აგერ კარადაზე», და მიმითითა ყუთზე, რომელსაც ცხვირსახოცი ჰქონდა გადაფარებული. «ხომ იცით საიდანაც მაქვს?» _ შემეკითხა იგი. მე დავეცი მუხლებზე... ვტიროდი და ვეკითხებოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავ, რანაირად მომეკლა თავი?

_ ეგ რა თქვი! _ იყვირა მამა გორიომ. _ მაღალი ღმერთის წმინდა სახელსა ვფიცავ, რომ იგი, ვინც თქვენ, შენ ან დელფინეს რამეს გავნებს, სანამ მე ცოცხალი ვარ, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ცეცხლს შევუკეთებ და ნელ ცეცხლზე დავწვავ, მე მას ნაჭერ-ნაჭერ დავკუწავ, როგორც...

მამა გორიო დადუმდა, თითქოს სიტყვები ხორხში გაეჩხირაო.

_ და მერე, ჩემო კარგო, მან ისეთი რამ მომთხოვა, რაც სიკვდილზე უფრო ძნელია. ზეცამ იხსნას ყველა ქალი და არ გააგონოს ის, რაც მე მოვისმინე.

_ მე მოვკლავ ამ კაცს, _ მშვიდად წარმოთქვა მამა გორიომ, _ მას ხომ ერთი სიცოცხლის მეტი არ გააჩნია, მე კი ორი უნდა წავართვა. მერე რა მოხდა? _ შეეკითხა იგი და ანასტაზის შეხედა.

გრაფის მეუღლე ცოტა ხანს დუმდა და მერე განაგრძო:

_ მან შემომხედა და მითხრა: «ანასტაზი, ჩვენ ბავშვები გვყავს, ამიტომ მე გავჩუმდები სამარესავით. ჩვენ ერთად ვიცხოვრებთ. მე არ მოვკლავ ბატონ დე ტრაის, რადგან შეიძლება ტყვია ამიცდეს, სხვანაირად კი მისი თავიდან მოშორება არა ღირს, მე სრულიად არ მსურს სამართალთან შეტაკება. თქვენს მკლავებში რომ მოვკლა, ეს ხომ თქვენი შვილებისათვის იქნება სამარცხვინო. მე არც თქვენი ბავშვების, არც მათი მამის, არც საკუთარი თავის დაღუპვა არ მსურს. ამიტომ ორ პირობას გიყენებთ. მიპასუხეთ, ამ ბავშვებში რომელიმე ჩემია თუ არა?» _ მე ვუპასუხე, რომ კი. რომელიო, _ იკითხა მან. «ჩვენი პირმშო ერნესტი». _ «კეთილი, _ თქვა მან, _ ახლა შემომფიცეთ, რომ ჩემს ერთადერთ მოთხოვნილებას შეასრულებთ». _ მე დავიფიცე. _ «თქვენ ხელს მომიწერთ თქვენი ქონების ნასყიდობის ქაღალდზე, როდესაც მე მოგთხოვთ».

_ არ მოუწერო! _ იყვირა მამა გორიომ. _ არაფრის გულისათვის არ მოუწერო! აა, ბატონო რესტო, თქვენ არ შეგიძლიათ მიანიჭოთ ბედნიერება მეუღლეს, იგი ეძებს მას და პოულობს და თქვენ ძალა შეგწევთ დასაჯოთ იგი თქვენი სულელური უძლურების გამო?.. დადექით! მე ხომ ჯერ აქ ვარ! აჰ! მაშ, თავისი მემკვიდრე ურჩევნია! კეთილი და პატიოსანი! მე მას შვილს წავართმევ. ხომ მაქვს უფლება, რომ ეს ბიჭუნა ვინახულო! დამშვიდებული იყავი, სოფელში წავიყვან და ვუპატრონებ. მე ვაიძულებ მაგ მხეცს, რომ იარაღი დაყაროს და ვეტყვი: «ან შენ, ან მე. თუ გინდა, რომ შენი შვილი დაიბრუნო, დაუბრუნე ჩემს ქალს მისი ქონება და დაანებე თავი, იცხოვროს, როგორც უნდა!»

_ მამაჩემო!

_ დიახ, შენი მამა ვარ! ოჰ! მე ნამდვილი მამა ვარ. არა, მაგ დიდმა ბატონმა ქალი არ უნდა დამიჩაგროს! მეხი დაეცეს თავზე! არ ვიცი, რა სჩქეფს ამ ჩემს ძარღვებში. ალბათ, ვეფხვის სისხლია, რადგან მინდა, რომ დავგლიჯო ეს ორი ადამიანი! ოო, ჩემო შვილებო! ეს არის თქვენი ცხოვრება? არა, ეს ჩემი სიკვდილია... რა მოგივათ, როცა მე აღარ გეყოლებით! მამებმა მანამ უნდა იცხოვრონ, სანამ მათი შვილები ცოცხლობენ. ღმერთო, რა ცუდადა გაქვს ეს ქვეყანა მოწყობილი! ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ შენც შვილი გყოლია! შენ უნდა აგეშორებინა ჩვენთვის შვილების ტანჯვა-წამება. ოი, ჩემო კარგო ანგელოზებო! მხოლოდ თქვენმა გაჭირვებამ მოგიყვანათ ჩემთან. თქვენი ცრემლების მეტს თქვენგან არაფერს

ვხედავ. ეგ იყო! ვიცი, რომ გიყვარვართ, ვხედავ ამას! მოდით, მოდით და შემომჩივლეთ ყველაფერი. მე დიდი გული მაქვს, იგი ყველაფერს დაიტევს. შეგიძლიათ დაგლიჯოთ ეს გული და ყოველი მისი ნაგლეჯი ისევ მამის გულად გადაიქცევა. მე მინდა თავი განაცვალოთ და თქვენ მაგივრად ვეწამო... რა ბედნიერები იყავით მაშინ, როდესაც პატარები იყავით...

_ მარტო მაშინ ვიყავით ბედნიერნი, _ თქვა დელფინემ. _ სად არის ის დრო, როდესაც ჩვენს დიდ ბეღელში ტომრებზე დავძვრებოდით და დავგორავდით ხოლმე?

_ ჩემო მამა, ეს ყველაფერი როდია, _ ყურში უთხრა ანასტაზიმ გორიოს. – ბრილიანტებში ასი ათასი არ მოუციათ. მაქსიმს ჯერ კიდევ სდევნიან. კიდევ თორმეტი ათასი ფრანკია გადასახდელი. მაქსიმი დამპირდა, რომ დაჭკვიანდება და აღარ ითამაშებს. მისი სიყვარულის მეტი ამქვეყნად აღარაფერი დამრჩენია. იგი ისე ძვირად დამიჯდა, რომ დავკარგო, თან გადავყვები. მე მას ყველაფერი შევწირე: ქონება, პატიოსნება, სულიერი სიმშვიდე, ბავშვები! ო, მოიმოქმედეთ რამე, რომ მაქსიმი თავისუფალი და შეურცხვენელი იყოს, რომ კვლავ დარჩეს საზოგადოებაში, სადაც კვლავ მისთვის შესაფერი მდგომარეობის შექმნას შეძლებს. ახლა მას არა მარტო საკუთარი ბედნიერება მართებს ჩემი, არამედ ჩვენი ბავშვებისაც, რომლებსაც მთელი შეძლება ეცლებათ ხელიდან. ყოველივე დაკარგულია, თუ იგი სენ-პელაჟიში ჩასვეს.

_ ნაზი, მე აღარაფერი მაქვს. სრულიად არაფერი. ქვეყნის დასასრული დადგა. ასეა. ქვეყანა იქცევა და ეგ არის! თავს უშველეთ, სანამ დროა! ააა! მე ხომ კიდევ დამრჩა ვერცხლის აბზინდები და ექვსი კაცის სუფრის მოწყობილობა, ჩემი პირველი შენაძენი! ამას გარდა, ათას ორასი ფრანკის მუდმივი რენტის მეტი არაფერი მაბადია.

_ რა უყავით თქვენს უვადო რენტას?

_ გავყიდე და თავის შესანახად მხოლოდ მცირე შემოსავალი დავიტოვე. თორმეტი ათასი ფრანკი ფიფინასათვის ბინის მოსაწყობად მჭირდებოდა.

_ შენს სახლში, დელფინ? _ შეეკითხა ქალბატონი დე რესტო დას.

_ რა მნიშვნელობა აქვს, სად? _ გამოედავა მამა გორიო. _ თორმეტი ათასი ფრანკი დახარჯულია.

_ მივხვდი, _ თქვა გრაფის მეუღლემ, _ ბატონ დე რასტინიაკისათვის. ოო, ჩემო საბრალო დელფინ, დროზე შესდექ! ხომ მხედავ სადამდე მივედი.

_ ჩემო კარგო, ბატონი რასტინიაკი ისეთი ახალგაზრდა არ არის, რომ თავისი მიჯნური გააკოტროს.

_ გმადლობთ, დელფინ... ამ უბედურებაში ჩავვარდი და შენგან მეტს მოველოდი; მაგრამ შენ ხომ არასოდეს არ გყვარებივარ.

_ როგორ? ნაზი! შენ მას უყვარხარ! _ დაიყვირა მამამ. _ აი, ამ წუთში მეუბნებოდა ამას. ჩვენ შენ შესახებ ვლაპარაკობდით და დელფინე მარწმუნებდა, რომ შენ ულამაზესი ქალი ხარ, ხოლო თვითონ კი მხოლოდ კოხტაა და მეტი არაფერი...

_ თვითონ! _ გაიმეორა გრაფის მეუღლემ. – თვითონ მას ხომ უსულო სილამაზე აქვს.

_ თუნდაც ასე იყოს! _ წამოიძახა დელფინემ და გაწითლდა. _ აბა, როგორ იქცეოდი შენ ჩემ მიმართ? შენ უარი თქვი ჩემზე; შენ იმდენი ქენი, რომ ჩემ წინ დაიკეტა ყველა სახლის კარი, სადაც მე მსურდა შესვლა; შენ არც ერთი შემთხვევა არ გამოგიტოვებია, რომ ჩემთვის რაიმე უსიამოვნება არ შეგემთხვია. განა შენსავით დავდიოდი აქ, რომ საწყალი მამისთვის მთელი მისი ქონება თითო-თითო ათასობით დამეცინცლა და მიმეყვანა იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იგი ახლაა ჩავარდნილი! აი, შენი ნამოქმედარი, ჩემო დაო! მე, როცა კი შემეძლო, ვნახულობდი მამაჩემს, კარში არ გამიგდია და გაჭირვების ჟამს არ მოვსულვარ მასთან ხელების სალოშნავად. მე არც კი ვიცოდი, რომ ეს თორმეტი ათასი ფრანკი მას ჩემთვის დაუხარჯია. ამ საქმეებში მე წესიერი ვარ, შენ ეს იცი, და თუ მამას რამე უჩუქებია ჩემთვის, იმიტომ კი არა, რომ მე მითხოვნია.

_ შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ყოფილხარ: ბ-ნი დე მარსე მდიდარია და შენ ამისი ცოტა რამ გაგეგება. შენ ხომ ყოველთვის ისეთივე საზიზღარი იყავი, როგორც ოქროა... მშვიდობით, მე აღარც და მყავს და აღარც...

_ ნაზი, გაჩუმდი! _ დაიყვირა მამა გორიომ.

_ მხოლოდ შენისთანა დას შეუძლია გაიმეოროს ის, რაც არავის არ სჯერა! ნამდვილი ურჩხული ხარ, _ უთხრა დელფინემ დას.

_ ჩემო შვილებო, ჩემო გოგონებო, გაჩუმდით, თორემ აქვე, თქვენ წინ თავს მოვიკლავ.

_ კარგი, ნაზი, მე გაპატიებ, _ უთხრა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა დას და განაგრძო: _ რადგან უბედური ხარ. მაგრამ მე შენზე უკეთესი ვარ. მაგას მეტყოდა ადამიანი, თანაც მაშინ, როდესაც შენს დასახმარებლად ყველაფერს ვიზამდი, თუნდაც ჩემი ქმრის საწოლ ოთახში შევიდოდი და ამას ხომ არ ჩავიდენდი არც ჩემი გულისათვის, არც... აი, ღირსეული დაგვირგვინება ყველა ბოროტებისა, რაც შენ შემახვედრე ცხრა წლის განმავლობაში.

_ ჩემო ბავშვებო! ჩემო შვილებო! გადაეხვიეთ ერთმანეთს! _ ეუბნებოდა მამა. _ ორივენი ანგელოზები ხართ.

_ არა! თავი დამანებეთ! _ დაიყვირა გრაფის მეუღლემ და თავი დაიძვრინა მამისგან, როდესაც გორიომ მკლავში ხელი მოჰკიდა. _ საკუთარი და ჩემს ქმარზე უფრო უწყალო ყოფილა ჩემ მიმართ. იქნებ ისიც თქვათ, რომ დელფინე ყოველგვარი სათნოების განსახიერებაა!

_ მე ის მირჩევნია ჭორიკანებმა თქვან, რომ მმართებს ბ-ნ დე მარსესი, ვიდრე გამოვტყდე, რომ ბ-ნი დე ტრაი ათას ფრანკზე მეტი მიზის, _ უპასუხა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა.

_ დელფინ! _ დაიყვირა გრაფის მეუღლემ და დისკენ ნაბიჯი გადადგა.

_ მე სიმართლეს გეუბნები, შენ კი ცილს მწამებ, _ ცივად მიუგო ბარონის მეუღლემ.

_ დელფინ! შე...

მამა გორიო მივარდა გრაფის მეუღლეს, პირზე ხელი დააფარა და თქმა აღარ აცალა.

_ ღმერთო! მამაჩემო, ამ დილას ნეტავ რას მოჰკიდეთ ხელი? _ შეეკითხა ანასტაზი.

_ ვაი, რომ დამნაშავე ვარ, _ თქვა საცოდავმა მამამ და შარვალზე ხელი შეიწმინდა. _ მე ხომ არ ვიცოდი, რომ თქვენ მოხვიდოდით და გადასასვლელად ვემზადებოდი.

იგი ბედნიერი იყო, რომ ეს საყვედური გამოიწვია და ქალიშვილის მრისხანება მასზე გადმოვიდა.

მოხუცი ჩამოჯდა და განაგრძო:

_ ვაიმე! გული დამიკოდეთ, ვკვდები, შვილებო! თავის ქალას შიგნიდან თითქოს ცეცხლი ეკიდებაო. ნუ აწყენინებთ ერთმანეთს, გიყვარდეთ ერთმანეთი. თქვენ მომისწრაფეთ სიცოცხლე. დელფინ! ნაზი! ორივენი მართალნი ხართ, თანაც ორივენი ტყუიხართ, ნახე, დედელ, _ მიაპყრო მან ცრემლით ავსებული თვალები ბარონის მეუღლეს, _ მას თორმეტი ათასი ფრანკი სჭირდება, როგორმე გამოვუნახოთ. ასეთნაირად ნუ უყურებთ ერთმანეთს. _ მოხუცმა მუხლი მოიდრიკა დელფინეს წინაშე და ყურში ჩასჩურჩულა: _ პატიება სთხოვე, თუ გინდა, რომ მასიამოვნო. აბა, შეხედე _ იგი შენზე უფრო უბედურია!

დელფინეს გული შეზარა მამის შეშლილმა, გიჟურმა გამომეტყველებამ, რომელიც მწუხარებამ დაამჩნია სახეზე და დას უთხრა:

_ ჩემო საწყალო ნაზი, მე მტყუანი ვიყავი. მოდი, ჩამეკარ გულში...

_ თითქოს გულზე მალამო მეცხება! _ შეჰყვირა მამა გორიომ. _ მაგრამ ეს თორმეტი ათასი ფრანკი სად გამოვნახოთ? იქნებ, ვინმეს ნაცვლად ჯარისკაცად წამიყვანონ?

_ არა, მამა, არა! _ ერთხმად შესძახა ორივე ქალიშვილმა და მოხუცს შემოეხვივნენ.

_ ღმერთი მოგიზღავთ სამაგიეროს მხოლოდ ამ განზრახვისათვის. მთელი ჩვენი სიცოცხლე არ იკმარებს, რომ სამაგიერო გადაგიხადოთ. ხომ ასეა, ნაზი? _ შეეკითხა დელფინე.

_ და, გარდა ამისა, ჩემო საბრალო მამა, ეს ხომ წვეთი იქნებოდა ზღვაში, _ შენიშნა გრაფის მეუღლემ.

_ მაშ, ჩემი სისხლიც კი არაფერს უშველის? _ დაიძახა სასოწარკვეთილმა მოხუცმა. _ ნაზი! თავს გავწირავ მისთვის, ვინც შენ გიშველის, მისი გულისთვის კაცს მოვკლავ, კატორღაში წავალ ვოტრენივით! მე... _ იგი უცებ ელდანაკრავივით შეჩერდა. _ არაფერი მაქვს! _ ამბობდა მოხუცი და თმას იგლეჯდა. _ რომ ვიცოდე, სად წავიდე საქურდავად... ან მოსაპარავი სად ვნახო? ნახვაც რომ ძნელია. ბანკის გასატეხად ხალხია საჭირო, თან დროც უნდა. სიკვდილი მმართებს. სიკვდილის მეტი არაფერი დამრჩენია. დიახ! აღარაფრის მაქნისი ვარ, მამადაც აღარ ვვარგივარ! არა, იგი მთხოვს. მე მას ვჭირდები; მე კი, ბედშავს, არაფერი მაქვს. აა, შე ბებერო გაიძვერავ, ქალიშვილები გყავს, შენ კი მუდმივი რენტა გაიკეთე! მაშ, არ გიყვარს შენი გოგონები? მოკვდი. შენ ხომ ძაღლი ხარ და უნდა ჩაძაღლდე. არა, ძაღლზე უარესი ვარ, ძაღლი უკეთ მოიქცეოდა! ვაიმე! თავო! ტვინი მიდუღს!

_ მამა, დამშვიდდით, გონება მოიკრიბეთ! _ იყვირეს ახალგაზრდა ქალებმა და წინ დაუდგნენ მამას, რომელიც კედელზე თავის მიხლას აპირებდა. იგი აქვითინდა. გულშეზარულმა ეჟენმა ხელი დაავლო ვოტრენის თამასუქს, რომელიც გაცილებით მეტ თანხაზე იყო გამოწერილი, გადაასწორა თორმეტი ათასი ფრანკის თამასუქად გორიოს სახელზე და მეზობლის ოთახში შევიდა.

_ აი, მთელი თქვენი თანხა, ქალბატონო! _ თქვა და ქაღალდი გაუწოდა. _ მეძინა, თქვენმა ლაპარაკმა გამომაღვიძა და ამით გავიგე, რამდენი მმართებია ბატონ გორიოსი. აი, ვალდებულება, რომელიც შეგიძლიათ გაანაღდოთ, მე მას ზუსტად დროზე დავფარავ.

გრაფის მეუღლე ხმის ამოუღებლად გაშეშდა ქაღალდით ხელში.

_ დელფინ! _ დაილაპარაკა მან, თანაც გაფითრდა და გაცოფებული სიბრაზისაგან აცახცახდა, _ ღმერთია მოწამე, რომ ყველაფერი გაპატიე, მაგრამ ეს! როგორ! ბატონი რასტინიაკი აქ იყო, შენ ეს იცოდი! შენ იმდენი სიმდაბლე გამოიჩინე და შური იძიე ჩემზე იმით, რომ ჩემდა უნებურად გამანდობინე მისთვის ჩემი საიდუმლოებანი, ჩემი და ჩემი

ბავშვების სიცოცხლე, ჩემი შერცხვენა და ჩემი პატიოსნება! იცოდე, შენ ჩემთვის აღარ არსებობ! მძულხარ. ყველაფერს ვიზამ, რაიმე ბოროტება თუკი არსებობს... მე... _ მას სიბრაზისაგან პირი გაუშრა და ხმა ჩაუწყდა.

_ ეს ხომ ჩემი შვილია, ჩვენია, შენი ძმაა, შენი მხსნელი! _ დაიყვირა მამა გორიომ. _ ნაზი, გადაეხვიე მას. აბა, მიყურე _ მე მოვეხვევი, _ გაიძახოდა მოხუცი და გაშმაგებულივით ეხვეოდა ეჟენს. _ ო, ჩემო შვილო! მე მამაზე მეტი გავხდები შენთვის. ვეცდები, ოჯახის მაგივრობა გაგიწიო. ნეტავი ღმერთი ვიყო, რომ მთელი ქვეყანა ფეხქვეშ დაგიგო. რას უყურებთ? ნაზი, აკოცე. ეს ხომ ადამიანი არ არის, ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი!

_ თავი დაანებე, მამა! თავის ჭკუაზე არ არის, _ თქვა დელფინემ.

_ გიჟი ვარ, გიჟი. შენ, შენ რაღა ხარ? _ იკითხა ქალბატონმა დე რესტომ.

_ ჩემო შვილებო, გაათავეთ ეს კამათი, თორემ მომკლავთ! _ დაიყვირა მოხუცმა და ტყვიანაკრავივით ლოგინზე წაიქცა. _ მომკლეს... _ წაილაპარაკა მან.

გრაფის მეუღლემ შეხედა ეჟენს, რომელიც გაშეშებულიყო თავზარდაცემული ამ საზარელი სურათის ხილვისგან.

_ ბატონო... _ მიმართა მან ეჟენს, თანაც მისი ხმა და სახის გამომეტყველება კითხვად იყო გადაქცეული. მას ყურადღება არ მიუქცევია მამისათვის, რომელსაც დელფინემ საჩქაროდ ჟილეტი გაუხსნა.

ეჟენმა კითხვის დამთავრება არ დააცალა და მიუგო:

_ ქალბატონო, მე გადავიხდი და გავჩუმდები.

_ ნაზი, მამა მოჰკალი, _ თქვა დელფინემ და მიუთითა გულშეწუხებულ მოხუცზე, მაგრამ გრაფის მეუღლე უკვე გამქრალიყო.

_ მე მას ვაპატიე, _ თქვა მოხუცმა და თვალები გაახილა. _ საშინელ მდგომარეობაშია და რა გასაკვირველია, რომ თავგზა აებნა. სიტყვა მომეცი შენს მომაკვდავ მამას, რომ დაამშვიდებ ნაზის და ტკბილად მოექცევი, _ სთხოვდა მოხუცი დელფინეს და ხელს უჭერდა.

ქალი სულ მთლად დაიბნა და შეეკითხა:

_ რა მოგივიდათ?

_ არაფერი, სულ არაფერი! _ უპასუხა მამამ, _ გამივლის. რაღაცა შუბლზე მაწვება. შაკიკი იქნება... საწყალი ნაზი! კიდევ რა მოელის?

ამ დროს ოთახში შემოვიდა გრაფის მეუღლე და მამის წინაშე მუხლებზე დაეცა.

_ მაპატიეთ! _ დაიყვირა მან.

_ ამით ხომ კიდევ უფრო მტანჯავ, _ უთხრა მას მამა გორიომ.

_ ბატონო, _ მიმართა თვალცრემლიანმა გრაფის მეუღლემ რასტინიაკს, _ მწუხარებამ უსამართლო გამხადა. გინდათ, ჩემი ძმა გახდეთ? _ შეეკითხა იგი და ხელი გაუწოდა.

_ ნაზი, ჩემო პატარა ნაზი, დავივიწყოთ ყველაფერი, _ უთხრა დელფინემ დას და გულში ჩაიკრა.

_ არა, _ უპასუხა ნაზიმ, _ მე ამას არასდროს არ დავივიწყებ!

_ ჩემო ანგელოზებო! თქვენ მომაშორეთ, თვალებზე რომ მქონდა აკრული! მესმის თქვენი ხმები და სიცოცხლეს ვუბრუნდები! კიდევ გადაეხვიეთ ერთმანეთს. როგორ არის საქმე, ნაზი, ეგ თამასუქი გადაგარჩენს თუ არა?

_ იმედი მაქვს! იქნებ, მამა, ამ თამასუქზე თქვენი ხელის მოწერაც იყოს საჭირო?

_ ვაი, რა სულელი ვარ! ეგ როგორ დამავიწყდა! ნუ მიჯავრდები, ნაზი, მე ხომ ცუდად ვიყავი. როცა მაგ წვალებას გადაურჩები, ვინმე გამოგზავნე ამბის სათქმელად. არა, არ გინდა. მე თვითონ მოვალ. არა! არ მოვალ. არ შემიძლია. შენი ქმარი რომ დავინახო, იქვე ადგილზე მოვკლავ. რაც შეეხება შენი ქონების გაყიდვას, მე თვითონ ჩავერევი ამ საქმეში. წადი მალე, შვილო და მაქსიმი ჭკუაზე მოიყვანე.

ეჟენი განცვიფრებული იყო.

_ საწყალი ანასტაზი მუდამ ასეთი შლეგი იყო, მაგრამ კეთილი გულისაა, _ თქვა ქალბატონმა დე ნუსინჟენმა.

_ იმიტომ დაბრუნდა, რომ გადასაცემი წარწერა სჭირდებოდა, _ ჩასჩურჩულა მას ეჟენმა.

_ თქვენ ასე ფიქრობთ?

_ არ მინდოდა მეფიქრა, მაგრამ... _ ფრთხილად იყავით თქვენს დასთან, _ უთხრა ეჟენმა და თვალები ზეცისკენ აღაპყრო, თითქოს ღმერთს გაანდო თავისი აზრები, რომელთა წარმოთქმა ვერ გაებედა.

_ კი, იგი ყოველთვის ცოტათი მანჭია იყო, საწყალი მამა კი მუდამ უჯერებდა ამ კომედიანტობას.

_ როგორა ბრძანდებით, მამა გორიო? _ შეეკითხა რასტინიაკი.

_ მეძინება, _ უპასუხა გორიომ.

ეჟენი მიეშველა მოხუცს და ლოგინში ჩააწვინა. ბერიკაცმა ხელი წაავლო თავისი ქალიშვილის ხელს და ისე ჩაეძინა. დელფინემ გაითავისუფლა ხელი და შეახსენა რასტინიაკს:

_ ამ საღამოს, იტალიელებთან... იქ მეტყვი, როგორ იქნება მამაჩემი. ხვალ აქედან გადახვალთ. აბა, თქვენი ოთახი მაჩვენეთ! ვაიმე, რა საშინელებაა! _ თქვა ქალმა, როდესაც ოთახში შევიდა. _ მამაჩემის ოთახზე უარესია. შენ კარგად მოიქეცი, ეჟენ. სიყვარული რომ უფრო მეტად შეიძლებოდეს, ალბათ, მეტად მეყვარებოდი; მაგრამ, ჩემო ბიჭუნავ, თუ თქვენ ქონების შეძენას აპირებთ, იცოდეთ, რომ ასე არ შეიძლება, თქვენ რომ ახლა მოიქეცით და თორმეტი ათასი ფრანკი ფანჯარაში გადააგდეთ. გრაფი დე ტრაი მოთამაშეა. ჩემს დას არა სურს ამის დანახვა. დე ტრაი იმ თორმეტ ათას ფრანკსაც იქ მონახავდა, სადაც აუარებელ ოქროს ჰკარგავს ხოლმე.

მათ კვნესა მოესმათ, დაბრუნდნენ გორიოს ოთახში და მისი ნათქვამი გაიგონეს:

_ ისინი უბედურები არიან!

ეძინა თუ ეღვიძა მოხუცს, მაგრამ ეს სიტყვები ისეთი გამომეტყველებით წარმოთქვა, რომ დელფინეს გული გაუგმირა. იგი მიუახლოვდა მოხუცის უბადრუკ სარეცელს და მამას შუბლზე აკოცა.

გორიომ თვალები გაახილა და თქვა:

_ ეს დელფინეა!

_ როგორა ხარ, მამა? _ შეეკითხა ქალიშვილი.

_ კარგად, ნუ სწუხხარ. მალე გავალ აქედან. წადით, წადით, შვილებო, და ბედნიერად იყავით.

ეჟენმა სახლამდე გააცილა დელფინე, მაგრამ მას აწუხებდა გორიოს ამბავი, ამიტომ სადილზე უარი თქვა და ვოკეს სახლში დაბრუნდა. მამა გორიო უკვე ამდგარიყო და მზად იყო სუფრას მოსჯდომოდა. ბიანშონი იმგვარად დაჯდა, რომ კარგა შესძლებოდა მევერმიშელეს სახის დაკვირვება. როდესაც გორიომ ხელში პური აიღო და დაყნოსა, რათა გაეგო როგორი ფქვილისაგანაა იგი გამომცხვარი, სტუდენტი მოიღუშა. მან შენიშნა, რომ ეს მოძრაობა უნებლიეა და სრულიად არ შეიცავს იმას, რასაც შეიძლება შეგნებული მოქმედება ვუწოდოთ.

_ გვერდზე მომიჯექ, ბატონო, კოშენის პანსიონერო! _ დაუძახა ეჟენმა სტუდენტს.

ბიანშონმა გადმოინაცვლა ადგილი, მით უფრო მეტი ხალისით, რომ მოხუცთან ახლო ყოფნა უნდოდა.

_ რა დაემართა? _ შეეკითხა რასტინიაკი.

_ თუ არ ვცდები, ცალი ფეხი სამარეში უდგია. რაღაც უჩვეულო ამბავი ხდება მაგის თავს და მე მგონია, რომ სულ მალე მძიმე აპოპლექსური შეტევა ექნება. აბა, მაშინ შეხედე, როდესაც სახის ქვედა ნაწილი საკმაოდ დამშვიდებული აქვს, ამ დროს პირისახის ზედა ნაწილი მისდა უნებურად უთრთის და უძგერს. მერე, დააკვირდი, რა უცნაური თვალები აქვს. ასეთი გამომეტყველება იმას ნიშნავს, რომ შრატი უკვე ტვინზე მოქმედებს. შეხედე, თვალებზე თითქოს წმინდა მტვერი აქვს მოფენილი. ხვალ დილას უკეთ გავერკვევი მაგის მდგომარეობაში.

_ თუ შეიძლება, რომ რამე უწამლოთ?

_ არაფერი. შეიძლება მოვახერხოთ და სიცოცხლე გავუგრძელოთ, თუკი საშუალებას გამოვძებნით, რომ სისხლი ფეხებისკენ მივაქციოთ. მაგრამ თუ ხვალ საღამომდე ეს სიმპტომები არ გაქრა, საწყალი მოხუცის საქმე გათავებულია. ხომ არ იცი, რა იყო ავადმყოფობის მიზეზი? მას, ეტყობა, რაღაც დიდი უბედურება დაატყდა თავზე და მისმა ტვინმა ვერ გაუძლო ამას.

_ ასეა, _ უთხრა რასტინიაკმა და გაახსენდა, როგორ სულმოუთქმელად სცემდნენ გულში მახვილს და ჰკოდავდნენ მამის გულს მისი ქალიშვილები.

«დელფინეს უყვარს მაინც თავისი მამა», _ გაიფიქრა ეჟენმა.

საღამოზე, იტალიელებთან, რასტინიაკმა მეტად ფრთხილად დაიწყო ლაპარაკი, რათა ქალბატონი დე ნუსინჟენი ზედმეტად არ შეეშფოთებინა.

_ ნუ სწუხხართ, _ ეჟენის პირველი სიტყვების გაგონებაზე უპასუხა ქალმა. _ მამაჩემი ჯანმაგარია, მხოლოდ ამ დილას ჩვენ ცოტა შევარყიეთ მისი სიმშვიდე. შეიძლება, მთელი ქონება დაგვეკარგოს; წარმოგიდგენიათ, რა უბედურება გველის? განა ვიცოცხლებდი, თუ არა თქვენი სიყვარული, რომელმაც გულგრილი გამხადა ყოველივე იმის მიმართ, რაც აქამდე საშინელ მწუხარებას გამოიწვევდა ჩემში. დღეს აღარაფერი არ მაწუხებს, არაფერი არ მაშინებს, გარდა თქვენი სიყვარულის დაკარგვისა, რადგან მხოლოდ ეს სიყვარული მაგრძნობინებს სიცოცხლის სიხარულს. ამ გრძნობის გარდა არაფერი არ მიზიდავს, არაფერი არ მინდა ამქვეყნად. ჩემთვის ყველაფერი თქვენა ხართ. და თუ მახარებს სიმდიდრე, მხოლოდ იმისთვის, რომ შემეძლოს _ უფრო მოგეწონოთ. ჩემდა სასირცხვოდ, მე უფრო მეტად მიჯნური ვარ, ვიდრე შვილი. რატომ? არ ვიცი. მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენა ხართ. მამაჩემმა გული მომცა, თქვენ კი ეს გული აამგერეთ. დაე, მთელმა ქვეყანამ დამგმოს. რაში მენაღვლება, თუკი თქვენ, რომელსაც უფლება არ გაქვთ,

რომ უკმაყოფილო იყოთ ჩემით, თქვენ მაპატიებთ იმ ბოროტებას, რომელსაც ეს დაუძლეველი გრძნობა ჩამადენინებს. თქვენ, ალბათ, გადაგვარებულ, უგულო შვილადა მთვლით? არა, განა შეიძლება, არ გიყვარდეს ისეთი კარგი მამა, ჩვენ რომ გვყავს? მაგრამ, განა შემეძლო დამეშალა მისთვის რომ მას, ბოლოს მაინც არ დაენახა, თუ რა შედეგი მოჰყვა ჩვენ სავალალო გათხოვებას? რატომ არ დაგვიშალა? განა ჩვენ მაგივრად მას არ უნდა ეფიქრა? ვიცი, დღეს ეგეც ჩვენსავით იტანჯება, მაგრამ ჩვენ რაღა ვქნათ? ვანუგეშოთ? როგორ შეგვიძლია მისი ნუგეში? ჩვენი ჩივილი და საყვედურები მას იმდენად არ სწყინდა, რამდენადაც ბედისადმი ჩვენი მორჩილება აღონებდა. ცხოვრებაში შეხვდები ხოლმე ისეთ გარემოებას, როდესაც ყველაფერი გამწარებს.

ეჟენი დუმდა. გულწრფელად გამოთქმული ჭეშმარიტი გრძნობები მის გულს ესალმუნებოდა. პარიზელი ქალები ხშირად ყალბად იქცევიან, აღსავსე არიან თავმომწონეობით, მიკერძოებას იჩენენ, კეკლუცნი და გულცივნი არიან; მაგრამ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ თუ მათ ნამდვილად უყვართ, ისინი სხვა ქალებზე გაცილებით უფრო მეტ გრძნობას გაიღებენ, სძლევენ თავის წვრილმან მისწრაფებებს და სულიერად ამაღლდებიან ხოლმე. გარდა ამისა, ეჟენი გააკვირვა ღრმა და საღმა ჭკუამ, რომელსაც ქალი იჩენს, როდესაც დამშვიდებულად მსჯელობს ხოლმე უბრალო, ბუნებრივი გრძნობების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მისი საკუთარი განცდები საკმაოდ დაშორებულია მათგან და იგი თითქოს შორიდან შესცქერის ამ გრძნობებს. ქალბატონ დე ნუსინჟენს ეწყინა ეჟენის დუმილი.

_ ნეტავი რას ფიქრობთ? _ შეეკითხა იგი.

_ ჯერ თქვენ ნათქვამს ვუკვირდები. ამ დრომდე მეგონა, რომ მე მიყვარხართ მეტად, ვიდრე თქვენ გიყვარვართ.

ქალს გაეღიმა, მან დასძლია სიხარულის განცდა, რათა მათი საუბარი არ გასცილებოდა იმ ფარგლებს, რომლებსაც ზრდილობა მოითხოვდა. მას არასოდეს სმენია ჭაბუკური და გულწრფელი სიყვარულის ასეთი მთრთოლვარე გამოთქმა. კიდევ რამდენიმე სიტყვა რომ გაეგონა, თავს ვეღარ შეიკავებდა.

_ ეჟენ, _ დაიწყო მან, რათა საუბრის საგანი გამოეცვალა, _ თქვენ არ იცით, რა ხდება? ხვალ მთელი პარიზი ქალბატონ დე ბოსეანისას მოიყრის თავს. როშფიდებმა და მარკიზმა დ'აჟუდამ მოილაპარაკეს, რომ არაფერი არ გაახმაურონ, მაგრამ ხვალ მეფე საქორწინო კონტრაქტს ხელს მოაწერს, საწყალმა თქვენმა ბიძაშვილმა კი ჯერ არაფერი იცის. მას აღარ

შეუძლია უარი თქვას ამ წვეულების გამართვაზე, რომელსაც მარკიზი აღარ დაესწრება. ამ ამბის გარდა პარიზში სხვა სალაპარაკო გამოილია.

_ საზოგადოება კი იცინის და მონაწილეობს ამ საზიზღრობაში! განა არ გესმით, რომ ეს ამბავი მოჰკლავს ქალბატონ დე ბოსეანს?

_ არა, _ ღიმილით უპასუხა დელფინემ, _ თქვენ არ იცნობთ ამ ჯურის ქალებს. ხვალ მთელი პარიზი ეწვევა მას და მეც იქ ვიქნები! ამ ბედნიერებას თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

_ კი, მაგრამ, იქნებ ესეც ერთი იმ უაზრო ჭორთაგანია, რომელიც პარიზში მრავლად ვრცელდება? _ შეეკითხა რასტინიაკი.

_ სიმართლეს ხვალ გავიგებთ.

ეჟენი ვოკეს სახლში აღარ დაბრუნებულა. მან თავს ვერ დასძლია და საკუთარ ახალ ბინაში ცხოვრების სიამოვნებაზე უარი ვერ თქვა. თუ წუხელ იგი იძულებული იყო ღამის პირველ საათზე მიეტოვებინა დელფინე, ახლა უკვე დელფინემ დასტოვა იგი ორ საათზე, რათა სახლში დაბრუნებულიყო. მეორე დილას გვიანობამდე ეძინა და შუადღემდე ელოდებოდა ქალბატონ დე ნუსინჟენს, რომელიც საუზმედ მოვიდა მასთან. ახალგაზრდები იმდენად ხარბად ეწაფებოდნენ ლამაზ წუთებს, რომ ეჟენს თითქმის დაავიწყდა მამა გორიო. საკუთარი ბინის ყველა ამ კოხტა ნივთის შეთვისება ეჟენს დღესასწაულად გადაექცა. ქალბატონი დე ნუსინჟენი მასთან იყო და ამით ყოვლივეს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭებოდა. მიუხედავად ამისა, ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც შეყვარებულებს მამა გორიო მოაგონდათ და გაახსენდათ, თუ როგორ ახარებდა მას ამ სახლში გადმოსვლის იმედი. ეჟენმა თქვა, რომ რახან მოხუცი ავად არის, ამიტომ საჭიროა მისი საჩქაროდ გადმოყვანა, დასტოვა დელფინე, ვოკეს სახლში გაიქცა. არც მამა გორიო და არც ბიანშონი სუფრასთან არ დახვდნენ.

_ კაი დაგემართოს, _ უთხრა მას მხატვარმა, _ მამა გორიომ თქვენი ჭირი წაიღო. ბიანშონი მასთან არის, ზემოთ. მოხუცმა ერთი თავისი ქალიშვილი ნახა, გრაფ რესტორამას მეუღლე, მერე სახლიდან გასვლა მოინდომა და უარესად შეიქნა. ჩვენს საზოგადოებას მალე გამოაკლდება ერთი მათგანი, ვინც მის მშვენებას შეადგენდა.

რასტინიაკმა კიბისკენ გაიწია.

_ ჰეი, ბატონო ეჟენ! თქვენ დიასახლისი გიხმობთ! _ დაუძახა სილვიამ.

_ ბატონო, - უთხრა ქვრივმა, - თქვენ და ბატონმა გორიომ მითხარით, რომ 15 თებერვალს წახვალთ. უკვე სამი დღეა, რაც ეს ვადა გასულია; დღეს თებერვლის 18-ია. ახლა თქვენცა და იმანაც ერთი თვის ქირა უნდა გადამიხადოთ, მაგრამ თუ თქვენ კეთილს

ინებებთ და თავდებად დაუდგებით მამა გორიოს, ჩემთვის თქვენი სიტყვა საკმარისი იქნება.

_ რატომ? ნუთუ თქვენ მას არ ენდობით?

_ ვენდობით? თუ მოხუცი გონმოუსვლელად მოკვდა, მისი ქალიშვილები ერთ ლიარსაც არ მომცემენ, მთელი მისი ხარახურა კი ათი ფრანკიც არა ღირს. არ ვიცი, რა უნდოდა, მაგრამ ამ დილას უკანასკნელი, რაც ებადა, ისიც წაიღო, დაავლო ხელი თავის სუფრის მოწყობილობას, ახალგაზრდა კაცივით გამოეწყო და, ღმერთო, მაპატიე, მაგრამ თითქოს ლოყებზე ფერუმარილი წაესვა, ისეთი გაახალგაზრდავებული მეჩვენა.

_ მე ყველაფერს ვიკისრებ, _ უპასუხა ეჟენმა და კატასტროფის წინათგრძნობისაგან ზარდაცემულს გააჟრჟოლა. ეჟენი მამა გორიოს ოთახში ავიდა. . მოხუცი თავის ლოგინზე იწვა, ბიანშონი თავზე ადგა.

_ გამარჯობა, მამა, _ მიმართა ეჟენმა მოხუცს. ბერიკაცმა ტკბილად გაუღიმა, უსიცოცხლო თვალები მიაპყრო და შეეკითხა:

_ ჩემი გოგონა როგორ არის?

_ კარგად. თქვენ?

_ არა მიშავს.

ბიანშონმა ეჟენი ოთახის კუთხეში გაიხმო და უთხრა:

_ ნუ დაღლი.

_ როგორ არის საქმე? _ შეეკითხა რასტინიაკი.

_ სასწაული თუ გადაარჩენს. სისხლის ჩაქცევა აქვს. მდოგვი წავუსვით. კიდევ კარგი, რომ ამას მაინც გრძნობს. ეტყობა, შველის.

_ გადაყვანა თუ შეიძლება?

_ შეუძლებელია. აქ უნდა დასტოვოთ, ყოველგვარი ფიზიკური მოძრაობისა და ღელვის გარეშე...

_ ჩემო კარგო ბიანშონ, ჩვენ ორმა უნდა მოვუაროთ.

_ მე უკვე მოვიწვიე ჩვენი საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

_ მერე?

_ ხვალ საღამოს გვეტყვის თავის დასკვნას. დამპირდა, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ კიდევ შემოივლის. საუბედუროდ, ბებრუხანამ ამ დილას რაღაც სისულელე ჩაიდინა და არ ამბობს, რა ქნა. ჯორივით ჯიუტია. როცა ველაპარაკები, პასუხი რომ არ გამცეს, თავს იკატუნებს, თითქოს არ ესმის და სძინავსო. თვალები თუ ღია აქვს, ოხვრას

მოჰყვება. ამ დილას სახლიდან გასულა, მთელი პარიზი ფეხით მოუვლია, სად იყო, კაცმა არ იცის. რაც რამ ძვირფასი გააჩნდა, თან წაუღია და რაღაც საქმე მოუგვარებია და ამ წყეულმა საქმემ უკანასკნელი ძალ-ღონეც გამოაცალა. ერთ-ერთი ქალიშვილი სწვევია.

_ გრაფის მეუღლე? _ შეეკითხა ეჟენი, _ მაღალი, ტანწერწეტა, წაბლისფერთმიანია ქალია, კოხტა ფეხები აქვს და ლამაზი ჭრილის თვალები.

_ ეგ არის.

_ ერთი წუთით მოხუცთან მარტო დამტოვე, _ სთხოვა რასტინიაკმა სტუდენტს. _ მინდა აღსარება ვათქმევინო. მე არაფერს დამიმალავს.

_ მანამ წავალ და ვისადილებ. მხოლოდ, ეცადე, რომ ძალიან არ ააღელვო; მცირე იმედი ჯერ კიდევ არის.

_ არხეინად იყავ.

_ ხვალ დროს კარგად გაატარებენ, _ უთხრა მამა გორიომ ეჟენს, როდესაც ისინი მარტო დარჩნენ. _ ჩემი გოგონები დიდ წვეულებაზე მიდიან.

_ ამ დილას ისეთი რა ჰქენით, რომ საღამოზე ასე ცუდად გახდით და ლოგინად ჩავარდით?

_ არაფერი.

_ ანასტაზი იყო თქვენთან? _ შეეკითხა რასტინიაკი.

_ დიახ, _ უპასუხა მამა გორიომ.

_ მაშ, ნურაფერს დამიმალავთ. ნეტა, კიდევ რა მოგთხოვათ?

_ ვაი! _ ამოიოხრა მოხუცმა და პასუხის გასაცემად ძალ-ღონე მოიკრიბა. _ ეჰ, შვილო, რა უბედურები არიან! ამ ბრილიანტების ამბის შემდეგ ნაზის ერთი სუც აღარ აქვს. ბალზე წასასვლელად ბრჭყვიალებით მოქარგული კაბა შეაკერინა, რომელიც, ალბათ, სათამაშოსავით დაამშვენებს. იმ გათახსირებულმა მკერავმა ნისიად არ შეუკერა. მაშინ შინამოახლემ მისცა ათასი ფრანკი კაბის ღირებულების ანგარიშში. რა დღეში ჩავარდა, საწყალი ნაზი! ლამის გული გამისკდეს. მაგრამ, მოახლეს შეუმჩნევია, რომ რესტო სულ აღარ ენდობა ცოლს, თავისი ფულის დაკარგვისა შეშინებია და მკერავთან შეთანხმებულა, რომ კაბა არ მიეცა, სანამ მას ათას ფრანკს არ დაუბრუნებენ. ბალი ხვალაა, კაბა მზად არის, ნაზი სასოწარკვეთილებაშია. გადაუწყვეტია გამოერთვა ჩემთვის სუფრის მოწყობილობა და დაეგირავებინა. ქმარს სურს, რომ ნაზი დაესწროს ამ ბალს და მთელ პარიზს დაანახვოს თავისი ბრილიანტები, რომლებზედაც ამბობენ, რომ მისი გაყიდულიაო. განა შეეძლო ამ მხეცისათვის ეთქვა «ათასი ფრანკი მმართებს და გადაიხადეთო?» ცხდია, არა. მე მივუხვდი

ამას. მისი დაი, დელფინე, საგანგებოდ შეკერილი კაბით მივა. ანასტაზის არ შეფერის, რომ უმცროს დაზე ნაკლებად იყოს გამოწყობილი. საწყალი ჩემი გოგონა, როგორ ცრემლად იღვრებოდა! გუშინ, თორმეტი ათასი ფრანკი არა მქონდა და სირცხვილით ისე დავიწვი, რომ მინდოდა ამ ჩემი უბადრუკი სიცოცხლის დარჩენილი დღეები გამეწირა და როგორმე გამომესყიდა ეს დანაშაული. დახე, როგორ არის მოწყობილი: ყველაფრის გაძლების ძალა მყოფნიდა, მაგრამ ბოლოს, ამ უფულობამ გული მომიკლა. ვაიმე! ბევრი არ მიფიქრია, უცებ ძალ-ღონე მოვიკრიბე, ჩავიცვი; ექვსას ფრანკად სუფრის მოწყობილობა და აბზინდები გავყიდე, შემდეგ წავიღე ჩემი მუდმივი რენტა და ბიძია გობსეკთან ნაღდ ოთხას ფრანკში ერთი წლით დავაგირავე. ეგეც რამეა! ცარიელ პურსა ვჭამ! ახალგაზრდობაში მყოფნიდა და ახლაც გადავივლი. სამაგიეროდ, ჩემი ნაზი საღამოს მშვენივრად გაატარებს, საუკეთესოდ იქნება მორთულ-მოკაზმული. სასთუმალქვეშ ათასფრანკიანი ქაღალდი მიდევს. მარტო ის მათბობს, რომ თავქვეშ ისეთი რამ მაქვს, რაც საწყალ ნაზის ასიამოვნებს. ახლა იმ საზიზღარი ვიქტორინეს გაგდებაც შეუძლია. სად გაგონილა, რომ მოახლე თავის დიასახლისს არ ენდობოდეს? ხვალ კარგად შევიქნები. ათ საათზე ნაზი მოვა, არ მინდა, რომ გოგონებს ავადმყოფი ვეგონო, თორემ, იქნება ბალზე სულაც არ წავიდნენ და მოვლა დამიწყონ. ხვალ ნაზი ისე მაკოცებს, როგორც თავის ბავშვს და მისი ალერსი მომარჩენს. ათასი ფრანკი ხომ მაინც აფთიაქში უნდა დამეხარჯა? ის არა ჯობს, რომ ჩემს ყოვლადმკურნალს, ჩემს ნაზის მივცე. ამ გაჭირვების დროს ცოტას მაინც ვანუგეშებ. ამით გამოვისყიდი იმ დანაშაულს, რომ მუდმივი რენტა შევიძინე. ჩემი ქალიშვილი უფსკრულის ფსკერზეა, მე კი იმის ძალაც არ შემწევს, რომ ამოვიყვანო! არა! ისევ ვაჭრობას უნდა მოვკიდო ხელი! ხორბლის საყიდლად ოდესაში წავალ. იქ პური აქაურზე სამჯერ უფრო იაფია. ხალასი მარცვლის შემოტანა აკრძალულია. მაგრამ იმ კაი კაცებს, კანონებს რომ იგონებენ, პურეულის ნაწარმის აღკვეთა დავიწყებიათ და... ესეც ხომ მარცვალია! ეს ამბავი ამ დილას მოვიფიქრე! სახამებელში დიდი გამორჩენაა, კარგი საქმეების დატრიალება შეიძლება!

ეჟენმა შეხედა მოხუცს, გაიფიქრა: გაგიჟებულაო და უთხრა:

_ წყნარად იყავით, ნუ ლაპარაკობთ.

როდესაც ბიანშონი დაბრუნდა, ეჟენი ჩავიდა დაბლა და ისადილა. შემდეგ ორივემ მოხუცის მოვლაში გაატარეს ღამე; ერთმანეთს ენაცვლებოდნენ; ერთი საექიმო წიგნებით ერთობოდა, მეორე დედასა და დებს წერილებს სწერდა. მეორე დღეს, ბიანშონის აზრით, ავადმყოფის მსვლელობას სასიკეთო ნიშნები დაეტყო, მაგრამ მოხუცი მუდმივ მოვლას

საჭიროებდა და მხოლოდ ორ სტუდენტს შეეძლო ყოველივე იმის გაკეთება, რისი დაწვრილებით აღწერისაგან თავი უნდა შევიკავოთ, რათა ჩვენი მეტად მორიდებული დროის მეტყველების უბიწოება არ შევლახოთ. ბერიკაცს დაუძლურებულ სხეულზე წურბელებს ასხამდნენ, ცხელ საფენებს ადებდნენ, ფეხზე ცხელ აბაზანას უკეთებდნენ და მიმართავდნენ სხვა სამკურნალო ხერხებს, რაიც მხოლოდ ორივე ახალგაზრდა კაცის ღონესა და ერთგულებას შესწევდა. ქალბატონი დე რესტო არ მოსულა. მან კაცი გამოგზავნა ფულის წასაღებად.

_ მეგონა, რომ თვითონ მოვიდოდა, მაგრამ რა ბედენაა? აქ შეწუხდებოდა, რომ მოსულიყო, _ ისე თქვა მამამ, თითქოს კმაყოფილი იყო ამ გარემოებით.

საღამოს შვიდ საათზე ტერეზამ მოუტანა ეჟენს დელფინეს წერილი:

«რასა იქთ, ჩემო მეგობარო? ძლივს შემიყვარეთ და, ნუთუ, უკვე მომიძულეთ? ჩვენი გულითადი საუბრების დროს მე ვიხილე თქვენი მეტად ლამაზი სული. თქვენ ყოველთვის ერთგული იქნებით, რადგან გესმით, თუ რა მრავალფეროვანია ჩვენი გრძნობები. როდესაც მოსეს ლოცვას ვუსმენდით, თქვენ თვითონ თქვით, რომ «ზოგისთვის ეს მარტოდმარტო ერთი ნოტია, ზოგისთვის კი მუსიკის მთელი უსაზღვროება». გაიხსენეთ, რომ ამ საღამოს გელოდებით ქალბატონ დე ბოსეანის წვეულებაზე წასასვლელად. ნამდვილად ვიცი, რომ ამ დილას ხელმწიფის კარზე ხელი მოაწერეს ბ. დ'აჟუდას საქორწილო კონტრაქტს, საწყალმა ვიკონტესამ კი მხოლოდ ორ საათზე გაიგო ეს ამბავი. მთელი პარიზი მისკენ გაეშურება ისევე, როგორც ხალხი აწყდება ხოლმე გრევის მოედანს, როდესაც იქ ვინმეს თავსა ჰკვეთავენ. განა საზიზღრობა არ არის წასვლა იმის სანახავად _ თუ რას იზამს ქალი: შესძლებს თავის მწუხარების დაფარვას, თუ ლამაზად მოკვდება? ადრე რომ მასთან ნამყოფი ვყოფილიყავი, რასაკვირველია, დღეს აღარ წავიდოდი, მაგრამ ცხადია, რომ იგი აღარ გამართავს წვეულებებს და, ამრიგად, მთელი ჩემი ცდა და დაგვა, რომ მასთან მოვხვედრილიყავ, ტყუილად ჩამივლიდა. ჩემი გარემოება განსხვავდება სხვების მდგომარეობისაგან, გარდა ამისა, მე თქვენი გულისთვისაც მივდივარ. გიცდით. თუ ორი საათის განმავლობაში არ გამოცხადდით ჩემთან, არ ვიცი, გაპატიებთ თუ არა ამ მუხანათობას».

რასტინიაკმა აიღო კალამი და ასე უპასუხა:

«მე ექიმს ველოდები, რომ გავიგო, ცოცხალი დარჩება მამათქვენი თუ არა. იგი სიკვდილის პირზეა. მე მოგიტანთ ექიმის განაჩენს; ვშიშობ, რომ ეს განაჩენი სასიკვდილო იქნება. განსაჯეთ თვითონ: შეგიძლიათ თუ არა ბალზე წასვლა. გკოცნით ურიცხვს».

ცხრის ნახევარზე მოვიდა ექიმი. მას არც იმედი მიუცია და არც ის უთქვამს, სიკვდილი აუცილებელიაო. მან თქვა: ავადმყოფი ხან უკეთ იქნება, ხან ისევ შეუქცევს და მოხუცის სიცოცხლეცა და გონებაც ამაზე არის დამოკიდებულიო.

_ ჯობდა, მალე მომკვდარიყო, _ დაასკვნა ბოლოს ექიმმა.

ეჟენმა ბიანშონს მიანდო მოხუცზე ზრუნვა, თვითონ კი გაემართა ქალბატონ დე ნუსინჟენთან, რათა მიეტანა მისთვის სამწუხარო ამბავი, რომელსაც ყოველგვარი სიხარულის გაქრობა შეეძლო. ასე ეგონა ეჟენს, რომლის გონება ჯერ კიდევ ოჯახისადმი მოვალეობის გრძნობით იყო გამსჭვალული.

_ უთხარით მას, რომ ნურაფერს ნუ უყურებს და იმხიარულოს, _ მიაძახა რასტინიაკს მამა გორიომ, რომელიც თითქოს თვლემდა, მაგრამ, როდესაც ეჟენი ოთახიდან გადიოდა, ლოგინზე წამოჯდა.

ახალგაზრდა კაცი სევდიანი და დადარდიანებული მივიდა დელფინესთან, ის კი უკვე თმადავარცხნილი, ფეხსაცმელჩაცმული დახვდა და მხოლოდ საბალე კაბის ჩაცმაღა აკლდა. მაგრამ ჩაცმის დროს უკანასკნელ, დამამთავრებელ სამზადისს მეტი დრო უნდა ისევე, როგორც სურათის დამთავრების დროს მხატვარს ყალმის უკანასკნელი მოსმისათვის გაცილებით მეტი დრო დასჭირდება ხოლმე, ვიდრე მთელი სურათის დასახატავად.

_ როგორ! ჯერ არ ჩაგიცვიათ? _ შეეკითხა დელფინე.

_ თქვენი მამა, ქალბატონო...

_ ისევ მამაჩემი! _ შეჰყვირა ქალმა და ეჟენს სიტყვა შეაწყვეტინა. _ ნუ მასწავლით იმას, თუ რა ვალდებულება მიმიძღვის მამაჩემის მიმართ! ხმა არ ამოიღოთ, ეჟენ! სანამ ჩაცმულს არა გნახავთ, ყურსაც არ გათხოვებთ. ტერეზამ ყველაფერი გაამზადა თქვენს ბინაზე; ჩემი ეტლი გიცდით, წადით და დაბრუნდით. ბალზე რომ წავალთ, გზაში ვილაპარაკებთ მამაჩემის შესახებ. ადრე უნდა წავიდეთ, თორემ ეტლების კუდში მოვხვდებით და მაშინ, კიდევ კარგი, თუ თორმეტი საათისათვის მივედით წვეულებაზე.

_ ქალბატონო...

_ წადით! სიტყვა არ გამაგონოთ, _ უთხრა ქალმა და თავის ბუდუარისკენ გაიქცა ყელსაბამის ასაღებად.

_ წადით, ბატონო ეჟენ, თორემ ქალბატონს გააჯავრებთ, _ უთხრა ტერეზამ და გამოისტუმრა ამ ელეგანტური მამისმკვლელობით შეძრწუნებული ახალგაზრდა კაცი.

მეტად სევდიანი და უსიხარულო ფიქრებით შეპყრობილი იგი ჩასაცმელად გაემგზავრა. ხედავდა, რომ უმაღლესი საზოგადოება ტალახის ზღვაა, რომელშიაც კაცმა თუკი ფეხი დაისველა, მერე კისრამდე ჩაეფლობა.

«რა წვრილმანია ყველა მათი ბოროტმოქმედებანი, ვოტრენი მათზე უფრო მაღლა დგას», _ ფიქრობდა ეჟენი.

იგი უკვე ხედავდა საზოგადოების სამ უმთავრეს გამოსახულებას: მორჩილებას, ბრძოლასა და ჯანყს; ოჯახს, საზოგადოებასა და ვოტრენს. მან არ იცოდა, ვის მიმხრობოდა. მორჩილება მოსაბეზრებელია, ჯანყი შეუძლებელია, ხოლო ბრძოლის შედეგი არასაიმედოა. ეჟენის ფიქრებმა ოჯახის წიაღში გადაინაცვლეს. მას მოაგონდა ამ მშვიდი ცხოვრების წმინდა განცდები, გაახსენდა დღეები, გატარებული იმ ადამიანთა შორის, რომელთაც იგი უყვარდათ. მისი საყვარელი ადამიანები ოჯახური კერის ბუნებრივ კანონებს მისდევდნენ და სრულ, ხანგრძლივ და მშვიდ ბედნიერებას ჰპოვებდნენ. მიუხედავად ასეთი სასიკეთო აზრებისა, ეჟენს იმის გამბედაობა არ ჰყოფნიდა, რომ დელფინეს წინაშე ეღიარებინა ეს რწმენა უმწიკვლო გულისა და სიყვარულის სახელით სათნოება მოეთხოვა მისგან. მის ახლებურად აღზრდას უკვე პირველი ნაყოფი მოჰქონდა. მისი სიყვარული უკვე ეგოისტური იყო. მან ალღო აუღო დელფინეს სულიერ ბუნებას და გულმა უგრძნო, ამ ქალს შეუძლია თავის მამის გვამს ფეხი გადააბიჯოს და ისე წავიდეს წვეულებაზეო, მაგრამ არც იმის ძალა შესწევდა, რომ ზნეობის ქადაგება დაეწყო დელფინესათვის, არც იმის გამბედაობა, რომ წასჩხუბებოდა თავის საყვარელს და არც ისე სათნო იყო, რომ თავი მიენებებინა მისთვის.

«ახლა რომ ჩემი გავიტანო, არასოდეს არ მაპატიებს ამას», გაიფიქრა ეჟენმა.

მან დაიწყო ექიმის ნათქვამის აწონ-დაწონა; მას უნდოდა საკუთარი თავისათვის ჩაეგონებინა, რომ მამა გორიო არც ისე უიმედო ავადმყოფია, როგორც ფიქრობდა; მოკლედ, დელფინეს გასამართლებლად მუხანათურ საბუთებს დაუწყო თავის მოყრა. მას ხომ არ ესმის, როგორ მდგომარეობაშია ჩავარდნილი მამამისი; მამის სანახავად რომ მისულიყო, მოხუცი თვითონვე გააბრუნებდა და წვეულებაზე გაუშვებდა. ხშირად საზოგადოებრივი კანონის ულმობელი მსჯავრი ამტყუნებს მათ, ვისი დანაშაულიც ცხადია, მაგრამ შეიძლება გამართლებული იყოს იმ ურიცხვი გარემოებებით, რომლებიც წარმოიშობა ხოლმე ოჯახის წიაღში, ხასიათების შეუსაბამობის, ინტერესთა და მდგომარეობის განსხვავებების გამო. ეჟენს თავის მოტყუება სურდა. იგი მზად იყო თავისი პატიოსნება საყვარლისთვის შეეწირა. ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში მის ცხოვრებაში ყველაფერი გამოიცვალა.

ქალმა უკვე ყველაფერი არია, ოჯახმა ეჟენის თვალში მნიშვნელობა დაკარგა, ქალი ყველაფერს დაეპატრონა. რასტინიაკი და დელფინე შეხვდნენ ერთმანეთს იმგვარად, თითქოს განგებ იმისთვის იყვნენ შექმნილნი, რომ მათ, რაც შეიძლება, მეტი სიცოცხლის სიტკბოება მიენიჭებინათ ერთმანეთისათვის. გრძნობების დაკმაყოფილება, რომელიც კლავს ხოლმე სიყვარულს, კიდევ უფრო აძლიერებდა მათ მწიფობაში შესულ გატაცებას. უკვე მას შემდეგ, რაც ეს ქალი მას ეკუთვნოდა, ეჟენი მიხვდა, რომ მანამდე მას მხოლოდ სურდა, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ შეუყვარდა, როდესაც ბედნიერება განიცადა: იქნებ სიყვარული განცდილი სიამოვნებისათვის მადლობის გრძნობაა და სხვა არაფერი. ბილწი იყო ეს ქალი თუ უბიწო, ეჟენს უყვარდა იგი იმ სიტკბოებისათვის, რაც მან მზითვად გამოიყოლა და ყოველივე იმისთვის, რაც თვით მან მიანიჭა ქალს. დელფინესაც ისე უყვარდა რასტინიაკი, როგორც ტანტალოზს შეეძლო შეყვარებოდა ანგელოზი, რომელიც მოვიდოდა მასთან, რათა მოეკლა მისი შიმშილი და დაესველებინა წყურვილისაგან გამშრალი ყელი.

_ აი, ახლა მითხარით, როგორ არის მამაჩემი? _ შეეკითხა ქალბატონი დე ნუსინჟენი, როცა დაინახა, საბალე სამოსში გამოწყობილი ეჟენი დაბრუნებულაო.

_ ისე ცუდადაა, რომ მეტი აღარ იქნება, _ უპასუხა სტუდენტმა. _ თუ გინდათ სიყვარული დამიმტკიცოთ, შევიდეთ მის სანახავად.

_ შევიდეთ, მაგრამ წვეულების შემდეგ, ჩემო კარგო ეჟენ, ჭკუით იყავი და ნუ მოჰყვები მორალის ქადაგებას. წავიდეთ.

ისინი გაემგზავრნენ. ერთ ხანს რასტინიაკი ხმის ამოუღებლად იჯდა.

_ რა დაგემართათ? _ შეეკითხა ქალი.

_ მომაკვდავი მამათქვენის ხრიალი მესმის, _ გაჯავრებული ხმით უპასუხა რასტინიაკმა და ჭაბუკური მგზნებარე მჭევრმეტყველებით უამბო ქალბატონ დე რესტოს ამაო თავმომწონეობით ნაკარნახევი ულმობელი საქციელის შესახებ, იმ მომაკვდინებელი კრიზისის შესახებ, რომელიც გამოიწვია მშობლიური ერთგულების უკანასკნელმა გამოჩინებამ და შესახებ იმისა, თუ რა ფასად დაჯდა ანასტაზის ბრჭყვიალებით მორთული კაბა. დელფინე ატირდა.

«ფერი დამეკარგება», _ გაიფიქრა ქალმა და ცრემლები შეაშრა.

_ მე მოვუვლი მამას და მის სასთუმალს არ მოვცილდები, _ უთხრა მან ეჟენს.

_ აი, სწორედ ასეთი მინდიხარ! _ წამოიძახა რასტინიაკმა.

მოედანი დე ბოსეანების ოტელის წინ ხუთასი ეტლის ნათურით იყო განათებული. გაჩირაღდნებული კარის ორივე მხარეზე ჟანდარმების ცხენები ტორსა სცემდნენ. მრავალრიცხოვანი უმაღლესი საზოგადოება ისე უხვად მოედინებოდა და ყველანი ისე ჩქარობდნენ, შეეხედათ ამ დიდი ქალბატონისათვის მისი დაცემის წუთებში, რომ ქალბატონ დე ნუსინჟენისა და რასტინიაკის მოსვლამდე ოტელის ქვედა სართულის ყველა ოთახი უკვე ხალხით იყო გავსებული. მას აქეთ, რაც მეფის კარის მთელი საზოგადოება გაეშურა დიდი მადმუაზელის სანახავად, რომელსაც ლუი მეთოთხმეტემ საყვარელი ჩამოაშორა, ჯერ არც ერთ სასიყვარულო ბედუკუღმართობას არ გამოუწვევია ასეთი ხმაური, რომელიც ქალბატონ დე ბოსეანის ბედნიერების განადგურებას მოჰყვა. თითქმის მეფური მდგომარეობის მქონე ბურგუნდიის სახლის უკანასკნელმა ბატონიშვილმა დაანახვა ყველას, რომ ამ მდგომარეობაში იგი თავის უბედურებაზე უფრო მაღლა დგას, უკანასკნელ წუთამდე ბატონობდა საზოგადოებაში და თუ ღებულობდა მთელ მის ამაოებას, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი სიყვარულის გამარჯვებისათვის ემსახურებინა იგი. პარიზის ულამაზესი ქალები თავისი მორთულობითა და ღიმილით ამკობდნენ ქალბატონ დე ბოსეანის სასტუმრო დარბაზებს. სასახლის კარის ყველაზე რჩეული ადამიანები, ელჩები, მინისტრები, ყველა ჯურის სახელოვანი პირები ჯვრებით, ვარსკვლავებითა და ფერად-ფერადი ბაფთებით მორთულ-მოკაზმულნი ირეოდნენ ვიკონტის მეუღლის გარშემო. ორკესტრის ჰანგები ჟღერდნენ მოოქრულ თაღებში სასახლისა, რომელიც მისი დედოფლისთვის უდაბნოდ იყო ქცეული. ქალბატონი დე ბოსეანი პირველი დარბაზის კარებში იდგა და ღებულობდა თავის ვითომდა მეგობრებს. თეთრი სამოსი ეცვა, უბრალოდ დაწნულ თმაში არავითარი სამკაული არ გაეკეთებინა, დამშვიდებულს ჰგავდა, არ ეტყობოდა არც დაღონება, არც ამპარტავნება და არც ყალბი მხიარულება. ვერავინ ვერაფერს ამოიკითხავდა მის გულში. შეიძლებოდა გეთქვათ, რომ მარმარილოს ნიობეაო. უახლოეს მეგობრებს უღიმოდა და ამ ღიმილში ხანდახან სიმწარე გამოსჭვიოდა, მაგრამ ყველა დანარჩენისათვის იგი ისევ ისეთი იყო, როგორიც ყოველთვის და ისევე კარგად გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, როდესაც მას ბედნიერების შუქი ეფინა. ყველაზე უგრძნობელი ადამიანებიც კი აღტაცებულნი იყვნენ მისით ისევე, როგორც ახალგაზრდა რომაელი ქალები, რომლებიც ტაშს უკრავდნენ პირზე ღიმილით მომაკვდავ გლადიატორს. უმაღლესი საზოგადოება თითქოს იმისთვის მოსულიყო, რომ გამომშვიდობებოდა თავის ერთ-ერთ მბრძანებელთაგანს.

_ ვშიშობდი, რომ არ მოხვიდოდით, _ უთხრა მან რასტინიაკს.

_ ქალბატონო, _ უპასუხა ეჟენმა აღელვებულად, რადგან ქალის სიტყვებში საყვედური მოეჩვენა, _ მე იმისთვის ვარ მოსული, რომ უკანასკნელმა დაგტოვოთ.

_ გმადლობთ, _ უთხრა ქალმა და ხელი გაუწოდა. _ აქ მყოფთა შორის შეიძლება მარტო თქვენთვის გავბედავდი განდობას. მხოლოდ ისეთი ქალი შეიყვარეთ, ჩემო მეგობარო, რომელიც შეიძლება მუდამ გიყვარდეთ და არასოდეს დასტოვოთ იგი.

იგი დაეყრდნო ეჟენის მკლავს, წაიყვანა დარბაზში, სადაც ბანქოს თამაშობდნენ, და პატარა ტახტზე დასვა.

_ წადით მარკიზთან, _ უთხრა მან ეჟენს. _ ჩემი ლაქია ჟაკი გამოგყვებათ და წერილს გადმოგცემთ. მე ვთხოვ მარკიზს, რომ ჩემი წერილები დამიბრუნოს. იმედი მაქვს, რომ ყველა წერილს მიიღებთ. როდესაც მოიტანთ, ჩემს ოთახში ამოდით, მე შემატყობინებენ.

იგი წამოდგა, რომ მიგებებოდა თავის საუკეთესო მეგობარს დიუკ დე ლანჟეს მეუღლეს. რასტინიაკი წავიდა იმ იმედით, რომ მარკიზ დ'აჟუდას ნახავდა რიშფიდების სახლში, სადაც იგი საღამოს ატარებდა; მარკიზი მართლაც იქ დახვდა. რასტინიაკმა გამოუძახა მას; მარკიზმა წაიყვანა იგი თავის სახლში, ყუთი ჩააბარა და უთხრა:

_ ყველა შიგ არის.

ეტყობა, მას უნდოდა დალაპარაკებოდა ეჟენს, შეიძლება წვეულებისა და ვიკონტის მეუღლის შესახებ სურდა გამოკითხვა, ანდა იმის აღიარება, რომ უკვე ახლავე სასოწარკვეთილებაშია თავისი მომავალი ქორწინების გამო, რომელიც შემდეგში მართლაც უბედო გამოდგა; მაგრამ მის თვალებში ცეცხლმა გაიელვა და შეცოდების ღირსი ვაჟკაცობით მან გულში ჩაიხშო თავისი უპატიოსნესი გრძნობები.

_ ნურაფერს ეტყვით მას ჩემ შესახებ, ჩემო კარგო ეჟენ, _ დამწუხრებულმა გულითადად ჩამოართვა ხელი ეჟენს და წასვლა ანიშნა. ეჟენი დე ბოსეანების ოტელში დაბრუნდა. იგი შეიყვანეს ვიკონტის მეუღლის ოთახში, სადაც შენიშნა, რომ სამგზავროდ ემზადებოდნენ. იგი ჩამოჯდა ცეცხლის პირას, შეხედა წიფლის ყუთს და ღრმა სევდას მიეცა. ქალბატონი დე ბოსეანი ილიადის ქალღმერთად ეჩვენებოდა მას.

_ აჰ, ჩემო მეგობარო!.. _ მიმართა მას ოთახში შემოსულმა ვიკონტის მეუღლემ და მხარზე ხელი დაადო.

ეჟენი უყურებდა თავის მტირალ ბიძაშვილს, რომელსაც თვალები ცისკენ აღეპყრო, ცალი ხელი უღონოდ დაეშვა, ხოლო ეჟენის მხარზე შემოდებული ხელი უკანკალებდა. მან უეცრად დაავლო ხელი ყუთს, ცეცხლში შეაგდო; მერე შეხედა, თუ როგორ იწვოდა იგი.

_ ცეკვავენ! ისინი ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდნენ, სიკვდილი კი მოგვიანებით მეწვევა. სუ! ჩემო მეგობარო, _ უთხრა და თითი ტუჩებთან მიუტანა ეჟენს, რომელმაც დალაპარაკება დააპირა. _ მე არასოდეს აღარ ვიხილავ არც პარიზს და არც საზოგადოებას. დილის ხუთ საათზე გავემგზავრები, რათა ნორმანდიის გადაკარგულ კუთხეში თავი დავისამარო. იძულებული ვიყავი დღის სამი საათიდან დამეწყო გამგზავრების სამზადისი, აქტებისათვის ხელი მომეწერა, ჩემი საქმეები მომეგვარებინა. მე არავის გაგზავნა არ შემეძლო იმ...

იგი შეჩერდა.

_ უთუოდ იმათთან უნდა მოგენახათ...

აუტანელმა დარდმა ისევ ხმა გაუწყვიტა. ასეთ წუთებში ყველაფერი გულის ტკივილს იწვევს და ადამიანს არ ძალუძს ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმა.

_ ამგვარად, მე მხოლოდ თქვენი იმედი მქონდა, რომ ამ უკანასკნელ საღამოს ამ უკანასკნელ სამსახურს გამიწევთ. მინდოდა ჩვენი მეგობრობის ნიშნად რამე მესახსოვრა თქვენთვის. მე ხშირად ვფიქრობ თქვენზე და პატიოსან, კეთილ ახალგაზრდა და უბიწო ადამიანად გთვლით, მაღალ საზოგადოებაში ეს თვისებები ხომ ესოდენ იშვიათია. მინდა, რომ ხანდახან თქვენც გამიხსენოთ. აი, აიღეთ, _ თქვა და ოთახს მიმოავლო თვალები, _ აი, ლარნაკი, რომელშიაც ხელთათმანებს ვინახავდი. ყოველთვის, როდესაც წვეულებაზე ან წარმოდგენაზე წასვლის წინ, ხელთათმანების ამოსაღებად გავხსნიდი ხოლმე ამ ლარნაკს, ვგრძნობდი, რომ ლამაზი ვარ, იმიტომ რომ ბედნიერი ვიყავი, და ისე არ დამიხურავს, რომ რამე სასიამოვნო აზრი შიგ არ ჩამეტანებინა. ამ ყუთში ბევრი რამაა ჩემი _ იმ ქალბატონი დე ბოსეანისა, რომელიც აღარ არსებობს. მე ვუბრძანებ, რომ თქვენთან მოიტანონ, დ'არტუას ქუჩაზე. ქალბატონი დე ნუსინჟენი დღეს ძალიან ლამაზია; ძლიერ გიყვარდეთ იგი! და თუ ჩვენ აღარ შევხვდით ერთმანეთს, დარწმუნებული იყავით, ჩემო კარგო, რომ მე ვლოცულობ თქვენთვის, რადგან ჩემ მიმართ თქვენ ესოდენი სიკეთე გამოიჩინეთ. ჩავიდეთ დაბლა, არ მინდა ვაფიქრებინო მათ, რომ ვტირი. ჩემ წინ უსაზღვროებაა, მე მარტო ვიქნები და არავინ მომკითხავს ჩემი ცხოვრების მიზეზს. კიდევ ერთხელ შევხედო ამ ოთახს...

იგი დადუმდა, ერთი წუთით ხელი თვალებზე მიიფარა, მერე ცრემლი შეიშრო, სახე ცივი წყლით მოიბანა, სტუდენტის ხელს დაეყრდნო და უთხრა:

_ წავიდეთ!

რასტინიაკს ჯერ არასოდეს განეცადა ასეთი მძაფრი სულიერი აღმაფრენა, როგორც ახლა, როდესაც იგი უშუალოდ შეეხო ასე კეთილშობილურად გულში ჩათხრობილ სევდას. ისინი დაუბრუნდნენ ბალს. ეჟენმა ქალბატონ დე ბოსეანთან ერთად შემოუარა დარბაზს და ეს იყო ამ ნატიფი ქალის მისდამი ყურადღების უკანასკნელი და სათუთი გამოჩინება. მალე მან ორივე და შენიშნა _ ქალბატონი დე რესტო და ქალბატონი დე ნუსინჟენი. გრაფის მეუღლე დიდებული სანახავი იყო; მას გამოეფინა მთელი თავისი ბრილიანტები, რომლებიც, ალბათ, სწვავდნენ სხეულს და იგი უკანასკნელად ატარებდა მათ. როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მისი სიამაყე და სიყვარული, მას არ შეეძლო ქმრისთვის თვალის გასწორება. ბუნებრივია, რომ შეუძლებელი იყო ამ სანახაობას უფრო არ დაეღონებინა რასტინიაკი, მით უფრო, რომ ორივე დის ბრილიანტების ციალში მას უბადრუკ სარეცელზე გართხმული მამა გორიო ეჩვენებოდა. სტუდენტის მელანქოლიურმა გამომეტყველებამ ვიკონტის მეუღლე შეცდომაში შეიყვანა და მან ხელი გააშვებინა სტუდენტს.

_ წადით! არ მინდა, რომ სიამოვნებას მოგაცილოთ.

ეჟენი უმალვე მოიხმო დელფინემ. ქალი გრძნობდა, რომ საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოახდინა, ბედნიერი იყო ამით და გული არ უთმენდა, სურდა ძღვნად მიერთმია სტუდენტისათვის ნაყოფი იმ საზოგადოების თაყვანისცემისა, რომელშიაც იმედი ჰქონდა, მიმიღებენო.

_ ნაზი როგორ მოგეწონათ? _ შეეკითხა დელფინე სტუდენტს.

_ ყველაფერი გამოუყენებია, თავისი მამის სიკვდილიც კი, _ უპასუხა რასტინიაკმა.

დილის ოთხი საათისათვის ხალხმა კლება დაიწყო დარბაზებში. მალე მუსიკაც შეწყდა. დიუკ დე ლანჟეს მეუღლე და რასტინიაკი მარტონი დარჩნენ დარბაზში. შემოვიდა ვიკონტის მეუღლე იმ იმედით, რომ სტუდენტის მეტი არავინ დახვდებოდა. იგი ახლა გამოემშვიდობა ბ-ნ დე ბოსეანს, რომელმაც დასაძინებლად წასვლის წინ კიდევ გაუმეორა:

_ სცდებით, ჩემო კარგო, თქვენი ხნის ქალმა მონაზვნად შედგომა როგორ გადაწყვიტეთ. არ გინდათ, დარჩით ჩვენთან.

დიუკის მეუღლის დანახვაზე ქალბატონ დე ბოსეანს უნებლიე წამოძახილი აღმოხდა.

_ კლარა, მე მიგიხვდით, _ უთხრა მას ქალბატონმა დე ლანჟემ. _ თქვენ მიდიხართ და არასოდეს არ დაბრუნდებით. მაგრამ ისე არ წახვალთ, სანამ არ მომისმენთ და სანამ ჩვენ ერთმანეთს არ გავუგებთ.

მან ხელი მოჰკიდა თავის მეგობარს, მეზობელ დარბაზში გაიყვანა; იქ, თვალცრემლიანმა ჩაიკრა გულში და ლოყები დაუკოცნა.

_ არ შემიძლია, ასე გულცივად დაგშორდეთ. ეს ხომ მეტად მძიმე სულის ქენჯნას გამოიწვევდა ჩემში. შეგიძლიათ საკუთარ დასავით მომენდოთ. ამ საღამოს თქვენ დიდებული იყავით. მე ვიგრძენ ჩვენი სულიერი სიახლოვე და თქვენთვის ამის დამტკიცება მინდოდა. მე დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე, რადგან ყოველთვის კარგად არ გეკიდებოდით. მაპატიეთ ეს დანაშაული, ჩემო კარგო! მე ვტყუოდი ყველაფერში, რასაც თქვენი გულის დაკოდვა შეეძლო. ყოველივე ჩემ მიერ თქმულის უკან წაღება მინდა. მეც ასეთივე მწუხარება დამატყდა თავზე და ამან ჩვენი გულები შეაერთა, არ ვიცი, ჩვენ ორში რომელი იქნება უფრო უბედური. ამ საღამოს ბატონი დე მონრივო აქ არ მოსულა. ხომ გესმით? კლარა, ვინც თქვენ ამ წვეულებაზე გნახათ, ის არასდროს დაგივიწყებთ. მე კი უკანასკნელი საშუალება უნდა ვიღონო. თუ არ გამიმართლა, მონასტერში წავალ. სად მიემგზავრებით?

_ ნორმანდიაში, კურსელში, რათა მიყვარდეს და ვილოცო იმ დღემდე, სანამ უფალი არ მომიხმობს.

ვიკონტის მეუღლეს გაახსენდა, რომ რასტინიაკი ელოდებოდა და გულისხმიერად დაუძახა სტუდენტს:

_ აქ მოდით, ბატონო რასტინიაკ!

სტუდენტმა ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ბიძაშვილს ხელზე ემთხვია.

_ მშვიდობით, ანტუანეტ! _ თქვა ქალბატონმა დე ბოსეანმა, _ ბედნიერი იყავით! _ მერე სტუდენტს მიმართა: _ თქვენ კი ისედაც ბედნიერი ხართ, ახალგაზრდა ხართ და კიდევ შეგიძლიათ, რაღაც იწამოთ. ისევე, როგორც ზოგიერთმა რჩეულმა სიკვდილის ჟამს, მეც აქედან წასვლის წუთებში წმინდა და გულწრფელი გრძნობები ვიხილე.

რასტინიაკი რომ წავიდა, ხუთი საათი იქნებოდა. იგი წავიდა, როდესაც ქალბატონი დე ბოსეანი უკვე ჩაჯდა თავის სამგზავრო ეტლში, გამოემშვიდობა მას. სახე სველი ჰქონდა ცრემლებისაგან, რაიც მოწმობდა, რჩეული ადამიანებიც კი გულის კანონებს ექვემდებარებიან და დაუღონებლად კი არ ცხოვრობენ, მიუხედავად ზოგიერთი მლიქვნელის ცდისა, რომ სრულიად საწინააღმდეგო დაუმტკიცოს ხალხს.

ცივსა და ნესტიან ამინდში ეჟენი ფეხით დაბრუნდა ვოკეს სახლში. მისი აღზრდა დამთავრდა.

_ საწყალ მამა გორიოს ვერაფერს ვუშველით, _ უთხრა მას ბიანშონმა, როდესაც რასტინიაკი მეზობლებთან შევიდა.

_ ყური დამიგდე, _ დაიწყო ეჟენმა მას შემდეგ, რაც მძინარე მოხუცს შეხედა, _ თავმდაბლად გაჰყევი შენს გზას იმ მცირე მიზნისკენ, რომლითაც შენი სურვილები შეზღუდე. მე კი ჯოჯოხეთში ვარ და იქ უნდა დავრჩე. დაუჯერე ყოველივე სიგლახეს, რასაც საზოგადოებაზე გეტყვიან. იუვენალი აღარ არის, რომ ამ საზოგადოების მოოქრული და ძვირფასი ქვებით მოჭედილი საზიზღრობის დახატვა შეეძლოს.

მეორე დღეს, ორი საათი იქნებოდა, როდესაც ბიანშონმა რასტინიაკი გააღვიძა. ბიანშონს სახლგარეთ გასვლა უნდოდა და სთხოვა მიეხედა მამა გორიოსათვის, რადგან დილას აქეთ მისი მდგომარეობა ძალიან გაუარესებულიყო.

_ ბერიკაცს, სულ დიდი, ორი დღის სიცოცხლე უწერია. ისიც შეიძლება, ექვსი საათიც აღარ გასძლოს, _ უთხრა ეჟენს სამედიცინოს სტუდენტმა. _ და მაინც ავადმყოფობასთან ბრძოლის შეწყვეტის უფლება არა გვაქვს. ძვირფასი წამლები ესაჭიროება. მოვლით კი მოვუვლით, მაგრამ მე თვითონ ერთი სუც არ გამაჩნია. ყველა ჯიბე გავუჩხრიკე, ყველა უჯრა გადავქექე და ვერაფერი ვერ ვნახე. როდესაც მოხუცი მცირე ხნით გონს მოვიდა, ვკითხე და მიპასუხა, რომ ერთი ლიარიც არ გააჩნია. შენ რამდენი გაქვს?

_ ოცი ფრანკიღა დამრჩა, მაგრამ, წავალ, ვითამაშებ ამ ფულით და მოვიგებ, _ უპასუხა რასტინიაკმა.

_ რომ წააგო?

_ მაშინ, მაგის სიძეებსა და ქალიშვილებს მოვთხოვ ფულს.

_ რომ არ მოგცენ? _ იკითხა ბიანშონმა. - თუმცა ახლა ფულის შოვნაზე უფრო საჩქაროა, რომ მდოგვის ცხელი საგებით შევუფუთნოთ ფეხები, ტერფებიდან დაწყებული შუა ბარძაყამდე. თუ აყვირდა, მაშ ჯერ კიდევ იმედი ყოფილა. ხომ იცი, როგორც უნდა გააკეთო ყველაფერი. მერე კრისტოფიც დაგეხმარება. მე კი მეაფთიაქესთან წავალ და თავდებად დავუდგები, რომ ყველა გამორთმეული წამლის ფულს გადავუხდი. უბედურებაა, რომ არ შეგვიძლია წავიყვანოთ მოხუცი ჩვენს საავადმყოფოში. იქ უკეთ იქნებოდა. აბა, წავიდეთ, შეუდექი საქმეს და ჩემს დაბრუნებამდე ავადმყოფი არ დატოვო.

ახალგაზრდები შევიდნენ ავადმყოფი მოხუცის ოთახში. ეჟენი შეზარა ბერიკაცის სრულიად გამოცვლილმა, დაკრუნჩხულმა, გაფითრებულმა და საშინლად დაუძლურებულმა სახემ.

_ როგორა ხართ, მამა? _ შეეკითხა იგი და ლოგინისაკენ დაიხარა.

გორიომ უფერული თვალები მიაპყრო ეჟენს, ძალიან ყურადღებით დააცქერდა, მაგრამ ვერ იცნო. სტუდენტმა ვეღარ გაუძლო ამ სანახაობას, თვალზე ცრემლი მოადგა.

_ ბიანშონ, ხომ არ არის საჭირო ფანჯრებზე ფარდების ჩამოფარება?

_ არა, გარემო მასზე აღარ მოქმედებს. სიცხესა და სიცივეს რომ გრძნობდეს, ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ცეცხლის დანთება მაინც დაგვჭირდება, ბალახების ნახარშისა და სხვა რამეების მოსამზადებლად. მე გამოვგზავნი რამდენიმე გუდურა შეშას, სანამ კიდევ ვიშოვნით, ეს დავწვათ. გუშინ და წუხელ მთელი შენი შეშა დავწვი და ამ უბედურის ოთახში რაც ტორფი ვნახე, ისიც მივაყოლე, ისეთი სინესტე იყო, რომ კედლებიდან წყალი წვეთავდა. ოთახის გაშრობა ძლივს მოვახერხე; კრისტოფმა იატაკი დაგავა, თორემ ნამდვილი საჯინიბო იყო. მერე თვით ღვია ვაკმიე, თორემ აქაურობა ძალიან ყარდა.

_ ღმერთო ჩემო! კი, მაგრამ, მაგის ქალიშვილები! _ წამოიძახა რასტინიაკმა.

_ თუ მოსწყურდა, აი, ეს დაალევინე, _ უთხრა სამედიცინოს სტუდენტმა და დიდი თეთრი ქოთანი დაანახვა, _ თუ გაიგონო, რომ მუცელს უჩივის და ნახე, რომ ცხელი და მაგარი აქვს, დაიხმარე კრისტოფი, გაუკეთე... შენც იცი, რაც სჭირდება. თუ ისე მოხდა, რომ ძალიან აღელდა, ბევრი ლაპარაკი დაიწყო და თანაც შეატყვე, რომ ოდნავ თავის ჭკუაზე არ არის, თავი დაანებე, ნუ გააჩერებ. ეს ცუდი ნიშანი როდია, მაგრამ კრისტოფი მაინც გამოგზავნე კოშენის საავადმყოფოში. ჩვენი ექიმი, ჩემი ამხანაგი ან მე მოვალთ და ამოწვით ვუმკურნალებთ. ამ დილას, სანამ შენ გეძინა, დიდი კონსილიუმი გვქონდა, გალის ერთი მოწაფის, ოტელ-დიეს და ჩვენი საავადმყოფოს მთავარი ექიმის მონაწილეობით. ეს ბატონები ფიქრობენ, რომ ძალიან საყურადღებო სიმპტომები დაადგინეს და ჩვენ თვალი უნდა ვადევნოთ ავადმყოფობის განვითარებას, რათა სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად საჭირო გარემოებანი გამოვარკვიოთ. ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ თუ სერუმის წნევა ერთ ორგანოზე უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვაზე, ამას შეიძლება სრულიად განსაკუთრებული მოვლენები მოჰყვეს. კარგად დაუგდე ყური, რას ილაპარაკებს, იმისათვის, რომ დავადგინოთ, ცნობიერების რომელ სფეროს შეეხება ეს ლაპარაკი, რა გამოიწვევს ამ ლაპარაკს _ მოგონებანი, მომავლის ფიქრი თუ მსჯელობა, ხომ არ ანგარიშობს რასმე, ანდა წარსულს ხომ არ უბრუნდება? მოკლედ, ზუსტი ანგარიში უნდა წარმოგვიდგინო. შეიძლება სისხლი უცებ ჩაექცა ტვინში; თუ ასეა, მაშინ ასევე აზრზემოუსვლელად დალევს სულს. ასეთი სახის ავადმყოფობას ყველაფერი

მეტად უცნაური სჩვევია. თუ სისხლი, აი, აქ ჩაექცა, _ და ბიანშონმა ავადმყოფის კეფაზე მიუთითა, _ უცნაური ამბები ხდება, ტვინს ნაწილობრივ ისევ უბრუნდება მუშაობის უნარი და ავადმყოფიც გაცილებით უფრო გვიან კვდება. სისხლის ჩაქცევა შეიძლება სხვა გზით წავიდეს და ტვინამდე არ მიაღწიოს, მაგრამ ამას გაკვეთამდე ვერ გავიგებთ. განუკურნავთა საავადმყოფოში არის ერთი გამოტვინებული მოხუცი, რომელსაც სისხლი ხერხემლის გასწვრივ ჩაექცა, მაგრამ ცოცხალია.

_ ჩემი გოგონები ხომ კარგად გაერთნენ? _ იკითხა მამა გორიომ, რომელმაც ეჟენი იცნო.

_ მხოლოდ თავის ქალიშვილებზე ფიქრობს, _ თქვა ბიანშონმა. _ გასული ღამის განმავლობაში ასჯერ მაინც მითხრა «ისინი ცეკვავენ! მას ის კაბა აცვია», თავის ქალიშვილების სახელებს ამბობდა, ეძახდა. ეშმაკმა წამიღოს! მეც ამატირა თავისი მოთქმით _ «დელფინ, ჩემო პატარა დელფინ! ნაზი!» პატიოსან სიტყვას გაძლევ, ყური რომ დაგეგდო, ცრემლად დაიღვრებოდი.

_ დელფინე ხომ აქ არის? მე ეს ნამდვილად ვიცოდი, _ წარმოთქვა მოხუცმა, გაახილა თვალები და ცეტური გამომეტყველებით მარდად გადახედა კედლებსა და კარებს.

_ ჩავალ და სილვიას ვეტყვი, რომ მდოგვის საფენი მოამზადოს, სწორედ სამაგისო დროა, _ დაიყვირა ბიანშონმა.

რასტინიაკი მარტო დარჩა მოხუცთან, დაუჯდა ფერხთით და დააცქერდა მის შემზარავ, შემაძრწუნებელ სახეს.

«ქალბატონი დე ბოსეანი გადაიხვეწა, მამა გორიო კვდება, _ ფიქრობდა სტუდენტი, _ უბიწო სულის ადამიანები დიდხანს ვერ სძლებენ ამქვეყნად, როგორ უნდა შეეგუოს დიდსულოვანი გრძნობების ადამიანი ამ შეზღუდულ, დაწვრილმანებულ, ქარაფშუტა საზოგადოებას?»

ეჟენის თვალწინ დაუდგა სურათები წვეულებისა, რომელსაც იგი დაესწრო და მან სიკვდილის სარეცელის ამ სანახაობას დაუპირისპირა ისინი.

ბიანშონი მოულოდნელად დაბრუნდა.

_ იცი, ეჟენ, ახლა ვნახე ჩვენი მთავარი ექიმი და მაშინვე აქეთ გამოვეშურე. თუ ავადმყოფს ტონზე გამობრუნების ნიშნები დაეტყოს და ლაპარაკი დაიწყო, გრძელი საფენი დაუდე, ისე რომ, მდოგვი კეფიდან წელამდე გასწვდეს და მაშინვე გამოგვიძახე.

_ რა კეთილი ხარ, ბიანშონ, _ უთხრა ეჟენმა.

_ არა, ეს ხომ სამეცნიერო საქმეა, _ ნეოფიტის გატაცებით წამოიძახა მომავალმა ექიმმა.

_ მაშ, სიყვარული მარტო მე მამოქმედებს, როდესაც ამ საწყალ ბერიკაცს ვუვლი? _ შენიშნა ეჟენმა.

_ ამ დილას რომ გენახე, ასე არ იტყოდი, _ უპასუხა ბიანშონმა, რომელსაც ეს შენიშვნა არ სწყენია. _ გამოცდილი ექიმები მხოლოდ ავადმყოფობას უყურებენ, მე კი, ჩემო კარგო, ჯერ კიდევ, ავადმყოფსაც ვხედავ.

მოხუცთან მარტო ეჟენი დატოვა და წავიდა იმის შიშით, რომ მალე კრიზისი დადგება. და მართლაც, კრიზისმა მალე იჩინა თავი.

_ აა, თქვენა ხართ, ჩემო საყვარელო შვილებო, _ თქვა მამა გორიომ, რომელმაც ეჟენი იცნო.

_ უკეთ ხართ? _ შეეკითხა სტუდენტი და ხელი დაუჭირა.

_ დიახ. თავზე თითქოს მარწუხები მქონდა მოჭერილი, ახლა კი მომეშვა. ჩემი გოგონები ხომ ნახეთ? მალე უნდა მოვიდნენ. გაიგებენ, რომ ავად ვარ და მაშინვე მოირბენენ. როგორ მივლიდნენ ხოლმე, როდესაც ჟუსიენის ქუჩაზე ვცხოვრობდით! ღმერთო მაღალო! მინდა, რომ მათი მოსვლისათვის ოთახი სუფთად იყოს. აქ ერთი ახალგაზრდა იყო, რომელმაც მთელი ტორფი დამიწვა.

_ მესმის, რომ კრისტოფს კიბეზე შეშა ამოაქვს, რომელიც იმ ახალგაზრდამ გამოგიგზავნათ.

_ კეთილი, მაგრამ რა მივცეთ შეშაში? მე ერთი სუც არ გამაჩნია. მე ყველაფერი მივეცი. სულ ყველაფერი. ახლა სამოწყალოდ მაქვს საქმე. ის ბრჭყვიალებიანი კაბა ლამაზი მაინც იყო? (ოჰ! როგორ ვიტანჯები!) გმადლობ, კრისტოფ, ღმერთი გადაგიხდის, ჩემო კარგო, მე კი აღარაფერი მაქვს.

_ შენცა და სილვიასაც მე გადაგიხდით, _ ყურში ჩასჩურჩულა ეჟენმა მსახურს.

_ კრისტოფ! ჩემი ქალიშვილები ხომ ამბობდნენ, რომ მალე მოვლენ? კიდევ ერთხელ მიდი მათთან და ას სუს მოგცემ. უთხარი, რომ მე ცუდადა ვგრძნობ თავს, რომ სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ მინდა მათი დანახვა, გადახვევა. ასე უთხარი, მაგრამ ძალიან ნუ შეაშინებ!

რასტინიაკმა ანიშნა და კრისტოფი გავიდა.

_ მოვლენ, _ განაგრძო მოხუცმა. _ მე ვიცი მათი ამბავი. როგორ დაღონდება ჩემი კარგი დელფინე, მე თუ მოვკვდი! ნაზიც! სიკვდილი არ მინდა, რომ ისინი არ ვატირო.

სიკვდილი ხომ იმას ნიშნავს, რომ მათ აღარ ვნახავ, იქ, სადაც ყველანი მიდიან, მე მათზე ვიდარდებ. ბავშვებთან განშორება მამისათვის ჯოჯოხეთია. მე უკვე მას აქეთ მივეჩვიე ამ ჯოჯოხეთს, რაც გოგონები გამითხოვდნენ. ჟუსიენის ქუჩა ჩემი სამოთხე იყო. ეს მითხარით, თუ სამოთხეში მოვხვდი, შეძლებს თუ არა ჩემი სული დედამიწაზე დაბრუნებას და მათ ახლო ყოფნას? რაღაცა ამის მსგავსი გამიგონია. ნეტავ, მართალი თუა? აი, ამ წუთში ცხადად ვხედავ მათ, სწორედ ისეთებს, ჟუსიენის ქუჩაზე რომ იყვნენ. დილაობით დაბლა ჩამოდიოდნენ, მეტყოდნენ «დილა მშვიდობისა, მამა». მუხლებზე დავისვამდი, ვეძიძგილავებოდი, გაუთავებლად ვეხუმრებოდი. რა საამური იყო მათი ალერსი! ყოველ დილას ერთად ვსაუზმობდით, ერთად ვსადილობდით. მოკლედ, მამა ვიყავი და ჩემი შვილებით ვხარობდი. როდესაც ჟუსიენის ქუჩაზე ვცხოვრობდით, არაფერი არ ჰქონდათ საფიქრებელი, არც არაფერი ესმოდათ ცხოვრებისა და ძალიან ვუყვარდი. ღმერთო ჩემო! რატომ სამუდამოდ არ დარჩნენ ასეთი პატარები? (ოჰ, როგორ ვწვალობ. თავი მისკდება). ვაიმე! მაპატიეთ, შვილებო! საშინლად ვიტანჯები. ეს უკვე ნამდვილი წამებაა, თორემ ტკივილის გაძლებას ხომ თქვენ მიმაჩვიეთ. ღმერთო ჩემო! მათ ხელებს რომ ჩემი ხელით შევეხო, ტკივილს აღარ ვიგრძნობ! როგორ გგონიათ _ მოვლენ თუ არა? ეს კრისტოფი დიდი რეგვენია! მე თვითონ უნდა წავსულიყავი. კრისტოფი ნახავს მათ. კი, მაგრამ, გუშინ წვეულებაზე იყავით. აბა, მითხარით როგორ გამოიყურებოდნენ ჩემი ქალიშვილები? მათ ხომ არაფერი იცოდნენ ჩემი ავადმყოფობისა? საწყალ ბავშვებს რომ სცოდნოდათ, ხომ არც იცეკვებდნენ! ოჰ! მეტი აღარ მინდა ავად ყოფნა! მე კიდევ ძალიან საჭირო ვარ მათთვის. მათი ქონება საფრთხეშია. ღმერთო, რა ქმრები შეხვდათ! მომარჩინეთ, მიშველეთ რამე! (ოჰ! როგორ მტკივა! ვაი! ვაი!) ხომ ხედავთ, აუცილებლად უნდა მომარჩინოთ, რადგან მათ ფული სჭირდებათ, მე კი ვიცი, სად წავიდე ფულის საშოვნელად. ოდესაში წავალ და სახამებელს დავამზადებ, დიდი გამოქექილი ვარ ამ საქმეში და მილიონებს ვიშოვი (ვაი, რა ძალიანა მტკივა!).

გორიო ერთი წუთით გაჩუმდა. ეტყობა, ცდილობდა ტკივილი დაეძლია.

_ ისინი რომ აქ იყვნენ, ჩივილს არ დავიწყებდი. აბა, რა მექნებოდა საჩივლელი?

ჩათვლიმა და დიდხანს იყო ასე რულში წასული. კრისტოფი დაბრუნდა. რასტინიაკს ეგონა, რომ მამა გორიოს ეძინა და ამიტომ არ შეუჩვენებია მსახური, რომელიც ხმამაღლა მოჰყვა იმის ამბავს, თუ როგორ შეასრულა დავალება.

_ ჯერ, ბატონო გრაფის მეუღლესთან გიახელით, მაგრამ, ვინ მიგიშვა მასთან სალაპარაკოდ? თურმე მაგრად ყოფილა ქმართან წაჩხუბებული. როცა აღარ მოვეშვი,

თვითონ ბატონი გრაფი გამობრძანდა და ესე მითხრა: «ბატონი გორიო კვდება? რა მოხდა? ამაზე უკეთესს რას იზამს! მე ახლა ქალბატონ რესტოსთან დიდი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. მოვრჩებით და მაშინ წამოვა». ეს ბატონი ძალიან გაჯავრებული ჩანდა. წამოსვლა მინდოდა. ამ დროს, ვერც კი შევამჩნიე რომელი კარებიდან შემოვიდა ქალბატონი და მითხრა: «კრისტოფ, უთხარი მამაჩემს, ქმართან დიდი დავა მაქვს და თავს ვერ მივანებებ, იმიტომ, რომ საქმე ჩემი ბავშვების სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება, როცა ყველაფერს მოვრჩები, მოვალ-თქო».

ბარონის მეუღლესთან სულ სხვა ამბავი იყო! არც მინახავს და არც მილაპარაკია მასთან. მოახლემ მითხრა: «ოჰ! ქალბატონი ექვსის ჩარექზე დაბრუნდა წვეულებიდან და სძინავს. შუადღეზე ადრე რომ გავაღვიძო, დამტუქსავს. ზარს რომ დამირეკავს, მივალ და ვეტყვი, რომ მამამისი უარესად არის. ცუდი ამბის გაგებას ყოველთვის მოესწრება». ბევრი ვეღრიჯე, მაგრამ ვერ მოგართვეს! ვთხოვე, იქნებ ბატონ ბარონთან მალაპარაკოთ-მეთქი, მაგრამ წასული ყოფილიყო.

_ მაშ, არც ერთი ქალიშვილი არ მოვა! _ წამოიძახა რასტინიაკმა, _ ახლავე მივწერ ორივეს!

_ არც ერთი! _ ალაპარაკდა მოხუცი და წამოჯდა თავის სარეცელზე. _ მათ საქმები აქვთ! ისინი მოისვენებენ, არ ინებებენ მოსვლას! ვიცოდი, ასე იქნებოდა. სიკვდილის კარს უნდა მიადგე და მაშინ გაიგებ, რა არის შვილები. ეჰ, ჩემო მეგობარო, ცოლი არ შეირთოთ და შვილები არ იყოლიოთ! თქვენ მას სიცოცხლეს მიანიჭებთ, ისინი სულს ამოგართმევენ! თქვენი შობილები თქვენვე გკლავენ. არა! არ მოვლენ. ათი წელია უკვე, რაც ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. რამდენჯერ მიფიქრია ჩემთვის, მაგრამ არკი მჯეროდა!

დაწითლებულ თვალის უპეებზე ცრემლი მოადგა.

_ ეჰ, მდიდარი რომ ვყოფილიყავ, ქონება რომ ჩემთვის დამეტოვებინა და მათთვის არ მიმეცა, ახლა აქ იქნებოდნენ, მათი კოცნისაგან ლოყები ამიფაკლდებოდა! ვიცხოვრებდი ოტელში, მექნებოდა მშვენიერი ოთახები, მეყოლებოდა მოსამსახურეები და ვიქნებოდი ჩემთვის თბილად. აცრემლებული ქალიშვილები მოვიდოდნენ თავისი ქმრებითა და შვილებით. ყველაფერი ჩემს ხელთ იქნებოდა! ახლა კი ცარიელზე დავრჩი. ფულით ყველაფერს შეიძენ, შვილებსაც კი. ვაი, ჩემო ფულებო, სადა ხართ? ახლა რომ ჩემს საუნჯეებს ვუტოვებდე _ მომივლიდნენ, მიწამლებდნენ, კიდევაც ვნახავდი მათ, ყურსაც დავუგდებდი. ვაი! ჩემო კარგო შვილო, ჩემო ერთადერთო შვილო! მე ასე მირჩევნია, ვიყო გლახაკი და მიუსაფარი! როცა ღატაკი უყვართ, ნამდვილად მხოლოდ მისივე გულისთვის

უყვართ. არა, მინდა, რომ მდიდარი ვიყო, მაშინ ჩემს გოგონებს ვნახავდი. თუმცა, ვინ იცის? ორივეს ხომ ქვის გული აქვს, მე ისე ძლიერ მიყვარდა ისინი, რომ შეუძლებელია მათაც ვუყვარდე. მამა ყოველთვის მდიდარი უნდა იყოს და მუდამ ლაგამამოდებული ჰყავდეს თავისი შვილები გაოჩნებული ცხენებივით. მე კი მათ წინაშე მუხლს ვიყრიდი. არამზადები! ათი წელიწადი ასე მექცეოდნენ და ახლა ასე ღირსეულად აგვირგვინებენ თავის საქციელს. რომ იცოდეთ, როგორი ყურადღებით მექცეოდნენ გათხოვების პირველ ხანებში! (ოჰ! როგორ გამაწამა ამ უწყალო ტკივილმა!) თითოეულს რვაასი ათასი ფრანკი გავატანე და, აბა, თვითონ ან მათ ქმრებს როგორ შეეძლოთ უდიერად მომქცეოდნენ. სახლში მეძახდნენ: «ჩემო მამიკო, აქ მობრძანდით, საყვარელო მამიკო, იქ დაბრძანდით!» მათ სუფრაზე ჩემთვის ყოველთვის ადგილი იყო გამზადებული. მათ ქმრებთან ერთად ვსადილობდი და პატივისცემაში ვყავდი. ეგონათ, რომ კიდევ რამე გამაჩნდა. საიდან მოიგონეს? მე ხომ არასოდეს არაფერი მითქვამს ჩემი საქმეების შესახებ! კაცი, რომელიც თავის ქალიშვილებს მზითვად რვაასი ათას ფრანკს გაატანს, ღირსია მათი ყურადღებისა და ისინიც ყურადღებით მეკიდებოდნენ, მაგრამ ჩემი ფულის გულისათვის, ხალხი უკუღმართია, მე ეს გამოვცადე. ეტლით წარმოდგენებზე დამატარებდნენ და თუკი მინდოდა, წვეულებებსაც ვესწრებოდი. მოკლედ, ჩემს ქალიშვილობას ამბობდნენ და თავის მამადა მთვლიდნენ. ჯერ გამჭრიახობა არ დამიკარგავს და ვერაფერი დამემალება. ყველაფერი მესმოდა და გულს მიკოდავდა. ცხადად ვხედავდი, რომ ყველაფერი თვალთმაქცობაა, მაგრამ ამ ბოროტებას რა ეშველებოდა? მათთან ასე თავისუფლად ვერ ვგრძნობდი თავს, როგორც აქ, ქვემოთ _ სუფრასთან. არ ვიცოდი, როდის რა მეთქვა. თანაც, როდესაც ვინმე იმ მაღალი საზოგადოებიდან ყურში ჩასჩურჩულებდა ჩემს სიძეს «ვინ არის ეს კაციო? _ ფულიანი მამაო, მდიდარი კაციაო! _ უპასუხებდა სიძე. _ «დახე ერთი!» იტყოდნენ და ჩემი ფულების ეშხით პატივისცემით მიყურებდნენ. თუმცა, ხანდახან რამე მარცხი მომივიდოდა და მაშინ თაკილობდნენ ჩემს იქ ყოფნას. ხომ შემეძლო ჩემი შეცდომების გამოსყიდვა? განა ვინ არის ამქვეყანდ უცოდველი? (თავი თითქოს იარად მაქვს ქცეული!) ამ წუთებში ისე ვიტანჯები, რომ შეიძლება ამ ტანჯვას გადავყვე კიდევაც, მაგრამ, ჩემო კარგო ეჟენ, ეს წამება არაფერია იმ ტკივილთან შედარებით, რომელიც ვიგრძენი, როდესაც პირველად ანასტაზიმ თავისი შემოხედვით მაგრძნობინა, რომ რაღაც სისულელე ვთქვი და შევარცხვინე. ამ შემოხედვამ ძარღვებში სისხლი გამიშრო. მინდოდა გამეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ გავიგე კარგად _ ამქვეყნად ზედმეტი ვყოფილვარ. თავის სანუგეშებლად მეორე დღეს დელფინესთან წავედი, მაგრამ იქაც რაღაც

სისულელე წამომცდა და ქალიშვილი გამირისხდა. ამან მთლად ჭკუაზე შემშალა. იმ ერთ კვირას არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავ, რა მექნა; მათთან მისვლას ვერ ვბედავდი, რადგან საყვედურებისა მეშინოდა. და ამგვარად, კარს გარეთ დავრჩი. ღმერთო მოწყალეო! შენ უწყი რამდენს ვეწამე, რამდენი ტანჯვა ავიტანე, უწყი, თუ რამდენჯერ ჩამცეს გულში დანა ამ ხნის განმავლობაში, რომელმაც ასე დამაბერა, გამაჭაღარავა, სიკვდილის კარამდე მიმიყვანა, მაშ რატომ მაწამებ ახლაც? ცოდვა მიმიძღვის: ზედმეტად მიყვარდა, მაგრამ სავსებით გამოვისყიდე ეს ცოდვა. კარგად დამიფასეს ჩემი სიყვარული: ჯალათებივით მარწუხებითა მგლეჯდნენ. მაგრამ, მამები ხომ სულელები არიან; ისე მიყვარდა, როგორც მოთამაშეს, რომელსაც თამაშის მოშორება არ შეუძლია და კვლავ და კვლავ ბრუნდება თამაშის გასაგრძელებლად. ჩემი ქალიშვილები ყველაფერი იყვნენ ჩემთვის _ ჩემი ბედნიერებაც და ჩემი უბედურებაც. ორივეს მუდამ რამე სჭირდებოდა, რაიმე მოსართავ-მოსაკაზმი, ამას მათი მოახლეები მეუბნებოდნენ და მეც ვუყიდდი ხოლმე ყველაფერს იმ იმედით, რომ კარგად მომექცეოდნენ. ქალიშვილებმა რამდენიმე გაკვეთილი ჩამიტარეს იმისა, თუ როგორ მოვქცეულიყავი მაღალ საზოგადოებაში. ვაი, რომ შედეგისათვის არ დაუცდიათ და ახლა უკვე გაწითლება დაიწყეს ჩემ გამო. მოდი მერედა, კარგად აღზარდე შენი შვილები! ჩემი ხნის კაცს სკოლაში შესვლა ხომ არ შემეძლო. (ღმერთო, რა საშინლად მტკივა. ექიმებს დაუძახეთ! ექიმებს დაუძახეთ! თავის ქალა გამიხსნან, იქნებ ნაკლებად ვეწამო.) ჩემო შვილებო! ჩემო შვილებო! ანასტაზი, დელფინე! მათი ნახვა მსურს, ჟანდარმები გაგზავნეთ და ძალათი მომგვარეთ! სამართალი ჩემკენაა, ყველაფერი ჩემკენაა _ ბუნებაცა და სამოქალაქო კოდექსიც. მე პროტესტს ვაცხადებ! სამშობლო დაიღუპება, მამები თუ ასე ფეხქვეშ გათელეს. ცხადია, რომ ასეა. საზოგადოება, მთელი ქვეყანა მამებზეა დამყარებული. შვილებს თუ მამები აღარ ეყვარებათ, ყველაფერი დაიღუპება. ოჰ! ნეტავი მენახა, ნეტა მათი ხმა გამაგონა? რა ბედენაა _ რას მეტყვიან, ოღონდ მათი ხმა, მეტადრე დელფინეს ხმა გამაგონა, ტკივილები გამიყუჩდებოდა. მაგრამ, როცა აქ მოვლენ, უთხარით ასე ცივად ნუ მიყურებენ, მათ რომ სჩვევიათ. ეჰ, ჩემო კარგო მეგობარო, ბატონო ეჟენ, თქვენ არ იცით, რა მწარეა, როდესაც მათ თვალებში ოქროს ელვარებას ხედავ და იგი უცებ ნაცრისფერ ტყვიად გადაიქცევა. მას აქეთ, რაც მათი თვალების შუქი აღარ მეფინებოდა, ამქვეყნად სამუდამოდ დამიზამთრდა; მეტი არაფერი დამრჩენოდა გარდა იმისა, რომ მეთმინა ჩემი სევდა და მეც ვითმენდი! მე მხოლოდ იმისათვის ვცხოვრობდი, რომ შეურაცხყოფა და დამცირება მომეთმინა. მე ისე მიყვარდა, რომ სიყვარული ყოველგვარ შეურაცხყოფას მათმენინებდა და ამ ფასად ვყიდულობდი მცირედ, საცოდავ

და სამარცხვინო სიხარულს. საკუთარი ქალიშვილების სანახავად მამას დამალვა უხდება. მთელი ჩემი სიცოცხლე მათ შევწირე, დღეს კი ერთი საათიც არ უნდათ, რომ დამითმონ! მშია, მწყურია, გული მეწვის, ისინი კი არ მოვლენ და არ შემიმსუბუქებენ უკანასკნელ წუთებს. მე ხომ ვიცი, რომ ვკვდები. ალბათ, არ ესმით, რას ნიშნავს საკუთარი მამის ცხედრის გათელვა! არა, ჯერ კიდევ არსებობს მამა ზეციერი, ყველა მამების შურს ის იძიებს! ოჰ! ისინი მოვლენ! მოდით, ჩემო საყვარლებო, მოდით, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად მაკოცეთ; გამოემშვიდობეთ მამათქვენს. მე ვილოცებ თქვენთვის, უფალს შევავედრებ თქვენს თავს, ვეტყვი, რომ კარგი შვილები იყავით, თქვენი ქომაგი ვიქნები. თავი და თავი ის არის, რომ თქვენ უდანაშაულონი ხართ! ისინი უდანაშაულონი არიან, ჩემო მეგობარო! მხოლოდ კარგი თქვით მათ შესახებ. უთხარით მთელ ქვეყანას, რომ ჩემი გულისათვის არ გაკიცხონ. ყველაფერი ჩემი ბრალია, მე თვითონ ვასწავლე მათ ფეხების დაბაკუნება, მე ეს თვითონ მომწონდა. მაგრამ, აბა, ვის რაში ესაქმება, ან ადამიანებს, ან ღვთის სამართალს? ღმერთი უსამართლო იქნება, ჩემი გულისათვის ისინი რომ დასაჯოს. მე რა ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ის სისულელე ჩავიდინე, რომ ჩემს უფლებებზე უარი ვთქვი. მათი გულისათვის თავს ვიმცირებდი! მეტი რაღა გინდათ! საუკეთესო გულის პატრონიც კი დანებდებოდა ამ ცთუნებებს და მამის ასეთი უხასიათობის შემყურე, შესცდებოდა. მე უბადრუკი ადამიანი ვარ და სამართლიანად დავისაჯე. ჩემი ქალიშვილების უწესრიგობა _ მხოლოდ ჩემი ბრალია, მე გავანებივრე და წავახდინე ისინი. ახლა სიამოვნებას მოითხოვენ ისევე, როგორც ოდესღაც ტკბილეულსა მთხოვდნენ. ყოველთვის ნებაზე მყავდნენ მიშვებულნი და რაც კი მოეპრიანებოდათ, ყოველთვის ვუსრულებდი. თხუთმეტი წლისანი რომ იყვნენ, საკუთარი ეტლი ჰქონდათ! უარი არაფერზე მითქვამს. მხოლოდ მე ვარ დამნაშავე, ჩემი დანაშაული კი მათდამი სიყვარულია. მათი ხმის გაგონება გულს გადამიხსნიდა ხოლმე. მესმის, ისინი მოდიან. დიახ! დიახ! ისინი მოვლენ. კანონი ბრძანებს, რომ მოვიდნენ სულთმობრძავი მამის სანახავად, კანონი ჩემკენაა! მერე, ეს ხომ მხოლოდ ეტლის ფასად დაუჯდებათ! მე გადავიხდი. მისწერეთ, რომ მილიონებს ვუანდერძებ! პატიოსან სიტყვას ვაძლევ! ოდესაში წავალ ვერმიშელის დასამზადებლად! მე ვიცი, როგორ უნდა დამზადდეს. ჩემი პროექტით მილიონების შოვნა შეიძლება! ჯერ არავის მოსვლია აზრად, გადაზიდვის დროს ხორბალივით და ფქვილივით როდი ფუჭდება. ეს სახამებელი ნაღდი მილიონებია! ტყუილი კი არ არის, პირდაპირ ასე უთხარით: _ მილიონებია-თქო! და თუ სიხარბემ მოიყვანა, დაე, მე შევცდე, ასე იყოს, მაგრამ ჩემს გოგონებს ხომ ვნახავ! მე შევქმენ და ჩემები

არიან! _ წამოიძახა, წამოჯდა ლოგინზე, მოაბრუნა ეჟენისკენ ჭაღარა, თმააბურძგნილი თავი და მის სახის ყოველ ნაკვთში, რომელსაც მუქარას გამოხატვა შეეძლო, მრისხანება გამოსჭვიოდა.

_ დაწექით, ჩემო კარგო, მამა გორიო, _ უთხრა ეჟენმა. _ მე მათ მივწერ და თუ არ მოვიდნენ, ბიანშონი დაბრუნდება თუ არა, თვითონ მე წავალ მათთან.

_ თუ არ მოვიდნენ? _ ქვითინით გაიმეორა მოხუცმა. _ მე ხომ მოვკვდები, სიბრაზისაგან მოვკვდები; დიახ, ბრაზი დამახრჩობს და გავცოფდები! ახლა მთელი ჩემი სიცოცხლე თვალწინ მიდგას. როგორ მოვტყუვდი! მათ არ ვუყვარვარ და არც არასოდეს ვყვარებივარ. ცხადია, რომ რახან არ მოვიდნენ, აღარც მოვლენ! რაც უფრო დააგვიანდებათ მით უფრო დააყოვნებენ ჩემს გახარებას. ვიცი, ასეა, ისინი არ განიცდიდნენ იმას, რაც მე მაღონებდა, რაც მე მტანჯავდა, რაც მე მიჭირდა და არც ჩემი სიკვდილი გამოიწვევს მათში რაიმე განცდებს. იმათ არც ის გაეგებათ, თუ რად ვეკიდები ასე ტკბილად. დიახ, მე ამას ვხედავ. მათ ჩვეულებად გაუხდათ ჩემი გაფცქვნა და ამიტომ ყოველივეს, რასაც მათთვის ვაკეთებდი, ფასი ეკარგებოდა, ჩემი თვალის მოთხრა რომ მოსდომებოდათ, ვეტყოდი, «მომთხარეთ-მეთქი!» ძალიან სულელი ვარ. მათ ჰგონია, რომ ყველა მამა ასეთია, როგორიც მათი მამაა. ყოველთვის ფასი უნდა დაიდო. მათი საკუთარი შვილები გადაუხდიან ჩემ სამაგიეროს. მაგრამ აქ მოსვლა ხომ მათივე ინტერესს შეადგენს. გააფრთხილეთ, რომ ასეთივე აგონიას იმზადებენ თავისთვის. ამ ერთი ბოროტებით ისინი ყველა ბოროტებას სჩადიან... წადით, უთხარით, რომ თუ არ მოვლენ _ მამისმკვლელობას ჩაიდენენ. ესეც რომ არ დაემატოს, ისედაც საკმაო ბოროტება აქვთ ჩადენილი. ასე დაუძახეთ: «ჰეი, ნაზი! ჰეი, დელფინ! მიდით მამასთან, რომელიც ასეთი კარგი მამა იყო თქვენთვის და ახლა ასე წვალობს». არაფერია, არავინ არ არის! განა, მართლა ძაღლივით უნდა მოვკვდე? მიმატოვეს, აი, ჩემი ჯილდო! მეზიზღებიან ეგ გათახსირებულები! ეგ ავაზაკები! შევაჩვენებ, ღამ-ღამობით კუბოდან წამოვდგები და კიდევ შევაჩვენებ ხოლმე. აბა, მითხარით, მეგობრებო, განა ვტყუივარ? ხომ ძალიან ცუდად იქცევიან? ძალიან... რას ვამბობ? თქვენ ხომ მითხარით, დელფინე აქ არისო? ამ ორში დელფინე სჯობია. ეჟენ! თქვენ ჩემი შვილი ხართ! გიყვარდეთ და მისი მამა გახდით! მეორე ძალიან უბედურია. მათ ქონებას რაღა უნდა ეშველოს: ვაი, ღმერთო ჩემო! ვკვდები, ამდენ ტკივილს ვერ გავუძლებ! თავი წამკვეთეთ, მარტო გული დამიტოვეთ!

_ კრისტოფ! _ დაუძახა ეჟენმა, რომელიც ხედავდა, რა ხასიათი მიიღო მოხუცის მოთქმა-ყვირილმა და ძალზე შეშინდა. _ წადით, ბიანშონი ნახეთ და ეტლიც წამოიყვანეთ. ჩემო კარგო, მამა გორიო, წავალ, ვნახავ თქვენს ქალიშვილებს და მოგიყვანთ.

_ ძალით! ძალით მომგვარეთ! მოითხოვეთ გვარდია, არმია, ყველა ძალ-ღონე იხმარეთ! _ წამოიძახა მოხუცმა და უკანასკნელად შეხედა ეჟენს ისეთი გამოხედვით, რომელშიაც ჯერ კიდევ გონება გამოსჭვიოდა. _ უთხარით მთავრობას, უთხარით სამეფო პროკურორს, რომ აქ მომგვარონ, მოვითხოვ ამას!

_ თქვენ ხომ შერისხეთ ისინი!

_ ვინა თქვა ეს ამბავი? _ უპასუხა განცვიფრებულმა მოხუცმა, _ თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მე მიყვარს, რომ მე ვეთაყვანები მათ... ისინი რომ მანახა, განვიკურნები... წადით, ჩემო კეთილო მეზობელო, ჩემო საყვარელო შვილო, წადით! თქვენ კარგი ადამიანი ხართ. მინდა, რომ მადლობა გადაგიხადოთ, მაგრამ მომაკვდავის ლოცვა-კურთხევის მეტი არაფერი გამაჩნია. ეჰ! ნეტა, დელფინე მაინც მანახა და მათქმევინა, რომ მან გადაგიხადოთ მადლობა. თუ მეორეს არ შეუძლია, დელფინე მაინც მომგვარეთ. უთხარით, რომ აღარ გეყვარებათ, თუ არ მოვა. იმდენად უყვარხართ, რომ უსათუოდ მოვა. მწყურია! შიგნეული მეწვის! თავზე რამე დამადეთ! ჩემი გოგონების ხელები რომ იყოს, ვიცი, მეშველებოდა. ღმერთო ჩემო! ვინ დაუბრუნებს გოგონებს მათ ქონებას, მე თუ აღარ ვიქნები! მათი გულისთვის მინდა ოდესაში წასვლა. ოდესაში უნდა წავიდე ვერმიშელის დასამზადებლად.

_ დალიეთ, _ უთხრა ეჟენმა, მარჯვენა ხელით წამოდგომა უშველა მომაკვდავს, ხოლო მარცხენათი ბალახის ნახარშით სავსე ფინჯანი მიაწოდა.

_ ალბათ, გიყვართ თქვენი დედ-მამა, _ და მოხუცი დაუძლურებული ხელით შეეხო ეჟენის ხელს. _ გესმით თუ არა, რომ ჩემი გოგონების უნახავად ვკვდები? ყოველთვის გწყუროდეს და არასოდეს მოიკლა წყურვილი... აი, ასე ვცხოვრობდი ათი წლის განმავლობაში... იმ ჩემმა სიძეებმა მომიკლეს გოგონები... დიახ, მას შემდეგ, რაც გავათხოვე, შვილები აღარა მყავს. მამებო! გამოდით დეპუტატთა პალატაში და თქვით, რომ გამოუშვან კანონი გათხოვების შესახებ! თუ ქალიშვილები გიყვართ, ნუ გაათხოვებთ მათ. სიძე – ეს ხომ სალახანაა, რომელიც ათახსირებს თქვენს ქალიშვილს და ბილწავს ყოველივეს! არავითარი გათხოვება! გათხოვება ქალიშვილებს გვართმევს და როდესაც სიკვდილის პირზე ვართ, ისინი ჩვენთან აღარ არიან. გამოუშვით კანონი მომაკვდავი მამების შესახებ! ეს რა საშინელება ხდება! შური უნდა ვიძიოთ! აქ მოსვლას სიძეები

უშლიან! დახოცეთ ისინი! სიკვდილი რესტოს! სიკვდილი ელზასელს! ეგენი არიან ჩემი მკვლელები! ან სიკვდილი, ან გამოუშვით ჩემი ქალიშვილები! ეჰ! გათავდა ყველაფერი! უიმათოდ ვკვდები! ნაზი! ფიფინ! მოდით, მნახეთ, რაღა! თქვენი მამა მიდის!

_ დამშვიდდით, ჩემო კარგო მამა გორიო, წყნარად იწექით, ნუ ღელავთ, ნურაფერს ფიქრობთ.

_ მათ აღარ ვნახავ, აი, ცეცხლი!

_ მალე ნახავთ!

_ მართლა? _ შესძახა გონებადაკარგულმა მოხუცმა. _ ჰოი, მათი ნახვა! მათი ნახვა მინდა, მათი ხმების გაგონება. მაშინ ბედნიერად მოვკვდები. მაინც აღარ მინდა სიცოცხლე. რა ფასი ჰქონდა ჩემს ცხოვრებს? მხოლოდ ტანჯვა-წამება მემატებოდა. მაგრამ ისინი რომ მანახა, მათ კაბაზე, მხოლოდ კაბაზე ხელი შემახებინა, ეს ხომ დიდი არაფერია... რითიმე მაინც მაგრძნობინა, რომ ისინი აქ არიან! მათ თმაზე ხელი მომაკიდებინეთ... თმაზე...

იგი ისე დაემხო ბალიშზე, თითქოს თავზე კეტი დაარტყესო, და ხელს ისე ასავსავებდა საბანზე, გეგონება თავისი ქალიშვილების თმებს ეძებსო.

_ დამილოცნია ჩემი შვილები, _ ძალდატანებულად წარმოთქვა მოხუცმა. _ დამილოცნია...

და უცებ გული წაუვიდა. ამ დროს შემოვიდა ბიანშოინი.

_ კრისტოფი შემხვდა, _ უთხრა მან რასტინიაკს, _ ახლავე ეტლს მოგიყვანს.

შემდეგ შეხედა ავადმყოფს, ქუთუთო აუწია და სტუდენტებმა უფერული, უსიცოცხლო თვალი დაინახეს.

_ აღარა მგონია, მობრუნდეს, _ თქვა ბიანშონმა.

მერე მაჯა გაუსინჯა და გულზე ხელი დაადო მოხუცს.

_ მანქანა ჯერ მუშაობს, მაგრამ ამ მდგომარეობაში უარესია, უკეთესი იყო, მომკვდარიყო.

_ მაინც ასეა, _ უპასუხა რასტინიაკმა.

_ რა დაგემართა? მისიკვდილიანებულივითა ხარ გაფითრებული.

_ ეჰ, ჩემო ძმაო! მე ისეთი გოდება და მოთქმა-ჩივილი მოვისინე... ღმერთი ხომ არსებობს! დიახ, ღმერთი არსებობს და ან უნდა უკეთესი გახადოს ეს ქვეყანა, ანდა ეს ჩვენი დედამიწა უაზრობაა. ეს რომ ასეთი ტრაგიკული არ ყოფილიყო, ცრემლად დავიღვრებოდი, მაგრამ ეს საშინელება გულს მიკუმშავს და მთელ ჩემს არსებას ზარავს.

_ შენ ისა თქვი, რომ კიდევ ბევრი რამ დაგვჭირდება, და ფული სად ვიშოვნოთ?

რასტინიაკმა თავისი საათი ამოიღო.

_ წაიღე და საჩქაროდ დააგირავე. არ მინდა, რომ გზაში დავყოვნდე, რადგან ერთი წუთის დაკარგვაც კი მაშინებს. კრისტოფს მოვუცდი მხოლოდ; ერთი ლიარიც არა მაქვს და რომ დავბრუნდები, მეეტლეს მაშინ გავისტუმრებ.

რასტინიაკი დაეშვა კიბეზე და გაემართა ჰედლერის ქუჩისაკენ, ქალბატონ დე რესტოს სახლში.

ეჟენი შეზარა იმ საშინელმა სანახაობამ, რომლის მოწმე იგი შეიქნა და ამ შთაბეჭდილების გავლენით, მთელი გზის განმავლობაში მისი აღშფოთება იზრდებოდა.

როდესაც იგი დერეფანში შევიდა და ქალბატონი დე რესტო იკითხა, მას უპასუხეს, რომ მისი ნახვა არ შეიძლებაო.

_ კი, მაგრამ, მე სიკვდილის პირზე მყოფი მამამისის დავალებით მოვედი. _ უთხრა ეჟენმა ლაქიას.

_ ბატონმა სასტიკი განკარგულება მოგვცა...

_ თუ ბატონი დე რესტო შინაა, უთხარით რა დღეშია მისი სიმამრი და ისიც უთხარით, რომ მასთან დაუყოვნებლივ ლაპარაკი მსურს.

ეჟენი დიდხანს უცდიდა.

«ამ წუთებში, ალბათ, უკვე კვდება», _ გაიფიქრა მან.

ლაქიამ შეიყვანა იგი პირველ დარბაზში, სადაც ბატონი დე რესტო იდგა ჩამქრალი ბუხრის პირას და სტუდენტს ელოდებოდა. მასპინძელს დაჯდომა არ შეუთავაზებია.

_ ბატონო, _ მიმართა მას რასტინიაკმა. _ ამ წუთს, საზიზღარ ბუნაგში კვდება თქვენი სიმამრი, რომელსაც შეშის საყიდლად ერთი სუც კი არ გააჩნია. იგი ნამდვილად სიკვდილის პირასაა და თავისი ქალიშვილის ნახვას თხოულობს.

_ ბატონო, _ ცივად მიუგო მას გრაფმა დე რესტომ, _ თქვენ შეგეძლოთ შეგემჩნიათ, რომ მე გულთან ახლო არ მიმაქვს ბატონ გორიოს ამბავი. იგი არცხვენდა ქალბატონ დე რესტოს, იგი ჩემი ცხოვრების უბედურებად გადაიქცა და მას ვუყურებ მხოლოდ როგორც ჩემი მშვიდობის დამრღვეველს. გინდ მოკვდეს, გინდ ცოცხალი იყოს, ამას ჩემთვის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთია ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ. საზოგადოებას შეუძლია გამკიცხოს. მე იმას არაფრად ჩავთვლი. ახლა მე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და თავს არ შევიწუხებ იმით, თუ რას ფიქრობენ ჩემზე სულელები და ადამიანები, რომელთა მიმართ მე სრულიად გულცივად ვარ განწყობილი; რაც შეეხება ქალბატონ დე რესტოს, მას არ ძალუძს

წამოსვლა, გარდა ამისა, მე არ მსურს, რომ მან სახლი დასტოვოს. უთხარით მამამისს, რომ იგი წამოვა მამის სანახავად, მას შემდეგ, როდესაც ვალს მოიხდის ჩემსა და ჩემი შვილების წინაშე. თუ მას მამა უყვარს, შეუძლია სულ რამდენიმე წუთში განთავისუფლდეს.

_ ბატონო! მე უფლება არა მაქვს, რომ თქვენი საქციელი განვსაჯო, რადგან თქვენი მეუღლის პატრონი თქვენა ბრძანდებით, მაგრამ შემიძლია თუ არა მივენდო თქვენს პატიოსნებას? მაშ, თუ ასეა, მხოლოდ პირობა მომეცით, რომ ეტყვით ქალბატონ დე რესტოს, მამაშენს ერთი დღის სიცოცხლეც არ დარჩენია და უკვე დაგწყევლა, რადგან თავის საწოლთან ვერ გნახა-თქო.

_ თქვენ თვითონ უთხარით, _ უპასუხა დე რესტომ, რომელსაც ეჟენის ხმაში მჟღერმა აღშფოთების გრძნობამ გული მოულობო.

რასტინიაკი გრაფის თანხლებით შევიდა სასტუმროში, სადაც გრაფის მეუღლეს სჩვეოდა ჯდომა. ცრემლებისაგან დაოსებული ქალი ღრმა სავარძელში გადასვენებულიყო და თითქოს მხოლოდ სიკვდილსღა ლამობდა. ეჟენს შეეცოდა იგი. სანამ ეჟენს შეხედავდა, ქალმა ქმარს მიაპყრო შეშინებული მზერა, რომელიც მოწმობდა, რომ ქმრის მორალურ და ფიზიკურ ტირანიას დაეთრგუნა მისი ნებისყოფა და სულიერად სავსებით დაეძაბუნებინა იგი.

გრაფმა ანიშნა ქალს და სალაპარაკოდ წააქეზა.

_ მე ყველაფერი გავიგონე, ბატონო. უთხარით მამას, რომ იცოდეს, რა მდგომარეობაში ვარ, მაპატიებდა... ვერ წარმოვიდგენდი ასეთ ტანჯვას. იგი ჩემს ძალ-ღონეს აღემატება! მაგრამ მე ბოლომდე არ ვიბრძოლებ, _ მიმართა მან ქმარს, _ მე დედა ვარ. უთხარით მამაჩემს, რომ მის წინაშე უდანაშაულო ვარ, თუმცა შეიძლება დამნაშავედ ვჩანდე! _ სასოწარკვეთილად მიაძახა მან სტუდენტს.

ეჟენი მიხვდა, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქალი, გამოემშვიდობა მეუღლეებს და შეძრწუნებული გაშორდა იქაურობას. ბატონ დე რესტოს ხმაზე შეატყო, რომ ყოველივე ცდა უშედეგო იქნებოდა და მიხვდა, რომ ანასტაზის თავისუფლება აღკვეთილი ჰქონდა.

ეჟენი გაეშურა ქალბატონ დე ნუსინჟენთან და ლოგინში მიუსწრო მას.

_ ავადა ვარ, ჩემო მეგობარო, _ მიმართა ქალმა ეჟენს, _ წვეულებიდან რომ მოვდიოდი, გავცივდი; ახლა ექიმს ველოდები. ვშიშობ, ფილტვების ანთება არ დამემართოს.

_ სული კბილით რომ გეჭიროთ, _ შეაწყვეტინა მას ეჟენმა, _ და ფეხებს ძლივს ათრევდეთ, მაინც უნდა მიხვიდეთ მამათქვენთან. იგი გიხმობთ! მისი ყველაზე სუსტი ძახილიც რომ გაგაგონათ, ეგ ავადმყოფობა უცებ გაგივლიდათ.

_ ეჟენ, შეიძლება მამაჩემი არც ისე ძალიან იყოს ავად, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ სულ მცირედაც ბრალიანი თუ გამოვჩნდი თქვენს თვალში, გული მომიკვდება, ამიტომ ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ გსურთ. მაგრამ, ვიცი, რომ თუ ავად გავხდი და გადავყევი კიდევაც ამ მგზავრობას, მამაჩემს დარდი მოჰკლავს. კარგით, მოვა თუ არა ექიმი, მაშინვე წამოვალ... აჰ! თქვენი საათი სად არის? რატომ არ გიკეთიათ? _ თქვა ქალმა, რადგან ძეწკვი არ დაუნახა ეჟენს.

ეჟენი გაწითლდა.

_ ეჟენ, ეჟენ, ო, რა ცუდი იქნება... თუ დაკარგეთ ან გაყიდეთ.

ეჟენი დაიხარა ლოგინთან და ყურში უთხრა დელფინეს:

_ გინდათ, იცოდეთ? კარგით, გეყტვით, მამათქვენს იმ სუდარის ფულიც კი არ გააჩნია, რომელშიაც იგი ამ საღამოს უნდა გაახვიონ. მე აღარაფერი დამრჩენოდა და თქვენი ნაჩუქარი საათი დავაგირავე.

დელფინე უცებ წამოხტა ლოგინიდან, სეკრეტერთან მიირბინა, თავისი საფულე ამოიღო და რასტინიაკს გაუწოდა. მერე ზარი დარეკა და დაიძახა:

_ მოვდივარ, მოვდივარ, ეჟენ. დამაცადეთ, ჩავიცვამ. ურჩხული ვიქნებოდი, რომ არ წამოვსულიყავ! წადით! მე თქვენზე ადრე მივალ, ტერეზ! _ დაუძახა თავის მოახლეს, _ სთხოვეთ ბატონ დე ნუსინჟენს, რომ ახლავე ამოვიდეს ჩემთან სალაპარაკოდ.

ეჟენი ბედნიერი იყო იმით, რომ შეუძლია ერთი ქალიშვილის მოსვლა მაიცნ აუწყოს მომაკვდავს და თითქმის მხიარულად დაბრუნდა ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩაზე. გაჩხრიკა საფულე, რომ მეეტლე გაესტუმრებინა, და ამ ესოდენ მდიდარი, ესოდენ კოპწია ქალის საფულეში სამოცდაათი ფრანკის მეტი ვერ აღმოაჩინა. კიბეზე ასულმა დაინახა, რომ ბიანშონი აკავებდა მამა გორიოს, ხოლო საავადმყოფოს ექთანი ექიმის ხელმძღვანელობით რაღაცას უკეთბს ავადმყოფს. მოხუცს გავარვარებული რკინით სწვამდნენ ზურგს, მიმართავდნენ მედიცინის სულ უკანასკნელ, მაგრამ უსარგებლო საშუალებას.

_ რამეს თუ გრძნობთ? _ შეეკითხა ექიმი მოხუცს.

სტუდენტის დანახვაზე მამა გორიომ იკითხა:

_ ისინი ხომ მართლა მოდიან?

_ რახან ლაპარაკობს, შეიძლება დაუძვრეს სიკვდილს. _ თქვა ექთანმა.

_ დიახ, _ უპასუხა ეჟენმა მოხუცს, _ დელფინე უკან მომყვება.

_ იცი, _ თქვა ბიანშონმა, _ სულ თავის ქალიშვილებზე ლაპარაკობდა, მერე სარზე გასმულივით აყვირდა და წყალს თხოულობდა.

_ საკმარისია, _ უთხრა ექიმმა თავის თანაშემწეს, _ მეტს ვერაფერს ვიზამთ, აღარაფერი ეშველება. _ ბიანშონმა და ექიმმა ისევ დააწვინეს მომაკვდავი მის აშმორებულ ლოგინზე.

_ საცვლების გამოცვლაა საჭირო, _ თქვა ექიმმა, _ მართალია, გადარჩენის იმედი აღარ არის, მაგრამ ადამიანურ ღირსებას პატივი უნდა ვცეთ. მე კიდევ შემოვივლი; ბიანშონ, _ უთხრა მან სტუდენტს, _ თუ ისევ ჩივილი დაიწყო, დიაფრაგმასთან ოპიუმი დაადეთ.

ექთანი და ექიმი წავიდნენ.

_ აბა, ეჟენ, გამაგრდი, ჩემო ძმაო! _ უთხრა ბიანშონმა რასტინიაკს, როდესაც ისინი მარტო დარჩნენ. _ ახლა საჭიროა წმინდა პერანგი ჩავაცვათ და ზეწრები გამოვუცვალოთ. წადი, უთხარ სილვიას, ზეწრები მოიტანოს და დაგვეხმაროს.

ეჟენი ჩავიდა დაბლა და ნახა ქალბატონი ვოკე, რომელიც სილვიას დახმარებით სუფრასა შლიდა. რასტინიაკის პირველსავე სიტყვის გაგონებაზე, ქვრივი მიუახლოვდა სტუდენტს იმ ტკბილ-მჭახე გამომეტყველებით, რომელიც მიეცემა ხოლმე მიუნდობელ ვაჭარს, როცა არც ფულის დაკარგვა უნდა და არც მუშტრის გაჯავრება.

_ ჩემო კეთილო ბატონო ეჟენ, _ დაიწყო ქვრივმა, _ ჩემი არ იყოს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ მამა გორიოს ერთი სუც კი აღარ გააჩნია. ზეწრების მიცემა კაცისათვის, რომელიც საიქიოში წასაბრძანებლადაა გამზადებული, ნაღდი ზარალია. თანაც, ერთი ზეწარი ხომ სუდარად უნდა შეეწიროს; მერე, თქვენ ისედაც უკვე ას ორმოცდაოთხი ფრანკი გმართებთ ჩემი, ამას დავუმატოთ ორმოცი ფრანკი ზეწრებისა და სხვა წვრილმანებისა, იმ სანთლისა, რომელსაც სილვია მოგცემთ, სულ ორას ფრანკამდე მოიყრის თავს. ჩემისთანა ღარიბი ქვრივისთვის კი განა შეიძლება ასეთი ფულის დაკარგვა? თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბატონო ეჟენ, განა არ მეყოფა, რამდენიც ვიზარალე ამ ხუთ დღეში, რაც ეს უბედურება დამატყდა თავზე? ამ საკუთარ ათ ეკიუს არ დავინანებდი, ოღონდ მოხუცი იმ დღეს წასულიყო, თქვენ რომ დამპირდით. მთელი ეს ამბები მდგმურებს მიფრთხობენ. თუკი უფასოა, ისევ საავადმყოფოში წავაყვანინებ. აბა, ერთი ჩემს ადგილას იყოთ! ჩემთვის ეს სახლია მთავარი, მე ხომ ამით ვარსებობ.

ეჟენი სწრაფად ავიდა მამა გორიოს ოთახში.

_ საათის ფული სად არის, ბიანშონ?

_ მანდ არის, მაგიდაზეა. სამას სამოცი ფრანკია და კიდევ რაღაცა. რაც გამოვართვით, ყველაფრისა გადავიხადე. ლომბარდის ქვითარი ფულის ქვეშა დევს.

რასტინიაკმა ჩაირბინა კიბე და ზიზღით მიმართა ქვრივს:

_ მოდით, ქალბატონო, ჩვენი ანგარიშები გავასწოროთ. ბატონი გორიო დიდხანს აღარ დარჩება თქვენთან და მე...

_ დიახ, საწყალ მოხუცს ფეხით წინ გაიტანენ, _ თქვა ქალმა და თან მხიარული და თან დაღონებული გამომეტყველებით ორასი ფრანკი გადათვალა.

_ გავათავოთ, _ უთხრა რასტინიაკმა.

_ სილვია, ზეწრები მიეცი და ადი ზემოთ, დაეხმარე ამ ბატონებს.

_ სილვიას გასამრჯელო არ გამოგრჩეთ, _ ყურში უთხრა ეჟენს ქალბატონმა ვოკემ, _ უკვე ორი ღამე უძინარია...

ეჟენი მიბრუნდა თუ არა, ქვრივი მივარდა თავის მოსამსახურეს და ყურში ჩასჩურჩულა.

_ დაკერებული ზეწრები წაუღე, მეშვიდე ნომრისა. მკვდარია და, ღმერთმანი, ესენიც ეყოფა.

ეჟენს რამდენიმე საფეხური უკვე ავლილი ჰქონდა და ბებერი დიასახლისის ეს სიტყვები არ გაუგონია.

_ მოდი, პერანგი გამოვუცვალოთ, _ უთხრა ბიანშონმა, _ აბა, ხელი მოჰკიდე.

ეჟენი საწოლის თავთან დადგა და მომაკვდავი წამოაყენა. ბიანშონმა პერანგი გახადა. მოხუცი ხელს გულზე ივლებდა, თითქოს არ უნდა, რომ რაღაცა დაანებოსო, თანაც ისე საცოდავად და გაურკვევლად აკვნესდა, როგორც ცხოველი, რომელიც საშინელ ტკივილს განიცდის.

_ აჰაა! _ მიხვდა ბიანშონი. _ თმებისგან დაწნულ ძეწკვსა და მედალიონს თხოულობს, რომელიც ავხსენი, როდესაც ზურგს ვუწვავდით. ეგ მედალიონი ისევ უნდა დავკიდოთ, ნახე, მანდ, ბუხარზე დევს.

ეჟენმა ბუხრის თავიდან აიღო ფერფლისფერი, უეჭველად ქალბატონ გორიოს თმისგან დაწნული ძეწკვი. მედალიონის ერთ მხარეზე ამოიკითხა: **ანასტაზი**, ხოლო მეორეზე: **დელფინე**. ეს იყო ხატება მისი გულისა, რომელიც მუდამ გულზე ესვენა. შიგ ჩადებული თმა იმდენად სათუთი იყო, რომ უეჭველად ჩვილობაში ჰქონდა აჭრილი მის ქალიშვილებს. შეეხო თუ არა მედალიონი მოხუცის მკერდს, მან ერთი ღრმად ამოიხვნეშა

და ამით გამოხატა კმაყოფილება, რომელმაც შეაძრწუნა იქ დამსწრენი. ეს იყო უკანასკნელი გამოხატულება მისი გრძნობიერებისა, რომელიც თითქოს სადღაც სიღრმეში ჩაიხშო იმ უცნობ ცენტრში, რომელშიაც დაფარულია და რომლიდანაც მოედინება ჩვენი სიმპათიები. დაკრუნჩხულ სახეზე ავადმყოფური სიხარული გამოესახა. აზრზე უფრო დიდხანს შერჩენილი ძლიერი გრძნობების ამ საშინელმა აფეთქებამ ორივე სტუდენტი შეაძრწუნა. თავი ვეღარ შეიკავეს და ცხელი ცრემლები დაეპკურა მომაკვდავს, რომელსაც სიხარულის კივილი აღმოხდა:

_ ნაზი! ფიფინ!

_ ჯერ კიდევ ცოცხალია, _ თქვა ბიანშონმა.

_ ნეტა რისთვის უნდა ეს სიცოცხლე? _ იკითხა სილვიამ.

_ იმისთვის, რომ ეწამოს... _ უპასუხა ეჟენმა.

ბიანშონმა ანიშნა ამხანაგს, მიშველეო: დაიჩოქა და მოხუცს ფეხქვეშ ამოსდო მკლავები. რასტინიაკმა საწოლის მეორე მხარეს დაიჩოქა და ზურგქვეშ ამოუდო ხელები.

სილვია მოემზადა და როდესაც ავადმყოფი ასწიეს, გამოაძრო ნახმარი ზეწარი და სუფთა დაუგო.

ცხადი იყო, რომ ცრემლებმა შეცდომაში შეიყვანეს მოხუცი. მან მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, ასწია ხელები და ლოგინის ორივე მხარეზე ჩაჩოქილ სტუდენტებს თმებზე დაეჭიდა. ოდნავ გასაგონად გაისმა:

_ ჰოი, ჩემო ანგელოზებო! _ ორი სიტყვა აღმოხდა სულის სიღრმიდან და სულიც თან გაჰყვა.

_ საბრალო მოხუცი! _ წარმოთქვა სილვიამ, გულაჩუყებულმა ამ წამოძახილით, რომელშიაც უკანასკნელად გამოისახა სრულიად უნებლიე და საზარელი სიცრუით გამოწვეული უდიდესი გრძნობა.

ამ მამის უკანასკნელი ამოოხვრა შვების ოხვრა იყო. ამ ამოოხვრაში მთელი მისი სიცოცხლე გამოისახა; იგი კვლავ მოტყუვდა. მამა გორიო სასოებით დაასვენეს სარეცელზე. ამ წუთიდან დაწყებული მისი სახე გამოხატავდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას იმ მექანიზმისა, რომელიც სიხარულისა და მწუხარების გრძნობებსა მართავს და რომელსაც შეგნებული აღქმის უნარი უკვე დაჰკარგოდა. განადგურება უკვე მხოლოდ დროის საკითხი იყო.

_ რამდენიმე საათი ასე იქნება და ისე შეუმჩნევლად მოკვდება, რომ ერთსაც არ წამოიკვნესებს. ეტყობა, ტვინი მთლიანად ჰქონია დაზიანებული.

ამ დროს კიბეზე მომავალი აქლოშინებული ახალგაზრდა ქალის ფეხის ხმა მოესმათ.

_ მეტად გვიან მოვიდა, _ თქვა რასტინიაკმა.

ეს არ იყო დელფინე, არამედ მისი მოახლე ტერეზა.

_ ბატონო ეჟენ, _ თქვა მან, _ ქალბატონი და ბატონი საშინლად წაიკიდნენ იმ ფულის გამო, რომელიც ჩემმა საბრალო ქალბატონმა თავის მამისათვისა სთხოვა. ქალბატონს გული წაუვიდა, ექიმს გამოუძახეს, სისხლის გამოშვება გახდა საჭირო. საწყალი გაიძახოდა: «მამა მიკვდება, მამის ნახვა მინდაო». მისი ყვირილი პირდაპირ გულსა ზარავდა...

_ კმარა, ტერეზა. მისი მოსვლა უკვე ზედმეტია, ბატონი გორიო გონს აღარ არის.

_ საწყალი! ნუთუ ასე ცუდადაა! _ წამოიძახა ტერეზამ.

_ მე ხომ აღარა გჭირდებით, წავალ, სადილს მივხედავ, თორემ, უკვე ხუთის ნახევარია, _ თქვა სილვიამ, გავიდა და კიბის თავზე კინაღამ გრაფ დე რესტოს მეუღლეს შეეჯახა.

მისმა გამოჩენამ მძიმე და შემზარავი შთაბეჭდილება დატოვა. მან შეხედა ერთადერთი სანთლით ოდნავ განათებულ სიკვდილის სარეცელს და აქვითინდა, როდესაც თავისი მამის ნიღაბისებრი სახე დაინახა, რომელზედაც ჯერ კიდევ გამოკრთოდა სიცოცხლის უკანასკნელი თრთოლვა. ბიანშონი მოკრძალებით გავიდა.

_ ასე გვიან შევძელ გამოქცევა, _ უთხრა გრაფის მეუღლემ რასტინიაკს. დაღონებულმა სტუდენტმა მხოლოდ თავი დაუქნია, გრაფ დე რესტოს მეუღლე დასწვდა მამის ხელს და ემთხვია.

_ მაპატიეთ, მამა! თქვენ ხომ ამბობდით, რომ ჩემი ხმა საფლავიდან ამოგიყვანთ, მაშ ერთი წუთით მაინც დაბრუნდით, დალოცეთ თქვენი უბედური ქალიშვილი, რომელმაც ყველა ცოდვა მოინანია. გამიგონეთ! ეს რა საშინელებაა! ამქვეყნად თქვენს გადა, ვისგან უნდა ველოდე დალოცვას! ყველას ვძულვარ, მხოლოდ თქვენ გიყვარვართ. ჩემი შვილებიც კი შემიძულებენ, თან წამიყვანეთ... მეყვარებით... მოგივლით. აღარ ესმის... ნამდვილად გავგიჟდები...

ქალი დაეცა მუხლებზე და შეშლილივით მიაჩერდა მამის ნეშთს.

_ ყველა უბედურება მე დამატყდა თავზე, _ უთხრა მან ეჟენს. _ ბ-ნი დე ტრაი წავიდა და აუარებელი ვალები დამიტოვა, ისიც გავიგე, თურმე მღალატობდა. ქმარი არასოდეს არ მაპატიებს, ჩემი ქონება მას დავუთმე და სავსებით მის განკარგულებაშია. მთელი ჩემი იმედები დაიღუპა. ვაიმე! ვის გულისათვის ვუღალატე ერთადერთ ადამიანს, რომელიც

მაღმერთებდა, _ ქალმა მამაზე მიუთითა, _ მამაზე უარი ვთქვი, თავიდან ვიშორებდი, ათასნაირი ტანჯვა მივაყენე; რა საზიზღარი ვარ!

_ მან ყველაფერი იცოდა, _ უთხრა რასტინიაკმა.

ამ დროს გორიომ თვალები გაახილა, მაგრამ ეს მხოლოდ სახის კრუნჩხვით იყო გამოწვეული.

_ იქნებ, ესმის ჩემი! _ წამოიძახა გრაფის მეუღლემ, _ არა! _ თვითონვე უპასუხა თავის თავს და ლოგინთან ჩამოჯდა.

გრაფ დე რესტოს მეუღლემ მამასთან დარჩენის სურვილი გამოაცხადა. ეჟენი დაბლა ჩავიდა, რომ ცოტა რამ ეჭამა.

მდგმურებს უკვე თავი მოეყარათ.

_ როგორც ჩანს, იქ, ზემოთ, ერთი პატარა სიკვდილორამა მზადდება?

_ შარლ, _ უპასუხა ეჟენმა, _ მე მგონია, რომ ოხუნჯობისათვის უფრო მხიარული თემის არჩევა გმართებთ.

_ თურმე აქ სიცილის უფლებაც აღარ გვქონია! _ გამოეკამათა მხატვარი. _ რა მოხდა საამისო? ბიანშონმა ხომ თქვა, ბერიკაცი გონს აღარ არისო?

_ მაშ, _ გამოეხმიანა მუზეუმის თანამშრომელი, _ სიცოცხლეშიაც გონს არ იყო და ასევე კვდება.

_ მამა მოკვდა! _ იკივლა გრაფის მეუღლემ.

ამ შემზარავი ყვირილის გაგონებაზე სილვია, რასტინიაკი და ბიანშონი კიბეზე ავარდნენ და ქალბატონი დე რესტო გულწასული დაინახეს. იგი მოასულიერეს, ჩაიყვანეს და ჩასვეს ფიაკრში, რომელიც მას ელოდებოდა. ეჟენმა ჩააბარა იგი ტერეზას და უბრძანა, რომ ქალბატონ დე ნუსინჟენთან წაეყვანა.

_ მოკვდა! _ გამოაცხადა დაბლა ჩასულმა ბიანშონმა.

_ აბა, ბატონებო! მაგიდას მოუსხედით, თორემ წვენი გაცივდება! _ მიიპატიჟა ქალბატონმა ვოკემ მდგმურები.

სტუდენტები ერთად დახდნენ.

_ ახლა რა უნდა ვქნათ? _ შეეკითხა ეჟენი ბიანშონს.

_ თვალები უკვე დავუხუჭე და როგორც წესია, ისე დავაწვინე. როდესაც ჩვენი განცხადების საფუძველზე სიკვდილს დაადგენენ, მოხუცს სუდარაში გაახვევენ და დამარხავენ. შენ რას ფიქრობ, მეტი რა უნდა ვქნათ?

_ ის აღარ დასუნავს თავის პურს, აი, ასე, _ თქვა ერთ-ერთმა მდგმურმა და მიბაძა მოხუცის ღმეჭას.

_ რა ღვთის რისხვაა! თავი დაგვანებეთ, ბატონებო! _ გაჯარდა რეპეტიტორი. _ ერთი საათია ხან ასე და ხან ისე გვატენიან ცხვირში მაგ მამა გორიოს! ამ დიდებულ ქალაქ პარიზის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ შეგიძლიათ აქ დაიბადოთ, აქ იცოცხლოთ, აქვე მოკვდეთ და ადამიანის შვილმა არ მოგაქციოს ყურადღება. მაშ, ვისარგებლოთ ცივილიზაციის ამ უპირატესობით! დღეს პარიზში სამოცი კაცი მოკვდა და ყველას გამო ტირილს ხომ არ აპირებთ? მამა გორიო საიქიოს გაემგზავრა. მით უკეთესი მისთვის. თუ ასე გიყვართ, წადით და გვერდზე მიუჯექით, ჩვენ კი გვაცალეთ და ლუკმა მშვიდობიანად შეგვაჭამეთ.

_ ასეა, _ თქვა ქვრივმა, _ მას სიკვდილი ურჩევნია. ეტყობა, მაგ უბედურს ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება უნახავს.

ეს იყო ერთადერთი სიტყვა, წარმოთქმული იმ ადამიანის საფლავთან, რომელიც რასტინიაკისათვის მამობის განსახიერება იყო. თხუთმეტივე პანსიონერი შეუდგა თავის ჩვეულებრივ საუბარს. სანამ ეჟენი და ბიანშონი სუფრასთან ისხდნენ, ჩანგლებისა და კოვზების ჩხარუნი, საუბრის დროს სიცილი, ამ სხვადასხვა გაუმაძღარი და გულცივი სახეების გამომეტყველება და მათი უგრძნობლობა აძრწუნებდა სტუდენტებს. ისინი გავიდნენ და დაუწყეს ძებნა მღვდელს, რომელიც ღამეს უთევდა და ცხედართან ლოცვებს წაიკითხავდა. მოხუცის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელი ხარჯები უნდა შეეფარდებინათ იმ მცირე თანხასთან, რომელიც მათ გააჩნდათ.

საღამოს ცხრა საათისათვის იმავე უბადრუკ ოთახში ცხედარი ფიცრებზე დაასვენეს, დაუნთეს ორი სანთელი და მღვდელი მიუჯდა გვერდზე. სანამ დაიძინებდა, რასტინიაკმა გამოკითხა ხუცესს გასვენებისა და პანაშვიდის ღირებულება, მერე მისწერა ბარონ დე ნუსინჟენსა და გრაფ დე რესტოს და რწმუნებულების გამოგზავნა სთხოვა, რათა დასაფლავების ყველა ხარჯი მათ გაეწიათ. ეს ბარათები კრისტოფს გაატანა და დაღლილობისაგან ძალაგამოლეულმა დაიძინა. მეორე დღეს ბიანშონი და რასტინიაკი იძულებული გახდნენ თვითონ წასულიყვნენ სიკვდილის გამოსაცხადებლად და, ამრიგად, შუადღისათვის მოხუცის სიკვდილი დადგენილი იქნა. ორი საათის შემდეგ, ვინაიდან არც ერთმა სიძემ ფული არ გამოგზავნა და არც მათი სახელით მოსულა ვინმე, რასტინიაკი იძულებული გახდა გადაეხადა მღვდლისათვის მისი საფასური. სილვიამ ათი ფრანკი მოითხოვა მოხუცის დაბანვასა და გასუდრვაში.

ბიანშონმა და ეჟენმა გამოიანგარიშეს, რომ თუ გარდაცვლილის ნათესავებმა ხარჯებში მონაწილეობა არ მოინდომეს, დარჩენილი ფული გაჭირვებით თუ გასწვდებოდა ხარჯებს.

სამედიცინოს სტუდენტმა თვითონ იკისრა გვამის ჩასვენება ღარიბებისათვის განკუთვნილ კუბოში, რომელიც თავის საავადმყოფოში ფასდაკლებით შეიძინა.

_ ერთი სეირი უყავ მაგ მამაძაღლებს, _ უთხრა მან ეჟენს. _ იყიდე პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მიწის ნაკვეთი ხუთიოდე წლით. ეკლესიას _ პანაშვიდი და გასასვენებელ ბიუროს _ მესამე კლასის გასვენება დაუკვეთე და თუკი სიძეები და ქალიშვილები ხარჯის ანაზღაურებაზე უარს გეტყვიან, საფლავის ქვაზე ამოაკვთინე ასეთი წარწერა:

«აქ განისვენებს გრაფ დე რესტოს დაბარონ დე ნუსინჟენის მეუღლეთა მამა ბატონი გორიო, დასაფლავებული ორი სტუდენტის ხარჯზე».

ეჟენმა არ მისდია მეგობრის რჩევას. იგი უნაყოფოდ შეეცადა ბატონი და ქალბატონი დე ნუსინჟენის, ბატონი და ქალბატონი დე რესტოს ნახვას, იგი კარსაც არ გადააცილეს. ორივე სახლში მეკარეებს სასტიკი განკარგულება ჰქონდათ მიცემული.

_ ბატონი და ქალბატონი არავის არ ღებულობენ. მამა გარდაეცვალათ და დიდ მწუხარებაში არიან.

ეჟენმა საკმაოდ კარგად იცოდა პარიზის წეს-ჩვეულებანი და ამიტომ მეტს აღარ ცდილა. განსაკუთრებით გული ეტკინა, როდესაც დარწმუნდა, არც დელფინესთან შეიძლება შესვლაო. ეჟენი შევიდა მეკარესთან და დაწერა: «გაჰყიდეთ რომელიმე სამკაული, რათა შეგვეძლოს მამათქვენის ღირსეულად გაცილება მუდმივი მოსვენების ადგილამდე», დაბეჭდა ბარათი და მეკარეს გაატანა, რათა ტერეზასათვის მიეცა ბარონის მეუღლისათვის გადასაცემად. მაგრამ მეკარემ ეს ბარათი თვით ბარონს გადასცა, რომელმაც მაშინვე ბუხარში გადაუძახა. ამის შემდეგ, ეჟენი სამი საათისათვის პანსიონში დაბრუნდა და ცრემლი ვერ შეიკავა, როდესაც პანსიონის ჭიშკართან ცარიელ ორ სკამზე დადგმული შავ ფარდაგგადაფარებული კუბო დაინახა. საცოდავი სასხურებელი, რომელსაც ჯერ არავინ შეხებოდა, ეგდო ნაკურთხი წყლით გავსებულ სპილენძის მოვერცხლილ თასში. კარებიც კი არ მოერთოთ შავებით. ეს იყო სიკვდილი გლახაკისა, რომელსაც არც მეგობრები და ნათესავები და არც ჭირისუფლები არ გააჩნდა.

ბიანშონი საავადმყოფოში იყო დაკავებული, რასტინიაკს ბარათი გამოუგზავნა და შეატყობინა, თუ როგორ გაურიგდა ეკლესიას. სტუდენტი წერდა, პანაშვიდი მეტად ძვირი

დაგვიჯდება და ამიტომ ყველაზე იაფს დავჯერდეთ და მწუხრის წირვა გადავიხადოთო. იმასაც ატყობინებდა, რომ კრისტოფის ხელით ბარათი გაგზავნა გასასვენებელ ბიუროში.

რასტინიაკი ბიანშონის ნაჯღაბნის კითხვას ათავებდა, როდესაც ქალბატონ ვოკეს ხელში დაუნახა ოქროს სალტიანი მედალიონი, რომელშიაც მოხუცის ქალიშვილების თმები იყო მოთავსებული.

_ როგორ გაბედეთ მაგის აღება! _ შეეკითხა იგი ქვრივს.

_ რა მოხდა? ესეც საფლავში უნდა ჩაატანოთ? ეგ ხომ ოქროა! _ გამოეკამათა სილვია.

_ სულ ერთია, _ აღშფოთებით უპასუხა ეჟენმა. _ ქალიშვილების სახსოვრად ეს ერთი რამ მაინც ჩაჰყვეს საფლავში.

როდესაც ბალდახინი მოვიდა, ეჟენმა კუბო სახლში შეატანინა, გაახსნევინა და სასოებით დაადო მოხუცს გულზე ერთადერთი ნივთიერი მოწმე იმ დროისა, როდესაც დელფინე და ანასტაზი ახალგაზრდები, უმწიკვლოები და უბიწონი იყვნენ და არ «ჭკვიანობდნენ», როგორც მოთქვამდა მათი მამა სიკვდილის წუთებში.

მხოლოდ რასტინიაკი და კრისტოფი ორი მესაფლავის თანხლებით მიჰყვებოდნენ ბალდახინს, რომელმაც მიიყვანა მოხუცი ნევ-სენტ-ჟენევიევის ქუჩის ახლო მდებარე სენტ-ეტიენ დიუ შონის ეკლესიაში. მიიყვანეს და დაასვენეს პატარა, ბნელსა და დაბალ ეკვდერში. ამაოდ ეძებდა ეჟენი მამა გორიოს ქალიშვილებს ან სიძეებს. იგი მარტო იყო კრისტოფთან ერთად, რომელიც თავს ვალდებულად სთვლიდა უკანასკნელი ვალი მოეხადა ადამიანის წინაშე, რომლის წყალობით ბლომად მიუღია ღვინის გადასაკრავი ფული.

უცდიდნენ ორ მღვდელს, მომღერალ ბიჭსა და მნათეს.

რასტინიაკს ლაპარაკის ძალა აღარ შესწევდა და უთქმელად მაგრად ჩამოართვა ხელი კრისტოფს.

_ დიახ, ბატონო ეჟენ, კარგი და პატიოსანი კაცი იყო, ერთი ცუდი სიტყვა არ მახსოვს მისგან, არავის ხელს არ უშლიდა და არავის არ აწყენინებდა.

მღვდლები, მომღერალი ბიჭი და მნათე მივიდნენ და გააკეთეს რისი გაკეთებაც შეეძლოთ სამოცდაათ ფრანკად ისეთ დროში, როდესაც ეკლესია არ არის იმდენად შეძლებული, რომ უფასოდ სწიროს. იგალობეს ფსალმუნები Libera და De profundis. წირვა ოც წუთს გაგრძელდა. ორივე მღვდლისა და მომღერალი ბიჭის წასაყვანად მხოლოდ ერთი ეტლი იყო; ისინი დათანხმდნენ და ეჟენი და კრისტოფიც წაიყვანეს.

_ გამცილებელი არავინაა, _ თქვა მღვდელმა, _ შეგვიძლია სწრაფად ვიაროთ, რომ არ დაგვაგვიანდეს, თორემ უკვე ექვსის ნახევარია.

როდესაც კუბოს ბალდახინზე ასვენებდნენ, ეკლესიას მოადგა ორი, ღერბებით მორთული, მაგრამ ცარიელი ეტლი, რომლებიც გრაფ დე რესტოსა და ბარონ დე ნუსინჟენს ეკუთვნოდნენ. ექვს საათზე მამა გორიოს ნეშტი ჩაასვენეს საფლავში, რომელთანაც ორივე ქალიშვილის ლაქიები იდგნენ, მაგრამ როდესაც სტუდენტების ხარჯზე გადახდილი მცირე პანაშვიდის შემდეგ მღვდლები წავიდნენ, ლაქიებიც თან გაჰყვნენ. მესაფლავეებმა რამდენიმე ბარი მიწა მიაყარეს კუბოს, მერე შეჩერდნენ, ერთ-ერთმა მიმართა ეჟენს და ღვინის გადასაკრავი ფული მოსთხოვა. ეჟენმა მოქექა ჯიბე, ვერაფერი იპოვა და იძულებული გახდა ოცი სუ კრისტოფისაგან ესესხა. თავისთავად უმნიშვნელო ამ ამბავმა ფრიად იმოქმედა რასტინიაკზე და საშინელ მწუხარებაში ჩააგდო.

დღე ილეოდა. ნესტიანი საღამოს დაისი ძარღვებს უშლიდა, ეჟენმა ჩახედა საფლავს და თავისი უკანასკნელი ჭაბუკური ცრემლი აქ დაასამარა. ცრემლი, რომელიც უბიწო გულის წმინდა გრძნობამ დააღვრევინა, ერთი იმ ცრემლთაგანი, რომელიც მიწას ეპკურება და მერე ზეცისაკენ მიიმართება. ეჟენმა გულზე ხელები დაიკრიფა და ღრუბლებს დაუწყო ცქერა.

ამის შემხედვარე კრისტოფი სახლისკენ გაემართა.

რასტინიაკი მარტო დარჩა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და სასაფლაოს მაღლობ ნაწილში გავიდა, საიდანაც დაინახა სენის ორივე ნაპირის გაყოლებით გაშლილი პარიზი. იქ უკვე სინათლეებს ანთებდნენ. იგი ხარბად გასცქეროდა ვანდომის სვეტსა და ინვალიდთა სახლის გუმბათს შორის მოთავსებულ მხარეს ქალაქისა, სადაც ცხოვრობდა ის უმაღლესი საზოგადოება, რომლისკენაც იგი მიისწრაფოდა. ეჟენმა თვალი მოავლო ამ მოგუგუნე სკას, რომლის თაფლის სიტკბოს წინასწრ გრძნობდა და ქედმაღლურად წარმოთქვა:

_ ახლა კი, ჩვენ ორში ერთმა უნდა გაიმარჯვოს!

ასე დაემუქრა იგი საზოგადოებას და ამ მუქარის შესასრულებლად, ამჯერად, გაემართა სადილად ქალბატონ დე ნუსინჟენთან.

საშე. სექტემბერი. 1884.

<u>პოლკოვნიკი შაბერი</u>

თარგმანი იროდიონ ქავჟარაძისა

_ შეხედეთ? ისევ ჩვენი ძველი ინგლისური სერთუკი! _ წამოიძახა ერთმა გადამწერმა. ვექილის კანცელარიის ასეთ მოსამსახურეს, უფრო ხშირად, მორბედს ეძახიან. იგი პურის ნაჭერს მადიანად შეექცეოდა. პურს პატარა ნამცეცი მოჰგლიჯა ბურთულის გასაკეთებლად და ფანჯრის ფოტონზე დაყრდნობილმა ცელქად სარკმლიდან ისროლა. ბურთულა ვივიანის ქუჩაზე მდებარე სახლის ეზოში მიმავალი უცნობის ქუდს დაეცა და ფანჯრის სიმაღლემდე ახტა. ამ სახლში ვექილი დერვილი ცხოვრობდა.

_ აბა, აბა, სიმონენ, ადამიანებს მასხარად ნუ იგდებ, თორემ გარეთ გაგადებ. კლიენტი, რაგინდ ღარიბიც უნდა იყოს, მაინც ადამიანია, ეშმაკმა წაგიღოს! _ ხარჯების ანგარიშის შედგენა შესწყვიტა და უთხრა სიმონენს უფროსმა საქმისმწარმოებელმა.

მორბედი, ჩვეულებრივად, სიმონენივით, ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭია. იგი ვექილის ყველა კანცელარიაში უფროსი საქმისმწარმოებლის განსაკუთრებულ მორჩილებაშია.

მორბედს მოცლა არა აქვს უფროსი საქმისმწარმოებლის დავალებებისა და სატრფიალო ბარათების ტარებისაგან. ამავე დროს სასამართლოს ბოქაულთან მიაქვს ქონების დაყადაღების აქტები და სასამართლოს არზები. მორბედი თავისი ზნე-ჩვეულებით პარიზის ქუჩის ბავშვს უახლოვდება, ბედს კი დავაქრებში ჩაუგდია. ეს ბავშვი თითქმის ყოველთვის შეუბრალებელია, თავშეუკავებელი, უდისციპლინო, შაირების მთხზველი, მქირდავი, ხარბი და ზარმაცი. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა მორბედს ჰყავს მეხუთე სართულზე მცხოვრები მოხუცი დედა, რომელსაც უნაწილებს ოცდაათსა თუ ორმოც ფრანკს თავისი ყოველთვიური ხელფასიდან.

_ თუ ეს ადამიანია, რატომ ეძახით მას ძველ სერთუკს? _ თქვა სიმონენმა იმ მოწაფის სახის გამომეტყველებით, რომელმაც მასწავლებელი შეცდომაში დაიჭირა, და განაგრძო პურისა და ყველის ჭამა. ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო ეტლის ცხენივით, ფეხზე დამდგარი ისვენებდა, ერთი ფეხი მეორე ფეხის წვერზე დაებჯინა.

_ რა ოინი ვუყოთ ამ საფრთხობელას? _ თქვა ხმადაბლა მესამე გადამწერმა, გოდეშალმა. მან შეწყვიტა წინადადება, რომელსაც თხოვნის თეთრად გადაწერაში

გართულ მეოთხე გადამწერს უკარნახებდა: ამ თხოვნის პირებს პროვინციიდან ჩამოსული ორი ნეოფიტი წერდა.

მერე გოდეშალმა თავისი იმპროვიზაცია განაგრძო:

_ ...»მაგრამ თავისი დიდებული და მწყალობელი სიბრძნით მისი უდიდებულესობა ლუი მეთვრამეტე (დაწერეთ სიტყვით, ჭკუისკოლოფო დეროშ.) გამგებლობის სადავის კვლავ ხელში აღებისას ჩასწვდა...»! (რას ჩასწვდა ეს სქელი მასხარა?!) «იმ მაღალ მიზანს, რომელიც ღვთაებრივმა განგებამ დაუსახა!.....» (გაკვირვების ნიშანი ექვსი წერტილით: სასამართლოში ისეთი მორწმუნე ხალხია, რომ ეს შეგვრჩება.) «და პირველი მისი განზრახვა იყო, რასაც მოწმობს ზემოაღნიშნული ბრძანებულების თარიღი, ის ტკივილები შეემსუბუქებინა, რომლებიც ჩვენი რევოლუციური დროის საშინელმა და სამწუხარო უბედურებამ გამოიწვია, დაუბრუნა რა თავის მრავალსა და ერთგულ ქვეშევრდომს (მრავალს! ასეთი პირფერობა სასამართლოს უნდა მოეწონოს.) მთელი მათი ქონება, გაუყიდავი, იმისდა მიუხედავად, იყო ეს ქონება სახელმწიფო მფლობელობაში თუ ჩვეულებრივსა ან არაჩვეულებრივ სამთავრობო მფლობელობაში, თუ ბოლოს იგი ითვლებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში შეტანილ შეწირულებად. ვინაიდან ჩვენ ვამტკიცებთ და უფლებამოსილად ვცნობთ თავს ვამტკიცოთ, რომ სწორედ ასეთია სული და აზრი შესანიშნავი და სამართლიანი ბრძანებულებისა, რომელიც გამოცემულია...» შეჩერდით, _ უთხრა გოდეშალმა სამ გადამწერს, _ ამ წყეულმა პერიოდმა გვერდი უკვე გამივსო. აი, რა, _ განაგრძო მან და თან ენით თითი დაისველა, რათა ღერბიანი ქაღალდის სქელი გვერდი გადაეფურცლა, _ აი, რა, თუ გსურთ ოინი ვუყოთ, ვუთხრათ, რომ პატრონს მხოლოდ ღამის ორსა და სამ საათს შორის შეუძლია კლიენტებთან საუბარი: ვნახოთ, მოვა თუ არა ეს ავაზაკი!

და გოდეშალმა დაწყებული ფრაზა განაგრძო:

_ «რომელიც გამოცემულია...» დაწერეთ? _ იკითხა მან.

_ ჰო, _ წამოიძახა სამმა გადამწერმა.

ყველაფერი ერთ დროს ხდებოდა: თხოვნის შედგენა, მასლაათი და შეთქმულება.

_ «რომელი გამოცემულია...» როგორ? ძია ბუკარ, როდის არის გამოცემული ბრძანებულება? უნდა დავწეროთ, რა აბდაუბდაც მოგვადგება ენაზე. ეს გვერდებს ამრავლებს.

_ აბდაუბდა! _ გაიმეორა ერთმა გადამწერთაგანმა, სანამ უფროსი საქმისმწარმოებელი უპასუხებდა.

_ როგორ! თქვენ «აბდაუბდა» დაწერეთ? _ წამოიძახა გოდეშალმა, თან ერთ ახალმიღებულთაგანს გადახედა, ერთსა და იმავე დროს სახის მკაცრი და დამცინავი გამომეტყველებით.

მეოთხე გადამწერი დეროში დაიხარა მეზობლის ნაწერზე და თქვა:

დაუწერია: «უნდა დავწეროთ, რა აბდაუბდაც მოგვადგება ენაზე».

ყველა გადამწერმა ერთბაშად გადაიხარხარა.

_ როგორ! ბატონო იურე, თქვენ აბდაუბდას სამართლის ტერმინად სთვლით და ამბობთ, რომ თქვენ მორტანიდან ხართ! _ წამოიძახა სიმონენმა.

_ წაშალეთ ეს! _ თქვა უფროსმა საქმისმწარმოებელმა. _ ასეთი რამ აქტების დამბეგრავ მოსამართლეს რომ ენახა, იგი იტყოდა, ჩემს კანცელარიას დასცინიანო. უსიამოვნებას აყენებთ ჩვენს პატრონს. გესმით, ასეთი სისულელე, ბატონო იურე, აღარ ჩაიდინოთ. ნორმანდიელმა არზა უდარდელად არ უნდა შეადგინოს. ეს მთავარი შემოსავალია სასამართლოს მუშაკებისა.

_ «გამოცემული... გამოცემული?! « _ იკითხა გოდეშალმა. _ ბუკარ, მითხარით ერთი, როდის იყო გამოცემული.

_ 1814 წლის ივნისში, _ უპასუხა პირველმა გადამწერმა მუშაობის შეუწყვეტლად.

არზის ეს გაჭიანურებული წინადადება შესწყვიტა კანცელარიის კარის კაკუნმა. ხუთმა ენაკვიმატმა, დამცინავმა და ცოცხალთვალება, ხუჭუჭთმიანმა გადამწერმა ერთად სიმღერით დაიძახა:

_ შემოდით! _ და თვალი კარს მიაპყრო.

ქაღალდების გროვაში თავჩარგული ბუკარი განაგრძობდა თავის სამუშაოს, ხარჯების ანგარიშის შედგენას.

კანცელარია წარმოადგენდა დიდ ოთახს, შემკულს კლასიკური ღუმელით, რომელიც ყველა სადავაქრო ბუნაგს ამშვენებს. მილები ირიბულად სჭრიდნენ ოთახს და უერთდებოდნენ პირამოშენებულ ბუხარს, რომლის მარმარილოზე ელაგა პურის ნატეხები, ყველი «ბრის» სამკუთხედი ნაჭრები, ღორის ხორცის კატლეტი, ჭიქები, ბოთლები და უფროსი საქმისმწარმოებლის ფინჯანი შოკოლადით. ამ საჭმლის სურნელება ისე უერთდებოდა გავარვარებული ღუმელის, კანცელარიისა და ძველი ქაღალდების თავისებურ სუნს, რომ აქ მელიის ბუნაგის სიმყრალესაც ვერ იგრძნობდა კაცი. იატაკი უკვე გადამწერების მიერ შემოტანილი ტალახითა და თოვლით იყო დაფარული. ფანჯარასთან უფროსი საქმისმწარმოებლის მბრუნავი მაგიდა იდგა, იქვე პატარა მაგიდა მისი

თანაშემწისათვის. თანაშემწე ამ დროს ქაღალდებს ამზადებდა სასამართლოში გასაგზავნად. დილის რვა-ცხრა საათი იქნებოდა. კანცელარიის მთელ მორთულობას წარმოადგენდა დიდი ყვითელი განცხადებები, რომლებიც იუწყებოდნენ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, ქონების საჯარო გაყიდვას, აუქციონს მემკვიდრეობის გასანაწილებლად, სასამართლოს საბოლოო ან წინასწარ გადაწყვეტილებებს, კანცელარიების გამარჯვებებს. უფროსი საქმისმწარმოებლის უკან უზარმაზარი თაროები იდგა კედლის მთელ სიმაღლეზე, თითოეული თარო ქაღალდების დასტებით იყო გამოტენილი, რომლებსაც უამრავი ეტიკეტი და წითელი ზონარი ჰქონდა, რაც სასამართლოს საქმეებს თავისებურ ელფერს აძლევდა. ქვედა თაროები აევსოთ ხმარებისაგან გაყვითლებული საქაღალდეებით, მათ ყუაზე ლურჯი ქაღალდი ჰქონდათ მიკრული, რომლებზედაც მსხვილი კლიენტების გვარები ეწერა. მათი ყუათიანი საქმეები ახლა ვექილის სამზარეულოში მზადდებოდა. ფანჯრის ბინძური მინები ოთახში მცირე სინათლეს უშვებდა. სხვათა შორის, ცოტაა ისეთი კანტორა პარიზში, სადაც თებერვალში დილის ათ საათამდე ულამპოდ წერა შეიძლებოდეს, რადგან ამ კანტორებს ყურადღებას არავინ აქცევს. თუ რატომ, ადვილი გასაგებია: ყველა იქ მიდის, მაგრამ იქ არავინ რჩება, არავის არავითარი პირადი ინტერესი არ აკავშირებს ამ უმსგავს ადგილთან. არც ვექილს, არც მოდავეებს, არც გადამწერებს გული არ შესტკივათ იმ ადგილის სიკოხტავისათვის, რომელიც ზოგისთვის სკოლაა, ზოგისთვის გასავლელი ადგილი, პატრონისათვის კი ლაბორატორია. ბინძური დგამი ერთი ვექილის ხელიდან მეორე ვექილის ხელში გადადის სარწმუნოებრივი კეთილსინდისიერებით. ამის გამო ზოგიერთ კანცელარიაში შემონახულია სანაგვე კალათები და ტომრები, რომლებიც ოდესღაც ეკუთვნოდნენ «შლეს» ვექილებს. ეს სიტყვა «შატელეს» შემოკლებაა. «შატელე» იყო სასამართლო ძველი წესწყობილების დროს. იგი ახლანდელი პირველი საფეხურის სასამართლოს მაგივრობას სწევდა.

ეს ბნელი კანცელარია, როგორც ყველა სხვა, გაქონილი და მტვრიანი, მოდავეებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი პარიზის ერთ უსაზიზღრეს სიმახინჯეს წარმოადგენდა, ისეთი ორი პოეტური კლოაკა რომ არ ყოფილიყო, როგორიცაა ეკლესიის ნესტიანი სალაროები, სადაც ლოცვები ტკბილი ნამცხვარივით იწონება და იყიდება და ძველმანების გადამყიდველთა მაღაზიები, სადაც ცხოვრების ილუზიების გამქარწყლებელი, ჩვენი ზეიმების დასასრულის მაჩვენებელი ძონძები ფრიალებენ, მაშინ უეჭველად ვექილის კანცელარია საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის ყველაზე

უსაშინელესი რამ იქნებოდა. მაგრამ ასეთსავე სანახაობას წარმოადგენს სამორინო, სასამართლო, სალატარეო ბიურო და საროსკიპო. რატომ? შეიძლება იმიტომ, რომ ის ადამიანი, რომლის გულშიც დრამა ტრიალებს, ამ ადგილების მოწყობილობის მიმართ გულგრილობას იჩენს. ამითვე არის გამოწვეული დიდ მოაზროვნეთა და დიდ პატივმოყვარეთა უბრალოება.

_ სადაა ჩემი ჯიბის დანა?

_ მე ვსაუზმობ.

_ დაიკარგე აქედან. აი, მელნის წვეთი დაეცა თხოვნას.

_ ჩუმად, ბატონებო.

სხვადასხვანაირი წამოძახილები გაისმა ერთბაშად, როდესაც მოხუცმა მომჩივანმა კარი მიიხურა ისეთი გაუბედაობით, რომელიც გაუბედურებულ ადამიანს ხელფეხს უბოჭავს. უცნობმა გაღიმება სცადა, მაგრამ როდესაც ამ ექვსი გადამწერის გასაოცრად უდარდელ სახეებზე გულითადობის ვერავითარი ნიშანი ვერ დაინახა, ღიმილი გაუქრა. ადამიანის ცნობაში უეჭველად დახელოვნებულმა, მეტად ზრდილობიანად მიმართა მორბედს იმ იმედით, რომ ის მაინც უპასუხებდა თავაზიანად.

_ ბატონო, თქვენი პატრონის ნახვა შეიძლება?

ცელქმა მორბედმა საწყალ ადამიანს არაფერი უპასუხა, მხოლოდ მარცხენა ხელის თითებით ორჯერ მსუბუქად ყურზე მიირტყა, თითქოს იმის სათქმელად: ყრუ ვარო.

_ რა გნებავთ, ბატონო? _ ჰკითხა გოდეშალმა და პურის იმოდენა ლუკმა ჩაყლაპა, რომ იმით ზარბაზანს გატენიდა კაცი, თან ფეხი ფეხზე გადაიდო ისე, რომ ჰაერში აშვერილი ფეხის წვერი მის ცხვირს უსწორდებოდა.

_ მე აქ, ბატონო, მეხუთეჯერ მოვდივარ, _ უპასუხა საბრალომ, _ ბატონი დერვილი მინდოდა მენახა.

_ საქმის გამო?

_ დიახ, მაგრამ ეს შემიძლია მოვახსენო მხოლოდ ბატონ...

_ პატრონს სძინავს, თუ გნებავთ, მას რჩევა ჰკითხოთ რაიმე გასაჭირის გამო, ნაშუაღამევს მობრძანდით, იგი მხოლოდ მაშინ მუშაობს სერიოზულად. მაგრამ თუ ინებებდით, ჩვენთვის გაგეცნოთ საქმე, შეგვეძლო მასავით კარგად, თქვენ...

უცნობი მშვიდად, გულგრილად იდგა. თავის გარშემო მიმოიხედა უცხო სამზარეულოში შემძვრალი ძაღლივით, რომელსაც ცემისა ეშინია. თავიანთი მდგომარეობის გამო კანცელარიის მუშაკებს ქურდებისა არ ეშინიათ. სერთუკიანი მოხუცი

მათში არავითარ ეჭვს არ იწვევდა და მას ოთახის დათვალიერების საშუალება მისცეს. კლიენტი, ეტყობოდა, დაღლილი იყო და დასასვენებლად დასაჯდომ ადგილს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. ვექილებს წესად აქვთ, კანცელარიაში ცოტა სკამი იქონიონ. უბრალო კლიენტი ლოდინში ფეხზე დგომით იღლება და მიდის ლანძღვით, მაგრამ იგი ვექილს დროს არ ართმევს, რაც, ერთი პროკურორის თქმისა არ იყოს, სასამართლოს ხარჯების ნიხრში არ შედის.

_ ბატონო, _ უპასუხა მან, _ მე უკვე მქონდა პატივი თქვენთვის განმემარტა, რომ ჩემი საქმე მხოლოდ ბატონ დერვილს შემიძლია მოვახსენო, დავუცდი მის ადგომას.

ბუკარმა ხარჯების შეჯამება დაასრულა, თავისი შოკოლადის სურნელება იგრძნო, სელის სკამიდან წამოდგა, ბუხარს მიუახლოვდა, მოხუც ადამიანს ახედ-დახედა, მის სერთუკს მიაჩერდა და საშინლად დაიღმიჭა. ალბათ, გაიფიქრა, როგორადაც უნდა მისდგომოდა ამ მთხოვნელს, მას ვერაფერს დასცინცლავდა, ამიტომ სიტყვა მოკლედ მოუჭრა, რათა ეს უსარგებლო ადამიანი თავიდან მოეშორებინა.

_ ბატონო, ისინი მართალს გეუბნებიან. პატრონი მხოლოდ ღამით მუშაობს. თუ მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ, გირჩევთ ღამის პირველ საათზე მობრძანდეთ.

მთხოვნელმა უფროს საქმისმწარმოებელს უაზროდ შეხედა, ერთ ხანს უძრავად დარჩა. გადამწერები ისე ხშირად ხედავენ დავაქართათვის დამახასიათებელ ცვლილებებს, მათ მერყეობას ან ფიქრებში გართვით გამოწვეულ თავისებურ საქციელს, რომ ისინი მოხუცს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, განაგრძნობდნენ ჭამას და თავიანთი ყბებით ისეთ ხმაურობას სტეხდნენ, თითქოს ბაგაზე მიბმული ცხენები ყოფილიყვნენ.

_ ბატონო, საღამოს მოვალ, _ თქვა ჯიუტად მოხუცმა, რაც ესოდენ დამახასიათებელია უბედური კაცისთვის, რომელიც ადამიანებს ეჭვის თვალით უყურებს.

უბედურებს მხოლოდ დაცინვაღა შერჩენიათ იმისათვის, რომ მართლმსაჯულებასა და ქველმოქმედებას მათი მოპყრობის უსამართლობა დაუმტკიცონ. როდესაც უბედური ადამიანები საზოგადოებას ტყუილში ამხილებენ, ისინი ღვთისაკენ მეტი მხურვალებით მიისწრაფვიან.

_ ჭკუის კოლოფი არ არის? _ თქვა სიმონენმა, არც კი დაუცადა, რომ მოხუცს კარი მიეხურა.

_ საიქიოდან მოსულსა ჰგავს, _ თქვა ერთმა გადამწერმა.

_ ეს, ალბათ, ვინმე პოლკოვნიკია, მიუღებელი ხელფასის მაძიებელი.

_ არა, ეს ყოფილი მეკარეა, _ თქვა გოდეშალმა.

_ სანაძლეო დავდოთ, ის ვინმე კეთილშობილია, _ წამოიძახა ბუკარმა.

_ სანაძლეოს ვდებ, რომ იგი მეკარე იყო, _ უპასუხა გოდეშალმა. _ ბუნება მხოლოდ მეკარეებს აჯილდოებს გახუნებული, გაქონილი, დახეული სერთუკებით, ისეთით, როგორიც ამ მოხუცსა აქვს. ვერ დაუნახეთ, როგორი დახეული ჩექმა ეცვა და პერანგის მაგიერ ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული? მან ღამე, ალბათ, ხიდქვეშ გაატარა.

_ ის შეიძლება კეთილშობილიც ყოფილიყო და მეკარეც, _ წამოიძახა დეროშმა, _ ასეთი შემთხვევები ყოფილა!

_ არა, _ დაიწყო ბუკარმა საერთო ხარხარში, _ მე ვამტკიცებ, რომ 1789 წელს ის ლუდისმხდელი იყო, რესპუბლიკის დროს კი პოლკოვნიკი.

_ ეჰ, სანაძლეოს ვდებ, რომ იგი არასოდეს ყოფილა ჯარისკაცი. თუ ნიძლავი წავაგე, ყველას წარმოდგენაზე გპატიჟებთ, _ თქვა გოდეშალმა.

_ თანახმა ვარ, _ მიუგო ბუკარმა.

_ ბატონო! ბატონო! _ ფანჯარა გააღო და დაიძახა პატარა გადამწერმა.

_ რას შვრები, სიმონენ? _ ჰკითხა ბუკარმა.

_ ვუძახი, რომ ვკითხო, პოლკოვნიკი იყო თუ მეკარე, მას, ალბათ, ეცოდინება.

ყველა გადამწერს სიცილი აუტყდა. მოხუცი კი უკვე კიბეზე ამოდიოდა.

_ რა ვუთხრათ? _ წამოიძახა გოდეშალმა.

_ მე მაცალეთ! _ უპასუხა ბუკარმა.

საწყალი ადამიანი მორცხვად თვალდახრილი შემოვიდა, შეიძლება იმიტომ, რომ თავისი შიმშილი არ გამოემჟღავნებინა და საჭმლისთვის მეტისმეტი სიხარბით ცქერა არ დაეწყო.

_ ბატონო, _ მიმართა ბუკარმა, _ თქვენი გვარის თქმას ხომ არ ინებებთ, რათა პატრონმა იცოდეს, თუ...

_ შაბერი.

_ ეილაუში მოკლული პოლკოვნიკი ხომ არა ხართ? _ ჰკითხა იურემ, რომელსაც ჯერ სიტყვა არ უთქვამას და ვერ მოითმინა, რომ მასაც სხვებთან ერთად არ ეოხუნჯა.

_ სწორედ ის გახლავართ, ბატონო, _ უპასუხა მოხუცმა ანტიკური სიმშვიდით და გავიდა.

_ ესეც შენ!

_ დაგვხოცა!

_ პა-პა-პა!

_ ოჰ!

_ აჰ!

_ ვახ-ვახ!

_ეჰ! სასაცილო მოხუცი!

_ ტრა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა!

_ ჩაფლავდი!

_ ბატონო დეროშ, წარმოდგენაზე მუქთად წახვალთ, _ უთხრა იურემ მეოთხე გადამწერს და მხარზე ხელი ისე მაგრად დაჰკრა, რომ ასეთი დაკვრით მარტორქას წააქცევდა.

ეს იყო ყვირილის, სიცილისა და წამოძახილების ნიაღვარი, რომლის გამოსახატავად ენის ყველა ხმაბაძვითი სიტყვის დახარჯვა დაგვჭირდებოდა.

_ რომელ თეატრში წავიდეთ?

_ ოპერაში! _ წამოიძახა უფროსმა საქმისმწარმოებელმა.

_ უწინარეს ყოვლისა, _ თქვა გოდეშალმა, _ თეატრი არ დაგვისახელებია. მე შემიძლია ქალბატონ საკის ცეკვის სანახავად წაგიყვანოთ.

_ ქალბატონი საკი წარმოდგენა არ არის!

_ რა არის წარმოდგენა? _ თქვა გოდეშალმა. _ უწინარეს ყოვლისა, საქმის ფაქტიური მხარე დავადგინოთ, რაზე დავნაძლევდით? წარმოდგენაზე. რა არის წარმოდგენა? ეს არის რაღაც, რასაც უცქერენ...

_ მაგრამ ასეთი მსჯელობით სანაძლეოს გადახდილად ჩათვლით, თუ ახალი ხიდის ქვეშ წყლის დენის სამზერად წაგიყვანთ, _ ლაპარაკი შეაწყვეტინა სიმონენმა.

_ რის ცქერაშიც ფულს იხდიან, _ განაგრძო გოდეშალმა.

_ ფულს იხდიან ისეთი რამის ცქერაშიც, რაც წარმოდგენა არ არის, განსაზღვრა ზუსტი არ არის, _ თქვა დეროშმა.

_ ერთი გამიგონეთ!

_ აბდაუბდას ედებით, ჩემო კარგო, _ უთხრა ბუკარმა.

_ კურციუსი წარმოდგენაა? _ თქვა გოდეშალმა.

_ არა, _ უპასუხა უფროსმა საქმისმწარმოებელმა, _ ფიგურათა მუზეუმია.

_ მე სანაძლეოს ვდებ ას ფრანკს ერთი სუს წინააღმდეგ, _ განაგრძო გოდეშალმა, _ რომ კურციუსის მუზეუმი წარმოადგენს ნივთთა ერთობლიობას, რომელსაც წარმოდგენის

სახელი აქვს მიკუთვნებული. ის გვაჩვენებს, ერთ სანახაობას სხვადასხვა ფასად იმისდა მიხედვით, თუ დაჯდომას სად მოისურვებ.

_ აბდაუბდაა, _ თქვა სიმონენმა.

_ შენ მიფრთხილდი, სანამ სილას გაგაწნავდე, _ უთხრა გოდეშალმა.

გადამწერებმა მხრები აიჩეჩეს.

_ ამასთანავე, ჯერ დამტკიცებული არაა, რომ ამ ბებერმა მაიმუნმა ჩვენ მასხარად არ აგვიგდო, _ თქვა მან და შესწყვიტა თავისი დასაბუთება, რადგან გადამწერთა ხარხარში არაფერი ესმოდა. _ თუ გინდათ მართალი, პოლკოვნიკი შაბერი დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა, მისი ცოლი მეორედ გათხოვდა. სახელმწიფო მრჩეველს გრაფ ფეროდს გაჰყვა. ქალბატონი ფეროდი ჩვენი ერთი საუკეთესო კლიენტთაგანია.

_ საქმის გარჩევა ხვალისათვის გადაიდება, _ თქვა ბუკარმა. _ ბატონებო, საქმეს შევუდგეთ. რა ჯანდაბაა! არაფერს არ აკეთებთ. დაამთავრეთ თხოვნის შედგენა, მეოთხე დარბაზში სხდომის დაწყებამდე უნდა გადავცეთ. საქმე დღეს ირჩევა, აბა, ყოჩაღად შევუდგეთ!

_ ის, რომ პოლკოვნიკი შაბერი ყოფილიყო, განა ამ მასხარა სიმონენს, თავი რომ მოიყრუა, პანღურს არ ამოჰკრავდა? _ თქვა დეროშმა, რომელიც ამ საბუთს უფრო დამაჯერებლად თვლიდა, ვიდრე გოდეშალისას.

_ რაკი ვერაფერი გადავწყვიტეთ, _ განაგრძო ბუკარმა, _ ასე მოვრიგდეთ: წავიდეთ მეორე იარუსზე «ნერონში» ტალმას თამაშის საყურებლად. სიმონენი პარტერში დაჯდეს.

ეს რომ თქვა, უფროსი საქმისმწარმოებელი ისევ თავის მაგიდას მიუჯდა, სხვებმაც მას მიბაძეს.

_ «ათას რვაას თოთხმეტი წლის ივნისში გამოცემული» (დაწერეთ სიტყვებით), _ თქვა გოდეშალმა, _ მორჩით?

_ დიახ, _ უპასუხა სამმა გადამწერმა, და კალმებს ღერბიან ქაღალდზე ისეთი წრიპინი დააწყებინეს, როგორიც მოწაფეების მიერ ქაღალდის პარკებში ჩამწყვდეულ ას ხოჭოს გაუჭირდებოდა.

_ «ჩვენ იმედი გვაქვს, ბატონი მოსამართლენი...» _ თქვა იმპროვიზატორმა, _ შედექით! წინადადება უნდა გადავიკითხო, თორემ მე თვითონ არაფერი გამეგება.

_ ორმოცდაექვსი... (ეს ხშირად ხდება) და სამჯერ ორმოცდაცხრა... _ თქვა ბუკარმა.

_ «ჩვენ ვიმედოვნებთ», _ ფრაზის მთლიანად გადაკითხვის შემდეგ განაგრძო გოდეშელმა, _ «რომ სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ბატონები იქნებიან ამ

ბრძანებულების უავგუსტოეს ავტორზე არანაკლებ შორსმჭვრეტელნი, განმარტავენ რა კანონს ფართო მნიშვნელობით, რაც ჩვენ მიერ აქვეა დადგენილი...»

_ ბატონო გოდეშალ, ჭიქა წყალს ხომ არ მიირთმევ? _ ჰკითხა პატარა გადამწერმა.

_ რა ხუმარაა ეს სიმონენი! _ თქვა ბუკარმა. _ გესმის, შეკაზმე შენი ლანჩებიანი ცხენები, ეს პაკეტი ინვალიდების სახლში ცეკვა-ცეკვით წაიღე.

_ «რაც ჩვენ მიერ აქვეა დადგენილი, _ განაგრძო გოდეშალმა. _ დაუმატეთ: ქალბატონ (დაწერეთ შეუმოკლებლად) «ვიკონტეს დე გრანლიეს სასარგებლოდ...»

_ როგორ! _ წამოიძახა უფროსმა საქმისმწარმოებელმა. _ თქვენ განგიზრახვათ ვიკონტესა დე გრანლიეს საქმის გამო, საპატიო ლეგიონის ორდენის წინააღმდეგ თხოვნის მიცემა! ეს საქმე დაგვავალეს და ჩვენი კანცელარიის ხარჯზე უნდა ვაწარმოოთ. ეჰ! ყეყეჩი, სულელი ხართ! კეთილი ინებეთ, გადასდეთ ეს პირები და შავად ნაწერი, ყველაფერი ეს შემინახეთ ნავარენის საქმისათვის სამადლო დაწესებულებათა წინააღმდეგ. გვიანაა, მე თვითონ დავასრულებ თხოვნას ყოველივე ამას «ვიღებთ რა მხედველობაში» და თვითონ გავწევ სასამართლოსაკენ...

ეს ერთ-ერთი იმ უამრავი გართობის სურათთაგანია, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის მოგონებისას გვათქმევინებს: რა კარგი დრო იყოო.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც პოლკოვნიკი შაბერის სახელის მატარებელმა კაცმა სენის დეპარტამენტის პირველი ინსტანციის სასამართლოს ნაფიცი ვექილის ბატონი დერვილის კარზე დააკაკუნა. მეკარემ უპასუხა, ბატონი დერვილი ჯერ არ დაბრუნებულაო. მოხუცმა განაცხადა, დაბარებული ვარო და ავიდა ცნობილ სამართლისმცოდნესთან, რომელიც თუმცა ახალგაზრდა იყო, მაგრამ სასამართლოში ერთ-ერთ უნიჭიერეს პირად ითვლებოდა. ზარის დარეკვის შემდეგ ეჭვიანი მთხოვნელი ძალიან გაკვირვებული დარჩა, როდესაც დაინახა, რომ უფროსი საქმისმწარმოებელი ვექილის სასადილო ოთახის მაგიდაზე საქმეთა აუარებელ საქაღალდეს აწესრიგებდა ხვალისათვის. არანაკლებ გაკვირვებული საქმისმწარმოებელი პოლკოვნიკს მიესალმა და სთხოვა, დაბრძანდითო. იგი დაჯდა.

_ უნდა მოგახსენოთ, მეგონა თქვენ ხუმრობდით, მიღების დრო ასე გვიან რომ დამინიშნეთ, _ თქვა მოხუცმა გაკოტრებული კაცის ნაძალადევი ღიმილით.

_ გადამწერნი ხუმრობდნენ და სიმართლესაც ამბობდნენ, _ უპასუხა უფროსმა საქმისმწარმოებელმა და მუშაობა განაგრძო. _ ბატონ დერვილს ეს დრო აქვს შერჩეული საქმეების გასაცნობად, მათ წარსამართავად, საშუალებების დასადგენად და დაცვის

გასანაწილებლად. მისი გასაოცარი გონება ამ დროს თავისუფალი არის, ასეთ ჟამს ჰპოვებს იგი სიწყნარესა და სიმშვიდეს, რომელიც საღ აზროვნებას ხელს უწყობს. რაც ის ნაფიც ვექილად არის, თქვენ მესამე ხართ, რომელიც ღამით იღებს კონსულტაციას. ბატონი დერვილი რომ დაბრუნდება, თითოეულ საქმეს განიხილავს, ყველას წაიკითხავს, მუშაობას შეიძლება ოთხი ან ხუთი საათი მოანდომოს. მერე მე დამირეკავს და დავალებებს მომცემს. დილით, ათი საათიდან ორ საათამდე, თავის კლიენტებს უსმენს, მერე დანარჩენ დროს სხვადასხვა პირთან შესახვედრად იყენებს, საღამოს საზოგადოებაში ტრიალებს, რათა არ მოსწყდეს. მაშასადამე, მხოლოდ ღამე რჩება საქმეების შესასწავლად, კოდექსის საჩხრეკად და ბრძოლის გეგმების შესადგენად. მას არც ერთი პროცესის წაგება არა სურს. თავისი საქმე უყვარს და თავისი ამხანაგებივით ყოველგვარ საქმეს ხელს არ ჰკიდებს. აი, მთელი მისი ცხოვრება. დერვილი მეტისმეტად საქმიანი კაცია, ამიტომ ბევრ ფულს შოულობს.

მოხუცი ამას რომ უსმენდა, ისე დუმდა და მის უცნაურ სახეს ისეთი უაზრო გამომეტყველება ჰქონდა, რომ საქმისმწარმოებელმა, როგორც კი ეს შენიშნა, მყისვე თავი მიანება. ცოტა ხნის სემდეგ დერვილი მოვიდა სამეჯლისო კოსტიუმში გამოწყობილი. უფროსმა საქმისმწარმოებელმა მას კარი გაუღო და საქმეების დალაგება განაგრძო, ახალგაზრდა ვექილი ერთ წამს გაოცდა, ბინდბუნდში მომლოდინე იშვიათი კლიენტი რომ დაინახა. პოლკოვნიკი შაბერი ისე უძრავად იჯდა, როგორც შეიძლება ყოფილიყო სანთლის ფიგურა კურციუსის მუზეუმში, სადაც გოდეშალს თავისი ამხანაგების წაყვანა სურდა. ეს გაშეშება შეიძლება გაკვირვების საგანი არ გამხდარიყო, რომ იგი ამ პიროვნების ზებუნებრივ სანახაობას არ გაეძლიერებინა. მოხუცი მხედარი გამხდარი და ხმელი იყო. გლუვი პარიკის თმებით განზრახ დაფარული შუბლი მას რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევდა. თვალები თითქოს გამჭვირვალე ლიბრით ჰქონდა დაფარული: იტყოდით, ჭუჭყიანი სადაფია, რომლის მოლურჯო ანარეკლი სანთლების შუქზე ფერს იცვლისო. მისი ფერმკრთალი, გალურჯებული და გაბრტყელებული სახე მკვდრისას ჰგავდა; ყელზე შავი აბრეშუმის უვარგისი ყელსახვევი შემოეხვია. ამ ჩვრით გავლებულ მუქ ხაზს ქვემოთ მთელ ტანს ჩრდილი უფარავდა ისე, რომ ფანტაზიის მქონე კაცი ამ მოხუცებულის თავს რაღაც შემთხვევითს სილუეტად ან რემბრანდტის უჩარჩო სურათად მიიღებდა. ქუდი შუბლს უფარავდა, ქუდის ფარფლებს სახის ზედა ნაწილზე შავი ზოლი გაევლო. ეს უცნაური, თუმცა ბუნებრივი ფერთა განლაგება კონტრასტობით უფრო მკაფიოდ აჩენდა თეთრ ნაოჭებს, ცივ ღარებს, ამ მკვდრული სახის უფერულ გამომეტყველებას. ბოლოს,

ყოველგვარ მოძრაობას მოკლებული სხეული, ცეცხლჩამქრალი თვალები შეეხამებოდა რაღაც სევდიანი სიგიჟის გამომეტყველებას, დამამცირებელ სიმპტომებს, რომლებიც იდიოტიზმის დამახასიათებელი ნიშნებია, და ყველაფერი ეს მის გარეგნობას აძლევდა ისეთ დაღვრემილ შესახედაობას, რომ მისი გამოხატვა ადამიანის სიტყვას არ შეუძლია. მაგრამ დაკვირვებული თვალი ადამიანისა, განსაკუთრებით ნაფიცი ვექილისა, ამ განადგურებულ ადამიანში იპოვიდა ღრმა ტანჯვის ნიშნებს, იმ უბედურების დაღს, რომელსაც მისი სახე ისე დაეზიანებინა, როგორც წვიმის წვეთების ხანგრძლივ ვარდნას მშვენიერი მარმარილოს დაზიანება შეუძლია. ამ უდიდესი საშინელების ნახვით ექიმი, მწერალი, მსაჯული მთელ დრამას იგრძნობდა. ეს საშინელება ჰგავდა ფანტასტიკურ სურათებს, რომლებსაც მხატვრები მეგობრებთან საუბრის დროს თავის გასართობად ლითოგრაფიული ქვის კიდეზე ხატავენ.

ნაფიცი ვექილი რომ დაინახა, უცნობს ჟრუანტელმა დაუარა. ასე მოსდით ღრმა ოცნებაში ჩაფლულ პოეტებს, როდესაც ღამის სიჩუმეში მოულოდნელი ხმაურობა გამოარკვევს მათ. მოხუცმა სწრაფად მოიხადა ქუდი და წამოდგა, რათა ახალგაზრდა კაცს მისალმებოდა. ტყავი, რომელიც მის ქუდს შიგნიდან ჰქონდა ჩაფენილი, ალბათ, ძალიან გაქონილი იყო, შაბერის პარიკი ზედ მიჰკვროდა. მოხუცს ეს არც კი შეუნიშნავს და მას ჭრილობით საშინლად დასახიჩრებული, გატიტვლებული თავის ქალა გამოუჩნდა. ჭრილობა კეფიდან დაწყებული მარჯვენა თვალამდე აღწევდა და მთელ სიგრძეზე მსხვილ ამოზნექილ ნაწიბურად ედებოდა. ამ გაჩეხილი თავის დანახვა იმდენად საშინელი იყო, რომ კანონის მცოდნეებს გაცინების სურვილიც კი არ აღძვრიათ, როდესაც მოხუცს თავისი ჭრილობის დასამალავად გაკეთებული ეს ბინძური პარიკი უეცრად ასძვრა. ჭკუა აქედან გაპარვიაო, ასეთი აზრი გაუელვებდა ადამიანს ამ ჭრილობის დანახვაზე.

«თუ პოლკოვნიკი შაბერი არ არის, ყოველ შემთხვევაში, შესანიშნავი მეომარი უნდა იყოს!» _ გაიფიქრა ბუკარმა.

_ ვინ ბრძანდებით, ბატონო! _ ჰკითხა დერვილმა.

_ პოლკოვნიკი შაბერი.

_ რომელი?

_ ის, ვინც ეილაუში მოჰკლეს, _ უპასუხა მოხუცმა.

ამ უცნაური პასუხის გაგონებისთანავე საქმისმწარმოებელმა და ნაფიცმა ვექილმა გაკვირვებულად შეხედეს მას, გიჟი ხომ არ არისო!

_ ბატონო, _ განაგრძო პოლკოვნიკმა, _ მე ვისურებდი მხოლოდ თქვენთვის გამენდო ჩემი მდგომარეობა საიდუმლოდ.

აქ აღსანიშნავია ნაფიცი ვექილებისათვის ბუნებრივი თვისება _ უშიშროება, რაც იმ ჩვეულების შედეგია, რომ ვექილები აუარებელ ხალხს იღებენ, ან იმისა, რომ ღრმად გრძნობენ კანონით მათთვის მინიჭებულ მფარველობას, ან კიდევ იმისა, რომ თავიანთ თანამდებობას პატივით ეპყრობიან; ნაფიცი ვექილები ყველგან უშიშრად შედიან, როგორც მღვდლები და ექიმები. დერვილმა ბუკარს ანიშნა, და ისიც გავიდა.

_ ბატონო, _ თქვა ნაფიცმა ვექილმა, _ დღის განმავლობაში ჩემი დროის მიმართ სიძუნწეს არ ვიჩენ; ღამით კი ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია, ამიტომ ამბავი მომიყევით მოკლედ და გაუზვიადებლად. საქმეს არ გადაუხვიოთ. შეკითხვებს განმარტებისათვის მე თვითონ მოგცემთ, თუ საჭიროდ დავინახავ. დაიწყეთ.

ახალგაზრდა კაცმა თავისი უცნაური კლიენტი დასვა და თვითონაც მაგიდას მიუჯდა. განსვენებული პოლკოვნიკის ლაპარაკს იგი ყურადღებით ისმენდა, თან საქმეებს ფურცლავდა.

_ ბატონო, _ თქვა მიცვალებულმა, _ თქვენ შეიძლება იცით, რომ მე ეილაუში კავალერიის პოლკს ვმეთაურობდი. მიურატის იმ შესანიშნავ იერიშში, რომელმაც ჩვენ გამარჯვება მოგვიტანა, მეც დამსახურება მიმიძღვის. ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სიკვდილი ისტორიული ფაქტია, რომელიც გამოცხადებულია «გამარჯვებებსა და დაპყრობებში». ეს ამბავი იქ დაწვრილებით არის აღწერილი. ჩვენ რუსების სამი ხაზი გავარღვიეთ. მათ მაშინვე შეჰკრეს ხაზები და გვაიძულეს უკანვე დავხეულიყავით. იმ წუთში, როდესაც იმპერატორისკენ ვბრუნდებოდით და გარშემო რუსებს ვკაფავდით, მტრის კავალერიის რაზმს შევეჩეხე. მე ამ ჯიუტებისაკენ გავექანე. ორმა რუსმა ოფიცერმა, ნამდვილმა გოლიათებმა, ერთსა და იმავე დროს მოიტანეს ჩემზე იერიში. ერთმა მათგანმა თავში ისე მაგრად დამკრა ხმალი, რომ გაუჭრელი არაფერი დამიტოვა, აბრეშუმის ჩაჩიც კი და თავის ქალა ღრმად გამიპო. ცხენიდან ჩამოვვარდი; ჩემს მოსაშველებლად მიურატი გამოეშურა. მისმა ცხენმა და მთელმა მისმა რაზმმა გადამთელა. ათასხუთასმა კაცმა, არც მეტმა, არც ნაკლებმა! ჩემი სიკვდილი იმპერატორს აცნობეს, მან სიფრთხილე გამოიჩინა და მოისურვა იმის გაგება (მე მას ცოტათი ვუყვარდი!), როგორმე ხომ არ შეიძლება იმ ადამიანის გადარჩენა, რომელმაც მტერზე ასეთი ძლიერი იერიში მიიტანაო. ჩემს მოსანახად და ჰოსპიტალში გადასაყვანად მას ორი ქირურგი გამოეგზავნა და, შეიძლება მეტად დაუდევრად, რადგან მას არ ეცალა, დოსტაქრებისათვის ეთქვა, წადით ნახეთ, ჩვენს

საწყალ შაბერს შემთხვევით იქნებ სული შერჩაო. იმ წყეულმა ექიმბაშებმა, რომლებმაც დაინახეს, როგორ გადამთელეს ორი პოლკის ცხენებმა, თავი აღარ შეიწუხეს ჩემი მაჯის გასასინჯად და თქვეს, მკვდარი არისო. ამნაირად, აქტი ჩემი სიკვდილის შესახებ შედგენილ იქნა, ალბათ, სამხედრო კანონებით დადგენილი წესების შესაბამისად.

ნაფიცი ვექილი უსმენდა როგორ ნათლად გამოთქვამდა კლიენტი აზრებს და დასაჯერებელ, თუმცა უცნაურ, ფაქტებს ჰყვებოდა და მან საქმეებს თავი მიანება, მარცხენა იდაყვი მაგიდაზე ჩამოსდო, თავი ხელს დააყრდნო და პოლკოვნიკს თვალები მიაპყრო.

_ ბატონო, იცით თქვენ, თუ არა, _ სიტყვა შეაწყვეტინა მან, _ რომ მე პოლკოვნიკი შაბერის ქვრივის გრაფ ფეროდის მეუღლის ვექილი გახლავართ?

_ ჩემი ცოლისა! დიახ, ბატონო, როდესაც მართლმსაჯულების ხალხს ასჯერ მაინც მივმართე და მათ გიჟად ჩამთვალეს, მე თქვენი ნახვა გადავწყვიტე. მერე გიამბობთ, რაც გადამხდა. ჯერ ნება მომეცით, ფაქტები დავადგინო, გიამბოთ არა ის, რაც ნამდვილად მოხდა, არამედ ის, რაც შეიძლება მომხდარიყო. ზოგიერთი გარემოება, რომელიც მხოლოდ მამა ზეციერმა უწყის, მაიძულებს ბევრი რამ წარმოვიდგინო, როგორც ჰიპოთეზა. ასე, ბატონო, ჩემმა ჭრილობებმა გამოიწვიეს, ალბათ, გაშეშება, ან ჩამაყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ჰგავს კატალეფსიად წოდებულ ავადმყოფობას. სხვანაირად, აბა, როგორ უნდა ავხსნა, რომ მე მესაფლავეებმა ომის ჩვეულების მიხედვით ტანგახდილი ჩამაგდეს ძმათა სასაფლაოში? აქ ნება მომეცით ერთი შემთხვევა მოვიგონო, რის გაგებაც იმ ამბის შემდეგ შევძელი, რომელსაც ჩემი გარდაცვალება უნდა ეწოდოს. 1814 წელს შტუტგარტში შევხვდი ჩვენი პოლკის ყოფილ უნტერ-ოფიცერს, ამ ძვირფასმა ადამიანმა, რომელმაც მხოლოდ ერთმა მოისურვა ჩემი ცნობა და რომლის შესახებაც ახლავე მოგიყვებით, ამიხსნა, თუ როგორ გადავრჩი. სწორედ იმ დროს, როდესაც დავჭრილვარ, ჩემს ცხენსაც ფერდში ყუმბარა მოხვედრია; ცხენი და მხედარი ჩავკეცილვართ. როცა დავცემულვარ, არ ვიცი, ეს მარჯვნივ იყო თუ მარცხნივ, ალბათ, ჩემი ცხენის ტანს დაუფარავარ; ამიტომ გადავრჩენილვარ: არც ცხენებს გაუჭყლეტივარ, არც ყუმბარები მომხვედრია. როდესაც გონს მოვედი, ბატონო ჩემო, მე ისეთ მდგომარეობაში და ისეთ ატმოსფეროში ვიყავი, ამას ვერც კი წარმოიდგენთ, ხვალამდეც რომ გიამბოთ. ის მცირე ჰაერი, რომელსაც ვისუნთქავდი, მყრალი იყო. განძრევა მინდოდა და გასაქან ადგილს ვერ ვპოულობდი. თვალი რომ გავახილე, ყველაფერი დავინახე; ჰაერის ნაკლებობა უდიდეს საფრთხეს მიმზადებდა, რამაც ჩემი მძიმე მდგომარეობა უფრო ნათლად წარმომიდგინა. მივხვდი, რომ იქ, სადაც ვიყავი, ჰაერი არ განახლდებოდა და მე მოვკვდებოდი. ამის

შეგნებამ დამავიწყა ის გამოუთქმელი ტკივილი, რომელმაც გამომაღვიძა; ყურები საშინლად მიწიოდა; გავიგონე ანდა მომეჩვენა, რომ გავიგონე, არ მინდა ეს ვამტკიცო, მკვდრების კვნესა, რომლებს შორისაც მე ვიწექი. თუმცა ის წუთები ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, მეხსიერება საკმაოდ შემელახა, და მერე უფრო ღრმა და გონების ამრევი ტანჯვის გადატანა მომიხდა, მაგრამ მაინც მაქვს ისეთი ღამეები, როდესაც მგონია, რომ ეს დახშული კვნესა კიდევ მესმის-მეთქი. მაგრამ იყო რაღაც ამ კვნესაზე უფრო საშინელი ეს იყო სიჩუმე, როგორიც არასოდეს განმიცდია, ნამდვილი სამარისებური სიჩუმე. ბოლოს, ხელები რომ ამოვწიე, მკვდრები მოვსინჯე, შევნიშნე სიცარიელე ჩემს თავსა და ადამიანთა გვამების ზედა ფენას შორის. ამნაირად შევძელი გამეზომა ის სივრცე, რომელიც რაღაც მიზეზების გამო ჩემთვის დაეტოვებინათ. როგორც ჩანს, დაუდევრობით ან სიჩქარით, ჩვენ არეულ-დარეულად ჩავუყრივართ. ორი გვამი ჩემს ზემოთ ერთმანეთს მიბჯენია და კუთხე გაუკეთებია იმ ორი ქაღალდივით, რომლების ერთი მეორეზე მიყენებით ბავშვი ხუხულას აკეთებს. სწრაფად ხელის ფათური დავიწყე, რადგან დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. ჩემდა საბედნიეროდ, ერთ ხელს წავაწყდი, რომელიც არაფერს არ იყო მოჭიდებული. ჰერკულესის ხელს, ზორბა ძვალს; ჩემს გადარჩენას მას ვუმადლი. ამ მოულოდნელი დახმარების გარეშე დავიღუპებოდი! მაგრამ რა ცოფიანივით შევუდექი მუშაობას, რათა ამოვმძვრალიყავი იმ გვამებიდან, რომლებიც, ალბათ, ჩვენზე დაყრილ მიწის ფენას გვაშორებდა. მე ვთქვი «ჩვენზე-მეთქი», თითქოს იქ ცოცხლები ყოფილიყვნენ! შეუპოვრად ვმუშაობდი, ბატონო, და აი, მე აქა ვარ! მაგრამ დღესაც არ მესმის, როგორ შევძელი გვამთა იმ სახურავის გარღვევა, რომელიც ჩემსა და სიცოცხლის შუა ჯებირად აღმართულიყო. თქვენ იტყვით, რომ მე სამი ხელი მქონდა! ეს ბერკეტი, რომელსაც მარდად ვიყენებდი, თანდათან იმ ცოტაოდენ ჰაერს მაწვდიდა, რომელიც ჩემ მიერ მიმოწეულ გვამებს შორის მოიპოვებოდა, და მე შემეძლო სწორად მესუნთქა. ბოლოს, დავინახე სინათლე, მაგრამ, ჩემო ბატონო, დავინახე სინათლე თოვლის ქვეშ მოქცეულმა. მაშინ შევნიშნე, რომ თავის ქალა გახსნილი მქონდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩემი შედედებული სისხლი, ამხანაგების სისხლი ან, შეიძლება ჩემი ცხენის უსიცოცხლო კანი, აბა რა ვიცი, ალბათ, ბუნებრივ სალბუნად დამედო. თუმცა ჩემს ჭრილობას ქერქი ერტყა, მაგრამ, როდესაც ჩემი თავი თოვლს შეეხო, გული წამივიდა. იმ მცირე სითბომ, რომელიც შემრჩენოდა, ჩემ გარშემო თოვლი გაადნო. გონს რომ მოვედი, პატარა ნახვრეტის წინ აღმოვჩნდი. იმდენი ვიყვირე, რამდენიც შემეძლო. თენდებოდა, და საეჭვო იყო, რომ ვინმეს ხმას მივაწვდენდი. ჯერ ხალხი მინდორში გამოსული არ იქნებოდა. მიცვალებულებს დავებჯინე. მათ, ჩემდა

საბედნიეროდ, საკმაოდ მაგარი ხერხემალი ჰქონდათ, წამოვიწიე. თქვენთვის გასაგებია, მაშინ შესაფერი დრო არ იყო, მათთვის მეთქვა: პატივი დასდეთ უბედურთა გულადობას-მეთქი. მოკლედ, ბატონო, ვიტანჯებოდი, თუ ამ სიტყვას შეუძლია გამოხატოს ჩემი გაშმაგება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ დიდხანს ვხედავდი, ოჰ, დიახ, დიდხანს, იმ წყეულ გერმანელებს, რომლებიც გარბოდნენ, რადგან ხმა ისეთი ადგილიდან ესმოდათ, სადაც ადამიანს ვერა ხედავდნენ. ბოლოს, ქალმა მომაგნო. იგი იმდენად გაბედული ან იმდენად ცნობისმოყვარე გამოდგა, რომ მიწიდან სოკოსავით ამოსულ ჩემ თავთან ახლოს მოვიდა. ეს ქალი ქმრის დასაძახებლად წავიდა და ცოლ-ქმარმა თავის ღარიბ ბინაზე გადამიყვანა. ალბათ, ისევ კატალეფსია დამემართა. ნება მიბოძეთ, ეს გამოთქმა ვიხმარო, რათა დაგიხატოთ მდგომარეობა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცი გარდა იმისა, რაც მასპინძლებმა მითხრეს; მათი ნათქვამის მიხედვით კი, ეს ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო. ექვსი თვის განმავლობაში სიკვდილს ვებრძოდი, ვერ ვლაპარაკობდი, თუ რამეს ვიტყოდი, ეს ბოდვა იყო. ბოლოს ჩემმა მასპინძელმა ჰეილსბერგის ჰოსპიტალში მომათავსა. თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო, რომ ორმოს მუცლიდან დედიშობილად გამოვედი. ისე რომ, ექვსი თვის შემდეგ, როდესაც ერთ მშვენიერ დილას გავიხსენე, რომ მე პოლკოვნიკი შაბერი ვიყავი და გონს მოსულმა ვისურვე, რომ ჩემს მიმართ მეტი პატივისცემა გამოეხატათ, ვიდრე ჩემისთანა ოხერ-ტიალის მიმართ იჩენდნენ, პალატის ყველა ამხანაგმა სიცილი დამაყარა. ჩემდა საბედნიეროდ, დოსტაქარი, რომლისთვისაც ჩემი განკურნება თავმოყვარეობის საკითხი იყო, ცხადია, თავისი ავადმყოფით დაინტერესდა. როდესაც მას ჩემი ძველი ცხოვრების შესახებ დაწვრილებით მოვუყევი ამ შესანიშნავმა ადამიანმა, გვარად შპრახმანმა, თავისი ქვეყნის კანონის იურიდიული წესების დაცვით ეს სასწაულებრივი ამბავი დაამოწმა: როგორ ამოვძვერი მკვდრების ორმოდან, ის დღე და საათი, როდესაც ჩემმა კეთილისმყოფელმა ქალმა და მისმა ქმარმა მიპოვეს, ჭრილობების ხასიათი და ზუსტი განლაგება, ამ ოქმებს თან დაურთო ჩემი პიროვნების აღწერა. მაგრამ, ბატონო, ჩემ ხელთ არ არის არც ეს მნიშვნელოვანი საბუთი, არც ის განცხადება, რომელიც ჰეილსბერგის ნოტარიუსს მივეცი ჩემი პიროვნების დასადგენად. იმ დღიდან, რაც მე ომის ამბებმა იმ ქალაქიდან გამდევნა, განუწყვეტლად დავეხეტებოდი, როგორც მაწანწალა, თავს მათხოვრობით ვირჩენდი. მე გიჟად მთვლიდნენ, როდესაც ჩემს თავგადასავალს ვყვებოდი. ვერც მუშაობით, ვერც სესხად ვერ ვიშოვე ცოტაოდენი ფული, რათა ხელთ მეგდო ის საბუთები, რომლებიც ჩემს ნათქვამს დაადასტურებდა და მე საზოგადოებაში საცხოვრებლად დამაბრუნებდა. ხშირად ჩემი ავადმყოფობის გამო ნახევარწლობით

პატარა ქალაქებში ვრჩებოდი, სადაც ავადმყოფი ფრანგისათვის ზრუნავდნენ, მაგრამ სადაც მას პირში დასცინოდნენ, როგორც კი იგი პოლკოვნიკ შაბერობას დაიჩემებდა. დიდხანს ეს დაცინვა, ეს უნდობლობა მაცოფებდა, ვნებასაც მაყენებდა; შტუტგარტში საგიჟეთშიც ჩამკეტეს. მართლაც, ჩემი ნაამბობით თქვენ შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ჩემ დასამწყვდევად საკმაო საბუთი ჰქონდათ.

იმის შემდეგ, რაც ორ წელიწადს დამწყვდეული ვიყავი და მცველებისაგან მრავალჯერ მოვისმინე ასეთი ლაპარაკი: აი, საწყალი კაცი, რომელსაც ჰგონია, პოლკოვნიკი შაბერი ვარო, რაზედაც უპასუხებდნენ: მართლაც, საწყალიო, მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ჩემი თავგადასავალი სიმართლეს არ შეეფერებოდა. მოვიწყინე, ბედს შევურიგდი, დავმშვიდდი და აღარ ვამბობდი, პოლკოვნიკი შაბერი ვარ-მეთქი, რათა თავი დამეღწია და კვლავ საფრანგეთი მენახა. ოჰ! ბატონო, პარიზი კვლავ მენახა! ეს იყო უსაზღვრო ნეტარება, რომელსაც მე ვერ...

პოლკოვნიკი შაბერი ღრმად ჩაფიქრდა ისე, რომ ფრაზა არ დაუმთავრებია, დერვილი კი მოკრძალებულად დუმდა.

_ ერთ მშვენიერ დღეს, _ განაგრძო კლიენტმა, _ გაზაფხულის დღეს, გამათავისუფლეს და ათი ტალერი მომცემს იმიტომ, რომ მე ყველაფერს ჭკვიანურს ვამბობდი და პოლკოვნიკ შაბერობას არ ვიჩემებდი. ვფიცავ, მაშინ ჩემი გვარის გახსენება უსიამოვნებას მგვრიდა და ზოგჯერ ახლაც მგვრის. მინდოდა სხვა ვინმე ვყოფილიყავი. ჩემი უფლებების შეგნება მკლავს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ავადმყოფობას ჩემი მეხსიერებიდან ამოეგდო ის, რაც წინათ ვიყავი. სამსახურს ხელახლა დავიწყებდი და, ვინ იცის, ავსტრიაში ან რუსეთში იქნებ ფელდმარშალი გავმხდარიყავი.

_ ბატონო, _ უთხრა ვექილმა, _ გონება სულ ამირიეთ. თქვენს საუბარს რომ ვუსმენ, ასე მგონია, ეს ზმანებაა-მეთქი. მოიღეთ წყალობა, ცოტა ხანს შევისვენოთ.

_ თქვენ, _ თქვა პოლკოვნიკმა მოწყენილი სახით, _ ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ასე ყურადღებით მისმენს. არც ერთმა იურისტმა არ მოისურვა ჩემთვის ათი ოქროს მოცემა, რათა გერმანიიდან საჭირო საბუთები გამომეთხოვა...

_ რა საბუთები? _ თქვა ვექილმა, რომელსაც თავისი კლიენტის წარსულის გაჭირვებათა მოსმენაში მისი უმწეო მდგომარეობა გადაავიწყდა.

_ მაგრამ, ბატონო, განა გრაფი ფეროდის ცოლი ჩემი მეუღლე არ არის? მას აქვს ოცდაათი ათასი ლივრი ჩემი კუთვნილი რენტისა, ჩემთვის რაღაც ორი ლიარის მოცემაც კი არა სურს. როდესაც ასეთ რამეს ვეუბნები ვექილებს, კეთილგონიერ ადამიანებს,

როდესაც მე, მათხოვარი, წინადადებას ვიძლევი, ძიება აღძრან გრაფისა ან გრაფის მეუღლის წინააღმდეგ; როდესაც მე, მკვდარი, ვილაშქრებ გარდაცვალების, ქორწინების, დაბადების აქტების წინააღმდეგ, ისინი მაძევებენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხასიათი აქვთ, ზოგი ცივი, თავაზიანი გამომეტყველებით, როგორსაც თქვენ იღებთ ხოლმე უბედური ადამიანის თავიდან მოსაშორებლად, ზოგი უხეშად, რადგან ჰგონიათ, ინტრიგანს ან სულელს გადავეყარეთო. მე მკვდრების ქვეშ ვიყავი დამარხული; ახლა კი დამარხული ვარ ცოცხლებქვეშ, საბუთების, ფაქტების ქვეშ, მთელი საზოგადოების ქვეშ, რომელსაც სურთ ისევ მიწაში დამაბრუნონ.

_ კეთილი ინებეთ, და განაგრძეთ, ბატონო, _ თქვა ვექილმა.

_ «კეთილი ინებეთ» _ წამოიძახა უბედურმა მოხუცმა, თან ახალგაზრდა კაცს ხელზე ხელი მოჰკიდა, _ აი, პირველი თავაზიანი სიტყვა, რომელიც მესმის მას შემდეგ...

პოლკოვნიკი ატირდა. მადლობის გრძნობამ ხმა ჩაუწყვიტა. ამ გულის სიღრმეში ჩაწვდომამ და გამოუთქმელმა მჭევრმეტყველებამ, რომელიც არის გამოხედვაში, ქცევაში, თვით დუმილში, დერვილი სავსებით მოინადირა და გული ძლიერ აუჩვილა.

_ მომისმინეთ, ბატონო, _ უთხრა თავის კლიენტს, _ ამ საღამოს ბანქოს თამაშში სამასი ფრანკი მოვიგე. ამ თანხის ნახევარი შემიძლია გამოვიყენო ადამიანისთვის ბედნიერების მისანიჭებლად. მე აღვძრავ ძიებას და მივიღებ ზომებს, რომ გიშოვოთ ის საბუთები, რომლებზედაც მელაპარაკეთ, საბუთების მიღებამდე კი მოგცემთ ყოველდღიურად ას სუს. თუ თქვენ პოლკოვნიკი შაბერი ბრძანდებით, სესხის სიმცირეს აპატიებთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც გზას ახლა იკაფავს. განაგრძეთ.

პოლკოვნიკობის პრეტენდენტი ერთ ხანს გარინდდა. უკიდურესმა მწუხარებამ მას უეჭველად რწმენა გაუქარწყლა. თავის მხედრულ ღირსებას, ქონებას, თავისთავს რომ დაეძებდა, ეს შეიძლება იმიტომ ხდებოდა, რომ იგი ემორჩილებოდა იმ აუხსნელ გრძნობას, რომლის ჩანასახი ყოველი ადამიანის გულშია და რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ალქიმიკოსების ძიებას, სახელის მოხვეჭის წყურვილს, ასტრონომიის, ფიზიკის აღმოჩენებს, ყოველივე იმას, რაც ადამიანს ბიძგს აძლევს ამაღლდეს ფაქტების ანდა იდეების დაუფლების გზით. მის ფიქრებში პირად მეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა ისე, როგორც სანაძლეოს დამდებისათვის გამარჯვება ან მოგების სიხარული უფრო ძვირფასია, ვიდრე თვით სანაძლეო საგანი. ახალგაზრდა ვექილის სიტყვები სასწაულად მიიღო იმ ადამიანმა, რომელსაც ამ ათი წლის განმავლობაში უარყჰყოფდა ცოლი, მართლმსაჯულება, მთელი საზოგადოებრივი წყობილება. მან ვიღაც

ვექილთან იშოვა ის ათი ოქრო, რაზედაც ამდენი ხნის განმავლობაში მრავალი პიროვნება სხვადასხვანაირად უარს ეუბნებოდა! პოლკოვნიკი ჰგავდა იმ ქალს, რომელსაც თხუთმეტი წლის მანძილზე აციებდა და იმ დღეს, როდესაც განიკურნა, ეგონა, სხვა სენით გავხდი ავადო. არის ბედნიერება, რომელიც არა გჯერა, ის მეხივით დაგეცემა და გაგანადგურებს. აი, ამიტომ მისი მადლობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გამოთქმა ვერ მოახერხა. დაუკვირვებელი ადამიანი პოლკოვნიკს გულცივ კაცად ჩასთვლიდა, მაგრამ დერვილმა ამ გაშეშებაში შეუბღალავი პატიოსნება ამოიკითხა. თაღლით ადამიანს ხმის ამოღება არ გაუჭირდებოდა.

_ სად გავჩერდი? _ თქვა პოლკოვნიკმა ბავშვისა ან ჯარისკაცის გულუბრყვილობით, რადგან ნამდვილ ჯარისკაცში ხშირად არის რაღაც ბავშვური და ბავშვში თითქმის ყოველთვის არის რაღაც ჯარისკაცული, განსაკუთრებით საფრანგეთში.

_ შტუტგარტზე. თქვენ პატიმრობას თავი დააღწიეთ, _ უპასუხა ვექილმა.

_ თქვენ იცნობთ ჩემს ცოლს? _ ჰკითხა პოლკოვნიკმა.

_ დიახ, _ უპასუხა დერვილმა თავის დახრით.

_ როგორ არის?

_ ის ყოველთვის მომხიბლავია.

მოხუცმა ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს ჩაიხშო რაღაც იდუმალი მწუხარება მკაცრი და ზეიმური სიმტკიცით, რომელიც ბრძოლის ველზე სისხლსა და ცეცხლში გაკაჟებულ ადამიანებს სჩვევიათ.

_ ბატონო, _ უთხრა მან, თითქოს გამხიარულებულმა, რადგან ეს საწყალი პოლკოვნიკი კვლავ ისუნთქავდა ჰაერს, საფლავს ხელმეორედ აღწევდა თავს, ის-ის იყო გაალხო თოვლი, იმ თოვლზე უფრო ძნელად გასადნობი, რომელმაც ოდესღაც თავი გაუყინა, და იგი ისუნთქავდა ჰაერს, როგორც საპატიმროდან გამოსული ადამიანი. _ ბატონო, თქვა მან, _ მე რომ ლამაზი ვყოფილიყავი, არც ერთი ჩემი უბედურება თავს არ დამატყდებოდა. ქალები იმ ადამიანებს უჯერებენ, რომლებიც თავიანთ ფრაზებს სიტყვა «სიყვარულით» ავსებენ. მაშინ ისინი დარბიან, ფუსფუსებენ, თავს არ იზოგავენ, ინტრიგანობენ, ფაქტებს ადასტურებენ, ეშმაკსაც გაუამხანაგდებიან იმისათვის, ვინც უყვართ. როგორ შემეძლო ქალის ყურადღება მიმეპყრო? მიცვალებულის სახე მქონდა, სანკიულოტივით ვიყავი ჩაცმული, უფრო ესკიმოსს ვგავდი, ვიდრე ფრანგს. მე, რომელიც 1799 წელს ულამაზეს, კოხტა ვაჟკაცად ვითვლებოდი, მე, შაბერი, საფრანგეთის იმპერიის გრაფი! ბოლოს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ძაღლივით ქვაფენილზე გამომაგდეს, უნტერ-

ოფიცერს გადავეყარე, რომელზედაც უკვე გელაპარაკეთ. მისი გვარი ბუტენი იყო. ის საწყალი და მე უმშვენიერეს წყვილ ჯაგლაგს წარმოვადგენდით, როგორიც კი ოდესმე მინახავს. სეირნობის დროს დავინახე და ვიცანი, მან კი ჩემი ცნობა ვერ შეძლო. ჩვენ ერთად წავედით ერთ პატარა სამიკიტნოში. იქ, როდესაც ჩემი ვინაობა ვუთხარი, ბუტენს ისეთი ხარხარი აღმოხდა, თითქოს ზარბაზანი გასკდაო. მისმა გამხიარულებამ ჩემი უმძაფრესი მწუხარება გამოიწვია. ამით ნათელი გახდა ყველა ის ცვლილება, რაც ჩემში მომხდარიყო. იმანაც კი ვერ მიცნო, ვინც ყველაზე უფრო თავმდაბალი და ამხანაგებს შორის ყველაზე უფრო ჩემი მადლიერი იყო. ოდესღაც ბუტენი სიკვდილს გადავარჩინე, მაგრამ მანაც სამაგიერო გადამიხადა. ვერ გეტყვით, როგორ გამიწია ეს სამსახური. ეს იტალიაში მოხდა, რავენაში. სახლი, სადაც ბუტენმა ხანჯლით განგმირვას გადამარჩინა, მაინცდამაინც წესიერი არ იყო. იმ ხანებში მე პოლკოვნიკი არ ვიყავი, არამედ ბუტენივით უბრალო კავალერისტი გახლდით. საბედნიეროდ, ეს ამბავი ისეთ წვრილმანებს შეიცავდა, რომლის ცოდნა ჩვენს გარდა არავის შეეძლო. როდესაც ბუტენს ეს ამბავი მოვაგონე, მისი უნდობლობა შემცირდა. მერე მოვუყევი ჩემი უცნაური ცხოვრების შემთხვევები. თუმცა თვალები, ხმა, მისი თქმით, არაჩვეულებრივად შემცვლოდა, თუმცა მე არც თმა, არც კბილები, არც წარბები არ მქონდა, თუმცა ალბინოსივით თეთრი ვიყავი, ბოლოს მრავალი გამოკითხვების შემდეგ, რომლებიდანაც გამარჯვებული გამოვედი, ბუტენმა მათხოვარში იცნო თავისი პოლკოვნიკი. იგი თავის ამბავს მომიყვა, რომელიც ჩემს თავგადასავალზე არანაკლებ უცნაური იყო. ბუტენი ჩინეთის საზღვრებიდან ბრუნდებოდა, რომლის გადალახვაც მოესურვებინა ციმბირიდან გაქცევის შემდეგ. მისგან გავიგე რუსეთის კამპანიის საშინელი მარცხისა და ნაპოლეონის პირველი გადადგომის ამბავი. ამ ახალმა ამბავმა ყველაზე უფრო დიდი ტკივილი მომაყენა. ჩვენ საინტერესო ნამსხვრევი ვიყავით, ჩვენ, რომლებმაც დედამიწის ზურგზე ხანგრძლივად ვიგორეთ ისე, როგორც აბობოქრებულ ოკეანეში ნაპირიდან ნაპირამდე ზღვის კენჭები დაგორავენ. ჩვენ ერთად ვინახულეთ ეგვიპტე, სირია, ესპანეთი, რუსეთი, ჰოლანდია, გერმანია, იტალია, დალმაცია, ინგლისი, ჩინეთი, თურქეთი, ციმბირი, ჩვენ მხოლოდ ინდოეთსა და ამერიკაში არ ვყოფილვართ. ბოლოს, ჩემზე უფრო მოხერხებულმა ბუტენმა თავის თავზე იდო, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამგზავრებულიყო პარიზს, რათა ჩემი ცოლისთვის ეცნობებინა, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ქალბატონ შაბერს ძალიან ვრცელი წერილი მივწერე. ეს მეოთხე იყო, ბატონო ჩემო! მშობლები რომ მყოლოდა, ყველაფერი ეს არ შემემთხვეოდა; მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე მიგდებული ბავშვი ვარ, ჯარისკაცი, რომელსაც მამის

მემკვიდრეობად ჰქონდა გულადობა, ოჯახად _ მთელი კაცობრიობა, სამშობლოდ _ საფრანგეთი და ერთადერთ მფარველად _ მოწყალე ღმერთი. მე ვცდები! ჩემი მამა იმპერატორი იყო. ეჰ, იგი რომ ფეხზე იდგეს, ძვირფასი ადამიანი! და მას ამ ყოფაში რომ დაენახა «თავისი შაბერი», როგორც ის მეძახდა, განრისხდებოდა. რას ვიზამთ! ჩვენი მზე ჩაესვენა. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება პოლიტიკურ ამბებს გაემართლებინა ჩემი ცოლის დუმილი. ბუტენი გზას გაუდგა. თვითონ იგი ბედნიერი იყო! შესანიშნავად გაწვრთნილი ორი თეთრი დათვი ჰყავდა, რომელიც არჩენდა. ბუტენს ვერ წავყევი. ჩემი ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი მგზავრობის ატანა არ შემეძლო. ბუტენთან და დათვებთან ერთად მანამდე ვიარე, რამდენ ხანსაც ჩემმა ჯანმრთელობამ შემაძლებინა. როდესაც ერთმანეთს დავშორდით, ბატონო ჩემო, ვიტირე. კარლსრუეში თავის ნევრალგია დამეწყო და ექვსი კვირა თივაზე დაწოლილმა გავატარე სასტუმროს ეზოში. ამბავს ვერ დავასრულებდი, თქვენთვის ჩემი მათხოვრული ცხოვრების ყველა უბედურება რომ მეამბნა. ზნეობრივი ტანჯვები, რომლებთანაც ფიზიკური ტანჯვა მკრთალი მოჩანს, ნაკლებ სიბრალულს იწვევს, რადგან მას ვერ ხედავენ. მაგონდება, როგორ ავტირდი სტრასბურგის სასტუმროს წინ, სადაც ოდესღაც ლხინი გამიმართავს და ახლა სადაც ვერაფერი, ერთი ნაჭერი პურიც კი ვერ მივიღე. ბუტენთან შეთანხმებული გზით მივდიოდი და ფოსტის ყოველ სადგურში ჩემ სახელზე გამოგზავნილ წერილსა და ფულს ვკითხულობდი. პარიზს ისე მივაღწიე, რომ არაფერი მიმიღია. როგორ სასოწარკვეთილებას უნდა მივცემოდი! «ბუტენი, ალბათ, მოკვდა» ვფიქრობდი. მართლაც, ის საწყალი კაცი ვატერლოოში დაიღუპა. მისი სიკვდილი შემთხვევით გავიგე, მოგვიანებით. მისი მოლაპარაკება ჩემს ცოლთან, ალბათ, უნაყოფოდ დამთავრდა. ბოლოს, პარიზში კაზაკებთან ერთად შევედი, რამაც მწუხარება გამიორკეცა. საფრანგეთში რუსებს რომ ვხედავდი, უფულობასა და ჩაცმულობაზე აღარ ვფიქრობდი. დიახ, ბატონო ჩემო, ძონძებიღა მეცვა, ჩასვლის წინადღეს ტყეში მომიხდა დაბანაკება. ღამის სიგრილემ რაღაც ავადმყოფობა შემყარა, როდესაც სენ-მარტინის გარეუბანს გადავდიოდი, თითქმის გულწასული, რკინის სავაჭროს კართან დავეცი. როდესაც გონს მოვედი, ოტელ-დიეს ჰოსპიტალში ვიწექი. იქ ერთი თვე დავრჩი და თავს საკმაოდ ბედნიერად ვგრძნობდი. იქიდან მალე გამომწერეს. თუმცა ფული არ მქონდა, მაგრამ ჯანმრთელი ვიყავი და პარიზის კარგ ქვაფენილზე დავდიოდი. რა სიხარულით და გამალებით გავეშურე მონბლანის ქუჩისაკენ, სადაც ჩემს სახლში ცოლი უნდა დამხვედროდა. მონბლანის ქუჩა შოსე დ’ანტენის ქუჩად გადაქცეულიყო. სახლს ვერ მივაგენი. იგი გაეყიდათ და დაენგრიათ. სპეკულანტებს ჩემს ბაღებში ბევრი სახლი

აეშენებინათ. მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი ცოლი ბატონ ფეროდს მისთხოვებოდა და მის შესახებ ვერაფერი გავიგე. ბოლოს ერთ მოხუც ვექილთან წავედი, რომელსაც ოდესღაც ჩემს საქმეებს ვანდობდი. მოხუცს თავისი კლიენტები ერთი ახალგაზრდა კაცისათვის გადაეცა, თვითონ კი გარდაცვლილიყო. იქ გავიგე, რომ ჩემი ქონება მემკვიდრეებისთვის გადაეცათ. მემკვიდრეობის ლიკვიდაცია მოეხდინათ, ჩემი ცოლი კი გათხოვილიყო, ორი ბავშვი შეძენოდა. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა. როდესაც ვექილს ვუთხარი, პოლკოვნიკი შაბერი ვარ-მეთქი, მან ისე გულწრფელად გადაიხარხარა, რომ მაშინვე უსიტყვოდ გავშორდი. შტუტგარტში დაპატიმრებამ შარენტონი მომაგონა და გადავწყვიტე უფრო ფრთხილად მემოქმედნა. მაშინ, ბატონო ჩემო, რაკი ვიცოდი, სად ცხოვრობდა ჩემი მეუღლე, იმედიანად მისი სახლისაკენ გავეშურე. და აი, _ თქვა პოლკოვნიკმა თავშეკავებული გულისწყრომით, _ მე არ მიმიღეს, როდესაც სხვა გვარით მივედი. იმ დღეს კი, როდესაც ჩემი სახელით გამოვცხადდი, ეზოდან გამაგდეს. რათა გრაფის მეუღლე მენახა, ბალიდან ან სპექტაკლიდან დილით დაბრუნებული, მთელ ღამეებს ჭიშკრის ბოძზე მიკრული ვატარებდი, თვალს არ ვაშორებდი იმ ეტლს, რომელიც ჩემ წინ ელვის სისწრაფით ჩაიქროლებდა და ძლივს ვარჩევდი შიგ იმ ქალს, ჩემს ცოლს, რომელიც მე აღარ მეკუთვნოდა. ოჰ! იმ დღიდან ცხოვრების აზრად შურისძიება გავიხადე! _ წამოიძახა მოხუცმა ყრუ ხმით და წამოდგა. _ ჩემმა ცოლმა იცის, რომ მე ვარსებობ, ჩემი დაბრუნების შემდეგ ჩემი ხელით დაწერილი ორი წერილი მიიღო. მას აღარ ვუყვარვარ! მე კი არ ვიცი, მიყვარს იგი თუ მეზიზღება. ხან მინდა იგი, ხან კი ვწყევლი. ჩემი წყალობით არის მდიდარი და ბედნიერი. მე კი ოდნავ დახმარებასაც არ მიწევს! ხანდახან არ ვიცი, თავს რა ვუყო.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მოხუცი სკამზე დაეშვა და გაშეშდა. დერვილი დუმდა და თავის კლიენტს შესცქეროდა.

_ ძალიან მძიმე საქმეა, _ თქვა მან ანგარიშმიუცემლად, _ თუგინდ დავუშვათ იმ საბუთების უდავობა, რომლებიც ჰეილსბერგში უნდა მოინახოს. დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩვენ უცებ მოვიგებთ საქმეს. პროცესი თანმიმდევრობით სამ სამჯავროში განიხილება. დასვენებული გონებით უნდა ჩავუფიქრდეთ ამ იშვიათ საქმეს.

_ ოჰ! _ უპასუხა ცივად პოლკოვნიკმა, თან ამაყად თავი ასწია, _ თუ დავმარცხდები, მე სიკვდილისა არ მეშინია, მაგრამ სხვასაც გავიყოლებ.

აქ მისი ასაკი თითქოს გაჰქრა, მისი ენერგიული ადამინის თვალები ნებისყოფის და შურისძიების ცეცხლით აენთო.

_ შეიძლება საქმის მორიგებით გათავება მოგვიხდეს, _ თქვა ვექილმა.

_ მორიგება? _ გაიმეორა პოლკოვნიკმა შაბერმა, _ მე ცოცხალი ვარ თუ მკვდარი?

_ ბატონო, _ განაგრძო ვექილმა, _ იმედი მაქვს, ჩემს დარიგებას ყურს ათხოვებთ. თქვენი საქმე ჩემი საქმე იქნება. მალე იგრძნობთ, თქვენი მდგომარეობის მიმართ რა ყურადღებას გამოვიჩენ. ეს უმაგალითო შემთხვევაა ჩვენს იურიდიულ მატიანეებში. მანამდე ბარათს მოგცემთ ჩემს ნოტარიუსთან, რომელიც ხელწერილქვეშ ყოველ ათ დღეში ორმოცდაათ ფრანკს მოგცემთ. უხერხული იქნება, რომ თქვენ დახმარება ითხოვოთ. თქვენ თუ პოლკოვნიკი შაბერი ბრძანდებით, არავისგან დავალებული არ უნდა დარჩეთ. ავანსს მოგცემთ სესხის სახით. ქონება უნდა დაგიბრუნდეთ, თქვენ მდიდარი ხართ.

ამ უკანასკნელმა თავაზიანობამ მოხუცს ცრემლები მოჰგვარა, დერვილი უეცრად წამოდგა, რადგან შეიძლება წესი არ იყო, რომ ვექილს აღელვება დასტყობოდა. იგი თავის კაბინეტში გავიდა, საიდანაც დაუბეჭდავი წერილი გამოიტანა და გრაფ შაბერს გადასცა. როდესაც საწყალმა ადამიანმა წერილი გამოართვა, ქაღალდის ქვეშ თითებით ორი ოქროს ფული იგრძნო.

_ არ ინებებთ დამისახელოთ საბუთები, ქალაქი და სახელმწიფო? _ ჰკითხა ვექილმა.

პოლკოვნიკმა ეს ცნობები მისცა, თან გეოგრაფიული ადგილების ორთოგრაფია შეამოწმა. მერე ერთი ხელით ფული აიღო, დერვილს შეხედა, მეორე, დაკოჟრებული ხელი მას გაუწოდა და უბრალოდ უთხრა:

_ ვფიცავ, ბატონო, იმპერატორის შემდეგ თქვენ პირველი ხართ, რომლისგანაც მეტისმეტად ვარ დავალებული. თქვენ ყოჩაღი ბრძანდებით.

ვექილმა პოლკოვნიკს ხელი მაგრად ჩამოართვა, კიბემდე მიაცილა და გზა გაუნათა.

_ ბუკარ, _ უთხრა დერვილმა თავის სქმისმწარმოებელს, _ აი, ახლა მოვისმინე ამბავი, რომელიც შეიძლება ოცდახუთი ლუი დამიჯდეს, მაგრამ თუ გაცურებული დავრჩი, ჩემი ფული მაინც არ დამენანება, რადგან ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი მსახიობი მეყოლება ნანახი.

როდესაც პოლკოვნიკი ქუჩაში გავიდა, კონვერტიდან ვექილის მიერ მიცემული ორი ოცდახუთფრანკიანი ოქრო ამოიღო და ფარნის სინათლეზე დაკვირვებით დააცქერდა. ცხრა წლის განმავლობაში ოქროს ფულს პირველად ხედავდა.

_ მაშ, მე სიგარის გაბოლება შემიძლია! _ თქვა მან.

დაახლოებით სამმა თვემ განვლო იმ რჩევის შემდეგ, რომელიც პოლკოვნიკმა შაბერმა ღამით დერვილისაგან მიიღო. ნოტარიუსი, რომელსაც ვექილმა თავისი

არაჩვეულებრივი კლიენტისათვის თანხის გაცემა დაავალა, დერვილთან ერთ მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად მივიდა და შეხვედრისთანავე მას მოხუცი პოლკოვნიკისათვის მიცემული ექვსასი ფრანკი მოსთხოვა.

_ მაშ, შენ იმით ერთობი, რომ ძველ არმიას ინახავ? _ სიცილით უთხრა დერვილს ნოტარიუსმა, ახალგაზრდა კაცმა, რომლის გვარი კროტა იყო. მას ახლახან შეეძინა ის კანტორა, სადაც უფროს საქმისმწარმოებლად მუშაობდა, ვიდრე კანტორის პატრონი გაკოტრდებოდა და გაიქცეოდა.

_ მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო, _ უპასუხა დერვილმა, _ ეს საქმე რომ მომაგონე. ჩემი ქველმოქმედება ოცდახუთ ლუის არ გდასცილდება. უკვე ვშიშობ, რომ ჩემი პატრიოტიზმის მსხვერპლი გავხდი.

წინადადება დასრულებული არ ჰქონდა, რომ დერვილმა თავის საწერ მაგიდაზე უფროსი საქმისმწარმოებლის მიერ დადებული წერილები შენიშნა. დერვილის თვალები მიიზიდა მოგრძო, კვადრატულმა სამკუთხიანმა, წითელმა და ლურჯმა მარკებმა, რომლებიც წერილზე დაეკრათ პრუსიის, ავსტრიის, ბავარიისა და საფრანგეთის საფოსტო კანტორებს.

_ აჰ! _ თქვა დერვილმა სიცილით, _ აი, კომედიის კვანძის გახსნა. ახლავე ვნახავთ, შეძლეს თუ არა ჩემი გაცურება.

წერილი აიღო და გახსნა, მაგრამ წაკითხვა ვერ შეძლო, იგი გერმანულად იყო დაწერილი.

_ ბუკარ, ეს წერილი თქვენ თვითონ წაიღეთ გადასათარგმნად და მალე დაბრუნდით, _ თავისი კაბინეტის კარი გააღო და უთხრა უფროს საქმისმწარმოებელს, თან წერილი გადასცა.

ბერლინელი ნოტარიუსი, რომელსაც ვექილმა მიმართა, აცნობებდა, რომ რამდენიმე დღეში ამ ცნობების მიღების შემდეგ გამოთხოვილი საბუთები მოგივათო. საბუთები, იწერებოდა ის, უნაკლოდ არის შემოწმებული კანონების შესაბამისად და იურიდიული ძალა აქვსო. თითქმის ყველა მოწმე, რომელიც ოქმებშია დასახელებული, პრეისიშ-ეილაუში იმყოფება,» და ის ქალი, რომელმაც ბატონი გრაფი სიკვდილს გადაარჩინა, კვლავ ჰეილსბერგის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობსო.

_ საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, _ წამოიძახა დერვილმა, _ როდესაც ბუკარმა დაასრულა წერილის შინაარსის გადაცემა, _ მაგრამ, ჩემო კარგო, _ მიმართა ნოტარიუსს, _

მე დამჭირდება ცნობები, რომლებიც შენს კანტორაში უნდა იყოს. იმ თაღლით მოხუც როგენს...

_ ჩვენ ვამბობთ: უბედური, ბედშავი როგენი, _ სიტყვა შეაწყვეტინა სიცილით ნოტარიუსმა ალექსანდრე კროტამ.

_ იმ უბედურმა, რომელმაც ახლახან თავისი კლიენტების რვაასი ათასი ფრანკი გაიტაცა და მრავალი ოჯახი გააუბედურა, ხომ მოახდინა შაბერის მემკვიდრეობის ლიკვიდაცია? მე მგონია, ეს ვნახე ჩვენს საბუთებში ფეროდის საქმის გამო.

_ დიახ, _ უპასუხა კროტამ, _ მაშინ მესამე გადამწერად ვიყავი. ლიკვიდაციის აქტი მე გადავწერე და კარგად შევისწავლე. როზა შაპოტელი, საფრანგეთის იმპრიის გრაფის, საპატიო ლეგიონის კავალერ იასენტ შაბერის ცოლი და ქვრივია; ისინი დაქორწინდნენ უკონტრაქტოდ. მაშასადამე, ქონება საერთო ჰქონდათ. რამდენადაც მახსოვს, აქტივი ექვსასი ათას ფრანკს აღწევდა. დაქორწინებამდე გრაფმა შაბერმა უანდერძა პარიზის სამადლო დაწესებულებებს იმ ქონების მეოთხედი, რომელიც გარდაცვალების დღეს ექნებოდა, სახელმწიფო მეორე მეოთხედს მიიღებდა. მოაწყვეს აუქციონები, გაყიდვა და გაყოფა, რადგან ვექილებმა საქმეს ხელი საფუძვლიანად მოჰკიდეს. ლიკვიდაციის დროს ურჩხულმა, რომელიც მაშინ საფრანგეთს მართავდა, მიაკუთვნა დეკრეტით პოლკოვნიკის ქვრივს ხაზინის წილიც.

_ მაშასადამე, გრაფი შაბერის პირადი ქონება მხოლოდ სამას ათას ფრანკამდე აღწევს?

_ სწორია, ჩემო კარგო, _ უპასუხა კროტამ, _ ზოგჯერ თქვენ, ზოგიერთი ვექილი, სწორად აზროვნებთ, თუმცა ბრალს გდებენ, რომ შეცდომას უშვებთ მაშინ, როდესაც ერთნაირი წარმატებით ერთიმეორის მოწინააღმდეგე მხარეებს იცავთ.

გრაფი შაბერის მისამართი მიწერილი იყო იმ პირველი ხელწერილის ქვეშ, რომელიც მან ნოტარიუსს მისცა. შაბერი ცხოვრობდა სენ-მარსოს გარეუბანში, პტი-ბანკიეს ქუჩაზე, იმპერატორის გვარდიის ყოფილ უნტერ-ოფიცერ ვერნიოსთან, რომელიც მერძევე გამხდარიყო. იქ რომ მოვიდა, დერვილი იძულებული შეიქნა ფეხით წასულიყო თავისი კლიენტის მოსანახად, რადგან მეეტლემ უარი თქვა გაევლო მოუკირწყლავ ქუჩაზე, რომლის ორმოებშიც კაბრიოლეტის თვლები მთლიანად ჩაეფლობოდა. ვექილმა დაკვირვებით შეათვალიერა გარემო და ბოლოს იმ ქუჩის ნაწილში, რომელიც ბულვარის მახლობლად არის, ძვლებითა და მიწით აშენებულ ორ კედელს შუა ღორღით ნაგები ორი შელახული ბოძი შეამჩნია, თუმცა ბოძებს ხის ორი კუნძი იცავდა, მაგრამ ფორნების

გავლისაგან კიდეები მაინც შემომტვრეოდათ. ბოძებზე კრამიტებით დახურული თავხე იყო გადებული, რომელზედაც წითელი ასოებით ეწერა; «ვერნიო. მერძევე». ამ წარწერის მარჯვნივ და მარცხნივ თეთრად დახატული იყო კვერცხები და ძროხა. ჭიშკარი ღია დაეტოვებინათ. დღისით, ალბათ, ასე ტოვებდნენ. საკმაოდ ფართო ეზოში ჭიშკრის პირდაპირ იდგა სახლი, თუ შეიძლება სახლი ვუწოდოთ პარიზის გარეუბნის იმ შენობებს, რომლებიც სახსენებელიც არ არის სოფლის უუბადრუკეს ქოხებთან. მათ ამ ქოხების სიღარიბე აქვთ, პოეზია კი არა. მართლაც, მინდვრებს შორის ქოხები მიმზიდველია: სუფთა ჰაერი, სიმწვანე, მინდვრების პეიზაჟი, გორაკი, დაკლაკნილი გზა, ვენახები, ცოცხალი ღობე, ჩალის ბულული, სამიწათმოქმედო იარაღები ალამაზებენ მათ. პარიზში სიღარიბე კი მხოლოდ თავისი საშინელებით ირთვება. ეს სახლი ახალაშენებული იყო, მაგრამ ისეთი შეხედულება ჰქონდა, საცაა დაინგრევაო. არც ერთ მასალას თავისი პირდაპირი დანიშნულება არ ჰქონდა. ეს მასალები ნაშთი იყო იმ სახლებისა, რომლებსაც პარიზში ყოველდღიურად ანგრევენ. დერვილმა ერთი აბრის ფიცრებისაგან გაკეთებულ დარაბაზე წაიკითხა: «ახალ ნივთთა მაღაზია». ფანჯრები ერთამენთს სრულაიდ არ ჰგავდა და უცნაურად იყო განლაგებული. პირველი სართული, რომელიც, როგორც ეტყობოდა, საცხოვრებელ ბინად ჰქონდათ, ერთ მხარეს აწეული იყო, მეორე მხარეს კი ოთახები მიწაში ჩაფლულიყო. ჭიშკარსა და სახლს შორის ნაკელით სავსე წუმპე იდგა, სადაც ნაწვიმარი და ჭუჭყიანი წყალი ჩადიოდა. კედელს, რომელზედაც ეს უბადრუკი სახლი იყო დაყრდნობილი და რომელიც სხვებზე უფრო მაგარი ჩანდა, შემოწყობილი ჰქონდა ბადიანი გალიები, სადაც შინაური კურდღლები თავიანთ ურიცხვ ოჯახს ამრავლებდნენ. ალაყაფის კარის მარჯვნივ ბოსელი იყო, მის თავზე კი სათივე, ბოსელი სახლს სარძევე ოთახით უერთდებოდა. მარცხნივ იყო საქათმე, საჯინიბო და საღორე. საღორესა და სახლს სახურავად ჰქონდა ერთმანეთზე დაჭედებული, ლერწამდაყრილი, თეთრი ხის უვარგისი ფიცრები. როგორც თითქმის ყველა ადგილს, სადაც სურსათ-სანოვაგე მზადდება იმ დიდი სადილისათვის, რომელსაც პარიზი ყოველდღიურად ნთქავს, ისე ამ ეზოსაც, სადაც დერვილმა ფეხი შესდგა, ეტყობოდა სიჩქრის კვალი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს სურსათ-სანოვაგე მომხმარებელთან თავის დროზე იქნას მიტანილი.

სარძევე ოთახის წინ აქა-იქ ეყარა რძის გადასაზიდი თუნუქის მუცლიანი ბიდონები და ნაღების ქოთნები ჩვრის საცობებით. ჭურჭლების გასამშრალებელი, დაფლეთილი ჩვრები, სარებზე გაბმულ ბაწარზე გადაფენილი, მზეზე ფრიალებდა. წყნარი ცხენი იმ ჯიშისა, როგორიც მხოლოდ მერძევეებს ჰყავთ, რამდენიმე ნაბიჯით თავის ურიკას

დაშორებული, კარდაკეტილი საჯინიბოს წინ იდგა. ერთი თხა სახლის ყვითელსა და დახეთქილ კედელს შემოხვეული მტვრიანი და უბადრუკი ვაზის კვირტებს სჭამდა. კატა, ნაღების ქოთნებზე დასკუპებული, ნაღებს ლოკავდა. დერვილის მიახლოვებით შეშინებული ქათმები კრიახ-კრიახით გაიფანტნენ. ნაგაზმა დაიყეფა.

«ნუთუ აქ ცხოვრობს ის ადამიანი, რომელმაც იელაუს ბრძოლის ბედი გადაწყვიტა!» _ გაიფიქრა დერვილმა, როცა ამ საძაგელ სანახაობას გადაავლო თვალი.

სახლის მცველებად სამი ბავშვი დაეტოვებინათ. ერთი ახალმოთიბული ბალახით დატვირთულ ურიკაზე ამძვრალიყო და მეზობელი სახლის ბუხრის მილს ქვებს ესროდა. უნდოდა ეს ქვები ბუხარში შედგმულ შეჭამანდის ქოთანში ჩაეგო. მეორე ცდილობდა ღორი აეყვანა მიწაზე დაყრდნობილი ურიკის ფიცარზე. ურიკის მეორე ბოლოში ჩამოკიდებული მესამე ბიჭი უცდიდა ურიკაზე ღორის აყვანას, რომ იგი ფიცრის გადაწონვით აეწია. როდესაც დერვილმა იკითხა, ბატონი შაბერი აქ ცხოვრობსო, არც ერთმა ბავშვმა არ უპასუხა და სამივემ მას გონებამახვილური სიშტერის გამომეტყველებით შეხედა, თუ ამ სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება. დერვილი კვლავ შეეკითხა, მაგრამ ისევ ამაოდ. ამ სამი ცუღლუტი ბავშვის სახის დამცინავი გამომეტყველებით მოთმინებიდან გამოსულმა დერვილმა მათ ხუმრობით შეაგინა. ახალგაზრდები ბავშვებს ასე მიმართავენ ხოლმე და მათ ჰგონიათ, რომ ამის უფლება აქვთ. ბიჭებმა დუმილი უხეში სიცილით დაარღვიეს. დერვილი გაგულისდა, პოლკოვნიკმა მისი ხმა გაიგონა, სარძევე ოთახის გვერდით მიდგმული პატარა დაბალი ოთახიდან გამოვიდა და კარის ზღურბლზე გამოჩნდა აუწერელი მხედრული სიმშვიდით. პირში ედო ერთი იმ ჩიბუხთაგანი, რომელსაც თამბაქოს მწეველები გამომწვარ ჩიბუხს ეძახიან. ეს უბრალო, თეთრი თიხის ჩიბუხი იყო. შაბერმა საშინლად გაჭუჭყიანებული ქუდის წინაფრა აიწია და დერვილის დანახვისთანავე ნაკელზე გადაიარა, რათა თავის კეთილისმყოფელთან რაც შეიძლება მალე მისულიყო, თან ბავშვებს მეგობრულად გასძახა:

_ ასეულო, სმენა!

ბავშვები მაშინვე მორიდებულად დაწყნარდნენ, რაც იმას მოწმობდა, რომ მოხუც ჯარისკაცს მათზე გავლენა ჰქონდა.

_ რატომ არ მომწერეთ? _ უთხრა პოლკოვნიკმა დერვილს. _ ბოსელის გასწვრივ გამოჰყევით, აი ისე, მანდ გზა მოკირწყლულია, _ წამოიძახა მოხუცმა, როდესაც ვექილს ყოყმანი შენიშნა: დერვილი ნაკელში ფეხის გასვრას ერიდებოდა.

ქვიდან ქვაზე ხტომით ვექილმა იმ კარს მიაღწია, საიდანაც პოლკოვნიკი გამოვიდა. შაბერს არ ესიამოვნა, რომ იძულებული იყო დერვილი თავის საცხოვრებელ ოთახში მიეღო; სტუმარმა ოთახში მხოლოდ ერთი სკამი დაინახა. პოლკოვნიკის ლოგინი წარმოადგენდა რამდენიმე კონა ჩალას, რაზედაც დიასახლისს გადაეფარებინა ორი თუ სამი ნაჭერი, ვინ იცის სად ნაპოვნი, იმ ძველი მაუდისა, რომელსაც მერძევე ქალები თავიანთი ურიკების სკამებზე აფენენ. იატაკი მიწისა იყო, მეტი არაფერი. ობმოკიდებული, მომწვანო და დახეთქილი კედლები დანესტიანებულიყო იმ კედელთან, სადაც პოლკოვნიკი წვებოდა.

ლერწმის ჭილობი აეფარებინათ. ნაცნობი ინგლისური სერთუკი ლურსმანზე ეკიდა. ორი წყვილი უვარგისი ჩექმა კუთხეში ეყარა, თეთრეული არსად ჩანდა, ჭიებით დაჭმულ მაგიდაზე პლანშეს მიერ გადაბეჭდილი «დიდი არმიის ბიულეტენები» იყო გადაშლილი. როგორც ეტყობოდა, მას პოლკოვნიკი კითხულობდა. გარშემო გამეფებულ სიღარიბეშიაც პოლკოვნიკს სახეზე სიმშვიდე ეხატა. დერვილთან დარბაზობას მისთვის სახის გამომეტყველება შეეცვალა, იმედით გასხივოსნებულ მის ნაკვთებში ვექილმა ბედნიერ ფიქრთა კვალი შენიშნა.

_ ჩიბუხის ბოლი ხომ არ გაწუხებთ? _ თქვა მან, თან ვექილს გატეხილი სკამი მიაწოდა.

_ პოლკოვნიკო, თქვენ აქ საშინლად ცხოვრობთ.

ეს ფრაზა დერვილს წამოაცდენინა ვექილებისათვის დამახასიათებელმა უნდობლობამ და სამწუხარო გამოცდილებამ, რასაც მათ აძლევს ის საშინელი და უცნობი დრამები, რომლებსაც ისინი ესწრებიან.

«აი, ადამიანი, _ გაიფიქრა ვექილმა, _ რომელმაც ჩემი ფული, ალბათ, მხედრის სამ ღვთისნიერ სათნოებას _ თამაშობას, ღვინოსა და ქალებს შეალია».

_ მართალია, ბატონო, ჩვენ აქ ფუფუნებით არ ვბრწყინავთ. ეს ბანაკი შეძლებისდაგვარად მეგობრების მიერ არის მოწყობილი, მაგრამ... (აქ მხედარმა კანონმცოდნეს თვალი თვალში გაუყარა) _ მაგრამ, მე არავისთვის მიწყენინებია. არავისთვის ხელი არ მიკრავს და მშვიდად მძინავს.

ვექილმა გაიფიქრა, უხერხული იქნება ჩემს მიერ მიცემული თანხის ანგარიში მოვთხოვოო, და დაკმაყოფილდა იმით, რომ უთხრა:

_ რატომ პარიზში გადასვლა არ მოისურვეთ. იქ ასევე იაფად იცხოვრებდით და უკეთ მოეწყობოდით.

_ კი მაგრამ, _ უპასუხა პოლკოვნიკმა, _ ამ დიდებულმა ადამიანებმა, ვისთანაც ვცხოვრობ, მიმიღეს და მთელ წელიწადს უფასოდ მარჩინეს! როგორ მიმეტოვებინა ისინი მაშინ, როდესაც ცოტაოდენი ფული ვიშოვე? მერე ამ სამი ბიჭის მამა ძველი ეგვიპტელია.

_ როგორ თუ ეგვიპტელი?

_ ასე ვეძახით ეგვიპტის ექსპედიციის მონაწილე ჯარისკაცებს. ამ ექსპედიციაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. ყველა იქიდან დაბრუნებულნი ძმებივით ვიყავით. ვერნიო მაშინ ჩემს პოლკში იყო და უდაბნოში ჩვენ სასმელ წყალს ვიყოფდით. ამას გარდა, ვერნიოს ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება ჯერ არ დამიმთავრებია.

_ თქვენი ფულით ვერნიოს შეეძლო უკეთ მოეწყვეთ.

_ ჰმ! _ წამოიძახა პოლკოვნიკმა, _ მისი ბავშვებიც ჩემსავით ჩალაზე წვებიან. ვერნიოს და მის ცოლსაც არა აქვთ უკეთესი საწოლი. ხომ ხედავთ, ისინი რა ღარიბები არიან! ისეთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რომელიც მათ ძალას აღემატება. თუ ჩემი ქონება დავიბრუნე... მაგრამ ეს რა სალაპარაკოა...

_ პოლკოვნიკო, ამ დღეებში უნდა მივიღო ჰეილსბერგიდან საბუთები. თქვენი მხსნელი ქალი ჯერ კიდევ ცოცხალია.

_ წყეული ფული! რა სამწუხაროა, რომ არა მაქვს! _ წამოიძახა შაბერმა და თავისი ჩიბუხი მიწას დაანარცხა.

გამომწვარი ჩიბუხი მწეველებისათვის ძვირფასია. მაგრამ ისეთი ბუნებრივი ჟესტი იყო ეს, ისეთი კეთილშობილი მოძრაობა, რომ ყველა თამბაქოს მწეველი და თვით თამბაქოს სააქციზო სამმართველოც აპატიებდნენ მას თამბაქოს ამ ღვთაებრივი უფლებების შეურაცხყოფას. ანგელოზები, ალბათ, ჩიბუხის ნამსხვრევებს შეჰკრებდნენ.

_ პოლკოვნიკო, თქვენი საქმე მეტისმეტად რთულია, _ თქვა დერვილმა, როცა ოთახიდან სახლის წინ მზეზე გასასეირნებლად გამოვიდნენ.

_ მე კი ეს საქმე სავსებით მარტივად მეჩვენება, _ მიუგო მხედარმა. _ მკვდრად მთვლიდნენ, მაგრამ აი, აქა ვარ! დამიბრუნეთ ჩემი ცოლი და ქონება. მომეცით გენერლის ხარისხი, რომლის მიღების უფლებაც მაქვს, რადგან იმპერატორის გვარდიაში ეილაუს ბრძოლის წინადღით პოლკოვნიკის წოდებით ჩავირიცხე.

_ საქმეები იურიდიულ სამყაროში ასე არ მიმდინარეობს, _ განაგრძო დეევილმა. _ მომისმინეთ. თქვენ გრაფი შაბერი ბრძანდებით, მე ეს მჯერა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს იურიდიულად დავუმტკიცოთ იმ ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უარჰყონ თქვენი არსებობა. თქვენს საბუთებს ისინი სადავოდ გახდიან. ეს დავა გამოიწვევს

ათ ან თორმეტ წინასწარ განსახილველ საკითხს. ყველა ეს საკითხი სადავო წესით უმაღლეს ინსტანციას მიაღწევს, რაც გამოიწვევს ძვირად ღირებულ პროცესებს, საქმის გაჭიანურებას. მიუხედავად ჩვენი აქტივობისა, თქვენი მოწინააღმდეგენი მოითხოვენ გამოძიებას, რაზედაც უარის თქმას ვერ შევძლებთ. შეიძლება საჭირო შეიქნას პრუსიაში მოწმეთა დამკითხავი კომისიის გაგზავნა. მაგრამ ვივარაუდოთ საქმის საუკეთესო მიმდინარეობა; დავუშვათ, სასამართლომ სწრაფად სცნო, რომ თქვენ პოლკოვნიკი შაბერი ხართ. განა ჩვენ ვიცით, როგორ გადაწყდება გრაფი ფეროდის მეუღლის სრულიად უდანაშაულო ორქმრიანობის საკითხი? ამ შემთხვევაში უფლებრივი მხარე გათვალისწინებული არაა კოდექსით და მოსამართლეებს მისი განსჯა შეუძლიათ მხოლოდ სინდისის მიხედვით, როგორც იქცევა სასამართლო სოციალურად არაჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმეების გარჩევის დროს. ამასთანავე თქვენ ბავშვი არა გყოლიათ, გრაფი ფეროდის ხელში კი თქვენს ცოლს ორი ბავშვი ჰყავს; მოსამართლეებს შეუძლიათ გაბათილება ქორწინებისა, რომელსაც მეტად სუსტი დამაკავშირებელი ძაფები შეუქმნია, იმ ქორწინების სასარგებლოდ, რომელიც უფრო მტკიცეა, რადგან იგი დაქორწინებულთა ნებაყოფლობით იყო შეკრული. ზნეობრივად თქვენი პოზიცია განა ლამაზი იქნებოდა, რომ თქვენს ასაკსა და იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებით, ყველაფრის ანგარიშგაუწევლად მოგესურვებინათ დაგებრუნებინათ ქალი, რომელსაც აღარ უყვარხართ? თქვენს წინააღმდეგ იქნება თქვენი ცოლი და მისი ქმარი, ორი ძლიერი პიროვნება, რომლებიც სასამართლოზე გავლენის მოხდენას შეძლებენ. ამრიგად, საქმე შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თქვენ კი ამასობაში მწუხარება დაგაბერებთ.

_ ჩემი ქონება?

_ თქვენ ფიქრობთ, იგი ისევ ძალიან დიდია?

_ განა ოცდაათი ათასი ლივრი რენტა არა მქონდა?

_ ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო, 1799 წელს, თქვენს დაქორწინებამდე შეადგინეთ ანდერძი, რომლითაც ქონების მეოთხედს საქველმოქმედო დაწესებულებებს უტოვებდით.

_ მართალია.

_ თქვენი სიკვდილის გამოცხადების შემდეგ განა არ უნდა შესდგომოდნენ ქონების აღწერას და ლიკვიდაციას, რათა საქველმოქმედო დაწესებულებებისათვის მეოთხედი მიეცათ? თქვენი მეუღლე ღარიბების მოტყუებას არ მორიდებია; აღწერაში მან უეჭველად განზრახ ნაღდი ფული და ძვირფასეულობა არ შეიტანა, მხოლოდ ვერცხლეულის მცირე

ნაწილი ჩააწერინა და მოძრავი ქონება შეაფასებინა ნამდვილი ღირებულების მხოლოდ ერთ მესამედად. თქვენი მეუღლე ასე მოიქცა იმიტომ, რომ ან მეტი წილი რგებოდა, ან გადასახადი შემცირებულიყო. ასე შედგენილმა აღწერამ ექვსასი ათასი ფრანკის ღირებულების ქონება დაადგინა. თავის მხრივ, თქვენს ქვრივს უფლება ჰქონდა ქონების ნახევარზე. ყველაფერი გაიყიდა, ყველაფერი მანვე გამოისყიდა, ყველაფრით ისარგებლა. საქველმოქმედო დაწესებულებებმა თავიანთი სამოცდათექვსმეტი ათასი ფრანკი მიიღეს. მერე, რადგან ხაზინა იღებდა თქვენგან მემკვიდრეობას, იმიტომ, რომ ანდერძში ცოლი ნახსენები არ გყავდათ, იმპერატორმა თქვენს ქვრივს დეკრეტით დაუბრუნა ის ნაწილიც, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ახლა რაზე გაქვთ უფლება? მხოლოდ სამას ათას ფრანკზე, ხარჯების გამოკლებით.

_ თქვენ ამას მართლმსაჯულებას ეძახით? _ ჰკითხა თავზარდაცემულმა პოლკოვნიკმა.

_ რასაკვირველია...

_ კარგი მართლმსაჯულება ყოფილა!

_ ასეა, ჩემო საბრალო პოლკოვნიკო! თვითონვე ხედავთ, რომ თქვენი საქმე არც თუ ისე კარგად ყოფილა, როგორც გეგონათ. ქალბატონ ფეროდს შეუძლია მოისურვოს და ის ნაწილიც დაინარჩუნოს, რომელიც იმპერატორმა უბოძა.

_ მაგრამ ის ქვრივი არ იყო, დეკრეტს ძალა არა აქვს...

_ თანახმა ვარ. ყველაფერს შეიძლება გავეკამათოთ. მომისმინეთ, ასეთ მდგომარეობაში, მე ვფიქრობ, რომ პროცესის კვანძის საუკეთესო გახსნა თქვენთვისა და ქალბატონ ფეროდისათვის იქნებოდა საქმის მორიგებით გათავება. ამით მოიგებდით ქონებას, იმ ქონებაზე უფრო მეტს, რაზედაც თქვენ უფლების აღდგენას შეძლებდით.

_ ეს ხომ ცოლის გაყიდვა იქნებოდა?

_ ოცდაოთხი ათასი ფრანკი რენტა გექნებოდათ და თქვენს მდგომარეობაში იპოვიდით წინანდელ ცოლზე უფრო შესაფერ ქალას, რომელიც მეტ ბედნიერებას მოგანიჭებდათ. ვფიქრობ, დღესვე ვინახულო გრაფი ფეროდის მეუღლე ნიადაგის მოსასინჯად. მაგრამ თქვენს გაუფრხილებლად ამ ნაბიჯის გადადგმა არ მინდოდა.

_ ერთად წავიდეთ მასთან...

_ ამნაირად, როგორც თქვენ ხართ? _ თქვა ვექილმა. _ არა, არა, პოლკოვნიკო, ამით საქმეს სულ წააგებდით... თქვენს პროცესს...

_ ჩემი საქმის მოგება შეიძლება?

_ ყველა მუხლში, _ უპასუხა დევრილმა, _ მაგრამ, ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო შაბერ, თქვენ ერთ გარემოებას არ აქცევთ ყურადღებას. მე მდიდარი არა ვარ, ჩემი საქმე სავსებით ვერ უზრუნველმყოფს. თუ სასამართლო მოგისჯით წინასწარ თანხას თქვენი ქონების ანგარიშში. ეს შეიძლება მოხდეს იმის შემდეგ, როდესაც თქვენ გრაფ შაბერად, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერად გცნობენ.

_ უყურეთ, მე ვარ ლეგიონის კავალერი! ამაზე აღარც კი მიფიქრია, _ თქვა მან გულუბრყვილოდ.

_ დიახ, მანამდე, _ განაგრძო დევილმა. _ დავა ხომ უნდა ვაწარმოოთ, გადავუხადოთ ფული ვექილებს, ჩავიბაროთ აღმასრულებელი ფურცლები და მათი ხარჯები გავიღოთ, აქეთ-იქით ვატაროთ სასამართლოს ბოქაულები, თან ვიარსებოთ? ხარჯები მოსამზადებელ ინსტანციებში, ჩემი ვარაუდით, თორმეტიდან თხუთმეტი ათას ფრანკამდე მიაღწევს, მე კი ასეთი თანხა არ მაბადია, განადგურებული ვარ იმ დიდი პროცენტებით, რასაც ვუხდი მას, ვინც ჩემი თანამდებობის შესაძენად ფული მასესხა. თქვენ კი სად იშოვით ამ თანხას?

საწყალი მხედრის სხივდაკარგულ თვალებს ცრემლი მოსწყდა და დაღარულ ლოყებზე დაედინა. ამ სიძნელეების წარმოდგენამ გული გაუტეხა. საზოგადოებრივი სამყარო და მართლმსაჯულება გულს კოშმარივით დააწვა.

_ წავალ, _ წამოიძახა მან, _ ვანდომის მოედნის სვეტის ძირში და იქ დავიძახებ: «მე ვარ პოლკოვნიკი შაბერი, რომელმაც ეილაუში რუსების დიდი კარე გაარღვია!» სვეტის ბრინჯაო მიცნობს მე.

_ და თქვენ, ალბათ, საგიჟეთში ჩაგსვამენ, _ ამ საშინელი სიტყვის გაგონებამ მხედრის აღტყინება დააცხრო.

_ არც სამხედრო სამინისტრო მიშველის?

_ სამხედრო სამინისტრო! _ თქვა დერვილმა. _ მიდით იქ, მხოლოდ კარგად გაფორმებული სასამართლოს დადგენილებით, რომელიც თქვენი სიკვდილის აქტს გაბათილებულად გამოაცხადებს. სამხედრო კანცელარიები იმპერიის ადამიანთა მოსპობის შესაძლებლობაზე ოცნებობენ.

პოლკოვნიკი ერთ ხანს დაბნეული, გაქვავებული იყო, მისი გაშტერებული თვალები ვერაფერს ხედავდნენ, ის უსაზღვრო სასოწარკვეთილებას მისცემოდა. სამხედრო მართლმსაჯულება გულწრფელია, სწრაფი, ერთი დაკვრით გადასწყვეტს და თითქმის ყოველთვის სწორად სჯის. შაბერი მხოლოდ ამ მართლმსაჯულებას იცნობდა. როდესაც იმ სიძნელეების ლაბირინთი დაინახა, სადაც უნდა შეჭრილიყო, როდესაც გაიგო, რამდენი

ფული დასჭირდებოდა იქიდან თავის დასაღწევად, საბრალო ჯარისკაცს სასიკვდილო ლახვარი მოხვდა ადამიანის იმ განსაკუთრებულ სფეროში, რომელსაც ნებისყოფას ეძახიან. პოლკოვნიკს მოეჩვენა, რომ სიცოცხლე აუტანელი გახდებოდა სასამართლოებში ხეტიალით. შაბერისათვის ათასჯერ მარტივი იქნებოდა დარჩენილიყო ღარიბი, მათხოვარი, სადმე უბრალო ცხენოსნად მოწყობილიყო, თუკი რომელიმე პოლკი მიიღებდა. ფიზიკურსა და მორალურ ტანჯვას უკვე დაეზიანებინა მოხუცის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო. შაბერის ავადმყოფობა იმ სნეულებათა ჯგუფს ეკუთნოდა, რომელსაც მედიცინაში სახელწოდება არა აქვს. ეს ავადმყოფობა ნერვულ სისტემასავით მთელ სხეულში არის მოდებული და სწორედ ჩვენი მანქანის ეს ნაწილი _ ნერვები ყველაზე უფრო გალახულია; ამ სნეულებას უბედურების სპლინი უნდა ეწოდოს. რაც უნდა მძიმე ყოფილიყო ეს უჩინარი, მაგრამ უტყუარი ავადმყოფობა, იგი გაივლიდა, საქმეს რომ კარგი ბოლო ჰქონოდა. ამ მაგარი ორგანიზმის საბოლოოდ დანგრევისათვის საკმარისი იყო რაიმე ახალი დაბრკოლება, რაიმე მოულოდნელი შემთხვევა, და ეს დაამსხვრევდა დასუსტებულ რესორებს, წარმოშობდა იმ მერყეობას, იმ აუხსნელ, დაუსრულებელ მოქმედებებს, რომლებსაც ფიზიოლოგები ამჩნევენ მწუხარებით განადგურებულ ადამიანებში.

როდესაც დერვილმა თავისი კლიენტის ღრმა მჭუნვარება შენიშნა, უთხრა:

_ გამაგრდით, ეს საქმე მხოლოდ თქვენდა სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ აწსონ-დასწონეთ, შეგიძლიათ თუ არა სავსებით მენდოთ და ბრმად მიიღოთ ის შედეგი, რომელსაც მე თქვენთვის საუკეთესოდ ჩავთვლი.

_ იმოქმედეთ, როგორც გენებოთ, _ თქვა შაბერმა.

_ კი, მაგრამ სასიკვდილოდ მიმავალი ადამიანივით მაბარებთ თქვენს თავს?

_ ხომ არ დავკარგავ მდგომარეობას, სახელს? განა ეს ასატანია?

_ მე ასე არ მესმის, _ თქვა ვექილმა. _ ჩვენ მივაღწევთ მორიგებით სასამართლოს დადგენილებას, რომელიც თქვენი სიკვდილისა და ქორწინების შესახებ არსებულ აქტებს გააბათილებს და უფლებებს აღგიდგენთ. გრაფი ფეროდის გავლენით თქვენ შეტანილი იქნებით არმიის სიაში გენერლის წოდებით და თქვენ, ალბათ, პენსიას დაგინიშნავენ.

_ კარგი! _ უპასუხა შაბერმა. _ სავსებით გენდობით.

_ მე გამოგიგზავნით მინდობილობას ხელმოსაწერად, _ უთხრა დევილმა, _ ნახვამდის, ყოჩაღად იყავით! თუ ფული დაგჭირდეთ, ჩემი იმედი იქონიეთ.

შაბერმა დერვილს ხელი მხურვალედ ჩამოართვა, ზურგით კედელს მიყრდნობილმა; ძალა აღარ ჰქონდა, რომ სტუმარი გაეცილებინა და მხოლოდ თვალი გააყოლა. მოულოდნელმა ბრძოლამ შეაშინა იმ ადამიანივით, რომელიც სასამართლოს საქმეებში ნაკლებად ერკვევა... ამ თათბრის დროს ალაყაფის კარის ბოძთან რამდენჯერმე გამოჩნდა მოდარაჯებული კაცი, რომელიც დერვილს უთვალთვალებდა. როდესაც დერვილი გავიდა, იგი გვერდში ამოუდგა. ეს იყო მოხუცი კაცი, მას ეცვა ლურჯი ქურთუკი, ნაოჭებიანი, თეთრი სამუშაო შარვალი, როგორსაც ლუდის მხდელები ატარებენ, თავზე კი წავის ტყავის ჩიხაქუდი ეხურა. ნაოჭებით დაღარულ შავგვრემან სახეს ყვრიმალის ძვალთან, ჰაერზე მუდმივი შრომის გამო, მზე მოჰკიდებოდა.

_ მომიტევეთ, ბატონო, _ უთხრა დერვილს და მკლავზე ხელი მოჰკიდა, _ რომ თავს ნებას ვაძლევ დაგელაპარაკოთ, მაგრამ, როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, ჩვენი გენერლის მეგობარი ბრძანდებით.

_ ჰო, _ უთხრა დერვილმა, _ რა გაინტერესებთ? თქვენ ვინ ბრძანდებით? _ ჰკითხა ვექილმა.

_ მე ლუი ვერნიო გახლავართ, _ უპასუხა მოხუცმა, _ და მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

_ მაშ, ეს თქვენა ხართ, გრაფი შაბერი ასე კარგად რომ დააბინავეთ?

_ უკაცრავად, მომიტევეთ, ბატონო, მას ყველაზე უკეთესი ოთახი აქვს. მე ჩემსას მივცემდი, კიდევ ერთიც რომ მქონოდა, თვითონ საჯინიბოში დავწვებოდი. მრვალტანჯული ადამიანი, რომელიც ჩემს ბიჭუნებს წერა-კითხვას ასაწავლის, გენერალი, ეგვიპტელი, პირველი ლეიტენანტი, რომლის ხელქვეითად ვმსახურობდი... იგი საუკეთესოდ არის დაბინავებული. მასთან ერთდ ვინაწილებთ, რაც კი მაბადია. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გვაქვს: პური, რძე და კვერცხი. რა ვქნათ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო. კეთილი გულით ვექცევით, მაგრამ მან გვაწყენინა.

_ გაწყენინათ?

_ დიახ, ბატონო, გვაწყენინა, და მერე როგორ! როგორც ხედავთ, ისეთ საქმეს მოვეკიდე, რომ ხელმოკლეობის გამო თავი ვერ გავართვი. მიხვდა. შეწუხდა, ცხენის მოვლა დაიწყო!.. მე მას ვუთხარი: «ჩემო გენერალო, როგორ იქნება!»

«ეჰ!.. _ მიპასუხა მან, _ მე არ მინდა დოყლაპიასავით ვეგდო. ისედაც დიდი ხანია შინაურ კურდღელს ზურგს ვფხან...» მე თამასუქი მივეცი ჩემი ბოსლის გირაოდ ვინმე გრანდოს... თქვენ ბატონო, მას იცნობთ?

_ მაგრამ, ჩემო კარგო, მე რომ დრო არა მაქვს თქვენს მოსასმენად. მხოლოდ ის მითხარით, პოლკოვნიკმა როგორ დაგტანჯათ?

_ მან დაგვტანჯა, ბატონო, ჭეშმარიტად ისე, როგორც მე ლუი ვერნიოს მეძახიან; ჩემმა ცოლმა იტირა. პოლკოვნიკმა მეზობლებისაგან გაიგო, რომ ნასესხები ფულიდან ერთი სუც აღარ დაგვრჩა. ბებერმა ჯარისკაცმა, ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ისე დააგროვა, რასაც თქვენ აძლევდით, და თამასუქი გამოისყიდა. რა ცუდად მოგვექცა. მე და ჩემმა ცოლმა ვიცოდით, რომ ამ საწყალ მოხუცს თამბაქო არ ჰქონდა და იოლად მიდიოდა, ოჰ! ახლა, ყოველ დილას აქვს სიგარები! უმალ მე თავს გავიყიდი... არა! ჩვენ დატანჯული ვართ. მაშასადამე, მე მსურდა თქვენგან, რადგან მან გვითხრა თქვენზე, კარგი კაციაო, სესხად ასიოდე ეკიუ მიგვეღო ჩვენი დაწესებულების საწინდრით, რომ გენერლისთვის ტანისამოსი შეგვეკერინებინა და ოთახი მოგვეწყო. მას ეგონა, ვალი გადაგვიხადა, ნამდვილად კი, ხომ ხედავთ, რა ვალში ჩაგვაგდო... და დაგვტანჯა! ასეთი შეურაცხყოფა ჩვენთვის არ უნდა მოეყენებინა. მან ჩვენ დაგვტანჯა, თავისი მეგობრები! პატიოსნებას ვფიცავ, ჭეშმარიტად ისე, როგორც მე ლუი ვერნიო მქვია, მე უფრო ადრე ჩემს თავს დავაგირავებ, ვიდრე ამ თქვენს ფულს შევირჩენ.

დერვილმა მერძევეს შეხედა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რომ სახლი, ეზო, ნაკელი, ბოსელი, შინაური კურდღლები, ბავშვები ისევ დაენახა.

_ ვფიცავ, კეთილშობილების ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ არ იყო მესაკუთრე, _ თქვა თავისთვის დერვილმა. _ კარგი, შენ მიიღებ ას ეკიუს, და კიდევ მეტსაც, მაგრამ ამას მე კი არ მოგცემ, არამედ პოლკოვნიკი, რომელიც საკმაოდ მდიდარი გახდება და შეძლებს შენს დახმარებას. მე კი არ მინდა, რომ მას ეს სიამოვნება მოვაკლო.

_ ეს მალე იქნება?

_ მალე.

_ ოჰ! ღმერთო ჩემო, რა კმაყოფილი დარჩება ჩემი ცოლი, _ და მერძევეს მზემოკიდებული სახე თითქოს გაუნათლდა.

_ ახლა, _ ჩაილაპარაკა დეევილმა, როდესაც ეტლში ჯდებოდა, _ გავწიოთ თქვენს მოწინააღმდეგესთან, ჩვენს კარტებს ნუ დავანახვებთ, მისი კარტების დანახვას ვეცადოთ და თამაში ერთი დაკვრით მოვიგოთ. უნდა შევაშინო, რაც უნდა იყოს, მაინც ქალია. ყველაზე უფრო ქალებს რისი ეშინიათ? მაგრამ ქალებს მხოლოდ ერთის ეშინიათ...»

დერვილმა გრაფის მეუღლის მდგომარეობის შესწავლა დაიწყო და ღრმა ფიქრს მიეცა, ისეთს, როგორსაც ეძლევიან დიდი პოლიტიკოსები, როდესაც თავიანთ გეგმებს

ადგენენ და ცდილობენ, მტრის კაბინეტების საიდუმლოს მიხვდნენ. ვექილებიც ხომ ერთგვარი სახელმწიფო მოღვაწენი არიან, რომლებსაც კერძო საქმეები აქვთ დაკისრებული? აქ აუცილებელია, თვალი გადავავლოთ გრაფი ფეროდისა და მისი მეუღლის მდგომარეობას, რათა ვექილის გამჭრიახობას მიხვდეთ.

გრაფი ფეროდი იყო შვილი პარიზის პარლამენტის მრჩევლისა, რომელმაც ტერორის დროს საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს, მაგრამ ქონება კი დაჰკარგა. კონსულობის დროს შვილი დაბრუნდა და იმავე ლუი მეთვრამეტის ინტერესების მუდმივი, ერთგული დამცველი დარჩა, რომლის შინაკაცი იყო მამამისი რევოლუციამდე. ამგვარად, ის ეკუთვნოდა სენ-ჟერმენის გარეუბნის იმ პარტიას, რომელიც კეთილშობილად გაუმაგრდა ნაპოლეონის ცთუნებას. ახალგაზრდა გრაფს, რომელსაც მაშინ უბრალოდ ბატონ ფეროდს ეძახდნენ, ნიჭიერი ადამიანის სახელი ჰქონდა და იმპერატორმა მისი გულის მონადირება მოინდომა. იმპერატორი ისე ბედნიერად თვლიდა თავს არისტოკრატიაზე გამარჯვებებით, როგორც ბრძოლის მოგებით. გრაფს აღუთქვეს წოდების აღდგენა, გაუყიდავი ქონების დაბრუნება, შორეულ მომავალში მინისტრობა, სენატორობა. მაგრამ იმპერატორი დამარცხდა. გრაფი შაბერის სიკვდილის დროს ბატონი ფეროდი ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა იყო, ქონება არ გააჩნდა. ბუნებას სასიამოვნო გარეგნობით დაეჯილდოებინა. ამიტომაც დიდი წარმატება ჰქონდა და სენ-ჟერმენის გარეუბნის სასახელო წევრად ითვლებოდა. გრაფი შაბერის მეუღლემ ქმრის მემკვიდრეობიდან ისეთი კარგი სარფა ნახა, რომ დაქვრივების მეთვრამეტე თვეზე, დაახლოებით ორმოცი ათასი ლივრი რენტა ჰქონდა. ახალგაზრდა გრაფისა და მისი დაქორწინება სენ-ჟერმენის გარეუბნის წრეებს დიდ ამბად არ მიუღიათ. ნაპოლეონი კმაყოფილი დარჩა ამ ქორწინებით, რომელიც შეესაბამებოდა მის ზრახვებს არისტოკრატიასთან დაახლოების შესახებ, და ქალბატონ შაბერს დაუბრუნა პოლკოვნიკის მემკვიდრეობიდან ხაზინის კუთვნილი წილიც. მაგრამ ნაპოლეონს იმედი გაუცრუვდა. ქალბატონ ფეროდს ეს ახალგაზრდა უყვარდა არა მარტო როგორც სატრფო, არამედ იგი გატაცებული იყო იმ მედიდურ საზოგადოებაში შესვლის სურვილით, რომელიც, თავის დაქვეითების მიუხედავად, იმპერატორის კარზე მაღლა იდგა. ამ ქორწინებით მან ვნებასთან ერთად დიდების მოყვარეობაც დაიკმაყოფილა. იგი მაღალი საზოგადოების ქალი გახდა. როდესაც სენ-ჟერმენის გარეუბანმა გაიგო, რომ ახალგაზრდა გრაფის ქორწინება ღალატს არ ნიშნავდა, სალონებმა მის ცოლს კარი გაუღეს. მოხდა რესტავრაცია. გრაფი ფეროდის პოლიტიკური კარიერა სწრაფი არ იყო. მას ესმოდა, რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ლუი მეთვრამეტე. გრაფი ფეროდი იმ

განდობილთა რიცხვში იყო, რომლებიც «რევოლუციების უფსკრულის ამოვსებას» ელოდნენ. მეფის ამ ფრაზაში, რომელსაც ლიბერალები ესოდენ დასცინოდნენ, პოლიტიკური აზრი იმალებოდა. მიუხედავად ამისა, იმ გრძელ საკანცელარიო წინადადებაში მოყვანილი ბრძანებულებით, რომლითაც ეს მოთხრობა იწყება, გრაფ ფეროდს დაუბრუნდა ორი ტყე და მამული. დაბრუნებული ქონების ღირებულება ჩამორთმევის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა იმ ხანებში გრაფი ფეროდი იყო სახელმწიფო მრჩეველი და გენერალ-დირექტორი, მაგრამ იგი თავის მდგომარეობას პოლიტიკური კარიერის დასაწყისად თვლიდა. უზომო პატივმოყვარეობით შეპყრობილმა მდივნად აიყვანა ერთი გაკოტრებული ძველი ვექილი, გვარად დელბეკი. კაცი მეტად მოხერხებული, რომელმაც მშვენივრად იცოდა ყველა ხრიკი და ფანდები. თავისი პირადი საქმეების წარმოება გრაფმა მას ჩააბარა. მოხერხებულ ვექილს თავისი მდგომარეობა საკმაოდ კარგად ესმოდა. მისთვისვე იქნებოდა სასარგებლო, რომ პატიოსნად მოქცეულიყო. დელბეკს იმედი ჰქონდა, პატრონის ნდობის მოპოვებით რაიმე სამსახურს იშოვნიდა. გრაფი ფეროდის ქონება მთელი მისი ზრუნვის საგნად იქცა. ვექილის ახლანდელი ყოფა-ქცევა მის წარსულ ცხოვრებას ისე იყო დაშორებული, რომ მას ცილდაწამებულ კაცად სთვლიდნენ. ტაქტითა და ალღოთი, რომლებითაც, ცოტად თუ ბევრად, ყველა ქალია დაჯილდოებული, გრაფის მეუღლე მიხვდა, რა კაციც იყო მისი ქმრის მოურავი და მას მოხერხებულად ადევნებდა თვალს და ისე შესანიშნავად უძღვებოდა, რომ მოურავი უკვე კარგად გამოიყენა თავისი პირადი ქონების გასადიდებლად. ქალბატონმა ფეროდმა შესძლო დელბეკი დაერწმუნებინა, ქმარი ჩემი მორჩილიაო, და თან აღუთქვა, საფრანგეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქში პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნაში ხელს შეგიწყობ, თუ ჩემს ინტერესებს თავდადებულად დაიცავო.

მუდმივი ადგილის შეპირებამ, რომლის მიღებაც მას ხელსაყრელად დაქორწინების საშუალებას მისცემდა, ხოლო მერე პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო მაღალ მდგომარეობას მოუპოვებდა, რადგან დეპუტატად იქნებოდა არჩეული, დელბეკი გრაფის მეუღლის ყურმოჭრილი მონა გახადა. არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვია, რომ გრაფის მეუღლის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა. რესტავრაციის პირველი სამი წლის განმავლობაში ასეთ შემთხვევებს მოხერხებულ ადამიანებს ხშირად სთავაზობდა ბირჟის მერყეობა და კერძო საკუთრებაზე ფასის აწევა. ვექილმა თავისი მფარველის ქონება გაასამკეცა. ეს ადვილად მოახერხა, რადგან გრაფის მეუღლე არავითარ საშუალებებს არ

ერიდებოდა, ოღონდ კი უზარმაზარი ქონების პატრონი გამხდარიყო, თავისი შემოსავლის კაპიტალიზაცია რომ მოეხდინა, ოჯახის ხარჯებისათვის თავისი ქმრის ხელფასს იყენებდა. დელბეკი ამ ძუნწი ქალის ანგარიშებს ისე დაემორჩილა, რომ არც კი ცდილა გრაფის მეუღლის სიძუნწის მიზეზს მიხვედრილიყო. დელბეკის მსგავს ადამიანებს მხოლოდ ისეთი საიდუმლოება აწუხებს, რომლის მიხვედრა შეიძლება თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ. ამას გარდა, დელბეკისათვის გრაფის მეუღლის ოქროსმოყვარულობა გასაგები იყო, რადგან პარიზელ ქალთა უმრავლესობა ამ სენით არის შეპყრობილი. გრაფი ფეროდის ზრახვების განხორციელებაც დიდ ქონებას მოითხოვდა. ამის გამო მოურავი ზოგჯერ გრაფის მეუღლის სიძუნწეში ერთგულების გამოხატულებას ხედავდა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ამ ქალს ყოველთვის უყვარდა. თავისი საქციელის საიდუმლოებანი გრაფის მეუღლემ გულის სიღრმეში ჩამარხა. აქ იყო მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი, აქ იყო სწორედ ამ ამბის კვანძი. 1818 წლის დასაწყისში რესტავრაცია გარეგნულად მყარ საფუძველზე იყო დამყარებული, მისი მთავრობის დოქტრინებს, მაღალი გონების ადამიანთა გაგებით, საფრანგეთის ახალი კეთილდღეობის ხანა უნდა შეექმნა. მაშინ პარიზის საზოგადოებამ სახე იცვალა. გრაფის მეუღლისთვის ეს გათხოვება სიყვარულის, ქონებისა და პატივმოყვარეობის ქორწინება გამოდგა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მშვენიერი ქალბატონი ფეროდი საზოგადოების თვალი იყო და მეფის კარზე ტრიალებდა. თვითონ მდიდარი იყო, ქმარიც მდიდარი ჰყავდა, სახელმოხვეჭილი, როგორც როიალისტების პარტიის ერთ-ერთი უნიჭიერესი ადამიანი და მეფის მეგობარი, რომელიც, ალბათ, მინისტრობას მიიღებდა. ამრიგად, გრაფის მეუღლე არისტოკრატიას ეკუთვნოდა, მისი ბრწყინვალების მონაწილე იყო. ამ გამარჯვების მიუხედავად, ქალბატონ ფეროდს ერთგვარი სულიერი სნეულება ღრღნიდა. არის გრძნობები, რომლებსაც ქალები ხვდებიან მიუხედავად იმ სიფრთხილისა, რასაც მამაკაცები მათ დასამალავად იჩენენ.

მეფის პირველი დაბრუნების დროს გრაფმა თავისი ქორწინების გამო სინანული იგრძნო. პოლკოვნიკი შაბერის ქვრივის შერთვამ იგი ვერავის ვერ დაუკავშირა. გრაფი ფეროდი მარტო იყო, ვერავის დაეყრდნობოდა ათასგვარი ხიფათითა და მტრობით დასერილ კარიერის გზაზე. მერე, შეიძლება, როდესაც ცივი გონებით შეაფასა თავისი ცოლი, მისი აღზრდის ზოგიერთი ნაკლოვანება დაინახა; გრაფი ფეროდი დარწმუნდა, რომ თავისი ზრახვების განსახორციელებლად ეს ქალი არ გამოადგებოდა. ტალეირანის ქორწინების გამო ქმრის მიერ თქმულმა სიტყვამ გრაფის მეუღლისათვის ნათელჰყო ერთი

რამ: მისი ქმარი რომ ახლა დასაქორწინებელი ყოფილიყო, პოლკოვნიკი შაბერის ქვრივი ვერასოდეს გრაფი ფეროდის ცოლი ვერ გახდებოდა. ამ სინანულს რომელი ქალი აპატიებდა ქმარს? ეს ხომ არ იყო უკვე ჩანასახი ყველა შეურაცხყოფისა, ბოროტმოქმედებისა და გამცემლობისა? წარმოსადგენია, როგორ უნდა დაეკოდა ამ სიტყვას გრაფის მეუღლის გული, თუ დავუშვებთ, რომ მას თავისი პირველი ქმრის დაბრუნებისა ეშინოდა! ქალმა გაიგო, რომ იგი ცოცხალი იყო, მაგრამ ახლოს არ გაიკარა. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც მის შესახებ არაფერი ამბავი არ მოსვლია, ქალბატონი ფეროდი თავს იმით ინუგეშებდა, რომ შაბერი იმპერატორის არწივებთან და ბუტენთან ერთად ვატერლოოში დაიღუპაო. მიუხედავად ამისა, ქალბატონმა ფეროდმა გადაწყვიტა გრაფი უძლიერესი ძალით, ოქროს ჯაჭვით, მიეზიდა თავისკენ. ქალმა გადასწყვიტა ისე გამდიდრებულიყო, რომ თავისი მეორე ქორწინება დაურღვეველი გაეხადა, თუ, შემთხვევით, პოლკოვნიკი შაბერი გამოჩნდებოდა. იგი, მართლაც გამოჩნდა და ქალს ვერ აეხსნა, რატომ არ დაიწყო ის ბრძოლა, რისაც ასე ეშინოდა. იქნებ ტანჯვას, ავადმყოფობას მოეშორებინა მისთვის ეს კაცი. შეიძლება იგი ნახევრად შეშლილი იყო, მაშინ შარენტონში მოთავსებით შეძლებდა მის მოშორებას. ქალბატონმა ფეროდმა არ მოისურვა თავისი საიდუმლოება გაეცნო არც დელბეკისა, არც პოლიციისათვის იმის შიშით, რომ მათგან დამოკიდებული არ გამხდარიყო, ან ამით მარცხი არ დაეჩქარებინა. პარიზში გრაფი ფეროდის ცოლის მსგავსი ბევრი ქალია, რომლებსაც უცნობი ზნეობრივი ურჩხული ჰყავთ გულში ჩამჯდარი, ან რომლებიც უფსკრულის ნაპირს მიჰყვებიან. ისინი მტკივნეული ადგილის გარშემო ქერქს იკეთებენ და მათ თავის გართობა და სიცილი კიდევ შეუძლიათ.

«არის რაღაც ძალიან უცნაური გრაფ ფეროდის მდგომარეობაში, _ ხანგრძლივი ჩაფიქრებისაგან გამოერკვა და თავისთვის თქვა დერვილმა, როდესაც მისი ეტლი ვარენის ქუჩაზე გაჩერდა, ფეროდის სასახლის ჭიშკართან _ ასეთი მდიდარია, მეფეს უყვარს, და რატომ არ არის იგი უკვე საფრანგეთის პერი? შეიძლება მართალია, რაც ქალბატონმა დე გრანლიემ მითხრა: ასეთია მეფის პოლიტიკა. მეფე პერობას დიდ მნიშვნელობას აძლევს და არ სურს, იგი ადვილად მისაწვდომი გახადოსო. ამასთანავე პარლამენტის მრჩევლის შვილი ვერ შეედრება ვერც კრილიონს, ვერც როჰანს. გრაფ ფეროდს ზედა პალატაში მოხვედრა მხოლოდ კანონის დარღვევით, შეპარვით შეუძლია. მაგრამ თუ მისი განქორწინება მოხდებოდა, მას შეეძლო, რითაც მეფეს ძალიან ასიამოვნებდა, მიეღო პერობა მემკვიდრეობად იმ მოხუცი სენატორის ქალიშვილის შერთვის წყალობით,

რომელსაც ვაჟი არ ჰყავს. აი, სწორედ გამოსადეგი გამოგონება გრაფის მეუღლის შესაშინებლად», _ ფიქრობდა დერვილი კიბეზე ასვლისას.

დერვილმა არც კი იცოდა, ისე დაადო თითი საიდუმლო წყლულს. ხელი შეახო იმ კიბოს, რომელიც ქალბატონ ფეროდს ღრღნიდა. ვექილი გრაფის მეუღლემ საზამთრო კოხტა სასადილო ოთახში მიიღო, სადაც ის საუზმობდა, თან მაიმუნს ეთამაშებოდა, რომელიც ჯაჭვით რკინის ჯოხებიან პატარა ბოძზე იყო მიბმული. გრაფის მეუღლეს ლამაზი პენუარი ეცვა. დაუდევრად დამაგრებული თმის კულულები თავსაფრიდან ჩამოშლოდა, რაც მის სახეს ცოცხალ გამომეტყველებას აძლევდა. ის იყო ქორფა და მოცინარი. ვერცხლი, მოოქრული ვერცხლი, სადაფი მაგიდაზე ბრწყინავდნენ. ქალის გარშემო შესანიშნავ ფაიფურის ვაზებში იშვიათი ყვავილები ეწყო. როდესაც ვექილმა პოლკოვნიკი შაბერის ცოლი დაინახა, თავისი ქმრის ნეშტზე გამდიდრებული, ფუფუნების წიაღში, საზოგადოების მაღალ ფენებში მყოფი, იმ დროს, როდესაც უბედური შაბერი ღარიბ მერძევესთან პირუტყვებს შორის ცხოვრობდა, მან გაიფიქრა:

«ამის მორალი ის არის, რომ ლამაზი ქალი არასოდეს მოისურვებს თავის ქმრად იცნოს, არც თავის საყვარლად აღიაროს ადამიანი, რომელსაც ინგლისური ძველი სერთუკი და დახეული ჩექმები აცვია, თავზე კი ბალახის პარიკი აქვს გაკეთებული».

ცბიერმა და მწარე ღიმილმა გამოხატა ნახევრად ფილოსოფიური, ნახევრად დამცინავი აზრები, რომლებიც უნდა მოსვლოდა თავში საქმის შინაარსში ჩასაწვდომად კარგად მომარჯვებულ ადამიანს, მიუხედავად იმ ტყუილებისა, რომლებითაც პარიზელთა ოჯახების უმრავლესობა თავის არსებობას ჰფარავს.

_ გამარჯობა, ბატონო დერვილ, _ უთხრა ქალმა ისე, რომ მაიმუნისათვის ყავის მიწოდება არ შეუწყვეტია.

_ ქალბატონო, _ თქვა მკაცრად დერვილმა, ნაწყენმა გრაფის მეუღლის აგდებული კილოთი, რომლითაც მან წარმოთქვა: «გამარჯობა, ბატონო დევილო», _ მე თქვენთან მოვედი მეტად მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად.

_ ეს ჩემთვის ძალიან საწყენია, ბატონი გრაფი შინ არ ბრძანდება.

_ მე კი მოხარული ვარ, ქალბატონო, რომ გრაფი შინ არ არის, მას რომ ჩვენს საუბარში მონაწილეობა მიეღო, ძალიან ნაწყენი დარჩებოდა. ამასთანავე მე დელბეკისაგან ვიცი, რომ თქვენ ამჯობინებთ, საკუთარ საქმეებს თვით გაუძღვეთ და ბატონ გრაფს არ აწუხებთ.

_ მაშინ დელბეკს დავუძახებ, _ თქვა ქალმა.

_ მიუხედავად მისი მოხერხებულობისა, იგი არ გამოგადგებათ, განაგრძო დევილმა, _ ყური დამიგდეთ, ქალბატონო! ერთი სიტყვა იქნება საკმარისი, რომ გაიგოთ საქმის მთელი სერიოზულობა. პოლკოვნიკი შაბერი ცოცხალია.

_ ასეთი ზღაპრებით გინდათ სერიოზულ გუნებაზე დამაყენოთ? _ გადაიხარხარა გრაფის მეუღლემ.

მაგრამ დერვილმა გრაფის მეუღლეს თვალი მიაპყრო და ამ შეხედვით ყველაფერი ცხადად აგრძნობინა. ისე განაგრძნობდა ვექილი დაკითხვას, თითქოს ქალის გულის სიღრმეში ყველაფერს კითხულობდა.

_ ქალბატონო, _ უთხრა ვექილმა ცივი და მკაცრი სიდინჯით, _ თქვენ არ იცით ის დიდი საფრთხე, რომელიც გემუქრებათ. არაფერს ვიტყვი საბუთების უდავო სისწორეზე, არც იმ ფაქტების უეჭველობაზე, რომლებიც გრაფი შაბერის არსებობას ადასტურებენ. თქვენ იცით, მე არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც წასაგებ საქმეს ხელს ჰკიდებს. თუ თქვენ არ სცნობთ ჩვენს განცხადებას გარდაცვალების აქტის გაბათილების შესახებ, პირველსავე პროცესს წააგებთ, ამ საკითხის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტა კი ყველა დანარჩენ პროცესებს მოგვაგებინებს.

_ რის შესახებ გსურთ ჩემთან ლაპარაკი?

_ არც პოლკოვნიკის, არც თქვენს შესახებ. არ გელაპარაკებით არც იმ ბარათებზე, რომლების შედგენასაც შესძლებდნენ გაქნილი ვექილები, შეიარაღებულნი ამ საინტერესო ფაქტებით, არც იმაზე, როგორ გამოიყენებდნენ ისინი იმ წერილებს, რომლებიც ქმრისაგან მიიღეთ მეორე ქმართან დაქორწინებამდე.

_ ეს მართალი არ არის! _ წამოიძახა ქალმა ცხარედ და თავდაჯერებით, _ გრაფი შაბერისაგან მე წერილები არასოდეს მიმიღია; და თუ ვინმე ამბობს, პოლკოვნიკი ვარო, ის ინტრიგანია, შეიძლება სასჯელმოხდილი კატორღელია კონიარივით. ამაზე ფიქრი ჟრუანტელს მგვრის. განა პოლკოვნიკს, ბატონო, შეუძლია აღსდგეს? ბონაპარტმა თავისი ადიუტანტის პირით სამძიმარი გამომიცხადა და დღესაც ვიღებ სამი ათას ფრანკ პენსიას, რომელიც, მე, მის ქვრივს, პერებისა და დეპუტატების პალატებმა დამინიშნეს. მე საკმაო საბუთები მქონდა ყველა ახალმოვლენილი შაბერები თავიდან მომეცილებინა. ახლაც ახლოს არავის გავიკარებ, ვინც შაბერობას დაიჩემებს.

_ საბედნიეროდ, ქალბატონო, ჩვენ მარტო ვართ. ჩვენ შეგვიძლია, რამდენიც გვინდა, იმდენი ტყუილი ვილაპარაკოთ, _ თქვა ცივად ვექილმა; იგი ერთობოდა გრაფის მეუღლის რისხვის გაღვივებით, რათა მისთვის რაიმე წამოეცდინა. იგი ვექილებისათვის ჩვეულ

ხერხს იყენებდა, რომლებიც სიმშვიდეს იცავენ მაშინ, როდესაც მათი მოწინააღმდეგენი ან კლიენტები ცხარობენ.

«ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს», _ თქვა თავისთვის ვექილმა და მყისვე მოიფიქრა მახის დაგება გრაფის მეუღლისთვის, რათა მისი სისუსტე დაენახვებინა.

_ პირველი წერილის გადმოცემის საბუთი არსებობს, ქალბატონო, _ განაგრძო დერვილმა ხმამაღლა, _ ამ წერილში ფასიანი...

_ ოჰ! რაც შეეხება ფასიან ქაღალდებს, წერილში ამის მსგავსი არაფერი ყოფილა.

_ მაშასადამე, თქვენ ეს პირველი წერილი მიგიღიათ, _ განაგრძო ღიმილით დერვილმა. _ უკვე გაებით პირველსავე მახეში, რომელიც ვექილმა დაგიგოთ, და თქვენ ფიქრობთ, რომ მართლმსაჯულებასთან ბრძოლას შეძლებთ...

გრაფის მეუღლე გაწითლდა, გაფითრდა. სახე ხელებით დაიფარა, მერე სირცხვილი დასძლია და თავისი მსგავსი ქალებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი გულგრილობით განაგრძო:

_ ვინაიდან თქვენ მოგონილი შაბერის ვექილი ბრძანდებით, კეთილინებეთ...

_ ქალბატონო, _ სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა მას დერვილმა, _ მე ამ წუთში თქვენი ვექილიცა ვარ ისე, როგორც პოლკოვნიკისა. ნუთუ გგონიათ, რომ თქვენისთანა ძვირფასი კლიენტის დაკარგვას ვისურვებდი, მაგრამ თქვენ არ მისმენთ...

_ ბრძანეთ, ბატონო, _ უთხრა ქალმა.

_ ქონება გრაფი შაბერისაგან მიიღეთ, მას კი ხელი ჰკარით. თქვენ უზარმაზარი ქონების პატრონი ბრძანდებით, ის კი სამათხოვროდ გაუშვით. ქალბატონო, ვექილები საკმაოდ მჭევრმეტყველები არიან, როდესაც მდგომარეობა თავისთავად მჭევრმეტყველია. აქ კი ბევრია ისეთი გარემოება, რომელიც თქვენს წინააღმდეგ საზოგადოებრივ აზრს აამხედრებს.

_ მაგრამ, ბატონო, _ თქვა გრაფის მეუღლემ, რომელიც მოთმინებას კარგავდა იმის შიშით, რომ დერვილი მას ნელ ცეცხლზე წვავდა. _ დავუშვათ, რომ თქვენი შაბერი ცოცხალია, სასამართლო ჩემი ბავშვების სასარგებლოდ სცნობს ჩემს მეორე ქორწინებას და ბატონ შაბერს მე ორას ოცდახუთი ათასი ფრანკის მიცემით მოვიშორებ.

_ ქალბატონო, არ ვიცით, სასამართლო რა თვალსაზრისით მიუდგება სათუთ საკითხს. თუ, ერთი მხით, ჩვენ გვყავს დედა და მისი შვილები, მეორე მხრივ, გვყავს ადამიანი, თქვენ მიერ გაუბედურებული, განადგურებული, თქვენი უარყოფით დაბერებული. სადღა იპოვის იგი ცოლს? მოსამართლეებს არ შეუძლიათ კანონს გვერდი

აუარონ. პოლკოვნიკთან თქვენს დაქორწინებას აქვს თავისი პირველობის უფლება, მაგრამ, თუ თქვენ საქმის გარჩევის დროს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, შეიძლება მოულოდნელი მოწინააღმდეგე გამოგიჩნდეთ. აი, აქ არის, ქალბატონო, ის საფრთხე, რომელიც მსურს აგაცილოთ.

_ ახალი მოწინააღმდეგე? _ ჰკითხა მან, _ რომელი?

_ გრაფი ფეროდი, ქალბატონო!

_ ბატონი ფეროდი ჩემი დიდი ერთგულია და თავისი ბავშვების დედის დიდი პატივისმცემელი...

_ ამ უმნიშვნელო რამეზე ნუ ელაპარაკებით ვექილებს, _ სიტყვა შეაწყვეტინა დერვილმა, _ რომლებიც გულში დაფარულის წაკითხვას დაჩვეულნი არიან. ამ წუთში ბატონ ფეროდს განქორწინების სურვილი არა აქვს, და დარწმუნებული ვარ, რომ ის გაღმერთებთ, მაგრამ მას რომ ვინმემ უთხრას, თქვენი ქორწინება შესაძლებელია არ ცნონ და თქვენი მეუღლე საზოგადოების მიერ შერცხვენილი დარჩესო...

_ იგი, ბატონო, მე დამიცავდა.

_ არა, ქალბატონო.

_ რა მოსაზრებით მიმატოვებდა, ბატონო?

_ იმ მოსაზრებით, რომ საფრანგეთის პერის ერთადერთი ქალიშვილი შეერთო, რის შემდეგ მეფის ბრძანებულებით მისი სიმამრის პერობა მას გადაეცემოდა...

გრაფის მეუღლე გაფითრდა.

«გულს მოხვდა, _ თქვა თავისთვის დერვილმა. _ კარგი, შენ ჩემს ხელთა ხარ, საწყალი პოლკოვნიკის საქმე მოგებულია».

_ ამას გარდა, ქალბატონო, _ განაგრძო ხმამაღლა დერვილმა, _ მას სინდისის ქენჯნაც ნაკლები ექნება, თუ ცოლის დაბრუნებას მოსთხოვს არა ვიგინდარა, არამედ სახელმოხვეჭილი ადამიანი. გენერალი, გრაფი საპატიო ლეგიონის კავალერი...

_ კმარა! კმარა, ბატონო, _ თქვა ქალმა, _ არასოდეს თქვენ გარდა სხვა ვექილი არ მეყოლება. რა ვქნათ?

_ მორიგებით გაათავეთ! _ უთხრა დერვილმა.

_ კიდევ ვუყვარვარ? _ ჰკითხა ქალმა.

_ ვფიქრობ, სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ ეს ყოფილიყო.

ამ სიტყვების გაგონებაზე გრაფის მეუღლემ თავი ასწია. იმედის სხივმა გაუბრწყინა თვალები; შეიძლება ვარაუდობდა, ესარგებლა პირველი ქმრის ნაზი გრძნობით და რაიმე ქალური ეშმაკობით საქმე მოეგო.

_ მე თქვენს განკარგულებას დავუცდი, ქალბატონო, იმის გასაგებად, საჭირო იქნება თუ არა საბუთების წარმოდგენა, ან თქვენ ისურვებთ ჩვენთან მობრძანებას მორიგების საფუძვლების დასადგენად, _ უთხრა დერვილმა გამოთხოვებისას გრაფის მეუღლეს.

დერვილის ამ ორი დარბაზობის შემდეგ რვა დღემ გაიარა; ივნისის ერთ მშვენიერ დილას, თითქმის ზებუნებრივი შემთხვევით გაცილებული ცოლი და ქმარი პარიზის ერთიმეორის მოპირდაპირე წერტილებიდან გაემგზავრნენ, რათა საერთო ვექილის კანცელარიაში ერთმანეთს შეხვედროდნენ. დერვილის მიერ უხვად გაცემულმა ავანსმა პოლკოვნიკ შაბერს საშუალება მიესცა თავისი წოდების შესაფერისად ჩაეცვა. მიცვალებული კარგმა ეტლმა მიიყვანა. შაბერს თავზე გაკეთებული ჰქონდა სახის შესაფერისი პარიკი; ლურჯი მაუდის ტანისამოსი და სუფთა თეთრეული ეცვა, ჟილეტის ქვეშ საპატიო ლეგიონის ორდენის წითელი ლენტი გაეკეთებინა. მას ძველი სითამამე დაბრუნებოდა, მხედრული იერი მიეღო. ტანი გამართულად ეჭირა. მისი დარბაისლური და იდუმალი სახე, სადაც სიხარული და ათასგვარი იმედი ისახებოდა, გაახალგაზრდავებული, გამოცოცხლებული ჩანდა, მხატვრების მარილიანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ; იგი ისევე არ ჰგავდა იმ შაბერს, რომელსაც ძველი ინგლისური სერთუკი ეცვა, როგორც გაცვეთილი სუ არა ჰგავს ახალმოჭრილ ორმოცფრანკიანს. მისი მნახველი ადვილად გამოიცნობდა, ეს ჩვენი ძველი არმიის ერთ მშვენიერ ნამსხვრევთაგანი არისო, ერთ იმ გმირ ადამიანთაგანი, რომელზედაც, როგორც მზით განათებულ სარკეზე, ჩვენი ეროვნული დიდება აირეკლება ხოლმე. ამ ძველ მხედრებში არის ყველაფერი, რასაც წიგნები მოგვითხრობენ და სურათები გვიხატავენ. გრაფი ეტლიდან მსუბუქად ჩამოხტა ახალგაზრდა კაცივით, რათა დერვილთან ასულიყო.

როგორც კი მისი ეტლი წავიდა, ერთიანად ღერბებით მოხატული, დახურული ეტლი მოვიდა, საიდანაც ქალბატონი ფეროდი ჩამობრძანდა. სადა ტანისამოსი ეცვა, მაგრამ იგი კარგად იყო გამიზნული იმისათვის, რომ მისი ტანის ახალგაზრდობა გამოეჩინა. ვარდისფერ სარჩულიანი კაპოტი ძლიერ უხდებოდა, სხეულის ნაკვთებს უჩქმალავდა, აცოცხლებდა ერთსა და იმავე დროს. თუმცა კლიენტები გაახალგაზრდავდნენ, კანცელარია მაინც უცვლელი დარჩენილიყო. ისეთსავე სურათს წარმოადგენდა, რომლის აღწერითაც ეს ამბავი დავიწყეთ. სიმონენი საუზმობდა. გაღებულ

ფანჯარას მხრით მიჰყრდნობოდა და ოთხი შავი შენობით გარშემორტყმული ეზოს ზემოთ ცის ლაჟვარდს შესცქეროდა.

_ ეჰ! _ წამოიძახა შიკრიკმა, _ სანაძლეოს ვდებ რომელიმე სპექტაკლზე, რომ ეს წითელბანტიანი გენერალი პოლკოვნიკი შაბერია.

_ ჩვენი პატრონი ნამდვილი ჯადოქარია, _ თქვა გოდეშალმა.

_ ამჯერად შაბერს ოინს ვეღარ მოვუწყობთ? _ იკითხა დეროშმა.

_ ამას მისი ცოლი დაივალებს, გრაფი ფეროდის მეუღლე, _ თქვა ბუკარმა.

_ მაშასადამე, _ თქვა გოდეშალმა, _ გრაფი ფეროდის ცოლი ორივესი უნდა იყოს!

_ აჰა, თვითონ ისიც, _ უპასუხა სიმონენმა.

ამ დროს პოლკოვნიკი შევიდა და დერვილი იკითხა.

_ აქ გახლავთ, ბატონო გრაფო, _ უპასუხა სიმონენმა.

_ მაშ, შენ ყრუ არ ყოფილხარ, ცუღლუტო! _ უთხრა შაბერმა და შიკრიკს ყურზე ხელი წაავლო.

გადამწერებს ეს მოეწონათ და სიცილი ასტეხეს, ისინი უცნაურ კლიენტს ცნობისმოყვარეობით და მოწიწებით შესცქეროდნენ.

გრაფის მეუღლე კანცელარიაში რომ შევიდა, შაბერი დერვილის ოთახში იყო შესული.

_ მაშ, ბუკარ, პატრონის კაბინეტში იშვიათი ამბავი მოხდება! აი, ქალი, რომელსაც თვის ლუწ რიცხვებში გრაფ ფეროდთან შეუძლია იაროს, თვის კენტ რიცხვებში კი გრაფ შაბერთან.

_ ნაკიან წლებში ანგარიში გამოსწორდება, _ თქვა გოდეშალმა.

_ გაჩუმდით, ბატონებო! შეიძლება გაიგონონ, _ თქვა მკაცრად ბუკარმა. _ არასოდეს მინახავს ისეთი კანცელარია, სადაც კლიენტებს ისე დასცინოდნენ, როგორც აქ.

_ დერვილმა პოლკოვნიკი საწოლ ოთახში შეიყვანა, როდესაც გრაფის მეუღლე გამოცხადდა.

_ ქალბატონო, _ უთხრა მას, _ არ ვიცოდი, გესიამოვნებოდათ თუ არა პოლკოვნიკი შაბერის ნახვა, ამიტომ გაგაცალკევეთ. მაგრამ, თუ მოისურვებთ...

_ ყურადღებისათვის, ბატონო, მადლობას მოგახსენებთ.

_ მოვამზადე ხელშეკრულება, რომლის პირობების შესახებ შეიძლება იკამათოთ თქვენცა და ბატონმა შაბერმაც. მე ოთახიდან ოთახში ვივლი, ერთმანეთის მოსაზრებები რომ გაგაცნოთ.

_ დავიწყოთ, ბატონო, _ უთხრა მოუთმენლად გრაფის მეუღლემ.

დერვილმა წაიკითხა:

«ქვემორე ხელისმომწერნი, გენერალ-მაიორი, გრაფი იასენტ შაბერი, საპატიო ლეგიონის კავალერი, მცხოვრები პარიზში, პტი-ბანკიეს ქუჩაზე, ერთი მხრით, და ქალბატონი როზა შაპოტელი, ზემოთ ნახსენები ბატონი გრაფი შაბერის მეუღლე, დაბადებული...»

_ გამოსტოვეთ, _ უთხრა ქალმა, _ შესავალს თავი გავანებოთ, პირობებიდან დავიწყოთ.

_ ქალბატონო, _ უთხრა ვექილმა, _ შესავალი მოკლედ გვიხსნის, რა მდგომარეობაშიც იმყოფებით ორივე მხარე. მერე, პირველ მუხლში თქვენ აღიარებთ სამი მოწმის თანადასწრებით... (ერთი იქნება მერძევე, ვისთანაც თქვენი მეუღლე ცხოვრობდა, და ორიც ნოტარიუსი: მათ საქმე გავანდეთ, როგორც საიდუმლო, და ისინი ამის შესახებ კრინტსაც არსად დასძრავენ.) თქვენ აღიარებთ, ვამბობ მე, გრაფ შაბერად, თქვენს პირველ ქმრად იმ ადამიანს, რომელიც ამასთანავე დართულ აქტებშია აღნიშნული და რომლის მდგომარეობა, სხვათა შორის, დადასტურებულია თქვენი ნოტარიუსის ალექსანდრე კროტას მიერ. მეორე მუხლში გრაფი შაბერი თქვენი ბედნიერებისათვის პირობას იძლევა, თავისი უფლებები გამოიყენოს მხოლოდ ამავე აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამ შემთხვევებს, _ თითქოს ფრჩხილებ შორის ჩაურთო დერვილმა, _ გამოიწვევს მხოლოდ ამ საიდუმლო ხელშეკრულების თქვენ მიერ დარღვევა. თავის მხრით, _ განაგრძო ვექილმა, _ ბატონი შაბერი თანახმაა, თქვენთან ერთად მორიგებით ითხოვოს სასამართლოს დადგენილება, რომელიც გააბათილებს აქტს მისი სიკვდილის შესახებ და თქვენს შორის განქორწინებას დაადგენს.

_ ეს მე სრულიად არ შემეფერება, _ თქვა გაკვირვებულმა გრაფის მეუღლემ, _ არ მინდა პროცესი, თუ რატომ, თქვენ იცით.

_ მესამე მუხლით, _ თქვა ვექილმა და სრული სიმშვიდით განაგრძო: _ თქვენ კისრულობთ გრაფი შაბერის სახელზე მის სიკვდილამდე დააწესოთ რენტა ოცდაოთხი ათასი ფრანკის რაოდენობით და იგი შეატანინოთ სახელმწიფო ვალების დიდ წიგნში, მისი სიკვდილის შემთხვევაში კაპიტალი კანონიერი გზით უკანვე დაგიბრუნდებათ.

_ ეს ძალიან ძვირია, _ თქვა გრაფის მეუღლემ.

_ უფრო იაფად მორიგება განა შეიძლება?

_ შეიძლება.

_ მაშ, თქვენ რა გნებავთ, ქალბატონო?

_ მე მსურს... პროცესი არ მინდა, მე მსურს...

_ რომ ის მკვდარი დარჩეს, _ მკვირცხლად შეაწყვეტინა დერვილმა.

_ ბატონო დერვილ, _ უთხრა გრაფის მეუღლემ, _ თუ თქვენ ოცდაოთხ ათას ლივრ რენტას მოითხოვთ, ჩვენ ვიდავოთ...

_ დიახ, ვიდავოთ, _ წამოიძახა ყრუ ხმით პოლკოვნიკმა, რომელმაც კარი გააღო და უეცრად თავისი ცოლის წინ გაჩნდა. ერთი ხელი ჟილეტისათვის ჩაევლო, მეორე ხელი იატაკისაკენ გაეშვირა; ეს იყო მოძრაობა, რომელსაც მისი თავგადასავლის მოგონება საშინელ ძალას აძლევდა.

«ის არის!» _ თქვა თავისთვის გრაფის მეუღლემ.

_ ძალიან ძვირია! _ განაგრძო ძველმა მხედარმა. _ ჩემგან მილიონზე მეტი მიიღეთ, თქვენ ჩემს უბედურებას სავაჭროდ ხდით. კარგი, ახლა მე მოვითხოვ ქონებასა და თქვენს თავსაც. ჩვენ საერთო ქონება გვაქვს, ჩვენი ქორწინება არ დარღვეულა.

_ მაგრამ ეს ბატონი სრულიადაც პოლკოვნიკი შაბერი არ არის, _ წამოიძახა გრაფის მეუღლემ, თან თვალთმაქცურად გაოცება გამოხატა.

_ უყურეთ, _ თქვა მოხუცმა დამცინავი კილოთი, _ თქვენ გსურთ საბუთები. მე თქვენ პალე-როიალში აგიყვანეთ...

გრაფის ცოლი გაფითრდა. როდესაც ხნიერმა მხედარმა მის ლოყებს ხელოვნური სიწითლის ქვეშ გაფითრება შენიშნა, შეწუხდა. გული ეტკინა, რომ ქალს, რომელიც ოდესღაც გაშმაგებით უყვარდა, ტანჯვა მიაყენა და შეჩერდა; მაგრამ ქალმა ისე გესლიანად შეხედა, რომ გრაფმა შაბერმა უეცრად განაგრძო:

_ თქვენ ჰყავდით...

_ ღმერთი იწამეთ, ბატონო, _ უთხრა გრაფის მეუღლემ ვექილს. _ ნება მომეცით, აქაურობას გავეცალო, მე ასეთი საშინელების მოსასმენად კი არ მოვსულვარ.

ქალი ადგა და კანცელარიაში გავიდა. დერვილი დაედევნა. გრაფის მეუღლემ თითქოს ფრთები გამოისხა და გაფრინდა. როცა დერვილი თავის კაბინეტში დაბრუნდა, სიბრაზისაგან ცოფმორეული პოლკოვნიკი დახვდა, რომელიც ბოლთასა სცემდა.

_ იმ დროს ყოველი კაცი ქალს იქ ირჩევდა, სადაც სურდა, _ თქვა პოლკოვნიკმა, _ მაგრამ მე შევცდი; ცუდი ქალი ავირჩიე, გარეგნობამ დამაბრმავა, იგი უგულოა.

_ პოლკოვნიკო, განა მართალი არ ვიყავი, როცა გთხოვდით, არ გამოსულიყავით. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, მართლაც, პოლკოვნიკი შაბერი ხართ: როდესაც

გამოჩნდით, გრაფის მეუღლე ისე შეკრთა, რომ საეჭვო არაფერია. მაგრამ პროცესი წააგეთ. გრაფის მეუღლემ იცის, რომ თქვენი ცნობა შეუძლებელია.

_ მოვკლავ.

_ სიგიჟეა! დაგიჭერენ და თავს მოგკვეთენ, როგორც დამნაშავეს. ამასანავე შეიძლება ტყვია კიდეც ააცდინოთ. ეს მიუტევებელი იქნებოდა. როდესაც ცოლს კლავ, ტყვია არ უნდა ააცდინო. ნება მომეცით, თქვენი შეცდომები გამოვასწორო, დიდო ბავშვო! წადით, ფრთხილად იყავით. იგი არ მოერიდება, რომ რაიმე მახეში გაგაბათ და შარენტონში ჩაგკეტოთ. მე მას წარვუდგენ საბუთებს, რათა ყოველგვარი მოულოდნელობისაგან დაგიცვათ.

საწყალი პოლკოვნიკი თავის ახალგაზრდა კეთილისმყოფელს დაემორჩილა, ბოდიში მოიხადა და გავიდა. ბნელ კიბეზე ნელა ჩადიოდა, შავ ფიქრებში ჩაფლული, განადგურებული ამ ახალი უბედურებით, შეიძლება მისთვის ყველაზე უფრო სასტიკი, გულს ლახვრად დასობილი უბედურებით, როცა კიბის უკანასკნელ ბაქანს მიაღწია, კაბის შრიალი მოესმა და მისი ცოლი გამოჩნდა.

_ წავიდეთ, ბატონო, _ უთხრა ცოლმა და მკლავში ხელი გაუყარა. ასეთი ქცევა პოლკოვნიკს ეცნაურა.

გრაფის მეუღლის ეს მოპყრობა, მისი განაზებული ხმის კილო საკმარისი იყო იმისათვის, რომ პოლკოვნიკს გულისწყრომა დასცხრომოდა და ცოლი ეტლამდე მიეცილებინა.

_ აბა, ამობრძანდით, _ უთხრა მას გრაფის მეუღლემ, როდესაც მსახურმა ეტლის საფეხური დაუშვა, და შაბერი, მოჯადოებულივით, დახურულ ეტლში თავისი ცოლის გვერდით აღმოჩნდა.

_ ქალბატონო, საით მიბრძანდებით? _ ჰკითხა მსახურმა.

_ გროსლეისი, _ უთხრა ქალმა.

ეტლი დაიძრა და პარიზი გადასერა.

_ ბატონო, _ უთხრა გრაფის მეუღლემ პოლკოვნიკს ხმის ისეთი თრთოლვით, რომელიც არაჩვეულებრივ შეგრძნებას აღვიძებს ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს არსებას ცეცხლად ედება. ასეთ წუთებში ადამიანს გული, ნერვები, სახე, სული, მთელი სხეული უთრთის, თითქოს მას სიცოცხლე სტოვებს. იგი გარეთ ილტვის და შადრევანივით სცემს, გადამდები სენივით ვრცელდება, გადადის შეხედვით, ხმის კილოთი, მოძრაობით, ჩვენს ნებისყოფას უმორჩილებს სხვებს. ხნიერი მხედარი აკანკალდა, როდესაც გაიგონა მხოლოდ

ერთი სიტყვა, ეს პირველი, ეს საშინელი «ბატონო!» მაგრამ ეს, მართლაც, ყველაფერი იყო ერთსა და იმავე დროს: საყვედური, ვედრება, პატიება, იმედი, უიმედობა, კითხვა და პასუხიც. ეს სიტყვა ყველაფერს შეიცავდა. ადამიანი თვალთმაქცი უნდა ყოფილიყო, რომ ერთ სიტყვაში ესოდენი მჭევრმეტყველება, ესოდენი გრძნობა მოეთავსებინა. სიმართლე თავისი გამოხატვის დროს სრულყოფილი არ არის, მას ყველაფერი გარეთ არ გამოაქვს, იგი მხოლოდ მიგახვედრებს ყველაფერს, რაც შიგნით არის. თავისი ეჭვები, მოთხოვნების, განრისხების გამო პოლკოვნიკი სინდისის ქენჯნას განიცდიდა და მან თვალები დახარა, რათა თავისი შეშფოთება დაეფარა, _ ბატონო, _ განაგრძო გრაფის მეუღლემ ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, _ მე თქვენ, რასაკვირველია, გიცანით.

_ როზინა, _ თქვა ხნიერმა მხედარმა, _ ეს სიტყვა ერთადერთი მალამოა, რომელსაც შეუძლია მთელი ჩემი ტანჯვა დამავიწყებინოს.

ორი მსხვილი ცხელი ცრემლი დაეცა მისი ცოლის ხელებზე, რომლებსაც შაბერი მამობრივი სინაზით ხელს უჭერდა.

_ ბატონო, _ განაგრძო ქალმა, _ თქვენ როგორ ვერ მიხვდით, რომ ჩემთვის საშინლად მძიმე იყო უცხო ადამიანის წინაშე ისეთ ყალბ მდგომარეობაში გამოჩენა, როგორშიაც ვიყავი? თუ ჩემი მდგომარეობის გამო მე უნდა გავწითლდე, ეს შინაურობაში მაინც მოხდეს. განა ჩვენს გულებში ეს საიდუმლოება დამარხული არ უნდა დარჩეს? დანაშაულად არ ჩამითვალოთ, იმედი მაქვს, ჩემს ვითომდა გულგრილობას იმ ვინმე შაბერის უბედურებათა მიმართ, რომლის არსებობა მე არ შემეძლო დამეჯერებინა. თქვენი წერილები მივიღე, _ თქვა მან მკვირცხლად, როდესაც ქმრის სახეზე გაკვირვება ამოიკითხა, _ მაგრამ ეს წერილები ჩემთან ეილაუს ბრძოლის შემდეგ მეცამეტე თვეზე მოვიდა გახსნილი, დასვრილი; ხელიც ვერ ვიცანი. და იმის შემდეგ, რაც ნაპოლეონმა ჩემი ქორწინების ახალ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, განა არ უნდა მეფიქრა, რომ ვიღაც მოხერხებულ ინგრიგანს ჩემი გაცურება სურდა? რათა გრაფი ფეროდის სიმშვიდე არ დამერღვია და ოჯახის კავშირი არ შემებღალა, მე ცრუ შაბერის წინააღმდეგ სიფრთხილის ზომები უნდა მიმეღო. მითხარით, განა მე მართალი არ ვიყავი?

_ დიახ, შენ მართალი იყავი; მე ვარ სულელი, ცხოველი, გამოთაყვანებული, რომ ვერ გავითვალისწინე მსგავსი მდგომარეობის შედეგები, კი მაგრამ საით მიემგზავრებით? _ ჰკითხა პოლკოვნიკმა, როდესაც ლა შაპელის სადარაჯო დაინახა.

_ ჩემს მამულში, გროსლეის მახლობლად, მონმორანსის ველზე. იქ, ბატონო, ერთად მოვიფიქროთ, რა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. ვიცი ჩემი მოვალეობანი. კანონით

თქვენი ვარ, სინამდვილეში კი თქვენ არ გეკუთვნით. განა პარიზის ყბადასაღებად უნდა გავიხადოთ საქმე? მთელ ქვეყანას ნუ გავაგებინებთ იმ ამბავს, რომელიც სასაცილო მდგომარეობაში ჩამაყენებს. ჩვენი ღირსება დავიცვათ. თქვენ კიდევ გიყვარვართ, _ განაგრძო მან და პოლკოვნიკს სევდიანად და ნაზად შეხედა, _ მაგრამ განა უფლება არა მქონდა, სხვას დავკავშირებოდი? ამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, იდუმალი ხმა ჩამძახის, რომ თქვენი გულკეთილობის იმედი ვიქონიო. ნუთუ ვცდები, რომ მსურს მხოლოდ თქვენ ერთი იყოთ ჩემი ბედის გადამწყვეტი? მსაჯულიცა და მოპირდაპირე მხარეც თქვენ იყავით. თქვენს კეთილშობილ ხასიათს ვენდობი. თქვენი სულგრძელობა შეძლებს ჩემს უცოდველ დანაშაულობათა შედეგების პატიებას. მაშ, გამოგიტყდებით, ბატონი ფეროდი მიყვარს. ვფიქრობდი, რომ მისი შეყვარების უფლება მქონდა. თქვენს წინაშე ამის აღიარება არა მრცხვენია. თუ ეს თქვენ შეურაცხგყოფთ, სახელს მაინც არ გიტეხთ. სინამდვილეს ვერ დაგიმალავთ, როდესაც შემთხვევამ დამაქვრივა, დედა არ ვიყავი.

პოლკოვნიკმა ცოლს ხელით ანიშნა დადუმებულიყო, და ნახევარი ლიე ისე გაიარეს, სიტყვა არ წარმოუთქვამთ. შაბერს ეგონა, რომ ორი პატარა ბავშვი თვალწინ ედგა.

_ როზინა!

_ ბატონო?

_ მაშ, მკვდრებს დიდი შეცდომა ჩაუდენიათ, რომ გაცოცხლებულან?

_ ოჰ! ბატონო, არა, არა! უმადურად ნუ ჩამთვლით, მაგრამ იქ, სადაც ცოლი დატოვეთ, დაგხვდათ დედა, შეყვარებული ქალი. თუმც არ ძალმიძს თქვენ მიყვარდეთ, მაგრამ ვიცი, რა დავალებულიც ვარ თქვენგან და შემიძლია მხოლოდ მამაშვილური სიყვარული შემოგთავაზოთ.

_ როზინა! _ განაგრძო მოხუცმა ნაზი ხმით, _ შენს მიმართ არავითარ გაბოროტებას არა ვგრძნობ, ყველაფერი დავივიწყოთ, _ დაუმატა მან ასეთი ღიმილით, რომელიც მშვენიერი სულის სამკაულია, _ არა ვარ ისეთი უგრძობი, რომ სიყვარული მოვთხოვო ქალს, რომელსაც აღარ ვუყვარვარ.

გრაფის მეუღლემ ისეთი მადლიერი თვალებით შეხედა, რომ საწყალი შაბერი მზად იყო ხელახლა ეილაუს ძმათა სასაფლაოში შთანთქმულიყო. ზოგიერთ ადამიანს ასეთი თავდადებისათვის აქვს სულის სიმტკიცე და მისთვის საკმარისია დარწმუნდეს, რომ ამით საყვარელ არსებას გააბედნიერებს.

_ ჩემო მეგობარო, ყოველივე ამაზე ცოტა ხნის შემდეგ მოვილაპარაკოთ გულდამშვიდებულად, _ თქვა გრაფის მეუღლემ.

საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, რადგან ამ საგანზე დიდხანს ბაასი შეუძლებელი იყო. თუმცა ცოლ-ქმარი ხშირად უბრუნდებოდა თავის უცნაურ მდგომარეობას, ხან სიტყვის გადაკვირთ, ხან არსებითად ეხებოდა მას, მაგრამ მაინც მშვნივრად იმგზავრეს; ერთად ცხოვრება და იმპერიის ამბები გაიხსენეს. გრაფის მეუღლემ შეძლო ეს მოგონებები ნაზი მიმზიდველობით შეემკო და საუბრის სიდინჯის დასაცავად მისთვის სევდიანი იერი მიეცა ვნების გამოუწვევლად. ქალი ძველ სიყვარულს უღვიძებდა და თითქოს შემთხვევით თავის პირველ ქმარს საშუალებას აძლევდა დაენახა ყველა ის ზნეობრივი სიმდიდრე, რომელიც მას უმისოდ შეეძინა. თან იგი ცდილობდა, ქმარი იმ აზრს შეჩვეოდა, რომ მას თავისი ბედნიერება მხოლოდ იმ სიამოვნებით შეეზღუდა, რასაც მამა თავისი ძვირფასი ქალიშვილის სიახლოვით განიცდის. პოლკოვნიკი თავის ცოლს იცნობდა, როგორც იმპერიის გრაფის მეუღლეს, ახლა კი იგი ხედავდა რესტავრაციის გრაფის მეუღლეს. ბოლოს ცოლ-ქმარი სასოფლო გზით იმ პატარა ხევის დიდ პარკში მივიდნენ, რომელიც მარჟანსის მაღლობებისა და ლამაზი სოფლის გროსლეის შუაა. გრაფის მეუღლეს იქ წარმტაცი სასახლე ჰქონდა, სადაც პოლკოვნიკს მისვლისას ყველაფერი დახვდა, რაც აუცილებელი იყო საცხოვრებლად. უბედურება რაღაც ჯადოა, რომლის ძალა იმაში გამოიხატება, რომ იგი ჩვენს თანდაყოლილ მიდრეკილებებს ამტკიცებს. ზოგს უღვივებს უნდობლობასა და სიავეს, მშვენიერი სულის ადამიანს კი გულკეთილობას მატებს.

უბედურებამ პოლკოვნიკი უფრო თავაზიანი და კეთილი გახადა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მას შეეძლო ჩასწვდომოდა ქალის ტანჯვის საიდუმლოებას, რომელსაც მამაკაცთა უმრავლესობა ვერ ხვდება. თუმცა პოლკოვნიკ შაბერს ეჭვები თითქმის გაეფანტა, მაგრამ თავის შეკავება მაინც ვერ შეძლო და ცოლს უთხრა;

_ მაშ, თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ აქ მომიყვანდით?

_ დიახ, _ უპასუხა ქალმა, _ თუ აღმოჩნდებოდა, რომ მომჩივანი პოლკოვნიკი შაბერია.

პასუხს ქალმა ისეთი სიმართლის იერი მისცა, რომ პოლკოვნიკს თავისი ეჭვების შერცხვა. სამი დღის განმავლობაში გრაფის მეუღლე პირველ ქმარს ნაზი ზრუნვით ეპყრობოდა, თითქოს ქალი ცდილობდა პოლკოვნიკი შაბერისათვის დაევიწყებინა გადატანილი უბედურება. გრაფის მეუღლე აგრეთვე ცდილობდა ქმარს ეპატიებინა

მისთვის ის ტანჯვა, რაც უნებურად მიაყენა. ეს დანაშაული ქალმა აღიარა. მას სიამოვნებას გვრიდა ქმრის წინ გადაეშალა ყველა თავისი მომხიბვლელობა, რასაც, როგორც მან იცოდა, პოლკოვნიკი ვერ უძლებდა. ამასთანავე ქმარს ამჩნევინებდა, რომ სევდიანი იყო. არის მოპყრობა, სულის ან გულის სიკეთე, რასაც განსაკუთრებული სიმძაფრით განვიცდით და ვერ ვუმკლავდებით. ქალს სურდა ქმრისათვის გაეცნო თავისი მდგომარეობა, მისთვის გული ისე აეჩვილებინა და გონება ისე შეებოჭა, რომ იგი თავისი ნება-სურვილისათვის დაემორჩილებინა.

გრაფის მეუღლეს გადაწყვტილი ჰქონდა მიზნის მისაღწევად არაფერი დაეზოგა, მაგრამ ჯერ არ იცოდა, რა უნდა ექნა ამ კაცისათვის. მისი განადგურება კი, მისი საზოგადოებიდან ამოგდება აუცილებლად სურდა. მესამე საღამოს ქალმა იგრძნო, რომ მიუხედავად ძალთა დაძაბვისა, მას აღარ შეეძლო ის შეშფოთება დაეფარა, რასაც მისი ოინების შედეგები იწვევდა. რათა ცოტა ხანს მარტო დარჩენილიყო, თავის ოთახში ავიდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ჩამოიხსნა სიმშვიდის ნიღაბი, რომელსაც შაბერის წინაშე ატარებდა; იმ მსახიობი ქალივით მოიქცა, რომელიც მძიმე მეხუთე აქტის შემდეგ დაქანცული თავის საპირფარეშოში ბრუნდება და უსიცოცხლოდ იკეცება, დარბაზში კი ტოვებს თავის სახეს, რომელსაც უკვე აღარ ჰგავს. იგი დელბეკისათვის გასაგზავნი წერილის დამთავრებას შეუდგა. ქალი მას ავალებდა, მისი სახელით დერვილისთვის ეთხოვა იმ საბუთების გაცნობა, რომლებიც პოლკოვნიკ შაბერს ეხებოდა, მისი პირები გადაეღო და მაშინვე გროსლეის ჩამოსულიყო. წერილი დაამთავრა თუ არა, დერეფნიდან პოლკოვნიკის ფეხის ხმა მოესმა; შეშფოთებული შაბერი მას დაეძებდა.

_ ეჰ! მე სიკვდილი მირჩევნია! ჩემი მდგომარეობა აუტანელია, _ ხმამაღლა თქვა გრაფის მეუღლემ.

_ რა დაგემართათ? _ ჰკითხა კეთილმა მოხუცმა.

_ არაფერი, არაფერი, _ უთხრა ქალმა.

ადგა, პოლკოვნიკი მიატოვა და დაბლა ჩავიდა, რათა მოსამსახურე ქალს დალაპარაკებოდა მოწმის დაუსწრებლად. მოსამსახურე პარიზს გაგზავნა, დაავალა თვითონ მას გადაეცა დელბეკისათვის წერილი, რომელიც ის-ის იყო დაამთავრა, და უკანვე ჩამოეტანა, როგორც კი მას დელბეკი წაიკითხავდა. მერე ქალი ბაღში ადვილად დასანახ ადგილას დაჯდა, რათა პოლკოვნიკი მასთან მაშინვე მისულიყო, როგორც კი მოისურვებდა. შაბერი, რომელიც უკვე დაეძებდა ცოლს, აჩქარებული ნაბიჯით მასთან მივიდა და გვერდით მიუჯდა.

_ როზინა, _ უთხრა მან, _ რა მოგივიდა?

ქალმა არაფერი უპასუხა, ერთი იმ საუცხოო და წყნარ საღამოთაგანი იყო, რომლის იდუმალი ჰარმონია ივნისის თვეში მზის ჩასვლისას ესოდენ სინაზეს აფრქვევს. ჰაერი წმინდა იყო, ღრმა სიჩუმეში პარკის შორეული კუთხიდან ბავშვების ხმა ისმოდა. ესეც ბუნების დიდებულ სურათს რაღაც მელოდიას მატებდა.

_ თქვენ პასუხს არ მაძლევთ? _ ჰკითხა ცოლს პოლკოვნიკმა.

_ ჩემი ქმარი... _ თქვა გრაფის მეუღლემ და სიტყვა გაუწყდა, ერთი შეტოკდა, მერე შაბერს ჰკითხა, თან გაწითლდა, _ როდესაც გრაფ ფეროდზე ვლაპრაკობ, როგორ უნდა ვახსენო?

_ თქვი, ჩემი ქმარი-თქო, ჩემო საბრალო ბავშვო, _ უპასუხა პოლკოვნიკმა გულკეთილად, _ იგი ხომ შენი ბავშვების მამაა?

_ კარგი, _ განაგრძო ქალმა, _ ბატონმა ფეროდმა რომ მკითხოს, აქ რა გინდაო, აქ უცხო კაცთან ჩემი ყოფნა რომ გაიგოს, მაშინ რა უნდა ვუთხრა? მომისმინეთ, ბატონო, _ განაგრძო მან, თან სახის ღირსეული გამომეტყველება მიიღო, _ ჩემი ბედი გადაწყვიტეთ, მე ყველაფრისთვის მზადა ვარ...

_ ჩემო ძვირფასო, _ უთხრა პოლკოვნიკმა და ცოლს ხელზე ხელი მოჰკიდა. _ გადავწყვიტე, თქვენს ბედნიერებას თავი შევწირო...

_ ეს შეუძლებელია, _ წამოიძახა ქალმა და უნებურად აცახცახდა. _ მაშინ თქვენს არსებობაზე უარი უნდა გეთქვათ კანონიერი გზით.

_ როგორ? _ თქვა პოლკოვნიკმა, _ ჩემი სიტყვა თქვენთვის საკმარისი არ არის?

ეს თქმა «კანონიერი გზით», მოხუცს გულს მოხვდა და უნებურად უნდობლობა გაუღვიძა. ცოლს ისე შეხედა, რომ ქალი გააწითლა, თვალები ძირს დახარა, პოლკოვნიკს შეეშინდა, ვაითუ ცოლი შემეზიზღოსო. გრაფის მეუღლე შიშმა აიტანა, რომ იმ ადამიანის მორცხვობასა და მკაცრ პატიოსნებას შეეხო, რომლის კეთილშობილ ხასიათს, ბუნებრივ სათნოებას კარგად იცნობდა. თუმცა ამ ფიქრმა მათ შუბლს ღრუბლები მოჰფინა, მაგრამ მათ შორის თანხმობა მაინც აღსდგა. აი, როგორ მოხდა ეს. შორიდან ბავშვის ყვირილი მოისმა.

_ ჟიულ, შენი და მოასვენე! _ დაუძა გრაფის მეუღლემ.

_ როგორ, თქვენი ბავშვები აქ არიან? _ ჰკითხა პოლკოვნიკმა.

_ დიახ, მაგრამ თქვენი შეწუხების ნება არ მივეცი.

ძველი მხედარი მოხიბლა გულისხმიერებამ, ქალურმა თავდაჭერილობამ, და გრაფის მეუღლეს ხელზე აკოცა.

_ მოვიდნენ აქ, _ თქვა შაბერმა.

პატარა გოგონამ მოირბინა ძმაზე საჩივლელად.

_ დედა!

_ დედა!

_ ეს ჟიულმა ჩაიდინა!

_ არა, თვითონ მან.

ხელებს დედისკენ იწვდიდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ეს იყო მოულოდნელი, წარმტაცი სურათი.

_ საწყალი ბავშვები! _ წამოიძახა გრაფის მეუღლემ და ცრემლები ველარ შეიკავა. _ ისინი უნდა მივატოვო, სასამართლო ვის მისცემს ბავშვებს? დედის გულის გაყოფა არ შეიძლება, მე მინდა ისინი ჩემთან იყვნენ, ჩემთან!

_ დედას თქვენ ატირებთ? _ თქვა ჟიულმა და პოლკოვნიკს მრისხანედ შეხედა.

_ დაწყნარდი, ჟიულ! _ ბრძანების კილოთი დაუყვირა დედამ.

ბავშვები მათ წინ ჩუმად იდგნენ, დედას და უცხო კაცს ისეთი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ, რომ სიტყვებით მისი გადმოცემა შეუძლებელია.

_ ოჰ! დიახ, _ განაგრძო ქალმა, _ თუ გრაფს გამაშორებენ, ბავშვები მაინც დამიტოვონ, და მე ყველაფერს დავემორჩილები

ეს გადამწყვეტი სიტყვა იყო, და მან გრაფის მეუღლეს სრული გამარჯვება მოაპოვებინა, რასაც ის მოელოდა.

_ დიახ, _ წამოიძახა პოლკოვნიკმა, თითქოს იგი თავის ფიქრს ამთავრებდა, _ მე მიწის ქვეშ უნდა დავბუნდე. ეს უკვე ვუთხარი ჩემს თავს.

_ ასეთ მსხვერპლს როგორ მივიღებ? _ უპასუხა გრაფის მეუღლემ, _ თუ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთ სატრფოთა პატიოსნების დასაცავად თავი გაწირეს, ისინი მხოლოდ ერთხელ მოკვდნენ. თქვენ კი სიცოცხლე ყოველდღიურად უნდა გასწიროთ! არა, ეს შეუძლებელია. ეს რომ მხოლოდ თქვენს არსებობას შეეხებოდეს, არაფერი იქნებოდა, მაგრამ იმის ხელისმოწერა, რომ პოლკოვნიკი შაბერი არა ხართ, აღიარება იმისა, რომ ცრუმოსახელე ხართ, თქვენი ღირსების უარყოფა, სიცოცხლის ყოველ წუთს ტყუილის თქმა, ადამიანის თავგანწირვა ამ ზომამდე ვერ მივა. დაფიქრდით

მხოლოდ! არა. ჩემი საწყალი ბავშვები რომ არა მყავდეს, მე თქვენთან ერთად ქვეყნის კიდემდე გავიქცეოდი...

_ მაგრამ, _ უპასუხა შაბერმა, _ განა არ შემეძლო აქ მეცხოვრა ერთ პატარა სახლში, როგორც თქვენს ნათესავს? მე ძველი ზარბაზანივით გაცვეთილი ვარ და გაზეთ «კონსტიტუსიანელისა» და თამბაქოს გარდა არაფერი მინდა.

ქალი ცრემლად დაიღვარა. გრაფი ფეროდის მეუღლესა და პოლკოვნიკ შაბერს შორის ბრძოლა გაიმართა, თუ რომელი გამოიჩენდა მეტ კეთილშობილებას. ამ ბრძოლაში მხედარი დარჩა გამარჯვებული. ერთ საღამოს, როდესაც ბავშვებს შორის მათი დედა დაინახა, მხედარი მოიხიბლა ამ ამაღელვებელი ოჯახური სურათით სოფლად, ჩრდილსა და სიწყნარეში; გადაწყვიტა მკვდრად დარჩენილიყო, კანონიერი გაფორმების არ შეშინებია, იკითხა, როგორ უნდა მოვიქცე, რომ ამ ოჯახის ბედნიერება სამუდამოდ უზრუნველვყოო.

_ მოიქეცით, როგორც გენებოთ! _ უპასუხა გრაფის მეუღლემ, _ გიცხადებთ, რომ ამ საქმეში სრულიად არ ჩავერევი, მე არ უნდა ჩავერიო.

დელბეკი რამდენიმე დღის ჩამოსული იყო და, თანახმად გრაფის მეუღლის ზეპირი მითითებისა, მოხუცი მხედრის ნდობის დამსახურება მოახერხა. და აი, მეორე დღეს, პოლკოვნიკი შაბერი ყოფილ ვექილთან ერთად სენტ-ლიე-ტავერნს გაემგზავრა, სადაც დელბეკმა ნოტარიუსს შეადგენინა აქტი ისეთი აღმაშფოთებელი გამოთქმებით, რომ მისი წაკითხვისთანავე პოლკოვნიკმა კანცელარია უეცრად მიატოვა.

_ ეშმაკმა დაგლახვროთ. კარგი ვინმე ვიქნებოდი! ყალბისმქნელის სახელი გამივარდებოდა, _ წამოიძახა მან.

_ ბატონო, _ უთხრა მას დელბეკმა, _ მე არ გირჩევთ, რომ ხელის მოწერაში აჩქარდეთ, თქვენს ადგილას ამ პროცესიდან ოცდაათი ათას ლივრ რენტას მაინც მივიღებდი, რადგან ქალბატონი ფეროდი ამას მოგცემდათ.

პოლკოვნიკმა ანთებული თვალებით გაანადგურა ეს დამსახურებული არამზადა და გაიქცა. ის ერთიმეორის საწინააღმდეგო განცდებმა გაიტაცეს. კვლავ უნდობელი გახდა, ხან აღშფოთდებოდა, ხან დაწყნარდებოდა.

ბოლოს იგი გროსლეის პარკში დაბრუნდა, გამონგრეული კედელი გაიარა, ნელი ნაბიჯით პავილიონისაკენ გასწია და იქ მოწყობილ ოთახში დაჯდა, საიდანაც სენ-ლიეს გზა მოჩანდა; მარტოდ დარჩენა სურდა აზრების დასალაგებლად. ხეივანში მიწაზე მოყრილი იყო ერთგვარი ყვითელი სილა, რომელსაც ქვიშის მაგიერ ხმარობენ, ამიტომ

პავილიონის პატარა სასტუმრო ოთახში მყოფ გრაფის მეუღლეს პოლკოვნიკის მისვლა არ გაუგია, ისე იყო გართული თავის საქმის წარმატებით. შაბერის ფეხის ხმისთვის ყურადღება სრულიად არ მიუქცევია, არც მოხუც მხედარს დაუნახავს თავისი ცოლი.

_ როგორ არის საქმე, ბატონო დელბეკ? მოაწერა ხელი? _ ჰკითხა გრაფის მეუღლემ თავის მმართველს, როგორც კი მას მოჰკრა თვალი გზაზე, თხრილის ღობის გადაღმა.

_ არა, ქალბატონო, არ ვიცი ამ ადამიანს რა დაემართა. ბებერი ცხენი ყალყზე შედგა.

_ მაშ, საქმე მისი საგიჟეთში მოთავსებით უნდა გავათავოთ, _ თქვა ქალმა, _ იგი ხომ ჩვენს ხელთ არის.

პოლკოვნიკი, რომელსაც ახალგაზრდული სიმარდე დაუბრუნდა, თხრილზე გადახტა, თვალის დახამხამებაში მმართველის წინ გაჩნდა და ისეთი წყვილი კარგი სილა გააწნა, რომ არც ერთი ვექილის ლოყებს ასეთი ლაზათიანი სილა არ უგემნია.

_ დაუმატე, რომ ბებერმა ცხენმა ჩაწიხლვაც იცის, _ უთხრა მას.

როცა პოლკოვნიკს ეს გულისწყრომა დაუცხრა, მას უკვე თხრილზე გადახტომის ძალაც აღარ ჰქონდა. ჭეშმარიტება მთლად გაშიშვლებული დაუდგა თვალწინ. გრაფის მეუღლისა და დელბეკის სიტყვა-პასუხმა ფარდა ახადა იმ შეთქმულებას, რომლის მსხვერპლიც უნდა გამხდარიყო. ის ზრუნვა, რომელიც მისთვის არ დაიშურეს, მისატყუებელი ყოფილა მახეში მის გასაბმელად. ეს სიტყვა-პასუხი თითქოს რაღაც მძაფრი შხამის წვეთი იყო, რომელმაც მოხუც ჯარისკაცს კვლავ განუახლა ფიზიკური და მორალური ტანჯვა. პარკის ჭიშკრით პავილიონში დაბრუნდა, დაჩაჩანაკებული ადამიანივით მიდიოდა. მაშ, მისთვის არც სიმშვიდეა, არც დასვენება. ამიერიდან ამ ქალთან ის საზიზღარი ომი უნდა დაეწყო, რომლის შესახებ დერვილი ელაპარაკა. დავა-ჩივილში უნდა გაეტარებინა მთელი სიცოცხლე, ნაღველი ესვა, ყოველ დილით სიმწრის ფიალა დაეცალა. მერე საშინელი აზრი წარმოუდგა: სად იშოვოს პირველი ინსტანციების ხარჯების დასაფარავად საჭირო ფული? ცხოვრების მიმართ ისეთი საშინელი ზიზღი იგრძნო, რომ მზად იყო წყალში გადავარდნილიყო, დამბაჩა რომ ჰქონოდა, თავს მოიკლავდა. მოხუცი ისევ მოიცვა გაურკვეველმა ფიქრებმა, რომლებიც დერვილთან საუბარმა გამოიწვია, როდესაც ვექილი მერძევის ბინაზე ეწვია. ბოლოს პავილიონს მიაღწია, საზაფხულო ოთახში ავიდა, რომლის მრგვალ სარკმელთა მინებიდან ყოველ მხარეს ველის წარმტაცი სანახაობა იშლებოდა. იქ სკამზე მჯდარი ცოლი დახვდა. პეიზაჟს გასცქეროდა. ქალს თავი მშვიდად ეჭირა, მის სახეზე კაცი ვერაფერს ამოიკითხავდა. ასეთი გამომეტყველების მიღება იმ ქალებს შეუძლიათ, რომლებიც არაფრის წინაშე უკან არ

დაიხევენ. გრაფის მეუღლემ თვალზე ცრემლი მოიწმინდა, თითქოს ბევრი იტირაო. იგი თავისი ქამრის ვარდისფერ გრძელ ლენტს ხელში ათამაშებდა, მაგრამ მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ვერ შეძლო არ ათრთოლებულიყო თავისი დარბაისელი კეთილისმყოფელის წინაშე, რომელიც გულხელდაკრეფილი, გაფითრებული, შუბლშეჭმუხვნილი მის წინ იდგა. შაბერმა ქალს თვალი თვალში გაუყარა და ამით გააწითლა.

_ ქალბატონო, _ უთხრა მან, _ არ გწყევლით, მე თქვენ მეზიზღებით. ვუმადლი იმ შემთხვევას, რომელმაც ჩვენს შორის კავშირი გაწყვიტა. შურისძიების სურვილიც არა მაქვს, აღარ მიყვარხართ. არაფერი მინდა თქვენგან. იცხოვრეთ მშვიდად. ენდეთ ჩემს სიტყვას, იგი უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი პარიზის ნოტარიუსების ნაჯღაბნი. არასოდეს მოვითხოვ იმ სახელის აღდგენას, რომელიც შეიძლება დიდებით შევმოსე. ამიერიდან მე მხოლოდ ერთი საწყალი ვინმე ვარ, იასენტი, რომელიც ცის ქვეშ მხოლოდ პატარა ადგილს ითხოვს. მშვიდობით...

გრაფის მეუღლე პოლკოვნიკს ფეხებში ჩაუვარდა, სურდა მისი შეჩერება, ხელებზე ხელი მოჰკიდა, მაგრამ მან ზიზღით მოიშორა და უთხრა:

_ არ მომეკაროთ.

როდესაც მიმავალი ქმრის ფეხის ხმა მოესმა, გრაფის მეუღლე ისე შეტოკდა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. მერე ღრმა შორსმჭვრეტელობით, რასაც დიდი ავკაცობა ან მაღალი საზოგადოების სასტიკი ეგოიზმი აძლევს ადამიანს, იგი დარწმუნდა, რომ მას შეეძლო ამ პატიოსანი მხედრის შეპირებასა და ზიზღს დანდობოდა და მშვიდად ეცხოვრა.

შაბერი მართლაც გაქრა. მერძევე გაკოტრდა და მეეტლეობა დაიწყო. შეიძლება პოლკოვნიკმაც პირველად რაიმე ამდაგვარ საქმეს მოჰკიდა ხელი, შეიძლება უფსკრულში გადაგდებულ ქვასავით შეუჩერებლად პარიზის ქუჩებში გამეფებული სიღარიბის ჭაობში ჩაეფლო.

ამ ამბის შემდეგ ექვსმა თვემ გაიარა და დერვილს არც პოლკოვნიკ შაბერზე, არც გრაფი ფეროდის ცოლზე არაფერი გაუგონია. მან იფიქრა, რომ მათ საქმე, ალბათ, მორიგებით გაათავეს და ჩემზე ჯავრის ამოსაყრელად გრაფის მეუღლემ ეს საქმე სხვა ვექილის კანცელარიაში გააფორმაო; ამიტომ დერვილმა ერთ დილას შაბერისათვის მიცემული თანხები შეაჯამა და ზედ თავისი ხარჯები დაუმატა. გრაფი ფეროდის მეუღლეს ბარათი გაუგზავნა, რომლითაც თხოვდა წარდგენილი ანგარიშით გრაფი შაბერისთვის ვალი დაეფარვინებინა. ვექილი ვარაუდობდა, რომ ცოლს თავისი პირველი ქმრის

მისამართი ეცოდინებაო. მეორე დღესვე გრაფი ფეროდის მმართველმა, რომელიც უკვე ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის პირველი საფეხურის სასამართლოს თავმჯდომარედ იყო დანიშნული, დერვილს დამაღონებელი პასუხი მისწერა:

«ბატონო, გრაფი ფეროდის მეუღლემ დამავალა გაცნობოთ, რომ თქვენმა კლიენტმა თქვენი ნდობა ბოროტად გამოიყენა, და იმ პირმა, რომელიც თავის თავს გრაფ შაბერს უწოდებდა, აღიარა, რომ სხვისი ღირსება უკანონოდ მიითვისა.

მიიღეთ და სხვა.

დელბეკი».

_ პატიოსნებას ვფიცავ, _ წამოიძახა დერვილმა, _ არიან ადამიანები, რომლებიც მეტისმეტად სულელები არიან, მათი მოჭკვიანება შეუძლებელია, თავის გასაბრიყვებლად საკმაოა, რომ დიდსულოვანი კაცთმოყვარე და ვექილი იყო. აი, საქმე, რომელიც ორი ათასს ფრანკზე მეტი ღირს.

ამ წერილის მიღების შემდეგ ცოტაოდენმა დრომ გაიარა. ერთხელ დერვილი სასამართლოში ერთ ვექილს დაეძებდა, მასთან მოსალაპარაკებელი ჰქონდა. ის ვექილი გამასწორებელი პოლიციის სასამართლოში საქმეს იცავდა. შემთხვევით დერვილი მეექვსე დარბაზში შევიდა იმ დროს, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარემ ორი თვის პატიმრობა მიუსაჯა, როგორც მოხეტიალეს, ვინმე იასენტს და ბრძანება გასცა, სასჯელის მოხდის შემდეგ იგი სენ-დენის მათხოვართა თავშესაფარ სახლში მოეთავსებინათ. ასეთი სასჯელი პოლიციის პრეფექტების პრაქტიკაში მუდმივ პატიმრობას უდრის. იასენტის სახელის გაგონებაზე დერვილმა შეხედა ორ ჟანდარმს შორის საბრალდებულო სკამზე მჯდომ დამნაშავეს და მასში ცრუპოლკოვნიკი შაბერი იცნო.

მოხუცი მხედარი მშვიდად, უძრავად იჯდა. დაფანტულობა ეტყობოდა. თუმცა ძონძები ეცვა, მაინც კეთილშობილი სიამაყის იერი ჰქონდა. მისი გამოხედვა სტოიციზმით იყო გამსჭვალული, რაც მოსამართლეს, ალბათ, შეუნიშნავი არ დარჩებოდა, მაგრამ რაკი ადამიანი მართლმსაჯულებას ხელში ჩაუვარდება, იგი მხოლოდ ზნეობრივ არსებას, უფლებისა და ფაქტის საკითხს წარმოადგენს იმის მსგავსად, როგორც სტატისტიკოსებისათვის ადამიანი ციფრად იქცევა. როდესაც მხედარი კანცელარიაში შეიყვანეს, რათა იგი იმ დღესვე გასამართლებულ მოხეტიალეთა ჯგუფთან ერთად წაეყვანათ, დერვილმა გამოიყენა ის უფლება, რომლითაც ვექილებს ნება აქვთ სასამართლოში ყველგან თავისუფლად შევიდნენ, ახალმისჯილს კანცელარიაში შეჰყვა და ცოტა ხანს ათვალიერებდა მას და იმ საყურადღებო მათხოვრებს, რომელთა შორისაც

შაბერი იმყოფებოდა. მაშინ კანცელარიის წინა ოთახი წარმოადგენდა ერთ იმ სურათთაგანს, რომლის შესასწავლად არც ჩვენი კანონმდებლები, არც ფილანტროპები, არც მხატვრები და არც მწერლები თავს არ იწუხებენ.

როგორც სასამართლოს ყველა ლაბორატორია, ეს წინა ოთახიც ბნელი და მყრალი იყო. მის კედლებთან მიდგმული ხის სკამები გაშავებული იყო, როგორც იმ ბედშავთა მუდმივი დასაჯდომი ადგილი, რომლებიც თავს იყრიან საზოგადოებრივ უბედურებათა ამ პაემანზე. ამ შეკრებას ვერც ერთი მათგანი ვერ დააკლდება. პოეტი იტყოდა, დღის სინათლეს რცხვენია ეს საშინელი ბილწი ადგილი გაანათოს, სადაც ამდენი ბედკრული გაივლისო! აქ ერთი ადგილიც არ არის, რომ რომელიმე განზრახული ან უკვე მომხდარი ბოროტმოქმედების ჩამდენი არ დამჯდარიყოს: ერთი ადგილიც არ არის, სადაც პირველი შეცდომისათვის მართლმსაჯულების მიერ დადაღული ადამიანი არ მოხვედრილიყოს, სადაც პირველი შერცხვენით სასოწარკვეთილ ადამიანს ამიერიდან არ დაეწყოს ახალი ცხოვრება, რომლის დასასრული აღმართული გილიოტინა ან დამბაჩით თავის მოკვლაა. ყველა ის, ვინც პარიზის ქვაფენილზე ფეხს წაიკრავს, მოყვითალო კედლებშუა უნდა დაეცეს. აქ ფილანტროპს, თუ ის გრძნობადახშული არ არის, მრავალი თვითმკვლელობის გამართლება შეუძლია ამოიკითხოს; ფარისეველი მწერლები დასტირიან ამ თვითმკვლელობებს, უნარი კი არ შესწევთ მათ წინააღმდეგ წინასწარი ზომები მიიღონ. ეს გამართლება სწერია ამ წინა ოთახში, რომელიც თითქოს მორგისა და გრევის დრამების წინასიტყვაობაა.

პოლკოვნიკი შაბერი ის-ის იყო დაჯდა ამ ადამიანთა შორის, რომლებსაც ენერგიული სახე ჰქონდათ და სიღარიბის საშინელი ლივრეები ეცვათ. ისინი ჩუმად იყვნენ, ან ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან სამი მორიგე ჟანდარმი აქეთ-იქით დადიოდა და მათ ხმლებს იატაკზე რაწკუნი გაჰქონდათ.

დერვილი მოხუც მხედარს წინ დაუდგა და ჰკითხა:

_ ვერ მიცნობთ?

_ გიცანით, ბატონო, _ უპასუხა შაბერმა და წამოდგა.

_ თუ თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, _ განაგრძო დერვილმა ხმადაბლა, _ ჩემ მოვალედ როგორ დარჩით?

მოხუცი მხედარი გაწითლდა იმ ახალგაზრდა ქალიშვილივით, რომელსაც დედამ დაფარული სიყვარული გაუგო.

_ როგორ, ქალბატონმა ფეროდმა ვალი არ გადაგიხადათ? _ წამოიძახა მან ხმამაღლა.

_ გადამიხადა?.. _ თქვა დერვილმა. _ მან მომწერა, რომ თქვენ ინტრიგანი ხართ.

შაბერმა საშინელებისა და აღშფოთების გამომხატველი თვალები ზევით აღაპყრო, თითქოს ღმერთს შესჩიოდა ამ ახალი მოტყუების გამო.

_ ბატონო, _ თქვა მან წყნარი ხმით მიუხედავად აღელვებისა, _ ამიღეთ ჟანდარმებისაგან ნებართვა კანცელარიაში შესასვლელად. მე დაგიწერთ მინდობილობას, რომლითაც ანგარიშს გაგისწორებენ.

დერვილი ბადრაგს მოელაპარაკა და მას ნება დართეს თავისი კლიენტი კანცელარიაში შეეყვანა, სადაც იასენტმა გრაფი ფეროდის მეუღლეს რამდენიმე სტრიქონი მისწერა.

_ გაუგზავნეთ ეს, _ თქვა მხედარმა, _ და თქვენ აგინაზღაურდებათ გაწეული ხარჯები და ჩემი ვალი. მერწმუნეთ, ბატონო, თუ თქვენ მიერ აღმოჩენილი დახმარებისათვის მადლობა ვერ გითხარით, ეს მადლობა ამით აქ არ შემცირებულა, _ თქვა მან და გულზე ხელი დაიდო. _ დიახ, ის აქ არის სრულიად და უკლებლად, მაგრამ ბედშავთ რა შეუძლიათ? მათ უყვართ, მორჩა და გათავდა.

_ როგორ, _ უთხრა მას დერვილმა, _ თქვენთვის რაიმე რენტა ვერ დაიმტკიცეთ?

_ ნუ მელაპარაკებით ამის შესახებ! _ უპასუხა მოხუცმა მეომარმა. _ თქვენ არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ზიზღს ვგრძნობ ამ გარეგნული ცხოვრების მიმართ, რომელსაც ადამიანთა უმრავლესობა ეტანება. მე უეცრად შემიპყრო ავადმყოფობამ _ ეს არის ზიზღი კაცობრიობის მიმართ. როდესაც გამახსენდება, რომ ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზეა, მაშინ ჩემთვის ყველაფერი ამაოა, აღარ შემიძლია ვიყო მხედარი. ეს არის მთელი ჩემი უბედურება. ბოლოს, _ დაუმატა მან ბავშვური გულუბრყვილობით, _ უმჯობესია, საკუთარი გრძნობებით ბრწყინავდე, ვიდრე ტანისამოსით. მე არავის ზიზღი არ მაშინებს.

პოლკოვნიკი თავის ადგილას დაჯდა.

დერვილი წავიდა. როდესაც იგი თავის კანცელარიაში დაბრუნდა, გოდეშალი, რომელიც იმ დროს მასთან მეორე გადამწერად იყო, გრაფი ფეროდის მეუღლესთან გაგზავნა. როგორც კი ქალმა ბარათი წაიკითხა, მაშინვე გასცა განკარგულება ვექილისათვის გრაფი შაბერის ვალის დასაფარავად.

1840 წელს, ივნისის თვის ბოლოს, გოდეშალი, რომელიც მაშინ უკვე ვექილი იყო, დერვილთან ერთად რის გაემგზავრა. როდესაც მიაღწიეს გზატკეცილს, რომელიც ბისეტრისაკენ მიმავალ დიდ გზაზე გადის, გზის პირას, თელას ქვეშ, დაინახეს ერთი

ღარიბი, გათეთრებული და დაჩაჩანაკებული მოხუცი. ასეთი მოხუცები, რომლებმაც მათხოვართა მარშლის კვერთხი მიიღეს, ბისეტრში ცხოვრობენ ისე, როგორც ღატაკი ქალები სალპეტრიერში. ეს კაცი ერთი იმ ორი ათას უბედურთაგანი, რომლებიც მოხუცთა სამადლო სახლში არიან მოთავსებულნი, კუნძზე იჯდა და მთელი თავისი ყურადღება ინვალიდებისთვის კარგად ცნობილი საქმისათვის მიეპყრო: იგი მზეზე ჭუჭყიან ცხვირსახოცს აშრობდა, რათა მისი გარეცხვა არ დასჭირებოდა. ამ მოხუცს მიმზიდველი სახე ჰქონდა. მას ეცვა რაღაც საშინელი ლივრეის მსგავსი მოწითალო მაუდის ტანისამოსი, რომელსაც სამადლო სახლი თავის ბინადრებს აძლევს.

_ შეხედეთ, დერვილ, _ უთხრა გოდეშალმა თავის თანამგზავრს, _ ხომ ხედავთ ამ მოხუცს? ხომ ჰგავს იმ სასაცილო პატარა ქანდაკებებს, რომლებიც გერმანიიდან შემოაქვთ? იგი ცხოვრობს და, შეიძლება, ბედნიერიც არის.

დერვილმა ლორნეტი გაიკეთა, მათხოვარს შეხედა, გაოცებული შეტოკდა და თქვა:

_ ეს მოხუცი, ჩემო კარგო, მთელი პოემაა, ან, როგორც რომანტიკოსები ამბობენ, დრამაა. ოდესმე გრაფი ფეროდის მეუღლეს შეხვედრიხარ?

_ დიახ, ის ჭკვიანი და მეტად საამური ქალია, მხოლოდ მეტისმეტად ღვთისმოსავია, _ თქვა გოდეშალმა.

_ ეს ბისეტრელი მოხუცი მისი კანონიერი ქმარია, გრაფი შაბერი, ყოფილი პოლკოვნიკი; ალბათ, მისმა ცოლმა ჩასვა ის აქ. თუ შაბერი ამ სამადლო სახლშია იმის მაგივრად, რომ სასახლეში ეცხოვრა, ეს მოხდა იმის გამო, რომ გრაფი ფეროდის ლამაზ მეუღლეს მოაგონა, რომ მოედნიდან წამოიყვანა ისე, როგორც დაქირავებული ეტლი მიჰყავთ ხოლმე. ახლაც მაგონდება ძუ ვეფხვის შეხედვა, რომელიც მაშინ ცოლმა ქმარს სტყორცნა.

ასეთმა შესავალმა გოდეშალს ცნობისმოყვარეობა აღუძრა და დერვილმა მას ზემოთ მოთხრობილი ამბავი მოუყვა. ორი დღის შემდეგ, ორშაბათ დილით, როდესაც პარიზს ბრუნდებოდნენ, მეგობრებმა ბისეტრს გადახედეს და დერვილმა პოლკოვნიკი შაბერის ნახვა მოისურვა. შარაგზის შუა ადგილას ორი მეგობარი წააწყდა მოხუცს, რომელიც მოჭრილი ხის კუნძზე იჯდა, ხელში ჯოხი ეჭირა და სილაზე ხაზებს ავლებდა. კარგად რომ დააკვირდნენ, შენიშნეს, რომ მოხუცი ნასვამი იყო.

_ გამარჯობა, პოლკოვნიკო შაბერ, _ მიესალმა დერვილი.

_ მე შაბერი არა ვარ! არა ვარ შაბერი! მე იასენტი მქვია, _ უპასუხა მოხუცმა. _ მე ადამიანი აღარა ვარ, მე ვარ ნომერი 164, მეშვიდე დარბაზიდან, _ დაუმატა მან

დამფრთხალმა, შეწუხებული სახით შეხედა დერვილს, ბერიკაცური და ბავშვური შიშით. _ თქვენ გინდათ სიკვდილმისჯილი ინახულოთ? _ თქვა მან დუმილის შემდეგ. _ იგი უცოლოა! თავს ბედნიერად გრძნობს.

_ საწყალი კაცი, _ თქვა გოდეშალმა, _ თამბაქოს საყიდლად ფული გინდათ? _ პარიზის ქუჩის ბავშვის ხარბი გულუბრყვილობით პოლკოვნიკმა უცნობებს, რომლებმაც ოცფრანკიანი მისცეს, სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თვალი უაზროდ მიაპყრო მადლობის ნიშნად და უთხრა:

_ ყოჩაღ, ბიჭებო!

მერე ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს თოფს უმიზნებსო და ღიმილით წამოიძახა:

_ ცეცხლი, ორი ქვემეხიდან! გაუმარჯოს ნაპოლეონს! _ და ჰაერში ჯოხით რკალი მოხაზა.

_ ბავშვივით იქცევა. ალბათ, საშინელი ჭრილობის შედეგია, _ თქვა დერვილმა.

_ შაბერი იქცევა ბავშვივით! _ წამოიძახა ამ დროს ერთმა ძველმა ბისეტრელმა, რომელიც შორიახლო იდგა, _ ზოგჯერ მას სათოფეზე ვერ გაეკარები. ეს ეშმაკი მოხუცი ფილოსოფოსი და მეოცნებეა, მაგრამ დღეს ორშაბათია. ცოტა გადაკრულშია. იგი აქ 1820 წლიდანაა. მახსოვს, სწორედ იმ წელიწადს ერთმა პრუსიელმა ოფიცერმა გაიარა აქ. პრუსიელმა ეტლი ვილეჟუვის აღმართზე დატოვა და ფეხით განაგრძო გზა. მე და ჩემი მეგობარი იასენტი გზის პირას ვიჯექით. ოფიცერი ვიღაც თავის ამხანაგს ესაუბრებოდა. ამხანაგი ისეთივე უზრდელი ჩანდა, როგორიც თვითონ პრუსიელი იყო. ალბათ, ისიც უცხოელი იყო. მოხუცი რომ დაინახეს, გამასხარავება დაუპირეს. პრუსიელმა თავის თანამგზავრს უთხრა: «აი, მოხუცი მსროლელი, რომელიც, ალბათ, როსბახთან იბრძოდა». _ «მე იმ დროს ახალგაზრდა ვიყავი და იმ ბრძოლაში ვერ მივიღებდი მონაწილეობას, _ უპასუხა შაბერმა პრუსიელს, _ მაგრამ იენასთან ბრძოლის დროს კი საკმაოდ დავაჟკაცებული გახლდით». პრუსიელმა მაშინვე მოუსვა, პასუხის გაცემა ვერ გაუბედა.

_ რა არის ადამიანის ბედი! _ წამოიძახა დერვილმა, _ ბავშვობა მიგდებულ ბავშვთა სახლში გაატარო, სული ღრმა მოხუცთა თავშესაფარში დალიო და ამ ორ დროთა შუა ევროპისა და ეგვიპტის დაპყრობაში ეხმარებოდე ნაპოლეონს. იცით თუ არა, ძვირფასო, _ განაგრძო დერვილმა დუმილის შემდეგ, _ ჩვენს საზოგადოებაში სამი პროფესიის წარმომადგენლებს _ მღვდელს, ექიმს და მართლმსაჯულების მუშაკს არ შეუძლიათ არსებულ წეს-წყობილებას პატივი სცენ. მათ შავი ტანისამოსი აცვიათ, ალბათ იმიტომ, რომ ყველა სათნოებასა და ილუზიებს გლოვობენ. ამ სამში ყველაზე უბედური ვექილია.

როდესაც ადამიანი მღვდელთან მიდის, იგი მიჰყავს მონანიებას, სინდისის ქენჯნას, რწმენას, რაც მას ყურადღების ღირსად ხდის, ამაღლებს. ეს ნუგეშს სცემს შუამავლის სულს და მღვდელი თავის მოვალეობას ერთგვარი სიხარულით ასრულებს. იგი ადამიანს წმენდს, ასწორებს და არიგებს. ჩვენ, ვექილები კი, ვხედავთ ერთსა და იმავე ცუდ მიდრეკილებათა განმეორებას. არაფერი მათ არ ასწორებს, და ჩვენი კანცელარიები ჭუჭყიანი წყლის მილებია, რომლების გაწმენდა შეუძლებელია. ჩემი მოვალეობის შესრულების დროს რამდენი რამ გამიგია! მე მინახავს ოჯახის მამა, სხვენზე მომაკვდავი, ჯიბეცარიელი, ორი ქალიშვილის მიერ მიტოვებული, რომლებსაც მან ორმოცი ათასი ლივრი რენტა მისცა! მინახავს, როგორ სწვავენ ანდერძებს; მინახავს, როგორ სძარცვავენ დედები თავიანთ შვილებს; როგორ ქურდავენ თავიანთ ცოლებს ქმრები; როგორ კლავენ ცოლები ქმრებს; როგორ იყენებენ მათ სიყვარულს, რათა ისინი გიჟებად ან სულელებად გამოაცხადონ და შემდეგ საყვარელთან მშვიდად იცხოვრონ; მინახავს, როგორ აჩვევდნენ ბავშვს აკვნიდანვე ისეთ რამეს, რაც მის სიკვდილს გამოიწვევდა, რათა ამით თავისი უკანონო შვილი გაემდიდრებინათ. მე ვერ გეტყვით ყველაფერს, რაც მინახავს, რადგან მე მინახავს ბოროტმოქმედებანი, რომელთა მიმართ მართლმსაჯულება უძლურია. ბოლოს, ყველა ის საშინელება, რომელსაც რომანისტები სთხზავენ, სინამდვილეზე დაბლა დგას; თქვენ მოგელით ამ მშვენიერი ამბების გაგება. მე კი ვიცხოვრებ სოფელში ჩემს ცოლთან ერთად. პარიზი თავზარს მცემს.

_ დეროშთან უკვე ბევრი რამ ვნახე, _ უპასუხა გოდეშალმა.

<u>გობსეკი</u>

თარგმანი იროდიონ ქავჟარაძისა

ერთხელ, 1829-30 წლის ზამთარში, ვიკონტესა დე გრანლიეს სალონში, როგორღაც ღამის პირველ საათამდე შემორჩა ორი სტუმარი, რომლებიც მის ნათესავებს არ ეკუთვნოდნენ. ერთმა სტუმარმა, ლამაზმა ახალგაზრდა კაცმა, ბუხრის საათის რეკვა რომ გაიგონა, სწრაფად დაემშვიდობა ყველას. როდესაც ეზოში ეტლის ხმაური გაისმა, ვიკონტესამ ყურადღება არ მიაქცია, რომ აქ იყვნენ თავისი ძმა და ოჯახის ერთი მეგობარი, რომლებიც პიკეტის თამაშს ამთავრებდნენ, და მიუახლოვდა თავის ქალიშვილს. იგი დიდი ინტერესით ათვალიერებდა შუქფარის თითქოს გამჭვირვალე ნაყშებს, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, გულისყური მიმავალი ეტლის ხმაურისთვის მიეპყრო. ამან დედას ეჭვი კიდევ უფრო განუმტკიცა.

_ კამილა, თუ შემდეგშიაც ახალგაზრდა გრაფ დე რესტოსთან თავს ისე დაიჭერ, როგორც ამ საღამოს, იძულებული ვიქნები აღარ მივიღო იგი. გამიგონე, ჩემო ბავშვო, თუ ჩემს სიყვარულს ენდობი, ნება მომეცი შენს ცხოვრებას მე გავუძღვე. ჩვიდმეტი წლისანი ვერ ერკვევიან ვერც მომავალსა და წარსულში, ვერც საზოგადოების მოთხოვნებს უღებენ ალღოს. მე მხოლოდ ერთს გეტყვი: ბატონ დე რესტოს ჰყავს დედა, რომელსაც მილიონების გაფლანგვა შეუძლია. იგი მდაბიო წარმოშობისაა, გორიოს ქალიშვილია. ერთ დროს თავისი ქცევით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მამა ისე ცუდად ეპყრობოდა, რომ სწორედ ღირსი არ არის ასეთი კარგი ვაჟი ჰყავდეს. ახალგაზრდა გრაფი დედას აღმერთებს და დედაშვილურ ზრუნვას არ აკლებს, რაც უდიდესი ქების ღირსია. განსაკუთრებით ზრუნავს თავისი და-ძმისათვის. მაგრამ რა საქებარიც უნდა იყოს მისი ასეთი საქციელი, _ დაუმატა ვიკონტესამ სახის გონივრული გამომეტყველებით, _ სანამ დედამისი ცოცხალია, ყოველ ოჯახს შეეშინდება, თავისი ქალიშვილის მომავალი და ქონება ახალგაზრდა რესტოს მიანდოს.

_ მე რამდენიმე სიტყვა გავიგონე და თქვენს საუბარში ჩარევის სურვილი აღმეძრა, _ წამოიძახა ოჯახის მეგობარმა. _ მოგიგეთ, გრაფო, _ მიმართა მან თავის მოწინააღმდეგეს, _ და გტოვებთ, რათა თქვენს დისწულს მივეშველო.

_ აი, რას ნიშნავს ვექილის მახვილი სმენა, _ თქვა ვიკონტესამ. _ ჩემო ძვირფასო დერვილ, როგორ გაიგონეთ ის, რაც კამილას ძალიან ჩუმად ვუთხარი?

_ თქვენი სახის გამომეტყველებით მივხვდი, _ უპასუხა დერვილმა და ბუხართან მდგარ რბილ სავარძელში ჩაჯდა.

ბიძა დისწულის გვერდით დაჯდა, ქალბატონი გრანლიე კი _ პატარა სკამზე თავის ქალიშვილსა და დერვილს შორის.

_ დროა, ქალბატონო, გიამბოთ ერთი ამბავი, რომელიც შეგაცვლებინებთ თქვენ მიერ გამოთქმულ აზრს გრაფ ერნესტ დე რესტოს ქონებაზე.

_ ამბავი? _ წამოიძახა კამილამ. _ მაშ, ჩქარა გვიამბეთ, ბატონო დერვილ.

დერვილმა ქალბატონ დე გრანლიეს შეხედა და აგრძნობინა, რომ ეს ამბავი მისთვის საინტერესო უნდა ყოფილიყო. ვიკონტესა დე გრანლიე თავისი ქონებითა და გვარის ძირძველობით სენ-ჟერმენის უბნის ერთი მეტად სახელოვანი მანდილოსანთაგანი იყო; და თუმცა არაბუნებრივად გვეჩვენება, პარიზის ვექილი მასთან ასე შინაურად რომ ლაპარაკობს და მის ოჯახში თავი ასე ლაღად უჭირავს, მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია. ქალბატონი დე გრანლიე მეფის ოჯახთან ერთად დაბრუნდა საფრანგეთში და პარიზში დასახლდა, მაგრამ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ცხოვრების სახსრად მხოლოდ და მხოლოდ ის დახმარება ჰქონდა, რომელიც ლუი XVIII თავისი თანხებიდან დაუნიშნა. ვექილმა შემთხვევით აღმოაჩინა ზოგიერთი ფორმალური უსწორობა, რაც რესპუბლიკამ დაუშვა გრანლიეს კარ-მიდამოს გაყიდვისას, და მოითხოვა, რომ ეს კარ-მიდამო ვიკონტესას დაბრუნებოდა. ვექილმა აღძრა ძიება, ამტკიცებდა, რომ ჩადენილი იყო დანაშაული, და საქმე მოიგო. ამ წარმატებით გამხნევებულმა რომელიღაც დავრდომილთა თავშესაფრის მიმართ სადავო საქმე ისე კარგად წარმართა, რომ ვიკონტესა დე გრანლიეს ტყეც დაუბრუნეს. ამის შემდეგ ვექილმა დაუბრუნა ორლეანის არხის რამდენიმე აქცია და საკმაოდ მნიშვნელოვანი უძრავი ქონება, რომელიც იმპერატორმა საზოგადოებრივ დაწესებულებებს უბოძა. ამრიგად, ახალგაზრდა ვექილის მოხერხებით ქალბატონ დე გრანლიეს აღდგენილი ქონების ყოველწლიურმა შემოსავალმა სამოცი ათას ფრანკს მიაღწია, ამაში არ შედის ის დიდი თანხა, რაც ზარალის ანაზღაურების კანონით დაუბრუნდა. დიდად პატიოსანი და მცოდნე ვექილი, თავმდაბალი და ზრდილობიანი, ამის შემდეგ ოჯახის მეგობარი გახდა. თუმცა ვექილმა ასეთი მოქცევით ქალბატონ დე გრანლიეს მიმართ სენ-ჟერმენის უბნის საუკეთესო ოჯახების პატივისცემა და კლიენტურა მოიპოვა, მაგრამ ეს წარმატება არ გამოუყენებია ისე, როგორც ამით ვინმე პატივმოყვარე კაცს შეეძლო ესარგებლა. იგი არ დაეთანხმა ვიკონტესას, რომელიც ურჩევდა, თავისი კანტორა გაეყიდა და სამსახური დაეწყო სასამართლოში, სადაც გავლენიანი მანდილოსნის

მფარველობით სწრაფად დაწინაურდებოდა. მაღალ საზოგადოებაში მხოლოდ იმისთვის გამოჩნდეობდა, რათა მასთან ურთიერთობა არ გაეწყვიტა, ქალბატონ დე გრანლიეს ოჯახში კი ზოგჯერ მთელ საღამოს რჩებოდა. დერვილი ბედნიერი იყო, რომ თავისი ერთგულებით ქალბატონ დე გრანლიესადმი თავისი ნიჭი დაანახვა ხალხს და ამით საკუთარ კანტორას დაღუპვის საფრთხე ააცილა. დერვილი არ იყო ვექილი მოწოდებით. ამის შემდეგ, რაც გრაფ ერნესტ დე რესტომ ვიკონტესას ოჯახში დაიწყო სიარული, და დერვილმა შენიშნა, რომ კამილას ეს ახალგაზრდა მოსწონდა, ვექილი ქალბატონ დე გრანლიეს ისეთი ხშირი სტუმარი გახდა, თითქოს კეთილშობილთა უბნის საზოგადოებაში ახალმიღებული შოსე დ'ანტენის დენდი ყოფილიყოს. რამდენიმე დღის წინათ დერვილი ერთ მეჯლისზე კამილას გვერდით აღმოჩნდა, მას ახალგაზრდა გრაფი დაანახა და უთხრა:

_ საწყენია, რომ ამ ყმაწვილს ორი თუ სამი მილიონი არა აქვს!

_ რატომაა «საწყენი»? მე ასე არ ვფიქრობ, _ უპასუხა ქალიშვილმა, _ ბატონი დე რესტო ძალიან ნიჭიერი და განათლებული კაცია. მინისტრი, რომელთანაც მუშაობს, კარგი თვალით უყურებს. დარწმუნებული ვარ, ფრიად ცნობილი კაცი გახდება. ეს ყმაწვილი მიიღებს ისეთ ქონებას, როგორსაც მოისურვებს იმავე დღეს, როგორც კი დიდ თანამდებობას დაიკავებს.

_ გეთანხმებით, მაგრამ უკვე მდიდარი რომ იყოს?

_ მდიდარი რომ იყოს, _ თქვა კამილამ და გაწითლდა, _ მაშინ ყველა აქ მყოფი ახალგაზრდა ქალი ერთმანეთს შეეცილებოდა, _ დაუმატა მან და კადრილის მოცეკვავეებზე მიუთითა.

_ და მაშინ, _ უპასუხა ვექილმა, _ დე გრანლიეს ასული არ იქნებოდა ერთადერთი, რომელსაც იგი ყურადღებას მიაქცევდა. მოგწონთ განა? აბა, მითხარით.

კამილა მაშინვე ადგა.

«უყვარს», _ გაიფიქრა დერვილმა.

ამ დღიდან კამილა ვექილს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა, რადგან ქალი მიხვდა, რომ იგი ამ სიყვარულს უწონებდა. მანამდე კი, თუმცა კამილამ იცოდა, როგორ დავალებული იყო მისი ოჯახი დერვილისაგან, მაგრამ ვექილისადმი უფრო პატივისცემას გრძნობდა, ვიდრე ნამდვილ მეგობრობას, მის მიმართ უფრო თავაზიანობას იჩენდა, ვიდრე გულითადობას. თავისი ქცევით, აგრეთვე ხმის კილოთი კამილა დერვილს აგრძნობინებდა, ჩვენ შორის მანძილი არსებობსო, როგორც ამას მაღალი საზოგადოების

ეტიკეტი მოითხოვს, მადლიერება ის ვალია, რომელსაც შვილები ყოველთვის არ თვლიან თავისთვის სავალდებულოდ.

_ ამაღამდელი საღამო მაგონებს ჩემი ცხოვრების ერთადერთ რომანტიკულ შემთხვევას, _ თქვა დერვილმა მცირე დუმილის შემდეგ. _ აი, თქვენ უკვე იცინით, _ განაგრძო მან, _ გგონიათ ვექილი თავისი ცხოვრების რომანს მოგიყვებათ. მაშინ 25 წლის ვიყავი. ამ ხნისა თავის დროზე ყველა ყოფილა, და ამ ასაკში უკვე ბევრი რამ საოცარი ამბავი მქონდა გაგებული. უნდა მოგითხროთ ერთ მევახშეზე, რომელსაც თქვენ არ იცნობთ.

წარმოიდგინეთ ფერმიხდილი, მკრთალი სახე, რომელსაც, თუ აკადემია ნებას დამრთავდა, მთვარის სახეს ვუწოდებდი, იმიტომ რომ იგი ფერგადასულ მოოქრულ ვერცხლს ჰგავდა. ჩემს მევახშეს ჭაღარა თმა ჰქონდა სწორად, საგულდაგულოდ დავარცხნილი. მისი სახის ნაკვთები ისე უვნებო როგორც ტალეირანისა, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. კვერნასავით ყვითელი, წვრილი უწამწამო თვალები ჰქონდა, რომლებიც სინათლეს ვერ იტანდნენ. მაგრამ ძველი ქუდის წინაფრა თვალებს სინათლისაგან უფარავდა. მისი წვეტიანი ცხვირის ბოლო ისე იყო ყვავილით დაჭმული, რომ პატარა ბურღს ჰგავდა. მევახშეს ჰქონდა თხელი ტუჩები, როგორც რემბრანდტისა და მეტსუს მიერ დახატულ ალქიმიკოსებსა და პატარა ბერიკაცებს. ლაპარაკობდა ტკბილი ხმით, ჩუმად, არასდროს არ ცხარობდა. მისი ასაკი ძნელი გამოსაცნობი იყო: ვერ მიხვდებოდა, უდროოდ დაბერებულიყო თუ კარგად იყო შენახული. ოთახში ყველაფერი გაპრიალებული და დალაგებული ჰქონდა _ საწერი მაგიდის მწვანე მაუდიდან დაწყებული საწოლის პატარა ნოხამდე, და ამიტომაც მოგაგონებდათ იმ შინაბერთა ცივ საკანს, სადაც მთელ დღეს ავეჯის წმენდა-გაპრიალებაში ატარებენ. ზამთარში მისი ბუხრის მუგუზლები, მუდამ ნაცრის გროვაში ჩაფლულნი, უალოდ ბოლავდნენ. საათის სიზუსტეს ემორჩილებოდა ყველაფერი, რასაც მოხუცი აკეთებდა, დაწყებული დილიდან, როდესაც იგი დგებოდა, საღამომდე, როცა მას ხველება აუტყდებოდა. ის იყო მომართული ადამიანი-ავტომატი. ქაღალდზე მხოხავ აბანოს ჭიას რომ ხელი შეახოთ, შეჩერდება და თავს მოიმკვდარუნებს. ეს ადამიანიც თავის საუბარს წყვეტდა ეტლის გავლის დროს, რათა ხმისათვის ძალა არ დაეტანებინა. ფონტენელისა არ იყოს, სასიცოცხლო ენერგიას უფრთხილდებოდა და ყველა ადამიანურ გრძნობას თავის არსებაში კლავდა. ისე ჩუმად, უხმაუროდ ცხოვრობდა, როგორც უხმაუროდ ჩადის ქვიშის ნაკადი ძველებურ ქვიშის საათში. ზოგჯერ მისი მსხვერპლნი ბევრს ყვიროდნენ, შმაგობდნენ, მერე დიდი სიწყნარე

მყარდებოდა, როგორც სამზარეულოში, სადაც იხვს კლვენ. საღამოს ადამიანი-თამასუქი ჩვეულებრივ ადამიანად იქცეოდა, მისი ოქრო და ვერცხლი კი ადამიანის გულად. თუ გასული დღით კმაყოფილი იყო, ხელებს ისრესდა და სახის ჩაღრმავებული ნაოჭებიდან სიხარული ეფრქვეოდა. შეუძლებელია სხვანაირად გადმოგცეთ კუნთების მუნჯი თამაში, რომელშიც იხატებოდა «ტყავის წინდის» უხმო სიცილის მსგავსი შეგრძნება, ბოლოს, უდიდეს სიხარულს ერთი-ორი სიტყვით თუ გამოხატავდა. ამ დროს მისი გარეგნობა არაფერს ამჟღავნებდა. შემთხვევით აი, როგორი მეზობლის გვერდით მომიხდა ცხოვრება გრეის ქუჩაზე მდებარე სახლში. მაშინ მე მხოლოდ უმცროსი საქმისმწარმოებელი ვიყავი ვექილის კანტორაში და იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსს ვამთავრებდი. ამ ნესტიანსა და ბნელ სახლს ეზო არ ჰქონდა. ბინებში სინათლე მხოლოდ ქუჩიდან შედიოდა. მონასტრის მსგავსად აგებული ეს შენობა დაყოფილი იყო თანაბარი ზომის ოთახებად, რომლებსაც მხოლოდ ერთი გამოსასვლელი ჰქონდა პატარა სარკმლებიან გრძელ დერეფანში. ყველაფერი ეს იმას ადასტურებდა, რომ შენობა ოდესღაც მონასტრის ნაწილს შეადგენდა. საკმარისი იყო ვინმე დარდიმანდს ამ პირქუშ სახლში ფეხი შემოედგა, რომ მყისვე ჩემს მეზობელთან შესვლის ხალისი გაუქრებოდა. სახლი და მობინადრე ისე იყვნენ შერწყმული, როგორც სალი კლდე და ზედ მიწებებული ლოკოკინა. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც მოხუცს როგორც იტყვიან, ურთიერთობა ჰქონდა, მე ვიყავი. შემოდიოდა ჩემთან ცეცხლისათვის, მთხოვდა წიგნს, გაზეთს და საღამოს თავის საკანში შესვლის ნებას მაძლევდა. ჩვენ ხანდახან, როცა კარგ გუნებაზე იყო, წავიმასლაათებდით კიდეც. მისი ასეთი ნდობა ჩვენი ოთხი წლის მეზობლობით და და რიგიანი საქციელით დავიმსახურე. ჩემი საქციელი უფულობის გამო ძლიერ ჰგავდა მისას. ჰყავდა მას თუ არა ნათესავები, მეგობრები? მდიდარი იყო თუ ღარიბი? ამ კითხვებზე პასუხს ვერავინ მოგცემდათ. არასოდეს მინახავს მის ხელში ფული. მევახშის ქონება, თუკი მას ჰქონდა ქონება, ალბათ, ბანკის სარდაფებში ინახებოდა. იგი თამასუქებით ფულის მისაღებად პარიზში დარბოდა ირემივით ხმელი და წვრილი ფეხებით. ჰო, ერთხელ მეტისმეტი სიფრთხილის გამო დაზარალდა. შემთხვევით ორმოცფრანკიანი ოქრო ჰქონდა. იგი ჟილეტის ჯიბიდან ამოუვარდა. ერთმა მობინადრემ, რომელიც კიბეზე მის უკან ჩადიოდა, ფული ამოიღო და მიაწოდა.

_ ეს ჩემი არ არის, _ უპასუხა გაკვირვებულმა და ხელი აიქნია, _ მე ოქრო ვინ მომცა, მე რომ მდიდარი ვიყო, განა ასე ვიცხოვრებდი?

დილით თვითონ იმზადებდა ყავას რკინის მაყალზე, რომელიც ყოველთვის ბუხრის გამჭვარტლულ კუთხეში იდგა. სადილი მისთვის სასადილოდან მოჰქონდათ. ჩვენი მოხუცი მეკარე ქალი დანიშნულ დროს ადიოდა მასთან ოთახის დასალაგებლად. რაღაც უცნაურობის წყალობით, რასაც სტერნი წინასწარ განსაზღვრას უწოდებს, ამ ადამიანს გობსეკი ერქვა. უფრო გვიან, როცა მან თავისი საქმეები მომანდო, გავიგე, რომ ჩვენი გაცნობის დროს გობსეკი, დაახლოებით, სამოცდაცამეტი წლისა იყო. იგი დაიბადა 1740 წელს, ანტვერპენის ერთ-ერთ გარეუბანში. დედა ებრაელი ჰყავდა, მამა კი ჰოლანდიელი. მას ჟან-ესტერ ვან გობსეკს ეძახდნენ. თქვენ გახსოვთ, როგორ აალაპარაკა პარიზი იმ ქალის მკვლელობამ, რომელიც «მშვენიერი ჰოლანდიელი ქალის» სახელით იყო ცნობილი. შემთხვევით ჩემს ძველ მეზობელს ამაზე ვესაუბრე.

_ ის ჩემი დის შვილიშვილი იყო, _ მითხრა მან, მაგრამ რაიმე ინტერესი, არც ოდნავი გაკვირვება არ გამოუხატავს.

მხოლოდ ეს სიტყვები ათქმევინა თავისი ერთადერთი მემკვიდრის, დის შვილიშვილის, სიკვდილმა. სასამართლოში საქმის გარჩევის დროს გავიგე, რომ მშვენიერ ჰოლანდიელ ქალს, მართლაც, სარა ვან გობსეკი ერქვა. მოხუცს ვკითხე, რა მიზეზია, რომ თქვენი დის შვილიშვილი გობსეკის გვარს ატარებს-მეთქი, მან ღიმილით მიპასუხა:

_ ჩვენი ოჯახის ქალები არასოდეს თხოვდებიან.

ამ არაჩვეულებრივ ადამიანს არასოდეს აღძვრია სურვილი ენახა ერთადერთი არსება თავის ნათესავ ქალთა ოთხი თაობიდან. მას სძულდა მემკვიდრეები და ვერ წარმოედგინა, რომ ვინმე ყოფილიყო მისი ქონების მფლობელი, მისი სიკვდილის შემდეგაც კი. ათი წლისა რომ გამხდარა, დედამისს იუნგად მოუწყვია გემზე, რომელიც ოსტ-ინდოეთს მიდიოდა, ჰოლანდიის სამფლობელოში. გობსეკი იქ ოც წელიწადს დაეხეტებოდა. მისი მოყვითალო შუბლის ნაოჭებში იმალებოდა საზარელი ამბები, მოულოდნელი საშინელებანი, უეცარი შემთხვევები, რომანტიკული ფათერაკები, მრავალი სიამოვნების საიდუმლოებანი. აქ იფარებოდა გადატანილი შიმშილი, ფეხქვეშ გათელილი სიყვარული, წყალშემდგარი, დაკარგული და კვლავ აღდგენილი ქონება, მრავალგზის საფრთხეში ჩავარდნილი სიცოცხლე, თავის გადარჩენა ისეთი ღონისძიებებით, რომელთა გარდაუვალი აუცილებლობა სისასტიკეს ამართლებს. იგი იცნობდა ბატონ დე ლალის, ადმირალ სიმეზას, ბატონ დე კერგარუეს, დ'ესტენს, დე სიუფრენს, ბატონ დე პორტანდიურეს. ლორდ კორნუელსს, ლორდ ჰასტინგსს, ტიპო-საიბის მამას თვითონ ტიპო საიბს. ის სავოიარი, რომელიც დელის მეფის მაჰარაჯი-სინდიახის სამსახურში იყო

და რომელმაც ფრიად შეუწყო ხელი მაჰარეტელების ხელისუფლების განმტკიცებას, მასთან საქმეს აჭახრაკებდა. გობსეკს ჰქონდა ურთიერთობა ვიქტორ ჰუგთან და მრავალ ცნობილ მეკობრესთან, რადგან სენ-ტომაზში დიდხანს ცხოვრობდა. გასამდიდრებლად რა არ იღონა, ისიც კი სცადა, რომ ბუენოს-აირესის მიდამოებში მცხოვრები ველურების ცნობილი ოქროს განძი აღმოეჩინა. ბოლოს, იგი დაკავშირებული იყო ამერიკის დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის ყველა ამბავთან. მაგრამ ინდოეთსა ან ამერიკაზე ლაპარაკი არ უყვარდა. თუკი ჩემთან იშვიათად რასმე იტყოდა, მერე ყოველთვის ნანობდა. თუ ადამიანობა, ადამიანთა შორის ურთიერთობა თავისებურ რელიგიად შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ გობსეკი შეიძლებოდა ათეისტად ჩაგეთვალათ. თუმცა მე ვცადე გამეგო, რა კაცი იყო გობსეკი, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, რომ უკანასკნელ წუთამდე ჩემთვის მისი გული მიუწვდომელი დარჩა. ზოგჯერ თავს ვეკითხებოდი, რა სქესს ეკუთვნის-მეთქი. თუ ყველა მევახშე მას ჰგავს, დარწმუნებული ვარ, ისინი, ყველანი უსქესო არსებანი არიან. დარჩა ის თავისი დედის რჯულის ერთგული და ქრისტიანებს უყურებდა, როგორც თავის მსხვერპლს? გახდა ის კათოლიკე, მაჰმადიანი, ბრამინი თუ პროტესტანტი? ვერ მოვახერხე გამეგო მისი რელიგიური შეხედულებანი. იგი უფრო გულგრილი ჩანდა, ვიდრე ურწმუნო. ერთ საღამოს მე შევედი ამ ადამიანთან, რომელიც ოქროდ გადაიქცა და რომელსაც მისი მსხვერპლნი ირონიითა თუ დაცინვით, ძია გობსეკს ეძახდნენ, თვითონ კი მათ კლიენტებს უწოდებდა.

სავარძელში ქანდაკებასავით უძრავად იჯდა, თვალი ბუხრის თაროსთვის მიეპყრო, სადაც თითქოს განაღდებული თამასუქების სიებს ხელმეორედ კითხულობდა. მწვანეფეხიანი, მბოლავი ლამპა ჰფენდა შუქს, რომელიც მის სახეს არა თუ აცოცხლებდა, უფრო ფერმკრთალს აჩენდა. მდუმარედ შემომხედა და სკამზე მიმითითა.

«რაზე ფიქრობს ეს ადამიანი? _ შევეკითხე ჩემს თავს. _ იცის თუ არა, რომ არსებობს ღმერთი, გრძნობა, ქალები, ბედნიერება?»

შემეცოდა ისე, როგორც კაცს მძიმე ავადმყოფი შეეცოდება. მაგრამ ამასთანავე კარგად მესმოდა, რომ თუ მას ბანკში მილიონები ჰქონდა, შეეძლო ოცნებით დაუფლებოდა ყველა ქვეყანას, რომლებიც შემოუვლია, გადაუქოთებია, აუწონ-დაუწონია, შეუფასებია, გაუძარცვია.

_ გამარჯობა, ძია გობსეკ, _ ვუთხარი.

თავი ჩემსკენ მოიბრუნა, ხშირი წარბები ოდნავ შეიკრა. ეს მისი დამახასიათებელი მოძრაობა სამხრეთელის უმხიარულეს ღიმილს უდრიდა.

_ თქვენ ისევე უგუნებოდ ბრძანდებით, როგორც იმ დღეს იყავით, როცა იმ გამომცემლის გაკოტრება შეგატყობინეს, ვისი მოხერხებულობაც ასე მოგწონდათ, თუმცა მისი მსხვერპლიც თვითონ გახდით.

_ მსხვერპლი? _ მკითხა გაკვირვებულმა.

_ თქვენთან მოსარიგებლად ხომ მან მოგცათ გაკოტრებული სავაჭრო ფირმის სახელით ხელმოწერილი თამასუქები? და როდესაც მდგომარეობა გაუმჯობესდა, განა მან არ გაიძულათ, ამ შეთანხმებით დაწესებული ფასდაკლება გაგეკეთებინათ?

_ ის გაიძვერა იყო, _ მიპასუხა მან, _ მაგრამ მაინც ყინულზე გავაცურე.

_ გასაპროტესტებელი თამასუქები ხომ არა გაქვთ? დღეს, მგონია, ოცდაათი რიცხვია.

პირველი შემთხვევა იყო, რომ ფულზე ველაპარაკებოდი. დაცინვით თვალი მომაპყრო. მერე ტკბილი ხმით მიპასუხა, და ეს ტკბილი ხმა ისე ჟღერდა, როგორც ფლეიტა, რომელსაც მოწაფე უსატუჩედ უკრავს.

_ მე ვერთობი.

_ მაშ, თქვენ იცით, რა არის გართობა?

_ თქვენ ფიქრობთ, მხოლოდ ისაა პოეტი, ვინც ლექსებს ბეჭდავს? _ მითხრა, მხრები აიჩეჩა და სიბრალულით შემომხედა.

«პოეზია და ეს კაცი?» _ გავიფიქრე, რადგან მაშინ ჯერ კიდევ მისი ცხოვრებისა არაფერი ვიცოდი.

_ ვისი ცხოვრება იქნება ისე ბრწყინვალე, როგორც ჩემია? _ განაგრძო მან და თვალები აუციმციმდა. _ თქვენ ახალგაზრდა ხართ, სისხლი გიდუღთ, ცეცხლს უყურებთ და მუგუზლები ქალების სხეულებად გეჩვენებათ, ჩემთვის კი ისინი მხოლოდ ნახშირია. თქვენ ყველაფერი გწამთ, მე კი არაფერი. შეინარჩუნეთ თქვენი ილუზიები, თუ შეძლებთ. მე ცხოვრებას შეგიჯამებთ. იმოგზაურებთ თუ ბუხრისა და ცოლის მახლობლად გაატარებთ მთელ დროს, მაინც მიაღწევთ ისეთ ასაკს, როცა განსაზღვრულ შეთვისებულ ადგილას ცხოვრება გადაიქცევა მხოლოდ ჩვეულებად, მაშინ ბედნიერება ის იქნება, რომ თქვენი უნარი გამოიყენოთ რეალურ საგნებთან შეგუებით. გადა ამ ორი წესისა, ყველაფერი ტყუილია. ჩემი პრინციპები იცვლებოდნენ სხვა ადამიანთა პრინციპების შესაბამისად. მე პრინციპები ყოველ განედზე უნდა შემეცვალა. ის, რაც ევროპაში აღტაცების საგანია, აზიაში ისჯება. ის, რაც პარიზში მანკია, აზორის კუნძულებს რომ გასცდებით, აუცილებლობად იქცევა. ამქვეყნად მუდმივი არაფერია, ყველაფერი მხოლოდ

პირობითია, ყველაფერი ჰავის მიხედვით იცვლება. იმისათვის, ვინც იძულებული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში გადაეშვას, რწმენა და ზნეობრივი წესები ფუჭი სიტყვებია. გვრჩება მხოლოდ ერთადერთი გრძნობა, რომელიც ბუნებამ ჩაგვინერგა: თავდაცვის ინსტინქტი. ჩვენს ევროპაში ამ ინსტინქტს პირად ინტერესს ეძახიან. როცა ჩემს ასაკს მიაღწევთ, გეცოდინებათ, რომ არის მხოლოდ მატერიალური რამ, რომლის ღირებულება საკმაოდ უტყუარია იმისათვის, რომ ადამიანმა ხელი მოჰკიდოს. ეს... ეს არის ოქრო. ოქრო შეიცავს ადამიანთა მთელ ძალას. მე ვიმოგზაურე და ვნახე, რომ ყველგან მთა ან ბარია. ბარი მოსაწყენია, მთა კი დამღლელი; ადგილმდებარეობა, მაშ, არაფერს ნიშნავს. რაც შეეხება ზნე-ჩვეულებებს, ადამიანი ყველგან ერთნაირია, ყველგან გაჩაღებულია ბრძოლა ღარიბსა და მდიდარს შორის. ეს ყველგან გარდუვალია. მაშასადამე, უმჯობესია, სხვას ყვლეფდე, ვიდრე შენ გყვლეფდნენ. ყველგან გხვდება ძარღვიანი ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, და უძლური ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან. სიამოვნება ყველგან ერთნაირია, რადგან ყოველგვარი გრძნობა ყველგან ამოიწურება ხოლმე და გადარჩება მხოლოდ ერთი გრძნობა, დიდების მოყვარულობა. დიდების მოყვარულობა არის ყოველთვის «მე». დიდების მოყვარულობა მხოლოდ ოქროს ნიაღვრებით კმაყოფილდება. ჩვენი სურვილები მოითხოვს დროს, ფიზიკურ საშუალებას და ზრუნვას. ოქრო კი ყველაფერს შეიცავს ჩანასახში და ყველაფერს იძლევა სინამდვილეში.

მხოლოდ გიჟებსა და ავადმყოფებს შეუძლიათ ბედნიერება ჰპოვონ იმაში, რომ მთელი საღამო ბანქოს თამაშში გაატარონ, რათა რამდენიმე სუ მოიგონ ან წააგონ. მხოლოდ სულელებს შეუძლიათ დაკარგონ დრო იმის გამორკვევაში, რა მოხდება, როდესაც რომელიმე ქალბატონი მარტო დაწვება დივანზე ან ვინმესთან ერთად; და რა უფრო მეტი აქვს ამ ქალბატონს, სისხლი თუ ლიმფა, ტემპერამენტი თუ სათნოება? მხოლოდ ჩერჩეტებს შეუძლიათ იფიქრონ, მოყვასთა სასარგებლო საქმეს ვაკეთებთო, როცა ისინი პოლიტიკური პრინციპების დადგენას ჰკიდებენ ხელს გაუთვალისწინებელი შემთხვევების წასამართავად. მხოლოდ რეგვენთ შეუძლიათ უყვარდეთ მსახიობებზე ლაპარაკი და მათი სიტყვების განმეორება. ყოველდღე სეირნობა, ბოსელში მოსიარულე პირუტყვივით, მხოლოდ უფრო დიდ ფართობზე; ტანთ ჩაცმა და ნადიმების მოწყობა სხვების დასანახად; თავის მოწონება ცხენით ან ეტლით, რომლების შეძენა მეზობელს მხოლოდ სამი დღით უფრო გვიან შეუძლია. ხომ ასეთია პარიზელთა ცხოვრება, რამდენიმე ფრაზით გადმოცემული? განვიხილოთ ადამაინის არსებობა უფრო მეტი სიმაღლიდან, რომლიდანაც ადამიანები მას ვერ ხედავენ. რაშია ბედნიერება? ან ძლიერ

გრძნობებში, რომლებიც ცხოვრებას ანადგურებს, ან წესიერ საქმიანობაში, რომელიც ცხოვრებას თანაბარზომიერად მოქმედ ინგლისურ მექანიზმად აქცევს. ამ ბედნიერებაზე მაღლა დგას ცოდნისმოყვარეობა. ვითომდაც კეთილშობილი _ ჩასწვდე ბუნების საიდუმლოებას ან შეძლო ერთგვარად მიბაძო მის მოქმედებას. ორი სიტყვით რომ ვთქვათ, ეს ხომ ხელოვნებაა ან მეცნიერება, ვნებაა ან სიმშვიდე? ეჰ! ასე, ადამიანთა ყველა ვნება, თქვენი სოციალური ინტერესების თამაშით გაღვივებული, წინ ჩამივლის ზეიმით მე, სიმშვიდეში მცხოვრებს. შემდეგ, ჩვენს მეცნიერულ ცოდნისმოყვარეობას, ერთდაგვარ ბრძოლას, სადაც ადამიანი ყოველთვის დამარცხებულია, მე ვცვლი ხოლმე კაცობრიობის მამოძრავებელ მიზეზთა განჭვრეტით. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ვფლობ დაუღლელად, და მსოფლიო ჩემზე ოდნავადაც ვერ ბატონობს.

_ ყური დამიგდეთ, _ განაგრძო მან, _ მე გიამბობთ ამ დილით მომხდარ ამბებს და თქვენ გაიგებთ, რამ გამახარა ასე.

ადგა, კარი ურდულით ჩაკეტა, ზედ გაასწორა ძველი მოქარგული ფარდა, რომლის რგოლები აჭრიალდა, და ისევ დაჯდა.

_ ამ დილით, _ მითხრა მან, _ მე ორი თანხა უნდა მიმეღო. სხვა თამასუქები წინა დღით მქონდა გადაცემული ჩემს მუდმივ კლიენტებთან ანგარიშის გასასწორებლად. ყველაფერი ეს მოგებაა. ხარჯების გამოანგარიშებისას ვაკლებ თანხას, რაც ფულის მიღებაზე მეხარჯება, ვანგარიშობ ორმოც სუს ეტლის დასაქირავებლად. სასაცილოა, რომ საქმე მაიძულებს პარიზი დავიარო საგანაღდებო ექვსი პროცენტისათვის, მე, რომელიც მხოლოდ შვიდ ფრანკს გადასახადს ვიხდი. ათასფრანკიანი პირველი თამასუქი ახალგაზრდა ლამაზმა ლორნეტიანმა კაცმა მომიტანა. მას კილიტიანი ჟილეტი ეცვა. მოგრიალდა ორთვლიანი ეტლით, რომელშიც ინგლისური ცხენი იყო შებმული. ამ თამასუქზე ხელი მოეწერა პარიზის ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალს, მდიდარი მესაკუთრის, გრაფის ცოლს. რატომ მოაწერა ხელი გრაფის მეუღლემ ამ თამასუქს, იურიდიულად ძალამოკლებულს, მაგრამ გასანაღდებლად შესანიშნავს? იმიტომ, რომ ამ საბრალო ქალებს ეშინიათ სკანდალისა, რასაც მათ ოჯახში თამასუქის გაპროტესტება გამოიწვევს და ვალის გადაუხდელობას ამჯობინებენ საკუთარი არსებით დაფარონ სესხი. მინდოდა ამ თამასუქის საიდუმლო ფასი გამეგო. ეს იყო სისულელე, გაუფრთხილებლობა, სიყვარული თუ მოწყალება? ამავე თანხის მეორე თამასუქი, ფანი მალვოს მიერ ხელმოწერილი, მომიტანა გაკოტრების გზაზე შემდგარმა ტილოს ვაჭარმა. არც ერთი ადამიანი, რომელსაც ბანკში რაიმე კრედიტი აქვს, არ მოვა ჩემს დუქანში, სადაც კარიდან ჩემ საწერ მაგიდამდე

გადმოდგმული პირველი ნაბიჯი ამჟღავნებს უიმედობას, უკვე კარს მომდგარ გაკოტრებას; ეს ნიშნავს, განსაკუთრებით, რომ ყველა ბანკირმა ჩემს სტუმარს უკვე უარი უთხრა ფულის სესხებაზე. ასე მე მიხდება ნახვა მხოლოდ ძაღლებმისეული ირმებისა, რომლებიც კრედიტორების ხროვას დაუქანცავს. გრაფის მეუღლე ჰელდერის ქუჩაზე ცხოვრობდა, ჩემი ფანი კი მონმარტრზე. თავში რა ფიქრი არ მომივიდა, ამ დილას სახლიდან რომ მოვდიოდი. თუ ეს ქალები ხელმოკლედ არიან, მეტი პატივით მიმიღებენ, ვიდრე საკუთარ მამას. რა მანჭვა-გრეხას დაიწყებს გრაფის მეუღლე ჩემთან ათასი ფრანკისათვის! გულითადობის იერს მიიღებს, ისეთი ტკბილი კილოთი დამიწყებს ლაპარაკს, როგორც თამასუქის მქონეს ელაპარაკებიან, ჩემთვის საალერსო სიტყვებს არ დაიშურებს, შეიძლება მემუდაროს, მე კი... _ აქ მოხუცმა ცივად შემომხედა. _ მე კი უდრეკი ვარ! _ განაგრძო მან, _ მე იქ წარვსდგები, როგორც შურისმგებელი როგორც სინდისის ქენჯნა. თავი გავანებოთ ვარაუდს, მივდივარ.

_ გრაფის მეუღლე ჯერ არ ამდგარა, _ მითხრა მოსამსახურე ქალმა.

_ როდის შეიძლება მისი ნახვა?

_ თორმეტ საათზე.

_ ავად ხომ არ ბრძანდება გრაფის მეუღლე?

_ არა, ბატონო, მაგრამ მეჯლისიდან დილის სამ საათზე დაბრუნდა.

_ მე გობსეკი ვარ, უთხარით ჩემი გვარი, შუადღისას ისევ მოვალ.

მე მივდივარ და კვალს ვტოვებ ნოხზე, რომელსაც კიბის ფილები დაუფარავს. მიყვარს მდიდარი ადამიანის ნოხების დასვრა, არა მდაბალი გრძნობებით, არამედ იმისთვის, რათა აუცილებლობის კლანჭები ვაგრძნობინო მათ. მონმარტრზე ავედი. უშნო სახლთან შევჩერდი, ძველ პატარა ჭიშკარს ხელი ვკარი, ვხედავ ერთ იმ ბნელ ეზოთაგანს, სადაც მზე არასოდეს აღწევს. მეკარის სადგომი შავი იყო, ფანჯრის მინები დიდხანს ნატარები, დაბამბული ქურთუკის სახელოს ჰგავდა და გაქონილი, ჩაბნელებული, გაბზარული იყო.

_ ქალბატონი ფანი მალვო შინ ბრძანდება?

_ წასულია, მაგრამ, თუ თქვენ თამასუქის გამო მობრძანდით, ფული აქ არის.

_ შემდეგ შემოვივლი, _ ვუთხარი.

თუმცა ფული მეკარეს ჰქონდა, მაგრამ მე მინდოდა ის ქალი მენახა; წარმოვიდგინე, რომ ლამაზია. დილა ბულვარზე გავატარე, იქ გამოფენილი გრავიურები დავათვალიერე;

საათმა რომ თორმეტჯერ დარეკა, მე უკვე შევდიოდი გრაფის მეუღლის საწოლი ოთახის წინ მოთავსებულ სასტუმრო ოთახში.

_ ქალბატონმა ეს-ეს არის დამირეკა, _ მითხრა მოსამსახურე ქალმა, - და ვფიქრობ, ჯერ კიდევ ვერ მიგიღებთ.

_ მე დავუცდი, _ ვუპასუხე და სავარძელში ჩავჯექი.

გისოსებიანი დარაბები იღება, მოსამსახურე ქალი შემოირბენს და მეუბნება:

_ მობრძანდით, ბატონო.

მისმა ტკბილმა ხმამ მიმახვედრა, რომ ქალბატონს ვალის გადახდა არ შეეძლო. რა მშვენიერი იყო ის ქალი, რომელიც მე მაშინ ვნახე! ტიტველ მხრებზე ნაჩქარევად ქიშმირის შალი მოეხურა და ისე შემოეხვია, რომ შეგეძლოთ მისი ტანის ნაკვთები წარმოგედგინათ, თითქოს შიშველი ყოფილიყოს. მას ეცვა თოვლივით თეთრი მაქმანით გაწყობილი მოსასხამი, რის გარეცხავასაც ყოველწლიურად, დაახლოებით, ორი ათასი ფრანკი დასჭირდებოდა. ლამაზი მანდილიდან, რომლითაც კრეოლივით გადაეკრა თავი დაუდევრად, შავი თმა მსხვილ დალალებად ჩამოშლოდა. მისი ლოგინი უწესრიგობის სურათს წარმოადგენდა, რაც, ალბათ, მოუსვენარი ძილით იყო გამოწვეული, მხატვარი თანხას არ დაიშურებდა, რომ ამ გარემოებაში რამდენიმე წუთს აქ დარჩენილიყო. ლამაზად ჩამოკიდებულ ფარდებქვეშ იდო დაჭმუჭნილი ყურბალიში ცისფერი აბრეშუმის ყუითუკზე, რომლის მაქმანიანი არშია ამ ლაჟვარდოვან ფერზე მკაფიოდ გამოირჩეოდა. ყურბალიშს ეტყობოდა გაურკვეველი ნიშნები, რომლებიც წარმოსახვას აღიზიანებდა. საწოლს ჰქონდა ხისაგან გამოკვეთილი ლომის ფეხები, მის წინ ეფინა დათვის განიერი ტყავი, რომელზეც ატლასის ორი ტუფლი ბრწყინავდა. მეჯლისზე დაღლილ პატრონს ფეხსაცმელები დაუდევრად დაეყარა. ერთ სკამზე იყო დაჭმუჭნილი კაბა, მსი სახელოები იატაკს ეხებობდა. ქალის წინდები, რომლებიც ჰაერის ოდნავ დაბერვას შეეძლო წაეღო, სავარძლის ფეხებთან ეგდო დაკუმშული, თეთრი წვივსაკრავები პატარა დივანზე ქანაობდა. ნახევრად გაშლილი ძვირფასი მარაო ბუხარზე ელვარებდა, ყვავილები, ბრილიანტები, ხელთათმანი, თაიგული, ქამარი მიეყარ-მოეყარა. კომოდის ყუთები გამოწეული დარჩენილიყო. სუნამოთა გაურკვეველ სურნელებას ვისუნთქავდი. აქ იყო ფუფუნება და უწესრიგობა, ჰარმონიულობას მოკლებული სილამაზე. ამის ქვეშ მიმალულ სიღარიბეს უკვე თავი ამოეყო და გრაფის მეუღლესა ან მის თაყვანისმცემელს დალესილ კბილებს უჩვენებდა. ქალის დაღლილი სახე ჰგავდა ზეიმის ნამსხვრევებით მოფენილ ამ ოთახს. მიყრილ-მოყრილი ეს თავგასართობი ნივთები სიბრალულს აღგვიძრავდა. გუშინ

კი ისინი, დალაგებულნი, რაღაც აღტაცებას იწვევდნენ. სინდისის ქენჯნით განადგურებული სიყვარულის ეს ნაკვალევი, ფლანგვა-ფუფუნებით, აურზაურით მოცული ცხოვრების ეს სურათი ამჟღავნებდა ტანტალოსის ძალთა დაძაბვას მსწრაფლწარმავალ სიამოვნებათა დასაჭერად. ახალგაზრდა ქალის აქა-იქ შეწითლებული სახე მისი კანის სინაზეს ადასტურებდა. მაგრამ სახის ნაკვთები თითქოს დაბერვოდა და თვალებს ქვემოთ მოყოლებული რკალი ჩვეულებრივზე უფრო მუქი ჩანდა. მიუხედავად ამისა, ბუნება მასში იმდენად ძლიერი იყო, რომ უგუნური ცხოვრების ამ ნიშნებს მისი მშვენიერების შელახვა არ შეეძლო. თვალები უბრწყინავდა. გრაფის მეუღლე ჰგავდა ლეონარდო და ვინჩის მიერ დახატულ ერთ-ერთ იროდიადეს (მე ხომ წინათ ძველი სურათების გადამყიდველი ვიყავი) და იყო დიდებული სიცოცხლითა და ძალ-ღონით არაფერი არ ჰქონდა კნინი, დაჩიავებული არც ხაზებში, არც ნაკვთებში. ეს ქალი სიყვარულს ჩაგაგონებდა. მე კი იგი სიყვარულზე უფრო ძლიერი მეჩვენებოდა. მომეწონა. უკვე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩემი გული არ აძგერებულა. მაშასადამე, უკვე ვალი გავინაღდე. ათას ფრანკს არ დავიშურებდი იმ განცდისათვის, რაც ჩემს ახალგაზრდობას მომაგონებდა.

_ ბატონო, იქნებ ცოტა მადროვოთ?.. დაბრძანდით.

_ ხვალ შუადღემდე, ქალბატონო, _ ვუპასუხე და დავკეცე მისთვის წარდგენილი თამასუქი, _ ამ დრომდე ნება არა მაქვს თამასუქი გავაპროტესტო.

მერე ჩემთვის გავიფიქრე: «გადაიხადე საფასური ფუფუნების, პატივისა და დიდების, ბედნიერების, გადაიხადე საფასური იმ უფლებისა, რითაც სარგებლობ. ქონების დასაცავად მდიდრებმა გამოიგონეს ტრიბუნალები, მსაჯულები და გილიოტინა, ეს ერთდაგვარი სანთელი. რაზედაც უვიცნი იწვიან. მაგრამ თქვენთვის, რომლებსაც აბრეშუმებში გძინავთ, არის კიდევ სინდისის ქენჯნა, ღიმილში დამალული კბილთა ღრჭენა და პირდაღებული ზღაპრული ლომები, რომლებიც გულში კბილებს გასობენ».

_ თამასუქის გაპროტესტება! ნუთუ თქვენ ამას აპირებთ? _შემომხედა და წამოიძახა, _ ნუთუ ასეთი მცირე პატივისცემა გაქვთ ჩემი?

_ ჩემი ფული თვით მეფეს რომ ემართოს და ვალი დროზე ვერ გადამიხადოს, იმასაც სასამართლოში ვუჩივლებდი, და უფრო ადრეც, ვიდრე სხვა მოვალეს.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

_ მე აქ არა ვარ! _ ბრძანების კილოთი დაიძახა ახალგაზრდა ქალმა.

_ ანასტაზი, ეს მე ვარ. თქვენი ნახვა მინდოდა.

_ ახლა არა, ჩემო ძვირფასო, _ მიუგო ქალმა, მაგრამ ნაკლებ უხეშად, არცთუ ნაზად.

_ ეს რა ამბავია? თქვენ ვიღაცას ელაპარკაებით, _ უპასუხა კაცმა და შემოვიდა. იგი უეჭველად გრაფი უნდა ყოფილიყო.

გრაფის მეუღლემ შემომხედა და მივხვდი, რომ ქალი ჩემი მონა გახდა. ყმაწვილო, იყო დრო, როცა მე იმდენად სულელი ვიყავი, რომ თამასუქებს არ ვაპროტესტებდი. 1763 წელს პონდიშერში შევიბრალე ერთი ქალი, რომელმაც გვარიანად გამაცურა. ახია ჩემზე, რატომ ვენდე?

_ რა გნებავთ, ბატონო? _ მკითხა გრაფმა.

დავინახე, როგორ დაუარა ქალს ჟრჟოლამ თავით ფეხამდე. ყელის თეთრი და ატლასისებური კანი გაუუხეშდა, როგორც ჩვეულებრივად იტყვიან, კანი ხორკლიანი გაუხდა. მე კი გულში ვიცინოდი, თუმცა ჩემი სახის კუნთები არ განძრეულა.

_ ამ ბატონისაგან საქონელს ვყიდულობ. ერთ-ერთი ჩემი მომწოდებელთაგანია, _ უთხრა ქალმა.

გრაფმა ზურგი შემაქცია. ჯიბიდან თამასუქი ნახევრად ამოვიღე, ქალმა ეს დაუნდობელი მოძრაობა რომ დაინახა, ჩემთან მოვიდა და ბრილიანტი მომცა.

_ წაიღეთ და საჩქაროდ წაბრძანდით, _ მითხრა მან.

ჩვენ ფასეულობანი გავცვალეთ, გამოვემშვიდობე და გამოვედი. ბრილიანტი, ჩემი აზრით, ათას ორასი ფრანკი ღირდა. ეზოში დავინახე ჯგუფი მოსამსახურეებისა, რომლებიც ლივრეებს იწმენდნენ, ფეხსაცმელებს იპრიალებდნენ, მეჯინიბენი მდიდრულ ეტლებს ასუფთავებდნენ. «აი, _ ვთქვი ჩემთვის, _ რას მოჰყავს ჩემთან ეს ადამიანები, აი, რა აიძულებს ამ ვაჟბატონებს მოიპარონ მილიონები, გაყიდონ სამშობლო, ზრდილობას კი არ უღალატონ. არისტოკრატსა და მის მაიმუნივით მიმბაძველს ეშინიათ ტალახში სიარულით ფეხი არ დაისვარონ და თავით ფეხამდე წუმპეში კი ამოევლებიან ხოლმე». ამ დროს ჭიშკარი გაიღო და შემოვიდა კაბრიოლეტით ის ახალგაზრდა კაცი, ვინაც თამასუქი მომიტანა.

_ ბატონო, _ ვუთხარი, როდესაც ეტლიდან ჩამოვიდა, _ გთხოვთ ეს ორასი ფრანკი გრაფის მეუღლეს გადასცეთ და უთხრათ, რომ ნივთი, რომელიც ამ დილით საწინდრად მომცა, ერთი კვირა მის განკარგულებაში იქნება.

მან ორასი ფრანკი გამომართვა და უნებურად გაიღიმა, თითქოს თავისთვის თქვა: «აჰ, გადაუხდია. მით უკეთესი!».

ახალგაზრდა დარდიმანდის სახეზე გრაფის მეუღლის მომავალი ამოვიკითხე. ეს ქერა, ლამაზი ვაჟკაცი, გულცივი, უსულგულო მოთამაშე, გაკოტრდება თვითონ, გააკოტრებს ამ ქალს, გააკოტრებს მის ქმარს, გააკოტრებს მის ბავშვებს, შეჭამს მათ მემკვიდრეობას. ჰაუბიცების ბატარეა პოლკს ისე ვერ გაანდგურებს, როგორც ეს ლამაზი ვაჟკაცი სალონებს.

მონმარტრისაკენ გავწიე ფანისთან. მეტად დაქანებული კიბე ავიარე. მეხუთე სართულზე ავედი, ოროთახიან ბინაში შემიყვანეს, სადაც ყველაფერი ბრწყინავდა, როგორც ახალმოჭრილი ოქროს ფული. პირველ ოთახში, სადაც ქალბატონმა ფანიმ მიმიღო, ავეჯზე ოდნავი მტვერიც ვერ შევნიშნე. ამ ახალგაზრდა პარიზელ ქალს სადად ეცვა, ლამაზი და ქორფა სახე ჰქონდა, ალერსიანი გამომეტყველება, კოხტად დავარცხნილი წაბლისფერი თმა, საფეთქლებზე მრგვალად შემოვლებული, ეს მის ცისფერ, ბროლივით წმინდა თვალებს უფრო მკაფიოდ აჩენდა. ფანჯრის მინებზე ჩამოფარებულ პატარა ფარდებში მზე ატანდა და ტანზე რბილ სინათლეს ჰფენდა. მის გარშემო მიყრილ-მოყრილმა გამოჭრილმა ტილოს ნაჭრებმა მიმახვედრა მისი საქმიანობა, _ იგი თეთრეულის მკერავი იყო. აქ ბინადრობდა, როგორც მარტოობის ღვთაება.

თამასუქი წარვუდგინე და ვუთხარი, დილას შინ არ დამხვდით-მეთქი.

_ კი მაგრამ, ფული ხომ მეკარე ქალთან იყო?

ვითომ ვერ გავიგონე.

_ ქალბატონო, თქვენ სახლიდან ადრე გადიხართ საქმეების გამო?

_ მე სახლიდან იშვიათად გავდივარ, მაგრამ, როცა მთელი ღამე ვმუშაობ, ზოგჯერ სუფთა ჰაერზე გავლაც საჭიროა.

დავაცქერდი. ერთი შეხედვით ყველაფერს მივხვდი. ეს იყო ახალგაზრდა ქალი, რომლისთვისაც სიღარიბეს მუშაობა მიესაჯა. იგი, ალბათ, რომელიმე დარბაისელი ფერმერის ოჯახის შვილი იყო, რადგან სახეზე რამდენიმე ისეთი ჭორფლი აჩნდა, როგორიც სოფელში დაბადებულთ აქვთ. მის სახეს სათნოების გამომეტყველება ჰქონდა. მეგონა, გულწრფელობისა და სულიერი სისპეტაკის გარემოში მოვხვდი, თითქოს სუნთქვაც გამიადვილდა. საწყალი გულუბრყვილო არსება! მას რაღაც სწამდა: შეღებილი ხის სადა საწოლზე ბზის ორი ტოტით შემკული ჯვარცმა ჩამოეკიდა. თითქმის გული ამიჩვილდა. ვგრძნობდი, მზად ვიყავი მისთვის სესხად მიმეცა ფული თორმეტპროცენტიანი სარგებლით, რათა მას რაიმე ხელსაყრელი საწარმოს შეძენა გაადვილებოდა. «მაგრამ არა, _ გავიფიქრე, _ იქნებ მას ვინმე ახალგაზრდა ბიძაშვილი

ჰყავს. იგი მისი ხელისმოწერით ფულის შოვნას დაიწყებს და საწყალ ქალიშვილს გაატყავებს».

წავედი. ჩემი დიდსულოვანი განზრახვების მიმართ სიფრთხილე გამოვიჩინე, რაგდან ხშირად მქონია შემთხვევა დავკირვებოდი, რომ თუ კეთილისყოფა კეთილისმყოფელს არ ავნებს, იგი კლავს დავალებულ ადამიანს. როცა თქვენ ჩემს ოთახში შემოხვედით, სწორედ ფანი მალვოზე ვფიქრობდი: აი, ვინ იქნებოდა კარგი ცოლი, ოჯახის დედა. მისი წმინდა განმარტოებული ცხოვრება გრაფის მეუღლის ცხოვრებას შევადარე. ეს ქალბატონი, უკვე თამასუქამდე დაცემული, ბიწიერების უფსკრულის ძირამდე დაექანება!

_ ეჰ! ასე, _ განაგრძო გობსეკმა ხანმოკლე და ღრმა დუმილის შემდეგ, ამასობაში კი მე მას ვაკვირდებოდი, _ თქვენ ფიქრობთ, რომ ადამიანის გულის უსაიდუმლეს კუნჭულებში ამნაირად ხელის ფათური, მისი შეულამაზებელი ცხოვრების ხილვა, ღრმად შესწავლა არაფრის მაქნისია? ცხოვრება მარადცვალებადი სანახაობაა: საზარელი წყლულნი, უკურნებელი მწუხარებანი, სიყვარულის სცენები, სიღარიბე, რომელსაც სენის ტალღები ელოდება, ახალგაზრდა კაცის გართობანი, რასაც იგი ეშაფოტისაკენ მიჰყავს, უიმედობის სიცილი და დიდებული ზეიმები! გუშინ ტრაგედია მოხდა: ვიღაც კეთილმა მამამ თავი ჩამოიხრჩო იმის გამო, რომ ბავშვების რჩენა ვეღარ შეძლო. ხვალ კომედია მოგველის: ახალგაზრდა კაცი ეცდება ჩემთან ბატონი დიმანშის სცენა გაითამაშოს, ჩვენი ეპოქისათვის შესაფერისი ვარიანტით. თქვენ მოგისმენიათ, როგორ ასხამენ ხოტბას უახლეს მქადაგებელთა მჭევრმეტყველებას. ზოგჯერ დრო დამიკარგავს მათ მოსასმენად. ისინი შეხედულებას შემაცვლებინებდნენ, მაგრამ ყოფაქცევას კი ვერა, ერთი ვიღაცისა არ იყოს. ეჰ! ეს თქვენი საყვარელი მქადაგებელნი, მირაბო, ვერნიო და სხვები ჩემს ორატორებთან შედარებით ენაჩლუნგები არიან. ხშირად შეყვარებულ ახალგაზრდა ქალიშვილს, გაკოტრებამდე მისულ ძველ ვაჭარს, დედას, რომელსაც თავისი შვილის ბოროტმოქმედების დაფარვა სურს, უმუშევარ ხელოვანს, წყალობამოკლებულ დიდკაცს, რომელიც უფულობის გამო თავისი შრომის ნაყოფს კარგავს _ შევუძრწუნებივარ მჭევრმეტყველების სიძლიერით. ეს უდიდესი მსახიობები მხოლოდ ჩემთვის თამაშობდნენ, მაგრამ ჩემს მოტყუებას ვერ ახერხებდნენ. ჩემი თვალი უფლის თვალს ჰგავს. მე ადამიანთა გულში ვიხედები. ჩემთვის არაფერია დამალული. მას, ვინც ფულის ქისას ხსნის და კრავს, არაფერზე უარს არ ეუბნებიან. მე საკმაოდ მდიდარი ვარ იმისათვის, რომ ვიყიდო მათი სინდისი, ვინც მინისტრებს წარმართავს, მათი შიკრიკიდან მოყოლებული მათ საყვარლებამდე. განა ეს ძალაუფლება არ არის? მე შემიძლია მყავდეს

ულამაზესი ქალები და მათი უნაზესი ალერსით დავტკბე, განა ეს სიამოვნება არ არის? ძალაუფლება და სიამოვნება _ განა ეს არ არის მთელი თქვენი სოციალური წეს-წყობილების დედააზრი? პარიზში ჩვენ ათიოდე კაცი ვართ, წყნარი და უცნობი მეფენი, თქვენი ბედის გამგებელნი. ცხოვრება ხომ მანქანაა, რომელსაც ფული ამოძრავებს. იცოდეთ, მიზეზები და შედეგები ყოველთვის ერთმანეთში ირევა: ვერასოდეს შეძლებთ დააშოროთ სული გრძნობას, გონება _ მატერიას.

ოქროა თქვენი თანამედროვე საზოგადოების სული და გული. ერთნაირი ინტერესებით დაკავშირებულნი, ჩვენ კვირის განსაზღვრულ დღეებში ვიკრიბებით «თემიდის» ყავახანაში, «პონ-ნეფის» მახლობლად. იქ ჩვენ ვუმჟღავნებთ ერთმანეთს ფინანსური სამყაროს საიდუმლოებებს. არავითარ სიმდიდრეს ჩვენი მოტყუება არ შეუძლია, ყველა ოჯახის საიდუმლოებანი ხელთ გვიპყრია. ჩვენ გვაქვს ერთდაგვარი შავი წიგნი, სადაც იწერება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცნობები საზოგადოებრივ კრედიტზე, ბანკზე, ვაჭრობაზე. ჩვენ, ბირჟის კაზუისტები, შევადგენთ ინკვიზიციას, სადაც რაიმე სიმდიდრის მქონებელთა სულ უმნიშვნელო საქციელიც კი ჩვენი მსჯელობისა და შეფასების საგანია. და ჩვენ ყოველთვის სწორ დასკვნას ვაკეთებთ. ერთი თვალს ადევნებს სასამართლოს საქმეებს, მეორე _ საფინანსოს, მესამე _ ადმინისტრაციულს, მეოთხე _ სავაჭროს. მე თვალყური მიჭირავს ოჯახის შვილებზე, ხელოვნების მუშაკებზე, მაღალი საზოგადოების ადამიანებზე, აგრეთვე პარიზის ყველაზე უფრო საყურდღებო ნაწილზე, ბანქოს მოთამაშეებზე. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ მეზობლის საიდუმლოებებს. გაცრუებული ვნება, შეურაცხყოფილი მედიდურობა ენაჭარტალაა. ბიწიერება, იმედის გაცრუება, შურისძიება პოლიციის საუკეთესო აგენტია. ყველა ჩემი თანამოძმე ყველაფრით დატკბა ჩემსავით, მათ ყველაფერი მობეზრებული აქვთ და იმით დაასრულეს, რომ შეიყვარეს მხოლოდ ფული და ხელისუფლება თვით ფულისა და ხელისუფლებისათვის. აქ, _ თქვა მან და თავისი ცივი, ცარიელი ოთახი მიჩვენა, _ უმგზნებარესი შეყვარებული, რომელიც სხვაგან ერთი სიტყვის შებრუნებას ვერ აიტანდა და ამის გამო ხმალს იშიშვლებდა, გულზე ხელდაკრეფილი მემუდარება! აქ ყველაზე მედიდური კომერსანტი, სილამაზით თავმომწონე ქალი, უზვიადესი სამხედრო პირი, ყველანი მევედრებიან თვალზე მომდგარი ცოფისა და ტკივილის ცრემლით. აქ მევედრებიან სახელგანთქმული ხელოვანი და მწერალი, რომელთა სახელები შთამომავლობას გადაეცემა. აქ, ბოლოს, _ დაუმატა მან და შუბლზე ხელი გადაისვა, _ არის სასწორი, რომელზედაც იწონება მთელი პარიზის მემკვიდრეობანი და ქონებრივი საქმნი. ხომ აღარ ფიქრობთ, რომ სიხარული არ

არსებობს ამ თეთრ ნიღაბქვეშ, რომლის მოძრაობა ხშირად გაოცებდათ? _ თქვა და ჩემსკენ მოიწია ფერმკრთალი სახით, რომელსაც ვერცხლის ფერი გადაჰკრავდა.

ჩემს ოთახში გაბრუებული დავბრუნდი. ეს პატარა, გამხმარი მოხუცი გაიზარდა და ჩემს თვალში ზღაპრულ სახედ გადაიქცა, რომელიც ოქროს ხელისუფლებას ასახიერებდა. იმ წუთში ცხოვრება, ადამიანები შიშს მგვრიდნენ.

«ნუთუ ფული ყველაფერს წყვეტს?» _ ვეკითხეობდი ჩემს თავს.

მახსოვს, ძალიან გვიან დამეძინა. ჩემს გარშემო ოქროს გროვას ვხედავდი. მშვენიერი გრაფის მეუღლე თავიდან არ მშორდებოდა. გამოვტყდები, ჩემდა სამარცხვინოდ, მან სრულიად დაჩრდილა სახე უბრალო და უმანკო არსებისა, რომლის ხვედრი იყო შრომა და მიჩქმალულად ცხოვრება, მაგრამ მეორე დღეს, დილას, ძილ-ღვიძილში წარმომიდგა ნაზი ფანი მთელი თავისი მშვენიერებით და მხოლოდ მასზე ვფიქრობდი.

_ შაქრიან წყალს ხომ არ მიირთმევთ? _ სიტყვა შეაწყვეტინა დერვილს ვიკონტესამ.

_ სიამოვნებით, _ უპასუხა ვექილმა.

_ მაგრამ აქ არაფერს ვხედავ ისეთს, რომელიც ჩვენ შეგვეხებოდეს, _ თქვა ვიკონტესამ და ზარი დარეკა.

_ ჯანდაბა და დოზანა! _ წამოიძახა დერვილმა თავისი საყვარელი სიტყვები _ კარგი იქნებოდა, კამილა გამოგვეფხიზლებინა და გვეთქვა. ცოტა ხნის წინ მისი ბედი ძია გობსეკზე იყო დამოკიდებული; მაგრამ რადგან ბერიკაცი ოთხმოცდაცხრა წლის გარდაიცვალა, ბატონი დე რესტო მალე მიიღებს კარგ ქონებას. ეს მოითხოვს ახსნას. რაც შეეხება ფანი მალვოს, თქვენ მას იცნობთ: ის ჩემი ცოლია.

_ საცოდავი ბიჭი, _ ჩაურთო ვიკონტესამ, _ ისეთი გულწრფელია, ამას ოცი კაცის წინაშეც კი აღიარებს.

_ ამის შესახებ მთელი მსოფლიოს წინაშე ვიყვირებ, _ უპასუხა ვექილმა.

_ დალიეთ, დალიეთ, ჩემო საწყალო დერვილ, თქვენ ვერასოდეს მიაღწევთ რამეს, სამაგიეროდ ყოველთვის ყველაზე უფრო ბედნიერი და ყველაზე უფრო კარგი ადამიანი იქნებით.

ამასობაში ბიძამ ძილს თავი წაართვა და თქვა:

_ მე თქვენ დაგტოვეთ ჰელდერის ქუჩაზე ერთ გრაფის მეუღლესთან. იქ რას აკეთებდით?

_ მოხუც ჰოლანდიელთან საუბრის შემდეგ რამდენიმე დღემ გაიარა, სადიპლომო შრომა დავიცავი, _ განაგრძო ამბავი დერვილმა, _ და ლიცენციატის ხარისხი მივიღე, მერე

კი ვექილისა. ნდობა, რომელიც ჩემდამი ძუნწს ჰქონდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩემგან უფასოდ იღებდა რჩევა-დარიგებას აწეწილი საქმეებისათვის, რომლებსაც ხელსაყრელად თვლიდა და ხელს ჰკიდებდა, თუმცა ამ საქმეებს ყოველი იურისტი არასაიმედოდ მიიჩნევდა. ეს ადამიანი, რომელზედაც ვერავინ შეძლებდა ოდნავი გავლენა მოეხდინა, ჩემს რჩევას ერთგვარი პატივისცემით ისმენდა. და ამას იგი ყოველთვის კარგად იყენებდა ბოლოს, იმ დღეს, როცა უფროს საქმისმწარმოებლად დამნიშნეს ვექილის კანტორაში, სადაც სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი. დავტოვე სახლი გრეის ქუჩაზე და დავბინავდი ჩემს პატრონთან, რომელიც საჭმელს, ბინას და ას ორმოცდაათ ფრანკს მაძლევდა ყოველთვიურად. ეს იყო მშვენიერი დღე.

როცა მევახშეს გამოვეთხოვე, მას არ გამოუხატავს არც კმაყოფილება, არც უსიამოვნება, არც მივუპატიჟებივარ, მენახულა. მხოლოდ ერთხელ შემომხედა და ამ გამოხედვაში თითქოს იდუმალ განზრახვათა განჭვრეტის ნიჭი გამოსჭვიოდა. რვა დღის შემდეგ მეწვია ჩემი ძველი მეზობელი, საკმაოდ მძიმე საქმე მომიტანა, ქონების გასხვისება. გობსეკი ისევე ლაღად განაგრძობდა ჩემგან უფასო რჩევის მიღებას, თითქოს ამაში ფულს მაძლევდა. მეორე წლის ბოლოს, 1819 წლის დასასრულს, ჩემი პატრონი, მოქეიფე და დიდი მფლანგველი, მძიმე გაჭირვებაში ჩავარდა და იძულებული გახდა, თავისი კანტორა გაეყიდა. თუმცა იმ ხანებში სავექილო კანტორის ღირებულება არ აღწევდა იმ საზღაპრო ფასს, როგორსაც ახლა აღწევს. ჩემმა პატრონმა თავისი ქონება დამითმო ას ორმოცდაათ ათას ფრანკად. აქტიურ, ნასწავლ, განათლებულ კაცს შეეძლო კარგად ეცხოვრა, ამ თანხის პროცენტები გადაეხადა და ათ წელიწადში ვალისაგან გათავისუფლებულიყო, თუ იგი ოდნავ ნდობას მოიპოვებდა. მე, ნოიონელი წვრილი ბურჟუას მეშვიდე შვილს, ერთი გროშიც არ გამაჩნდა.

ძია გობსეკის გარდა სხვა მევახშეს არ ვიცნობდი. პატივმოყვარეობამ და რაღაც იმედის სხივმა გამაბედვინა მასთან წავსულიყავი. და ერთ საღამოს გრეის ქუჩისაკენ ნელა გავწიე. გული მიცემდა, როცა პირქუში სახლის კარზე დავაკაკუნე. მომაგონდა ყველაფერი ის, რაც ოდესღაც ჩემთვის უამბნია მოუც კრიჟანგს, როცა ვერც კი წარმომედგინა სისასტიკე წამებისა, რომელიც ამ კარის ზღურბლთან იწყებოდა. და აი, მე მივდიოდი სათხოვნელად, როგორც მრავალი სხვა.

«ეჰ! კარგი რა, _ ვთქვი ჩემს გულში, _ პატიოსანმა ადამიანმა თავისი ღირსება ყველგან უნდა დაიცვას, არ ღირს სიმდაბლის ფასად ქონების შეძენა, თავი ისე მაგრად უნდა გვეჭიროს, როგორც მას».

ჩემი გადასვლის შემდეგ ძია გობსეკს ჩემი ოთახიც დაექირავებინა, რათა მეზობლად არავინ ჰყოლოდა. კარის შუა ადგილას გისოსით დაფარული პატარა საჭვრეტი გაეკეთებინა. კარი მხოლოდ მას შემდეგ გამიღო, როცა მიცნო.

_ მაშასადამე, _ მითხრა თავისი წრიპინა ხმით, _ თქვენი პატრონი თავის კანტორას ყიდის.

_ საიდან იცი? ამის შესახებ მხოლოდ მე მითხრა.

მოხუცის ტუჩები ნამდვილი ფარდებივით გაიშალა პირის კუთხეებისაკენ და მის მუნჯ ღიმილს თან მოჰყვა ცივი გამოხედვა.

_ ეს უნდა მომხდარიყო, რათა თქვენ ჩემთან მოსული მენახეთ, _ დაუმატა ცივი ხმით ცოტა ხნის შემდეგ. მთელი ამ ხნის განმავლობაში გონებადაბნეული ვიყავი.

_ მომისმინეთ, ძია გობსეკ, _ დავიწყე ისეთი სიმშვიდით, რის გამოხატვაც კი შევძელი ამ მოხუცის წინაშე, რომლის თვალები არაფერს მეუბნებოდა. ამ თვალების ბრწყინვალება მაკრთობდა. ძუნწი ისე შეტოკდა, თითქოს სურდა ეთქვა: ილაპარაკეთო.

_ ვიცი, რომ თქვენი გულის აჩუყება ძალიან ძნელია. ამიტომ არ ვეცდები მჭევრმეტყველი ვიყო იმ კანტორის მოხელის მდგომარეობის დასახატავად, რომელსაც ერთი სუც არ აბადია და რომელიც იმედს მხოლოდ თქვენზე ამყარებს. მას ამქვეყნად არ მოეპოვება სხვა გული, გარდა თქვენი გულისა, რომელსაც მისი მომავლის განჭვრეტა შეეძლოს. გულს თავი დავანებოთ. საქმეს საქმიანად მივუდგეთ და არა ისე, როგორც სანტიმენტალურ რომანშია. აი, რა საქმეა: ჩემი პატრონის კანტორას შემოაქვს ყოველწლიურად ოცი ათას ფრანკამდე, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს ხელში იგი შემოიტანს ორმოც ათასს. პატრონს სურს კანტორა გაყიდოს ორმოცდაათ ათას ეკიუდ, _ ვთქვი და შუბლზე ხელი შემოვირყტი, _ თქვენ რომ კანტორის საყიდლად საჭირო ფულს მასესხებდეთ, ათ წელიწადში დაგიფარავდით.

_ კარგი სიტყვა თქვით, _ თქვა გობსეკმა და ხელი მაგრად ჩამომართვა, _ რაც მე საქმეებში ვარ ჩაბმული, _ განაგრძო მან, _ არავის ასე ნათლად თავისი დარბაზობის მიზეზი არ გამოუთქვამს... გარანტია? _ მითხრა და თავით ფეხებამდე ამხედ-დამხედა. _ არავითარი, _ დაუმატა მცირე დუმილის შემდეგ. _ რამდენი წლისა ხართ?

_ ოცდახუთი წლის გავხდები ათი დღის შემდეგ, _ ვუპასუხე: _ უამისოდ ხელშეკრულებებს ვერ დავდებდი.

_ სწორია.

_ რას მეტყვით?

_ ეს შესაძლებელია.

_ მართლა? მაშ, უნდა ავჩქარდე, თორემ მოქიშპენი გამომიჩნდებიან.

_ ხვალ დილით მომიტანეთ მეტრიკული ამონაწერი და მოვილაპარაკოთ.

მეორე დღეს, რვა საათზე, მოხუცთან ვიყავი. ოფიციალური ცნობა გამომართვა, სათვალე გაიკეთა, ჩაახველა, გადააფურთხა, თავის შავ ხალათში გაეხვია და ამონაწერი სამოქალაქო მდგომარეობის აქტებიდან თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა. მერე ქაღალდი გადააბრუნ-გადმოაბრუნა, შემომხედა, ხელახლა ჩაახველა, სკამზე აცმუკვდა და თქვა:

_ აბა, დავიწყოთ ვაჭრობა.

გამაჟრჟოლა.

_ მე ვიღებ სარგებელს ორმოცდაათ პროცენტს, _ თქვა მან, _ ზოგჯერ ასს, ორასს, ხუთას პროცენტს.

ეს რომ მოვისმინე, გავფითრდი.

_ მაგრამ ჩვენი ნაცნობობის ხათრით დავკმაყოფილდები თორმეტნახევრით...

შეყოყმანდა.

_ თუმცა არა. ცამეტი პროცენტი იყოს. ხელს არ გაძლევთ?

_ დიახ, _ ვუპასუხე.

_ დაფიქრდით, თუ ეს ძალიან ბევრია, თავი დაიცავით, გროციუს (იგი ხუმრობით გროციუსს მეძახდა). ცამეტი პროცენტი გთხოვეთ, ასეთია ჩემი ხელობა. შეძლებთ ამის გადახდას? არ მიყვარს ადამიანი, რომელიც უცებ გეთანხმება, შეიძლება, ეს დიდი პროცენტია?

_ არა, _ ვუთხარი, _ გადაგიხდით, ოღონდ ცოტა მეტი უნდა ვიმუშაო.

_ მართალი რომ ვთქვათ! _ მითხრა მან და ალმაცერად, ეშმაკურად შემომხედა, _ თქვენი კლიენტები გადაგიხდიან.

_ არა, ეშმაკმა დასწყევლოს! _ წამოვიძახე, _ თვითონ გადავიხდი. უმალ ხელს მოვიჭრი, ვიდრე ადამიანს ტყავი გავაძრო!

_ ვითომ? _ თქვა გობსეკმა.

_ ჰონორარს ხომ ნიხრით იხდიან? _ შევეკამათე.

_ ნიხრი არ არსებობს მორიგებისა, გადახდის ვადის გაგრძელებისა და პირობის დადებისათვის. ასეთ შემთხვევებში საქმის მნიშვნელოვანების მიხედვით შეგიძლიათ მოითხოვოთ ათასი ფრანკი, ექვსი ათასი ფრანკი რჩევისათვის, მგზავრობისათვის, ხელშეკრულების პროექტებისა, მოხსენებითი ბარათებისა და ყბედობისათვის. ასეთი

საქმეების გამონახვა უნდა შეგეძლოს. მე გაგიწევთ რეკომენდაციას, როგორც ყველაზე უფრო მცოდნესა და ყველაზე უფრო დახელოვნებულ ვექილს. ამგვარ საქმეს იმდენს მოგაყრით, რომ თქვენი თანამოძმენი შურით გასკდებიან. ვერბრიუსტი, პალმა, ჟიგონე, ჩემი თანამოძმენი, მოგანდობენ იძულებითი გასხვისების საქმეებს, ასეთი საქმეები კი მათ საკმაოდ აქვთ! ამგვარად, გეყოლებათ ორნაირი კლიენტები: ერთ ჯგუფს თქვენ იყიდით, მეორეს კი შეგიქმნით. თქვენ ჩემთვის არსებითად თხუთმეტი პროცენტი უნდა მოგეცათ ჩემს ას ორმოცდაათ ათასს ფრანკში.

_ კარგით, ოღონდ მეტი არა, _ ვუთხარი მე მტკიცედ და ამით ვაგრძნობინე, რომ არავითარ დათმობაზე წასვლა აღარ მსურს.

გობსეკი მოლბა, ეტყობოდა, ჩემით კმაყოფილი იყო.

_ თქვენს პატრონს მე თვითონ გადავუხდი ისე, რომ ღირებულებისა და საწინდრის მხრივ საფუძვლიანი უპირატესობა მივიღო.

_ ოჰ! გარანტიას რაც შეეხება, როგორც გენებოთ.

_ ამას გარდა, წარმომიდგენთ მთელ თანხას უსახელო თხუთმეტ თამასუქად, თითოეული თამასუქი ათი ათასი ფრანკის ღირებულებისა იქნება.

_ იმ პირობით, რომ ეს ორმაგი ფასეულობა დადატურდეს.

_ არა, _ სიტყვა შემაწყვეტინა გობსეკმა, _ რატომ გნებავთ, რომ მე მეტი ნდობა მქონდეს თქვენდამი, ვიდრე ჩემს მიმართ თქვენა გაქვთ.

მე ვდუმდი.

_ ამას გარდა, _ განაგრძობდა კეთილი ხმით, _ თქვენ აწარმოებთ ჩემს საქმეებს, სანამ ვიცოცხლებ, გასამრჯელოს მოუთხოვნელად. ხომ?

_ კარგი, იმ პირობით, რომ ეს საქმეები წინასაწარი ხარჯების გაწევას არ მოითხოვს.

_ სწორია! _ თქვა მან, _ ჰო, აი, კიდევ რა, _ განაგრძო მოხუცმა, რომელსაც უჭირდა თავისი სახისთვის კეთილი გამომეტყველება მიეცა, _ ნებას მომცემთ გინახულოთ?

_ ყოველთვის სასიამოვნოდ დამრჩება თქვენი ნახვა.

_ დილით ეს ძალიან ძნელი იქნება; ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს.

_ მობრძანდით საღამოს.

_ ოჰ! არა, _ მიპასუხა სწრაფად, _ თქვენ უნდა იტრიალოთ საზოგადოებაში, ინახულოთ თქვენი კლიენტები. მე კი ჩემს მეგობრებს ყავახანაში ვხვდები.

«მისი მეგობრები?!» _ გავიფიქრე მე.

_ კარგი და, _ ვთქვი მე, _ რატომ სადილობის დროს არ შევხვდეთ ერთმანეთს?

_ ეს მოსახერხებელია, _ თქვა გობსეკმა, _ ბირჟის შემდეგ ხუთ საათზე. კარგი, გინახულებთ ყოველ ოთხშაბათსა და შაბათს. საქმეზე ვისაუბრებთ, როგორც ორი მეგობარი. ხა! ხა! ზოგჯერ მხიარული ვარ. თქვენ მომართმევთ გნოლის ფრთასა და ერთ ჭიქა შამპანურს, და ჩვენ ვისაუბრებთ. ბევრი რამ ვიცი, რის შესახებაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ. ეს თქვენ გასწავლით მამაკაცების, განსაკუთრებით კი, ქალების ცნობას.

_ თანახმა ვარ! გნოლი და ერთი ჭიქა შამპანური.

_ სისულელე არ ჩაიდინოთ, თორემ ჩემს ნდობას დაკარგავთ. ხელგაშლილად ნუ იცხოვრებთ. იყოლიეთ ერთი მოხუცი შინამოსამსაუხრე ქალი მეტი არავინ. გინახულებთ თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. თქვენში დაბანდებული მექნება მთელი კაპიტალი. ხე, ხე! ხომ უნდა ვიცოდე, როგორ მიდის თქვენი საქმე. აბა, ნახვამდის. ამ საღამოს პატრონთან ერთად მობრძანდით.

_ ხომ ვერ შეძლებთ მიპასუხოთ, თუ ეს კადნიერი კითხვა არ არის, _ ვკითხე მოხუცს, როცა კარის ზღურბლთან მივედით, _ რად დაგჭირდათ ჩემი ნათლობის საბუთი?

ჟან-ესტერ ვან გობსეკმა მხრები აიჩეჩა, ეშმაკურად გაიღიმა და მიპასუხა:

_ რა სულელია ახალგაზრდობა! მაშ, იცოდეთ, ბატონო ვექილო, და თქვენ ეს უნდა იცოდეთ, რათა არ გაგაცურონ, რომ ოცდაათ წლამდე პატიოსნება და ნიჭი ჯერ კიდევ ერთგვარ გირავნობის წიგნს წარმოადგენს. როცა ადამიანი ამ ასაკს გადალახავს, მერე აღარ შეიძლება მას დაენდო.

და კარი მიხურა.

სამი თვის შემდეგ უკვე ვექილი ვიყავი. მალე, ქალბატონო, ჩემდა საბედნიეროდ, ხელი მოვკიდე საქმეს თქვენი საკუთრების დასაბრუნებლად. ამ საქმის წარმატებამ სახელი მომიხვეჭა. მიუხედავად დიდი პროცენტებისა, რაც გობსეკისათვის უნდა გადამეხადა, ხუთი წელიც არ დამჭირვებია, ვალისაგან გავთავისუფლდი. ცოლად შევირთე ფანი მალვო, რომელიც გულწრფელად მიყვარდა.

ჩვენი სიყვარული გააძლიერა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ბედი, შრომისმოყვარეობა და წარმატება ერთმანეთს გვამსგავსებდა. ჩემს ცოლს ერთ-ერთი ბიძა, გამდიდრებული ფერმერი, გარდაეცვალა, მან ფანის დაუტოვა სამოცდაათი ათასი ფრანკი, რაც ვალის გადახდაში დამეხმარა. ამ დღიდან ჩემი ცხოვრება იყო მხოლოდ სიხარული და წარმატება. ჩემზე ნუღარ ვილაპარაკებთ. არაფერია ისე აუტანელი, როგორც ბედნიერი კაცი. დავუბრუნდეთ ჩვენს მოქმედ პირებს. კანტორის შეძენიდან ერთი წლის შემდეგ, ჩემდა უნებურად, უცოლო ყმაწვილკაცების საუზმეზე მოვხვდი. ერთმა ჩემმა ამხანაგმა მაღალ

საზოგადოებაში დიდად მიღებულ ახალგაზრდა კაცთან სანაძლეო წააგო. ბატონი დე ტრაილი, იმ დროის ბრწყინვალე დენდი, დიდი წარმატებით სარგებლობდა.

_ ის ახლაც სარგებლობს წარმატებით, _ სიტყვა შეაწყვეტინა გრაფმა ვექილს. _ მასზე კოხტად ვერავინ იცვამს, მასზე უკეთესად ვერავინ მართავს მრავალცხენიან ეტლს. მაქსიმს აქვს ისეთი უნარი, როგორც არავის, დიდი ლაზათით ითამაშოს, ჭამოს და სვას. არ შეცდება დოღის ცხენების ცნობაში, დიდი გემოვნებით ირჩევს ქუდებსა და სურათებს. ყველა ქალი გიჟდება მისთვის. იგი ყოველწლიურად ახლაც ხარჯავს დაახლოებით ასი ათასს ფრანკს, და არავინ უწყის, აქვს თუ არა რაიმე მამული, ფასიანი ქაღალდები. ჩვენი დარბაზების, ბუდუარების, ბულვარების მოხეტიალე რაინდის ტიპია, ერთგვარი ამფიბიაა, რადგან მასში იმდენივეა მამაკაცური თვისებები, რამდენიც ქალური. გრაფი მაქსიმ დე ტრაილი მეტად უცნაური არსებაა, ყველაფერში გამოსადეგი, მისი ეშინიათ და ეზიზღებათ. ყოვლის მცოდნეც არის და უმეცარიც. თანაბარი უნარი აქვს მადლის ქმნისა და ბოროტმოქმედების ჩადენისაც, სულმდაბალიცაა და კეთილშობილიც, ბრეტერი უფრო ტალახითაა დასვრილი, ვიდრე სისხლით. მეტს ზრუნავს თავისთვის, ვიდრე სინდისი ქენჯნის, უფრო გართულია იმით, რომ საჭმელი კარგად მოინელოს, ვიდრე ფიქრით; თავი დიდ ვნებიან ადამიანად მოაქვს, არაფერს კი არ გრძნობს. შესანიშნავად აერთიანებს, აკავშირებს კატორღასა და მაღალ საზოგადოებას. მაქსიმ დე ტრაილი არაჩვეულებრივი გონების კაცია, ასეთი ადამიანებისაგან გამოდიან ზოგჯერ მირაბო, პიტი, რიშელიე, მაგრამ უფრო ხშირად ასეთი ადამიანებისაგან გამოდიან გრაფ დე ჰორნი, ფუკიე-ტენვილი და კუანიარი.

_ ეჰ, კარგი, _ მოუსმინა გრაფს და ისევ განაგრძლო დერვილმა, _ მე ბევრი რამ გამიგონია ამ პიროვნების შესახებ საწყალ მოხუც გორიოსაგან, ერთ-ერთი ჩემი კლიენტისაგან. და უკვე რამდენჯერმე ავიცდინე მისი გაცნობა, ეს საშიში პატივი, როცა მას საზოგადოებაში ვხვდებოდი. მაგრამ ამხანაგმა ისე დაჟინებით მთხოვა ვწვეოდი, რომ ვერ შევძელი უარი მეთქვა: მოვერიდე, უკარება კაცად არ ჩავეთვალე. თქვენთვის ძნელი იქნება, ქალბატონო, უცოლოთა წვეულება წარმოიდგინოთ. ეს არის დიდი მშვენიერება და იშვიათი სინატიფე, ნებივრობა ძუნწისა, რომელიც დიდების მოყვარულობის გამო ერთ დღეს ხელგაშლილი ხდება. როცა ამ წვეულებაზე მოხვდები, გაოცებს მაგიდაზე გამეფებული წესრიგი, სადაც ბრწყინავს ვერცხლი, ბროლი და სახიანი სუფრა. აქ ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. ახალგაზრდა მოხდენილი ვაჟკაცები იღიმებიან, ჩუმად ლაპარაკობენ და ახალდაქორწინებულთ გვანან, მათ გარშემო ყველაფერი უმანკოა. ორი

საათის შემდეგ კი გეგონებათ, ბრძოლის ველს ვხედავ ომის შემდეგო: ყველგან გატეხილი ჭიქები, დაჭმუჭნილი ხელსახოცები; ერთმანეთში არეული საჭმელები, დასანახავადაც კი შეგეზიზღებათ; მერე გამაბრუებელი ყვირილი, სახუმარო სადღეგრძელოები, ეპიგრამების ცეცხლი და ბოროტი ოხუნჯობა, დაწითლებული სახეები, ანთებული თვალები, რომლებიც არაფერს გამოხატავს, გულის უნებური გადაშლა, რომელიც უთქმელს არაფერს ტოვებს. ჯოჯოხეთურ ხმაურობაში ერთი ბოთლებს ამსხვრევს, მეორე მღერის, მესამე დუელში იწვევს მეგობარს, ერთმანეთს ეჩხუბებიან, კოცნიან ან ცემენ; ათასგვარი სუნით გაჟღენთილი საძაგელი ჰაერი დგას; ყვირილში უამრავი ხმა ისმის. აღარავინ იცის, რას ჭამს, რას სვამს, რას ამბობს; ზოგს მოუწყენია, ზოგი ლაქლაქობს; აი, ეს მონომანი ერთსა და იმავე სიტყვას იმეორებს, მოქანავე ზარივით; აი, მას უნდა ამ აურზაურში განკარგულებები გასცეს; ყველაზე უფრო ჭკვიანი, წინადადებას იძლევა ორგია მოაწყონ. აქ მშვიდი ადამიანი რომ შემოვიდეს, ეგონება, ცოფიანების ბრბოში მოვხვდიო. აი, ასე უარზაურში ბატონი დე ტრაილი შეეცადა ჩემთან კარგი განწყობილება დაემყარებინა. მე თითქმის საღი გონება შევინარჩუნე და სიფრთხილეს ვიჩენდი. ის კი, თუმცა თავს საკმაოდ იმთვრალებდა, სრულიად თავდაჭერილი იყო და თავის საქმეებზე ფიქრობდა. მართლაც, არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაგრამ, დე გრინიონის სასტუმრო დარბაზიდან რომ გამოვდიოდი საღამოს ცხრა საათზე, დე ტრაილმა სრულიად მომაჯადოვა, და აღვუთქვი, რომ ხვალ გობსეკთან მივიყვენდი. სიტყვები: «პატიოსნება, სათნოება, გრაფის მეუღლე, პატიოსანი ქალი, უბედურება» ენამზიანობის წყალობით ჯადოქრულად ჩააქსოვა თავის ლაპარაკში.

როცა მეორე დღეს დილით გავიღვიძე და მოვინდომე იმის გახსენება, რაც გუშინ გავაკეთე, ძლიერ გამიჭირდა ზოგიერთი აზრის ერთმანეთთან დაკავშირება. ბოლოს წარმოვიდგინე, რომ ერთი ჩემი კლიენტის ქალი საფრთხეში იყო: მოელოდა სახელის გატეხა, თავისი ქმრის პატივისცემისა და სიყვარულის დაკარგვა, თუ ის დილით ორმოცდაათი ათას ფრანკს ვერ იშოვიდა. აქ იყო ბანქოში ფულის წაგებით დადებული ვალი, ეტლის ხელოსნის ვალები, ღმერთმა უწყის რაზე დახარჯული თანხა. ჩემმა ბრწყინვალე თანამესუფრემ დამარწმუნა, რომ ის ქალი საკმაოდ მდიდარია და რამდენიმე წლის ხელმომჭირნეობით შეუძლია თავისი ზარალი შეავსოსო. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რას ნიშნავდა ჩემი ამხანაგის დაჟინება, ვწვეოდი. ვაღიარებ, ჩემდა სამარცხვინოდ, რომ სრულიად ეჭვიც კი არ აღმძვრია, რა მნიშვნელობა ექნებოდა გობსეკისათვის ამ დენდისთან შეთანხმებას. ის-ის იყო ლოგინიდან ვდგებოდი, რომ ბატონი დე ტრაილი შემოვიდა.

_ ბატონო გრაფო, _ ვუთხარი მას ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ. _ ჩემი აზრით, მე სრულიად არ გჭირდებით იმისთვის, რომ ეწვიოთ ვან გობსეკს, კაპიტალისტებს შორის ყველაზე უფრო თავაზიანსა და უწყინარს. იგი ფულს მოგცემთ, თუ აქვს; ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თუ თქვენ საკმარის საწინდარს წარუდგენთ.

_ ბატონო, _ მიპასუხა, _ აზრადაც არ მომივა გაიძულოთ, სამსახური გამიწიოთ, თუმცა კი შემპირდით.

«ჯანდაბას! _ ვთქვი ჩემთვის, _ არ ვაფიქრებინებ ამ კაცს, რომ სიტყვის პატრონი არა ვარ».

_ მქონდა პატივი გუშინ თქვენთვის მეცნობებინა, რომ სრულიად უდროო დროს წავეჩხუბე გობსეკს, _ განაგრძო გრაფმა, _ და რადგან მთელ პარიზში მხოლოდ მას შეუძლია ერთ წუთში და ისიც თვის პირველ დღეს გადმოალაგოს ასი ათასი ფრაკი, ამიტომ გთხოვეთ მასთან შეგერიგებინეთ, მაგრამ ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ...

ბატონმა დე ტრაილმა შემომხედა ზრდილობიანი შეურაცხმყოფელი სახით და წასვლა დააპირა.

_ მე მზად ვარ გამოგყვეთ.

როცა გრეს ქუჩაზე გავედით, შეწუხებულმა დენდიმ ისეთი ყურადღებით მიმოიხედა თავის გარშემო, რომ გამაოცა. სახეზე მკვდრისფერი დაედო, გაწითლდა, გაყვითლდა და შუბლზე აქა-იქ ოფლი დააყარა, როცა გობსეკის სახლის კარი დაინახა. ჩვენ რომ კაბრიოლეტიდან ჩამოვდიოდით, ამ დროს გრეს ქუჩაზე ფიაკრი შემოვიდა. შევარდნის თვალის მქონე ახალგაზრდა კაცმა ამ ეტლის სიღრმეში ქალი შენიშნა. თითქმის მხეცური სიხარულის გამოხატულებამ გრაფს სახე გამოუცოცხლა. ქუჩაში მიმავალ ბიჭს დაუძახა და ცხენი დააჭერინა. ჩვენ მოხუც მევახშესთან ავედით.

_ ბატონო გობსეკ, _ ვუთხარი, _ ერთი ჩემი უახლოესი მეგობარი მოგიყვანეთ (რომელსაც ისე ვუფრთხი, როგორც ეშმაკს, ჩავჩურჩულე ყურში მოხუცს). იმედი მაქვს ყურად იღებთ ჩემს თხოვნას და დახმარებას აღმოუჩენთ (ჩვეულებრივი პროცენტით), რითაც მას იხსნით გაჭირვებიდან (თუ ეს თქვენთვის ხელსაყრელია).

ბატონი დე ტრაილი მიესალმა მევახშეს, დაჯდა და მის მოსასმენად თავი ისე მლიქვნელურად დაიჭირა, რომ ასეთი ქცევით ზრდილობიანი სიმდაბლეც კი მოგაჯადოებდათ. გობსეკი უძრავად იჯდა სკამზე, ბუხრის კუთხესთან. იგი ჰგავდა ქანდაკებას, ფრანგული კომედიის პერისტილში ღამის სინათლით განათებულს. გობსეკმა

თითქოს მისასალმებლად თავზე დახურული ჩიხაქუდი ოდნავ ასწია. ყვითელი თავი გამოუჩნდა, რამაც გობსეკისა და მარმარილოს მსგავსება დაასრულა.

_ მე ფული მხოლოდ ჩემი კლიენტებისთვის მაქვს, _ თქვა მან.

_ მაშ, თქვენ ძლიერ ნაწყენი ბრძანდებით იმის გამო, რომ სხვაგან ვკოტრდებოდი და არა თქვენთან? _ უპასუხა გრაფმა სიცილით.

_ ვკოტრდებოდიო? _ გაიმეორა გობსეკმა დაცინვით.

_ თქვენ გნებავთ თქვათ, რომ ვერ გაკოტრდება ადამიანი, რომელსაც არაფერი აქვს? მაგრამ მე თქვენთან სანაძლეოს ვდებ, თუ იპოვით კაპიტალს უფრო მშვენიერს, ვიდრე აი, ეს არის, _ წამოიძახა დარდიმანდმა, ადგა და ქუსლებზე შემოტრიალდა. ამ თითქმის სერიოზულ ხუმრობას არ შეეძლო გობსეკის აღელვება.

_ განა ჩემი ახლო მეგობრები არ არიან რონკეროლები, მარსეები, ფრანშესინები, ორივე ვანდენესი, ახუდა-პინტოები და ბოლოს, ახალგაზრდა კაცები, რომლებიც პარიზში დიდ მოდაში არიან? მე ბანქოს ვთამაშობ თქვენთვის ცნობილ ერთ პრინცთან და ელჩთან. მე მაქვს შემოსავალი ლონდონში, კარლსბადში, ბატესა და ბადენში. განა ეს ყველაზე უფრო ბრწყინვალე საწარმო არაა?

_ სწორია.

მე თქვენ ღრუბლად მაქცევთ, ეშმაკმა დალახვროს! და მაქეზებთ ამ საზოგადოებაში ოქროთი გავიჟღინთო, რათა გაჭირვების წუთებში დამწუროთ. მაგრამ თქვენც ხომ ღრუბელი ხართ და სიკვდილი თქვენც დაგწურავთ.

_ შესაძლებელია.

_ გამფლანგველები რომ არ ყოფილიყვნენ, თქვენ რა იქნებოდით? ჩვენ ერთმანეთს ისე ვჭირდებით, როგორც ხორცს სული.

_ მართალია.

_ მაშ, ხელი ხელს მივცეთ, ძია გობსეკ, და იყავით დიდსულოვანი, თუ ეს სწორია, მართალი და შესაძლებელი.

_ თქვენ მოხვედით, _ უპასუხა ცივად მევახშემ, _ იმიტომ, რომ ჟირარმა, პალმამ, ვერბრუსტმა და ჟიგონემ მუცელი ამოივსეს თქვენი თამასუქებით, რომლებსაც ყველას სთავაზობენ ორმოცდაათი პროცენტის ზარალით. მაგრამ მათ, ალბათ, თამასუქის ღირებულების მხოლოდ ნახევარი გასესხეს, ამიტომ თქვენი თამასუქი თავისი ღირებულების ოცდახუთ პროცენტადაც კი არა ღირს. ჩემო ბატონო, როგორ შემიძლია, _ განაგრძო გობსეკმა, _ თუგინდ ერთი გროში ვასესხო კაცს, რომელსაც ოცდაათი ათასი

ფრანკი ვალი აქვს და ერთი დინარიც კი არ გააჩნია. გუშინწინ ბალზე ბარონ ნუსინჟენთან ათი ათასი ფრანკი წააგეთ.

_ ბატონო, _ უპასუხა გრაფმა საკვირველი უტიფრობით და მოხუცს ახედ-დახედა, _ ჩემი საქმეები თქვენ არ გეხებათ. ვისაც ვადა ჯერ არ გასვლია, არაფერი მართებს.

_ სწორია!

_ ჩემი თამასუქები გამოსყიდული იქნება.

_ შესაძლებელია.

_ ახლა საკითხი ასე დგას, შემიძლია თუ არა წარმოგიდგინოთ საკმაო საწინდარი იმ თანხისათვის, რომლის სესხებასაც თქვენგან ვაპირებ.

_ სწორია!

ქუჩიდან მოახლოებული ფიაკრის ხმაურობა მოისმა.

_ წავალ, მოვნახავ რაიმეს, რამაც შეიძლება თქვენ დაგაკმაყოფილოთ, _ თქვა ახალგაზრდა კაცმა.

_ ოჰ, ჩემო შვილო! _ წამოიძახა გობსეკმა, ადგა და ხელი გამომიწოდა, როცა მსესხებელი გავიდა, _ თუ მას კარგი საწინდარი აქვს, შენ სიკვდილს გადამარჩინე. ამის გამო ლამის მოვკვდი. ვერბრუსტსა და ჟიგონეს ჩემი გამასხარავება უნდოდათ, შენი წყალობით კი ამ საღამოს კაი სიცილს დავაყრი მათ.

მოხუცის სიხარულს რაღაც საშინელება ახლდა. ეს იყო ერთადერთი წუთი გულახდილობისა, რომელიც ჩემთან გამოუჩენია. თუმცა ეს სიხარული სწრაფმავალი იყო, იგი ჩემი მახსოვრობიდან მაინც არასოდეს ამოიშლება.

_ გთხოვთ აქ დარჩეთ, _ დაუმატა მან, _ თუმცა იარაღი თანა მაქვს და დარწმუნებული ვარ, კარგად ვისვრი _ მე ხომ ვეფხვებზე მინადირია და გემის ბაქანზე აბორდაჟულ შებრძოლებაშიც მიმიღია მონაწილეობა, როდესაც ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იყო, მაგრამ რატომღაც ამ კოხტა არამზადისა მაინც მეშინია...

იგი ისევ ჩაჯდა თავის სავარძელში, მაღალი საწერი მაგიდის წინ. მისი სახე ისევ მშვიდი და ფერმკრთალი გახდა.

_ ჰო, ჰო, _ მიბრუნდა და ისევ განაგრძო: _ ახლა თქვენ ნახავთ მშვენიერ არსებას, რომლის შესახებ ერთხელ უკვე გელაპარაკეთ. აი, დერეფნიდან მოისმის მისი არისტოკრატული ფეხის ხმა.

მართლაც, ახალგაზრდა კაცი დაბრუნდა, თან შემოიყვანა მკლავში ხელგაყრილი ქალი. მე ის მაშინვე ვიცანი. ეს იყო გრაფის მეუღლე, რომლის დილაც ოდესღაც გობსეკმა ამიწერა, კეთილი გორიოს ერთი ქალიშვილთაგანი.

გრაფის მეუღლეს თავიდანვე არ დაუნახივარ, რადგან ფანჯრის ნიშის ქვეშ ვიდექი, მინისაკენ პირმიბრუნებული, ქალი მევახშის ნესტიან და ბნელ ოთახში რომ შემოვიდა, მაქსიმს ერთი უნდობლად გადახედა. გრაფის მეუღლე ისეთი მშვენიერი იყო, რომ, მიუხედავად მისი შეცდომებისა, შემეცოდა. რაღაც საშინელ წუხილს შეეპყრო მისი გული; კეთილშობილ და ამაყ სახეს ცუდად დაფარული, შეშფოთებული გამომეტყველება ჰქონდა. ეს ახალგაზრდა კაცი ამ ქალის ბოროტ სულად ქცეულიყო. მაკვირვებდა გობსეკი, რომელიც ოთხი წლით ადრე მიხვდა, პირველი თამასუქის მიხედვით, რა ბედი ელოდა ამ ორ ადამიანს.

«ალბათ, _ გავიფიქრე, _ ეს ანგელოზის სახიანი ურჩხული ამ ქალს თავის ნებაზე ატარებს, ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებებით: დიდების მოყვარულობით, ეჭვიანობით, განცხრომითა და მაღალი საზოგადოების ცხოვრების გატაცებით...»

_ ამ ქალის სათნოებაც კი მან იარაღად გამოიყენა, _ წამოიძახა ვიკონტესამ, _ მაქსიმი მას თავგანწირულების ცრემლებს აფრქვევინებდა. მასში შეეძლო გამოეწვია დიდსულოვნება, რომელიც ჩვენ გვჩვევია. მის სინაზეს ბოროტად იყენებდა, რათა მისთვის დანაშაულებრივი სიტკბოება ძვირად მიეყიდა.

_ გამოგიტყდებით, _ თქვა დერვილმა, რომელიც ვერ მიხვდა, ქალბატონი დე გრანლიე რაღაცას რომ ანიშნებდა, _ მე ამ უბედური არსების ხვედრს არ დავტიროდი, რომელიც ესოდენ ბრწყინვალე იყო მაღალი საზოგადოების თვალში და ესოდენ საშინელი იმისათვის, ვინც მის გულში ჩაიხედავდა. არა, მე მათრთოლებდა საშინელება, როცა ამ ქალის მკვლელს ვუმზერდი, ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც შუბლი ასეთი სპეტაკი, ტუჩები ასეთი ქორფა, ღიმილი ასეთი მიმზიდველი, კბილები კი ასე თეთრი ჰქონდა. იგი ანგელოზს ჰგავდა. ამ წუთს ისინი იყვნენ მოსამართლის წინაშე, რომელიც მათ ათვალიერებდა ისე, როგორც, ალბათ, მეთექვსმეტე საუკუნის მოხუცი დომინიკელი წმინდა ინკვიზიციის ჯურღმულებში ორი მავრის წამებას უცქეროდა.

_ ბატონო, შეიძლება თუ არა მივიღო ამ ბრილიანტების ღირებულება იმ პირობით, რომ მათი გამოსყიდვა შემეძლება, _ თქვა ქალმა მთრთოლვარე ხმით და მევახშეს კოლოფი მიაწოდა.

_ დიახ, ქალბატონო, _ ვუპასუხე და გამოვჩნდი.

ქალმა შემომხედა, მიცნო, უნებურად შეკრთა, თვალი თვალში გამიყარა, რაც ყველა ენაზე ნიშნავს: «ჩუმად იყავით».

_ ეს, _ განვაგრე მე, _ არის გარიგება, რომელსაც ვუწოდებთ დაგირავებას გამოსყიდვის უფლებით. შეთანხმება გამოიხატება იმაში, რომ მოძრავი ან უძრავი ქონება დაეთმობა, ან გადაეცემა განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ შეიძლება ნივთის უკან დაბრუნება დანიშნული თანხის გადახდით.

ქალმა შვებით ამოისუნთქა. გრაფმა წარბები შეიჭმუხნა, შეეშინდა, ვაითუ მევახშემ უფრო ნაკლები თანხა მისცეს ბრილიანტებში, რადგან ბრილიანტების ფასი შეიძლებოდა დაწეულიყო. უძრავად მყოფმა გობსეკმა ხელი სტაცა ლუპას და წყნარად დააცქერდა კოლოფს. ას წელიწადს რომ ვიცოცხლო, მე არ დამავიწყდება მოხუცის გამომეტყველება: მევახშის გაფითრებულ ლოყებს ფერი მოუვიდა, მისი თვალები, სადაც თითქოს ქვების ბრწყინვა აირეკლებოდა, არაბუნებრივი ცეცხლით აენთო. წამოდგა, სინათლისკენ წავიდა, ბრილიანტები უკბილო პირთან მიიტანა, თითქოს მათი შეჭმა უნდოდა. გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა, იღებდა რიგრიგობით სამაჯურებს, საყურეებს, გულქანდებს, ჯიღებს, სინათლზე ათვალიერებდა, რათა სიწმინდე, გამჭვირვალობა, დაწახნაგება შეემოწმებინა: ბრილიანტებს იღებდა კოლოფიდან. ისევ შიგ დებდა, კვლავ იღებდა, მთელ მათ ბრწყინვას ამოწმებდა. უფრო ბავშვივით იქცეოდა, ვიდრე მოხუცივით, ან უფრო სწორად, ბავშვივით და მოხუცივით ერთსა და იმავე დროს.

_ მშვენიერი ბრილიანტებია! რევოლუციამდე ეს სამასი ათასი ფრანკი ეღირებოდა. რა გამჭვირვალეა. აი, აზიის ნამდვილი ბრილიანტები, გოლკონდიდან და ვიზაპურიდან მოტანილნი! მერედა თქვენ განა იცით მათი ფასი! არა, არა, პარიზში ერთადერთი მხოლოდ გობსეკია, რომელსაც მათი შეფასება შეუძლია. იმპერიის ეპოქაში ასეთი სამკაულის გაკეთებას ორასი ათას ფრანკზე მეტი დასჭირდებოდა.

მოძრაობით ზიზღი გამოხატა და დაუმატა:

_ ახლა ბრილიანტი ყოველდღე კარგავს ფასს! ზავის დადების შემდეგ ბრაზილიას ბაზარზე უხვად გამოაქვს ნაკლებ გამჭვირვალე ალმასები, ვიდრე ინდური ალმასებია. ქალები ახლა ბრილიანტებს მხოლოდ მეფის კარზე გამართულ წვეულებებზე ატარებენ. ქალბატონო, ხომ დაბრძანდებით მეფის სასახლეში?

ამ სიტყვებს რომ ისროდა, გამოუთქმელი სიხარულით სინჯავდა ხან ერთს, ხან მეორე ძვირფას ქვას.

_ უწინწკლოა, _ ამბობდა ის, _ აი, ამაზე ერთი წინწკალია, აქ კი ერთი ბზარი, მშვენიერი ბრილიანტია...

ბრილიანტების ელვარებით გობსეკის ფერმკრთალი სახე ისე იყო განათებული, რომ იგი პროვინციის სასტუმროში ნანახ მომწვანო სარკეებს მოგაგონებდათ. ეს სარკეები სინათლის ანარეკლს იღებს, მაგრამ მას არ აირეკლავს. თუ მგზავრი უცებ ჩაიხედავს ამ სარკეში, თავი დამბლადაცემული ეგონება.

_ თანახმა ხართ? _ უთხრა გრაფმა და გობსეკს მხარზე ხელი დაჰკრა.

მოხუცი ბავშვი შეკრთა. სათამაშოებს ხელი გაუშვა, მაღალ საწერ მაგიდაზე დააწყო, დაჯდა და ისევ მევახშე გახდა, მტკიცე, ცივი და მარმარილოს სვეტივით გლუვი.

_ რამდენი გჭირდებათ?

_ ასი ათასი ფრანკი სამი წლის ვადით, _ უთხრა გრაფმა.

_ შეიძლება! _ თქვა გობსეკმა და ურთხელის კოლოფიდან ამოიღო თავისი სიზუსტით ფასდაუდებელი სასწორი. ეს კოლოფი მისთვის ძვირფასეულობის ყუთი იყო.

ქვები აწონა, ბუდეების სიმძიმე თვალით განსაზღვრა (და ღმერთმა უწყის როგორ!). აწონის დროს მისი სახე გამოხატავდა ბრძოლას სიხარულსა და სისასტიკეს შორის. გრაფის მეუღლე გაშეშდა, თითქოს იგი ზომავდა იმ უფსკრულის სიღრმეს, სადაც ვარდებოდა. ამ ქცევით მან ჩემი გული მოიგო. ქალის სული ჯერ კიდევ სინდისის ქენჯნას განიცდიდა. მის გადასარჩენად იქნებ სულ პატარა მონდომებაა საჭირო, იქნებ საკმარისია მხოლოდ თანაგრძნობით გაუწოდო ხელი? და მე ვცადე ამის გაკეთება.

_ ეს თქვენი ბრილიანტებია, ქალბატონო? _ ვკითხე ქალს.

_ დიახ, ბატონო, _ მიპასუხა და ამაყად შემომხედა.

_ შეადგინეთ გირავნობის წიგნი, მოლაყბევ, _ მითხრა გობსეკმა, ადგა და თავის ადგილზე მიმითითა, მაღალ საწერ მაგიდასთან.

_ თქვენ, ქალბატონო, უეჭველად, ქმრიანი ბრძანდებით? _ ვკითხე კიდევ.

ქალმა სწრაფად თავი დახარა.

_ საბუთის შედგენაზე უარს ვამბობ! _ წამოვიძახე.

_ რატომ? _ მკითხა გობსეკმა.

_ როგორ თუ რატომ? _ ვუთხარი და მოხუცი ფანჯრის ნიშისკენ წავიყვანე, რათა ჩუმად მოვლაპარაკებოდი. _ ეს ქალი ქმარზეა დამოკიდებული, გირავნობის წიგნს ძალა არ ექნება. ვერ შეძლებთ დაიმოწმოთ ფაქტის უცოდინარობა, თვით ამ გარიგებით დადასტურებული. ამიტომ თქვენ ვალდებული იქნებით წარადგინოთ ბრილიანტები,

რომლებსაც თქვენთან დააგირავებენ და რომლების წონა, ღირებულება, თრაშვა აღწერილი იქნება აქტში.

გობსეკმა თავი დამიქნია, სიტყვა შემაწყვეტინა და ორ დამნაშავეს მიუბრუნდა:

_ მართალს ამბობს, ყველაფერი იცვლება, ოთხმოცი ათასი ფრანკი ნაღდად, და თქვენ დამიტოვებთ ბრილიანტებს. _ დაუმატა ყრუ, სასიამოვნო ხმით, _ დაპატრონება საბუთების მაგივრობას სწევს მოძრავი ქონების მიმართ.

_ კი მაგრამ... _ შეესიტყვა ახალგაზრდა კაცი.

_ ან წაიღეთ, ან დატოვეთ! _ უპასუხა გობსეკმა და ძვირფასეულობის კოლოფი გრაფის მეუღლეს გადასცა. _ მე დიდი რისკის გაწევა მიხდება.

_ თქვენ უკეთ მოიქცეოდით, რომ ქმრის ფერხთ დაცემულიყავით, _ ქალისკენ დავიხარე და ჩავჩურჩულე ყურში.

მევახშე ჩემი ტუჩების მოძრაობით უეჭველად მიხვდა, რაც ვუთხარი და ცივად გადმომხედა.

ახალგაზრდა კაცის სახეს მკვდრისფერი დაედო. გრაფის მეუღლე, ცხადი იყო, მერყეობდა. ბატონი დე ტრაი ქალს მიუახლოვდა, და მე გავიგონე, თუმცა იგი ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა:

_ მშვიდობით, ძვირფასო ანასტაზი, იყავ ბედნიერი!.. მე კი ხვალ საზრუნავი აღარაფერი მექნება.

_ ბატონო, _ წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა და გობსეკს მიმართა, _ ვიღებ თქვენს წინადადებას.

_ კარგი, _ უპასუხა მოხუცმა, _ ჩემო მშვენიერო ქალბატონო,, კაცი ადვილად ვერ დაგითანხმებთ.

ბანკის ორმოცდაათიათასიან ჩეკს ხელი მოაწერა და გრაფის მეუღლეს გადასცა.

_ ახლა, _ თქვა ღიმილით, რომელიც ვოლტერის ღიმილს ჰგავდა, _ მინდა თქვენი თანხა შევავსო ოცდაათი ათასი ფრანკის თამასუქებით, რომელთა ვარგისობაზე ვერავინ შემედავება. ეს ოქროს ზოდია. გრაფმა ეს-ეს არის ბრძანა: ჩემი თამასუქები განაღდებული იქნებაო, _ დაუმატა გობსეკმა და მიაწოდა გრაფის მეუღლეს გრაფ მაქსიმის მიერ ხელმოწერილი, მევახშის ერთი თანამოძმის მიერ წინადღით გაპროტესტებული თამასუქები, რომლებიც მისგან, ალბათ, იაფად იყიდა.

ახალგაზრდა კაცს ღრიალი აღმოხდა, რომელშიც მკაფიოდ ისმოდა სიტყვები: «ბებერი თაღლითი!» ძია გობსეკს წარბიც არ შეუხრია, მუყაოს კოლოფიდან წყვილი დამბაჩა ამოიღო და მშვიდად თქვა:

_ როგორც შეურაცხყოფილი, პირველად მე გესვრით.

_ მაქსიმ, თქვენ ბოდიში უნდა მოიხადოთ, _ წამოიძახა მუდარით აკანკალებულმა გრაფის მეუღლემ.

_ თქვენი შეურაცხყოფა არ განმიზრახავს, _ ჩაილუღლუღა ახალგაზრდა კაცმა.

_ მე ეს კარგად ვიცი, _ უპასუხა წყნარად გობსეკმა, _ თქვენ მხოლოდ გინდოდათ თქვენი თამასუქი არ გამოგესყიდათ.

გრაფის მეუღლე ადგა, გამოგვეთხოვა და გავიდა, უეჭველად დიდი საშინელებით შეპყრობილი. ბატონი დე ტრაი იძულებული იყო გაჰყოლოდა მაგრამ გასვლამდე თქვა:

_ თუ თქვენ, ბატონებო, ერთი სიტყვა მაინც წამოგცდებათ, მაშინ ან თქვენი, ან ჩემი სისხლი დაიღვრება.

_ Amen, _ უპასუხა გობსეკმა და თავის დამბაჩას ხელი მოუჭირა. _ სისხლი რომ დაღვარო, ის უნდა გქონდეს, ჩემო პატარავ, შენ კი ძარღვებში მხოლოდ ტალახი გაქვს.

როცა კარი მიიხურა და ორი ეტლი წავიდა, გობსეკი წამოდგა, ცეკვა დაიწყო. თან იმეორებდა:

_ მე მაქვს ბრილიანტები! მე მაქვს ბრილიანტები! მშვენიერი ბრილიანტები, მომხიბლავი ბრლიანტები! და რა იაფად შევიძინე! ხა! ხა! ვერბრუსტო და ჟიგონე, თქვენ გინდოდათ ბებერი ძია გობსეკი ჩაგეჭირათ! Ego sum papa! მე თქვენი, ყველას, მბრძანებელი ვარ! როგორ გაშტერებულნი დარჩებიან ამ საღამოს, როცა მათ ამ საქმეს ვუამბობ, დომინოს თამაშის დროს!

რამდენიმე გამჭვირვალე ქვის დასაკუთრებით გამოწვეულმა ამ პირქუშმა სიხარულმა, ამ ველურის მძვინვარებამ ამაკანკალა. ხმა ჩამიწყდა, გავშეშდი.

_ ხა! ხა! აქა ხარ, ჩემო ბიჭუნავ! _ მითხრა, _ ერთად ვისადილოთ, შენთან გავერთოთ, მე არა ვარ ოჯახურად მოწყობილი. ეს მიკიტნები თავიანთი წვნიანი კერძებით, საწებლებით, ღვინოებით თვით ეშმაკსაც კი მოსწამლავენ.

ჩემი სახის გამომეტყველებამ მოხუცს უეცრად დაუბრუნა ცივი უგრძნობლობა.

_ თქვენ ეს არ გესმით, _ მითხა და ბუხარს მიუჯდა, სადაც რძით სავსე თუნუქის კარდალი დადგა მაყალზე. _ საუზმეს ხომ არ ინებებთ? შეიძლება ორივეს გვეყოს.

_ არა, გმადლობთ, _ ვუპასუხე, _ მე მხოლოდ შუადღისას ვსაუზმობ.

ამ დროს დერეფნიდან აჩქარებული ფეხის ხმა მოგვესმა.

მოულოდნელად მოსული უცნობი გობსეკის კიბის ბაქანზე შეჩერდა და ზედიზედ დააკაკუნა. მევახშემ სარკმელში გაიხედა და კარი გაუღო დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის კაცს, რომელიც, ალბათ, საშიშრად არ მოეჩვენა. სადად ჩაცმული ახალმოსული განსვენებულ ჰერცოგ რიშელიეს ჰგავდა. ეს იყო ქალბატონ დე გრანლიეს მეუღლე, გრაფი, რომელსაც, უეჭველია, შეხვედრიხართ მაღალ საზოგადოებაში და რომელსაც, მომიტევეთ ეს გამოთქმა, თქვენი გარეუბნის სახელმწიფო მოღვაწის ქცევა ჰქონდა.

_ ბატონო, _ მიმართა გობსეკს, _ ჩემი ცოლი თქვენთან ხომ არ იყო ახლა?

_ შესაძლებელია.

_ ეჰ, ბატონო, თქვენ ჩემი არ გესმით?

_ არა მაქვს პატივი თქვენი მეუღლის ცნობისა, _ უპასუხა მევახშემ. _ ამ დილას ბევრნი იყვნენ ჩემთან: ქალები, კაცები, ქალიშვილები, რომლებიც ახალგაზრდა კაცებს ჰგავდნენ, და ახალგაზრდა კაცები, რომლებიც ქალიშვილებს ჰგავდნენ. ჩემთვის ძნელი იქნებოდა...

_ გეყოფათ ხუმრობა, მე ვლაპარაკობ ქალზე, რომელიც ეს-ეს არის თქვენგან გავიდა.

_ საიდან შემეძლო მცოდნოდა, რომ ის თქვენი ცოლია? _ ჰკითხა მევახშემ, _ არასოდეს მქონია სიამოვნება თქვენი ნახვისა.

_ თქვენ ცდებით, ბატონო გობსეკ, _ თქვა გრაფმა ღრმა ირონიით, _ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ერთ დილას ჩემი მეუღლის საწოლ ოთახში. თქვენ მოხვედით ფულის მისაღებად მის მიერ ხელმოწერილი თამასუქით, რომლითაც მას არვითარი ფული არ მიუღია.

_ ჩემი საქმე არ არის იმის გამორკვევა, რა საშუალებით მიიღო თამასუქის ღირებულება, _ უპასუხა გობსეკმა და გრაფს მზაკვრულად შეხედა. _ მე მას გავუნაღდე თამასუქი ერთ ჩემ თანამოძმეთაგანს. ამას გარდა, ბატონო, _ თქვა მევახშემ აუღელვებლად, ისე რომ ხმა არ აუმაღლებია და რძის ჯამში ყავა ჩაყარა, _ ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, მე არ შემფერის გიმტკიცოთ, რომ ჩემს ოთახში თქვენ უფლება არა გაქვთ რჩევა-დარიგება მომცეთ: მე სრულწლოვანი ვარ გასული საუკუნის სამოცდაერთი წლიდან.

_ მოწყალეო ხელმწიფეო. _ თქვენ ეს-ეს არის შეიძინეთ მცირე ფასად საგვარეულო ბრილიანტები, რომლებიც ჩემს ცოლს არ ეკუთვნის.

_ თავს მოვალედ არ ვთვლი ჩემი საქმეების საიდუმლო გაგიზიაროთ. გეტყვით, ბატონო გრაფო, თუ თქვენი ბრილიანტები მოგტაცათ თქვენმა მეუღლემ, წერილობით

უნდა გაგეფრთხილებინათ ოქრომჭედლები, რათა ბრილიანტები არ შეეძინათ, ქალბატონს მათი ნაწილ-ნაწილ გაყიდვა შეეძლო.

_ ბატონო! _ წამოიძახა გრაფმა, _ თქვენ ჩემს ცოლს იცნობთ.

_ ვიცნობ!

_ იგი ქმარს ექვემდებარება.

_ შესაძლებელია.

_ ცოლს ბრილიანტების გამოყენების უფლება არ ჰქონდა...

_ სწორია.

_ მაშ, ბატონო?

_ მაშ, ბატონო, მე ვიცნობ თქვენს ცოლს, იგი ქმარს ექვემდებარება, სავსებით გეთანხმებით, იგი მრავალს ექვემდებარება. მაგრამ მე თქვენს ბრილიანტებს არ ვიცნობ. თუ გრაფის მეუღლე ხელს აწერს თამასუქებს, მას შეუძლია, უეჭველად, ივაჭროს, იყიდოს ბრილიანტები, მიიღოს ისინი გასასყიდად, ასეთი შემთხვევები ყოფილა.

_ მშვიდობით, ბატონო, _ წამოიძახა ბრაზით გაფითრებულმა გრაფმა, _ არის კიდევ სასამართლო!

_ სწორია.

_ აი, ეს ბატონი, _ დაუმატა მან და ჩემზე მოათითა, _ გაყიდვის მოწმე იყო.

_ შესაძლებელია.

გრაფი გადიოდა. ვიგრძენი ამ საქმის სერიოზულობა და უეცრად მებრძოლ მხარეთა შორის ჩავდექი.

_ ბატონო გრაფო, _ ვთქვი, _ თქვენ მართალი ხართ. არც ბატონ გობსეკს ედება რაიმე ბრალი. თქვენ ვერ შეძლებთ მყიდველის წინააღმდეგ ისე აღძრათ სარჩელი, რომ ამ საქმეში თქვენი ცოლი არ ჩააბათ, და ამ საქმის საზიზღრობანი მარტო თქვენს ცოლს კი არ დაატყდება თავს. ვექილი ვარ და, მე ჩემდათავად კიდევ უფრო, ვიდრე ჩემი ოფიციალური მდგომარეობის გამო, უნდა გაგიცხადოთ, რომ ბრილიანტები, რომლებზედაც ლაპარაკობდით, ბატონმა გობსეკმა შეიძინა ჩემი თანდასწრებით. მაგრამ, ვფიქრობ, თქვენ დაუშვებდით შეცდომას ამ გაყიდვის კანონიერება სადაოდ რომ გაგეხადათ. ამას გარდა გასაყიდი საგნები ძნელი გამოსაცნობია. სამართლიანობა თქვენს მხარეზე იქნება, მაგრამ სასამართლოში მარცხს განიცდით. ბატონი გობსეკი მეტად პატიოსანი ადამიანია და იგი არ უარყოფს, რომ ეს ყიდვა მისთვის სარფიანი იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი სინდისი და მოვალეობა მაიძულებს ეს დავადასტურო. მაგრამ თუ თქვენ, ბატონო გრაფო,

სარჩელს აღძრავთ, შედეგი საეჭვო იქნება. გირჩევთ, მორიგებით გაათავოთ საქმე ბატონ გობსეკთან, რომელსაც შეუძლია თავისი კეთილსინდისიერებით იხელმძღვანელოს, მაგრამ მას ბრილიანტების ღირებულება უეჭველად უნდა დაუბრუნოთ. დათანხმდით, რომ ბრილიანტები დაგირავებულია შვიდი-რვა თვით, ერთი წლითაც, იმ ვადით, რომელიც თქვენ საშუალებას მოგცემთ ქალბატონის მიერ ნასესხები თანხა დაუბრუნოთ, იმ შემთხვევაში თუ არ ამჯობინებთ ბრილიანტები დღესვე გამოისყიდოთ, ფულის გადახდის გარანტიის მიცემით.

მევახშე პურს ყავაში ასველებდა და სრულიად გულგრილად შეექცეოდა საჭმელს! მაგრამ მორიგებაზე რომ ვლაპარაკობდი, შემომხედა, თითქოს თქვა: «ყოჩაღ! როგორ იყენებს ჩემს გაკვეთილებს». მეც მრავალმნიშვნელოვნად შევხედე, რაც მშვენივრად გაიგო: «საეჭვო და საძაგელი საქმეა, საჭიროა, სასწრაფოდ მორიგდეთ». გობსეკს არ შეეძლო იმის უარყოფა, რომ მართალი ვთქვი. გრაფმა კეთილი ღიმილით მადლობა გადამიხადა. კამათის შემდეგ, რომლის დროსაც გობსეკმა ისეთი მოხერხებულობა და სიხარბე გამოიჩინა, რომ იგი კონგრესის მთელი დიპლომატიის დამარცხებას შეძლებდა, მე შევადგინე აქტი. ამ აქტით გრაფმა დაადასტურა, რომ მევახშისაგან მიიღო თანხა ოთხმოცდახუთი ათასი ფრაკი, პროცენტების შიგ ჩათვლით; ამ თანხის დაბრუნების შემდეგ გობსეკი ივალებდა, გრაფისათვის ბრილიანტები დაებრუნებინა.

_ ფულის გადაყრაა! _ წამოიძახა ქმარმა, ხელის მოწერის დროს, _ ამ უფსკრულზე ხიდი როგორ უნდა გავდოთ?

_ ბატონო, შვილები ბევრი გყავთ? _ ჰკითხა გობსეკმა.

ამ კითხვამ გრაფი შეათრთოლა ისე, თითქოს მევახშეს, როგორც გამოცდილ ექიმს, უეცრად ხელი მტკივან ადგილზე დაედოს. გრაფმა არ უპასუხა.

_ კარგი, _ განაგრძო გობსეკმა, რომელიც გრაფის მწუხარე დუმილის მიზეზს ჩასწვდა, _ თქვენი ამბავი შესანიშნავად ვიცი. ეს ქალი დემონია, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ გიყვართ, ჩემთვის ეს გასაგებია, მან მეც ამაღელვა. შეიძლება გინდოდეთ თქვენი ქონების გადარჩენა, მისი შენახვა ერთი ან ორი თქვენი ბავშვისათვის. ასე, გადაეშვით მაღალი საზოგადოების ორომტრიალში, ითამაშეთ ბანქო, გაანიავეთ თქვენი ქონება, ხშირად შემოიარეთ გობსეკთან. ხალხი იტყვის, რომ მე ვარ ურია, არაბი, მევახშე, მეკობრე, რომ მე თქვენ გაგაკოტრეთ! ამისთვის მიმიფურთხებია! ვინც შეურაცხყოფას მომაყენებს, მოვკლავ; არავინ ისე კარგად არ ისვრის დამბაჩას და არ ხმარობს დაშნას, როგორც მე, თქვენი მონა-მორჩილი, ეს ყველამ იცის. მერე, თუკი შეძლებთ, გამონახეთ მეგობარი,

რომელსაც ფიქტიურად მიჰყიდით თქვენს ქონებას. ამას ხომ თქვენ ფიქტიურ გაყიდვას ეძახით? _ მომიბრუნდა და შემეკითხა.

გრაფი, ეტყობოდა, მთლიანად თავის ფიქრში ჩაფლულიყო. წასვლისას გვითხრა:

_ ხვალ, ბატონო, ფულს მიიღებთ, ბრილიანტები ხელთ გქონდეთ.

_ მე მგონია, იგი სულელია, როგორც ყველა პატიოსანი კაცი, _ მითხრა ცივად გობსეკმა, როცა გრაფი წავიდა.

_ აჯობებს თქვათ, სულელია, როგორც ვნებით შეპყრობილი ყველა ადამიანი.

_ გრაფისაგან გასამრჯელო გერგებათ აქტის შედგენისათვის, _ წამოიძახა მან, როდესაც შეამჩნია, რომ წასვლას ვაპირებდი.

რამდენიმე დღე გავიდა ამ შემთხვევის შემდეგ, რომელმაც მაღალი საზოგადოების ქალის ცხოვრების საშინელი საიდუმლოებანი გადამიშალა, და ერთ დილას ჩემთან კაბინეტში გრაფი შემოვიდა.

_ ბატონო, _ მითხრა, _ მოვედი, რათა მნიშვნელოვან საქმეზე მოგეთათბიროთ. უნდა გითხრათ, რომ თქვენი დიდი ნდობა მაქვს და ვიმედოვნებ, ეს საქმით დაგიმტკიცოთ. თქვენს მოპყრობას ქალბატონ დე გრანლიესადმი ქება არ სჭირდება.

_ ხედავთ, ქალბატონო, _ უთხრა ვექილმა ვიკონტესას, _ მე მრავალჯერ ვიქმენ დაჯილდოებული მეტად პატარა სამსახურისათვის.

გრაფს მოწიწებით თავი დავუკარი და ვუპასუხე, მე მხოლოდ პატიოსანი ადამიანის მოვალეობა შევასრულე-მეთქი.

_ ასე, ბატონო, მე შევკრიბე ბევრი ცნობა ამ იშვიათი პიროვნების შესახებ, რომლის ხელის შეწყობითაც გაქვთ ეს მდგომარეობა, _ მითხრა გრაფმა, _ ყოველივე იმის მიხედვით, რაც მე ვიცი, გობსეკი ცინიკოსთა სკოლის ფილოსოფოსია. რას ფიქრობთ თქვენ მის პატიოსნებაზე?

_ ბატონო გრაფო, _ ვუპასუხე, _ გობსეკი ჩემი კეთილისმყოფელია... თხუთმეტპროცენტიანი სარგებლით, _ დავუმატე სიცილით. _ მაგრამ გობსეკის სიძუნწე ნებას არ მაძლევს მისი ზუსტი სურათი დაგიხატოთ უცნობ ადამიანს.

_ მითხარით, ბატონო! თქვენი გულახდილობა არაფერს ავნებს არც გობსეკს, არც თქვენ. მე არცა ვფიქრობ, რომ კაცი რომელიც გირაოთი ასესხებს, ფულს, ანგელოზი იქნება.

_ გობსეკი, _ განვაგრძე მე, _ ურყევად ემორჩილება ერთ პრინციპს, რაც მისი ქცევის წარმმართველია. მისი აზრით, ფული საქონელია, რომელიც სრულიად დამშვიდებული სინდისით შეიძლება გაჰყიდო ძვირად ან იაფად, გარემოების მიხედვით. მევახშე, მისი

შეხედულებით, არის ადამიანი, რომელიც დიდი სარგებლით, რასაც გასესხებულ ფულში მოითხოვს, წინასწარ ხდება შემოსავლიანი საწარმოთა და სპეკულაციების მონაწილე. თუ გვერდს ავუვლით მის საფინანსო პრინციპებსა და ფილოსოფიურ დაკვირვებებს ადამიანის ბუნებაზე, რაც მას ნებას აძლევს მევახშესავით მოიქცეს გარეგნულად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მთელ პარიზში იგი საქმეებს გარეთ ყველაზე უფრო თავაზიანი და პატიოსანი ადამიანია. მასში ორი ადამიანია: ძუნწი და ფილოსოფოსი, პატარა და დიდი. მე რომ მოვკვდე და ობლები დამრჩეს, იგი მათი მეურვე იქნებოდა. აი, ბატონო, რა სახით მიჩვენა გობსეკი გამოცდილებამ. მისი წარსული ცხოვრებისა არაფერი ვიცი. შეიძლება ის მეკობრე იყო, შეიძლება მთელი მსოფლიო შემოიარა, ვაჭრობდა ბრილიანტებით ან ადამიანებით, ქალებით ან სახელმწიფოებრივი საიდუმლოებით, მაგრამ, ვფიცავ, არავის სული ისე გამობრძმედილი და ნაცადი არ ყოფილა, როგორც მისი. იმ დღეს, როდესაც მივუტანე თანხა ვალის დასაფარავად ვკითხე ერთგვარი ორატორული სიფრთხილით: რა გრძნობა ამოძრავებდა მას, ასე დიდ პროცენტს რომ მახდევინებდა. ჩემთვის, თავისი მეგობრისათვის, სამსახურის გაწევა რომ მოისურვა, თავის თავს ნება რა მოსაზრებით არ მისცა კეთილისმყოფელობა გამოეჩინა. «ჩემო შვილო, მე გაგათავისუფლე მადლობის თქმისაგან, მოგეცი უფლება იფიქრო, რომ შენ ჩემი არაფერი გემართა», _ მიპასუხა მან. ამგვარად, ერთმანეთის საუკეთესო მეგობრები გავხდით. ეს პასუხი, ბატონო ჩემო, უფრო თვალნათლად წარმოგიდგენთ გობსეკს, ვიდრე ჩემი სიტყვები.

_ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა, _ მითხრა გრამფა, _ მომიმზადეთ საჭირო საბუთები, რითაც გობსეკს ჩემს ქონებაზე საკუთრების უფლებას გადავცემ. მხოლოდ თქვენ განდობთ, ბატონო, უკუქცევითი ხელწერილის შედგენას. ამ ხელწერილში გობსეკი განაცხადებს, რომ ეს გაყიდვა ფიქტიურია და იკისრებს ვალდებულებას გადასცეს ჩემი ქონება ჩემს შვილს, როცა იგი სრულწლოვანი გახდება. მანამდე კი ამ ქონებას გობსეკი განაგებს თავისი შეხედულებისამებრ. ახლა, ბატონო, უნდა გითხრათ, მე მეშინია, რომ ეს ძვირფასი საბუთი ჩემთან შევინახო. დედისადმი ერთგულება ჩემი ვაჟიშვილისა მაშინებს, ამიტომ ამ უკუქცევით ხელწერილს მას ვერ ჩავაბარებ. შემიძლია გთხოვოთ, რომ ის თქვენ შეინახოთ? თუ გობსეკი გარდაიცვალა, იგი თქვენ დაგნიშნავთ ანდერძით ჩემი ქონების მემკვიდრედ. ამრიგად, ყველაფერი გათვალისწინებულია.

ერთ წუთს გრაფი დადუმდა, ეტყობოდა, ძალზე აღელვებული იყო.

_ ბოდიშს ვიხდი, ბატონო, _ მითხრა დუმილის შემდეგ, _ მე ძლიერ ვიტანჯები, და ჩემი ჯანმრთელობა დიდ შიშსა მგვრის, ბოლონდელმა უსიამოვნებამ ცხოვრება საშინლად ამიფორიაქა და ეს მოითხოვს ჩემგან იმ დიდ ღონისძიებას, რომელსაც ამჟამად ვიღებ.

_ ბატონო, _ ვუთხარი მე, _ უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ ნდობისათვის, მაგრამ ეს მე უნდა გავამართლო და მიგითითოთ, რომ ამ ზომების მიღებით სრულიად არ უტოვებთ მემკვიდრეობას თქვენს... დანარჩენ შვილებს. ისინიც ხომ თქვენს სახელს ატარებენ. დაე იყვნენ მხოლოდ შვილები ოდესღაც საყვარელი, ახლა კი მიტოვებული ქალისა, მაგრამ მათაც ხომ აქვთ უფლება იარსებონ. მოგახსენებთ, რომ ვერ ვიკისრებ იმ მოვალეობას, რომლითაც გსურთ პატივი მცეთ, თუ მათი ხვედრი განსაზღვრული არ იქნება.

ამ სიტყვებმა გრაფი აათრთოლა. თვალზე ცრემლი მოადგა, ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

_ ჯერ კიდევ თქვენ ვერ გამიცნიხართ სავსებით. თქვენ ერთსა და იმავე დროს სიხარულიცა და ტკივილიც განმაცდევინეთ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ამ ბავშვების წილი უკუქცევითი ხელწერილის პირველსავე მუხლში.

გრაფი კანტორის კარამდე მივაცილე. მომეჩვენა, რომ მას სახე გაუნათლა კმაყოფილების გრძნობამ, რაც ამ სამართლიანმა მოქცევამ გამოიწვია.

_ აი, კამილა, როგორ მიექანებიან ახალგაზრდა ქალები უფსკრულისაკენ. ზოგჯერ საკმარისია კადრილი, პიანინოზე დამღერებული არია, ქალაქგარეთ გასეირნება, რომ საშინელი უბედურება დატრიალდეს. ეს ქალები დიდების მოყვარულობის, ქედმაღლობის, თვითკმაყოფილების ხმას მიჰყვებიან იმის გამო, რომ სიგიჟის ან სიცერცეტის ზეგავლენით ღიმილს დაენდობიან. სირცხვილი, სინდისის ქენჯნა და სიღარიბე არის სამი ფურია, რომლებსაც ქალები, როგორც კი საზღვარს გადასცდებიან, აუცილებლად ხელში უვარდებიან.

_ ჩემი საწყალი კამილა თავს ვერ იმაგრებს, ისე ეძინება, _ თქვა ვიკონტესამ, რომელმაც ვექილს სიტყვა შეაწყვეტინა, _ წადი, ჩემო გოგონავ, დაიძინე, შენს გულს შემაძრწუნებელი სურათები არ სჭირდება. იგი უამისოდაც სპეტაკი და სათნო დარჩება.

კამილა დე გრანლიე დედას მიუხვდა და გავიდა.

_ თქვენ ძალიან შორს შესტოპეთ, ძვირფასო დერვილ, _ თქვა გრაფის მეუღლემ, _ ვექილები არც დედები არიან, არც მქადაგებლები.

_ მაგრამ გაზეთები ათასჯერ მეტად...

_ საბრალო დერვილ! _ ვექილს სიტყვა ჩამოართვა ვიკონტესამ, _ ვეღარა გცნობთ. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემი ქალიშვილი გაზეთებს კითხულობს? განაგრძეთ, _ დაუმატა მან მცირე დუმილის შემდეგ.

_ სამი თვის შემდეგ გაყიდვის დამტკიცებიდან, რითაც გრაფმა გობსეკს გადასცა...

_ შეგიძლიათ დაასახელოთ გრაფი დე რესტო, რადგან ჩემი ქალიშვილი წავიდა, _ უთხრა ვიკონტესამ.

_ კეთილი, _ განაგრძო ვექილმა, _ დიდი ხანი გავიდა ამ ამბის შემდეგ, და არ მიმიღია უკუქცევითი ხელწერილი, რომელიც ჩემთან უნდა დარჩენილიყო. პარიზში ვექილები ცხოვრების დინებას მიჰყვებიან, რაც მათ ნებას არ აძლევს კლიენტების საქმეებს იმაზე მეტი ყურადღება მიაქციონ, ვიდრე თვით კლიენტები აქცევენ. არის გამონაკლისიც. ერთ დღეს, როცა მევახშე ჩემთან სადილობდა, სუფრიდან რომ ვდგებოდით, ვკითხე, თუ იცით რამე ბატონ დე რესტოს შესახებ, დიდი ხანია არაფერი მსმენია-მეთქი.

_ ამას მნიშვნელოვანი მიზეზები აქვს, _ მიპასუხა მან, _ გრაფი სიკვდილის პირასაა. იგი ერთი იმათთაგანია, რომლებსაც ნაზი სული აქვთ, მაგრამ არ იციან, როგორ ჩაჰკლან მწუხარება და მისი მსხვერპლი ხდებიან. ცხოვრება მძიმე ხელობაა, მუშაობა და დიდი მონდომებაა საჭირო, რომ ამ ხელობას დაეუფლო. თუ ადამიანმა ბევრი რამ გამოსცადა, ცხოვრება გაიცნო, მას ნერვები უმაგრდება, ერთგვარ მოქნილობას იძენს, ამით საშუალება ეძლევა თავისი მგრძნობიარება დაიმორჩილოს. იგი თავის ნერვებს აქცევს ფოლადის ზამბარებად, რომლებიც მხოლოდ იდრიკება და არ ტყდება. ამნაირად მომზადებულმა ადამიანმა, თუ მისი სტომაქი კარგად მუშაობს, ლიბანის კედარივით დიდხანს უნდა იცოცხლოს.

_ ნუთუ გრაფი კვდება? _ ვკითხე მე.

_ შეიძლება მოკვდეს, _ თქვა გობსეკმა, _ მისი მემკვიდრეობა თქვენთვის სარფიანი საქმე იქნება.

ჩემს მოსაუბრეს შევხედე და ვკითხე, რათა იგი კარგად გამეცნო.

_ ერთი ამიხსენით, რატომ მხოლოდ ჩვენ ორმა, მე და გრაფმა, დავიმსახურეთ თქვენი თანაგძნობა?

_ იმიტომ, რომ მხოლოდ თქვენ ორი მომენდეთ ყოველგვარი ცბიერების გარეშე, _ მიპასუხა მან.

თუმცა ეს პასუხი ნებას მაძლევდა მეფიქრა, რომ გობსეკი თავის მდგომარეობას ბოროტად არ გამოიყენებდა, თუნდაც უკუქცევითი ხელწერილი დაკარგულიყო, მე მაინც

გადავწყვიტე გრაფის სანახავად წავსულიყავი. საქმე მაქვს-მეთქი ვუთხარი და ჩვენ ერთად გამოვედით. ჰელდერის ქუჩას მალე მივაწიე. შემიყვანეს სასტუმრო ოთახში, სადაც გრაფის მეუღლე თავის ბავშვებს ეთამაშებოდა. როცა ჩემი მისვლა მოახსენეს, ფიცხლად წამოიჭრა, შემომეგება, უსიტყვოდ დაჯდა და ბუხრის მახლობლად თავისუფალ სავარძელზე მიმითითა. სახეზე ჩამოიფარა შეუვალი ნიღაბი, რომლის ქვეშაც მაღალი საზოგადოების ქალებმა თავიანთი ვნებების დამალვა კარგად იციან. მწუხარებისაგან სახე უკვე გახუნებოდა. მშვენიერების დამადასტურებლად შერჩენოდა მხოლოდ საუცხოო ნაკვთები, რაც ოდესღაც მისი სახის ღირსებას წარმოადგენდა.

_ მეტად სერიოზული საქმე მაქვს, ქალბატონო, ბატონ გრაფთან. უნდა მოველაპარაკო მას...

_ თუკი ამას მოახერხებთ, ჩემზე ბედნიერი იქნებით, _ სიტყვა შემაწყვეტინა გრაფის მეუღლემ, _ ბატონ დე რესტოს არავის ნახვა არ უნდა, თავისი ექიმის ნახვასაც ძლივს იტანს, არავის ზრუნვას, ჩემსასაც კი, არ იღებს. ავადმყოფებმა საოცარი ახირება იციან. ბავშვებივით იქცევიან, არ იციან, რაც უნდათ.

_ შეიძლება, პირუკუ იყოს, როგორც ბავშვებმა, კარგად იციან, რაც უნდათ.

გრაფის მეუღლე გაწითლდა. ვინანე ასეთი, გობსეკისებური პასუხი რომ გავეცი.

_ მაგრამ, _ განვაგრძე, რათა საუბარი შემეცვალა, _ ავადმყოფის მარტო დატოვება რომ არ შეიძლება!

_ თავისი უფროსი ვაჟი ჰყავს გვერდით, _ მითხრა გრაფის მეუღლემ.

კარგად ავხედ-დავხედე გრაფის მეუღლეს, ამჯერად აღარ გაწითლებულა, და მე მომეჩვენა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა არ მოეცა ჩემთვის საშუალება მის საიდუმლოებას ჩავწვდომოდი.

_ ქალბატონო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩემი დაჟინების მიზეზი აბეზარი ცნობისმოყვარეობა როდი გახლავთ, _ განვაგრძე მე, _ საქმე ეხება მეტად მნიშვნელოვან ამბებს.

ტუჩები მოვიკვნიტე, მივხვდი, რომ მცარ გზას დავადექი. მართლაც, გრაფის მეუღლემ მაშინვე გამოიყენა ჩემი წინდაუხედაობა.

_ ჩემი და ჩემი ქმრის ინტერესები განუყოფელია, ბატონო, _ მითხრა, _ ხელს არაფერი გიშლით, რომ მე მომმართოთ...

_ საქმე, რომელმაც აქ მომიყვანა, მხოლოდ ბატონ გრაფს ეხება, _ ვუპასუხე მტკიცედ.

_ ვუბრძანებ, მოახსენონ, რომ მისი ნახვა გწადიათ.

თავაზიანმა კილომ, სახის გამომეტყველებამ, რომელიც ჰქონდა ამ ფრაზის წარმოთქმისას, ვერ მომატყუეს: მივხვდი, რომ იგი არასოდეს თავის ქმართან არ მიმიშვებდა. ერთ ხანს უმნიშვნელო რამეზე ვესაუბრებოდი, რათა გრაფის მეუღლეს დავკვირვებოდი, მაგრამ, როგორც ყველა ქალს, რომლებსაც გეგმა აქვთ შედგენილი, მას შეეძლო გეგმის დაფარვა იშვიათი სრულყოფით, რაც თქვენი სქესის არსებისათვის ვერაგობის უმაღლესი საფეხურია. გავზედავ და ვიტყვი, რომ იგი შიშსა მგვრიდა, ყველაფერს ჩაიდენდა, ბოროტმოქმედებასაც კი. ამ გრძნობას იწვევდა მომავლის განჭვრეტა, რასაც მისი მოძრაობა, გამოხედვა, ქცევა, მისი კილოც კი ამჟღავნებდა. გრაფის მეუღლეს გამოვემშვიდობე და წავედი.

ახლა მოგიყვებით, რით დამთავრდა ეს ამბავი. აგრეთვე გაგაცნობთ სხვადასხვა მდგომარეობას, რაც დროთა მსვლელობაში გავიგე და იმ წვრილმანებს, რასაც გობსეკისა და ჩემმა შორსმჭვრეტელობამ მიგვახვედრა. იმ დღიდან რაც გრაფი დე რესტო სიამოვნების ორომტრიალში გადაეშვა, თითქოს თავისი ქონების გაფლანგვა სურსო, ცოლ-ქმარს შორის დატრიალდა ამბები, რის საიდუმლოც არ გაჟღავნებულა. ამ ამბებმა ნება მისცეს გრაფს თავის ცოლზე კიდევ უფრო უარყოფითი აზრი შეექმნა, ვიდრე მანამდე ჰქონდა. გრაფმა, როგორც კი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა, გამოამჟღავნა სიძულვილი მეუღლისა და უკანასკნელი ორი შვილის მიმართ. მათ აუკრძალა თავის ოთახში შესვლა, როცა სცადეს ამ აკრძალვისთვის გვერდი აევლოთ, ამ ურჩობამ ბატონ დე რესტოს ავადმყოფობა ისე საშინლად გაურთულა, რომ ექიმი გრაფის მეუღლეს შეევედრა, ქმრის ბრძანებები არ დაერღვიათ.

ქალბატონი დე რესტო ხედავდა, როგორ გადადიოდა თანდათან მიწები, ოჯახის საკუთრებანი და თვით სასახლე, სადაც იგი ცხოვრობდა, გობსეკის ხელში. გობსეკი მათი ქონების მიმართ თითქოს კაციჭამია ურჩხული იყო. გრაფის მეუღლე, რასაკვირველია, ქმარს მიუხვდა განზრახვას. ბატონი დე ტრაი, რომელსაც მევალეები ძლიერ ავიწროებდნენ, ინგლისში მოგზაურობდა, მხოლოდ მას შეეძლო გრაფის მეუღლისათვის ეცნობებინა იმ საიდუმლო სიფრთხილის შესახებ, რაც გობსეკმა ბატონ დე რესტოს ჩააგონა ცოლის წინააღმდეგ. ამბობენ, გრაფის მეუღლე დიდხანს არ აძლევდა ქმარს თავის ხელმოწერას, ეს კი, ჩვენი კანონების მიხედვით, აუცილებელია, რათა ქონების გაყიდვა კანონიერად ჩაითვალოს, მაგრამ გრაფმა მაინც გაიტანაო. ქალბატონი დე რესტო ფიქრობდა, რომ ქმარი ქონებას ფულად აქცევდა და ამ ქონებას, ფულის ნიშნების პატარა შეკვრაში მოქცეულს, ალბათ, საიდუმლო სკივრში შეინახავდა ნოტარიუსთან ან ბანკში.

ქალის ვარაუდით, ბატონ დე რესტოს რაიმე საბუთი უნდა ჰქონოდა, რათა თავისი უფროსი შვილისთვის გადადებული ქონების უკან დაბრუნება გაეადვილებინა. ცოლმა გადაწყვიტა ქმრის ოთახზე მოეწყო უმკაცრესი მეთვალყურეობა. დესპოტივით ბატონობდა მთელ სახლში. გარშემო ქალური ჯაშუშობის ქსელი გააბა. მთელი დღეობით იჯდა ქმრის ოთახის გვერდით, სასტუმრო ოთახში, სადაც შეეძლო ყოველი მისი სიტყვა და მოძრაობა გაეგონა. ღამით თავისთვის ლოგინს ამ ოთახში გააშლევინებდა და მეტწილად არ ეძინა. ექიმი მთლიანად მის მხარეზე იყო. ასეთი თავდადება გასაოცარი ჩანდა. ცოლი ვერაგი ადამიანისათვის დამახასიათებელი ეშმაკობით ახერხებდა დაეფარა ზიზღი, რასაც ბატონი დე რესტო მის მიმართ აშკარად ამჟღანვებდა. ქალი მოჩვენებითს მწუხარებას ისე სრულყოფილად გამოხატავდა, რომ ამით სახელიც კი გაითქვა. ზოგიერთი მუზმუზელის აზრით, გრაფის მეუღლემ ამით თავისი ცოდვები გამოისყიდა, მაგრამ ცოლს მუდამ თვალწინ ედგა სიღარიბე, რაც გრაფის სიკვდილის შემდეგ მოელოდა, თუ მოხერხებულობას ვერ გამოიჩენდა. ამგვარად, ამ ქალმა, მკვნესარე ქმრის სარეცელს დაშორებულმა, ავადმყოფს გარშემო ჯადოსნური წრე შემოავლო. ქმრისგან შორსაც იყო და ახლოც, გარისხული და ყოვლისშემძლე; ვითომდა ერთგული მეუღლე, უთვალთვალებდა სიკვდილსა და ქონებას, როგორც მინდვრის მწერი, რომელიც დათხრილ სილაში ჩამალული უცდის განწირულ მსხვერპლს და ყურს უგდებს სილის ცვენას. უმკაცრეს მსაჯულსაც არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ ქალბატონი დე რესტო მეტად მოყვარული და სათნო დედა იყო. ამბობენ, მამის სივკდილი მისთვის კარგი გაკვეთილი იყოო. შვილებს აღმერთებდა. თავის გარყვნილ ცხოვრებას უმალავდა. ბავშვების ასაკმა მას ეს შეაძლებინა, ბავშვებს თავი შეაყვარა. დედამ შვილებს საუკეთესო და უბრწყინვალესი განათლება მიაღებინა. ვაღიარებ, ვერ შევძელ ამ ქალის მიმართ აღტაცებისა და სიბრალულის გრძნობა არ გამომეხატა. ამის გამო გობსეკი კიდეც დამცინოდა. იმ ხანებში გრაფის მეუღლე, რაკი დარწმუნდა, რაოდენ მდაბალი არსება იყო მაქსიმი, ცდილობდა წარსული ცხოვრების შეცდომები სისხლნარევი ცრემლით გამოესყიდა. მე ეს მჯერა. თუმცა საზიზღარი იყო ზომები, რასაც ქალი თავისი ქმრის ქონების კვლავ ხელში ჩასაგდებად მიმართავდა, მაგრამ განა ეს ზომები ნაკარნახევი არ იყო დედობრივი სიყვარულით, განა მას არ სურდა თავისი დანაშაული შვილების მიმართ გამოესწორებინა? მერედა, სხვა ქალებივით, რომელთაც ვნების ქარიშხალი გადაიტანეს, შეიძლება გრაფის მეუღლესაც ჰქონდა მოთხოვნილება ისევ სათნო გამხდარიყო. შეიძლება სათნოების ფასი მაშინ გაიგო, როცა თავისი შეცდომების შედეგი მოიმკო. ყოველთვის, როცა ახალგაზრდა ერნესტი მამის ოთახიდან

გამოდიოდა, დედა ინკვიზიტორულად გამოჰკითხვდა ყველაფერს, რაც გრაფმა გააკეთა და თქვა. ბავშვი ამას დედის ნაზ გრძნობას მიაწერდა და ხალისიანად უსრულებდა დედას სურვილს, ყველა კითხვაზე პასუხობდა. ჩემი მისვლა გრაფის მეუღლისათვის საქმის გარკვევა იყო: მან მოისურვა ჩემში თავისი ქმრის შურისძიების შემსრულებელი დაენახა და გადაწყვიტა მომაკვდავთან არ მივეშვი. ავისმომასწავებელი წინათგრძნობით შეპყრობილს ძლიერ მინდოდა, როგორმე მომეხერხებინა ბატონ დე რესტოს მოვლაპარაკებოდი: უკუქცევითი ხელწერილების ბედი მაწუხებდა. ეს ხელწერილები გრაფის მეუღლეს ხელში რომ ჩავარდნოდა, მათს მნიშვნელობას მიხვდებოდა და ქალსა და გობსეკს შორის დაუსრულებელი დავა ატყდებოდა. მევახშეს კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, რომ ქონებას იგი გრაფის მეუღლეს არასოდეს დაუთმობდა. ამ საბუთების ფორმაში ბევრი რამ იყო დავაქრული. საბუთებში აღნიშნულის შესრულება კი მხოლოდ მე შემეძლო. მინდოდა ამდენი უბედურების არიდება და გრაფის მეუღლესთან მეორედ მივედი.

_ მე შევნიშნე, ქალბატონო, _ ნდობის გამომხატველი კილოთი უთხრა დერვილმა ვიკონტესა დე გრანლიეს, _ რომ არსებობს ზოგიერთი მორალური მოვლენა, რომელსაც მაღალ საზოგადოებაში დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ. ბუნებით დაკვირვების უნარი მაქვს და ქონებრივ საქმეებში, რომლებსაც ვაწარმოებ (ამ საქმეებში კი ვნებათა თამაში ძლიერ აშკარაა), უნებური ანალიზის სული შემაქვს; და აი, ყოველთვის მაოცებდა ის, რომ ორი მოწინააღმდეგე მოულოდნელად ერთმანეთის იდუმალ განზრახვებსა და აზრებს თითქმის მუდამ ხვდებოდა. ზოგჯერ ორი მტერი ამჟღავნებს ერთნაირად ნათელ გონებას, ინტელექტუალური განჭვრეტის ერთნაირ სიძლიერეს, როგორც ორი შეყვარებული, რომლებიც ერთმანეთის გულის პასუხს კითხულობენ. ამიტომ, როცა ჩვენ ორი, მე და გრაფის მეუღლე, მარტო დავრჩით, მაშინვე მივხვდი ჩემდამი მტრული განწყობილების მიზეზს, თუმცა იგი თავის გძნობებს ფარავდა თავაზიანობისა და სანდომიანობის მეტად მიმზიდველ ფორმებში. მე ვიყავი თავსმოხვეული, ნდობით აღჭურვილი პირი, და შეუძლებელია ქალს არ სძულდეს კაცი, რომლის წინაშე იძულებულია გაწითლდეს. ქალი მიხვდა, რომ მე ვიყავი ის კაცი, რომელსაც მისი ქმარი ენდო და რომ ჩემთვის მას ჯერ კიდევ ქონება არ ჰქონდა გადმოცემული. ჩვენი საუბარი, რითაც თავს არ შეგაწყენთ, დარჩა ჩემს მეხსიერებაში, როგორც ერთი უსაშინლესი ბრძოლათაგანი, მათ შორის, რაც კი გამომივლია. გრაფის მეუღლე ბუნებით დაჯილდოებული იყო ისეთი თვისებებით, რომ კაცი მის ცთუნებას ვერ გაუმკლავდებოდა. ხან მოქნილი იყო, ხან ზვიადი, ხან ალერსიანი,

ხან მიმნდობელი. ქალი იმასაც კი შეეცადა, რომ ჩემთვის ცნობისმოყვარეობა აღენთო, ჩემს გულში სიყვარული გამოეწვია, რათა დავმორჩილებოდი, მაგრამ დამარცხდა.

როცა გამოვეთხოვე, მის თვალებში ისეთი სიძულვილი და გაბოროტება ამოვიკითხე, რომ ავთრთოლდი. ჩვენ ერთმანეთს მტრებად დავშორდით. მას სურდა ჩემი განადგურება, მე კი მისდამი სიბრალულს ვგრძნობდი, რაც ზოგიერთი ადამიანისათვის უსასტიკესი შეურაცხყოფაა. ეს სიბრალული წამოსვლის წინ გამოუთქმელ მოსაზრებაში გამოვამჟღავნე. განვუცხადე, როგორადაც არ უნდა იმოქმედოთ, გაკოტრებას მაინც ვერ აცდებით-მეთქი. ამით გულში ქალს ღრმა შიში ჩავუნერგე.

_ გრაფის ნახვა რომ მომეხერხებინა, თქვენი ბავშვების ქონება მაინც...

_ მაშინ მხოლოდ თქვენზე ვიქნებოდი დამოკიდებული. _ შემაწყვეტინა სიტყვა ზიზღით.

როცა ჩვენს შორის საკითხი ასე გულახდილად დაისვა, გადავწყვიტე, ეს ოჯახი მოსალოდნელი სიღარიბისაგან გადამერჩინა. მიზნის მისაღწევად არ ვერიდებოდი იურიდიულად არასწორ მოქმედებასაც კი, თუ ეს აუცილებელი იქნებოდა. აი, როგორი იყო ჩემი წინასწარი ღონისძიებანი: სასამართლოში აღვძარი საქმე გრაფ დე რესტოს წინააღმდეგ მის მიერ გობსეკისაგან ფიქტიურად ნასესხები ერთი თანხის გამო და გამოვატანინე განაჩენი.

გრაფის მეუღლემ ეს პროცესი დაფარა ძალაუნებურად, მაგრამ ამით ქონებაზე ყადაღის დადების უფლება მოვიპოვე. მაშინ მოვისყიდე სახლის ერთ-ერთი მსახური, რომელმაც აღმითქვა, როგორც კი გრაფის სიკვდილის პირას იქნებოდა, ჩემთვის ეცნობებინა, თუგინდ შუაღამეც ყოფილიყო, რათა საქმეში დაუყოვნებლივ ჩარევა შემძლებოდა, გრაფის მეუღლე ქონებაზე ყადაღის დადებით შემეშინებინა და, ამრიგად, უკუქცევითი ხელწერილი გადამერჩინა. უფრო მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ქალი, როცა მომაკვდავი ქმრის კვნესას უსმენდა, ამავე დროს კანონთა კრებულს სწავლობდა. სიკვდილის სარეცელს გარშემორტყმულ ადამიანთა ზრახვების რა საშინელი სურათი გადაგვეშლებოდა, მათი ფიქრების წაკითხვა რომ შეგვძლებოდა? მოსაწყობი ინტრიგების, შედგენილი გეგმებისა და განზრახული მზაკვრობის მამოძრავებელი ძალა ყოველთვის სიმდიდრეა. ახლა გვერდი ავუაროთ ადამიანთა ბუნების საკმაოდ მოსაწყენ წვრილმანებს, თუმცა ამ წვრილმანებმა შემაძლებინა თქვენთვის ცოლ-ქმრის ტანჯვა გადმომეცა. ეს წვრილმანები სხვა მსგავს ოჯახთა საიდუმლოებასაც ხდის ფარდას. ორი თვის განმავლობაში ბედს შერიგებული გრაფი დე რესტო მარტო იწვა თავის ოთახში.

განუკურნავმა სენმა დაუსუსტა სული და სხეული. ავადმყოფური ახირების მსხვერპლი გახდა, რაც აუხსნელ საოცრებად გვეჩვენება. სნეული ნებას არ იძლეოდა, მისი ოთახი დაელაგებინათ, ყოველგვარ მოვლაზე უარს ამბობდა, ლოგინსაც კი არ ასწორებინებდა. ასეთი უკიდურესი უხალისობა გარშემო ყველაფერს დაეტყო. ოთახში ავეჯი უწესრიგოდ იდგა, უსათუთესი ნივთები მტვერსა და ობობას ქსელს დაეფარა. ოდესღაც მდიდარსა და ნატიფი გემოვნების ადამიანს სიამოვნებას ჰგვრიდა ეს მოსაწყენი სანახაობა, ოთახი, სადაც ბუხარზე, საწერ მაგიდაზე, სკამებზე, ავადმყოფისთვის საჭირო ნივთები ეყარა. ცარიელი და სავსე შუშები, თითქმის ყველა დასერილი, მიმოფანტული თეთრეული, გატეხილი თეფშები, ბუხრის წინ სათბურა, მინერალური წყლით სავსე აბაზანა, ამ საზიზღარი ქაოსის ყოველი წვრილმანი ნგრევის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სიკვდილი, სანამ ადამიანს დაეუფლებოდა, ნივთებს დაპატრონებოდა. გრაფს სინათლისა ეშინოდა, ფანჯრების დარაბები მიხურული იყო, და ამ მოსაწყენი ადგილის პირქუშ სანახაობას სიბნელე კიდევ უფრო ამძიმებდა. ავადმყოფი ძლიერ გახდა, თვალები, რომლებსაც სიცოცხლე კიდევ შერჩენოდა, უბრწყინავდა. მისი გაფითრებული სახის სითეთრეს რაღაც საშინელი იერი გადაჰკრავდა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა საოცრად მოშვებული გრძელი თმა. ავადმყოფი გაკრეჭის ნებას არ იძლეოდა. თმა გრძელ, ბრტყელ ბღუჯებად ლოყებზე ჩამოშლოდა. გრაფი ფანატიკოს მეუდაბნოეს ჰგავდა. მწუხარებას ამ ადამიანში, რომელიც ორმოცდაათი წლისა ძლივს იქნებოდა და რომელსაც მთელი პარიზი იცნობდა, ასეთ ბრწყინვალეს და ასეთ ბედნიერს, ყველა ადამიანური გრძნობა ჩაექრო.

1824 წლის დეკემბრის თვის დამდეგს, ერთ დილას, გრაფმა თავის შვილს ერნესტს შეხედა. იგი მამას ლოგინთან უჯდა და სევდიანად შესცქეროდა.

_ გტკივათ, მამა? _ ჰკითხა მამას ახალგაზრდა გრაფმა.

_ არა! _ უპასუხა ავადმყოფმა საშინელი ღიმილით, _ ყველაფერი აქ არის _ გულის გარშემო! _ ჯერ თავი უჩვენა და მერე დამჭკნარი ხელები ჩავარდნილ მკერდზე ისე დაიკრიფა, რომ ერნესტი აატირა.

_ რატომ ვერ ვხედავ ბატონ დერვილს? _ ჰკითხა გრაფმა მსახურს, რომელსაც თავის ერთგულ კაცად სთვლიდა, ის კი სავსებით გრაფის მეუღლის მხარეზე იყო. _ როგორ, მორის! _ წამოიძახა მომაკვდავმა და ლოგინზე წამოჯდა; ეტყობოდა, გონება სრულიად გაუნათლდა. _ თხუთმეტი დღის განმავლობაში შვიდჯერ თუ რვაჯერ გაგგზავნეთ ჩემს ვექილთან და იგი ჯერაც არ მოსულა? ნუთუ ფიქრობთ, რომ ჩემთან ხუმრობა შეიძლება?

წადით, ახლავე მონახეთ და მომიყვანეთ. თუ ბრძანებას არ შემისრულებთ, ავდგები და მე თვითონ წავალ...

_ ქალბატონო, _ უთხრა ოთახიდან გამოსულმა მსახურმა გრაფის მეუღლეს, _ ხომ გაიგონეთ ბატონი გრაფის ბრძანება, როგორ მოვიქცე?

_ თავი მოაჩვენეთ, თითქოს ვექილთან იყავით და უკანვე დაბრუნდით. გრაფს უთხარით, რომ მისი რწმუნებული მნიშვნელოვანი საქმის გამო პარიზიდან გაემგზავრა, ორმოცი ლიეს მანძილზე იმყოფება. უთხარით, რომ მას ერთ კვირაში მოელიან.

«ავადმყოფები ყოველთვის სცდებიან, არ იციან, თუ რა მდგომარეობაში არიან. იგი დაუცდის ამ კაცის დაბრუნებას», _ გაიფიქრა გრაფის მეუღლემ.

წინა დღით ექიმმა განაცხადა, სეჭვოა, რომ გრაფმა ხვალამდე იცოცხლოსო. როცა ორი საათის შემდეგ მსხურმა თავის ბატონს უიმედო პასუხი მოუტანა, მომაკვდავი ძლიერ აღელდა.

_ ღმერთო ჩემო! _ რამდენჯერმე გაიმეორა, _ მე მხოლოდ თქვენ გენდობით.

თავის შვილს დიდხანს უცქირა და ბოლოს უთხრა მისუსტებული ხმით:

_ ერნესტ, ჩემო შვილო, ძალიან ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენ კეთილი გული გაქვს და, რასაკვირველია, გესმის მომაკვდავი მამისათვის მიცემული აღთქმის სიწმინდე. როგორ გრძნობ, გაქვს შენ უნარი საიდუმლო შეინახო და ისე დაფარო, რომ დედაშენმაც კი არ აიღოს ეჭვი? დღეს, ჩემო შვილო, ამ სახლში დარჩი მხოლოდ შენ, ვისაც შემიძლია ვენდო. ჩემს ნდობას არ უმტყუნებ?

_ არა, მამაჩემო.

_ კარგი. მე მჯერა შენი, ერნესტ. ამ ცოტა ხანში გადმოგცემ დაბეჭდილ პაკეტს, რომელიც ბატონ დერვილს ეკუთვნის, მას ისე შეინახავ, არავინ გაიგოს, რომ იგი შენა გაქვს. სახლიდან გაიპარე და პაკეტი ჩვენი ქუჩის ბოლოში რომ ყუთია, იმაში ჩააგდე.

_ ოჰ, მამაჩემო.

_ შემიძლია შენი იმედი ვიქონიო?

_ დიახ, მამაჩემო.

_ მოდი, მაკოცე. სიკვდილის სიმწარეს მინელებ, ჩემო ძვირფასო ბიჭიკო. ექვსი თუ შვიდი წლის შემდეგ გაიგებ ამ საიდუმლოს მნიშვნელობას და მაშინ კარგად დაჯილდოებული იქნები შენი მოხერხებულობისა და ერთგულებისათვის. მაშინ გაიგებ, თუ როგორ მიყვარხარ. ერთ წუთს დამტოვე და ნურავის შემოუშვებ ჩემთან.

ერნესტი გავიდა და დაინახა დედა, რომელიც ფეხზე იდგა სასტუმრო ოთახში.

_ ერნესტ, _ უთხრა შვილს, _ აქ მოდი.

დედა დაჯდა. ბავშვი მუხლებზე დაისვა და გულში მაგრად ჩაიკრა, აკოცა.

_ ერნესტ, ახლა მამაშენი გელაპარაკა?

_ დიახ, დედა.

_ რა გითხრა?

_ მისი გამეორება არ შემიძლია, დედაჩემო.

_ ოჰ, ჩემო ძვირფასო ბავშვო, _ წამოიძახა გრაფის მეუღლემ და შვილი აღტაცებით ჩაკოცნა, _ რამდენ სიამოვნებას მანიჭებს შენი თავდაჭერილობა, არასოდეს ტყუილი არა თქვა და შენი სიტყვის ერთგული დარჩი. ეს არის ორი წესი, რაც არ უნდა დაივიწყოთ.

_ ოჰ, რა მშვენიერი ხარ, დედაჩემო! დარწმუნებული ვარ, შენ არასოდეს ტყუილი არ გითქვამს.

_ ზოგჯერ, ჩემო ძვირფასო ერნესტ, მითქვამს ტყუილი: იმ მდგომარეობაში, რომლის წინაშე კანონიც კი უკან იხევს. მომისმინე, ჩემო ერნესტ, შენ საკმაოდ დიდი და ჭკვიანი ხარ: შენიშნავდი, რომ მამაშენი ახლოს არ მიკარებს, არ უნდა რომ მისთვის ვზრუნავდე. ეს არაბუნებრივია, შენ ხომ იცი, როგორ მიყვარს იგი.

_ დიახ, დედაჩემო.

_ ჩემო საბრალო ბავშვო, _ თქვა გრაფის მეუღლემ ტირილით, _ ეს უბედურება გამოიწვია დაუნდობელმა ჭორებმა, ბოროტმა ადამიანებმა მოისურვეს მამაშენთან ჩემი დაშორება, რათა თავიანთი სიხარბე დაეკმაყოფილებინათ. მათ სურთ ქონება წაგვართვან, მიითვისონ. მამაშენი რომ ჯანმრთელად იყოს, ჩვენს დაშორებას ბოლო მალე მოეღებოდა, იგი დამიჯერებდა. კეთილი და მოსიყვარულე ადამიანია, თავის შეცდომას მიხვდებოდა. მაგრამ გონებამ უმტყუნა, და წინაზრახვა ჩემს მიმართ აკვიატებულ აზრად, ერთგვარ სიგიჟედ გადაექცა. ეს ავადმყოფობის შედეგია. ის უპირატესობაც, რასაც მამაშენი განიჭებს, ახალი დადასტურებაა იმისა, რომ აზროვნების უნარი შეერყა. შენ ხომ არასოდეს შეგინიშნავს ავად გახდომამდე, რომ პოლინა და ჟორჟი მას შენზე ნაკლებ ჰყვარებოდეს. ყველაფერში ახირებულია. სინაზეს, რასაც შენს მიმართ იჩენს, შეეძლო მისთვის ჩაეგონებინა დავალება მოეცა შენთვის. თუ არ გინდა შენი ოჯახის განადგურება, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, თუ არ გინდა ერთ დღეს ნახო, რომ დედაშენი მათხოვარივით პურს ითხოვდეს, მე ყველაფერი უნდა მითხრა.

_ ოჰ! ოჰ! _ წამოიძახა გრაფმა, რომელმაც კარი გააღო და უეცრად გამოჩნდა თითქმის სრულიად შიშველი, ჩონჩხად ქცეული კაცი.

ამ ყრუ წამოძახილმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა გრაფის მეუღლეზე. ერთ ადგილას გაქვავდა, როგორც დამბლადაცემული. ქმარი ისე სუსტი და ფერდაკარგული იყო, რომ საფლავიდან ამოსულს ჰგავდა.

_ ცხოვრება მწუხარებით ამივსეთ, გინდათ სიკვდილის წუთებიც მომიწამლოთ, ჩემს შვილსაც გონება გაუხრწნათ, ბიწიერი გახადოთ! _ ყვიროდა გრაფი ხრინწიანი ხმით.

გრაფის მეუღლე მომაკვდავის ფერხთით დაეცა და ცრემლად დაიღვარა. ცხოვრების უკანასკნელი მღელვარება ავადმყოფს საშინელს ხდიდა.

_ მაპატიე! მაპატიე! _ წამოიძახა ცოლმა.

_ თქვენ კი შემიბრალეთ? _ ჰკითხა გრაფმა. _ ნება მოგეცით საკუთარი ქონება გაგეფლანგათ, ახლა გინდათ ჩემი ქონებაც გაფლანგოთ, შვილი გამიკოტროთ!

_ კარგი, ნუ შემიბრალებთ, იყავით ულმობელი, _ თქვა ქალმა, _ მაგრამ ბავშვები! თქვენს ქვრივს მონასტერში ცხოვრება მომისაჯეთ. დაგემორჩილებით. გავაკეთებ ყველაფერს, რის ბრძანებასაც კი ინებებთ, ოღონდ ჩემი ცოდვები გამოვისყიდო... ბავშვები მაინც იყვნენ ბედნიერნი! ოჰ! ბავშვები! ბავშვები!

_ მე მხოლოდ ერთი ბავშვი მყავს, _ უპასუხა გრაფმა სასოწარკვეთილებით და გაძვალტყავებული ხელი შვილს გაუწოდა.

_ მომიტევეთ! ვინანიებ! ვინანიებ! _ ყვიროდა გრაფის მეუღლე და მომაკვდავი ქმრის ნესტიან ფეხებს ეხვეოდა.

ქვითინი ლაპარაკს უშლიდა, ცეცხლმოდებული ხორხიდან გაურკვეველ, არეულ სიტყვებს ისროდა.

_ თქვენ ამბობთ, ვინანიებო! იმის შემდეგ, რაც თქვენ ახლა ერნესტს უთხარით, მონანიებაზე ლაპარაკს ბედავთ? _ თქვა მომაკვდავმა და მეუღლეს წიხლი ჰკრა. ქალბატონი წაიქცა.

_ თქვენი შეხება მზარავს, ჟრუანტელს მგვრის! _ დაუმატა გრაფმა რაღაც საშინელი გულგრილობით. _ თქვენ ცუდი შვილი იყავით, ცუდი ცოლი იყავით და დედაც ცუდი იქნებით.

უბედურ ქალს გული წაუვიდა. მომაკვდავი თავის ლოგინს დაუბრუნდა, დაწვა და რამდენიმე საათის შემდეგ გრძნობა დაკარგა. მის საზიარებლად მღვდლები მოვიდნენ. შუაღამე იყო, როცა გრაფმა სული განუტევა. დილამდელმა მღელვარებამ უკანასკნელი ძალ-ღონე დაუკარგა.

მე და გობსეკი შუაღამისას მივედით. იქ გამეფებული არეულობის გამო, ჩვენ მიცვალებულის ოთახის წინ მოთავსებულ პატარა სასტუმრო ოთახამდე მივაღწიეთ. იქ ორი მღვდელი დაგვხვდა, რომლებსაც მიცვალებულისთვის ღამე უნდა ეთიათ, და სამი ატირებული ბავშვი. ერნესტი ჩემთან მოვიდა.

_ დედაჩემს სურს გრაფის ოთახში მარტო იყოს. ნუ შედიხართ, _ გვითხრა მან საოცარი კილოთი და გამომეტყველებით, _ იქ დედა ლოცულობს.

გობსეკს გაეცინა თავისებური უხმო სიცილით. ერნესტის ახალგაზრდა სახეზე აღბეჭდილმა გრძნობამ მეტად ამაღელვა, ამიტომ ძუნწის ირონია არ გავინაწილე. როცა ბავშვმა დაინახა, რომ კარისაკენ მივდიოდით, ზედ მიეკრა და დაიძაა:

_ დედა, ორი საძაგელი კაცია, შენ გეძებენ.

გობსეკმა ბავშვი ბუმბულივით აიტაცა და კარი გააღო. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ! ოთახში საშინლად არეულ-დარეული იყო ყველაფერი. გრაფის მეუღლეს სასოწარკვეთილებისაგან თმა გასწეწოდა, თვალები ანთებოდა. იდგა გაბნეულ ქაღალდებსა, მიმოფანტულ ჩვრებსა და ხარახურას შორის. თავზარდამცემი სანახავი იყო ეს არეულობა მიცვალებულის გვერდით. როგორც კი გრაფი გარდაცვლილიყო, ცოლს ყველა ყუთი, საწერი მაგიდა გაეტეხა. გარშემო ნოხი ნამსხვრევებით მოეფინა, რამდენიმე ნივთი და პორთფელი ნაკუწ-ნაკუწად ექცია. ყველაფერს გრაფის მეუღლის უტიფარი ხელი ეტყობოდა. თუ თავდაპირველად მას ძებნამ ამაოდ ჩაუარა, ახლა მისი ქცევა და მღელვარება მაფიქრებინებდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, საიდუმლო ქაღალდებს მიაგნო. ლოგინს შევხედე და მრავალი საქმის წარმოებით შეძენილი ალღოთი მივხვდი, რაც მომხდარიყო. გრაფის ცხედარი კედელსა და ლოგინს შორის ყო გაჩხერილი, თითქმის გარდიგარდმო, ლეიბში ცხვირჩარგული, დაუდევრად დაგდებული, თითქოს ერთი იმ ქაღალდის კონვერტთაგანი ყოფილიყოს, რომლებიც იატაკზე ეყარა; სხეულის გაშეშებული, მოუდრეკელი ნაწილები მას რაღაც არაჩვეულებრივად საზარელ სანახავს ხდიდა. მომაკვდავს უკუქცევითი ხელწერილი ბალიშქვეშ ჰქონდა დამალული, თითქოს იმისთვის, რომ სიკვდილამდე დაეცვა ყოველი ხელყოფისაგან. გრაფის მეუღლემ გამოიცნო ქმრის ფიქრი, რაც, სხვათა შორის, თითქოს მომაკვდავის უკანასკნელ მოძრაობას, დაკრუნჩხულ თითებს გამოეხატა. ბალიში ლოგინიდან ძირს იყო გადმოგდებული, გრაფის მეუღლის ფეხის კვალი მას ჯერ კიდევ ეტყობოდა. მის ფეხთან დავინახე ქაღალდი, რომელსაც რამდენიმე ადგილას გრაფის ღერბიანი ბეჭედი ჰქონდა დასმული. ქაღალდი სწრაფად ავიღე და წავიკითხე წერწერა, რომელიც იძლეოდა მითითებას _ ქაღალდში

მოთავსებული ჩემთვის გადმოეცათ. გრაფის მეუღლეს თვალი მივაპყარ დამნაშავის დამკითხავი მოსამართლის გამჭვალავი სისასტიკით. ბუხრის ცეცხლი ქაღალდებს ნთქავდა _ ჩვენი ფეხის ხმა რომ გაიგონა, გრაფის მეუღლემ ეს ქაღალდები ცეცხლში ჩაყარა. ჩემს მიერ ბავშვების სასარგებლოდ საბუთში შეტანილი პირველი მუხლები რომ წაიკითხა, ქალს ეგონა სპობდა ანდერძს, რომელიც მის ბავშვებს ქონებას ართმევდა. სინდისის ქენჯნამ და ჩადენილი დანაშაულით გამოწვეულმა უნებურმა შიშმა მას აზროვნების უნარი წაართვა. ხედავდა, რომ ჩვენ ის დავიჭირეთ, და შეიძლება თვალწინ ედგა ეშაფოტი, ის ჯალათის გავარვარებულ რკინას გრძნობდა. ქალი ჩვენს პირველ სიტყვებს ელოდა, სული ეხუთებოდა და თვალარეული გვიცქერდა.

ბუხრიდან გამოვიტაცე ფარატინი ქაღალდი, რომელსაც ცეცხლი ჯერ არ მოსდებოდა და ვუთხარი:

_ ოჰ, ქალბატონო, თქვენი შვილები გააკოტრეთ, ეს ქაღალდები მათი ქონების საბუთებია.

ტუჩები ისე დაემანჭა, თითქოს ის-ის იყო დამბლა უნდა დასცემოდა.

_ ხო! ხო! _ წამოიძახა გობსეკმა და მისმა წამოძახილმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მარმარილოს დაფაზე სპილენძის შანდალი გაეჩოჩებინოთ.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ მოხუცმა მშვიდი ხმით მითხრა:

_ ნუთუ თქვენ გინდათ გრაფის მეუღლეს აფიქრებინოთ, რომ მე არა ვარ კანონიერი მფლობელი ქონებისა, რომელიც გრაფმა მომყიდა? ამ წუთიდან ეს ქონება მე მეკუთვნის.

უეცრად კეტი თავზე რომ დაერტყათ, ეს უფრო ნაკლებ ტკივილსა და გაკვირვებას მომგვრიდა.

გრაფის მეუღლემ შენიშნა, რომ მე მევახშეს გაუბედავად შევხედე.

_ ბატონო, ბატონო! _ უთხრა ქალმა, სხვა სიტყვა ვერ გამონახა.

_ თქვენ ხომ ფიქტიური გარიგების საბუთი გაქვთ? _ ვკითხე მე.

_ შესაძლებელია, _ მიპასუხა მევახშემ.

_ თქვენ ბოროტად გამოიყენებთ გრაფის მეუღლის მიერ ჩადენილ დანაშაულს?

_ სწორედ.

მე წავედი. გრაფის მეუღლე დავტოვე ქმრის ლოგინთან, ცხარე ცრემლით მტირალი. გობსეკი გამომყვა. ქუჩაში რომ გავედით, მევახშეს დავშორდი, მაგრამ იგი მომიახლოვდა, გულის გამგმირავად შემხედა და მითხრა თავისი ტკბილი ხმით, რომელიც ამჟამად უფრო მკვახედ ჟღერდა.

_ შენ გინდა ჩემი საქციელი განსაჯო?

მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით. გობსეკმა გრაფის სასახლე გააქირავა. ზაფხულს მამულში ატარებდა, ბატონობას იფერებდა, ფერმებს აშენებდა, წისქვილებისა და გზების შეკეთება დაიწყო, ხეებს რგავდა. ერთხელ მას ტიულრის ხეივანში შევხვდი.

_ გრაფის მეუღლე გმირულ ცხოვრებას ეწევა, _ ვუთხარი, _ თავი ბავშვების აღზრდას შესწირა და ისინი მშვენივრად აღზარდა, უფროსი საუცხოო ახალგაზრდაა...

_ შესაძლებელია.

_ მერედა, _ განვაგრძე, _ განა ვალდებული არა ხართ ერნესტს დაეხმაროთ?

_ ერნესტს დავეხმარო? _ წამოიძახა გობსეკმა, _ არა, არა! უბედურება ჩვენი ყველაზე უფრო დიდი მასწავლებელია, უბედურება მას ასწავლის ფულის, კაცების და ქალების ფასს, დაე, იცურაოს პარიზის ზღვაში. როდესაც კარგი მესაჭე გახდება, მას გემს მივცემთ.

ერთმანეთს გავშორდით. მისი სიტყვების აზრის გაგება არ მომისურვებია. თუმცა ბატონი დე რესტო, რომელსაც ჩემს მიმართ დედამისმა სიძულვილი ჩაუნერგა, სრულიად არ ფიქრობდა, რომ ჩემგან რჩევა მიეღო. წასულ კვირას მაინც წავედი გობსეკთან, მინდოდა მისთვის მეცნობებინა ერნესტის სიყვარული კამილასადმი და დამეჩქარებინა, რათა მას მოვალეობა შეესრულებინა, რადგან ახალგაზრდა გრაფი სრულწლოვანი ხდებოდა. მოხუცი მევახშე დიდი ხანია ლოგინად იყო ჩავარდნილი, სენი შეეყარა, რომელსაც იგი საიქიოს უნდა გაესტუმრებინა. პასუხის გაცემა გადასდო იმ დროისათვის, როცა ადგომას შეძლებდა და საქმეებს შეუდგებოდა. უეჭველი იყო, მას არ სურდა, ხელიდან რაიმე გაეშვა, სანამ პირში სული ედგა. მის მიკიბულ-მოკიბულ პასუხს საფუძველი არ ჰქონდა. შევატყვე, რომ იგი უფრო მძიმე ავადმყოფი იყო, ვიდრე თვითონ ფიქრობდა, ამიტომ მასთან საკმაოდ დიდხანს დავრჩი იმის გასაგებად, თუ როგორ განუვითარდა ვნება, რომელიც ასაკმა ერთგვარ სიგიჟედ გადაუქცია. სახლი, სადაც ცხოვრობდა, მთლიანად დაექირავებინა და ყველა ოთახი თავისუფალი დაეტოვებინა, რათა მეზობლად არავინ ჰყოლოდა. იმ ოთახში, სადაც ბინადრობდა, არაფერი შეცვლილიყო. სრულიად არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა ავეჯს, რომელსაც კარგად ვიცნობდი თექვსმეტი წლის განმავლობაში, თითქოს იგი შუშის ქვეშ ყოფილიყოს შენახული. გობსეკს ჰყავდა ისევ ძველი ერთგული მეკარე ქალი, რომელიც ინვალიდს მისთხოვებოდა. როცა ცოლი გობსეკთან ავიდოდა, ქმარი შესასვლელ კარს დარაჯობდა. ეს მეკარე ქალი იყო მისი მეოჯახე, ნდობით აღჭურვილი პირი, მომხსენებელი, თუ ვინმე მის სანახავად მივიდოდა, იგი მომვლელი ქალის

მოვალეობასაც ასრულებდა. მიუხედავად სისუსტისა, გობსეკი ჯერ კიდევ თვითონ იღებდა თავის კლიენტებს, თავის პროცენტებს. ისე გაემარტივებინა საქმეები, რომ გარეთ საქმის მოსაგვარებლად ინვალიდს იყენებდა.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა ჰაიტის რესპუბლიკა იცნო, გობსეკი სალიკვიდაციო კომისიის წევრად დაინიშნა, როგორც მცოდნე სან-დომინგოს ძველ ქონებათა მდგომარეობისა, კოლონისტებისა ან მათი მემკვიდრეებისა, რომლებსაც ანაზღაურება ერგებოდათ. ამ კომისიას ევალებოდა მათი პრეტენზიების დაკმაყოფილება და იმ ვალის ანგარიშში შესატან თანხათა განაწილება, რომელიც ჰაიტის ემართა. გობსეკს თავისმა გამჭრიახობამ მოაწყობინა სააგენტო კოლონისტებისა ან მათი მემკვიდრეების მიერ მისაღები თანხების გასანაღდებლად. ეს სააგენტო მოქმედებდა ვერბრუსტისა და ჟიგონეს ფირმით, გობსეკი მათთან ერთად იყოფდა მოგებას. მას ფულის დახარჯვა არ სჭირდებოდა, რადგან საქმის ცოდნა სწევდა შესატანი თანხის მაგივრობას. ეს სააგენტო იყო თითქოს საწური, სადაც ტარდებოდა პრეტენზიები საქმეში ჩაუხედავთა, უნდობელთა, ან მათი, რომელთა უფლება შეიძლებოდა სადაო გამხდარიყო. როგორც ლიკვიდატორმა, გობსეკმა იცოდა, როგორ ეწარმოებინა მოლაპარაკება მსხვილ მესაკუთრეებთან, რომლებიც მას ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე, რათა თავიანთ უფლებათა ფასი აეწიათ, ან ამ უფლებათა აღიარება დაეჩქარებინათ. ეს ძღვენი მათი ქონების სიდიდეს შეეფარდებოდა. ამგვარად, ეს საჩუქრები წარმოადგენდა ერთგვარ საგანაღდებო პროცენტს იმ თანხებზე, რომელთა ხელში ჩაგდება მას არ შეეძლო. ამას გარდა, სააგენტო უთმობდა გობსეკს ძალიან დაბალ ფასებში იმ პირთა წვრილ ან სადაო საკუთრებას, რომელთაც ერჩივნათ ახლავე მიეღოთ თანხა, რაგინდ მცირეც უნდა ყოფილიყო იგი, ვიდრე რესპუბლიკისაგან მისაღები საეჭვო თანხისთვის ეცადათ. გობსეკი ამ დიდი საქმის გაუმაძღარი მახრჩობელა გველი იყო. იგი ყოველდღე იღებდა ხარკს და ათვალიერებდა მას, როგორც ნაბობის მინისტრი, რომელიც ფიქრობს, ხელი მოაწეროს თუ არა ვინმეს შეწყალების აქტს. გობსეკი ყველაფერს იღებდა ძღვნად, დაწყებული ღარიბის ერთი კალათა თევზით და გათავებული ხელმომჭირნე ადამიანთა დასტა სანთლებით. მდიდართა ჭურჭლიდან დაწყებული სპეკულანტების ოქროს სათუთუნემდე. არავინ იცოდა, რას უშვრებოდა ძველი მევახშე ამ საჩუქრებს, მასთან ყველაფერი შეჰქოდნათ, მისგან კი აღარაფერი გამოდიოდა.

_ ვფიცავ, როგორც პატიოსანი ადამიანი, _ მეტყოდა ხოლმე ჩემი ძველი ნაცნობი მეკარე ქალი, _ დარწმუნებული ვარ, რომ გობსეკი ყველაფერს ყლაპავს, მაგრამ ეს მას არაფერს რგებს. იგი ჩემი კედლის საათის ჩიტივით გამხდარი და გამოფიტულია.

ბოლოს, გასულ ორშაბათს, გობსეკმა გამომიგზავნა ინვალიდი, რომელმაც ჩემს კაბინეტში შემოსვლისთანავე მითხრა:

_ ჩქარა წამობრძანდით, ბატონო დერვილ, ჩემი პატრონი სიცოცხლესთან უკანასკნელ ანგარიშს ასწორებს, ლიმონივით გაყვითლდა, მოუთმენლად გელით მოსალაპარაკებლად, სიკვდილი დაეპატრონა და მის ყელში უკანასკნელი ხიხინი ისმის.

როცა მომაკვდავის ოთახში შევედი, იგი ბუხრის წინ დამხვდა დაჩოქილი. ბუხარში თუმცა ცეცხლი არ ენთო, მაგრამ შიგ ფერფლის დიდი გროვა იყო. გობსეკი საწოლიდან ბუხრამდე ფორთხვით მისულიყო, მაგრამ ლოგინს ვეღარ დაბრუნებოდა. მისთვის ძალას ემტყუნა, ხმაც აღარ ემორჩილებოდა, რათა ვინმესთვის დაეძახა დასახმარებლად.

_ ჩემო ძველო მეგობარო, _ ვუთხარი მას, წამოვაყენე და ლოგინში ჩავაწვინე, _ შეგცივნიათ. რატომ ცეცხლს არ დაანთებინებთ?

_ არა, არ მცივა, _ მითხრა მოხუცმა, _ არ მინდა ცეცხლი, არ მინდა! მივდივარ, არ ვიცი კი სად, ყმაწვილო, _ თქვა და უკანასკნელად შემომხედა თავისი ჩამქრალი, სითბოს მოკლებული თვალებით, _ მაგრამ აქედან კი მივდივარ. მე კარფოლოგია დამეწყო, _ გამოიყენა სამედიცინო ტერმინი, რაც იმას მოწმობდა, რომ მისი გონება ჯერ კიდევ ნათელი და გამჭრიახი იყო, _ მე მომეჩვენა, რომ ჩემი ოთახი ცოცხალი ოქროთი აივსო და მათ შესაგროვებლად ავდექი, ვის დარჩება მთელი ჩემი ქონება? მთავრობას არ დავუტოვებ, შევადგინე ანდერძი, მონახე იგი, გროციუს. მშვენიერ ჰოლანდიელ ქალს დარჩა ასული. იგი ერთ საღამოს ვივიენის ქუჩაზე შემხვდა, მგონი, ზედმეტ სახელად სკაროსი შეარქვეს. იგი სიყვარულის ღმერთივით ლამაზია. შენა ხარ ჩემი ანდერძის აღმსრულებელი, წაიღე, რაც გინდა, ჭამე; აქ არის ღვიძლის პაშტეტი, ყავით და შაქრით სავსე ტომრები, ოქროს კოვზები. ოდიოს ნაკეთები ჭურჭელი შენს ცოლს მიართვი. მაგრამ ბრილიანტები _ ვის? ბურნუთს ეწევი, ყმაწვილო? მაქვს თამბაქოები, გაჰყიდე ჰამბურგში, მეტ ფასში გაიყიდება. ყველაფერი მაქვს და ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო! წავიდეთ, ძია გობსეკ, _ უთხრა თავის თავს, _ სისუსტე არ გამოიჩინო, იგივე დარჩი, რაცა ხარ.

გაიჭიმა თავის სარეცელზე. მისი სახე ბალიშზე ისე მკაფიოდ გამოიხატა, თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ყოფილიყოს. დამჭკნარი ხელი საბანზე გამართა და ძვალტყავად ქცეული თითები საბანს ისე ჩასჭიდა, თითქოს თავის შეჩერება უნდაო.

შეხედა ბუხარს ისეთსავე ცივს, როგორიც მისი ლითონისებური თვალები იყო. სრულ ცნობიერებაში განუტევა სული. მეკარე ქალს, ინვალიდსა და მე წარმოგვიდგინა გამოსახულება იმ ძველი გულისყურიანი რომაელებისა, რომლებიც ლეტიერმა კონსულების უკან დახატა თავის სურათში «ბრუტუსის ბავშვების სიკვდილი».

_ თავი ვაჟკაცურად ეჭირა ძველ გამოჯაგულ ადამიანს! _ მითხრა ინვალიდმა ჯარისკაცური გამოთქმით.

მე კიდევ მესმოდა მომაკვდავის მიერ თავისი სიმდიდრის ჩამოთვლა. ჩემი თვალი, რომელიც მის გამოხედვას გაჰყვა, ფერფლის გროვაზე შეჩერდა. მისმა სიდიდემ გამაოცა. მაშა ავიღე და ფერფლში ჩავყავი, იგი მოხვდა ოქროსა და ვერცხლის გროვას, რაც, ალბათ, ავადმყოფობის დროს მოტანილი საჩუქრებისაგან დაუგროვდა, ხოლო მათი დამალვა ვერ შესძლო სისუსტის გამო. ან შეიძლება მისმა უნდობლობამ ნება არ მისცა ეს ოქრო-ვერცხლი ბანაკში გადაეგზავნა.

_ გაიქეცით მომრიგებელ მოსამართლესთან, _ ვუთხარი მოხუც ინვალიდს, _ აქ ყველაფერი უნდა დავლუქოთ.

გობსეკის უკანასკნელმა სიტყვებმა და მეკარე ქალის წინათ ნათქვამმა გამაოცა. გასაღებებს ხელი წამოვავლე და პირველი და მეორე სართულების ოთახების დასათვალიერებლად წავდი. ჩემს მიერ გაღებულ პირველსავე ოთახში ვიპოვე იმ სიტყვების ახსნა, რომლებიც წინათ უაზროდ მომეჩვენა. დავინახე შედეგები სიძუნწისა, რომელთაც, ულოგიკო ინსტინქტის გარდა, არაფერი შერჩენოდა. ასეთი სიძუნწის უამრავ მაგალითს პროვინციელი კრიჟანგები იძლევიან. იმ ოთახის გვერდით, სადაც გობსეკი გარდაიცვალა, ელაგა დამპალი პაშტეტები, აუარებელი საჭმელი. ნიჟარებიც კი, წვერიანი თევზები. მათმა სიმყრალემ კინაღამ დამახრჩო. ყველგან მწერები და მატლები ფუთფუთებდნენ. ახალმიღებული ძღვენი ერთმანეთში იყო არეული. აქ იყო სხვადასხვა ზომის ყუთები, ყავის ბარდანები, ჩაის ფუთები. ბუხარზე ვერცხლის ჯამში ეწყო ზედნადებები მის სახელზე ჰავრში მოსული საქონლისა. რა არ ეწერა ამ ზედნადებებში: ბამბიანი ნაკრაულები, შაქრიანი ყუთები, პატარა კასრები რომით, ყავა, ინდიგო, თამბაქო, კოლონიის სურსათ-სანოვაგის მთელი ბაზარი! ოთახი სავსე იყო ავეჯით, ვერცხლეულით, ლამპებით, სურათებით, ვაზებით, წიგნებით, მშვენიერი უჩარჩო დახვეული გრავიურებით და იშვიათი ნივთებით. შეიძლება ეს აუარებელი ძვირფასი ნივთი შედგებოდა არა მარტო საჩუქრებისაგან, არამედ აქ იყო გამოუსყიდველი საწინდრებიც. მე ვნახე ღერბებითა და ვენზელებით შემკული კოლოფები, სუფრის ფაქიზი თეთრეულის კომპლექტები,

ძვირფასი იარაღები, მაგრამ უიარლიყოდ. გადავშალე ერთი წიგნი, რომელიც ადგილშეცვლილი მეჩვენა, შიგ ვნახე ათასფრანკიანი ქაღალდის ფული. გადავწყვიტე კარგად დამეთვალიერებინა ყოველი ნივთი, გამესინჯა ყველგან იატაკი, ჭერი, ლავგარდანები და კედლები, რათა მეპოვა ყველა ის ოქრო, რაზედაც ასე გაგიჟებით იყო დახარბებული ეს ჰოლანდიელი, რემბრანდტის ფუნჯის ღირსი. მას შემდეგ, რაც იურიდიულ საქმიანობას ვეწევი, არასოდეს მინახავს სიძუნწისა და უცნაურობის ასეთი შედეგები.

როცა გობსეკის ოთახში დავბრუნდი, მის საწერ მაგიდაზე ვიპოვნე ახსნა ამ მზარდი უწესრიგობისა, ამ სიმდიდრის დაგროვებისა. პრესპაპიეს ქვეშ ეწყო მიმოწერის ქაღალდები გობსეკსა და ვაჭრებს შორის, რომლებიც, ჩვეულებრივ, ალბათ, მისგან ყიდულობდნენ საჩუქრებს. ამგვარად, ან ეს ადამიანები იყვნენ გობსეკის მოხერხებულობის მსხვერპლნი, ან გობსეკი მოითხოვდა მეტად დიდ ფასს თავის სურსათ-სანოვაგესა და ნივთებში. მაგრამ ყოველივე სავაჭრო გარიგება ბოლომდე მიყვანილი არ იყო. გობსეკს შევეტისთვის სურსათ-სანოვაგე ვერ მიეყიდა იმიტომ, რომ შევეტს დომებოდა საქონელი შეეძინა მხოლოდ ოცდაათი პროცენტის დაკლებით. გობსეკი რამდენიმე ფრანკისთვის დავობდა, ამ დავაში კი საქონელი ფუჭდებოდა. ვერცხლეულის გადატანის ხარჯებს არ კისრულობდა, ყავის გაყიდვისას დაბნევის დანაკლისს მხედველობაში არ იღებდა. და ბოლოს, ყოველი ნივთი იწვევდა დავას, რაშიც მჟღავნდებოდა გობსეკის გაბავშვება, გაუგებარი ჯიუტობის პირველი ნიშნები. ასე ემართება ყოველ მოხუცს, რომლის ვნება უფრო მეტ ხანს ძლებს, ვიდრე გონება.

ჩემს თავს შევეკითხე ისე, როგორც გობსეკი თავის თავს შეეკითხებოდა: «ვის უნდა დარჩეს მთელი ეს ქონება?»

ჩამაფიქრა გობსეკის მიერ მოწოდებულმა ცნობამ თავის ერთადერთ მემკვიდრეზე. ვხედავ, იძულებული გავხდები პარიზის ყველა საეჭვო სახლი მოვჩხრიკო, რათა იქ რომელიმე ცუდი ყოფაქცევის ქალს უზარმაზარი ქონება ხელში ჩავუგდო. უწინარეს ყოვლისა, იცოდეთ, რომ სათანადოდ გაფორმებული საბუთების საფუძველზე, ახალგაზრდა გრაფი ერნესტ დე რესტო მოკლე ხანში ჩაიბარებს ქონებას, რაც მას ნებას მისცემს კამილა ცოლად შეირთოს. გარდა ამისა, ეს საბუთი ახალგაზრდა გრაფს უფლებას აძლევს გამოუყოს დედასა და ძმას საკმაო თანხა, დას კი _ სამზითვო.

_ კარგი, ძვირფასო დერვილ, _ ვიფიქრებ ამაზე, _ უპასუხა ქალბატონმა დე გრანლიემ. _ ბატონი ერნესტი ძალიან მდიდარი უნდა იყოს, რათა ისეთმა ოჯახმა,

როგორიც ჩვენია, დედამისის დამოყვრება შეძლოს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩემი ვაჟი ადრე თუ გვიან ჰერცოგი დე გრანლიე გახდება, რითაც ჩვენი გვარის ორი შტოს ქონებას გავაერთიანებთ. მე მინდა, მას ღირსეული სიძე ჰყავდეს.

_ კი მაგრამ, _ თქვა გრაფმა დე ბორნმა, _ რესტოს ღერბია წითელი არე ვერცხლის ზოლით და ოთხი ოქროს პატარა ფარი, თითოეულ ფარზე მინანქრის შავი ჯვარია; ეს ძალიან ძველი ღერბია.

_ ეს მართალია, _ თქვა გრაფის მეუღლემ, _ ესეცაა, კამილას შეუძლია არ ინახულოს თავისი დედამთილი, რომელმაც დაარღვია დევიზი: Res Tuta!

_ ქალბატონი დე ბოსეანი სტუმრად ღებულობდა ქალბატონ დე რესტოს, _ თქვა მოხუცმა ბიძამ.

_ ჰო! მხოლოდ რაუტებზე, _ უპასუხა გრაფის მეუღლემ.

<u>წითელი სასტუმრო</u>

მარკიზ დე კიუსტინს

თარგმანი რუსუდან დოდაშვილისა

ერთხელ, აღარ მახსოვს რომელ წელს, ერთმა, გერმანიაში ფართო სავაჭრო ურთიერთობის მქონე პარიზელმა ბანკირმა წვეულება გაუმართა დიდი ხნის მეგობარს, რომელსაც პირადად სულ არ იცნობდა; მსგავს მეგობრებს საქმიანი მიმოწერით ხშირად იძენენ დიდვაჭრები.

სტუმარს, ნიურემბერგის რომელიღაც საკმაოდ მსხვილი ფირმის პატრონს, გულჩვილ, ჩასუქებულ გერმანელს, განათლებულსა და ფაქიზი გემოვნების ადამიანს, ჩიბუხის დიდ მოტრფიალეს, სანდომიანი გაბადრული ნიურემბერგული პირისახე ჰქონდა, ხოლო ოთხკუთხ, თითქმის მოტვლეპილ შუბლს გვარიანად შეთხელებული ქერა თმა უმშვენებდა.

იგი ჭეშმარიტი შვილი გახლდათ უმწიკვლო და კეთილშობილი გერმანიისა, რის წიაღშიაც უხვად მოიძებნებიან პატიოსანი ადამიანები და რომლის მშვიდობისმოყვარე ზნე-ჩვეულებანი შვიდმა ლაშქრობამაც კი ვერ შეცვალა.

უცხოელი გულღიად იცინოდა, ყურადღებით უსმენდა სხვებს და ხარბად ყლურწავდა ღვინოს; ეტყობოდა, შამპანური იოჰანისბერგულ ჩალისფერ ღვინოეზე ნაკლებ როდი მოსწონდა.

მწერლების მიერ წიგნებში აღწერილ ყველა გერმანელივით მასაც ჰერმანი ერქვა. ვინაიდან ყველაფრის საფუძვლიანად კეთებას იყო ჩვეული, ახლაც ბანკირის სუფრასთან

საგულდაგულოდ მოკალათებულიყო. ევროპაში განთქმული გერმანული მადით შეექცეოდა კერძებს და დიდი კარემის სამზარეულოს კეთილსინდისიერად ემშვიდობებოდა.

სტუმრის საპატივცემოდ მასპინძელს მოეპატიჟნა რამდენიმე ახლო მეგობარი, კაპიტალისტები თუ კომერსანტები, თვალწარმტაცი თავაზიანი ქალები, რომელთა დათაფლული ჟღურტული და ძალდაუტანებელი მიხრა-მოხრა, გერმანულ გულითადობას საამოდ ეხამებოდა.

მართალია, იმ საღამოს, თქვენც ჩემსავით რომ გაბედნიერებულიყავით და შეგძლებოდათ თვალი მოგევლოთ ამ მხიარული საკრებულოსთვის, სადაც ადამიანებს სარფის მოსახვეჭად გამზადებული ბრჭყალები მიემალათ და ცხოვრების სიამტკბილობაში ჩაძირულიყვნენ, მევახშეთა საგანაღდებო პროცენტებს ვეღარ შეიძულებდით და ვეღარც ბანკროტობას დასწყევლიდით.

ადამიანს არ ძალუძს ყოველთვის ჩაიდინოს ბოროტება.

თვით მეკობრეთა ბრბოშიც კი გამეფდება ხოლმე ისეთი მყუდრო წუთი, როცა მათი პირქუში ხომალდი საქანელასავით განანავებს.

_ ბატონი ჰერმანი სანამ გამოგვემშვიდობება, ალბათ, გვიამბობს შიშისმომგვრელ გერმანულ ამბავს.

ეს სიტყვები ჩაროზი რომ ჩამოარიგეს მაშინ წარმოთქვა ნორჩმა, ფერმკრთალმა და ქერა ქმნილებამ, უთუოდ გატაცებულმა ჰოფმანის ზღაპრებითა და ვალტერ სკოტის რომანებით. ბანკირის ერთა გახლდათ ეს მზეთუნახავი. «ჟიმნაზში» დადგმულ პიესებზე ჭკუას კარგავდა და ამ თეატრში საბოლოოდ იხვეწებოდა მისი აღზრდა-განათლებაც.

განცხრომაში ჩაფლული მეინახენი კი ზანტადა სდუმდნენ; ასეთი განწყობილება მაშინ გვეუფლება, როცა ნუგბარ-ნუგბარ კერძებს უზომოდ მიველალებით და კუჭის შესაძლებლობას ბოროტად ვიყენებთ. სკამზე ზურგით მიწოლილნი, მაგიდის კიდეზე ხელებით ოდნავ დაყრდნობილნი მოვარაყებულ დანებს ნება-ნება ათამაშებდნენ. ჩვეულებრივ, სადილის დასასრულს, ზოგი მსხლის კურკას დაუწყებს ხოლმე თამაშს, ზოგი ცერსა და სალოკ თითს შორის პურის გულს ასორსოლებს; მიჯნურნი ხილის ნაფცქვენისაგან უფორმო ასოებს იყვანენ, ძუნწები კურკებს ითვლიან და ისე ალაგებენ თეფშებზე, როგორც სტატისტებს ამწკრივებენ დრამატურგები სცენის სიღრმეში. ბრია-სავარენს, საერთოდ მეტად კეთილსინდისიერ მწერალს, თავის თხზულებაში რატომღაც გამოუტოვებია ღორმუცელობის ამ პატარ-პატარა ნეტარების აღწერა.

მსახურნი თვალს მიეფარნენ. ომგადახდილ ესკადრას დაემსგავსა სუფრა _ არეულ-დარეული, გაძარცვული, გაპარტახებული. თეფშები, უწესრიგოდ ეყარა და დიასახლისი მათ თავთავიანთ ადგილზე გულდაგულ დალაგებას ამაოდ ცდილობდა. ზოგი სტუმარი სასადილო დარბაზის ნაცრისფერ კედელზე სიმეტრიულად ჩამოკიდებულ შვეიცარიის ხედებს ათვალიერებდა. მოწყენილი არავინ ყოფილა. გემრიელი სადილის მონელებისას სევდიანი არც არავინ გვინახავს. ადამიანი ამ დროს გაირინდება ხოლმე _ ეს ერთგვარი შუალედია მოაზროვნის ოცნებასა და მცოხნავი ცხოველის კმაყოფილებას შორის _ კარგი იქნებოდა ამგვარი განწყობილებისთვის მატერიალური, გასტრონომიული მელანქოლია გვეწოდებინა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მეინახენი კეთილი გერმანელისკენ ერთბაშად მიტრიალდნენ, ეგებ რაიმე ამბავი მოგვიყვეს, თუნდაც არასაინტერესოო.

უცბად, სწორედ ჩემს პირდაპირ მჯდომი კაცის გარეგნობამ მიმიზიდა. შუატანის იყო, მსუქანი. ემჩნეოდა, მხიარული ხასიათი ჰქონდა და განსაკუთრებული ჭკუით არ გამოირჩეოდა. მიმოხრა და ქცევა კი ბირჟის მაკლერისას მიუგავდა. აქამდე არც შემიშნავს იგი. ახლა, ალბათ, შუქ-ჩრდილის თამაშის შედეგად მომეჩვენა, სახე თითქოს შეეცვალა, მოიისფრო ლაქებით დაეფარა და მიწისფერი დაედო. გეგონებოდათ, მომაკვდავის თავიაო. დიორამაში ჩახატულ ფიგურასავით უმოძრაოდ გაშეშებული ბროლის საცობის ელვარე წახნაგებს გამოყეყეჩებული თვალებით დაშტერებოდა. ცხადი იყო, არაფერს ხედავდა და მომავლისა თუ წარსულის ფანტასტურ ჭვრეტას გაეტაცნა.

მის საეჭვო სახეს დიდხანს ვუკვირდებოდი და ვფიქრობდი: ავად ხომ არ არის? ან ბევრი ხომ არ დალია? ან იქნებ ბირჟის აქციების დაცემამ გააკოტრა? ან შეიძლება ვარაუდობს, როგორ გააცუროს კრედიტორები?

_ შეხედეთ! _ მივუთითე მასზე ჩემს გვერდით მჯდომ ქალბატონს, _ ბანკროტობის პირწავარდნილი განსახიერებაა, არა?

_ ოჰ! ბანკროტი რომ იყოს, უფრო მხიარული გამომეტყველება ექნებოდა, _ მიპასუხა ქალმა, _ მერე თავი კეკლუცად გააქნია და განაგრძო: _ ეგ თუ ოდესმე გაკოტრდება, ჯოჯოხეთში ჩასვლასაც კი არ დავიზარებ, ოღონდ ეს ამბავი ყველას შევატყობინო. ერთი მილიონის მიწები აქვს. უწინ იმპერიის არმიის სურსათის მიმწოდებელი გახლდათ. საკმაოდ უცნაური ბერიკაცია. მეორე ცოლი ანგარიშით შეირთო, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ რა ბედნიერია ქალი მაგის ხელში. ლამაზი ასული ჰყავს, რომელსაც დიდხანს ახლოს არ იკარებდა; ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ, საწყალი დუელში მოუკლეს, იძულებული გახდა, ქალიშვილი მიეღო, რადგანაც მეტი შვილი აღარ ეყოლებოდა. ასე და ამგვარად,

საცოდავი გოგო უცბად ყველაზე მდიდარი მემკვიდრე გახდა მთელს პარიზში. მამამისი კი, ეს კეთილი ადამიანი, ვისაც ერთადერთი ვაჟი ხელიდან გამოეცალა, უსაზღვროდ იტანჯება და ხანდახან სევდის დაფარვას ვერც ახერხებს.

ამ დროს სურსათის მიმწოდებელმა თვალი მომაპყრო და მე ავკანკალდი, იმდენად პირქუში ფიქრებით აღვსოდა გამოხედვა, რაც, შესაძლებელია, მთელ სიცოცხლეს გამოხატავდა. მერე, უცბად სახე გაუნათდა; ბროლის საცობი აიღო, თავისი თეფშის წინ მდგომ წყლით სავსე სურას ანგარიშმიუცემლად დაახურა და ბატონი ჰერმანისკენ ღიმილით გაიხედა. ჩანდა, ეს გასტრონომიული სიამოვნების განცხრომაში ჩაძირული კაცი არა თუ არაფერზე ფიქრობდა, აზრის ნატამალიც კი არ გააჩნდა მას. შემრცხვა კიდეც, რომ წინასწარმეტყველურ ნიჭს ამ სქელკანიან ფინანსისტზე, ბილწ პირუტყვზე ვხარჯავდი.

სანამ მე ფუჭ ფრენოლოგიურ დაკვირვებებს ვაწარმოებდი, კეთილმა გერმანელმა ცხვირში ერთი მწიკვი ბურნუთი შეიყარა და ამბის მოყოლა დაიწყო.

ვინაიდან ვერ შევძელი ამბავი გადმომეცა გერმანელის სიტყვებით, ხშირი პაუზებითა და თხრობიდან სიტყვამრავალი გადახვევებით, ამიტომაც ჩემებურად მოვყევი, შეცდომები ნიურემბერგელს დავუტოვე, ხოლო მისი პოეტური და საყურადღებო ადგილები გულუბრყვილოდ შევიტყაპუნე იმ მწერლებივით, რომელთაც ავიწყდებათ თავიანთ წიგნებს მიაწერონ: «თარგმნილი გერმანულიდან».

ფიქრი და საქმე

_ რესპუბლიკის ეპოქის VII წლის ვანდემიერის მიწურუს, ჩვენი სტილით 1799 წლის 20 ოქტომბერს, ბონიდან დილით გამოსული ორი ჭაბუკი მზის ჩასვლისას მიუახლოვდა რაინის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატა ქალაქ ანდერნახს, რომელიც კობლენციდან რამდენიმე მილითაა დაშორებული.

იმ ხანებში საფრანგეთის არმია, გენერალ ოჟეროს მეთაურობით, მდინარის მარჯვენა მხარეს დაბანაკებულ ავსტრიელთა თვალწინ მანევრებს აწარმოებდა. რესპუბლიკის დივიზიის მთავარი შტაბი კობლენცში იყო მოთავსებული, ხოლო ოჟეროს კორპუსის ერთ-ერთი ნახევარბრიგადა _ ანდერნახში.

ორივე ახალგაზრდა მგზავრი ფრანგი გახლდათ. მათი თეთრარშიებიანი და წითელი ხავერდის გულისპირიანი ლურჯი მუნდირების, ხმლებისა და განსაკუთრებით კი სამფეროვანი პლუმაჟიანი მწვანე მუშამბის ქუდების დანახვისას გერმანელი გლეხებიც კი ხვდებოდნენ, რომ ისინი სამხედრო ქირურგები იყვნენ, გონიერი და ღირსეული

ადამიანები, რომლებიც მეტწილად უყვართ არა მხოლოდ ჩვენს არმიაში, არამედ ჩვენი ჯარის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიაც.

იმ დროს, გენერალ ჟურდენის მიერ გამოცხადებული ჯარში გაწვევის ახალი კანონის შედეგად, სამედიცინო ასპარეზზე მოღვაწეობას მოწყვეტილი მრავალი კარგი ოჯახიშვილი ამჯობინებდა სამედიცინო სამსახური ბრძოლის ველზე გაეგრძელებინა, ვიდრე დარჩენილიყო რიგით ჯარისკაცად, რაც ნაკლებად შეეფერებოდა მათ განათლებასა და მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს. ახალგაზრდა სწავლულები, მშვიდობის მომხრენი და დაუზარელნი, იმ შავბნელ დღეებში სიკეთეს თესავდნენ, ნასწავლ ადამიანებს თანაგრძნობით ეპყრობოდნენ იმ ქვეყნებში, სადაც მიაბიჯებდა საფრანგეთის რესპუბლიკის ულმობელი ცივილიზაცია. მგზავრები, აღჭურვილნი სამგზავრო საშვებითა და კოსტასა და ბერნადოტის ხელმოწერილი ბრძანებით მათი «უმცროს ექიმებად» დანიშვნის შესახებ, მიემართებოდნენ იმ ნახევარბრიგადისკენ, სადაც იყვნენ გამწესებულნი. ორთავე მიეკუთვნებოდნენ ბოველ ბურჟუათა ოჯახებს, რომლებიც არცთუ ისე მდიდრები იყვნენ, მაგრამ პროვინციულ ნამუსიანობასა და ალალმართლობას თაობიდან თაობას გადასცემდნენ, როგორც მემკვდირეობის ნაწილს.

სტრასბურგამდე დილიჟანსით იმგზავრეს. ახალგაზრდებისათვის მეტად ბუნებრივი ცნობისმოყვარეობით ჭაბუკები სამსახურში დანიშნულ ვადაზე ადრე გამოცხადდნენ სამხედრო მოქმედების შესასრულებლად. თუმცა ფრთხილ დედებს ბევრი ფული არ გამოეტანებინათ, შვილები მაინც მდიდრებად თვლიდნენ თავს, რადგანაც ჯიბეში რამდენიმე ლუიდორი უჩხრიალებდათ; ეს კი ნამდვილი განძი იყო იმ დროს, როცა ასიგნაციებმა გაუფასურების უკანასკნელ საფეხურს მიაღწია და ოქრო ფულზე გაცილებით მეტად ფასობდა. უმცროსი ექიმები სულ ბევრი ოც-ოცი წლისანი თუ იქნებოდნენ. და თავიანთი ახალი მდგომარეობის პოეტურ მხარეეებს ჭაბუკური აღტაცებით ხვდებოდნენ. სანამ სტრასბურგიდან ბონში ჩავიდოდნენ, საჰერცოგო და რაინის ნაპირები დაათვალიერეს, ვითარც შეეფერებოდა არტისტულად და ფილოსოფიურად განწყობილ ცნობისმოყვარე არსებებს. ამ ასაკში, თუკი მეცნიერული მოღვაწეობისთვის ვემზადებით, მართლაც მეტად მრავალსახოვანნი ვართ მოგზაურობის დროსა თუ თვით ტრფობის ჟამსაც. უმცროსი ექიმი ვალდებულია თავის მომავალ სახელსა და ბედ-იღბალს საძირკველს უყრიდეს.

ორი ყმაწვილი შეიპყრო ძალუმმა აღტყინებამ, რაც დაეუფლება ხოლმე განათლებულ ადამიანებს, მაინცსა და კელნს შორის, შვაბეთის პეიზაჟისა და რაინის

ნაპირების დანახვისას. ბუნება აქ ზვიადია, ბარაქიანი, მთებითა და გორებით მოფენილი, ამწვანებული, ფეოდალური ძეგლებით მდიდარი, თუმცა ყოველივეს ცეცხლისა და მახვილის დაღი ატყვია. ეს თვალწარმტაცი მხარე ლუი XIV და ტურენმა ნაცარტუტად აქციეს. აქა-იქ მოჩანს ნანგრევები, მოწამენი ვერსალის მეფის ქედუდრეკლობისა, ან იქნებ წინდახედულებისაც; გერმანიის ამ კუთხის მშვენებანი, დიდებული ციხე-დარბაზები ხსენებული მეფის ბრძანებით იავარიქმნა. ტყეებითა და შუა საუკუნეების ურიცხვი მომაჯადოებელი სურათებით შემკული საუცხოო ადგილების ხილვისას შეიცნობთ გერმანულ სულს, მეოცნებესა და მისტიურს.

_ ფრანკო _ ჰოლანდიური არმიისა და ოჟეროს დივიზიის მთავარი ჰოსპიტალი თვით კურფიურსტის სასახლეში მოეთავსებინათ. ამიტომაც ახლად გამომცხვარი უმცროსი ექიმები იქით გაეშურნენ ამხანაგების სანახავად, სარეკომენდაციო ბარათების უფროსებისთვის გადასაცემად და საქმის გასაცნობად. აქ, ისევე, როგორც ეს სხვაგანაც ხდება, ისინი ერთგვარად გათავისუფლდნენ იმ გადაჭარბებული წარმოდგენისაგან, რაც ყველას გვაქვს შექმნილი მშობლიური ქვეყნის ისტორიული ძეგლებისა და მშვენიერების მიმართ. კურფიურსტის სასახლის მარმარილოს სვეტებით განცვიფრებული მეგობრები გერმანული ნაგებობათა გრანდიოზულობამ აღაფრთოვანა; მიდიოდნენ და ყოველ ნაბიჯზე ძველი და ახალი ხელოვნების სამკაულებს აწყდებოდნენ. ხანდახან გორაკებს შორის მიკარგული ანდერნახისკენ მიმავალი გზები მათ კლდის მწვერვალზე აიყვანდა ხოლმე. იქიდან კი, ტყის ჭრილებსა და კლდეთა ფლატეებს შორის, მათ თვალწინ იშლებოდა ქვიშის ჩარჩოში ჩასმული, ანდა ატეხილი ჭალებით შემოკბილული რაინის სანახები. ხეობები, ბილიკები, ხეები, ფიქრის ამშლელ სურნელებას აფრქვევდნენ. ხის კენწეროებს ოქროსფერი ეპარებოდა. აქა-იქ თბილი ტონებიც გამოსჭვიოდა, განსაკუთრებით კი მიხაკისფერი _ მაუწყებელი სიბერისა; ფოთლები ცვიოდა, მაგრამ ცას თვალისმომჭრელი ლაჟვარდი მაინც შერჩენოდა და მშრალი გზები ჩამავალი მზის ირიბი სხივებით განათებულ პეიზაჟზე ყვითელ ზოლებად იხაზებოდნენ. ანდერნახიდან ორი ლიეს დაშორებით ისეთი სიჩუმე იყო გამეფებული, თითქოსდა ომი ამ მშვენიერ მხარეს მუსრს არ ავლებდა. ორი მეგობარი მიჰყვეობდა საცალფეხო გზას, თხების მიერ გატკეპნილს გრანიტის კლდეებზე, რომელთა შორის მოჩქეფს რაინი. მგზავრები ხევ-ხევ დაეშვნენ. ხევის ძირში, მდინარის პირას კოხტად დასკუპულიყო პაწია ქალაქი, საუცხოო ნავსადგური მეზღვაურთათვის.

_ მართლაც ლამაზია გერმანია! _ წამოიძახა ერთმა ყმაწვილმა, პროსპერ მანიანმა, როცა თვალი მოჰკრა ნაირფრად შეღებილ, კალათში ჩაწყობილი კვერცხებივით ერთმანეთთან მიყუჟულ სახლებს, რომელთაც ერთმანეთისგან ბაღები და ყვავილები ჰყოფდა. პროსპერ მანიანი ერთხანს აღტაცებით დასცქეროდა წვეტიან სახურავებს, გამოშვერილ კოჭებს, ხის კიბეებს, მყუდრო სადგომების უამრავ აივნებსა და ნავსადგურში ტალღებზე მოქანავე ნავებს...

როცა ბატონმა ჰერმანმა პროსპერ მანიანი ახსენა, სურსათის მიმწოდებელი სწვდა სურას, ჭიქაში წყალი დაისხა და მაშინვე სულმოუთქმელად გადაჰკრა. ამით ისევ მიიპყრო ჩემი ყურადღება და თითქოს შევნიშნე კიდეც, რომ კაპიტალისტს ხელი ოდნავ აუკანკალდა და შუბლი ოფლით დაენამა.

_ რა გვარია ყოფილი სურსათის მიმწოდებელი? _ შევეკითხე ჩემს ტურფა მეზობელს.

_ ტაიფერი, _ მიპასუხა მან.

_ უგუნებოდ ხომ არა ბრძანდებით? _ შევყვირე მე, როცა შევნიშნე, როგორ გაფითრდა ეს უცნაური ადამიანი.

_ სრულებითაც არა, _ მომიგო ტაიფერმა და მადლობის ნიშნად თავაზიანად გამიღიმა, _ მე ვუსმენ, _ დასძინა და თავი დაუქნია სტუმრებს, რადგანაც ყველა მისკენ შემოტრიალდა.

_ მეორე ჭაბუკის გვარი დამავიწყდა, _ წარმოთქვა ბატონმა ჰერმანმა, _ როგორც პროსპერ მანიანმა ამიწერა, იგი შავგვრემანი, ოდნავ გამხდარი იყო და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა. თუკი ნებას დამრთავთ, ვილჰელმს დავარქმევ, რათა უფრო გასაგებად შევძლო ამბის მოყოლა.

გულუბრყვილო გერმანელმა, ვითომდაც არაფერიაო, ისე უგულვებელჰყო რომანტიკულობაცა და ადგილობრივი კოლორიტიც, ფრანგი უმცროსი ექიმი გერმანული სახელით მონათლა და არხეინად განაგრძო თხრობა:

_ როცა ორი ჭაბუკი ანდერნახს ჩავიდა, უკვე ბნელოდა. სანამ მეთაურებს მოვძებნით, სანამ საბუთებს წარვუდგენთ, სანამ ჯარისკაცებით გადავსებულ ქალაქში სამხედრო თავშესაფარს მივიღებთ, დიდი დრო დაგვეკარგებაო, გაიფიქრეს და გადაწყვიტეს უკანასკნელი თავისუფალი ღამე გაეტარებინათ ანდერნახიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით მდებარე სასტუმროში, რომლის მდიდრულ შეფერილობას, მზის სხივებით უფრო მეტად გამშვენიერებულს, ორივე ყმაწვილი მთის წვეროდან

აღფრთოვანებით გადმოსცქეროდა. ეს ერთიანად წითლად შეღებილი შენობა მნახველთ უცბად ეცემოდა თვალში, რადგან ქალაქის ერთფეროვანი მასიდან და ნაირნაირი ფოთლების სიმწვანიდან მისი მეწამული დიდი ლაქა ისევე კონტრასტულად გამოკრთოდა, როგორც მდინარის მონაცრისფრო ტონებიდან ამ ნაგებობის კაშკაშა ფერი. სასტუმროს სახელწოდება წარმოდგებოდა შენობის შეფერილობიდან, რაც ოდესღაც, ალბათ, მისი საძირკვლის ჩამყრელის ფანტაზიამ შეარჩია. რაინის მეზღვაურთა შორის დიდად სახელგანთქმული სასტუმროს შემდგომი მფლობელნი, სრულიად ბუნებრივი მერკანტული ცრურწმენის გავლენით, სახლს ძველ სამოსს მზრუნველობით უნახავდნენ.

ცხენების ტორთა ცემაზე «წითელი სასტუმროს» პატრონი ზღურბლზე გადმოდგა.

_ ღმერთმანი! _ შეჰყვირა მან, _ სულ ცოტა კიდევ რომ დაგეგვიანათ, ღია ცის ქვეშ მოგიხდებოდათ წოლა, მსგავსად თქვენი თანამემამულეთა უმრავლესობისა, ანდერნახის მეორე მხარეს რომაა დაბანაკებული. სასტუმრო პირამდე სავსეა. თუ მაინცდამაინც საწოლებზე გინებებიათ მოსვენება, ისღა დამრჩენია საკუთარი საწოლი ოთახი შემოგთავაზოთ. თქვენს ცხენებს კი ეზოს კუთხეში დავაბინავებთ. დღეს თავლა ქრისტიანებით გამევსო. საფრანგეთიდან ჩამობრძანებულხართ, ბატონებო? _ განაგრძო მან მცირე პაუზის შემდეგ.

_ ბონიდან, _ წამოიძახა პროსპერმა, _ და დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩაგვიდია.

_ ოჰ, საჭმელზე ნუ შეწუხდებით, _ თავის კანტურით განუცხადა პატრონმა, _ «წითელ სასტუმროში» ათი ლიეს იქიდან მოდიან საქეიფოდ. მეფურ სუფრას გაგიშლით. იცით, რას მოგართმევთ? რაინის თევზს! მეტი რაღა ვქნა!

დაღლილი ცხენები მგზავრებმა სასტუმროს პატრონის მზრუნველობას მიანდეს. და მაშინ, როცა პატრონი ამაოდ უხმობდა მსახურებს, უმცროსი ექიმები სასტუმრო საერთო დარბაზში შევიდნენ. თუთუნის მწეველებს ბლომად მოეყარათ თავი და ბოლოს ისეთი სქელი და მოთეთრო ღრუბლით გაევსოთ დარბაზი, რომ ახლად მოსულებმა თავდაპირველად ვერც კი გაარჩიეს ვის საზოგადოებაში მოხვდნენ. მაგრამ სუფრას მიუსხდნენ თუ არა, იმ ფილოსოფიურად განწყობილი მგზავრთა მოთმინებით, რომელთაც აყალმაყალის ამაოება კარგად შეუცვნიათ, კვამლში გაარჩიეს გერმანული სასტუმროს სავალდებულო აქსესუარები: ბუხარი, კედლის საათი, ლუდის ტოლჩები, გრძელტარიანი ჩიბუხები, საითაც გაიხედავდი, ათასნაირი ჯურის ხალხი ირეოდა: ებრაელები, გერმანელები, სახეკუშტი მეზღვაურები. ბურუსში ფრანგი ოფიცრების ეპოლეტები ელვარებდა, ფილაქანზე კი განუწყვეტლივ ჟღარუნობდა დეზები, ხმლები. ზოგი ბანქოს

თამაშობდა, ზოგი კამათობდა, ერთი დუმდა, მეორე ჭამდა, სვამდა, ბოლთას სცემდა. შორიახლოს ტრიალებდა ერთი გათქვირებული, ტანდაბალი დედაკაცი, რომელსაც ჩაწნულ თმაზე შავი ხავერდის ჩაჩი ეხურა, სირმით ამოქარგული ცისფრი კოფთა ეცვა, მკერდზე ვერცხლის ქინძისთავი ჰქონდა დაბნეული და აღჭურვილი გახლდათ ძაფის გორგლითა და გასაღებების ასხმულათი. ერთი სიტყვით, არ აკლდა არცერთი დამახასიათებელი კომპონენტი გერმანული სასტუმროს დიასახლისისა, რომლის ტანსაცმელი იმდენად ზუსტადაა გამოხატული უთვალავ სურათებზე და იმდენადაა გავრცელებული, რომ არცა ღირს ამ ქალის აღწერილობას გამოვუდგეთ. სასტუმროს პატრონის მეუღლე შესანიშნავი მოხერხებულებით აკარგვინებდა მოთმინებას ორ მეგობარს და ასეთივე მოხერხებულობით აშოშმინებდა მათ. თანდათან ხმაური შენელდა, მგზავრები დარბაზიდან გავიდნენ და კვამლის ღრუბელიც გაიფანტა.

როცა უმცროს ექიმებს სუფრა გაუშალეს და რაინის სახელგანთქმული ჭანარი მოართვეს, საათმა თერთმეტი დარეკა და დარბაზიც დაცარიელდა.

ღამის სიჩუმეში ყრუდ მოისმოდა ცხენების ხრამახრუმი და ტორების ცემა, რაინის ლიკლიკი და მდგმურებით გაჭედილი სასტუმროს თავისებური ქოთქოთი, როცა მგზავრები დასაწოლად ემზადებიან: კარ-ფანჯარა იხსნებოდა, იკეტებოდა, ვიღაც-ვიღაცეები გაურკვევლად ჩურჩულებდნენ, ოთახებიდან გაუგებარი შეძახილები მოისმოდა.

ამ სიჩუმეში და ფუსფუსში ორი ფრანგისა და მასპინძლის, _ რომელიც ახალგაზრდებს უქებდა ანდერნახს, რაინის ღვინოს, რესპუბლიკის არმიას, საკუთარ პურ-მარილსა და ცოლს, _ ყურადღება მიიპყრო მეზღვაურთა ხრინწიანმა ყვირილმა და ნავსადგურთან მოახლოებული ნავის თქაფუნმა.

სასტუმროს პატრონი, უთუოდ შეჩვეული მენავეების ხორხისმიერ მეტყველებას, იმ წამსვე ოთახიდან გავარდა და მალე შემოუძღვა მსუქან, ტანდაბალ კაცს, რომლის უკან ორ მეზღვაურს მძიმე ყუთი და რამდენიმე ბოხჩა მოჰქონდა. დარბაზში დააწყვეს თუ არა ბარგი, კაცმა ყუთი აიღო, წინ დაიდგა და ორი უმცროსი ექიმის სუფრას მოურიდებლად მიუჯდა.

_ წადით, ნავში დაწექით, _ მიმართა მეზღვაურებს, _ სასტუმრო სავსეა და ისედაც სჯობს, ნავში დაწვეთ.

_ ბატონო, განუცხადა მასპინძელმა ახალმოსულს, _ სანოვაგიდან ამის მეტი აღარაფერი გამაჩნია, _ მან ორი ფრანგისთვის გაშლილ სუფრაზე ანიშნა, _ პურის ქერქიც კი აღარ მოიძებნება, ძვალსაც ვეღარ იპოვით.

_ კომბოსტოს მწნილი?

_ სათითეში რომ ჩაეტევა, იმდენიც კი არ დარჩა. როგორც მქონდა პატივი მომეხსენებინა, საწოლად მიიღებთ სკამს, რაზედაც ხართ დაბრძანებული და ამ დარბაზის გარდა, სხვა ოთახსაც ვერ შემოგთავაზებთ.

ამ სიტყვებზე დაბალმა კაცმა აათვალიერ-ჩაათვალიერა მასპინძელი, დარბაზი და ორი ფრანგი. გამოხედვაში გამოუკრთა შიშიცა და სიფრთხილეც.

_ აქ, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, _ შეწყვიტა თხრობა ჰერმანმა, _ რომ ჩვენ უცნობის ვერც ნამდვილი ვინაობა და ვერც ასავალ-დასავალი ვერ გამოვარკვიეთ. დოკუმენტები გვამცნობდა, რომ აახენიდან იყო ჩამოსული. იქ იგი ვალენფერის სახელს ატარებდა და ნეივალის მიდამოებში მდებარე ნემსების საკმაოდ მსხვილი წარმოების მფლობელი გახლდათ.

როგორც ყველა მეფაბრიკეს ამ მხარეში, მასაც უბრალო მაუდის რედინგოტი ეცვა, მუქი მწვანე ხავერდის შარვალი, ჟილეტი და ჩექმები, წელზე კი ტყავის ფართო ქამარი ერტყა. სახე მთლად მრგვალი ჰქონდა. თავისუფალი მიხვრა-მოხვრა და კეთილი გულისა იყო. ეტყობოდა, ძლიერ უჭირდა ფარული შიში არ გამოემჟღავნებინა, ან იქნებ მძიმე საზრუნავიც აწუხებდა. სასტუმროს პატრონი დაეჭვდა, ეს გერმანელი დიდვაჭარი უთუოდ სამშობლოდან გამოქცეული უნდა იყოსო. შემდეგ მე გამოვარკვიე, რომ ფაბრიკა შემთხვევით დასწვოდა, რაც, საუბედუროდ, ომის დროს ხშირად ხდება. თუმცა უაღრესად აღელვებული ჩანდა, მისი სახე მაინც დიდ გულკეთილობას გამოხატავდა. სასიამოვნო ნაკვთები ჰქონდა. სქელი კისერი ისე განსაკუთრებით თეთრად მოუჩანდა შავი ყელსახვევის ფონზე, რომ ვილჰელმმა ხუმრობით ანიშნა მასზე პროსპერს...

აქ ბატონმა ტაიფერმა ერთი ჭიქა წყალი შესვა.

პროსპერმა მეფაბრიკე თავაზიანად მიიპატიჟა ვახშამზე და ვალენფერმაც თავპატიჟი არ გამოიდო, უმალ დათანხმდა, როგორც შეეფერებოდა კაცს, რომელიც დარწმუნებულია, ამ პატივისცემის სათანადო მადლობით ანაზღაურება მაინცდამაინც არ გამიჭირდებაო. ყუთი იატაკზე დადო, ზედ ფეხები დააწყო, ქუდი მოიხადა, სუფრასთან მიიწია, ხელთათმანები გაიძრო და ქამრიდან ორი პისტოლეტიც მოიხსნა.

მასპინძელმა მაშინვე მოურბენინა ჭურჭელი. სამი მგზავრი დუმილით შეუდგა მადის დაკმაყოფიელბას. დარბაზში ისე ცხელოდა და იმდენი ბუზი ირეოდა, რომ პროსპერმა მასპინძელს სთხოვა, ნავსადგურისკენ რომ გადიოდა ის ფანჯარა გამოეღო და ჰაერი გაეწმინდა. ფანჯარა ჩაეკეტათ რკინის ურდულით, რომლის ორივე ბოლო ფანჯრის ჩარჩოს ორ კუთხეში გამოჭრილ ღრუში გაემაგრებინათ. მეტი უშიშროებისთვის დარაბებს ხრახნებით მოჭერილი თითო-თითო ჭანჭიკი ეკეთა. შემთხვევით პროსპერი დააკვირდა, სასტუმროს პატრონი როგორ აღებდა ფანჯარას.

_ რადგანაც შენობაზე ჩამოვარდა სიტყვა, _ გამოგვიცხადა ბატონმა ჰერმანმა, _ აგიწერთ კიდეც სასტუმროს ოთახების შინაგან განლაგებას, რაკი მისი ზუსტი გაცნობის გარეშე ჩემი ამბავი გაუგებარი იქნება თქვენთვის.

დარბაზს, სადაც ამ თავგადასავლის სამი მოქმედი პირი იმყოფებოდა, ორი კარი ჰქონდა. ერთი კარი რაინს ჩაყოლებულ ანდერნახის გზაზე გადიოდა. იქ იდგა მეფაბრიკის მიერ სამოგზაუროდ დაქირავებული ნავი. მეორე კარი სასტუმროს ეზოში გადიოდა. ეზოს ძალიან მაღალი გალავანი ერტყა გარს და საქონლითა და ცხენებით იყო გაჭედილი. თავლებშიაც კი ხალხის ტევა აღარ იყო. ჭიშკარი ისე საგულდაგულოდ ჩაეხერგათ, რომ მის გაღებას იოლად ვერ მოახერხებდნენ, ამიტომ მასპინძელმა დიდვაჭარი და მენავეები დარბაზში ქუჩის მხარეს ჩატანებული კარიდან შემოიყვანა. და როცა ფანჯარა გამოაღო პროსპერ მანიანის თხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ კარების დაკეტვასაც შეუდგა; ურდული გაამაგრა და ჭანჭიკები ჩახრახნა.

მასპინძლის საძილე ოთახი, სადაც ორ უმცროს ექიმს უნდა დაეძინა, საერთო დარბაზის გვერდით მდებარეობდა და თხელი ტიხრით იყო გაყოფილი სამზარეულოდან, რომელშიც, ალბათ, სასტუმროს დიასახლისი და მისი მეუღლე აპირებდნენ ღამის გათევას. მოახლე ის-ის იყო გაეშურა თავშესაფრის მოსაძებნად რომელიმე ბაგაში, სხვენის კუთხეში, ან კიდევ სადმე სხვა ადგილას. როგორც ხედავთ, საერთო დარბაზი, პატრონის საძილე ოთახი და სამზარეულო ცოტა მოშორებით მდებარეობდა სასტუმროს დანარჩენი ნაწილიდან. ეზოში ორი დიდი ნაგაზი დაძუნძულებდა და მათი ბოხი ყეფა ფხიზელი და მრისხანე მცველების არსებობას იუწყებოდა.

სასტუმროს პატრონმა კარის დაკეტვა დაასრულა. სიჩუმეს მდინარის ზვირთების შხაპუნიღა არღვევდა.

_ რა სიწყნარეა, რა მშვენიერი ღამეა! _ ცისკენ აღაპყრო თვალები ვილჰელმმა.

_ ბატონებო, _ მიმართა მეფაბრიკემ ორ ფრანგს, _ ნება მომეცით, თქვენი ჭანარის დასასველებლად რამდენიმე ბოთლი ღვინო შემოგთავაზოთ თქვენი გამომეტყველება და ჩაცმულობა ამჟღავნებს, რომ, ჩემი არ იყოს, კარგა მანძილი გამოგივლიათ.

ორი მეგობარი დათანხმდა. მასპინძელი სამზარეულოს კარით გავიდა და გასწია სარდაფისაკენ, რაც, უეჭველია, შენობის იმ ნაწილის ქვემოთ იყო მოთავსებული. როდესაც პატრონმა ხუთი დიდად საპატივცემო ბოთლი სუფრაზე დადგა, მისმა ცოლმაც უკანასკნელი კერძი მოიტანა, დიასახლისის თვალი მოავლო დარბაზსა და საჭმელს და როცა დარწმუდნა, სტუმრების ყველა სურვილი დაკმაყოფილებულიაო, სამზარეულოში გავიდა.

ოთხმა კაცმა, _ ვინაიდან სასტუმროს პატრონიც მიიწვიეს, _ ვერ გაიგო, თუ როგორ დაწვა დიასახლისი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა დუმილი შეიჭრებოდა მეინახეთა საუბარში, გაისმოდა ხმამაღალი ხვრინვა, რაც მკვეთრად ჟღერდა დაფაცხატებული ტიხრის მიღმა, სადაც ეძინა დიასახლისს. ამ ხვრინვაზე მეგობრებს ეღიმებოდათ, განსაკუთრებით კი სასტუმროს პატრონს.

შუაღამისას, როცა სუფრაზე დარჩა მხოლოდ ბისკვიტი, ყველი, ჩირი და კარგი ღვინო, ყველანი, უფრო მეტად კი ჭაბუკი ფრანგები, გულგახსნილნი გახდნენ. ახსენეს სამშობლო, სასწავლებელი, ომი. საუბარი გაჩაღდა. პროსპერ მანიანმა ცრემლი მოჰგვარა გამოქცეულ დიდვაჭარს, როდესაც პიკარდული გულწრფელობით, კეთილი და მოსიყვარულე ადამიანის გულუბრყვილობით მოიგონა დედა, ნეტავ რას აკეთებს ახლა, როცა მე აქ, რაინის ნაპირას, ვიმყოფებიო...

_ თვალწინ მიდგას დედაჩემი, _ ამბობდა იგი, _ მწუხრის ლოცვას კითხულობს ძილის წინ! რა თქმა უნდა, მე არ ვავიწყდები და თავის თავს ეკითხება, სად არის ახლა ჩემი პროსპერიო. თუ ქაღალდში მოუგო რამდენიმე სუ თავის მეზობელს, _ დედაშენს, _ ჩაურთო პროსპერმა და იდაყვი გაჰკრა ვილჰელმს, _ ამ ფულს ჩაყრის წითელი თიხის დიდ ყულაბაში, სადაც აგროვებს საჭირო თანხას, ლეშვილში, მის პატარა მამულში შეჭრილი ოცდაათი არპანის მიწის შესაძენად. მიწა კარგი სამოცი ათასი ფრანკი მაინცა ღირს. ეჰ, რა მინევრებია! ოდესმე რომ შემძლებოდა მისი შესყიდვა, მთელს ჩემს სიცოცხლეს ლეშვილში გავატარებდი და არად ჩავაგდებდი პატივმოყვარე მისწრაფებებს. მერე რამდენჯერ უნატრია მამაჩემს ეს ოცდაათი არპანი და მშვენიერი ნაკადული, იქ რომ მიიკლაკნება! რამდენჯერ მითამაშია მის ნაპირას!

_ ბატონო ვალენფერ, ნუთუ თქვენ არ გაგაჩნიათ თქვენი hoc erat in votis? _ შეეკითხა მეფაბრიკეს ვილჰელმი.

_ დიახ, როგორ არა! ბევრი. მათ ასრულებას აღარაფერი მიკლდა, მაგრამ ახლა...

ვალენფერი გაჩუმდა; წინადადება აღარ დაასრულა.

_ მე კი, _ წარმოთქვა მასპინძელმა, რომელსაც სახე ოდნავ შეჟინჟღილებოდა, _ მიწის ერთ ნაკვეთზე ვოცნებობდი მთელი ათი წელი და შარშან, როგორც იყო, ვიყიდე.

ამგვარად საუბრობდნენ. ჩვეულებისამებრ ღვინომ ენა გაუხსნა მათ. ერთმანეთის მიმართ განიმსჭვალნენ კიდეც ნაუცბადევი მეგობრობის გრძნობით, რასაც მაინცდამაინც არ ვიშურებთ მოგზაურობის დროს. ამიტომაც, როცა დასაძინებლად მოემზადნენ, ვილჰელმმა თავისი საწოლი მეფაბრიკეს შესთავაზა.

_ მშვიდად მოისვენეთ ჩემს საწოლზე, მითუმეტეს, რომ მე შემიძლია პროსპერთან დავწვე. ეს არ იქნება არც პირველად და, ალბათ, არც უკანასკნელად. თქვენ ჩვენზე უფროსი ბრძანდებით, ჩვენ კი ვალდებულნი ვართ, პატივისცემით მოვეპყრათ ხანდაზმულობას.

_ მოიცათ, _ წამოიძახა მასპინძელმა, _ ჩემი ცოლის საწოლზე რამდენიმე ლეიბი აგია, ერთი თქვენ დაიგეთ.

იგი ფანჯრის მისახურად გაემართა და ამ კეთილგონიერი მოქმედების განხორციელებისას ხმაური ატეხა.

_ თანახმა ვარ, _ მიუგო დიდვაჭარმა, _ უნდა გამოგიტყდეთ, _ ხმა დაიდაბლა და შეხედა ორ მეგობარს, _ რომ მაგას კიდეც ვნატრობდი. განა რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო, რომ ღამე გავათიო ორ კეთილსა და პატიოსან ყმაწვილთან ერთად, ორ ფრანგ მეომართან! მერედა, ყუთში ასი ათასი ფრანკი ოქრო და ბრილიანტი მიწყვია.

მის გაუფრთხილებელ აღსარებას ორი ახალგაზრდა გულითადი თავშეკავებულობით შეხვდა, რამაც კეთილი გერმანელი დააშოშმინა. სასტუმროს პატრონმა მგზავრებს ლოგინის გაშლა უშველა და როცა ყველაფერი შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა, თვითონაც დასაწოლად გაეშურა.

მეფაბრიკესა და უმცროს ექიმებს თავთავიანთ ბალიშებზე ეცინებოდათ; პროსპერმა საკუთარი და ვილჰელის ქირურგიული იარაღები მუთაქის ნაცვლად თავქვეშ ამოიდო, ხოლო ვალენფერმა, სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, თავისი ყუთი სასთუმალქვეშ დაიდო.

_ ორთავენი ჩვენ-ჩვენს სიმდიდრეზე ვიძინებთ; თქვენ _ თქვენს ოქროზე, მე კი _ ჩემს იარაღებზე. ნეტავ ვიცოდე, ჩემი იარაღები იმდენ ოქროს თუ მაშოვნინებენ, რამდენიც თქვენ შეგიძენიათ?

_ იმედი იქონიეთ, _ უპასუხა ვაჭარმა, _ შრომით და პატიოსნებით ყველაფერს მიაღწევთ. მხოლოდ მოთმინებაა საჭირო.

ვალენფერსა და ვილჰელმს მაშინვე ჩაეძინათ. პროსპერ მანიანს კი თვალზე რული არ ეკარებოდა: იქნებ იმიტომ, რომ მეტისმეტად მაგარ საწოლზე იწვა, ან იქნებ უკიდურესი დაღლილობა არ აძინებდა, ანდა, შესაძლოა, სულიერი განწყობილების საბედისწერო შემოტრიალება იყო ამის მიზეზი. შეუმჩნევლად მისმა ფიქრებმა ბოროტი მიმართულება მიიღო. აეკვიატა ფიქრი იმ ასი ათას ფრანკზე, მეფაბრიკეს რომ ედო თავქვეშ.

პროსპერისთვის ასი ათასი ფრანკი უდიდეს განძს წარმოადგენდა და ეს განძი მის ცხვირწინ იდო. ათასნაირად გამოიყენებდა. ფიქრებმა გაიტაცა; ისევე აგებდა ოცნების კოშკებს, როგორც ყოველი ჩვენთაგანი აგებს მათ, როცა თვლემს და გონება რაღაც გაურკვეველ საგნებს წარმოშობს და როცა ღამის დუმილში აზრი ჯადოსნური ძლიერებით იჭურვება.

აგერ, პროსპერი დედის ყოველ სურვილს ასრულებს; ყიდულობს ოცდაათ არპან მიწას, ცოლად ირთავს ბოვეელ ქალიშვილს, ვიზედაც ფიქრსაც კი ვერ ბედავდა აქამდე ქონებრივი უთანასწორობის შედეგად. ამ თანხით ყოველგვარ ნეტარებას მიიღებს ცხოვრებაში. აი, იგი ოჯახის მამაა, მდიდარი, თავის მხარეში დიდად პატივცემული და ვინ იცის, იქნებ ბოვეს მერიც.

პიკარდიული წარმოდგენა აღეგზნო. ახლა იმაზე იტეხდა თავს, რა ღონე ეხმარა, რათა ფიქცია რეალობად ექცია. არაჩვეულებრივად მგზნებარებით შეუდგა ბოროტმოქმედების თეორიული გეგმის შემუშავებას.

დიდვაჭარმა სული განუტევა. პროსპერი აშკარად ხედავს ოქროსა და ბრილიანტებს. მათი ელვარება თვალს უბნელებს. გულს ბაგაბუგი გააქვს. გაფიქრებაც კი უკვე ბოროტმოქმედებაა. ოქროს გროვით მოჯადოებულს მკვლელის მოსაზრებები თავბრუს ახვევს. თავის თავს ეკითხება, ამ საწყალ გერმანელს ნეტავ რაღად უნდა სიცოცხლეო. თან გაიფიქრა, მაგას ხომ არც არასოდეს უცხოვრიაო. ერთი სიტყვით, ბოროტმოქმედება უნდა ჩაიდინოს და სასჯელსაც გადაურჩეს. რაინის მეორე მხარეს პრუსიელები დაპატრონებიან. ფანჯრებს ქვემოთ ნავია და სწორედ მენავეები გამოსჭრიან ყელს ფაბრიკის პატრონს. გვამს რაინში გადაისვრის. ყუთს აიღებს და ფანჯრიდან გადახტება. პროსპერი იმდენად

შეიპყრო ამ ფიქრებმა, რომ საკუთარი მოხერხებულობის გამოცდა დაიწყო; როგორ გამოიყენებდა ქირურგიულ იარაღებს, თავს მოჭრიდა მსხვერპლს ისე, რომ იგი კრინტის დაძვრასაც ვერ მოასწრებდა.

აქ ბატონმა ტაიფერმა შუბლი მოიწმინდა და ცოტა წყალი კიდევ შესვა.

პროსპერი ნელ-ნელა, ჩუმად ადგა. როცა დარწმუნდა, არავინ გამიღვიძებიაო, ტანთ ჩაიცვა და საერთო დარბაზში გავიდა. შემდეგ იმ საბედისწერო გუმანით, უეცრად რომ ეღვიძებათ ადამიანებს, მძაფრი ალღოთი და მტკიცე ნებისყოფით, რაც გეგმების განხორციელებისას არასოდეს ღალატობს პატიმრებსა და ბოროტმოქმედებს. რკინის ურდული ბუდეებიდან ამოიღო ყოველგვარი ხმაურის გარეშე, კედელთან მიაყუდა და რომ ჭრიალი არ დაეწყო დარაბების სახსრებს დააწვა და ისე გამოაღო. მთვარემ თავისი ფერმკრთალი შუქი შემოანათა და პროსპერმა შეძლო საგნების გარჩევა იმ ოთახში, სადაც ვილჰელმსა და ვალენფერს ეძინათ. ამ წუთას, როგორც შემდეგში მითხრა მან, გული თურმე ისე ძლიერ უცემდა, ისე ღრმად, ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, რომ თავზარი დასცემია, ვაითუ გულგრილად ვეღარ ვიმოქმედოო. ხელები უკანკალებდა, ფეხისგულები ეწვოდა, თითქოს აგიზგიზებულ ნახშირზე უდგასო. მიუხედავად ამისა, განზრახვა ისე ბედნიერად უსრულდებოდა, რომ ეს ქუდბედობა მან განგების მფარველობას მიაწერა. ფანჯარა გამოაღო, მიბრუნდა ოთახში, იარაღების ყუთს დასწვდა, შეარჩია დანაშაულის დასაგვირგვინებლად ყველაზე მეტად შესაფერი იარაღი. საწოლს მივუახლოვდი, _ მითხრა მან, _ და ჩემი თავი ანგარიშმიუცემლად ღმერთს მივანდე. მოუკრებია რაც ძალა და ღონე ჰქონდა და თურმე, როცა ასწია ხელი, შინაგანი ხმა შემოესმა; თითქოს სინათლემაც გაუელვა თვალწინ. თავის საწოლზე დააგდო იარაღი, მეორე ოთახში გავარდა და სარკმელს მიადგა. უღრმესი ზიზღით განიმსჭვალა საკუთარი თავისადმი. ისიც იგრძნო, რომ ნებისყოფა ჯერაც არ განმტკიცებოდა. შეეშინდა, კიდევ არ აჰყოლოდა ცთუნებას, რისი მსხვერპლიც გამხდარიყო. სწრაფად გადახტა გზაზე. გაჰყვა რაინის ნაპირს. სასტუმროს წინ გუშაგივით მიმოდიოდა. აჩქარებული ნაბიჯით ხან ანდერნახამდე ჩადიოდა. იმ ფერდობამდეც კი მიაღწია, საიდანაც მეგობრები სასტუმროსკენ დაეშვნენ. ღამის ისეთი სიჩუმე იყო გამეფებული, ისე ენდობოდა მოდარაჯე ძაღლებს, რომ ღიად დატოვებული ფანჯარა ხშირად ეკარგებოდა თვალთახედვიდან. ცდილობდა ძლიერ დაღლილიყო და ძილი მორეოდა.

დახეტიალობდა მოწმენდილი ცის ქვეშ, შესცქეროდა თვალციმციმა ვარსკვლავებს, სუნთქავდა ღამის კამკამა ჰაერით, უსმენდა მდინარის მელანქოლიურ ჩუხჩუხს და ნელ-

ნელა იძირებოდა ფიქრებში, ემორჩილებოდა კეთილ აზრებს. ბოლოს და ბოლოს, გონებამ მთლად გაჰფანტა უცაბედი თავდავიწყება. აღზრდით მიღებულმა ჩვევებმა, რელიგიურმა რჩევა-დარიგებებმა, განსაკუთრებით კი, განმიმარტა მან, მამისეული სახლის ჭერქვეშ გატარებული უმწიკვლო ცხოვრების მოგონებებმა დაამარცხეს ეს ბოროტი ზრახვანიო.

რაინის პირას დიდ ლოდზე დაყრდნობილი დიდხანს ყოფილა ჩაძირული ღრმა ფიქრებში, შემდეგ გონს მოსულა და როგორც თავად მითხრა, მაშინ შემეძლო დამეძინა კი არა, მედარაჯნა კიდეც ერთი მილიარდი ოქროსთვისო.

და როცა მისი პატიოსნება, ამაყი და ძლიერი, გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდან, იგი აღტყინებული და ბედნიერი მუხლებზე დაემხო, მადლობა შესწირა ღმერთს. იყო მოცული სიხარულით, ლაღი და კმაყოფილი, ვით ზიარების პირველ დღეს, როცა ეგონა ანგელოზთ დავედარეო, რადგან მთელი დღის განმავლობაში არ შეუცოდავს არცა სიტყვითა, არცა საქმითა და არცა აზრითა.

სასტუმროში დაბრუნდა. ფანჯარა გაბედულად მიხურა, რადგან დაჭრიალების აღარ ეშინოდა. მაშინვე ლოგინში ჩაწვა. სულ-ხორცით მოთენთილი მინებდა ძილს. სულ მალე მიეცა ფანტასტური მოჩვენებებით აღვსილ თვლემას, რაც მუდამ წინ უსწრებს ღრმა ძილს. ამ დროს გრძნობები გვიჩლუნგდება, სიცოცხლე თანდათან გვშორდება, აზრი გვეფანტება და აღქმის უკანასკნელი შეფრთხიალება სიზმარი გვგონია.

_ რა მძიმე ჰაერია, _ თავისთვის ჩაილაპარაკა პროსპერმა, _ ასე მგონია ორთქლს ვისუნთქავ.

ბუნდოვნად გაუელვა აზრმა, მინდვრის სუფთა ჰაერის შემდეგ, ალბათ, ოთახის ტემპერატურა ახდენს ჩემზე ასეთ გავლენასო. ცოტაც და რაღაც თანაბარი ხმები შემოესმა, _ ონკანიდან ჩამოსული წყლის წვეთების დაცემას ჰგავდა. შიშისგან თავზარი დაეცა, დააპირა, ავდგები, სასტუმროს პატრონს დავუძახებ. გავაღვიძებ მეფაბრიკეს ან ვილჰელმსო, მაგრამ მაშინვე თავისდა საუბედუროდ, კედლის ხის საათი მოაგონდა, ხმაური ქანქარის მოძრაობას მიამსგავსა და ამ გაურკვეველი, ბუნდოვანი შეგრძნებით შეპყრობილს ჩაეძინა კიდეც.

_ წყალს ხომ არ ინებებ, ბატონო ტაიფერ? _ შეეკითხა მასპინძელი სურსათის მიმწოდებელს, რომელმაც დაუფიქრებლად აიღო სურა.

სურა ცარიელი დახვდა.

ბანკირის შეკითხვით გამოწვეული ხანმოკლე პაუზის შემდეგ ბატონმა ჰერმანმა თხრობა განაგრძო.

მეორე დილას პროსპერ მანიანი ღრიანცელმა გამოაღვიძა. თითქოს საზარელი კივილი ჩაესმა. კვლავ საშინლად აუთრთოლდა ნერვები, რაც მაშინ გვემართება, როცა გამოღვიძებისას ჯერ კიდევ შეპყრობილი ვართ დაძინებისას მიღებული განცდებით. ჩვენში ერთგვარი ფიზიოლოგიური აქტი ხდება; მდაბიო ენით რომ ვთქვათ, შევხტებით ხოლმე. ეს მეცნიერებისათვის საყურადღებო ფენომენი ჯერჯერობით საკმაოდ შესწავლილი არ გახლავთ. ძილში ერთმანეთისგან გათიშული ორი საწყისის შეერთებით აღძრული საზარელი შეშფოთება ადამიანს, ჩვეულებრივ, სწრაფად გაუვლის ხოლმე. საბრალო უმცროს ექიმს კი შეშფოთება უფრო მეტად გაეზარდა, გაუხანგრძლივდა, უკიდურეს, თავზარდამცემ შეძრწუნებად გადაექცა, როდესაც თავის ლეიბსა და ვილჰელმის საწოლს შორის სისხლის ტბას მოჰკრა თვალი. უბედური გერმანელის თავი იატაკზე ეგდო, ხოლო ტანი _ საწოლში. სისხლს ყელიდან ამოეხეთქა.

პროსპერ მანიანმა დაინახა თუ არა დიდვაჭრის ჯერ კიდევ გახელილი, დაჭყეტილი თვალები, საკუთარი ხელები, ზეწრები სისხლში ამოსვრილი, საწოლზე დაყრილი ქირურგიული იარაღები, გული შეუღონდა და ვალენფერის სისხლში ჩაემხო. მან მითხრა, ჩემთვის ეს უკვე იყო დასჯა ბოროტი ზრახვებისთვისო.

როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, საერთო დარბაზში გადაეყვანათ. სკამზე იჯდა, გარს ფრანგი ჯარისკაცები ეხვია. თავზე ვიღაც-ვიღაცეები დასდგომოდნენ და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი დაჟინებით დასცქეროდნენ. პროსპერმა მზერა შეავლო რესპუბლიკის არმიის ოფიცერს, მოწმეთა დაკითხვას რომ აწარმოებდა და, ჩანდა, ოქმს ადგენდა. იცნო სასტუმროს პატრონი, მისი ცოლი, მოახლე, ორი მენავე, ქირურგიული იარაღი, მკვლელს რომ ეხმარა...

ბატონმა ტაიფერმა ჩაახველა, ცხვირსახოცი ამოიღო, მოიწმინდა ცხვირი, შუბლი. ეს საკმაოდ ბუნებრივი მოძრაობა ჩემს მეტს არავის შეუნიშნავს. ყველას ბატონი ჰერმანისთვის მიეპყრო თვალი და ყველა ხარბად უსმენდა მას. ტაიფერი მაგიდას იდაყვით დაეყრდნო, თავი მარჯვენა ხელს დაანდო და მთხრობელს მიაშტერდა. ამის შემდეგ მის მოქმედებას აღელვების ნატამალიც არ დასტყობია: არც განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებდა. მხოლოდ დაფიქრებული იჯდა და სახეზე ისევე მიწისფერი ედო, როგორც მაშინ, როცა სურის საცობს ათამაშებდა ხელში.

მკვლელის იარაღი პროსპერის ქირურგიულ ყუთთან, პორტფელთან და დოკუმენტებთან ერთად მაგიდაზე იდო. დამსწრე საზოგადოება თვალს არ აცილებდა ნივთიერ საბუთებსა და სიკვდილის პირას მისულ ყმაწვილ კაცს, რომელსაც თითქოს

თვალის ჩინი დაშრეტოდა. ქუჩიდან გაურკვეველი გუგუნი მოისმოდა; ალბათ, ბოროტმოქმედების ამბავს მოეზიდა ბრბო სატუმროს წინ. შესაძლოა, მკვლელის დანახვის სურვილსაც. დარბაზის ფანჯრების ქვემოთ დაყენებული გუშაგთა ნაბიჯები, მათი თოფების ჩხაკაჩხუკი ხალხის ქოთქოთს ფარავდა. კარიბჭეგადარაზული ეზო დუმილს მოეცვა.

პროსპერ მანიანმა თვალი ვერ გაუსწორა ოფიცერს, რომელსაც დაკითხვა მიჰყავდა. უცბად იგრძნო, ხელზე ვიღაცამ მოუჭირა ხელი. თვალი აახილა, ნეტავ ამ მტრულად განწყობილ საზოგადოებაში ჩემზე გული ვისღა შესტკივნიაო. ფორმაზე მიხვდა, ანდერნახში დაბანაკებული ნახევარბრიგადის მთავარი ქირურგი იქნებაო. მაგრამ მის მფარველს ისეთი გამჭვალავი, ისე მკაცრი გამოხედვა ჰქონდა, რომ საბრალო ბიჭს ააკანკალა და თავი სკამის ზურგზე გადაუვარდა. ჯარისკაცმა ძმარი აყნოსა. პროსპერი უმალვე მოსულიერდა. ქირურგმა შენიშნა, დაბნეულ მზერაში სიცოცხლისა და გონიერების ნიშანწყალიც კი არ მოჩანდა და მაჯა გაუსინჯა. შემდეგ ოფიცრებს განუცხადა:

_ კაპიტანო, ამ კაცის დაკითხვა ამჟამად შეუძლებელია...

_ კარგი წაიყვანეთ, _ სიტყვა გააწყვეტინა ქირურგს კაპიტანმა და თავის ზურგსუკან მდგომ კაპრალს უბრძანა.

_ ბილწო მშიშარავ! _ ჩურჩულით უთხრა ჯარისკაცმა პროსპერს, _ ეცადე მხნედ მაინც გაიარო წყეული გერმანელების წინ, ნუ არცხვენ რესპუბლიკას.

ჯარისკაცის სიტყვებმა პროსპერ მანიანი გამოაფხიზლა; წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ, როცა გაღებულ კარში სუფთა ჰაერმა დაუბერა, გარედან შემოსულ ხალხს შეხედა, ძალა წაერთვა, მუხლთ მოეკვეთა და წაბარბაცდა.

_ ორგზის სიკვდილის ღირსია ეს ოხერი ექიმბაში! ჰა, გადადგი ფეხი, _ ჩასჩიჩინებდა პროსპერს ორი ჯარისკაცი, რომლებიც მხარში ამოუდგნენ, რომ არ დაცემულიყო.

_ ოჰ, აი, ის უსინდისო! ზნედაცემული! ის არის! აგერ ის! აი, ის!

პროსპერს ეჩვენებოდა, სიტყვებს წარმოთქვამდა მხოლოდ ერთი ხმა: ეს ხმა აღმოხდა მშფოთვარე ბრბოს, რომელიც მას წყევლა-კრულვით აცილებდა და რომლის რიცხვიც ყოველ ნაბიჯზე იზრდებოდა. სასტუმროდან ციხეში გადაყვანისას ბრბოსა და ჯარისკაცების ფეხთა ტყაპუნი, ხალხის ზუზუნი, ცის სილაჟვარდე, ჰაერის სიგრილე, ანდერნახის მიდამოები, რაინის ლიკლიკი უმცროსი ექიმის სულში ქმნიდნენ

შთაბეჭდილებას, იმ გრძნობების მსგავსს, რასაც იგი გამოღვიძების შემდეგ განიცდიდა. პროსპერი მეუბნებოდა, ხანდახან ისე მეგონა, თითქოს აღარც კი ვარსებობდიო.

იმ ხანებში მე ციხეში ვიჯექი, _ შეწყვიტა ამბავი ჰერმანმა, _ როგორც მოგეხსენებათ ოცი წლისანი ყველანი ენთუზიასტები ვართ და ჩემი ოცნება გახლდათ, დამეცვა სამშობლო. ანდერნახის მიდამოებში თავი მოვუყარე თავისუფალ რაზმეულს და სათავეში ჩავუდგები კიდეც. რამდენიმე დღის წინათ, სანამ პროსპერს დააპატიმრებდნენ, ღამით, რვაასი კაცისგან შემდგარ ფრანგულ ნაწილს ხელში ჩავუვარდი.

ანდერნახის ციხეში ჩამაგდეს. ხალხის დასაშინებლად დახვრეტას მიპირებდნენ. ფრანგები ცდილობდნენ რეპრესიებისთვის მიემართათ, მაგრამ მკვლელობა, რისი ჯავრიც რესპუბლიკელებს ჩემზე უნდა ეყარათ, კურფიუსტის სამფლობელოში არ იყო ჩადენილი. მამაჩემმა სასჯელის სისრულეში მოყვანა სამი დღით გადაადებინა, რათა გენერალ ოჟეროს ხლებოდა და ჩემი შეწყალება ეთხოვა მისთვის. მიზანს მიაღწია.

ასე გახლდათ, მე ვნახე პროსპერ მანიანი მაშინ, როცა იგი ანდერნახის ციხეში შემოიყვანეს. ძალიან შემეცოდა. თუმცა აღარც ადამიანის ფერი ედო, მისუსტებულიც იყო, სისხლში ამოსვრილიც, მაინც ისეთი გულწრფელი და უბიწო გამომეტყველება შევნიშნე სახეზე, რომ საშინლად ავღელდი. მის გრძელ, ქერა თმაში, მის ლურჯ თვალებში გერმანიის სუნთქვა შევიგრძენი. ყმაწვილი ჭეშმარიტი სურათი გახლდათ ჩემი ღონემიხდილი სამშობლოსი; იგი მსხვერპლი იყო და არა მკვლელი.

ჩემი სარკმლის ქვეშ რომ გაატარეს, მწარედ და მელანქოლიურად გაიღიმა, როგორც გიჟმა, რომელსაც უეცრად გაუელვა გონების სხივმა. ეს ღიმილი, რა თქმა უნდა, არ იყო მკვლელის ღიმილი. ჩემთან შემოსულ მედილეგეს ახალი პატიმრის ამბავი ვკითხე.

_ რაც საკანში შეიყვანეს, კრინტიც არ დაუძრავს. ზის, ხელებში თავჩარგული. ან ძინავს, ან ფიქრობს. ფრანგებს თუ დაეჯერებათ, განაჩენს ხვალ დილასვე გამოუტანენ, ხოლო ოცდაოთხ საათში დახვრეტენ.

საღამოს, ციხის ეზოში სასეირნოდ განკუთვნილი მოკლე დრო მისი სარკმლის ქვეშ გავატარე. საუბარი გავაბით. მან მიამიტად მიამბო თავისი თავგადასავალი. შეკითხვებზე საკმაოდ ზუსტი პასუხები მომცა. პირველივე საუბრის შემდეგ მის უდანაშაულობაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. ვითხოვე, ნება მომეცით, რამდენიმე საათი გავატარო მასთან ერთად-მეთქი. ნება დამრთეს.

ამრიგად, რამდენჯერმე შევხვდი მას და საწყალმა ბავშვმა გულის ნადები გადამიშალა. თავს უცოდველადაც თვლიდა და დამნაშავედაც. იგონებდა, რა საშინელი

ცთუნების დაძლევა მოუხდა. შიშობდა, ვაითუ ძილში, ან სამთვარიოდ შეპყრობილმა ჩავიდინე ბოროტმოქმედება. რაზედაც დაძინებამდე, ცხადლივ ვოცნებობდიო.

_ თქვენი მეგობარი _ შევეკითხე პროსპერს.

_ ოჰ, _ მგზნებარედ შესძახა მან, _ ვილჰელმს არ შეეძლო... _ სიტყვის დასრულებაც კი ვერ შეძლო. ამ ჭაბუკური, სათნოებით აღსავსე აღშფოთების გამო ხელი ჩამოვართვი პროსპერს. _ როცა გამოეღვიძა, ალბათ, შეძრწუნდა, თავგზა აებნა და გაიქცა.

_ და თქვენ არ გაგაღვიძათ? _ წარმოვთქვი მე, _ თუკი ფულის ყუთი არავის მოუპარავს, თქვენი დაცვა იოლია.

მან ერთბაშად ცრემლი გადმოაფრქვია.

_ დიახ, მე უდანაშაულო ვარ, _ შეჰყვირა პროსპერმა, _ არ მომიკლავს. ახლა სიზმარიც გამახსენდა. ჩემს კოლეჟელ ამხანაგებთან დაჭერობანას ვთამაშობდი. აბა, როგორ მოვჭრიდი კაცს თავს, თუკი სიზმარში ვხედავდი, რომ დაჭერობანას ვთამაშობდი.

ხანდახან იმედის შუქი ცოტაოდენ სიმშვიდეს უბრუნებდა და სულ მალე კვლავ სინდისის ქენჯნა ეუფლებოდა. დიაღაც, აღმართა ხელი მეფაბრიკის თავის მოსაკვეთად. საკუთარ თავს ბრალსა სდებდა და გული, სპეტაკი გული, ვეღარ ეპოვნა, რამეთუ გონებით მაინც ჩაიდინა ბოროტმოქმედება.

_ მერედა, რა კეთილი გული მაქვს! _ გმინავდა იგი, _ ოჰ, ჩემო საცოდავო დედავ! ვინ იცის, იქნებ ახლა თავის პაწია ხალიჩებთან სასტუმრო ოთახში მეზობლებთან იმპერიალს მხიარულად თამაშობს. ყურიც რომ მოჰკრას, მე მარტოოდენ ხელი აღვმართე კაცის მოსაკლავად... ოჰ, მაშინვე სულს განუტევებს! მე კი ციხეში ვზივარ და მკვლელობა მედება ბრალად. და თუ მეფაბრიკე არ მომიკლავს, დედაჩემს მოვკლავ, უდავოა.

ამ სიტყვებზე იგი აღარ ატირებულა, მაგრამ პიკარდიელებისათვის დამახასიათებელი ხანმოკლე და მძაფრი მრისხანებით შეპყრობილი კედელთან მიიჭრა და რომ არ შემეჩერებინა, თავს გაიხეთქავდა.

_ დაუცადეთ სასამართლოს, _ ვაშოშმინებდი მას, _ გაგამართლებენ. თქვენ ხომ უდანაშაულო ხართ, და დედათქვენი...

_ დედაჩემი... _ წამოიყვირა მან, _ დედაჩემს, უპირველეს ყოვლისა, ჩემს ბრალდებას შეატყობინებენ. პატარა ქალაქებში ასე იციან. საბრალო ქალი დარდით მოკვდება. თანაც მე ხომ უდანაშაულო არა ვარ, გსურთ გაიგოთ მთელი სიმართლე? ვგრძნობ, დავკარგე სინდისის სისპეტაკე.

წარმოთქვა ეს საზარელი სიტყვები, მერე ჩამოჯდა, გულხელი დაიკრიბა, თავი დახარა და იატაკს პირქუშად დააშტერდა. ამ დროს მედილეგე შემოვიდა და მთხოვა საკანში დავბრუნებულიყავი. უსაზღვრო სასოწარკვეთილებით შეპყრობილი ამხანაგის მიტოვებამ გული დამწყვიტა, ძმურად გადავეხვიე და ვუთხარი:

_ მოითმინეთ, იქნებ ყველაფერი კეთილად დასრულდეს. თუკი პატიოსან ადამიანს შეუძლია დაგიყუჩოთ სინდისის ქენჯნა, გწამდეთ, რომ პატივისცემის გრძნობითა ვარ თქვენს მიმართ გამსჭვალული და მიყვარხართ კიდეც. მეგობრად მიგულეთ და ჰპოვეთ ჩემს გულში სიმშვიდე, თუ საკუთარ გულში ვერ გიპოვნიათ იგი.

მეორე დღეს, ცხრა საათზე, კაპრალი და ოთხი ჯარისკაცი უმცროსი ექიმის წასაყვანად გამოცხადდნენ. ჯარისკაცების ხმაურზე სარკმელთან მივედი. ახალგაზრდა კაცი ეზოში გამოვიდა და ჩემი საკნისკენ გამოიხედა. არასოდეს დამავიწყდება მისი მწუხარებითა და წინაგრძნობით გამსჭვალული, ბედს დამორჩილებული მზერა, მომხიბვლელად სევდიანი და მელანქოლიური. ეს გახლდათ მდუმარე და მრავლისმეყტველი ანდერძი ადამიანისა, თავის დაღუპულ სიცოცხლეს რომ გადასცემს უკანასკნელ მეგობარს. ალბათ, მეტად მძიმე იყო ეს ღამე პროსპერისთვს; ალბათ, მწარედ განიცდიდა მარტოობას. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მისი პირისახის სიფერმკრთალე, საკუთარი თავისადმი ახლად აღმოცენებული პატივისცემის გრძნობისგან წარმოშობილი, სტოიციზმის დამადასტურებელი იყო ჭაბუკისა. იქნებ განიწმინდა იგი სინდისის ქენჯნით და გადაწყვიტა ტანჯვითა და თავის შერცხვენით ჩამოერეცხა დანაშაული თვისი. მიდიოდა მტკიცე ნაბიჯით. შემთხვევით მოცხობილი სისხლის ლაქები დილითვე მოეშორებინა ხელებიდან.

_ ხელები, ძილში, საბედისწეროდ სისხლში ამომსვრია, რადგანაც ძალიან ვბორგავ ხოლმე, _ განწირული ხმით მითხრა მან წინა დღეს.

გავიგე, სამხედრო ტრიბუნალში მიჰყავდათ იგი. დივიზია მეორე დღეს უნდა დაძრულიყო ადგილიდან და ნახევარბრიგადის მეთაურს არ სურდა ისე დაეტოვებინა ანდერნახი, რომ არ დაესაჯა დამნაშავე იქ, სადაც დანაშაული ჩაიდინა... სანამ სამხედრო საბჭო მიმდინარეობდა, ჩემს ღელვას საზღვარი არა ჰქონდა.

ნაშუადღევს პროსპერ მანიანი ციხეში დააბრუნეს. სწორედ ამ დროს გამოვყავდით სასეირნოდ. მან თვალი მომკრა, მომიახლოვდა და გულში ჩამეკონა.

_ დავიღუპე, _ მითხრა პროსპერმა, _ საბოლოოდ დავიღუპე! აქ ყველა მკვლელად ჩამთვლის.

თავი ამაყად ასწია ზევით.

_ ამ უსამართლობამ დამიბრუნა ჩემი სრული უდანაშაულობის გრძნობა. მთელი სიცოცხლე ტანჯვაში უნდა გამეტარებინა. სიკვდილი კი უებარი იქნება ჩემთვის. მაგრამ არსებობს კი მომავალი ცხოვრება?

ამ უეცრად წამოჭრილ კითხვაში მთელი მეთვრამეტე საუკუნე გამომჟღავნდა.

იგი ჩაფიქრდა.

_ ბოლოს და ბოლოს, რა გკითხეს? _ მივმართე მას, _ ან რა უპასუხეთ? ხომ არ გადაუშალეთ ყველაფერი ისევე გულუბრყვილოდ, როგორც მე მომიყევით?

ერთხანს დამაშტერდა; შემაძრწუნებელი დუმილის შემდეგ ციებცხელებიანივით, სხაპასხუპით მომიგო:

_ ჯერ შემეკითხნენ, ღამით სასტუმროდან ხომ არ გამოსულხართო? მე ვუპასუხე, დიახ-მეთქი. საიდან გამოხვედითო? გავწითლდი და ვუთხარი, ფანჯრიდან. მაშ, თქვენ ფანჯარა გააღეთო? დიახ, ვუპასუხე. ძალიან ფრთხილად კი მოქცეულხართ, სასტუმროს პატრონს არაფერი გაუგონიაო. თავზარი დამეცა. მენავეებმა განაცხადეს, რომ დაინახეს, როგორ მივეშურებოდი ხან ანდერნახისკენ, ხან ტყისკენ. ბევრჯერ წავიდ-წამოვიდაო, თქვეს, მიწაში თუ ჩაფლა ოქრო და ბრილიანტებიო. თანაც, ვერც მეფაბრიკის ყუთი უპოვნიათ. ამასთან მეც სულ საკუთარ სინდისს ვებრძოდი. ხმის ამოღებას დავაპირებდი თუ არა, შენ დანაშაულის ჩადენა გსურდაო, ჩამძახოდა ულმობელი ხმა. ყოველივე ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა, თვით მეც კი... ახლა ამხანაგზე ჩამომიგდეს სიტყვა. სრულიად ავუკრძალე მასზე ლაპარაკი. მაშინ მითხრეს, დამნაშავე უნდა მოიძებნოს თქვენს, თქვენს ამხანაგსა, სასტუმროს პატრონსა და მის ცოლს შორის. ამ დილას ყველა ფანჯარა და კარი დაკეტილი აღმოჩნდაო. ხმა ჩამიწყდა, ძალა წამერთვა, ძლივსღა ვღაფავდი სულს. თანაც მეგობრისა საკუთარ თავზე მეტადა მწამდა და ბრალს ხომ ვერ დავდებდი. მივხვდი, მკვლელობის თანამოზიარეებად გვთვლიდნენ და მე, ჩემს მეგობარზე მოუხერხებლად მივაჩნდი. გადავწვიტე სამთვარეო სენით ამეხსნა დანაშაული და მეგობარი გამემართლებინა. რაღაცას ვჩმახავდი. დავიღუპე. მოსამართლეების თვალებში განაჩენი ამოვიკითხე. ისიც კი ვერ შეძლეს, უნდობლობის გამომხატველი ღიმილი არ გამოეჩინათ. ყველაფერი გათავდა. ხვალ დამხვრეტენ. ჩემს თავზე სულაც არ ვნაღვლობ. დედაჩემის ჯავრი მკლავს!

პროსპერი შეჩერდა. თვალი ცისკენ აღაპყრო. ცრემლი არ გადმოსცვივდა. ცრემლი გაშრობოდა და ქუთუთოები ძლიერად უთრთოდა.

_ ფრედერიკ!..

_ ჰო, მართლა, მეორეს ფრედერიკი ერქვა, ფრედერიკი! დიახ, სწორედ ეს იყო მისი სახელი! _ გამარჯვებული სახით შეჰყვირა ბატონმა ჰერმანმა.

მეზობელმა ქალმა ფეხი გამკრა და ტაიფერზე მანიშნა.

სურსათის ყოფილ მომწოდებელს, ვითომდაც არაფერიაო, თვალებზე აეფარებინა ხელი; მაგრამ ჩვენ თითქოს შევნიშნეთ, რომ თითებს შორის მისი თვალები პირქუშ ცეცხლს აფრქვევდნენ.

_ რა იქნება, ჩამჩურჩულა ქალმა, _ მაგას ფრედერიკი რომ ერქვას.

პასუხის ნაცვლად თვალით ვანიშნე: «სიჩუმე!»

ჰერმანმა განაგრძო:

_ ფრედერიკმა, _ წამოიძახა უმცროსმა ექიმმა, _ უსინდისოდ მიმატოვა. ალბათ, შეეშინდა. შესაძლებელია, სასტუმროში დაიმალა კიდეც. ჩვენი ცხენები ხომ ეზოში იყვნენ იმ დილას. რა მიუწვდომელი საიდუმლოებაა! _ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დასძინა მან, _ სამთვარიო, სამთვარიო! ჩემს სიცოცხლეში ერთხელ მომიარა ამ სენმა და ისიც ექვსი წლის რომ ვიყავი მაშინ. წავალ აქედან, _ განაგრძო მან და მიწას დაჰკრა ფეხი, _ წავიღებ კი თან ყველაფერს იმას, რასაც მეგობრობა მოგვიძღვნის ამქვეყნად? მეორედ მოვკვდები, თუ საეჭვოდ გამიხდება ძმობა, რაც ხუთი წლის ასაკიდან დაიწყო, გაგრძელდა კოლეჯში, ინსტიტუტში. სად არის ფრედერიკი?..

პროსპერი ატირდა. როგორც ხედავთ, ადამიანისთვის გრძნობა სიცოცხლეზე მეტად ძვირფასია.

_ წამო, _ შევიდეთ საკანში, _ მომმართა მან, _ იქ მირჩევნია ყოფნა. არ მინდა ვინმემ დაინახოს, რომ ვტირი. სიკვდილს ვაჟკაცურად შევხვდები, მაგრამ უდროო დროს გმირობა არ ძალმიძს და თანაც, უნდა გამოგიტყდეთ, ჩემი სიჭაბუკე და ლამაზი სიცოცხლე მენანება. წუხელ თვალი არ მომიხუჭავს. ბავშვობის სურათები მელანდებოდა. დავინახე, როგორ დავრბოდი იმ ველებზე, რომელთა მოგონებებმაც, იქნებ, დამღუპა კიდეც. მომავალი მქონდა წინ გაშლილი, _ შეწყვიტა მან თავისი მოგონებები, _ ახლა კი... თორმეტი ჯარისკაცი... უმცროსი ლეიტენანტი ბრძანებს: «თოფი მხარზე, დაუმიზნეთ, ცეცხლი!» დოლები ახარხარდება და სამარცხვინო დასასრული!.. ესეც ჩემი მომავალი, ახლა! ოჰ! ალბათ, არსებობს ღმერთი, თორემ უამისოდ ხომ ყოველივე ეს უდიდესი სისულელე იქნებოდა.

იგი გადამეხვია და ღონივრად ჩამეხუტა.

_ ოჰ, თქვენ უკანასკნელი ადამიანი ხართ, ვისაც შემიძლია გადავუშალო გული. თქვენ გაგათავისუფლებენ! ნახავთ თქვენს დედას! არ ვიცი ღარიბი ხართ თუ მდიდარი, მაგრამ ეგ სულერთია. თქვენ ჩემთვის მთელი ქვეყანა ხართ. სულ ხომ ომი არ იქნება. იცით, რა! როცა მშვიდობა ჩამოვარდება, ბოვეში წადით. თუკი დედაჩემი გადაურჩება ჩემი სიკვდილის საბედისწერო ამბავს ინახულეთ იგი და უთხარით ეს დამამშვიდებელი სიტყვები: იგი უდანაშაულო იყო! დედა დაგიჯერებთ, _ განაგრძო პროსპერმა, _ წერილსაც მივწერ, მაგრამ თქვენ ჩემს უკანასკნელ მზერას მიუტანთ. ეტყვით, რომ თქვენ იყავით უკანასკნელი ადამიანი, ვისაც მე გადავეხვიე. ოჰ! როგორ შეგიყვარებთ საცოდავი დედაკაცი თქვენ, ჩემს უკანასკნელ მეგობარს!

მოგონებათა ტვირთით გათანგული ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე განაგრძო: _ აქ, მეთაურებიც და ჯარისკაცებიც ჩემთვის უცნობნი არიან. ყველას შიშს ვუნერგავ. თქვენ რომ არ შეგხვედროდით, ჩემი უდანაშაულობა საიდუმლოდ დარჩებოდა ჩემსა და ზეცას შორის.

შევფიცე, რომ უკანასკნელ სურვილს პირნათლად შევუსრულებდი. ჩემმა სიტყვებმა, გულითადმა მოპყრობამ ჭაბუკი მეტად ააღელვა.

მალე ჯარისკაცები მოვიდნენ და პროსპერი კვლავ სამხედრო ტრიბუნალში წაიყვანეს. მას დახვრეტა მიუსაჯეს.

არ ვიცი ამ განაჩენის გამოტანისას რა ფორმალობას იცავდნენ, არც ის ვიცი, ახალგაზრდა ქირურგმა თავის დასაცავად ყველა კანონი თუ გამოიყენა. მხოლოდ ის იცოდა, მეორე დღეს დასახვრეტად რომ უნდა წაეყვანათ და მთელი ღამე დედასთან წერილის წერაში გაათია.

_ ორივე გავთავისუფლდით, _ მითხრა მან ღიმილით, _ გავიგე, გენერალს თქვენი შეწყალებისთვის ხელი მოუწერია.

დადუმებული შევცქეროდი ჭაბუკს, რათა ჩემს მეხსიერებაში მისი სახის ნაკვთები კარგად აღბეჭდილიყო. ერთბაშად სახეზე ზიზღი გამოეხატა და წარმოთქვა:

_ რა საცოდავი მშიშარა ვიყავი! მთელი ღამე პატიებას ვთხოვდი ამ კედელს, _ და მან საკნის კედელზე მიმითითა, _ დიახ, დიახ, სასოწარკვეთილებისგან ვღმუოდი, გულისწყრომას გამოვთქვამდი. გადავიტანე უსაშინელესი ზნეობრივი აგონია. მაშინ მარტო ვიყავი! ახლა კი ვფიქრობ, თუ რას იტყვიან სხვები... მხნეობა სამოსია, რაც უნდა გადავიცვა ახლა. საკადრისად უნდა შევხვდე სიკვდილს... ამიტომ...

ორი სამართალი

_ ოჰ, ნუ დაასრულებთ! _ ნიურემბერგელს სიტყვა გააწყვეტინა იმ ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც თავდაპირველად სთხოვა, გვიამბეთ რამეო. _ არ მსურს ვიცოდე, რა მოხდა ბოლოს. ჯობს მეგონოს, რომ იგი გადარჩა. ახლა რომ მითხრათ, დახვრიტესო, ამაღამ არ დამეძინება. დანარჩენს ხვალ მეტყვით.

სუფრიდან ავიშალეთ. ჩემს გვერდით მჯდომმა ქალბატონმა ბატონ ჰერმანს მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა:

_ იგი დახვრიტეს, ხომ?

_ დიახ, მე დავესწარი კიდეც მის დასჯას.

_ ნუთუ, ბატონო, _ წარმოთქვა ქალმა, _ ვერ შესძელით...

_ თვითონ მოისურვა, ქალბატონო,, ვერ წარმოიდგენთ. რა საშინელებაა მიჰყვებოდე ცოცხალი ადამიანის გასვენებას. თანაც იმ ადამიანისა, რომელიც გიყვარს და იცი, რომ უდანაშაულოდ დაიღუპა. საწყალ ბიჭს თვალი არ მოუშორებია ჩემთვის. გეგონებოდათ, მხოლოდ ჩემშიღა ცოცხლობდა. მე მინდაო, მეუბნებოდა, ჩემი უკანასკნელი ამოსუნთქვა დედაჩემს წაუღოთო.

_ მერე, ინახულეთ დედამისი?

_ ამიენის ზავის დადების შემდეგ საფრანგეთში ჩავედი, რათა მისთვის მეთქვა ეს მშვენიერი სიტყვები: «იგი უდანაშაულო იყო». რელიგიური სასოებით ვეწვიე იმ წმიდა ადგილს, მაგრამ ქალბატონი მანიანი მწუხარებისგან გარდაცვლილიყო. მისთვის ჩამოტანილი წერილი ღრმა სასოებით დავწვი. თქვენ, ალბათ, გაგეცინებათ ჩემს გერმანულ მგრძნობიარობაზე, მაგრამ მე უდიადესი მწუხარებით მოცულ დრამად მივიჩნევ იმ სამარადისო საიდუმლოებას, რის წიაღშიც ჩაიმარხა ერთი სამარიდან მეორეში გადაგზავნილი გამომშვიდობება და რაც არაოდეს სულიერ ქმნილებათა სმენას არ მისწვდება ისევე, როგორც ყვირილი უდაბნოში გზააბნეული მგზავრისა, ვისაც უცბად თავს დაესხა ლომი.

_ ახლა თქვენ ამ დარბაზში რომელიმე სტუმრის წინ რომ დაგაყენონ და გითხრან, აი, მკვლელიო, ხომ არ იქნება ეს მეორე დრამა? _ შეკითხვით სიტყვა გავაწყვეტინე ბატონ ჰერმანს, _ მაშინ რაღას იტყოდით?

ბატონმა ჰერმანმა ქუდი აიღო და სახლიდან გავიდა.

_ პატარა ბიჭივით თავქარიანად იქცევით, _ მომმართა მეზობელმა ქალმა, _ აბა, შეხედეთ ტაიფერს! აგერ იქ! სავარძელში, ბუხრის კუთხესთან მადმუაზელ ფანი ფინჯნით ყავას აწვდის. ტაიფერი იღიმება. ამ ამბის მოსმენა მკვლელს ხომ ნამდვილ წამებას განაცდევინებდა და განა ეგრე მშვიდად იჯდებოდა? შეხედეთ, ხომ ნამდვილი პატრიარქალური გამომეტყველება აქვს?

_ დიახ, მაგრამ ერთი შეეკითხეთ, გერმანიაში ხომ არ უომნია? _ წამოვიყვირე მე.

_ ვითომ რატომ არ შევეკითხები?

და იმ გამბედაობით, რაც იშვიათად ღალატობს ქალს, თუკი იგი საქმით დაინტერესდება და მის გონებას ცნობისმოყვარეობა დაეუფლება, ჩემი მეზობელი სურსათის მიმწოდებელს მიუახლოვდა.

_ თქვენ ოდესმე ყოფილხართ გერმანიაში? _ შეეკითხა იგი ტაიფერს.

ტაიფერს, ცოტა გაწყდა, ლამბაქი არ გაუვარდა ხელიდან.

_ მე, ქალბატონო? არა, არასოდეს...

_ რას ამბობ, ტაიფერ? _ შეაწყვეტინა მას ბანკირმა, _ განა ვაგრამის კამპანიის დროს შენ არ აწვდიდი ჯარს სურსათს?

_ ჰო, როგორ არა! _ მიუგო ტაიფერმა, _ მართლა, მაშინ კი ვიყავი.

_ სცდებით, ეს კეთილი ბერიკაცია, _ მითხრა მეზობელმა ქალმა, როცა ჩემთან დაბრუნდა.

_ მაშ, კარგი! _ წამოვიძახე, _ სანამ ეს საღამო დასრულდებოდეს, მე გამოვაძევებ მკვლელს იმ წუმპედან, სადაც იგი ჩამძვრალა.

დღენიადაგ ჩვენს თვალთა წინ ხდება განსაცვიფრებელი სიღრმის მორალური მოვლენები, მაგრამ ისინი, ამავე დროს, იმდენად უბრალონი არიან, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ერთ სალონში ორი კაცი თუ ერთმანეთს შეხვდა, და ერთ მათგანს უფლება აქვს ეზიზღებდოდეს ან სძულდეს მეორე, რამეთუ გაგებული აქვს საიდუმლოებით მოცული, რაღაც სამარცხვინო ინტიმური და ფარული ქმედება მისი, აპირებს შურიც კი იძიოს ამ ადამიანზე; ეს ორი ადამიანი ერთმანეთს იცნობს და ითვალისწინებს იმ უფსკრულსაც, რაც მათ ამჟამად სთიშავს ან მომავალში გათიშავს. ისინი უნებლიედ უთვალთვალებენ ერთმანეთს, უკვირდებიან მათ გამოხედვასა და მიხვრა-მოხვრაში გამოსჭვივის მათი ფიქრთა გამოუცნობი ემანაცია და თითქოს ანდამატით არიან აღჭურვილნიო, ისე ელტვიან ერთურთს. არ ვიცი, რა უფრო ძლიერად იზიდავს: შურისძიება თუ ბოროტმოქმედება,

სიძულვილი თუ შეურაცხყოფა. ვითარცა მღვდელი, ზვარაკი რომ ვერ შეუწირავს ბოროტი სულის თანდასწრებით, ასევე შებორკილი არიან ორთავენი, ერთმანეთში დაეჭვებულნი. ვერ გეტყვით რომელი, მაგრამ ერთი თავაზიანია, მეორე პირქუში: ერთი წითლდება ან ფითრდება, მეორე კანკალებს. ხშირად შურისმაძიებელი ისევე მშიშარაა, როგორც თვით მსხვერპლი. ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისაც ჰყოფნის ვაჟკაცობა ბოროტების ჩასადენად, თუნდაც საჭირო იყოს იგი. ბევრი აყალმაყალისა თუ ტრაგიკული დასასრულის შიშით დუმს ან მიუტევებს ცოდვებს. ჩვენი სულისა და გრძნობათა ერთმანეთში შეჭრის შედეგად ჩემსა და სურსათის მიმწოდებელს შორის იდუმალი ბრძოლა გაჩაღდა. მას შემდეგ, რაც პირველად მივმართე ტაიფერს, ბატონი ჰერმანის თხრობის დროს, იგი სულ თვალს მარიდებს. შესაძლებელია, ასევე არიდებდა პირს ყველა სტუმარს; ბანკირის ასულს, ცხოვრებაგამოუცდელ ფანის ესაუბრებოდა მხოლოდ. ალბათ, მასაც, როგორც ყველა ბოროტმოქმედს, სურდა სულის სიმშვიდე უმანკო ქმნილების გვერდით ეპოვნა. თუმც შორს ვიჯექი, მაინც ყურს ვუგდებდი და ჩემი გამჭვალავი მზერა მას თილისმასავით ბოჭავდა. ხანდახან, როცა ეგონა, აღარ მიყურებსო, თვალთვალს მიწყებდა, მაგრამ წამსვე თვალს ვაგებებდი და იგი მაშინვე ქუთუთოებს ძირსა ხრიდა. ამგვარი წამებისაგან დაქანცული წამოდგა და ბანქოს სათამაშოდ ჩაჯდა. მის მოწინააღმდეგეს წილში შევუდექი და ერთი სული მქონდა ჩვენ წაგვეგო. სურვილი ამისრულდა. პარტნიორი ადგა. მისი ადგილი დავიჭირე და მკვლელის პირდაპირ აღმოვჩნდი...

_ ბატონო, _ მივმართე მას, როცა იგი ქაღალდს არიგებდა, _ იქნებ კეთილ ინებოთ და ანგარიში აურიოთ.

მან სასწრაფოდ გადაიტანა თავისი ჟეტონები მარცხნიდან მარჯვნივ ჩემი მეზობელი ქალის გვერდით დამიდგა და მე მას მრავალმნიშვნელოვნად გადავხედე.

ბოდიში, თქვენა ბრძანდებით, _ შევეკითხე სურსათის მიმწოდებელს, _ ბატონ ფრედერიკ ტაიფერი, რომლის ოჯახსაც მე კარგად ვიცნობდი ბოვეში?

_ დიახ, ბატონო, _ მომიგო მან.

ქაღალდები ხელიდან გასცვივდა, გაფითრდა, ხელები თავზე მიიდო, პარტნიორს სთხოვა თამაში გაეგრძელებინა და ადგა.

_ როგორ ცხელა აქ!.. _ შეჰყვირა მან, _ მეშინია...

სიტყვა არ დაასრულა. ერთბაშად სახე საშინლად დაემანჭა და მაშინვე ოთახიდან გავიდა. მას გაჰყვა მასპინძელი, აშკარად შეწუხებული ტაიფერის ცუდადმყოფობის გამო.

ჩემმა მეზობელმა ქალმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ. რა შევნიშნე რომ იცოდეთ, ტაიფერს მძიმე სევდის ჩრდილი მოჰფენოდა სახეზე. თამაში წავაგე და მაგიდას მოვცილდი. ქალმა ფანჯარასთან მიმიყვანა და მითხრა:

_ განა ლმობიერია თქვენი საქციელი? ხომ არ გინებებიათ ყველას გულთამხილველად გახდომა? დეე, კაცისა ან ღვთის სამართალს დაესაჯა იგი. თუ ერთს დავაღწევთ თავს, მეორეს ხომ ვერსად წაუვალთ. ნუთუ ეგრე მომხიბვლელია მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარის პრივილეგია? თქვენ ხომ ლამის ჯალათის როლი იკისრეთ.

_ განა თქვენ თვითონ არ იზიარებდით და ხელს არ უწყობდით ჩემში აღძრულ ცნობისმოყვარეობას. ახლა კი ზნეობას მიქადაგებთ.

_ თქვენ მე ჩამაფიქრეთ, _ მიპასუხა მან.

_ მაშ ასე, მშვიდობა არამზადებს, ომი _ უბედურთ და გავაღმერთოთ ოქრო... მაგრამ მოდი, ამას თავი დავანებოთ, _ დავძინე სიცილით, _ გეთაყვა, ერთი შეხედეთ აი, იმ ნორჩ არსებას, ახლა რომ შემოდის სალონში.

_ მერე, რა იყო?

_ სამი დღის წინათ ნეაპოლის საელჩოში მეჯლისზე შევხვდი და გაგიჟებით შემიყვარდა. თუ ღმერთი გწამთ, გამაგებინეთ რა ჰქვია, ვერავინ შეძლო...

_ ეს გახლავთ მადმუაზელ ვიქტორინ ტაიფერი!

თავზარი დამეცა და ძლივსღა გავარჩიე ჩემი მეზობლის ხმა:

_ სულ ცოტა ხნის წინათ დედინაცვალმა გამოიყვანა მონასტრიდან, სადაც მოგვიანებით დაასრულა სწავლა. კარგა ხნის განმავლობაში მამა არც სცნობდა მას. ამ ოჯახში პირველად იმყოფება. ძალიან ლამაზიც გახლავთ და ძალიან მდიდარიც.

ქალბატონმა ამ სიტყვებს გესლიანი ღიმილიც დააყოლა.

უცბად გაისმა ძლიერი, მაგრამ შეკავებული ყვირილი. იგი თითქოს მეზობელი სახლიდან მოდიოდა და ბაღამდე ძლივს აღწევდა.

_ ეს ხომ ბატონი ტაიფერის ხმაა? _ შევძახე მე.

მთელი ყურადღება მივაპყარით ამ ხმას და მალე შემაზრზენმა კვნესამ ჩვენს ყურამდე მოაღწია. ბანკირის მეუღლემ სასწრაფოდ მოირბინა და ფანჯარა მიხურა.

_ აურზაურს ნუ შევქმნით, _ მოგვმართა მან, _ ვაითუ მადმუაზელ ტაიფერმა მამის ყვირილს მოჰკრას ყური და ნერვები აეშალოს.

ბანკირი სალონში შემოვიდა, ვიქტორინი მოძებნა და რაღაც ჩასჩურჩულა. ყმაწვილმა ქალმა შეჰკივლა, კარისკენ გაიქცა და უმალ გაუჩინარდა. ამ ამბავმა დიდი არევ-

დარევა გამოიწვია. თამაში შეწყდა. ყველა თავის გვერდით მდგომს ეკითხებოდა, რა ხდებაო. ხმაური გაძლიერდა. სტუმრებმა ჯგუფ-ჯგუფად მოიყარეს თავი.

_ ბატონმა ტაიფერმა იქნებ... _ წამოვიწყე მე.

_ თავი მოიკლა? _ წამოიძახა ჩემმა დამცინავმა მეზობელმა, _ დარწმუნებული კი ვარ, მის გამო შავებს არ ჩაიცვამდით.

_ მაინც რა დაემართა?

_ საწყალი კაცი, _ მომიგო დიასახლისმა, _ რაღაც სენი სჭირს. ვერ იქნა და ვერ დავიხსომე მისი სახელწოდება. მერედა, რამდენჯერ მითხრა ბატონმა ბრუსონმა. აი, ახლაც მოუარა.

_ რა ხასიათისაა ეგ ავადმყოფობა? _ უცბად იკითხა აქ სტუმრად მყოფმა გამომძიებელმა.

_ ოჰ, შემაძრწუნებელი სენია, ბატონო, _ მოახსენა დიასახლისმა, _ ექიმებმა არ იციან მისი წამალი. უდიდეს ტანჯვას კი უნდა აყენებდეს ავადმყოფს. ერთხელ ბატონი ტაიფერი ჩემს მამულში მყავდა სტუმრად. ისეთი შეტევა დაემართა, რომ იძულებული გავხდი მეზობელთან გავქცეულიყავი, ოღონდ კი მისი კივილი არ გამეგონა. საზარლად ყვირის და თავის მოკვლას ლამობს. შვილი სხვას რომ ვერაფერს აწყობს, საწოლზე მიაბამს ხოლმე მამას და შიშლილთა პერანგს აცმევს. კაცი ირწმუნება, თავში რაღაც ცხოველები მისხედან, ტვინს მიღრღნიან, მიწიწკნიან, მიხერხავენ და თითოეულ ნერვს საშინალდ მიფლეთენო. თავი ისე სტკიოდა, რომ ერთხანს კანს უწვავდნენ, რათა მისი ყურადღება სხვა ტკივილზე გადაეტანათ, მაგრამ კანის დაწვასაც ვერა გრძნობდა. შემდეგ, ბატონი ბრუსონი აიყვანეს ექიმად და მან კანის ამოწვა აუკრძალა, რადგანაც მიაჩნია, რომ ეს ნერვული დაავადებაა, ნერვების ანთება. საჭიროა კისერზე წურბელები მოჰკიდონ, ხოლო თავზე ოპიუმი დაადონ. მართლაც, ახლა შეტევები იშვიათად უმეორდება, წელიწადში ერთხელ თუ მოუვლის, შემოდგომის მიწურულს. როცა გამობრუნდება, სულ იმას ამბობს, მირჩევნია ტანზე ბორბლები გადამატარონ, ვიდრე ასეთი ტკივილი კვლავ განვიცადოო.

_ ჰო, მართლაც ძალიან დიდი ტკივილი ჰქონია, _ კვერი დაუკრა სალონური ენამოსწრებულობით ცნობილმა ბირჟის მაკლერმა.

_ რომ იცოდეთ, _ განაგრძო დიასახლისმა, _ შარშან კინაღამ დაიღუპა. თავის მამულში წასულიყო რაღაც სასწრაფო საქმეზე. როგორც ჩანს, მშველელი არავინ ჰყოლია და მთელი ერთი დღე და ღამე მკვდარივით გაშეშებული წოლილა. ცხელმა აბაზანამ გადაარჩინა.

_ ეს რაღაც ტეტანოსის მსგავსია, არა? _ იკითხა ბირჟის მაკლერმა.

_ რა მოგახსენოთ, _ უპასუხა დიასახლისმა, _ უკვე ოცდაათი წელია ამ ავადმყოფობით იტანჯება. როგორც თვითონ ამბობს, ჯარში ყოფნისას ნავში ჩავარდნილა და თავში დიდი ხიჭვი შერჭობია. ბრუსონს იმედი აქვს მისი განკურნებისა. ამბობენ, ინგლისელები ამ სენს ციანის კალიუმით არჩენენო, იმგვარად, რომ საწამლავი საფრთხეს არ წარმოადგენსო.

ამ დროს წინანდელზე მეტად გამყინავი ღრიალი გაისმა და ჩვენ შიშისგან გავშეშდით.

_ ხომ ხედავთ! აი, რას ვისმენდი ყოველ წუთს, _ განაგრძო ბანკირის მეუღლემ, _ ნერვებს საშინლად მიშლიდა. სკმაზე რომ ვიჯექი, მაღლა შემახტუნებდა ხოლმე. განსაცვიფრებელია პირდაპირ! საცოდავი ტაიფერი ხომ წარმოუდგენელი ტკივილებისგან იტანჯება, მაგრამ სიკვდილის საშიშროება არ ემუქრება. საშინელი წამების დროს დაუდგება თუ არა ხანმოკლე შესვენების წამი, ჭამს და სვამს ჩვეულებრივად (რა უცნაურია ბუნება!) ვიღაც გერმანელმა ექიმმა უთხრა, ეგ ერთგვარი თავის პადაგრაააო, რაც თითქმის ემთხვევა ბრუსონის მოსაზრებას.

დიასახლისის გარშემო მდგარ სტუმრებს გავშორდი და გავყევი მადმუაზელ ტაიფერს, რომელიც მსახურმა გაიხმო.

_ ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ნეტავ რა დანაშაული მიუძღვის მამაჩემს მამა-ზეციერის წინაშე, რომ ასეთი ტანჯვა დაიმსახურა? მერე, რა კეთილი გული აქვს!

ქალი კიბეზე ჩამოვაცილე და ეტლში ასვლა ვუშველე. ეტლში მამამისს მოვკარი თვალი, ორად მოხრილიყო. მადმუაზელ ტაიფერი ცდილობდა, მამისთვის გმინვა ჩაეხშო. პირზე ცხვირსახოცს აფარებდა. საუბედუროდ, ბატონმა ტაიფერმა შემნიშნა; სახე უფრო მეტად დაემანჭა, ჰაერში მისი გააფთრებული კივილი გაიფანტა, ერთი მძვინვარედ გადმომხედა და ეტლიც დაიძრა.

ამ საღამომ, სადილმა, მწარე გავლენა მოახდინეს ჩემს ცხოვრებასა და გრძნობებზე. შემიყვარდა ტაიფერის ასული, იქნებ სწორედ ამიტომაც, რომ სინდისი და პატიოსნება მიკრძალავდა დავკავშირებოდი მკვლელს, რაც უნდა კარგი მამა და კარგი მეუღლე ყოფილიყო იგი. იდუმალი ბედისწერა მიზიდავდა იმ ოჯახებისკენ, სადაც ვიცოდი შევხვდებოდი ვიქტორინს. ხშირად საკუთარ თავს პატიოსან სიტყვას ვაძლევდი, მას აღარასოდეს ვნახავ-მეთქი, მაგრამ იმავე საღამოს მის გვერდით აღმოვჩნდებოდი და

უსაზღვროდ ბედნიერიც ვიყავი. ჩემი კანონიერი სიყვარული ქიმერიული სინდისის ქენჯნით შეპყრობილ, დანაშაულებრივი ვნების ელფერს ატარებდა.

მეზიზღებოდა ჩემი თავი, როცა ვესალმებოდი ტაიფერს, _ იგი ხანდახან თავის ასულთან ერთად მხვდებოდა, _ და მაინც ვესალმებოდი! თანაც, საუბედუროდ, ვიქტორინი მარტოოდენ ლამაზი გოგონა როდი გახლავთ, იგი განათლებულიცაა, ნიჭიერიც და თავაზიანიც. პედანტობისა და მანჭიობის ნატამალიც კი არ გააჩნია. საუბარში თავდაჭერილობას იჩენს და მის ხასიათს ისეთი მელანქოლიური სინაზე აცისკროვნებს, რომ შეუძლებელია არ დაემორჩილო.

მადმუაზელ ტაიფერს მე ვუყვარვარ, ყოველ შემთხვევაში ნებას მაძლევს ასე ვიფიქრო. რაღაც განსაკუთრებული ღიმილი უმშვენებს ბაგეს და ამ ღიმილს მარტო მე მიძღვნის. ხმას ჩემთან უფრო მეტად დაიტკბობს ხოლმე. ოჰ! ვუყვარვარ! მაგრამ იგი აღმერთებს მამას; ჩემს წინაშე ხოტბას ასხამს მის გულკეთილობას, თბილს და ნატიფ ხასიათს. ეს ხოტბა კი ხანჯალია, რასაც მადმუაზელ ტაიფერი გულში მიყრის.

ერთ დღეს, ცოტა გაწყდა, თანაზიარი გავხვდი იმ ბოროტმოქმედებისა, რაზედაც ტაიფერის ოჯახის სიმდიდრეა დამყარებული. ვიქტორინის ხელის თხოვნა განვიზრახე და გავიქეცი, ვიმოგზაურე. მოვიარე გერმანია, ანდერნახი. მაინც დავბრუნდი. ვიქტორინს ფერი დაკარგოდა, გამხდარიყო! ჯანმრთელი და მხიარული რომ დამხვედროდა, გადავრჩებოდი. გრძნობა უჩვეულო სიძლიერით ამიგიზგიზდა გულში. შემეშინდა, ყოყმანი მანიად არ გადამქცეოდა, ამიტომაც გადავწყვიტე მომეწვია პატიოსან ადამიანთა სინედრიონი, რათა შუქი მომეფინა ამ მაღალზნეობრივი და ფილოსოფიური საკითხისთვის. მით უმეტეს, რომ ჩემი დაბრუნების შემდეგ საქმე უფრო მეტად გართულდა.

ამგვარად, გუშინწინ, თავი მოვუყარე იმ მეგობრებს, რომელთაც ყველაზე სინდისიერ, თავაზიან და წესიერ კაცებად მივიჩნევ. დავპატიჟე ორი ინგლისელი, ერთი საელჩოს მდივანი და ერთი პურიტანელი. ერთი პოლიტიკურად მომწიფებული პიროვნება, ყოფილი მინისტრი; რამდენიმე ჯერ კიდევ უმანკოების თილისმით მოჯადოებული ახალგაზრდა; ერთი მღვდელი, ერთი მოხუცი. არც ჩემი ყოფილი მეურვე დამვიწყებია, ეს გულუბრყვილო ადამიანი, რომელმაც ისეთი ყოვლად პატიოსანი სამეურვეო ანგარიში წარმომიდგინა, რომ დღესაც ვერ დაუვიწყებიათ სამეურვეო საბჭოში; ერთიც ადვოკატი; ნოტარიუსი, მოსამართლე. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი აზრისა და პრაქტიკული კეთილგონიერების ყველა განმასახიერებელნი.

ჯერ ერთი გემრიელად შევნაყრდით, ლაპარაკით და ყვირილით გული ვიჯერეთ, შემდეგ, როცა ჩაროზი გაჩნდა სუფრაზე, მათ გულწრფელად გადავუშალე ჩემი თავგადასავალი ისე, რომ სატრფოს ვინაობა არ გამოვამჟღავნე, და კეთილი რჩევა ვთხოვე.

_ მეგობრებო, გთხოვთ მირჩიოთ რამე, _ განვუცხადე ბოლოს, _ ნუ აჩქარდებით, ყოველმხრივ აწონ-დაწონეთ ეს საკითხი, თითქოს საქმე რომელიმე კანონის პროექტს ეხებოდეს. ურნასა და ბილიარდის ბურთებს მოგიტანენ და ხმა მიეცით ჩემს ქორწინებას ფარული კენჭისყრის ყველა წესის დაცვით.

უმალ ღრმა სიჩუმე გამეფდა. ნოტარიუსმა თავის თავზე აცილება შეიტანა.

_ საქმეში ხომ ქორწინების კონტრაქტია გარეული, _ შენიშნა მან.

ჩემს მეურვეს ღვინო ეყლაპა. დადუმებული იჯდა და თავად ესაჭიროებოდა ზრუნვა, რათა შინ დაბრუნებისას რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა.

_ გასაგებია, _ შევყვირე მე _ თუ არ გამოთქვამთ აზრს, ამით უფრო ხაზგასმით მიმითითებთ, როგორ უნდა მოვიქცე.

სტუმრები აიშალნენ.

ერთმა ბინათმფლობელმა, რომელმაც თანხა შესწირა გენერალ ფუას ძეგლის ასაგებად და მისი შვილების დასახმარებლად, წამოიძახა:

_ ბოროტმოქმედება, მსგავსად სათნოებისა, სხვადასხვა ხასიათისაა!

_ ყბედი! _ იდაყვი გამკრა და ჩამჩურჩულა ყოფილმა მინისტრმა.

_ მერედა, რა გაბრკოლებთ? _ შემეკითხა ერთი დიუკი, რომლის სიმდიდრე შედგებოდა ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ ურჩი პროტესტანტების კონფისკაციაში მოხვედრილი მამულებისგან.

წამოდგა ადვოკატი.

_ ჩვენს მიერ განხილული საკითხი იურისპრუდენციაში არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს! ბატონი დიუკი მართალსა ბრძანებს! _ შესძახა კანონის დამცველმა, _ ხომ არსებობს ხანდაზმულობის ვადა! სად წაგვიყვანდა ყოველგვარი სიმდიდრეთა სათავეების ქექვა? ეს უკვე სინდისის საქმეა. თუ მაინცდამაინც აგიჩემებიათ სამსჯავროს წარუდგეთ ამ საქმით, მიმართეთ ცის სამართალს, მოინანიეთ ცოდვანი თქვენნი.

კანონის ხორცშესხმული კოდექსი გაჩუმდა, დაბრძანდა და ერთი ჭიქა შამპანური შესვა. წამოდგა კაცი, მოწოდებული სახარების ქადაგებისთვის, ტკბილი მოძღვარი.

_ მეტისმეტად სუსტნი მოგვავლინა ამ ქვეყნად ღმერთმა, _ მტკიცედ ბრძანა მან, _ თუ თქვენ ეტრფით ბოროტმომქმედის ასულს, შეირთეთ იგი, მაგრამ იკმარეთ დედისეული ქონება მისი, ხოლო მამის სიმდიდრე მიეცით ღატაკთ.

_ ვაითუ, _ ხმა აიმაღლა ერთმა კამათის ულმობელმა მოყვარულმა, რომლის მსგავსთ ხშირად ვხვდებით საზოგადოებაში, _ მამა სარფიანად იმიტომ დაქორწინდა, რომ თავად იყო მდიდარი. ამ ადამიანის სულ პაწაწა ბედნიერებაც კი, განა ყოველთვის ბოროტმოქმედების ნაყოფს არ წარმოდგენდა?

_ თვით ეს კამათი თავისთავად უკვე განაჩენია! არის ზოგი რამ ისეთი, რაზედაც არ მსჯელობენ, _ წამოისროლა ჩემმა ყოფილმა მეურვემ, ვისაც ეგონა შეზარხოშებული ადამიანის წარმოთქმული სიტყვით შეკრებილ საზოგადოებას გონებას გაუნათებდა.

_ დიახ! _ კვერი დაუკრა საელჩოს მდივანმა.

_ დიახ! _ შესძახა მღვდელმა.

ამ ორ ადამიანს ერთმანეთის არა გაეგებოდათ რა. წამოდგა დოქტრინერი, რომელსაც არჩევნებში მხოლოდ ორმოცდაათი ხმა დააკლდა ასორმოცდათხუთმეტ ამომრჩეველთა შორის.

_ ბატონებო, ეს ინტელექტუალური ბუნების ფენომენალური შემთხვევაა, რაც აშკარად სცილდება ჩვენი საზოგადოების ნორმალური მდგომარეობის საზღვრებს, _ განაცხადა მან, _ ამიტომაც გადაწყვეტილება, რისი მიღებაც ჩვენ გვმართებს, არ უნდა წარმოადგენდეს ჩვენი აზროვნების წინასწარგანზრახულ ფაქტს; იგი უნდა იყოს უცაბედი, ჭკუის სასწავლებელი მოსაზრება; შემეცნების წამიერი აღქმა, რაც თითქმის მიემსგავსება გრძნობათა და გემოვნებათა გასხივოსნებას. დავიწყოთ კენჭისყრა!

_ ვუყაროთ კენჭი! _ შესძახეს სტუმრებმა.

მოვატანინე თითოეულისთვის ორი ბურთი; ერთი თეთრი, მოერე წითელი. თეთრი, უბიწოების სიმბოლო, ქორწინების აკრძალვის ნიშანი უნდა ყოფილიყო, წითელი კი მისი დაშვებისა. რაკი უხერხულად მივიჩნიე, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განვაცხადე.

ჩვიდმეტი მეგობარი მყავდა სტუმრად. ცხრა აბსოლუტურ უმრავლესობას ქმნიდა. თითოეულს ბურთი უნდა ჩაეგდო წნორისგან მოწნულ ვიწროყელიან კალათში, საიდანაც ბილიარდის მოთამაშენი თამაშის რიგის დასადგენად იღებენ დანომრილ ბურთებს. ყველა ძლიერმა ცნობისმოყვარეობის გრძნობამ შეგვიპყრო, რადგან მეტად უცნაური გახლდათ ამ წმინდა ზნეობრივი საკითხის კენჭისყრით გადაწყვეტა.

ხმის დათვლისას აღმოჩნდა ცხრა თეთრი ბურთი! შედეგი არ გამკვირვებია; მაგრამ დავითვალე კი ჩემი კბილა ახალგაზრდები, რომელნიც ჩემს მსაჯულთა შორის იმყოფებოდნენ. ეს კაზუისტები ცხრანი იყვნენ და ყველანი ერთი აზრით გამსჭვალულნი.

«ოჰ! ოჰ! _ წარმოვთქვი გულში, საიდუმლო ერთსულოვნებაა, როგორც ჩემი ქორწინების სასარგებლოდ, ისევე მის წინააღმდეგ! როგორ დავაღწიო თავი ამ უხერხულ მდგომარეობას?»

_ სად ცხოვრობს სასიმამრო? _ დაუფიქრებლად იკითხა სხვებზე ნაკლებად თავდაჭერილმა ჩემმა კოლეჟელმა ამხანაგმა.

_ სიმამრი აღარ არსებობს! _ წამოვიძახე მე, _ წინათ ჩემი სინდისი ისე აშკარად მესიტყვებოდა, რომ თქვენი განაჩენი არ მჭირდებოდა. და თუ დღეს მისი ხმა მისუსტდა, აი, მიზეზი ჩემი სულმოკლეობისა. ორი თვეა, რაც ეს მაცთური წერილი მივიღე.

საფულეტან მოპატიჟების ბარათი ამოვაცოცე და ვუჩვენე მათ.

«ბატონ...

მოწყალეო ხელმწიფევ!

გთხოვთ დაესწროთ წირვას, გასვენებასა და დასაფლავებას ტაიფერისა და კომპანიის მეთაურის, სურსათის ყოფილი მიმწოდებლის, სიცოცხლეში საპატიო ლეგიონისა და ოქროს დეზის კავალრის, პარიზის ნაციონალური გვარდიის მეორე ლეგიონის გრენადერთა კაპიტნის, ბატონ ჟან-ფრედერიკ ტაიფერისა, რომელიც გარდაიცვალა მაისის პირველს, თავის სასახლეში, ჟუმერის ქუჩაზე. დაკრძალვა მოხდება.. და სხვ.

...სახელით და სხვა».

_ როგორ მოვიქცე ახლა? საკითხს მეტად ფართოდა ვსვამ. რაღა თქმა უნდა, რომ მადმუაზელ ტაიფერის მამულებში სისხლის მორევი დგას, და მამამისის მემკვიდრეობა ნამდვილი «აცელდამაა». ეს მე ვიცი. მაგრამ პროსპერ მანიანს მემკვიდრეები არ დაუტოვებია. ვერც ანდერნახში მოკლული ნემსების მეფაბრიკის ოჯახის პოვნა შევძელი. ვის, ვის გადავცე ქონება? და თუ გადავცემ, მთელი ქონება უნდა გადავცე? მაქვს კი უფლება შემთხვევით გაგებული საიდუმლოება გავამჟღავნო და უმანკო გოგონას მზითევს მოკვეთილი თავი მივუმატო? მივაღწიო იმას, რომ იგი ცუდ სიზმრებს ხედავდეს. დავაკარგვინო ილუზია, მეორეჯერ მოვუკლა მამა სიტყვებით: «ყოველი თქვენი ეკიუ სისხლშია ამოსვრილი!» ეკლესიის ერთი ხანდაზმული მსახურისგან ვითხოვე «სინდისის საკითხთა ლექსიკონი» და იქ ჩემი ეჭვების განმარტება ვერ ვიპოვნე. პროსპერ მანიანის,

ვალენფერისა და ტაიფერის სულის საცხონებლად ავაგო ეკლესია? ჩვენ ხომ XIX საუკუნეში ვცხოვრობთ. ავაშენო თავშესაფარი, თუ დავაწესო ჯილდო სათნოებისთვის? სათნოების ჯილდოს გაიძვერებს მისცემენ. თავშესაფრები კი დღეს, როგორც ვხედავ, ბიწიერების ბუდედ გადაქცეულა! და განა შეიძლება ამ ბოროტმოქმედების იმით გამოსყიდვა, რომ დანაშაულით შეძენილი ქონება პატივმოყვარე მიზნების განხორციელებას მოხმარდეს? მერე, ვალდებული ვარ ასე მოვიქცე? მე ხომ მიყვარს ეს ქალი და მიყვარს თავდავიწყებით. ჩემი სიყვარული სიცოცხლეა ჩემი! და ფუფუნებას, კოხტაობას, ხელოვნებისგან მიღებული სიამოვნებით სავსე ცხოვრებას მიჩვეულ ყმაწვილ გოგონას, ვისაც უყვარს ბუფონში როსინის მუსიკის ნებივრად მოსმენა, რომ შევთავაზო, ყოველწლიურად ათას ხუთასი ათასი ფრანკი შესწიროს გამოტვინებულ ბებრუცუნებსა და ქეციან მატანტალებს, იგი სიცილით ზურგს შემაქცევს, ხოლო მისი კომპანიონი ქალი კი ბოროტ ხუმარად ჩამთვლის. თუ ტრფობის თავდავიწყებაში ყოფნისას მე მას შევუქებ სადა ცხოვრების სილამაზეს, ჩემს პაწია სახლს ლუარის ნაპირას და შევეხვეწები ჩვენს სიყვარულს პარიზული ცხოვრება მოუტანოს მსხვერპლად, ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, იქნება კეთილშობილი ტყუილი და თან ვაითუ სამწუხარო ექსპერიმენტი გამოდგეს და დამეკარგოს გული ნორჩი ასულისა, ვისაც ძალიან მოსწონს მეჯლისები, გაგიჟებით უყვარს თვალ-მარგალიტი და ჯერჯერობით მეც. მას მომტაცებს ტანწერწეტა, მორთულ-მოკაზმული, აბზეკილულვაშებიანი ოფიცერი, რომელიც დაუკრავს პიანინოზე, ხოტბას შეასხამს ბაირონს, კოხტად შესკუპდება ცხენზე. როგორ მოვიქცე? ბატონებო, შემიწყალეთ, მომეცით რჩევა!..

ჯენი დინსის მამის მსგავსმა პურიტანელი გემოვნების მქონე პატიოსანმა კაცმა, ვინც მე უკვე ვახსენე, და რომელსაც აქამდე ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია, მხრები აიჩეჩა და განმიცხადა:

_ შე სულელო, ნეტავ რა გრჯიდა, რომ ეკითხებოდი, ბოვეელი ხარ თუ არაო?

პარიზი, მაისი, 1831 წელი

<u>პიერ გრასუ</u>

თარგმანი რუსუდან დოდაშვილისა

1830 წლის რევოლუციის შემდეგ ახალ ყაიდაზე მოწყობილ ფერწერისა და ქანდაკების გამოფენას თუ სერიოზული განზრახვით დასწრებიხართ, ნუთუ გრძელ, გადატვირთულ გალერეებს თქვენთვის არ აღუძრავს სევდა, მღელვარება და მოწყენილობა? 1830 წლიდან სალონი აღარც არსებობს. ხალხის მიერ უკვე ერთხელ დაპყრობილი ლუვრი ახლა მხატვრებმა აიღეს იერიშით და იქ დამკვიდრდნენ. წინათ ლუვრის სალონი საზოგადოებას ხელოვნების რჩეულ ნიმუშებს სთავაზობდა და გამოფენილი ქმნილებებით უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. ორას შერჩეულ სურათს შორის ხალხი უკეთესს ეძებდა. საუკეთესო ნაწარმოებს უცნობი ხელი გვირგვინით ამკობდა. ამა თუ იმ ტილოს გამო ცხარე კამათი იმართებოდა. დელაკრუასა და ენგრისადმი მიმართული ლანძღვა-გინება ისევე უწყობდა ხელს ამ მხატვრების სახელის განდიდებას, როგორც აღტაცებული ხოტბა, რასაც თაყვანისმცემლები უძღვნიდნენ მათ. დღეს აქ გამოფენილი ნაშრომები არც ხალხსა და არც კრიტიკოსებს აღარ აღაგზნებს. მაყურებელი იძულებულია თვითონ შეარჩიოს სურათები, რაც უწინ ჟიურის ევალებოდა. ამგვარი მუშაობა ხალხის ყურადღებას ქანცავს. დასრულდება თუ არა ეს საქმიანობა, გამოფენაც იხურება. 1817 წლამდე გამოფენაზე მიღებული ტილოები აროდეს გასცილებია გრძელი გალერეის პირველ ორ სვეტს, სადაც ძველი ოსტატების ნამუშევრებია გამოფენილი. წელს კი დიდად გაოცდა საზოგადოება; ახალმა სურათებმა მთელი გალერეა გაავსო. ისტორიული ჟანრი, ჟანრული და სადაზგო ფერწერა, პეიზაჟი, ყვავილები, ცხოველები, აკვარელი _ მხატვრობის ეს შვიდი სახეობა მაყურებელს ვერ შესთავაზებს ოცზე მეტ ისეთ ნაწარმოებს, რაც შეხედვის ღირსია. ადამიანი ყურადღებას ამაზე მეტ სურათზე ვერ შეაჩერებს. მხატვრების რიცხვის ზრდასთან ერთად ჟიურის მოთხოვნილებაც უნდა გაზრდილიყო. ყველაფერი მაშინ დაიღუპა, როცა სალონმა მთელი გალერეა დაიკავა. სალონი უნდა დარჩენილიყო განსაზღვრულ, შემოფარგლულ ადგილზე, სადაც მხატვრობის თითოეული სახე თავის შესაფერ ფართობს მიიღებდა და საუკეთესო ნაწარმოებს გამოფენდა. ათი წლის გამოცდილებამ ძველი წესრიგის უპირატესობა ნათელჰყო. ახლა პაექრობის ნაცვლად აქ აყალმაყალს ვხვდებით, ბრწყინვალე გამოფენის სამაგიეროდ _ არეულ-დარეულობას, შერჩეულის ნაცვლად _ ყველაფერს, ერთად დახროვილს. რა ხდება? ნამდვილი ხელოვანი წაგებული რჩება წლევანდელ ასიოდე საუკეთესო სურათთან ერთად დიდ სალონში გამოფენილი ოთხი ტილო: «თურქული ყავახანა», «ბავშვები შადრევანთან», «კაუჭებით დასჯა» და «იოსები» დეკამპს უფრო დიდ სახელს მოუხვეჭდა, ვიდრე მისივე ოცი ტილო, ექვს გალერეაში სამი ათს სურათს შორის

მიმოფანტული. რაღაც უცნაური მიზეზის წყალობით მას შემდეგ, რაც სალონმა მთელ ქვეყანას გაუღო კარი, ყველა დაჩაგრულ გენიოსზე ალაპარაკდა. თორმეტი წლის წინათ, როდესაც ხელოვნების სახელგანთქმულმა მოღვაწეებმა და თავგამოდებულმა მსახურებმა სალონში გამოსაფენად დაუშვეს ენგრის «კურტიზანი ქალი», ჟერიკოს «მედუზა», დელაკრუას «სისხლის ღვრა ქიოსზე» და დევერიას «ანრი IV მონათვლა», ტილოები, რომელთაც მტრულად განწყობილი კრიტიკის მიუხედავად საზოგადოებას მგზნებარე ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მხატვრების არსებობა აუწყეს, არავითარი უკმაყოფილება არ წარმოშობილა. ახლა თვით ყველაზე საცოდავ თხუპნიასაც კი შეუძლია თავისი ნაშრომი გამოფენაზე გაგზავნოს და მაინც ამბობენ, შეუცნობელი მხატვრები არსებობენო. იქ, სადაც შეფასება აღარ არის, აღარც შესაფასებელი საგნებია. რაც უნდა იყოს, მხატვრები მაინც დაუბრუნდებიან შერჩევის ძველ წესს; ეს კი მათი ნაშრომებისკენ მიაპყრობს ხალხის ყურადღებას. ისინი ხომ სწორედ ხალხისთვის მუშაობენ. სალონი ვერ იარსებებს, თუ აკადემია არ შეურჩევს სურათებს, ხოლო ხელოვნება სალონის გარეშე შეიძლება დაიღუპოს.

მას შემდეგ, რაც კატალოგის წიგნაკი სქელ დავთრად გადაიქცა, დავთარში თავი მოიყარა მრავალმა სახელმა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ დართული აქვს ათი ან თორმეტი სურათის სია, მაინც სრულიად უცნობია საზოგადოებისთვის. მათ შორის ყველაზე ნაკლებ ცნობილია ფუჟერიდან ჩამოსული მხატვარი პიერ გრასუ. მხატვართა წრეში მას უბრალოდ ფუჟერს ეძახიან. დღეს ფუჟერი მზის ქვეშ კარგა თბილად არის მოკალათებული, ეს კი გვიღვიძებს მწარე ფიქრებს, რომელთა ნაყოფია პიერ გრასუს წინამდებარე თავგადასავალი, რაც მხატვართა ტომის სხვა წარმომადგენელთა ცხოვრებასაც მოგვაგონებს.

1832 წელს ფუჟერი ნავარენის ქუჩაზე ცხოვრობდა, ერთი წოწოლა სახლის მეოთხე სართულზე, ასეთი სახლები ლუქსორის ობელისკს ჰგვანან. გრძელი და ბნელი დერეფანი აქვთ, ასევე ბნელი, ვიწრო და სახიფათო ხვეული კიბე, რის გამოც თითოეულ სართულზე მხოლოდ სამი ფანჯარა ეტევა. სახლის შიგნით ეზოა, უფრო ზუსტად რომ გამოვთქვათ, ოთხკუთხი ჭა. პიერ გრასუს სამ თუ ოთხოთახიანი ბინის თავზე მოთავსებული იყო მისივე სახელოსნო, რომელიც მონმარტრს გადასცქეროდა. სახელოსნოს კედლებს საღებავი ზედ აგურებზე ჰქონდა წასმული. იატაკი ყავისფრად იყო შეღებილი და გულმოდგინედ გაპრიალებული. თითოეულ სკამს არშიებიანი პატარა ხალიჩა ეფარა. აქ იდგა უბრალო, მაგრამ გულდაგულ მოვლილი ტახტი, სწორედ ისეთი, ბაყალი დედაკაცის საწოლ ოთახში

რომ დგას ხოლმე. ამ სახელოსნოში ყველაფერი მიგვითითებდა გონებაშეზღუდულ კაცუნას დაწვრილმანებულ ცხოვრებაზე და ღარიბი ადამიანის ხელმომჭირნეობაზე. აქვე იდგა კარადა მხატვრის ხელსაწყოებისთვის, სასადილო მაგიდა, ბუფეტი, საწერი მაგიდა. დაბოლოს, აქ ელაგა მხატვრისათვის მეტად აუცილებელი საგნები, ყველაფერი ჩაწიკწიკებული და კრიალა. ღუმელი ეხამებოდა ამ ჰოლანდიურ თადარიგიანობას, რასაც უფრო მეტად თვალსაჩინოს ხდიდა ფაქიზი და ნაკლებ ცვალებადი ჩრდილოეთის შუქი, თავის წმინდა და ცივ სინათლეს უხვად რომ ფენდა ვეებერთელა ოთახს. ფუჟერს, უბრალო ჟანრულ მხატვარს, არ სჭირდებოდა უზარმაზარი ნაგებობანი, რომლებიც ისტორიული ჟანრის მხატვრებს აღატაკებენ. თავის თავში არასოდეს ისეთი დიდი ნიჭი არ უგრძვნია, რომ მაღალ ხელოვნებასაც წაპოტინებოდა. იგი ჯერჯერობით დაზგას ვერ სცილდებოდა.

ამა წლის დეკემბრის დამდგეს, იმ დროს, როდესაც ფრანგ ბურჟუებს დროდადრო აეკვიატებათ ხოლმე სასაცილო სურვილი _ უკვდავჰყონ თავიანთი ისედაც მომაბეზრებელი გარეგნობა, _ პიერ გრასუ დილაადრიან ადგა, ფერები დაზილა, ღუმელი აანთო და რძეში ჩამბალი პურის ჭამას შეუდგა, სანამ ფანჯრებზე ყინული გალღვებოდა, რათა ოთახი განათებულიყო და მუშაობის დაწყება შესაძლებელი გამხდარიყო. კარგი, მშრალი ამინდი იდგა. ბევრისმთქმელი, თვინიერი და ბედს დამორჩილებული გამომეტყველებით ილუკმებოდა ფუჟერი, როცა ნაბიჯების ხმა შემოესმა და იცნო, რომ ნაბიჯები ეკუთვნოდა ადამიანს, ვინც გრასუს ცხოვრებაზე ისეთსავე გავლენას ახდენდა, როგორსაც ამ ჯურის ადამიანები ახდენენ თითქმის ყველა მხატვრის ცხოვრებაზე. ეს იყო ელიას მაგიუსი, სურათებით მოვაჭრე, მხატვრობის ჩარჩი. მაგიუსი სწორედ მაშინ შემოვიდა, როდესაც მხატვარი თავის გაკრიალებულ სახელოსნოში მუშაობის დაწყებას აპირებდა.

_ როგორაა საქმე, ბებერო გაიძვერავ? _ მიმართა მას მხატვარმა. ფუჟერი ორდენით იყო დაჯილდოებული და ელიასი მას თითო სურათში ორას ან სამას ფრანკს უხდიდა; ჩარჩს ხელოვნების დიდ მცოდნედ მოჰქონდა თავი.

_ ვაჭრობის საქმე ცუდადაა, _ უპასუხა ელიასმა. _ თქვენ ყველას დიდი პრეტენზიები გაქვთ. ერთ ტილოზე ექვსი სუს ფერებს დახარჯავთ და აბა, მიართვით ორასი ფრანკი... არა, თქვენზე არ ვამბობ, კარგი ბიჭი ხართ, რიგიანი ადამიანი და აი, მეც სარფიანი საქმე გაგიჩარხეთ.

_ Gimeo Danaos et dona ferentes, _ უპასუხა ფუჟერმა, _ ლათინური იცით?

_ არა.

_ ეს ნიშნავს, რომ ბერძნები ტროელებს კარგ საქმეს ისე არ შესთავაზებენ, თუ თავადაც არაფერი მოიგეს. უწინ ამბობდნენ: წაიყვანეთ ჩემი ცხენი! ახლა კი ვამბობთ: წაიყვანეთ ჩემი დათვი... რა გნებავთ იულიუს-ლაჟენჟოლ-ელიას მაგიუს?

ეს სიტყვები ნათლად წარმოგვიდგენენ ფუჟერის უწყინარ ენამახვილობას, რასაც იგი მიმართავდა იმის გამოსახატავად, მხატვართა სახელოსნოებში ხუმრობა რომ ჰქვია.

_ თუმცა თქვენ არ აგცდებათ ჩემთვის ორი სურათის უფასოდ დახატვა.

_ ოჰო!

_ ბატონი ბრძანდებით, არ ჩაგაცივდებით. თქვენ პატიოსანი მხატვარი ხართ.

_ რაო, რა მოხდა?

_ ასე და ამგვარად, მე მომყავს ერთი მამა, ერთი დედა და მათი ერთადერთი ასული.

_ ყველა ერთადერთი!

_ გამოგიტყდებით, სწორედ აგრე გახლავთ!.. ჰოდა, მათი პორტრეტებია შესასრულებელი. ამ ხელოვნებაზე გაგიჟებულ ბურჟუებს მხატვრის სახელოსნოში ცხვირის შეყოფა ჯერ არ გაუბედავთ. ქალიშვილს ასი ათასი ფრანკის მზითევი აქვს. აბა, ერთი კარგად დახატეთ ისინი, იქნებ თქვენი ოჯახის პორტრეტებად გადაიქცეს შემდეგში.

ამ სიტყვებზე ელიას მაგიუსს, ძველ გერმანულ კუნძს, ვისაც რატომღაც ადამიანად თვლიდნენ, სიცილი წასკდა და მისმა მკვახე ხარხარმა მხატვარს შიშის ზარი დასცა; ასე მოეჩვენა, თითქოს თვით მეფისტოფელმა ჩამოუგდო ლაპარაკი ქორწინებაზეო.

_ თითო პორტრეტში ხუთას ფრანკს მოგცემენ. ჩემთვის სამ სურათს დახატავთ.

_ ოჰო, _ მხიარულად შესძახა ფუჟერმა.

_ უკეთუ ქალიშვილს ცოლად შეირთავთ, არ დამივიწყებთ.

_ ცოლი შევირთო, მე? _ შეჰყვირა პიერ გრასუმ. _ მე ხომ მარტოდ წოლას ვარ მიჩვეული, დილით ადრე ადგომას. თანაც ცხოვრება ისე მაქვს აწყობილი...

_ ასი ათასი ფრანკი, _ მიუგო მაგიუსმა. _ და ზედაც ნაზი ასული, ოქროსფერი ტონებით სავსე, წმინდა წყლის ტიციანი!

_ ვინ არიან, რას წარმოადგენენ?

_ ყოფილი ვაჭრები, ახლა _ ხელოვნების მოტრფიალენი. ვილ დ'ავრეიში აგარაკი აქვთ და ათი თუ თორმეტი ათასი წლიური შემოსავალი.

_ რითი ვაჭრობდნენ?

_ ბოთლებით.

_ ნუ მეუბნებით მაგ სიტყვას; თითქოს მომესმა კიდეც, როგორ ჭრიან საცობებს და კბილები მომეკვეთა.

_ მაშ, მოვიყვანო?

_ სამი პორტრეტი? სალონში გამოვფენ. იქნებ პორტრეტების მხატვარი გავხდე... ჰო, კარგი, თანახმა ვარ.

მოხუცი ელიასი ვერველთა ოჯახის მოსაყვანად გაეშურა.

რათა წარმოვიდგინოთ, როგორ იმოქმედა მაგიუსის წინადადებამ მხატვარზე და რა შთაბეჭდილება მოახდინეს მასზე ბატონმა და ქალბატონმა ვერველებმა, რომელთაც ერთადერთი ასული უმშვენებდა გვერდს, საჭიროა თვალი გადავავლოთ პიერ გრასუ ფუჟერელის წარსულს.

მოწაფეობის ჟამს ფუჟერმა ხატვა სერვენთან ისწავლა. სერვენი აკადემიურ სამყაროში დიდ ოსტატად ითვლებოდა. მისგან ფუჟერი შინერთან გადავიდა; დააპირა ჩაწვდომოდა მაძღარ და საუცხოო ფერებს, რითაც განირჩევა ეს ხელოვანი. შინერი და მისი შეგირდები თავშეკავებულნი აღმოჩნდნენ და პიერი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. აქედან გრასუ უფროს სომერთან გადაბარგდა, რათა ახლოს გაეცნო ხელოვნების ის ნაწილი, რასაც კომპოზიცია ეწოდება. აქაც ვერაფერს გახდა, კომპოზიცია მისთვის უცხო და მიუწვდომელი დარჩა. მერე შეეცადა გრანესა და დეკამპისათვის ინტერიერების მომხიბვლელობის საიდუმლო გამოეტაცა; ამ ორმა ოსტატმა არაფერი მოატაცებინა მას. ბოლოს, ფუჟერმა თავისი წვრთნა დიუვალ-ლეკამიუსთან დაასრულა. სწავლისა და ამ სხვადასხვა გარდაქმნების განმავლობაში ფუჟერმა გამოიჩინა მშვიდი და დინჯი ხასიათი, რის გამოც ყველა სახელოსნოში, სადაც კი ყოფილა, დასცინოდნენ, მაგრამ პიერმა თავისი მოკრძალებით, მოთმინებით და ბატკნის თვინიერებით დამცინავ ამხანაგებს ფარ-ხმალი დააყრევინა. ოსტატები არავითარ სიყვარულს არ ამჟღავნებდნენ ამ ალალი ბიჭის მიმართ. მათ უყვართ ბრწყინვალე შეგირდები, ახირებული აზროვნების ადამიანები, ლაღი და თავშეუკავებელნი, ან კიდევ მჭმუნვარე და დაფიქრებულნი, რაც მაღალი ნიჭით დაჯილდოებულთ ახასიათებს. პიერ გრასუს ყველა თვისება დაბალ ნიჭზე მიუთითებდა. თვით ზედმეტი სახელი _ ფუჟერი, მხატვრის სახელი ეგლანტინის პიესიდან, დაცინვის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. რა უნდა ექნა, ძალა აღმართსა ხნავს: იძულებული გახდა მიეღო იმ ქალაქის სახელი, სადაც პირველად იხილა დღის სინათლე.

გრასუ ფუჟერელი თავის გვარსა ჰგავდა. მსუქანი და შუა ტანის იყო, სახეზე გაცრეცილი ფერი ედო. მრეში თვალები ჰქონდა, შავი თმა, ბუკივით ცხვირი, ძალიან

ფართო პირი და გრძელი ყურები. მშვიდი, უდრტვინველი და თვინიერი გამომეტყველება მის ჯანმრთელობით აღსავსე, მაგრამ უსიცოცხლო სახის ნაკვთებს ვერაფერს მატებდა. გრასუს, ალბათ, არ აღელვებდა არც სისხლის სიჭარბე, არც ფიქრთა მგზნებარება, არც კომიკური აზრებით აღტყინება, რაც დიდ შემოქმედებს ემართებათ. ეს ახალგაზრდა კაცი პატიოსან ბურჟუად გაეჩინა ღმერთს. წარმოშობით მეიენელი გახლდათ, ორჟემონების შორეული ნათესავი, სამშობლოდან პარიზში იმიტომ ჩამოვიდა, რომ ფერებით მოვაჭრესთან ნოქრად დამდგარიყო, მაგრამ ბრეტონელებისათვის დამახასიათებელი სიჯიუტის შედეგად მხატვრობას მოჰკიდა ხელი. მარტოოდენ უფალმა უწყის მოწაფეობის წლებში რა არ გადახდა თავს და როგორ ცხოვრობდა. ფუჟერი იტანჯებოდა ისევე, როგორც იტანჯებიან შიმშილით შეწუხებული დიდი ადამიანები, გარეული მხეცებივით დევნილნი შურისძიებას მოწყურებული უნიჭოთა ხროვისა და პატივმოყვარეთა ბრბოს მიერ.

პიერ გრასუმ იგრძნო თუ არა, საკუთარი ფრთებით ფრენა შემიძლიაო, მარტირის ქუჩის ზემოთ სახელოსნო დაიქირავა და მუყაითად შეუდგა მუშაობას. გრასუს დებიუტი 1819 წელს მოხდა. პირველი სურათი, რაც მან ლუვრის გამოფენისათვის წარუდგინა ჟიურის, გამოხატავდა სოფლურ ქორწილს, საკმაოდ უბადრუკად გადმოკეთებულს გრეზის ნაწარმოებიდან. ნახატი არ მიიღეს. ფუჟერი არ გაშმაგებულა, როცა ეს საბედისწერო გადაწყვეტილება გაიგო, არც თავმოყვარეობის ბნედას მოუვლია მისთვის, რაც ამპარტავან ადამიანებს ემართებათ და რაც ხანდახან დირექტორის ან მუზეუმის მდივნის დუელში გამოწვევით და სიკვდილის მუქარით მთავრდება ხოლმე. გრასუმ ნახატი ხელსახოცში მშვიდად გაახვია, სახელოსნოში წაიღო და თავის თავს შეჰფიცა, რადაც უნდა დამიჯდეს, დიდი მხატვარი უნდა გავხდეო. ტილო დაზგაზე მოათავსა და თავის ძველ მასწავლებელს, შინერს ეახლა. ეს იყო დიდად ნიჭიერი კაცი, მშვიდი და მომთმენი ხელოვანი, ვისაც ამ უკანასკნელ გამოფენაზე სრული წარმატება ხვდა წილად. ფუჟერმა შინერს სთხოვა, ჩემს დაწუნებულ სურათს გადახედეო. დიდმა მხატვარმა ყველაფერი მიატოვა და ფუჟერისაკენ გასწია. პიერმა მას თავისი ნაშრომი უჩვენა. შინერმა სურათი შეათვალიერა და ფუჟერს ხელზე მოუჭირა ხელი.

_ კარგი ბიჭი ხარ, ოქროს გული გაქვს და ვერ მოგატყუებ. მომისმინე: რის იმედსაც იძლეოდი შეგირდობისას, გაამართლე კიდეც. ჩემო კარგო ფუჟერ, რაკი შენი ფუნჯი ამგვარ ტილოებსა ქმნის, მოდი, ნუღარ მიითვისებ ბრიულონის ფერებს, ნურც სიუჟეტს მოპარავ ვისმეს; სანამ გვიანი არ არის, დაბრუნდი შინ. ბამბის ჩაჩი დაიხურე, ცხრა საათზე დაიძინე,

დილით კი ათ საათზე გასწიე რომელიმე კანცელარიისკენ, სადაც ადგილს მიიღებ და ხელოვნებას თავი დაანებე.

_ მეგობარო, _ მიუგო ფუჟერმა, _ ჩემი ტილო უკვე მსჯავრდადებულია. განაჩენს არ გთხოვთ, მიზეზი მაინტერესებს.

_ კარგი. შენ ხატავ რუხი, ბნელი ფერებით. ნატურას სამგლოვიარო რიდეს იქით ხედავ. შენი ნახატი მძიმეა და ჭუჭყიანი. შენი კომპოზიცია გრეზის მიბაძვაა, მაგრამ გრეზი თავის ნაკლს ისეთი თვისებებით ფარავდა, რაც შენ არ გაგაჩნია.

სურათის ნაკლოვანებათა ჩამოთვლის შემდეგ შინერმა ფუჟერს სახეზე ისეთი ღრმა მწუხარება შენიშნა, რომ სადილად მიიწვია და მის დამშვიდებას შეეცადა. მეორე დილას, შვიდი საათიდანვე ფუჟერი მსჯავრდადებული სურათის გადამუშავებას შეუდგა. შეეცადა ფერები გამოეცოცხლებინა, სხეულები გადაეღება და შინერის მითითებების მიხედვით შეესწორებინა. ბოლოს, ამ თითხნით თავგაბეზრებულმა ნახატი ელიას მაგიუსს წაუღო. ჰოლანდიურ-ბელგიურ-ფლამანდური წარმოშობის ელიას მაგიუსს სამი მიზეზი ჰქონდა ყოფილიყო ის, რაც გახლდათ: ძუნწი და მდიდარი. სულ ცოტა ხნის წინათ ჩამოსულიყო ბორდოდან და ახლა პარიზში იკიდებდა ფეხს. ძველი სურათებით ვაჭრობდა და ბონ-ნუველის ბულვარზე ცხოვრობდა.

ფუჟერი ხაბაზის მუშტარი იყო თავისი პალიტრის იმედით და ამიტომაც არხეინად შეექცეოდა პურს და ნიგოზს, პურს და რძეს, პურს და ალუბალს, ან პურს და ყველს იმისდა მიხედვით, თუ წლის რომელი დრო იდგა.

ელიას მაგიუსმა, ვისაც პიერმა თავისი პირველი ტილო შესთავაზა, ბევრი ათვალიერა სურათი და თხუთმეტ ფრანკად შეისყიდა.

_ წელიწადში თუ თხუთმეტი ფრანკი მექნება შემოსავალი და ათასი ფრანკი გასავალი, _ ღიმილით თქვა გრასუმ, _ კარგი დახლი დამიდგება.

ელიას მაგიუსი შეკრთა. თითზე იკბინა, რადგან მიხვდა, რომ შეეძლო სურათი ას სუდ ჩაეგდო ხელში. რამდენიმე დღე, დილაობით, ფუჟერი მარტირის ქუჩიდან ქვემოთ ჩამოდიოდა, მაგიუსის დუქნის პირდაპირ, ბულვარზე, ხალხში მიმალული აშტერდებოდა თავის სურათს, რომელიც ამვლელ-ჩამვლელთა ყურადღებას სრულებითაც არ იზიდავდა. ერთი კვირის შემდეგ ნახატი გაქრა. მხატვარმა ბულვარი აიარა და ისე გაემართა ძველმანებით მოვაჭრის დუქნისკენ, ვითომც და აქ არაფერია, ჩემთვის დავსეირნობო.

ებრაელი დუქნის კართან იდგა.

_ რაო, გაყიდეთ სურათი?

_ აგერ, აქ არის, _ უპასუხა მაგიუსმა, _ ჩარჩოში ჩავსვი. იქნებ ასე მაინც მომეცეს საშუალება ისეთ ვინმეს შევთავაზო, ვისაც ჰგონია, მხატვრობა მესმისო.

ბულვარზე დაბრუნება ფუჟერმა ვეღარ გაბედა. ახალი სურათის ხატვას ჩაუჯდა. ორი თვე მუშაობას მოანდომა. საკვები თაგვის სამყოფი ჰქონდა, ხოლო ტანჯვა _ კატორღელისა.

ერთ საღამოს გულმა ვეღარ მოუთმინა და ბულვარისკენ გაემართა. ფეხებმა თითქოს თავად მიიყვანეს მაგიუსის დუქანთან, სურათი ვერსად შეამჩნია.

_ გავყიდე თქვენი ტილო, _ უთხრა ვაჭარმა.

_ რამდენად?

_ ცოტაოდენი სარგებელიც ვნახე. გამიკეთეთ ფლამანდური ინტერიერები, ანატომიის გაკვეთილი, პეიზაჟი. გასამრჯელოს გადაგიხდით, _ მიმართა ელიასმა ფუჟერს.

გრასუ მზად იყო მაგიუსს გადახვეოდა. ახლა იგი საკუთარ მამასავით შესცქეროდა ვაჭარს. შინ სიხარულით აღვსილი დაბრუნდა. მაშ, დიდი მხატვარი შინერი შემცდარა! უზარმაზარ ქალაქ პარიზში თურმე არსებობენ ადამიანები, ვისი გული გრასუს გულთან შეხმატკბილებულად სცემს. მისი ნიჭი გაიგეს და დააფასეს. საწყალი ოცდაშვიდი წლის კაცი ბიჭივით გულუბრყვილო იყო. ვინმე სხვა, ეჭვიანი და პირქუში მხატვარი, შეამჩნევდა ელიას მაგიუსის სატანისებურ გამოხედვას, წვერის ცანცარს, ულვაშების დამცინავ ცმაცუნს, მხრების აჩეჩვას, რაც ამჟღავნებდა ვალტერ სკოტისეული ებრაელის კმაყოფილებას, ქრისტიანის შეცდენით გამოწვეულს. აღფრთოვანებულმა ფუჟერმა ბულვარზე გაისეირნა. სიხარულმა მის სახეს ამაყი გამომეტყველება მოჰფინა. დაემსგავსა ლიცეუმის მოსწავლეს, რომელმაც პირველი საყვარელი გაიჩინა. გრასუს გზად ამხანაგი შემოხვდა. ეს იყო ჟოზეფ ბრიდო, ერთი იმ არაჩვეულებრივი ნიჭით მომადლებული მხატვართაგანი, რომელნიც დიდებისა და უბედურებისათვის დაბადებულან ქვეყნად. ჟოზეფ ბრიდოს, როგორც თავად განუცხადა მეგობარს, ჯიბეში რამდენიმე სუ გასჩენოდა. მან ფუჟერი ოპერაში დაპატიჟა. გრასუ ვერც ბალეტს ხედავდა და ვერც მუსიკას უსმენდა; სურათებზე ფიქრობდა, ხატავდა. შუა წარმოდგენისას ჟოზეფი მიატოვა და შინ გაიქცა. ლამპის შუქზე ესკიზები მოხაზა, ოცდაათი სურათი მოიფიქრა _ ოდესღაც უკვე ნანახი, დავიწყების ბურუსით მოცული, მოგონებებით სავსე. თავი გენიალურ მხატვრად წარმოიდგინა. მეორე დღესვე იყიდა ფერები, სხვადასხვა ზომის ტილოები. მაგიდაზე დაიწყო პური, ყველი, ხელადით წყალი. ღუმელისათვის შეშა მოიმარაგა და შემდეგ, სახელოსნოებში რომ იტყვიან, კირკიტი დაუწყო თავის სურათებს. რამდენიმე მენატურეც

ჰყავდა. ხოლო მაგიუსმა ქსოვილები ათხოვა. ორი თვის პატიმრობის შემდეგ ბრეტონელმა ოთხი სურათი დაასრულა.

რჩევისათვის კვლავ შინერს მიმართა. არც ჟოზეფ ბრიდო დავიწყებია. ორივე მხატვარმა ამ ნახატებში ჰოლანდიური პეიზაჟებისა და მეტსუს ინტერიერების მიბაძვა აღმოაჩინა, მეოთხე სურათში კი რემბრანდტის «ანატომიის გაკვეთილის» ასლი.

_ ისევ მიბაძვა, _ აღმოხდა შინერს, _ ეჰ! ფუჟერს ძალიან უმძიმს დამოუკიდებელი მუშაობა.

_ კარგი იყო სხვა საქმე აგერჩია, _ უთხრა ბრიდომ.

_ რა საქმე? _ იკითხა ფუჟერმა.

_ მოდი, ლიტერატურაში გადაიჭერი.

პიერ გრასუმ თავი ჩაქინდრა, როგორც ცხვარმა იცის წვიმის დროს, მერე ისევ გამოკითხვას შეუდგა; კვლავ საჭირო რჩევა-დარიგება მიიღო. ნახატები შეასწორა და ელიასს წაუღო. ელიასმა თითოეულ სურათში ოცდახუთი ფრანკი გადაუხადა. ფუჟერი არც მოგებას იყო, არც წაგებას, თუ გავიხსენებთ მის ხელმომჭირნეობას. რამდენჯერმე აისეირნ-ჩაისეირნა მაგიუსის დუქნის წინ, _ უნდოდა გაეგო, რა ბედი ეწია ჩემს ნახატებსო. უცნაური ჰალუცინაცია დაემართა. მისი ესოდენ დავარცხნილი, გაკრიალებული, თოლუსივით მაგარი და ფაიფურზე ნახატივით პრიალა ტილოები, თითქოს ბურუსში გახვეულიყო და ძველ სურათებს დამსგავსებოდა. ელიასი სულ ცოტა ხნის წინათ სადღაც წასულიყო და ფუჟერმა ამ საკვირველი მოვლენის ასავალ-დასავალი ვერ გაიგო. გაიფიქრა, ალბათ, კარგად ვერ გავარჩიე, უთუოდ მომეჩვენაო. გრასუ თავის სახელოსნოში დაბრუნდა და იმ სურათების ხატვას შეუდგა, რაც დიდი ხანია სხვების მიერ იყო შექმნილი. შვიდი წლის განუწყვეტელი მუშაობის შედეგად ფუჟერი ცოტად თუ ბევრად ჩაწვდა კომპოზიციის საიდუმლოებას და საშუალო ღირსების ნახატების შესრულებას დაეუფლა. ხატავდა ისევე, როგორც ყველა მეორეხარისხოვანი მხატვარი ხატავს. ელიასი მის ყველა ნაშრომს ყიდულობდა და ყიდდა. საწყალი ბრეტონელი ასიოდე ლუიდორს ძლივს იღებდა და ათას ორას ფრანკზე მეტს არ ხარჯავდა.

1829 წლის გამოფენის დროს ლეონ დე ლორა, შინერი და ბრიდო დიდი გავლენით სარგებლობდნენ და ხელოვნების ახალ მიმართულებას სათავეში უდგნენ. სამთავეს თავიანთი ძველი მეგობარი მისი სიჯიუტისა და სიღარიბის გამო შეეცოდათ და დიდ სალონში გამოსაფენად ფუჟერის ერთი ნახატი მიიღეს. სურათი დიდ ყურადღებას იპყრობდა. განწყობილებით ვინერონს მოგვაგონებდა, ხოლო შესრულებით _ ადრინდელ

დიუბუფს. გრასუს თავის ტილოზე წარმოედგინა ახალგაზრდა კაცი, ვისაც კეფაზე თმას პარსავდნენ. ამ კაცს ერთი მხრიდან მღვდელი ედგა, მეორე მხრიდან _ დედაბერი და მტირალი ყმაწვილი ქალი. სასამართლოს მდივანი საღერბო ქაღალდს კითხულობდა. გაჩორკნილ მაგიდაზე ხელუხლები საჭმელი მოჩანდა. სინათლე მაღლა ჩატანებული ფანჯრის გისოსებში შემოდიოდა. სურათში ისეთი რამ იყო გადმოცემული, რის დანახვაზე ბურჟუები უნდა აკანკალებულიყვნენ და კანკალებდნენ კიდეც. ფუჟერი კი სულ უბრალოდ ჟერარ დოუს შედევრით იყო შთაგონებული. მან «წყალმანკიანი ქალის» ჯგუფი წინა მხრიდან კი არ გადმოსცა, არამედ ფანჯრისკენ შეატრიალა. მომაკვდავი სიკვდილმისჯილით შეცვალა: იგივე ფერმკრთალი სახე, იგივე გამოხედვა, იგივე ღაღადი ღვთისადმი. ფლამანდიელი ექიმის ნაცვლად სასამართლოს მდივნის ცივი და ოფიციალური ფიგურა დახატა. ჟერარ დოუს ახალგაზრდა ქალს, გვერდით დედაბერი დაუყენა. დაბოლოს, შემაძრწუნებლად გულთბილ ჯალათს მთავარი ადგილი მიუჩინა. ეს უხვად შენიღბული პლაგიატი ვერავინ იცნო.

კატალოგში ასე ეწერა:

510. გრასუ ფუჟერელი (პიერ). ნავარენის ქუჩა 2.

1809 წელს სიკვდილმისჯილი შუანის ჩაცმა.

ნახატი თუმცა მდარე ღირსების იყო, მაინც საოცარი წარმატებით სარგებლობდა, ვინაიდან ყველას მორტანის ცეცხლისმომკიდებელთა საქმეს აგონებდა. საზოგადოება ყოველ დღე თავს იყრიდა მოდაში შემოსული ნაწარმოების წინ. შარლ X-ც კი შეჩერდა აქ. დედოფალმა ყურადღება გამოიჩინა საბრალო ბრეტონელისადმი, ვისი მოთმინებით სავსე ცხოვრების ამბავს მის ყურამდეც მიეღწია. ორლეანელმა დუკამ სურათის შესყიდვა დააპირა. სასულიერო პირებმა დოფინის მეუღლეს მოახსენეს, ნახატის სიუჟეტი კეთილი აზრებითაა გამსჭვალულიო. მართლაც, ამ ტილოზე მეტად დამაკმაყოფილებელი რელიგიური განწყობილება სუფევდა. მისი უდიდებულესობა დოფინი იატაკის მტვერმა აღტაცებაში მოიყვანა, რაც უხეშ შეცდომას წარმოადგენდა, რადგან ფუჟერმა მომწვანო ფერის კედლების ძირის ნესტიანობის აღსანიშნავად მიმოფანტა. დედოფალმა გრასუს ნაშრომი ათას ფრანკად შეისყიდა. დოფინმა სხვა სურათი შეუკვეთა მხატვარს. შარლ X-მ ოდესღაც, 1799 წელს, მეფის დასაცავად ბრძოლის მონაწილე გლეხის შვილს, პიერ გრასუს, ორდენი უბოძა. დიდი მხატვარი ჟოზეფ ბრიდო არ დაუჯილდოებიათ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ორი ტილო შეუკვეთა ფუჟერს, რელიგიურ თემაზე. ეს სალონი გახდა მთელი ცხოვრება პიერ გრასუსი, მისი სახელი, სიმდიდრე, მომავალი.

ბოლოს და ბოლოს, მიადგა თუ არა ოქროს მადანს, გრასუ ფუჟერელმა ნაწილობრივად დაამტკიცა არსებობა იმ საზარელი კანონისა, რისი წყალობით უბადრუკ, უნიჭო ადამიანებს საშუალება ეძლევათ საზოგადოების ყველა ფენაში მაღალი მდგომარეობისათვის განკუთვნილ პიროვნებათა არჩევანი საკუთარი გემოვნების მიხედვით მოახდინონ. რაღა თქმა უნდა, ისინი საკუთარ თავს ირჩევენ და ჭეშმარიტად ნიჭიერ ადამიანებს გააფთრებით ებრძვიან. ყველაფერში საარჩევნო წესის გამოყენება მცდარია.

ასე იყო თუ ისე, კეთილი და მშვიდი ფუჟერის მოკრძალებამ, უბრალოებამ და თავისი გამარჯვებით გამოწვეულმა გაკვირვებამ კინკლაობა და შური ჩააჩუმა. ამას გარდა, მას იცავდა ყველა წინწაწეული გრასუ, რომლებიც ახალგამოჩეკილ გრასუებს მხარში უდგანან. ზოგიერთს ამ კაცის შეუპოვრობამ და მხნეობამ გული მოულბო და დომენიკინო გაახსენა. ისინი ამბობდნენ: «ხელოვნებაში ნებისყოფის გამოჩენას ჯილდო უნდა მიეზღოს! გრასუს თავისი წარმატება არ მოუპარავს. აგერ, ათი წელია, რაც სურათებს ჩაჰკირკიტებს. საბრალო! შეძახილი «საბრალო!» სანახევროდ გახდა მიზეზი ქებისა და მილოცვებისა, რასაც მხატვარი იღებდა. სიბრალული ისევე ამოატივტივებს ხოლმე უნიჭოებს, როგორც შურიანობა ძირავს დიდ შემოქმედებს. გაზეთებმა არ დაინდეს მხატვარი, მაგრამ ახლად გამომცხვარმა კავალერმა ეს ისევე მოინელა, ვითარც მეგობრების რჩევა-დარიგებას ინელებდა: ანგელოზური მოთმინებით. ამ დროისათვის გრასუმ დიდი ოფლის ღვრით მოპოვებულ თხუთმეტიოდე ათას ფრანკს თავი მოუყარა და ნავარენის ქუჩაზე ბინა და სახელოსნო მოიწყო. აქ დახატა მისი უდიდებულესობის დოფინის მიერ დაკვეთილი სურათი და მინისტრსაც დანიშნული დღისათვის რელიგიურ თემაზე შექმნილი ორი ტილო მოუმზადა. ასეთმა სიზუსტემ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო სხვაგვარ მოქმედებას შეჩვეული მინისტრის სალარო. მოდი და აღტაცებაში ნუ მოგიყვანთ თადარიგიანი ადამიანის ბედი! გრასუს რომ დაეგვიანა, ივლისის რევოლუცია მოუსწრებდა და ვერაფერს მიიღებდა. ოცდაჩვიდმეტ წელს მიღწეულმა ფუჟერმა ელიას მაგიუსისათვის შექმნა დაახლოებით ორასი სურათი, მართალია, საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი, მაგრამ ხელი გაიწაფა მათი მეოხებით და ისეთი ხატვა დაიწყო, რაც ბურჟუას გულს უხარებს, ხოლო ნამდვილ მხატვარს აიძულებს მხრები აიჩეჩოს. მეგობრებისთვის ფუჟერი ძვირფასი იყო თავისი პირდაპირობის, შეურყეველი გრძნობების, უებრო თავაზიანობისა და დიდი პატიოსნების გამო, თუ პატივს არ სცემდნენ ამ მხატვრის პალიტრას, პალიტრის პატრონი მაინც უყვარდათ.

_ რა უბედურებაა, ნეტავი ფუჟერს მხატვრობის კვიატი არ სჭირდეს! _ ეუბნებოდნენ ერთმანეთს მისი ამხანაგები.

მიუხედავად ამისა, გრასუმ შესანიშნავი რჩევის მიცემა იცოდა მსგავსად იმ მეფელეტონეებისა, რომელთაც თავად არ ძალუძთ წიგნის დაწერა, თუმცა კარგად უწყიან, სად სცოდავენ სხვისი ნაშრომები. ერთი კია, ლიტერატურულ კრიტიკოსებსა და ფუჟერს შორის არსებობდა განსხვავება: ფუჟერი უაღრესად მგრძნობიარე იყო მშვენიერების მიმართ, მისი გამოცნობა შეეძლო. ამიტომ გრასუს რჩევას სამართლიანობის ბეჭედი ესვა, რაც ადამიანს მისი შენიშვნების სისწორეში არწმუნებდა.

ივლისის რევოლუციის შემდეგ ფუჟერი ყოველ გამოფენაზე ათიოდე სურათს წარადგენდა ხოლმე. ჟიური აქედან ოთხს ან ხუთს იღებდა. გრასუ უაღრესი მომჭირნეობით ცხოვრობდა. ერთი მოახლე ჰყავდა მხოლოდ. მის ერთადერთ გასართობს მეგობრებთან ერთად სტუმრად სიარული და ხელოვნების ნიმუშების დათვალიერება წარმოადგენდა. ხანდახან თავის თავს საფრანგეთში პატარ-პატარა მოგზაურობის ნებას აძლევდა. ოცნებობდა შვეიცარიაში წასვლაზე, _ შთაგონების მისაღებად. ეს უმსგავსი მხატვარი შესანიშნავი მოქალაქე გახლდათ: ნაციონალური გვარდიის გუშაგად დგებოდა, სამხედრო შემოწმებაზე დადიოდა, ბინის ქირას და სხვა გადასახადებს უაღრესი ბურჟუაზიული სიზუსტით იხდიდა. შრომასა და სიღატაკეში ჩაფლულს არასოდეს სიყვარულისთვის არ მოუცლია. აქამდე უცოლოდ დარჩენილსა და ხელმოკლე ცხოვრებაში ჩაძირულს სრულებითაც არ სურდა თავისი ესოდენ მარტივი არსებობა გაერთულებინა. გასამდიდრებლად რაიმე გზის გამოძებნის უნარი არ შესწევდა. სამაგიეროდ, ყოველ სამ თვეში ერთხელ ნოტარიუს კარდოსთან თავისი დანაზოგი და მოგება მიჰქონდა. მოუგროვდებოდა თუ არა ათასი ეკიუ, ნოტარიუსი გრასუსათვის საგირავნო ქაღალდს ყიდულობდა: დამგირავებელს, ამ ქაღალდის თანახმად, დავალიანების შემთხვევაში ქონების გაყიდვის უფლება ეზღუდებოდა, ასევე მის მეუღლესაც, თუ დამგირავებელი ცოლიანი იყო. პროცენტებზეც ნოტარიუსი ზრუნავდა და მათ გრასუ ფუჟერელის თავნს უმატებდა. მხატვარი მოელოდა იმ ბედნიერ წუთს, როცა მისი დაკვეთები მნიშვნელოვან რიცხვს მიაღწევდა და ორი ათას ფრანკს წლიურ შემოსავალს მოუტანდა. მაშინ კი უფლება მიეცემოდა ლაღად გაეშალა ფრთები და დასწაფებოდა მხატვრის otium cum dignitate-ს. ო, რა სურათებს შექმნიდა! ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ სურათებს! დასრულებულს, პირდაპირ გასაგიჟებელს, ადამიანის ყოველგვარ წარმოდგენას გადაცილებულს! ხომ არ გსურთ გაიგოთ მისი ოცნება

მომავალზე, ბედნიერებაზე, მისი იმედების უმაღლესი მწვერვალი? უნდოდა გამხდარიყო აკადემიის წევრი, მიეღო საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი, შინერსა და ლეონ დე ლორას გვერდით ამოდგომოდა და აკადემიაში ჟოზეფ ბრიდოზე ადრე მოხვედრილიყო! საღილეში ორდენის ლენტი! რა ოცნებაა! მხოლოდ უნიჭოებს შეუძლიათ ყველაფერზე ფიქრი!

გაისმა თუ არა კიბეზე ნაბიჯების ხმა, ფუჟერმა ქოჩორი გადაივარცხნა, ბოთლისფერი ხავერდის ხალათი შეიკრა და უნდა გენახათ მისი გაკვირვება, როდესაც კარებში გამოჩნდა ადამიანის ისეთი თავი, რასაც მხატვართა სახელოსნოებში მდაბიურად «გოგრას» ეძახიან. ეს ნაყოფი ჟღარუნა ზინზილაკებით მორთულ ლურჯ მაუდში გამოწყობილ საზამთროზე იყო მიმაგრებული, გოგრა დელფინივით ქშინავდა; საზამთრო მოძრაობდა თალგამებით, რისთვისაც შეცდომით ფეხები დაერქმიათ. ჭეშმარიტი მხატვარი ბოთლების ვაჭრუკანას ამგვარ კარიკატურას შექმნიდა, მერე იტყოდა, ბოსტნეულს არ ვხატავო და მაშინვე გარეთ გააგდებდა. ფუჟერს კი დამკვეთის დანახვაზე სულაც არ გასცინებია; ბატონი ვერველის პერანგს ხომ ათას ეკიუდ ღირებული ბრილიანტი ამშვენებდა.

მხატვარმა მაგიუსს გადახედა და იმ დროს სახელოსნოებში მიღებული ჟარგონით აღნიშნა: «მსუქანი ნაჭერია!»

ამ სიტყვების გაგონებაზე ბატონმა ვერვილმა კოპები შეიკრა, ბურჟუა წინ მიუძღოდა ბოსტნეულის სხვა რთულ ჯიშებს _ მეუღლესა და ასულს თვისას. ცოლს პირისკანი გადაღებილ წითელ ხეს მიუგავდა. აღნაგობით ქამარგადაჭერილ ქოქოსის კაკალს ჰგავდა, თავით დაგვირგვინებულს. ქოქოსის კაკალი ფეხებზე მოგორავდა და შავზოლებიან ყვითელ კაბაში იყო გახვეული. მას ამაყად გაეფარჩხა თითები, რომლებზედაც ვიტრინაში გამოფენილი ხელთათმანებივით გაბერილი ექსტრავაგანტური მიტენები წამოეცვა. ჩამოფხატულ შლიაპაზე პირველი კლასის კატაფალკის ბუმბულები ირხეოდა. წინ და უკან ერთნაირად ამობრცულ მხრებს მაქმანები უმკობდა. ამგვარად უზადო გახლდათ სფერული ფორმა ქოქოსის ნაყოფისა. მისი ფეხები, სწორედ იმ ჯურისა, მხატვრები რომ მორგვებს უწოდებენ, ექვსკეცად ამოფუებულიყო გალაქული ფეხსაცმელიდან: ნეტავ როგორ ჩაეტია ეს ფეხები ფეხსაცმელში? არ ვიცით.

დედ-მამას მოსდევდა ქორფა სატაცური, მწვანე და ყვითელი თავისი კაბის წყალობით. პატარა თავზე, რომაელების სათაყვანო მოყვითალო-სტაფილოსფერი თმა გადაეჭიმა. ბუსუსიანი მკლავები ჰქონდა. საკმაოდ თეთრ კანზე ჭორფლი ეყარა. დიდ,

გულუბრყვილო თვალებს თეთრი წამწამები და თხელი წარბები უმშვენებდა. იტალიურ ჩალის შლიაპაზე თეთრი ატლასი ევლო და ატლასისვე ორი უმწიკვლო ბაფთა ეკეთა. კდემამოსილი წითელი ხელები ჰქონდა და დედის ფეხები.

სახელოსნოს დათვალიერების ამ სამი ქმნილების ბედნიერ გამომეტყველებას დაეტყო პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული აღტაცება ხელოვნებისადმი.

_ ბატონო ჩემო, მაშ, თქვენ იკისრეთ ჩვენისთანების დახატვა? _ გმირულად იკითხა ოჯახის მამამ.

_ დიახ, ბატონო, _ მიუგო გრასუმ.

_ ვერველ, ჯვარი ჰქონია, _ უჩურჩულა ცოლმა ქმარს, როცა მხატვარმა მათ ზურგი შეაქცია.

_ აბა, რა გეგონა, ისეთ მხატვარს შევუკვეთდი ჩვენს პორტრეტებს, რომ ორდენით არ ყოფილიყო დაჯილდოებული? _ უპასუხა ყოფილმა ბოთლებით მოვაჭრემ.

ელიას მაგიესი ვერველთა ოჯახს გამოემშვიდობა და ოთახიდან გავიდა. გრასუმ კიბემდე გააცილა.

_ თქვენს მეტი ვერავინ შეძლებდა ამ სფეროების ანკესზე წამოგებას.

_ ასი ათასი ფრანკი მზითვად!

_ ჰო, მაგრამ ოჯახსაც შეხედეთ!

_ მომავალში სამი ათასი ფრანკი, ვილ დ’ავრეიში აგარაკი, სახლი ბუშერას ქუჩაზე.

_ ბუშერა, ბოთლი, საცობი, დაცობა... _ ჩაიქილიკა მხატვარმა.

_ სიცოცხლის დანარჩენ დღეებს უზრუნველად გაატარებთ, _ უთხრა ელიასმა.

ეს აზრი ისე შეიჭრა პიერ გრასუს თავში, როგორც დილის შუქი მანსარდში და როცა ნორჩი ასულის მამა დასახატავად მოამზადა, მისი გამომეტყველება უკვე კეთილი ეჩვენა და მისი სახის მკვეთრი ტონებითაც აღფრთოვანდა. გრასუს ყოველგვარ მზადებას ხატვისათვის დედა-შვილი აღტაცებაში მოჰყავდა. მხატვარს გარს დაჰფარფატებდნენ და ღმერთივით შესციცინებდნენ. ეს აშკარა გაღმერთება გულზე სალბუნად მოედო ფუჟერს. ოქროს ვერძმა ვერველთა ოჯახი ფანტასტიკური შარავანდედით განაცისკროვნა.

_ ალბათ, უთვალავ ფულს შოულობთ და ისევე ფანტავთ, როგორც შოულობთ? _ აღმოხდა დედას.

_ არა, ქალბატონო, _ მიუგო მხატვარმა, _ არაფერსაც არ ვფანტავ. თავშესაქცევად ფული სად მაქვს. ჩემს შემოსავალს ნოტარიუსი პატრონობს. მისი ასავალ-დასავალი იმან იცის. ჩავაბარებ ფულს და მორჩა, მასზე აღარც ვფიქრობ.

_ მე კი მეუბნებოდნენ, _ შეჰყვირა მამა ვერველმა, _ ყველა მხატვარი ჯიბეგახვრეტილიაო.

_ თუ თავხედობად არ ჩამომართმევთ, მითხარით, ვინ არის თქვენი ნოტარიუსი? _ იკითხა ქალბატონმა ვერველმა.

_ ერთი ჩინებული ყმაწვილი, მეტად პატიოსანი, კარდო.

_ ამას დახედე, რა ოინია! _ შეჰყვირა ვერველმა. _ კარდო ხომ ჩვენი ნოტარიუსიცაა.

_ ნუ მოძრაობთ, _ მიმართა მხატვარმა ვერველს.

_ აბა, წყნარად იჯექი, ანტენორ, _ უთხრა ცოლმა. _ არაფერი გააფუჭებინო ბატონ ფუჟერს. რომ ხედავდე როგორ მუშაობს, მაშინ მიხვდებოდი...

_ ღმერთო ჩემო, რატომ არ მასწავლეთ ხატვა? _ უთხრა მადმუაზელ ვერველმა მშობლებს.

_ ვირჟინი, მაგას რას ამბობ? _ შესძახა დედამ, _ ყმაწვილმა ქალმა ზოგიერთი რამ არ უნდა იცოდეს! როცა გათხოვდები... მაშინ შენი ნებაა! მანამდე კი ჭკუით იყავი.

პირველი სეანსის დროს ვერველთა ოჯახი თითქმის დაუმეგობრდა პატიოსან მხატვარს. სახელოსნოდან გავიდნენ თუ არა, დედ-მამამ ვირჯინის უთხრა, წინ გაგვიძეხიო. მშობლებსა და შვილს შორის საკმაო მანძილი იყო, მაგრამ ასულმა მაინც მოჰკრა ყური ქვემომოყვანილ სიტყვებს, რომელთა აზრს არ შეიძლებოდა ქალიშვილისათვის ცნობისმოყვარეობა არ აღეძრა.

_ კაცი ორდენითაა დაჯილდოებული... ოცდაჩვიდმეტი წლისაა... დაკვეთები აქვს და დანაზოგს ჩვენს ნოტარიუსთან ინახავს... რას იტყვი, კარდოს ხომ არ შევეკითხოთ? კარგია, გიწოდებდნენ ქალბატონ ფუჟერს!.. ცუდი კაცი არ ჩანს!.. იქნებ თქვა, ვაჭარი ჯობსო?.. რა იცი, სანამ ვაჭარი საქმიდან არ გადადგება, ვერ გაიგებ, რა მოელის შენს შვილს... ხელმომჭირნე მხატვარი კი... თანაც ჩვენ ხელოვნება გვიყვარს... და ბოლოს და ბოლოს!..

იმ დროს, როდესაც ვერველთა ოჯახი პიერ გრასუზე ბჭობდა, პიერ გრასუ ვერველთა ოჯახზე ფიქრობდა. სახელოსნოში ვეღარ მოისვენა და ბულვარზე გაისეირნა. გამვლელ-გამომვლელ მწითურ ქალებს დაუწყო თვალთვალი. თავში მეტად უცნაური აზრები მოსდიოდა: ოქრო უმშვენიერესი ლითონია. ყვითელი ფერი ოქროს გვაგონებს. რომაელებს მწითური ქალები მოსწონდათ. გრასუც რომაელი გახდა და ასე შემდეგ. ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ ნეტავ რომელი მამაკაცი ფიქრობს ცოლის ფერზე?

სილამაზე წარმავალია... მაგრამ სიმახინჯე რომ რჩება!.. ფული ბედნიერების საწინდარია... ღამით, დაწოლისას მხატვარი ვირჟინი ვერველს უკვე მომხიბვლელად თვლიდა.

ხოლო, როდესაც სამივე ვერველი მეორე სეანსისათვის დანიშნულ დღეს გამოცხადდა, მხატვარი მათ თავაზიანი ღიმილით შეეგება. არამზადას წვერი შეესწორებინა, ქოჩორი საამურად გადაევარცხნა, თეთრი პერანგი ჩაეცვა. საუკეთესო შარვალი შეერჩია და წითელ, ჭვინტაწეულ წაღებში გამოწყობილიყო.

ოჯახმა გრასუს ალერსიანი ღიმილითვე უპასუხა. ვირჟინი საკუთარი თმის ფრად შეიფაკლა, თვალები დახარა, პირი მიიბრუნა და ეტიუდების დათვალიერება დაიწყო. პიერ გრასუ ამ საცოდავმა მანჭიობამ აღტაცებაში მოიყვანა. ვირჟინის ცოტაოდენი სინაზე გააჩნდა. საბედნიეროდ, არც მამას ჰგავდა და არც დედას. მაშ, ვიღას ჰგადა?

_ ოჰ, მივხვდი, _ გაიფიქრა მხატვარმა, _ დედამ, ალბათ, ნაცნობს შეხედა.

სეანსის დროს ფუჟერსა და ვერველთა ოჯახს შორის კვიმატი სიტყვების დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა და მხატვარს იმდენი სითამამე ეყო, რომ მამა ვერველი გონებამახვილ ადამიანად გამოაცხადა. ამ ქათინაურების შემდეგ გრასუს გულმა სწრაფად გაუღო კარი ვერველთა საგვარეულოს და ვირჟინის მხატვარმა ერთი ჩანახაზი აჩუქა, ხოლო დედამისს _ ერთი ესკიზი.

_ უფასოდ? _ იკითხეს ქალებმა.

პიერ გრასუმ ღიმილი ვერ შეიკავა.

_ ეგრე არ უნდა არიგებდეთ სურათებს, ეს ხომ ფულია, _ უთხრა ვერველმა.

მესამე სეანსზე მამა ვერველი თავისი მშვენიერი სურათების გალერეაზე ალაპარაკდა, ვილ დ'ავრეის აგარაკზე რომ ჰქონდა. ჩამოთვალა რუბენსი, ჟერარ ჟოუ, მიერისი, ტერბორხი, რებრანდტი, ტიციანი, პოლ პოტერი და სხვა.

_ ბატონმა ვერველმა ბევრი სიგიჟე ჩაიდინა, _ გოროზად წარმოთქვა ქალბატონმა ვერველმა, _ ასი ათასი ფრანკის სურათები აქვს შეძენილი.

_ მე ხელოვნება მიყვარს, _ განაცხადა ყოფილმა ბოთლებით მოვაჭრემ.

როცა ფუჟერმა ქალბატონი ვერველის პორტრეტის ხატვა დაიწყო, ხოლო მისი მეუღლისა თითქმის დაასრულა, ვერველთა ოჯახის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ნოტარიუსმა დიდი ქება-დიდებით მოიხსენია მხატვარი. მისი აზრით, პიერ გრასუზე პატიოსანი კაცი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა. ნოტარიუსმა ისიც აღნიშნა, რომ ფუჟერი ერთ-ერთი ყველაზე დარბაისელი მხატვარია, თანაც ოცდათექვსმეტი ათასი ფრანკი აქვს მოგროვილი და მისი სიღარიბის დღეები წარსულს ჩაბარდაო. ახლა, თქვა მან,

წელიწადში ათი ათას ფრანკს იღებს, პროცენტები თავნში გადააქვს და, რაც მთავარია, მას არ ძალუძს ქალის გაუბედურებაო. ეს უკანასკნელი მოსაზრება უდიდეს სიმძიმედ დაეშვა სასწორზე. ვერველთა მეგობრებს სახელგანთქმული ფუჟერის ხსენებით ყურები გამოუჭედეს. იმ დღეს, როდესაც გრასუმ ვირჟინის პორტრეტის დახატვა დაიწყო, იგი უკვე in petto სიძე გახლდათ ვერველებისა. სამივე ვერველი იფურჩქნებოდა სახელოსნოში, რასაც თავიანთ ერთ-ერთ სამფლობელოდ თვლიდნენ. მათთვის გამოუცნობი მიმზიდველობა იფარებოდა ამ სუფთა, მილაგებულ, კოპწია, არტისტულ ოთახში. Abyssus, abyssum, ბურჟუა იზიდავს ბურჟუას.

სეანსის დასასრულს კიბე აჭრიალდა, კარი უხეშად გაიღო და გააფთრებული, გაწეწილი, გატანჯული ჟოზეფ ბრიდო შემოვარდა. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. შემოურბინა სახელოსნოს და უცბად გრასუს მივარდა. ამასობაში რედინგოტის მუცელთან შეკვრას ცდილობდა, თუმცა ამაოდ, ღილი მაუდის ბუდიდან ამოვადნილიყო.

_ ცუდადაა საქმე, _ უთხრა მან გრასუს.

_ ჰოო!

_ მტერი ფეხდაფეხ მომდევს... მოიცა, ეს რა საგნებს ხატავ?

_ აბა, გაჩუმდი!

_ ჰო, კარგი.

უცნაური კაცის გამოცხადებით უაღრესად შეშფოთებულმა ვერველთა ოჯახმა თავისი ჩვეულებრივი წითელი ფერი შეიცვალა იმ მეწამული ალუბლისფერით, აგიზგიზებულ კოცონში რომ გამოკრთის ხოლმე.

_ ესეც შემოსავალი! _ განაგრძო ჟოზეფმა. _ გამოჩნდა ოქროს მადანი საბადოებში?

_ ბევრი გინდა?

_ ხუთასი... ერთი ისეთი ძაღლის ჯიშის ჩარჩი მომდევს, რომ თუ კბილი ჩაგავლო, მორჩა, არ მოგშორდება, სანამ ხორცს არ ამოგგლეჯს. ეს რა მოდგმაა!

_ ახლავე ორიოდე სიტყვას მიგიწერ ჩემს ნოტარიუსთან...

_ დახე, ნოტარიუსიცა გყავს?

_ ჰო.

_ ახლა კი მესმის, რატომაც არ ანებებ თავს ვარდისფერი ლოყების ხატვას. სწორედ მისწრებაა პარფიუმერიის ვიტრინისათვის.

მოდი და არ გაწითლებულიყო გრასუ, იგი ხომ ვირჟინის ხატავდა.

_ რატომ ისეთს არ ხატავ, როგორიცაა ეს ქალიშვილი, _ აღნიშნა დიდმა მხატვარმა და განაგრძო: _ ქალი მწუთურია, მერე რა, განა ეგ მომაკვდინებელი ცოდვაა? მხატვრისთვის ყველაფერი შესანიშნავია. მიუმატე სინგური პალიტრას. გამოაცოცხლე ეგ ლოყები, დაუწინწკლე ზედ თავისი ყავისფერი ხალები. აქ კი ზეთი მიუმატე. რაო, ბუნებაზე ჭკვიანი ხომ არ გინდა იყო?

_ მოდი, აქ დაჯექი, _ უთხრა ფუჟერმა, _ სანამ ბარათს დაგიწერ, შენ დახატე.

ვერველი მაგიდასთან მიგორდა და გრასუს ჩასჩურჩულა:

_ ეს ვიგინდარა ხომ ყველაფერს გააფუჭებს.

_ მაგას რომ მოესურვებინა თქვენი ვირჟინის პორტრეტის შესრუელბა, ჩემზე ათასჯერ უკეთესად დახატავდა, _ გულისწყრომით უპასუხა ფუჟერმა.

ამის გაგონებაზე ბურჟუამ თვინიერად დაიხია ცოლისაკენ. გარეული მხეცის შემოჭრით გაშტერებული ქალბატონი ვერველი კი ვერ დამშვიდებულიყო, რაკი ამ მხეცს თავისი ასულის პორტრეტის ხატვაში გარეულს ხედავდა.

_ აჰა, ამ მონახაზს მიჰყევი, _ უთხრა ბრიდომ გრასუს, რომელსაც წერილი გამოართვა და პალიტრა დაუბრუნა, _ არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა! ახლა კი შემიძლია არტეზის სასახლეში დავბრუნდე. სასადილო დარბაზს ვუხატავ; ლეონ დე ლორა კი კარის ზემოთ ფრესკებს ხატავს. შესანიშნავია. მოდი, გვნახე.

ვირჟინის მზერით საკმაოდ თავმობეზრებული ბრიდო არავის გამომშვიდობებია, ისე გავიდა სახელოსნოდან.

_ ვინ არის ეგ კაცი? _ იკითხა ქალბატონმა ვერველმა.

_ დიდი ხელოვანი, _ მიუგო გრასუმ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

_ ნამდვილად დარწმუნებული ბრძანდებით, _ მიმართა ვირჟინიმ, რომ მან ჩემს პორტრეტს ზიანი არ მიაყენა? ძალიან კი შემაშინა.

_ პირიქით, კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია, _ უპასუხა გრასუმ.

_ თუკი ეგ დიდი ხელოვანია, მაშინ მე თქვენნაირი დიდი ხელოვანი მირჩევნია, _ განაცხადა ქალბატონმა ვერველმა.

_ არა, დედიკო, ბატონი ფუჟერი უფრო დიდი ხელოვანი ბრძანდება. ის მე მთლიანად დამხატავს.

გენიოსის საქციელმა ააფორიაქა ეს ყოვლად წესიერი ბურჟუები.

დგებოდა შემოდგომის ის პერიოდი, რასაც ესოდენ საამურად «წმიდა მარტენის ზაფხული» ეწოდება. გენიალურ ადამიანებთან ურთიერთობას შეუჩვეველმა ვერველმა ძლივს გაბედა მომავალი კვირისათვის თავის აგარაკზე ფუჟერის მოწიწებით მიპატიჟება. მან იცოდა, რომ მხატვრისათვის ბურჟუას ოჯახი სულ არ იყო მიმზიდველი.

_ თქვენნაირ ხალხს, _ უთხრა ვერველმა ფუჟერს, _ განცდები სჭირდება, ღირსშესანიშნავი სანახაობანი და განსწავლულ ადამიანებთან შეხვედრა. მე მხოლოდ კარგი ღვინით შემიძლია გაგიმასპინძლდეთ და თანაც ჩემი გალერეის იმედი მაქვს _ გაგიქარვებთ მოწყენილობას, რაც არ შეიძლება თქვენისთანა მხატვარმა ვაჭართან ყოფნისას არ იგრძნოს.

ამგვარი თაყვანისცემა განსაკუთრებით ესალბუნებოდა მხატვრის თავმოყვარეობას და აკი დაახვია კიდეც თავბრუ ქათინაურებს მიუჩვეველ საცოდავ პიერ გრასუს. პატიოსანი მხატვარი, მეფის ბრძანებით საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოებული, სანაქებო ყმაწვილი მთელი თავისი საჭურველით შეიარაღდა და ვილ დ'ავრეისკენ გაემგზავრა, რათა იქ წლის უკანასკნელი მშვენიერი დღეებით დამტკბარიყო. მხატვარი ვილ დ'ავრეიში სულ უბრალოდ, სახალხო ეტლით ჩავიდა. აქ უნებურად მოიხიბლა ბოთლებით მოვაჭრის თვალწარმტაცი აგარაკით, რაც ხუთ არპანზე გაჭიმულ პარკში გაეშენებინათ, ვილ დ'ავრეის ყველაზე მაღლობ ადგილას, საიდანაც შესანიშნავად მოჩანდა მიდამოები. ვირჟინის ცოლად შერთვა მშვენიერი აგარაკის დაპატრონებას ნიშნავდა. ვერველები მხატვარს ისე გულიანად, სიხარულით, აღფრთოვანებით და ისეთი მეშჩანური გულღიობით შეხვდნენ, რომ ფუჟერი შეკრთა. ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვების დღე. სასიძო შეყვითლებულ ხეივანში გაასეირნეს. ხეივანი გულმოდგინედ დაესუფთავებინათ, სწორედ ისე, დიდი, ცნობილი ადამიანის ჩამოსვლას რომ შეეფერებოდა. ბუჩქები შეეკვეცათ. თვით ხეებიც თითქოს დაევარცხნათ, სოფლის სუფთა ჰაერში სამზარეულოს უსაზღვროდ გამამხნევებელი სურნელება იფრქვეოდა. ამ სახლში ყოველივე ამბობდა: «ჩვენთან სახელგანთქმული ხელოვანი ჩამობრძანდა!»

მამილო ვერველი თავის ბაღში ვაშლივით მიგორავდა, მისი ასული გველთევზასავით მიიკლაკნებოდა, ხოლო დედა კეთილშობილური გამომეტყველებით ღირსეულად მიაბიჯებდა. შვიდი საათის განმავლობაში ეს სამი არსება პიერ გრასუს ერთი წუთითაც არ მოშორებია. სადილის შემდეგ, რომლის ხანგრძლივობა სუფრის სიუხვეს შეეფარდებოდა, ბატონსა და ქალბატონ ვერველთ დაუდგათ ზეიმის უმნიშვნელოვანესი წუთი: სურათებისათვის ხელსაყრელად გაჩირაღდნებულ გალერეისკენ გაუძღვნენ

სტუმრებს. დიდებული მხატვრის საპატივცემულოდ მოწვეული სამი მეზობელი, სამთავე ყოფილი ვაჭარი, ბიძა, ვისაც მემკვიდრეობა დარჩებოდა, ერთი შინაბერა ვერველი და სხვა სტუმრები გრასუს გალერეაში შეჰყვნენ. ყველას სურდა გაეგო, რა აზრს გამოთქვამდა დიდი ოსტატი მამილო ვერველის სახელგანთქმული გალერეის შესახებ, რადგანაც ბატონ ვერველს ისინი გაეყრუებინა თავისი სურათების ზღაპრულ ღირებულებაზე ლაპარაკით. ბოთლებით მოვაჭრე თითქოს ეჯიბრებოდა კიდეც მეფე ლუი-ფილიპს და ვერსალის გალერეებს. საუცხოო ჩარჩოში ჩასმულ ტილოებს პატარა ფირფიტები ჰქონდა მიკრული. ფირფიტების ოქროსფერ ფონზე შავი ასოებით ეწერა:

რუბენსი

«ფავნებისა და ნიმფების ცეკვა».

რემბრანდტი

«ანატომიის დარბაზი. დოქტორი ტრომპი თავის მოწაფეებს ლექციას უკითხავს».

გამოეფინათ ას ორმოცდაათი პრიალა და ფაქიზად მოვლილი ტილო. ზოგიერთისათვის მწვანე ფარდა ჩამოეფარებინათ. ფარდის გადაწევა ნორჩ ასულთა თანდასწრებით არ შეიძლებოდა.

მხატვარი გაშეშდა ხელებჩამოყრილი, პირდაღებული და ხმაჩაწყვეტილი. სურათების ნახევარი მას ეკუთვნოდა. თავადვე იყო რუბენსიც, პოლ პოტერიც, მიერისიც, მეტსუც, ჟერარ დოუც! მხოლოდ ერთი გრასუ ოც დიდ მხატვარს წარმოადგენდა.

_ რა მოგივიდათ, რატომ გაფითრდით?

_ შვილო, ჩქარა წყალი! _ შეჰყვირა დედა ვერველმა.

მხატვარმა მამა ვერველის ფრაკის ღილს ხელი ჩაავლო და ერთ კუთხესთან მიიყვანა, ვითომდაც მურილიოს ნახვა უნდოდა: იმ ხანებში ესპანური სურათები მოდაში იყო.

_ ეს ტილოები ელიას მაგიუსთან შეიძინეთ?

_ დიახ, ყველა დედანია!

_ ჩვენს შორის დარჩეს, მითხარით, რამდენად მოგყიდათ, მე რომ მიგითითებთ, ის სურათები?

ორთავემ გალერეას შემოუარა. მხატვარმა სტუმრები აღაფრთოვანა, მასპინძლის თანხლებით ესოდენ ყურადღებით რომ ათვალიერებდა შესანიშნავ ქმნილებებს.

_ სამი ათასი ფრანკი! _ დაბალი ხმით თქვა ვერველმა, როცა უკანასკნელ ტილოს მიუახლოვდა, _ მაგრამ ყველას ვეუბნები, ორმოცი ათასი ფრანკი მივეცი-მეთქი.

_ ორმოცი ათასი ფრანკი ტიციანში? _ ხმამაღლა შესძახა მხატვარმა, _ ეს ხომ სულ მუქთაა!..

_ აკი მოგახსენეთ, ჩემი სურათები ასი ათასი ეკიუ ღირს! _ შეჰყვირა ვერველმა.

_ ეს ტილოები ჩემი დახატულია, _ ჩასჩურჩულა მას პიერ გრასუმ. _ და ყველა ერთად ათი ათას ფრანკზე მეტად არ გამიყიდია.

_ დამიმტკიცეთ ეგ, _ უთხრა ბოთლებით მოვაჭრემ, _ და ჩემს ქალიშვილს მზითევს გავუორკეცებ, რადგან მაშინ თქვენ ყოფილხართ თვით რუბენსიც, რემბრანდტიც, ტერბორხიც, ტიციანიც!

_ ხოლო მაგიუსი _ სურათების სახელმოხვეჭილი ვაჭარი! _ დასძინა გრასუმ. მისთვის ახლა ნათელი გახდა, რატომ ეძლეოდა მის ტილოებს მოძველებული იერი და რისთვის იყო საჭირო ის სიუჟეტები, რომლებსაც ჩარჩი ფუჟერს უკვეთდა.

ბატონ ფუჟერს, როგორც მიმართავდა ყოველთვის პიერ გრასუს ვერველთა ოჯახი, ამ შემთხვევის წყალობით თაყვანისმცემელთა პატივისცემა სრულებითაც არ მოჰკლებია, პირიქით, იგი ისე ამაღლდა, რომ ვერველთა ოჯახს პორტრეტები უფასოდ დაუხატა და მიუძღვნა, რაღა თქმა უნდა, თავის სიმამრს, სიდედრს და მეუღლეს.

დღეს პიერ გრასუ სურათების არც ერთ გამოფენას არ აკლდება. ბურჟუების წრეში პორტრეტების ჩინებულ მხატვრად ითვლება. წელიწადში თორმეტი ათას ფრანკს იღებს და ხუთასი ფრანკის ტილოს აფუჭებს. მის ცოლს მზითვად მოჰყვა ექვსი ათასი ფრანკი წლიური რენტა. გრასუ სიმამართან და სიდედრთან ბინადრობს. ვერველები და გრასუები შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, საკუთარი ეტლი აქვთ და ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ადამიანები არაინ. პიერ გრასუ ბურჟუების წრეს არ სცილდება. აქ იგი ამ დროის უდიდეს მხატვრად მიაჩნიათ. ტრონის სადარაჯოსა და ტამპლის ქუჩის შორის მდებარე უბანში, ვინც კი მოისურვებს ოჯახური პორტრეტების დახატვას, აუცილებლად დიდ მხატვარს _ პიერ გრასუს უკვეთს და არასოდეს ხუთას ფრანკზე ნაკლებს არ იხდის. აი, რას ამბობენ ბურჟუები, როცა პორტრეტს უკვეთენ ფუჟერს: «რაც გსურთ ისა ბრძანეთ და პიერ გრასუ კი თავის ნოტარიუსთან წელიწადში ოცი ათას ფრანკს ინახავს!»

12 მაისის ამბოხების დროს პიერ გრასუმ თავი ისახელა, რის გამოც საპატიო ლეგიონის ოფიცრის ჯვარი მიიღო. ახლა იგი ნაციონალური გვარდიის ათასეულის მეთაურია.

აბა, როგორ შეეძლო ვერსალის მუზეუმს ესოდენ კეთილგანწყობილი მოქალაქისათვის ბატალური სურათის დახატვა არ დაევალებინა. ეს მოქალაქე პარიზის

ქუჩებში განგებ დაეხეტება, რათა თავის ამხანაგებს გადაეყაროს და ვითომც სხვათა შორის მოახსენოს: «მეფემ ბატალური სურათი დამიკვეთა».

ქალბატონი ფუჟერი აღმერთებს ქმარს, ვისაც ორი შვილი აჩუქა. ამ მხატვარს, სანიმუშო მამასა და მეუღლეს, თავიდან არ სცილდება ერთი საბედისწერო აზრი: მხატვრები მასხრად იგდებენ, მის სახელს სახელოსნოებში დაცინვის გამოსახატავად ხმარობენ. კრიტიკოსები მის შრომას ყურადღებას არ აქცევენ. გრასუ მაინც განაგრძობს მუშაობას და ოცნებობს აკადემიაზე, სადაც აუცილებლად მოხვდება. თანაც მის გულს სიხარულით ავსებს ერთგვარი შურისძიება: გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი სახელგანთქმული მხატვრების სურათებს ყიდულობს და ვილ დ'ავრეიში არსებულ ნათითხნ ტილოებს ცვლის ნამდვილი შედევრებით, რაც მას არ ეკუთვნის.

ბევრია პიერ გრასუსავით უნიჭო ადამიანი: ესენი უნიჭობასთან ერთად ბოროტები და ჭირვეულები არიან. პიერ გრასუ კი უჩუმარი ქველმოქმედია და თან უებრო თავაზიანობით გამოირჩევა.

პარიზი, დეკემბერი, 1839 წელი.

ფაჩინო კანე

ლუიზს უღრმესი პატივისცემის ნიშნად

თარგმანი რუსუდან დოდაშვილისა

იმხანად ერთ პატარა ქუჩაზე ვცხოვრობდი. მისი სახელი, ალბათ, არცა გსმენიათ. ეს ლედიგიერის ქუჩა გახლავთ; სენტ-ანტუანის ქუჩიდან იწყება, ბასტილიის მოედანთან რომ შადრევანია, იმის მახლობლად, და სერიზეს ქუჩას უერთდება.

მეცნიერების სიყვარულმა შემაგდო ერთ მანსარდზე, სადაც ღამეს თეთრად ვათევდი მუშაობაში, ხოლო ყოველ ცისმარე დღეს იქვე, მეზობლად მდებარე «სამეფო ბიბლიოთეკაში» წიგნებს ჩავჩიჩინებდი.

ღარიბულად ვცხოვრობდი, რაკი თავადვე გადავწყვიტე მტკიცედ დამეცვა მონასტრული ცხოვრების ყველა პირობა, რაც მშრომელი კაცისათვის ესოდენ საჭიროა ხანდახან, კარგ ამინდში, ცოტა ხნით თუ გავისეირნებდი ბურდონეს ბულვარზე.

გულმოდგინე მუშაობას ერთადერთი გატაცება მომწყვეტდა ხოლმე და მასაც ისევ ცოდნის შეძენის წყურვილი იწვევდა _ გარეთ გამოვდიოდი და გარეუბნის მკვიდრთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებსა და ხასიათს ვაკვირდებოდი.

მუშაკაცივით ცუდად ჩაცმული, გულგრილად განწყობილი გარეგნული ზიზილ-პიპილებისადმი, ჩემი გამოჩენით იქაურ მცხოვრებლებს არ ვაფრთხობდი. შემეძლო გავრეულიყავი ბრბოში, დამენახა, როგორ ჩარხავდნენ მუშები ერთმანეთთან საქმეებს, როგორ კინკლაობდნენ სამუშაოს დამთავრებისას.

ადამიანზე დაკვირვების უნარი უკვე ქვეცნობიერ გრძნობად გადამექცა; იგი იჭრებოდა სხვის სულში და უყურადღებოდ სხეულსაც არ ტოვებდა. უფრო სწორად, გარეგნულ დეტალებს ისე უეცრად აღვიქვამდი, რომ სულიერ სამყაროში მაშინვე ვაღწევდი. დაკვირვების ამგვარი უნარი საშუალებას მიქმნიდა იმ პიროვნების ცხოვრებით მეცხოვრა, ვიზედაც დაკვირვებას ვაწარმოებდი. გარდავსახულიყავი იმ პიროვნებად ისევე როგორც დერვიში «ათას ერთი ღამიდან» თავისი თილისმით მოჯადოებულ ადამიანებისაგან იღებდა სხეულსა და სულს.

ღამის თერთმეტსა თუ თორმეტ საათზე, როცა შემომხვდებოდა ვინმე მუშა, ვინც ცოლთან ერთად «ამბიგიუ-კომიკიდან» ბრუნდებოდა, თავშესაქცევად უკან მივყვებოდი და პონტ-ო-შუდან ბომარშეს ბულვარამდე ვაცილებდი.

საცოდავი ადამიანები თავდაპირველად იმ საღამოს ნანახ წარმოდგენაზე საუბრობდნენ. მასლაათში თანდათან თავიანთ საქმეებს გადაწვდებოდნენ. დედა ხელში ხელჩაკიდებულ ბავშვს მოაჩანჩალებდა და მის წუწუნსა და ჩივილს ყურს არ უგდებდა. ცოლ-ქმარი ითვლიდა, ხვალ რამდენი ფული გვერგებაო, და ამ თანხას ათასნაირ საჭიროებისთვის ინაწილებდა.

რა წვრილმანებზე არ ლაპარაკობდნენ. ჩიოდნენ, კარტოფილი გაძვირდა, ზამთარსაც არ ეღირსა გასვლა, ტორფის ფასი კი სულ მატულობს და მატულობსო. ერთმანეთს პირში ახლიდნენ, ხომ იცი, მეფუნთუშის რამდენი გვმართებსო. ბოლოს ატყდებოდა ერთი აყალმაყალი და ორთავე მეტად ხატოვანი გამოთქმებით თავიანთ ხასიათს ამჟღავნებდა.

ვუსმენდი ამ ადამიანებს და მათი ცხოვრება ჩემი ცხოვრება ხდებოდა. ვგრძნობდი, ზურგზე მათი კონკები მეფარა, ფეხზე მათი ლანჩაგახვრეტილი ფეხსაცმელი მეცვა. მათი სურვილები, მოთხოვნილებები, ყოველი მისწრაფება ჩემს სულში გადმოდიოდა, ან ჩემი სული იკალათებდა მათში.

ეს იყო ფხიზელი ადამიანის სიზმარი.

ამ ღარიბ-ღატაკ ადამიანებთან ერთად გული მომდიოდა მათ მჩაგვრელ საწარმოს უფროსებზე, ან სინდისგარეცხილ მუშტრებზე, რაკი ისინი ქირას დროზე არ უხდიდნენ და აიძულებდნენ ხელფასის მისაღებად კარები აეტალახებინათ მათთვის.

ვიცილებდი საკუთარ ჩვევებს, ვითრგუნავდი სულიერ მიდრეკილებებს, რათა სხვა ადამიანად გადავქცეულიყავი და ნებისყოფის გამოცდის თამაშში ჩავბმულიყავი; ასეთი გახლდათ ჩემი გართობა.

ნეტავ რას უნდა ვუმადლოდე ამგვარ ნიჭს? შინაგანი ხილვა ხომ არ არის იგი, ან უნარი, რისი ბოროტად გამოყენება სიგიჟეს იწვევს?

ამ ძალის გამომწვევი მიზეზი არასოდეს მიძებნია; მას ვფლობ და მით ვსარგებლობ, ეს არის და ეს.

მარტოოდენ მსურს მოგახსენოთ, რომ იმ დროს უკვე შემეძლო დამენაწილებინა მრავალსახოვანი მასა, რასაც სახელად ხალხი ეწოდება, ჩავწვდომოდი მის არსს და შემეფასებინა მისი კეთილი თუ ბოროტი მხარე.

უკვე კარგად ვიცოდი, რაოდენ ძალას ფლობდა ეს გარეუბანი _ რევოლუციის კერა, _ სადაც იზრდებიან გმირები, გამომგონებლები, თვითმყოფადი მეცნიერები, თაღლითები, არამზადები; სადაც იფურჩქნება სათნოება და მანკიერება. აქ ყველა გათანგულია სიღარიბით, ქანცგაწყვეტილი ხელმოკლეობით, ჩამხრჩვალი ღვინოში, გასავათებული არყის სმით. ვერც წარმოიდგენთ რამდენი ხიფათი მიკარგულა, რამდენი დრამა მისცემია დავიწყებას ამ მწუხარების ქალაქში, რამდენი შემაძრწუნებელი და რამდენი მშვენიერი ამბავი!

გონება ვერასოდეს ჩაწვდება და ვერ შეიცნობს ჭეშმარიტად, რა იმალება აქ; არვის ძალუძს ახსნას ეს ამოცანა. მეტად ქვემოთ, სიღრმეში, უნდა ჩახვიდე, რათა შენს თვალწინ გადაიშალოს ტრაგიკული თუ კომიკური განსაცვიფრებელი სურათები, შემთხვევით აღმოცენებული შედევრები.

თვითონაც არ ვიცი, ესოდენ დიდხანს გულში რატომ ვინახავდი ამბავს, რასაც ახლა მოგიყვებით. იგი წარმოადგენს ნაწილს გასაოცარი თავგადასავლებისა, რაც ინახება იმ გუდაში, საიდანაც მეხსიერებას, როცა მოეპრიანება, მაშინ ამოაქვს ესა თუ ის ამბავი, ვითარც ლატარიის ნომრები. ამასავით უცნაური ბევრი რამ სხვაცა მაქვს გადამალული. დამიჯერეთ, მათაც დაუდგებათ თავიანთი რიგი.

ერთ დღეს ჩემმა მოახლემ, მუშის ცოლმა, მთხოვა პატივი დამედო და მისი ერთ-ერთი დის ქორწილს დავსწრებოდი.

რათა წარმოგიდგინოთ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ქორწილი, საჭიროა მოგახსენოთ, რომ თვეში ორმოც სუს ვაძლევდი საცოდავ დედაკაცს, რომელიც ყოველ დილით ჩემთან მოდიოდა, მისწორებდა ლოგინს, მისუფთავებდა ფეხსაცმელს, მიწმენდდა ტანსაცმელს, მილაგებდა ოთახს, მიმზადებდა სადილს. დანარჩენ დროს რომელიღაც მანქანის ტარს ატრიალებდა და მძიმე ჯაფის საფასურად დღეში ათ სუს უხდიდნენ. მისი ქმარი, წითელ ხეზე მომუშავე დურგალი, დღეში ოთხ ფრანკს იღებდა. ცოლ-ქმარს სამი შვილი ჰყავდა და პატიოსანი შრომით ლუკმა-პურს ძლივს ჭამდნენ.

ამ მამაკაცსავით და დედაკაცსავით ნამუსიანი ადამიანები არასოდეს შემხვედრია.

ამ უბნიდან გადასვლის შემდეგ, მთელი ხუთი წლის განმავლობაში, ჩემი სახელწოდების დღეს დეიდა ვაიან ყოველთვის მოდიოდა ჩემთან და თაიგული და ფორთოხლები მოჰქონდა. ასე იქცეოდა ქალი, ვისაც თავის დღეში ათი სუც არ ჰქონია ზედმეტი.

სიღარიბემ დაგვაახლოვა. ერთხელაც ვერ შევძელი მისთვის მეჩუქებინა ათ ფრანკზე მეტი, რასაც ხშირად სწორედ ამ შემთხვევისთვის ვსესხულობდი.

აღნიშნულმა მდგომარეობამ იქნებ გასაგები გახადოს, რატომ შევპირდი, ქორწილზე მოვალ-მეთქი; ღატაკი ხალხის სიხარულის გაზიარებდა მსურდა.

ნადიმი მოაწყვეს შარანტონის ქუჩაზე მოვაჭრე სირაჯთან, მეორე სართულზე, თეთრი თუნუქის რეფლექტორიანი ნათურებით განათებულ დიდ ოთახში, კედლებზე მაგიდის სიმაღლემდე გაქონილი შპალერი იყო გაკრული, ხოლო კედლების გასწვრივ ხის მერხი იდგა.

თაიგულებითა და ლენტებით მორთული, საზეიმოდ გამოპრანჭული, დროსტარების ჟინით შეპყრობილი, სახეატკეცილი ოთხმოცი ადამიანი დარბაზში ისე ცეკვავდა, თითქოს მეორედ მოსვლა დამდგარიყოს. ყველას გასახარად ნეფე-პატარძალი ერთამანეთს კოცნიდა და იყო ერთი შეძახილები: «ეჰ! ეჰ! აჰ! აჰ!» ეს შეძახილები თუმცა მეტად ორაზროვანი გახლდათ, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, მაინც ნაკლებად უხამსი იყო, ვიდრე კარგად აღზრდილი ყმაწვილი ქალის მრავალმნიშვნელოვანი, ქვეშ-ქვეშა გამოხედვა.

სირაჯის დარბაზში თავმოყრილ ადამიანთა უხეშ მხიარულებაში იყო რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლებოდა სხვებსაც არ გადასდებოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ არც ამ საზოგადოების გარეგნობას, არც ქორწილს, არც სხვა რამეს, რაც აქ ხდებოდა, საერთო არაფერი აქვს ჩემს ამბავთან. მარტოოდენ დაიხსომეთ ის უცნაურობა, რითაც აღწერილი სურათის ჩარჩო გამოირჩევა.

ნათლად წარმოიდგინეთ ამაზრზენი და წითლად შეღებილი დუქანი, შეიგრძენით ღვინის სურნელება, ყური დაუგდეთ მხიარულ შეძახილებს, შეუსისხლხორცდით გარეუბანს, მუშების წრეს, ბერიკაცებს, საცოდავ დედაკაცებს, რომელთაც ერთი ღამის სიამოვნების დაკმაყოფილების ჟინი დაუფლებია.

ორკესტრი შედგებოდა «კენზ-ვანის» სამი ბრმისაგან, პირველი ვიოლინოზე უკრავდა, მეორე _ კლარნეტზე, ხოლო მესამე _ ფლაჟოლეტზე.

სამთავეს ერთად შვიდასი ფრანკი ეძლეოდათ ღამეში.

რაღა თქმა უნდა, ამ ფასად არავინ დაგვიკრავდა არც როსინის, არც ბეთჰოვენს, რაც მოეპრიანებოდათ, იმას უკავდნენ, უფრო კი _ რაც შეეძლოთ.

საყვედურს არავინ ეუბნებოდა მათ: _ მომხიბლავი თავაზიანობა!

მათი დაკვრა ისე უხეშად მოხვდა ჩემს ყურს, რომ ჯერ თავმოყრილ საზოგადოებას მოვავლე თვალი და მერე ბრმების ტრიოს გადავხედე. როცა ფორმა ვიცანი, მაშინვე გული მოილბა.

დამკვრელები ფანჯრის ნიშაში ისხდნენ და თუ მოისურვებდი მათი პირისახის გარჩევას, სულ ახლოს უნდა მისულიყავი. მაშინვე არ მივსულვარ დამკვრელებთან და მერე, როცა მივუახლოვდი მათ, არ ვიცი რატომ, მაგრამ ირგვლივ ყოველივე შეიცვალა, ქორწილი და მუსიკა გაქრა, ცნობისმოყვარეობა უკიდურესად გამიღიზიანდა, რადგან ჩემი სული კლარნეტის დამკვრელის სხეულში გადავიდა. მევიოლინესა და ფლაჟოლეტის დამკვრელს ყველასთვის ცნობილი, ჩვეულებრივი, უსინათლოს დაძაბული, ყურადღებიანი, სერიოზული სახეები ჰქონდათ. კლარნეტზე დამკვრელს კი ისეთი განსაკუთრებული სახე ჰქონდა, რომელიც ერთნაირად იპყრობს როგორც ხელოვანის, ისე ფილოსოფოსის ყურადღებას.

წარმოიდგინეთ გრუზა, შევერცხლილი, აქოჩრილი ჭაღარით მოსილი დანტეს თაბაშირის ნიღაბი, ზეთის ლამპის შუქით განათებული.

ამ საოცარი სახის სევდიანსა და მწუხარე გამომეტყველებას უფრო მეტად ნაღვლიანსა ხდიდა უსინათლობა, რამეთუ ჩაშრეტილ თვალებს აზრი უცოცხლებდა. ბრმის თვალებზე თითქოს კიაფობდა კაშკაშა სხივი, ერთადერთი განუქრობელი ვნებისა,

რაც ძველი კედლის ნასკდომების მსგავსი ნაოჭებით დაღარულ, ამობურცულ შუბლზე მძლავრად აღბეჭდილიყო.

ბერიკაცი ალალბედზე უკრავდა, ერთი ბეწოთიც არ აქცევდა ყურადღებას არც რიტმს და არც მელოდიას. მისი თითები ზემოთ და ქვემოთ ანგარიშმიუცემლად დაცურავდნენ და ძველ კლავიშებს ეხებოდნენ. აინუნშიც არ მოსდიოდა, თუკი მისი ინსტრუმენტი, ორკესტრანტები რომ იტყვიან, «დაიყივლებდა». ხოლო ამას მოცეკვავეები ისევე ვერ ამჩნევდნენ, როგორც ჩემი იტალიელის ორი დამქაში. იტალიელიო, ვამბობ, რაკი მე მინდოდა იტალიელი ყოფილიყო და ის მართლაც იტალიელი იყო.

ამ ხანდაზმულ ჰომეროსს რაღაც დიადსა და დესპოტურს შეამჩნევდით. გულის სიღრმეში იგი უთუოდ ფარავდა «ოდისეას», რასაც დავიწყება ეწერა. თვალში გეცემოდათ მოხუცის დიდებული, მბრძანებლური იერი, რაც მის უკიდურეს სიღარიბეს, დამცირებულ მდგომარეობას უმალ გავიწყებდათ.

არც ერთი მძაფრი ვნებათა ღელვა, რასაც ადამიანი სიკეთისკენაც შეუძლია წაიყვანოს და ბოროტებისკენაც, გადააქციოს კატორღელად ან გმირად, არ აკლდა იტალიელის მოლურჯო-მოთეთრო პირისკანიან, კეთილშობილურად გამოკვეთილ სახეს, დაჩრდილულს შეჭაღარავებული წარბებით, რაც ნისლს ფენდა ღრმულებს, საიდანაც გონების შუქი გამოკრთოდა და ისეთსავე შიშს იწვევდა კაცში, როგორც გამოქვაბულის შესასვლელთან ჩირაღდნებითა და ხანჯლებით შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბოს შეხვედრა. ადამიანის ხორცის გალიაში ლომი იჯდა, რომლის ძალ-ღონე რკინის ხარიხებთან ბრძოლას ფუჭად შეელია.

სასოწარკვეთილების კოცონი ნაცრად ჩაიფერფლა, ლავა გაცივდა, ხოლო კვლები, გაცივებული ნიაღვრის ნაკადულები, მბჟუტავი კვამლი, ვულკანის ამოფრქვევის სიმძლავრეზე მოწმობდა.

ყოველივე ეს, რაც უფრო ბუნდოვნად გამოსჭვიოდა მისი სახის ნაკვთებიდან, ჩემს წარმოდგენაში უფრო ცხოველმყოფლად ისახებოდა.

ყოველი ცეკვის შემდეგ, შესვენების დროს, ჭიქებითა და ბოთლებით ფრიად დაინტერესებული ფლაჟოლეტზე დამკვრელი და მევიოლინე საკრავებს თავიანთ გაცრეცილი ქურთუკების ღილებზე ჩამოიკიდებდნენ, ხელს გაიშვერდნენ ფანჯრის ნიშაში მიდგმულ მაგიდისკენ, სადაც მათთვის სუფრა გაეშალათ და იტალიელს სთავაზობდნენ ღვინით სავსე ჭიქას, რის აღებაც თვითონ არ შეეძლო, რადგან მაგიდა მისი სკამის უკან

იდგა. კლარნეტის დამკვრელი მადლობის ნიშნად მათ ყოველთვის მეგობრულად თავს უქნევდა.

დამკვრელთა მოძრაობა გამოირჩეოდა იმ გასაოცარი სიზუსტით, რაც «კენზ-ვანის» ბრმებს ახასიათებს.

სამი უსინათლოსკენ გავემართე, რათა მათი საუბარი მომესმინა, მაგრამ როცა მივუახლოვდი, ისინი გაიტრუნნენ, ეტყობა, მიხვდნენ, მუშა რომ არ ვიყავი და ხმა გაკმინდეს.

_ სადაური ხართ, თქვენ, კლარნეტზე რომ უკრავთ?

_ ვენეციელი, _ ოდნავი იტალიური კილოთი მიპასუხა ბრმამ.

_ ბრმა დაიბადეთ თუ თვალის ჩინი დაკარგეთ რაღაც...

_ უბედური შემთხვევის შედეგად, _ მიპასუხა მკვირცხლად, _ დაწყევლილი შავი წყალი...

_ ვენეცია ლამაზი ქალაქია. ჩემი დღე და მოსწრება იქ წასვლაზე ვოცნებობ.

ბერიკაცს სახე გაუნათდა, ნაოჭები აუთრთოლდა. მძლავრმა მღელვარებამ შეიპყრო იგი.

_ თუ მე წამოგყვებით ვენეციაში, დროს ტყუილად არ დაკარგავთ, _ მითხრა მან.

_ ვენეციაზე ნურაფერს ეტყვით, თორემ დოჟი თავის რაშს მოაჯდება და... თანაც ორი ბოთლი გადაყლურწა ჩვენმა ბატონიშვილმა!

_ აბა, დავიწყოთ, ყიყლიყო ბიძია!

სამთავე დაკვრას შეუდგა, მაგრამ ოთხივე კადრილის შესრულებისას ვენეციელის ყურადღება მხოლოდ ჩემსკენ იყო მომართული. გრძნობდა, რომ ცნობისმოყვარეობა უაღრესად გამიღიზიანა. სევდიანი გამომეტყველება გაუქრა. რაღაც ჩემთვის უცნობმა იმედმა სახის ნაკვთები გამოუცოცხლა და მის ნაოჭებს ცისფერი ალივით ჩაუქროლა. გაიღიმა და თამამი, შემზარავი შუბლი მოიწმინდა. დაბოლოს, სიხარულმა შეიპყრო იგი, რაკი იგრძნო, რომ საშუალება ეძლეოდა თავისი აკვიატებული აზრი ვინმესთვის გაეზიარებინა.

_ რამდენი წლისა ბრძანდებით? _ ვკითხე მე.

_ ოთხმოცდაორისა.

_ დიდი ხანია, რაც დაბრმავდით?

_ მალე ორმოცდაათი წელი იქნება, _ მიპასუხა მან ისეთი კილოთი, რაც იუწყებოდა, რომ მისი სინანული თვალის ჩინის დაკარგვას არ ეხებოდა მხოლოდ, არამედ რაღაც დიდ ძალაუფლებას, რომელიც ხელიდან გამოსცლოდა.

_ ერთი ეს მითხარით, ესენი დოჟს რატომ გიწოდებენ? _ შევეკითხე.

_ აჰ, ისე, ხუმრობით მეძახიან, _ მომიგო მან. _ ვენეციელი პატრიცი გახლავართ და სხვებსავით მეც შემეძლო დოჟი ვყოფილიყავი.

_ რა გვარისა ბრძანდებით?

_ აქ, _ მიპასუხა მან, _ ძია კანეს მეძახიან. სამოქალაქო აქტებში ჩემი გვარი სხვანაირად შეიტანეს. იტალიურად კი ეს გახლავთ მარკო ფაჩინო კანე, ვარეზელი ბატონიშვილი.

_ როგორ, თქვენ შთამომავალი ბრძანდებით სახელგანთქმული კონდოტიერი ფაჩინო კანესი, რომლის დაპყრობილი სამფლობელოები მილანელ დუკათა ხელში გადავიდა?

_ E vero, _ მითხრა მან, _ იმხანად კანეს ძემ ვენეციას შეაფარა თავი, რათა ვისენტის საგვარეულოს არ მოეკლა. მისი გვარი იქ «ოქროს დავთარში» შეიტანეს. ხოლო დღეს აღარც კანე არსებობს და აღარც საგვარეულო დავთარი. _ და მან ისე ჩაიქნია ხელი, რომ ამით გამოხატა ჩაფერფლილი პატრიოტული გრძნობაცა და ზიზღიც ამქვეყნიური ამაოებისადმი.

_ თუ ვენეციელი სენატორი ბრძანდებით, მაშინ ხომ მდიდარიც უნდა ყოფილიყავით? როგორ მოხდა, რომ ქონება ასე გამოგცლიათ ხელიდან?

ამ შეკითხვაზე მან პირი ჩემსკენ ჭეშმარიტად ტრაგიკული მოძრაობით მოიბრუნა, თითქოს იმისათვის, რათა დამკვირვებოდა და მიპასუხა:

_ უბედურებათა შედეგად!

ღვინის სმა ვიღას აგონდებოდა. ხელით ანიშნა, რომ აღარ სურდა გამოერთმია ღვინით სავსე ჭიქა, რასაც ამ წუთში ფლაჟოლეს ბებერი დამკვრელი აწვდიდა და თავი ჩაქინდრა.

ეს დეტალები იმ ხასიათისა არ გახლდათ, რომ ჩემთვის ცნობისმოყვარეობა დაეყუჩებინა. ცეკვის დროს, როცა ეს სამი ავტომატი დაკვრას განაგრძობდა, მოხუც კეთილშობილ ვენეციელს ვათვალიერებდი გამსჭვალული ისეთი გრძნობით, რაც ოცი წლის ჭაბუკის გულში ცეცხლივით აგიზგიზდება ხოლმე.

თვალწინ წარმომიდგა ვენეცია და ადრიატიკა. მოხუცის ჟამთა სიავით განადგურებულ სახეზე ვხედავდი ნანგრევებად ქცეულ ვენეციას. დავეხეტებოდი ამ ქალაქში, რომელიც ესოდენ ძვირფასია მის ბინადართათვის. მივეშურებოდი რიალტოდან დიდ არხამდე, ესკლავონის სანაპიროდან ლიდომდე. ვბრუნდებოდი ვენეციის ტაძარში, რაც ესოდენ თავისებურად დიდებულია. შევცქეროდი casa d'oro-ს ფანჯრებს, თითოეულ მათგანს ხომ განსხვავებული ჩუქურთმა ამკობს. ვათვალიერებდი მარმარილოთი მდიდრულად ნაგებ ძველ სასახლეებს. დაბოლოს აღტაცება მიპყრობდა მთელი ამ ჯადოსნური ქმნილებათა ხილვით, რამეთუ ისინი იმდენად ძვირფასნი არიან სწავლულისთვის, რამდენადაც იგი ოცნებაში თავის ნებაზე აფერადებს მათ, ხოლო სინამდვილე მის ოცნებას პოეზიის სამოსს არ აცლის.

გონებით მივყვებოდი უდიდეს კონდოტიერთა შთამომავლის ცხოვრების დინებას. იქ ვეძებდი მის უბედურებათა ნაკვალევს და მიზეზს იმ ღრმა ფიზიკური და სულიერი გადაგვარებისა, რაც ამ წუთას მის სახეზე აკიაფებულ სიდიადისა და კეთილშობილების ნაპერწკლებს უფრო მეტად მშვენიერსა ხდიდა.

ჩემი და ვენეციელის ფიქრები, უეჭველია, ერთმანეთს ემთხვეოდა, ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, ბრმა, რაკი ყურადღებას გარე სამყაროს სხვადასხვა საგნებზე ვერ ფანტავს, სხვა ადამიანთან გონებრივ კონტაქტს სწრაფად ახდენს.

მართლაც, ჩვენი ურთიერთკეთილგანწყობილების გამომჟღავნება დიდხანს არ დაყოვნებულა. ფაჩინო კანემ დაკვრა შეწყვიტა. წამოდგა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: «გავიდეთ»! ამ სიტყვამ ჩემზე ელექტრონის დენივით იმოქმედა.

მკლავში ხელი გავუყარე და მასთან ერთად გარეთ გამოვედი.

ქუჩაში ასე მომმართა:

_ თანახმა ხართ წამიყვანოთ ვენეციაში, ჩამყვეთ იქამდე? იქნებ ირწმუნოთ ჩემი? ისეთ ბედსა გწევთ, რომ თქვენი ქონება ამსტერდამსა და ლონდონის ათი ბანკის ქონებას გადააჭარბებს, როტშილდზე მდიდარი გახდებით. ერთი სიტყვთ, იქნებით ისეთი ავლადიდების პატრონი, როგორიც «ათას ერთ ღამეშია» აღწერილი.

გავიფიქრე, ეს კაცი გიჟია-მეთქი, მაგრამ მის ხმაში იმგვარი ძალა გამოკრთოდა, რომ დავნებდი.

მორჩილად გავყევი ბრმას და მან ისე მიმიყვანა ბასტილიის თხრილებთან, თითქოს თვალხილული ყოფილიყოს!

მოხუცი ჩამოჯდა ერთ ქვაზე, უკაცრიელ ადგილას, სადაც შემდგომ ააგეს ხიდი, სენ-მარტენის არხს სენასთან რომ აერთებს. მეც იქვე, ბერიკაცის წინ, მეორე ლოდზე ჩამოვჯექი. მისი ჭაღარა მთვარის შუქზე ვერცხლის ძაფებივით ბზინავდა.

სიჩუმე, რასაც ჩვენამდე მოღწეული ბულვარების ქოთქოთი არღვევდა, კამკამა ღამე, ყოველივე ხელს უწყობდა იმას, რომ სცენა მართლაც ფანტასტიკური ყოფილიყო.

_ თქვენ მილიონებზე ელაპარაკებით ყმაწვილკაცს და გგონიათ, იგი ყოყმანს დაიწყებს მათ მისაღებად? თუნდაც ათასი ხიფათი მოელოდეს? ხომ არ დამცინით?

_ დაე, მოვკვდე ცოდვების მოუნანიებლად, _ მომიგო მან მგზნებარედ, _ თუკი ის, რასაც გიამბობთ, მართალი არ არის. ოცი წლისა ვიყავი, როგორც თქვენა ხართ ახლა; მდიდარი გახლდით, ლამაზი, მაღალი წარმოშობისა და ცხოვრებაში ფეხი შევდგი უდიდესი სიგიჟით, _ სიყვარულით. ისეთმა მიჯნურობამ დამიმონა, რის მსგავსიც ახლა აღარ არსებობს. ოღონდ მარტოოდენ დაპირება მიმეღო, რომ სატრფო კოცნის ნებას დამრთავდა და ჩავჯდებოდი ზანდუკში, სადაც ხანჯლით ამკუწავდნენ. მისთვის სიკვდილი ხანგრძლივ სიცოცხლედ მიმაჩნდა. 1760 წელს ვენდრამინთა საგვარეულოს შთამომავალი, თვრამეტი წლის ქალი შემიყვარდა. მისი ქმარი, გვარად საგრედო, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სენატორი გახლდათ. ოცდაათი წლისა იყო და ცოლი გაგიჟებით უყვარდა. მე და ჩემი სატრფო ქერუბინებივით უცოდველნი ვიყავით. ერთხელ sposo თავს დაგვადგა, როცა ჩვენ სიყვარულზე ვსაუბრობდით. უიარაღოდ ვიყავი. მან დარტყმა ამაცდინა. ვეცი და ორი ხელით დავახრჩე. წიწილასავით მოვუგრიხე კისერი. მინდოდა ბიანკასთან ერთად გავცლოდი ქალაქს, მაგრამ მან არ ინება გამომყოლოდა. ასეთი გახლავთ ქალები! წავედი მარტო. დაუსწრებლად გამასამართლეს. ჩემს ქონებას ჩემს მემკვიდრეთა სასარგებლოდ სექვესტრი დაადეს, მაგრამ მე მოვასწარი და თან წავიღე ალმასები, ტიციანის ხუთი გრაგნილად დახვეული ტილო, მთელი ოქრო, რაც კი გამაჩნდა. წავედი მილანში, სადაც არავის შევუწუხებივარ; ჩემი საქმე ხელისუფლებას სულაც არ აინტერესებდა.

_ სანამ ამბის მოყოლას განვაგრძობდე, ერთ პატარა საკითხზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, _ მითხრა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ. _ არ ვიცი, გავლენას ახდენს თუ არა ქალის ახირებული სურვილები პირმშოზე ჩასახვის მომენტში, ან მაშინ, როცა მუცლით ატარებს, ის კი უდავოა, რომ დედა ჩემზე ორსულობის პერიოდში ოქროზე ჭკუას კარგავდა. მეც ასევე ვგიჟდები ოქროსთვის და ამ მანიის დაკმაყოფილება ჩემი არსებობისთვის სრულიად აუცილებელია. რა პირობებშიც უნდა მოვხვდე, ოქრო თან

უნდა მქონდეს. ხელში ოქროს ვატრიალებ ნიადაგ. სიჭაბუკეში ყოველთვის ოქროს სამკაულს ვატარებდი და ჯიბეში ორი ან სამი დუკატი მედო.

ამ სიტყვებთან მან ორი დუკატი ამოიღო ჯიბიდან და მიჩვენა.

_ თითქოს ყნოსვით ვგრძნობ ოქროს. თუმცა ბრმა ვარ, მაინც ოქრომჭედლების დუქნებთან ვჩერდები. ამ ვნებამ დამღუპა კიდეც. აზარტული მოთამაშე გავხდი, რათა ოქროზე მეთამაშა. ყალთაბანდი არ ვიყავი, სხვები კი ყალთაბანდურად მეთამაშებოდნენ და გავკოტრდი. როცა ქონების ნატამალიც აღარ გადამრჩა, ბიანკას ნახვის სურვილმა გამაგიჟა. საიდუმლოდ დავბრუნდი ვენეციაში. ვიპოვე სატრფო და ექვსი თვის განმავლობაში ბედნიერებით ვტკბებოდი. მის სახლში ვიმალებოდი და საჭმელსაც ის მაჭმევდა. მეგონა, მთელ სიცოცხლეს ასეთი ნეტარებით გავატარებდი.

ბიანკა ერთ პროვედიტორს უყვარდა. იგი მიხვდა, რომ მეტოქე ჰყავდა. იტალიაში მეტოქეს გუმანით გრძნობენ. იმდენი გვითვალთვალა, სანამ სარეცელზე არ შემოგვისწრო. არამზადა! წარმოიდგინეთ, როგორი ბრძოლა გაიმართა ჩვენს შორის. არ მოვკალი, მხოლოდ მძიმედ დავჭერი.

ამ ხიფათმა დაამსხვრია ჩვენი ბედნიერება. ჩემს სიცოცხლეში ბიანკასთანა ქალი აღარ მინახავს.

რა სიამოვნება არ განმიცდია, რა განცხრომას არ მივცემივარ, ლუი XV კარზე მიცხოვრია, ყველაზე სახელგანთმულ ქალებსაც დავახლოვებივარ, მაგრამ ჩემი ძვირფასი ვენეციელისდარ ღირსებებს, მომხიბვლელობას, ვნებიანობას არსად შევხვედრივარ. პროვედიტორს მხლებლები ახლდა. მოიხმო ისინი. სასახლეს ალყა შემოარტყა და მერე შიგ შემოცვივდნენ. თავს ვიცავდი, რათა მოვმკვდარიყავი ბიანკას თვალთა წინაშე. ბიანკაც მეხმარებოდა და ჩემთან ერთად ლამობდა პროვედიტორის მოკვლას.

ოდესღაც ეს ქალი ჩემთან გაქცევაზე არ დამყაბულდა, მაგრამ ექვსი თვის ბედნიერების შემდეგ ისწრაფოდა ჩემთან ერთად მომკვდარიყო და მრავალი ჭრილობაც მიიღო. უცბად დიდი მოსასხამი გადამაფარეს. მერე შემკრეს, გონდოლაში ჩამსვეს და ციხის ერთ-ერთ ხაროში ჩამაგდეს.

ოცდაორი წლისა ვიყავი. ისე მაგრად მეჭირა ჩემი გადატეხილი ხმლის ნატეხი, რომ თუ ხელს არ მომაჭრიდნენ, ვერ წამართმევდნენ. შემთხვევის წყალობით, ან სიფრთხილით შთგონებულმა, რკინის ნატეხი ერთ კუთხეში მივმალე, თითქოს რაიმე სამსახურის გაწევა შეეძლო.

მიმკურნალეს, არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა. ოცდაორი წლის ასაკში რას არ გადაურჩება კაცი.

თავის მოკვეთას მიპირებდნენ. დროის მოსაგებად ავადმყოფობა მოვიგონე. ვვარაუდობდი, ჩემი ჯურღმული არხის გვერდით უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, კედელს გამოვთხრი, არხს გადავცურავ და გავიქცევი-მეთქი, თუმცა დახრჩობა იქნებ არც ამცდენოდა.

ახლავე გეტყვით რას ეყრდნობოდა ჩემი ვარაუდი. ყოველთვის, როცა მედილეგეს ჩემთვის საჭმელი მოჰქონდა, მე ვასწრებდი კედლებზე წარწერილი მითითებები წამეკითხა. მაგალითად, ასეთი წარწერა: «სასახლის მხარე», «არხის მხარე», «მიწისქვეშეთის მხარე». ბოლოს გეგმაც გავარჩიე. მის დანიშნულებაზე სულაც არ ვნაღვლობდი, რაკი უთანხმდებოდა განლაგებას დოჟთა სასახლისა, რის აშენებაც ჯერაც არ დასრულებულა.

გონების განსაკუთრებული დაძაბულობის შედეგად, რასაც თავისუფლების მოპოვების მძაფრი სურვილი იწვევს, ერთი ქვის ზედაპირზე თითების ფათურით ძლივსძლივობით გავარჩიე არაბული წარწერა, რითაც ამ საქმის მოთავე აუწყებდა თავის შემცვლელებს, რომ კედლის ქვემო წყობიდან ორი ლოდი გამოეძრო და თორმეტი ფუტის სიგრძეზე მიწისქვეშა გასასვლელი გამოეთხარა. მისი საქმის გამგრძელებელს ხაროს ძირში უნდა დაეყარა ქვების ნამსხვრევები და კირი, რაც მიწის თხრის შედეგად დაგროვდებოდა.

თუნდაც შენობის მტკიცე ნაგებობით გულარხეინად არ ყოფილიყვნენ მეციხოვნეები და ინკვიზიტორები და არ დაკმაყოფილებულიყვნენ გარედან დაყენებული გუშაგების დაცვით, თვით განლაგება ორმოებისა, სადაც მხოლოდ რამდენიმე საფეხურზე ჩამოდიოდნენ, საშუალებას ქმნიდა თანდათანობით ისე ამემაღლებინა იატაკის დონე, რომ მედილეგეებს არ შეემჩნიათ.

ეს უზარმაზარი სამუშაო წყალში ჩაეყარა ყოველ შემთხვევაში იმას, ვინც წამოიწყო, რადგან დაუმთავრებელი საქმე უცნობის სიკვდილს იუწყებოდა.

რათა მისი თავგანწირვა უკვალოდ არ გამქრალიყო, პატიმარს არაბული ენა უნდა სცოდნოდა. მე კი სომეხთა მონასტერში აღმოსავლური ენები მქონდა ნასწავლი.

ქვის უკან დაწერილი ერთი წინადადება იმ უბედური კაცის ამბავს გადმოსცემდა. იგი მსხვერპლი გამხდარიყო თავისი უთვალავი სიმდიდრისა, რამაც ვენეციას სიხარბე გაუღვიძა და უბიძგა მის ქონებას დაუფლებოდა.

მიზნის მისაღწევად ერთი თვე დამჭირდა, მუშაობისას, ან იმ დროს, როცა დაღლილობა ქანცს მაცლიდა, მესმოდა ოქროს ჩხრიალი, ვხედავდი ოქროს, ალმასების ელვარებით თვალთ მიბნელდებობდა.

ოჰ! მომისმინეთ. ერთ ღამეს ჩემი დაჩლუნგებული ფოლადი ხეს მოხვდა. გავლესე ხმლის ნატეხი და ხის გაბურღვას მოვყევი. მუშაობა რომ შემძლებოდა, მუცლით ვხოხავდი და გველივით ვიკლაკნებოდი. სრულიად შიშველი თხუნელასავით ვთხრიდი მიწას. ხელები წინ გავიშვირე და საძირკვლის ქვაც კი საყრდენ წერტილად გადავიქციე.

სასამართლომდე სამი დღეღა დამრჩა. გადავწყვიტე, ღამით უკანასკნელად დამეძაბა ძალა. გავხვრიტე ხე და რკინა სიცარიელეში გავიდა.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როცა ნაჩვრეტში გავხედე! აღმოვჩნდი ერთი სარდაფის ხის ჩუქურთმის უკან და მკრთალი შუქი საშუალებას მიქმნიდა ოქროს გროვა შემემჩნია.

დოჟი და «ათთა საბჭოს» ერთ-ერთი წევრი სარდაფში იმყოფებოდნენ. მათი ხმაც მომესმა. ლაპარაკიდან შევიტყვე, რომ აქ ინახებოდა რესპუბლიკის საიდუმლო განძი, დოჟთა ძღვენი და ნადავლის მარაგი, რასაც «ვენეციის შემოსავალი» ეწოდებოდა და რაც საომარი ლაშქრობების დროს შეგროვებულ ნაალაფევს წარმოადგენდა.

გადავრჩი!

როცა მედილეგე ჩემთან მოვიდა, ვთხოვე გაქცევაში დამხმარებოდა და თანაც გამომყოლოდა. პირობა დავუდე, რომ იმდენ სიმდიდრეს წავიღებდით თან, რამდენსაც შევძლებდით.

საყოყმანო არაფერი ჰქონდა და ისიც დამთანხმდა.

ლევანტისკენ გასამგზავრებლად გემმა აფრა აუშვა. სიფრთხილის ყველა ზომა მიღებული იყო. ბიანკა ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მზადებას, რასაც მე ჩემი შეთქმულების მონაწილეს ვუკარნახებდი.

ეჭვი რომ არავისთვის აღეძრა, ბიანკა სმირნაში უნდა დაგვწეოდა.

ერთ ღამეს ღრუ გავაფართოვეთ და ვენეციის საიდუმლო ხაზინაში ჩავედით. რა ღამე იყო! ჩემს თვალწინ ოთხი, ოქროთი სავსე, ვეებერთელა კასრი იდგა.

წინა ოთახში ორად დაეგროვებინათ ვერცხლი და ორ გროვას შორის გზა დაეტოვებინათ, რათა გაევლოთ ოთახში, რომლის კედლებთან ხუთი ფუტის სიმაღლეზე მონეტები ეყარა.

მეგონა, ჩემი მედილეგე გაგიჟდებოდა: მღეროდა, ხტოდა, იცინოდა, ოქროში დაკუნტრუშობდა. დავემუქრე, დაგახრჩობ, თუ დროს დამაკარგვინებ, ან ხმაურს ატეხ-მეთქი.

ისე იყო გახარებული, რომ პირველად ვერ შეამჩნია მაგიდა, რაზეც ალმასები ეყარა. მე მივვარდი მაგიდას და, რაც შემეძლო, მეზღვაურის ქურთუკისა და შარვლის ჯიბე-უბეები გავიტენე.

ღმერთო ჩემო! მესამედიც კი ვერ წამოვიღე. მაგიდის ქვეშ ოქროს ზოდები ეყარა. ჩემი ამხანაგი დავიყაბულე, ოქროთი აგვევსო იმდენი ტომარა, რამდენის წაღებასაც შევძლებდით. ეს ერთადერთი საშუალება იყო, როგორც მე ავუხსენი მას, რომ უცხოეთში ჩვენზე ეჭვი არ მოეტანათ.

_ მარგალიტები, სამკაულები, ალმასები გაგვცემს, _ ვეუბნებოდი.

როგორიც უნდა ყოფილიყო ჩვენი სიხარბე, ორი ათას ლივრ ოქროზე მეტის წამოღება ვერ შევძელით. ისედაც ექვსჯერ გადავიარეთ გზა საპატიმროდან გონდოლამდე.

არხზე გასასვლელ კართან მდგომი გუშაგი მოვისყიდეთ ერთი ტომრით, რომელშიაც ათი ლივრი ოქრო იყო.

ორ გონდოლიერს კი ეგონა, რესპუბლიკას ვემსახურებითო.

გათენებისას გავემგზავრეთ. შუა ზღვაში რომ გავედით, ისევ ის ღამე წარმომიდგა თვალწინ. მოვიგონე, რა განცდები გადავიტანე, ხელახლა დავინახე უზარმაზარი საგანძური, სადაც, ჩემი გამოანგარიშებით, ოცდაათი მილიონი დავტოვე ვერცხლითა და ოცი მილიონი ოქროთი. უთვალავი მილიონის ალმასი, მარგალიტები და ლალები, რაღაც სიგიჟის მსგავსმა მომიარა.

ოქროს ციებ-ცხელება შემეყარა.

სმირნაში გადმოვბარგდით და მაშინვე საფრანგეთში მიმავალ გემში ჩავსხედით. გემზე ასვლისას ღმერთმა კეთილი თვალით გადმომხედა და ამხანაგი თავიდან მომაშორა.

მაშინ ვერ მივხდი, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ამ შემთხვევას, რამაც სიხარულით ამივსო გული. ორთავე იმდენად ვიყავით აღელვებული, რომ სრულიად გამოვთაყვანდით და ერთმანეთს ვერც ველაპარაკებოდით. სულ იმას ველოდით, როდის გავცდებოდით საფრთხეს, როდის აღმოვჩნდებოდით მყუდრო ადგილას და ჩვენს ნებაზე დავიწყებდით ცხოვრებას.

განა გასაკვირველია, რომ იმ არამზადას თავგზა აებნა.

თქვენ დაინახავთ როგორ დამსაჯა ღმერთმა.

გულს მხოლოდ მაშინ მომეფონა, როცა ლონდონსა და ამსტერდამში ალმასების ორი მესამედი გავყიდე და ოქროს ქვიშა ფასიან ქაღალდებად ვაქციე.

ხუთი წლის განმავლობაში მადრიდში ვიმალებოდი. შემდეგ, 1770 წელს, ესპანელის სახელითა და გვარით პარიზში ჩამოვედი. აქ მეტად მდიდრული ცხოვრება დავიწყე.

ბიანკა გარდაიცვალა.

ცხოვრების სიამტკბილობაში ჩაფლულმა, ექვსი მილიონის პატრონმა თვალის ჩინი დავკარგე. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ავადმყოფობა საპატიმროს ჯურღმულში ჯდომისა და ქვის მტვრევის შედეგია, უკეთუ ოქროს ხილვის განსაკუთრებული უნარი მხედველობით ენერგიას არ მიძაბავდა და თვალის შუქს არ მიკარგავდა.

იმხანად ერთი ქალი მიყვარდა. ვაპირებდი ბედ-იღბალი მისთვის დამეკავშირებინა. საიდუმლო გავანდე და ნამდვილი გვარიც გავუმხილე. ის ერთ ყოვლისშემძლე საგვარეულოს ეკუთვნოდა. დიდი იმედი მქონდა უზენაესი მფარველობისა, რასაც ლუი XV მიწევდა. დიახ, გული გადავუშალე ქალს, მადამ დიუ ბარის მეგობარს. მან მირჩია ვჩვენებოდი ლონდონის ცნობილ ოკულისტს. მე და ჩემმა სატრფომ ლონდონში რამდენიმე თვე ერთად დავყავით. ერთ დღეს მან ჰაიდ-პარკში მიმატოვა. მთელი ჩემი ქონება გაიტაცა და საარსებოდ ერთი გროშიც არ დამიტოვა. რა უნდა მექნა, გვარს ვერვის გავუმხელდი, ვენეციის შურისძიების მეშინოდა.

ჩემი ხეიბრობით ხელს ითბობდნენ ჯაშუშები, რომლებიც ქალმა თავს დამახვია.

აღარ დაგღლით ჟილ-ბლაზის ღირსი ხიფათებიანი თავგადასავლის მოყოლით.

მოხდა თქვენი რევოლუცია.

იძულებული გავხდი თავი შემეფარებინა «კენზ-ვანში», სადაც ისევ იმ მყრალმა დედაკაცმა მომათავსა მას შემდეგ, რაც გიჟად გამომაცხადა და «ბისეტრში» მაყურყუტა. ვერასოდეს მის მოკვლას ვერ შევძლებდი. არც თვალის ჩინი გამაჩნდა და არც ქონება, რომ მის მოსაკლავად მკვლელი დამექირავებინა.

სანამ მედილეგე ბენედეტო კარპის დავკარგავდი, მანამდე რომ მისგან შემეტყო, რომელ მხარეს მდებარეობდა ჩემი ჯურღმული, ვენეციაში დავბრუნდებოდი და შევძლებდი ისევ მიმეღწია ხაზინამდე, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა რესპუბლიკა გაანადგურა.

მართალია, ბრმა ვარ, მაგრამ წავიდეთ ვენეციაში! მივაგნებ საპატიმროს კარებს, კედლებს იქითაც დავინახავ ოქროს, ვიგრძნობ წყლის ქვეშაც, სადაც იგი გადამალულია ახლაც, ვინაიდან მოვლენები, რომელთა წყალობით ვენეციის ძალაუფლება დაემხო, ისეთი

ხასიათისაა, რომ ხაზინის საიდუმლო უნდა დამარხულიყო ბიანკას ძმასთან, დოჟ ვენდრამინოსთან ერთად. მის გარდაცვალებამდე კი იმედი მქონდა, რომ «ათთა საბჭოსთან» მიშუამდგომლებდა იგი და შემარიგებდა.

განცხადებით მივმართე პირველ კონსულს, ხელშეკრულების დადება შევთავაზე ავსტრიის იმპერატორს, ყველა ისე თავაზიანად მეუბნებოდა უარს, როგორც გიჟს!

მოდი, წავიდეთ, ვენეციაში. წავალთ მათხოვრები და დავბრუნდებით მილიონერები. გამოვისყიდით მამულებს და თქვენ დაგნიშნავთ მემკვდირედ, იქნებით ვარეზელი ბატონიშვილი.

თავგზა ამიბნია მოხუცის აღსარებამ, რაც ჩემს წარმოდგენაში მთელ პოემად გადაიქცა. შევყურებდი მის გაჭაღარავებულ თავს, გადავცქეროდი ბასტილიის თხრილებში მომდინარე შავ წყალს, ისევე მდორეს, როგორც ვენეციის არხებშია, და დანა კბილს არ მიხსნიდა.

ფიჩინო კანეს ეგონა, რომ მეც სხვებსავით გიჟად ჩავთვალე. ზიზღნარევი სიბრალულით ჩაიქნია ხელი, რითაც სასოწარკვეთილების მთელი ფილოსოფია გამოხატა.

ნაამბობმა, ალბათ, ვენეციაში გატარებული ბედნიერი დღეები გაახსენა. მან ხელი დაავლო კლარნეტს და სევდიანად ააკვნესა ვენეციური სიმღერა, ბარკაროლა, რისთვისაც ხელახლა იპოვა პირვანდელი ნიჭი, ნიჭი გამიჯნურებული, ქედმაღალი პატრიციისა.

ეს რაღაც ისეთი იყო, რამაც super flumina Balylonis გამახსენა.

თვალი ცრემლით ამევსო.

თუ რომელიმე დაგვიანებული გამვლელი ამ დროს ბურდონეს ბულვარზე ჩაივლიდა, უეჭველია, შეჩერდებოდა, რათა მოესმინა სამშობლოდან განდევნილის უკანასკნელი ლოცვა, მოესმინა უკანასკნელი სინანული დაკარგული სახელის გამო, რასაც ბიანკას მოგონება უკავშირდებოდა.

მაგრამ ოქრომ სწრაფად თავისი გაიტანა და საბედისწერო გატაცებამ სიჭაბუკის სხივი ჩააქრო.

_ ამ განძს, _ მითხრა მან, _ მე ყოველთვის ვხედავ. სიფხიზლეშიაც და ძილშიც. ოქროში დავსეირნობ, ალმასები კიაფობენ. ისე ბრმა არ გახლავართ, როგორც თქვენ გგონიათ: ოქრო და ალმასები მინათებენ წყვდიადს, ღამეს უკანასკნელი ფაჩინო კანესი, რამეთუ ჩემი ტიტული მემმის საგვარეულოზე გადავა. _ ღმერთო ჩემო! მკვლელის დასჯა ასე ადრე დაიწყო! Ave Maria...

მან წაიჩურჩულა რამდენიმე ლოცვა, რაც მე ვერ გავარჩიე.

_ ჩვენ წავალთ ვენეციაში, _ შევყვირე მე, როდესაც იგი ფეხზე წამოდგა.

_ მაშ, შევხვდი ნამდვილ მამაკაცს! _ შესძახა მოხუცმა და სახე გაებადრა.

მკლავში მკლავი გავუყარე და გავაცილე. «კენზ-ვანის» კართან ხელი ჩამომართვა. ამ დროს ქორწილიდან დაბრუნებულმა რამდენიმე მამაკაცმა ჩაგვიარა. ისინი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰკიოდნენ.

_ ხვალ გავემგზავროთ? _ მკითხა უსინათლომ.

_ მაშინვე, როგორც კი ცოტაოდენ ფულს მოვუყრით თავს.

_ რატომ, ხომ შეგვიძლია ფეხით გავუდგეთ გზას. მოწყალებას ჩამოვითხოვ... ამტანი ვარ და, გარდა ამისა, ადამიანი ახალგაზრდავდება, როცა წინ ოქროს ხედავს.

ფაჩინო კანემ ორი თვე იავადმყოფა და იმავე ზამთარს გარდაიცვალა.

საბრალო ბერიკაცს ჭლექი ჰქონდა.

პარიზი. მარტი, 1836 წ.

<u>ელ ვერდუგო</u>

თარგმანი გერონტი ქიქოძისა

პატარა ქალაქ მენდის სამრეკლოზე ზარმა შუაღამის ჟამი დარეკა. ახალგაზრდა ფრანგი ოფიცერი ვიქტორ მარშანი გრძელ ტერასზე იდგა. ეს ტერასი გარს უვლიდა კოშკის ბაღს. ოფიცერი დაყრდნობილი იყო გალავანს და, როგორც ეტყობოდა, უფრო ღრმად იყო ჩაფიქრებული, ვიდრე ეს უზრუნველ სამხედრო ცხოვრებას შეეფერებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ადგილის მდებარეობა და ღამე მეტად უწყობდა ხელს ფიქრებში წასვლას. ესპანეთის მშვენიერ ცას განიერი კამარა შეეკრა. ვარსკვლავების ციმციმი და მთვარის ალერსიანი შუქი ანათებდნენ საუცხოო ველს, რომელიც მხატვრულად იშლებოდა მის ფერხთ ქვეშ. ჰაერი აყვავილებული ფორთოხლის სუნით იყო გაღჟენთილი; შორიახლო ქალაქი მენდი მოჩანდა. იგი თითქოს ჩრდილოეთის ქარებისაგან თავს იცავდა იმ კლდის ძირას, რომელზედაც კოშკი იყო აგებული. საკმაო იყო მხედარს თავი მოებრუნებინა და იგი ზღვას დაინახავდა; მისი მოლაპლაპე ტალღები სურათის გარშემო ფართო ვერცხლის ზოლს ავლებდა. კოშკის დარბაზებიდან მოისმოდა ორკესტრის ხმა, მოცეკვავე ოფიცრებისა და ქალების სიცილი; ეს ხმები ერთვოდა შორეული ოკეანის დრტვინვას. ღამის სიგრილე ძალ-ღონეს მატებდა მხედარს, ხოლო მცენარეები და ყვავილები ისეთ საამურ სუნს აკმევდნენ, რომ ახალგაზრდა კაცს ეგონა, სურნელოვან ტალღებში ვცურავო.

მენდის კოშკი ეკუთვნოდა ესპანელ დიდებულს, მარკიზ ლეგანიესს, რომელიც ამ დროს იქ ცხოვრობდა თავისი ოჯახით. მთელი ამ საღამოს განმავლობაში მარკიზის

უფროსი ქალი რაღაც სევდიანი თანაგრძნობით უცქეროდა ოფიცერს. გასაკვირველი არ არის, რომ ამის შემდეგ ახალგაზრდა ფრანგი ოცნებაში წასულიყო. კლარა მშვენიერი იყო და, თუმცა მას სამი ძმა ჰყავდა, ვიქტორ მარშანი ფიქრობდა, რადგან ლეგანიესს უზარმაზარი ქონება აქვს, თავის ქალს დიდ მზითევს მისცემსო. მაგრამ განა თავხედობა არ იყო იმის ფიქრი, რომ იმ დიდებულის ქალი, რომელიც ესპანეთში ყველაზე მეტად ამაყობდა თავისი გვარით, პარიზის ბაყალის ვაჟს მისთხოვდებოდა? გადა ამისა, აქაური ესპანელობა ფრანგებს სიძულვილით ეპყრობოდა. ფრანგ გენერალს, ამ პროვინციის დროებით მმართველად დანიშნულს, ეჭვი ჰქონდა, მარკიზი აჯანყებას ამზადებს ნაპოლეონის მიერ გადაყენებული ესპანეთის მეფის ფერდინანდის სასარგებლოდო; ათასეული, რომელსაც ვიქტორ მარშანი უფროსობდა იმისათვის იყო დაბანაკებული მენდში, რომ თვალყური ედევნებინა მარკიზ ლეგანიესის ერთგული ოლქის მოსახლეობისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ მარშალ ნეის მიერ გამოგზავნილი ესტაფეტა შიშს გამოთქვამდა ახლო ხანში ინგლისელები არ გადმომსხდარიყვნენ ამ ნაპირზე და იტყობინებოდა, მარკიზს ფარული ურთიერთობა აქვს ლონდონის კაბინეტთანო. ამიტომ, თუმცა ამ ესპანელმა გულთბილად მიიღო ვიქტორ მარშანი და მისი ჯარისკაცები, ახალგაზრდა მხედარი მაინც ფრთხილად იყო. მაგრამ, როცა ტერასზე იდგა და ქალაქს და მის მიდამოებს უცქეროდა, თავის თავს ჰკითხავდა, ნეტავ რით აიხსნება მეგობრული განწყობილება, რომელსაც ჩემს მიმართ მარკიზი იჩენს და როგორ შევათანხმო ამ კუთხის სიწყნარე გენერლის შიშთანო.

ბოლოს ეს აზრები მაინც სიფრთხილის და წინდახედულობის გრძნობამ განდევნა. უცბად მან შეამჩნია, რომ ქალაქში მრავალ ადგილას ენთო სინათლე. თუმცა ეს დღე წმ. იაკობის დღესასწაული იყო, მაგრამ მან დილითვე განკარგულება გასცა სინათლე ჩაექროთ დაწესებულ დროს. მხოლოდ კოშკი წარმოადგენდა გამონაკლისს ამ ბრძანებისათვის, მხოლოდ აქ შეიძლებოდა ხომლის ანთება. აქა-იქ მის მიერ დაყენებული ფრანგი გუშაგების ხიშტები ბრჭყვიალებდა; მაგრამ ჰაერში რაღაც დღესასწაულებრივი სიწყნარე მეფობდა და არავითარი ნიშანი არ იუწყებოდა, რომ ესპანელები უქმე დღის მხიარულებაში ყოფილიყვნენ გართული. რად დაარღვია მოსახლეობამ მისი ბრძანება? ეს მით უფრო ძნელი ასახსნელი იყო, რომ მას რამდენიმე ასისთავი ჰყავდა ქალაქში გაგზავნილი სადარაჯოდ. ახალგაზრდული სიფიცხის გავლენით იგი უკვე მზად იყო გალავანზე გადასულიყო და კლდეზე გაჭრილი მოკლე ბილიკით ჩასულიყო სადარაჯომდე, რომელიც ქალაქის ბჭეებთან იდგა ციხე-კოშკის მხრით, მაგრამ ნელმა შრიალმა შეაჩერა. მოეჩვენა

თითქოს ხეივანში სილას ქალის მსუბუქი ნაბიჯები ეხებოდა. მობრუნდა და ვერავინ დაინახა, მაგრამ სახტად დარჩა ოკეანის არაჩვეულებრივი განათების გამო. უცებ იქ ისეთი საშინელი სურათი წარმოუდგა, რომ გაქვავდა: იფიქრა, თვალები მატყუებენო. მთვარის ფერმკრთალი შუქი მაინც იმდენად ძლიერი იყო, რომ მან საკმაოდ შორეულ სივრცეში ინგლისის ხომალდების იალქნები დაინახა. ტანში ჯრუანტელმა დაუარა, მაგრამ სცადა თავისი თავი დაეჯერებინა, ეს მხედველობის ცთუნებაა, ტალღებისა და მთვარის ცელქობით შექმნილიო. ამ წუთში მან თავისი სახელი გაიგონა, ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმული; გალავნის ქონგურში გაიხედა და დაინახა, რომ ნელ-ნელა ზევით ამოიწია იმ ჯარისკაცის თავმა, რომელმაც იგი ამ დღეს კოშკში მოაცილა.

_ თქვენ ბრძანდებით, ბატონო ციხისთავო?

_ მე ვარ. რა მოხდა? _ ჩურჩულით ჰკითხა ახალგაზრდა ოფიცერმა, რომელსაც წინაგრძნობა უკარნახებდა, ფრთხილად მოქმედებაა საჭირო.

_ არამზადა ესპანელები რაღაც ფარულად ფუსფუსობენ და საჩქაროდ მოვედი, რათა ჩემი დაკვირვებანი მომეხსენებინა.

_ თქვი! _ ბრძანა მარშანმა.

_ მე კოშკიდან ფეხაკრეფით გამოვყევი ფარნიან კაცს, რომელიც აქეთ წამოვიდა, ფარანი საეჭვო რამაა, ეშმაკმა დალახვროს. არა მგონია, ამ ქრისტიანს ღმერთისა ან წმინდანისათვის დასჭირვებოდეს ასე გვიან სანთლის დანთება. ალბათ, ჩვენი გადაყლაპვა უნდათ. სამ ნაბიჯზე აქედან, ბატონო ციხისთავო, კლდის ქიმზე ფიჩხია დაყრილი...

საშინელმა ყვირილმა, რომელიც ქალაქში მოისმა, შეწყვიტა მისი სიტყვები. უცებ ციხისთავი ცეცხლმა გაანათა. საბრალო ჯარისკაცი მიწაზე განერთხა, ტყვიით შუბლგანგმირული. წალამისა და ფიჩხის კოცონის ალი ცაში ავარდა ათიოდე ნაბიჯის მანძილზე იმ ადგილიდან.

მუხიკა და სიცილი უცებ შეწყდა საცეკვაო დარბაზში. დღესასწაულის ჟივილ-ხივილი შეცვალა სიკვდილის დუმილმა, რომელსაც დროგამოშვებით მხოლოდ კვნესა არღვევდა. ოკეანის რძისფერ ზედაპირზე ზარბაზანმა დაიქუხა. ოფიცერს ცივი ოფლი დაასხა. მას ზედ ხმალიც არ ჰქონდა.

მიხვდა, რომ ფრანგი ჯარისკაცები დაიღუპნენ და ნაპირზე ინგლისელების გადმოსხმა მზადდებოდა. იგი ხედავდა კიდეც, როგორ წარსდგებოდა პატივაყრილი სამხედრო სამსჯავროს წინაშე. თუნდაც ახლა ცოცხალი გადარჩენილიყო; თვალით გაზომა ხრამი და გადასახტომად აიწვართა, რომ ხელში დონა კლარას ხელის წავლება იგრძნო.

_ გაიქეცით! ჩემი ძმები აქეთ მოდიან თქვენს მოსაკლავად. კლდის ძირას ჩემი ძმის ხუანიტოს ანდალუზიურ ცხენს ნახავთ. აბა, ჩქარა!

ქალმა ხელი ჰკრა. გონებადაბნეულმა ყმაწვილმა ერთი წუთით თვალები მიაპყრო მას, მაგრამ იმ წუთშივე იმ თავდაცვის ალღოს დაემორჩილა, რომელიც არასოდეს არ სტოვებს თვით უმტკიცესი სულის ადამიანს; ნაჩვენები მიმართულებით გაიქცა და კლდეზე დაეშვა ჯიხვისებური სისწრაფით. მას ესმოდა, როგორ უძახოდა კლარა თავის ძმებს: «არიქა, დაიჭირეთ!» ესმოდა თავისი მდევრების ფეხის ხმა, ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნა. მაგრამ თვალის დახამხამებაზე ჩაირბინა ფრიალო კლდეზე, ცხენი დაინახა, ზედ შეახტა და ელვის სისწრაფით გაქრა.

რამდენიმე საათის შემდეგ იგი მიიჭრა გენერლის ბანაკში და უფროსების წინაშე წარსდგა გაფითრებული და თავგზააბნეული, როცა ისინი სადილობდნენ.

_ სიკვდილით დამსაჯეთ! _ წამოიძახა მან.

შემდეგ დაჯდა და თავისი საშინელი თავგადასავალი მოყვა. მისი ამბავი დუმილით იქნა მოსმენილი.

_ ჩემი აზრით, ეს უფრო უბედურებაა, ვიდრე დანაშაული, _ თქვა ბოლოს მრისხანე გენერალმა. _ თქვენ პასუხისმგებელი არ ხართ ესპანელების ვერაგობისათვის, და თუ მარშალი სხვანაირად არ განსჯის, მე თქვენთვის მიპატიებია.

ეს სიტყვები სუსტ ნუგეშს წარმოადგენდა საბრალო ოფიცრისათვის.

_ რას იტყვის იმპერატორი, როცა ამ ამბავს გაიგებს! _ წამოიძახა მან.

_ იგი თქვენს დახვრეტას მოინდომებს, _ თქვა გენერალმა. _ მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ახლა კი, _ დაუმატა მან პირქუში ტონით, _ ნურაფერზე ვილაპარაკებთ, გარდა შურისძიებისა, რათა შიშის ზარი დავცეთ ამ ქვეყანას, სადაც ადამიანები ისე იბრძვიან, თითქოს ველურები იყვნენ.

ერთი საათიც არ გასულა და მთელი ქვეითი ლეგიონი, ცხენოსანთა რაზმი და არტილერია გზას გაუდგა. გენერალი და ვიქტორ მარშანი წინ მიუძღოდნენ ამ ჯარს. ჯარისკაცებმა თავიანთი ამხანაგების დაღუპვის ამბავი გაიგეს და უზომოდ იყვნენ გააფთრებული. მანძილი, რომელიც მთავარ ბანაკს ქალაქ მენდიდან ჰყოფდა, გასაოცარი სისწრაფით განვლეს. გზადაგზა გენერალს დასახლებული ადგილები ხვდებოდა, რომელთაც იარაღისათვის ეტაცათ ხელი. იგი ალყას არტყამდა ამ ბეჩავ სოფლებს და ხვრეტდა ყოველ მეათე მცხოვრებს.

რაღაცა საბედისწერო შემთხვევის გამო ინგლისის ხომალდები ვერ მოადგნენ ნაპირს. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ხომალდებს თურმე მარტო არტილერია წამოეღოთ და წინ გამოესწროთ დანარჩენი სატრანსპორტო გემებისთვის. ამრიგად, ქალაქ მენდს არ აღმოაჩნდა დამხმარეები, რომელთაც ელოდა ინგლისური იალქნების გამოჩენისთანავე, და იგი გარემოცულ იქნა ფრანგის ჯარების მიერ თოფის გაუსროლელად. თავზარდაცემული მცხოვრებლები გამარჯვებულთ დანებდნენ. ფრანგი ჯარისკაცების მკვლელები გრძნობდნენ, რომ შეუბრალებელი გენერალი ცეცხლს მისცემდა მთელ ქალაქს და შემუსრავდა მთელ მოსახლეობას. და იმ კეთილშობილი თავგანწირულების ზეგავლენით, რომელიც ხშირი იყო ესპანეთში, გენერალს წინადადება მისცეს, ჩვენს თავს თვით გადავცემთ ფრანგის ჯარსო. გენერალმა ეს წინადადება მიიღო, მხოლოდ იმ პირობით, რომ მისთვის გადაეცათ აგრეთვე კოშკის ბინადარნიც, მარკიზიდან დაწყებული უკანასკნელ მსახურამდე. ფრანგი ჯარის სარდალმა ამის თანხმობაც მიიღო; მან აღთქმა დასდო, დანარჩენ მცხოვრებლებს შევიწყალებ და ჯარისკაცებს ნებას არ მივცემ ქალაქი დაწვან და დაარბიონო. შეძლებული მოქალაქეები წაყვანილ იქნენ მძევლებად. ისინი იმ უზარმაზარი კონტრიბუციის საწინდარს წარმოადგენდნენ, რომელიც მოსახლეობას ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა გადაეხადა.

გენერალმა მიიღო ყველა ღონისძიება, რომელიც საჭირო იყო ჯარის დასაცავად თავდასხმის განმეორების შემთხვევაში: ისინი სახლებში კი არ დააბინავა, არამედ კარვებში დააბანაკა. შემდეგ კოშკში ავიდა და იგი შეიარაღებული ძალით დაიჭირა. ლეგანიესის ოჯახის წევრები და მსახურები შებოჭეს და იმავე დარბაზში დაამწყვდიეს, სადაც ორიოდე დღის წინათ ზეიმი და ცეკვა იყო გამართული, და მათ გაძლიერებული ყარაული მიუყენეს. ამ დარბაზის ფანჯრებიდან მთელი ტერასი მოჩანდა, რომელიც ქალაქს გადაჰყურებდა. შტაბი მეზობელ გალერეაში მოთავსდა და გენერალმა, უწინარეს ყოვლისა, იქ თათბირი გამართა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიღება საჭირო იყო, რათა ინგლისელების ჯარისათვის ხელი შეეშალათ ნაპირზე გადმოსულიყო. მან ადიუტანტი გაგზავნა მარშალ ნეისთან, ბრძანა ზარბაზნები დაედგათ სანაპიროზე და შემდეგ შტაბთან ერთად დატყვევებულთა საქმის გარჩევას შეუდგა. ორასი ესპანელი დაუყოვნებლივ დახვრიტეს ტერასზე. შემდეგ გენერალმა განკარგულება გასცა, ამავე ტერასზე იმდენი სახრჩობელა აემართათ, რამდენი კაციც იყო დამწყვდეული კოშკის დარბაზში, და ქალაქში კაცი გაგზავნა ჯალათის მოსაყვანად. ვიქტორ მარშანმა დრო იხელთა და დატუსაღებულნი ინახულა. ის ჩქარა დაბრუნდა გენერალთან.

_ ნება მიბოძეთ მსჯავრდებულთა შუამდგომლობა მოგახსენოთ, _ თქვა მან აღელვებული ხმით.

_ თქვენ? _ იკითხა გენერალმა მწარე დაცინვის ტონით.

_ ეს სამწუხარო შუამდგომლობაა, _ უპასუხა მარშანმა. _ მარკიზმა სახრჩობელები დაინახა და იმედი გამოთქვა, თქვენ დასთანხმდებით, რომ მისი ოჯახის წევრებს, როგორც აზნაურებს, ჩამოხრჩობის მაგივრად თავის მოკვეთა მიუსაჯოთ.

_ დაე, ასე იყოს, _ თქვა გენერალმა.

_ ისინი აგრეთვე თხოულობენ, ზიარების ნება მისცეთ და ბორკილები ახსნათ: აღთქმას იძლევიან, გაქცევას არ ვეცდებითო.

_ თანახმა ვარ, _ თქვა გენერალმა, _ მხოლოდ თქვენ იყავით თავდები.

_ გარდა ამისა, მოხუცი მთელ თავის ქონებას გთავაზობთ, თუ სიცოცხლეს აჩუქებთ მის უმცროს ვაჟს.

_ ოღონდაც, მისი ქონება უკვე მეფე ჟოზეფს ეკუთვნის.

გენერალი ცოტა ხნით ჩაფიქრდა შუბლშეჭმუხვნილი. შემდეგ თქვა:

_ ძალიან კარგი. მე შევასრულებ მის სურვილს. ვხვდები ამ უკანასკნელი თხოვნის მნიშვნელობას. დაე, მან თავისი გვარის დაცვა გამოისყიდოს, მაგრამ ესპანეთმაც საუკუნოდ შეინარჩუნოს მისი გამცემლობის და დასჯის ხსოვნა! ქონებასა და სიცოცხლეს ვაჩუქებ მარკიზის იმ ვაჟს, რომელიც ჯალათობას იკისრებს. წადი და კრინტიც აღარ დასძრა!

სუფრა გაშალეს. ოფიცრები მადიანად შეექცნენ. მხოლოდ ვიქტორ მარშანი არ იჯდა მათ შორის. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ იგი შევიდა დარბაზში, სადაც ლეგანიესის ამაყი ოჯახი იტანჯებოდა, და სევდიანად თვალი გადაავლო სურათს, რომელსაც ეს სადგომი წარმოადგენდა. გაახსენდა, როგორ გაიელვა აქ ორი დღის წინათ მის თვალწინ ვალსის კორიანტელში ორი ახალგაზრდა ქალის და ორი ვაჟის თავებმა, და იგი შეაძრწუნა აზრმა, რომ მალე ისინი მიწაზე დაგორდებოდნენ, ჯალათის ნაჯახის ერთი დარტყმით მოკვეთილნი. დედ-მამა, სამი ვაჟი და ორი ქალი მოვარაყებულ სავარძლებში ისხდნენ ხელ-ფეხ შებოჭილნი და თითქო სრულიად გაქვავებულიყვნენ. რვა მსახური იქვე იდგა; მათ ხელები ზურგზე ჰქონდათ შეკრული. ეს თხუთმეტი კაცი დღესასწაულებრივი დუმილით უცქეროდა ერთმანეთს; მათი გრძნობები მხოლოდ მათ თვალებში თუ ამოიკითხებოდა: ეს იყო შერიგება ბედისწერასთან, სინანული, რომ ყოველივე მარცხით დამთავრდა. ჯარისკაცები უმოძრაოდ დარაჯობდნენ მათ, ეტყობოდათ პატივისცემით

ეპყრობოდნენ თავიანთი ულმობელი მტრების ტანჯვას. მარშანის შემოსვლისთანავე მათი სახეები იმედმა გამოაცოცხლა. მან ბრძანა ხელ-ფეხი შეეხსნათ მსჯავრდებულთათვის და კლარა თვით მოხსნა სავარძელს. ქალმა სევდიანად გაიღიმა. მხედარი უნებურად შეეხო ახალგაზრდა ქალის ხელს, სიამოვნებით დააცქერდა მის შავ თმას, მის მოქნილ ტანს. ეს ნამდვილი ესპანელი ქალი იყო. ესპანური კანის ფერი ჰქონდა, ესპანური თვალები, გრძელი მოზნექილი წამწამები.

_ როგორია პასუხი? _ ჰკითხა მან იმ მჭმუნვარე ღიმილით, რომელშიაც ადამიანი გრძნობს ახალგაზრდა ქალის სულს.

მარშანმა თავი ვერ შეიკავა და ამოიოხრა. შემდეგ თვალი გადაავლო კლარას ძმებს. უფროსი ოცდაათი წლისა იქნებოდა, ტანით ნაკლებ წარმოსადეგი იყო, ამაყი და ზვიადი გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ კეთილშობილ მიხვრა-მოხვრაზე ეტყობოდა, მოკლებული არ უნდა ყოფილიყო გრძნობათა სიფაქიზეს, რომელმაც ოდესღაც ესოდენ სახელი გაუთქვა ესპანურ ზნე-ჩვეულებათ. მას ხუანიტო ერქვა. მეორე ვაჟი, ფილიპე, ათი წლით ახალგაზრდა იყო თავის ძმაზე. იგი კლარას ჰგავდა. უმცროსი რვა წლისა იყო. ამ პაწია მანუელის სახეზე მხატვარი რომაული სიმტკიცის ბეჭედს დაინახავდა. მოხუცი მარკიზის ჭაღარა თავი თითქოს მურილიოს ტილოდან იყო ამოჭრილი.

ფრანგი ოფიცერი მიხვდა, რომ არც ერთი მათგანი არ მიიღებდა გენერლის პირობას; მაინც უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და კლარას გადასცა მისი შინაარსი. ესპანელი ქალი ათრთოლდა, მაგრამ უცებ თავი შეიკავა, მამას მიუახლოვდა და მის წინაშე დაიჩოქა.

_ მამა, _ თქვა მან, _ ფიცი დაადებინეთ ხუანიტოს, რომ უსიტყვოდ შეასრულებს თქვენს ბრძანებას და ჩვენ კმაყოფილნი დავრჩებით.

მარკიზის მეუღლე იმედის ცახცახმა აიტანა, მაგრამ როცა თავი ქმრისკენ დახარა და კლარას საშინელი სიტყვები გაიგონა, მას გული წაუვიდა. ხუანიტომ ყოველივე გაიგო. მან დაიგმინა დაჭრილი ლომივით. მარშანმა მარკიზს სიტყვა ჩამოართვა, არც ერთი მსჯავრდებული წინააღმდეგობას არ გაწევსო, და ჯარისკაცები დაითხოვა. მსახურნი ტერასზე გაიყვანეს, ისინი ჯალათმა ჩამოახრჩო.

როცა ოჯახი მარტო დარჩა მარშანთან ერთად, მოხუცი მამა წამოდგა.

_ ხუანიტო! _ წარმოთქვა მან.

ხუანიტომ თავი გაიქნია უარის ნიშნად, სკამზე დაეცა მოწყვეტილი და მშობლებს უსიცოცხლო, შემზარავი თვალებით ჩააშტერდა.

კლარა ძმას მუხლებზე დაუჯდა, კისერზე ხელები მოხვია, თვალებში აკოცა და მხიარული ხმით უთხრა:

_ ჩემო ძვირფასო ხუანიტო, ნეტავი იცოდე როგორი ტკბილი იქნება შენი ხელით სიკვდილი! მე არ შემეხება ჯალათის მურტალი ხელები. შენ შემიმსუბუქებ ტანჯვას... ყური დამიგდე, ხუანიტო, შენ ხომ არ გინდოდა, რომ ვისმეს ვრგებოდი? მაშ, იცოდე, თუ...

მისმა ხავერდოვანმა თვალებმა ცეცხლის ნაპერწკალი გადაისროლეს მარშანისკენ, თითქოს იმისათვის, რომ ხუანიტოს გულში კიდევ უფრო გაღვივებულიყო ფრანგების სიძულვილი.

_ გამხნევდი, _ უთხრა ხუანიტოს საშუალო ძმამ ფილიპემ. _ წინააღმდეგ შემთხვევაში აღიგვება ჩვენი თითქმის მეფური გვარი.

კლარა უცებ წამოდგა, ჯგუფმა, რომელიც ხუანიტოს გარს ეხვია, გვერდზე გაიწია, და ეს ვაჟი, რომელსაც გრძნობა მორჩილებას უკარნახებდა, მამის წინაშე აღმოჩნდა პირისპირ.

_ ხუანიტო, მე შენ ამას გიბრძანებ! _ უთხრა მოხუცმა დღესასწაულებრივი ხმით.

ახალგაზრდა კაცი უმოძრაოდ იდგა. მამა მას ფეხებში ჩაუვარდა. კლარამ, მანუელმაც და ფილიპემაც ძალაუნებურად დაიჩოქეს მის წინაშე. ყველანი ხელებს უწვდიდნენ ამ ადამიანს, რომელსაც მათი თესლი დაღუპვას უნდა გადაერჩინა. მოხუცი მამა ამბობდა:

_ შვილო, ნუთუ შენ არ გამოიჩენ ესპანურ მხნეობას და სულის ახოვანებას? რამდენ ხანს უნდა ვიდგე შენს წინაშე მუხლმოდრეკილი? განა შეგშვენის, რომ საკუთარ სიცოცხლესა და ტანჯვაზე იფიქრო? ჩემი შვილია თუ არა ეს? _ თქვა ბოლოს მოხუცმა და თავის მეუღლეს შეხედა.

_ იგი თანახმაა! _ სასოწარკვეთილად წამოიძახა დედამ, რადგან შეამჩნია, რომ ხუანიტომ წარბებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, რომლის აზრი მხოლოდ მას ესმოდა.

უმცროსი ქალი მარიკვიტა დაჩოქილი იყო და სუსტი ხელებით მუხლებზე ეხვეოდა დედას; და როცა პატარა ძმამ, მანუელმა, დაინახა, რომ იგი ცხარე ცრემლებით ატირდა, მკაცრი საყვედურით მიმართა მას. მარშანს ძალა აღარ ეყო ამ სანახაობის საცქერლად და გარეთ გავარდა, რათა უკანასკნელად ეცადა გენერლის გულისწყრომის დაცხრომა; გენერალი საუცხოო გუნებაზე იყო და კიდევ სუფრას უჯდა. ოფიცრებს ბევრი ესვათ, და მათ შორის მხიარული საუბარი იყო გაბმული.

ერთი საათის შემდეგ ტერასზე მენდის ასი რჩეული მოქალაქე გამოცხადდა, რათა გენერლის ბრძანების თანახმად ლეგანიესის ოჯახის სიკვდილის დასჯას დასწრებოდა. იქვე გამწკრივებულიყო ჯარისკაცების ასეული. ესპანელი მოქალაქეები იმ სახრჩობელათა ქვეშ მოათავსეს, რომელზედაც მარკიზის მსახურნი იყვნენ ჩამოკიდებულნი, ისე რომ მათი თავები ეხებოდნენ ჩამოხრჩობილი მსახურების ფეხებს. მათგან ოცდაათი ფეხის ნაბიჯზე ამართული იყო ეშაფოტი და ნაჯახი ბრჭყვიალებდა. ჯალათი მზად იყო იმ შემთხვევისათვის, თუ ხუანიტო უარს იტყოდა. უცებ ესპანელებს რამდენიმე კაცის ნაბიჯის ხმა, ჯარისკაცების რაზმის გაზომილი სვლა და იარაღის ნელი ჟღარუნი მოესმათ. ეს ხმები ერთვოდა მოქეიფე ოფიცრების მხიარულ ღრიანცელს ისევე, როგორც ორიოდე დღის წინათ საცეკვაო მუსიკა სისხლისმღვრელ შეთქმულებას ფარავდა. ყველამ კოშკისკენ გაიხედა. გამოჩნდნენ მარკიზის ოჯახის წევრები, რომელნიც გასაოცარი სიმტკიცით ახლოვდებოდნენ. მათი სახეების გამომეტყველება წყნარი და განათლებული იყო. მხოლოდ ერთი მათგანი იყო ფერმკრთალი და სახეშეშლილი; იგი ძლივს მობარბაცებდა, ეტყობოდა მხნეობა ღალატობდა, როგორც საცხოვრელად განწირულს. ჯალათი მიხვდა, ისევე როგორც სხვებიც მიხვდნენ, ხუანიტო დათანხმებულიყო დღეს მისი მაგივრობა გაეწია. მოხუცი მარკიზი და მისი მეუღლე, კლარა, მარიკვიტა და ორი უმცროსი ძმა მუხლებზე დაეცნენ რამდენიმე ნაბიჯზე თხემის ადგილიდან. ჯალათმა ხელი მოჰკიდა ხუანიტოს, განზე გაიხმო და, როგორც ეტყობოდა, ასწავლა როგორ მოქცეულიყო. რაზმის უფროსმა მსჯავრდებულნი ისე მოათავსა, რომ მათ არ დაენახათ თვით დასჯა. მაგრამ ისინი ნამდვილი ესპანელები იყვნენ და არ გამოუჩენიათ სისუსტე. კლარა პირველი მივარდა თავის ძმას.

_ ხუანიტო! _ შესძახა მან. _ მაპატიე სულმოკლეობა! დაიწყე ჩემით! _ იმავე წუთში აჩქარებული ნაბიჯების ხმა მოისმა. გამოჩნდა მარშანი. კლარა უკვე დაჩოქილი იყო, მისი თეთრი კისერი ნაჯახს მოუწოდებდა. ოფიცერი გაფითრდა, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბა და ქალთან მიირბინა.

_ გენერალი მზადაა გაპატიოს, თუ ჩემი ცოლი გახდებით.

ესპანელმა ქალმა ფრანგ ოფიცერს ზიზღითა და სიამაყით აღსავსე თვალებით შეხედა.

_ დაჰკარ, ხუანიტო! _ თქვა მან დაბალი ხმით.

მისი თავი მიწაზე დაგორდა ოფიცრის ფეხებთან. მარკიზ ლეგანიესი შეკრთა ამ ხმის გაგონებაზე; ეს იყო მისი სულიერი ტკივილის ერთადერთი ნიშანი.

_ კარგად დავდევი თუ არა თავი, ჩემო კეთილო ხუანიტო? _ ამის მეტი არაფერი უთქვამს სიკვდილის წინ პატარა მანუელს.

_ აჰ, შენ ტირი, მარიკვიტა,_ დაიკვნესა ხუანიტომ, როცა უმცროსი და დაინახა.

_ ჰო, _ უპასუხა ქალმა, _ მეცოდები, საწყალო ხუანიტო, შენ მეტად უბედური იქნები უჩვენოდ.

შემდეგ გამოჩნდა მარკიზის წარმოსადეგი ფიგურა. მან დაინახა თავისი შვილების სისხლი, მიუბრუნდა უსიტყვო და უმოძრაო მაყურებლებს, ხელები გაიწოდა ხუანიტოსკენ და ხმამაღლა წარმოთქვა:

_ ესპანელებო, ჩემს ვაჟს მშობლიურ ლოცვა-კურთხევას ვაძლევ! _ ახლა კი, დაჰკარი უშიშრად და უებროდ.

მაგრამ როცა ბოლოს ხუანიტომ მოხუცი დედა დაინახა, შეშლილივით დაიღრიალა:

_ მე ხომ ამის ძუძუებმა გამომზარდეს!

ამ სიტყვების გაგონებისთანავე დამსწრეებს შემაძრწუნებელი გმინვა აღმოხდა. უცებ შეწყდა მოქეიფე ოფიცრების მხიარული ღრიანცელი. მარკიზის მეუღლე მიხვდა, რომ მისი ვაჟიშვილის მხნეობა ამოწურული იყო, გალავანზე გადავარდა და ფრიალო კლდეზე დაეცა თავგატეხილი. ბრბომ კმაყოფილებით ამოიოხრა. ხუანიტოს გული წაუვიდა.

_ გენერალო, _ თქვა ერთმა გამოფხიზლებულმა ოფიცერთაგანმა, _ ესაა მარშანმა ამ დასჯის ზოგიერთი გარემოება მიამბო. მე სანაძლეოს ვდებ, თქვენ არ გაგიციათ ეს განკარგულება...

_ თქვენ გეტყობათ, დაგავიწყდათ, ბატონებო, _ წამოიძახა გენერალმა, _ რომ ერთი თვის შემდეგ ხუთასი ფრანგის ოჯახი შავით შეიმოსება, და რომ ჩვენ ესპანეთში ვიმყოფებით. ხომ არ გინდათ აქ დასტოვოთ თქვენი ძვლები?

ამ გაწყრომის შემდეგ ვერც ერთმა ოფიცერმა ვერ გაბედა თავისი ჭიქის დაცლა.

იმ პატივისცემის მიუხედავად, რომლითაც გარემოცულია მარკიზი ლეგანიესი, მიუხედავად ელ ვერდუგოს საპატიო სახელწოდებისა, რომელიც ესპანეთის მეფემ უბოძა ფრანგების განდევნის შემდეგ, მას კაეშანი ღრღნის, იგი განდეგილივით ცხოვრობს და იშვიათად ტოვებს ციხე-კოშკს. ქედმოხრილი იმ საშინელი დანაშაულის სიმძიმით, რომელიც სხვებში აღტაცებას იწვევს, ის მოუთმენლად ელის მეორე ვაჟის დაბადებას, რათა უფლება მოიპოვოს შეუერთდეს მწუხარე აჩრდილებს, თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრებს.

ძმადნაფიცი

თარგმანი გერონტი ქიქოძისა

ეს მოხდა, როცა საფრანგეთში მეფობდა ანრი მეორე, რომელიც ისტორიაში იმითაა ცნობილი, რომ მას მშვენიერი დიანა უყვარდა. იმ დროს არსებობდა ერთი ჩვეულება, რომელიც შემდეგ იშვიათი გახდა, ხოლო ბოლოს სრულიად მოისპო ჟამთა მსვლელობაში. ეს მშვენიერი და კეთილშობილი ჩვეულება იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველი რაინდი ვალდებული იყო ძმადნაფიცი აერჩია, რის შემდეგ ეს ორი ერთგული და პატიოსანი ადამიანი ერთმანეთს არ შორდებოდა კუბოს ფიცრამდე; ისინი ძმები ხდებოდნენ, თითოეული მათგანი ვალდებული იყო თავისი ძმობილი დაეცვა მტრის იარაღისა და კარისკაცების ბოროტი ენისაგან. მას უნდა გაებათილებინა ყოველი ბრალდება, რომელიც მის ძმობილს უპატიოსნობას, მოღალატეობას ან სხვა რაიმე ცუდ ქცევას მიაწერდა, და მაშინვე ხმალში გამოეწვია შეურაცხმყოფელი: იმიტომ, რომ მას ეჭვი არ უნდა ჰქონოდა _ ეს ყოველივე ცილისწამებაა. თავისთავად იგულისხმება, ძმობილები ერთმანეთს შველოდნენ კარგსა თუ ცუდ საქმეში და ერთად იყოფდნენ სიხარულსა და მწუხარებას. ხშირად უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ღვიძლი ძმები, რომელნიც შემთხვევით არიან შეკავშირებული ბუნების მიერ, მაშინ როცა ძმობილთ უფრო ღრმა და იდუმალი ნათესაობა აერთიანებს. ასეთი დაძმობილება ხშირად შობდა უმშვენიერეს მოქმედებას, როგორსაც ძველად ბერძნები და რომაელები სჩადიოდნენ. მაგრამ ჩემი მოთხრობის საგანი ისეთია, რომ ისტორიკოსებს არ აუწერიათ, არც საყოველთაოდაა ცნობილი.

ამ ჩემს მიერ ზემოთ დასახელებულ დროს ორი ახალგაზრდა ტურენელი, რომელთაგან ერთი მალიეს ოჯახის უმცროსი ვაჟი იყო, ხოლო მეორე ლავალიერთა გვარს ეკუთვნოდა, ძმადნაფიცები გახდნენ სწორედ რაინდობის ხარისხის მიღების დღეს. მათი ხელმძღვანელი ომის ხელოვნებაში ცნობილი მხედართმთავარი მორმორანსი იყო, და რავენის ბრძოლაში მათ ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, რომ მრავალი ხნიერი რაინდის ქებაც დაიმსახურეს და თავიანთი მხნე ოსტატიც ასახელეს. მალიე ამ გააფთრებულ ბრძოლაში ლავალიერმა გადაარჩინა; ორივენი დაიჭრნენ, მათ სისხლით განამტკიცეს თავიანთი ძმობა, როცა თავიანთი მასწავლებლის მორმორანსის კარავში იწვნენ.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა მალიეს გვარში მრავალი ლამაზი მამაკაცი ყოფილა, თვით იგი უშნო იყო და გარეგნობით ეშმაკს თუ შეედრებოდა; სამაგიეროდ, მშვენიერი ტანი ჰქონდა; ახოვანი იყო, ბეჭებში ბრტყელი და ამასთანავე ღონიერიც, როგორც ფრანგთა მეფე პეპინი, რომელიც, როგორც გადმოგვცემდნენ, გვარიანი მოჭიდავე ყოფილა. ლავალიერი, პირიქით, ისეთი მოხდენილი ყმაწვილი იყო, რომ მნახველს ეგონებოდა, მისთვისაა გამოგონილი თხელი მაქმანები, ძვირფასი მაუდის შარვალი და ვერცხლის აბზინდიანი ფეხსაცმელიო; მას სხვა ღირსებასთან ერთად ფერფლისფერი კულულები ჰქონდა, ერთი სიტყვით, ისეთი ჭაბუკი იყო, რომ მშვენიერი სქესის არსებანი კარგად გაერთობოდნენ მის საზოგადოებაში. ერთხელ ტახტის მემკვიდრის ცოლმა, პაპის ძმისწულმა ლავალიერის შესახებ სიცილით უთხრა ნავარის დედოფალს, რომელსაც უყვარდა ასეთი ხუმრობა: _ იცი, ეს დარბაზის ყრმა კარგი მალამოა ყოველი ავადმყოფობის წინააღმდეგ! _ როცა თექვსმეტი წლის ტურენელმა ეს სიტყვები გაიგონა, გაწითლდა, რადგან კომპლიმენტი გაკიცხვად მიიღო.

როცა ომის გათავების შემდეგ მალიე იტალიიდან დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ მის დედას სრულიად მოეგვარებინა მისი დქორწინების საქმე და სარძლოდ დანბოს ქალი აერჩია; სილამაზისა და კოხტა გარეგნობის გარდა, ამ ქალს დიდი შეძლებაც ჰქონდა, შემოსავლიანი მამულები სოფლად და საუცხოო სახლი პარიზში, ბარბეტის ქუჩაზე, იტალიური სურათებითა და მშვენიერი ავეჯეულობით შემკული. სწორედ ამ დროს გარდაიცვალა მეფე ფრანსუა, რომლის სიკვდილმა საყოველთაო შიშის ძრწოლა გამოიწვია. იმიტომ, რომ განსვენებული მეფე ნეაპოლის ავადმყოფობით იყო დასნეულებული, ამას კი შეიძლებოდა თვით სასახლის მანდილოსნების დასნეულება მოჰყოლოდა. სწორედ ამ დროს მალიე იძულებული გახდა პიემონტში გამგზავრებულიყო სამსახურში; იგი დიდად შეწუხებული იყო, რომ თავის ახალგაზრდა მომხიბლავ ცოლს ხიფათისა და მოულოდნელობის ანაბარა სტოვებდა, ისეთი ყმაწვილების გვერდით, რომელნიც არწივებივით თავხედნი და ამპარტავნები იყვნენ და ისევე ხარბად უცქეროდნენ ქალებს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი ლორს უცქერიან გახსნილების დღეს. მალიემ, რომელსაც ეჭვი ქენჯნიდა, ხოლო თავისი ცოლის დატოვება აშინებდა, გადაწყვიტა ერთგვარ ცხრაკლიტულში დაემწყვდია იგი და ამისათვის ქვემორე აღწერილ ღონისძიებას მიმართავდა.

დილით გამგზავრების დღეს მან მოიხმო თავისი ძმადნაფიცი. როგორც კი ჭიშკართან ლავალიერის ბედაურის თქარათქური გაიგონა, საწოლიდან წამოხტა, თუმცა

მისი მშვენიერი მეუღლე ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო იმ მსუბუქი დილის რულიდან, რომელიც ესოდენ სასიამოვნოა ზარმაცებისათვის. ლავალიერი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, მეგობრები ერთმანეთს მიესალმნენ და ფანჯრის რაფას დაეყრდნენ.

_ მე, რასაკვირველია, ღამითვე აქ გავჩნდებოდი, _ უთხრა ლავალიერმა, _ მაგრამ ერთი სიყვარულის ისტორია მქონდა მოსათავებელი და ეს არის იმ მანდილოსანს გავშორდი. შენ გინდა თან წაგყვე პიემონტში? მას უკვე ვუთხარი ამის შესახებ, ერთგულება აღმითქვა. მაგრამ ბევრს არ ვინაღვლი თუნდაც მომატყუოს, მეგობარი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე სატრფო!

_ არა, ჩემო ძვირფასო ძმაო, _ უპასუხა მალიემ, გულაჩუყებულმა მეგობრის სიტყვებით, _ მე მინდა მეტი რამ გთხოვო შენი ჩემდამი სიყვარულის დასამტკიცებლად. შეგიძლია თუ არა ჩემი ცოლის მფარველობა იკისრო, მისი ხელმძღვანელი გახდე, იზრუნო, რომ მან არავითარი გაუფრთხილებელი ნაბიჯი არ გადადგას, პასუხი აგო ჩემი პატიოსანი სახელისათვის? ჩემი აქ არყოფნის დროს აქვე, მწვანე დარბაზში დასახლდები და ჩემი ცოლის რაინდი იქნები.

_ მე არ მეშინია არც შენი, არც შენი ცოლისა, არც ჩემი თავისა, _ უპასუხა პირქუშად ლავალიერმა, _ მაგრამ ვუფრთხი იმ ბოროტ ენებს, რომელთაც შეუძლიათ შემთხვევა გამოიყენონ ჩვენს წასაჩხუბებლად.

_ მენდე სრულიად, _ თქვა ამის საპასუხოდ მალიემ და მკერდზე მიიკრა მეგობარი. _ თუ ბედს სურს რქოსანი გამხადოს, ნაკლებ შევწუხდები, თუ ამის მიზეზი შენ იქნები... მართალია, ამ შემთხვევაშიაც ნაღველი მომკლავს, რადგან ჩემი სასიქადულო უმანკო ცოლი გაგიჟებით მიყვარს. _ თქვა და პირი იბრუნა, რადგან არ უნდოდა მეგობრისთვის დაენახვებინა ცრემლები, რომელიც ღაპაღუპით წამოსცვივდა თვალებიდან; ლავალიერმა ეს შეამჩნია, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

_ ძმაო, გეფიცები, სანამ ვინმე შენს ცოლს შეეხებოდეს, იგი მიწაზე დაეცემა ჩემი დაშნით განგმირული. და თუ თვით მე არ მოვკვდი, შენი ცოლის სხეული უკან დაბრუნებულს ხელუხლებელი დაგვხვდება, ხოლო რაც შეეხება სულს, როგორც კარგად იცი, იგი ადამიანის გამგებლობის გარეშე იმყოფება.

_ მაშ, კარგი, საქმე გადაწყვეტილია, _ წამოიძახა მალიემ, _ კუბოს ფიცრამდე შენი მოვალე ვიქნები!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მალიე გზას გაუდგა, რადგან არ უნდოდა გალხობილიყო ოხვრისა, ვიშისა და ცრემლებისაგან, რაც ცოლებს ყოველთვის

აღმოხდებათ ხოლმე გამოთხოვების ჟამს. ლავალიერმა მეგობარი ქალაქის კარიბჭემდე მიაცილა და უკან დაბრუნდა, რათა იქ დაეცადა, სანამ დასაძინებელი ოთახიდან გამოვიდოდა მარი დანბო, რომლისთვისაც მას ქმრის წასვლა უნდა ეუწყებინა და თავისი თავი გადაეცა სრულ განკარგულებაში; ეს ყოველივე ისე მოხდენილად შეასრულა, რომ ყველაზე უბიწო ცოლიც კი უარს ვერ იტყოდა ასეთი რაინდის სამსახურზე. მაგრამ მარის არ სჭიროდა ახსნა-განმარტება, რადგან ფარულად ყური დაუგდო მეგობრების საუბარს და დიდად ნაწყენი იყო, რომ ქმარმა ეჭვი გამოთქვა მის შესახებ. როგორც ცნობილია, ყოველ ადამიანურ საქმესა და აზრს პირი წაღმაც აქვს და უკუღმაც, და ცხოვრების რთული მეცნიერება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ საგანს წაღმა პირიდან შევხედოთ. ქალისთვის თავის მოწონება კი იმიტომ გვიჭირს, რომ მას ისეთი რამ აქვს, რაც თვით მასზე უფრო ქალურია. ჩვენ, მამაკაცებმა, კი არასოდეს ცუდი აზრები არ უნდა გავაღვიძოთ ქალებში, და თუ მათი დამორჩილება გვინდა, თვით დავემორჩილოთ მათ: მგონია, ამაშია ცოლქმრობის ძნელი ამოცანის საუკეთესო გადაწყვეტა.

მარი დანბო მეტად კმაყოფილი დარჩა რაინდის თავაზიანობისა და ყველა წინადადებისა; მაგრამ სახეზე მსუბუქმა ღიმილმა გაურბინა: თავში აზრმა გაუელვა, თავისი ახალგაზრდა მცველისთვის არჩევანი გაეკეთებინა პატიოსნებასა და სიამოვნებას შორის და ალერსიანი მოპყრობით და ნაზი შეხედვით აეძულებინა მეგობრისათვის ეღალატნა სიყვარულის გულისათვის.

ყოველივე თითქო ხელს უწყობდა მარი დანბოს ზრახვების განხორციელებას: მარტო ის რად ღირდა, რომ ლავალიერს ერთ ჭერქვეშ უნდა ეცხოვრა მასთან. და რადგან ქალს ვერაფერი გადაახვევინებს დასახულ მიზანს, მარიმ, სხვა ქალების წაბაძულობით, გადაწყვიტა თავის ბადეში გაება ახალგაზრდა რაინდი. ქალი ვაჟს აიძულებდა შუაღამემდე მის ოთახში დარჩენილიყო ბუხრის წინ და მისი სიმღერა ესმინა; ხან ვითომდა უნებურად თმა გაეშლებოდა, მკერდი გაეღეღებოდა ან სხვა რაიმე მშვენიერება გამოუჩნდებოდა. ამასთანავე მისი თვალების ელვარება თითქოს ამაოდ ცდილობდა მისი იდუმალი ზრახვების დამალვას; დილით იგი ხშირად ვაჟთან ერთად სეირნობდა ბაღში, მძიმედ ეყრდნობოდა მის ხელს, ღრმად ოხრავდა და ტანით ეკვროდა მის ტანს; იგი მას აიძულებდა მაშიის თასმა შეეკრა მისთვის, ეს თასმა მუდამ ეხსნებოდა სიარულის დროს, ერთი სიტყვით, ელაციცებოდა, როგორც ეს მხოლოდ ნებიერ და ალერსიან ქალს შეუძლია. იგი დიდ მზრუნველობას იჩენდა თავისი სტუმრის მიმართ, ხშირად შედიოდა მასთან, ჰკითხავდა, ხომ არაფერი გაკლიათო, საკმაოდ რბილია თუ არა ლოგინი, გაწმენდილია თუ

არა ჰაერი, ღამით გამჭოლი ქარი, ან დღისით მზის სიცხოველე ხომ არ გაწუხებთო; ამასთანავე, ყოველთვის თხოვდა, ნუ დამიმალავთ თქვენს ჩვეულებასა და სურვილებსო.

_ თქვენ, ალბათ, დილით ლოგინში რამეს სვამთ. რა გიყვართ: თაფლი, რძე თუ ხილის ნახადი? უმადოდ ხომ არ ხართ სადილად ან ვახშმად? მხოლოდ ენა დასძარით და ყოველი თქვენი სურვილი შესრულდება. თხოვნით ჩემი შეწუხებისა ნუ გეშინიათ.

ამ მზრუნველობას თან სდევდა მრავალი კეკლუცი ქცევა. სხვათა შორის, რაინდის ოთახში ისე არ შევიდოდა, რომ არ წამოეძახა:

_ თუ გაწუხებთ, გამაგდეთ... თქვენ სრულიად თავისუფლად უნდა გრძნობდეთ თავს... ახლავე მივდივარ...

რაინდი, რასაკვირველია, მუდამ სთხოვდა, დარჩითო. ქალი ვაჟთან ყოველთვის მეტად მსუბუქად ჩაცმული შედიოდა და ისე თვალთმაქცურად ამხელდა თავისი მშვენიერი სხეულის ნაკვთებს, რომ თვით მიხრწნილი პატრიარქი მათუსალა უეჭველად ნდომისაგან დაიჭიხვინებდა თავისი ას სამოცი წლის სიმძიმის მიუხედავად.

თავის მხრით, ლავალიერიც, ნატიფი, როგორც აბრეშუმის ძაფი, ნებას აძლევდა დიასახლისს ელაღობა მასთან, რადგან ბენდიერი იყო, რომ ამ ქალის ყურადღების და მზრუნველობის საგანი სხვა არავინ გახდა. თვით ვაჟი კი მას მუდამ უცხოეთში წასულ ქმარს ახსენებდა.

ერთხელ საღამოთი, მეტად ცხელი დღის შემდეგ, ლავალიერს შეეშინდა თავისი დიუფალის პირისპირ ცქერისა და თვალებდახრილმა ლაპარაკი ჩამოუგდო იმაზე, თუ როგორ ძლიერ უყვარს იგი ქმარს, რარიგ კეთილშობილია მალიე და როგორ ეჭვიანია ერთსა და იმავე დროს.

_ მაშ, რად დაგასახლათ აქ, თუ ასეთი ეჭვიანია?

_ განა ეს უდიდესი სიფრთხილე არაა? _ უპასუხა ვაჟმა, _ განა თქვენ ისეთი მცველისათვის არ უნდა ჩაებარებინეთ, რომელიც მტრებისაგან დაგიცავდათ?

_ მაშ, თქვენ ჩემი დარბაზის ყრმა ყოფილხართ? _ თქვა ქალმა.

_ დიახ, მე ამით ვამაყობ, _ წამოიძახა ლავალიერმა.

_ ცუდი არჩევანი მოუხდენია, მართალი მოგახსენოთ!

ამ სიტყვებთან ერთად ქალმა ვაჟს ისეთი ვნებიანი თვალები მიაპყრო, რომ პატიოსანი ძმადნაფიცი იძულებული გახდა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა თანამესაუბრე, რომელიც, როგორც ეტყობოდა, მეტად შეურაცხყოფილი იყო, სიყვარულზე უარს რომ ეუბნებოდნენ. მარტოდმარტო დარჩენილი მარი დანბო ოცნებაში წავიდა, იგი ცდილობდა

გამოეცნო ვაჟის უარის მიზეზი, იმიტომ, რომ ქალისთვის ძნელია იმის გაგება, თუ როგორ შეუძლია ვინმეს აითვალწუნოს ის ძღვენი, რომელსაც, ჩვეულებრივ, მამაკაცები სიამოვნებით ღებულობენ და დიდადაც აფასებენ. მისი აზრები ერთმანეთში გადაიხლართნენ, მათ ქალი შორს გაიტაცეს და ბოლოს მარი დანბოსთვის ნათელი გახდა, რომ ლავარიელი უღრმესი სიყვარულით უყვარდა.

ამრიგად, მარი დანბომ, ბოლოს გაიგო, რაც ადრევე უნდა გაეგო, სახელდობრ, რომ კეთილშობილი რაინდი სხვა ქალის მახეში მოჰყვა, რათა თავი დაეღწია მის მიერ გადასროლილი ბადისთვის; იგი შეუდგა გამოძიებას, სად შეეძლო მის სტუმარს გულისთქმის საგანი ეპოვა, და გადაწყვიტა, ალბათ, ან მშვენიერი ლიმეილზეა შეყვარებული, ან დედოფალი ეკატერინე მედიჩის ერთ-ერთ ქალზე _ ქალბატონ დუ ნევერსა, დესტრესა ან ჟიაკზეო. იგი მეშურნობით გაიმსჭვალა, მაგრამ გადაწყვიტა, ჯერჯერობით შეეზღუდა თავისი ცთუნებით აღსავსე თამაშობა თავის გუშაგთან და მხოლოდ ხანდახან შუბლზე ნაზად ეკოცნა მისთვის.

უცილობელია, მარი დანბო უფრო ლამაზი, ახალგაზრდა, სანდომიანი და მომხიბლავი იყო, ვიდრე მისი მოქიშპეები; ყოველ შემთხვევაში, ამას ეუბნებოდა გონება: ყოველი მისი ნიჭი, ნებისყოფის მთელი ძალა და აგრეთვე წმინდა ფიზიკური ნდომა, რომელიც ქალებს თანდაყოლილი აქვთ, მას უკარნახებდა, იერიში განაგრძე რაიდის წინააღმდეგო. ამ მხრითვე მოქმედებდა სპორტული სიყვარულიც.

ქალი კატასავით იგრიხებოდა ვაჟის წინაშე, უღიტინებდა მის გრძნობებს. ნელ-ნელა ათვინიერებდა და ალერსს აჩვევდა მას, ისე რომ ერთხელ საღამოთი, როცა ქალმა უგუნებობა მოიმიზეზა, ვაჟი იძულებული გახდა ეკითხა _ რა მოგდითო.

ამის საპასუხოდ თითქოს ოცნებაში წასულმა მარი დანბომ თავის ამბავს მოჰყვა. ლავალიერი კი როგორც მუსიკას ისე ისმენდა მის სიტყვებს. ქალი ჩიოდა: ჩემი სურვილის წინააღმდეგ გამათხოვეს, დიდად უბედური ვარ არ ვიცი რა არის სიყვარულის სიხარული, ჩემი სიცოცხლე ცრემლებითაა სავსე, რადგან ქმარი არ მაკმაყოფილებსო: სულით ქალწული ვარ და მხოლოდ ცხოვრების ბნელ მხარეებს ვიცნობ, თუმცა კარგად გამეგება სიყვარულის შვება და სიტკბოება, რომლისკენაც ჩემი მსგავსნი მიისწრაფვიან. შურით ვუცქერი იმათ, ვისაც შეუძლია ეს შვება და სიტკბოება სხვებს მიანიჭოს თუნდ ძვირფასი მსხვერპლის გაღებითო. მზად ვარ სიყვარულის ერთი დღისა ან ღამისათვის ცხოვრება გავწირო და მსხვერპლად ვექცე, მაგრამ იმას, ვინც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, არ სურს

ჩემთვის ყურის დაგდება, თუმცა ჩვენი კავშირის დამალვა არც ისე ძნელია, რაკი ქმარი ესოდენ დანდობილიაო; და, ბოლოს, თუ სატრფომ უარი მითხრა, ჯავრი მომკლავსო.

ეს ტაეპები ამოღებულია იმ ლექსიდან, რომელიც ქალებმა უკვე არტახებში იციან ზეპირად, ისინი წარმოთქმული იქნენ გრძელი პაუზებით და სულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესა-ვიშით, შემკობილი იქნენ მრავალი მომხიბლავი ოინით, ციური ძალების მოწოდებით და შორეულ სივრცეში გახედვით; ქალის ღაწვები ანთებული იყო, იგი მზად იყო თმა დაეგლიჯა მწუხარებისაგან, ერთი სიტყვით, გამოყენებული იქნა მთელი დედაკაცური არსენალი და, რადგან ამ სიტყვათა ნიაღვრის მიზეზი ის გულისთქმა იყო, რომელიც თვით მახინჯებს ალამაზებს, კეთილშობილმა რაინდმა თავი ვერ შეიკავა, მარის ფერხთ ქვეშ დაეცა და ამბორით და ცრემლებით დაფარა ისინი; ქალი კი ვაჟს არ უცქეროდა, მაგრამ თითქოს სავსებით ნებდებოდა მას. მაგრამ ბედმა განაგო, რომ მარის ამ საღამოს არ გადაელახა მართებული საზღვრები, იმიტომ, რომ ლავალიერმა სასოწარკვეთილი ხმით უთხრა:

_ ქალბატონო, მე უბედური და უღირსი კაცი ვარ!

_ მაგას რად ამბობთ? _ ჰკითხა ქალმა.

_ ჩემთვის ბედნიერება დახშულია, არ შემიძლია სავსებით თქვენი გავხდე.

_ რატომ?

_ ვერ გამოგიტყდებით.

_ ნუთუ ცუდი რამ გჭირთ?

_ დიახ, ცუდი რამ, რასაც შეუძლია თქვენ შეგბღალოთ.

_ თქვით, მე თვალებზე ხელს ავიფარებ.

მან თვალთმაქცურად პირზე ხელები აიფარა, ისე რომ რაინდს თითებს შუა ხედავდა.

_ მაშ, იცოდეთ, _ დაიწყო ლავალიერმა, _ რომ იმ საღამოს, როცა თქვენ იმდენი ალერსიანი სიტყვა მაფრქვიეთ, მე ვერაგმა დასაძრახისმა სიყვარულმა გამიტაცა, მაგრამ რადგან არც ჩემი ბედნიერების მოახლოების მჯეროდა და ვერც გრძნობათა გამხელას გიბედავდით, მეძავ დედაკაცებთან წავედი და იქ გადამდები სენი შევიძინე, რომელიც შეიძლება მომაკვდინებელიც იყოს.

შეშფოთებულმა ქალმა ოდნავ შეჰკივლა და უნებურად ხელი ჰკრა ლავალიერს. ეს საბრალო კი შემკრთალი გავიდა ოთახიდან. მაგრამ ვერც კი მოასწრო კარებზე ჩამოკიდებულ ნოხს გასწორებოდა, რომ მარი დანბომ ხელახალი ოხვრა და ვიში დაიწყო:

_ ახ, რა უბედურებაა! _ გაიძახოდა ქალი, სიყვარულით გამსჭვალული სამმაგად აღკვეთილი ხილისადმი. იგი ღრმა მწუხარებამ მოიცვა; ამასთანავე სიბრალულით აივსო მეგობრისადმი.

ერთხელ საღამოს ვაჟი ჩვეულებრივზე უფრო მშვენიერი ეჩვენა და განუცხადა: _ ქმარი რომ არ მეცოდებოდეს, მეც შენსავით დავსნეულდებოდი, რათა ერთი და იგივე სატანჯველი გაგვეცადაო.

_ მე იმდენად მიყვარხართ, რომ ვალდებული ვარ კეთილგონიერება გამოვიჩინო, _ უპასუხა ლავალიერმა, საჩქაროდ გამოეთხოვა და მშვენიერ ლიმეილის ქალთან წავიდა.

რაინდს ძალა არ შესწევდა მარის მწველი თვალების შეხედვა აეტანა, იგი ანთებული იყო, როცა მის გვედით იჯდა სადილად ან საღამოს, ქალიც ცდილობდა არ შეხებოდა რაინდის სხეულს, მხოლოდ უცქეროდა მას. ამრიგად, იგი თავს იცავდა აბეზარი მოაშიკე კარისკაცებისაგან, იმიტომ რომ, როგორც ცნობილია, ქალისა და ვაჟისთვის არ არსებობს უფრო გარდაუვალი დაბრკოლება და უფრო ერთგული დარაჯი, ვიდრე სიყვარული, რომელიც ეშმაკის ალის მსგავსად ედება ყველაფერს, რასაც ახლო გაეკარება.

ლავალიერს ერთხელ მოუხდა თავისი გულის დიუფალს გაჰყოლოდა დედოფალ ეკატერინეს მიერ გამართულ საცეკვაო საღამოზე და იქ ეცეკვა მშვენიერ ლიმეილთან, რომელიც გაგიჟებით მოსწონდა. სეფექალები შურით უცქეროდნენ ლიმეილს, რომელიც მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორმე ლავალიერი დაეპყრო; ჯერ კიდევ ცეკვაც კი არ დაწყებულიყო, რომ მან რაინდს მეორე დღეს პაემანი დაუნიშნა ნადირობაზე. დედოფალი ეკატერინა მედიჩი პოლიტიკური მოსაზრებით ყოველთვის ხელს უწყობდა ასეთ რომანებს და, როგორც გამოცდილ პურის მცხობელს შეეფერება, მაშით ცეცხლს უკეთებდა ღუმელში; როცა მის თვალწინ წყვილ-წყვილად მოხდენილი ქალ-ვაჟები ტრიალებდნენ, იგი ეუბნებოდა მეფეს:

_ სანამ ესენი აქ ერთმანეთს ებრძვიან, ვერ მოიცლიან შეთქმულების მოსაწყობად თქვენს წინააღმდეგ.

_ ჰო, _ უპასუხა მეფემ, _ მაგრამ ეს არ ეხება იმათ, ვინც რელიგიური მიზნებისთვის იბრძვის.

_ იმათაც მოვუვლით, _ სიცილით უპასუხა დედოფალმა. _ შეხედეთ ლავალიერს, მას ხომ ფარულ ჰუგენოტად სთვლიან, ამავე დროს იგი თავის ბადეში გაუხვევია ჩემს საყვარელ ლიმეილს, რომელიც საკმაოდ გამოცდილია, თუმცა ესაა თექვსმეტი წლის ასაკს მიაღწია.

_ ამას ნუ ელით, თქვენო უდიდებულესობავ, _ სიტყვა ჩაურთო მარი დანბომ, _ რადგან ლავალიერი იმავე სენითაა დაავადებული, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა მეფე ფრანსუას და თქვენ ხელი შეგიწყოთ დედოფალი გამხდარიყავით.

ამ გულუბრყვილო ცნობის გაგონებაზე დედოფალმა, მშვენიერმა დიანამ და მეფემ რომელნიც ერთად იდგნენ, გადაიხარხარეს, და მალე მთელმა დარბაზმა გაიგო მათი სიცილის მიზეზი. ლავალიერი სასაცილოდ აიგდეს, საბრალოს ერჩია მიწა გახეთქოდა; მისმა მოქიშპეებმა დაუყოვნებლივ ეს ამბავი სიცილით აცნობეს ლიმეილის ქალს, და მანაც საშინელი ავადმყოფობის შიშით ცივი წყალი გადაასხა თავის თაყვანისმცემელს. ლავალიერს ყველანი გაურბოდნენ, თითქოს იგი კეთროვანი ყოფილიყო. მეფემაც რაღაც მკვახე სიტყვა წასჩურჩულა, და რაინდი იძულებული გახდა საღამო დაეტოვებინა მარისთან ერთად, რომელიც შეძრწუნებული იყო თავისი გაუფრთხილებელი საქციელით. ქალმა გაიგო, რომ თვითვე დაღუპა საყვარელი ადამიანი, შეურაცხჰყო მისი პატიოსანი სახელი და გაუფუჭა სარბიელი; ცნობილია, ექიმები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ცუდი სენით დაავადებული ადამიანი კარგავს თავის სახეს, ბავშვის გაჩენის უნარს და ძვლებიც კი უშავდებაო. არც ერთი დედაკაცი მთელ სამეფოში არ მისთხოვდებოდა ასეთ ადამიანს.

ჰერკულესის სასახლიდან, სადაც საცეკვაო საღამო იყო გამართული, მალიეს სასახლეში მისვლამდე რაინდს კრინტი არ დაუძრავს, იმდენად განადგურებული იყო მწუხარებით; შინ შესვლისთანავე მარიმ უთხრა:

_ ძვირფასო მეგობარო, ვგრძნობ, დიდი ტანჯვა მოგაყენეთ.

_ ქალბატონო, _ უპასუხა რაინდმა, _ ჩემი ნაღველი კიდევ გაქარდება, თქვენ კი მართლაც არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩავარდით. ყველანი იკითხავენ, როგორ შეეძლო იმის გაგება, თუ რა საფრთხე მოელის ქალს ლავალიერის სიყვარულისგანო?

_ სამაგიეროდ, ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ყოველთვის ჩემთან იქნებით, _ უპასუხა ქალმა, _ იმიტომ, რომ ჩემს მიერ მოყენებული სირცხვილისა და უპატიურობის სამაგიეროდ ახლა თქვენი ერთგული მეგობარი, თქვენი დიასახლისი და თქვენი გულის დიუფალი ვიქნები; კიდევ მეტს ვიტყვი, თქვენი მსახური გავხდები. მინდა თავი შემოგწიროთ, რათა სამარცხვინო ლაქა მოგაშოროთ და ღამეები გავტეხო, რათა მოგარჩინოთ. ხოლო თუ მკურნალები იტყვიან, სნეულება სხეულში იმდენად გამჯდარი აქვს, რომ განსვენებული მეფის ბედი ელისო, არ დაგტოვებთ და თქვენთან ერთად მოვკვდები იმავე სნეულებით. არა, _ დაამთავრა ქალმა ქვითინით, _ არ არსებობს მსხვერპლი, რომლითაც შეიძლებოდეს ჩემს მიერ მოყენებული ბოროტების გამოსყიდვა.

იგი კიდევ უფრო ხმამაღლა ატირდა, მიიბნიდა და კინაღამ გული წაუვიდა. შეშინებულმა ლავალიერმა ხელი სტაცა და მის მკერდს შეეხო; ქალი გონს მოვიდა, როცა მოსიყვარულე ხელის სითბო იგრძნო, მაგრამ მოზღვავებული ვნებათაღელვის გამო კინაღამ ხელახლა გრძნობა დაჰკარგა.

_ ეჰ, დღეიდან მხოლოდ უმანკო და მსუბუქი ალერსი იქნება ჩვენი ერთადერთი სიხარული. მაგრამ ეს მაინც შეუდარებლად სჭარბობს იმ სიამოვნებას, რომელსაც ჩემი საბრალო მალიე მანიჭებდა. ნუ წამართმევთ თქვენს ხელს, იგი ახლოა ჩემს სულთან.

ამ სიტყვების საპასუხოდ აღელვებულმა და გაფითრებულმა რაინდმა გულუბრყვილოდ აღიარა: ამ წუთში უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, მაგრამ ჩემი ავადმყოფობა მწვავდება და ასეთ ტანჯვას სიკვდილი მირჩევნიაო.

_ მაშ, ერთად მოვკვდეთ! _ უთხრა ქალმა.

მაგრამ ამის შესრულება ადვილი არ იყო და, როცა შეყვარებულნი თავთავიანთ ოთახებში წავიდნენ, ვაჟი თავისი ლიმეილის დაკარგვას ნანობდა, ხოლო ქალი ახლად განცდილ უბადლო სიხარულზე ფიქრობდა. ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო ლავალიერი იძულებული გახდა უარი ეთქვა ცოლის შერთვაზე და სიყვარულზეც და ვეღარ ბედავდა სახლიდან თავის გამოყოფას. იგი დარწმუნდა, რა ძვირად უჯდება ხანდახან მამაკაცს ქალის მცველად გადაქცევა. მაგრამ რამდენადაც უფრო მტკიცედ იცავდა პატიოსნებასა და სათნოებას, მით უფრო სასიამოვნო იყო მისთვის თავის განწირვა ძმობილისთვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დღეებში მისი ვალდებულება მეტად ძნელი შესასრულებელი, თითქმის აუტანელი გახდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

თანაგრძნობის შეგნებამ, ზიანმა, რომელიც რაინდს მიაყენა, განუცდელი სიამოვნების აზრმა, ყოველივე ამან გამბედაობა შემატა მშვენიერ მარი დანბოს, მაგრამ მისი სიყვარული პლატონური რჩებოდა და მხოლოდ უმანკო ალერსით იყო შეფერადებული. ცნობილია, მეფე ფრანსუას სიკვდილის შემდეგ მრავალი სეფექალი, რომელთაც არ სურდათ თავიანთ თაყვანისმცემელთ გაშორებოდნენ და ამავე დროს დაავადებისა ეშინოდათ, უბიწო ალერსსა და სამიჯნურო სიტყვების გაცვლა-გამოცვლაში პოულობდნენ ნუგეშს. ლავალიერს არ შეეძლო ამაზე უარი ეთქვა მარისათვის, რომელიც ყოველ საღამოს მის გვერდით ჯდებოდა, იღებდა მის ხელებს, ლოყით ნაზად ეხებოდა მათ და მხოლოდ თვალებით კოცნიდა რაინდს. ასეთ სათნო მდგომარეობაში რაინდი თავს ისე გრძნობდა, როგორც სატანა აიაზმით სავსე ფიალაში; ქალი კი დაუღალავად ელაპარაკებოდა თავის ღრმა, მტანჯველ სიყვარულზე და შეუსრულებელ სურვილთა

უსაზღვროებაზე. მთელ იმ აღგზნებას, რომელსაც ქალები სიყვარულში ამხელენ, როცა ღამის წყვდიადში სხვა სინათლე არ ანთია, გარდა თვალებისა, იგი აღფრთოვანებით გადმოსცემდა ხან თავის მისტიკური მოძრაობის, ხან სულის ნათელი თრთოლის შემწეობით. ისინი თითქო ერთმანეთში გადნენ, მათი ნაზი ლიტანია თითქო ყველა დროის შეყვარებულთა ლიტანიის განმეორება იყო.

_ ჰო, _ ამბობდა მარი დანბო, _ შენ ჩემი ძალა და სიცოცხლე ხარ, ჩემი ბედნიერება და საუნჯე!

_ თქვენ კი, _ უპასუხებდა ვაჟი, _ ჩემი ანგელოზი, ჩემი მარგალიტი ხართ!

_ შენ ჩემი სერაფიმი ხარ!

_ თქვენ ჩემი გული ხართ!

_ შენ ჩემი ღმერთი ხარ!

_ თქვენ ჩემი ცისკრის და საღამოს ვარსკვლავი ხართ, ჩემი პატიოსნება და მშვენიერება, ჩემი სამყარო ხართ!

_ შენ ჩემი დიდი და ღვთაებრივი მბრძანებელი ხარ!

_ თქვენ ჩემი დიდება, სარწმუნოება და სახელი ხართ!

_ შენ ჩემი ნაზი, მამაცი, მშვენიერი, კეთილშობილი, ძვირფასი რაინდი, მფარველი, მეფე ხარ; შენ ჩემი სიყვარული ხარ!

_ თქვენ ჩემი ფერია, ჩემი ცხოვრების ყვავილი, ჩემი სიზმარი ხართ!

_ შენ ჩემი ყოველი საათის, ყოველი წუთის აზრი ხარ!

_ თქვენ ჩემი თვალების სიხარული ხართ!

_შენ ჩემი სულის ძახილი ხარ!

_ თქვენ დღის სინათლე ხართ!

_ შენ ნაპერწკალი ხარ ღამის წყვდიადში!

_ თქვენ უსაყვარლესი ხართ ქალთა შორის!

_ შენ გასაღმერთებელი ხარ კაცთა შორის!

_ თქვენ ჩემი სისხლი, ჩემი მე, ჩემზე უკეთესი ხართ!

_ შენ ჩემი გული და ჩემი ლამპარი ხარ!

_ თქვენ ჩემი წმინდანი, ჩემი ერთადერთი სიხარული ხართ!

_ სიყვარულში პიროვნება შენ გეკუთვნის, და თუმცა, ჩემი სიყვარული უსაზღვროა, ვფქიროობ, რომ შენ კიდევ უფრო გიყვარვარ, რადგან შენ ჩემი მბრძანებელი ხარ!

_ არა, პირველობა თქვენ გეკუთვნით, ჩემო მარი!

_ არა, მე შენი მხევალი ვარ, მე არაფერი ვარ და შენ შეგიძლია ნაცრად მაქციო!

_ არა, მე ვარ თქვენი მონა, თქვენი ერთგული დარბაზის ყრმა; მე თქვენთვის სიოს ერთი დაბერვა ვარ, თქვენი პაწია ფეხებისთვის ნოხი ვარ, ჩემი გული თქვენი ტახტია!

_ არა, ჩემო მეგობარო, შენი ხმა გულს მიგმირავს!

_ თქვენი შეხედვა კი მწვავს!

_ მე ქვეყანას ისე ვუცქერი, თითქო შენ ჩემი სათვალე იყო!

_ მე ქვეყანას ისე ვგრძნობ, თითქო თქვენ ჩემი გრძნობა იყოთ!

_ მაშ, გულზე ხელი დამადე და შეამჩნევ, როგორ ვფითრდები, როცა ჩემი სისხლი შენს სისხლს სიცოცხლეს ართმევს.

ამ ბრძოლაში მათი ანთებული თვალები კიდევ უფრო ელავდნენ და რაინდი აორკეცებდა მარი დანბოს სიხარულს, როცა მკერდზე ხელს ადებდა. ამ მსუბუქ მოძრაობაში იხატებოდა მთელი მისი სურვილი, და იგი ილეოდა ბენდიერებისაგან. მათი თვალებიდან ცხარე ცრემლები სცვიოდა, ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ, როგორც ცეცხლის ენები ეხვევიან შეშას, მაგრამ ამით ყოველივე თავდებოდა. ლავალიერმა ამაოდ როდი აღუთქვა თავის მეგობარს, ცოლის სხეულს შეგინახავ და არა სულსო.

მალიემ სწორედ დროზე შემოთვალა, შინ ვბრუნდებიო, იმიტომ რომ ვერავითარი სათნოება ვერ აიტანდა ასეთ წამებას; რაც უფრო თავს იჭერდნენ შეყვარებულნი, მით უფრო გავარვარებული ხდებოდა მათი ოცნება.

რაინდმა მარი მარტოდმარტო დატოვა და მეგობრის შესახვედრად გაეშურა ბონდიში, რათა თან ხლებოდა ტყის გზაზე, სადაც მოგზაურობა სახიფათო იყო. ძველებური ჩვეულების მიხედვით მათ ღამე ერთად გაათიეს ბონდიში, ერთ ლოგინში ჩაწვნენ და დიდხანს ილაპარაკეს: ერთი თავის სამხედრო თავგადასავალს მოჰყვა, ხოლო მეორე _ სასახლის ჭორებს, სიყვარულის ამბებს და სხვა. მაგრამ მალიეს პირველი შეკითხვა მარის შეეხებოდა, და ლავალიერმა განუცხადა, მას შენი სახელი არ შეუბღალავსო. ამ სიტყვებმა ქმარი უსაზღვროდ გაახარა.

მეორე დღეს სამივენი ერთად ისხდნენ და, თუმცა მარი დიდად შეწუხებული იყო, ქალური თვალთმაქცობით მხიარულად ეალერსებოდა ქმარს, მაგრამ ამავე დროს მეგობრის დასანახავად ნაზად გულს უთითებდა, თითქო ეუბნეობდა _ ეს შენიაო!

ვახშმობის დროს ლავალიერმა უცებ განაცხადა, ომში მივდივარო. მალიე სახტად დარჩა. თან გაყოლა მოინდომა, მაგრამ ლავალიერი გადაჭრით წინ აღუდგა.

_ ქალბატონო, _ უთხრა ლავალიერმა მარი დანბოს გამოსალმების დროს, _ მე თქვენ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ, მაგრამ პატიოსნებას მაინც უფრო მეტად ვაფასებ.

რაინდი გაფითრდა, მარიც გაფითრდა. არასოდეს თავის შექცევის დროს მათ იმდენი სიყვარული არ გამოუმჟღავნებიათ, რამდენიც ამ წუთში გამომჟღავნდა. მალიემ გადაწყვიტა, ერთი დღის სავალზე გაეცილებინა თავისი მეგობარი.

შინ დაბრუნებისთანავე მან ცოლს ლაპარაკი ჩამოუგდო იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო მისი მეგობრის უცაბედი გამგზავრების ფარული მიზეზი. მარიმ, რომელიც განუწყვეტლივ თავისი მეგობრის ტანჯვაზე ფიქრობდა, თქვა:

_ ჩემთვის ყოველივე ნათელია: მას რცხვენია აქ დარჩენისა, რადგან ყველამ იცის, რომ იგი ნეაპოლური სენითაა დაავადებული.

_ როგორ? _ წამოიძახა გაკვირვებულმა მალიემ. _ ჩვენ ორჯერ ერთ ლოგინში ვიწექით, ერთხელ _ ბონდიში, მეორეჯერაც _ გუშინ; არავითარი სენი არ სჭირს; ლავალიერი ისე ჯანმრთელია, როგორც თქვენი თვალი.

მარის ცრემლები წასკდა; უსაზღვრო იყო მისი აღტაცება ამ კეთილშობილებისა და თავგანწირულების წინაშე, ამ ფარული ვნებათაღელვის ღრმა ტანჯვის წინაშე. მაგრამ ქალი გულის სიღრმეში მალავდა თავის სიყვარულს და იმ დღესვე მოკვდა, რა დღესაც ლავალიერი მოჰკლეს მეცის ციხის გალავანთან, როგორც ამას ბურდელ დე ბრანტომი იუწყება თავის მემუარებში.

<u>მხედართმთავრის ცოლი</u>

თარგმანი გერონტი ქიქოძისა

მხედართმთავარმა გრაფმა დარმინიაკმა ამაო მედიდურობის გამო გადაწყვიტა ცოლად შეერთო გრაფი ბონის ასული, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა ახალგაზრდა სავუაზი, მეფე შარლ VI კარისკაცის ვაჟი.

მხედართმთავარი თავგამოდებული მეომარი იყო; თვალტანად ნაკლებ წარმოსადეგი, წლების ტვირთით დამძიმებული; სახედანაოჭებული და ბანჯგვლიანი გრაფი მეტისმეტად მოსაწყენი იყო თავისი მჭმუნვარე სიტყვებით; მისი აზრები ხან სახრჩობელას ეხებოდა, ხან ცხარე ბრძოლას, ხან სამხედრო ოინებს, დაშორებულთ სიყვარულის ოინებისაგან. ეს მოლაშქრე ნაკლებ ფიქრობდა სიყვარულით თავის შექცევაზე

და თავის დაქორწინებას სხვა უფრო საქმიანი მიზნებისათვის იყენებდა. ცოლებს კი, როგორც ცნობილია, არ უყვართ, რომ მათი სხეულის მშვენიერებათა ერთადერთი მოწმე მათი საწოლის ფეხები იყოს. ამიტომ, როცა გრაფის ასული მხედართმთავრის ცოლი გახდა, კიდევ უფრო გაუცხოველდა სიყვარული სავუაზისადმი, რაც ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, მაშინვე შეამჩნია. მიჯნურებმა ერთ ხმაზე ააწყვეს თავიანთი ფანდური, რათა სიყვარულის სიმღერა ეთქვათ, და მალე დედოფალ იზაბელას ყურამდე ცნობამ მიაღწია, რომ სავუაზის ცხენები უფრო ხშირად მისი მოყვრის დარმინიაკის თავლაში სჭამდნენ ქერს, ვიდრე სენპოლის პალატებში, სადაც, როგორც ცნობილია, სავუაზი ცხოვრობდა მამამისთან ერთად მას შემდეგ, რაც პარიზის უნივერსიტეტის განკარგულებით მათი ძველი სასახლე დაანგრიეს.

ამ ქველ და ბრძენ დედოფალს შეეშინდა, რაიმე უსიამოვნება არ შეემთხვეს ჩემს ბიძაშვილსო. მან იცოდა, რომ მხედართმთავარს ისევე ადვილად შეეძლო დაშნის ჩაცემა, როგორც ხუცესი ლოცვა-კურთხევას არიგებს ხოლმე, და ერთხელ, ეკლესიიდან გამოსვლის დროს, თავისი ხანჯალივით ბასრი ენით მიმართა გრაფის მეუღლეს, როცა მან სავუაზისთან ერთად ხელი ჩაჰყო აიაზმაში:

_ ჩემო მეგობარო, ნუთუ სისხლს ვერ ხედავ ამ ფიალის ფსკერზე?

_ ჰო, თქვენო დიდებულებავ, _ სიტყვა ჩაურთო სავუაზიმ, _ მაგრამ სიყვარულს სისხლი უყვარს.

დედოფალმა ეს სიტყვები მეტად მოსწრებულ პასუხად მიიჩნია და კიდეც ჩაიწერა სამახსოვროდ, ხოლო შემდეგ გაიხსენა, როცა მეფემ, მისმა მბრძანებელმა, შური იძია ერთ მის სატრფოზე, როგორც ამას ქვემოთ გავიგებთ.

ყველას პირადი გამოცდილებით მოეხსენება, რომ სიყვარულის პირველ დღეებში ორივე მიჯნური თრთის: ეშინია ჩვენი საიდუმლოება არ გამომჟღავნდესო, ერთმანეთსაც კი ექიშპებიან თვალთმაქცობაში, როგორც კეთილგონიერების კარნახით, ისე გარეშეთა მოტყუების მიერ გამოწვეული სიამოვნების გულისთვის. მაგრამ შემდეგ ხშირად ერთ წუთში დავიწყებას ეძლევა ყოველივე, რაც კეთილგონიერებით იყო მოპოვებული, და ან საბრალო ქალი განცხრომის დროს კაკანათში ებმება, ან მისი მეგობარი შემთხვევით თავისი დარბაზობის და გამოსათხოვარი კოცნის კვალს სტოვებს დავიწყებული ხელთათმანის, ღილის ან დეზების სახით. და ამას მოსდევს ხანჯლის ჩაცემა, რაც ნაფლეთებად აქცევს ნატიფ ქსოვილს, ხელოვნურად ამოქარგულს სიყვარულის მოვარაყებული ყვავილებით. მაგრამ როცა სიცოცხლე ვნებათაღელვითაა აღსავსე,

სიკვდილისა არ უნდა გვეშინოდეს, და ქმრის დაშნა აშიკისთვის მშვენიერი დასასრულია, თუ შეიძლება სიკვდილი საზოგადოდ მშვენიერი იყოს. სწორედ ასეთი დასასრული ელოდა მხედართმთავრის მეუღლის სამიჯნურო თავგადასავალს.

ერთ მშვენიერ დღეს გრაფ დარმინიაკს, ბურგუნდიის დუკის ლანიდან გაქცევის შემდეგ, ბევრი თავისუფალი დრო აღმოაჩნდა და მან გადაწყვიტა საწოლ ოთახში შესულიყო, რათა დილა მშვიდობისა ესურვა თავისი ცოლისთვის; ეშინოდა, ცოლის გულისწყრომა არ გამოეწვია და შეეცადა რაც შეიძლება ფრთხილად გაეღვიძებინა, მაგრამ ქალი ჯერ კიდევ დილის რულში იმყოფებოდა, თვალი არ გაუხელია, მხოლოდ მიბნედილი ხმით უთხრა:

_ თავი დამანებე, შარლ!

_ ოჰო, _ ჩაილაპარაკა მხედართმთავარმა, როცა იმ წმინდანის სახელი გაიგონა, რომელიც მას არ ერქვა, _ ჩვენ ვიღაც შარლი გვყოლია თავში! _ ცოლს აღარ შეხებია, საწოლს მოსხლტა, დაშნა იშიშვლა და გააფთრებული შეიჭრა მოახლე ქალის ოთახში, რადგან დარწმუნებული იყო, მას ეცოდინება თავისი ქალბატონის საიდუმლოებაო.

_ ეშმაკის კერძო! _ შესძახა მრისხანედ, _ ილოცე, რადგან ახლავე უნდა მოგკლა ვიღაც შარლის ხელის შეწყობისათვის. იგი აქ დაეთრევა ჩემი აქ არყოფნის დროს, ხოლო თუ ენა დაგება და წაიბორძიკე, ერთ წუთში აგკუწავ. თქვი!

_ ვინ მოგახსენათ, ბატონო, _ უპასუხა ქალმა.

_ იცოდე, არ დაგინდობ, თუ შენი შეცოდებანი და მათი შედეგები არ აღიარე.

_ ამკუწეთ, _ განუცხადა მოახლე ქალმა, _ სულ ერთია ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.

მხედართმთავარი გააცოფა ამ გაბედულმა პასუხმა. მან დაშნა ჩასცა ქალს და ცოლისკენ გაიქცა, ხოლო გზად დაუძახა მეჯინიბეს, რომელიც ყვირილს შეეშფოთებინა და კიბეზე არბოდა საშველად.

_ ჩქარა ადი ზევით, ცოტა არ იყოს გადავაჭარბე ბილეტას დასჯის დროს.

სანამ ცოლთან მივარდებოდა, თავის მძინარე ვაჟთან შეიჭრა, ტლანქად გამოაღვიძა და წაათრია დედასთან. ქალს თვალები გაუფართოვდა, როცა ატირებული ბავშვი დაინახა, შემდეგ კი დიდად შეშფოთდა, რადგან საშინლად განრისხებული ქმრის სისხლიანი ხელები შეამჩნია.

_ რა მოგივიდათ? _ ჰკითხა ქალმა.

_ ქალბატონო, _ წამოისროლა მხედართმთავარმა დაუფიქრებლად, _ ეს ბავშვი ჩემია თუ თქვენი მეგობრის სავუაზისა.

ამ სიტყვების გაგონებაზე გრაფის მეუღლეს ფერი ეცვალა, იგი შვილს ეცა შეძრწუნებული.

_ ოჰ, რასაკვირველია, ჩვენია! _ წამოიძახა მან.

_ თუ არ გსურთ, რომ ამ ბავშვის თავი თქვენს ფეხებთან დაეცეს, გამოტყდით და პირდაპირ მიპასუხეთ; მყავს თუ არა თანაშემწე?

_ გყავთ.

_ ვინ არის?

_ ეს არ არის სავუაზი, და მე არასოდეს დავასახელებ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობ.

მხედართმთავარი ზეზე წამოხტა და ცოლს ხელი სტაცა, რათა დაშნის დარტყმით დაედუმებინა, მაგრამ ქალმა მეფურად შეხედა და შესძახა:

_ შეგიძლიათ მომკლათ, მაგრამ არ გაბედოთ ჩემი ხელით შეხება.

_ სიცოცხლე მიჩუქებია, _ განუცხადა ქმარმა, _ მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ სიკვდილზე უარეს სასჯელს მიიღებთ.

მხედართმთავარმა იცოდა, რომ ქალები გაჭირვების დროს ყოველგვარ ცბიერებას, მანქანებას და მზაკვრობას იგონებენ მარტოდმარტო, ან თანამზრახველებთან ერთად, და ამ უხეში და არასასიამოვნო ლაპარაკის შემდეგ საწოლი ოთახიდან გავიდა გააფთრებული, რათა მსახურები დაეკითხა. მათ პასუხი აგეს, როგორც ღვთის წინაშე განკითხვის დღეს. ვერავინ მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო ამ მოკლე, მაგრამ ვერაგი დაკითხვის საბაბი. მათი პასუხიდან მხედართმთავარმა ის დასკვნა გააკეთა, რომ არც ერთი ჩემი მსახური ამ საქმეში გარეული არ არის და ყველაფერში დამნაშავეა ბაღის მცველი ძაღლიო. მან სიბრაზისაგან დაახრჩო ეს ცხოველი. მხედართმთავარმა გადაწყვიტა, რომ მისი მოქიშპე სახლში ბაღიდან შემოდიოდა: ეს ბაღი მდინარეს უერთდებოდა ფარული ხვრელით. აქ მკითხველს უნდა განვუმარტოთ, რომ დარმინიაკის მამულს ვრცელი ადგილი ეჭირა მეფის სასახლის მახლობლად და სენტ-ანტუანის ქუჩისაკენ მშვენიერი ქვის ჭიშკარი ჰქონდა; თვით მამული შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით, რომელიც სენას გადაჰყურებდა. მხედართმთავარმა შექმნილი მდგომარეობა აწონ-დაწონა და გადაწყვიტა საიმედო ხაფანგი მოეწყო, რომელშიც მიჯნური ორივე ფეხით გაებმებოდა.

_ წმინდანებს ვფიცავ, _ თქვა მან, _ რომ ჩემი რქების დამდგმელი ვეღარსად წამივა; შემდეგ ვნახოთ, როგორ გავუსწორდები.

ბანჯგვლიანმა მხედართმთავარმა, რომელსაც არა ერთხელ უომნია გრანდუკა იოანე უშიშარის წინააღმდეგ, უცებ შეადგინა ბრძოლის გეგმა უცნობი მტრის დასამარცხებლად: მან ამოირჩია ყველაზე ერთგული და მარჯვე მოისარნი და კოშკებში დამალა მდინარის მხრით. საშინლად დასჯას დაემუქრა, თუ ისინი ისრებით არ გაუმასპინძლდებოდნენ ყველას, ვინც, გარდა მისი მეუღლისა, დღისით იქნებოდა თუ ღამით, უცნობს შემოუშვებდა ბაღში; იგივე ღონისძიება იქნა მიღებული სენტ-ანტუანის ქუჩაზე ამართულ ჭიშკართანაც.

ყველა მსახურს, მოძღვრის გამოუკლებლად, ბრძანება მიეცა, არსად წასულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა ელოდათ. ციხე-დარბაზის ორივე მხარეს დაყენებულ იქნენ მხედართმთავრის პირადი მცველები. მათ დაევალათ თვალყური ედევნებინათ მეზობელი ქუჩებისათვის, რათა უცნობი მიჯნური, რომელმაც მათ პატრონს ერთი წყვილი რქა მიუძღვნა, ცოცხლად დაეჭირათ იმ წუთში, როცა იგი სასახლეს მიუახლოვდებოდა თავხედი განზრახვით თავისი ბაირაღი დაერჭო გრაფის კანონიერ სამფლობელოზე.

ასეთი იყო ხაფანგი, რომელშიც უეჭველად ყველაზე მზაკვარი ადამიანიც კი გაებმებოდა, თუ ღმერთი ისეთ დახმარებას არ გაუწევდა, როგორიც პეტრე მოციქულს გაუწია, როცა ამ უკანასკნელს თავში აზრად მოუვიდა ზღვაზე გაესეირნა ფეხით.

მხედართმთავარს საქმე ჰქონდა პუასიში და ნასადილევს იქ გამგზავრებას აპირებდა ცხენით; ეს იცოდა მისმა საბრალო მეუღლემ და წინა დღითვე თავისი თაყვანისმცემელი მოიპატიჟა, რათა მასთან ის სასიამოვნო დუელი გაემართა, რომელშიც ქალი ყოველთვის თავის უპირატესობას გრძნობს.

სანამ ქმარი ყველგან ფხიზელ და მკვირცხლ გუშაგებს აყენებდა, რათა უცნობი მიჯნური დაეჭირათ, რომელი მხრიდანაც უნდა გამოჩენილიყო იგი, ცოლიც დროს არ ჰკარგავდა უნაყოფოდ.

ხოლო მოახლე ქალი, რომელიც დაშნით იყო კედელზე მილურსმული, ნელ-ნელა გათავისუფლდა და ფეხის თრევით ქალბატონთან მივიდა, რათა ეთქვა თქვენ ქმარს არაფერი გაუგია ჩემგანო. სანამ სულს დალევდა, გრაფის მეუღლემ ანუგეშა, ყველაფერში ჩემი და შემცვლის, ციხე-დარბაზის მრეცხავი ქალი, რომელიც წელებზე ფეხს დაიდგამს, რათა გასიამოვნოთ, რადგან მთელ უბანში ცნობილია როგორც დიდად გაქნილი და დაოსტატებული სიყვარულის საქმეებშიო.

გრაფის მეუღლემ გამოიტირა თავისი ერთგული მსახური ქალი და მაშინვე მრეცხავი მოიხმო, რათა მასთან ერთად მიეღო ღონისძიებანი სავუაზის გადასარჩენად. უწინარეს ყოვლისა, გადაწყვიტეს რაინდისათვის ეცნობებინათ მხედართმთავრის ეჭვების ამბავი. დაე, ფრთხილად იყოსო.

შემდეგ მრეცხავმა ქალმა ზურგზე მოიდო თეთრეულით სავსე კალათი და შეეცადა ეზოდან გასულიყო. მაგრამ კარიბჭესთან გუშაგი დახვდა, მან გადაჭრით უარი უთხრა გარეთ გაშვებაზე. თავისი ქალბატონის სიყვარულის გამო მრეცხავი ქალი შეეცადა მოისარის სუსტ სიმზე ემოქმედნა და ისე მოხიბლა, რომ თუმცა იგი შეჭურვილი იყო, თავი ვერ შეიკავა და კარგად გაერთო ამ დედაკაცთან, მაგრამ ამის შემდეგ მაინც არ გაუშვა ქუჩაში; სხვა დარაჯნიც და მოისარნიც ასეთივე მიუდგომელნი აღმოჩნდნენ, თუმცა ისინი თავაზიანი და მოხდენილი ვაჟკაცები იყვნენ.

_ თქვენ გულქვა და უმადური ადამიანები ყოფილხართ, თუ არ გსურთ სამაგიერო მომიზღოთ, _ გაიძახოდა დედაკაცი.

მაგრამ მან შეძლო ყველაფრის შეტყობა და თავისი ქალბატონისაკენ გაეშურა, რათა მისთვის გრაფის განკარგულებანი გაეცნო.

როცა გრაფის მეუღლემ გაიგო, რომ მხოლოდ მას ჰქონდა უფლება პალატიდან გარეთ გასულიყო, გადაწყვიტა მაშინვე ესარგებლა ამ უფლებით. მაგრამ ვერც კი მოასწრო გასროლილი ისრის მანძილზე გაევლო, რომ მას ოთხი დარბაზის ყრმა შეუერთდა, ხოლო მოშორებით ორი მოისარი აედევნა. მაშინ დაღონებული ქალი უკან დაბრუნდა, თავის ოთახში ავიდა და ტირილი დაიწყო, მარიამ მაგდალინელის მსგავსად, როგორც ამ წმინდანს სურათებზე ხატავენ ხოლმე.

_ და აი, ახლა ჩემს სატრფოს მოჰკლავენ, _ მოსთქვამდა იგი, _ და ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ; ვეღარ ვიგემებ მის ალერსს, ვეღარ დავტკბები მისი მოხდენილი ქცევით! ნუთუ მიწაზე დაეცემა ეს ლამაზი თავი, რომელიც ასე ხშირად ისვენებდა ჩემს მუხლებზე? ნუთუ ვერ შევძლებ ამ ძვირფასი და საყვარელი თავის მაგივრად ჩემს ქმარს რომელიმე ცარიელი და ბინძური თავი შევუგდო?

_ რა იქნებოდა, _ უცებ წამოიძახა მრეცხავმა ქალმა, _ ბატონურად რომ მოგვერთო მზარეულის შვილი, რომელიც გაგიჟებით შეყვარებულია ჩემზე, მაგრამ მე საშინლად მომწყინდა, და ამ სახით სახლიდან გაგვეშვა ფარული ხვრელის გზით.

ქალებმა ერთმანეთს შეხედეს, მათ თვალებში სატანის ცეცხლმა გაიელვა.

_ და როცა ახალგაზრდა მზარეული მოკლული აღმოჩნდება, მერწმუნეთ, მოისარნი ყოველივე მხრით გაფრინდებიან წეროებივით.

_ ჰო, მაგრამ გრაფი გაიგებს მზარეულის შვილის სიკვდილს, _ წამოიძახა გრაფის ცოლმა, გულზე ხელი იტაცა და თავი გაიქნია, _ არა, ჩემო ძვირფასო, საჭიროა, აქ კეთილშობილი სისხლი დაიღვაროს!

შემდეგ ერთი წუთით ჩაფიქრდა და გახარებული სახით მიმართა მრეცხავ ქალს:

_ იცი რა, მგონია, შენი რჩევის წყალობით მოვისაზრე, როგორ გადავარჩინო ჩემი მეგობარი; ამისთვის ისე დაგაჯილდოებ, რომ ბედნიერი იქნები სიკვდილამდე.

ცრემლები მოიწმინდა, ხელში პარკი და ლოცვანი დაიჭირა და უბიწო სასძლოს სახით გზას გაუდგა პავლე მოციქულის ეკლესიისკენ, საიდანაც მწუხრის ზარების ხმა მოისმოდა. ეს ქალი არასოდეს შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რათა თავისი ღვთისმოსავობა გამოეჩინა; ისეთივე გულმოდგინე მლოცველი იყო, როგორც დანარჩენი სეფექალები იყვნენ. ამ ეკლესიის წირვა-ლოცვას ხალხი დაცინვით სალხინოს უწოდებდა, იმიტომ, რომ აქ თავს იყრიდა გალაღებული, უსაქმური მოაშიკეების ბრბო, სასალუქოდ გამოწყობილი, სურნელებაშეკმეული ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების საზოგადოება, და ყოველი მხრით მხოლოდ ღერბიანი ტანისამოსი და მოვარაყებული დეზები ჩანდა.

გრაფის მეუღლე ეკლესიაში დღესასწაულებრივი სახით შევიდა, დარბაზის ყრმების, ორი მოისარის და რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცის ამალითურთ. უნდა ითქვას, რომ მშვენიერ რაინდთა შორის, რომელნიც მუდამ დაფარფატებდნენ სასახლის მანდილოსნების გარშემო, ერივნენ გრაფის მეუღლის თაყვანისმცემლებიც, რომელნიც აღტაცებით შეჰყურებდნენ მას და მზად იყვნენ სული გაეწირათ მისთვის, როგორც ეს ხშირად ხდება ახალგაზრდობაში, როცა ჭაბუკები რამდენიმე საყვარელ საგანს ირჩევენ იმ იმედით, რომ მრავალი ქალის გულიდან ერთს მაინც მოვინადირებთო.

ამ ნისკარტდაღებულ ონავარ ფრინველებს შორის, რომელნიც გემრიელ ნადავლს უთვალთვალებდნენ და უფრო ქალების სკამებსა და ლოცვანებს უცქეროდნენ, ვიდრე საკურთხეველსა და მის მსახურთ, იყო ერთი ახალგაზრდა რაინდი, რომელსაც გრაფის მეუღლე დროგამოშვებით ალერსიან შეხედვას აღირსებდა ხოლმე, იმიტომ, რომ როგორც, ეტყობოდა, იგი სხვებივით უსაქმური არ იყო, გრაფის მეუღლე კი სხვებზე მეტად იტაცებდა.

ჭაბუკი მუდამ უმოძრაოდ და უსიტყვოდ ერთსა და იმავე სვეტს იყო მიყრდნობილი და აღტაცებული თვალებით შესცქეროდა თავისი გულის დიუფალს. მისი ფერმკრთალი

სახე სევდიანი იყო; მისი გარეგნობა მოწმობდა, რომ მას კეთილშობილი გული უნდა ჰქონოდა, ანთებული, მწველი, მაგრამ უიმედო ვნებით. ასეთი ადამიანი ცოტაა ქვეყანაზე, იმიტომ, რომ ჩვეულებრივ, მამაკაცები უფრო სიყვარულის ხელშესახებ ნაყოფს ამჯობინებენ, ვიდრე უხილავ სიხარულს, რომელიც ჩვენი სულის კუნჭულებშია დამალული.

მხედართმთავრის ცოლი ფიქრობდა, ეს უბრალოდ, მაგრამ ლაზათიანად და ერთგვარი გემოვნებით ჩაცმული ჭაბუკი, ალბათ, ბედის მაძიებელი ღარიბი რაინდია, შორი გზით მოსული წამოსასხამითა და დაშნით, რომელნიც მთელ მის ავლადიდებას უნდა წარმოადგენდნენო. ქალსაც მოსწონდა ვაჟის შავი კულულები, მოქნილი სხეული და მორცხვი, მორჩილი გარეგნობა და სულით და გულით წარმატებას უსურვებდა საქმეებში და ქალების სიყვარულში. მაგრამ რადგან მას არ უყვარდა თავისი თაყვანისმცემლების უყურადღებოდ დატოვება, ხშირად ვნებას აღვივებდა ვაჟში და ამისთვის ხან გამამხნევებელ მოძრაობას აკეთებდა, ხან კი ნაზად შეხედავდა, რომელიც შემპარავი იყო როგორც გველის დაგესლვა. იგი ეთამაშებოდა ამ ახალგაზრდა სიცოცხლეს, როგორც ლაღ დიაცს შეეფერებოდა, რომელიც შეჩვეულია უფრო ძვირფასი საგნებით თავის გართობას, ვიდრე ეს უცნობი რაინდი იყო. ამ მხრივ, ქალი თავის ქმარს, მოხუც მხედართმთავარს ჰგავდა, რომელიც ხშირად მთელს სამეფოს დებდა ბედის სასწორზე.

სამი დღის წინათ გრაფის მეუღლემ მწუხრიდან გამოსვლის დროს დედოფალს თავისი ახალი თაყვანისმცემელი ანიშნა და სიცილით უთხრა:

_ აი, მამაკაცი აღსავსე ღირსებებით!

ეს მოსწრებული გამოთქმა დიდად მოეწონათ სასახლეში და ჩვენ მხედართმთავარ დარმინიაკის მეუღლეს უნდა ვუმადლოდეთ, რომ იგი დღემდე შერჩა ფრანგულ ენას.

ჭაბუკმა მართლაც არ გაამტყუნა ქალის შეხედულება. იგი აღმოჩნდა უდროშო რაინდი, ჟიულიენ დებუა ბურედონი, რომელსაც მამისაგან ერთი ნაფოტიც კი არ დარჩენოდა სამკვიდროდ, დედისაგან კი მხოლოდ სილამაზე მიეღო; და მას გადაეწყვიტა სწორედ ეს ერთადერთი თავისი სიმდიდრე გამოეყენებინა სასახლეში, რადგან იცოდა, რომ სეფექალები დახარბებული არიან ამ განძს და დიდად აფასებენ უცოდველად დატკბობას მზის ჩასვლასა და განთიადს შორის. მან ისიც იცოდა, რომ მრავალმა მისმა მსგავსმა ცხოვრებაში გამარჯვებას მიაღწია ქალის პატარა ფეხებით გატკეპნილი ბილიკით. მაგრამ ჟიულიენმა კარგად ვერ გაზომა თავისი სიყვარულის ძალა და ერთბაშად მთელი მარაგი დახარჯა, როცა სალხინო მღვდლემსახურებას დაესწრო და გრაფის მეუღლე

დაინახა მთელი მისი აყვავებული მშვენიერებით. იგი ისეთი ტრფიალების ალმა მოიცვა, რომ ერთ წუთში დაკარგა ჭამა-სმის უნარი. სიყვარულის მრავალ სახეს შორის ეს ყველაზე უარესია, იმიტომ, რომ მიჯნურს მარხვას აყვარებს სიყვარულის მარხვის დროს, ასეთი ორმაგი სენი კი საკმაოა ადამიანის საფლავის კარამდე მისაყვანად.

გრაფის მეუღლეს სწორედ ეს ჭაბუკი გაახსენდა შეჭირვების დროს და მან გადაწყვიტა დაუყოვნებლივ წინადადება მიეცა, მოკვდი ჩემი გულისთვისო.

ეკლესიაში შესვლისთანავე ქალმა თვალი მოჰკრა საბრალო რაინდს, რომელიც იმავე სვეტთან იდგა თავისი ბედნიერების მოლოდინში, როგორც ავადმყოფი, რომელიც გაზაფხულზე მზის ამოსვლას ელის. გრაფის მეუღლემ პირი იბრუნა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დედოფლისკენ, რათა თავის სასოწარკვეთილ მდგომარეობაში რჩევა და დახმარება ეთხოვა მისთვის; მაგრამ ამ დროს ერთი თანმხლები ჯარისკაცთაგანი მოკრძალებით მიუახლოვდა და უთხრა:

_ ქალბატონო, ჩვენ ნაბრძანები გვაქვს ნება არ მოგცეთ ვინმეს დაელაპარაკოთ, ვინც უნდა იყოს იგი, თუნდ დედოფალი ან თქვენი მოძღვარი. და იცოდეთ, თქვენი და ჩვენი სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებული.

_ განა სიკვდილი თქვენი ვალდებულება არაა? _ იკითხა ქალმა.

_ ჰო, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა ბრძანების ასრულებაც, _ უპასუხა მოისარმა.

მაშინ გრაფის მეუღლემ თავისი ჩვეულებრივი ადგილი დაიჭირა და თავის მაღმერთებელს შეხედა; იგი კიდევ უფრო გამხდარი და ფერწასული ეჩვენა.

_ მით უკეთესია, _ ჩაილაპარაკა ქალმა თავისთვის, _ მისი სიკვდილი ნაკლებ დამტანჯავს: ეს ყმაწვილი ისედაც ნახევრად მკვდარია.

ამ აზრის გაფიქრებისთანავე მან რაინდს მიუძღვნა ერთი იმ ნაზი შეხედვათაგანი, რომელთაც თავიანთ თავს ნებას აძლევენ მხოლოდ სეფექალები ან მეძავი დედაკაცები. ცბიერმა სიყვარულმა მისი მშვენიერი თვალები აანთო და თითქოს დაგესლა სვეტზე მიყრდნობილი ჭაბუკი. ვინ არის ჩვენს შორის ისეთი, არ უყვარდეს ცხოვრების ეს მოწოდება, რომელიც გულს გადაუვლის ცხელ ტალღასავით? მხედართმთავრის ცოლმა რაინდის უსიტყვო პასუხში სიამოვნებით იგრძნო, თუ რა ყოვლისშემძლე იყო მისი ძლევამოსილი შეხედვა. ქალის შეფაკლული სახე ბერძენ და რომაელ ორატორებზე უფრო მჭევრმეტყველად ლაპარაკობდა, და ვაჟის პასუხიც ასეთივე ნათელი იყო. ქალმა ვაჟი ოცდაათჯერ მაინც განგმირა თავისი თვალებით და ბოლოს დარწმუნდა, იგი უკან არ მოიხედავს, ისე მოკვდება ჩემი გულისთვისო. ამ აზრმა ქალზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება

მოახდინა, რომ ლოცვის დროს თავი ძლივს შეიკავა, იმდენად ძლიერი სურვილი ჰქონდა რაინდისათვის სიყვარულის ერთ მძლავრ განცდაში სიხარული მიენიჭებინა, რათა შემდეგ მისთვის არ ესაყვედურათ, ამ ჭაბუკს არა მარტო სიცოცხლე, არამედ ბედნიერებაც კი წაართვიო.

როცა მღვდელი მობრუნდა, რათა თავისი მოვარაყებული სამწყოსთვის ეთქვა, მშვიდობა თქვენდა, განვედითო, მხედართმთავრის ცოლი გასავალი კარისკენ გაემართა, თავის მაღმერთებელს გვერდით ჩაუარა და ხანგრძლივი შეხედვით სთხოვა, უკან გამომყევიო; შემდეგ, რათა დარწმუნებულიყო, რაინდმა სწორად გაიგო ჩემი სურვილიო, ქალმა კიდევ მოიხედა და შენიშნა, რომ ვაჟი ოდნავ შეირხა, მაგრამ მორცხვობდა და ვერ ბედავდა ადგილიდან დაძრულიყო. მაგრამ რაკი დაინახა, ქალმა განმეორებით მომიწოდაო, ხალხს შეუერთდა და ფეხაკრფით უკან დაედევნა. იგი ხან წინ მიაბიჯებდა, ხან უკან, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და აუცილებლად გრაფის მეუღლის ანთებულ თვალებს ხვდებოდა, რომლებიც მას თავისკენ იზიდავდნენ, როგორც მეთევზე ფრთხილად ეწევა ანკესს იმის შიშით, რომ ზედ წამოგებული თევზი არ გამისხლტესო. ერთი სიტყვით, გრაფის მეუღლე ისე ცდილობდა წყალი თავისი წისქვილისკენ გადაეგდო, რომ ვინც მას შეხედავდა, იტყოდა, არავინ არ ჰგავს ისე მეძავ ქალს, როგორც მაღალი წრის მანდილოსანიო.

როცა გრაფის მეუღლე თავისი ეზოს ჭიშკარს მიადგა, ცოტათი შეყოყმანდა, უკან მობრუნდა და რაინდს ისეთი სატანისებური გამომეტყველებით შეხედა, რომ ამ უკანასკნელმა მყისვე მიირბინა თავისი გულის მბრძანებელთან. ქალმა ხელი მისცა და ორივენი აღგზნებულნი და მთრთოლვარენი შევიდნენ მხედართმთავრის სადგომში. ამ საბედისწერო წუთში სიკვდილის პირისპირ გრაფის მეუღლეს შერცხვა თავისი განუსჯელობისა და შეაწუხა იმ აზრმაც, რომ სავუაზის ღალატობდა, რათა ის ხიფათს გადაერჩინა: მაგრამ ეს სინდისის ქენჯნა უნაყოფოც იყო და დაგვიანებულიც.

_ ჩქარა გამომყევით ჩემს ოთახში, _ უთხრა ქალმა რაინდს, _ უნდა მოგელაპარაკოთ.

ჭაბუკმა არ იცოდა თუ სიკვდილი მოელოდა და სიტყვებს ვერ პოულობდა თავისი ბედნიერების გამოსახატავად. როცა მრეცხავმა ქალმა უცნობი დაინახა, გაიფიქრა, ჩანს მეფის კარის მანდილოსნები ჩვენზე უკეთ ყოფილან დახელოვნებული ასეთ საქმეებშიო. შემდეგ დაბლა თავი დაუკრა რაინდს, მაგრამ მის სახეზე გამოკრთოდა ერთგვარი დამცინავი აღტაცება ამ ადამიანის წინაშე, რომელიც სიცოცხლეს სწირავდა ასეთი უბრალო რამისთვის.

_ ჩემო კარგო, _ მიმართა ხმადაბლა გრაფის ცოლმა მრეცხავ ქალს, _ მე ძალა არ შემწევს მას ჩემი სტუმართმოყვარეობის მიზეზი გავუმხილო.

_ ქალბატონო, რა საჭიროა ბევრი ახსნა-განმარტება? გააბედნიერეთ და შემდეგ ფარული გასასვლელით გაისტუმრეთ. ომში ამდენი ხალხი იღუპება უბრალო რამისთის, ნუთუ არ შეიძლება ეს კაცი უდიდესი ბედნიერებისათვის მოკვდეს? რამდენიც გსურთ, იმდენ ჭაბუკს გიშოვით, თუ ნუგეშისცემა დაგჭირდათ.

_ არა, _ წამოიძახა გრაფის ცოლმა, _ ყოველივეს გავუმხელ: დაე, ეს სასჯელი იყოს ჩემი ცოდვისთვის.

უცნობ მიჯნურს ეგონა, ჩემი გულის დიუფალი ღონისძიებას ღებულობს, რათა მყუდროება არავინ დაგვირღვიოს მომავალი საუბრის დროსო; მოშორებით იდგა და ფანჯარაში იცქირებოდა. მართალია, ქალის საქციელს მეტისმეტად გაბედულად თვლიდა, მაგრამ ეგონა, ჩემში იმდენი ღირსებაა თავმოყრილი, რომ ასეთი სიგიჟე ადვილი ასახსნელიაო. ძლივს მოასწრო ყოველივე ამის გაფიქრება, გრაფის ცოლმა უკვე თავისი ოთახის კარი შეაღო და ანიშნა, შემოდიო. ამ ქალმა მოიხსნა მთელი თავისი დიდებულება და ვაჟის ფეხთ ქვეშ დაეცა, როგორც სრულიად უბრალო დედაკაცი.

_ მშვენიერო ჭაბუკო, _ თქვა მან, _ თქვენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის, რადგან იცოდეთ, ამ სახლიდან გასვლისთანავე სიკვდილი მოგელით. სხვა ვაჟის სიყვარულმა დამათრო და ყოველივე დამიბნელა ამ ქვეყანაზე; და იმის მაგივრად, რომ ჩემს სატრფოს აქ შეეცვალოთ, თქვენ მას შეეცვლებით იმ წუთში, როცა იგი უნდა მოჰკლან. აი, ის ბედნიერება, რომლისთვისაც აქ მოგიყვანეთ.

_ ეჰ, _ უპასუხა დებუა ბურედონმა, რომელმაც სულის სიღრმეში დაფარა თავისი სასოწარკვეთილება, _ მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ გამომიყენეთ როგორც თქვენი საკუთრება. ისე გაგიჟებით მიყვარხართ, რომ თითქო ქალი ვიყო, წყურვილი მტანჯავს ყოველდღე შემოგთავაზოთ ის, რის მოცემაც მხოლოდ ერთხელ შეიძლება. მაშ, მიირთვით ჩემი სიცოცხლე!

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს საბრალო რაინდი ქალს ისე უცქეროდა, თითქო უნდა თვალებით შესვას იგიო. როცა გრაფის ცოლმა ეს ვაჟკაცური და სიყვარულით აღსავსე სიტყვები მოისმინა, წამოდგა და თქვა:

_ ეჰ, როგორ შეგიყვარებდით, სავუაზი რომ არ მყოლოდა!

_ ჰო, _ უპასუხა რაინდმა, _ ჩემი ბედისწერა სრულდება, იმიტომ, რომ ვარსკვლავთმრიცხველმა მიწინასწარმეტყველა, შენი სიკვდილის მიზეზი მაღალი

წარმოშობის ქალის სიყვარული იქნებაო. მაგრამ გეფიცებით, _ განაგრძო მან და მახვილს ხელი იტაცა, _ ჩემს სიცოცხლეს ძვირად გავყიდი და მოვკვდები იმით დაკმაყოფილებული, რომ ჩემი სიკვდილი ბედნიერებას მოუტანს საყვარელ არსებას. მიჯობს მის ხსოვნაში ვიცოცხლო, ვიდრე სინამდვილეში.

ამ ვაჟკაცის სხივოსანმა სახემ და გაბედულმა მიმოხვრამ სულის სიღრმემდე შეაშფოთა გრაფის მეუღლე. მაგრამ ამასთანავე, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფაც იგრძნო, რომ რაინდი მზად იყო მას განშორებოდა ჯილდოს უთხოვნელად.

_ წამოდით, მე თქვენ შეგაიარაღებთ, _ უთხრა ქალმა ისეთი მოძრაობით, თითქო მისი მოხვევა სდომებოდეს.

_ ოჰ, დიუფალო, _ თქვა რაინდმა და უნებურად თვალები აუცრემლდა, _ ნუთუ თქვენ ისე ძვირად აფასებთ ჩემს სიცოცხლეს, რომ გინდათ ჩემი სიკვდილი შეუძლებელი გახადოთ?

_ ეჰ, _ წამოიძახა ქალმა, სრულიად დამორჩილებულმა ამ ანთებული სიყვარულით, _ არ მინდა ყოველივე ამის დასასრულზე ვიფიქრო. ახლა გამომყევით, ხოლო შემდეგ ერთად წავიდეთ და ფარულ გასავალთან მოვკვდეთ.

ქალ-ვაჟს ერთი და იგივე ალი მოედო, ისინი ერთმანეთს გადაეჭდნენ და ვნების აღგზნებაში ყოველივე დაივიწყეს ამ ქვეყანაზე: ხიფათიც, სიცოცხლეც და სიკვდილიც.

ამ დროს კარიბჭის მცველებმა მხედართმთავარს უკვე აუწყეს მიჯნურის მოსვლა, ისიც მოახსენეს, რომ სიყვარულით გონებადაკარგულმა ჭაბუკმა არც ეკლესიაში და არც გზაზე ყურადღება არ მიაქცია თქვენი მეუღლის მიერ მიცემულ გამაფრთხილებელ ნიშნებსო. მაგრამ მხედართმთავარი გაეშურა არა თავისი ცოლის ოთახების, არამედ ფარული შემოსასვლელისკენ, იმიტომ, რომ ამავე დროს სხვა გუშაგებმა სავუაზის მოახლოება აცნობეს.

და მართლაც, ეს უკანასკნელი შეპირებულ საათზე მოვიდა, მაგრამ როგორც იმ მიჯნურებს შეეფერებათ, რომელთაც თავში მხოლოდ სათაყვანებელი საგანი უზით, გრაფის მზვერავები ვერ შეამჩნია და დანდობილად მიადგა ფარულ შესასვლელს. ეს შემთხვევა იყო იმის მიზეზი, რომ გრაფმა ხელის მოძრაობით შეაჩერა კარიბჭის მცველები და შესძახა;

_ მე ვიცი, რომ ნადირი ხაფანგთან ახლოა!

მაშინ ყველანი ფარული შესავლისაკენ გაიქცნენ და ყიჟინი ასტეხეს: «სიკვდილი მაგას! სიკვდილი მაგას!» ჯარისკაცები, მოისარნი, მათი ზემდეგნი და თვით

მხედართმთავარი თავს დაესხნენ სავუაზის, რომელსაც სწორედ გრაფის ცოლის ფანჯარასთან მოუსწრეს. და ამრიგად, ამ ბეჩავის გულის საკლავი კვნესა შეუერთდა ჯარისკაცების ღრიალს და მიჯნურთა ვნებიან სუნთქვას და ჩურჩულს, აღსავსეს მოუთმენლობითა და შიშით.

_ აჰ, _ წამოიძახა შეძრწუნებულმა გრაფის ცოლმა, _ იქ სავუაზი კვდება ჩემი გულისთვის.

_ სამაგიეროდ, მე ვიცოცხლებ თქვენთვის, _ უპასუხა დებუა ბურედონმა, _ და ბედნიერი ვიქნები თუ იმავე ფასით გადაგიხადეთ, რომელსაც იგი იხდის ამ წუთში.

_ ახლავე დაიმალეთ ამ ნიშში და ნოხს ამოეფარეთ, _ უთხრა გრაფის ცოლმა, _ მხედართმთავრის ნაბიჯები მესმის.

და მართლაც, კარებში გრაფი გამოჩნდა; ხელში კაცის თავი ეჭირა.

_ აი, ქალბატონო, _ თქვა მან და თავი ბუხარზე დადო, _ აი, ეს გაკვეთილი ცოლის ვალდებულებას მოგაგონებთ.

_ თქვენ უდანაშაულო კაცი მოგიკლავთ, _ უპასუხა ქალმა, ისე რომ ფერი არ შესცვლია. _ სავუაზი ჩემი საყვარელი არ ყოფილა.

და მან მხედართმთავარი ისე გაზომა ქალური ცბიერებით და გამბედაობით აღსავსე თვალით, რომ ამ უკანასკნელმა იფიქრა, მოვტყუებულვარ და მართლაც ამაოდ დამიღვრია სისხლიო.

_ მაშ, ვისზე ლაპარაკობდით ძილში დღეს დილით?

_ მეფე შარლი დამესიზმრა.

_ რად არ მითხარით ეს, ჩემო ძვირფასო?

_ განა იმას დამიჯერებდით, როცა ისე მხეცურად გააფთრებული იყავით?

მხედართმთავარმა ყურის ძირი მოიფხანა და ჰკითხა:

_ მაშ, სავუაზის რატომ აღმოაჩნდა ფარული კარების გასაღები?

_ ეს უკვე აღარ ვიცი, _ მკვახედ უპასუხა ქალმა, _ იმედი მაქვს, დამიჯერებთ, რაც უკვე გითხარით.

და გრაფის მეუღლე მარჯვედ შეტრიალდა მაშიის ქუსლზე, თითქო უნდოდა ენიშნებინა, მივდივარ განკარგულებანი მოვახდინო ოჯახშიო. დარმინიაკი შეშფოთებული უცქეროდა საბრალო სავუაზის თავს, ხოლო დებუა ბურედონი ცდილობდა ხველა შეეკავებინა და ყურს უგდებდა, როგორ ბუტბუტებდა რაღაცას გრაფი თავისთვის.

ბოლოს, მხედართმთავარმა მუშტი ორჯერ მაგრად დაარტყა მაგიდას და წამოიძახა, ახლა კი თამამად შემიძლია პუასიში გავემგზავროო, და ოთახიდან გავიდა. როცა ჭაბუკმა მისი ცხენის თქარათქური გაიგონა, სამალავიდან გამოვიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და ღამის წყვდიადში მიიმალა.

სავუაზი ცხარედ გამოიტირა მისმა გულის დიუფალმა, რომელმაც თავის დროზე ყოველივე მოიმოქმედა, რათა იგი სიკვდილს გადაერჩინა. შემდეგ ქალს კიდევ უფრო დაენანა თავისი ბედშავი თაყვანისმცემელი: საქმე ისაა, რომ მან ზემოთ მოთხრობილი ამბავი დედოფალ იზაბელას უამბო, ამან კი დებუა ბურედონი თავის ბიძაშვილს წაართვა და თვით დაიახლოვა, რადგან გაკვირვებული იო მისი სიმამაცით და ღირსეული ყოფაქცევით. მაგრამ ეს რაინდი მართლაც სიყვარულისთვის ყოფილიყო განწირული. დედოფლის წყალობამ ისე გაათამამა, რომ დაცინვა დაუწყო მეფე შარლს. ერთ იმ იშვიათ დღეს, როცა მეფე თავის ჭკუაზე იყო, შურიანმა კარისკაცებმა აცნობეს, დედოფალი გღალატობსო. მაშინ უბედური ჭაბუკი, როგორც ცნობილია, დაუყოვნელივ ტომარაში ჩასვეს და სენაში გადააგდეს შარანტონის ბორანის მახლობლად.

ზემოთ ნათქვამს დავუმატოთ, რომ იმ დღიდან, როცა მხედართმთავარმა ასე გაუფრთხილებლად იხმარა თავისი მახვილი, მისი მეუღლე მუდამ მას აყვედრიდა ორი ადამიანის სიკვდილს და ამიტომ იგი ყარყუმის ბეწვივითაც რბილი გახდა და ჭეშმარიტების გზასაც დაადგა. იგი ცოლს ქებას ასხამდა ჭკუისა და სათნოებისთვის, რაც ამ უკანასკნელს, უეჭველია, დამსახურებული ჰქონდა. ხოლო მთელი ამ ამბიდან, როგორც ძველი მწერლების მოთხრობებიდან, რომლებშიც ყოველთვის თავის შესაქცევი და ჭკუის სასწავლი ნაწილია შეერთებული, შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ ქალებმა მძიმე წუთებში არ უნდა დაჰკარგონ სულის სიმშვიდე, რადგან სიყვარულის ღმერთი მათ არასოდეს არ დატოვებს, განსაკუთრებით თუ ისინი ლამაზები, ახალგაზრდები და კეთილშობილები არიან; მეორე მხრით, მათმა აშიკებმაც, პაემანზე მისვლის დროს, თავქარიანობა არ უნდა გამოიჩინონ, არამედ თუ მხრებზე თავის შერჩენა სურთ, ფრთხილად უნდა მიიხედ-მოიხედონ, რათა ხაფანგში არ მოხვდნენ, იმიტომ რომ, ბოლოს, მშვენიერი ქალის შემდეგ ყველაზე ძვირფასი არსება ამქვეყნად, ჩვენი ფიქრით, ლამაზი მამაკაცია.